საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

სიმონ ჯანაშია

შრომები

II

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი — 1952

შ ი ნ ა ა რ ს ი

		ბ3.
1.	ურარტუ	1
2.	რა მოხდა 2000 წლის წინათ საქართველოში	15
3.	ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის ისტორიიდან (კოლხეთის სამეფოს ისტორიისათვის)	19
4.	უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთს სინათლეზე	21
5.	გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში	102
6.	ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში	131
7.	ადრეული ფეოდალიზმი	161
8.	ქართველთა წარმომავლობის საკითხისათვის	236
9.	კავკასიელი ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა	238
10.	იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში	249
11.	ისტორიული საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიიდან	260
12.	პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები	261
13.	ფასიდი	271
14.	აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის	282
15.	აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან	306
16.	ეგრისის სამეფოს წარმოშობა	307
17.	О времени и условиях возникновения Абхазского царства	322
18.	არაბობა საქართველოში	342
19.	საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე	412
20.	ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის	434
21.	ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში	438
22.	ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ	449
23.	ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის	464
24.	ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის	482
25.	შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში	491
26.	პირთა საძიებელი	505
27.	ტომობრივი სახელთა საძიებელი	513
28.	გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	516
29.	Указатель имен	528
30.	ბიბლიოგრაფია	531
31.	რედაქციისაგან	537

ურარტუ

პროფ. ა. შესტაკოვის რედაქციით შედგენილს „სსრკ ისტორიის მოკლე კურსში“, რომელიც საკავშირო მთავრობის კომისიის მიერ მოწონებულია, როგორც მე-3 და მე-4 კლასების სახელმძღვანელო, სხვათა შორის, შემდეგს ვკითხულობთ: „ყველაზე ძველი სახელმწიფოები ჩვენს ქვეყანაში ამიერ-კავკასიის სამხრეთ ნაწილში აღმოცენდა. ეს იყო დაახლოებით 3.000 წლის წინათ. ამიერ-კავკასიის პირველ სახელმწიფოს — არარატის რაიონში, ვანის ტბასთან — **ურარტუ** ეწოდებოდა. მისი მბრძანებლები ბატონობდნენ ქართველ ტომებზე. მათ ჰყავდათ ბევრი მონა, რომელნიც აშენებდნენ მათთვის სასახლეებს და სთხრიდნენ არხებს მეფის მინდვრების და ბაღების მოსარწყავად. ეს იყო ახლანდელი საქართველოს წინაპართა სახელმწიფო“[1].

ეს დებულება, რომელიც მეცნიერების უახლეს მიღწევებზეა დამყარებული, ამჟამად უკვე, როგორც ვხედავთ, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოშიაც არის შესული. იგი საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებად იქცა.

რას წარმოადგენდა ურარტუ?

ურარტუ იმ ქვეყანა-სახელმწიფოს სახელწოდებაა, რომლის ძირითადი მიწა-წყალი სამი დიდი ტბის — ვანის, ურმიისა და სევანის ანუ გოჩის ტბების — რაიონში იყო გადაჭიმული. ეს იყო მხოლოდ ერთი მხარეთაგანი უფრო დიდი ქვეყნისა, **ნაირი**-სა, რომელიც ახლო მონათესავე ტომებით იყო დასახლებული. ეს ტომები ადრევე ჰქმნიან თავის საკუთარ სამთავროებს. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის იყვნენ **კარდუ** (ქარდუ?), ნაირის სამხრეთ ნაწილში, **მანა**, აღმოსავლეთით, **ურარტუ** — ცენტრში და სხვ. ურარტუს მფლობელები კისრულობენ ამოცანას გააერთიანონ, ერთი ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ, ეს მონათესავე ტომები.

ფიქრობენ, რომ სახელწოდება ურარტუ, იმ ხანაში, იხმარებოდა მხოლოდ ასურელების მიერ. შემდეგში ეს სახელწოდება, ჩანს, ვრცელდება ადგილობრივაც: „ურარტუმ“ თავი შეინახა ძველი სომხეთის ერთ-ერთი პროვინციის „აირარატ“-ისა და ცნობილი

[1] იხ. ქართული თარგმანი, გვ. 9.

მთის „არარატ“-ის სახელებში. ეგევე სახელი ჰეროდოტესა და სხვა ძველ ბერძენ მწერლებს „ალაროდი“-ს ფორმითა აქვთ გადმოცემული. თვით ურარტუს მკვიდრი მოსახლეობა-კი თავის ქვეყანას „ბიაინა“-ს (აქედან —„ვანი“) და თავის თავს „ხალდ“-ს უწოდებდა, როგორც ამას მრავალი გამოჩენილი მეცნიერი (მაგ., ლემან-ჰაუპტი) ამტკიცებს.

ურარტუს სამეფოს ცენტრი ვანის ტბის ნაპირებზე მდებარეობდა. ამავე ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე ურარტუს მეფეებმა აიშენეს თავის სატახტო ქალაქი, რომელსაც მაშინ ტუშპა ეწოდებოდა, ეხლა იგი ვანის სახელითაა ცნობილი.

შემდეგში ურარტუს მეფეებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავისი ტერიტორია. ჩრდილოეთით, მაგ., მათი მარბიელი რაზმები თანამედროვე საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანის ფარგლებშიაც იჭრებიან.

ურარტუს სამეფო ჩამოყალიბებულ სახეს იღებს IX ს-ში, ძვ. წ.

მის ცნობილ მეფეთაგან ყველაზე ადრინდელი არიან **ლუტიპრი** და **სარდური**, რომელნიც მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობენ და უკვე ჰმტრობენ თავის სამხრეთელ მეზობელს, იმდროინდელ მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს — **ასურეთს**. სარდურის მომდევნო მეფეს, **არამეს**, უშედეგოდ ებრძვის ასურეთის მბრძანებელი სალმანასარ III. არამეს, როგორც ჩანს (თუმც ცნობები მის შესახებ ნაკლულია), განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ურარტუს სახელმწიფოს ორგანიზაციაში. ფიქრობენ (მაგ., აკად. ბ. ტურაევი), რომ არამეს სახელისაგან არის ნაწარმოები ქვეყნის ახალი სახელწოდება — **არმენია** (არამანი). ეს დასაჯერებელია, ისტორიამ ასეთი მაგალითები სხვაც იცის (შეადრ. აზერბაიჯანი — ატროპატაკანი — ატროპატ-ისაგან, ჩვენი სამურზაყანო — მურზაყან-ისაგან და სხვ.). მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ურარტუში მეფობენ არამეს შვილი **სარდურ** I და უკანასკნელის შვილი **იშპუინი**. იშპუინი უკვე ცდილობს თავის ხელქვეშ შემოჰკრიბოს ნაირის ყველა ტომი, რომ მონათესავე ტომების გაერთიანებული ძალა შეახვედროს ასურეთის აგრესიას და თავის წინაპრების თავდაცვითი პოლიტიკიდან უკვე შეტევაზე გადავიდეს. ეს ამოცანა უფრო სრულად გადასწყვიტა იშპუინის ძემ, მეფე **მენუამ**. მენუა იმორჩილებს ჯარდუს, ხატხანას, მანას სამთავროებს, აერთიანებს ამრიგად ნაირის ქვეყანას და თავის დაპყრობითს პოლიტიკას ავრცელებს კიდევ უფრო შორს: მუშკების მხარეში იღებს ორს ციხე-ქალაქს, ხეთებს წაართმევს განთქმულ ქალაქ მელიტე

ნასს, იპყრობს ასურეთის მთელ რიგ რაიონებს. მენუა ცდილობს ერთიანი წესწყობილება დაამყაროს თავისი სამეფოს ვრცელ ტერიტორიაზე. იგი თავს ძლიერ მბრძანებლად გრძნობს და პირველად ითვისებს ტიტულატურას, რომლითაც შემკობილნი არიან შემდეგ მისი მემკვიდრეები: „მეფე ძლიერი, მეფე ღვთისმიერი, მეფეთა-მეფე". მენუა ცნობილია თავისი ფართო მშენებლობითაც: მან შეამკო თავისი სატახტო ქალაქი სასახლეებითა და ტაძრებით, მანვე გაიყვანა შესანიშნავი არხი, რომელიც ეხლაც არის ხმარებაში. მენუას საქმეს წარმატებით განაგრძობს მისი შვილი **არგიშტი** (VIII ს. პირვ. ნახევარში). მისი მრავალრიცხოვანი ლაშქრობანი ასურეთის წინააღმდეგ ჩვეულებრივად ხალდების გამარჯვებით მთავრდება. არგიშტი იმორჩილებს მცირეაზიელ ხეთებსაც. ნაირის ტომებისა და მცირეაზიელი ხეთების ერთ სამეფოში მოქცევა, ნიშნავდა, აკად. ბ. ტურაევის სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთოდ ხეთური მოდგმის ხალხების გაერთიანებას და მათ პრეტენდენტობას ჰეგემონიაზე იმდროინდელს კულტურულ სამყაროში. არგიშტი თავის გავლენას ავრცელებს ამიერ-კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილშიაც. იგი აღწევს მტკვრის სათავეებს, პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის მიდამოებს, მკვიდრდება გოკჩის (სევანის) ტბის ჩრდილოეთით.

არგიშტის დროს ურარტუ გადაიქცა წინა აზიის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ. ამან გამოიწვია არგიშტის გაღმერთება მისი შთამომავლობის მიერ: ღვთაებრივი ნიშნებით შემკული არგიშტის ქანდაკება დადგმული იყო ხალდების საღმრთო ქალაქში მუსასირში. არგიშტის მემკვიდრის, სარდურ III-ის, მეფობის დასაწყისში ამ სახელმწიფოს ძლიერება განაგრძობს ზრდას. სარდური ლაშქრობს შორეულ სირიაში, თითქოს აღწევს შავი ზღვის სანაპიროებსაც, თავის გავლენას ამყარებს მტკვრის შუა-წელზედაც. აურაცხელია სარდურის ნადავლი, თვალუწვდენია მისი საბრძანებელი. მაგრამ ასურეთის ახალი მფლობელი, **ტიგლატ-ფილესარ** III, ახერხებს თავის წინაპრების ჯავრის ამოყრას და 743 წლის მახლობლად პირველ დამარცხებას აგებინებს ხალდებს. მომდევნო ლაშქრობათა დროს-კი გამარჯვება ჩვეულებრივად ისევ ასურელების მხარეზეა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 735 წ. ომი, რომელშიაც ტიგლატ-ფილესარმა დაამარცხა სარდური და მისი მოკავშირეები — მუშკების (მესხების), კომაგენესა, გამგუმისა და მატიილუს მთავრები. ხალდების დედა-ქალაქის აღებას ასურელები მაინც ვერ ახერხებენ, მიუხედავად დიდი ცდისა.

სარდური განაგრძობს თავის მამის ტრადიციებს მშენებლობის სფეროშიაც — მას მიეწერება ახალი ქალაქების, ტაძრების, წყალსადენების აგება, ბაღებისა და პარკების გაშენება.

ენერგიული და ნიჭიერი კაცი ჩანს სარდურის შვილი, **რუსა I.** მაგრამ მას ცუდ პირობებში უხდება მეფობა. ასურეთი იბრუნებს ამ დროს თავის ძველ ძლიერებას. ურარტუს სამეფოში კვლავ იჩენს თავს, ეხლა განსაკუთრებული სიცხადით, მასში შემავალი ცალკე სამთავროების სეპარატიზმი. განსაკუთრებით აქტიურია ამ მხრივ მანა. მძიმე მარცხი ასურელებთან ბრძოლაში და ჩრდილოეთიდან ახალი მტრის, კიმერიელების, მოულოდნელი შემოსევა აიძულებს რუსას თავი მოიკლას (714 წ. მახლობლად). რუსას მემკვიდრეთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შვილიშვილი, რუსა II, რომლის მეფობაშიაც კვლავ აღმობრწყინდა ურარტუს ძველი ძლიერება. იგი წარმატებით ებრძვის, როგორც ჩანს, კიმერიელებს, და აშენებს მათ მიერ წინა პერიოდში დანგრეულ ქალაქებს. მიუხედავად ამისა, ურარტუ მაინც დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი და მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის კიდევაც შესწყვიტა თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა.

ურარტუს დაცემის გარეგან მიზეზთა შორის მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი დამპყრობელების შემოსევას, კერძოდ — კიმერიელებს, რომელთაც ასურელები **გიმირი**-ს ეძახდნენ (ფიქრობენ, რომ ამ ტერმინიდან არის ნაწარმოები ქართ. სიტყვა „გმირი“). კიმერიელებმა და მათმა მომდევნო დამპყრობელებმა სხვა მომთაბარე ტომებმა (მიდიელებმა, სკვითებმა) ბოლო მოუღეს, როგორც ცნობილია, ბაბილონ-ასურეთსაც.

ურარტუს დაქვეითების შინაგანი მიზეზები მის საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ წყობილებაში უნდა ვეძიოთ. ხალდების საზოგადოებასა და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში მონათმფლობელური წყობა წამყვანი ხასიათისაა. ხალდების ლაშქრობანი მიზნად ისახავენ, უწინარეს ყოვლისა, ტყვეებს, რომლებიც ათიათასობით მოჰყავთ და რომლებსაც მონებად აქცევენ. ხალდების მეფეთა მშენებლობის ხასიათი აუცილებლად გულისხმობს მრავალრიცხოვანი მონების მუქთ შრომას. სახელმწიფოს ფორმა თეოკრატიულია. მეფე იშპუინის შვილი, სარდური, მაგ., მთავარი ქურუმ• იყო ხალდების საღმრთო ქალაქ მუსასირში. ურარტუს მთავარი ღმერთების — ხალდის, თეშუბის და სხვ. — ტაძრები უმდიდრესი ქონების (მამული, მონები) და განძების პატრონი არიან. ურარტუს მეფეები თავის სამხედრო ნადავლის მნიშვნელოვან წილს ყო-

ველთვის ამ ტაძრებს სწირავენ. მაგრამ მონათმფლობელობას, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობას, ნაირის ქვეყნის მთაგორიან ტერიტორიაზე უფრო ცუდი პირობები ჰქონდა განვითარებისათვის, ვიდრე წინა აზიის სამხრეთ რაიონებში, კერძოდ მესოპოტამიაში, სადაც ეს სისტემა ჩამოყალიბდა. იგი თანდათანობით ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და იწვევს სახელმწიფოს დაქვეითებასაც.

სოციალური წყობიდან უნდა აღვნიშნოთ კიდევ ქალის განსაკუთრებული მდგომარეობა საზოგადოებაში. ლემან-ჰაუპტი ამტკიცებს, რომ ქალს ხალდებში აქტიური როლი ჰქონდა დაკისრებული და მეტად საპატიო ადგილი ეკავა.

ურარტუს ნივთიერი კულტურა მდიდარია და თავისებური. განსაკუთრებით დამახასიათებელია მისთვის: 1) კლდეში ნაკვეთი, საუცხოო ხელოვნების, ნაგებობანი — ციხე-დარბაზები, ტაძრები, აკლდამები, 2) ციკლოპური, უდუღაბოდ აშენებული, ნაგებობანი, 3) რთული არხები და წყალსადენები, რომელთაგანაც ზოგი გაყვანილია მიწის ქვეშ, ხელოვნური ტბები და სხვა. ამ ნაგებობათაგან ზოგი დღესაც ემსახურება თავის დანიშნულებას, 4) უაღრესად განვითარებული მეტალურგია, კერძოდ რკინის კულტურა. ფიქრობენ, რომ შესაძლოა რკინა ურარტუში უფრო ადრე იყოს აღმოჩენილი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ზოგიერთი მეცნიერი იმასაც ამტკიცებს, რომ რკინის ტექნიკის განვითარების მხრივ ხალდებს პირველი ადგილი ეჭირათ წინა აზიის სხვა ხალხთა შორისო. მართლაც, ხალდური კლდის სამუშაოების შესასრულებლად საჭირო იყო განვითარებული რკინის იარაღები. ხალდების სიმდიდრე ლითონების, ძვირფასი ქვების და სხვა სფეროში და დაწინაურება მეტალურგიაში ნათლად ჩანს ასურული ცნობებიდან ურარტუს ქვეყანაში ნაშოვნი ნადავლის შესახებ: აქ აუარებელი რაოდენობით არის მოხსენებული ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, სპილენძის იარაღი, ჭურჭელი და ზოდები, ძვირფასი ქვები, სპილოს ძვლის ნივთები, სელის ქსოვილები და სხვ.

ხალდებს უყვარდათ არა მარტო მონუმენტალობა არქიტექტურაში, არამედ ნაგებობათა გარეგანი შემკობაც. ამ მხრივ დამახასიათებელია ღია და მუქი ფერის ქვების შენაცვლება შენობათა კედლების პერანგებში, მოზაიკურად ნაგები იატაკები და სხვა. კაოგი ოსტატები იყვნენ ხალდები აგრეთვე წვრილი ლითონის ნივთების კეთებაში.

ხალდების პანთეონში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მთავარ ღმერთებს: **ხალდ**-ს, **არდი**-ს, მზის ღმერთს; **თეშუბ**-ს, ჭექა-ქუხილის ღმეოთს.

საიდან გაჩნდნენ ხალდები? იწყება მათი ისტორია მხოლოდ I ათასეულში, ძვ. წ., თუ მათ ჰყავდათ უფრო შორეული წინაპრები?

შეიძლება უეჭველად იყოს მიჩნეული, რომ ხალდები ეკუთვნიან წინა აზიის იმავე უძველეს მკვიდრ მოსახლეობას, რომელმაც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში შეჰქმნა ურიერთ-მონათესავე მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ცენტრები, რომელთაგანაც სუმერული საზოგადოდ უძველესია კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, ხოლო მომდევნოებმა — ხეთურმა და მიტანურმა — სუმერული ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა. მკვლევართა უმრავლესობა ხალდებს, უწინარეს ყოვლისა, ხეთებს უკავშირებს. ზოგი მათგანი იმასაც კი ფიქრობს, რომ თვით სახელწოდებანი ხეთი ანუ ხათი და ხალდი ენათესავებიან ერთმანეთს. საყურადღებოა, რომ ისეთი ინდოევროპეისტებიც-კი, როგორიც არიან თანამედროვე გამოჩენილი ბურჟუაზიული ორიენტალისტები ჰროზნი და გოეტცე, ხალდებს არა ინდოევროპელ ხალხად და არა ინდოევროპელ ხეთების მონათესავე ტომად სთვლიან.

მკითხველს ეხსომება, რომ ამ მკვლევართა აზრით, რაც გატარებული იყო ჰროზნის მიერ მის ტფილისში წაკითხულ ლექციებშიაც, ხეთების დიდ ქვეყანაში მრავალი სხვადასხვა ტომი მოსახლეობდა. ზოგი ამ ტომთაგან გვიან მოსული ინდოევროპული ტომია, ზოგიც ადგილობრივი ძველი მკვიდრიო. უკანასკნელთა შორის პირველ ადგილს ეს მკვლევარნი **ხურ**-ის ხალხს აკუთვნებენ. გოეტცეს აზრით, ხურებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ინდოევროპელ ხეთებზე. კერძოდ, ხეთური ხელოვნება მეორე ათასეულისა მთლიანად ხურული წარმოშობისა არისო. ხეთურ პანთეონშიაც მთავარი ადგილი ხურულ ღმერთებს უჭირავსო. ამავე დროს, გოეტცე გამოსთქვამს ძალიან საინტერესო მოსაზრებას: ხურის ქვეყანა იგივეა, რაც **მიტანი**-ს სახელმწიფო, ტერმინი მიტანი მხოლოდ პოლიტიკურ ცნებას გამოხატავდაო. მცირეაზიელი ხეთებისათვის, ამბობს გოეტცე, მიტანი ერთ-ერთი ქვეყანაა მრავალი ხური-ქვეყნებიდან. სხვა მეცნიერნი-კი, მაგ., იენსენი და უნგნადი, მიტანის, ე. ი. ხურის ქვეყნის, ხალხის აღსანიშნავად უპირატესობას აძლევენ ტერმინს „სუბარ“-ს და მიტანურს ანუ ხურულ ენას **სუბარულს** ეძახიან. ამავე დროს უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ **ხური**-ს მაგიერ ზოგი მეცნიერი **ხარი**-ს კითხულობს.

ასე, მაგ., არა ნაკლებ ცნობილი ბურჟუაზიული ხეთოლოგი ემილ ფორერი ამტკიცებს, რომ ამ სახელწოდების ნამდვილი ადგილობრივი ფორმა **ხარი** არისო. ამავე დროს ფორერი აღნიშნავს, რომ, ერთი მხრით, ხეთურ ტექსტებში ეს ფუძე ყოველთვის **ხარ**-ფორმით არის მოცემული, ხოლო, მეორე მხრით, ასურულ ტექსტებში გვხვდება ფორმა **არი**-ც. მოვიგონოთ, რომ ამგვარი პარალელები, ვოკალიზმის მხრივ, ჩვეულებრივია ძველი აღმოსავლეთის ეთნიკურ სახელებში: თუბალი — თაბალი; ურარტუ — ალაროდი, არარატი, აირარატი და სხვ.; მოვიგონოთ ისიც, რომ ადგილობრივი, უფრო გაბატონებული, თითქოს **ა**-ნიანი ფორმა ჩანს, — და ადვილად დავასკვნით, რომ **ხარი ხური**-ს სავსებით კანონიერი და, შესაძლოა, უფრო ადგილობრივი ფორმაც უნდა იყოს. **ხ**-ს გაქრობაკი ამ ფუძის თავში იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აქ ნამდვილად ჩვენ **ხ** კი არა, **ჰ** გვქონდა. ეს უკანასკნელი შედარებით ადვილად იკარგება ქართველურ ენებში.

ხმოვანთა პარალელების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ წინა აზიის უძველეს ეთნიკურ სახელებში, რომელთაც ჩვეულებრივად ქართველურ სამყაროს უკავშირებენ, **უ**-სა და **ა**-ს **ე**-ც ძალიან ხშირად ენაცვლება და ეს უკანასკნელი განვითარების უფრო გვიანდელი ეტაპი ჩანს. შეადრ., მაგ., თუბალ-თაბალ-იბერი, მუსკი-მოსხი-მეშეხი-მესხი და სხვ. ამიტომ შეიძლება ჰურ-ისა და ჰარის **ჰერი** პარალელიც ჰქონდა. და, აქ, ვიტყვით გაკვრით, უნებლიეთ იბადება კითხვა, ხომ არ უკავშირდება ამ ჰერის მერმინდელი ქართული სიტყვა **ერი**? ჯერ კიდევ მე-14 ს-ში ქართულ მთაში ამ ერის შთამომავალნი წვრილი მესაკუთრე მწარმოებელნი, თავისუფალი ერისგანები, ჰეროვან-ებად იწოდებოდნენ. ესეც სიტყვა შენახულია მეგრულშიაც **ჰერებამი**-ს ფორმით. მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით სხვა დროს. შესაჯამებლად აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ მოცემული სახელწოდების ძველ ადგილობრივ ფორმად ჩვენ **ჰარი** მიგვაჩნია.

ამრიგად: ჰარი ანუ ხური იგივეა, რაც მიტანი, ხოლო ამ ქვეყნის ხალხის სახელწოდება შეიძლება მართლაც სუბარი იყოს, ის სახელწოდება, რომელიც გარეგნულად ასე ცხადად უკავშირდება უძველეს **სუმერ-შუმერ**-სა და მერმინდელს **თუბალ-ტიბარ-იბერ**-ს.

გოეტცეს გამოკვლევით, ხური ანუ ჰარი (იგივე მიტანი) მეორე ათასეულის პირველ ნახევარში წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოა და როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად იგი წინა აზიის ცენტრს წარმოადგენს. გეოგრაფიულად ხურის ანუ ჰარის

ქვეყანა ფართო მიწა-წყალს შეიცავდა — ჩრდილო სირიას, ზემო მესოპოტამიას, სამხრეთ ამიერ-კავკასიას. „ხოლო თუ ხური ქვეყანას ავიღებთ ვიწრო მნიშვნელობით, მისი შუა წერტილი... ვანის ტბის მიდამოებში უნდა ვეძიოთ და არა სხვაგან სადმე“-ო, ამბობს გოეტცე. ამრიგად, ხური-ქვეყანა, ვიწრო მნიშვნელობით, უდრის ჩვენს ურარტუს. შეიძლება ამიტომ ვიკითხოთ, ხომ არ შენახულა სახელწოდება ხური ურ-არ-ტუ-ში? (შედრ. ხარი და არ-არ-ატი, ალ-არ-ოდი. თავკიდური ხ-ს განვითარება ჰ-დ და შემდეგ ისი დაკარგვა ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რასაც ხალდის პარალელური ფორმა ალდი-ც ემოწმება).

რაც შეეხება ენას, ხურული (ჰარული, იგივე მიტანური) ანუ სუბარული მკაფიოდ განსხვავდება როგორც ინდოევროპულისაგან, ისე სემიტურისაგან, აცხადებს გოეტცე. „ყოველ ეჭვს გარეშეა, ამბობს გოეტცე, რომ მისი მონათესავე უნდა იყოს ურარტული“. ამავე დროს, ხურული ანუ მიტანური კავკასიურ ენათა ოჯახის წევრად მიიჩნია მრავალმა მეცნიერმა, მათ შორის აკად. ნ. მარმა, კლუგემ, ბორკმა; ჰროზნიც ფიქრობს, რომ ჰურული ენათესავება კავკასიურს, კერძოდ ქართულს.

გარდა ამისა, ძალიან საყურადღებოა, რომ უძველესი სუმერული ელემენტები სწორედ ჰარებმა შეინახეს. ხურული (ჰარული) ენა, აგებულების მხრივ, ყველაზე ადრე მოგვაგონებს აგლუტინაციურ სუმერულსო, ამბობს გოეტცე. ასევეა სარწმუნოებისა და ხელოვნების სფეროში.

ამრიგად, წინა აზიის მკვიდრი და უძველეს მოსახლეობის განვითარების ხაზი სუმერული ცენტრიდან ჯერ პროტო-ხეთურის, შემდეგ — ჰარულის (ანუ ხურულის) საფეხურებზე ადის და, დაბოლოს, განვითარების უძველეს წრეს ურარტუში ჰკრავს, ხოლო ახალ პერიოდს უკვე ჩრდილო ამიერ-კავკასიაში იწყებს. როგორ ხდება ეს გადასვლა?

ამ უაღრესად რთულ საკითხებზე პასუხის გასაცემად ჩვენ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ზემოთ ვნახეთ, რომ ურარტუს სამეფომ თავისი არსებობა შესწყვიტა მეექვსე საუკუნის დამდეგს. იმავე საუკუნის შუაწლებში-კი კიროსი აარსებს ახალს უზარმაზარ სახელმწიფოს. აქემენიდების ამ სახელმწიფოში შევიდა ურარტუც, არა მთლიანი, არამედ თავისი ძირითადი შემადგენელი ნაწილების სახით. „ისტორიის მამა“, ჰეროდოტე (V ს.), ამბობს, რომ **მატიენები, სასპირები** და **ალაროდიები** შეადგენდნენ სპარსთა სახელმწიფოს მე-18 ოლქს და იხდიდნენ 200 ქანქარს (III, 94).

უეჭველია, რომ მატიენი მიტანის უდრის, ალაროდი-კი — ურარტუს. **სასპირი** ალბათ სუბარ-ის გადმოცემაა. ხომ არა გვაქვს აქ ისეთივე წარმოება, როგორიცაა „საქართველო“: სასუბარო? რომ სასპირები და ალაროდიები ძალიან ახლო იდგნენ ერთმანეთთან, ეს ჩანს ჰეროდოტესავე ცნობიდან, რომ ამ ორ ხალხს ერთნაირი შეიარაღება ჰქონდათ და სპარსელების ლაშქარში ერთს სამხედრო გაერთიანებას შეადგენდნენ (VII, 79). იმავე ჰეროდოტეს სხვა ცნობებიდან ირკვევა: ჯერ ერთი, სასპირების ტერიტორია — იგი სწორედ სამხრეთ ამიერ-კავკასიაზე (ე. ი. ურარტუს მიწა-წყალზე) მოდის; მეორე, სახელწოდება სასპირს, როგორც ჩანს, ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონდა და ხანდახან ალაროდისაც ჰფარავდა. ჰეროდოტე ამბობს: „**სპარსები** ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელიც მეწამულად იწოდება; მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ **მიდები**, მიდების ზემოთ **სასპირები**, სასპირების ზემოთ — **კოლხები**, ვიდრე ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე „ფაზისი“ (IV, 37). აქ ძალიან კარგად არის განსაზღვრული დასახელებული ხალხების ტერიტორია — ჩრდილოეთის ზღვა და ფაზისი, რათქმაუნდა, შავი ზღვა და რიონია. კოლხეთს მაშინ უჭირავს, ეს ჩვენ ვიცით სხვა წყაროებიდანაც, შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, კერძოდ, — დას. საქართველო. მისი სამხრეთით მეწამულ ზღვამდე ჰეროდოტე მხოლოდ სამ დიდ ხალხს უჩვენებს. მათგან მიდებისა და სპარსების ტერიტორია აგრეთვე კარგად არის ცნობილი. და ამ ცნობილს ტერიტორიულ ერთეულებს შორის ნათლად ირკვევა სასპირების მიწა-წყალიც — იგი სწორედ ძველ ურარტუზე მოდის. მაგრამ სადღა გაჰქრნენ მატიენები და ალაროდიები, რომელნიც სასპირებთან ერთად ერთს საგამგეო ოლქს შეადგენდნენ? თავისთავად ცხადია, რომ ისინიც სასპირების სახელწოდების ქვეშ იგულისხმებიან. სასპირ-მატიენების ურთიერთობისათვის საინტერესოა ჰეროდოტეს ცნობა, რომ მდ. არაქსი გამოდის მატიენების ქვეყნიდანო (I, 202), არაქსის სათავეებთან-კი მდებარეობდა სწორედ **სპერი**, სასპირების ქვეყანა. ჰეროდოტეს სხვა ცნობებიც ანალოგიური ხასიათისაა: სპარსების, მიდების, სასპირების და კოლხების ჩრდილოეთით (ავტორს, რათქმაუნდა, არ ჰქონდა ზუსტი გეოგრაფიული წარმოდგენები) არის კასპიის ზღვა და მდინარე არაქსი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ დის (IV, 40). დასავლეთით სასპირებს ემეზობლებიან, სხვათა შორის, მოსხები და ტიბარენები (III 94), რომელნიც ხალდურ წარწერებშიაც იხსენიებიან. საინტერესოა, რომ ჰეროდოტეს წინამორბედს, ჰეკატე

მილეთელს, ასეთი ზოგადი ტერმინის როლში „მატიენი“ აქვს გამოყენებული იმ ცნობაში, რომ „კოლხური ტომი მესხები მატიენების მეზობლები არიან“ (ფრ. 188).

ამავე დროს, ჰეროდოტე არ იცნობს იბერიას, ქართლს, რომელიც მომდევნო საუკუნეთა ბერძენი მწერლების ჩვენებით უკვე ჩამოყალიბებული სამეფოა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. პირველ საუკუნის დამდეგს, ძვ. წელთაღრიცხვით, ბერძენ მწერალთა ცნობების თანახმად, იბერიის საზღვრებია: ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით — ალაზნის შესართავზე გამავალი ხაზი, დასავლეთით — სკანდა-შორაპანზე გამავალი ხაზი, სამხრეთით მტკვრის სათავეებზე გამავალი ხაზი. მაგრამ ერთი, თუ ერთ-ნახევარი, საუკუნით ადრე ამ ხანაზე იბერიას არმენიისაგან თურმე მდინარე არაქსი ჰყოფდა, აპოლოდორის ცნობით. იბერიის სამხრეთი საზღვარი თანდათან ჩრდილოეთისაკენ იწევა, ისტორიული პირობების წყალობით.

ბერძენ მწერალთა ცნობებს ავსებს უძველესი ქართული ეროვნული ისტორიული გარდმოცემები. ამ გარდმოცემებით, მცხეთის (ქართლის) სამეფო დაარსებულია ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდლის, **აზო**-ს მიერ. ალექსანდრე იპყრობს დღევანდელ აღმ. საქართველოს და დაპყრობილ ტერიტორიას აზოს უბოძებს. **აზო არან** (აქ ჩვენ განზრახ ვტოვებთ ამ სახელწოდების ჩვეულებრივ ფორმას) **ქართლის მეფის** ძეა. იგი მიდის თავის სამშობლოში, **არან ქართლად**, და იქიდან მოჰყავს მოსახლეობის ერთი ნაწილი — თვრამეტი „სახლი“, ე. ი. გვარი, და აგრეთვე ეროვნული ღმერთებიც. „ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოდ, ძე არან ქართველთა მეფისაჲ“-ო, ამტკიცებს მემატიანე.

ცნობილია, რომ ალექსანდრე ამიერ-კავკასიაში არ ყოფილა და ამიტომ მატიანის ცნობა ამ ნაწილში მცთარია. ალექსანდრეს ხსენება საინტერესოა მემატიანის ქრონოლოგიური წარმოდგენისათვის ამ ამბებზე და იმ მხრივაც, რომ ამ გარდმოცემით, მოძრაობა და გადასახლება აქ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წარმოებს. სხვაფრივ, თქმულება უეჭველად საყურადღებოა. იგი ბერძნულ მითოლოგიაში ჰპოვებს ისეთსავე პარალელს არგონავტების შესახებ თქმულების სახით, როგორსაც ამირანის თქმულება პრომეთეს მითში: აზო უდრის ბერძნ. იასონ-ს. საყურადღებოა, რომ ეს თქმულება, ჩანს, ფართოდ იყო გავრცელებული როგორც საქართველოში, ისე ძველი ურარტუს ტერიტორიაზედაც. სტრაბონის ცნობით არსებობდა თქმულება, რომ არმენიამ თავისი სახელი

მიიღო იასონის ერთ-ერთ მხლებლის, არმენ-ისაგან. ამავე დროს, სტრაბონის მტკიცებით, იასონის პატივსაცემად არმენიაში (ძველი ურარტუს ტერიტორიაზე) ტაძრებიც-კი ყოფილა აგებული. ეს ფაქტი განსაკუთრებით მოწმობს აზო-იასონის შესახებ არსებული გარდმოცემის ადგილობრივ წარმოშობასა და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

მეორე მხრით, საყურადღებოა, რომ ურარტუს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამთავროს, მანას, მფლობელთა სახელებში ჩვენ რამდენჯერმე ვხვდებით **აზა**-ს. ამ სახელის მატარებელი ერთი მთავარი, **აზა** II, შვილია **ირანზუ**-სი. მერვე საუკუნის დამლევს ეს აზა ენერგიულად იბრძვის თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ქართული გარდმოცემის აზო დასაყრდენს ჰპოვებს ურარტუს ისტორიულ აზოში. ამდენადვე შეიძლება დაისვას საკითხი „არან"-ისა და „ირანზუ"-ს ურთიერთობის შესახებ.

აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე უაღრესად საყურადღებო გარემოება. ჯერ ერთი: ფორმა „არან" შემცთარი ფორმაა. „ქართლის მოქცევის" მატიანე, რომელიც შეიცავს ამ სახელს, მეათე საუკუნის ხელნაწერშია მოთავსებული. მაგრამ ამ ხელნაწერის ის ორი გვერდი, სადაც ეს სიტყვა სამჯერ გვხვდება, შემდეგში განუახლებიათ, და განუახლებიათ არა უადრეს XVIII საუკუნისა (ამას მოწმობს განმაახლებლის მიერ ნახმარი **უ** ბრჯგუ). განმაახლებელს დაუწერია სწორედ ერთ ადგილას **არან**, რაც რატომღაც მოსწონებიათ გამომცემლებს და ეს დაწერილობა გაუვრცელებიათ, მაშინ, როცა ორს სხვა შემთხვევაში სრულიად აშკარად იკითხება ფორმა „არიან". ნინოს ცხოვრებაშიაც ფორმა **არიან** არის ნახმარი. ესევე ფორმა გვხვდება ერთს ძველს მატიანისებურ თხრობაში, რომელიც პირველად თედო ჟორდანიამ გამოსცა. ამრიგად, უეჭველია, რომ ამ უძველეს ქართულს ისტორიულ გარდმოცემაში იხსენიება **არიან-ქართლი**, როგორც დღევანდელ საქართველოზე ადრინდელი სამშობლო ქართველებისა, და **არიან-ქართველნი**, როგორც არიან-ქართლის მოსახლეობის სახელწოდება.

რაკი **-ან** დაბოლოება კრებითობის ძირეული ქართული სუფიქსია და გარკვეული ხანისათვის აგრეთვე საერთო ფორმაა ქართ. სატომო სახელებისათვის, შეადრ. სვ-ან-ი; ჭ-ან-ი, ლაზების საკუთარი სატომო სახელი; ზ-ან-ი, მეგრელების უძველესი სატომო სახელი; ტიბერ-ან-ი ანუ ტაბარ-ან-ი, იბერების სახელის უძველესი ფორმა, ამიტომ მოცემულ სახელში ფუძედ გვრჩება **არი**. შეუძლებელი არ არის, რომ აქ სწორედ ის **ჰარი** ანუ **ხური** სახელწო-

დება იგულისხმებოდეს, რომელიც ზემოთ გვქონდა მოხსენებული. როგორც ვნახეთ, ჰარი (ხური) იმავე მიტანის ანუ, მერმინდელი ტერმინოლოგიით, ურარტუს სახელია. ყველა მკვლევარის, მათ შორის უკიდურესი „ინდოევროპეისტების“ (ჰროზნი და სხვა), აზრით ჰარის (ხურის) ხალხი აშკარად არც ინდოევროპულია მოდგმით, არც სემიტური, და წინა აზიის მეორე ათასეულის ხალხთა შორის ყველაზე მეტად უახლოვდება ქართველებს. ამრიგად, შესაძლებელია, რომ უძველეს ქართულს ისტორიულ გარდმოცემაში დაცული იყოს ხსოვნა ქართველ ტომთა ადრინდელ სამშობლოს შესახებ. ამასთან ერთად, უაღრესად საყურადღებოა ფორერის მოსაზრება, რომ ჰარის უშუალო გაგრძელება-განვითარებაა ურარტუს ის სამთავრო, რომელიც **მანას** სახელს ატარებდა *. ჩვენ კი ვნახეთ, რომ ქართული გარდმოცემის აზო სწორედ ამ მანას უკავშირდება. საინტერესოა, ამასთან დაკავშირებით, აღინიშნოს საქართველოს ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება, განსაკუთრებით სამხრეთ პროვინციებში. ძველი ქართველი მემატიანის ლ. მროველის ცნობით, მის დროს არტაანში ყოფილა ნაქალაქევი, რომელსაც ძველად ერქვა „**ქაჯთა ქალაქი**“ ანუ **ჰური**. „ქაჯთა ქალაქებს“ (ციხეებს) და „გმირთა ნაკვეთებს“ ძველ საქართველოში ეძახდნენ უძველეს ცენტრებს, კერძოდ ციკლოპურ ნაგებობებს, რომელთა ანალოგიებს ჩვენ იმავე ურარტუში ვპოულობთ. არტაანის ჰური იმეორებს ცნობილი ქვეყნისა და მასზე უფრო ადრინდელი, მესოპოტამიის ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრთაგანის, ქალაქ ჰურის, სახელებს.

იმავე სამხრეთ საქართველოში საყურადღებოა ისეთი უძველესი სახელწოდებებიც, როგორიცაა არტაანი, ერუშეთი (ქალაქი) და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს უმჭიდროესი კავშირი, საქართველოსა და ურარტუს შორის, მატერიალური კულტურის სფეროში. ციკლოპურ ნაგებობათა გარდა, რომელთა შესახებაც უკვე იყო ნათქვამი და რომელნიც დიდი რაოდენობით შემონახულან ჩვენში, განსაკუთრებით საინტერესოა კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი და მათი გავრცელების არეები. ეს კლდის ნაგებობანი, სრულიად თვალსაჩინოდ, მიჰყვებიან უძველესსა და უმთავრესს გზებს, რომელნიც აკავშირებდნენ საქართველოს სამხრეთთან, კერძოდ, მტკვრის ზემოთა და შუა წელის გაყოლებით. ამ ძეგლების ერთი

* ამონაწერები ფორერიდან გადმოგვცა ენიმკის ბიბლიოგრაფმა პ. ბ. **უშაკოვმა**, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

დიდი კომპლექსი ჩვენ გვხვდება ჯავახეთში, მტკვრის ორსავე მხარეს. მათი ყველაზე დიდი წარმომადგენლებია ვარძია და ვანი,— მართალია, ფეოდალურ ხანაში აგებული, მაგრამ უეჭველად ძველი საამშენებლო ტრადიცია-ხერხებით არის აგებული. მტკვრის შუა წელზე კი ჩვენ ისეთი შესანიშნავი ძეგლები გვაქვს, როგორიცაა უფლისციხე, სარკინე, არმაზი და სხვ.

ქართული ენის კავშირი წინა აზიის უძველეს კულტურულ ენებთან — სუმერულთან, ჰარულთან (იგივე ხურული ანუ სუბარული), ურარტულთან მეღავნდება უმნიშვნელოვანეს ენობრივ კატეგორიებში (მორფოლოგია, ლექსიკა...). მაგრამ ამ მხრივ ნამდვილი მეცნიერული კვლევა მხოლოდ ეხლა იშლება. უწინარეს ყოვლისა, უნდა ეკვმიუტანლად წაკითხულ იქნას მწერლობის ის ძეგლები, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობით დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა, კერძოდ,— ხალდებმა. ხალდებმა მიიღეს ის ლურსმული დამწერლობა, რომელიც შეჰქმნეს სუმერებმა და შემდეგ გაავრცელეს ასურელებმა. ამ დამწერლობის შემდგომ განვითარებაში ხალდებმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ხალდური მრავალრიცხოვანი წარწერებიდან, რომელნიც უმეტეს წილად ქვის ფიქალებზეა ამოჭრილი, ერთი, არა მცირედი და მეტად საყურადღებო, კოლექცია საქართველოს მუზეუმშია დაცული. საქართველოს მუზეუმის ხალდური წარწერების სრული კრებული, მეცნიერული გამოცემისათვის მომზადებული დოც. გ. წერეთლის მიერ, უკვე წარმოებაშია გადაცემული. ამ პუბლიკაციით, ისე როგორც პარალელურად წარმოებული ენათმეცნიერული, ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სამუშაოებით, საკავშ. მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, აკად. ნ. მარის სახელობისა, იწყებს გეგმაშეწონილს ფართო კვლევა-ძიებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) და პირადად ამსანაგ **ლავრენტი ბერიას** შეუნელებელი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ ვითარდება, უახლოეს ხანში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმ დიდი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, რომელიც ქართველ ტომთა უძველესი კულტურის შემადგენლობისა და წარმოშობის გამორკვევაში მდგომარეობს.

რა მოხდა 2000 წლის წინათ საქართველოში

მდგომარე წელს საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიაში ერთი წლის თავი შესრულდა. მისთვის ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა ზეიმს არ გადაიხდის, არც სპეციალურად აღნიშნავს მას. საიუბილეო აქ არაფერია. ისე-კი უეჭველად საჭიროა, რომ ყურადღება მივაქციოთ ამ თარიღის ქვეშ დამალულ ამბავს და სწორი მეცნიერული შეხედულება შევიმუშაოთ ამ მოვლენისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

65 წ., ძველი წელთაღრიცხვით, ე. ი. სრული ორი ათასი წლის წინათ (65+1935), საქართველოში რომის მფლობელობა დამყარდა. ამ ამბავს ღრმა მიზეზები და გრძელი ისტორია ჰქონდა.

იმდროინდელ ამიერ-კავკასიის უახლოესი ქვეყნების სურათი ასეთია. კავკასიონის ჩრდილოეთით სარმატიაა, სადაც სხვადასხვა მეჯოგე ტომი ბინადრობს; კავკასიონის სამხრეთით, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სამი ქვეყანა ჩამწკრივებულა — კოლხეთი (დას. საქართველო შორაპნამდე), ივერია ანუ ქართლი (აღმ. საქართველო, შორაპნიდან ალაზნამდე) და ალვანია (თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანი). ამ ქვეყნებს სამხრეთიდან უშუალოდ მოსდგამს სამი დიდი სახელმწიფო — პონტოს სამეფო (თანამედროვე თურქეთის ნაწილი, შ. ზღვ. სამხრეთი სანაპირო პროვინციები), არმენია (თანამედროვე საბჭოთა სომხეთი და ვრცელი ტერიტორია, მისი სამხრეთით მდებარე) და პართია (თანამედროვე ირანი, მეტნაკლებად).

ამ ქვეყნებს დასავლეთიდან თანდათან უახლოვდებოდა რომი, რომელსაც დიდიხანია გადალახული ჰქონდა იტალიის ფარგლები და შეუჩერებელი ტერიტორიული გაფართოების გზას ადგა, იმჟამად, უკვე აზიაშიც. კონფლიქტი რომსა და აღნიშნულ ქვეყნებს შორის აუცილებელი იყო.

პირველი შეტაკება რომსა და პონტოს შორის მოხდა. პირველი საუკ. დამდეგისათვის პონტო მეტად იყო გაძლიერებული. მას დაპყრობილი ჰქონდა არა ერთი მეზობელი რაიონი, სხვათა შორის კოლხეთიც, ხოლო არმენიასა, ივერიასა და

ალვანიასთან სამხედრო კავშირში იმყოფებოდა. ამ ძალებზე დაყრდნობით პონტო შეტევაზედაც გადაეის რომის წინააღმდეგ და ერთი პირობა სჯობნის კიდევაც მას. მაგრამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რომმ, მაინც მოახერხა მოწინააღმდეგის დამარცხება. რომაელმა სარდალმა პომპეუსმა დაიპყრო პონტო და მისი მეფეც — ნიჭიერი ორგანიზატორი და მეომარი მ ი თ რ ი დ ა ტ ი — თავის სამფლობელოდან გააძევა.

შემდეგ პომპეუსი მითრიდატის მოკავშირეებს მისდგა და შუბების წვერით რომაული დროშა ააფრიალა მთელ ამიერ-კავკასიაში, კერძოდ, ივერიასა და კოლხეთშიც. ივერიაში სისხლის მღვრელი ბრძოლა მომხდარა: რომაული ცნობით, ქართველებს თითქოს 9000 კაცი მოუკლეს და 10000 ტყვედ წაართვეს. დას. საქართველოში რომაელებს, ჩანს, წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. დამოკიდებულებაც სხვადასხვაგვარი დამყარდა: ივერია რომის „ფედერატად“ იქცა, რომელსაც მხოლოდ სამხედრო სამსახური ეკისრებოდა, კოლხეთი-კი, ჩანს, ხარკსაც იხდიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ კოლხეთის კონტროლი ბევრად უფრო ადვილი იყო რომაელებისათვის და, გარდა ამისა, ისინი ამ ქვეყანას თავისი მთავარი მტრის, მითრიდატის, სამფლობელოს ნაწილად თვლიდნენ.

რამ მოიყვანა რომი აზიაში და, კერძოდ, ამიერ-კავკასიაში? რა აინტერესებს მას ამ ქვეყანაში? თავისთავად ცხადია, იმდროინდელ რომის აგრესია ძირითადად სხვა ხასიათისა იყო, ვიდრე თანამედროვე იმპერიალისტურ იტალიის ახალი აგრესია აღმოსავლეთში, რომლის მოწამენიც ამჟამად ჩვენა ვართ. მაშინდელი რომი მ ო ნ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ა დ ა მ ი ს ი რ ო გ ო რ ც. ს ა შ ი ნ ა ო, ი ს ე ს ა გ ა რ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ ა მ ო ნ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ე ბ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ებ ს უ პ ა ს უ ხ ებ ს. — ასევე — საგარეო ომებიც: ესენი ყველაზე ხელსაყრელი წყაროა მონათა მოპოვებისათვის, რაც რომის გაბატონებულ კლასის მეურნეობის საარსებო საჭიროებას აკმაყოფილებს. ასევე ომები იძლევიან ოქროსა და სხვა „საფასესაც“, რაც მნიშვნელოვანია რომის მუდამ პასიურ საგარეო-სავაჭრო ბალანსის გასამართავად. ს ა გ ა რ ე ო ო მ ე ბ ი რ ო მ ი ს გ ა ბ ა ტ ო ნ ებ უ ლ კ ლ ა ს ი ს ა თ ვ ი ს ს ა ჭ ი რ ო ა ა გ რ ე თ ვ ე, რ ა თ ა შ ი ნ ა გ ა ნ ს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ს, ა მ დ რ ო ი ს ა თ ვ ი ს მ ე ტ ა დ გ ა რ თ ულ ებ უ ლ ს ა დ ა გ ა მ წ ვ ა ვ ებ უ ლ ს, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს პ ი რ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს გ ა რ ე თ უ ქ ც ი ო ს დ ა ს ხ ვ ი ს ხ ა რ ჯ ზ ე შ ე ა ნ ე ლ ო ს ი გ ი. საგარეო ომებს მოითხოვს რომის

არმიაც, რომელიც დეკლასირებულ ელემენტებისაგან შესდგება და რომელიც დავლასა და საშოვარზე ფიქრობს.

ამ ნადავლის, რომლის უდიდესი წილი, რათქმაუნდა, თვით გენერლებს უვარდებათ ხელში, მნიშვნელოვან ელემენტს მიწა შეადგენს. დაპყრობილ ქვეყნების უზარმაზარ ტერიტორიებს სხვადასხვა წარჩინებული გვამები ითვისებენ სხვადასხვა ფორმით.

ასეთივე ინტერესები ამოძრავებდათ რომაელებს აღმოსავლეთშიაც. ეს ინტერესები გადახლართულია აგრეთვე იმდროინდელი აზია-ევროპის საერთაშორისო ვაჭრობის საშუამავლო მოგების განუყოფლად ხელში ჩაგდების ცდასთან, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს მომდევნო საუკუნეებში, რომისა და ირანის ბრძოლაში.

ამიერ-კავკასიაში რომაელებს დამატებით აინტერესებდათ იმ გზების კონტროლის ჩაგდება ხელში, რომელთა საშუალებითაც კავკასიონის ქედის გადმოლახვა შეიძლებოდა. ეს გზები ისეთ ვიწრო ხეობებში გადიოდა, რომელთა გამაგრებაც ადვილი იყო. ასეთი იყო, მაგ., დარუბანდისა და დარიალის გზები. ამიტომაც, სხვათა შორის, მათ ყველა იმდროინდელი ხალხი კარებს ეძახის (ქართ. „კარი“, სომხ. „დურნ“, ბერძნ. „პილაი“, ლათ. „პორტე“). ვის ხელშიაც ამ კარების „გასაღები“ იყო, მას შეეძლო თავისი ნებით გადმოეშვა ან არ გადმოეშვა ჩრდილო-კავკასიელი ტომები, რომლებიც ჩინებულს ქირის ჯარის მასალას წარმოადგენდნენ და რომელნიც უაღრესად საშიშნიც იყვნენ, მტრობის პირობებში. სწორედ ამიტომ რომაელები ამ.-კავკ. ქვეყნების მმართველ წრეებისაგან, უწინარეს ყოვლისა, ამ კარების გამაგრებას მოითხოვენ.

მაგრამ ამ გზებს დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდათ: ჩრდ. კავკასია მონების უმდიდრეს წყაროს წარმოადგენდა. რომაელები მათ აქ დიდი რაოდენობით შოულობენ, ზოგს ყიდულობენ ჩალის ფასად, ზოგს ხარკის სახით იღებენ (ერთს აქაურს პატარა ქალაქს, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული რომაელებისაგან, ამ უკანასკნელთათვის 10000 მონა შეუძლევია, შეწყალების საფასურად), ზოგს ყაჩაღურად იტაცებენ. უეჭველია, რომ ამ მხრივ აქ რომაელებმა ძალიან ფართო საქმიანობა გააჩაღეს და თავიანთი რეჟიმით ღრმად შეიჭრნენ დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

მეტად დამახასიათებელი და საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, ერთი ამბავი, რომელმაც შემთხვევით მიაღწია ჩვენამდე

იგი მონების დიდ აჯანყებას შეეხება. ამ აჯანყების მეთაური ყოფილა ვინმე ა ნ ი კ ე ტ ი, ადგილობრივი მონა-ბარბაროსი, ამჟამად — აზატი (განთავისუფლებული). „მაწანწალების საკმაოდ მნიშვნელოვანი ბრბოთი“ (ასეთი სახელებით ცდილობს ამ ხალხის დამცირებას ოფიც. რომ. ისტორიკოსი) იგი შეიჭრა ქალაქ ტრაპეზუნტში, ამოჟლიტა იქ მდგარი რომაული რაზმი, დასწვა რომაული ფლოტი და ხელთ იგდო ეს სანაპირო. აჯანყებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმპერატორმა ვესპასიანემ (69—79 წ.წ., ახ. წ.), რომელმაც რჩეული ჯარები გაგზავნა აჯანყებული მონების წინააღმდეგ. აჯანყებულნი დამარცხდნენ. ანიკეტმა თავი შეაფარა ს ე დ ო ხ ე ზ ე ბ ი ს მეფეს, რომელიც მას თავის მხარეს ჰყოლია გადმობირებული, ვითომც „ფულითა და საჩუქრებით“. მაგრამ, ცხადია, ამ მეფეს თავისი საკუთარი (მაგ., რომაელთა საწინააღმდეგო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი) ინტერესები ჰქონდა და მონებს იგი ნამდვილ მოკავშირედ ვერ გამოადგებოდა. მართლაც, რომაელების ფულით მოსყიდულმა „სედოხეზების“ მეფემ გასცა ანიკეტი და მისი თანამოაზრენი, რომელთაც მტერი მდ. ხ ო ბ ი ს შესართავთან წამოეწია. „ასე მოეღო ბოლო მ ო ნ ე ბ თ ა ნ ო მ ს“-ო,— გვიამბობს ცნობილი რომაელი ისტორიკოსი ტაციტი.

„ხობის“ სახელწოდება გვაფიქრებინებს, რომ „მონების ომის“ უკანასკნელი ეპიზოდი ან თანამედროვე სამეგრელოში გათამაშდა, ან მეზობელ ჭანეთში. ასე თუ ისე, აღწერილი ამბები ჩვენს ქვეყანასაც უკავშირდებოდა და მის მდგომარეობასაც ახასიათებდა. 65 წ. მოყოლებული, აქ თითქმის განუწყვეტელ ამბოხებებს ვხედავთ რომაელების წინააღმდეგ.

რომაელთა მფლობელობამ გარკვეული გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე. კერძოდ, მან ხელი შეუწყო, გარკვეულ მიჯნამდის, საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ დიფერენციაციის პროცესის დაჩქარებას.

სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარება დასავლეთის ქვეყნებთან ნიადაგს უქმნის, კერძოდ, ცნობების გამრავლებას საქართველოს შესახებ ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში და ამით საშუალებას გვაძლევს შედარებით ღრმად ჩავწვდეთ საქართველოს ისტორიის აღებულ ხანას და მისი მამოძრავებელი ძალები გამოვააშკარაოთ.

რომის საზოგადოების შიგნით უკვე იზრდებოდა ახალი პროგრესული ძალები, რომლებმაც სწორედ ამ „ბარბაროსებთან“ კავშირში და მათი უდიდესი დახმარებით, ააფეთქეს მონათმფლობელთა წყობილება და სახელმწიფო.

ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის ისტორიიდან

(კოლხეთის სამეფოს ისტორიისათვის)

1. კოლხეთი, იბერიასთან ერთად, შეადგენს იმ ნიადაგს, რომელზედაც საშუალო საუკუნეებში შენდება ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობა.

2. უკვე უძველესი წერილობითი ცნობების მიხედვით (VI ს. ძვ. წ.) „კოლხი“ ზოგადი მნიშვნელობის ცნებაა, რომლის შინაარსს მომდევნო ხანის ანტიკურივე წყაროები არკვევენ.

3. V ს-ში, ძვ. წ., კოლხეთი ერცელი ქვეყანაა, რომლის უკიდურეს სანაპირო სექტორებში მდებარეობენ ქალაქები პიტიუნტი და კერასუნტი და რომელიც მრავალტომიანს თუ მრავალთემიან მოსახლეობას შეიცავს.

4. მრავალტომიანი (თუ მრავალთემიანი) კოლხური სამყაროს მთლიანობა დამყარებულია არა ტომთა კავშირზე, არამედ წამყვანი და სოციალურად თავისთავად რთული ეთნიკური ელემენტის პოლიტიკურ პრიორიტეტზე.

5. კოლხური სამყაროს წამყვანი ეთნიკური ელემენტის ერთობა დასტურდება, უძველესი დროიდან მოკიდებული, როგორც ჰორიზონტულს, ტერიტორიულ, განაკვეთში — მთელი კოლხეთის სივრცეზე, — ისევე ვერტიკალურ განაკვეთში — მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სივრცეზე, ვიდრე განვითარებულს ფეოდალურ ხანამდე, როგორც უცხოური წყაროების ჩვენებით, ისე ადგილობრივი წყაროების მოწმობით.

6. ეს წამყვანი ეთნიკური ელემენტია, რომ საერთო სახელს აძლევს მთელ ტერიტორიას. ასეთი სახელებია: „კოლხეთი“, „ეგრისი“ და „ლაზიკა“.

7. „ეგრისი“ სახელწოდება „კოლხეთის“ იმთავითვე მომავალი ადგილობრივი შესატყვისია, მოცემული ფუძის ფონეტიკური ვარიანტის ქართველური გაფორმებით წარმოდგენილი.

8. ძველი კოლხეთის სამეფო, რამდენადაც არსებული მწირი ცნობები მსჯელობის საშუალებას იძლევა, მონათმფლობელური სახელმწიფოა, თეოკრატიის ელფერგადაკრული, იბერიის მსგავსად. ამასთანავე, კოლხეთის სამეფოსათვის დამახასიათებელი მრავალტომიანობა (მრავალთემიანობა), თავისი სატომო მმართველობის ორგანოებით, ის ელემენტია, რომელიც ახალს შინაგანს და საგარეო პირობებში აჩქარებს ძველი სახელმწიფოებრიობის დარღვევას და ახალი, ფეოდალური, სახელმწიფოებრიობისათვის ნიადაგის შემზადებას.

9. ძველი კოლხეთის (იბერიასთან ერთად) სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ხასიათის, ისევე როგორც ტერიტორიულ ურთიერთობათა განხილვა ამჟღავნებს უმჭიდროეს კავშირს ძველს ხეთურ-სუბარულ სამყაროსთან.

უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე[1]

აქ ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ყველა იმ ჩვენების განხილვა, რომელიც, აღებული თვალსაზრისით, მეცნიერულმა ანალიზმ-შეიძლება აღმოაჩინოს წყაროების სხვადასხვა კატეგორიაში. განახილვის გარეშე ვსტოვებთ, კერძოდ, იმ საყურადღებო გარდმონაშთებს, რომლებიც ონომასტიკონშია დაცული და რომელთა შესახებაც თავის დროზე აკადემიკოსი ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი წერდა: „ერთი ცსადი და შეურყეველი სამეცნიერო საბუთი... გვიჩვენებს, რომ კავკასია ქართველ ერის თავდაპირველი სამშობლო არ ყოფილა, რომ უძველეს დროს ქართველებს კავკასიაში არ უცხოვრიათ. სად იყო ქართველ ერის თავდაპირველი სამშობლო, ამის შესახებ საისტორიო საბუთებში, რასაკვირველია, ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ამ საყურადღებო საგნის გამორკვევას თვით ენა გვშველის. ჩვენი ეროვნების სხვადასხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უუძველეს ბინადრობისა და სამშობლოს სახელია შენახული. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა „ქართუელი“... [მორფოლოგიური ანალიზი მისგან გამოჰყოფს „სადაურობის ანუ ჩამომავლობის საკვეცს“ -ელ'ს; ამის შედეგად], „სიტყვა „ქართველის“ პირველი ნაწილიც „ქართუ“ ქვეყნის სახელი უნდა იყოს“... „ამგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართ.-მეგრულ შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთიდაიგივე ქვეყნის სახელი გვხვდება: იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოის ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია, იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო. ამ სამშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადგენელს სვანებსაცა აქვთ შერჩენილი. სვანეთში ეხლა მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც „ჰალდე“ ანუ ხალდე ჰქვიან. ერთი სიტყვით ხალდე ანუ ქართუ ჩვენი ეროვ-

---

[1] იბეჭდება შემოკლებით (ავტორის შენიშვნა. რედ.).

ნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კარდუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის“ [1]...

ისტორიული გარდმონაშთების ყოველმხრივი და მკაცრი შესწავლა უთუოდ მომავალშიაც გაამდიდრებს საქართველოს ისტორიას. ამის საწინდარია ის დიდად საგულისხმო შედეგები, რომელნიც ამ სფეროში აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის დაუღალავმა მოღვაწეობამ შესძინა მეცნიერებას.

წინამდებარე წერილში ეროვნული წყაროებიდან ჩვენ ისტორიული გარდმოცემებით ვზღუდავთ ჩვენს თემას. ამასთან ერთად თავისთავად ცხადია, რომ ესოდენ შორეული, აშკამად ჩვენ მიერ აღებული, ისტორიული ხანის შესახებ მეცნიერული ინტერესი შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ ისეთს გარდმოცემას, რომელმაც ადრევე განიცადა ლიტერატურული ფიქსაცია. ამგვარ ლიტერატურულ გარდმოცემებიდან ჩვენს სამეცნიერო ნაწერლობაში ორს ცნობას ექცეოდა და ექცევა ყურადღება. ერთი მათგანი ე. წ. „ქართლის მოქცევაშია“ დაცული, მეორე — ძველ ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს ეკუთვნის.

ლეონტი მროველისათვის ცნობა ქართველთა თავდაპირველი განსახლების შესახებ ელემენტია მისი უფრო რთული კონცეპციისა ქართველ-კავკასიელ ტომთა უძველესი ისტორიის თაობაზე. ამ კონცეპციით, ქართველები, სხვა მოძმე კავკასიელ ტომებთან ერთად, ნოეს ძის, იაფეტის, შვილისშვილის თარგამოსის შთამომოვალნი არიან. მას შემდეგ, რაც ნებროთმა ბაბილონს გოდოლი ააშენა, იქ ენები გაიყვნენ და გაიბნივნენ მთელს ქვეყანაზე, თარგამოსი თავისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობით წამოვიდა და ორ მთას, არარატ-მასისს, შუა დაემკვიდრა. თარგამოსის ამ სამკვიდრებელის საზღვრები იყო: აღმოსავლეთით — გურგანის (კასპიის) ზღვა, დასავლეთით — პონტოს (შავი) ზღვა, ჩრდილოეთით—მთა კავკასია და სამხრეთით — „მთა ორეთისა, რომელ არს ქურთთა ქუჸყანასა, პირის-პირ მიდიისა“ (შეესებული ქართლის ცხოვრება) თუ „ზღვა თერისა“ (მარიამისეული ქართლის ცხოვრება). შემდეგში, რაკი არარატისა და მასისის ქვეყანა ვეღარ იტევდა თარგამოსის გამრავლებულ მოდგმას, თარგამოსმა გაუყო შვილებს თავისი სამკვიდრებელი. ქართველების (აღმოსავლური შტოის) წინაპარს, ქართლოსს, ერგო ქვეყანა, რომელიც ისაზღვრებოდა: აღმოსავლეთიდან — ჰერეთითა და მდინარე ბერდუჯით, დასავლეთიდან — პონ-

[1] ივ. ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, ტფ. 1913, გვ. 34—35.

ტოს ზღვით, ჩრდილოეთიდან — მთა ღადოთი და სამხრეთიდან — (რომ გეოგრაფიულად გავაგზრიანოთ ლეონტის რთული, ან იქნებ მნუსხველთა მიერ რამდენადმე შერყვნილი, მითითება) მდ. ბერდუჯის სათავეებიდან მოყოლებული და ტაო-კლარჯეთის გასწვრივ შავ ზღვამდე განფენილი მთების სისტემით, რომელიც, სათანადო სექტორში, მტკვრის სამხრეთის შენაკადებს გაჰყოფს არაქსის აუზისაგან. მეგრელების (ქართველთა დასავლური შტოის) წინაპარს ეგროსს-კი წილად ჰხვდომია „ზღვის ყურის“ ქვეყანა, რომელსაც საზღვრავდა: აღმოსავლეთიდან—მცირე მთა ლიხი, დასავლეთიდან—ზღვა (შავი, ცხადია) და (ჩრდილოეთიდან; ტექსტში ეს სიტყვა გამოტოვებულია) —„მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წასწუდების წვერი კავკასიისა“ [1]. ამრიგად დაიმკვიდრეს, ლეონტის მტკიცებით, ქართველმა ტომებმა თავიანთი მერმინდელი (და ახლანდელი) მიწა-წყალი, გამოიარეს რა საკმაოდ გრძელი გზა ბაბილონიდან სომხეთის ზეგანზე ვიდრე „ჩრდილომდე“, ე. ი. ამიერ-კავკასიის ჩრდილოეთის ზონამდე.

ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში ლეონტი მროველის ზემოთგადმოცემულ აღნაგობას მკაცრი და სამართლიანი მსჯავრი აქვს დადებული. პირველი სიტყვა აქაც აკადემიკოსს ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, რომელმაც უჩვენა, რომ ლეონტი მროველის კონსტრუქცია ხელოვნური და მწიგნობრული წარმოშობისაა [2]. აკადემიკოს ი. ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ დაუშვას, რომ „იქნებ ხალხში გარდმოცემით მაინც რაიმე ბუნდოვანი თქმულება არსებობდა ქართველთა და ზემოჩამოთვლილ ტომთა მონათესაობაზე“ [3]. პატივცემული მეცნიერის დასკვნით, „ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ მ ა ი მ ს ა კ ი თ ხ ს, რომლის გამორკვევაც იკისრა, ვ ე რ ს ძ ლ ი ა, ვ ე რ ც ს ა კ მ ა ო ც ო დ ნ ა გამოიჩინა“ [4]... ამრიგად, მიუღწეველი დარჩა

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1906 წ., გვ. 1—3; ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, გამოცემული ლვაწლითა უ. ბროსე, წევრისა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა. ნაწილი პირველი. ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ: ა. რეული. ჭელმეორედ დაბეჭდილი აკადემიკოს ნიკო მარის თვალმიდევნით. დასაწყისი ნაწყვეტი. პეტროგრადს, 1923, გვ. 15—17.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წანათ და ახლა. წ. I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. მეორე შევსებული გამოცემა. ტფ. 1921, გვ. 172 შემდ.

[3] იქვე, 174.

[4] იქვე, 176.

„ჩვენი ისტორიკოსის პირველი და უმთავრესი მიზანი..., გამოერკვია კავკასიაში მცხოვრებ ერთა საზოგადოდ და განსაკუთრებით-კი ქართველების ჩამომავლობა და ნათესაობა“ [1], და ამდენადვე, ლეონტი მროველის ცნობა ქართველ ტომთა უძველესი ბინადრობის ისტორიისათვის მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია.

ესევე არ ითქმის „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაზე. ამ ქრონიკის მნიშვნელობა ჩვენი საკითხებისათვის აკადემიკოსს ივ. ჯავახიშვილს ზოგადად შემდეგნაირად აქვს გამოთქმული: „მეტად საყურადღებოა, რომ ჩვენმა ძველმა მატიანემ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-მაც კარგად იცის, რომ ქართველები კავკასიის თავდაპირველი მცხოვრებნი არ იყვნენ. იგი თვით მოგვითხრობს, როგორ და როდის მოვიდნენ ქართველები კავკასიაში და დასახლდნენ. „ქართლი“ და ქართველთა სამეფო მაშინ, მემატიანის აზრით, კავკასიაში-კი არ იყო, არამედ სამხრეთით. იგი ამტკიცებს, ვითომც ქართველები ალექსანდრე მაკედონელს შემოჰყოლოდნენ და იმ დროიდან მოეკიდებინოთ აქ ბინა. ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი ამიერ-კავკასიაში არასდროს არა ყოფილა, მაშასადამე, ქართებს არც შეეძლოთ მას მიჰკედლებოდნენ, მაგრამ მაინც დაახლოებით მართლაც V—IV ს. ქ. წ. უნდა შემოსულიყვნენ ქართები ამიერ-კავკასიაში და თანდათან აღმოსავლეთი საქართველო დაეპყრათ“ [2]. თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა „ქართლის მოქცევას“ სპეციალური თავი უძღვნა, სადაც ზემოთმოტანილი შეფასება უფრო ვრცლად არის გადმოცემული [3]. აღნიშნავს რა, რომ ქრონიკის შემდგენელს „განზრახვა ჰქონია საქართველოს სამეფოს საზოგადო მატიანე დაეწერა უძველეს დროითგან, წარმართობის ხანითგან მოყოლებული“ [4], პატივცემული ავტორი განმარტავს ქრონიკის ცნობას ქართველთა უძველესი ისტორიის ერთი უმთავრესი საკითხის, თავდაპირველი ბინადრობის საკითხის, შესახებ: „ერთი სიტყვით მემატიანის აზრით ქართველები იმ დროს კავკასიაში ჯერ არა ყოფილან: ქართლის მეფის ძე აზოჲ ვითომც ალექსანდრე მაკედონელს მოჰყვა. ალექსანდრემ მისცა აზოს დასამკვიდრებლად

[1] იქვე, 172.
[2] ქართველ ერის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 68.
[3] ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, დასახ. გამოც., გვ. 85 შემდ.
[4] იქვე, 88.

მცხეთა და მერმინდელი ქართლის მთელი მიწა-წყალი. ამის შემდგომ „ესე აზოჲ წარვიდა არან ქართლად მამისა თჳსისა და წარძოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას... და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ ძჱ არან ქართველთა მეფისაჲ“-ო (ციტატის წყაროდ მითითებულია ე. თაყაიშვილის გამოცემები.—„სამი ისტორ. ქრონიკა“ და „ხელნაწერთა აღწერილობა“, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ს. ჯ.). ამგვარად გაჩნდა კავკასიაში პირველად ქართველთა მოსახლეობაო. მაშასადამე, ჩვენს მემატიანეს თავდაპირველი ქართლი სადღაც სამხრეთით ეგულება, იქა ყოფილა ქართველი ერის სამშობლო. რაკი ჩვენი ავტორის სიტყვით აზოჲს ახალ სამფლობელოს სამხრეთით სომხითი ჰსაზღვრავდა, ქართველთა თავდაპირველი სამშობლო ქართლი სომხითზე უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო. ამნაირი წარმოდგენა ჰქონია ჩვენს მემატიანეს ქართველთა უძველეს ისტორიის შესახებ. რაზე იყო ამგვარი შეხედულება და ეს ცნობები დამყარებული, მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანითგან არა ჩანს. არც საზოგადოდ ქართველთა ჩამომავლობისა და უძველეს ისტორიის შესახებ, არც აზოჲს წინადროის ქართველებზე, არც იმის შესახებ, თუ რა დაემართათ თავდაპირველ „ქართლში“ მცხოვრებ დანარჩენ ქართველებს, რომელნიც აზოს არ გამოჰყვნენ და მეფე არანთან დარჩნენ,—ყველა ამაების შესახებ მატიანეში არაფერია ნათქვამი, ერთი სიტყვაც-კი არ მოიპოვება. მაგრამ მეტად საგულისხმო და საყურადღებოა ერთი გარემოება: მემატიანეს სცოდნია, რომ ეხლანდელი საქართველო და ამიერ-კავკასია ჩვენი ერის თავდაპირველი სამშობლო არ არის, რომ ქართველები წინათ კავკასიის სამხრეთით მოსახლეობდნენ და მხოლოდ შემდეგ წამოვიდნენ და დასახლდნენ ამიერ-კავკასიაში. თანამედროვე მეცნიერებაში ეს აზრი განმტკიცებულია (იხ. ქლ ერის ისტორია, I) და თუ ეს გარემოება ჩვენს ისტორიკოსს სცოდნია, უეჭველია მას რაღაც ძველი საყურადღებო საისტორიო წყაროები უნდა ჰქონოდა, რომელშიაც ალბათ გაცილებით მეტი ცნობები იქნებოდა, ვიდრე მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეშია შენახული“ [1].

---

[1] იქვე, გვ. 89—90 (ხაზგასმულია ყველგან ავტორის მიერ).

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიღაც ძველ წყაროებზე დამყარებით, ადასტურებს იმ აზრს, რომ ქართველთა თავდაპირველი სამშობლო სადღაც სომხეთის სამხრეთით მდებარეობდა. გარდა ამისა, აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი „ქართლის მოქცევაში“ სხვა საყურადღებო ჩვენებებსაც პოულობს ქართველთა ცხოვრების სხვა მხარეების შესახებაც უძველეს ხანაში. ქრონიკის ცნობა, რომ აზომ ამიერ-კავკასიაში ძველი სამშობლოდან მოიყვანა „რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი“, აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, მიუთითებს გვაროვნული წყობილების გარკვეულ საფეხურისა და ექსოგამიის წესის არსებობაზე [1]. ქრონიკას დაცული აქვს აგრეთვე საყურადღებო ცნობა („თანა ჰყუანდეს კერპნი ღმერთად გაცი და გაიმ“) ქართული წარმართული პანთეონის შესახებაც: ...„მემატიანეს გაცი და გაიმ ქართველთა უუძველეს ღვთაებად და კერპებად მიუჩნევია... მემატიანეს სიტყვები ოდნავ ბუნდოვანია და მკაფიოდ არა ჩანს, „არან“ მეფისა თუ ქვეყნის სახელი იყო და აზოჲ არან-ქართლისა ან და „არან-ქართველთა“ მეფის, თუ ქართლისა მეფის არანის შვილი იყო. მაგრამ სხვაფრივ მატიანისა და ცხორების ცნობის აზრი სრულებით ნათელია: ქართველებს თავიანთ პირვანდელ სამშობლოთგან თან ორი უძველესი მამაპაპეული სალოცავი ღვთაება და კერპი მოუტანიათ“ [2].

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, რომ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა დღესაც იწვევს ჩვენს ინტერესსა და ყურადღებას.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამ ნახევარი საუკუნის წინათ გახდა მხოლოდ ცნობილი მეცნიერებისათვის, როცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავმა განთქმული „შატბერდის კრებული“ შეიძინა. „კრებული,“ რამდენიმე სხვა ხელნაწერთან ერთად, წიგნთსაცავისათვის ალექსისძე მესხიშვილს შეუწირავს 1888 წელს [3]. ამ ხელნაწერთა აღწერი-

[1] ივ. ა. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. I, ტფ 1928, გვ. 147.

[2] ივ. ა. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, ტფ. 1928, გვ. 91—92.

[3] Е. Такаишвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, Тифлис 1906—1912 (ქვემოთ ყველგან = Опис.), 632; ასეთივე ცნობა აქვს აგრეთვე ყველა ქვემოთ დასახელებულ ავტორს.—„ქართლის მოქცევის“ გარშემო არსებული ლიტერატურა წინამდებარე წერილში განხილულია სპეციალური თვალსაზრისით, წერილის თემასთან დაკავშირებით.

ლობა იმავე წელს დაბეჭდა გაზ. „ივერიაში“ სამეცნიერო სარბიელზე ახლად გამოსულმა ნიკო მარმა, რომელმაც აღნიშნა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის არსებობაც[1]. როგორც „შატბერდის კრებულმა“, ისე „ქართლის მოქცევამაც“ მაშინვე მიიპყრეს მშობლიური სიძველეებით დაინტერესებული წრეების ინტენსიური ყურადღება და ჩვენი არქეოლოგ-არქეოგრაფებისა და ისტორიკოსების შესწავლის საგნად იქცნენ. შემდგომი წლის 6 იანვარს „ივერიაშივე“ ვინმე „ეგრი“-მ (თედო ჟორდანია?) გამოაქვეყნა „ქართლის მოქცევის“ მოკლე შინაარსი. ავტორს „შატბერდის კრებული“ მეცხრე საუკუნის ხელნაწერად, იოვანე-დაჩის ნუსხად, მიაჩნია. ავტორის აზრით, „მ. ქ.“ შეიცავს ქრისტიანობის გავრცელების ამბავს და ნინოს ღვაწლისა და მისი ცხოვრების სრულ აღწერას. ეს უკანასკნელი ორი რედაქციითაა მოცემული: პირველი მოკლე და მარტივია და აქამდე ცნობილ ვარიანტებში უეჭველად უძველესი, მეორე-კი განვრცობილია და წვრილმან ამბებით შემკულ-შეზავებულია. ავტორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ახალმოპოვებულ წყაროში ქართველთა „ყველა მეფეებზე უწინარეს მოხსენებულია არან მეფე ქართლისა, ამას ჰყოლია შვილი აზო“, რომელიც ქ. ცხოვრების აზონს უდრისო[2]. ჯერ „ივერიაშივე“, ორი დღის შემდეგ, და მერმე-კი თავის „ისტორიაში“, იმავე წელს, დიმიტრი ბაქრაძეც შეეხო ამ შესანიშნავ მანუსკრიპტს[3]. „ივერიაში“ დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა მთელი კრებულის შინაარსი და ანდერძ-მინაწერებიც მეტნაკლებად. დ. ბაქრაძის აზრით, „შატბერდის კრებული“ გადაწერილია აშოტის შვილის, ბაგრატ კურაპალატის, ზეობაში (826—876 წწ.), იოანე ბერაის მიერ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შეი-

---

[1] „სია ხელნაწერებისა, რომელიც შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა: „ივერია“, № 1888 წ., №№ 236 (ნოემბრის 9), 238, 239, 240 და 254.

„სია“ წარმოადგენს 52 ხელნაწერის მოკლე აღწერილობას. მე-14 ხელნაწერი „შატბერდის კრებულია“, რომელშიაც მე-8 თავად ნაჩვენებია: „მოქცევაჲ ქართველისაჲ და სხვადასხვა თქმულებანი წმ. ნინოს შესახებ, აგრეთვე ანდერძი მირიან მეფისა ძისა თვისისა მიმართ რევისა და ცოლისა თვისისა ნანაჲსა“. „სიის“ შემდგენელის ვინაობა აღნიშნული არ არის და ჩვენ ამ შემთხვევაში ე. თაყაიშვილის ცნობას ვემყარებით.

[2] „ივერია“, 1889 წ., № 4: „ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა“.

[3] „ივერია“, 1889 წ., № 6 და „ისტორია საქართველოსი (უძველესის დროდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)“. თხზულება დ. ხ. ბაქრაძისა. ტფ. 1892 გვ. 56—58.

ცავს არა მარტო ჩვენს ქრონიკას ანუ „ქართულს მოკლე მატიანეს“, როგორც მას დ. ბაქრაძე ეძახის, არამედ წმ. ნინოს ცხოვრებასაც. „ეს მატიანე, გამოკრებული, როგორც ეტყობა, სხვა დიდის მატიანიდამ,— წერს დ. ბაქრაძე,— ბევრში ეწინააღმდეგება ქ. ცხოვრებას; მაგალითებრ, მატიანეში პირველ ქართლის მეფედ სახელწოდებულია არანი, რომლის შვილი აზო თურმე მიემხრო ალექსანდრე მაკედონელსა და ალექსანდრესაგან თვით არანის სიცოცხლეშივე დადგენილ იქმნა მეფედ მცხეთაში“ [1]. ავტორი შემდეგშიაც ლაპარაკობს „ქართლის მეფის არანის ძეზე, აზოზე, რომელიც... ალექსანდრე მაკედონელმა არანის სიცოცხლეშივე დაადგინა ქართლის მეფედ“ [2]. „არც მატიანეში, არც „ქართლის მოქცევაში“, ამბობს დ. ბაქრაძე, ჩვენ არა ვხედავთ არავითარ კვალს არც უცხოელთ მწერლობის გავლენისას და არც შემდეგ საუკუნეთა ცვლილებისას“ [3].

1890 წელს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა გამოაქვეყნა „შატბერდის კრებულის“ ვრცელი აღწერილობა და თვით ქრონიკაც გამოსცა მრავალრიცხოვანი კომენტარიებით [4]. გამომცემელმა, სხვათა შორის, ამ პუბლიკაციის წინასიტყვაობაში განსაზღვრა ქრონიკის შემცველი ხელნაწერის („შატბერდის კრებულის“) გადაწერის თარიღიც 973 წლის ახლო (უფრო წინამორბედი) პერიოდით (ეს ანგარიში ავტორს დამყარებული აქვს შატბერდის კრებულის გადამწერის იოვანე ბერაის მიერვე გადანუსხული პარხალის სახარების თარიღზე, რაც სწორედ 973 წელს უდრის [5]). ეს დათარიღება მას შემდეგ ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში დიდად არ შეცვლილა [6].

ჩვენთვის საინტერესო ადგილის გამო ე. თაყაიშვილი ამბობს: „პირველი მეფე საქართველოსი ქართლის მოქცევის ხრონიკით არის არანი, მეორე აზო, ძე არანისი, და მესამე ფარნავაზ. ქართლის

---

[1] „ისტორია საქართველოსი“, გვ. 57—58; „ივერია“, დასახ. №.

[2] ისტორია, გვ. 79.

[3] „ივერია“, 1889 წ., № 6.

[4] სამი ისტორიული ხრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა), გამოცემული ვრცელის წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, ტფ. 1890.

[5] იქვე, წინასიტყვაობა, გვ. XVIII—XX, XLV—LXXIX.

[6] იხ., მაგ., პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ტფ. 1923, გვ. 97, 571.

ცხოვრება მეფე არანის მაგიერ ალექსანდრე მაკედონელის დროს უჩვენებს მამასახლისს სამარას"...[1].

ე. თაყაიშვილის პირველ გამოცემას პირველი რეცენზია უძღვნა ნიკო მარმა, რომელმაც დადებითი შეფასება მისცა ნაშრომს. ამ წიგნის გამოცემასთან ერთად, გარდა იმისა, რომ ფაქტიურად მდიდრდება ჩვენი ცოდნა საქართველოს წარსულის შესახებ, ქართული მატიანეების კრიტიკა ახალს, მკვიდრ ნიადაგზე დგება და ეს არის სწორედ ამ შემთხვევაში უმთავრესიო. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ჩვენს ძეგლს შეიძლება ეწოდოს მხოლოდ სრულიად გარეგანი ნიშნების მიხედვით, იგია მოკლე ისტორიული ნარკვევი, რომელიც წინ წარუმძღვანებიათ საკუთრივ „ქართლის მოქცევისათვის"; ეს უკანასკნელი-კი სხვა არა არის რა, თუ არ წმ. ნინოს ცხოვრებაო. საინტერესოა, ნ. მარი ამბობს: ე. თაყაიშვილის გამოცემა მე შევუდარე პირს, რომელიც ჩემ მიერ არის გადმოწერილი ნამდვილი ხელნაწერიდან, და აღმოვაჩინე ზოგიერთი, უმთავრესად ორთოგრაფიული, უზუსტობანი ნაბეჭდ ტექსტშიო. იქვე მართლაც ნაჩვენებია ოთხიოდე შემთხვევა დედნის ორთოგრაფიის დარღვევისა ე. თაყაიშვილის გამოცემაში[2].

მკაცრი კრიტიკა გამოიწვია ე. თაყაიშვილის გამოცემამ მოსე ჯანაშვილის მხრივ, რომელმაც ამ გამოცემის დეფექტები უჩვენა ჯერ პრესაში[3] და შემდეგ ცალკე ბროშურაში[4]. უკანასკნელში დაწვრილებით აღნუსხულია ჯანაშვილისეული შესწორებანი. მ. ჯანაშვილმა სავსებით მიიღო და კიდევ უფრო მკვეთრად განავითარა დებულება იმის შესახებ, რომ «„მოქცევაჲ ქართლისაჲ" ქრისტომატიაში ერთს განუყოფელ მოთხრობას წარმოადგენს[5]», ე. ი.

---

[1] სამი ხრონ., LXXXVII. იგივე აზრი აქვს განმეორებული ავტორს თავისი „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა"-ს (ტფ. 1891) წინასიტყვაობაში, გვ. XXXIII.

[2] იხ. Записки Восточного отделения Русского археологического общества, т. VI, С.-П. 1892, стр. 357—362.

[3] გაზ. „ივერია", 1891 წ., № 127: „საყურადღებო საგანი (წერილი რედაქციის მიმართ)". აქ ავტორი, სხვათა შორის, ამტკიცებს, რომ „შატბ. კრებული" „სამეცნიერო ქრისტომატიაა" ან „ენციკლოპედია".

[4] აღვადგინე ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა" და „წმ. ნინოს ცხოვრების გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ", ტფ. 1891.

[5] „აღვადგინე", გვ. 25.

რომ ქრონიკა და=წმ. ნინოს ცხოვრება მთლიანი ნაწარმოებია. თვით ქრონიკის შესახებ მ. ჯანაშვილი, სხვათა შორის, ამბობს: „ქრისტომატიის შემადგენელს მოჰყავს ჯერ „საზოგადო მიმოხილვა“ საქართველოს ისტორიისა არამიდგან V—IV საუკ. ქრ. წინ ვიდრე აშოტ კურატპალატის (786—826) ძმის გვარამის დრომდე. ეს შეადგენს I თავს ქართლის მოქცევისას“ [1]. „არამი“, ცხადია, დ. ბაქრაძის „მეფე არანს“ უდრის. რაც შეეხება ტექსტის აღდგენას, აქ მ. ჯანაშვილმა, მართლაც, ბევრი გააკეთა, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ნიჭიერმა ფილოლოგმაც ვერ შეამჩნია ზოგიერთი მეტად საყურადღებო მოვლენა ხელნაწერში და ე. თაყაიშვილის წაკითხვის შესწორების საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ლიტერატურული გამოსვლა სწორედ ამ ამოცანას ისახავდა თავის მიზნად [2].

1893 წელს ალექსანდრე ხახანაშვილმა გამოაქვეყნა თავისი სპეციალური ნარკვევი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის წყაროების შესახებ. ამ საკითხებს ავტორი, მისივე განცხადებით, კვლავ მიჰმართავს, სხვა მკვლევართა შემდეგ, სწორედ ე. თაყაიშვილის გამოცემების გამო ა. ხახანაშვილს მიმოხილული აქვს ბერძნულ-რომაული, სომხური და ქართული წყაროები, ხოლო უკანასკნელთა შორის იგი პირველ რიგში ჩერდება „ქართლის მოქცევაზე“, რომელიც, ა. ხახანაშვილის აზრითაც, შეიცავს როგორც ქრონიკას, ისე ნინოს ცხოვრებას. ქრონიკის ცნობებიდან ხახანაშვილი ყურადღებას აპყრობს ჩვენთვის საინტერესო ჩვენებასაც და ამბობს: „По этому памятнику первым грузинским царем считается не Фарнаваз, а Аран, вторым Азо, сын Арана, а третьим Фарнаваз [3]. ძეგლის დათარიღებაში ა. ხახანაშვილი იმეორებს ე. თაყაიშვილს [4].

---

[1] იქვე, გვ. 25—26.

[2] ჯერ კიდევ „ივერიაში“ აცნობებდა მ. ჯანაშვილი მკითხველ საზოგადოებას, „რომ დედნიდამ უკვე ამოწურული გვაქვს სიტყვა-სიტყვად, მარცვალ-მარცვლად, სტრიქონ-სტრიქონად, სრულიად უცვლელად მთელი „მოქცევა ქართლისა“-ო.

[3] А. С. Хаханов, Источники по введению христианства в Грузии. Из I тома III выпуска «Древностей Восточных» Московского Археологического Общества, М. 1893, стр. 16.

[4] იქვე, 14—17.

მეორე გამოცემა ჩვენი ძეგლისა ეკუთვნის თედო ჟ ო ⁝ რ დ ა ნ ი ა ს, რომელმაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი დაბეჭდა თავისი „ქრონიკების“ პირველ წიგნში [1]. თავის ვრცელ წინასიტყვაობაში, რომელიც უმთავრესად „ქართლის ცხოვრებისადმი“ არის მიძღვნილი, თ. ჟორდანია შეეხო „ქართლის მოქცევასაც“. თ. ჟორდანიას მტკიცებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ განიყოფება ორ უმთავრეს ნაწილად, რომელთაც ერთმანეთთან მეტად სუსტი შინაგანი კავშირი აქვთ... შესანიშნავია, რომ წ˜ა ნინოს ცხოვრება, პირველს ნახევარში მოთხრობილი, თვალსაჩინოდ განსხვავდება მეორე ნახევრის მოთხრობილისაგან შინაარსით და ქრონოლოგიითაც. ხოლო ზოგი ცნობები პირველის და მეორე ნახევრისა ერთი მეორის წინააღმდეგნი არიან... პირველს ნახევარში მოთხრობილი წ˜ა ნინოს ცხოვრება სხვა წყაროდამ უნდა იყოს ამოღებული, ხოლო მეორე ნახევარში მოთხრობილი—თჳთ მატიანე... პირველი უძველესი უნდა იყოს მეორეზე და უკანასკნელის ზეგავლენის გარეშე დაწერილი“ [2]. „ქრონიკა ქართლის მოქცევისა უნდა იყოს შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი პ ი რ ი უ ძ ვ ე ლ ე ს ი ს ს ა ე კ ლ ე ს ი ო მ ა ტ ი ა ნ ი ს ა“ [3]. ავტორი ადარებს აგრეთვე ქრონიკას ქ. ცხოვრებასთან.

თ. ჟორდანიას გამოცემა „ქ. მოქცევისა“ უთუოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო წინ, მაგრამ ამ მკვლევრის მახვილ თვალსაც გამოეპარა ხელნაწერის ზოგიერთი საყურადღებო ფაქტი [4]. ამავე გამოცემაში თ. ჟორდანიამ ვამოაქვეყნა „შატბერდის კრებულის“ აღწერილობა, დაჩის წერილები და ანდერძ-მინაწერები; ხელნაწერის დათარიღებისათვის შემჩნეულია ხელნაწერის შინაგანი ნიშნები, სახელდობრ, ჩვენება ხელნაწერში ჩართული „ბერძენი მეფეების“

---

[1] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტფ. 1892, გვ. 11—79.

[2] იქვე, XXVI—XXVII.

[3] იქვე, XXVII—XXVIII.

[4] სხვათა შორის, თ. ჟორდანია ჩემულობს პრიორიტეტს ქართლის მოქცევის გამოცემაზე და მძიმე ბრალსა სდებს პირველ გამომცემელს. უკვე 1888 წ. ჩვენ ვიკისრეთ ამ ძეგლის გადაწერა და გამოცემა, დიდი შრომით ტექსტი აღვადგინეთ, თვით ხელნაწერის არშიებზედაც დავწერეთ (!) და ცალკე რვეულშიაც გადმოვწერეთ. ეს ჩვენ მიერ აღდგენილი ტექსტია გამოყენებული პირველ გამოცემაშიო, ქრონიკები, I, XXV—XXVI, 99,103. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ პირველ გამოცემის შეცთომათა გაზიარების საკითხი იჩენს თავსა კიდევ უფრო უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ცნობა ფილოლოგიური ვარჯიშის შესახებ ამ უძვირფასესი მანუსკრიპტის არშიებზე.

სიისა, რომელიც მოყვანილია იმპერატორ ნიკიფორემდე (963—969). ამის შემდეგ მოხსენებულიაო „კივრიჯან“, რაც, თ. ჟორდანიას აზრით, „როგორც ჩანს... არის მეტი სახელი იმპერატორის იოანე ზემიხვესის ანუ ციმისხისი“ [1]. მართალია, თ. ჟორდანია ვერ ამჩნევს, რომ ეს ჩვენება არკვევს მხოლოდ terminus ante quem non-ს, მაგრამ მისი დაკვირვება მაინც საყურადღებოა. კივრიჯანზე ჩვენ უფრო კატეგორიულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იოანე ჩიმიშკია: „კივრიჯან“ არის, რათქმაუნდა, ბერძნული დიალექტური „კკურ ჟან“ (ქართ. ფეოდალურ ტერმინოლოგიაზე გადმოტანით — „პატრონი იოანე“; დიალექტიზმი სწორედ სახელის თავკიდურ ბგერის ამ ფონეტიკურ განვითარებაში მდგომარეობს: ი → ჲ → ჟ; მეტი „ი“ შუაში და „ჯ“ „ჟ“-ს ნაცვლად უკვე ქართულ ნიადაგზე შეიძლება იყოს გაჩენილი) და, ჩანს, სომხური წყაროდან მომდინარეობს („კივრ“ ეს სომხური დაწერილობის *կիւր*-ის წაკითხვაა; სომეხი ისტორიკოსები იოანე ჩიმიშკის სწორედ „კკურ-ჟან“-ობით, *կիւր ժան*, იხსენიებენ) [2]. ალბათ იმის გამო, რომ თ. ჟორდანიას ეს გუმანი დაუსაბუთებლად ჰქონდა გამოთქმული, ე. თაყაიშვილმა მას ოავის მეორე აღწერილობაშიაც ანგარიში არ გაუწია და კვლავ გაიმეორა, ბიზანტიის იმპერატორების სია ნიკიფორემდე არის მოყვანილიო („до Никифора Кривошеина, 963—969“. Кривошеин-ი ავტორს, ალბათ. „კივრიჯან“-ის შესატყვისად აქვს დასახელებული) [3].

თ. ჟორდანიას მოცემული აქვს აგრეთვე ვრცელი მსჯელობა ხელნაწერისა და ძეგლის მიერ აღძრულ ისტორიულ საკითხებზე [4]. ქრონიკის ჩვენთვის საინტერესო ცნობასთან დაკავშირებით, თ. ჟორდანია წერს: „აქ ჩვენი ქრონიკა იძლევა ახალს ცნობებს, რომელიც ჩვენმა მატიანეებმა არ იციან: არან ყოფილა ქართლის მეფე, და არა „ტომით ბერძენი ძე იარედოსისი“ ქ. ცხ.-ბისა (1, 27)... ჩანს, რომ მცხეთა ყოფილა ცალკე სამეფო ანუ სამამასახლისო, ხოლო ქართლი სხვა სამეფო ანუ სამამასახლისო. ქართლის მეფემ

---

[1] იქვე, 103.

[2] მაგ., სტეფანოს ტარონელი; იხ. მისი ისტორია, 1885 წლის პეტერბურგის გამოც., *Ստեփանոսի Տարոնեցւոյ Ասողկան Պատմութիւն տիեզերական*, გვ. 150, 179, 182, 183, 184, 186, 187, 193. გელცერსაც აღნიშნული აქვს, რომ ტომით სომეხ იოანეს შესახებ მისი თანამეტომეები აღტაცებით ლაპარაკობდნენ, ეძახოდნენ რა კიურ ჟან-სო. Очерк политической истории Византии: Очерки по истории Византии. Вып. I, С.-П. 1912, стр. 95.

[3] Опис., 637.

[4] იქვე, 99—122; შდრ. 94 - 99.

ანუ მამასახლისმან აზომ, ძემან არან ქართლის მამასახლისამან, ბერძნების მხარე დაიპირა, უშველა მათ“ და, სამაგიეროდ, მცხეთა მიიღო. ალექსანდრემ, გარდა ამისა, „დაუმორჩილა მასვე ყველა მწვრილ-მწვრილნი ტომნი ქართველთ ერისა. ამნაირად ბერძნებმა პირველად შეადგინეს ერთი სახელმწიფო ქართველთ ტომისაგან და დააყენეს აზო მეფედ. ამის შემდეგ აზომ გადმოასახლა ქართლიდამ მცხეთას (მცხეთა იყო ნაწილი სარკინეთისა) თვისნი ნათესავნი და, კერპთმსახურთა ჩვეულებისამებრ, თან გადმოიტანა სანათესაო კერპები ქართლისა — გაიმ და გაცი“...[1]

1900 წელს ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა როგორც ქრონიკის, ისევე ნინოს ცხოვრების რუსული თარგმანი მრავალრიცხოვანი შენიშვნებითა და კომენტარიებით[2]. ქრონიკის ადგილი, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, აქ თარგმნილია შემდეგნაირად: „И царь Александр держал при себе Азо, сына царя Картли Арана; он дал ему во владение Мцхету и, назначив ему границами Эрети, Эгрис-цкали, Сомхитию и Црольскую гору, ушел. Между тем этот Азо отправился в Картли, к Арану, отцу своему, привел оттуда восемь домов и десять домов сородичей своих и поселился в старой Мцхете, имея при себе богами идолов — Гаци и Гаим“[3]. შენიშვნაში მთარგმნელი ამბობს: „Картли — бывший город и крепость в нынешнем Армазском ущельи, в шести верстах к юго-западу от Мцхеты, давший название всей Грузинской стране... Царь Картли Аран в К. Ц. неизвестен“[4]. „По данным нашей хроники, до прихода Александра Македонского в Грузию, цари сидели в Картли или Армазе, и затем престол был перенесен в Мцхету“[5]... ამრიგად, გამოდის, რომ აზოს მთელი მიგრაცია არმაზიდან მცხეთაში გადასახლებით ამოიწურა.

„შატბერდის კრებულსა“ და „ქართლის მოქცევას“ ე. თაყაიშვილი დაუბრუნდა კიდევ ერთხელ წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობაში[6]. აქ მოცემულია ხელნაწერის ძალიან

[1] იქვე, გვ. 12, შენ. 17.

[2] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 28, отд. I.

[3] დასახელ. გამოცემა, გვ. 7—9.

[4] იქვე, გვ. 7, შენ. 1.

[5] იქვე, გვ. 9, შენ. 2 (მე-10 გვერდზე).

[6] Опис., т. II, стр. 632—651.

ერცელი მეცნიერული აღწერილობა. მანუსკრიპტის გარეგანი ნიშნეულობიდან ყურადღებას იქცევს აღმწერის მითითება, რომ ხელნაწერი შესრულებულია როგორც ასომთავრულით (გვ. 1—255), ისე ნუსხურით (გვ. 256—588) და ადგილად იკითხება: პირველ ნაწილში — მთლიანად, ხოლო მეორე ნაწილში — ყველგან, სადაც-კი მელანი არ გახუნებულა ან ეტრატი არ გაცვეთილაო. სამწუხაროდ, ზოგ ადგილას ეტრატი ძალიან დაზიანებულია, ზოგი ფურცელი, როგორც მაგ. 60 და 127, მხოლოდ სანახევროდ შენახულა, ზოგ ადგილას მელანი გადასულ და სხვაგან კიდევ სიტყვები და ფრაზები განზრახ არის ამოფხეკილიო[1]. მთლად ხელნაწერს აკლია 15 ფურცელი, ამათგან 4 — „ქ. მოქცევის“ (ე. ი. ქრონიკისა და ნინოს ცხოვრების) ნაწილში. გარდა ამისა, ნაგვიანევი აკინძვისას აურევიათ ხელნაწერის ფურცლებიო[2]. შემდეგ მოდის კრებულის შინაარსის დაწვრილებითი აღწერა მსჯელობით ნათარგმნი ძეგლების წარმოშობაზე და იმ თავების ბიბლიოგრაფიით, რომლებიც ამ დროისათვის უკვე გამოცემული იყო. დაბეჭდილია აგრეთვე არშიების მინაწერები, მნუსხველთა ბოლოსიტყვა-ანდერძ-მოსახსენებლები და ცალკე ტექსტები (ეპისტოლეები) მათი რუსული თარგმანითურთ. მე-7 თავად მოხსენებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელშიაც ავტორი ეხლა უკვე აერთიანებს როგორც საკუთრივ ქრონიკას, ისე ნინოს ცხოვრებასაც. ხელნაწერის ამ ნაწილის აღწერილობისათვის ე. თაყაიშვილი, ჩანს, საკმაოდ სთვლიდა თავისი პირველი გამოცემის წინასიტყვაობას, რომელი გამოცემაც და, საერთოდ, საკითხის ლიტერატურა ნაჩვენებია იქვე შენიშვნაში[3]. ახალი (ერთადერთი) დაკვირვება აქ მხოლოდ შემდეგია: „ქართლის მოქცევის“ პირველი ორი პერგამენტის ფურცლის ტექსტი, მელნის სიფერმკრთალის გამო, განახლებულია მერმინდელი ხელით. შემოწმება ამტკიცებს, რომ ეს განახლება შესრულებულია საკმაოდ ზუსტად და წესიერად“[4]. ეს გარემოება, რომელიც მანამდის არავის არ შეუნიშნავს და არ აღუნიშნავს, ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა, იმიტომ რომ სწორედ

[1] იქვე, გვ. 632.
[2] იქვე, 633.
[3] იქვე, 639.
[4] „Текст первых двух пергаментных листов „Обращения Грузии“ по причине бледности чернил возобновлен позднейшею рукою. Проверка доказывает, что это возобновление сделано довольно точно и аккуратно“, იქვე, 639.

ამ ფურცლებზეა მოთავსებული ქრონიკის ის ადგილი, რომელიც ამჟამად ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს.

„აღწერილობის“ ამავე ნაკვეთში ე. თაყაიშვილი შეეხო ე. წ. „ჭელიშურ კრებულ“-საც. ამ უკანასკნელის შესახებ პირველი ცნობა გამოაქვეყნა „კრებულის“ აღმომჩენმა ა. ხელაიამ [1]. ამ ნარკვევში, რომელიც საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში იყო წაკითხული მოხსენების სახით 1907 წლის დამლევს, ავტორი აღწერს ხელნაწერს და განსაკუთრებით ჩერდება „ქართლის მოქცევის“ „ვარიანტზე“, რომელიც ჭელიშურ კრებულში აღმოჩნდა. აქვე ვრცლად არის ნაჩვენები ახალი „ვარიანტის“ საკითხავ-სხვაობანი შატბერდულთან შედარებით. აქვე აღძრულია რიგი ისტორიული საკითხები. სამწუხაროდ, „ქ. მოქცევის ქრონიკას“ ჭელიშურ კრებულში აკლია პირველი ორი ფურცელი [2], სადაც მოთავსებულია სწორედ ჩვენთვის საინტერესო ცნობა, და ამიტომ ამ ხელნაწერზე ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით.

„ქართლის მოქცევის“ ტექსტი,— როგორც ამ ჭელიშური ხელნაწერის მიხედვით პირველად, ხოლო შატბერდული კრებულის თანახმად — მეორედ,— ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა, ჭელიშური ხელნაწერის აღწერასთან ერთად, „აღწერილობაში“ [3]. ეს გამოცემა ამჟამად ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში ტექსტის საუკეთესო გამოცემად ითვლება [4].

ჩვენი ნარკვევის თემა არ მოითხოვს აქ მთელი იმ ლიტერატურის განხილვას, რომელიც „შატბერდის კრებულთან“ ან „ქართლის მოქცევასთან“ არის დაკავშირებული საერთოდ. ჩვენ გვაინ-

---

[1] „ძველი საქართველო“, ტ. I, ტფ. 1909, განყ. II, გვ. 1—29: „ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა“.

[2] იქვე, 2; Опис II, 705.

[3] Опис. II, 708—813; ჭელიშ. ხელნაწერის აღწერა—აქვე, 704—708.

[4] „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ერთი, დასაწყისი, ნაწილი უკანასკნელად დაბეჭდა განსვენებულმა პროფ. იოსებ ყიფშიძემ თავის ქრესტომათიაში: „Грузинская древнелитературная хрестоматия с древнегрузинско-русским словарем“, Петроград, 1918, გვ. 22—27. წინასიტყვაობაში გამომცემელი აღნიშნავს, რომ ქრონიკის ტექსტი დაიბეჭდა ნაბეჭდი გამოცემების მიხედვით, მაგრამ შემდეგში ხელნაწერთან შედარების გზით გამოირკვა, რომ ყველა წინანდელი გამოცემა ნაკლოვანი ყოფილა და სათანადო შეცთომების გასწორებას აქვე ვიძლევითო. ამ „შესწორებათა“ დაკვირვება ცხადყოფს, რომ განსვენებულ მეცნიერსაც ძალიან ბევრი რამ ხელნაწერში შეუმჩნეველად დარჩენია; ვერ შეუნიშნავს მას, კერძოდ, ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ სპეციალურად გვაინტერესებს და რომელთა შესახებაც ქვემოთ არის საუბარი.

ტერესებს ამჟამად „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის მხოლოდ ერთი ცნობა.

ზემოთმოცემული მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ ძეგლის იმ ცნობას, რომლის განმარტებისადმი მიძღვნილია ეს წერილი. უწინარეს ყოვლისა, საჭირო ხდება ცნობის ტექსტის აღდგენა, რომელიც დამახინჯებული აღმოჩნდა ყველა გამოცემაში,— მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი, მთლიანად, და ცნობა, კერძოდ, ასეთი ინტენსიური ინტერესის, ყურადღებისა და შესწავლის საგანი იყო,—და წინააღმდეგ ჩვენი გამოცდილი ფილოლოგების განცხადებისა ტექსტის უცთომელი გამოცემის შესახებ. ეს ტექსტუალური საკითხი ჩვენ თავდაპირველად გაგვიჩნდა იმის გამო, რომ ზოგიერთს სხვა ლიტერატურულ ძეგლში ყურადღება მივაქციეთ ჩვენთვის საინტერესო ცნობის ერთი ელემენტის დაჟინებულ განმეორებას ვარიანტული ფორმით. საქმე ეხება სიტყვა „არან“-ს.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ უკვე ნინოს ცხოვრების შატბერდულ ნუსხაში ნათქვამია: არმაზის კერპის „მარჯულ მისა დგა კერპი ოქროჲსაჲ და სახელი მისი გაცი, და მარცხლ მისა კერპი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გა, რ᾽ნი იგი ღ᾽თდ ჰქონდეს მამათა თ᾽ქნთა ა რ ი ა ნ ქართლით“ [1]. ის გარემოება, რომ „ქართლის მოქცევის“ მკვლევართა უმრავლესობა დაჟინებით იცავდა ქრონიკისა და ნინოს ცხოვრების ლიტერატურული ერთიანობის თეზისს, საკმაო საფუძველი უნდა გამხდარიყო „ქრონიკისა“ და „ნინოს ცხოვრების“ ამ ვარიანტულ ფორმათა სხვაობის მიზეზების უფრო დაკვირვებული კვლევისათვის.

ასეთივე სტიმული უნდა გაეჩინა სხვა წყაროებსაც, მაგ., თეიმურაზის საქართველოს ისტორიის ერთ ცნობას. სახელდობრ, თუმცა თეიმურაზი აზოს მოსვლის ამბავში ლეონტი მროველის კონსტრუქციას იმეორებს, მაგრამ გარკვეული კონტამინაციით

---

[1] Опис. II, 752; ჭელიშურ ვარიანტში „არიან ქართლით“ გადამახინჯებულა „ამიერთგნ“ სახით! ესევე დაწერილობა „არიან“ დაცული აქვს ე. თაყაიშვილს თავის პირველ გამოცემაშიაც; იხ. „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა“, ტფ. 1891, გვ. 21. — ეს ადგილი ციტირებული აქვს აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილსაც, რომელიც ასწორებს ფორმას „არიან“-ს „არან“-ად, რაც მას სპეციალურად აღნიშნული აქვს: „ხელთნაწერში შეცდომით სწერია „არიან“-ო, იხ. ქართვ. ერ. ისტ., წ. I, მესამე გამოც., გვ. 92 და შემდ.

„ქართლის მოქცევის“ ცნობასთან: თეიმურაზი ამბობს, რომ ალექსანდრემ მცხეთის ქვეყნის დაპყრობის შემდეგ „დაუტევა მუნ აზონ მთავართა თჳსთაგანი ძეჲ არიანე მთავრისა მაკედონელისა ასი ათასისა მხედრობითა, რომელნი იყვნეს იტალიელნი“ [1]... და იქვე, შენიშვნაში, განმარტავს: „სრულიად საქართველოს კათალიკოსი არსენი დიდი სწერს აზონს ძედ არიანესსა“ [2]. შემდეგ თეიმურაზი წერს: ...„კვალად წარვიდა აზონ მამისა თჳსისა მიმართ არიანესსა და მოიყვანა მუნით ათი სახლი ჩინებულთა და ათასი სახლი მდაბიონი და ყოველნი დედა-წულითურთ მათით მოვიდეს და დაეშენნენ ქართლს (ესე იგი საქართველოსა შინა)“ [3]...

თეიმურაზის ეს ადგილი თავიდანვე ცნობილი იყო, მაგ., თ. ჟორდანიასთვის, ე. თაყაიშვილისათვის და სხვებისთვის, მაგრამ არც ამ ჩვენებას მიაქციეს ყურადღება. თ. ჟორდანიას ფორმა „არიანე“, ჩანს, „არანის“ დამახინჯებად მიაჩნდა, იმიტომ რომ იგი თეიმურაზის ამ ადგილის ციტაციისას პირველის გვერდით ფრჩხილებში სვამს მეორეს [4].

კიდევ უფრო უნდა გაემახვილებინა აღნიშნული საკითხი ერთ ფაქტს. 1897 წელს თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა თავისი „ქრონიკების“ მეორე წიგნში ნაწყვეტები „ნინოს ცხოვრების“ ორი ახალი „ვარიანტიდან“ (თვით თ. ჟორდანიასვე ტერმინოლოგიით). ერთი ამ ნუსხათაგანის შესახებ თ. ჟორდანია წერდა: „პალეოგრაფიულ ნიშნების მიხედვით ამავე დროს (XVII საუკუნეს) უნდა იყოს გადაწერილი მხედრულად ახალი ფრიად შესანიშნავი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა, რომელიც ეკუთვნის მღ. ვასილ კარბელაშვილს. ამ ვარიანტს ბოლოს დამატებული აქვს ქართველ მეფეთა მოკლე ისტორია, რომელიც, როგორც შედარებიდამ ცხადდება, ამოღებულია ცნობილის იოანე ბერაძისგან გადაწერილის უძველესის ქართლის მატიანისაგან „მოქცევა ქართლისაჲ“ [5]... ამ აქვე

---

[1] ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა, ს.-პ. 1848 წ., გვ. 110—111.

[2] იქვე, 110, შენ. 2.

[3] იქვე, 111.

[4] ქრნკ. I, გვ. X.—ე. თაყაიშვილი თეიმურაზის ცნობას სთვლის ვარიანტად-ქრონიკის ჩვენების მიმართ, მაგრამ შენიშნავს: „კათალიკოს არსენის ისტორიული ნაშრომი, საიდანაც თეიმურაზს ამონაწერები ჰქონდა ხელთა... ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილიო“: СМОМПК, вып. 28, ст ф. 9, Ѣим. 2. ნამდვილად-კი, რო ჯორც ქვემოთ იქნება უფრო დაწვრილებით ნაჩვენები, არსენის ის ნაშრომი, რომელიც თეიმურაზმა გამოიყენა, ისტორიული თხზულება კი არ იყო, არამედ ნინოს ცხოვრების ახალი რედაქცია.

[5] ქრონიკები, წ. II, გვ. 519.

დაბეჭდილ „ქართველ მეფეთა მოკლე ისტორიაში“ მართლაც განმეორებულია, გადამუშავებული სახით, „ქართლის მოქცევის“ თხრობა მცხეთის პირველ მეფეთა შესახებ და აქაც სამჯერ გვხვდება სიტყვა „არიან“ სწორედ ამ ფორმით. თ. ჟორდანია სამივეჯერ ფრჩხილებში ასწორებს „უ ნ დ ა «ა რ ა ნ»“-ით (იქვე, 520; ხაზგასმულია თ. ჟორდანიას მიერვე). იგი არ დააფიქრა არც მისმა საკუთარმა მოსაზრებამ, რომ ეს „მოკლე ისტორია“ ამოღებულია „იოანე ბერაძისგან გადაწერილის უძველესის ქართლის მატიანისაგან“. ორ მეორე „ვარიანტში“, რომელსაც ერთი 1732 წლის ხელნაწერი იძლევა, „ესევე ამბავი ცოტა მეტ-ნაკლებობით არის აღწერილი“ და მისი ცნობაც „ამოღებულია“ „ქართლის მოქცევის ქრონიკიდამ“. აქაც ორჯერ გვხვდება ფორმა „არიან“, რაც ორივეჯერ ფრჩხილებში გასწორებულია თ. ჟორდანიას მიერ: „უნდა «არან»“-ო[1].

ეს ახალი ვარიანტი „ნინოს ცხოვრებისა“ მთლიანად გამოსცა 1902 წელს მღ. პ. კარბელაშვილმა, რომელმაც იგი კატეგორიულად მიაწერა მეათე საუკუნის „დიდ არსენ ქართლის კათალიკოზს“. გამომცემელი აცხადებს, რომ ძეგლი აღმოჩნდა 1900 წელს საეკლესიო მუზეუმის გაურჩეველ ხელნაწერთა შორის, არსენი კათალიკოზის ნაწილობრივ შენახულ კრებულში, რომელიც მე-11 ან მე-12 საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი[2]. გამომცემელი არას ამბობს იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაშია მის მიერ გამოქვეყნებული ძეგლი ვას. კარბელაშვილის კუთვნილ ხელნაწერთან და თ. ჟორდანიას გამოცემასთან, ანდა იმის შესახებ, თუ რაზეა დამყარებული მოსაზრება არსენი კათალიკოზის ავტორობის და დროის შესახებ. ეს მით უფრო საკვირველია, რომ, როგორც თვით გამოცემიდან ჩანს, ავტორის სახელისაგან ხელნაწერში ვითომც მხოლოდ „არ... ნი“ დარჩენილა, ხოლო ხელნაწერის საქრონოლოგიო მითითებათაგან გამომცემელს აუხსნელად დაუტოვებია, სხვათა შორის, „დიმიტრის შეფობის“ ხსენებაც, რომელიც ამავე სტრიქონში არის ვითომ მოცემული[3]. შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ თ. ჟორდანია და, კიდევ უფრო მეტად, პ. კარბელაშვილი, რომელიც ნინოს ახალ ცხოვრებას არსენი კათალიკოზს მიაწერს, განიხილავდნენ ამ ძეგლის მოცემული თხრობის ურთიერთობის სა-

---

[1] იქვე, 521.

[2] ცხოვრება წმინდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათალიკოზის მიერ X საუკუნეში, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 10, XI—XII. ხელნაწერიდგან (sic!), ტფ. 1902, „მკითხველთა მიმართ“, გვ. 53.

[3] იქვე, 52.

კითხს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობასთან „არიანეს ძის აზონის“ შესახებ, რომლის წყაროდაც თეიმურაზი „სრულიად საქართველოს კათალიკოსს არსენ დიდს“ აღიარებს, როგორც ზემოთ ვნახეთ. თეიმურაზის ჩვენებას შეუძლია, რათქმაუნდა, აგრეთვე რამდენადმე შეამაგროს პ. კარბელაშვილის მოსაზრება არსენის ავტორობის შესახებ. მაგრამ ეს საკითხები არც თ. ჟორდანიას და არც პ. კარბელაშვილს არ აღძვრია. პ. კარბელაშვილმაც თავის გამოცემაში ფორმა „არიან“ საეჭვოდ მიიჩნია, თუმცა არც ისე კატეგორიულად, როგორც თ. ჟორდანიამ [1].

ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ტექსტის აღდგენის ამოცანა მხოლოდ ხელნაწერის შესწავლით თუ შეიძლება გადაწყდეს. ხელნაწერის შესწავლა-კი არკვევს შემდეგს.

თხრობა აზოს შესახებ მოთავსებულია „შატბერდის კრებულის“ მე-435 გვერდზე. ეს გვერდი და, მასთან ერთად, მისი წინამორბედი მე-434 გვერდიც, სადაც იწყება „ქართლის მოქცევა“, განახლებულია, როგორც ეს აღნიშნული ჰქონდა ე. თაყაიშვილსაც (ე. თაყაიშვილს შეცთომით აქვს ნათქვამი, განახლებულია ორი ფ ურ ცელ ი ო, ნამდვილად ეს პროცესი მხოლოდ ორ გ ვ ე რ დ ს შეეხებია). მაგრამ მარტო ამ ფაქტის დადასტურება საკმარისი არ აოის. ჯერ ერთი, უნდა მივუთითოთ, რომ განახლება გამოიხატა მთელი ტექსტის ხელმეორედ დაწერაში, ძველის ზემოდან, უფრო მეტი მელნით. განახლების მიზეზი ყოფილა არა სხვა რაიმე დეფექტი ხელნაწერისა, არამედ მხოლოდ ძველი ტექსტის მელნის სიმკთალე. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ძალიან ხშირად იკითხება ძველი ტექსტიც, იმიტომ რომ ძველი და ახალი ასოები ყოველთვის ერთმანეთს არ ჰფარავენ, თუმცა განმაახლებელი მისდევდა ძველი ნაწერის კვალს. უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ წინააღმდეგ ე. თაყაიშვილის მტკიცებისა, „განახლება შესრულებულია საკმაოდ ზუსტად და წესიერად“. ო, განმაახლებელს შეუცვლია ძეგლის ორთოგრაფია და ზოგიერთი საკითხავები. ასე, მაგ., აშკარად ჩანს, რომ ძველს ტექსტში აზოს ღმერთებიდან მეორე კერპის სახელად ეწერა „გა“, ხოლო ფორმა „გაიმ“ განმაახ-

[1] პირველ შემთხვევაში სიტყვას გვერდით უზის კითხვითი ნიშანი, იქვე 46, მეორე შემთხვევაში დედნის ფორმას გვერდით ფრჩხილებში უზის კითხვის ნიშნიანივე „არან“, იქვე 46, ხოლო მესამე შემთხვევაში დედნის საკითხავი „არიან“ უცვლელად არის დატოვებული, იქვე, 47.

ლებელს ეკუთვნის (გვ. 435, პირველი სვეტის დასასრული). ამ მტკიცების სიმართლეს ადასტურებს „ნინოს ცხოვრების“ შატბერდული ნუსხა, სადაც კერპების სახელებად მოცემულია „გაცი“ და „გა“ სამჯერ[1]. თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს, ადვილად შეიძლება დავინახოთ, თუ მოვიგონებთ, რომ ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში, ძველი ქართული წარმართული პანთეონის შესახებ მსჯელობისას, აკადემიკოსმა ნიკო მარმა „გაიმ“, დაბოლოების მიხედვით, ებრაული მრავლობითი რიცხვისა და, ამდენადვე, ქართულში მწიგნობრული გზით შემოსულ ფორმად მიიჩნია[2].

იმ ცვლილებებიდან, რომელნიც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის დასაწყისი გვერდების განმაახლებელს შემოუტანია, აღსანიშნავია „უ ბრჯგუ“, რომელიც ძველ ტექსტში არსად არ გვხვდება. ეს გარემოება განსაზღვრულ ფარგლებში ათარიღებს თვით განახლების საქმესაც. ვინაიდან „უ ბრჯგუ“ ქართულ მწერლობაში კათალიკოსმა ანტონი პირველმა შემოიტანა, ცხადია, ხალნაწერის განახლებაც შეუძლებელია შესრულებულიყო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე. მაგრამ რადგანაც ხელნაწერი მესხიშვილების საგვარეულოდან არის გამოსული, და, როგორც ჩანს, მართლაც ცნობილს დავით რექტორს, ალექსისძე-მესხიშვილს, ეკუთვნოდა, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ განახლება შესრულებულია დავითის წრეში (იქნებ თვით დავითის მიერაც) მე-18 საუკუნის დამლევს ან მე-19 საუკუნის დამდეგს, როცა მოღვაწეობდა დავითი. ამრიგად, ქრონიკის ტექსტში შეტანილი სათანადო ცვლილებაც ამ დროს ეკუთვნის. ჩვენთვის ამ ცვლილებიდან ყველაზე საგულისხმოა, რათქმაუნდა, ის, რომელიც აზოს შესახებ თხრობაში აღმოჩნდა. სახელდობრ, იმ ფრაზაში, რომელიც შეიცავს ცნობას აზოს უკან გაბრუნების შესახებ ძველ სამშობლოში, განმაახლებელს ძველი ტექსტის ფორმა „არიან“ შეუცვლია „არანით“, უყურადღებობის გამო, უეჭველია, და არა განზრახვით. ორს სხვა შემთხვევაში-კი განმაახლებელს უცვლელად დაუტოვებია ძველი ტექსტის ფორმა „არიან“. ეს ხელოვნური ფორმა, „არან“, მოსწონებიათ, რატომღაც, ძეგლის გამომცემლებს და ასეთი დაჟინებით გაუვრცელებიათ იგი, სრულიად გამოჰპარ-

[1] Опис. II, 752, 761, 769; ბელიშური ნუსხა ერთ შემთხვევაში იძლევა — „გაიც და გაცაჲ“, იქვე, 752, ხოლო ორს დანარჩენ შემთხვევაში — „გაცი“ და „ბაცა“, იქვე, 761, 769.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერ. ისტ., I, მესამე გამოც., გვ. 91—94.

ვიათ რა სწორი წაკითხვა ორ ადგილას. ამგვარი შეცთომა მით უფრო გაუგებარია, რომ ის მოუვიდა ძეგლის ყველა მკვლევარს და მათ შორის იმათაც, ვინც ყველა დანარჩენს ეცილებოდა ძეგლის სწორად წაკითხვაში, მოწინააღმდეგის წანაკითხს უვარგისად სთვლიდა და თავისას-კი სრულიად უცთომელად. ცხადია, რომ ამგვარი შეცთომის წყარო იყო ის, სერიოზული და დინჯი მეცნიერული კვლევისათვის შეუფერებელი აჟიოტაჟი, რომელიც ძეგლის აღმოჩენამ გამოიწვია და რომელიც ეხლაც ასეთს უსიამოვნო შთაბეჭდილებას უქმნის მკითხველს.

თუნდაც ტექსტის განახლებას არ ჰქონოდა ადგილი, თავისთავად ცხადია, რომ ფორმა „არან“ ვერ დაიჩემებდა უპირატესობას „არიან“-ის წინაშე, იმიტომ რომ პირველი ერთხელ გვხვდება, მეორე-კი — ორჯერ და იმიტომაც რომ მეორეს მხარს უჭერენ როგორც „ნინოს ცხოვრების“ შატბერდული ნუსხა, ასევე ყველა სხვა ლიტერატურული ძეგლიც, რომელიც ამავე საგანს ეხება და აშკარად „ქართლის მოქცევაზეა“ დამოკიდებული.

ყოველივე ზემონათქვამის გათვალისწინებით, სავსებით დამარწმუნებელი უნდა იყოს, თუ ჩვენ ფორმა „არან“-ს უკუვაგდებთ, როგორც სრულიად შემცთარს, და მის მაგიერ „არიან“-ს დავამკვიდრებთ. ამ აღდგენით, „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის თხრობა აზოს შესახებ, საქართველოსაკენ ალექსანდრე მაკედონელის მეორე გამოლაშქრების ისტორიაში ჩართული, შემდეგ სახეს მიიღებს, ქარაგმების გახსნითა და თანამედროვე პუნქტუაციით:

... „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრუ, მეფუ ყოვლისა ქუეყანისაჲ, და დალეწნა საძნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახჳლი. ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუ. და დადგა სარკინესა დასავალით კერძო, და დასცა ვენაკი და როჲ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუენი; და სტაგითა რუჲსაჲთა და ჰრქჳან ადგილსა მას ნასტაგისი.

და მერმე გამოიღო სარკინე. თჳთ დაყარეს და მეოტ იქმნნეს.

და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძუ არიან ქართლისა მეფისაჲ. და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას: ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისა, და წარვიდა.

ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა. და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-

მძუძეთანი. და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყუანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გა.

და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა — აზოდ, ძე არიან ქართველთა მეფისად, და მოკუდა".

როგორია ამ თხრობის ისტორიული ღირებულება?

უეჭველია, რომ თხრობა, თუ მას მისი მთლიანი სახით ავიღებთ, სამშობლო სიძველეებით დაინტერესებული მწიგნობრის ხელოვნური კონსტრუქციაა, რომლის ცალკეული კომპონენტები არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. ასე, მაგ., აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „თვით ცნობებშიაც მემატიანეს მსხვილი შეცდომები შეჰპარვია: ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა კავკასიაში მას უტყუარ ამბავად მიაჩნია"...[1] ეს სავსებით სწორია და მოცემული ისტორიული შეცთომა[2] უეჭველობით ამჟღავნებს თვით ამბის ხელოვნურ წარმოშობას. ანაქრონისტულია თხრობაში „ჰონთა" ხსენება, რომელიც, საეჭვოა, ქარაგმის ქვეშ დასმულ „ჰურიათა" მცთარი გახსნის შედეგი იყოს, როგორც ამას ე. თაყაიშვილი ფიქრობდა[3]. თუმცა ლეონტი მროველი ასწორებს და „ჰონთა" მაგიერ „ჰურიათა" შესახებ ლაპარაკობს[4], მაგრამ ეს არის „ქართლის მოქცევისავე" სხვა ცნობის გადმოტანა წინ: „ჰურიათა" მცხეთას მოსვლისა და აქ დასხდომის შესახებ ქრონიკა მოგვითხრობს მე-12 მეფობისათვის[5]. ანაქრონისტული ჩანს აგრეთვე „ბუნ-თურქთა" ხსენება ჩვენი ქრონიკის დასაწყის ნაწილში; ყოველ შემთხვევაში ეს ცნობა ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებლად არავის განუმარტავს. ხელოვნურია „ლოთის შვილთა" და „იებოსელთა ნათესავების" შემოტანა თხრობაში. ასევე ხელოვნური ჩანს ბუნ-თურქებისა და ჰონების ურთიერთობა.

---

[1] ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, მე-2 გამ., 90.

[2] სრულიად არ არის დამაჯერებელი, რათქმაუნდა, ის მოსაზრებები, რომლებიც ლიტერატურაში არის წარმოდგენილი „ქართლის მოქცევის" ამ შეცთომის გასამართლებლად.

[3] СМОМПК, вып. 28, отд. I, стр. 5, прим. 1.

[4] მარიამ., 12; შევს., მარის გამ., 25.

[5] Опис. II, 709—710; ლეონტი მროველი, წინააღმდეგობისაგან თავის დასაღწევად, ამ ჰურიებს ახალმოსულებად სთვლის და წინათ მოსულთაგან განარჩევს, მარიამ., 31 და შევს., 47. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ჩვენ მიერ ციტირებულ ტექსტში გვხვდება ფორმა „ჰონთა", რომლის გამოყენანა ქარაგმიან „ჰურიათა" ფორმისაგან კიდევ უფრო ძნელია.

ხელოვნური წარმონაქმია და ეტიმოლოგიზაციის მიზანს ემსახურება ცნობა ზანავ-ხერკის დასახლების შესახებ ჰონთა მიერ, ან ვენახის გაშენებისა და რუს გამოლების შესახებ ალექსანდრეს მიერ ნასტაგისში. ამიტომ, რათქმაუნდა, სავსებით მართალია აკად. ივ. ჯავახიშვილი, როცა წერს: ... „მკვლევარი მოქცევად ქართლისადს მატიანის ცნობებს დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრას და მხოლოდ თითოეულ ცნობის ღირსება-ნაკლულევანებათა აწონ-დაწონის შემდგომ ისარგებლოს“ [1]. ასაწონ-დასაწონი ქრონიკაში მაინც რჩება. პატივცემული ავტორი შემდეგ განაგრძობს: ...„მკაცრი კრიტიკული განხილვის შემდგომაც ამ მატიანეში აღმოჩნდა და შემდეგშიც აღმოჩნდება ზოგიერთი ძვირფასი საისტორიო ცნობები, როგორც, მაგ., ქართველთა სამხრეთით მოსვლა და გადმოსახლებაა ამიერ-კავკასიაში“ და სხვებიო [2]. ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ, დასაწყისს ნაწილში, ქრონიკის ცნობათაგან ყურადღების ღირსია და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, კერძოდ, ცნობები ქართლის უძველესი ქალაქებისა და აზოს სამფლობელოს საზღვრების შესახებ ამიერ-კავკასიაში. მაგრამ მაინც განსაკუთრებით საინტერესოა, რათქმაუნდა, თხრობა აზოს გადმოსახლების შესახებ.

თხრობა აზოს შესახებ ხელოვნურ ისტორიულ გარემოსა და ჩარჩოშია ჩასმული, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. ეს გარემოება, ცხადია, ამცირებს თხრობის ისტორიულ მნიშვნელობას. მაგრამ, ამასთან ერთად, თხრობა შეიცავს ისეთი გარდმოცემის ელემენტებს, რომელნიც პირველი გაცნობისთანავე განათლებულ მკითხველში გარკვეულ ნდობის გრძნობას იწვევენ. მათი ჩაღრმავებული ანალიზი კიდევ აქ ძველი ტრადიციის ნაკვალევს აღმოაჩენს.

გარდა თქმულებაში დაცული მოგონებისა ქართველთა მოძრაობის შესახებ ამიერ-კავკასიისაკენ სამხრეთიდან, რასაც სამართლიანად მიაქცია ყურადღება აკად. ივ. ჯავახიშვილმა, როგორც ვნახეთ, ჩვენს ინტერესს იზიდავს თხრობაში დაცული საკუთარი სახელებიც.

დავიწყოთ სიტყვა „არიან“-იდან. რა რეალურ მნიშვნელობას ატარებს იგი?

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ყველა მკვლევარი „არიან“-ს (ანუ „არან“-ს, როგორც შეცთომით კითხულობდნენ დღემდე)

---

[1] ძვ. ქართ. მწ., 90.

[2] იქვე, 90—91.

აზოს მამის სახელად სთვლიდა. ამასთანავე უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ეს „არიან“-ი ქართველების პ ი რ ვ ე ლ ი მეფე უნდა ყოფილიყო, თუმცა არ ჩანს რატომ. ქრონიკა ხომ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ აზო იყო პ ი რ ვ ე ლ ი მ ე ფ ე მ ც ხ ე თ ა შ ი ო. არსაიდან არ ჩანს, რომ აზოს მამა იწყებს დინასტიას.

მაგრამ დავუბრუნდეთ სახელის მნიშვნელობის საკითხს. მხოლოდ აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა გამოსთქვა ეჭვი „არან“-ის ასეთი გაგების გამო, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები: „მემატიანის სიტყვები ოდნავ ბუნდოვანია და მკაფიოდ არა ჩანს, „არან“ მეფისა თუ ქვეყნის სახელი იყო“-ო. მართლაც, არ შეიძლება ითქვას, რომ ქრონიკის ცნობები ამ მხრივ მთლად ნათელი იყოს. არიანის დასახელების პირველსა და მესამე შემთხვევაში შესაძლებელია ეს სახელი პირის სახელად იყოს მიჩნეული და აზოს მამისადმი მიკუთვნილი:

... აზოდ, ძ(ؤ) არიან ქართლისა მეფისად...

... აზოდ, ძ(ؤ) არიან ქართველთა მეფისად...

ასეთი შეთანხმება (პირის სახელი, ანალოგიურ სინტაქსურ კონტექსტში, უბრუნვისფორმოდ) ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია. აი მაგალითებიც.

აბო ტფილელის „წამების“ სათაურის ქვეშ წარწერილია, რომ ეს ნაწარმოები არის

„გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი, ბრძანებითა ქრისტეს მიერ ს ა მ ო ე ლ ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა დ თ ა“ [1].

გიორგი მერჩულის სიტყვით, გრიგოლ ხანძთელის ცხორება დაიწერა

„ქართველთა ზედა მთავრობასა ა შ ო ტ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ს ა ს ა, ძ ი ს ა ა დ ა რ ნ ე რ ს ე ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს ა ს ა, ა ფ ხ ა ზ თ ა ზ ე დ ა მ ე ფ ო ბ ა ს ა გ ი ო რ გ ი ს ს ა, ძ ი ს ა კ ო ს ტ ა ნ ტ ი მ ე ფ ი ს ა ს ა“ და ა. შ. [2].

წვიმოეთის ეკლესიის წარწერაში ნათქვამია:

... „სალოცველად, ადიდენ ღ(ა)ნ, ძ ლ ი ე რ ი ს ბ ა გ რ ა ტ ა ფ ხ ა ზ თ ა დ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს ა დ ა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ს ა“ [3]...

---

[1] წმ. მოწამე აბო ტფილელი, გამოც. საეკლ. მუზეუმისა, ტფ. 1899 წ., გვ. 3.

[2] Г. Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, აკად. ნ. მარის ვამ., ს.-პ. 1911, გვ. 3.

[3] ქრონიკები, I, 143.

სუმბატ დავითისძის მატიანით,

„გარდაიცვალა ესე გურგენ მეფეთ-მეფე, ძე ბ ა გ რ ა ტ ქ ა რ-თ ვ ე ლ თ ა მეფისა“ [1]...

ამრიგად, როგორც ვთქვით, ზემოთმოტანილ ორ შემთხვევაში არაფერი გვიშლის ხელს „არიან“ გავიგოთ, როგორც პირის სახელი. მაგრამ თვით ძეგლის თვალსაზრისით ასეთი გაგება არ იქნებოდა სწორი. ამას მოწმობს მოცემული სიტყვის ხმარების მეორე შემთხვევა:

„ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა“.

აქ უკვე შეუძლებელია „არიან“ პირისსახელად იყოს მიჩნეული. ასეთი შეთანხმება ძველმა ქართულმა, და მით უმეტეს ახალმა, რათქმაუნდა, არ იცის. არც არავითარი საფუძველი ჩანს იმისათვის, რომ აქ გადაწერის რაიმე შეცთომა ვიგულისხმოთ. დაუჯერებელია, რომ მოცემული საკითხავი მომდინარეობდეს, ვთქვათ, შემდეგისაგან: „ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლისა მეფისა, მამისა თჳსისა“. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შესწორებისათვის ჩვენ არავითარი ობიექტური საბუთი არ გაგვაჩნია. შეიძლებოდა სიტყვების გადასმაც გვეგულისხმებინა შემდეგი სახით:

„ხოლო ესე აზოჲ წარვიდა ქართლად, არიან მამისა თჳსისა“, მაგრამ ცხადია, რომ, ქრონიკის ავტორის თვალსაზრისით, ასეთი თვითნებური შესწორებაც გამოუსადეგარია — მკითხველისათვის ხომ გაუგებარი რჩება, რომელ ქართლზეა აქ საუბარი. მკითხველი მხოლოდ ისტორიულ ქართლს, კავკასიის ქართლს, იცნობს. ქრონიკის ავტორის აშკარა განზრახვა-კი ისაა, რომ მკითხველი დაარწმუნოს, ამ ისტორიულ ქართლს გარდა არსებობდა კიდევ სადღაც სხვაგან მეორე ქართლი, საიდანაც ჩვენი წინაპრები ახალ სამშობლოში გადმოსახლდნენ ალექსანდრე მაკედონელის დროსო. ამ ორი ქართლის გასარჩევად მას რაღაც მსაზღვრელები სჭირია, ვთქვათ ისეთივე, როგორსაც ისტორიულ ხანაში ხმარობდნენ ქართლის სხვადასხვა ნაწილების აღსანიშნავად, მაგ., „ზემო“ და „ქვემო“ (ზემო ქართლი, ქვემო ქართლი). ამგვარი მსაზღვრელის როლში გამოდის, ჩანს, სიტყვა „არიან“, რომელიც, ავტორის სიტყვახმარებაში, მხოლოდ „ძველ“ ქართლს განეკუთვნება და ამით ამ უკანასკნელს ადვილად განასხვავებს „ახალი“ ქართლისაგან. ასეთი გაგებისას, სამივე ფრაზა, რომლებშიაც არიანია მოხსენებული, სავსებით ბუნებრივი აგებულებისა (ძველი ქართულის წყობის თვალსაზრისით) გამოვა:

[1] ქ. ცხ., მარიამ., 352.

... აზოჲ, ძჳ არიან ქართლისა მეფისაჲ...
= აზო, არიან ქართლის მეფის ძე.
... ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა...
= ეს აზო წავიდა არიან ქართლში, თავის მამასთან...
... აზოჲ, ძჳ არიან ქართველთა მეფისაჲ...
= აზო, არიან ქართველების მეფის ძე.

როგორც უკანასკნელი ფრაზიდან ჩანს, მსაზღვრელი „არიან“ მიეკუთვნება როგორც ქვეყანას, ისე მის მცხოვრებთაც. ამ საკითხის, ისე როგორც სიტყვის მორფოლოგიის შესახებ, ჩვენ საუბარი გვექნება ქვემოთ, ეხლა-კი საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი მასალა მოვიტანოთ სიტყვის სემანტიკის ზემოთმოცემული განმარტებისათვის.

ამ განმარტებას უცილობლად მხარს უჭერს ნინოს ცხოვრების შატბერდული ნუსხა, რომლის მიხედვითაც ნინო ამბობს: არმაზის კერპის „მარჯულ... დგა კერპი ოქროჲსაჲ, და სახელი მისი — გაცი; და მარცხლ მისა — კერპი ვეცხლისაჲ, და სახელი მისი — გა, რ˜ნი იგი ღ˜თდ ჰქონდეს მამათა თქ˜ნთა არიან ქართლით“ [1]. აქ, რათქმაუნდა, სავსებით ცხადია, რომ „არიან“ სწორედ ქვეყნის სახელს მიემართება: ავტორი ლაპარაკობს იმ გაცისა და გას კერპების შესახებ, რომელნიც (გაცი და გა) ღმერთებად მიჩნეული ჰქონიათ ქართველების წინაპრებს ა რ ი ა ნ ქ ა რ თ ლ ი დ ა ნ. სხვანაირი გაგება აქ გამორიცხულია და ამდენადვე უნდა დავასკვნათ, რომ უკვე მეათე საუკუნეში, თუ ამაზე ადრე არა, ქრონიკის „არიანი“ (ნინოს ცხოვრების ავტორი ხომ, ეჭვს გარეშეა, ქრონიკას ემყარება და მას იმეორებს ამ შემთხვევაში) მეფის სახელად-კი არ მიაჩნდათ, არამედ ძველი ქართლის სპეციფიკურ მსაზღვრელ სახელისდებად.

ასეთივე გაგება ქრონიკის ცნობისა, იქნებ უფრო მკაფიო სახითაც, დაცული აქვს ნინოს ცხოვრების იმ ახალ რედაქციას, რომელიც, როგორც ვნახეთ, მისმა გამომცემელმა არსენი კათალიკოზს მიაწერა. ეს ავტორიც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის თხრობას იმეორებს, მაგრამ გარკვეული გადამუშავებით კერძოდ ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლებელი და, ჩანს, მიუცილებელი იყო უკვე

[1] Опис. II, 752; ჰელიშურში ჩვენ ამავე ცნობას ვგულისხმობთ, იხ. აქვე, ზვ. 644, შენ. 3, მაგრამ იგი იმდენად დამახინჯებულია გადამწერთაგან, რომ ამჟამად ჩვენთვის გამოუსადეგარი ხდება.

ფეოდალური წრის ტენდენციებს ეჩინა თავი[1]. ავტორის განცხადებით, მისი მიზანი იყო გამოერკვია ქართველების და მათი მეფეების ტომობრივი შთამომავლობა: „უწყებად ჯერ არს ამისიცა, საყუარელნო, ვითარმედ ესე მეფე მირიან ანუ სხუანი მეფენი ქართველნი, რომლისა ტომისაგან იყვნეს, ანუ ქართველნი რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ“[2]. შემდეგ ავტორი მოუთხრობს,—ქრონიკის მიხედვით, მაგრამ გარკვეული ცვლილებებით,—ალექსანდრეს ლაშქრობას. აქ საყურადღებოა, რომ ავტორი ლაპარაკობს „საზღვართა ქართლისათა“, „ქართლისა“ და „ქუßყანა ქართლისა“-ს შესახებ ისტორიულ ქართლის აღსანიშნავად. ამ ისტორიულ ქართლში შემოსვლისას ალექსანდრეს „ჰყვა თანა აზოვე (ასეა საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების საეკლ. მუზ. ფონდისეულ № 518 ხელნაწერში; ნაბეჭდ გამოცემაში კია — „ახოვე“), ძე არიან ქართველთა მეფისა“, ალექსანდრემ მას „მისცა ქუßყანა ესე ჩუßნი სამეუფოდ და სამკჯდრებელად“. შემდეგ დასახელებულია აზოს სამფლობელოს საზღვრები ქრონიკის თანახმად და ნათქვამია: „ხოლო ესე აზოვე წარვიდა არიან ქართლად მამისა თჳსისა“... ეს ადგილი სხვათა შორის ამტკიცებს, რომ მოცემულ ფრაზის წყობა ერთნაირი ყოფილა როგორც შატბერდულ ნუსხაში, ისე იმ ხელნაწერშიაც, რომელიც გამოყენებული აქვს არსენის (ჩვენც ასე ვუწოდოთ მას ჯერ-ჯერობით პირობითად), თუ არსენის სწორედ შატბერდული კრებული არ ჰქონდა ხელთა, რაც, რათქმაუნდა, არც აუცილებელია და არც თავისთავად ცხადი. შემდეგ ავტორი ამბობს: „ესე აზოვე[3] არს პირველი მეფე ქართველთად“ და მისი შთამომავალი იყო პირველი ქრისტიანი მეფე მირიანიო. შემდეგ ავტორი დაასკვნის, იძლევა რა პასუხს აგრეთვე ქართული ენის წარმოშობის საკითხზედაც: „ჩუßნ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულთანი და ენა მათი უწყით და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან“[4]. „არიან ქართლით გამოსრულნი“

---

[1] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია: გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში (განაკვეთი I), ტფ. 1932, გვ. 24—26.

[2] ცხოვრება წმ. ნინოსი, დასახ. გამოც., 46.

[3] საგულისხმოა მანუსკრიპტული ტრადიციის განვითარების ეს მაგალითი: ნაწილაკი „-ვე“ ავტორის შეგნებაში სახელის ფუძეს შეჰხორცებია. ამ ფაქტის გამოც საფიქრებელია, რომ ავტორს ხელთ შატბერდული კრებული კი არ ჰქონდა, არამედ სხვა ხელნაწერი, რომელშიაც აზოს სახელს თან ეს ნაწილაკი ჰქონდა დართული (შატბერდულ ნუსხაში ასეთ შემთხვევას არ ვხვდებით).

[4] დასახ. გამოცემა, 46—47.

„არიან ქართლიდან გამოსულებს“ აღნიშნავს, ამ არიან-ქართლიდან წამოსული ხალხის შთამომავალნი ყოფილ ჩვენ ქართველებიო, ამტკიცებს ავტორი.

ეს მოწმობაც საკმაოდ ადრინდელი ხანას ეკუთვნის. ძეგლის პირველ გამომცემელს მის ავტორად, სრულიად დაუსაბუთებლად, როგორც ვნახეთ, X საუკუნის არსენ კათალიკოზი ჰყავს მიჩნეული[1].

ჩვენთვის ამჟამად საკმარისია იმის დადგენაც, რომ ძეგლი მე-12 საუკუნეზე გვიანდელი წარმოშობისა არ უნდა იყოს[2]. ამ ძეგლის შემდგენელიც „ქართლის მოქცევის“ ტექსტს კითხულობდა ისე, როგორც ეს ჩვენ მიერ არის აღდგენილი.

ამრიგად, უეჭველია, რომ გარდმოცემის „არიან“ რაღაც მსაზღვრელია, რომელიც ქვეყნისა და მისი მცხოვრებლების სახელს მიემართება. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს სიტყვის ფორმა — იგი უცვლელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. აქედან, ტექსტის სინტაქსური წყობით, „არიან“ მის მომდევნო სიტყვასთან ერთად კომპოზიტს შეადგენს, რომელიც ჩვენი ორთოგრაფიის თანახმად, დეფისით უნდა იწერებოდეს („არიან-ქართლის“...). ასეთი კომპონენტის ფუნქცია შესაძლოა დაეკისროს როგორც ზედსართავ, ისე არსებით სახელს. პირველი შემთხვევის ანალოგია გვექნებოდა ჩვენი ქრონიკისავე ცნობაში აზოს შესახებ, რომ იგი

„დაჯდა ძველ მცხეთას“.

„ძველ მცხეთას“ რომ კომპოზიტი არ იყოს, მაშინ უნდა გვქონოდა: „დაჯდა ძველსა მცხეთასა“ (ისევე, როგორც ქრონიკაშივე გვაქვს: „იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა“, Опис. II, 719, „შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა“, იქვე, „დაეფლა ქუემოსა ეკლესიასა“, იქვე, 720).

გეოგრაფიულ-ეთნიკური არსებით-სახელიანი კომპოზიტის მაგალითი უნდა გვქონდეს ქრონიკაშივე, იქ სადაც მოთხრობილია ნინოს ქადაგების შესახებ თიანეთში და ნათქვამია, რომ ნინო

„გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა“ (იქვე, 716—717). ნინო მიდის ერწუს ოლქში და ისადგურებს აქ ჟალეთის თემის დაბა ედემში, საი-

---

[1] შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, I გამ., 37, II გამ., 83—84.

[2] თ. ყორდანია, ხელნაწერს პალეოგრაფიულ ნიშნებით მე-12 ს-ს მიაკუთვნებს, Опис. I, 224, II, 177, პროფ. კ. კეკელიძე — მე-13 ს-ს., ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., I, 154, მ. ჯანაშვილი-კი ხელნაწერებს № 832 და № 833 ს თგლის მე-13— მე-14 ს-ისად, Опис. III, 24, 28.

დანაც ავრცელებს ქრისტიანობას. ნინოს ამ საქმიანობის შედეგად, ქრონიკის მტკიცებით, ინათლება მთელი ოლქის, ერწუს, მოსახლეობა, ე. ი. ერწუელები. მაგრამ ამ მხარეს მეორე სახელიც ჰქონია — „თიანეთი“, რომელიც, საფიქრებელია, „მთიანეთისაგან“ მომდინარეობს. არსაიდან არ ჩანს, რომ ერწუ და თიანეთი ავტორისათვის სხვადასხვა ერთეულები იყოს: ამ შემთხვევაში ავტორი იმავე ჩამოთვლის წესს გაჰყვებოდა, როგორიც მას ზემოთაც აქვს გამოყენებული: ნინოო, ამბობს იგი, „წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა: ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა“,— და იტყოდა: „ნათელ სცა ერწუელთა და თიანელთა“-ო. თუ ავტორი ასე არ იქცევა, ეს იმას მოასწავებს, რომ მის სიტყვახმარებაში „ერწუ“-ს გვერდით არსებობდა კომპოზიტური ფორმა „ერწუ-თიანეთი“-ც (როგორც დღეს — „ერწო-თიანეთი“, თუმცა დღეს ამ კომპოზიტს უკვე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს), და აქედან ნაწარმოები „ერწუ-თიანელნი“. მორფოლოგიური განსხვავება (შეთანხმების თავისებურებას ჩვენთვის ამჟამად დიდი მნიშვნელობა არა აქვს) მოცემული კომპოზიტებისა — „არიან-ქართლი“ და „ერწუ-თიანეთი“, „არიან-ქართველნი“ და „ერწუ-თიანელნი“ — ისაა, რომ უცვლელი კომპონენტის ფუძე ერთ შემთხვევაში თანხმოვნიანია („არიან“-), მეორეში-კი — ხმოვნიანი („ერწუ“-). როგორც სინტაქსურად, ისე მორფოლოგიურად „არიან-ქართლთან“ უფრო ახლოს იქნება ძველ-ქართულშივე ცნობილი ისეთი ტოპონიმიკური კომპოზიტი, როგორიცაა, მაგ., „მაღრან-დვალეთი“ [1], რომელიც ამ კუთხეს განასხვავებს საკუთრივ „დვალეთი“-საგან.

ამრიგად, წარმოება „არიან-ქართლი“ და „არიან-ქართველნი“ სავსებით ეთანხმება ძველი ქართულის ნორმებს. დაგვრჩენია საკითხი ამ სახელწოდებათა რეალური მნიშვნელობის შესახებ. სად გულისხმობს ქრონიკა ამ ისტორიული ქართლისაგან განსხვავებულს არიან-ქართლს?

ქრონიკის თხრობაში დაცულია მოგონება აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ ტომთა მოძრაობის შესახებ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, თავის ისტორიულ სამკვიდრებელისაკენ, როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული და, გარდა ამისა, მოგონებაც ამ მოძრაობის თვით ამოსავალი (რამდენადაც ეს

[1] იხ., მაგ., „ძეგლი ერისთავთა“, ქრნკ., II, 18; შდრ. აგრეთვე იქვე „დვალეთი“, „დვალნი“, „ქვემო-დვალნი“, „შავ-დვალნი“, 2, 6, 13—18.

ტრადიციას ახსოვდა) პუნქტის შესახებაც. ქართული გარდმოცემის სარწმუნოობა ჩვენთვის უფრო მისაღები იქნება, თუ მის განხილვას წინ წარვუმძღვანებთ მსოფლიო ისტორიის იმ ცნობებს, რომელთაც კავშირი აქვთ ჩვენს საგანთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცნობების ანალიზი საშუალებას გვაძლევს საკმაოდ კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ქართების გადასვლის პროცესი ამ უძველესი, ასე ვთქვათ, „წინა-აზიური“ ყოფიდან მათი განვითარების ახალს, სავსებით ისტორიულს, „კავკასიურ“, პერიოდში.

ქართლი და მისი მცხოვრებნი მსოფლიო ისტორიაში „იბერიისა“ და „იბერების“ სახელწოდებით არიან ცნობილნი. უძველესი, ეპვმიუტანელი ცნობა იბერთა შესახებ ბერძნულ მწერლობაში ეკუთვნის მეორე საუკუნის (ძველი წელთაღრიცხვით) მწერალს აპოლოდორს. ამ ცნობით, რომელიც შენახული აქვს სტრაბონს (წ. I, თ. 3, § 21), „დასავლელი იბერები (აქ იგულისხმება პირენეს ანუ იბერიის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობა, რომლის შთამომავალნი არიან ბასკები, ს. ჯ.) გადმოსახლდნენ პონტოსა და კოლხეთს ზემოთ მდებარე ადგილებში, რომელთაც, აპოლოდორის სიტყვით, არმენიისაგან მდ. არაქსი ჰყოფს“. აქედან ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე იბერ-ქართების ტერიტორია გაცილებით უფრო შორს იყო სამხრეთისაკენ გადაჭიმული (მდ. არაქსამდე!), ვიდრე პირველ საუკუნეში, ძვ. წ.

აპოლოდორზე ადრე, IV საუკუნისათვის, იბერებს თითქოს იხსენიებენ პლატონი და არისტოტელე, პირველი — იმ „მეომარ ხალხთა“ შორის, რომელნიც სვამენ უწყლო ღვინოს, მეორე-კი ამბობს, რომ „იბერების მეომარი ხალხი საფლავის გარშემო იმდენ სარს არჭობს ხოლმე, რამდენიც მტერი ჰყავს მოკლული მიცვალებულს“-ო [1]. აკადემიკოსი ვ. ლატიშევი ფიქრობდა, რომ აქ სწორედ კავკასიელი იბერები, ე. ი. ქართები, იგულისხმებიან. ყოველ შემთხვევაში, აქ იბერთა ტერიტორია სრულიად განუსაზღვრელი რჩება. ცნობების მნიშვნელობა ისაა, რომ, გარდა სატომო სახელის უძველესი ხსენებისა მერმინდელი ისტორიული ფორმით, ისინი შეიცავენ გარკვეულს ეთნოგრაფიულ ჩვენებებს.

ეხლა თუ ჩვენ წინამორბედ საუკუნეში გადავალთ, ჩვენს ყურადღებას ერთბაშად მიიქცევს ის გარემოება, რომ „ისტორიის

[1] ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი: „ენიმკი-ს მოამბე“ ტ. I, 221.

მამა“ ჰეროდოტე იბერებს ამიერ-კავკასიაში არ იხსენიებს. ჰეროდოტეს კი კავკასიის შესახებ კარგი ცნობები ჰქონდა — კოლხეთი მას საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი, იცნობდა იგი კასპიის ზღვის მხარესა და კავკასიის მთიანეთს და სარწმუნო ცნობები ჰქონდა მას კავკასიის საერთო პოლიტიკურ ვითარების შესახებ, აქემენიდების სახელმწიფოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მოასწავებს თუ არა ეს იმას, რომ აღმოსავლეთის ქართველმა ტომებმა ადგილი ვერ ჰპოვეს ჰეროდოტეს ისტორიაში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა, ჩვენ გვგონია, რომ მ ე რ მ ი ნ დ ე ლ ი ი ბ ე რ-ქ ა რ თ ე ბ ი ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს მ ო თ ხ რ ო ბ ა ში „ს ა ს პ ე ჯ რ ე ბ ი ს“ სახელით გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ი ა ნ.

„სასპეჯრებს“ ჰეროდოტე იხსენიებს თავისი თხზულების სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა კონტექსტში და ამით საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ მათი ტერიტორიულ-ეთნიკური ადგილი სხვა ხალხთა შორის. ასე, მაგალითად, ჰეროდოტე ამბობს: „ს პ ა რ ს ე ბ ი ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელიც წითლად იწოდება; მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები; მიდიელების ზემოთ ს ა ს პ ე ჯ რ ე ბ ი, სასპეჯრების ზემოთ — კ ო ლ ხ ე ბ ი ვიდრე ჩრდილოეთის ზღვამდე,რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე“ (IV, 37). აქ ძალიან კარგად არის განსაზღვრული დასახელებული ხალხების ტერიტორია — ჩრდილოეთის ზღვა და ფაზისი, რათქმაუნდა, შავი ზღვა და რიონია (უკიდურეს შემთხვევაში — ჭოროხი). კოლხეთს მაშინ უპირავს, ეს ჩვენ ვიცით სხვა წყაროებიდანაც, შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, კერძოდ — დას. საქართველო. მის საზღვრეთით „წითელ“ ზღვამდე (ე. ი. სპარსეთის ყურემდე) ჰეროდოტე მხოლოდ სამ დიდ ხალხს უჩვენებს. მათგან მიდებისა და სპარსების ტერიტორია აგრეთვე კარგად არის ცნობილი. და ამ ცნობილს ტერიტორიულ ერთეულებს შორის ნათლად ირკვევა სასპეჯრების მიწა-წყალიც.

ჰეროდოტეს სხვა ცნობებიც ამავე ხასიათისაა. ერთ ადგილას, უფრო მცთარი გეოგრაფიული წარმოდგენების საფუძველზე, ჰეროდოტე არსებითად იმავე სურათს იძლევა: „სპარსების, მიდების, სასპეჯრებისა და კოლხების ზემოთ აღმოსავლეთისაკენ ერთი მხრით გადაჭიმულია წითელი ზღვა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ არის კასპიის ზღვა და მდინარე არაქსი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ დის“ (IV, 40). ამრიგად, აქაც, ცხადია, რომ უვრცელესს, შავი ზღვიდან წითელ ზღვამდე (სპარსეთის ყურე) გადაჭიმულს, მიწა-

წყალზე, რომელიც შეიცავდა წინა აზიის უდიდეს ნაწილს, ჰეროდოტე მხოლოდ ოთხ ხალხს ასახელებს — თუ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ჩამოვყვებით — კოლხებს, სასპეჟრებს, მიდებსა და სპარსებს. ეს ღირსშესანიშნავი დასკვნაა. მისი მნიშვნელობა ჩვენთვის კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავარკვევთ სახელწოდება „სასპეჟრ"-ის რეალურ შინაარსს. სათანადო მასალას თვით ჰეროდოტე გვაწვდის. აქემენიდების სახელმწიფო სატრაპიების აღნუსხვისას, ჰეროდოტე მიუთითებს, რომ მე-18 ოლქს შეადგენდნენ „მატიენები, სასპეჟრები და ალაროდიები, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ 200 ქანქარი" (III, 94). საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ბერძნული „ალაროდი" იმავე „ურარტუს" უდრის, „მატიენ"-ის შესახებ ასევე სარწმუნო უნდა იყოს, რომ აქ ძველი „მიტან"-ის გამოძახილი გვაქვს. უკვე ეს მეზობლობა ბევრს რასმე არკვევს „სასპეჟრების" საკითხისათვის. რომ იგი (მეზობლობა) შემთხვევითი არ არის, ეს დადასტურებულია ჰეროდოტეს სხვა ცნობაშიაც. აქ ნათქვამია, რომ „ალაროდიები და სასპეჟრები მიდიოდნენ შეიარაღებულნი კოლხების მსგავსად. მათ სარდლობდა მასისტე, სირომეტრის ძე"-ო (VII, 79). ამრიგად, ალაროდიები და სასპეჟრები ერთ რაზმს შეადგენდნენ და კოლხებთან ერთად მათ ერთი ტიპის შეიარაღება ჰქონდათ. აქ უკვე მატიენები დასახელებული არ არიან. ეს იმიტომ, რომ ჰეროდოტეს მატიენები ქსერქსის ლაშქარში უფრო ადრე ჰყავს მოხსენებული. იგი ამბობს: „ლიგუებს, მატიენებს, მარიანდუნებსა და სირიელებს ისეთივე შეიარაღება ჰქონდათ, როგორც პაფლაგონიელებს... პაფლაგონიელებსა და მატიენებს მეთაურობდა მეგასიდრეს ძე დოტე"-ო (VII, 72).

აქემენიდთა სახელმწიფოს ეს ადმინისტრაციული ოლქები მეტნაკლებად შეესატყვისებოდნენ ძველ სახელმწიფოებს, რომლებიც დაიპყრეს სპარსელებმა. ეს სახელმწიფოები ხშირად, ჯერ კიდევ სპარსულ დაპყრობამდე, მრავალტომიანი წარმონაქმები იყო. ჰეროდოტე გადმოგვცემს უაღრესად საყურადღებო ცნობას ამგვარი სატრაპიების შედგენის წესის შესახებ: დარიოსმა, ამბობს ჰეროდოტე, დააარსა სპარსეთში 20 ადმინისტრაციული ოლქი. „დანიშნა შემდეგ ოლქების უფროსები და დააწესა გადასახადები მთავარ ეროვნებათა მიხედვით. ამასთანავე თვითეულ ეროვნებას მიაწერეს მომიჯნავე მეზობლები, ხოლო უფრო შორეული მოსახლეობა განაწილებულ იქნა მთავარ ეროვნებათა შორის"-ო (III, 89). ამ ცნობის აზრი სწორედ ის არის, რომ სატრაპიები მეტწილად მრავალტომიანი ოლქები იყო, ერთი რომელიმე მთავარი ხალხით,

ეროვნებით. სატრაპიაში შემავალი დანარჩენი ტომები ამ მთავარი ეროვნების მეზობლები იყვნენ. ვინ წარმოადგენდა ჩვენს მე-18 ოლქში ამგვარს მთავარს, გაბატონებულ ეროვნებას? აშკარაა — სასპეჟრები. ამიტომაა სწორედ, რომ ჰეროდოტე წინა აზიის ოთხ უდიდეს ხალხს შორის მხოლოდ სასპეჟრებს ასახელებს, კოლხების, მიდებისა და სპარსების შემდეგ, და არა მატიენებს ან ალაროდიებს. ეს ორი უკანასკნელი ტომი პოლიტიკურად ცხადად ჩამოქვეითებული ჩანს ჰეროდოტეს დროისათვის. ალაროდიებს ჰეროდოტე მხოლოდ ორჯერ იხსენიებს ჩვენ მიერ ზემოთციტირებულ ადგილებში. სავსებით ესევე უნდა ვთქვათ ჩვენ მატიენების, როგორც ტომის, შესახებ; მათ ჰეროდოტე უფრო ხშირად მიმართავს მხოლოდ გეოგრაფიულ განსაზღვრებათა საჭიროებისათვის. ეს ადგილები ჩვენთვის მეტად საყურადღებოა და საჭიროა მათი აქ განხილვა. წინასწარ საჭიროა შევნიშნოთ, რომ შეუძლებელია ჰეროდოტეს გეოგრაფიას თანამედროვე მეცნიერული სიზუსტე მოვთხოვოთ — მის ცნობებს, თავისთავად ცხადია, შედარებითი და მიახლოებითი მნიშვნელობა აქვთ.

თავის პირველ წიგნში ჰეროდოტე გადმოგვცემს: „სპარსების ბატონობამდე სირიელები მიდიელებს ემორჩილებოდნენ, ხოლო შემდეგ — კიროსს. მიდიისა და ლიდიის სამეფოებს შორის საზღვარს წარმოადგენდა მდინარე ჰალისი, რომელიც გამოდის არმენიის მთიდან და ჯერ გაივლის კილიკიელების ქვეყანას, ხოლო შემდეგ მარჯვნივ სტოვებს მატიენებს, მარცხნივ — ფრიგიელებს; გაივლის რა ამ ქვეყნებს, მდინარე უხვევს ჩრდილოეთისაკენ და გაივლის სირიელ კაბადუკიელებს შორის, მარჯვნივ, და პაფლაგონიელებს შორის — მარცხნივ“ (I, 72). ამ ცნობით მატიენები ცხოვრობენ მდ. ჰალისის აღმოსავლეთით და კილიკიელების ჩრდილოეთით. მატიენას დასავლეთით სამხრეთისაკენ ფრიგიაა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ — კაბადუკია და პაფლაგონია. კილიკია, ფრიგია, პაფლაგონია, მდ. ჰალისი ჩვენთვის კარგად ცნობილი ერთეულებია, რომელნიც საკმაოდ გარკვევით საზღვრავენ მატიენების ქვეყნის მდებარეობას. რომ არმენია, ჰალისის სათავეების დასახელებისას, ჰეროდოტესთვის მერმინდელი არმენია არ არის, ეს აშკარაა.

არმენია ჰეროდოტესთვის გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარეობს, რაც სრული სარწმუნოობით გამომდინარეობს „ისტორიის მამის“ შემდეგი ჩვენებიდან. ჰეროდოტე მოგვითხრობს, რომ მილეთის ტირანი არისტაგორა მივიდა სპარტაში, იქაურ მეფე კლეომენთან. არისტაგორას, კლეომენთან საუბრის დროს, ხელთ ეჭი-

რა თურმე სპილენძის რუკა, რომელზედაც „ამოჭრილი იყო დედამიწის მთელი წრე, მთელი ზღვა და ყველა მდინარე". არისტაგორას უნდოდა დაერწმუნებინა სპარტის მბრძანებელი, რომ საჭიროა იონიელების განთავისუფლება ბარბაროსების ბატონობისაგან. სახელის გარდა ეს თქვენ უდიდეს სიმდიდრესაც შეგძენთო. ყველა სხვა ხალხს, ერთად აღებულს, არა აქვს იმდენი სიმდიდრე, რამდენიც ამ ხმელეთის (იგულისხმება მახლობელი აღმოსავლეთი) მცხოვრებლებსო: უწინარეს ყოვლისა — ოქრო, შემდეგ ვერცხლი, სპილენძი, ჭრელი სამოსი, საკიდარი საქონელი და მონებიო. ცხოვრობენ იქაური ხალხები ერთი მეორის გვერდით უშუალოდ: იონიელების მეზობლად — ლიდიელები, — აქ არისტაგორამ მიუთითა თავის რუკაზე, — ლიდიელებს აღმოსავლეთით ესაზღვრებიან ფრიგიელები, ფრიგიელებს ესაზღვრებიან კაბადუკიელები, რომელთაც ჩვენ სირიელებს ვუწოდებთ, ამათ მოსდგამენ კილიკიელები, რომელნიც აღწევენ ზღვას იმ ნაწილში, სადაც კვიპროსის კუნძულია; კილიკიელების მეზობლად ცხოვრობენ არმენიები, ხოლო არმენიებს მოსდგამენ მატიენები, რომელთაც აი ეს ქვეყანა უჭირავთ (აქ ალბათ იგულისხმება მითითება რუკაზე). მათ ესაზღვრება კისია, სადაც მდ. ხოასპზე არის სუსა, დიდი მეფისა და მისი საგანძურების ადგილსამყოფელიო (V, 49). მაგრამ არისტაგორას ცდა მარცხით დამთავრდა, კლეომენმა უარჰყო წინადადება სპარსელების წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ და ამიტომ არც არისტაგორას „მოუხერხდა ესაუბრნა უფრო დაწვრილებით გზის შესახებ სპარსეთის მეფისაკენ"-ო (V, 50—51). ამ საქმეს თვითონ ჰეროდოტე კისრულობს: ნამდვილად ეს გზა ამგვარია, — ამბობს იგი: მის მთელ სიგრძეზე მოწყობილია სამეფო სადგომები მშვენიერი საცხოვრებელი ბინებით, და გადის ეს გზა თავიდან ბოლომდე დასახლებულ და უშიშარ ქვეყანაზე. ლიდიისა და ფრიგიის სივრცეზე, $94^1/_2$ ფარასანგზე 20 ასეთი სადგომია. ფრიგიიდან გზა მიდის ჰალისამდე, სადაც არის კარი და მის მახლობლად ვრცელი სიმაგრე... შემდეგ მოსდევს კაბადუკია კილიკიის საზღვრამდე, რაც შეადგენს 104 ფარასანგს 28 სადგომით; ამ საზღვრებში ორი კარი უნდა გაიაროთ და ორ სიმაგრესაც ჩაუაროთ. კილიკიაში ამ გზაზე $15^1/_2$ ფარასანგზე 3 სადგომია. კილიკიისა და არმენიის საზღვარს შეადგენს ევფრატი, ხომალდებისათვის სანაოსნო. არმენიაში არის 15 სადგომი $56^1/_2$ ფარასანგის სივრცეზე; აქვე არის სიმაგრე. არმენიიდან მატიენაში რომ გადავდივართ, აქ 137 ფარასანგის სივრცეზე ვპოულობთ 34 სადგომს. ამ ქვეყანაზე დის 4 ხომალდების სანაოსნო მდინარე, ყვე-

ლა მათი გადასვლაა საჭირო. ამ მდინარეებიდან პირველია ტიგროსი; მეორესა და მესამეს იგივე სახელი ჰქვიან; მაგრამ ეს ერთიდაიგივე მდინარე არ არის, და არც ერთიდაიმავე ადგილიდან გამოდიან ისინი, იმიტომ რომ ერთი მათგანი მოდის არმენიიდან, მეორე-კი — მატიენიდან. მეოთხე მდინარეს ჰქვიან გუნდა... აქედან გადავდივართ კისიაში, სადაც $42^1/_2$ ფარასანგის სივრცეზე 11 სადგომი მოდის ვიდრე მდინარე ხოასპამდე, რომელიც აგრეთვე სანაოსნოა ხომალდებისათვის. ამ მდინარეზე მდებარეობს ქალაქი სუსა. ამრიგად, ყველა სადგომია 111 და ამდენივე ფუნდუკი (საცხოვრებელი ბინა) გზაზე სარდიდან სუსამდეო (V, 52). შემდეგ ჰეროდოტე განმარტავს, რომ ფარასანგში ნაანგარიშევია 30 სტადიონი (=157,5 მეტრს), და თუ ერთი დღის გზაზე 150 სტადიონს დავსდებთ, მაშინ მთელი ამ გზის გავლას, სარდიდან სამეფო ციხე-დარბაზამდე, რომელსაც მემნონისეულს ეძახიან, დასჭირდება ზუსტად ოთხმოცდაათი დღეო (V, 53).

აქაც ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ჰეროდოტეს გეოგრაფიულ წარმოდგენებს სიზუსტე აკლია; ეს განსაკუთრებით ჩანს მდინარეთა სათავეების განსაზღვრაში, რაც, რათქმაუნდა, სრულებით გასაკვირველი არ არის. მიუხედავად ამისა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად აქ ახალი, საყურადღებო მასალაა მოცემული. აშკარაა, რომ მატიენას ჰეროდოტე ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გულისხმობს (მიაქციეთ ყურადღება სამი ტიგროსის ხსენებას). სხვაგან კიდევ ჰეროდოტე ამბობს, რომ მატიენის მთებიდან გამოდის მდ. გუნდა (I, 189, 202), რომელიც შემდეგშიაც მატიენების ქვეყანაზე დის (V, 52), და რომ მატიენებისავე ქვეყნიდან გამოდის მდინარე არაქსიც (I, 202; აქაც, უეჭველია, მდინარეების სათავეების განსაზღვრისას ჰეროდოტეს შეცთომა მოსდის). ყველა ამ ჩვენების მიხედვით უნდა მივიღოთ, რომ მატიენას, ჰეროდოტეს გეოგრაფიულ წარმოდგენაში, უჭირავს მთელი ჩრდილოეთი მესოპოტამია, მერმინდელი დიდი სომხეთის სამხრეთი ნაწილი. და ანატოლიის აღმოსავლეთი ნაწილი. უკანასკნელი განსაზღვრებისათვის უნდა მოვიგონოთ ჰეროდოტეს ცნობა, რომ ქსერქსეს ლაშქარში მატიენები შეადგენდნენ ერთს სამხედრო ნაწილს პაფლაგონიელებთან ერთად (VII, 72). აღმოსავლეთით მატიენას საზღვარი შორავდა ქალაქ სუზას, რომლის მდებარეობაც ცნობილია, დაახლოებით 200 კილომეტრით (4725 მ × $42^1/_2$ ფარს.). ამის შემდეგ, თუ მოვიგონებთ ჰეროდოტეს ყველა ცნობას, რომელნიც ეხებიან მატიენებს, სას-

პეჟრებსა და ალაროდიებს ერთად, უნდა დავასკვნათ, რომ ორს უკანასკნელ ხალხს ეჭირა ადგილები უკვე მატიენების ქვეყნის ჩრდილოეთით; სასპეჟრებს — დასავლეთისაკენ, ალაროდიებს, მათი ურარტუ — არარატთან უეჭველი კავშირის გათვალისწინებით, აღმოსავლეთისაკენ. ამრიგად, სასპეჟრ-ალაროდიებს ეჭირათ, სხვათა შორის, მერმინდელი სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილიც. სასპეჟრების ადგილსამყოფელის დასაზუსტებლად უნდა კვლავ მოვიგონოთ ჩვენ მიერ თავის ადგილას ციტირებული ჩვენებანი ჰეროდოტესი (IV, 37, 40) აზიის (იგულისხმება წინა აზია მცირე აზიისა და არაბთა ნახევარკუნძულის გამოკლებით, IV, 38) მოსახლეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სასპეჟრები კოლხების უშუალო მეზობლები არიან. მაგრამ ამ საგნის შესახებ ჰეროდოტე სხვა ადგილასაც ლაპარაკობს. ერთგან ის გადმოგვცემს: „მეოტიდის ტბიდან (= აზოვის ზღვას) მდინარე ფასიდსა და კოლხების ქვეყნამდე არის 30 დღის გზა კარგი ქვეითისათვის, კოლხეთიდან მიდიამდე-კი გზა დიდი არ არის: ამ ქვეყნებს შორის მხოლოდ ერთი ხალხი ცხოვრობს — სასპეჟრები; მათ გასცდები თუ არა, უკვე მიდიაში ხარ“ (I, 104). ამ ცნობის მიხედვით, სასპეჟრები უშუალოდ ემეზობლებიან დასავლეთისაკენ კოლხებს, ხოლო აღმოსავლეთისაკენ — მიდიელებს. ეს იმაზედაც მიუთითებს, რომ ალაროდიები ცხოვრობდნენ სასპეჟრებს სამხრეთით, უფრო ზუსტად — სამხრეთ-აღმოსავლეთით. მაშასადამე, აღმოსავლეთისაკენ სასპეჟრები ალაროდიებზე ჩრდილოეთითაც იყვნენ მოქცეულნი. რომ სასპეჟრები მიდიელებთან უშუალო კონტაქტში იმყოფებოდნენ, ამას ჰეროდოტე ადასტურებს მეორე ადგილას, ასტიაგის შესახებ თქმულებაში: ...„მწყემსი თავის ჯოგს აძოვებდა აკბატანიდან ჩრდილოეთისაკენ, ევქსინის პონტოს მიმართულებით. იქ, სასპეჟრების ქვეყნის მხრივ, მიდია მეტად მთიანია, ამაღლებული და ხშირი ტყით დაფარული; მიდიის დანარჩენი ნაწილი-კი სრულიად ვაკეა“ (I, 110). თუ ამ ცნობებს დავუკავშირებთ სამეცნიერო მწერლობაში შემჩნეულსა და საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომ სასპეჟრების სახელმა თავი შემოინახა ძველი ქართული პროვინციის, — ბაგრატიონთა განთქმული გვარის სამშობლოსა და დომენის, — „სპერის“ სახელწოდებაში, რომელიც კარგად არის დადასტურებული ძველს ქართულსა და სომხურ წყაროებში, უფლება გვექნება დავასკვნათ, რომ მეექვსე-მეხუთე საუკუნეების მ იჯნაზე სასპეჟრებს უჭირავთ ევფრატის სათავეები და არზრუმის მხარე, მიახლოებით — ერზინჯანამდე, ჭოროხის აუზის ზემოთა ნაწილი, არაქსის აუზის მთელი ზემოთა და შუა ნაწილი და, საფიქ-

რებელია, რომ მერმინდელი იბერიის, საკუთრივ ქართლის, უმნიშვნელოვანესი ნაწილიც. იქნებ უკვე იმ დროს სასპეჟრების გავლენა კავკასიონამდე სწვდებოდა; ეს საგულისხმებელი ხდება ჰეროდოტეს რიგი ცნობების შედარებითი ანალიზის ნიადაგზე: კავკასიონამდე ყველა ხალხი აღიარებს სპარსელების ხელმწიფებას, ხოლო იმავე დროს კოლხების გვერდით და კოლხებსა და მიდიელებს შუა, ჰეროდოტეს მტკიცებით, მ ხ ო ლ ო დ სასპეჟრები ცხოვრობენ; მაშასადამე, პირველი მტკიცებაც სპარსელების გავლენის ქვეშ მყოფ სასპეჟრებს უნდა გულისხმობდეს, კოლხებთან ერთად. სასპეჟრების ტერიტორიის განსაზღვრებისათვის ჩვენ ქვემოთ ვუჩვენებთ დამატებითს მასალას.

უკვე ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით აშკარა უნდა იყოს, რომ ჰეროდოტეს სასპეჟრები მ ე რ მ ი ნ დ ე ლ ი ბ ე რ ძ ე ნ ი მ წ ე რ ლ ე ბ ი ს ი ბ ე რ ე ბ ი ა რ ი ა ნ. არავითარი სხვა რაციონალური ახსნა არ შეიძლება მოვუძებნოთ არც იმ კითხვას, თუ ვინღა უნდა იყვნენ სასპეჟრები და სად გაქრნენ ისინი შემდეგში ასე უკვალოდ, უკეთუ მათ მხოლოდ სახელი არ გამოიცვალეს „იბერებად“, არც იმ კითხვას, თუ საიდან გაჩნდნენ ასე მოულოდნელად ეს იბერები.

მაგრამ ამ გაიგივებას მხარს უჭერს სატომო სახელების ანალიზი, რომელსაც ერთი ფუძიდან გამოჰყავს ორივე სახელი. ჩვენ აღარ გავიმეორებთ სათანადო მსჯელობას, რომელიც სხვა ადგილას იყო მოცემული „იბერის“ ისტორიის გარშემო[1]. აქ გვინდა დავუმატოთ ზოგიერთი ახალი მოსაზრება.

ჰეროდოტეს შემდეგ ახალი ცნობა სასპეჟრების შესახებ მოეპოვება ქსენოფონტეს, რომელმაც პირადად გაიარა 401 წ., ძვ. წ., მატიენ-სასპეჟრების ქვეყანა. ქსენოფონტეს ცნობიდან ჩანს, რომ გასული ერთი საუკუნის განმავლობაში ამ მხარეებში ბევრი რამე გამოცვლილა. სხვას რომ თავი დავანებოთ, აღსანიშნავია შემდეგი: სასპეჟრები კვლავ განაგრძობდნენ სპარსელებისაგან დამოკიდებულებაში ყოფნას; ალბათ სწორედ ამ ხანგრძლივი სპარსული გავლენის შედეგად სასპეჟრების სამხრეთი, ჩანს, რამდენადმე მოშლილა — მათგან გამოყოფილნი უნდა იყვნენ ქსენოფონტეს მიერ ცალკე მოხსენებული ტაოხები, რომელნიც მერმინდელ ტაოს უკავშირდებიან, და ფასიანები, რომელნიც მდ. ფასიდს, ამ შემთ-

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი; „ურარტუ“: ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937 წ., № 10.

ხვევაში — არაქსს, უკავშირდებიან. ამასთან უაღრესად საყურადღებოა, რომ სასპეჯრების სახელი ქსენოფონტეს ახალი ფორმით აქვს მოცემული: იგი ამბობს, რომ ლაშქრობის დროს „ფასიანებსა და ჰესპერიტებს ტირიბაზი“ სარდლობდაო (VII, თ. 8, § 25).

შემდეგ საჭიროა აპოლონი როდოსელის (III ს., ძვ. წ.) ჩვენებაც მოვიგონოთ, რომლის თანახმადაც „საპეჯრები“ ბეხეჯრებსა და ბუზერებს შორის ცხოვრობენ („არგონავტიკა“, II, 394—396); სხვა ადგილას აპოლონი ამ ხალხს „ამაყ საპეჯრებს“ ეძახის და იმავე ტომებს შორის, იმავე ადგილას (შავი ზღვის სანაპიროზე, სამხრეთ კოლხეთში) ათავსებს (იქვე, II, 1243). აპოლონი, რათქმაუნდა, იმეორებს რომელიღაც უფრო ძველ წყაროს.

სასპირთა ქვეყნის სახელწოდებას, რამდენადმე განსხვავებული ფორმით, იცნობს სტრაბონიც. არმენიების წარმოშობის ისტორიაში იგი ამბობს, რომ არმენიების მამამთავრის, არმენის, თანამგზავრებმა დაასახელეს აკილისენა და სჯსპირიტიდა კალახანამდე და ადიაბენამდე (XI, თ. 4, § 8). ამავე ცნობას ახალი რედაქციით სტრაბონი იმეორებს სხვაგან: „არმენის თანამგზავრთაგან ზოგმა დაიკავა აკილისენა... ხოლო სხვები დასახლდნენ სჯსპირიტიდაში კალახენამდე და ადიაბენამდე არმენიის საზღვრებს გარეთ“ (XI, თ. 14, § 12). მესამე ადგილას კიდევ სტრაბონი ამბობს: „სჯსპირიტიდაში კაბალასთან არის ოქროს მაღაროები, სადაც გაგზავნილი იყო, ალექსანდრეს მიერ, მემნონი ჯარისკაცებითურთ, მაგრამ მკვიდრმა მცხოვრებლებმა ის უკუაგდეს“-ო (XI, თ. 14, § 9). ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სჯსპირიტიდას ქვეშ სტრაბონი ასწერს იმავე „სასუბარო“-ს, გარდმონაშთის სახით ძველ-ქართულ პროვინცია „სპერ“-ში თავ-შემონახულს [1].

---

[1] ეს წერილი უკვე მზად იყო, როცა შევნიშნეთ, რომ არსებითად ანალოგიურ შეხედულებას სასპეირ-საბერეებზე იცავდა თურმე თავის დროზე კავკასიის ცნობილი მკვლევარი პ. უსლარი თავის Древнейшие сказания о Кавказе-ში (Т. 1881). აქ ვრცელი მსჯელობაა მიძღვნილი იმის დასამტკიცებლად, რომ ჰეროდოტეს სასპეირები, სტრაბონის სისპირიტიდა, სპერი ერთსადაიმავე ობიექტს განეკუთვნება. ეს იგივე ისტორიული იბერიაა. ძალიან საყურადღებოა, რომ ავტორი ჰეროდოტეს სასპირ-საბირს ქართულ „საიბერო“-თი ხსნის. ამასთან ერთად, კავშირი „სასპირსა“ და „იბერს“ შორის უსლარს „საეკვო გუმანის“ ფორმაში აქვს გამოთქმული. „იბერიას“ კიდევ იგი „იმერეთისგან“ აწარმოებს. სასპირები მერმინდელი ქართველები არიან და უეჭველია ისინი ამიერ-კავკასიაში ცხოვრობდნენ. ეს სახელწოდება ჰეროდოტეს, საფიქრებელია, სპარსული წერილობითი წყაროებიდან აქვს ამოღებულიო (გვ. 298—305, 524—526, 536—7). უსლარს აღნიშნული აქვს, რომ ჰეროდოტეს თხზულების სხვადასხვა ხელნაწერში გვხვდება „სასპეირ“ ფორმის გარდა აგრეთვე „საპეირ“ და „საპეირ“-ია.

აგრეთვე ძველი წყაროს არა ნაკლებ საყურადღებო ცნობის გამოყენება უნდა გვქონდეს ჩვენ ევსევი კესარიელთან (IV ს. პირვ. ნახევარი, ახ. წ.), რომელიც, ჩამოსთვლის რა ნოეს მესამე შვილის, იაფეტისაგან, შთამომავალ ტომებს, ამბობს: „ეს არიან ტომები ნოეს მესამე ძის, იაფეტისაგან, მიდიიდან ვიდრე სპერიამდე (ad Speriam) ოკეანეს მხრიდან აკვილონამდე ვრცელდებიან შემდეგნაირად“... შემდეგ ჩამოთვლილია ძველი ხალხებისათვის ცნობილი ტომები აზიისა და სკვითია-სარმატიისა, ისევე როგორც ამ ტომების ქვეყნები (SC I, 667). აღნაგობა, თავისთავად ცხადია, მთლიანად ხელოვნურია, სახელწოდება „სპერიაც“ მწიგნობრული წარმოშობისა უნდა იყოს თვით ევსევისათვის და, როგორც მიდიასთან მისი შეპირისპირებიდან შეიძლება დავასკვნათ, იქნებ ჰეროდოტესავე ცნობის ნაგვიანევ გადამუშავების ნაყოფი იყოს. ჩვენთვის საინტერესოა ამ შემთხვევაში მხოლოდ სიტყვის ფორმა, რომელსაც სავსებით მხარს უჭერს ისტორიულ ხანამდე შემონახული ადგილის სახელწოდება „სპერი“, არაბულ-თურქულ ენობრივ წრეში სახეცვლილი უკვე „ისპირ“-ად (ამ ენების წესის თანახმად, რომელიც ვერ ითმენს თანხმოვანთა თავმოყრას სიტყვის დასაწყისს; შდრ. „ახლათი“ — ხლათი, „სუხუმი“ — ცხუმი და მრავ. სხვა)[1].

ზემოთმოტანილი ფაქტების ენობრივი განმარტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტეფანე ბიზანტიელის, გვიანდელ-რომაული ხანის მწერლის, ჩვენებას. თავის ლექსიკონში „საპეჲრ“ სიტყვის ქვეშ სტეფანე ამბობს: „საპეჲრები — ხალხია პონტოს მხარეში, რომელიც ამჟამად იწოდება β-ს მეშვეობით საველრებად (Σάβειρες)“. თუ სტეფანე აქ იმეორებს რომელსამე ძველ წყაროს, მაშინ შესაძლებელია ბეტას აქ ქართული ბანის ფონეტიკური მნიშვნელობაც ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, ვინიანი ფორმაც ჩვენთვის მეტად საყურადღებოა: იგი გვაგულისხმებინებს, რომ ან „π“ ჰეროდოტე-ქსენოფონტე-სტრაბონის ფორმებში ადგილობრივ მჟღერს, ბ-ს გადმოსცემდა, რაც შეუძლებელი სრულებით არ არის და რაც ჩვენ უფრო მოსალოდნელად მიგვაჩნია, ან პარია-

(გვ. 524). ჩვენს ხელთ არსებულ გამოცემებში (კალენბერგის გამ. „ტოიბნერის ბიბლიოთეკაში“, 1911 და კროიცერ-ბერის გამ., 1856) ასეთი საკითხავები არ მოიპოვება. უსლარს ამ შეხედულებები ჰქონია მრავალი წინამორბედი ჰყავდა, მაგრამ საკითხის ისტორიის შესახებ დაწვრილებით — სხვაგან.

[1] ევსევის ცნობა იმ მხრივაც საყურადღებოა, რომ სპერია სასუბაროს ძველი ისტორიული მნიშვნელობის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს, რაკი აქ ამ-გვარი რეალური მსაზღვრელის როლში გამოდის.

ნი ფორმის გვერდით არსებობდა ბანიანი ფორმაც, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს სავირ-სავეჲრი.

ბანიან ფორმის ოდინდელ არსებობას გვაგულისხმებინებს სტეფანეს დაწერილობის გრაფიკული ტრადიციაც (ბეტა = „ვ“ ←„ბეტა = „ბ“), რადგანაც თავისი დროის გამოთქმის „ვ“ სტეფანეს შეეძლო „ου“ ჯგუფითაც გადაეცა, მის მიერ დაცული ფორმა რომ მართლაც გვიანდელ რომაულ ხანაში იყოს წარმოშობილი.

ამრიგად, თუ მარტოოდენ გრაფიკული მონაცემებიდან ამოვალთ, მივიღებთ შემდეგს პარალელურ ფორმებს ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების ფუძისათვის.

ხ ა ლ ხ ი ს ა ღ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ა დ:

სასპეჲრ- (ჰეროდოტე)
(ჰ)ესპერ-იტ- (ქსენოფონტე)
საპეჲრ- (აპოლონი როდოსელი, სტეფანე ბიზანტიელი)
სავეჲრ- (სტეფანე ბიზანტიელი).

ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს ა ღ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ა დ:

სჷსპირ-იტ- (სტრაბონი)
სპერ-[ია] (ევსევი)
სპერ-[1] (ქართული და სომხური ისტორიული წყაროები)
ისპირ- (თურქული წყაროები).

ამ ფორმების ურთიერთშედარება ცხადჰყოფს, რომ ზოგ მათგანს დამატებითი აფიქსაცია ახასიათებს. თავ-ფუძე თანხმოვნების სახით წარმოგვიდგება:

ს ბ რ (ს პ რ) || **ს ვ რ**

ხმოვნების თვალსაზრისით-კი ფუძე წარმოგვიდგება არა მარტო ვარიაციებში: **ეჲ, ე, ი,** არამედ შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმებითაც:

შ ე კ უ მ შ უ ლ ი	შ ე უ კ უ მ შ ა ვ ი
-სპეჲრ- (ჰეროდოტე)	საპეჲრ- (აპოლონი, სტეფანე)
-სპერ- (ქსენოფონტე)	სავეჲრ- (სტეფანე).
-სპირ- (თურქ.)	
სპერ- (ქართ. - სომხ.)	
სპერ- (ევსევი).	

[1] ეს ფორმა წარმოშობით ქართული არ უნდა იყოს. იგი, ალბათ, ძველი ბერძნული ტრადიციისაგან მომდინარეობს და არაქართულსავე ენობრივ წრეში უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოცემული საზით.

ადვილად შესამჩნევია, რომ შეკუმშული ფორმები მეტწილად პრეფიქსით გართულებულ ფუძეებთან გვხვდება: სასპეჲრ- (ჰეროდოტე), ჰესპეჲრ- (ქსენოფონტე), სჷსპირ- (სტრაბონი). გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ამ მხრივ, ქართულ-სომხურ ფორმას (და, უეჭველია, მისგან დამოკიდებულს ევსევისეულსაც), რადგანაც ის ბევრად უფრო ნაგვიანევი ხანისაა. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ რედუქცია მოცემულ შემთხვევებში პრეფიქსის ზეგავლენის შედეგია და უძველესი სწორედ შეუკუმშავი ფორმა უნდა იყოს. თუ რომელი ხმოვანია აქ ამოღებული რედუქციის შედეგად, ამას აპოლონი როდოსელის ჩვენება, სტეფანეს მოწმობით განმტკიცებული, გვირკვევს: ეს ან იგივე ა უნდა იყოს, ან უკანასკნელის შემცვლელნი ო || უ, როგორც ამას ხშირად ვხვდებით წინა აზიის ძველ ეთნიკაში (ურარტუ || ალაროდი || არარატი, თაბალი || თობელი || თუბალი და მრავალი სხვა[1]). იგივე წყარო გვიდასტურებს, რომ აღნიშნულ ხმოვნებს ენაცვლებოდა ი-ცა და ე-ც[2]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უძველეს ცნობებში უკანასკნელი მარცვლის ეჲ, ე და ი ხმოვნიანი სახეები ძირითადად მიგვაჩნევინებს ე-ს — უფრო ძველი დროისათვის — და ი-ს — მერმინდელი ხანისათვის, მაშინ ჩვენი სატომო სახელის შემდეგს პირდაპირ დადასტურებულს ან სავარაუდო ფორმებს მივიღებთ:

საბერ || სობერ || სუბერ || სიბერ || სიბირ
საერ || სოერ || სუერ || სიერ || სივირ

წარმოდგენილი ფორმების მეშვეობით ეს სახელი-კი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად უკავშირდება უფრო ძველს „თაბალ“-„სუბარ“-სა და მერმინდელს სახელს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისას, რომლითაც უკანასკნელი მეზობელ ხალხებშია ცნობილი:

იბერ (ძველი ბერძნული მწერლობა),
ივერ || ივირ (გვიანდელ-ბერძნული და ბიზანტიური მწერლობა),
ჰიბერ (რომაული მწერლობა),
(ი)ვირ(ქ) (სომხური მწერლობა).

---

[1] რედუქცია ქართველური ენების ნიშანდობლივი მოვლენაა და მოსდის თითქმის ყველა ხმოვანს. იხ. პროფ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სესია, 1939 წ. 27—30. IX, დღის წესრიგი და მოხსენებათა თეზისები“, თბ. 1939, გვ. 24—25.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი.

ჩვენ აქ აღარას ვამბობთ სხვა (ასურულ, სპარსულ...) ფორმებზე, რომელნიც, როგორც ჩანს, მოცემულ ფუძის კიდევ უფრო გვიანდელ განვითარებას წარმოადგენენ. „საბერ“ და მისი სახესხვაობანი, ამრიგად, თუბალის კანონზომიერი ვარიაციების მწკრივში დგებიან.

მაშასადამე, სასპერ-საბერების იდენტიფიკაცია მერმინდელ იბერებთან არა მარტო ისტორიულად არის აუცილებელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, არამედ ენობრივადაც მისაღებია.

წმინდა ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა არა მარტო ფუძე, არამედ მისი თანმხლები გამაფორმებელი ელემენტები. ზემოთმოტანილი ფორმების ჩაკვირვება გამოჰყოფს პრეფიქსულსა და სუფიქსურ ფორმატივებს.

ჰეროდოტეს, ქსენოფონტესა და სტრაბონის მოწმობანი გვაძლევენ პრეფიქსს: **სა** || **ჰე** (თუ: **ე**) || **სკ** (თუ: **სუ** || **სო**). არა გვგონია შევცდეთ, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ ქართულში ვპოულობთ ამ პრეფიქსის გასაღებს.

ჰეროდოტეს ფორმაში, კერძოდ, იგივე ქართ. **სა-** უნდა გვქონდეს, რომელიც ისტორიულ ხანაშიაც აწარმოებს ტომის, ხალხის ადგილსაცხოვრისის სახელწოდებას: სა-ქართველ-ო, საფრანგ-ეთი. ამავე პრეფიქსის ქართველური ვარიაციების გადმოცემა უნდა იყოს **ჰე** და **სკ** (უკანასკნელს შდრ. სომხეთი — სომეხეთი?). მაშ უნდა მივიღოთ, რომ ჰეროდოტეს (და, შესაბამისად, ქსენოფონტეს და სტრაბონისაც) ფორმა არსებითად ქვეყნის, სახელმწიფოს სახელწოდებაა, თვით მოსახლეობაზე გადატანილი. ასეთი შეცთომა, რომლის წყარო და გავრცელების გზები ჩვენგან ორი ათას ხუთასი წლითაა დაშორებული, ვერ გაგვაკვირვებს, თუ მოვიგონებთ, რომ მსგავსი ლაფსუსები ჩვენს განათლებულ დროშიაც მოსდით ხოლმე. წარმოდგენილ განმარტებას მხარს უჭერს მოცემული ფორმების სუფიქსური ელემენტების განხილვა. ქსენოფონტესთან, როგორც ვნახეთ, ფუძეს წაერთვის ფორმანტი **-იტ** (Ἐσπεριτῶν, გენ.). ეს უფრო ის ბერძნული დაბოლოება უნდა იყოს, რომელიც ქალაქის თუ ადგილის სახელიდან მცხოვრების სახელწოდებას აწარმოებს და რომლის მაგალითებსაც, კერძოდ, იგივე სტეფანე ბიზანტიელი გვაძლევს თავის ლექსიკონში სათანადო სიტყვების ქვეშ, როგორც, მაგ.: 1) „პჳენის“, კოლხების ქალაქია; მცხოვრებთა სახელწოდება — პჳენიტეს (იმ სახელწოდებათა წესის თანახმად, რომელნიც თავდებიან „-ის“-ზე), 2) „ტ ა ნ ა ი ს“, ქალაქია, მდინარის თანამოსახელე... მოქალაქე — „ტანაიტეს“...

3) „ტკრას“, ქალაქია და მდინარე ევქსინის პონტოსთან; ტკრასიდან მცხოვრებთა სახელი უნდა ყოფილიყო „ტკრატეს“, მაგრამ პოლიისტორი ქალაქსა და მდინარეს უწოდებს ტკრასს, ხოლო მცხოვრებლებს — „ტკრანოჲ“. არის „ტკრიტეს“-იც, თითქოს „ტკრის“-იდან, 4) „ფასის, ქალაქია აიასი მდ. ფასისთან კოლხიდაში... მცხოვრებთა სახელი უნდა ყოფილიყო „ფასიტეს“..., ან „ფასიატეს“, პლეონასტური ა-თი, და ასედაც ამბობენ“-ო. თუ ქსენოფონტეს ფორმას ამ წარმოშობისად მივიჩნევთ, მაშინ მივიღებთ საყურადღებო დასკვნას, რომ „ჰესპერ“-ი ქსენოფონტესა თუ მისი წყაროებისათვის სწორედ ქვეყნის სახელი იყო.

კიდევ უფრო საინტერესოა სტრაბონისეული ფორმა სუფიქსაციის თვალსაზრისით. სტრაბონისეული ფორმა, „სკსპირიტის“, საერთოდ სწორედ ადგილის სახელია, ბერძნული დაბოლოებით (სტრაბონისეული წარმოების ფუძე, გენეტივის საშუალებით, უნდა აღდგენილ იქნას როგორც „სკსპირიტიდ-“). ხოლო მოცემული ნაწარმოები ფუძის ფუძედ დაგვრჩება, — ისე როგორც „კოლხ“ „კოლხ-ის“-ში, — „სკსპირიტ“-ი. ეს ფუძე ან ქსენოფონტეს ფორმის მსგავსი წარმოებიდან მომდინარეობს[1] და ადასტურებს ზემოთმოტანილ მსჯელობას ქსენოფონტესეული ფორმის შესახებ, ან არა-და, შესაძლებელია, სხვა, დამოუკიდებელი წარმოების ნაყოფი იყოს. უკანასკნელ შემთხვევაში მოცემული ფუძე ყველაზე ადვილად ქართ. სა-სპირ-ეთ-ის, სომხ-ეთ = სომხ-ით-ის და მრავ. სხვ. მსგავსი წარმოების ნაყოფად უნდა ჩაგვეთვალა და მივიღებდით, რომ ბერძნულ მწერლობაში დაცულია ამ სახელწოდების როგორც ქართული პრეფიქსი, ისე ქართული სუფიქსიც (-ეთ, -ით).

ამ ენობრივი ფაქტების დადგენა ჩვენთვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ბერძნული ფორმის „ალაროდ“-ის განმარტება, რომელიც აგრეთვე ჩვენი მსჯელობის მიმართულებას უჭერს მხარს: აქ რომ იგივე „ურარტუ“ || „არარატი“ გვაქვს, ეს საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ ბერძნული ფორმის სახესხვაობის ახსნა ყველაზე ადვილი უნდა იყოს ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი დისიმილაციის წესების ნიადაგზე, განსაკუთრებით — ქართული ენისათვის ნიშანდობლივი დისიმილაციის მექანიზმის მეშვეობით, რადგანაც ქართულში გვხვდება როგორც

[1] ანალოგიურ შემთხვევას გვიჩვენებს სტეფანე ბიზანტიელი თავის ლექსიკონში სათანადო სიტყვის ქვეშ: „ხალკის“... არის ქალაქიც „ხალკის“ სკვითეთში, რომლის მოქალაქენიც იწოდებიან „ხალკიტაჲ“ და მხარე, — „ხალკიტის“.

პროგრესული, ისე რეგრესული განმსგავსება ბგერებისა[1]: პირველს უნდა აეხსნა ხმოვანთა ცვლილება (ა → ო; ეს ცვლილება ჩვეულებრივი ხასიათისა არ არის, რათქმაუნდა), ხოლო მეორეს — თანხმოვანთა ცვლილება (ლ ← რ) „ალაროდ"-ში[2].

ამრიგად, ხიდი, რომელიც აერთებს ისტორიულ იბერია-ქართლს ძველს აღმოსავლეთთან, შუქდება ლიტერატურული წყაროების სინათლით, ჩვენ ვფიქრობთ, სრულიად უცილობლად. უნდა დავასკვნათ, რომ ქართლი, მცხეთა-არმაზის სამეფო, მხოლოდ ახალი პოლიტიკური წარმონაქმი იყო იმ ხალხისა, რომელიც მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში საპეჯრ-საბეჯრის სახელით კარგად ცნობილი იყო ბერძნებისათვის და რომელიც მაშინ თავისი სამხრეთი საზღვრით ჯერ კიდევ დიდად არ იყო დაშორებული თავის დედასამშობლოს. დიდმნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიისათვის, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში წინა აზიის ძირეული ტერიტორიის (წინა აზია მცირე აზიისა და არაბეთის ნახევარკუნძულის გამოკლებით) ოთხი უდიდესი ხალხიდან (სპარსელები, მიდიელები, სასპეჯრები, კოლხები) ორი — კოლხები და სასპეჯრები — ქართული მოდგმისა იყო.

სახელწოდება საბერ-სავირი თ'აბალ-თუბალის ჯგუფს ეკუთვნის და ის ისტორიული სურათი, რომელიც აქ წარმოდგენილია საბერ-სავირის გარშემო, აღავსებს თაბალ-თუბალის მოდგმის ისტორიას და სავსებით ეთანხმება ამ უკანასკნელს[3]. ამ მრავალსახოვანი ეთნიკური სახელწოდების აქ დადგენილი ფორმა ახალ ინტერესსაც შეიცავს: იგი მჭიდროდ უახლოვდება ტერმინს სუბარ-ულს, რომელითაც, უნგნადისა და იენსენის შემდეგ, ახალ ორიენტალისტიკაში უპირატესად აღნიშნავენ მიტანი-ენას ანუ მიტანიურს. ამის საფუძველი ის არის, რომ ძველ-აღმოსავლურ სილაბარებში მიტანიური სიტყვები სუბარულად იწოდება. სუბარებს გეოგრაფიულად შეესატყვისება ბაბილონელთა ძველი კოსმოლოგიის სუბარტუ. ამ კოსმოლოგიით მსოფლიო

---

[1] იოსებ ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, № I, 1919—1920 წ.

[2] რეგრესული დისიმილაციისათვის შდრ. ი. ყიფშიძისავე მაგალითები: ოლარი—ბერძნ. ორარიონ-იდან; ალაჯორი—სომხ. არაჯჯორ-იდან, წრეულს—წლეულს.

[3] იხ. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი.

ოთხ დიდ ნაწილად იყოფა: აკკადი, ამურრუ, ელამი და სუბარ-ტუ [1]. ბლაიხშტაინერი სუბარებს ტაბალებისა და მუსკების ახლო მონათესავედ სთვლის და თვით სახელწოდება სუბარტუ-ში გა მოჰყოფს სუფიქსს -**ტუ**-ს, რომელსაც ქართულ -**თი**-ს უახლოებს [2]. ასევე ავტორი **სუ**-ს პრეფიქსად სთვლის და, ამრიგად ფუძე: **ბარ**-ს გამოჰყოფს, ამავე ძირისაა ი-მერ ← ი-ბერ და მუს-კუ || ბა' (ა-ბას-გ)-იო. „ამრიგად, — 'დაასკვნის ბლაიხშტაინერი, — თუ შეცთომაში არ შევყავართ ამ სიტყვათშედარებებს, რომელნიც გასაოცარი არიან იაფეტური ბგერათცვლილების თავისებურებით, სუ-მერ, სუ-ბარ და ტი-ბარ || იბერ-ში, მათი მონათესავე ბას-კ || მუს-კ-ითურთ, მოცემულია ერთგვარი იაფეტიანი ხალხების სამი ნაკადი, რომელნიც სხვადასხვა დროს იჭრებოდნენ შუამდინარეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში"-ო' [3]. შემდეგ ბლაიხშტაინერი ცდილობს უჩვენოს სუბარულისა და ქართველური ენების სიახლოე, უპირატესად საკუთარი სახელების ანალიზზე.

ჩვენთვის აქ ამჟამად ის არის საყურადღებო, რომ სუბარს [4] მიტანის სამყაროსაკენ მივყავართ. ჩვენ-კი ზემოთ ისტორიული ჩვენებების ნიადაგზე დავრწმუნდით სასპეჯრ-საბირებისა და მატიენების, იმავე ძველი მიტანიელების, უშუალო მეზობლობასა და ახლო კავშირში როგორც ურთიერთ შორის, ისე, მესამე მხრით, ალაროდიელებთან. ჯერ კიდევ მეექვსე-მეხუთე საუკუნის მიჯნაზე ეს კავშირი რეალურად შესაცნობი იყო და მასზე იყო დამყარებული დარიოსის მე-18 საგამგეო ოლქის სტრუქტურა. ოდესღაც ერთიანი ხალხი ისტორიულ ქარტეხილებს სამ დიდ ნაწილად გაუპია. ცალკე გამოთიშულან და დასავლეთისაკენ გარიყულან, იმავე მიზეზების წყალობით, თაბალ-თუბალისავე ნაშიერი ტიბარენები და სხვები, ვინც მათ უახლოესად ენათესავებოდა და ემეზობლებოდა. საერთო სამშობლო ამ ტომებისათვის მიტანი ჩანს.

მიტანი სულ უფრო და უფრო იპყრობს ყურადღებას ორიენტალისტებისას, რომელნიც ამ ქვეყანასა და მის ხალხს სულ უფრო და უფრო მეტ წონასა და მნიშვნელობას აძლევენ ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. თუ შევაჯამებთ იმას, რასაც მიტანის შე-

[1] იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი.

[2] იქვე, 185—186.

[3] იქვე, 187—190.

[4] ძალიან საყურადღებოა, რომ ერთი ძველი ცნობით, კოლხეთის დედა-ქალაქს „სუბარისი" || „სუბარისი" ეწოდებოდა. ხომ არა გვაქვს ჩვენ აქ იმავე **სატომო** სახელის ნაყარი? იხ. დიოდორე სიცილიელი, IV, 48 (დიოდორე კოლხების დედა-ქალაქად სუბარისს ასახელებს არგონავტების შესახებ მოთხრობაში).

სახებ ამბობენ თანამედროვე საუკეთესო ორიენტალისტები, მივიღებთ, რომ მიტანი არის წინა აზიის უძველესი ბინადარი მოსახლეობის, ახლო აღმოსავლეთის ენდემური კულტურის შემქმნელი ხალხის, ძირითადი კერა მეორე ათასეულში, ძვ. წ., ის სამყარო, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შევიწროებულია სემიტების მიერ, ხოლო დასავლეთიდან — ინდოევროპელების მიერ (თუ გამართლდება ინდოევროპეისტების ჰიპოთეზი ნესიტების ინდოევროპულობის შესახებ). მიტანი ამ გაგებით შეიცავს ხეთასაც, რამდენადაც ამ უკანასკნელში ჩვენ ადგილობრივი, მკვიდრი სამყაროს შინაარსსა ვსდებთ. ამასთან ერთად, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მიტანის სხვადასხვა სახელით იცნობენ მისი მეზობლები.

აი, რას ამბობს ამ საგნის შესახებ თანამედროვე ბურჟუაზიული ორიენტალისტიკის ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი, გეტცე: „მეორე ათასეულის ამოცანის გადაწყვეტის ცდისას ნიადაგ და ყოველი მხრით ვხვდებით ერთსადაიმავე პოლიტიკურსა და კულტურულ სიდიდეს, მიტანი-სახელმწიფოს. აშკარაა, რომ 1800—1400 შუა საუკუნეებში იგი წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოა. წინა აზიის ცენტრი, შეიძლება დავასკვნათ, მაშინ უნდა ყოფილიყო ზემო მესოპოტამიაში“ [1]. „სახელი მიტანი-სახელმწიფო მხოლოდ პოლიტიკური ცნებაა. ბოღაზქოის ხეთებისათვის (ე. ი. ინდოევროპელი ხეთებისათვის ანუ, უფრო სწორედ, ნესიტებისათვის, ს. ჯ.) მიტანი-სახელმწიფო ერთ-ერთი ქვეყანაა მრავალი ხური-ქვეყნიდან ისევე, როგორც არსებობს რამდენიმე (mehrere) ხატი- და რამდენიმე არზავა-ქვეყანა. უმთავრესად სახელი ხურის მეშვეობით აღინიშნება საერთოდ ხური-ქვეყნებისა და, განსაკუთრებით, მიტანი-ქვეყნის ხალხი და ენა“ [2]. შემდეგ გეტცე განსაზღვრავს ხური-ქვეყნების ტერიტორიას: ჩრდილოეთ სირიის გარდა მას ეკუთვნის აგრეთვე ორი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მხარე — მიტანი-სახელმწიფო და ხური-ქვეყანა ვიწრო მნიშვნელობით; უკანასკნელის არსებობა გეტცესათვის ეჭვს გარეშეა, ასეთი მოსაზრება წყაროების მკაფიო ჩვენებაზეა დამყარებულია. რამდენადაც შესაძლებელია ამის განსაზღვრა, ხური-ქვეყანა მდებარეობს ძველი აღმოსავ-

[1] Albrecht Götze, Hethiter, Churriter und Assyrer. Hauptlinien der vorderasiatischen Kulturentwicklung im II Jahrtausend v. Chr. Geb., Oslo, 1936, S. 101.

[2] იქვე, შდრ. ამავე ავტორის უფრო ადრინდელი ნაშრომი: Kleinasien, 57 შემდ.

ლური მსოფლიოს პერიფერიაზეო. მიტანი ქვეყანა ჰფარავს მთელს ზემო მესოპოტამიას კარგამაშიდან ტურ-აბდინის მხარემდე, ნიშანდობლივ ბალიხისა და ხაბურის ხეობებამდე და ნიზიბინის მხარემდე. მისი აღმოსავლეთი საზღვარი დაახლოებით ბითლის-სუსთან არის საგულვებელი. ხოლო ხური ქვეყანა ვიწრო მნიშვნელობით შეიძლება მხოლოდ მის აღმოსავლეთით იწყებოდეს. ამ ქვეყნის, თავდაპირველი ხურული მხარის ცენტრის, შუაგული ზოგადი გეოგრაფიული მოსაზრებით უნდა ვეძებოთ თითქმის მხოლოდ ვანის ტბის სანახებში და არა სხვაგან სადმეო [1]. შემდეგ, გეტცეს აზრით, მიტანისავე უდრის ასურული სახელწოდება „ნაირი-ქვეყნები“ და ეგვიპტური იგივე „ნაჰარაინი“[2]. შემდეგში მრავალი „ნაირი-ქვეყნის“ შეერთების ნიადაგზე წარმოიშვა ურარტუ [3], სადაც პირისსახელებში, სხვათა შორის, ჩვენ ვხედავთ ხურების ტაროსის ღვთაებას ტეშუპს [4]. ხურები საერთოდ, გეტცეს აზრით, წინა აზიის მთებიანი სარტყლის ხალხია; ვანის ტბის სანახები ყოველთვის მათ ცენტრად რჩებაო [5].

ხურული ენის შესახებ გეტცე ამბობს: „მიტანი-ქვეყნის ენა და ხურული ერთიდაიგივე ენაა... შემდეგ, სრულიად სარწმუნოა, რომ მისი მონათესავე უნდა იყოს ურარტული ენა, ურარტუს მეფეების ენა 900—700 წლებს შუა“ [6]. „ხურული მკვეთრად განსხვავდება წინა აზიის ყველა სხვა ნაცნობი ენისაგან, სემიტურებისაგან ისევე, როგორც ინდოგერმანულებისაგან. დამახასიათებელია სუფიქსების თავისუფალი ხმარება როგორც ზმნასთან, ისე არსებით სახელთან. აგებულების მიხედვით იგი ყველაზე ადრე მოგვაგონებს აგლუტინაციურ სუმერულს“ [7]...

დასავლეთ ევროპის თანამედროვე ორიენტალისტიკის ინდოევროპეისტული სკოლის მეორე, არა ნაკლებ ცნობილი, წარმომადგენელი ბედრიხ ჰროზნი ამბობს: „მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბოღაზ-ქოის წარწერებში აღმოჩენილია აგრეთვე ნიმუშები სხვა ენისაც, რომელიც იწოდება „ხურლილი“, ე. ი. „ხურული“. სიტყვა „ხურლილი“ განეკუთვნება „ხური“ ქვეყნისა

[1] იქვე, 102—103.
[2] იქვე, 103—104, 98.
[3] იქვე, 104.
[4] იქვე, 104.
[5] იქვე, 105—106, 128.
[6] იქვე, 108.
[7] იქვე, 107, 38.

და ხალხის სახელს, რომელსაც ხეთურ ენაში აქვს „ხურლას“ ფორმა. ხურულის ნიმუშების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ხურული არ არის არც არიული, არც ინდოევროპული ენა. როგორც ეს მე დავადგინე ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ, ხურული ენა თითქმის — თუ მთლად არა — ეიგივება მიტანი ქვეყნის არა არიულ ენას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ მიტანის მეფის ტუშრატას გრძელი, ეგვიპტეში, ტელ-ელ-ამარნაში, ნაპოვნი წერილით“ [1]. ამრიგად, ჰროზნიც უეჭველად სთვლის, რომ მიტანიური ენა იგივეა, რაც ხურული.

რაც შეეხება საკითხს თვით სახელწოდება „ხურის“ შესახებ, იგივე ჰროზნი წერს: „ხეთის სახელმწიფო არქივი ბოღაზ-ქოიში გვაცნობს ჩვენ კიდევ ორს მნიშვნელოვან ენას, რომელთა ცენტრი უფრო მესოპოტამიაში იმყოფება, ვიდრე მცირე აზიაში. ეს არიან პირველ რიგში ხურიტები ანუ, როგორც მათ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ეძახდნენ, ხარიელები. ამ სახელწოდებას კითხულობდნენ „ხარი“ და ჩვეულებრივ ფიქრობდნენ, რომ ეს სახელი ეიგივება არიელების სახელს, „არია“-ს, და რომ ხარიელები, მაშასადამე, არიელი ხალხია. ამასთანავე ჩვეულებრივად ეყრდნობოდნენ იმას, რომ იმ სახელმწიფო ხელშეკრულებებში, რომლებიც დადებულია ხეთების მიერ მიტანი-ქვეყანასა და იქ გაბატონებულ ხარიელებთან, გვხვდება აგრეთვე არიული ღვთაებანი „მითრა“, „ვარუნა“, „ინდრა“, „ნასატია“. მაგრამ მე დავამტკიცე, რომ ამ ხალხის სახელწოდება უნდა წაკითხულ იქნას „ხური“, და არა „ხარი“: მე ვიპოვე ორი ადგილი, სადაც ეს სახელი დაწერილია არა ერთი ნიშნით, რომელსაც ორი მნიშვნელობა, „ჰარ“ და „ჰურ“, აქვს, არამედ ნიშნებით „ხუ“ და „ურ“, ამიტომ შეუძლებელია ეს სახელი გავუთანაბროთ არიელების სახელს“ [2]. ხურიტების გავრცელებისა და პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობის შესახებ ჰროზნი ამბობს: „ხურიტების მიერ დასახლებული იყო, უმთავრესად, ქვეყნები ხური და მიტანი, რომელნიც, ჩემი აზრით, უნდა ვეძიოთ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. მიტანის ქვეყანა მდებარეობდა მდინარეების ხაბურისა და დიაგდიაგის მხარეში; შემდეგში სელევკიდებმა მას მიგდონიის ახალი სახელი მისცეს“. ხური ქვეყანამ თავისი სახელწოდება მიიღო ალბათ ხური || ხურა ქალაქისაგან, რომელიც

[1] Проф. Б. Гровный, Хеттские пароды и языки: „Вестник древней истории“, 1938 г., № 2 (3), стр. 30.

[2] იქვე, 29-30.

ხურიტების დედა-ქალაქი იყო. ეს არის ეხლანდელი ურფა, ბერძნულად „ორჰოი“ და სირიულად „ურჰოი“, რომლის მიხედვითაც მთელს მიდამო ადგილებს შეერქვა „ორჰოენე“. გამორიცხული არ არის, რომ სახელწოდება „ხური“ არსებითად ნიშნავს „გაძოქვაბულნი“ და დაკავშირებულია მრავალრიცხოვან გამოქვაბულებთან ქალაქ ურფას მიდამოებშიო [1]. ხურიტები ცხოვრობდნენ სირიაშიაც და დროგამოშვებით ფლობდნენ არა მარტო სირიას, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც. მეორე ათასეულის პირველ ნახევარში ხური იყო ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც დაიპყრო ბევრი ქვეყანა და რომელსაც ასურელები ეძახდნენ აგრეთვე „ხანიგალბატ“-საც. სირია ხეთურ წარწერებში ხშირად იწოდება პირდაპირ „ხური“ და იგივეა ეგვიპტური „ხორ“ (უმართებულოდ „ხარუ“), რაც, მე-16 ს-იდან მოყოლებული, აღნიშნავდა პალესტინასა და სირიას. ხოლო თუ ასეთი სიტყვახმარება შეძოვიდა ეგვიპტეში ჰიქსოსების დროიდან, მაშინ ძალიან შესაძლებელია, რომ ჰიქსოსების შემოსევაც ეგვიპტეში, ბოლოსდაბოლოს, დადის ხურიტებამდე და მათ სემიტ ვასალებამდე. ხურიტების უკანასკნელი ნაშთია ძველი აღთქმის ხორიტები. მეორე ათასეულის პირველ ნახევარში ხურიტებმა დაიპირეს აგრეთვე ხეთას სახელმწიფოს ერთი ნაწილი. ამით აიხსნება ხურული რიტუალები მცირე აზიის ქალაქებში და ხურული ენის ხმარება ხეთის მეფეების სახელმწიფო არქივში. ხეთურ რიტუალებში გვხვდება აგრეთვე ხურული ლიტანიები, ლოცვები და შელოცვები, და ხეთური მღვდელთ-მსახურების დროს არაიშვიათად გალობენ ხური მგალობლები. ხურულ ენაზე არსებობდა, საფიქრებელია, საკმაოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურა, როგორც ამას ამტკიცებს ბოღაზ-ქოიში ნაპოვნი ნაწყვეტი ხურულ ენაზე გილგამეშის ეპოსისაო [2].

ემილ ფორერი-კი, თანამედროვე მახვილგონიერი ხეთოლოგი, გადაჭრით ამტკიცებს, რომ ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების ნამდვილი ფორმაა „ხარი“, რის საბუთადაც მიუთითებს ასურულ ტექსტზე, სადაც ესევე სახელწოდება გადმოცემულია როგორც „არი“. ეს უკანასკნელი ვარიანტია „ხარისა“, რადგანაც ასურელები აკლებდნენ ხოლმე ზოგჯერ თავკიდურ ხ-საო. ხეთურ ტექსტებშიაც უნდა წავიკითხოთ „ჰარლილი“ და არა „ჰურლილი“-ო [3]. გეტცე თავის უფრო ადრინდელ ნაშრომში, „მცირე

[1] იქვე, 30.
[2] ჰროზნი, დასახ. წ., 30—31.
[3] მითითებულია გეტცეს ქვემოთდასახელებულ ნაშრომში, ციტირებულ ადგილას.

აზიაში“, წერს, რომ სათანადო ლურსმული ნიშანი შეიძლება აგრეთვე როგორც „ხარი“-ც წავიკითხოთო [1]. „ხარი“ ფორმას მხარს უჭერს სახელგანთქმული ედუარდ მაიერიც და რამდენიმე სხვა მეცნიერიც [2].

მაგრამ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ სახელს რამდენიმე ფორმა ჰქონდა უკვე მაშინ, სხვადასხვა ენობრივი წრეებისდამიხედვით, ისევე როგორც გვაქვს: თაბალ-თუბალ-თობელ-ტიბარ-იბერ..., ურარტუ-არარატ-ალაროდ... და სხვა მათი მსგავსნი. საყურადღებოა ფორმა არი-ც, რომელიც ხალდი-ალდის ცნობილ პარალელს მოგვაგონებს.

ჩვენ არ ვკისრულობთ აქ იმის გამორკვევას, დაუცავს თუ არა მერმინდელს ბერძნულს ლიტერატურულ გარდმოცემას ხარი-ხური სახელი ისევე, როგორც მან შემოგვინახა მატიენა (მიტანი), ალაროდი (ურარტუ) და სხვები, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, საყურადღებო ამ თვალსაზრისით, სახელწოდება „არიანა“. ავესტის „არიანა ვაეჯო“-ს ზოგი აზერბაიჯანში იგულვებს, ზოგი ხვარაზმში. სტრაბონი, რომლისთვისაც არიანა ინდოეთის მოსაზღვრე ქვეყანაა, ამავე დროს ამბობს, რომ „არიანას სახელწოდება ვრცელდება სპარსეთისა და მიდიის ერთ ნაწილზედაც და ბაქტრიისა და სოგდეთის ჩრდილოეთ ნაწილებზედაც, რადგანაც ყველა აქაური ხალხი თითქმის არ განსხვავდება ენით“-ო (XV, 2, 8), და რომ „არიანები“ ახლოს დგანან ასირიელებთან, სირიელებთან, არმენიელებთან და არაბებთან (I, 2, 34). ხომ არ არის აქ გეოგრაფიული სახელწოდება გადანაცვლებული აღმოსავლეთისაკენ ისევე, როგორც იმავე სტრაბონის ტექსტში „მატიანა“ გამოცხადებულია „მიდიის მხარედ“ (II, 1, 14; XI, 7, 2; XI, 8, 8).

როგორც არ უნდა გადაწყდეს „არიანა“-ს საკითხი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ქართლის მოქცევის“ თხრობის არიან-ქართული წარმოადგენს მოგონებას ჰარი-ქვეყნის, რ ოგორც ქართველთა უძველესი საცხოვრის შესახებ. რეალურად აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს როგორც, მიტანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის მიდამოები, რადგანაც, როგორც ვნახეთ, ჰარი-ქვეყანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც.

---

[1] A. Götze, Kleinasien (Kulturgeschichte des Alten Orients), 1933, S. 57, A. 2.

[2] მაიერზე მითითება იხ. აგრეთვე გეტცესთან.

ენობრივად ხარი || ჰარის დაახლოებას არიანთან, ვფიქრობთ, ხელს არაფერი დაუშლის. ფუძე ამ სახელებში ერთიდაიგივეა, თუ ხ || ჰ-ს დაკარგვას შესაძლებლად მივიჩნევთ. როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. გვ. 69), „არი“ ფორმა უკვე ლურსმულ ტექსტებშია დადასტურებული. რაც შეეხება დაბოლოება -ან'ს, იგი ქართველურ ენებში კარგად არის ცნობილი [1]. რა ფუნქცია აქვს აქ ფორმანტს, აწარმოებს ზედსართავს (ყვიც-ი-ან-ი || ყვით-ელ-ი...), თუ არსებითს სახელს ეთნიკა-ტოპონიმიკას კატეგორიებიდან (ზან-ჭან-სვანი..., არტაანი, გურჯაანი, მირზაანი...), ეს ისეთი საკითხია, რომლის გადაჭრისათვის საჭირო მასალა ამჟამად ჩვენ არ მოგვეპოვება [2]. ამ საკითხს ჩვენ სხვა დროს დავუბრუნდებით, ხოლო ამჟამად თქმულების ისტორიულ მხარეზე შევაჩერებთ ჩვენს მსჯელობას.

რომ „ქართლის მოქცევის“ თხრობაში დაცული თქმულება ძველია, ამას ჩვენ ანტიკური ბერძნულ-რომაული მწერლობა გვიმოწმებს. ირკვევა, რომ ეს თქმულება ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელს ძველ ამიერ-კავკასიაში. სტრაბონი, მაგ., ამბობს: კირსილე ფარსალიელისა და მედი ლარისაელის სიტყვით, რომელნიც ალექსანდრეს ლაშქრობაში მონაწილეობდნენ, არმენიას ეს სახელი ეწოდა არმენის მიხედვით (აქ იგულისხმება იასონის ერთი თანამგზავრთაგანი, ს. ჯ.). არმენის თანამგზავრთაგან ზოგმა დაიკავა აკილისენა, რომელიც მანამდე სოფენელების ხელქვეით იყო, სხვები კი დასახლდნენ სისპირიტიდაში კალახენასა და ადიაბენამდე, არმენიის საზღვრებს გარეთ (წ. XI, თ. 14, § 12). მეორე ადგილას სტრაბონი, ზოგიერთი მომენტის განვრცობით, მოგვითხრობს შემდეგს: ამბობენ, რომ იასონმა, თესალიელ არმენთან ერთად, თავის მოგზაურობის დროს კოლხიდაში მიაღწია კასპიის ზღვას, გაიარა იბერია, ალბანია, არმენიისა და მედიის ბევრი ნაწილი, როგორც ამას მოწმობს იასონის სალოცავები და მრავალი სხვა ძეგლი. არმენი იყო თითქოს ქალაქ არმენიიდან, — რომელიც მდებარეობს ბოიბეიდის ტბის გარშემო, ფერებსა და ლარისას შორის, — ხოლო მისი ამხანაგები თითქოს ცხოვრობდნენ აკილისენასა და სისპირიტიდაში, კალახანასა და ადიაბენამდე; თვით არმენის სახელის მიხედვით ქვეყანასაც არმენია ეწოდა

[1] იხ. ს. ჯანაშია, თაბალ-თუბალი...

[2] „არიან“ ფორმის სინტაქსური ადგილი და ფუნქცია ჩვენს ტექსტში (კერძოდ, ის გარემოება, რომ იგი მიემართება როგორც „ქართლს“, ისე „ქართველებს“) თითქოს უფრო ზედსართაული წარმოების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

(წ. XI, თ. 4, § 8; ცნობა არმენის წარმოშობის შესახებ განმეორებულია ზემოთციტირებულ თავშიაც). ცნობა იასონის სალოცავების შესახებ სტრაბონს უფრო დაწვრილებით გადმოცემული აქვს მე-14 თავში: „იასონის ლაშქრობას მოწმობს იასონის სალოცავები, რომელთაგანაც ზოგი აგებულია დინასტების მიერ, როგორც მაგალითად იასონის ტაძარი აბდერაში აგებულია პარმენიონის მიერ“ (წ. XI, თ. 14, § 12).

ეჭვი არ არის, რომ თქმულება არგონავტების შესახებ, საერთოდ, და, კერძოდ, მისი აქ მოტანილი ნაწილი მრავალი სხვადასხვადროისა და წარმოშობის ფენითაა შემოგარსული. ამ მრავალკეც გარეშრეების ქვეშ ისტორიული ჭეშმარიტების მარცვალი მაინც შეიძლება აღმოვაჩინოთ, ასე, მაგ., დიდად საყურადღებოა, რომ უკვე ჰეროდოტეს მოეპოვება ერთი ცნობა, რომლიდანაც ირკვევა, რომ ჰეროდოტეს დროს არგონავტიკის პერსონაჟებიდან მედეა ყოფილა დასახული ეპონიმად: აქ მოთხრობილია (VII, 62), რომ „მიდიელებს („მედებს“) ძველად ყველანი ეძახდნენ არიებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც კოლხიდელი მედეა ათენიდან მივიდა ამ არიებთან, მათ გამოიცვალეს სახელი; ასე ამბობენ თავის შესახებ თვით მიდიელები“-ო. ამრიგად, მეხუთე საუკუნის ბერძნული მწერლობისათვის აღებული წრის ეპონიმთა რიცხვიდან მხოლოდ კოლხი, ე. ი. ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი, მ კ ვ ი დ რ ი პ ი რ ი ა ცნობილი. სარწმუნოა, რომ თქმულებას იასონის თანამოლაშქრის არმენის შესახებ გაიმეორებდა ცნობისმოყვარე და მრავალმომთხრობელი ჰეროდოტე, მის დროს რომ ეს თქმულება ბერძნულ მწერლობაში არსებულიყო.

საყურადღებოა, რომ სტრაბონი არმენის შესახებ გარდმოცემის შეჭრის დროს ბერძნულ ლიტერატურაში ადრინდელელინისტური ხანით ათარიღებს — მისი წყარო ალექსანდრეს თანამოლაშქრეთა მოთხრობაა. ამდენადვე, სარწმუნო ჩანს აგრეთვე, რომ თქმულება არმენიელების ეპონიმის შესახებ ბერძნებმა ადგილობრივ შეითვისეს სწორედ ადრინდელ ელინისტურ ხანაში, როდესაც ელინურმა სამყარომ უფრო მჭიდრო კონტაქტი დაამყარა მახლობელი აღმოსავლეთის შინაგან რაიონებთან და როცა არმენიელებმა დამკვიდრება იწყეს ძველი ურარტუს ტერიტორიაზე. თქმულების ადგილობრივ წარმოშობაზე მიუთითებს ცნობაც სალოცავების შესახებ — იმის მოწმობა, რომ ეთნარქი გაღმერთებული იყო მკვიდრი მოსახლეობის მიერ, რაც წარმოუდგენელია იმ

შემთხვევაში, თუ თქმულებას ბერძნების მიერ მოტანილად მივიჩნევთ.

სტრაბონის ცნობაში არსებითად იხსენიება არა ერთი, არამედ რამდენიმე ეპონიმი. არმენის როლი, ფაქტიურად, თქმულებაში იმითაა ამოწურული, რომ მისგან სახელი მიიღო ქვეყანამ, არმენიამ. ხოლო არმენის თანამგზავრების შესახებ ნათქვამია, რომ მათ დაიკავეს, ბინადრობა გაიჩინეს აკილისენასა და სისპირიტიდაში, რომ მათ, მაშასადამე, საფუძველი დაუდვეს ამ ქვეყნების მოსახლეობას. არმენის თანამგზავრები, რომელთა სახელიც სტრაბონთან დაცული არ არის, ამრიგად ნამდვილ ეთნარქებად არიან წარმოდგენილნი. ამავე დროს ეს არიან აკილისენასა და სისპირიტიდას მოსახლეობის, ე. ი. სწორედ სასპერ-იბერების, წინაპრები, იმიტომ რომ, როგორც ვნახეთ, ეს პროვინციები იბერების ძველთაძველი და მშობლიური თემები იყო, ხოლო სისპირიტიდაში ანუ სპერში იბერები, რათქმაუნდა, მესამე საუკუნეში, ძვ. წ., ჯერ კიდევ კომპაქტური და ძირითადი, ეთნიკურად გაბატონებული, მოსახლეობის სახით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. არმენის თანამგზავრები, მაშასადამე, იბერების ეთნარქებად იყვნენ მიჩნეულნი.

ის გარემოება, რომ სტრაბონისეულ თქმულებაში იბერების ეთნარქის სახელი მოხსენებული არ არის, შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ ამ ეთნარქის სახელსა და ქვეყნის თუ ხალხის სახელწოდებას შორის არ იყო ისეთი შინაგანი კავშირი, როგორიც არმენსა და არმენიას შორის. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სტრაბონისეულ მოთხრობაშიაც არის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ იბერების ეთნარქის სახელი და ვინაობა ისე, როგორც ის თავდაპირველად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ადგილობრივს თქმულებაში.

ეთნარქის გაღმერთება, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვამბობდით, არსებითად თვით არმენთან სრულებითაც არ არის დაკავშირებული. სტრაბონი ორივეგან იასონის სალოცავების შესახებ ლაპარაკობს. გაუგებარია, რატომ უნდა აეგოთ კავკასიაში ხალხებს სწორედ იასონისათვის სალოცავები, და არა არმენისათვის, რომლისაგანაც სახელი მიიღო არმენიამ. თუ იყო ცნობა, რომ სალოცავები იასონის და არა სხვა ვისიმე სახელზე იყო აშენებული, ეს იმას მოწმობს, რომ კულტის საგანი იასონი იყო ან იასონს უკავშირდებოდა. ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ადგილობრივი თქმულების თავდაპირველ ტექსტში „იასონი“

(ჯერ ასე ვუწოდოთ მას) იხსენიებოდა კიდევაც ეთნარქად. ასევე ბუნებრივი იქნება განვავრცოთ ჩვენი ვარაუდი და მივიღოთ, რომ სწორედ „იასონი“ ერია არმენის იმ თანამგზავრთა რიცხვში, რომელთაც საფუძველი დაუდვეს სისპირიტიდასა და აკილისენას მოსახლეობას და რომელნიც სტრაბონის ცნობაში სახელდებით მოხსენებულნი არ არიან. შესაძლოა ისიც, რომ „იასონი“ სპეციალურად სასპერების მამათმთავრად ითვლებოდა, თუ ვიგულვებთ (რაც შესაწყნარებელია), რომ ერთ პროვინციას ერთი ეთნარქი ჰყავდა მიჩენილი.

მართლაც, რომ იასონი კავკასიაში ეთნარქად იყო მიჩნეული, ეს დადასტურებულია დოკუმენტალურად. ტაციტი მოგვითხრობს: იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა სომხეთის გამო ქართველებსა და სპარსელებს შორის, ქართლის მეფეს ფარსმანს ეხმარებოდნენ ალბანელები და სარმატები. უპირატესობა აშკარად ფარსმანის მხარეზე იყო: სპარსელების ერთადერთი ძალა მხედრობაში მდგომარეობდა, ფარსმანი კი ძლიერი იყო ქვეითობითაც, „ვინაიდან იბერები და ალბანელები, რომელნიც მთიან ადგილებში ცხოვრობდნენ, უფრო შეჩვეული არიან ცხოვრების სიმკაცრესა და ამტანობას. ისინი ამბობენ, რომ წარმოშობილნი არიან თესალიელებისაგან იმ დროს, როცა იასონი, რომელმაც წაიყვანა მედეა და შვილები გაიჩინა მასთან, შემდეგ დაბრუნდა აეტის დაცარიელებულ სასახლეში უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან. მართლაც აქ ბევრი რამ მოწმობს მისი სახელისა და ფრიქსის ორაკულის შესახებ. არავინ არ სწირავს იქ მსხვერპლად ვერძს, რადგანაც სწამთ, რომ მან მოიყვანა ფრიქსი, იყო ეს ცხოველი თუ ხომალდის ღერბი“ (ანალები, VI, 34). მართალია, მთლად ნათელი არ არის, ტაციტი ამ გარდმოცემას ორივე ხალხს მიაწერს, თუ მხოლოდ იბერებს, მაგრამ ცხადია, რომ პირველ რიგში თქმულება მაინც იბერებს მიემართება: ტაციტის მიერ მოთხრობილ ამბავში მთავარი როლი მაინც იბერებს აქვთ დაკისრებული; გარდა ამისა, იასონისაგან ჩამომავლობის დასასაბუთებლად მისი აეტის სამფლობელოში დამკვიდრების დასახელება სწორედ კოლხების ძმურად მონათესავე იბერებს თუ დაეჯერებოდა.

დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოჩენილი რომაელი მწერალი პლინიუს სეკუნდი აგრეთვე ამბობს: „ალბანელები, გარდმოცემით, იასონისაგან არიან წარმოშობილნი“-ო (ნატურალური ისტორია, წ. VI, § 38).

თუ როგორ გავრცელდა თქმულება იასონზე ალბანეთშიაც, ეს ცალკე საკითხია, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით. ყოველ შემთხვევაში დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი გარდმოცემის არსებობა, რომელიც იბერების წინაპრად პირდაპირ ასახელებდა იასონს ან ამ სახელის მსგავსი სახელის მატარებელ ეთნარქს [1].

ამრიგად აღდგენილი ძველი კავკასიური თქმულება ეთნარქი იასონისა და არმენის, არმენიის ეპონიმის, შესახებ გასაოცრად ემსგავსება ძველ-ქართულ გარდმოცემას არიან-ქართლის მეფის ძის აზოს, ისტორიული ქართლის ეთნარქის, შესახებ.

თვალსაჩინოა ონომასტიკური მონაცემების მსგავსება: იასონ და აზო, არიანი და არმენი. ხაზგასასმელია, რომ ჩვენ სწორედ მსგავსებაზე მივუთითებთ და არა იგივეობაზე; „იასონ", მაგ., „აზო"-საგან მაინც იმდენად განსხვავდება ფონეტიკურად, რომ მათი მსგავსება შესაძლოა შემთხვევითიც იყოს. იგივე უნდა ითქვას არიანისა და არმენის ურთიერთობის შესახებ, რასაც უნდა დაემატოს მათი მნიშვნელობითი სხვაობაც: „არიან" ქვეყნის სახელია, „არმენი" — კაცისა; საერთო ის არის, რომ ორივე, სხვადასხვა გზით, ადგილსაცხოვრისს მიემართება.

ასეთი მსგავსების პირობებში კანონზომიერია კითხვა: არის ეს გარდმოცემა, რომელსაც სხვადასხვა ვარიანტით გადმოგვცემენ ჰეროდოტე, სტრაბონი, პლინიუსი და ტაციტი, ადგილობრივი გარდმოცემა, რომელიც შეითვისეს ბერძნებმა და რომაელებმა, თუ პირიქით, ეს იგივე არგონავტების თქმულებაა, ბერძნებისაგან შეთვისებული კავკასიელი ხალხების მიერ? ჩვენ უკანასკნელ შესაძლებლობას გადაჭრით უარვყოფთ, იმიტომ რომ თავდაპირველ თქმულებაში იასონისა და მისი თანამემამულეების მოგზაურობის შესახებ კოლხეთში ვერაფერს ეპოვულობთ ისეთს, რასაც შეეძლო

[1] აქ შეუძლებელია არ მოვიგონოთ, აღძრულ საკითხებთან კავშირში, სუმბატ დავითის-ძის კონსტრუქცია, რომლის თანახმადაც ბაგრატიონთა წინაპარნი, სოლომონის შვიდნი ძენი, თუმცა ებრაელები არიან წარმოშობით, მაგრამ თავდაპირველად ე კ ლ ე ც ს მკვიდრდებიან, ვინმე რაქაელ დედოფლის წინაშე. ეკლეცში დარჩენილა 3 ძმა, ხოლო დანარჩენნი ჩრდილოეთისაკენ წასულან: გუარამი ქართლის ბაგრატიონების წინაპარი გამხდარა, საჰაკი კახეთს დაბინავებულა, ხოლო უსამმა და ვარაზვარდმა კამბეჩანის ერისთაობა ჩაიგდეს ხელში, მარ. ქცხ., 338—339. ეკლეცი იგივე აკილისენაა და, ამდენადვე, სუმბატის თქმულებაში დაცულია რაღაც გამოძახილი ეკლეც-აკილისენას, სპერის — ბაგრატიონთა დომენის, და ქართლის, თავისი ალბანეთის მოსაზღვრე პერიფერიითურთ, გარკვეული ისტორიული კავშირის შესახებ.

გაეჩინა წარმოდგენა იასონსა და მისს ახლად შეთხზულს თანამგზავრ არმენზე, როგორც იბერებისა და არმენიელების წინაპრებზე. თესალიელი აბრაგი, რომელმაც მოიტაცა კოლხების უდიდესი განძი, კოლხეთის მეფის ასულთან ერთად, და რომელიც მიზეზი გახდა კოლხეთის მეფის, მეფისძისა და მრავალი კოლხის ტრაგიკული დაღუპვისა და თვით კოლხეთის გაუბედურებისა (ოქროს ვერძის დაკარგვა), როგორ უნდა გადაქცეულიყო ქართველთა გალმერთებულ მამათმთავრად? ასეთი მეტამორფოზი დაუჯერებელია.

უფრო ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იქნება მივიღოთ, რომ გარდმოცემა ქართველთა ჩამომავლობის შესახებ, ახლო მსგავსების მქონე „ქართლის მოქცევის“ თხრობასთან აზოს შესახებ, ძველი და ფართოდ გავრცელებული ადგილობრივი ტრადიცია იყო. ამ თქმულების სხვადასხვა ნაწილებს ბერძნები, ჩანს, უკვე მეექვსე-მეხუთე საუკუნიდან ეცნობიან თანდათან!

ჰეროდოტესთან დაცული ფრაგმენტი ამ გარდმოცემისა საყურადღებოა არა მარტო იმ მხრივ, რომ აქ დადასტურებულია ეთნარქების ადგილობრივი წარმოშობა, არამედ იმ მხრივაც, რომ იგი, ჩვენი აზრით, ემოწმება ქართულ ა რ ი ა ნ-ს. ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი: იმ გარდმოცემაში, რომელიც ადგილობრივ გაიგონეს ბერძნებმა უკვე VI—V საუკუნეში, იყო ცნობა ა რ ი ა ნ - ქვეყნის შესახებ; ეს ცნობა ბერძნებმა გადაიტანეს არია-მიდიელებზე, ხოლო მედ — მიდიელის სახელის ასახსნელად გამოყენებულ იქნა მედეა — ამ სახელების მსგავსების დაჭერა არავითარ სიძნელეს არ შეიცავდა. არიან-ქვეყნისა და მედიის დაახლოებაც ძნელი არ იყო, რადგან, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, უკვე კლასიკურმა მწერლობამაც იცის, რომ მედია შეადგენდა ა რ ი ა ნ ა ს ნაწილს („არიანას სახელწოდება ვრცელდება სპარსეთისა და მედიის ერთ ნაწილზედაც“, სტრაბონი, წ. XV, თ. 2, § 8). ამავე გეოგრაფიული ფაქტისა და წარმოდგენის სხვაგვარი გამოთქმაა სტრაბონისავე ცნობა, რომ „მატიანა მედიის ოლქია“ (წ. II, თ. I, § 14): მატიანა-არიანას კავშირის შესახებ ჩვენ ზემოთ ბევრი გვაქვს ნათქვამი. ჰეროდოტეს ჩვენება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ნაწილობრივ გვიხსნის, თუ როგორ მოხდა შემდეგში თქმულების გავრცელება ალბანეთზედაც: გეოგრაფიულად ალბანეთის დაკავშირება მედიასთან ბუნებრივი იყო და ასევე ბუნებრივი წარმომავლობის შესახებ თქმულების გადმოტანა, სათანადოდ შეცვლილ ფორმაში; რაკი მედიის ეპონიმად მედეა იყო მიჩნეული, ალბანელების ეთ-

ნარქად მედეას ქმარი, იასონი, აღიარეს. ეს იყო განვითარება სტრაბონთან დაცული ცნობებისა, რომ იასონმა და არმენმა მოიარეს იბერია, ალბანია, არმენიისა და მედიის მრავალი ნაწილი (წ. XI, თ. 4, § 8) და რომ მედეა იასონთან ერთად მბრძანებლობდა ამ ქვეყნებში (მედიაში), რომ იასონს აქ მოგვაგონებს მის სახელზე აგებული სალოცავები, რომელთაც დიდ თაყვანს სცემენ ბარბაროსები, რომ მარცხნივ კასპიის კარებიდან (დარუბანდის ყელიდან?) არის მნიშვნელოვანი მთა, რომელსაც იასონის სახელი ჰქვიან (ალბანეთში? იბერიაში? საეჭვოა, რომ აქ „კავკ-ასი" იგულისხმებოდეს, წ. XI, თ. 13, § 10).

საერთოდ, თუ როგორ იზრდებოდა და იცვლებოდა, გაბერძნულების მიმართულებით, პირვანდელი ადგილობრივი თქმულება, ეს გარდა ზემოთაღნიშნულისა, კარგად ჩანს სხვა ფაქტებზედაც. ასე, მაგ., მედიის ეპონიმად კოლხი ქალის მედეას მაგიერ შეთხზულ იქნა უკვე მედეას შვილი მედი, რომლისგანაც სახელი მიიღო თურმე ქვეყანამ (სტრაბონი, წ. XI, თ. 13, § 10; დიოდორე სიცილიელი, ბიბლიოთეკა, IV, 56). ბერძნული მითოსის გავლენას ვხედავთ ჩვენ ლეონტი მროველთანაც: უკანასკნელის აზონ მაკედონელი „ქართლის მოქცევის" აზოსა და „არგონავტიკას" იასონის კონტამინაციის შედეგია, რათქმაუნდა[1].

თქმულების წარმომავლობის გასარკვევად მნიშვნელობას არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ ეს გარდმოცემა უცნობი დარჩა სომხური და ალბანური მწერლობისათვის[2], მაშინ როცა ქართულმა იგი ორიგინალური ფორმით ისეთ ძველ ძეგლში დაიცვა, როგორიცაა „ქართლის მოქცევა".

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორს ისტორიულ სინამდვილეს ებჯინება ქართული გარდმოცემის ცნობა, რომელიც ძველ სამშობ-

---

[1] უკვე დ. ბაქრაძეს ჰქონდა შენიშნული, საქ. ისტ., 78: ქ. ცხ-ის აზონი საეჭვოა, იგი მოგვაგონებს იაზონ არგონავტს, „ეს ჩვენი აზონი უნდა იყოს ნამდვილი მიფი ბერძნულის მწერლობის ხედმოქმედების დროს ქართულ მწერლობაზე მითვისებული ჩვენ მემატიანეთაგან".

[2] როგორც სებეოსთან დაცულს ანონიმურს დაწყებითს ისტორიას, ისე მოსე ხორენელსაც სომხების ეთნარქების სქემა ბიბლიურ გენეალოგიებზე აქვთ აშენებული. სახელწოდება „არმენიის" ასახსნელად მართალია აქაც გამოყენებულია სათანადო ფუძის სახელი, მაგრამ ამ სახელის მატარებელი პირი, ჰაიკის შთამომავალი, იაფეტისაგან არის გამოყვანილი. მოსე კალანკატუელიც ამავე სქემას მისდევს და ალბანეთის, არაბ. არანის, ეპონიმად იაფეტის ნაშიერს „არანს" ეიიჩნევს. ესევე კონცეპცია მიიღო შემდეგში ლეონტი მროველმაც.

ლოზე მითითებას შეიცავს. რას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით გარდმოცემის მეორე ელემენტი, ცნობა ეთნარქის შესახებ?

ის გარემოება, რომ აქ ჩვენ არსებითად ეპონიმთან არა გვაქვს საქმე, აძლიერებს ჩვენს ნდობას საკუთრივ „აზო“-სადმი, მაშინ როცა „ქართლოს“-ში, „არმენაკ“-ში და მათს მსგავს კონსტრუქციებში ხელოვნური ეტიმოლოგიზაცია თავისთავად გამოსჩვივის. მკაცრად რომ გავსინჯოთ, გარდმოცემა აზოს მხოლოდ მცხეთა-არმაზის დინასტიის დამაარსებლად სთვლის, და არა მთელი ხალხის წინაპრად. ეს მეორე გარემოებაც ზრდის ნდობას აზოს ისტორიულობისადმი. გარდა ამისა, იმ არიან-ქვეყანაში, მიტანი-ურარტუს სამყაროში, საიდანაც გარდმოცემას აზო გამოჰყავს, ხოლო ისტორიულ ანალიზს — ქართველობაც, სამეფო ონომასტიკონი წარმოგვიდგენს საყურადღებო ფაქტებს, რომელნიც ამ პირისსახელისათვის ბევრად უფრო რეალური ნიადაგად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე ბერძნული მითოსი.

მიტანი-ნაირი-ურარტუ მრავალტომიანი ქვეყანა იყო. მეორე ათასეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ეს ტომები სრულიად თითქმის არასოდეს არ გაერთიანებულან. ურარტუს სამეფოს ძლიერების ხანაშიაც უძლიერესნი ამ ტომთა შორის გარკვეულ სეპარატიზმს იჩენენ. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ეს სეპარატიზმი იმდენად არ არის, რამდენადაც ბრძოლა პირველობისათვის, ჰეგემონიისათვის ჰარი-სამყაროში. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ თემთა შორის (საკუთრივ ურარტუ-ბიაინას გარდა) მ ა ნ ა იყო, რომლის ხსენება ასურულ წყაროებში იმავე მეცხრე საუკუნეში ჩნდება, როცა თვით ურარტუსიც. ამის შემდეგ მ ა ნ ა ლურსმულ წარწერებში ძალიან ხშირად იხსენიება, როგორც აქტიურად მებრძოლი, ერთი მხრით, თავის დამოუკიდებლობისათვის ასურელების წინააღმდეგ, მეორე მხრით, ბიაინას მეფეების წინააღმდეგაც ჰეგემონიის მოსაპოვებლად. შალმანესერ მესამის (858—824) მეფობის მე-30 წელს (828 წ., ძვ. წ.), ასურეთის მბრძანებლის ტურტანი ჰუბუშკიადან გადადის მანაში, რომლის მფლობელი უ ა ლ კ ი იძულებულია დასტოვოს თავისი სატახტო ქალაქი ზ ი რ თ ა. ასურელებმა აოხრეს დედა-ქალაქი და აურაცხელი ნადავლი წამოიღეს მანადან — მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, ქონება[1]. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ყველა ცნობაზე მანას შესახებ ლურსმულ წარწერებში.

[1] D. D. L u c k e n b i l l, Ancient records of Assyria and Babylonia, Chicago, 1926, I, 587.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნაირის (მიტანის) ამ ქვეყნის სამეფო დინასტიაში საგვარეულო სახელი ყოფილა აზა, რომელსაც აზუ-აზრ (ლურსმულში ორივე ხმოვანი ერთი ნიშნითაა გადმოცემული) ფორმაც ენაცვლება. მერვე საუკუნის სამოციან წლებში ურარტუს მეფე არგიშტი I (778—750) ებრძვის მანას, სადაც მეფედ არის ამ დროს ა ზ ა [1]. ალბათ ამ აზას შვილია ი რ ა ნ ზ უ (თუ ირანზო, ეს სახელიც საყურადღებოა!), რომლის შესახებაც სარგონი (724—705) გვიამბობს თავის ხორსაბადის ტექსტებში: ძლიერმა ქალაქებმა შუანდახულმა და დურდუკამ ომი განიზრახეს თავის მეფისადა ბატონის ირანზუს წინააღმდეგ, რომელიც ჩემს უღელს ეწეოდა (ე. ი. ჩემი ქვეშევრდომი იყოო), და მიენდვნენ მიტატის ზიქირთუდან, რომელმაც მათ თავისი მეომრები და მხედრობა მისცაო. ასურეთის მბრძანებელი იკვეხის, ეს ურჩი ქალაქები ძირიანად მოვთხარეო. ეს მომხდარა სარგონის მეფობის მესამე წელს, ე. ი. 721 წ., ძვ. წ. [2], ხოლო ამავე მეფობის მეექვსე წელს, 718 წ., ძვ. წ., ურსას, ანუ რუსას, ურარტუს მეფეს, და იმავე მიტატის, ზიქირთუდან, კვლავ აუმხედრებიათ მანას მოსახლეობის ნაწილი სარგონისა და მათი (ე. ი. მანაველების) მბრძანებლის შვილის აზას წინააღმდეგ. მეამბოხეებს მოუკლავთ აზა უ ა უ შ-ის ციცაბო მთაზე და გვამიც იქვე დაუგდიათ. სარგონი მოგვითხრობს: აღვუპყარ ხელი ვედრებით ასურს, ჩემს მბრძანებელს, რომ შური მეძია მანას ქვეყნისათვის და დამებრუნებინა იგი ასურეთის მფლობელობისათვის. უაუშის მთაზე მე ტყავი გავაძვრე ბაგდატუს და ვუჩვენე იგი მანაველებს. ულუსუნუ, მისი ძმა, მე დავაყენე სამეფო ტახტზე და მთელი მანას ქვეყანა მას დავუმორჩილეო. მაგრამ შემდეგში ეს ულუსუნუც გადასდგომია სარგონს და რუსას მინდობია. ულუსუნუს სხვა თემებიც აუმხედრებია ასურეთის წინააღმდეგ. სარგონმა დალაშქრა მანა, ცეცხლით გადაბუგა დედა-ქალაქი იზირთუ (წინათ მოხსენებული ზირთა), მოსახლეობა ასწყვიტა და ხელთ იგდო ქალაქები ზიბია და არმანდი. მაგრამ სარგონის მდგომარეობა მანაში არ იყო მკვიდრი, როგორც ჩანს, და მას ისევ შერიგება ურჩევია ულუსუნუსთან, რომელიც აღუდგენია სამეფო ტახტზე [3]. ამის საპასუხოდ, რუსას 22 ციხე წაურთმევია ულუსუნუსათვის, რაც შემდეგ სარგონს ისევ დაუბრუნებია (ეს ცნობა მანას ტერიტორიის სივრცეზე მიუთითებს). მე დავამშვიდე მანას ქვეყანა, რო-

[1] И. И. Мещанинов, Халдоведение, Баку, 1927, стр. 25.
[2] ლუკენბილი, ტ. II (1927), 6.
[3] იქვე, II, § 10.

მელსაც განხეთქილება აწუხებდაო, ამბობს სარგონი. ეს მომხდარა 717 წ.[1]. შემდეგ დედა-ქალაქ იზირთუში სარგონს თავისი ქანდაკება დაუდგამს, წარწერით[2]. 716 წელს სარგონს კვლავ გაულაშქრნია მანას წინააღმდეგ და მანაველებისაგან ხარკი აუღია. ძღვენი მიუღია მას აგრეთვე (გიზილბუნდის) ქალაქისთავების ზიზი და ზალასაგან (მიაქციეთ ყურადღება სახელებს)[3]. შემდეგ სარგონი გვამცნობს, რუსას წავართვი მთა უიშდიში, მანაველების მთიანი ოლქი, და მივეცი ის ულუსუნუ მანაველსო[4]. შემდეგშიაც იხსენიება ულუსუნუ მანაველი, როგორც სარგონის მოხარკე; საყურადღებოა, რომ ამავე ცნობაში თაბალიცაა მოხსენებული[5].

ამ წარწერების ცნობებს სარგონი იმეორებს ცოტა სხვა ვერსიით ე. წ. „საგამოფენო წარწერაში". აქ სარგონი მოუთხრობს: ირანზუს სიკვდილის შემდეგ მის ტახტზე მისი შვილი აზა დავაყენეო. მაშინ რუსა ურარტიელმა აამხედრა ხალხი უიშდიშიდან, ზიქირთუდან და მისიანდუდან, მანაველების დიდი წინამძღოლებიო, რომელთაც მოუკლავთ აზა უაუშის მთაზე. მერმე იგივე ცნობები მოსდევს, მხოლოდ ისე გამოდის, თითქოს ულუსუნუ თავდაპირველად რუსას კანდიდატი იყო და თითქოს ულუსუნუმ 22 სიმაგრე ქრთამად მისცა რუსას, ალბათ ტახტისათვის. ქალაქები ზიბია და არმანდი აქ დასახელებულია როგორც იზიბია და არმიდი, „მიუდგომელი სიმაგრეები". ზიქირთუს-ქვეყნელი მიტატის სატახტო ქალაქად დასახელებულია პარდა. იხსენიება აგრეთვე მანაველების ქალაქები შუანდახული და ზურზუკა. იხსენიება ბედ-შავი ბაგდატიც, უიშდიშის ქვეყნიდან, რომელსაც ტყავი გააძვრეს[6].

საინტერესო ცნობებს შეიცავს სარგონის ეპისტოლე ასურისადმი მერვე ლაშქრობის შესახებ. ეს ლაშქრობა თითქოს ზიქირთუ და ანდია ქვეყნების წინააღმდეგ ყოფილა მიმართული. 26-ჯერ გადაულახავს სარგონის ლაშქარს მდინარე ბუია. შემდეგ გაუვლია მეტად მაღალი და ძნელად გასავლელი მთა სიმირრია[7], ისევე როგორც სხვა მთები — სინაჰულზი და ბირუათთი, ძლიერი მთები, აგრეთვე თურთანი, სინაბირი, აჰშურა და სუია[8].

---

[1] იქვე, 12.
[2] იქვე, 13.
[3] იქვე, 19.
[4] იქვე, 20.
[5] იქვე, 24.
[6] იქვე, 56.
[7] იქვე, 142.
[8] იქვე, 143 (ეპისტოლე, იხ. აგრეთვე Thureau-Dangin, Une relation de la huitième campagne de Sargon, P., 1912; ქვემოთ = თურო-დანჟენი).

შემდეგ სარგონის ლაშქარს გაუვლია ამ მთების ძირში მიმდინარე რაპპა და არათთა და ჩასულა სურიკაშის პირდაპირ, რომელიც მანას ქვეყნის ოლქი ყოფილა და კარალისა და ალაბრიას თემებს უდგებოდა. ულუსუნუ მანაველი, რომელმაც იცოდა, რომ ამ წლების განმავლობაში სარგონი სულ მის წინააღმდეგ შურისძიებაზე ფიქრობდა, თავისი წარჩინებულებითა და სხვა სეფეწულებით გამოვიდა დედა-ქალაქ იზირთუდან, ეახლა სარგონს თავის სანაპირო სიმაგრეში, სინიჰინუში, და მიართვა ხარკი, ცხენები, უღელს შეჩვეულები, და მათი გამრეკელები, მსხვილი რქოსანი პირუტყვი და ცხვარი (იქვე, 144). აქედან, ალაბრიის სანაპირო ზონით, სარგონი ჩასულა პარსუაშში, სადაც სარგონმა ძღვენი მიიღო მრავალი მეზობელი ქვეყნის მთავრისაგან; მათ შორის ყურადღებას იქცევს ზარდუკუ ჰ̓არზიანუდან (იქვე, 147). პარსუაშიდან, ამბობს სარგონი, მე მიველ მისი-ში, მანას ქვეყნის ოლქში. ულუსუნუ და მისი ხალხი მელოდნენ თავის ციხე სირდაკუ-ში. თითქოს ჩემი მოხელეები ყოფილიყვნენ, მან დამახვედრა ფქვილისა და ღვინის მარაგი, ჩემი ლაშქრის გამოსაკვებად. დიდი გახედნილი (*draft*, შესაბმელი?) ცხენები, მსხვილი რქოსანი პირუტყვი და ცხვარიც მივიღე მისგან, როგორც ხარკი. თავისი უფროსი ვაჟიშვილიც ჩამაბარა და მის მიერ ხელისუფლების მიღების სიმტკიცისათვის წარწერაც ამოჭრა ფიქალზე. ულუსუნუ მეეედრებოდა, შური მეძია მის მტრებზე, კაკმი ქვეყნის ხალხისაგან, ბოროტი მტრებისაგან დამეფარა მისი ქვეყანა და უკუმეგდო რუსა, აღმედგინა გაფანტული მანაველები მათ წინანდელ ადგილსაცხოვრისში,— აი, რასა მთხოვდნენ თვითონ ისა და მისი წარჩინებულნი, მისი ქვეყნის მმართველებიო, ამბობს სარგონი (იქვე, 148; ჩვენ ვამოკლებთ თხრობას, ს. ჯ.). შემდეგ სარგონი განაგრძობს: ულუსუნუს, მათი მეფისა და ბატონის, წინაშე მე გავშალე მძიმე სანადიმო სუფრა და ავამაღლე მისი ტახტი მისი მამის, ირანზუს, ტახტზე ბევრად უფრო მაღლაო (ეს ცნობა მიუთითებს იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ასურეთის მბრძანებელი მანას ქვეყანას აძლევდა). ამავე წარწერაში იხსენიებიან იგივე ზიზი, აპათარიდან, და ზალაია, კიტპათაიდან, გიზილბუნდუს ქვეყნის ქალაქისთავები. მათი ქვეყანა აღწერილია როგორც შორეულ მთებში მდებარე ქვეყანა, ჩაკეტილი მანასა და მიდიელების ქვეყნებს შორის. ეს ქალაქისთავები გამოცხადებულან სარგონთან, მორჩილების ნიშნად, მანას ქვეყნის ციხე ზირდიაკაში (იქვე, 149).

ზირდიაკიდან სარგონს გაუვლია 30 ბერუ (ორმაგი საათი) მანაველების ქვეყანასა, ბით-კაბსისა და ძლიერი მიდიელების ქვეყანას შორის და მიახლოებია პანზიშს, ძლიერს საფარ სიმაგრეს ზიქირთუსა და ანდიას ქვეყნების მისადგომზე (150). პანზიშიდან სარგონი გადასულა მდ. იშთარ-აურაზე და მიახლოებია ზიქირთუს ოლქს აუკანეს, რამაც გამოიწვია მიტატი ზიქირთუელის, რომელმაც თავისი სატახტო ქალაქი პარდაც არარად მიიჩნია, და მისი ხალხის მთლიანად აყრა და გაქცევა. სარგონმა-კი ხელთ იგდო მათი მრავალი დაბა-ქალაქი (151). აუკანედან სარგონი გადასულა მანას ქვეყნის ოლქ უ ი შ დ ი შ-ში, რომელიც რუსას მიერ იყო მიტაცებული. რუსამ, სარგონის თქმით, დიდი ცოდვა ჩაიდინა, რომ ეს ქვეყანა გაანადგურა და მისი ხალხი დაიმორჩილა. რუსა და სარგონი შეხვდნენ ერთმანეთს უ ა უ შ-ის მთასთან (საფიქრებელია, რომ ქვეყნის სახელი უ ი შ დ ი შ´ი ამ მთის სახელისაგან არის ნაწარმოები). სარგონი აღწერს უაუშის მთას, როგორც ხანჯლის წვერსავით ცაში აღმართულსა და ღრუბლებში ჩაფლულს დიდ მთას, რომელზედაც არასოდეს ადამიანს არ უვლია, რომლის მწვერვალზე არასოდეს ცაში მონავარდე ფრინველიც არ ასულა, რომელიც მუდამ თოვლითა და ყინულით არის დაფარული და სხვა (იქვე, 152; აღწერილობა რამდენადმე დაზიანებულია). საფიქრებელია, რომ მთა უაუში არარატს უდრის, და ამდენადვე უიშდიშის ოლქის მდებარეობაც განსაზღვრულია. ამ უაუშის მთის შუა სარგონსა და მის ლაშქარს, რომელიც დაღლილი და დაუძლურებული ყოფილა ამოდენა გზისა და ურიცხვი, მეტად ძნელი, მთების გავლის გამო, დაუმარცხებია რუსა, მიტატი ზიქირთუდან და სხვა მათი მოკავშირენი და უდევნია ისინი, 6 ბერუს მანძილზე, ზ ი მ უ რ ი ს მთამდე, იასპის (ეშმის) მთამდე. ამ ომის შედეგად რუსა დაიღუპა, ულუსუნუ-კი გავახარე, რაკი მის ქვეყანაში მისი მტრების ფეხი ამოვკვეთეო, ამბობს სარგონი; მე შევაჩერე ჩემი ლაშქრობა ა ნ დ ი ა ს ა და ზ ი ქ ი რ თ უ ს წინააღმდეგ და პირი ვიბრუნე ურარტუსაკენ; უ ი შ დ ი შ ი, მ ა ნ ა ს ქ ვ ე ყ ნ ი ს ო ლ ქ ი, მისი მრავალი ციხე-ქალაქით, რომელნიც ურიცხვი არიან, როგორც ვარსკვლავნი ცისანი, მე მთლიანად ხელთ ვიგდეო. მათი მაგარი კედლები მე დავანგრიე, შევიპერი მათს ურიცხვს ხეხილის ბაღებში და ჩემი ლაშქარი დავაძღე აუარებელი საპმლითაო (იქვე, 153—157). უიშდიშიდან სარგონი მიახლოებია „ქალაქ უშკაიას, დიდ ციხეს ურარტუს საზღვრის თავზე, რომელიც ჰკეტავს, როგორც კარი, ზ ა რ ა ნ დ ა ს ოლქის შესავალს,

აბრკოლებს ჩემს შიკრიკებს, დგას მ ა ლ ა უ ს მ თ ა ზ ე, კვიპაროზის მთაზე, როგორც სანაპირო (სვეტი), და აღმართულია სხივოსნობით შემოსილი ს უ ბ ი ქვეყნის ველზე. ამ ოლქში მცხოვრებთ მეტოქე არა ჰყავთ მთელს ურარტუში ცხენოსნობაში. მრავალი წლის განმავლობაში ისინი იპერდნენ (ველური?) ცხენების ახალგაზრდა კვიცებს, ამ ვრცელი ქვეყნის ნაშიერებს, და აშენებდნენ მათ მისი სამეფო ჯარისათვის. მაგრამ მათ არ იპერენ ისე მაღლა, როგორც სუბიში, ოლქში, რომელსაც ურარტუს ხალხი მ ა ნ ა ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ეძახის, და მათი ჯოგები იქ არ ჩანან. ისინი უნაგირს არ ადგამენ მათ, არამედ მიდიან რა წინ, გვერდისკენ მიბრუნებით ან უკან მობრუნებით, როგორც ეს საჭიროა ბრძოლაში, ვერასოდეს ვერ ნახავთ, რომ ისინი უღელს სტეხდნენ“... რუსას დამარცხების გამო შედრკა ეს ხალხიო, ამბობს სარგონი. შემდეგ საკმაოდ ბუნდოვან ფრაზაში იხსენებიან სუბიელების ომში გამოცდილი ბელადები, რომელნიც თითქოს ურჩევენ ხალხს, წინააღმდეგობა უიმედოა და ასურს დამორჩილდითო. მაგრამ სუბიელებმა უშკაია, ამ ქვეყნის სიმტკიცე, და გარშემო ქალაქები ნანგრევებად აქციეს, და ისეთ გზას გაუდგნენ, რომელსაც უკან მოსავალი არა აქვსო. სარგონი მაინც შესულა უშკაიაში და გაუზიდავს მისი გარდამეტებული სიმდიდრე, დიდი კედელი, რომელსაც განი 8 კუბიტი ჰქონია, დაუნგრევია, შინაგანი საცხოვრებელი შენობები დიდი კოჭებით (თავხეებით) დაუწვავს, 115 გარშემო მდებარე ქალაქიც გადაუბუგავს, ქალაქი ა ნ ი ა შ ტ ა ნ ი ა, ს ა ნ გ ი ბ უ ტ უ ს საზღვარზე მდებარე, უ შ კ ა ი ა და თ ა რ მ ა კ ი ს ა ქალაქებს შორის, 17 გარშემო მდებარე ქალაქით, მიწასთან გაუსწორებია, მათი სახურავების დიდი კოჭები (თავხეები) დაუწვავს, ისევე როგორც მათი მოსავალი და მათი ნამკალი, მათი სავსე ბელლები დაუღია და თავისი ჯარები დაუძღია ამოურწყველი მარცვლით. „როგორც კალია, შევუსიე ჩემი ბანაკის ცხოველები მის მინდვრებს და მათ მოსპეს მისი მცენარეულობა, რომელზედაც იგი დამოკიდებული იყო, მათ ააოხრეს მისი ველიო“, ტრაბახობს სარგონი (იქვე, 158). შემდეგ სარგონი განაგრძობს: „უშკაიადან მე გავემართე ბ ა რ უ ს ქვეყანაში, რომელზედაც იგი დამოკიდებულია თავისი ცხოველებისათვის და რომელსაც აგრეთვე ს ა ნ გ ი ბ უ ტ უ ს ეძახიან, მას მივუახლოვდი. კედლებით გარშემორტყმული ქალაქები თ ა რ უ ი და თ ა რ მ ა კ ი ს ა, დ ა ლ ა ი ა ქვეყნის ველზე მდებარე, სადაც მას ჰქონდა მარცვლეულის დიდი მარაგი, რომელთა კედლები იყო მეტისმეტად მაგარი, რომელთა გარეთა

კედლები კარგად იყო აშენებული, რომელთა თხრილები ძალიან ღრმა იყო და მთლიანად გარს ერტყმოდა მათ, რომელთა შიგნით თავლაში დაბმული იყო ცხენები, მისი სამეფო ჯარისათვის რომ ინახავენ და ყოველწლიურად რომ ასუქებენ“,— აი, ამ ქვეყნის ხალხი დაშინებული იყო იმით, რაც ჩვენ მეზობელ თემებში ჩავიდინეთო. მათ მიატოვეს თავიანთი ქალაქები და გაიქცნენ ხმელ ქვეყანაში, წყურვილის ადგილს, როგორც უდაბნოში, თავისთავის გადასარჩენადო. აქაც სარგონს დაუნგრევია ყველაფერი და დაუწვავს, თავისი ლაშქარიც დაუძღია ამოურწყველი მარცვლით. აქ თითქოს ასურელებს აუოხრებიათ 30 ქალაქი (იქვე, 159). შემდეგ წარწერა დაზიანებულია. მოხსენებული ყოფილა პუნქტები, სადაც სარგონი მივიდა თარმაკისიდან. პირველად იხსენიება ქალაქი ულ ჰ უ, სიმაგრე (კ ი შ პ ა ლ ი ს მთის ძირას). დაზიანებულ ტექსტიდან ისე გამოდის, რომ თითქოს ეს უწყლო ქვეყანა ყოფილა; რუსამ გამოუყვანა მათ წყალი დიდი არხით, რომელმაც უხვად, როგორც ევფრატმა, მოუტანა მათ წყალი; არხის მთავარი ტანიდან შემდეგ გაუყვანიათ არხები, რომლითაც მოურწყავთ ხეხილის ბაღები. ძველთაგანვე უდაბურმა მიწამ მოიტანა წვიმასავით უხვი ხილი და ყურძენი; მეტად მაღალი, ჩრდილმრავალი ჭადრისხეები, მისი სასახლეების სიმდიდრე, მან ტყედ გააშენა მის ველზე. „როგორც ღმერთმა, მან ამღერა ხალხს მათი სასიხარულო სიმღერები“. 300 იმერ სათესლე მიწას, მარცვლეულით დათესილს, მან... მოსავალში გამოაღებინა მარცვლის გადიდებული რაოდენობა. დაუთესავი მიწები, გაზაფხულზე მორწყული, ბალახითა და საძოვრებით იყო სავსე ზამთარ-ზაფხულ; ცხენებისა და ჯოგების საბალახოდ გადააქცია ისინი. აქლემები გაწვრთნა მან თავის წალეკილ (ალბათ — მორწყულ, სარწყავ... ს. ჯ.) ქვეყანაში და ისინი ასხამდნენ წყალს არხებშიო, ამთავრებს ამ თავის შესანიშნავ სამეურნეო აღწერილობას სარგონი (იქვე, 160). აქვე ყოფილა, მდინარის პირას, რუსას მიერ აშენებული სასახლე, სურნელოვანი კვიპაროზის კოჭებით გადახურული, და ქალაქი შ ა რ დ ურ ი ხ ურ დ ა, სიმაგრე... ქ ი შ თ ე ს მთაზე. მოსახლეობას „ვაის“ ძახილით მიუტოვებია ეს ქალაქებიც და სარგონს აუოხრებია პროვინცია. ქალაქ ულჰაში, „ქონებათა ქალაქში“, მას გაუძარცვავს სამეფო სასახლე. „ამოურწყველი“ მარცვლის გარდა, აქ უპოვნიათ ღვინის მარნები, სადაც ასურის მეომრებს უსვამთ კეთილი ღვინო გუდებიდან, როგორც მდინარის წყალი. ამ სიამოვნების მიღების შემდეგ ასურელებს გაუნადგურებიათ ყველაფერი: ბაღები, რომელ-

ნიც ამკობდნენ ქალაქს და რომელნიც აღსავსე იყვნენ ხილითა და ღვინით, როგორც ცის განუზომელი ღვარები, გულდაგულ გაუჩეხიათ რკინის ცულებით; იგივე ბედი დასდგომია დეკორატიულ მცენარეებს — დიდ ხეებს — და მინდვრის ნათესებს, სადაც არ დაუტოვებიათ არც ერთი თავთავი, და საძოვრებს, სადაც დ ა თ ე ს ი ლ ი ყოფილა ბალახი და ხაბურუ, ურარტუს მეფის ცხენების საკვები. ასე დაუნგრევიათ შ ა რ დ ურ ი ხ ურ დ ა, „მათი დიდი სიმაგრე", 57 სხვა ქალაქთან ერთად, სანგიბუთუს ოლქის მიდამოებში (იქვე, 161). ულხუდან სარგონი ლაშქრობს სანგიბუთუს ოლქის ყველა სხვა მნიშვნელოვანი სიმაგრის წინააღმდეგ. 21 გამაგრებული ქალაქი იდგა ა რ ზ ა ბ ი ა ს მ თ ი ს ქედზე, ძლიერი აგურის კედლებით, ღრმა თხრილებით გარშემო, ბურჯებით კარებთან. ყოველნაირი სიუხვითა და დოვლათით ყოფილა სავსე აქაური ხალხის ცხოვრება. უზარმაზარი სასახლეები, სამეფო ნიშნებით, სურნელოვანი კვიპაროზის კოჭებით უნახავთ აქ სარგონის მეომრებს. სანგიბუთუს ოლქისა და ყველა ამ ქალაქის მცხოვრებთ სწრაფად გადაუციათ ასურელების მოახლოების ამბავი ურარტუს შორეული საზღვრებისათვის იმ წესით, რომელიც „ვეფხისტყაოსანში"-ა აღწერილი: მთის მწვერვალებზე აღმართულ სვეტებზე ანთებდნენ ისინი ცეცხლს ბუჩქნარისაგან და ამით გადასცემდნენ დიდ მანძილზე მტრის მოახლოების ამბავს დილით და ღამით. აქ, ა რ ზ ა ბ ი ა ს ა და ი რ თ ი ა ს მაღალ მთებს შორის დაბანაკებულა სარგონი და შესდგომია ქვეყნის აოხრებას ჩვეულებრივი მეთოდით. „მე დავწვი მათი მშვენიერი სადგომები: ქერისა და ხორბლის უშველებელი ხვავები, რომელსაც ისინი მრავალი დღის განმავლობაში აწყობდნენ ბეღლებში ქვეყნისა და ხალხის შესანახად, მე მთელს ჩემ ლაშქარს დავატვირთვინე ცხენებსა, ჯორებსა, აქლემებსა და ვირებზე და დავაკრეფინე ჩემი ბანაკის შუა, როგორც გორაკები. საჭმელი უხვად და მოყირჭებამდის ვაჭამე ჩემს კაცებს. სანოვაგის უხვი მარაგი უკან გზისთვის ასურეთში მათ შეჰკრიბეს სიხარულით. მე ავჩეხე მისი დიდებული ხეხილის ბაღები, მე ავჩეხე მისი ვენახების დიდი რაოდენობა, მე ბოლო მოვუღე მთელს მის სასმელს. დიდი ტყეები, რომლებიც ლელიანივით ხშირი იყო,— მათი ხეები ავჩეხე და უდაბნოდ ვაქციე ეს ქვეყანა. ყველა მოჭრილი ხის ღერო შევაგროვე და ცეცხლი წავუკიდე. 146 ქალაქს მათს მიდამოებში მე წავუკიდე ცეცხლი, როგორც ბუჩქნარს და მათი კვამლით დავფარე პირი ზეცისა, როგორც გრიგალმა", მოუთხრობს სარგონი (იქვე, 164). აქედან სარგონი გადასულა ა რ მ ა რ ი ლ ი-ს (!) ოლქ-

ში, სადაც სარგონს იგივე სურათი დახვდა და სადაც მან ისეთივე კვალი დასტოვა (იქვე, 165). არმარიალის (!) ოლქიდან ასურის ლაშქარი გადასულა უიზუკუ-ს მთაზე და მიახლოებია ოლქს აიადის. აქ დასახელებულია 30 გამაგრებული ქალაქი „საშინელი ზღვის“ პირას და დიდი მთების ძირას, სადაც იდგნენ ურარტუს რჩეული ჯარები, ამ ქვეყნის სიმტკიცე. რაკი მათი მეზობელი პროვინციის, არმარიალის, ამბავი ნახეს, შიშით შეპყრობილნი გაიქცნენო. აქაც იგივე ამბები დატრიალებულა (166). „აიადის ქვეყნიდან წამოველ, გადავლახე მდინარეები ულურია, კალამია და ინაი, და მივუახლოვდი ოლქს უაიაისს, მისს დასაყრდენს, რომელიც არის ურარტუს ქვემოთა საზღვარზე და ნაირის საზღვარზე“-ო, „განაგრძობს სარგონი (167). უაიაისიდან ასურეთის მბრძანებელი მიახლოებია ნაირი ქვეყნის მეფის იანზუს ოლქს. ნაირის მეფე იანზუ გამოსულა თავის სატახტო ქალაქ ჰუბუშკიადან და შეჰგებებია სარგონს (168). დანარჩენს ჩვენ აქ აღარ გადმოვცემთ.

აქ ჩვენ მოკლებული ვართ ადგილსა და საშუალებას სარგონის ცნობებში დაცული ყველა გეოგრაფიული ცნობის ლოკალიზაცია ვცადოთ. ცხადია მხოლოდ, რომ მოთხრობილი ლაშქრობის დროს სარგონი ჯერ ასულა ურარტუს ჩრდილოეთ საზღვრებამდე, სადაც მას ამ საზღვრების თავისათვის, ე. ი. უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილისათვის, მიუღწევია, შემდეგ იქიდან წამოსულა მეორე გზით, ომითა და რბევით, უკვე თვით ურარტუს ტერიტორიით, ურარტუს „ქვემო“, ე. ი. სამხრეთ საზღვრამდე, სადაც საკუთრივ ურარტუს საკუთრივ ნაირი ემიჯნებოდა. შემდეგ, ვგონებთ, პირველი მარშრუტის დროს — ჩრდილოეთისაკენ, სარგონმა აღმოსავლეთის მხრიდან მოუარა ურარტუს ცენტრალურ პროვინციებს (ამას მოწმობს ზემო და ქვემო ზანგისა და მიდიელების ქვეყნის, მარშრუტის განმსაზღვრელი, ხსენება ტექსტში).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რომ მანა, ამ ცნობების მიხედვით, საკუთრივ ურარტუსაგან (ვანის ტბის რაიონი), ჩანს, ჩრდილოეთით მდებარეობდა. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მანა და საკუთრივ ურარტუ (ბიაინა) ერთმანეთს არარატის მთის რაიონში ესაზღვრებოდნენ; ამას მთა უაუაშისა და პროვინცია უაიშდიშის ლოკალიზაცია ემოწმება: როგორც ვნახეთ, უაიშდიში მანას ის პროვინცია იყო, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა ბიაინას და ამიტომაც პირველ რიგში იყო მიტაცებული ამ უკანასკნელის მეფეთა მიერ.

ყველაზე ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ მანას სამთავროს ძირითადი რაიონები არაქსის ხეობაში მოდიოდა. რამდენად შორს ვრცელდებოდა ჩრდილოეთისაკენ მანას ტერიტორია, ამის თქმა მოცემული ცნობების ნიადაგზე შეუძლებელია. საყურადღებოა ზიქირთუ, რომელსაც უკიდურესი მდებარეობა უჭირავს, სარგონის ცნობებით, და, ჩანს, საკუთრივ მანას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება. შესაძლებელია ზიქირთუ უკვე მტკვრის ხეობაში მოდიოდეს. ამდენადვე შეუძლებელი არც ისაა, რომ ზიქირთუს დედა-ქალაქი პ ა რ დ ა ისტორიულ ბ ა რ დ ა ვ ს (პარტავს) უდრიდეს.

ჩვენ მიერ მიღებული ლოკალიზაცია, ვფიქრობთ, ეთანხმება წყაროებში წარმოდგენილ პოლიტიკურ ურთიერთობასაც, როცა მანა-ასურის ბლოკს უპირისპირდება ბიაინა-ზიქირთუს ბლოკი (შდრ. ქართველთა სამეფო-სამთავროების ურთიერთობა გვიანდელ-ფეოდალურ ხანაში).

საფიქრებელია, რომ მ ა ნ ა ს სახელწოდების მერმინდელ ფორმას წარმოადგენს ძველი სომხეთის ერთი პროვინციის, მანალის-ის („მანალიქ“) სახელი. ადონცის ლოკალიზაციით, მანალისის პროვინცია მდებარეობდა მდ. ევფრატის სათავეებში ბაღირ-ხაჩის მთიდან მდ. ტუზლუმდის. მომიჯნავე პროვინციები იყო ეკელესენა (აკილისენა, ეკლეცი) და დერჯანი; ახლო პროვინციები იყო აგრეთვე კარინის ოლქი, ჩრდილოეთით, და დარანალია, სამხრეთით. ამავე ავტორს სამართლიანად აქვს გამოყოფილი მოცემულ გეოგრაფიულ სახელში ფუძედ მ ა ნ, ხოლო -ა ლ ი — ქართველურ აფიქსად მიჩნეული[1]. ის გარემოება, რომ ზოგი ძველი სომეხი ავტორი (მაგ., არისტაკეს ლასტივერტელი) ამ ოლქის სახელწოდებას გადმოსცემს მანანალისის ფორმით („მანანალიქ“), — დასაყრდენს ჰპოვებს ლურსმულ წარწერებში, სადაც „მანა“ ყოველთვის ორი ნ-არით იწერება. ამ ნარების გამყოფი ხმოვნის გულვება შესაწყნარებელია.

მაგრამ სარგონის წერილი ასურისადმი შეიცავს შესანიშნავ ცნობას, რომ „მანნა“ არ იყო ქვეყნის ადგილობრივი სახელი. როგორც ვნახეთ, სარგონი ამბობს, რომ „ს უ ბ ი ს ოლქს ურარტუს ხალხი მანას ქვეყანას ეძახის“. ცოტა ზემოთ დასახელებულია ს უ ბ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ბარი. მეზობელ ოლქს კიდევ სარგონი ბარუს ეძახის (ასევე სთარგმნის ამ ცნობას თურო-დანჟენიც, 29).

[1] Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана. С-Пб. 1908, стр. 46, 48-52, 55-56, 19.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ს უ ბ ი იგივე ს უ ბ ა რ ი ა, რომ აქ ს უ ბ ა რ ე თ ი იგულისხმება[1]. იქნებ ამავე სახელწოდების ფრაგმენტი იყოს „ბარუ"-ც, რომელიც ქართულ სიტყვა „ბარ"-საც ასე ეხმაურება (ორივე ეს პროვინცია მდ. არაქსის დაბლობზე მოდიოდა, როგორც ვნახეთ. სუბის ბარის შესახებ ხომ სპეციალურად არის საუბარი). რომ „ბარუ" შესაძლოა სწორედ მსაზღვრელი იყოს, ამას მხარს უჭერს სარგონის ცნობა, რომ ბარუს მეორე სახელიც ჰქონდა — სანგიბუთუ. ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში საკუთრივ გეოგრაფიული სახელწოდება გამოვიდოდა.

ეხლა თუ მოვიგონებთ მანა-სუბის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ურარტულ ხანაში, და მის გეოგრაფიულ მდებარეობას, როგორც ეს ჩვენ განვსაზღვრეთ, სრულიად ბუნებრივად უნდა გვეჩვენოს, რომ საუკუნე-ნახევრის შემდგომ, ჰეროდოტეს ხანაში, როცა ურარტუს სამყარო პოლიტიკურად სავსებით დაშლილი იყო, უკანასკნელის ადგილას ჩვენ კვლავ ორს მთავარ ელემენტს ვხედავთ: სასპეირ-საბერებს, რომელნიც მანა-სუბი-სუბარს შეესატყვისებიან, და ალაროდიებს, რომელნიც საკუთრივ ურარტუ-ბიაინას შეეფარდებიან. ჰეროდოტესეული სასპეჲრების ლოკალიზაცია, რომელიც ჩვენ თავის ადგილას ვსცადეთ (იხ. აქვე, გვ. 56—57), კარგად ეთანხმება მანა-სუბის ტერიტორიის აქ მოცემულ განმარტებას.

მაგრამ ჩვენ გვაქვს საშუალება კიდევ უფრო შორს წავიდეთ და სუბი დავუკავშიროთ არა მარტო ჰეროდოტეს სასპეირებს, არამედ სტრაბონის სისპირიტიდა-სუსპირიტიდასაც.

როგორც ვნახეთ, სარგონი სპეციალურად და ხაზგასმით აღნიშნავს სუბი-ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ერთს ძირითად ნიშანს: აქაურ ხალხს თურმე მეტოქე არა ჰყავდა მთელ ურარტუში ცხენოსნობის თვალსაზრისით. მეცხენეობა, ჩანს, მათი მეურნეობის ერთი ძირითადი დარგთაგანი იყო. ისინი წლების განმავლობაში ხედნიდნენ და ზრდიდნენ ცხენებს სამეფო ლაშქრისათვის. შემდეგ აღწერილია ის საგანგებო წესები, რომელთა თანახმადაც სუბიელები წვრთნიდნენ ცხენებს (საფიქრებელია, საომარი) ეტლებისათვის. ყურადღებას იქცევს, ამ თვალსაზრისით, სარგონის მეორე ცნობაც, რომ სუბი-ქვეყნის თავზე აღმართულ ციხე-ქალაქ უშკაიას მეცხოველეობა დამოკიდებული იყო ბარუ-სინგაბუთუს

[1] სარგონის ცნობებით იმ დასკვნის გაკეთებაც შეიძლება, რომ სუბი მანას ერთ პროვინციასაც აღნიშნავდა, კერძოდ და სპეციალურად. ასეთი დავიწროება სახელის მნიშვნელობისა იშვიათი ამბავი არ არის.

მხარეზე (აქ იყო საძოვრები, უნდა ვიგულისხმოთ) და მეორე მეზობელი მხარის, დ ა ლ ა ი ა ს, ქალაქებში, თ ა რ უ ი ს ა და თ ა რ მ ა კ ი ს ა შ ი, ყოველწლიურად ასუქებდნენ ცხენებს, რომელნიც დაბმული ყოფილან აქ (ურარტუს) სამეფო ლაშქრისათვის.

მეორე მხრით, სტრაბონი გვიამბობს: მიდიის ნაწილი, კასპიის კარებს ქვემოთ, რომელიც დაბალსა და ღრმა ვაკეზე მდებარეობს, მეტად ნაყოფიერია... როგორც ამ ქვეყანას, ისე არმენიასაც აქვთ საუცხოო მინდვრები ცხენებისათვის. საცხენე მინდორს ეძახიან იმასაც, რომლითაც გადადიან პერსიდა-ბაბილონიდან კასპიის კარებამდე; ამბობენ, რომ ამ მინდორში, სპარსელების ბატონობის დროს, ბალახს სძოვდა ორმოცდაათი ათასი ფაშატი (ჰაკი) ცხენი: ეს იყო სამეფო ჯოგები. გარდა ამისა, ზოგნი ამტკიცებენ, რომ აქ არის სამშობლო ნესაური ცხენებისა, რომელნიც ყველაზე კარგები და ყველაზე მაგრები იყვნენ სამეფო ცხენებში; სხვების აზრით-კი ამ ცხენების სამშობლო არის არმენია. ელინურ და სხვა ჯიშის ცხენებთან შედარებით მიდიურ ცხენებს თავისებური აგებულება აქვთ. მცენარე, რომლითაც ეს ცხენები უპირატესად იკვებება, იწოდება საკუთრივ მიდიურად, იმიტომ რომ მიდიაში იგი უხვად გვხვდება (XI, 13, 7).

მეორე ცნობაში სტრაბონი ამბობს, რომ არმენიის პროვინციას სისპირიტიდას აქვს მშვენიერი საძოვრები, რაშიაც არ ჩამორჩება მიდიას, ისე რომ ნესაური ცხენები, რომელნიც ემსახურებოდნენ სპარსეთის მეფეებს, იზრდებიან აქაც, ხოლო არმენიის სატრაპი უგზავნიდა სპარსეთს ყოველწლიურად 20.000 კვიცს მითრას დღესასწაულისათვის. მეორე მხრივ, არტავაზდამ გამოიყვანა ანტონის წინაშე, როცა მასთან ერთად შევიდა მიდიაში, მხედრობის გარდა კიდევ 6.000 შეჯავშნული ცხენი. ამგვარი მხედრობის მოყვარულები არიან არა მარტო მიდიელები და არმენიელები, არამედ ალბანელებიც, იმიტომ რომ ისინიც ხმარობენ შეჯავშნულ ცხენებს (XI, 14, 9). მესამე ადგილას კიდევ სტრაბონი ამბობს, რომ არმენიის პროვინციები ფაბენე, კომისენე და ორქისთენე იძლევიან (არმენიის) მხედრობის უდიდეს ნაწილსო (XI, 14, 4).

ამრიგად, სტრაბონის ცნობით, აქემენიდების დიდ იმპერიაში ორი რაიონი ყოფილა განთქმული და წამყვანი მეცხენეობაში — ჩრდილოეთი მიდია და სისპირიტიდა არმენიაში. მიდიას იცნობს და ასახელებს სარგონიც თავის ეპისტოლეში. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ადგილებში, ამ ეპისტოლედან, მეცხენეობის შესახებ მიდია სავსებით გამორიცხულია. არ რჩება არავითარი საფუძვე-

ლი ეჭვისათვის, რომ სარგონის აღწერილობა გულისხმობს არმენიას, სტრაბონისეული გაგებით, კერძოდ სისპირიტიდას. სარგონის სუბი ანუ მანა, გარკვეულ ფარგლებში, უდრის სისპირიტიდას. ხოლო საერთო სამეურნეო ნიშნების სიახლოვისათვის სუბი-მანასა და არმენიის ამ პროვინციებს შორის ბევრს გვეუბნება სტრაბონის შემდეგი ცნობა: არმენიაში არის ბევრი მთა და მთის ვაკე, სადაც გაჭირვებით მოჰყავთ ვაზი. ბევრი ხეობა-კი გამოირჩევა ან ზომიერი, ან შესანიშნავი ნაყოფიერებით, როგორც მაგალითად, არაქსის ხეობა... შემდეგ საკასენე, რომელიც ალბანეთსა და მტკვარს ესაზღვრება, შემდეგ — გოგარენე (პროვინცია, რომელიც იბერებს წაართვეს არმენიელებმა მეორე საუკუნეში, ს. ჯ.). მთელ ამ ქვეყანაში უხვად მოდის ნაყოფი, იზრდება შინაური მუდამ ყვავილმსხმოიარე ხე და ზეთისხილიც კი (XI, 14, 4). სარგონის ზემოთმოტანილი აღწერილობა ამ მხრივაც ხვდება სტრაბონისეულს.

აქ გამართული ხაზის გასაგრძელებლად უკვე იბერებამდის ჩვენ გვინდა დავუმატოთ კიდევ რამდენიმე ცნობა და მათი განმარტება, რომელთაც უნდა დაგვარწმუნონ, რომ სუბი-მანასა და სასპეირ-საბეირების ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა იბერების სახით იყო წარმოდგენილი. ის ცნობები, რომელთა ანალიზსაც ჩვენ აქ ვაპირებთ, რომაელების მითრიდატე პონტოელთან ბრძოლასა და ამიერ-კავკასიაში შემოჭრას უკავშირდება.

აპიანე მოუთხრობს, რომ პომპეუსისაგან დამარცხებული (66 წ.) მითრიდატი „საჩქაროდ გაეშურა ევფრატის სათავეებისაკენ, რათა იქიდან კოლხიდაში გადასულიყო. შეუჩერებელი სვლით იგი მეოთხე დღეს გავიდა ევფრატში. მომდევნო სამი დღის განმავლობაში მან დარაზმა და შეაიარაღა თავისი თანამგზავრები, შემდეგ შემოერთებულებთან ერთად, შეიჭრა ხ ო ტ ე ნ ე ს ა რ მ ე ნ ი ა შ ი, უკუაგდო ხ ო ტ ე ნ ე ლ ე ბ ი და ი ბ ე რ ე ბ ი, რომელნიც ცდილობდნენ მის შეჩერებას ისრებითა და ქვებით და მივიდა მდინარე აფსართან. აზიელ იბერებს ზოგნი სთვლიან წინაპრებად, სხვები — კოლონისტებად ევროპელი იბერებისად, მესამენი — მხოლოდ თანამოსახელეებად, იმიტომ რომ ისინი არ არიან მსგავსნი არც ჩვეულებითა და არც ენით“ („მითრიდატეს ომები“, 101). აშკარაა, რომ იბერების შეხვედრა მითრიდატესთან სადღაც ევფრატის ს ა თ ა ვ ე ე ბ თ ა ნ მომხდარა — ამ შეტაკების შემდეგ მიაღწია მხოლოდ მითრიდატმა აფსარს, ე. ი. ჭოროხს. უაღრესად საეჭვოა, რომ

მითრიდატესთან მებრძოლი იბერები ცენტრალური ქართლიდან შემთხვევით აქ მოსული რაზმი ყოფილიყო. უფრო ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ხოტენელები და იბერები აქაური მკვიდრნი იყვნენ, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს მითრიდატს, როცა ამ უკანასკნელს მათ სამშობლოში უნდოდა გავლა და ამდენადვე იგი ხოტენესაც ომში ითრევდა. თუ ეს დასკვნა გამართლდება, მაშინ მივიღებთ მნიშვნელოვან დებულებას, რომ სასპერ-საბერების შთამომავალნი, იმავე იბერების სახელწოდებით, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ისხდნენ თავის ძველ მამულზე, რომელიც არტაშესის სომხურმა სამთავრომ მოსწყვიტა საბერ-იბერების სამყაროს მეორე საუკუნის დამდეგს, ძვ. წ., ხოტენეს იბერებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოწყვეტილი იყვნენ საკუთრივ ქართლის ანუ იბერიის სამეფოს პოლიტიკურად, მაინც შეუნახავთ თავისი ინდივიდუალობა მთელი ამ ხნის განმავლობაში.

აპიანეს ცნობას ადასტურებს და ახალ შუქსა ჰფენს სტრაბონის ერთი ჩვენება (წ. XII, თ. 3. § 28). სტრაბონი ამბობს: ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მიდამოებს ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები და ხალდები მცირე არმენიამდე. უკანასკნელი საკმაოდ ნაყოფიერი ქვეყანაა. მას, ისევე როგორც სოფენეს, ყოველთვის ჰფლობდნენ საკუთარი მთავრები. მათ ემორჩილებოდნენ ხალდეებიცა და ტიბარენებიც, ასე რომ მათი ხელისუფლება ვრცელდებოდა ტრაპეზუნტსა და ფარნაკიამდე. როცა გაძლიერდა მითრიდატ ევპატორი, იგი გახდა მბრძანებელი როგორც კოლხიდის, ისე ყველა ამ ადგილისა. იგი ისე ზრუნავდა ამ ადგილების შესახებ, რომ ააგო აქ 75 სიმაგრე, რომლებშიაც მოათავსა თავისი განძების უმეტესი ნაწილი. ყველაზე მნიშვნელოვანი სიმაგრეები იყო: იდარა, ბასგიდარიზა და სინორია. ეს უკანასკნელი დიდი სომხეთის საზღვარზე ძევს. პარიადრის მთელ მთიანეთს ბევრი მოხერხებული პირობა მოეპოვება: იგი წყალმრავალია, ტყით მდიდარი და მრავალ ადგილას დასერილი ციცაბო ხევებითა და აღმართებით. სწორედ ამიტომ იყო აქ აგებული საჭურჭლეების უმრავლესობა. პომპეუსისაგან დევნილმა მითრიდატმა პონტოს სამეფოს ამ განაპირაში შეაფარა თავი. მან დაიკავა წყალმრავალი მთა აკილისენაში, დასტეირასთან. აქვე ახლოს იყო ევფრატიც, რომელიც ჰყოფს აკილისენას მცირე სომხეთისაგან. მითრიდატმა აქ გაატარა ერთი ხანი, სანამ მტრის მიერ გარემოცული ის იძულებული არ გახდა მთებით კოლხიდაში გაქცეულიყო.

აშკარაა, რომ სტრაბონისა და აპიანეს მოთხრობა ერთსადაიმავე ამბავს გულისხმობს: აპიანეც ამბობს, რომ მითრიდატი, დ ა ს ტ ე ი რ ა ს თ ა ნ დამარცხებული, მიდის ს ი ნ ო რ ე გ ა ს ციხე-სიმაგრეში (სტრაბონის სინორია), სადაც მას ბევრი ფული ჰქონდა შემონახული, შემდეგ აქედან მიდის ევფრატის სათავეებისაკენ, ევფრატს გადადის მეოთხე დღეს, შეიჭრება ხოტენეს არმენიაში, სადაც შეტაკება მოსდის ხოტენელებსა და იბერებთან და მხოლოდ შემდეგ გადადის კოლხეთში.

ამრიგად, მითრიდატი ჯერ აკილისენაში გამაგრდა, დასტეირასთან. აქ დამარცხების შემდეგ იგი მიდის ციხე სინორეგა-სინორიაში, სადაც განძები ეგულება. სინორეგა-სინორია პ ა რ ი ა დ რ ი ს მ თ ი ა ნ ე თ შ ი მდებარეობს, დიდი არმენიის საზღვარზე. აქედან მითრიდატი მიემართება ევფრატის სათავეებისაკენ, გადადის ამ მდინარეს (მაშასადამე, სათავესთან) და თავს ამოჰყოფს ხოტენეს არმენიაში, სადაც ხვდება იბერებს. ხოტენეს არმენიის გავლის შემდეგ მიდის მხოლოდ მითრიდატი აფსართან, ე. ი. ჭოროხთან. ამრიგად, ცხადია, ხოტენეს არმენია ევფრატის სათავეებსა და ჭოროხს შორის მდებარეობდა, სტრაბონის წარმოდგენით თუ მასთან დაცული ცნობით.

უეჭველია, რომ აპიანეს ხოტენე იგივე სტრაბონის ხორძენეა (პირველის მიღება უკანასკნელისაგან შესაძლოა პალეოგრაფიულ ნიადაგზედაც: ტაუსა და ძეტას აღრევა ბერძნულ დამწერლობაში ძნელი არ არის. სტრაბონის -ορ- ჯგუფი კი იძლევა, ჩანს, აპიანეს ომეგას; მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ეს ფორმები ადგილობრივი დიალექტური ვარიანტები იყო: რ-ს დაკარგვა-გაჩენა და ძ (ან მონათესავე აფრიკატის) ტ'დ შენაცვლება შესაძლებელი ფონეტიკური მოვლენებია ქართველური ენების წრეში). სტრაბონი ამბობს, რომ სომხეთის პირველმა მეფემ არტაშესმა ჩამოაჭრა იბერებს პ ა რ ი ა დ რ ი ს კ ა ლ თ ე ბ ი, ხ ო რ ძ ე ნ ე და გოგარენეო (წ. XI, თ. 14, § 5).

პარიადრისა და ხორძენე-ხოტენეს შეუღლებული მოხსენება ორსავე ცნობაში მხარს უჭერს ხორძენესა და ხოტენეს გაიგივებას. ეხლა გასაგებია, რომ ხოტენე-ხორძენეში მითრიდატს იბერები დახვდნენ. ესენი ამ ქვეყნის ძველი მკვიდრნი იყვნენ, რომელნიც აქვე დარჩენილან მათი სამშობლოს დაპყრობის შემდეგ არტაშესის მიერ საუკუნე-ნახევრის წინათ.

პარიადრის მთიანეთისა და ხორძენე-ხოტენეს ლოკალიზაციისათვის გამოსაყენებელია მცირე არმენიისა და აკილისენას გეოგ-

რაფიული მდებარეობა: აკილისენა ევფრატის მარცხენა ნაპირზე გადაფენილი ქვეყანა იყო, ერზინჯან-კემახის თემები, ხოლო მცირე არმენია, აკილისენას მოსაზღვრე დასავლეთიდან, მიახლოებით შეიცავდა სევასტია-სივასისა და მელიტენა-მალატიას ოლქებს. პარიადრის მთიანი ოლქი, ამრიგად, საგულისხმებელია პარიადრ-პარხალის ქედსა და ევფრატ-აკილისენას შორის; იგი ვრცელდებოდა აღმოსავლეთისაკენ, ჩანს, მიახლოებით ენდერეს-ყარა-ჰისარიდან. აღმოსავლეთით მას, ცხადია, ხოტენე-ხორძენე ესაზღვრებოდა. ეს საზღვარი უნდა მიახლოებით გუმუშხანა-ერზინჯანის ხაზზე დავსდოთ, თუ მოვიგონებთ აპიანეს ცნობას, რომ მითრიდატი შედის ხოტენეში ევფრატის გადასვლის შემდეგ ამ მდინარის სათავეებთან. ამრიგად, ისტორიული ხოტენე-ხორძენე შეიცავდა, ზემო ევფრატის აუზში, გუმუშხანას თემის აღმოსავლეთ ნაწილს და ბაიბურდის თემს (მიახლოებით, რათქმაუნდა).

ამ ძველი ხორძენეს უეჭველი მემკვიდრეა ადრინდელ-ფეოდალური სომხეთის ერთი დასავლური თემი — ხორძიანა ანუ ხორძიანენა. ოღონდ როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ისე აქაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ მერმინდელმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა ძველი პროვინციის მხოლოდ ნაწილი შეინარჩუნა. პროკოპი კესარიელის ცნობით, ხორძიანა დაშორებული იყო ქალ. თეოდოსიოპოლს (ერზერუმს) სამი დღის გზით. ადონცის ლოკალიზაციით, რაც ჩვენ არ მიგვაჩნია მთლად ზუსტად, ხორძიანას ეჭირა მერმინდელი თურქ. ყაზა კეღი, მდ. ფერი-სუს ხეობაში, და სამხრეთიდან ადგებოდა ხალხალის მთას [1].

საინტერესოა ამ თემების ტოპონიმიკა, რომელშიაც მათი ძველი ისტორია ცხადად მეტყველებს. შენახულა, როგორც ჩანს, ფორმა ხოტენეს ნაკვალევიც: მდინარე ოგენე-დერეს ზემოთა წელზე ვპოულობთ დაბა ხოტინოსს (Хотинос), ადგილის სახელს ხოტინოს-ქეფრუს და — დასახელებული მდინარის სათავეებისაკენ — დაბა ოტენე-ულას (თუ აქ შეცთომას არ ჩადის ყველა რუსული რუკა: შდრ. იქვე ოგენე სუფლა და ოგენე-დერე). სახელწოდება ხოტინოს-ქეფრუ, — ხოტინოს ხიდი, შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ, სახელმდებლის თვალსაზრისით, ეს რაიონი შესავალი კარი იყო საკუთრივ ხოტენეში (შდრ. „გურჯი-ბოღაზ“ — საქართველოს ყელი). გასათვალისწინებელია აგრეთვე ხორტიკი და ხორტიკ-დაღიც, ისპირს სამხრეთით. ამ პუნქტის სახელწოდებაში მთელი პროვინციის სახელწოდება ისევეა შემონახული, როგორც კლარჯეთის თე-

[1] დასახელ. ნაშრომი, 14—15, 19—20, 46—47.

მის სახელი ერთი დაბის სახელში (იხ. რუს. რუკების Кларджет, არტანუჯის სამხრეთით) და, რაც კიდევ უფრო საკვირველია, ბჯზერ-ვიზერების ძველთა-ძველი თემის სახელი შენახულია დღემდე დაბა ვიზერაში (Визера მდ. გალანიმა-დერეზე, ტრაპეზუნტიდან სამხრეთ-დასავლეთით). ხოლო ფორმა „ხორძენე“ ძალიან ეხმაურება „ხორზიანის“ ველის სახელწოდებას ქალ. არტაანის სამხრეთით, არტაან-ოლთისის გზატკეცილიდან აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა სათავის ხეობაში, და შესაძლოცაა, რომ ეს უკანასკნელი ხორძენეს ისტორიული გამოძახილია.

პარიადრ-ხოტენეს ტოპონიმიკის მთლიანად განხილვის საშუალებას აქ ჩვენ მოკლებული ვართ (ეს სხვა დროისათვის გადაგვიდვია). აქ მხოლოდ საილუსტრაციოდ გაკვრით აღვნიშნავთ: ყურადღებას იქცევს სახელწოდება ი მ ე რ ა, გუმუშხანადან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, რომელიც მეორდება საქართველოშიაც (იმერხევი, ჭოროხის ხეობაში, და იმერა — ბორჩალოში). ხომ არ არის ეს იმავე ი ბ ე რ ი ს ტრანსფორმაცია? წინაალმდეგ შემთხვევაში იგი მაინც უდაოდ ქართული ტოპოგრაფიული ტერმინი გამოდის, რომლისგანაც არის ნაწარმოები „იმერეთი“. გვხვდება ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელთა ქართველური ჰაბიტუსი თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს (აქ ვუჩვენებთ მხოლოდ ზოგიერთს): ტრაპეზუნტის სანჯაყში, მდ. ხორშუტ-ჩაის ხეობაში, ქვემოდან ზევით — ტაიმგშ (შდრ. ტამგშ—ტამუში აფხაზეთში), ძარა (Дзара), გორიანა, მაჯარა (შდრ. მაჯარა კოდორის ხეობაში, „მაჯარ“ გვხვდება სამხრეთ-დასავლეთისაკენაც ამ პუნქტიდან, ჯელარე-დერესის ხეობაში), შუვა (ორ ადგილას, გალმა-გამოლმა), მირზანი (შდრ. მირზაანი, კახეთში); გუმუშ-ხანას თემში, იმერასთან — მოხორა (შდრ. მუხური, ქვემო იმერეთში, და მუხურა, ზემო იმერეთში) და ლორი (შდრ. ლორე ქვ. ქართლში), ბორშიანი, აქვე საყურადღებოა არნო, არა და მდ. ჩოროხ-დერესი. სურმენეს ყაზაში, პარხალის ქედის ერთ ნაწილს ეწოდება უკვე უცილობლად ქართული სახელი „ნატეხილები“ (Горы Натехилеби); ხომ არ არის გრაფიკული შეცთომა: Чатехилеби?), სუნურ-ოვანის დაბლობში, სამხრეთით, არის ქსანთა (Ксанта; შდრ. ქსანი) და კიდევ უფრო სამხრეთით იგივე ლორი, აქვე, ზიარეთიდან ჩრდილოეთით — კიტრა (Китра), სამხრეთ-დასავლეთისაკენ — ჩოროგმა (Чорогма), დასავლეთისაკენ ერმადა (Ермады). აქვეა ძალიან საინტერესო ხურუ (Хуру; შდრ. ქართ. ჰური); ჭოროხის ხეობაში, საკუთრივ სპერში — ხართი (Харт; შდრ. ქართა), ჩუმოვანი, ორ-

ცორ-ი (Орцор, ორწვერი?), მთა ნახიზე-დაღი და იქვე დასახლებული პუნქტი — ნახიზირ (Нахизир, ნახი-ძირი?); ისპირიდან სამხრეთისაკენ ყურადღებას იქცევს დაბა ხორტიკი და ქედი ხორტიკ-დაღი, უკანასკნელიდან პირდაპირი ხაზით დასავლეთისაკენ — ხუნტუსი; ხომ არ არის ეს სახელებიც იმავე ხოტენეს ნაკვალევი? იქვე ისპირთან, დასავლეთისაკენ, არის ყიზილ-ი მ ა რ ე თ ი; ისპირიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გვხვდება კობლათი (Коблат) და გობლადი (Гоблад); უკანასკნელ სახელწოდებათა დაბოლოებიანი სახელები აუარებელი რაოდენობით გვხვდება სურმენეს თემში — ბურნაჩანდო, ტერზანდო, კასაჩანდო და მრავ. სხვა; ქართველურია (ჭანური) აშკარად ციმილათი (Цимилат)... გოლოშა (ღოლოშა? Голоша; შდრ. ტოლოში), საინტერესოა მესოხორი, იქვე ზაზანა და იქვე აგრეთვე განსაკუთრებით საყურადღებო — ს ა მ ე რ ა (შდ. იამბოლი-დერესის ხეობაში). ხომ არ არის ეს საერის ნაშთი? ან რა კავშირი აქვს მასთან „სივრი-დაღს", ოლთისის დასავლეთით? უნდა შევნიშნოთ, რომ ამავე ფურცლის ახალ გამოცემაზე უკვე „სამრო" არის აღნიშნული; სრულიად გამოცვლილა თვით მდინარის სახელიც. ამავე ხეობის ზემო წელზე ყურადღებას იქცევს იშხანი და თელევიც (Телеви).

ამრიგად, ხოტენე იგივე ხორძენეა სტრაბონისეული ცნობისა, ძველი საბერ-სასპერების მიწა-წყლის ნაწილი, არტაშესის მიერ მიტაცებული. უეჭველია, რომ აპიანეს მიერ მოხსენებული ხოტენელი იბერები ძველთაგანვე მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნოდნენ და პირდაპირი ხაზით შთამომავლობდნენ სასპერ-საბერებისაგან.

ეხლა ნათელია: აპოლოდორის ცნობა, რომ იბერებს სომხებისაგან არაქსი ჰმიჯნავსო, გულისხმობს საზღვარს, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც სასპერ-იბერებმა პარიადრის მთიანეთი, ხორძენე და გოგარენე დაჰკარგეს. ეს პროვინციები არაქსის სამხრეთით მდებარეობდა.

გარდა ამისა, უფლება გვაქვს დავასკვნათ: ს ასპერის სახელი იბერად იქცა არა მარტო ისტორიულ იბერია-ქართლის მოსახლეობის მიმართ, არამედ იბერიის გარეშეც, პარიადრ-ხორძენეს მოსახლეობის მიმართაც, რომელიც ხალხის ძირითად ტანს მოსწყდა ჯერ კიდევ მეორე საუკუნის დამდეგს, ძვ. წ., ამდენადვე სასპეჯრ-იბერის გაიგივება ახალს მტკიცე საბუთს იძენს.

იმის შემდეგ, რაც აქ მეტ-ნაკლებად გაირკვა სუბი-მანას შესახებ, ძალდაუტანებლად შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის მოქცევის" თხრობის აზო თავის უშუალო დასაყრდენს პოულობს სწო-

რედ სუბი-მანას, მერმინდელ საბერ-სასპირების, რეალურს ისტორიულ სინამდვილეში. ამჟამად ძნელია იმის თქმა, უდრის თუ არა, პერსონალურად, „ქართლის მოქცევის“ აზო სუბი-მანას სამეფო დინასტიის რომელსამე განსაზღვრულს ისტორიულ წარმომადგენელს, თუ გარდმოცემის აზოში პერსონიფიცირებულია, მცხეთა-არმაზის სამეფოს ჩამოყლიბების ისტორიულ ეპოქის ჩარჩოში, ხალხის მოგონებები ამ პოლიტიკურ მოღვაწეთა, კერძოდ — სამეფო დინასტიის შესახებ. ამ საკითხთან კავშირში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი საგულისხმო შეხვედრა; აზოს დინასტიისავე ერთი წარმომადგენლის, ბ ა გ ა დ ა ტ ი ს სახელი იგივე მერმინდელი ბ ა გ რ ა ტ-ია, რომელიც საფუძვლად დაედო სპერის თავიგვარის საგვარეულო სახელს — ბაგრატიონს [1]. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ მოსე ხორენელის ხანაში (IX ს.), ამავე მწერლის ცნობით, ბაგრატიონების სამფლობელოში არ ისმოდა სომხური მეტყველება.

თუ თავს მოვუყრით ყოველივე იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, მივიღებთ ძირითადად და მოკლედ, შემდეგს [2]:

1. უძველესი ქართული ეროვნული გარდმოცემით, რომელიც ლიტერატურულად ფიქსირებულ იქნა არა უგვიანეს VII ს. შუაწლებისა, ქართლის (მცხეთა-არმაზის) სამეფოს დამაარსებელი და ქართველთა ნაწილის გადმოსახლების მეთაური მტკვრის ხეობის ამ სექტორში ყოფილა აზო, არიან-ქართლის ანუ არიან-ქართველთა მეფის ძე.

2. ეს ისტორიული გარდმოცემა ბერძნებს ერთ ნაწილში გაუცვნიათ უკვე აქემენიდურ ხანაში, ხოლო მთლიანად — ელინისტურ ხანაში; ბერძნებს ადგილობრივი თქმულება თანდათან დაუახლოებიათ თქმულებასთან არგონავტების შესახებ.

3. გარდმოცემის „არიან“ უდრის ხარი (ჰარი) || ხური (ჰური)-ს, რაც მეორე ათასეულის (ძვ. წ.) დამდეგიდან მოყოლებული საერთო სახელია წინა აზიის უძველესი ენდემური მოსახლეობისა და

---

[1] ადონცი, დასახელ. ნაშრომი, 411—413, ფიქრობს, რომ ტიგრან II დროს (I საუკ. პირველი ნახევარი, ჩვენს ერამდე) მოხსენებული მთავარი ბაგადატი არის მამათმთავარი მერმინდელი ბაგრატიონების საგვარეულოსი. აქვე იხ. არგუმენტაცია დ-ს რ-ში გადასვლის კანონზომიერებისათვის. საყურადღებოა აგრეთვე აზოს მამის, ირანზუს, სახელი, ნაირის მეფის სახელი იანზუ და სხვებიც.

[2] ნარკვევში წამოყენებული ძირითადი დებულებები გამოქვეყნებული იყო ავტორის მიერ, მოკლედ და პოპულარულად, წერილში „ურარტუ“ (ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937 წ., № 10).

შეიცავს ხეთას, მიტანის, ურარტუს და მათს მონათესავე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს. ძველი სამეფოსა და, განსაკუთრებით, მიტანის პოლიტიკური დაქვეითების შემდგომ ეს ხარული, ახლო მონათესავე, ხალხები დაქსაქსული სახით წარმოგვიდგებიან, ვიდრე ურარტუს სამეფოს ჩამოყალიბებამდე. ქართველების უშუალო წინაპრად უნდა მიჩნეულ იქნას თაბალ-თუბალი იგივე სუბარი.

4. ურარტულ ხანაში თუბალ-სუბარის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენს მანას ანუ სუბის ვრცელი და ძლიერი სამეფო, რომელიც მუდმივ ებრძვის ჰეგემონიისათვის საკუთრივ ბიაინას. საფიქრებელია, რომ უკვე მანას სამეფო ისტორიული ქართლის ტერიტორიის უდიდეს ნაწილსაც შეიცავდა.

5. სუბი-მანას სამეფო სახლში საგვარეულო სახელია აზა || აზო, რომლის განმეორებას წარმოადგენს ქართლის მოქცევის აზო.

6. ურარტუს სამყაროს პოლიტიკური დაქვეითების ხანასა და ადრინდელ-აქემენიდურ ხანაში სუბი-მანა წარმოდგენილია როგორც სასპეირ-საბერი, წინა აზიის ოთხ უდიდეს ხალხთაგან ერთი; მეორე—ქართველთა დასავლურ შტოს წარმომადგენელი კოლხები იყვნენ (ჰეროდოტე); ხოლო საკუთრივ ბიაინა-ურარტუ წარმოდგენილია ალაროდის სახით, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩენილია სასპეირებთან შედარებით. სასპეირ-საბერი (რომელთა ტერიტორია რომაულ ხანაში სისპირიტიდად იწოდება) ონომასტიკურადაც უდრის მერმინდელ იბერს და ისტორიულ იბერია-ქართლის სამეფოს ტერიტორიასაც შეიცავს, მხოლოდ მისი პოლიტიკური ცენტრი შესაძლოა მცხეთა-არმაზის რაიონზე სამხრეთით იყოს საძიებელი[1]. სამხრეთით სასპეირ-საბერების მიწა-წყალი ვრცელდება არაქსის ხეობასა, ჭოროხის ხეობის ზემოთა ნაწილზე და ევფრატის სათავეებზე.

7. სუბი-მანას ძირითადი თემების დამთხვევა მერმინდელ სისპირიტიდასთან რომაულ ხანაში დასტურდება შესანიშნავი ცნობებითაც ამ რაიონების განვითარებული მეცხენეობის შესახებ ორსავე ისტორიულ პერიოდში.

8. საბერ-იბერების ტერიტორიის შემდგომი თვალსაჩინო შეკვეცა სამხრეთისაკენ ხდება მეორე საუკუნის დამდეგს, ძვ. წ., როცა არტაშესის ახლად დაარსებული სამეფო ითვისებს საბერ-იბე-

---

[1] საბერების ერთი ამგვარი ძველი ცენტრთაგანია, უეჭველია, წალკის ის პუნქტი, სადაც უკანასკნელ წლებში სიძველეთა დაცვის განყოფილების არქეოლოგ. ექსპედიციამ (ხელმძღვანელი — ბ. კუფტინი) შესანიშნავი კულტურის ძეგლები აღმოაჩინა.

რების თემებს — პარიადრის მთიანეთს, ხორძენესა და გოგარენეს; ამის შედეგად და ამის შემდეგ იბერიისა და არმენიის საზღვარი გადის მდინარე არაქსზე.

9. პარიადრის მთიანეთსა და ხორძენეში (=აპიანეს ხოტენეს), ე. ი. მიახლოებით გუმუშხანასა და ბაიბურდის თემებში, იბერების არსებობა დადასტურებულია ჯერ კიდევ I საუკუნისათვის, ძვ. წ., სათანადო ანტიკურ ცნობებში ყურადღებას იქცევს ფაქტი „საბერ“ ფორმის შეცვლისა „იბერ“ ფორმად ისტორიულ იბერიაქართლის სამეფოს ფარგლებს გარეთაც. ამ თემების ტოპონიმიკაში დღემდე დაცულია ქართველური წარმოშობის სახელები.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ წერილის დებულებათა შემდგომი დასაბუთებისათვის აუცილებელია ხარიწრის ხალხთა ენობრივი მემკვიდრეობის ისტორიული შესწავლა. აქ ჩვენ საილუსტრაციოდ გვინდა ეუჩვენოთ ორიოდე ფაქტი, რომელნიც მოწმობენ ხარი-ენების საოცარ შეხვედრებს ქართველურ ენებთან. ჰროზნი ჩვენ მიერ ზემოთციტირებულ თავის რუსულ წერილში, სხვათა შორის, ამბობს (გვ. 30): „ხურული ენის (აქ იგულისხმება საკუთრივ ხარული, რომელიც ჰროზნის აზრითაც, ეიგივება ე. წ. მიტანი ენას. ს. ჯ.) მეტად მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომ ნათესაობითი ბრუნვა, რომელიც დამოკიდებულია არსებითი სახელისაგან, იღებს მის წინ მდგომელი არსებითი სახელისაგან ამ უკანასკნელის დაბოლოებასაც. ასე, მაგ., სიტყვები: „ქალაქ შამუხის ღმერთები“ ხურულად იქნება: „ნანი-ნა შამუხა-ი-ნა“; მრავლობითი რიცხვის დაბოლოება პირველ სიტყვაში „ღმერთები“ -ნ ა აქ მიერთვის მომდევნო შამუხა-ს მხოლოობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვასაც. ამის მსგავსი ჩვენთვის ცნობილია ზოგიერთი კავკასიური ენიდანაც. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ხურული ენა შორეულად მაინც ენათესავება ამ კავკასიურ ენებს“. რომელ კავკასიურ ენებს გულისხმობს აქ ჰროზნი, არ ჩანს. ნამდვილად, ასეთი გრამატიკული წესი ახასიათებს მხოლოდ ქართულს, რაც ამ უკანასკნელის ა ხ ლ ო ნათესაობას ამტკიცებს ხარულთან. იგივე ფრაზა ძველ ქართულად იქნება „ნან(ი)-ნი შამუხ(ა)-ისა-ნი“ — ღმერთ-ნი შამუხ-ისა-ნი. თუნდაც იმავე „ქართლის მოქცევის“ აზოს შესახები თხრობის პირველივე ფრაზა რომ ავიღოთ, სწორედ ამ კონსტრუქციას წავაწყდებით: „პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნ ა თ ე ს ა ვ-ნ ი ი გ ი ლ ო თ ი ს-შ ვ ი ლ-თ ა-ნ ი წარიქცი-ნ-ა“... (Опис. II, 708). მაგალითების გამრავლება სრულიად ზედმეტია, იმდენად ცნობილია ძველი ქართული-

სათვის ეს წესი. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ეს წესი ვრცელდება ყველა ირიბ ბრუნვაზე, იმდენად საყოველთაოა მისი მოქმედება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშანიც მატერიალურად ერთიდაიგივეა ხარულ-მიტანურსა და ქართულში: -ნ (ი). „ღმერთის“ აღმნიშვნელი სიტყვაც ანალოგიებს ჰპოვებს ქართველურსა და მის მონათესავე ენებში (შდრ. ქართული „იავ-ნანის“ „ნანა ნანინა“, აფხ. ან-ცია...).

მრავლობითის მაწარმოებლები საერთოდ იქცევს ყურადღებას ამ თვალსაზრისით. იმავე იარი-წრის ენათა ერთი წარმომადგენლის, პროტო-ხათურის ანუ ხეთურის, შესაებ ჰროზნი ამბობს: „ხეთურში ანუ პროტოხათურში... მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან „ბინუ“ „ბავშვი“ იქნება „ლე-ბინუ“ „ბავშვები“. შესაძლებელი ჩანს, რომ ეს ენა კავშირში იქყოფება ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ ენებთან, როცა ლებმიაც აგრეთვე ხმირად იხმარება პრეფიქსები“ [1]. „ჩრდილო-აღმოსავლური კავკასიური ენები“ აქ დასახელებულია მხოლოდ უცოდინარობის გამო. ნამდვილად კავკასიურ ენებში ამგვარი მრავლობითის წარმოება მხოლოდ ქართველურ ენებს ახასიათებს: იგი ჩვეულებრივია სვანურისათვის: „დ“ — დია (დიასახლისი), დედა, „ლ-დია“ — დედები; „მუ“ — მამა, „ლა-მუ-ა“ — მამები, „დაჩურ“ — და, „ლა-დჩურ-ა“ — დები. როგორც ვხედავთ, აქაც ფორმალური ნიშანი მატერიალურადაც იგივეა. მართალია, სვანურის ამ ფორმებში პრეფიქსთან ერთად სუფიქსიც გამოდის, როგორც ჩანს, მაწარმოებლის როლში, მაგრამ ეს გარემობა დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება, თუ გავითვალისწინებთ განვითარების პირობებსა და ხეთური ენის დაცულობა-შესწავლის ვითარებას.

სვანურის წარმოდგენილი ფორმა საკითხს აყენებს, ხომ არ ჰქონდა თავის დროზე ქართულს შესატყვის „სა — ო“ ფორმასაც აგრეთვე მრავლობითის წარმოების ფუნქცია? სემანტიკურად ეს ბუნებრივია. ასეთივე მოვლენა გვაქვს ჩვენ ხომ მრავლობითის -თ- სუფიქსთან, იგი ადგილსათავსის ფორმებსაც აწარმოებს: ჩუმათელეთი — ადგილი, სადაც ჩუმათელიძეები ცხოვრობენ (ამ სოფლის სახელის ნაჩვენები წარმოშობა დოკუმენტალურად დასტურდება), სომხეთ-სომხითი, სომხების ქვეყანა [2]... ადგილის სახელებს აწარ-

[1] დასახელ. წერილი, 27—28.

[2] -თ- სუფიქსი ავტორს განხილული აქვს ცალკე წერილში, რომელიც მოხსენების სახით წაკითხული იყო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.

მოებს აგრეთვე -**ნ**- სუფიქსიც: აგარანი (ირიბ ბრუნვებში: აგარა-თა), გავაზნი...

თუ მოვიგონებთ, რომ მეგრულში **ლე**- (ლა-) — ე (სვანურადაა მიჩნეული) აწარმოებს აგრეთვე ადგილის სახელებს (ლე-დგებიე — დგებიების სოფელი, ლე-სიჭინე — სიჭინავების სოფელი... ი. ყიფშიძე, გრამ., s. v. **ლე**-), შეიძლება ერთი საყურადღებო ისტორიული ჩვენება ავხსნათ.

პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილმა სამართლიანად შენიშნა, რომ ქართულ პროვინციათა შორის მოხსენებული ბიზანტიელ მწერალ-თა მიერ „სკჳმნია“ || „სკჳმია“ იგივე ლეჩხუმია: „აღწერილობის მიხედვით ეს პროვინცია უნდა უდრიდეს ლ ე ჩ ხ უ მ ს, რომლის ძი-რეული ნაწილის ჩხუმ || ცხუმ'ის მიახლოებითს გადმოცემას წარ-მოადგენს ბერძნული „სკჳმ“. თუ „სკჳმია“ უდრის ლე-ჩ ხ უ მ-ს, მაშინ იქ „ნ“ სრულიად ზედმეტია და, მაშასადამე, კანონიერად უნდა ჩაითვალოს ხელნაწერებში ამ ადგილას მოცემული ფორმა, ხოლო სხვა ადგილებში მოცემული „სკჳმნია“ შედეგი უნდა იყოს ამ ფორმის (ლეჩხუმ-სკჳმიას) გააზრებისა ბერძნულ ნიადაგზე, სადაც არსებობდა სახელი „სკჳმნოს“ (როგორც საზოგადო, ისე საკუთა-რი), რომლის **ნ**არიან ფორმას გაუჩენია „ნ“ ლეჩხუმ- „სკჳმია“-ში“ (გეორგიკა, II, 96, შენ. 2).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ნ“ ამ ფორმაში ზედმეტი არ არის: პირიქით, მის გარეშე ჩვენ ვერც ავხსნით, თუ რატომ არ არის წარმოდგენილი ბერძნულ გარდმოცემაში „ლეჩხუმ“-ის ლე- პრეფიქ-სი: ჩანს, რომ მეგრულ-სვანურ ფორმა „ლეჩხუმ“-ის გვერდით არ-სებობდა მისი შესატყვისი ქართ. ფორმა „ჩხუმ-ნ-ი“, სადაც „ნ“ მრავლ. რ. სუფიქსია. ეს ქართული ფორმა აქვს დადასტურებუ-ლი (გაბერძნულებული სახით: -ია!) ბიზანტიურ მწერლობასაც.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველური და ხარი-ენების შეხვედრა აქაც იჩენს თავს: სათანადო ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ მცირე აზიის უძველეს ტოპონიმიკაში ლე- პრე-ფიქსი გეოგრაფიულ სახელებსაც აწარმოებს...

დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი:

59 გვერდისათვის. Kretschmer, Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache, 105—107, უჩვენებს, რომ ძვ.-ბერძნ. π გადმოსცემს უცხოურს (სუმერულს) ბ-ს და თვითო-ნაც გადადის (ღძვ. ხანის ლათინურში) b-დ.

74 გვერდისათვის. ჩვენ სხვა ადგილას ნაჩვენები გვაქვს „ხარი“ || „ჰარი“ ფუძის ისტორიისათვის მნიშვნელოვან „ჰერ“ ძირის ნაწარმოებნი ქართულში. ამ საკითხს კიდევ დამუშავება სჭირია. ჩვენ აქ მხოლოდ გვინდა მივუთითოთ სატომო სახელ „ჰერ“-ზე, რომელიც მარტოოდენ ძველ ქართულ მწერლობას აქვს დაცული. „ჰერეთს“ ეძახდნენ ჩვენი წინაპრები მეზობელ ალბანეთს, მაშინ როცა ყველა სხვა მეზობელი ხალხისათვის ეს სახელი ამ მნიშვნელობით უცნობი იყო (შეიძლება მხოლოდ ეპვი არსებობდეს, ხომ არ უდრის მას ანტიკური მწერლობის „გერ“-ები, თუ ჰ || გ-ს ეს შესატყვისობა შესაწყნარებელია). ბუნებრივი იქნება ამიტომ ვიფიქროთ, რომ სახელი „ჰერი“ ისევე გადატანილ იქნა მერმინდელ მოსახლეობაზე, როგორც სახელი „სომეხნი“.

საფიქრებელია, რომ აზოს შესახები თხრობის ის ელემენტები, რომელნიც დადასტურებულია ანტიკური მწერლობის მიერ ალბანეთისათვის, გატანილია ჰერების მიერ. ჰერებს უნდა მიეპყრას ყურადღება მაშინაც, როცა საკითხი ჩნდება, თუ ვინ იყო მატარებელი იმ კულტურისა, რომელსაც ამჟამად უკვე ალაზანიალოილუთაფას კულტურა უნდა ეწოდოს და რომელსაც პროფ. გ. ნიორაძემ ეხლახან ვრცელი მონოგრაფია უძღვნა („ალაზნის ველის გათხრები“, თბ. 1940).

86 გვერდისათვის. სარგონის მარშრუტი და მანას მდებარეობა სხვაგვარად აქვთ ლოკალიზებული თ უ რ ო - დ ა ნ ჟ ე ნ ს, VI შმდ. და Lehmann-Haupt'ს, Armenien einst und jetzt, II, 315 შმდ. ლოკალიზაციის საკითხები დაწვრილებით სხვაგან გვაქვს განხილული.

გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში

განაკვეთის სამუშაო გეგმა

წინამდებარე განაკვეთის მიზანია საშუალება მისცეს დაუსწრებელ პედაგოგიურ ინსტიტუტის მსმენელს გაითვალისწინოს გვაროვნულ წყობილების საკითხი ქართველ ტომებში, ამ წყობილების წარმოშობისა და სხვა საზოგადოებრივ ფორმაში გადასვლის საკითხებთან ერთად. რაკი საკუთრივ საქართველოს ისტორიის მასალები ყველა ამ საკითხზე ჩვენ პასუხს არ გვაძლევენ, ამიტომ წინასწარ უნდა ზოგადად მაინც გაეცნოთ იმ გზებს, რომლებითაც ვითარდება კაცობრიობა წინაკლასობრივ ხანაში და წინაკლასობრივ ხანიდან კიდევ კლასობრივში გადადის. ამასთან ერთად ჩნდება ის საკითხიც, თუ რატომ მიგვაჩნია შესაძლებლად ჩვენი საგნის ასეთი დაკავშირება კაცობრიობის საერთო განვითარებასთან და ამ კავშირის ნიადაგზე გარკვეულ დასკვნების გაკეთება. ყველა ამ საკითხის გარკვევისას ჩვენ მუშაობის შემდეგ გეგმას გავყვებით.

თემის გეგმა

I. შ ე ს ა ვ ა ლ ი.
   1) საგანი და მეთოდი.
   2) საქართველოს ისტორიის წყაროები.

II. წ ი ნ ა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა.
   1) მითვისებითი მეურნეობა.
   2) წარმოებითი მეურნეობა.
   (გვაროვნული წყობილება).

III. გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ტ ო მ ე ბ შ ი.

1) ა) თანამედროვე გარდმონაშთები, ბ) ძველი ქართული წერილობითი ცნობები გვაროვნულ წყობილების შესახებ ქართველ ტომებში, გ) უცხოური ცნობები ამავე საგნის შესახებ, დ) გვაროვნული წყობილების სახე სვანეთში XIX ს.

2) გვაროვნული წყობილების რღვევა ქართველ ტომებში.

3) ქართველ ტომთა ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებისა და დღევანდელ ტერიტორიაზე დასახლების საკითხი.

საგანი და მეთოდი

„საქართველო“ პირველად ეწოდა იმ ფეოდალურ მონარქიას, რომელიც მეათე საუკ. მეორე ნახევარში წარმოიქმნა. მაგრამ ეს მონარქია ციდან არ ჩამოვარდნილა. მისი განვითარების მარტო გარეგან ისტორიასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ მის წარმოშობას წინ უსწრებდა, სხვა, უფრო ნვრილი, განცალკევებულ პოლიტიკურ ერთეულების არსებობა. და თუ ამ პოლიტიკურ წარმონაქმთა ერთი მეორეში გადასვლის მიზეზთა გათვალისწინებას მოვინდომებთ, დავრწმუნდებით, რომ მოცემულ პროცესის დამაკმაყოფილებელი ახსნა შეუძლებელია პოლიტიკურ ფორმების ნიადაგზე. აუცილებელი ხდება უფრო ღრმად ჩახედვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამ საზოგადოების შინაგან განვითარების ტენდენციის გარკვევა. შემდეგ, თუ ჩვენ ამ ბუნებრივად გაჩენილ მოთხოვნილებას მივყვებით და მეცნიერულად გადავეჩვით წამოჭრილ ამოცანას, ვნახავთ, რომ ეს ტენდენცია მოძრაობის გარკვეულ კანონზომიერებაზე მიგვითითებს, ისტორიულ განვითარების გარკვეულ ლოგიკას ახასიათებს. ამასთან ერთად იმ ღრმად საყურადღებო ფაქტსაც აღმოვაჩენთ, რომ ამ ხანის ქართველ საზოგადოების ცხოვრება არ წარმოადგენს ისეთს რასმე, რაც სრულებით არ ჰგავს სხვა საზოგადოებათა ცხოვრებას, თუ ამ საზოგადოებებსაც შესაბამის ისტორიულ ხანებში ავიღებთ. პირიქით, მთელ თავისებურებასთან ერთად, ეს მსგავსება საშუალო საუკუნოების საქართველოსა და სხვა, ახლობელ თუ შორეულ, ქვეყნებს (მაგ., სომხეთს, რუსეთს, საფრანგეთს, ინგლისს) შორის ძალიან დიდია, ზოგჯერ საოცარიც-კი. ამ ქვეყნების განვითარების მიმართულება ძ ი რ ი თ ა დ ა დ ერთიდაიგივეა. მაშ როგორიღაა ეს ძირითადი მიმართულება საზოგადოებრივი განვითარებისა?

საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესი ისეთივე ობიექტურ ხასიათის პროცესია, როგორიც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. ნაგრამ თვითეულ მათგანს საკუთარი კანონზომიერებანი ახასიათებენ, რომელთა შორისაც ერთიანობა არსებობს, და არა იგივეობა.

„ბუნებაში, — ამბობს ე ნ გ ე ლ ს ი, —... მოქმედებენ ბრმა შეუვნებელი ძალები, და ზოგად კანონთა გამოვლინება მხოლოდ ასეთ ძალების ურთიერთმოქმედების გზით ხდება. აქ არსად არის შეცნობილი მოსურვებული მიზანი... საზოგადოების ისტორიაში, პირიქით, მოქმედებენ ადამიანები, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან ცნობიერებით, ამოძრავებული არიან განზრახვით ან ჟი-

ნით და რომელნიც თავისთვის გარკვეულ მიზნებს ისახავენ. აქ არა ფერი არ ხდება შეცნობილ განზრახვის, მოსურვებულ მიზნის გარეშე. მაგრამ რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ეს განსხვავება ისტორიულ კვლევისათვის, — განსაკუთრებით ცალკეულ ეპოქების და ამბების მიმართ, — იგი ოდნავადაც არ სცვლის იმ ფაქტს, რომ ისტორიის მსვლელობა „მინაგან ზოგად კანონებითაა განსაზღვრული"... რა კანონებია ეს კანონები, რომელნიც ისტორიის მსვლელობას განსაზღვრავენ?

იგივე ენგელსი ამბობს, რომ „ისტორიულ პროცესში ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ი თ განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს წარმოება და განმეორებული წარმოება ნამდვილ ცხოვრებისა"-ო. აქტიური ზემოქმედება ბუნებაზე, რომელსაც საარსებო სახსრის მოპოვების მიზნით აწარმოებს ადამიანი, ხორციელდება როგორც მატერიალური საზოგადოებრივი წარმოება. მატერიალურ წარმოების, საზოგადოებრივ შრომის პროცესში ადამიანს შეაქვს ცვლილება თვისი მოქმედებით როგორც გარე ბუნებაში, ისე საკუთარ ბუნებაშიაც. ეს ცვლილებები მუდმივ ნაკადის სახით გვევლინება, იმიტომ რომ თვით საზოგადოებრივი წარმოებაც მუდმივ მოძრაობის პროცესია. წარმოება ყოველთვის განვითარების გარკვეულ საფეხურზეა წარმოდგენილი, და ასევე განვითარების გარკვეულ საფეხურზეა ყოველთვის მოცემული თვით საზოგადოებაც.

„საწარმოო საშუალებათა ამათუიმ ხასიათისგან დამოკიდებით იცვლება, რათქმაუნდა, საზოგადოებრივი ურთიერთობაც, რომლის მეშვეობითაც მწარმოებლები ერთმანეთს უკავშირდებიან", —„მატერიალურ საწარმოო ძალთა ცვლილებასა და განვითარებასთან ერთად იცვლება და გარდაიქმნება ხოლმე საზოგადოებრივი საწარმოო ურთიერთობაც. საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს იმას, რასაც საზოგადოებრივ ურთიერთობათ, საზოგადოებას, ეძახიან, და შეადგენს საზოგადოებას, რომელიც ისტორიულ განვითარების გარკვეულ საფეხურზე იმყოფება, — თავისებურ განსაკუთრებულ ხასიათის მქონე საზოგადოებას. ანტიკური საზოგადოება, ფეოდალური საზოგადოება, ბურჟუაზიული საზოგადოება სწორედ ასეთ საწარმოო ურთიერთობათა სხვადასხვა ერთობლიობას წარმოგვიდგენენ, და თვითეული ამ ერთობლიობათაგან იმავე დროს განვითარების გარკვეულ საფეხურზე მიგვითითებს კაცობრიობის ისტორიაში" (მარქსი). მაშასადამე, წარმოების განსაზღვრული წესი, ე. ი. სამუშაო ძალისა და საწარმოო საშუალებათა შეერთების განსაკუთრებული

წესი — ფორმა და მათ შესაბამის საწარმოო ურთიერთობათა განსაკუთრებული სისტემა, განასხვავებს ერთმანეთისაგან კაცობრიობის ისტორიის ამ პროგრესულ ეპოქებს, „იმ სოციალურ ორგანიზმებს, რომელთაც თავის ჩასახვის, სიკოცხლის და უმაღლეს ფორმაში გადასვლის, სხვა სოციალურ ორგანიზმად გადაქცევის, განსაკუთრებული კანონები მოეპოვებათ“ (ლენინი). ამ ეპოქებს საზოგადოებრივ ფორმაციებს ეძახიან. ისინი საზოგადოებრივ განვითარების საერთო ფორმებს წარმოადგენენ და ამ განვითარების ძირითად მიმართულებას გვიჩვენებენ. და როცა ვამბობთ, რომ, მაგ., საქართველოსა და სომხეთს შორის გარკვეულ მსგავსებას ვპოულობთ მათი ისტორიის განსაზღვრულ ხანაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულ მომენტისათვის ეს ქვეყნები თავის განვითარების ერთსადაიმავე საფეხურზე იმყოფებიან; ერთსადაიმავე ფორმაციას განეკუთვნებიან. ამათუიმ ფორმაციის შესწავლა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ საზოგადოება მთლიანად, მისი ცხოვრების გამოვლენის ყველა სფერო, ვინაიდან ის, რაც საზოგადოებრივ ფორმაციას განსაზღვრავს, საწარმოო ურთიერთობათა სისტემა, არის საზოგადოების საძირკველი, რომელზედაც შესატყვისი სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური შენობაა აღმართული.

ასეთი შეხედულება საზოგადოებრივ განვითარებაზე ისტორიულ-მატერიალისტური შეხედულებაა. იგი ნაყოფია დიალექტიკურ მატერიალიზმის (მარქსიზმის ფილოსოფიის) მეთოდის კონკრეტიზაციისა საზოგადოებრივ მოვლენების სფეროში. ამ მეთოდის მიხედვით სინამდვილე გაგებულია, როგორც უწყვეტი განვითარება, მის შინაგანარსებულ წინააღმდეგობათა ბრძოლა. აქ ერთი რომელობიდან (საზოგადოებაში ერთი ფორმაციიდან) მეორეში გადასვლა რევოლუციურ გზით წარმოებს. ბუნებასა და საზოგადოებაში ყველაფერი დიალექტიკურად ხდება, ე. ი. გაერთიანებულ, ურთიერთ დაკავშირებულ და იმავდროს ურთიერთ უარმყოფულ დაპირისპირებულთა ბრძოლის გზით. კლასობრივ საზოგადოებაში ეს დიალექტიკა კლასთა ბრძოლის სახით იჩენს თავს.

ჩვენი წინამდებარე ამოცანის განხორციელების პროცესში ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს, რომ, სინამდვილესთან მკაცრ შესატყვისობის დაცვით, თვითეულ მოვლენას მივუდგეთ ისტორიულად, განვიხილოთ ეს მოვლენა განვითარებაში, მის მამოძრავებელ შინაგან წინააღმდეგობათა წარმოჩენით, შევისწავლოთ იგი ყოველმხრივ და გავითვალისწინოთ მისი ყველა კავშირი გარესამყაროსთან. ყოველთვის გვახ-

სოვდეს, რას მოითხოვდა ენგელსი მატერიალისტ ისტორიკოსისაგან: „მრავალ უფრო ახალგაზრდა მწერლისათვის გერმანიაში სიტყვა „მატერიალისტური“ ცარიელი ბგერაა, რომელსაც სხვადასხვა საგნის მიმართ იყენებენ და თავს არ იწუხებენ შემდგომ შესწავლით, ე. ი. მიაწებებენ ხოლმე ამ ეტიკეტს და ფიქრობენ, რომ ამით ყველაფერი ამოწურულია. მაგრამ ჩვენი გაგება ცხოვრებისა არის უმთავრესად შესავალი შესწავლისათვის, და არა საკონსტრუქციო ბერკეტი ჰეგელიანობის ყაიდაზე. მთელი ისტორია თავიდან უნდა დავიწყოთ. ჯერ უნდა დაწვრილებით, დეტალურად, გამოვიკვლიოთ სხვადასხვა საზოგადოებრივ წარმონაქმნის არსებობის პირობები, ვიდრე შეეცდებოდეთ მათგან გამოვიყვანოთ ის პოლიტიკური, კერძოუფლებრივი, ესთეტიკური, ფილოსოფიური, სარწმუნოებრივი და მათი მსგავსი შეხედულებანი, რომელნიც ამ საზოგადოებრივ წარმონაქმებს შეესაბამებიან. ამ მხრივ ჯერ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული, იმიტომ რომ ცოტა იყო ისეთი ხალხი, რომელიც ამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდებდა ხელს... ამის ნაცვლად, ახალთაობის მრავალმა გერმანელმა ისტორიულ მატერიალიზმის ფრაზეოლოგია (ხომ ყველაფერი შეიძლება ფრაზად ვაქციოთ) მხოლოდ იმისათვის გამოიყენა, რომ რაც შეიძლება ჩქარა აეშენებინა თავისი საკუთარი, შედარებით მეტად მცირე, ისტორიული ცოდნა“.

საქართველოს ისტორიას ჩვენ განვიხილავთ მეცხრამეტე საუკუნამდეგამდე, იმ დიდ ისტორიულ მიჯნამდე, როცა ჩვენმა ქვეყანამ ფეხი შესდგა თავის განვითარების სრულიად თავისებურს, უაღრესად მნიშვნელოვან, საფეხურზე, რაც ცალკე შესწავლის საგანი უნდა იყოს. ამ ფარგლებში საქართველოს ისტორიას ჩვენ განვიხილავთ ზემოაღწერილ მეთოდის შემწეობით, რაც წარმოგვიჩენს იმ ძირითადს საზოგადოებრივ ფორმებს, რომელნიც ქართველმა საზოგადოებამ გაიარა, და ამ გზით, ცხადია, ჩვენი ქვეყნის განვითარების მიმართულებასაც. მაგრამ ჩვენი ამოცანის კონკრეტული ხასიათი გვავალებს, რომ მოძრაობის ეს საზოგადო ფორმები შესწავლილ იქნას მათი ადგილობრივ განხორციელების მთელ სპეციფიკურობაში, მათს მთელ ისტორიულ კონკრეტულ სინამდვილეში.

ყოველი მოვლენა და, რათქმაუნდა, საზოგადოებრივი ცხოვრებაც, სხვა მოვლენათა შორის და მათთან კავშირში ვითარდება. შინაგან განვითარების კანონზომიერება ხვდება გარემომცველ სინამდვილის კანონზომიერებას და მათ შორის გარკვეული ურთიერთ-

ქმედება ჩნდება. ჩვენ ამ მომენტსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ იმიტომ, რომ სოციალურ სამყაროშიც შინაგან განვითარებისა და მის გარემოს ურთიერთშეფარდებასა და ურთიერთქმედებას თავისი მნიშვნელობა აქვს. ამ ნიადაგზე იქმნება ისტორიულ პროცესის სპეციფიკური ხასიათი. აღსანიშნავია, რომ ისტორიული პროცესის გარემო ჩვენ გვესმის აგრეთვე ისტორიულად — როგორც ბუნებრივ-ისტორიული და სოციალურ-ისტორიული გარემო, არა მარტო იმიტომ, რომ ეს გარემო თავის მხრივაც და თავისთავადაც იცვლება, არამედ იმიტომაც, რომ მისი მნიშვნელობა შინაგან განვითარებისათვის იცვლება თვით ამ შინაგან განვითარების პროცესში მომხდარ ცვლილებების მიხედვით და მათთან დაკავშირებით. ფეოდალურ მეურნეობისა და ტექნიკის პირობებში მთის, მძლავრ და სწრაფ დენის მქონე მდინარეებს უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდათ განვითარებისათვის, დღეს-კი მათ ჩვენ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრედ ვსთვლით, იმიტომ რომ ახალ საზოგადოებრივ და სამეურნეო პირობებში შესაძლებელი და საპირო გახდა მათი ენერგიის გამოყენება საწარმოო ძალთა განვითარების მეოხებით. ამრიგად, შინაგანი და გარეგანი ურთიერთკავშირში, ერთიანობაში იმყოფებიან. მაგრამ მაინც მათი ურთიერთგავლენის, ურთიერთმოქმედების საფუძველი შინაგანი კანონზომიერებაა.

განვიხილავთ რა საქართველოს ისტორიას ფორმაციების მიხედვით, ჩვენ არ დავივიწყებთ, რომ საზოგადოებრივი წყობილებაც, ისე როგორც ყოველი სხვა მოვლენა, მის წარმოშობის, განვითარების და ახალ მოვლენაში გადასვლის თვალსაზრისით უნდა იქნას შესწავლილი. ჩვენ უფლება გვექნება თვითეულ ფორმაციის შიგნით საათანადო ხანები გამოვყოთ. გარდა ამისა, ტექნიკურ მიზნით, ჩვენი თხრობა კიდევ უფრო მცირე პერიოდებად იქნება დაყოფილი, მაგრამ ეს დაყოფა იმავე საზოგადოებრივ განვითარების მიერ ნაჩვენებ გზას გაჰყვება და მის მიერ მოცემულ მიჯნებს დაეყრდნობა. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ერთი ფორმაციიდან მეორეში გარდამავალი პერიოდებიც.

საქართველოს ისტორიის წყაროები

ამ პუნქტს ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ. მართებული შეხედულება ისტორიულ წყაროს შესახებ აუცილებელი პირობაა მართებულ შეხედულების შედგენისათვის თვით ისტორიულ პრო-

ცესის შესახებ. ისტორიული მწერლობა, ძირითადი წყარო ისტორიისა, გარკვეულ თვისებების მქონეა, რომელთა გათვალისწინებასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასში დაცულ ცნობების გამოყენებისას. მარქსიზმის გაგებით, სუბიექტი სოციალურ-ისტორიულია, კლასობრივ საზოგადოებაში — კლასობრივია. მწერლობა ჩვეულებრივად კლასობრივ საზოგადოებაში ჩნდება. ამიტომ მასში თავს იჩენს ხოლმე კლასობრივი, სარწმუნოებრივი, ეროვნული და სხვა ტენდენცია, რომელ სახითაც ვლინდება კლასთა ბრძოლა. გარდა ამისა მნიშვნელოვანია წერილობითი ტრადიციის გარეგანი შესწავლაც, მის შემადგენელ ნაწილების გამოყოფა, მათი წარმოშავლობის განსაზღვრა, დათარიღება და სხვ. შემდეგ: ამათუიმ ერის ისტორიულ მწერლობაში ჩვეულებრივად დაცული არ არის ან ძალიან სუსტადაა დაცული ცნობები უძველეს ხანების შესახებ, ხოლო არის ისეთი ეპოქებიც კაცობრიობის განვითარებაში, რომელთა შესახებაც არავითარი ხსოვნა არც ერთ ერის მწერლობას არ შერჩენია. ამ ხანების შესასწავლად ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ნივთიერსა და ენობრივ (ენაში ჩარჩენილ) ნაშთებსა და ენთოგრაფიულ მასალას ვეყრდნობით. „რა მნიშვნელობაც დაშთენილ ძვლების აგებულებას აქვს მოსპობილ ცხოველთა ჯიშების ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს მოსპობილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად“ (მარქსი). იმ გარემოებას, თუ როგორი წყაროები მოგვეპოვება ამათუიმ ხანის შესახებ, რა რაოდენობითაა ისინი მოღწეული, მნიშვნელობა ექნება ჩვენი დასკვნების სისრულე-სინაკლულისათვის.

წინაკლასობრივი საზოგადოება

საზოგადოებრივი კლასები იმთავითვე არ არსებულან. ისტორიის უზარმაზარმა პერიოდმა განვლო მანამდე, სანამ საზოგადოება, თავის შინაგან განვითარების გზით, კლასებად გაითიშებოდა. ეს ხანა უაღრესად საყურადღებო ხანაა. მას საწარმოო ძალთა საკუთარი მდგომარეობა და საწარმოო ურთიერთობათა საკუთარი სისტემა ახასიათებს. იგი ცალკე საზოგადოებრივი ფორმაციაა, რომლის შიგნითაც ჩვენ სხვადასხვა საფეხურს ვამჩნევთ. ამ ხანას „პირველყოფილ კომუნიზმის“ ხანასაც ეძახიან. იგი ცალკე უნდა იქნას შესწავლილი.

მითვისებითი მეურნეობა

ეს ის ხანაა, როცა კაცობრიობა პირველად იდგამს ფეხს. კაცობრიობის პირველ ნაბიჯს კულტურულად წარმოადგენდა „შრომის საშუალებათა მოხმარება და შექმნა, თუმცა მათი ჩანასახი ზოგი გვარის ცხოველებსაც უკვე მოეპოვებათ, იგი სპეციფიკურად ადამიანის შრომის პროცესს ახასიათებს“. თავდაპირველად ეს იარაღი უაღრესად პრიმიტიულია. მის მასალად გამოყენებულია ხე, ძვალი, ქვა, რომელიც ან სრულებით არა, ან უაღრესად მცირედ არის სახეცვლილი. ამათუიმ ეროვნულ ისტორიისათვის ამ ხანას მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მაშინ ტომები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებულნი არ არიან და თანამედროვე ერსა და იმ დროინდელ ადამიანს შორის ეთნიკურ კავშირის გაბმა შეუძლებელია.

ეხლა უკვე უდავოა, რომ იმ უშორეულეს ხანის ადამიანს საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზედაც უცხოვრია. აღმოჩენილია მისი უპრიმიტიულესი იარაღი — დაუმუშავებელ ქვის, ძვლისა და რქისაგან გაკეთებული. ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით ამ ხანას ძველ ქვის ხანას ანუ პალეოლითს ეძახიან (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1928 წლ. გამოც., გვ. 6, § 1. — ქვევით ყველგან, თუ განსაკუთრებული შენიშვნა არ იქნება, ამ წიგნის ხსენებული გამოცემა სიმოკლისათვის ყოველთვის აღნიშნული იქნება ასე: ჯავახიშვილი, ქართ. ისტ.). ამ დროს მეურნეობას მითვისებითი ანუ შეგროვებითი ხასიათი აქვს: ადამიანი მზამზარეულ სახით ითვისებს ბუნების მიერ მოცემულ პროდუქტებს (აგროვებს ნაყოფებს, ჭია-ღუას, ხელით იჭერს პატარა-პატარა ცხოველებს და სხვა). მისი სოციალური ცხოვრებაც უაღრესად პრიმიტიულია. ცხოვრობს იგი პატარა ჯგუფების — ურდოების — სახით (არა უმეტეს, 30 — 40 კაცისა ურდოში). თავდაპირველად ასეთ ურდოში სქესობრივი აღრევა უნდა ვიგულისხმოთ. შემდეგში თანდათან ისახება ნათესაობის შეგნება დედის ხაზით. შრომის ნაყოფიერება წარმოუდგენლად მცირეა. ურდო ძლივს ირჩენს თავს.

შემდგომი განვითარება .საზოგადოებისა განსაზღვრული იყო მის საწარმოო ძალების განვითარებით. ადამიანი თანდათან იუმჯობესებს თავის იარაღს, კერძოდ ის სწავლობს ქვის გათლას და ამ მხრივ დიდ ხელოვნებასაც აღწევს. ამ ხანას ტექნოლოგიურად ახალ ქვის ხანას ანუ ნეოლითს ეძახიან. მისი დადგომა მითვისებით. მეურნეობიდან წარმოებით მეურნეობაზე გადასვლას მოასწავებდა.

წარმოებითი მეურნეობა

ადამიანის შრომის ნაყოფიერება არაჩვეულებრივად გაიზარდა წინა ხანასთან შედარებით. თანდათან უფრო და უფრო გარკვეულ სახეს იღებენ მისი მეურნეობის ცალკე დარგები. ცხოველების შემოხვევითი ჭერიდან მონადირეობა ყალიბდება. გროვებას ისევ ისე მისდევენ, მაგრამ ამ ჩვევების ნიადაგზე ადამიანი თანდათან იწყებს მისთვის სასარგებლო მცენარეების — განსაკუთრებით და პირველ რიგში ძირნაყოფა და ბოლქვიან მცენარეთა — გაშენებას. ამასთან ერთად ისახება შრომის ერთგვარი განაწილება,— ქალი გროვებასა და პირველყოფილ „მებოსტნეობას“ მისდევს, ვაჟი — ნადირობას. სადაც სათანადო პირობები ამას ხელს უწყობს, ადამიანი ბინადარი ხდება.

ამიერ-კავკასიაში ნეოლითის იარაღები თუმცა ნაპოვნია, მაგრამ ეს კულტურა აქ სუსტად არის გამოხატული (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ისტ., გვ. 6).

გაცილებით მეტი მნიშვნელობა ამიერ-კავკასიისა და საქართველოსათვის ჰქონია მომდევნო კულტურას, როცა ადამიანმა ლითონის დამუშავება ისწავლა. თუ ქვის იარაღის გაუმჯობესებამ ისეთი ცვლილებები გამოიწვია, ლითონის იარაღის შემოსვლამ ხომ მთელი გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის ცხოვრებაში. განსაკუთრებით, „რკინის შემოღებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი პროგრესი წარმოებდა შეუწყვეტლივ, შეჩერებისა დ შენელების გარეშე“ (ენგელსი). მაგრამ განვიხილოთ ის საწარმოო ურთიერთობა, რომელიც წარმოების ამ წესთანაა დაკავშირებული.

გვაროვნული წყობილება

სულ მოკლედ რომ განვაზოგადოთ ის ცნობები, რომელნიც განვითარების ამ საფეხურზე მყოფ ტომების შესახებ მოგვეპოვება, შემდეგ სურათს მივიღებთ. ურდოს ადგილი გვარს უჭირავს, სისხლით მონათესავე პირების ბუნებრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებას. ის ურდოზე უფრო მრავალრიცხოვანია. გვარები სხვადასხვა კავშირებად არიან გაერთიანებულნი, რომელთაგანაც ყველაზე ფართო არის ტომი. ზოგჯერ მონათესავე ტომები შეადგენენ კავშირს, რომელიც უმთავრესად საგარეო საქმეებითაა დაინტერესებული და გვარების შინაგან ცხოვრებაში არ ერევა. მთავარი საწარმოო საშუალება არის მიწა. იგი საერთო — ტომის და გვარის — საკუთრებაა, შრომის იარაღები-კი კერძო საკუთრებას შეად-

გენენ — დიდი ოჯახისას (ასე ეწოდება იმ დროინდელ უკნინეს საზოგადოებრივ ერთეულს, რამდენიმე ნონათესავე ოჯახის კრებულს, რომელიც ერთ სახლად ცხოვრობს) და ცალკე ინდივიდისას. ამის გარდა, მას შემდეგ რაც იწყებენ მიწის დამუშავებას, მიწა იყოფა ცალკე ნაჭრებად, რომლებსაც ცალკე დიდი ოჯახები ჰფლობენ და აძუშავებენ. მაშასადამე, მიწა საგვარეულო საკუთრებისა და საოჯახო მფლობელობის საგანია. სრულ თანასწორობის განხორციელებისათვის ხდება მიწის ხელახალი პერიოდული განაწილება: ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთი სხვადასხვა ოჯახს შორის მოძრაობს. შრომის განაწილების თავდაპირველი ფორმა ზემოხსენებულია — სქესებს შორის. თანდათან ისახება აგრეთვე ე. წ. შრომის გეოგრაფიული განაწილებაც. სხვადასხვა ტომი უცვლის ერთმანეთს იმ ბუნებრივ პროდუქტებს, რომლებიც მათ თავიანთ მიწა-წყალზე აქვთ მოპოვებული. ისახება ერთგვარი ხელოსნობაც — უკვე ქვის ხანაშიაც არიან იარაღის სპეციალისტი-ოსტატები. ესენიც თავდაპირველად თავიანთ საქმიანობით გვარიდან გამოთიშულნი არ არიან.

შემდეგში ეს ხელობა ცალკე დიდ ოჯახებში მკვიდრდება. შრომის ბუნებრივ განაწილებისა და ხელოსნობის ნიადაგზე არსებობს ერთგვარი აღებმიცემა. გაცვლას ამ დროს შემთხვევითი ხასიათი აქვს. იგი ჩნდება ამათუიმ პროდუქტის შემთხვევითი სიჭარბის პირობებში. დასაწყისში პროდუქტს სცვლიან პროდუქტზე უმეშვეოდ, შემდეგ ჩნდება განსაკუთრებული საცვლელი საშუალება, რომელიმე საგნის სახით, მაგ. ნიჟარები. გაცვლა გვარის ტერიტორიულ კიდურებზე წარმოებს, ჩვეულებრივად სხვადასხვა ტომს შორის, და თვით გვარის ცხოვრებაში იგი უმნიშვნელო როლს თამაშობს. ქალაქი სოფელს მხოლოდ გვაროვნულ წყობილების რღვევის პირობებში გამოეყოფა. აღებმიცემის შემდგომ განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობის ჩამოყალიბებას და ცალკე მეჯოგე ტომების გაჩენას. მეჯოგე და მიწისმოქმედ ტომების მეზობლობა „ჰქმნის წარმოების ორს ერთდროულს სხვადასხვანაირ ფორმას და აუცილებელ პირობებს წესიერ გაცვლისათვის“. შემდეგ, შრომის ახალი განაწილება შრომისა მიწისმოქმედებასა და ხელოსნობას შორის სულ უფრო და უფრო ზრდის რაოდენობას იმ პროდუქტებისას, რომელნიც მხოლოდ გასაცვლელად არიან დამზადებულნი. ჩნდება საქონელი.

მოსახლეობა მეტად იშვიათი, მეჩხერი და დაქსაქსულია. თვითეულ ტომს თავისი საკუთარი გარკვეული ტერიტორია უჭირავს,

რომელიც სხვა ტომთა მიწა-წყალს უმეშვეოდ არ ემიჯნება. აღწერილ საწარმოო წესისა და ურთიერთობის ნიადაგზე გვარის შიგნით საზოგადოებრივი თანასწორობაა გამეფებული. არ არსებობენ კლასები. გვარის სათავეში გვარის მიერვე არჩეული კაცი დგას ჩვეულებრივად—უხუცესი და ურჩეულესი გვარის წევრთა შორის, ტომის სათავეშიაც ასეთივე არჩეული პირია. მის გარდა, სატომო საქმეებს სატომო საბჭო განაგებს, რომელიც ცალკე გვართა წარმომადგენლებისაგან შედგება. გვარისა და ტომის შეიარაღებულ ძალას თვით გვარისა და ტომის ყველა იარაღის ტარების შემძლე წევრები შეადგენენ. ეს ძალაა, გარეშე მტერს რომ პასუხს აძლევს. ინდივიდუუმის დამცველი და მოსარჩლე მისი გვარია. იდეოლოგიურ სფეროში აღსანიშნავია კოლექტივისადმი კუთვნილების ძლიერი შეგნება, სისხლით ნათესაობის შეგნება, რაც კერძოდ ქორწინების სფეროში იჩენს თავს ნათესავების შეუღლების აკრძალვის სახით.

სარწმუნოება პირველყოფილ ანიმიზმზეა დამყარებული. ბუნების ძალები და მოვლენები განპიროვნებული არიან და კულტის საგნად არიან ქცეულნი. ანიმისტურ რწმენების ნიადაგზეევა აღმოცენებული ე. წ. ტოტემიზმი—თვითეულ გვარს მიჩემებული ჰყავს რომელიმე ტოტემი—ცხოველი, ესათუის ნადირი ან ფრინველი ან რომელიმე ნივთი,—მის სახელს ატარებს, მას თაყვანს სცემს და თავის წინაპრად სთვლის.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვიდრე შინაურ მეურნეობაში ქალი მეთაურობს (სანამ მიწისმოქმედება სუსტადაა განვითარებული, იგი ქალის საქმიანობის სფეროა), დიდ ოჯახის მეთაურადაც ქალი გამოდის. ზოგჯერ ეს მდგომარეობა მატრიარქატად ანუ დედამთავრობადაც ყალიბდება. მაგრამ მეურნეობაში მამაკაცის როლის გაძლიერებამ (მეჯოგეობა და ფართო მიწისმოქმედება მისი საქმიანობის სფეროა) სოციალურ ცხოვრებაშიც უპირატესობა მამაკაცს არგუნა საბოლოოდ. ყალიბდება ე. წ. პატრიარქატი ანუ მამამთავრობა, რომელიც სხვადასხვა ტომში, რათქმაუნდა, სხვადასხვანაირია.

დიდხანს, მრავალ საუკუნის განმავლობაში, შეიძლება ტომი ასეთ ვითარებაში იმყოფებოდეს, მაგრამ ადრე თუ გვიან, შინაგან განვითარების ლოგიკის ძალით, „გვაროვნული კავშირები მოსჭამენ თავის დროს. მათ სპობს შრომის განაწილება, რომელიც სხვადასხვა კლასად ანაწევრებს საზოგადოებას“. სათანადო შესაძლებლო-

ბა თვით გვარის შინაგან სტრუქტურაშია მოცემული. საზოგადო საკუთრების გვერდით აქ ხომ კერძო (საოჯახო) საკუთრებაც არსებობს. „მეჯოგეობის, მიწისმოქმედებისა და საშინაო ხელოსნობის გაზრდილი ნაყოფიერება საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას პროდუქტების ისეთი რაოდენობა, რომელიც აღემატება საზოგადოებრივ მოთხოვნილებას“. მაგრამ ეს ნამატი პროდუქტი უკვე არათანაბრად ნაწილდება გვარში. დაგროვება ცალკე ოჯახებში ხდება. ეს ზრდის ქონებრივ უთანასწორობას მათ შორის. ეს დიდი ოჯახი უფრო მკაფიოდ უპირისპირდება გვარს. ქონებრივ სიძლიერის ნიადაგზე ცალკე ოჯახები იკვალავენ უფრო მყარ გზებს თვით ერთგვარ სოციალურ უპირატესობისაკენ. კონკრეტულ ისტორიიდან ვიცით, რომ ძალიან ხშირია ასეთ პირობებში გვაროვნულ ორგანოების მემკვიდრეობით ორგანოებად გადაქცევა. ამასთან ერთად, გვარში სოციალური უთანასწორობაც ისახება მონობის სახით. მონის, რომელიც ტყვისგან არის წარმომდგარი, ბედი და როლი გვაროვნულ საზოგადოებაში სხვადასხვანაირია, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამ საზოგადოების მეურნეობის ხასიათი. მონადირეობისას მონის შრომა, მაგ., გამოუყენებელია. სამაგიეროდ, იგი განსაკუთრებით საჭირო ხდება ფართოდ დაყენებულ [მიწის] მოქმედების დროს, და მიწისმოქმედების ზრდასთან ერთად იზრდება მონათა რიცხვიც და მათი წონაც მეურნეობაში. საზოგადოების ამ ორ კლასად დაყოფა სულ უფრო და უფრო ღრმა ხდება. განსაკუთრებით უნდა გაძლიერებულიყო ეს პროცესი მას შემდეგ, რაც განვითარების უკვე მიღწეულ, საკმაოდ მაღალ, საფეხურზე ტექნიკაში ლითონი შემოდის. მან არაჩვეულებრივად გაადიდა შრომის ნაყოფიერება და დააჩქარა ზემოთაღწერილი პროცესები. ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ, რაკი ლითონი მეტად ძვირს საქონელს წარმოადგენს, ის კიდევ უფრო მეტი უთანაბრობით ნაწილდება ცალკე ოჯახებს შორის და ამრიგად ზრდის არსებულ უთანასწორობას. შემდეგ „დგება შრომის მეორე დიად განაწილების დრო: ხელოსნობა ეთიშება მიწისმოქმედებას“, იზრდება აღებმიცემა, რომელიც უკვე რეგულარულ ფორმებს იღებს, როგორც უკვე ვამბობდით ზემოთ.

ქონებრივ უთანასწორობის ზრდას თან სდევდა საგვარეულო საკუთრების რღვევაც. ეს პროცესი ყველაზე ადრე, როგორც ფიქრობენ, ჯოგებზე ვრცელდება. ჯოგები გვარისა და ტომის საერთო საკუთრებიდან ცალკე ოჯახების კერძო საკუთრებად იქცევიან. ამასთან ერთად, ჩვენ ვიცით, რომ მეჯოგე ტომები ხელს უწყობენ

აღებმიცემის განვითარებას და თვით საქონლის საყოველთაო ეკვივალენტურ ფორმის წარმოშობასაც ფულად ფორმის სახით, „რომელიც ადგილობრივ გასასხვისებელ ქონების მთავარ ელემენტს“ (ამ შემთხვევაში, შინაურ ოთხფეხს) უკავშირდება. „მომთაბარე ხალხი ყველაზე პირველად ავითარებს ფულად ფორმას, რადგანაც მთელი მისი ავლადიდება მოძრავ და, ამიტომ, უშუალოდ გასასხვისებელ ფორმაში იმყოფება და რადგანაც მისი ცხოვრების პირობები განუწყვეტლივ აახლოებს მას უცხო საზოგადოებრივ ორგანიზმებთან და, ამგვარად, აქეზებს პროდუქტთა გაცვლისათვის“ (მარქსი). ამ ნიადაგზე აიხსნება ის ფაქტი, რომ ხშირად საერთოდ ქონების აღსანიშნავად სპეციალური, შინაურ პირუტყვის აღმნიშვნელი ტერმინი იხმარება (შეადრ. ქართ. „საქონელი“), რომელიც შემდეგში ლითონის ფულზედაც-კი გადადის (მაგ. ერთ-ერთ ძველ ქართულ მატიანეში საერთოდ სიმდიდრისა და განძის აღსანიშნავად ტერმინი „ხვასტაგი“-ა ნახმარი, რომელიც იმავე დროს შინაურ საქონელსაც ნიშნავს. მემატიანის ეს ცნობა მესამე საუკუნის ამბავს შეეხება ქ. წ., მისივე დათარიღებით. ამ ხანაში დას. საქართველოში იჭრება ადგილობრივი ვერცხლის ფული, რომელზედაც ხარის თავია ამოჭრილი. იმ შემთხვევაშიც-კი, რომ ამ ემბლემის უმეშვეო წყარო რელიგიური რწმენები იყოს, მაინც უფლება გვექნებოდა აღწერილი მოვლენა, საბოლოო ანგარიშით (თვით რწმენების წარმოშობის თვალსაზრისით), ფულის ზემოთ აღნიშნულ ფორმაზე დაგვეყვანა და ზოგადად მემატიანის ცნობასთანაც დაგვეკავშირებინა.

საქონელი და ჯოგი, როგორც კერძო საკუთრების საგანი, კიდევ უფრო აღრმავებს ქონებრივ უთანასწორობას ცალკე ჯგუფებს შორის, რაც თავის მხრით ხელს უწყობს თვით კერძო საკუთრების ინსტიტუტის შემდგომ გამაგრებასა და განვითარებასაც. ამასთან ერთად, რაკი, ერთი მხრით, საქონელი (პირუტყვი) საყოველთაო ეკვივალენტურ ფორმას წარმოადგენს აღებმიცემაში, მეორე მხრით-კი, უკვე არსებობს მონობა, ამიტომ დიდი რაოდენობით იქცევიან კერძო საკუთრების საგნად. იზრდება თავისუფალთა და უთავისუფლოთა საზოგადოებრივ დაპირისპირების პროცესი, სიმდიდრე და სიღატაკე (სიმდიდრე ეხლა ხომ გამოხატულია არა მარტო იარაღსა და ჯოგებში, არამედ — მონებშიც, ამ განსაკუთრებულ სახის საწარმოო ძალაში) და საკუთრების ახალი ფორმაც — კერძო (თავდაპირველად, საოჯახო) საკუთრება — უფრო გამოკვეთილ ფორმებში ყალიბდება. მიწისმოქმედ ტომებ-

შიც ეს მოვლენები, საფიქრებელია, იმავე რიგით ვითარდებიან. მაგრამ მიწისმოქმედ ტომებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათქმაუნდა, იმას, რომ იქ კერძო საკუთრების საგნად, ბოლოს და ბოლოს, მიწაც იქცევა: ცალკე ოჯახები, რომელნიც თავიანთ მიწის ნაკვეთებზე განსაკუთრებულ ენერგიას ხარჯავენ და იქ ზოგჯერ საკმაოდ მაღალ კულტურებს აშენებენ, ამ ნაკვეთებზე უფრო მყარ უფლებების მოპოვებას ცდილობენ, წინაალმდეგობას უწევენ გვარის უფლებას მოახდინოს მიწების პერიოდული ხელახალი დაყოფა და, დასასრულ, ამ მიწებს საკუთრებადაც იმკვიდრებენ. მიწაც აღებმიცემის საგანი ხდება. იზრდება და ხშირდება მოსახლეობაც. გვარები, ტომები უახლოვდებიან ერთმანეთს. მონათესავე ტომები უკავშირდებიან ერთმანეთს და ერთ ხალხად ირწყმიან.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამ პროცესში თავისს, ზოგჯერ ძალიან დიდს, როლს თამაშობდა. ეს იყო მუდმივი შეხლა-შემოხლა და ომიანობა ცალკე ტომებს შორის — ულეველი წყარო მონობისა, ერთი ტომის გაბატონებისა და მეორის დაჩორჩილებისა, ცალკე პირთა დაწინაურებისა თვით გვარში და სხვა.

ასე იშლება და ქრება გვაროვნული კავშირები, რომელთა ადგილსაც ტერიტორიალური კავშირები იქერენ, ასე ყალიბდება კლასობრივი საზოგადოება და მასთან ერთად, გვაროვნულ ორგანიზაციის ნაცვლად, სახელმწიფოც. ეს პროცესი აქ მხოლოდ ძალიან ზოგადად და სქემატურადაა მოხაზული. უადგილობის გამო. ჩვენთვის ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რათა ცოტათი თუ ბევრად გავრკვეულიყავით ქართველ ტომთა განვითარების სათანადო ხანაში. როგორ ხდება ქართველ ტომების გადასვლა გვაროვნულ წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაში, ამის შესახებ არავითარი წერილობითი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება. ამიტომ ამ გადასვლის ფორმის შესახებ მთლიან წარმოდგენის შექმნა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მაგრამ სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ წყაროების ფრაგმენტულ ჩვენებებზე დაყრდნობით ის მაინც უნდა შევსძლოთ, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამჟამად, უფრო ზედმიწევნით დავათარიღოთ ქართველ ტომების წინაკლასობრივ საზოგადოებიდან კლასობრივში გადასვლის ხანა და ამ გადასვლის შესაძლებელ გზებზედაც მივუთითოთ ზოგადად.

გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში

გვაროვნულ წყობილების ნაშთებმა ქართველ ტომებში მე-20 საუკუნემდისაც მოაღწიეს. მათ კვალს დღესაც-კი შეიძლება შევხვდეთ. ეს განსაკუთრებით მთიელ ტომებზე ითქმის: ხევსურებზე, ფშავებზე, სვანებზე და სხვ. ეს ნაშთები აქ თავს იჩენენ სინამდვილის თითქმის ყველა სფეროში — სოციალურ ორგანიზაციაში, ხალხურ ადათში, რელიგიურ რწმენებსა, კულტსა და წესებში, ტოტემიზმის მოვლენებში და მრავალ სხვა რამეში, სისხლის აღების, უფროს-უმცროსობის, სტუმარ-მასპინძლობის, ოჯახისა და თემის ურთიერთობის წესები გაჟღენთილია უხსოვარ დროთა სულით. რეალურ სინამდვილიდან გაძევების შემდეგაც ისინი თავს კიდევ დიდხანს ინახავენ ხალხის თქმულებებსა და პოეზიაში (შეადრ. ამ მხრივ თუნდაც ვაჟა-ფშაველას პოემებში დაცული მასალა). ნაკლების სიცხადით გამოხატულნი, ეს მოვლენები გვხვდებოდა და ნაწილობრივ ეხლაც გვხვდება ბარშიც. მთელი ეს ეთნოგრაფიული მასალა იმდენად მდიდარია, მრავალფეროვანი და ამასთან ერთიანიც, მთლიანი, რომ მარტო მის ნიადაგზე მდგომთაც ჩვენ უფლება გვექნებოდა დაგვესკვნა, რომ: ქართველ ტომებს, ყველას, უკლებლივ, განუვლიათ გვაროვნული წყობილება და უმაღლეს ფორმებამდე განუვითარებიათ იგი. მაგრამ ეთნოგრაფიასთან ერთად ჩვენ ისტორიაც გვაძლევს სათანადო ჩვენებებს, და ეს გარემოება ჩვენთვის კიდევ უფრო საყურადღებოა: ისტორიულ-ლიტერატურულ მოწმობათა შემწეობით შესაძლებელი ხდება ქართულ გვარის განვითარების ზოგიერთ საფეხურის გათვალისწინება მაინც.

უძველეს ქართულ საისტორიო თხზულების, ე. წ. „ქართლის მოქცევის“ (მიუებულ შეხედულებით, დაახლოებით მე-8 საუკ. თავის დღევანდელ სახით შედგენილი) ცნობით, როცა ქართველი ტომები დღევანდელ მიწა-წყალზე მოვიდნენ თავდაპირველ სამშობლოდან, ისინი 18 სახლის ანუ გვარისაგან შედგებოდნენ. ეს 18 გვარი ორს, ერთმანეთთან დაკავშირებულ, შტოდ ყოფილა დაყოფილი. 10 გვარისგან შემდგარ ჯგუფს მატიანე „მამამძუძეთა სახლებს“ ეძახის. როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილს აქვს გარკვეული (იხ. მისი „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი პირველი. 1928 წ. გამ., გვ. 165, მესამე აბზაციდან — გვ. 170), ეს ღრმად საყურადღებო და დაცულობის თვალსაზრისით საკვირველი ცნობა უძველეს სოციალურ მდგომარეობას და მის შესაბამის ქორწინებისა და ოჯახის ფორმაზე მიგვითითებს. ეს საზოგადოება მატრიარქატის განვითარების გარკვეულ საფეხურზეა და ნათესაობა-

აქ დედის ხაზის აღიარებაზეა დამყარებული. მატიანე ამ ამბავს ალექსანდრე მაკედონელის ამიერ-კავკასიაში ლაშქრობას უკავშირებს და, მაშასადამე, მეოთხე საუკუნის ქ. წ. დასასრულით ათარიღებს. ეს თარიღი მცთარია იმდენად, რამდენადაც მისი საფუძველი ისტორიულ ჭეშმარიტებას არ შეეფერება (ალექსანდრეს სამხედრო ოპერაციების არეში ამ.-კავკასია არასოდეს არ შესულა). მიუხედავად ამისა, თვით ცნობა შეუძლებელია შეთხზული იყოს, რადგანაც მატიანის საბოლოოდ შედგენის ეპოქაში საზოგადოებრივი წყობილება სულ სხვა სურათს წარმოადგენდა. და საინტერესოა, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ „ქართლის მოქცევის“ ლიტერატურულ ჩამოყალიბების დროიდან, როცა ფეოდალურმა ურთიერთობამაც საქართველოში უკვე საკმაოდ განვითარებული ფორმები მიიღო, წარმოიშვა ამ თხრობის რადიკალურად შეცვლილი რედაქცია. ამ რედაქციით, აზოს ქართლში მოჰყავს „ათასი სახლი ბდაბიო და მოქალაქე დედებით ყრმებითურთ მათით და კვალად ათი სახლი. მთავართაგან პალატისათა დედებით და ყრმებით მათით“. პირველყოფილი გვარები აქ უკვე კლასობრივ საზოგადოებად (მდაბიო, მოქალაქე, მთავარი) იქცა, ფეოდალურ საზოგადოების სტრუქტურასთან შეფარდებით! ამრიგად, უძველეს ქართულ მატიანის მიხედვით, ძ ი რ ე უ ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ტ ო მ ე ბ ი გ ა რ კ ვ ე უ ლ ხ ა ნ ა შ ი (მათ დღევანდელ ტერიტორიაზე გადმოსახლებისას?) გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს გ ა ნ ი ც დ ი ა ნ.

მეორე ადრინდელი ქართული მატიანე, აგრეთვე ქრონოლოგიურ შეცთომითა და ისტორიული პერსპექტივის დარღვევით, თითქმის ანალოგიურ სოციალურ სურათს გვიხატავს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, სამართ. ისტ., წ. I, გვ. 171—172). ორივე ამ ძველ ქართულ ისტორიულ ცნობისა და თანამედროვე ენობრივ ფაქტების ანალიზით ირკვევა, რომ იმდროინდელ ძირითად საზოგადოებრივ კავშირის ფორმის — გვარის — აღსანიშნავად ტერმინი „სახლი“ იხმარებოდა.

ამავე საზოგადოებრივ ფორმაციისაკენ მივყავართ უცხოურ ცნობებსაც, რომელთაგანაც ყველაზე ძველი (თუ გაბმულს წერილობით ცნობებს ვიგულისხმებთ) ბერძენთა ცნობილ მწერლის, ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს, „გეოგრაფია“-შია დაცული. სტრაბონს სხვადასხვა ქართველ ტომის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფის შესახებ მოეპოვება ცნობები, მაგრამ მათ შორის ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებული ინტერესი სვანების აღწერილობას აქვს. ამ ძლიერ ტომს, სტრაბონის თქმით, „ჰყავს „მეფე“ და საბჭო, 300 მამაკაცის-

გან შემდგარი. ჯარში მათ, როგორც ამბობენ, შეუძლიათ 200,000-მდე კაცი გამოიყვანონ, იმიტომ რომ მთელი მოსახლეობა მეომრობითაა ცნობილი". აქ რიცხვები, ყოველ შემთხვევაში — ჯარის რაოდენობისა, — გაზვიადებულია, მაგრამ თვით აღწერილობა ნიშანდობლივია და უეჭველად მოქმედ გვაროვნულ საზოგადოებას ახასიათებს: ტომს მოეპოვება ის ორგანო, რომლითაც ხალხი თავის სუვერენულ უფლებებს ახორციელებს, სატომო საბჭო; მისი საპასი წევრი — ეს ცალკე გვართა წარმომადგენლებია, მამასახლისები თუ სხვა დელეგატებიც; ჯარს თვით ხალხი შეადგენს (ჯარის დასახელებულ რაოდენობის გასამართლებლადაა, სტრაბონი რომ აღნიშნავს მთელი ხალხის მეომრობას — მთელი ხალხი გამოდის ჯარში და ამიტომ ის დიდია!). ცნობა „მეფის" შესახებ ამ დასკვნას ვერ დაარღვევს: თუნდაც ანგარიში არ გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ ბერძნულ ტექსტში შესატყვის ადგილას მოცემული ტერმინი — „ბაზილევსი" — გვაროვნულ წყობილების ტერმინია (ამ დროს მას ახალი მნიშვნელობაც ჰქონდა), ყოველ შემთხვევაში შეუძლებელი არ არის, რომ იმდროინდელს გარეშე დამკვირვებელს ძლიერ ტომის მეთაურის ხელისუფლების განსაზღვრისას სიხუსტე ვერ დაეცვა. კიდევ უფრო გვარწმუნებს ჩვენი დასკვნის სისწორეს ცნობა სვანების მეურნეობის შესახებ. სახელდობრ, სტრაბონის მიერ სვანები მიკუთვნებულნი არიან იმ მთიელ ხალხებისადმი, რომელთაგანაც „ზოგს უპირავს მთის მწვერვალები, ზოგი-კი ცხოვრობს ღია ცის ქვეშ ხევებში. იკვებებიან ისინი უმეტესწილად ნადირის ხორცით, ტყის ნაყოფითა და რძით". მაშასადამე. მეურნეობის მთავარი დარგები მონადირეობა, ნაყოფების გროვება და მესაქონლეობა (ალბათ სუსტად განვითარებული) ყოფილა. ერთგვარი აღებმიცემა მეზობელ თემებთან ჰქონიათ, მაგრამ ამ (ბარის) თემებში ისინი „უმთავრესად მარილისთვის" ჩადიოდნენ. ბართან კავშირი, სხვათა შორის, მეტად გაძნელებული უნდა ყოფილიყო ამ მთების გზების უჩვეულოდ არახელსაყრელ სასიათის გამოც. სვანების ყოფა-ცხოვრებაც სტრაბონის ტექსტში რეტად არამიმზიდველ სასითაა წარმოდგენილი და ამ მარივ ისინი ყველაზე ჩამორჩენილ ტომთან არიან გათანაბრებულნი.

რა დროს ეკუთვნის ეს ჩვენება? სტრაბონის თხზულება ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგსაა შედგენილი, მაგრამ მასში დაცულ ცნობების გამოყენებისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სტრაბონის „გეოგრაფია" თითქმის მთლიანად სხვის, სულ სხვა-

დასხვა დროს შეკრებილსა და დამუშავებულ მასალაზეა დამყარებული, და ამ გეოგრაფიის კონკრეტულ ჩვენებით სარგებლობისას წინასწარ უნდა ვუპასუხოთ კითხვას, თუ სტრაბონის რომელ წყაროსთან გვაქვს საქმე. სტრაბონი არას გვეუბნება, თუ საიდან ამოიღო მან თავისი ცნობები სვანების შესახებ, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრების ძალით შეიძლება ითქვას, რომ ეს ცნობები ეკუთვნიან ხანას არა უგვიანეს პირველ საუკუნის პირველ ნახევრისა ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე, და შესაძლოა საუკუნე—საუკუნე-ნახევრით უფრო ადრინდელნიც იყვნენ.

ბარის ქართველ ტომებს სტრაბონისეული იმავე ხანის ცნობები სულ სხვანაირად გვისურათებენ, მაგრამ მათ გარჩევას ჩვენ შემდგომ განაკვეთში შეეცდებით. აქ ყურადღებას იმ გარემოებისაკენ მივაქცევთ, რომ უკვე იმ დროს მთის განვითარება რამდენადმე ჩამორჩებოდა ბარისას იმავე მიზეზების წყალობით, რომელთა მეოხებითაც ამ მდგომარეობის სხვაობამ ჩვენ დრომდეც-კი მოაღწია. რომ სტრაბონის მიერ დახატული სვანეთის ვითარების სურათი რეალურია, ამას მერმინდელი ცნობებიც ადასტურებენ. საშუალო საუკუნეების გარკვეულ დროიდან ვხედავთ, რომ სვანეთი (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი ერთი ნაწილი, „თავისუფალი“ ანუ „უბატონო“ სვანეთი[1]) თავისუფალ თემების კავშირს წარმოადგენს, რომელიც „სვანეთის ერთობილ ხევის“, „სვანეთის ბედნიერ ხევის“ სახელწოდებას ატარებს და რომელიც მართლაც „ერთობილ“, ერთიან პირითაა წარმოდგენილი როგორც თავის შინაურს, ისე საგარეო საქმეებში, როცა მას ერთერთი წევრი (საფიქრებელია, სამოქალაქო ან სამხედრო წარმომადგენელი) მოუკლეს, მოკლულის სისხლის ფასი მთელმა თემმა აიღო. შინაგან განაწესის სიმტკიცესა და ხალხურ ადათის თავისუფალ მოქმედებას „ერთობილ ხევის შვილები“ „ერთმანეთის ნდობითა“ და საკუთარ ძალებით იცავენ, კიდევ უფრო ნათელ სახით მოჩანს ძველ სვანურ გვარის სახე მეცხრამეტე საუკუნის ცნობებიდან, რომელნიც გვიდასტურებენ, რომ ამ საუკუნის ჯერ კიდევ სამოციან წლებამდე სვანების „პირველყოფილი დემოკრატია“ განაგრძობდა არსებობას (რათქმაუნდა, გარკვეულ ცვლილებებით) და რომ ის ძველ-

[1] თავის დროზე, უბატონო სვანეთშიაც საკმაოდ მკაფიოდ ისახებოდა ფეოდალური ურთიერთობა, მაგრამ ამ კუთხის შემდეგდროინდელმა ეკონომიკურმა ვითარებამ შეაჩერა ეს პროცესი. ამ საინტერესო მოვლენას შემდგომ განაკვეთებში ჩვენ უფრო დაწვრილებით შევებებით.

ლოდ ძალით იქნა მოსპობილი (რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ). ეს ცნობები იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც გადმოვცეთ აქ ისინი.

ნაჩვენებ ხანაში, სვანეთში (განსაკუთრებით თავისუფალი სვანეთი იგულისხმება) რამდენიმე სოფლის კავშირი შეადგენდა თემს. თემის უზენაესი ორგანო იყო თემის ყრილობა ანუ კრება („ლუზორ“, „ლუხორ“), რომელიც შედგებოდა თემის ყველა მამაკაც წევრისაგან ოცი წლის ასაკს ზევით. ყრილობაში მონაწილეობის უფლებას ქალებიც არ ყოფილან მოკლებულნი, განსაკუთრებით მაშინ, როცა კომლს სრულწლოვანი ვაჟკაცი არა ჰყავდა. თემის ყრილობა საბოლოოდ სწყვეტდა ყველა სათემო საზოგადოებრივ საქმეს, არავის თავის მოქმედების ანგარიშს არ აძლევდა და არავის წინაშე პასუხს არ აგებდა. თემის ყრილობას შეეძლო ერთი ან რამდენიმე კომლი აეყარა თავის ადგილიდან, ამოეწვა მათი კარ-მიდამო, გაეძევებინა საზოგადოებიდან მავნე პირები და სიკვდილითაც-კი დაესაჯა ისინი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა „ქვეყნის ღალატი“,— ცდა დაემორჩილებინათ თემი რომელიმე მეზობელ თავადისათვის,— და ღვთისგმობა.

სიკვდილით სასჯელს ყრილობა ძლიერ იშვიათად მიმართავდა ხოლმე (წარსულ საუკუნის დასასრულს ასეთ ფაქტის მომსწრე უკვე აღარავინ ყოფილა) და მძიმე ბოროტმოქმედებისათვის შერისხული იდევნებოდა თემის ფარგლებიდან ან მარტო, ან მთელ თავის კომლთან ერთად. მაგრამ ბოროტმოქმედება თემში მეტად იშვიათად ხდებოდა ხოლმე, სათანადო ადათები ძვალ-რბილში ჰქონდა ხალხს გამჯდარი. თემის ყრილობა არჩევდა შემდეგი ხასიათის საქმეებს: მეზობელ ქვეყნებში (უმთავრესად, თერგისა და ყუბანის თემებში) თარეშის მოწყობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა, მათზე ხარკის დადება თუ ზავის შეკვრა მათთან, კავშირის შეკვრა სხვადასხვა თემთან, კომლობრივ გადასახადის საჭიროება გაჩნდებოდა, მაგ. თემის წევრის მიერ მოკლულ საერთო მტრის სისხლის ფასის ანაზღაურებისას, ან ტყვედ ჩავარდნილ თემის წევრის დასახსნელად და სხვ. სასჯელი ქურდობისათვის (განსაკუთრებით, განმეორებითი ქურდობისათვის მდგომარეობდა ჯარიმაში) და მამაპაპურ ადათების დარღვევისათვის (მაგ. უქმ დღეებში მუშაობისათვის). თემის ყრილობას ემორჩილებოდა ადგილობრივი სამღვდელოებაც. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ყრილობა სქესობრივ ზნეობის დაცვას. მაგ., ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისათვის თემი დამნაშავე ქალის მშობლებს ან მის მეურვეებს ან

ნათესავებს ჯარიმად წაართმევდა ხოლმე ერთ დღიურს სახნავ-სათიბს ან ტყეს, რაც სამუდამოდ იქცეოდა თემის საკუთრებად და საზოგადოებრივ შემოსავლის წყაროდ. ზნეობრივი სასჯელი კიდევ სხვა იყო. ისჯებოდა აგრეთვე სისხლის შერევაც. აკრძალული იყო ნათესავების დაქორწინება ათი თაობის ფარგლებში, ერთი თაობის სახლიკაცებს-კი შეუღვლება სრულიად აკრძალული ჰქონდათ, რაგინდ შორეული ნათესაობაც არ ყოფილიყო მათ შორის. ასეთი იყო სათემო ყრილობის ჩვეულებრივი უფლებები. ყველა, აღწერილ სახით მოწყობილ, სვანურ თემის კავშირი შეადგენდა „ხეობას“, რომელიც იმდროინდელ დამკვირვებელს ფედერაციულ რესპუბლიკის მსგავს წარმონაქმად ეჩვენებოდა. ამ კავშირს ჰქონდა რამდენიმე, საკავშირო ყრილობისათვის მუდმივად მიჩნეული, ადგილი. აქ იყრიდა თავს ხალხი მთელ ხეობიდან, როცა რამე საერთო საქმე იყო გასაბჭობი (მაგ., მეზობელ თავადების ცდა დაემორჩილებინათ თავისუფალი თემები და სხვ.). ასეთი თავყრილობა შედგებოდა თვითეულ თემის „მახვში“-სა და რამდენიმე დეპუტატისაგან („ჩენილისაგან“). განსაკუთრებულ შემთხვევებში-კი ყველა კომლი გზავნიდა თავის კაცს. ასეთი დიდი ყრილობა მოწვეულ იქნა თავისუფალ სვანეთში, მაგ., 1875 წ., როცა აქ აჯანყების ცეცხლმა იფეთქა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. მოხსენებული „მახვში“ (უფროსს ნიშნავს სვანურად), მამასახლისი იყო სათემო ყრილობის თავმჯდომარე და თემის უმაღლესი მოხელე. ის უვადოდ იყო არჩეული ხალხის მიერ და, თუ ღირსეული აღმოჩნდებოდა, ღრმა მოხუცებამდე უძღვებოდა თავის თანამდებობას, და თუ არა — ის შეეძლოთ ყოველ წამს გადაეყენებინათ. მახვშიდ ირჩევდნენ ხანში შესულს, გულადს, გამოცდილს, პატიოსანს, გონიერს და თემის ერთგულ კაცს. არჩევნებში მონაწილეობდა თემის ყველა სრულწლოვანი წევრი, მათ შორის— ქალებიც. არჩევნებისათვის სპეციალური ადგილი იყო განკუთვნილი, რომელიც სხვადასხვა თემში სხვადასხვა სახელს ატარებდა („ლალხორ“, „სვიფ“, „სახევ“). ამ ადგილას იკრიბებოდა საზოგადოდ თემის ყრილობა. ხალხს ყრილობაზე გრძელ სპილენძის ბუკის ძახილით ჰკრეფდნენ. მახვშის არჩევას გარკვეული ცერემონიალი ჰქონდა. არჩევნები საბოლოო იყო ხოლმე და დიდი ერთსულოვნობით ტარდებოდა. აქ ბრძოლას ამრჩეველთა ჯგუფებს შორის არასოდეს ადგილი არ ჰქონია, იმიტომ რომ ღირსეულ კანდიდატად მიჩნეული პირი ჯერ კიდევ ძველ მახვშის სიცოცხლეში იყო საყოველთაოდ აღიარებული. თუმცა ყრილობის დაუკი-

თხავად მახვში არაფერს აკეთებდა, მაგრამ თავის უდიდეს ზნეობრივ ავტორიტეტის წყალობით, ის დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი. მახვშის ექვემდებარებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო, დიდი და მცირე საქმეები. ყრილობაში გამოტანამდე მახვში საზოგადოებრივ საქმეების გამო წინასწარ გამოცდილსა და ნდობის ღირს პირებს ეთათბირებოდა. ყრილობას შეეძლო მიეღო მახვშის აზრი მთლიანად ან ნაწილობრივ ან სრულიად უკუეგდო იგი. მახვში თვალყურს აკვანებდა საზოგადოებრივ წესრიგს, შეეძლო დღეობაში ხალხისთვის იარაღი აეყარა, რომ სიმთვრალეში რამე უბედურება არ მომხდარიყო, არიგებდა წაჩხუბებულებს. მახვშის განსაკუთრებულ საზრუნავს შეადგენდა მისი თემის ორ გვარს შორის წამოჭრილი მტრობა. ამ უთანხმოების მშვიდობიან ჩაქრობისათვის მახვში ადათით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას იყენებდა. მახვში ერეოდა საოჯახო საქმეებშიაც (ძმების გაყოფა, ცოლქმრის ჩხუბი და სხვ.). მახვშის თავის ხალხის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი, და ეს იყო მისი მძიმე შრომის ერთადერთი საზღაური. მაგრამ იყო ხოლმე შემთხვევები, როცა ხალხი ეხმარებოდა მახვშის მკაში, თიბვაში, რაკი მახვშის თავის რთული და მრავალმხრივ მოვალეობის გამო შეძლება არა ჰქონდა საკუთარ საქმისათვის მოევლო. მახვშის თანამდებობა რუსის მთავრობამ გააუქმა 1869 წ. თემს ჰქონდა საკუთარი სასამართლო, რომელშიაც მახვში აგრეთვე მთავარ როლს ასრულებდა. მოსამართლეებს — „მორვარებს“ — ამათუიმ ცალკე საქმისათვის ირჩევდნენ დაინტერესებული მხარეები. სასამართლო ადათის მიხედვით მოქმედებდა და მის განაჩენს გაუსაჩივრებელი და უქცეველი ძალა ჰქონდა. ყველაზე ძნელ საქმედ თვით განაჩენის დადგენა ითვლებოდა. ხოლო გამოტანილ განაჩენს მომჩივარიცა და მოპასუხეც სიტყვის შეუბრუნებლივ ემორჩილებოდნენ. თვით სასამართლო პროცედურა ძალიან რთული და მტკიცედ განსაზღვრული იყო.

საერთო წესწყობილებას შეეფარდებოდა თვით თემის მოქალაქის უფლება-მოვალეობანი. თვითეული სვანი მოვალე იყო თავის თემის სახელი და ღირსება დაეცვა, მტრისათვის პასუხი გაეცა და სხვ. სამაგიეროდ, თვითონაც თემის ყოველგვარ დახმარებით სარგებლობდა. გადამწვარს თემი ეხმარებოდა წვრილმანით და, გარდა ამისა, თვითეული მოსახლე მას მოსავლის ნაწილს უთმობდა. სახლის შენებისას უფასოდ მოჰქონდათ საშენებელი მასალა და, თუ საჭირო იყო, ეხმარებოდნენ კიდევაც. თუ საერთო გარეშე მტრისათვის

რაიმე ნივთიერი საზღაური უნდა მიეცათ, ამ უკანასკნელს თემი თანაბრად ინაწილებდა თავის წევრთა შორის. გაპირვებულ კაცის სათხოვარს თემი ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა, თუნდაც ეს კაცი სხვის თემისა ყოფილიყო, ან სრულიად უცხო. თემისათვის სავალდებულო იყო უპატრონო მოხუცთა, ავადმყოფთა და ღატაკთა მოვლა-პატრონობა. თემები ერთმანეთს ფაბიზლად თვალყურს ადევნებდნენ, რომ ძლიერ თემს სუსტი არ დაეჩაგრა და ამით მათ შორის წონასწორობა არ დარღვეულიყო. თემის კაცი მაინც ვალდებული იყო გასაჭირში თავის თემისავე კაცს დახმარებოდა უცხოს წინააღმდეგ, თუნდაც პირველ ორს შორის მტრობა ყოფილიყო.

აღწერილ დაწესებულებებიდან აშკარად გამოკრთის გვაროვნულ ორგანიზაციის სახე. ამ პირველყოფილ მდგომარეობის კვალი ჩვენ შეგვეძლო მრავალ სხვა მოვლენაშიც აღმოგვეჩინა, ადგილი რომ ამის ნებას გვაძლევდეს. მაგ., ოჯახის წყობაში (აქ აღებულ ხანაში მოიპოვებოდნენ ოჯახები, 50 სულის შემადგენლობით, რომლებშიც მეთაურობა განსაკუთრებულ უფლებებით აღჭურვილს ოჯახის მამას ეკუთვნოდა; ოჯახის წევრების მონაგარი საერთო საკუთრებას შეადგენდა და თავის მოთხოვნილებებსაც ოჯახი უმეტეს წილად საკუთარ პროდუქტებით იკმაყოფილებდა), შეუღლების წესებში (ძმის ან სხვა მახლობელ ნათესავის უფლება შეერთოთ გარდაცვლილ ოჯახის წევრის ქვრივი, რათა ეს უკანასკნელი გარდაცვლილის ქონებითურთ ისევ ოჯახში დარჩენილიყო და სხვა), სისხლის აღების ადათში, უფროს-უმცროსობის წესებში და სხვ. მაგრამ შეცთომა იქნებოდა, რომ ახალი სვანური თემი გაქვავებულ პირველყოფილ გვარად წარმოგვედგინა. მას უკვე დიდი ცვლილებები ჰქონდა განცდილი. საკმარისია იმისი აღნიშვნაც, რომ უკვე მისი საძირკველი იყო გარღვეული: მოცემულ პერიოდში უძრავი ქონება აქ უკვე კერძო საკუთრების საგნად ითვლებოდა. სახნავ-სათესი, სათიბი, ტყე და საძოვარი ცალკე ოჯახებს ეკუთვნოდათ. მესაკუთრეს თავის მამულის გ ა ს ხ ვ ი ს ე ბ ი ს (მაგ., გაყიდვის მის მიერვე დანიშნულ ფასებში) უფლება ჰქონდა. გაყიდული მამული მყიდველის სამუდამო და სამემკვიდრეო საკუთრებად იქცეოდა. მაგრამ ამ სფეროშიაც მოქმედებდნენ შემზღუდველი წესები, რომელნიც თემურ საკუთრების ინსტიტუტიდან მომდინარეობდნენ. მამულის გაყიდვის მსურველს თავისი საქონელი ჯერ თავის თემის კაცისათვის უნდა შეეძლია, და ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა შეძენის უპირატესი უფლება. თუ თემში

მყიდველი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ კანდიდატებად გამყიდველის მახლობელი ნათესავები ითვლებოდნენ, და მხოლოდ უკანასკნელთა უარისთქმის შემდეგ შეიძლებოდა მამული უცხოსაც ეყიდა. მაგრამ სახლი და კარ-მიდამო-კი უსათუოდ თემის ერთ-ერთ წევრს უნდა დარჩენოდა. თუ კარ-მიდამოს შეძენის მსურველს სახსარი არ ჰყოფნიდა, მას თემი ეხმარებოდა. უცხოთაგან ამ შემთხვევაში (თუ თვით თემის წევრთაგან მსურველი მაინც არავინ იყო) გამონაკლისს მხოლოდ ჩამოსიძებული (ზედსიძედ შემოსული) პირები შეადგენდნენ. ამრიგად, მესაკუთრის მემკვიდრედ მახლობელ ნათესავებს გარდა თემიც იყო მიჩნეული. გარდა ამისა, ზოგიერთი მთის საძოვარი, მთის სათიბი და სატყეო აგარაკი სოფლისა და თემის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. მათს მფლობელობასა და სარგებლობაში ყველას თანაბარი წილი ედო.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ სვანური თემიც, თავის შინაგან განვითარების ძალით, საერთო გზას ადგა. აქაც საზოგადოების შიგნით ჩნდებოდნენ ძალები, რომელნიც ძველ ურთიერთობას ღრღნიდნენ და ახალს ნიადაგს უმზადებდნენ. მხოლოდ, ბუნებრივ პირობების წყალობით, განვითარებას აქ უფრო ნელი ტემპი ახასიათებდა და ტრადიციებიც უფრო დიდხანს ინახავდნენ თავს. ბარის ტომებში ეს პროცესი ბევრად უფრო ადრე მოხდა. მის მეტნაკლები სისწორით გათვალისწინებისათვის ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენი თხრობის ზემოთშეწყვეტილ ძაფს.

როგორც უკვე ვამბობდით, ჩვენი ტერიტორიის ნიადაგიდან ამოთხრილ ძველ კულტურების ნაშთებს შორის განსაკუთრებული ადგილი ლითონს უჭირავს. შესაძლოა ეს ფაქტი ჩვენი არქეოლოგიის დღევანდელ მდგომარეობის შედეგი იყოს. ჩვენი საკითხისათვის ამას ისეთი მნიშვნელობა არცა აქვს. უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის გარემოება, რომ ლითონი აქ საერთოდ ძალიან ადრე შემოდის ხმარებაში — ჯერ ბრინჯაო და მალე რკინაც, თუმცა ამ კულტურების ქრონოლოგიურ განსაზღვრაში არქეოლოგები დღემდე ვერ შეთანხმებულან (ყველაზე ავტორიტეტულ მეცნიერთა თარიღებიდან რომ ორთაშუა რიცხვი გამოვიყვანოთ, რკინის ხანის დასაწყისი კავკასიაში დაახლოებით მეათე საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე). თვით ამ ნაშთების ხასიათს რომ ჩავუკვირდეთ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ისტ., ტ. I, გვ. 9—16), იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ წარმოება აქ შედარებით ადრე აღწევს საკმაოდ მაღალ საფეხურს. საფლავებში თითქმის ყველა სახის იარაღს ვპოულობთ. დიდად

საყურადღებოა, რომ მათ შორის კევრიც-კი გვხვდება — მიწის-მოქმედება ფართოდ უნდა იყოს დაყენებული. შრომის განაწილებაც მკაფიოდ უნდა იყოს დაყენებული — მეტალურგია და მეკურჭლეობა ალბათ უკვე ცალკე ჯგუფების ხელშია (მათთან ერთად ფეიქრობაც ხომ არა?). აღებმიცემას უკვე მყარი ფორმა უნდა ჰქონდეს — საყურადღებოა ამ მხრივ მორგანის დაკვირვება (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ისტ., I, გვ. 15—16). მაინც შეიძლება მივიღოთ, რომ აქ ცხოვრება ჯერ კიდევ ძველ კალაპოტიდან ამოსული არ არის. კოლხები, რომელნიც შავი-ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე იგულისხმებიან, სპარსეთის მეფეს თავის „ნებაყოფლობით“ ხარკს ტყვის (მონის) სახით აძლევენ, მაშინ როცა მათ სამხრეთით მცხოვრები ტომები ამ ხარკს ფულად იხდიან (ეს ამბავი მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის). მეორე მხრით, უკვე ამ ცნობიდანაც შეიძლება მონობის (მაშასადამე, ერთგვარ სოციალურ უთანასწორობის) გარკვეული გ'ანვითარება ვიგულისხმოთ (კოლხები ოთხ წელიწადში ერთხელ სპარსეთის მეფეს 100 ვაჟს და 100 ქალს აძლევენო, გვიამბობს ჰეროდოტე). დაახლოებით ამავე დროს შავი ზღვის ქართულ სანაპიროზე ბერძენთა სავაჭრო ფაქტორიები — ზღვისპირა ქალაქები ჩნდებიან (ფაზისი, დიოსკურია და სხვ.). ამ ფაქტს, რათქმაუნდა, არ შეეძლო ადგილობრივ ტომების ცხოვრება ძირეულად შეეცვალა, მაგრამ გავლენა-კი უნდა მოეხდინა, —თუნდაც მცირე: თვით ამ ქალაქების არსებობას ხომ ის აზრი ჰქონდა, რომ აქაურ მოსახლეობასთან სათანადო ურთიერთობა დაემყარებინა. სტრაბონის „გეოგრაფიას“ ეს ძოვლენა გ ა ზ ვ ი ა დ ე ბ ი თ შემდეგნაირად აქვს აღწერილი: „ჩვენებურ ცხოვრების წესმა ყველგან გამოიწვია ცვლილება უარესობისაკენ,— შეიტანა ფუფუნება, სიამოვნებისადმი მისწრაფება და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მრავალი უზნეო საშუალება, გამდიდრებისაკენ მიმართული. ასეთმა გაფუჭებამ მნიშვნელოვან წილად შეატანა ბარბაროსებშიაც, სხვათა შორის, ნომადებშიც (ვინც მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა, ადგილმაცვალ ხალხში). უკანასკნელნი, მას შემდეგ რაც ზღვა გაიცნეს, უარესი გახდნენ: დაიწყეს ყაჩაღობა, უცხოელების ხოცვა და, დაიპირეს რა კავშირი მრავალ ხალხთან, გადმოაქვთ მათგან ფუფუნება და ჩარჩობა“. მეორე ადგილას, ყირიმელ მიწისმოქმედ ტომების შესახებ, ნათქვამია: ...„თუმცა მათ მეომრობის მხრივ მშვიდობიან და მოქალაქობრივად უფრო დაწინაურებულ ხალხის ხმა აქვთ დავარდნილი, მაგრამ, ანგარეებისა და ზღვასთან სიახლოვის გამო, თავს ვერ იკავებენ ყაჩაღო-

ბისა და სხვა მის მსგავს საშუალებისაგან, რომელიც გამდიდრებისაკენ არის მიმართული". „ზღვასთან სიახლოვე" აქ, რათქმაუნდა, ზღვისპირა სააღებმიცემო პუნქტებთან ურთიერთობას გულისხმობს. რომ ქვეყნის შინაგან ცხოვრებაში (ამ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოში) მართლაც რომ სამეურნეო და საზოგადოებრივი ურთიერთობა არც ისე პრიმიტიული უნდა ყოფილიყო, ამას გვაფიქრებინებს ცნობილი თქმულება არგონავტების მოგზაურობის შესახებ კოლხეთში. თავის მოღწეულ შედგენილობით ეს თქმულება დღესდღეობით მითოლოგიურ სფეროს ეკუთვნის. მაგრამ შეუძლებელია, რომ მთელს ამ მითოლოგიურსა და პოეტურ კონსტრუქციებს ისტორიულ ჭეშმარიტების მარცვალი მაინც არ დასდებოდა საფუძვლად. და ამ გარდმოცემიდან, სხვა არა იყოს რა, ის ფაქტი მაინც უნდა დაგვრჩეს, რომ ზღვისპირა ელინურ ქალაქების გვერდით, მოცემულ ხანაში, არსებობს დიდი „ბარბაროსული" ქალაქი ეა, რიონის დაბლობში, დღევანდელ სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარე.

განსაკუთრებული გარდატეხა მაინც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას მომდევნო ხანაში ემჩნევა, მიახლოებით — მეოთხე საუკუნიდან. ამ დროიდან დასავლეთ საქართველოში იწყება ადგილობრივ ფულის მოჭრა. ეს ფული, რომელსაც შეიძლება „კოლხური თეთრი" ვუწოდოთ, ვერცხლისაა. ის დიდი ხნის განმავლობაშია და ერთი რომელიმე მომენტის საჭიროებას არ გულისხმობს. ამასთანავე, ის შინაგან ურთიერთობისათვის იყო უმთავრესად განკუთვნილი. ამას გვაფიქრებინებს მისი გავრცელების არე — „კოლხური თეთრი" გვხვდება სოხუმის რაიონიდან მოყოლებული სამხრეთით — ტრაპეზუნტის მეზობელ რაიონამდე და აღმოსავლეთით — ლიხის (სურამის) ქედამდე. ქართლში იგი მხოლოდ რამდენიმე ცალია ნაპოვნი, მაშინ როცა დას. საქართველოში იგი ეხლაც დიდი რაოდენობით ამოდის მიწიდან. ეს არე თითქმის ზედმიწევნით ჰფარავს ძველ კოლხეთის ტერიტორიას. გავითვალისწინოთ ეს უკანასკნელი და მასთან ერთად იბერიისა და მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიაც.

რამდენადაც მერმინდელ ცნობებიდან ვიცით, ჩვენი წელთაღრიცხვის წინა საუკუნეებში (ჯერ-ჯერობით ძნელი სათქმელია, როდის ყალიბდება ეს ტერიტორიული მიჯნები) მთელი ამიერკავკასია დაყოფილია ოთხ ერთეულად, —კოლხეთი, იბერია ანუ ქართლი, ალბანეთი და არმენია ანუ სომხეთი. პირველი სამი ერთ ხაზზე ძევს და მათს საერთო ჩრდილოეთის საზღვარს კავკასიონის ქედი წარმოადგენს. სამხრეთიდან-კი სამსავე სომხე-

თი ემიჯნება. საკუთრივ კოლხეთის საზღვრები ნაჩვენებია ჩვეულებრივად დაახლოებით დღევანდელ აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვრიდან ვიდრე ტრაპეზუნტის მიდგმამდე. იბერია-კოლხეთის საზღვარი გადის სკანდა-შორაპნის ხაზზე, იბერია-ალბანეთისა-კი — დაახლოებით ალაზნის შესართავზე.

ამრიგად, თუმცა ჯერ გარკვეული არ არის „კოლხურ თეთრის“ მომჭრელთა ვინაობა, მაგრამ ცხადია, რომ იგი კოლხეთის შინაგან სააღებმიცემო ურთიერთობას ემსახურებოდა. თითქმის ანალოგიური მდგომაოობაა ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში, ე. წ. იბერიაშიც. უძველეს ქართულ მატიანის მიერ მეოთხე საუკუნის დასასრულისათვის იბერიაში ნაჩვენებია შემდეგი ქალაქები: სარკინე, კასპი, ურბნისი და ოძრახე. მომდევნო პერიოდში-კი შენდება, იმავე მატიანის ჩვენებით, არმაზი და მცხეთა. ამ ცნობასაც ჯერ შეძოწმება სჭირია, მაგრამ სხვა ფაქტები გვიჩვენებენ, რომ მისი ეკონომიკური აზრი უსაფუძვლო არ არის. პირველი ოთხი პუნქტი შემდეგ საუკუნეებში (კერძოდ, თვით ამ მატიანის შედგენის ხანაში) მნიშვნელოვან როლს აღარ თამაშობს, რომ მათი დასახელება მერმინდელ მნიშვნელობის ნიადაგზე აიხსნებოდეს. ცხადია, სია შემთხვევითი არ არის. არმაზი და მცხეთა, როგორც ქართლის უძველესი ქალაქები, და სწორედ ამ ისტორიულ რიგით ცნობილია ბერძნულ-რომაულ ცნობებითაც. ამ ქალაქების მნიშვნელობა ნაწილობრივ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ დიდ სატრანზიტო გზასთან, რომელიც ქართლსა და კოლხეთზე გადიოდა და რომლის კავკასიურ ნაკვეთს „ფაზის კასპიის გზა“ შეიძლება ვუწოდოთ, კიდურების მიხედვით. სტრაბონის „გეოგრაფიის“ ცნობით, „იგი (საუბარია მდ. ამუ-დარიაზე) გამოსადეგია ნაოსნობისათვის. მისი საშუალებით ინდოეთის მრავალი საქონელი ჩააქვთ ჰირკანიის ზღვაში (=კასპიის ზღვას), აქედან გადააქვთ ალბანეთში და შემდეგ მტკვრით და მიმდგომ მხარეებით ევქსინისაკენ (=შავ ზღვას)“. კოლხეთში ეს გზა ყვირილა-რიონის ხეობას მიჰყვებოდა და შორაპნიდან აგრეთვე სანაოსნოდ ითვლებოდა. რომაულ ცნობითაც, „ინდოეთიდან შეიძლება 7 დღეში ჩასვლა ბაქტრიაში მდ. ბაქტრთან, რომელიც ოქსს ერთვის, და ამ მდინარიდან კასპიის ზღვით გასვლა მდ. მტკვრამდე, და... ინდოეთის საქონელი, დიდი-დიდი 5 დღის განმავლობაში ხმელეთის გზით, შეიძლება მიტანილ იქნას პონტოს ფაზისთან“. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობა მომდინარეობს იმ ექსპედიციის მასალებიდან, რომელიც მოწყობილ იქნა მესამე საუკუნის დასაწყის-

ში ქ. წ. ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეების მიერ კასპიის ზღვის გამოკვლევის მიზნით (ასეთი განზრახვა ალექსანდრესაც ჰქონდა, მაგრამ შეუსრულებელი დარჩა). რათქმაუნდა, გამოკვლევის ინიციატორებს პრაქტიკული ინტერესი ამოძრავებდათ. თვით ამბის თარიღი ამ გზის სიძველეს მოწმობს. შემდეგში, რომაელების ამიერ-კავკასიაში შემოსვლის ხანისათვის, ფაზის-კასპიის გზას შესაძლოა თავისი მიმართულება შეეცვალა [1], მაგრამ წინა საუკუნეებში მისი არსებობის უარყოფისათვის საფუძველი არ მოიპოვება.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა და მისი იმპერიის არსებობის ხანასთან დაკავშირებულია საქართველოსა და ამიერ-კავკასიის არქეოლოგიის საყურადღებო ფაქტები: ალექსანდრეს ფული, როგორც ვერცხლის, ისე ოქროსი, საკმაო რაოდენობით გვხვდება მთელი ამიერ-კავკასიის ნიადაგში. მეტიც: სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ალექსანდრეს ფულის მიბაძვით, მართალია უფრო ცუდ ოქროსაგან და ტექნიკურადაც უფრო ცუდად შესრულებული, უკვე ადგილობრივაც სჭრიან ფულს, რომლის ცალები ნაპოვნია კასპიის გაღმა მხარეში, ქართლში და, განსაკუთრებით, მცხეთაში. ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ მომდევნო პერიოდშიც. ალექსანდრეს მონარქიის დაყოფის შემდეგ საქართველო ექცევა განსაკუთრებით თრაკია-მცირე აზიის მფლობელის ლიზიმახის სახელმწიფოს გავლენის სფეროში. ლიზიმახის ფულს ჩვენში ხშირად პოულობენ. და რადგანაც ადგილობრივ მოთხოვნილებას, როგორც ჩანს, ვერ აკმაყოფილებდა უცხოეთიდან შემოტანილი ფულის მარაგი, აქ (საქართველოში) კვლავ იჭრება ოქროს ფული, ლიზიმახის სტატერების მიხედვით, როგორც ამას ამტკიცებს ქართულ ნუმიზმატიკის (ძველ ფულთამცოდნეობის) საუკეთესო სპეციალისტი პახომოვი.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უკვე საკმაოდ ადრე და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ-კი მეოთხე საუკუნიდან ქ. წ. ბარის ქართველ ტომების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა მომხდარიყო. მატერიალურ წარმოების წესი იმდენად განვითარებული ჩანს, რომ შეუძლებელია იგი ძველ გვაროვნულ წყობილების საწარმოო ურთიერთობის ჩარჩოში დატეულიყო. შემდგომ განაკვეთში მოცემული ანალიზი გვიჩვე-

[1]) ამ ნიადაგზე აიხსნება სათანადო ცნობების წინააღმდეგობა, რომელიც ზოგიერთს მკვლევარს აეკვეს ხსენებულ გზის მნიშვნელობაში.

ნებს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის ეს ჩარჩო უკვე გარღვეულია და ჩვენს თვალთ წინ უკვე ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობის სურათი იხატება.

დაგვრჩენია ერთი საკითხიც. მიღებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართველი ტომები ამიერ-კავკასიაში მკვიდრი ტომები არ არიან და აქ ისინი სამხრეთიდან არიან მოსულნი (წარმოდგენილია მწყობრი თეორიაც ამ ტომთა თანდათანი მოძრაობის შესახებ კავკასიისაკენ). საკითხის შესწავლის დღევანდელ მდგომარეობის მიხედვით, ეს თეორია ჯერ-ჯერობით ჰიპოთეზად უნდა იქნეს მიჩნეული. ამჟამად მას, ამ საკითხს, ჩვენთვის ისეთი მნიშვნელობა არცა აქვს. ყოველ შემთხვევაში, უკვე VII—VI ს. ს. ქ. წ. ქართველი ტომები საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე უნდა ცხოვრობდნენ, თვით იმ მკვლევართა აზრითაც, რომელნიც ხსენებულ თეორიას იზიარებენ. ეს ჩვენ საკმაო საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ ზემოთ წარმოდგენილი ცნობები ამ.-კავკასიის ვითარების შესახებ მოცემულ ქრონოლოგიურ ფარგლებში (VI—V საუკუნიდან მაინც) ქართველ ტომთა განვითარების ისტორიას საფუძვლად დავუდოთ.

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რატომ ვიწყებთ საქართველოს ისტორიას ქართველ ტომთა გვაროვნულ წყობილებით?

2. რა წყაროებით ვსწავლობთ საქართ. ისტორიის ამ ხანას და რას გვაცალებს ამ წყაროების ხასიათი?

3. საიდან შეინახა ყველაზე დიდხანს საქართველოში გვაროვნულ წყობილების ნაშთები და რატომ?

4. როდის უნდა! დაწყებულიყო გვაროვნულ წყობილების რღვევის პროცესი ბარის ქართველ ტომებში?

დამხმარე ლიტერატურა

1. ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, ტფ. 1932 წ.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1928 წ. გამ., გვ. 6, 9—16, 17—25, 30—32.

3. მისივე, ქართული საქართლის ისტორია, წ. I, 1928 წ. გამ., გვ. 139—143, 150—151, 158—170.

4. გ. ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. I, 40—46.

9. ს. ჯანაშია, ტ. II.

ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში

ფეოდალიზმის ცნება

ჩვენ უკვე ვიცით, რომ პირველყოფილ, გვაროვნულ საზოგადოების ნანგრევებზე კლასობრივი საზოგადოება ყალიბდება. „ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის პირველი ფორმა, საზოგადოების კლასებად დაყოფის პირველი ფორმა მონობაა“ (ლენინი). მაგრამ განვითარების ადგილობრივ, სპეციფიკურ პირობების წყალობით მონობა ზოგგან სამონათესლობელო საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციის სახეს იღებს, როგორც, მაგ., რომსა და საბერძნეთში, „რომელნიც მთლიანად მონობაზე იყვნენ დამყარებულნი“ (ლენინი). სხვაგან კი იგი ადრევე ფეოდალიზმში გადადის. რამდენადაც დღეს-დღეობით ამის თქმის უფლება გვაქვს, საქართველოში მეორე მოვლენას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად მონობის განსაკუთრებულ მნიშვნელობისა ქართველ ტომთა უძველეს ისტორიაში, არ ჩანს, რომ იგი აქ მთლიან ფორმაციად ჩამოყალიბებულიყოს. გვაროვნულ წყობილებას აქ ფეოდალიზმი სცვლის. ჩვენი წინამდებარე ამოცანა სწორედ ქართულ ფეოდალიზმის წარმოშობისა და განვითარების განხილვაში მდგომარეობს. მაგრამ ვიდრე მას უშუალოდ შევუდგებოდეთ, ჩვენ თვით ფეოდალიზმის ცნება უნდა გავარკვიოთ.

ფეოდალური საზოგადოება კლასობრივი საზოგადოებაა. იგი წარმოების საზოგადოებრივ პროცესის ანტაგონისტურ ფორმაზეა დამყარებული. როგორია ეს ანტაგონიზმი? იმისათვის, რომ ამ საკითხს ვუპასუხოთ, უნდა ნათელი წარმოდგენა გვქონდეს თვით კლასის შესახებ. ლენინი ასე განსაზღვრავს საზოგადოებრივ კლასებს: „კლასები ეწოდება იდამიანთა ისეთ დიდ ჯგუფებს, რომელნიც განსხვავდებიან თავიანთ ადგილით საზოგადოებრივ წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი დამოკიდებულებით (რომელიც უმეტეს წილად კანონებშია განმტკიცებული და ჩამოყალიბებული) საწარმოო საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, და, მაშასადამე, საზოგადოებრივ

სიმდიდრის იმ წილის მიღების წესითა და ზომით, რომელიც მათს განკარგულებაში იმყოფება. კლასები ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგანაც ერთს შეუძლია მეორის შრომა მიითვისოს, მათი ადგილის სხვაობის წყალობით საზოგადოებრივ მეურნეობის გარკვეულ წყობაში".

ფეოდალურ საზოგადოებაში ძველ გვაროვნულ საკუთრების ფორმის ადგილას ვხედავთ, რომ საზოგადოების ერთს, მცირე ნაწილს საწარმოო საშუალებათა მონოპოლია ეკუთვნის. რადგანაც ჩვეულებრივად და უმეტეს წილად ძირითად საწარმოო საშუალებას აქ მიწა წარმოადგენს (ჩვენ ვამბობთ „ჩვეულებრივად", იმიტომ, რომ ერთგვარი ფეოდალური ურთიერთობა, შესაძლოა განვითარების გარკვეულ საფეხურზე მყოფ მესაქონლე ტომებშიც ჩამოყალიბდეს), ამიტომ დამოკიდებულება მიწისადმი განსაზღვრავს აქ გაბატონებულ და დამორჩილებულ კლასების, ფეოდალებისა და ყმების მდგომარეობას. „ფეოდალურ ხანაში მბრძანებლობა ომში და სასამართლოში მიწის საკუთრების ატრიბუტია" (მარქსი). „ყველგან, სადაც საზოგადოების ერთ ნაწილს საწარმოო საშუალებათა მონოპოლია ეკუთვნის, მუშამ, თავისუფალმა თუ არა თავისუფალმა, იმ სამუშაო დროს, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისათვის, უნდა მიუმატოს ზედმეტი სამუშაო დრო, რომ აწარმოოს საარსებო საშუალებანი საწარმოო საშუალებათა მესაკუთრისათვის". როგორია ზედმეტი შრომის მითვისების ფორმა ფეოდალურ საზოგადოებაში? „მხოლოდ იმ ფორმით, რა ფორმითაც გამოიწურება ეს ზედმეტი შრომა უშუალო მწარმოებლიდან, მუშიდან, განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოების ეკონომიური ფორმაციები". ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციისათვის დამახასიათებელია სწორედ ის, რომ ყმის ზედმეტ შრომას ფეოდალი ნატურალურ სახით ითვისებს: მითვისებულია ან თვით ზედმეტი შრომა თავის ნატურალურ სახით და საწარმოო საშუალებათა მესაკუთრის უმეშვეო მეთვალყურეობის პირობებში (ბეგარა, შრომითი რენტა), ან ის პროდუქტი თავის აგრეთვე ნატურალურ ფორმით, რომელშიც განხორციელებულია ეს ზედმეტი სამუშაო დრო (ყალანი, რენტა პროდუქტით). უკანასკნელმა გამოსაღებმა შესაძლოა ფულადი ფორმაც მიიღოს (ფულადი რენტა), მაგრამ რენტის ეს უკანასკნელი ფორმა უკვე ფეოდალურ ურთიერთობის რღვევის მომასწავებელია. ზედმეტი სამუშაო დროის მითვისების აღწერილი ფორმები დამყარებულია იმ განსაკუთრებულ ხასიათსა და წესზე, რომლითაც ფეოდალურ საზოგადოებაში ხორ-

�deba sanuSao dalis SeerTeba saWarmoo saSuualebebTan da romlitac feodalizmi agreTve niSandobliv gansxvavdeba sxva ekonomikur epoqebisagan; aq umeSveo mwarmoebeli TviTonac n a w i l o b r i v aRiqurvilia saWarmoo saSuualebebiT.

TU monaTa savsebiT mokleebulia rogorc saWarmoo saSuualebebs, isev pirad TavisuflebasaC da mxolod nivTs warmoadgens TavisiT patronis xelSi, TU meore mxriT, proletaria agreTve mokleebulia saWarmoo saSuualebebs, magram TavisufaliaT „rogorc frinveli“, yma mxolod nawilobriv arris aRiqurvilia saWarmoo saSuualebebiT da nawilobriv TavisufaliT. radganac cxadia, rom yovelTvis, rodesac „umeSveo mSuaSa rCeba „mflobelad“ saWarmoo saSuualebebisa da SromisaTvis pirobebisa, romelnic aucilebeli arian mis sakuTar arsebobis saxsrebis warmoebisaTvis, — sakuTrebis urTierTobaa aucilebloba TavsaTvis rogorc batonobaa-morCilebis umeSveo urTierTobaa; maSasadame, umeSveo mwarmoebeli, rogorc ara TavisufaliaT, uTavisufloa; uTavisufloba, romelic saberogro SromasTan dakavSirebul batonymobidan SeiZleba martivi sayalno valdebulebamde Sesustdes“ (marqsi).

„aucilebelia, maSasadame, „gare-ekonomiuri iZulebaa“, rogorc marqsi ambobs, am samewurneo rejimis dasaxasiaTebelad... am iZulebis formebi da xarisxi SeiZleba sul sxvadasxvanairi iyos, yma mdgomareobidan daWyebuli da glexis wodebrivi arasworu uflebianobiT gaTavebuli“. asev CnDeba yma pirad damokidebulebaa feodalisagan, da, gansaZRvrul xanebSi, misi miMagrebaa miwaze. piroenuli damokidebulebaa garkveul periodSi gamsqvalavs feodalur saZogadoebas mTlianad, igi TviT memamulTa klasis sxvadasxvaa fenis urTierTobasac gansaZRvravs (rasaTqmaunda, aq igi sxva xasiaTisaa, viDre feodalisa da yma damokidebulebis sferoSi). „damoukidebel adamianis nacvlad CvenaqaT yvelas damokidebulebs vxedavT — yma da batonis, vasalis da senioris, saero pirs da xucesis. piroenuli damokidebulebaa axasiaTebs aq rogorc materialur warmoebis saZogadoebriv urTierTobas, isev am uxanasknelis saZuZvelze agebul cxovrebis yvela sferoS. magram sworedac imitom, rom piroenul damokidebulebis urTierTobaa aRniSnul saZogadoebis saZuZvels SeadgenS, SromaSi da produqtiSi arsebobs maTi realobi-

საგან განსხვავებულს ფანტასტიკურ ფორმას. საზოგადოებრივ ცხოვრების მექანიზმში ისინი ნატურალურ სამსახურისა და ნატურალურ გადასახადის სახით შედიან. შრომის უშუალო საზოგადოებრივ ფორმას აქ შეადგენს მისი ნატურალური ფორმა, ე. ი. მისი თავისებურება და არა საყოველთაობა, როგორც ამას ადგილი აქვს საქონლის წარმოებაზე დამყარებულ საზოგადოებაში" (მარქსი). ექსპლოატაციის ნატურალური ფორმები გულისხმობენ ფეოდალური მეურნეობის ნატურალურ ხასიათს საერთოდ, ე. ი. იმას, რომ „მეურნეობის პირობები სავსებით ან უმეტეს წილად თვით მეურნეობაში იწარმოება, ანაზღაურებული და რეპროდუქცია ქმნილია უმეშვეოდ მის საერთო პროდუქტიდან". ნატურალურ ხასიათისაა ფეოდალური მეურნეობა თავის საწარმოო ბაზისის მიხედვით. ამ ბაზისს პირველ რიგში შეადგენს წვრილი მიწათმოქმედება თავის დამხმარე საოჯახო მრეწველობით. საზოგადოება უმეტეს წილად წარმოადგენს ერთგვაროვან სამეურნეო ერთეულების მასას, რომელნიც შედარებით სუსტად არიან ურთიერთ შორის დაკავშირებულნი. მაგრამ ეს კავშირი მაინც არსებობს. ფეოდალურ საზოგადოების ნატურალური მეურნეობა უაღებმიცემო მეურნეობა არ არის. აღებმიცემა, რომელსაც დასაწყისი ჯერ კიდევ გვაროვნულ საზოგადოებაში აქვს, თავის შემდგომ განვითარებას ფეოდალურ ხანაში პოულობს. აქ სააღებმიცემო პროცესის განვითარება უკვე დამოუკიდებელ ხელოსნურ წარმოების არსებობასაც გულისხმობს. ეს ხელოსნური წარმოება თანდათან ყალიბდება როგორც საქალაქო ხელოსნური წარმოება (ამქრული ან ინდივიდუალური). ფეოდალურ ხანაში ქალაქი უკვე გამოყოფილია სოფლიდან როგორც ხელოსნურ წარმოებისა და აღებმიცემის ცენტრი, და ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობა წარმოადგენს ფეოდალურ წარმოების წესის ძირითად წინააღმდეგობას. სასაქონლო წარმოებისა და სააღებმიცემო — ფულად ურთიერთობათა განვითარება, შრომის საზოგადოებრივ განაწილების ზრდაზე დამყარებული, ღრღნის და შლის ფეოდალურ სისტემას და ნიადაგს უმზადებს ახალს, კაპიტალისტურს, წარმოების წესს, რომელიც ფეოდალურ საზოგადოების წიაღიდან იშვის. ეს პროცესი ხანგრძლივ და არა თანაბარ მოძრაობის ფორმას ატარებს. გაცვლის პროცესში ჯერ მხოლოდ პროდუქტი შედის, შემდეგ ჩნდება საქონლის წარმოება და, დასასრულ,— სასაქონლო კაპიტალისტური მეურნეობაც, რაც უკვე ფეოდალურ წარმოების წესის აღსასრულს მოასწავებს... „სწორედ ის გარემოებანი, რომელნიც ქმნიან კაპი-

ტალისტურ წარმოების ძირითად პირობას — დაქირავებულ მუშათა კლასის არსებობას — ხელს უწყობენ მთელი სასაქონლო წარმოების გადასვლას კაპიტალისტურ სასაქონლო წარმოებაში. იმდენად, რამდენადაც ვითარდება ეს უკანასკნელი, იგი დამარღვეველ და დამშლელ სახით მოქმედებს წარმოების ყოველგვარ უფრო ძველ ფორმაზე, რომელიც საქონლად პროდუქტის გარდამეტს აქცევს, რაკი უმეტეს წილად უმეშვეო საკუთარ მოხმარებისათვის არის განკუთვნილი... მას შემდეგ, რაც ფესვებს გაიდგამს, იგი არღვევს სასაქონლო წარმოების ყველა ფორმას, რომელთა საფუძველიც ან მწარმოებლის საკუთარი შრომა, ან მარტივად საქონლის სახით პროდუქტთა გარდამეტის გაყიდვა იყო. თავდაპირველად იგი სასაქონლო წარმოებას საყოველთაობის ხასიათს აძლევს, შემდეგ-კი თანდათან აქცევს მთელ სასაქონლო. წარმოებას კაპიტალისტურ წარმოებად“ (მარქსი). დასასრულ, აღწერილ სამეურნეო სისტემის მნიშვნელოვანი პირობა და შედეგი არის ტექნიკის დაბალი და მამაპაპური მდგომარეობა, რომელიც მეტად ნელი ტემპით იცვლება ფეოდალურ საზოგადოების წიაღში. ფეოდალიზმის, როგორც საზოგადოებრივ ფორმაციის განხილვისას აუცილებელია შეეეხოთ ე. წ. „პატრონყმობისა“ და „ბატონყმობის“ საკითხსაც. უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში წამოყენებულ იქნა თეორია, რომლის მიხედვითაც ბატონყმობა (რუს. Крепостное право, გერმან. Leibeigenschaft) ცალკე ფორმაციაა, რომელიც ისტორიულ რიგის მიხედვით მოსდევს ფეოდალიზმს. ეს შეხედულება სრულებით არ არის მართალი; ბატონყმობა იგივე ფეოდალიზმია, ფეოდალიზმის განვითარების ერთ-ერთი მომენტი, იმიტომ რომ აქ ექსპლოატაციის წესია იგივე. ბატონყმობის ელემენტს, მეტნაკლებად გამოხატულს, ჩვენ ყველა ფეოდალურ ქვეყანაში ვხედავთ გარკვეულ ხანაში. ზოგგან მან, განვითარების ადგილობრივ პირობების წყალობით, უფრო მკვეთრი ფორმები მიიღო (მაგ., საქართველოში, გერმანიაში, რუსეთში და სხვაგან). ფეოდალურ გერმანიაში ბატონყმური ურთიერთობა ორჯერ იჩენს თავს მე-15 საუკუნიდან, როგორც ძველ მდგომარეობის რეციდივი. მარქსი და ენგელსი ამ გარემოებას ქვეყნის ეკონომიურ დაქვეითებით ხსნიან. უკანასკნელ ხანებში ასევე ხსნიან ბატონყმურ ურთიერთობის წარმოშობას რუსეთში. ქართულ ბატონყმობას დაუსწრებელ ინსტიტუტის მსმენელები სპეციალურ განაკვეთით გაეცნობიან. ამრიგად, ბატონყმობა ფეოდალიზმის ერთ-ერთი მომენტია მხოლოდ, რომელსაც ახასიათებს ის, რომ, თუმც ექსპლოა-

ტაციის წესი იგივე რჩება, მაგრამ თვით ექსპლოატაცია ბევრად უფრო სასტიკ ფორმით გვევლინება. ყმის პირადი თავისუფლება უფრო მეტად არის შეზღუდული, რაც უმეტეს წილად მის მიწაზე მიმაგრებაში გამოიხატება. ასეთ მდგომარეობას თან სდევს ყმის საბეგრო ვალდებულებათა გაძლიერება ნატურალურ ყალანთან (გამოსაღებთან) შედარებით.

ტერმინი „ბატონყმობა“ საქართველოში შედარებით გვიან ჩნდება. თუმც „ყმა“ იმ თავითვე იხმარება, მაგრამ „ბატონის“ მაგიერ ძველად (მაგ., XI—XII სს.) ჩვენ მხოლოდ „პატრონი“ გვხვდება. უეჭველია ეს ენობრივი ფაქტი იმ რეალურ ცვლილებას ასახავს, რომელიც საწარმოო ურთიერთობაში მოხდა. მაგრამ შეცთომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ქართულ ფეოდალიზმის ეს მოვლენები მარტოოდენ ამ ენობრივ ჩვენების მიხედვით თარიღდებოდნენ; ენის განვითარება ნაწილობრივ ჩამორჩება მატერიალურ საწარმოო პროცესის განვითარებას. ბატონყმობის ელემენტები ფეოდალურ საქართველოში ჩვენ ბევრად უფრო ადრე უნდა ვეძიოთ. თვით ტერმინი „პატრონყმობა“ შეიძლება მივიღოთ, როგორც ტექნიკური ტერმინი ქართულ ფეოდალიზმის საშუალო პერიოდის აღსანიშნავად. ასეთი სიტყვის ხმარება, გარდა იმისა, რომ იგი ისტორიულ ტერმინოლოგიას ეყრდნობა, იმითაც იქნება გამართლებული, რომ თავიდან აგვაცილებს იმ უხერხულობას, რომელსაც სჩადიან, როდესაც განვითარების ამ სხვადასხვა მომენტის აღსანიშნავად ერთმანეთს უპირისპირებენ ტერმინებს „ფეოდალიზმსა“ და „ბატონყმობას“ ისინიც-კი, ვინც ბატონყმობას ცალკე ფორმაციად არა სთვლიან, მაშინ როცა „ფეოდალიზმი“ გვაროვნულ ცნების აღმნიშვნელია.

„პატრონყმური“ საქართველო ისეთ სამყაროს წარმოადგენს, სადაც ზემოთდახასიათებულმა ფეოდალურმა ურთიერთობამ თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ჩვენ შემდეგში დავრწმუნდებით, რომ ამ დროს უკვე მკაფიოდ მოცემულია ის ელემენტები, რომელთაც მერმინდელ ეპოქაში უფრო მძაფრი გამოხატულება მოიპოვეს და „ბატონყმობის“ სახელი მიიღეს.

სტრაბონის ცნობის ანალიზი იბერიის სოციალურ წყობილების შესახებ

ეხლა ჩვენ შეგვიძლია საქართველოს ისტორიის იმ ეპოქას ი ვუბრუნდეთ, რომლის შესახებაც პირველ განაკვეთში შევწყვიტეთ ს ა უბარი. ჩვენ ვნახეთ, რომ იმ პერიოდში, რომელიც უმეშვეოდ

წინ უსწრებს ჩვენს ერას, ბარის ქართველ ტომებში საგვარეულო წყობილება უკვე დარღვეულად არის საგულისხმებელი, ყველა არაპირდაპირ ჩვენების მიხედვით. მაგრამ სტრაბონის ჩვენთვის უკვე ცნობილ თხზულებაში დაცულია პირდაპირი ცნობაც ქართლის (ივერიის) სოციალურ აღნაგობის შესახებ და მის ანალიზზე უნდა გადავიდეთ ეხლა. აი ამ ადგილის თარგმანიც:

„ოთხგვარი ხალხი (ადამიანთა ოთხი გვარი) სახლობს ამ ქვეყანაში. პირველია მათ შორის ის, რომლიდანაც მეფეებს სვამენ ტახტზე], ახლობელ ნათესაობისა და ასაკის უხუცესობის მიხედვით; მეორე (პირი) მოსამართლეობს და სარდლობს. მეორე (გვარი ხალხი შესდგება) ქურუმებისაგან, რომელნიც განაგებენ აგრეთვე მეზობლებთან სადაო საქმეებს. მესამე — მეომრებისა და მიწისმოქმედთაგან. მეოთხე — მდაბიო ხალხისაგან („ლაოი"), რომელნიც სამეფო მონები არიან და ასრულებენ ყოველგვარ სამსახურს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის. ქონება მათი საერთოა საგვარეულოთა მიხედვით, რომლებშიაც თვითეულში მეთაურობს და განაგებს უხუცესი. ასეთია ივერები და მათი ქვეყანა".

რას გვეუბნება ეს ცნობა? უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ იგი სტრაბონის საკუთარ დაკვირვების ნაყოფი კი არ არის, არამედ სტრაბონის ერთ-ერთ წყაროს ეკუთვნის. მისი წარმოშობის შესახებ მოკლედ უნდა ითქვას, რომ იგი არ შეიძლება პირველ საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანდელი იყოს, ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყების წინ [1].

მისი განმარტებისას ყველა მკლევარი, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა, იმ მოსაზრებას ადგებოდა, რომ აქ ჩვენ გვაროვნულ საზოგადოების სურათი გვაქვს. ამასთან ერთად გამოითქმებოდა ხოლმე ის აზრიც, რომ ამ ცნობაში გვაროვნულ წყობილების რღვევის ნიშნებია უკვე მოცემული. ასე ფიქრობს, მაგ., პროფ. ივ. ჯავახიშვილი (ქართ. ერის ისტორია, I, გვ. 154—155; მისივე, ქართ. სამართ. ისტ., I, გვ. 148).

ჩვენ იძულებული ვართ ასეთი შეხედულება უარვყოთ. აქ, ამ ძვირფას ლიტერატურულ ცნობაში, წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ა ა რ ა გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა თ უ ნ დ ა ც რ ღ ვ ე ვ ი ს გ ზ ა ზ ე შ ე მ დ გ ა რ ი, ა რ ა მ ე დ გ ა რ კ ვ ე უ ლ ი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი

[1] ადგილი საზოგადოდ ნებას არ გვაძლევს სტრაბონის ცნობის ანალიზზე, ისე როგორც ამ ეპოქასთან, დაკავშირებულ სხვა საკითხების განხილვაზე უფრო დეტალურად შევჩერდეთ. ეს ჩვენს სპეციალურ ნარკვევშია შესრულებული.

საზოგადოება, ერთგვარ გვაროვნულ გარდმონაშთების მქონე.

უკანასკნელი გარემოება ხელს სრულებით ვერ შეგვიშლის ეს საზოგადოება სწორედ როგორც კლასობრივი დავახასიათოთ, იმიტომ რომ გვაროვნულ წყობილების ნაშთებს ჩვენ ფეოდალურ საზოგადოების განვითარების მთელ სიგრძეზე ვხედავთ, ისინი კაპიტალისტურ საზოგადოებასაც-კი გადმოჰყვეებიან და ზოგჯერ ჩვენს დროშიც იჩენენ თავს, ბევრად უფრო შესუსტებულ სახით, რათქმაუნდა. მათი არსებობა იმ შორეულ ხანებში ჩვენ ამიტომ სრულიადაც ვერ გაგვაკვირვებს. მაგრამ გავარჩიოთ სტრაბონის ცნობა დაწვრილებით, რამდენადაც ეს აქ შესაძლებელია.

სტრაბონი ივერიის მოსახლეობას ჰყოფს „ადამიანთა ოთხ გვარად". ამისდა მიხედვით ზოგნი ფიქრობენ, რომ აქ გვაროვნული საზოგადოებრივი ერთეულები — გვარები — არის ნაგულისხმევი. ასეთი მოსაზრება სრულიად ფანტასტიკურია. ჯერ ერთი, ივერია ამ დროს იმდენად დიდი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, რომ მისი მოსახლეობის ოთხ გვარში მოთავსება კრიტიკას ვერ უძლებს. შემდეგ — რაც მთავარია — ასეთი განაწილება ფუნქციებისა გვართა შორის ერთი საზოგადოების შიგნით, როცა ერთი მეფობს, მეორე ქურუმობს, მესამე მიწას ამუშავებს, მეოთხე მეფეებს ემსახურება, ისტორიულად წარმოუდგენელი მოვლენაა და არც ერთი გვაროვნული საზოგადოება, ასეთ სტრუქტურის რომ იყოს, ცნობილი არ არის. მართალია, აქ ნახმარია სიტყვა „გენოს", რაც ბერძნულად „გვარს" უდრის, მაგრამ ამ ფორმით იგი უფრო ლოგიკურ ცნების („გვარობა") აღსანიშნავად იხმარება, ვიდრე სოციალურისა („გვარი") (ვთქვათ ისე, რუსთაველს რომ აქვს ნახმარი: „მიჯნურობა არის ტურფა საცოდნელად ძნელი გვარი").

უეჭველია, ამ ცნობაში ნაგულისხმევია არა გვაროვნულ საზოგადოების ერთფეროვან ერთეულთა განსაზღვრული კრებული, არამედ დადიფერენცირებულ, დანაწევრებულ, საზოგადოების სოციალურად განსხვავებული ერთეულები. მოცემული დაყოფა თავისებურ წოდებრივ დაყოფის საფუძველზეა აგებული. საზოგადოების მწვერვალზე დინასტიაა აღნიშნული, შემდეგ მოსდევს ქურუმთა წოდება (ტერმინს „წოდება"-ს ჩვენ ჯერ-ჯერობით პირობითად ვხმარობთ), მესამე იქნება, როგორც ჩანს, „თავისუფალთა წოდება" და უკანასკნელიც — „არათავისუფალთა" წოდება. შეუძლებელია სტრაბონის ცნობა სხვანაირად იქნას გაგებული. მაგრამ არის ამ აღწერილობაში ერთი უაღრესად დამაფიქრებელი ჩვენება — ჩვე-

ნება საერთო საგვარეულო ქონებისა და გვარის ორგანიზაციის შესახებ („მეთაურობს და განაგებს უხუცესი"). ყველა მკვლევარი, ვისაც-კი სტრაბონის აღწერილობის ანალიზი უცდია, იმ დასკვნამდე მისულა, რომ ამ დროს ჯერ კიდევ კერძო საკუთრების ინსტიტუტი არ არსებულა და, მაშასადამე, საგვარეულო წყობილებაც დარღვეული არ ყოფილა. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, მაგ., ამბობს: „სტრაბონის აღწერილობაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი მაშინდელ აღმოს. საქართველოში საგვარეულო მიწისმფლობელობის არსებობის შესახები ცნობაა. მისი სიტყვით, ქონება იბერებს საერთო ჰქონიათ საგვარეულოთა მიხედვით და ამ საერთო საგვარეულო ქონებას გვარის უხუცესი წევრი განაგებდა. მაშასადამე, კერძო საკუთრება მაშინ, უძრავი მაინც, არ ყოფილა. უძრავი ქონება გვარის საერთო საკუთრება იყო და თვით ამ ქონების მოვლა-გამგეობაც საერთოვე ყოფილა, რადგან მისი მართვა-გამგეობის უფლება გვარის უხუცეს წევრსა ჰქონია ხელთა" (ქართ. სამ. ისტ., I წიგნი, გვ. 148; ქართ. ერ. ისტ., I, გვ. 154). აქედან ავტორი დაასკვნის, რომ „გვარი და საგვარეულო წესწყობილება მაშინდელ ცხოვრების დედაბოძი იყო".

ეს სავსებით ლოგიკური და სამართლიანი დასკვნაა მიღებულ წინაპირობათა საფუძველზე. თუ საკუთრებაცა და მართვა-გამგეობაც საერთოა, მაშინ წინაკლასობრივ საზოგადოებასთან გვქონია საქმე. და თუ სტრაბონის ტექსტის უწყებულ ფრაზაში აღნიშნულ მნიშვნელობას ჩავდებთ, მაშინ იძულებული ვიქნებით აღვიაროთ, რომ განთქმულ გეოგრაფის აღწერილობა აშკარა წინააღმდეგობას შეიცავს. ზემოთ ვნახეთ, რომ ცნობა ოთხი „გენის" შესახებ ივერიის მოსახლეობის „წოდებრივ" სტრუქტურას გულისხმობს. სხვა „წოდებებს" რომ თავი დავანებოთ, რანაირად შეიძლება, რომ „მეფეებს" და „მდაბიოსალხს", რომელიც ამ „მეფეებს" თურმე „მონებად" ჰყოლია, საერთო საკუთრება და საერთო მართვა-გამგეობა ჰქონოდათ? მაშინ რა საფუძველი-ღა უნდა ჰქონოდა ექსპლოატაციას? რადგანაც ეს შეუძლებელია, იძულებული ვიქნებოდით მიგვეღო, რომ სტრაბონისეულ აღწერილობის ან პირველი ნახევარი არ შეეფერება სინამდვილეს, ან მეორე. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ „გეოგრაფიის" ცნობა წინააღმდეგობას არ შეიცავს და აი რატომ:

ყველა მკვლევარი, რომელიც ამ ცნობას განმარტავდა, იმ თავისთავად ნაგულისხმევ დებულებიდან გამოდიოდა, რომ სტრაბო-

ნის მტკიცება საერთო ქონებისა და მართვა-გამგეობის შესახებ ქართლის მთელ მოსახლეობას შეეხება. მაგრამ მ ო ც ე მ უ ლ ფ რ ა ზ ი ს ა ს ე თ ი გ ა გ ე ბ ა ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა რ ა რ ი ს. პ ი რ ი ქ ი თ, შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა და უ ფ რ ო ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ც მ ი ს ი ს უ ლ ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი გ ა გ ე ბ ა, თ ვ ი თ კ ო ნ ტ ე ქ ს ტ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე. ჩ ვ ე ნ ვ ფ ი ქ რ ო ბ თ, რ ო მ ს ა დ ა ო ც ნ ო ბ ა მ ხ ო ლ ო დ მ ე ო თ ხ ე „წ ო დ ე ბ ა ს“ გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს. აღწერილობაში თვითეულ ჯგუფის სპეციალური დახასიათებაა მოცემული, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ყველა ჯგუფის შესახებ ავტორს თანაბარი ცნობები არ ჰქონია. მესამე „წოდების“ შესახებ, მაგ., მხოლოდ ორიოდე სიტყვაა ნათქვამი ამ ჯგუფის შედგენილობის თაობაზე („მეომრები და მიწისმოქმედნი“!). შედარებით მეტს გვაცნობებს ავტორი ქურუმთა შესახებ და განსაკუთრებით კიდევ — „მეფეებისა“ და „დაბალ ხალხის“ შესახებ. და სწორედ ამ უკანასკნელთა შესახებ ცნობას რომ ისინი „სამეფო მონები არიან და ასრულებენ ყოველგვარ სამსახურს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის“-ო, უმეშვეოდ მოსდევს ცნობა: „ქონება მ ა თ ი საერთოა საგვარეულოთა მიხედვით“ და სხვა. არავითარი უფლება არ გვაქვს ნაცვალსახელი „მათი“ იბერიის მთელ მოსახლეობაზე განვავრცოთ და ვიფიქროთ, რომ აქ ივერების საკუთრებაზეა საერთოდ საუბარი. რაკი ავტორს ზემოთ თვითეულ „ჯგუფის“ შესახებ ცალკე განმარტება აქვს მოცემული, აქ იგი უთუოდ გარკვეულ ნაცვალსახელის მაგიერ საკუთარ სახელს („იბერები“) იხმარდა, როგორც ეს ნაწყვეტის ბოლოში აქვს ჩადენილი („ასეთია იბერები და მათი ქვეყანა“— იგულისხმება იბერიის მთელი აღწერილობა, რომლისაც ჩვენ მხოლოდ ერთი მუხლი ვთარგმნეთ). მაგრამ ავტორმა ეს ზედმეტად მიიჩნია იმიტომ, რომ მისთვის არა მარტო ტერიტორიულად, არამედ ლოგიკურად ორივე წინადადება მჭიდრო კავშირში იმყოფება, ორივე მტკიცება ერთისადაიმავე საგნის სხვადასხვა განმარტებაა სხვადასხვა თვალსაზრისით. ამრიგად, „ქონება მათი“ და სხვ. მდაბიო ხალხის საკუთრებისა და ორგანიზაციის ფორმას ახასიათებს. აქ დალაგებულ მოსაზრებათა ნიადაგზე ჩვენ შემდეგი სოციალური განსაზღვრება უნდა მივცეთ სტრაბონისეულ მეოთხე „გენს“ ივერიის მოსახლეობისას.

უწინარეს ყოვლისა საყურადღებოა თვით სახელწოდება, რომელსაც ატარებს ეს „ჯგუფი“ სტრაბონისეულ ტექსტში — იგი „ლაოი“ების „გენი“ ყოფილა. „ლაოს“ ბერძნულად საერთოდ „ხალხს“ ნიშნავს. მაგრამ უფრო სპეციალურ აზრითაც იხმარება.

რომ აქ იგი სწორედ ტექნიკურ ტერმინის როლში გვევლინება, ეს საფიქრებელია, ნაწილობრივ, მისი მრავლობითი რიცხვის ფორმიდან — „ლაოი“.გარკვეულ ხანაში ეს ტერმინი, მართლაც, განსაზღვრულ სოციალურ მნიშვნელობისაა. ჩვენთვის აქ, სხვადასხვა მოსაზრების გამო, განსაკუთრებით საინტერესოა მისი ხმარება მცირე აზიაში. აქ, სწორედ იმ ხანაში, როდესაც შესაძლებელი იყო სტრაბონისეულ ცნობის წარმოშობა იბერიის სოციალურ წყობილების შესახებ, „ლაოი“ კოლონების აღსანიშნავად იხმარებოდა. კოლონატი-კი, როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის ისტორიულად ცნობილს ყველაზე ადრინდელ სახეს წარმოადგენს; თვით ტერმინი „კოლონი“ რომაულია. მცირე აზიაში ამ საზოგადოებრივ კლასის მდგომარეობა ჩვენთვის საინტერესო ხანაში ასეთი იყო.

აქ მთელი ტერიტორია შესდგება, ერთის მხრივ, ბერძნულ ქალაქების (და, იგულისხმება, აგრეთვე ტაძრების) მამულებისაგან და, მეორე მხრით, „სამეფო მიწა-წყლისაგან“ („ხორა ბასილიკე“). ქალაქების მამულებს როგორც თვით მოქალაქეები, ისე ყმები ამუშავებენ. ეს უკანასკნელნი სხვადასხვა მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „სამეფო მიწა-წყლის“ ვითარება.

ამ „ხორა ბასილიკე“-ს ყმები ამუშავებენ, რომელნიც „ლაოი ბასილიკოი“ (სამეფო „ლაოი“) იწოდებიან. ეს „ლაოი“, მაშინაც-კი, როცა ისინი ტაძრების მიწებზე ცხოვრობენ, უმეშვეოდ მეფეს ეკუთვნიან.

ამ ყმების კერძო მფლობელებს მათი გაყიდვის უფლება არა აქვთ, ისინი მხოლოდ სარგებლობის უფლებით არიან აღჭურვილნი. რაც უფრო მეტი ხანი გადის, ამ ყმებს სულ უფრო და უფრო მეტად უყურებენ, როგორც სახელმწიფო გლეხებს. ისინი პოულობენ ადგილის გამოცვლის ერთგვარ თავისუფლებას. მათ ჰყიდიან და გაასაჩუქრებენ ხოლმე მხოლოდ მიწასთან ერთად. თავიანთ სოფლებში ისინი ერთგვარ თვითმმართველობასაც-კი იძენენ. მათი ვალდებულება მეფის მიმართ ყოველწლიურ საარენდო გამოსაღების გადახდაში მდგომარეობს. მათ განსაკუთრებული მოხელეები ჰმართავენ და მათთვის განსაკუთრებული მოსამართლეებიც არიან დანიშნულნი. ამ „ლაოი“-ს შემდეგდროინდელი ვითარება ისეთი იყო, რომ მეფეები მათ, იმ მიწასთან ერთად, რომელზედაც ისინი მიმაგრებულნი იყვნენ, ჰყიდდნენ ან უბოძებდნენ სხვადასხვა პირებს.

„ლაოი“ თავიანთ გადასახადებს ეხლა უკვე ახალ მებატონეებს უხდიან.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ მცირე აზიის „ლაოი“— კოლონებსა და ივერიის „ლაოი“, მეოთხე. „გენს“, შორის დიდი მსგავსებაა არსებითადაც, ტერმინოლოგიურ იგივეობის გარდა. იქაც და აქაც ისინი უმთავრესად სამეფო ყმები არიან. როგორც მცირე აზიაში, ისე იბერიაში მათ გარკვეული „თვითმმართველობა“ მოეპოვებათ.

ამ მხრივ სტრაბონისეული ცნობა განსაკუთრებით მკაფიოა. მის თანახმად, ივერიის სამეფო ყ მ ე ბ ი შ ე კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ყ ო ფ ი ლ ა ნ თ ე მ ე ბ ა დ. ი ს ი ნ ი ყ მ ა - თ ე მ ე ბ ი ს ს ა ხ ი თ ა რ ი ა ნ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ნ ი.

ასეთი თემები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენენ, მაგ., ფეოდალურ ევროპაში (შეად. რუს. „ობშჩინა“, გერმ. „მარკა“ და სხვა).

„რა იყო მიზეზი,— ამბობს ენგელსი,— რომ სამ უმნიშვნელოვანეს ქვეყნის — გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის — გერმანელებმა გადაარჩინეს გვაროვნულ კავშირის დაწესებულებათა ნაწილი ფეოდალურ სახელმწიფოს Markgenossenschaften თ ე მ ე ბ ი ს ფორმით და ამ გზით დაჩაგრულ კლასს, გლეხებს, თვით საშუალსაუკუნებრივ სასტიკ ბატონყმობის დროსაც-კი, მისცეს წინააღმდეგობის ისეთი საშუალება, რომლის მსგავსი არ მოეპოვებოდათ ძველ ქვეყანაში მონებს და არ მოეპოვებათ ამჟამად პროლეტარებს,— რა იყო ამის მიზეზი, თუ არ ბარბაროსობა, თუ არ გვარებად დასახლების წესი“. ყმა-თემის არსებობა სრულებითაც არ გამორიცხავს მის ფეოდალურ ექსპლოატაციის შესაძლებლობას მებატონეების მიერ. ფეოდალურ საზოგადოების განვითარების მხოლოდ შედარებით გვიანდელ საფეხურზე ჩნდება ფეოდალების მისწრაფება დაანგრიონ თემი, რათა მთლიანად ჩაიგდონ ხელში სათემო მიწები. უფრო ადრინდელ ხანებში-კი ისინი არამცთუ არ ეწინააღმდეგებიან ყმების თემურ ორგანიზაციას, არამედ იშვიათ შემთხვევებში ხელს უწყობენ მათს არსებობას. პოლ ლაფარგი, ცნობილი ფრანგი მარქსისტი, შემდეგს გადმოგვცემს გლეხურ თემთა შესახებ საფრანგეთში:

„თავიანთ განთავისუფლების შემდეგ, ყმები განაგრძობდნენ თემებად ცხოვრებას და თვით რევოლუციამდე საბატონო მიწებს ამუშავებდნენ მიწისმოქმედთა კომუნისტური კავშირები. აზნაურები თავიანთთვის ამაში სარგებლობას ხედავდნენ. აზნაურები სრულებით არ სცდილობდნენ ამ კომუნისტურ კავშირების დანგ-

რევას და თავზე ახვევდნენ კიდევაც გლეხებს ამ ფორმას, როცა ისინი საკუთრებად უბოძებდნენ მიწებს ან დასამუშავებლად აძლევდნენ თავიანთ მინდვრებს. პერესიო იხსენიებს 1549 წ. ერთ ედიქტს, რომელიც მიღებულ იქნა ერთობლივ ბურგუნდიის სამღვდელოებისა და თავად-აზნაურობის მიერ და რომელიც უკრძალავდა ყმობიდან გამოსულ გლეხებს შეეძინათ მიწა საკუთრებად, თუ რომ ისინი თემს არ შეადგენდნენ. დალოზი იხსენიებს XVII ს. ერთ ხელშეკრულებას, რომლითაც ვინმე სენიორი დე-ლა-მარში აძლევს თავის მიწებს სამუდამო არენდის სახით იმ პირობით, რომ „გლეხები-არენდატორები გაერთიანდებიან ერთი ქოთნის, ერთი კერისა და ლუკმა-პურის გარშემო და მუდამ თემურად იცხოვრებენ". დიუნო, XVII ს. იურისტი, განგვიმარტავს სენიორთა მოთხოვნილების მიზეზს:

„თანხმობა მიწის მუშებს შორის საჭიროა იმიტომ, რომ მაშინ სენიორიის (საბატონოს) მიწები უკეთ არის ხოლმე დამუშავებული, და ყმებს უფრო ადვილად შეუძლიათ უხადონ სენიორს ყალანი (ყმური გადასახადები), როცა ისინი თემად ცხოვრობენ, და არა დაქსაქსულ ოჯახებად".

ჩანს, იბერიის „ლაოი"— სამეფო ყმები მრავალრიცხოვანნი ყოფილან. ტექსტში მრავალი „გვარია" (თემი) ნაგულისხმევი, და არა ერთი. როგორი უნდა ყოფილიყო მათი ვალდებულებები? ამის შესახებ ჩვენ მეტნაკლებად მიხვედრით უნდა შევადგინოთ აზრი: კონკრეტულად ხომ არაფერია ნათქვამი. სიტყვებიდან:— ემსახურებიან („დიაკონუნტაი") ყველაფრით [ან: ასრულებენ ყოველგვარ სამსახურს], რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო" — ხომ არ შეიძლება იმის დასკვნა, რომ მათ უმთავრესად საბეგრო ვალდებულება აწვათ? გადაჭრით თქმა ძნელია. თუნდაც ეს ასე ყოფილიყო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სავსებით თავისუფალი იქნებოდნენ საყალნო გადასახადისაგან, მთლოდ პროპორცია პირველისაკენ უნდა გადახრილიყო[1].

პირადად ეს სამეფო ყმები არა თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ: თუმცა მათთვის, როგორც სოციალურ წრისათვის, ცნობის

[1] ტერმინები „ბეგარა" და „ყალანი" ისტორიულად (სხვადასხვა ხანაში და ზოგჯერ ერთსადაიმავე ხანაშიაც) ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა — ტერმინოლოგიურ ეთნოფეოდალების დამყარებისათვის ჩვენ პირობითად ვხმარობთ: ბეგარას — ყმის შრომითი გადასაღების აღსანიშნავად (რუს. барщина), ყალახს — ყმის ნატურალურ გადასახადებისათვის (რუს. оброк) აქედან — იბეგრე და მოყალნე გლეხები სათანადო ვალდებულებებით დატვირთული ყმები არიან.

ავტორს „ლაოი“ (მაშასადამე, კოლონები — ყმები, როგორც ზემოთ განვმარტეთ) უწოდებია, მაგრამ მებატონეებისაგან მათის პირად დამოკიდებულების აღსანიშნავად უკვე ტერმინი „მონები“-ა ნახმარი („დულოი“). მ ო ნ ე ბ ს, რ ო გ ო რ ც ე კ ო ნ ო მ ი უ რ კ ა ტ ე გ ო რ ი ა ს, ჩ ვ ე ნ მ ა თ ვ ე რ ა ს გ ზ ი თ ვ ე რ მ ი ვ ა კ უ თ ვ ნ ე ბ თ: მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი, თ ა ვ ი ს „გ ვ ა რ შ ი“ („თემში“) ც ხ ო ვ რ ო ბ ს, ი ქ ე რ თ გ ვ ა რ თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს მ ქ ო ნ ე ა და (ამ ცნობების ნიადაგზე) ო ჯ ა ხ ს ა რ ი ს მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი და ე რ თ გ ვ ა რ ს ა წ ა რ მ ო ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ს ა ც მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი ა რ ა რ ი ს (ამასთანავე გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფება საწარმოო პირობების პატრონისაგან); ა ს ე თ ი მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი უ კ ვ ე ყ მ ა ა და ა რ ა მ ო ნ ა.

გადავიდეთ ეხლა სხვა „წოდებათა“ განხილვაზე.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ სიტყვებს მესამე „გენის“ შესახებ ჩვეულებრივად ისე განმარტავენ, რომ აქ იგულისხმება იბერიის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ერთსადაიმავე დროს მეომარიც იყო და მიწისმოქმედიც. მაგრამ, რადგანაც ტექსტში პირდაპირაა ნათქვამი: „მეომრები და მიწისმოქმედნიო“, ეს შესაძლოა იმას ნიშნავს, რომ აქაც უკვე ერთგვარი დიფერენციაცია მომხდარა: თუმცა სამხედრო წოდება ჯერ ცალკე გამოყოფილი არ არის, მაგრამ ის ერთგვარად უკვე ჩასახულია. მესამე „წოდების“ შემდეგდროინდელი ევოლუცია იმ გზით უნდა წასულიყო, რომ ეს ჩანასახი უკვე ცალკე სოციალურ ჯგუფად, წოდებად, განვითარებულიყო. ამისათვის ყველა პირობა არსებობდა, როგორც ქვემოთ ვნახავთ. ამ პირობათა შორის აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მესამე „გენში“ უკვე უნდა არსებულიყო ქონებრივი უთანასწორობა ცალკე ოჯახებს შორის (მოვიგონოთ ზემოთ, თავის ადგილას, ჩვენ მიერ მიღებული დასკვნები, — აქ ხომ თემური საკუთრება უკვე დარღვეულია!), ერთი მხრით, და სოციალური უთანასწორობაც, მონობის სახით; ჩვენ უკვე ვიცით, რომ გვაროვნულ საზოგადოების განვითარების უკანასკნელ პერიოდში მონობა საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენაა. მონა ჰყავს (ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ჰყავდეს) ყველას მეტნაკლებ რაოდენობით, რაც ცალკე ოჯახების შეძლებაზე და საჭიროებაზეა დამოკიდებული. თუ სტრაბონის ტექსტში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ამაში გაუგებარი არა არის რა: ამ სახის მონობა იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ მისი მოხსენება საჭიროებას არ წარ-

მოადგენდა. ჩვენ ვიცით, ექვსი საუკუნის შემდეგ ქართლში მონები უბრალო ხელოსნებსაც-კი ჰყავთ. უმართებულო და ისტორიულად გაუმართლებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს მონობა, ჩვენ ხანასთან შედარებით, მერმინდელ მოვლენად არის მიჩნეული. მონობა აქ უძველეს დროიდან მოდის და, რათქმაუნდა, ყოველ თავისუფალ პირს ამ დროს, თუ მას სათანადო ქონებრივი პირობები მოეპოვება, შესაძლებლობა აქვს მონის შრომა გამოიყენოს. თვით სამეფო დინასტიასაც, მიუხედავად იმისა, რომ მისი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა უმთავრესად, როგორც ჩანს, კოლონების ექსპლოატაციაზე იყო დამყარებული, მონები, უეჭველია, საკმაო რაოდენობით უნდა ჰყოლოდა.

მეორე „გენი“ ქურუმებისაგან შესდგებოდა. რელიგიურ საქმეებს გარდა მათ თურმე მეზობლებთან ურთიერთობის გაძღოლის ფუნქცია ჰბარებიათ. ეს ხომ პოლიტიკურ საქმიანობის ერთი უმნიშვნელოვანეს დარგთაგანია. ამიტომ ამ გარემოებიდან, ისევე როგორც იმ ფაქტიდან, რომ მეფის „გენის“ შემდეგ ქურუმთა „გენი“ პირველ რიგშია დასახელებული, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ქურუმები ივერიაში გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ.

ეჭვს გარეშეა, რომ ტაძრებს ამ დროს ივერიაში საკუთარი, არამცირედი სივრცის მამულები აქვთ, რომელთა დამუშავებისათვისაც ისინი არათავისუფალ შრომას იყენებდნენ (საფიქრებელია, რომ უფრო მონების შრომას, რადგანაც სტრაბონის ტექსტში კოლონების მფლობელად მხოლოდ მეფის „გენი“-ა აღნიშნული). საფიქრებელია აგრეთვე, რომ ეს ტაძრები განძების მფლობელნი არიან. ყოველივე ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით. ამ დენადვე, სახელმწიფოსაც მეტნაკლებად თეოკრატიული ხასიათი ჰქონდა.

თეოკრატიულ სახელმწიფოებს ჩვენ თითქმის ყველგან ვხვდებით ძველ აღმოსავლეთში. ქურუმთა ბატონობას ზოგგან უფრო ძლიერ, სხვაგან უფრო სუსტად გამოხატული სახე აქვს, მაგრამ იგი, ვიმეორებთ, ყველგან არის შესამჩნევი აღმოსავლეთში, და ზოგჯერ დასავლეთშიც (მაგ., ძველ საბერძნეთში). ქურუმების (ე. ი. კლასობრივად — მონათმფლობელთა ერთი ჯგუფის) სოციალური დაწინაურება ჯერ კიდევ პირველყოფილ გვარის შიგნით ხდება. მსგავსი შრომის საზოგადოებრივი განაწილება პირველყოფილ თემში, რომელიც შესაძლოა საფუძველი გახდეს ქურუმთა ძლიერების შემდგომ ზრდისათვის. აღწერილი აქვს მარქსს ინდო-

ეთის თემის მაგალითზე: „უმარტივეს ფორმის თემი მიწას კოლექტიურად ამუშავებს და პროდუქტებს თავის წევრებს შორის ანაწილებს; ხოლო რთვას, ქსოვას და სხვ. თვითეული ოჯახი ცალკე აწარმოებს, როგორც დამხმარე შინამრეწველობას. ამ ერთგვაროვანად მომუშავე მასასთან ერთად ჩვენ აქ გვხვდება „მამასახლისი“, რომელიც ერთსადაიმავე დროს მოსამართლეც არის, პოლიციაც და ხარკის ამკრეფიც; ბუხჰალტერი, რომელიც მიწისმოქმედების ანგარიშს აწარმოებს და კადასტრსა და რეგისტრში შეაქვს ყველაფერი ის, რაც ამას შეეხება; მესამე მოხელე, რომელიც ბოროტმოქმედთ სდევნის და მფარველობას უწევს უცხოელ მოგზაურებს და მათ ერთი სოფლიდან მეორემდე მიაცილებს; მესაზღვრე, რომელიც თემის საზღვრებს სდარაჯობს; მერაბი, რომელიც საერთო აუზიდან სამიწათმოქმედო მიზნით წყალს ანაწილებს; ბრამინი, რომელიც რელიგურ კულტის ფუნქციებს ასრულებს; მასწავლებელი, რომელიც თემის ბავშვებს ქვიშაზე წერა-კითხვას ასწავლის; კ ა ლ ე ნ დ ა რ ი ს ბ რ ა მ ი ნ ი, რ ო მ ე ლ ი ც რ ო გ ო რ ც ა ს ტ რ ო ლ ო გ ი, გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს თ ე ს ვ ი ს ა დ ა მ კ ი ს დ ა ს ა ე რ თ ო დ ყ ვ ე ლ ა ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო ს ა მ უ შ ა ო ს ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ დ ა ა რ ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ დ რ ო ს; მჭედელი და ხურო, რომლებიც ამზადებენ და აუმჯობესებენ ყველა სამიწათმოქმედო იარაღს; მეჭურჭლე, რომელიც სოფლისათვის ყოველნაირ ჭურჭელს ამზადებს; დალაქი, მრეცხავი, ოქრომჭედელი; აქა-იქ პოეტი, რომელიც ზოგიერთ თემებში ოქრომჭედლის და ზოგიერთში სკოლის მასწავლებლის როლს ასრულებს. ეს თორმეტიოდე პირი მთელი თემის ხარჯზე ცხოვრობს“, განვითარების სპეციფიკურ პირობებისაგან დამოკიდებულებით, მაგ., იქ, სადაც მორწყვა და საერთოდ წყლის მეურნეობა მიწისმოქმედებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს, ეს ასტროლოგი და კალენდარის სპეციალისტი ქურუმი კლასობრივ საზოგადოებაში შესაძლებელია უკვე გაბატონებულ ქურუმთა წოდებად ან კასტად ჩამოყალიბდეს. ასე იყო, მაგალითისათვის რომ ავიღოთ, ეგვიპტეში, რომლის შესახებაც მარქსივე ამბობს: „მრეწველობის ისტორიაში გადამწყვეტ როლს ასრულებს აუცილებლობა ბუნების ამა თუ იმ ძალზე საზოგადოებრივ კონტროლის დაწესებისა, მისი ყაირათიანად გამოყენებისა ადამიანის ხელით შექმნილ მოწყობილობათა საშუალებით, მისი დიდი მასშტაბით მისაკუთრების ან დამორჩილებისა. ამის მაგალითია წყლის გაწესრიგება ეგვიპტეში (იმ აუცილებლობამ, რომ უნდა გამოეანგარიშნათ ნილოსის წყალ-

დიდობის პერიოდები, შექმნა ეგვიპტური ასტრონომია და მასთანავე მოგვცა ქურუმთა კასტის, როგორც მიწისმოქმედების ხელმძღვანელის, ბატონობა“)... თანდათან ტაძრები და მათი წარმომადგენლები იქცეევიან უდიდეს მემამულეებად, რომელნიც თავიანთ მიწებს მონების ან ყმების შრომით ამუშავებენ. ფულად ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად ტაძრები, რომელთაც დიდი განძები აქვთ დაგროვილი, სავაჭრო კაპიტალის როლში გამოდიან და კიდევ უფრო ჰბოჭავენ მათი გავლენის ქვეშ მყოფ ხალხს. ცენტრალური ხელისუფლება ასეთ შემთხვევაში სწორედ ქურუმებს ეყრდნობა, როგორც თავის სოციალურ საფუძველს. ქურუმები ასეთ ქვეყნებში არა მარტო კლასობრივ საფუძველს შეადგენენ მონარქიისას, არამედ იდეოლოგიურადაც ამ ხელისუფლების დამკვიდრებას განსაკუთრებით უწყობენ ხელს ცრუმორწმუნეობით აღსავსე მასების შეგნებაში. ისინი უქმნიან მეფეებს „აპოთეოზს“ (ღვთაებრიობის შარავანდედს). იბერიის ქურუმთა წოდების განვითარების კონკრეტული ისტორია ჩვენთვის უცნობია პირდაპირი ცნობების სრულ უქონლობის გამო, მაგრამ აქაც განვითარების გზა ზემოთაღწერილის მსგავსი უნდა ყოფილიყო. მრავალ მოსაზრების მოტანა შეიძლებოდა ამის სასარგებლოდ. უადგილობის გამო ჩვენ აქ მათზე ვერ შევჩერდებით, ნაწილობრივ ამის შესახებ ქვემოთაც ვისაუბრებთ[1].

პირველ „გენის“ შესახებ ცნობას ჩვენ დაწვრილებით გავარჩევთ მაშინ, როცა სახელმწიფოს შესახებ გვექნება საუბარი.

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს წინაშე თავისებური კლასობრივი (რათქმაუნდა, ჯერ ჩამოუყალიბებელი და განუვითარებელი) საზოგადოებაა წარმოდგენილი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ გვაროვნული კავშირები დაარღვია შრომის საზოგადოებრივმა განაწილებამ, რომელიც საფუძველი გახდა საზოგადოების სხვადასხვა კლასად დანაწევრებისათვის. საყურადღებოა, რომ ივერიის აღწერილობაში, რომელიც დაცულია სტრაბონის ტექსტში, არსად არაფერია ნათქვამი ივერიის მოსახლეობის ტომებად დაყოფის შესახებ. ეს იმას არ ნიშნავს, რათქმაუნდა, რომ ამ დროს უკვე წაშლილია ცალკე ტომების არსებობის კვალი; განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები ამ დროს ივერიაში უეჭველად არსებობდნენ. ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ უკვე სავსებით გამ-

---

[1] ამ საკითხის, ისე როგორც საერთოდ აღებულ პერიოდის, შესახებ, ავტორი უფრო დაწვრილებით განსაკუთრებულ მონოგრაფიაში მსჯელობს.

ქრალი ყოფილა ტომური ორგანიზაციები. ზემოთგარჩეულ დაყოფას სტრაბონის ტექსტში წარმძღვარებული აქვს ივერიის მოსახლეობის მეორეგვარი დაყოფაც. სტრაბონი ამბობს: „ბარში ცხოვრობს ივერების ერთი ნაწილი, რომელიც უფრო მიწისმოქმედებას მისდევს და მშვიდობიან ცხოვრების მოყვარულია, მთიანი ადგილები-კი დასახლებულია მეომარ უმრავლესობით“-ო. ეს ორი ნაწილი ერთმანეთისაგან თურმე ყოფაცხოვრებითაც განსხვავდებოდა: ბარელები თურმე სამხრეთელ მეზობლებს — არმენებს (სომხებს) და მიდიელებს — წააგავდენ; მთიელები კიდევ — ჩრდილოეთელ მეზობლებს — სკვითებსა და სარმატებს. „სკვითებისა და სარმატების წესით ცხოვრობენ“-ო, რომ არის ნათქვამი, ალბათ იმას ნიშნავს, რომ მეურნეობრივად მთელი იბერიელები უმთავრესად მესაქონლეები იყვნენ. თუმცა ამასთან ერთად სტრაბონი დასძენს: „მაგრამ მაინც ეს (მთის) ივერიელები მიწისმოქმედებასაც მისდევენ“-ო. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა, შესამჩნევი ყოფილა ივერიის მოსახლეობის ის დაყოფა, რომელიც საზოგადოებრივ შრომის ბუნებრივ განაწილების ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

ქალაქის სოფლიდან გამოყოფის შესახებ ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით ზემოთ. ეს მოვლენა ამ პერიოდშიც არსებობს და თავის როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ჩვენ უაღრესად მწირი ცნობები მოგვეპოვება მაშინდელ ქართულ ქალაქების შესახებ, მაგრამ რაც მოღწეულა, ისიც გვარწმუნებს, რომ, ჯერ ერთი, ქალაქების, როგორც ერთგვარ აღებმიცემისა და (შეუძლებელი არ არის რომ აგრეთვე) ხელოსნობის ცენტრების, არსებობისათვის ნიადაგი უკვე მზად იყო და რომ წყაროებში დაცული ფაქტები საერთო პირობების სინათლეში უნდა განვიხილოთ. „ყოველს, განვითარებულსა და საქონლის გაცვლა-გამოცვლით განხორციელებულ, შრომის დანაწილებას საფუძვლად აქვს ქალაქის სოფლიდან გამოყოფა. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მთელი ეკონომიური ისტორია ამ მოძრაობაში მიმდინარეობს... როგორც მანუფაქტურაში ერთსა და იმავე დროს დაბანდებულ მუშების განსაზღვრული რიცხვი შრომის დანაწილების მატერიალურ წინასწარ პირობას შეადგენს, აგრეთვე საზოგადოებაში შრომის დანაწილებისათვის ამ პირობას წარმოადგენს მოსახლეობის სიდიდე და მისი სიმჭიდროე, რომელსაც აქ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც პირველ შემთხვევაში მრავალ მუშის თავმოყრას ერთსა და იმავე სახელოსნოში. მაგრამ ეს მოსახლეობის სიმჭიდროე შედარებითი რამ არის. ის ქვეყანა, რომელიც შედარებით მცირედ არის დასა-

ბლებული, მაგრამ სადაც მიმოსვლის საშუალებები განვითარებულია, უფრო მჭიდრო მოსახლეობას შეიცავს, ვიდრე ის ქვეყანა, რომელიც უფრო დასახლებულია, მაგრამ სადაც განუვითარებელი მიმოსვლის საშუალებებია"... მარქსის ეს სიტყვები დიდ სინათლეს ჰფენენ სტრაბონის სათანადო ცნობებს იბერიის შესახებ. „კავკასიონთან მცხოვრები სხვა წვრილი ხალხები ღარიბები და მცირე მიწაწყლის მქონენი არიან. მაგრამ ალვანელებსა და ივერებს, რომელნიც შეადგენენ კავკასიის ყელის მთავარ მოსახლეობას და რომელთაც აგრეთვე შეიძლება კავკასიელების სახელი მიეკუთვნოს, უჭირავთ მდიდარი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია ფრიად ხშირი მოსახლეობა დაიტიოს. და მართლაც, ივერია მშვენივრად არის დასახლებული უმეტეს წილად ქალაქებად და დაბებად, ისე რომ იქ კაცს ხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესების თანახმად აგებული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები" ეს აღწერილობა ეჭვს აღარა სტოვებს მოსახლეობის სიხშირისა და განვითარების, საწარმოო ძალთა საკმაოდ მაღალი დონის შესახებ. სათანადოდ განვითარებული ყოფილა მიმოსვლის საშუალებებიც. მეზობელ ქვეყნებთან ივერიას ოთხი მთავარი გზა აკავშირებდა თურმე: ჩრდილოეთთან — არაგვის ხეობით დარიალზე გამავალი გზა, აღმოსავლეთით — ალვანეთთან კავშირი მტკვრის ხეობით იყო გაბმული; გზა აქ მტკვარ-ალაზნის შესართავზე გადიოდა, სომხეთიდან გზა მტკვრის ხეობის ზემოთა ნაწილს მიჰყვებოდა. კოლხეთთან და კოლხეთის საშუალებით ევროპასთან იბერიას კიდევ უფრო კარგი კავშირი ჰქონია: აქ გზა სურამის ქედის გადალახვის შემდეგ შორაპანზე გადიოდა, საიდანაც ნავებით ჩადიოდნენ ზღვაში. ნაოსნობა წარმოებდა აგრეთვე მტკვარში და ალაზანშიაც. ეს გზები მუდმივს საჭიროებას ემსახურებოდნენ — ისინი სპეციალურ სიმაგრეებით ყოფილან დაცულნი და მათთვის ყური უგდიათ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობა მდ. ფაზისზე ხიდების არსებობის შესახებ. ეს ცნობა ჩვეულებრივად არა სწორად ესმით ხოლმე: აქ მდ. ფაზისის მთელი მიმდინარეობა-კი არ იგულისხმება (ფაზისად მაშინ იწოდება რიონი ყვირილას შესართავამდე და შემდეგ — ყვირილა. მაშინდელი წარმოდგენა ფაზისის სათავის შესახებ მთლად ნათელი არ არის), მითუმეტეს — რიონი, არამედ მხოლოდ შორაპანს ზევით (ე. ი. აღმოსავლეთისაკენ) მდე-

ბარე ხეობა. აი ამ შედარებით მცირე მანძილზე 120 ხიდი ყოფილა გადებული, სტრაბონის მტკიცებით. თუნდაც რიცხვი გაზვიადებული იყოს, მაინც ეს ცნობა ძალიან საყურადღებოა.

სამწუხაროდ, სტრაბონისეულ აღწერილობაში არავითარი ცნობა არ არის დაცული იბერიის მეურნეობის შესახებ გარდა იმისა, რაც ზემოთ იყო უკვე განმარტებული, რომ, სახელდობრ, ბარელები უმთავრესად მიწისმოქმედებას მისდევენ, მთიელებისათვის-კი მიწისმოქმედება თითქოს დამხმარე დარგია, მთავარი კი, საგულისხმებელია, მესაქონლეობა უნდა იყოს. რა დონეზეა ასული ეს მიწისმოქმედება და რა წესია იქ გაბატონებული, რა კულტურებს მოუპოვებიათ იქ გავრცელება, როგორია პროდუქცია. რა არის საშინაო და საგარეო აღებმიცემის საგანი — ამის შესახებ სრულიად არაფერია ნათქვამი. ამ ცნობებს-კი ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. და რაკი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, არაპირდაპირსა და მეზობელ ქვეყნებთან შედარებითი შესწავლის გზას უნდა მივმართოთ. საერთოდ, ქართველ ტომების ისტორიულ მდგომარეობის შესწავლა შეუძლებელია მეზობელ, პირველ რიგში, კავკასიელ ტომთა ვითარების გათვალისწინების გარეშე შესაბამის ხანაში. სამეურნეო და კულტურული კავშირები ნაწილობრივ გენეტიკურ, ნაწილობრივ ისტორიულ ხასიათისა, ურთიერთგავლენა და ურთიერთმოქმედება აქ იმდენად ხელშესახებია, რომ უფლება გვაქვს, მეთოდოლოგიურ ზედმიწევნილობისა და მკაცრ ისტორიულ პერსპექტივის დაცვის პირობებში, ლოკალურ განვითარების მთელი სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ერთი ტომის სინამდვილის ცნობილ ფაქტებიდან გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ მეორე ტომის უცნობ სინამდვილის შესახებ.

განსაკუთრებით ახლოს არიან ამ მხრივ ერთმანეთთან ამიერ-კავკასიის ქვეყნები, რაც აგრეთვე, რათქმაუნდა, სრულებით იმას არ ნიშნავს, თითქოს თვითეულ მათგანის განვითარებას საკუთარი ტემპი და თავისებურება არ ჰქონდეს. კერძოდ, ჩვენთვის აქ საყურადღებო იქნება პარალელის გატარება იბერიასა და ალბანიას შორის. ამ ქვეყნების ხალხები ხომ, როგორც ვნახეთ, სტრაბონის განცხადებით, კავკასიის ყელის მთავარ მოსახლეობას შეადგენენ. მაშინ როცა იბერიას სტრაბონის ტექსტი გვიხატავს, როგორც მჭიდროდ დასახლებულსა და განვითარებულ ქვეყანას, ალბანიის აღწერილობას იგი იმთავითვე იმით იწყებს. რომ გვამცნობს: ალბანელები უფრო მწყემსები არიან და მომთა–

ბარე ხალხებს მიაგვანენ, მაგრამ ისე ველური არ არიანო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ალბანელები მიწის მოქმედებას არ მისდევდნენ, ოღონდ მეურნეობის ამ დარგს ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. სტრაბონისავე თქმით, „ისინი არ სარგებლობდნენ, როგორც საჭიროა, მიწითაც, რომელიც ყოველგვარ ნაყოფს იძლევა, თვით უნაზესსაც-კი, და აგრეთვე ყოველგვარ მცენარეს, მათ შორის მარად მწვანესაც. მიწას სრულებით არ უვლიან... მრავალგან ერთხელ დათესილი მიწა იძლევა ნაყოფს ორჯერ და სამჯერაც, პირველად — ერთი-ორმოცდაათად, დაუსვენებლივ, და მოხნული არა რკინის, არამედ უბრალო ხის გუთნით... ვენახები შემოუბარავი აქვთ ხოლმე და ვაზს ხუთ წელიწადში ერთხელ სხლავენ ხოლმე, მაგრამ მიუხედავად ამისა ახალი ვაზი უკვე ორი წლის შემდეგ იძლევა ნაყოფს, ძველი ვაზი-კი იმდენს ისხამს, რომ უმეტეს ნაწილს ზედვე სტოვებენ... აქაური ხალხი ლამაზია და დიდი ტანისაა, მაგრამ მიამიტია (მარტივია) და მეწვრილმანე არ არის (ვაჭრულ მიდრეკილებებს მოკლებულია). ლითონის ფულს უმეტეს წილად არა ხმაროობენ, ასზე ზევით თვლა არ იციან და აღებმიცემას საქონლის საქონელზე გაცვლით აწარმოებენ. ცხოვრების სხვა საჭიროებათა მიმართაც ისინი ასეთსავე დაუდევრობას იჩენენ: მათთვის უცნობია სწორი საზომ-საწონი და აგრეთვე უზრუნველი არიან სამხედრო, სახელმწიფოებრივს და მიწის დამუშავების საქმეებში“.

ამ აღწერილობიდან გაზვიადებული და არარეალური ელემენტი მოჩანს ნაწილობრივ. მაგრამ საერთოდ იგი სწორად უნდა გვიხატავდეს საწარმოო ძალთა მდგომარეობას ალბანიაში. ცხადი ხდება, როგორც ეს სტრაბონის საერთო ცნობებიდანაც საგულველებელი იყო, რომ იბერიასთან შედარებით ალბანია უფრო ჩამორჩენილი ყოფილა. და როცა სტრაბონი მხოლოდ საერთოდ აღნიშნავს, რომ იბერიის ბარის მოსახლეობა უფრო მიწისმოქმედებას მისდევსო, თვით ამ მიწისმოქმედების ხასიათსა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ-კი არაფერს გვეუბნება, ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ამ თვალსაზრისით ბერძენ დამკვირვებლისათვის უცხო და უჩვეულო იბერიაში ბევრი არაფერი იყო, და ამ მხრივ მისთვის ეს ქვეყანა ალბანიისაგან განსხვავდებოდა. მიუხედავად საერთო მდგომარეობის ამ სხვაობისა, ალბანიის სოციალური განვითარება იმავე მიმართულებით მიდიოდა, როგორც იბერიისა, რაც ჩვენთვის დიდად არის საყურადღებო და თვით იბერიის ისტორიასაც გარკვეულ შუქსა ჰფენს. სტრაბონისვე ტექ-

სტში შემდეგ ცნობას ვპოულობთ ალბანიის შესახებ: „ქურუმის მოვალეობას ასრულებს ყველაზე პატივცემული მეფის შემდეგ პირი. იგი განაგებს საღვთო მამულს, რომელიც ვრცელია და კარგად დასახლებული, და აგრეთვე ტაძრის მსახურთაც („ჰიეროდულებს“, სიტყვასიტყვით, ტაძრის, ღვთის მონებს), რომელნიც ქადაგად ეცემიან და წინასწარმეტყველებენ“. ერთ-ერთ ამ მსახურთაგანს ქურუმი მსხვერპლად სწირავს ზეცოლმეო. ასეთი მსხვერპლშეწირვა, როგორც ჩანს, ყოველწლიურად ხდებოდა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ თვით დაწესებულება ძველსა და ძლიერ ტრადიციაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. კონტექსტიდან თითქოს ისეთი დასკვნა გამოდის, რომ მთელი ეს ცნობა მხოლოდ ერთს, იბერიის მახლობლად მდებარე, მთვარის ტაძარს შეეხება. თუნდაც ასე იყოს, იგი მაინც დამახასიათებელია ალბანიის საზოგადოებრივ განვითარებისათვის მთლიანად. აქაც, — იმავე მიზეზების გამო, ცხადია, — ქურუმებს გაბატონებული მდგომარეობა მოუპოვებიათ. ტაძრები უკვე მსხვილ მიწისმფლობელებად გვევლინებიან, რომელნიც თავიანთ მამულების დამუშავებას არათავისუფალ შრომის — ექსპლოატაციის გზით ეწევიან. იბერიაში ეს პროცესი უფრო შორს არის მხოლოდ წასული — იქ ქურუმები უკვე ცალკე წოდებად არიან ჩამოყალიბებულნი. ამასთან ერთად, ჩვენ ვპოულობთ დასაყრდენს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებისათვის იმის შესახებ, რომ იბერიაშიც ტაძრები ამ დროს მსხვილ მამულის მფლობელნი უნდა ყოფილიყვნენ. — აღწერილ ალბანურ, იბერიის მახლობლად მდებარე, ტაძრის მაგალითი გვარწმუნებს ამაში.

სტრაბონი ალბანიის სოფლის მეურნეობის დარგთა შორის მევენახეობასაც იხსენიებს. მევენახეობას ამ დროს საქართველოს მრავალ მეზობელ ქვეყანაში მისდევენ, და რადგანაც იბერიაში საამისო საუკეთესო ბუნებრივი პირობები იყო, სავსებით სარწმუნოა, რომ ეს კულტურა აქაც უნდა არსებულიყო. სხვადასხვა მოსაზრების გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღვინო ამ დროს იბერიიდან სხვა ქვეყნებშიაც უნდა გაეტანათ გასაყიდად, და რომ საერთოდ მეღვინეობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მაგრამ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ ვისაუბრებთ.

საზოგადოდ, არავითარი ცნობა არ დაგვრჩენია, თუ რა იყო ამ დროს იბერიაში შინაურ და საგარეო აღებმიცემის საგანი. მაგრამ რომ ეს აღებმიცემა არსებობს და განვითარებულიცაა, ამაში

ყველა საერთო ცნობა (სავაჭრო გზების, ქალაქების, ბაზრების, ფულის და სხვ. შესახებ) და მთელი ზემოთმოყვანილი მსჯელობა გვარწმუნებს.

კოლხეთის მდგომარეობა

ჩვენ განსაკუთრებით დიდ ხანს შევჩერდით ქართლის (იბერიის) ვითარების განხილვაზე იმიტომ, რომ ცნობები მის შესახებ მეტად ნიშანდობლივი და საყურადღებოა. დას. საქართველოს შესახებ ეს ცნობები ისე სრული არ არის. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ, კერძოდ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ფაქტების მიხედვით, განვითარების მხრივ კოლხეთს ამ დროს საშუალო ადგილი უნდა სჭეროდა ალბანიასა და იბერიას შორის. მაგრამ თვით კოლხეთის ფარგლებშიც, აშკარაა, სხვადასხვა კულტურული რაიონი განირჩეოდა. სვანეთს ჩვენ უკვე პირველ განაკვეთიდან ვიცნობთ. დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა კოლხეთის ჩრდილოეთი ნაწილი. ყველაზე დაწინაურებულ რაიონს წარმოადგენდა რიონის აუზის დაბლობი და ზღვისპირა ზოლი, სადაც ძველი ბერძნული ქალაქები იყო გაშენებული— ფაზისი (ფოთი), „კოლხების სავაჭრო ნავთსადგური“, დიოსკურიადი (დღევანდ. სოხუმის რაიონში), სადაც 70-მდე სხვადასხვა ტომი იყრიდა თითქოს თავს სავაჭროდ (უმთავრესად მარილის შესაძენად) და სხ. ეს ქვეყანა მდიდარიაო, მოგვითხრობს სტრაბონი, ნაყოფებით და გემთმშენებლობისათვის საჭირო ყოველგვარ მასალით. აქ დიდი რაოდენობით მოდის აგრეთვე სელი, კანაფი, ცვილი და ფისი. სელის წარმოებამ ხომ სახელიც-კი მოიხვეჭა; აქაური სელის ნაწარმოები უცხო ქვეყნებშიც გაჰქონდათო (ამ შემთხვევაში სტრაბონი ძველ ცნობას იმეორებს).

„გეოგრაფიის“ მტკიცებით, რიონსა და ყვირილაზე შორაპნამდე ნაოსნობა წარმოებდა, შორაპნიდან საქონელი იბერიაში უკვე ხმელეთის გზით გადაჰქონდათ;—შორაპნიდან მტკვრამდე 4 დღის გზა ყოფილა. კოლხეთის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურის შესახებ სტრაბონისეულ აღწერილობაში არავითარი პირდაპირი ჩვენება არ არის მოცემული.მაგრამ ყველა სხვა ცნობის ნიადაგზე, რომელთა შესახებაც უკვე პირველ განაკვეთში გვქონდა საუბარი, აქაც იბერიისა და ალბანიის ანალოგიური სურათი უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ერთი ფაქტია საყურადღებო სტრაბონის ცნობით, მოსხიკეში (მესხების ქვეყანაში) ლევკოთეას ტაძარი ყოფილა აშენებული, რომელიც ოდესღაც მდიდარი იყო, მაგ-

რამ ჩვენს მახსოვრობაში ჯერ ფარნაკმა გასძარცვა, შემდეგ-კი მითრიდატ პერგამელმაო. მესხების ქვეყანა ამ დროს სამ ნაწილადაა გაყოფილი — არმენიასა, იბერიას და კოლხეთს შორის. რაკი ეს ცნობა კოლხეთის აღწერილობაშია მოთავსებული და მდებარეობითაც ტაძარი საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიის მახლობლად ყოფილა (სტრაბონი ამბობს, რომ იგი ფაზისის ზემოთაა), ცხადია, იგი კოლხეთს ჰკუთვნებია. მაშასადამე, კოლხეთშიც ტაძრებს გარკვეულ მდგომარეობისთვის მიუღწევიათ — მათ ხელში უკვე დიდ განძებს მოუყრიათ თავი (მეზობელ ქვეყნების მეფეები მათ რამდენიმეჯერ სძარცვავენ!). ტაძრების ქონება ალბათ მარტო განძებში არ გამოიხატება — ისინი აქაც მამულის მფლობელნიც უნდა იყვნენ.

სახელმწიფოს არსებობის საკითხი

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე თავისთავად წყდება ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, სახელდობრ, საკითხი სახელმწიფოს არსებობის შესახებ ამ დროს ქართველ ტომებში. მარქსიზმის გაგებით, სახელმწიფო არის „ექსპლოატატორების მოცემულ კლასის ორგანიზაცია წარმოების საერთო პირობების შენარჩუნებისათვის, მაშასადამე, ექსპლოატაციაქმნილ კლასის ძალმომრეობითი ყოლისათვისაც მორჩილების იმ საფეხურზე, რომელსაც მოითხოვდა წარმოების მოცემული წესი (მონობაში, ყმობაში, დაქირავებულ მუშის მდგომარეობაში). სახელმწიფო იყო მთელი საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი, იგი მას ერთს ხილულ ორგანიზაციაში აერთიანებდა, მაგრამ იგი ამ როლს ასრულებდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო იყო იმ კლასისა, რომელიც თვითონ იყო მთელ თავის თანამედროვე სახელმწიფოს წარმომადგენელი: ძველ დროში — მოქალაქე-მონათმფლობელების სახელმწიფო, საშუალო საუკუნეებში — ფეოდალურ თავადაზნაურობისა, ჩვენს დროში—ბურჟუაზიისა“. „სახელმწიფო — საზოგადოების ნაყოფია განვითარების გარკვეულ საფეხურზე. სახელმწიფო არის იმის აღიარება, რომ ეს საზოგადოება გაიხლართა გადაუწყვეტელ წინააღმდეგობაში თავის საკუთარ თავთან, გაითიშა შეურიგებელ წინააღმდეგობებად, რომელთაგან განთავისუფლებაც მას აღარ ძალუძს. მაგრამ იმისათვის, რათა ამ დაპირისპირებულმა კლასებმა მოწინააღმდეგე ეკონომიურ ინტერესებით არ შთანთქან ერთმანეთი და საზოგადოება უნაყოფო ბრძოლაში, ამისათვის აუცილებელი გახდა ძალა, რომელიც, როგორც ჩანს, სა-

ზოგადოებაზე მაღლა დგას, ძალა, რომელიც შეანელებდა შეტაკებას, „წესრიგის“ ფარგლებში გააჩერებდა მას“. რა ძალაა ეს ძალა? „ძველ გენტილურ (გვაროვნულ ანუ კლანურ) ორგანიზციასთან შედარებით სახელმწიფო განსხვავდება სახელმწიფოს ქვეშევრდომების ტერიტორიულ დაყოფით... მეორე განსხვავებული ნიშანია დაარსება საზოგადოებრივ ხელისუფლებისა, რომელიც უკვე აღარ თანემთხვევა უმეშვეოდ მოსახლეობას, რომელიც თავის თავს რაზმავს როგორც შეიარაღებულ ძალას. ეს განსხვავებული განსაკუთრებული საზოგადოებრივი ხელისუფლება აუცილებელია იმიტომ, რომ მოსახლეობის თვითმოქმედი შეიარაღებული ორგანიზაცია შეუძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საზოგადოება კლასებად გაითიშა... ეს საზოგადოებრივი ხელისუფლება არსებობს ყოველ სახელმწიფოში. იგი შესდგება არა მარტო შეიარაღებულ ადამიანებისაგან, არამედ აგრეთვე მათის ნივთიერ დამატებებისაგან, საპყრობილეებისა და ძალდატანების ყოველგვარ დაწესებულებისაგან, რომელნიც უცნობი იყვნენ საზოგადოების გვაროვნულ (კლანურ) წყობილებისათვის... ამ ძალის შენახვისათვის საჭიროა მოქალაქეთა დაბეგვრა გადასახადებით, რაც არ ყოფილა გვაროვნულ წყობილების დროს... მოეპოვებათ რა საზოგადოებრივი ხელისუფლება და გადასახადების აკრეფის უფლება, მოხელეები, როგორც საზოგადოების ორგანოები, საზოგადოების ზევით ექცევიან... რადგანაც სახელმწიფო წარმოიშვა კ ლ ა ს თ ა დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ი ს ა ლ ა გ მ ვ ი ს მოთხოვნილებიდან, რადგანაც ამავე დროს იგი წარმოიშვა ამ კლასთა შეტაკებებში, ამიტომ იგი საერთო წესით გვეელინება როგორც სახელმწიფო ყველაზე ძლიერის, ეკონომიურად გაბატონებულ კლასისა, რომელიც სახელმწიფოს შემწეობით პოლიტიკურად გაბატონებულ კლასადაც იქცევა და ამგვარად ახალ საშუალებებს იხვეჭს დაჩაგრულ კლასის დათრგუნვისა და ექსპლოატაციისათვის“ (ენგელსი). ამრიგად, სახელმწიფო კლასობრივ საზოგადოების კუთვნილებაა, მაგრამ მისი „ფორმები უაღრესად მრავალფეროვანია“. „სახელმწიფო ყოველთვის იყო გარკვეული აპარატი, რომელიც ეთიშებოდა საზოგადოებას და მდგომარეობდა იმ ადამიანთა ჯგუფში, რომელნიც მხოლოდ იმას, ან თითქმის მხოლოდ იმას, ან უმთავრესად იმას აკეთებდნენ, რომ მართავდნენ. ადამიანები შესდგებიან იმათგან, რომელთაც ჰმართავენ, და ამ მმართველობის სპეციალისტებისაგან, იმათგან, ვინც საზოგადოების ზევით არიან მოქცეულნი და ვისაც მმართველებს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს, უწოდებდნენ. ეს აპა-

რატი, ეს ჯგუფი ადამიანებისა, რომელნიც სხვებს ჰმართავენ, ყოველთვის ხელთ იგდებს იძულების, ფიზიკურ ძალის, გარკვეულ აპარატს, — სულ ერთია, გამოიხატება ეს ძალადობა ადამიანების მიმართ პირველყოფილ კეტში, თუ მონობის ხანაში შეიარაღების უფრო გაუმჯობესებულ ტიპში, თუ ცეცხლის იარაღში, რომელიც საშუალო საუკუნეებში გაჩნდა, თუ ჩვენი დროის იარაღში, რომელმაც — XX ს-ში ტექნიკურ სასწაულებს მიაღწია და თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებზეა მთლიანად დამყარებული. ძალადობის ხერხები იცვლებოდა, მაგრამ ყოველთვის, როცა არსებობდა სახელმწიფო, ყოველ საზოგადოებაში არსებობდა ჯგუფი იმ პირთა, რომელნიც მართავდნენ, მბრძანებლობდნენ, ბატონობდნენ და რომელთაც ხელისუფლების შესანარჩუნებლად ხელთ ჰქონიათ ფიზიკურ ძალდატანების აპარატი, ძალადობის, იმ შეიარაღების აპარატი, რომელიც თვითეულ ეპოქის ტექნიკურ დონეს შეესაბამებოდა" (ლენინი).

ჩვენი ქვეყნისა და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონში ამ მხრივ სხვადასხვანაირი მდგომარეობა იყო. იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო სოციალურ განვითარების დონე, თუ რამდენად შორს იყო წასული საზოგადოებრივი ანტაგონიზმი. სვანეთში, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, ჯერ კიდევ ცოცხალია „მოსახლეობის თვითმოქმედი შეიარაღებული ორგანიზაცია", საზოგადოებრივი ხელისუფლება ხალხისაგან გამოთიშული არ არის, და ამდენადვე სახლმწიფოც არ არსებობს (ცნობა „მეფის" არსებობის შესახებ სვანებში, თუ იგი გარეშე სახელმდებლის შეცთომას არ წარმოადგენს, შეიძლება მიუთითებდეს ტომის მეთაურის უფლებების ერთგვარ გაძლიერებაზე, და, ამდენადვე, სახელმწიფოებრიობის მხოლოდ სუსტ ჩანასახზე). კოლხეთში (რიონის აუზის დაბლობში) უკვე სხვა მდგომარეობაა. აეტის, მედეას და არგონავტების ყველასათვის ცნობილ ხანის შემდეგ, რომელშიაც ჯერ კიდევ მითოსი სინამდვილისაგან გარჩეული არ არის, სტრაბონი ასახელებს მეფეებს, რომელნიც თურმე ჰფლობდნენ „სკეპტუხიებად" დაყოფილ ქვეყანას. მათ დიდი ძალა არ ჰქონიათო, დასძენს ავტორი. ძნელი სათქმელია, როგორ უნდა გავიგოთ ტერმინი „სკეპტუხია". სხვა შემთხვევებში, კერძოდ კავკასიურ სინამდვილიდან, სტრაბონის ტექსტში ამ სიტყვით ტომის პოლიტიკური ორგანიზაციაა აღნიშნული. მაშინ თითქოს ისე გამოდის, რომ კოლხეთში ცალკე ტომთა ორგანიზაცია მთლად გამქრალი არ იყო, მაგრამ ეს ტომები უკვე ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ. ან

შესაძლოა აქ პირდაპირ ადმინისტრაციული დაყოფა იგულისხმებოდეს. კოლხეთის უკანასკნელ საუკუნეებისათვის მოცემულ მდგომარეობის მთელმა ჩვენმა წინამორბედმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ აქ უკვე კლასობრივი საზოგადოებაა საგულისხმებელი, ამდენადვე თვით მეტნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებრივ აპარატის არსებობაც საგულვებელი ხდება. კერძოდ, ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ადგილობრივ კოლხურ ფულის მოჭრის ფაქტი—ლითონის ფული კლასობრივ საზოგადოების კუთვნილებაა, და მონეტის მოჭრაც სახელმწიფოს საქმეა. ენგელსის თქმით, ცივილიზაციას, ე. ი. კაცობრიობის განვითარების იმ პერიოდს, „რომლის მთელ სივრცეზედაც საზოგადოება დანაწევრებულია ექსპლოატატორ და ექსპლოატაციაქმნილ კლასებად“, პირველ რიგში, ლითონის ფულის შემოღება ახასიათებს. მარქსიც ამბობს, რომ „ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციიდან წარმოსდგება მისი მონეტური სახე საქონლის ფასში ანუ მის ფულად სახელწოდებაში იდეალურად არსებული ოქროს წონითი ნაწილი უნდა დაუპირდაპირდეს მიმოქცევაში საქონელს როგორც იმავე სახელწოდების ოქროს ნაჭერი ანუ მონეტა. როგორც ფასების მასშტაბის დაწესება, ფულის მოჭრაც სახელმწიფოს საქმეა“.

ალბანიის პოლიტიკურ ორგანიზაციის შესახებ სტრაბონის ტექსტში ნათქვამია: „ეხლა ყველა ერთ მეფეს ემორჩილება. წინათ-კი თვითეულ ტომს, თავის განსაკუთრებულ ენის მქონეს, ცალკე მეფე ჰყავდა. ენა-კი მათ 26 მოეპოვებათ, რადგანაც ურთიერთ შორის ხშირი ურთიერთობა არა აქვთო“. აქ მოცემულია ტომურ კავშირის მონარქიად გადაქცევის ნიშანდობლივი სურათი, რაც საკვლევით შეესაბამება ქვეყნის სოციალურ ვითარებას.

კიდევ უფრო ნათელია საკითხი სახელმწიფოს არსებობის შესახებ იბერიის მიმართ: აქ, როგორც ვნახეთ, საზოგადოების კლასებად დანაწევრების პროცესი ყველაზე უფრო ღრმად იყო წასული. როგორც უკვე ვიცით, იბერიაში სტრაბონის აღწერილობით პირველ „გენეს“ მეფის „გენე“ შეადგენდა, რომელშიაც ამ უფლების მემკვიდრეობას უხუცესობის პრინციპი ედო საფუძვლად. მაგრამ ეს პრინციპი არის მხოლოდ ფორმალური გარდმონაშთი საგვარეულო წყობილებისა, და თვით დაწესებულების რაობას სრულიად არ განსაზღვრავს. მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ აქ ხელისუფლება ხალხისაგან გამოყოფილია და საზოგადოების ზევით არის მოქცეული. მეფის „გენე“ სამეფო დინასტიაა და სხვა არაფერი. შესაძლოა თვით გენეს შემადგენლობა უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილიყო (სამე-

ფო საგვარეულოს სახით), მაგრამ თვით მეფის უფლება ერთი ოჯახის შიგნითაა დამკვიდრებული: ჩვენ გვაქვს საკმაოდ სრული სია იბერიის მეფეებისა. მოცემულ დროიდან მოყოლებული, და ამ სიიდან ჩანს, რომ მეფის უფლება აქ ჩვეულებრივად ძმებსა და მათს შვილებს შორის ტრიალებს. ამ ვიწრო წრეში ეს უფლება ხალხისაგან მონიქებული კი არ არის, ეს მეფეები გვევლინებიან არა როგორც ხალხის წარმომადგენლები, არამედ როგორც მონარქები, საკუთარ დინასტიურ ინტერესებითა და ზოგჯერ დესპოტიურ მიდრეკილებებითაც გამსჭვალულნი, რომელთათვისაც მთავარ სოციალურ დასაყრდენს აღწერილ ხანაში, როგორც ჩანს, ქურუმები წარმოადგენენ და რომელთა ძლიერების განსაკუთრებული წყაროც მამულებისა და ყმების მსხვილ მფლობელობაში უნდა ვეძიოთ. კონკრეტული ცნობებიც ადასტურებს ამ საერთო მოსაზრებას.

როცა იბერიელების წინააღმდეგობა ჩვენს ქვეყანაში პირველად შემოსულმა რომაელებმა საბოლოოდ შემუსრეს (65 წ. ქ. წ.). რომაელების სარდალმა ზავი მანამ არ დასდო, სანამ მისი თავდაპირველი მოთხოვნილება შესრულებულ არ იქნა, სახელდობრ, სანამ იბერიის მეფემ რომაელებს თავისი შვილები მძევლებად არ მისცა. სუვერენული უფლებები რომ ხალხს ჰკუთვნებოდა, მაშინ, ცხადია, მძევლებად თვით ხალხისავე წარმომადგენლები იქნებოდნენ.

კიდევ უფრო საგულისხმოა ის ამბები, რომლებიც დაახლოებით ასი წლის შემდეგ ხდება. ჩვენ აქ ამბავს სულ მოკლედ გადმოვსცემთ (ფაქტიური აღწერილობა დაწვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ., I, გვ. 155 შემდ.), და მკითხველს მივუთითებთ იმ ფაქტებზე, რომელნიც იბერიაში არსებულ ხელისუფლებას ახასიათებენ და რომლებსაც განთქმული იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი ტაციტე მოგვითხრობს. საქმის არსი მდგომარეობდა რომაელებისა და სპარსელების ბრძოლაში სომხეთის გამო. ორსავე მებრძოლ მხარეს სომხეთის სამეფო ტახტისათვის თავის კანდიდატი ჰყავს. რომაელების კანდიდატია მითრიდატი, ძმა იბერიის მეფის ფარსმანისა, რომელსაც თურმე „მ ა მ ე ულ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა“ ჰქონია. ამ შემთხვევის გამო რომაელები ძმებს არიგებენ — ი ს ი ნ ი ნ ა ჩ ხ უ ბ ა რ ნ ი ყ ო ფ ი ლ ა ნ. ფარსმანი ჰშველის ძმას ვ ე რ ა გ ო ბ ი თ ა და ი ა რ ა ღ ი თ. მათ მიერ შ ე ჩ ე ნ ი ლ ი ხ ა ლ ხ ი ო ქ რ ო ს დ ი დ ი თ ა ნ ხ ი თ მ ო ი ს ყ ი დ ი ს სომხეთის მ ე ფ ი ს არშაკის, სპარსელების კანდიდატის, მ ს ა-

ხურებს და ბოროტმოქმედებას ჩაადენინებს. იბერიის ჯარები სომხეთს შეესევიან და სატახტო ქალაქს დაიპერენ. იწყება ომი იბერიელებსა და სპარსელებს შორის. ურთიერთ ბრძოლაში იბერიისა და სპარსეთის მეფეები ერთმანეთს სამეფო ტანისამოსით სცნობენ. შემდეგ მითრიდატი ისევ ჰკარგავს სომხეთის ტახტს და ისევ ეძიებს მას თავის ძმის, იბერიის მეფის და რომაელების დახმარებით. თვით სომხები ან პასიურად არიან, ან ეწინააღმდეგებიან მითრიდატის ცდებს. მეორედ გამეფების შემდეგ მითრიდატი დიდ სისასტიკეს იჩენს — ალბათ თავის ქვეშევრდომების უკმაყოფილოა. ეხლა პოლიტიკური მდგომარეობა ასეთია, გვიამბობს რომაელი ისტორიკოსი, რომ „იბერებს ჰფლობს ფარსმანი, მფლობელობის ძველისძველ უფლების თანახმად, სომხებს-კი — მისი ძმა მითრიდატი ჩვენი შემწეობით!“ შემდეგ იწყება ახალი ინტრიგა — იბერიის მეფეს შვილი აუმხედრდება. ეს ყმაწვილი, რადამისტი, თურმე დაუფარავად და ხმამაღლა ჩივის, მამაჩემის მოხუცებულობის გამო ჩვენი ქვეყანა დაძაბუნებულია-ო, და თავის გულისთქმას უკვე ვეღარ ჰმალავს — მამის ტახტს ეპოტინება, მას „ხელისუფლება სწყურია“. მაგრამ არც მამას ჰსურს ხელისუფლების დათმობა და არც გამკლავების იმედი აქვს (ხანში შესულს ეშინია ყმაწვილის, რომლის მხარეზე „ხალხის“ სიყვარულიც არის!) და თავის ტახტის მაგიერ ისევ ძმისას სთმობს — ეს ქვეყანა ხომ მე მივეცი მითრიდატს და ისევ შენ გქონდესო, ეუბნება რადამისტს მამა. მამის მიერ სათანადოდ გაწვრთნილი რადამისტი თავის ბიძას ესტუმრება, იქ ვერაგულად და საიდუმლოდ სომხეთის დიდებულებს გადმოიბირებს, შემდეგ მამის ჯარებსაც დაიხმარებს. ცრუფიცით თავის ბიძას, სომხეთის მეფეს, მითრიდატს, რომელმაც შვილივით ისტუმრა ვერაგი ძმისწული, მოხერხებულ ადგილას გაისტუმრებს, სადაც მითრიდატს ღალატით წააქცევენ და ბორკილს დაადებენ, რაც აქაურ ხალხში სირცხვილად ითვლება. აქვე უბრალო ხალხი, ბრბო, რომელსაც მითრიდატის მეფობაში ცუდი ცხოვრება ჰქონდა, ჯავრის ამოსაყრელად დროს იხელთებს, მისცვივდება ბორკილ შეყრილ მეფესა და გინებას და ცემას დაუწყებს! რადამისტი ჰკლავს მითრიდატსა და მის ცოლს, თავის დას, შემდეგ მათს შვილებსაც ხოცავს, — მშობლების სიკვდილი რად იტირეთო! — და სომხეთში თვითონ მეფდება. რომაელები

ბოლოს და ბოლოს ურიგდებიან ახალ მდგომარეობას, რადამისტს სამეფო ნიშნების შემოსვასაც-კი ურჩევენ და თვითონაც ესწრებიან ამ ცერემონიას.

შემდეგ სპარსელები გააგდებენ რადამისტს, შემდეგ ის ისევ უკან ბრუნდება და ეხლა კიდევ უფრო მკაცრად ეპყრობა სომხებს, როგორც მოღალატეებს, რომელნიც მზად არიან აჯანყებისათვის ყოველ ხელსაყრელ წუთს. ბოლოს და ბოლოს სომხებმა, „თუმცა მიჩვეული არიან მონობას“, ყოველგვარი მოთმინება დაჰკარგეს და ალყა შემოარტყეს რადამისტის სასახლეს იარაღით. რადამისტმა ძლივს უშველა თავს იბერიაში გაქცევით. აქ, „მამეულ სამეფოში“, რადამისტის სიცოცხლე იმით გათავდა, რომ მამამ ის მოაკლევინა როგორც მოღალატე, რომ რომაელებისათვის ერთგულება დაედასტურებინა.

ვინც საგვარეულო წყობილებას ოდნავ მაინც იცნობს და მოტანილს, განსაკუთრებით ჩვენ მიერ გახაზულ ფაქტებს ჩაუკვირდება (მეფის ხელისუფლების წარმომავლობა, დინასტიური ინტრიგები, დაუნდობელი ბრძოლა ახლობელ ნათესავებს შორის სამეფო ტახტისათვის, მოქმედების საშუალებები — ფული, ღალატი, ვერაგობა, — მეფისა და დიდებულების და მეფისა და ხალხის ურთიერთობა, რეჟიმი და აჯანყებები, სამეფო სამოსი და ნიშნები და მრავ. სხვა), დაგვეთანხმება, რომ ეს სურათი ისევე ჰგავს პირველყოფილ საზოგადოების სამყაროს, როგორც ცა—დედამიწას. სამეფო, მონარქიულ ხელისუფლების არსებობა ფაქტია. მართალია, ეს ამბები სტრაბონის ცნობის დროს დაშორებულია, მაგრამ მაშინაც ხომ იგივეა, როგორც ზემოთ ვნახეთ.

ადრეული ფეოდალიზმი

სტრაბონის მიერ აღწერილი იბერიის საზოგადოების სტრუქტურული განსაზღვრა

სტრაბონის ცნობის ანალიზი დასრულებულია. იბერიის საზოგადოება აღებულ ხანაში ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც მეტნაკლებად კლასობრივი აღნაგობის მქონე საზოგადოება. მაგრამ კლასობრივი სტრუქტურა საზოგადოებისა ხომ ყოველთვის ერთიდაიგივე არ ყოფილა. საკითხი დგას, მაშასადამე, იბერიის შინაგანი სოციალური აღნაგობის განსაზღვრის შესახებ. წარმოების რომელი წესის წარმომადგენელნი არიან მოცემული კლასები? რა კლასებია ეს კლასები?

თუ ღრმად ჩავუკვირდებით სტრაბონისეულ ცნობას და მის ზემოთ მოცემულ ანალიზს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ იბერიის იმდროინდელი საზოგადოება შემდეგი, მეტნაკლებად განვითარებული კლასებისაგან შესდგებოდა. სოციალური კიბის ერთერთი ყველაზე დაბალი საფეხური ეჭირათ კოლონებს (= სტრაბონის „ლაოი"). ეს არის ფეოდალური საზოგადოების კატეგორია „ყმებისა", როგორც უკვე თავის ადგილას დავახასიათეთ, კატეგორია პირადად დამოკიდებულ უმეშვეო მწარმოებელთა, რომელნიც მთლად მოკლებულნი არ არიან საწარმოო საშუალებებს. მათი თავისებური მდგომარეობა აქ იმაშია, რომ მათ ექსპლოატატორთა სახით უპირისპირდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლება და არა ფეოდალების კლასი, როგორც ეს ფეოდალურ საზოგადოებაში ხდება (სტრაბონის ცნობით, „ლაოი" ხომ მხოლოდ მეფეებს ჰყავდათ). კიდევ უფრო დაბალი საფეხური იმდროინდელი იბერიის საზოგადოებაში ეჭირათ მონებს, რომელნიც სტრაბონის ცნობაში პირდაპირ დასახელებულნი არ არიან, მაგრამ, როგორც უკვე ვამბობდით, უეჭველად იგულისხმებიან. ყველაზე ფართოდ მონური შრომით, რათქმაუნდა, ტაძრები და მათი წარმომადგენელნი — ქურუმები — სარგებლობდნენ. მაგრამ, ცხადია, მონები ეყოლებოდათ სამეფო დინასტიასაც და აგრეთვე იმ თავისუფალ მეომართა და მიწისმოქმედთ მესამე გენედან, რომელთაც ამისი ეკონომიური შესაძლებლობა და საჭიროება მოეპოვებოდათ (ასეთები-კი ამ

გენეში უთუოდ იყვნენ უკვე ამ დროს). მონებს ექსპლოატატორთა სახით მონათმფლობელნი უპირისპირდებიან. ყველაზე მსხვილ მონათმფლობელებს ტაძრები და ქურუმები შეადგენენ. დასასრულ, დიდი ნაწილი იბერიის მოსახლეობისა, რომელიც წოდებრივად მესამე გენეში იყო თავმოყრილი, საკმაოდ ჭრელ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. უმრავლესობა თავისუფალ მიწისმოქმედთაგან შედგებოდა, მაგრამ ქონებრივი უთანასწორობა ამ თავისუფალ მეურნეთა შორის ზოგჯერ საკმაოდ თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო. ზოგი მათგანი მონის შრომასაც გამოიყენებდა (იმ სახით, რა სახითაც ეს უკვე პატრიარქალურ საზოგადოებაშიც გვხვდება), ზოგი-კი ამის საშუალებას მოკლებული იქნებოდა. შემდეგ, უეჭველია, რომ ამ წრეში ამ დროს ჯერ კიდევ ძლიერი იქნებოდა საგვარეულო წყობილების ნაშთები, მაგრამ უფრო სოციალურს, ვიდრე საწარმოო სფეროში.

იბერიის საზოგადოების ასეთი შედარებით რთული და მრავალფეროვანი შედგენილობა ამ საზოგადოების წარმოშობით უნდა აიხსნას. საჭიროა ამიტომ, მოკლედ მაინც, შესაძლებელ მთლიანობაში განვიხილოთ ის განვითარება, რომელმაც სტრაბონის „გეოგრაფია"-ში აღწერილი საზოგადოებრივი სტრუქტურა მოგვცა. ეს დახმარებას გაგვიწევს შემდეგდროინდელი ამბების გაგებისათვისაც.

ქართველ ტომთა მიწაზე დაჯდომა, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა, მიწისმოქმედებაზე გადასვლასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მიწისმოქმედება აქ, როგორც ჩანს, პრიმიტიული მებოსტნეობის სახით არის წარმოდგენილი. სოციალურად ამ ცვლილებას შეეფარდებოდა „სახლ"-ის, როგორც ძირითადი სოციალური ერთეულის ჩამოყალიბება. „სახლი" (ჭანურ-მეგრული „ოხორი") არის გარკვეული საზოგადოებრივი ერთობა, რომელიც დასახელებული სამეურნეო ფაქტისა (მებოსტნეობა) და წინა პერიოდიდან მიღებული იდეოლოგიური ტრადიციების (ტოტემისტური ჯგუფის მონათესაობის შეგნების ფორმა) ნიადაგზე, მატრიარქალურ წესის მიხედვით ეწყობა. „სახლის" სათავეში დგას ქალი, დედათმთავარი, „დიასახლისი". სახლის წევრები ანუ „სახლისშვილები" ურთიერთნათესაობას დედის ხაზით ანგარიშობენ. ამიტომ არის, რომ დასავლეთ საქართველოში დღესაც „სახლისშვილი", ისევე, როგორც ჭანური „ოხრასკირი" (სკირი = შვილს) და „ოხრასურე", მეგრული (ამჟამად, მხოლოდ ნაწილობრივ) „ოხრასკილი" ისეთი ტერმინებია, რომელნიც აღნიშნავენ ნათესაობას დედის, ქალის, ხაზით. ხოლო „სახლის" ჩამოყალიბების კავშირი ბინადარ

ცხოვრებაზე გადასვლასთან მიზეზია იმისა, რომ, ასევე ტრადიციულად, ტერმინი მერმინდელ ხანებშიც „მიწაზე ჯდომის“, „მკვიდრობის“, „მ ო ს ა ხ ლ ო ბ ი ს“ მნიშვნელობის მომენტს შეიცავდა. შემდეგ, ეს „სახლი“ არის, ეთნოგრაფების ენით რომ ვთქვათ, „დიდი ოჯახი“ — ისეთი ერთობა ადამიანებისა, რომელიც ერთ ჭერქვეშ, ერთ ბინაში ცხოვრობს. ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ „სახლი“ ადამიანთა საცხოვრებელ შენობასაც დარქმეოდა, და დღეს ხომ ეს ტერმინი უპირატესად სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება. სახლის შვილების სოციალური ერთობა დამყარებულია მათს ეკონომიურ ერთობაზე. ერთ ჭერქვეშ ერთად ცხოვრება ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მომენტია. გარდა ამისა, [„სახლი“] გარკვეულ დროში მაინც, კოოპერირებულ სამეურნეო საქმიანობას ეწევა მიწის გარკვეული ნაჭრის საერთო მფლობელობის ნიადაგზე. აქედან — „სახლი“ შემდეგში, უკვე კლასობრივ საზოგადოებაში, შესაძლებელია ხმარებული ყოფილიყო, ერთი მხრით, მიწის გარკვეულ ნაკვეთის, რომელიც გლეხურ მეურნეობის საფუძველს შეადგენდა (= მერმინდელ „ფუძეს“) აღსანიშნავად, ხოლო, მეორე მხრით, თვით ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ერთეულის, სენიორიის, მენორის, — რომელიც აგრეთვე თავისებური ხასიათის ეკონომიურ ერთობას წარმოადგენდა, — აღსანიშნავადაც. თავისთავად ცხადია, რომ, ყოველივე ამასთან ერთად, პირველყოფილი „სახლი“ პრიმიტიული სამომხმარებლო კომუნიზმის პრინციპსაც ემყარებოდა.

ამრიგად, თავდაპირველად ქართული „სახლი“ წარმოადგენდა მიწაზე მჯდომს მატრიარქალურ კომუნას, რომელიც, თავის ზრდის გარკვეულ საფეხურამდე, ერთს ჭერქვეშაც ცხოვრობდა.

საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება იწვევს იმას, რომ მატრიარქალური „სახლი“ ადგილს უთმობს პატრიარქალურს, სადაც უპირატესობა მამაკაცს ეკუთვნის და რომლის სათავეშიც „მამასახლისი“ დგას. „სახლისკაცობას“ (გვარიშვილობას) ეხლა უკვე მამის ხაზით ანგარიშობენ. მეურნეობრივად ქართველ ტომთათვის ეს ცვლილება, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო მიწისმოქმედების შემდგომ განვითარებასა (მებოსტნეობის ინტენსიფიკაცია და მებაღეობის გაჩენა) და შინაური საქონლის მომშენებლობასთან, მეტნაკლები სიძლიერით (რასაც ქართველური ენების შედარებითი მასალა გვაფიქრებინებს). სათანადოდ ვითარდება და რთულდება ტომური ცხოვრებაც. „სახლთა“ კავშირი შეადგენს „ნათესავს“ (= ტომს). „ნათესავის“ ყველა სახლის შკილები შეადგენენ კრებულს, რომელსაც ეწოდება „ერი“. „ერი“ უაღრესად შესანიშნავი

ძველი ქართული ტერმინია, რომელიც ერთსადაიმავე დროს აღნიშნავს როგორც „ხალხს“, ისე „ჯარსაც“. ეს იმიტომ, რომ გვაროვნული საზოგადოება წარმოადგენს „საშხედრო დემოკრატიას“: ხალხი და ჯარი აქ ერთმანეთისაგან განუყრელნი არიან. ყოველი „ერის კაცი, ყოველი „სახლისშვილი“ იმავე დროს მეომარია. „ერის კაცი“ „ჯარისკაცსაც“ ნიშნავს. ყველა „ერის კაცი“ (ანუ „ერისგანი“), ყველა „სახლისშვილი“, თანასწორუფლებიანი წევრია საზოგადოებისა; ეს უფლებები, სხვათა შორის, გვაროვნული დემოკრატიის უზენაესი ორგანოების წევრობაში გამოიხატება. ასეთ ორგანოებს წარმოადგენს სახლი — გვარისა და ნათესავ-ტომის სახლისშვილთა ყრილობა, რომელსაც „ერის კრება“ ეწოდებოდა, როგორც მერმინდელი მასალებიდან არის საგულისხმებელი. ამ „ერის კრების“ საშუალებით ახორციელებს თავის ნებას გვაროვნული საზოგადოება ანუ „ყოველი ერი“. „ყოველი ერი“ ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „მთელი ხალხი“ არის უზენაესი ბატონ-პატრონი. ვინც ამ „ნათესავს“, ამ „თესლს“ (ე. ი. ამ მოდგმას) არ ეკუთვნის, ის „უცხო თესლია“ და, მაშასადამე, აქ, არა თავისი გვაროვნული საზოგადოების წიაღში, სათანადო უფლებებს მოკლებულია.

აი სწორედ ეს „ერი“ შეადგენდა სტრაბონის „მესამე გენეს“ და ამ გენეს იმ დროს ქართულად ჯერ კიდევ სწორედ „ერის“ სახელწოდება უნდა ეტარებინა. მაგრამ იმ დროს ეს „ერი“ აღარ იყო ძველი, პატრიარქალური ხანის, „ერი“—საზოგადოების დიფერენციაციის შედეგად, რომლის ტიპური პროცესი ჩვენ თავის ადგილას აღვწერეთ. ამ ერს გამოეყო ერთი ფენა და განსაკუთრებულს პრივილეგიურ მდგომარეობაში მოექცა. ეს იყვნენ „ქურუმები“, სტრაბონის „მეორე გენე“. დარჩენილებმაც დაჰკარგეს პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მრავალი ნიშანი. განსაკუთრებით ბარის სახლებში ამ დროს (I ს. ჩვენს ერამდე და უფრო ადრე) თემური მიწისმფლობელობა საესებით დარღვეულად არის საგულისხმებელი. სათანადოდ განვითარებული უნდა იყოს ეკონომიური დიფერენციაცია ცალკეულ სახლისშვილებს შორის.

მას შემდეგ, რაც ტაძრები თავიანთ მამულებზე შედარებით ფართო მეურნეობის წარმოებას იწყებენ და ამისათვის საჭირო ხდება მონების შრომის უფრო დიდი მასშტაბით გამოყენება, ჩნდება აუცილებლობა ისეთი აპარატის შექმნისა, რომელიც ტაძრების მრავალრიცხოვან მონებს მორჩილებაში იყოლიებს. ჩნდება შეფის ხელისუფლება და სახელმწიფო და ჩვენ ვფიქრობთ, მაშასა-

დამე, რომ მეფის ხელისუფლება ქართველ ტომებში მონათმფლობელთა ინტერესებისა და საჭიროებათა ნიადაგზე აღმოცენდა უპირატესად. ჩვეულებრივად-კი ფიქრობენ, რომ მეფის ხელისუფლება აქ მამასახლისის ხელისუფლების განვითარებას წარმოადგენდა, რომ მცხეთის მამასახლისი იქცევა უფროს, „მეუფე მამასახლისად“ და რომ ეს უკანასკნელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო სწორედ ნამდვილი ტიტული იბერიის მეფეებისა.

შესაძლებელია, რათქმაუნდა, რომ ტომის მამასახლისს, როცა საამისო ეკონომიური და სოციალური პირობები მზად იყო, უზურპაცია მოეხდინა და ის სუვერენული უფლებები, რომლებიც „ყოველ ერს“ ეკუთვნოდა, მიეთვისებინა, ანუ, როგორც ენგელსი ამბობს, „წინანდელი მსახური, ხელსაყრელ პირობებში, ბატონად ქცეულიყო თანდათანობით“.

ასეთ შემთხვევაში მივიღებდით შემდეგს: მცხეთის მამასახლისი იქცევა უფროს მამასახლისად, „მეუფე მამასახლისად“. მეუფე მამასახლისად ის იქცევა იმიტომ, რომ ეხლა ის უკვე მცხეთის მამასახლისი კი არ არის, არამედ მთელი ქვეყნის მამასახლისია. ასეთ შესატყვისობაში მცხეთას ქართლი უპირისპირდება. მაშასადამე, ძველი „მცხეთის მამასახლისი“, როგორც „მეუფე“, „ქართლის მამასახლისად“ ქცეულა. ქართლის მეფე ქართლის მამასახლისია. მაგრამ ეს ფაქტიურად არ არის სწორი. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ, როცა VI ს. სპარსელებმა ქართლში მეფობა მოსპეს, „ქართლის მამასახლისის“ თანამდებობა მათ დასტოვეს. „ქართლის მამასახლისს“ ამ დროს ქართლის მმართველ მოხელეთა შორის პირველ ადგილთაგანი უჭირავს. VI ს-ის ორმოციან წლებში ქართლის მამასახლისად ვინმე გრიგოლი ყოფილა.

ამრიგად, საესებით ცხადია, რომ ქართლის მეფისა და ქართლის მამასახლისის ხელისუფლებანი სულ სხვადასხვა იყვნენ.

დასაჯერებელია, რომ ტერმინი „მეფე“ „მეუფის“ განვითარებას წარმოადგენს. მაგრამ ასეთი ცვლილება შემთხვევითი არ იყო და ეს ენობრივი ფაქტი ასახავდა იმ გარდატეხას, რომელიც რეალურ ურთიერთობაში მოხდა. „მეფე“-ს მონარქის, ხოლო „მეუფე“-ს უფრო ზოგადი, მნიშვნელობა მიენიჭა.

მონარქიის ჩამოყალიბება სამეფო დინასტიის განსაკუთრებულს პრივილეგიურ მდგომარეობაში მოქცევას მოასწავებს. ჩნდება „პირველი გენე“, რომელსაც ქართულად უნდა „სეფე“-ს, ან „სეფე-სახლის“ სახელწოდება ეტარებინა. დოც. ვარლამ თოფურიას სამართლიანი შენიშვნით, „სეფე“ ქართული სიტყვაა, იმა-

ვე ძირისა, რომელსაც „მეფე“ ეკუთვნის, და არა სპარსული ტერმინი, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ. ჩვენ აქ ის უნდა დავუმატოთ, რომ, რაც ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა, „სეფე“ ჩნდება „მეფის“ ნიადაგზე, მას შემდეგ, რაც საბოლოოდ მოხდა დიფერენციაცია „მეფესა“ და „მეუფეს“ შორის, რეალური ცვლილების ნიადაგზე (ფორმა „სეუფე“ არ მოიპოვება). ამრიგად, სამეფო სახლის პრივილეგიურ მდგომარეობაში მოქცევა შედეგი იყო მონარქიის წარმოშობისა და არა პირუკუ! „სეფე“ აღნიშნავდა სამეფო სახლს, როგორც სოციალურ ერთობას (დ ი ნ ა ს ტ ი ა), მეფის სახლს, როგორც სამეურნეო ერთობას (სამეფო დომენი), და აგრეთვე თვით სამეფო სასახლეს, სამეფო კარსაც. დასასრულ, „სეფე“ შეიძლებოდა ხმარებული ყოფილიყო თვით სამეფო სახლის წევრთა აღსანიშნავადაც, მაგრამ უკანასკნელი მნიშვნელობით, ჩვეულებრივად, „სეფე-წული“ (=სეფე-შვილი) იხმარებოდა. ასეთივე კომპოზიტით აღნიშნავდნენ სამეფო კარის მსახურ მონებსაც. „სეფე-ქალი“, მაგალითად, შეიძლებოდა ხმარებული ყოფილიყო სამეფო სასახლის ხეველის აღსანიშნავად. ფეოდალურ საზოგადოებაში ტერმინმა „სეფე“-მ უფრო ზოგადი მნიშვნელობაც მიიღო.

ასეთი იყო თავდაპირველად იბერიის სოციალური აღნაგობა და მისი გაბატონებული კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ დავახასიათეთ, როგორც თეოკრატია.

როგორღა გაჩნდა „მეოთხე გენე“? მისი გაჩენა შესაძლებელი იყო სამი გზით: 1) სოციალური დიფერენციაციის შედეგად „ყოველი ერიდან“ გამოყოფა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასახელებულ გზას ჩვენ უარვყოფთ, ვინაიდან ამ პროცესის შედეგად „მდაბიო ხალხი“, უწინარეს ყოვლისა, ტაძრების ყმებად უნდა ქცეულიყო, და არა მარტო სამეფო სახლისა, როგორც გადმოგვცემს სტრაბონი. რამდენადმე გაუგებარი იქნებოდა აგრეთვე „მესამე გენეს“ მოცემული ხასიათი; 2) მეფის მონების მიწაზე დასმა. ეს სავსებით შესაძლებელია, მხოლოდ არ მოგვეპოვება საკმაო საბუთი*; 3) უცხო თემების დაპყრობა კლასობრივად საკმაოდ და დიფერენცირებულ საზოგადოების ხელისუფლების მიერ, დაპყრობილ თემთა მიწების სამეფო ფონდში გადარიცხვა და ამ ნიადაგზე თვით დაპყრობილთა ჩაყენება ყმურ მდგომარეობაში მეფის, როგორც სამხედრო ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლისა და დასახელებული მიწის ფონდის უზენაესი პატრონის, მიმართ. ჩვენ უფრო ამ შესაძლებლობისა-

*) აქ ავტორის აზრი ლითოგრაფიულად დაბეჭდილ ტექსტში დაბმთავრებელია: ის ასე იკითხება: „იმისათვის, რომ იბერიის მეფის სახლის როდესმე და რომელსამე (როგორს?) პირობებში;“

კენ ვიხრებით, მაგრამ საბოლოოდ ამ საკითხს მომავალი კვლევა გადასწყვეტს. რა უნდა რქმეოდათ ქართულად „მეოთხე გენეს" წევრებს? თუ მერმინდელი, ფეოდალური საზოგადოების, ტერმინოლოგიიდან ამოვალთ — „გლეხები", მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება ჯერ კიდევ ამ საკითხის გარშემო დამატებითს კვლევა-ძიებას მოითხოვს.

წარმოდგენილი ანალიზი უმთავრესად ენობრივ მასალებს ეყრდნობა. თუ ისტორიულ-წერილობითი სურათი ქართველ ტომთა სოციალური დიფერენციაციის პროცესისა შენახული არ არის, სამაგიეროდ მოგვეპოვება მერმინდელი ანალოგიები, რომელნიც საშუალებას გვაძლევენ თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ აღნიშნული პროცესის ზოგიერთი, მეტად საყურადღებო, მომენტი ცოცხალი ცხოვრების მასალაზე. შევჩერდებით აქ მხოლოდ ერთ მაგალითზე, რომელსაც გვაძლევს ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესანიშნავი ძეგლი, ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანე, რომლის, როგორც სოციალურ ისტორიის დოკუმენტის, მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს.

ავტორი აგვიწერს ბიბილურთა გვარის ქსნის ხეობაში გაერისთავების ისტორიას. თავისი ფეოდალური ტენდენციის გამო ის ხშირად არღვევს ისტორიულ პერსპექტივს, უმართებულოდ აშუქებს ისტორიულ ფაქტებს, აზვიადებს ერთი რიგის მოვლენებს, ამცირებს მეორე რიგისას.

მაგრამ კრიტიკული თვალსაზრისი ობიექტურ სინამდვილის აღდგენას შესაძლებელს ხდის.

პოლიტიკური უბედობის მიზეზით სამშობლოდან გადმოხვეწილი, ცხრაზმის ხევში მოდის როსტომ ბიბილური თავისი ორი ძმით, შვილებით და სამოცდაათი „კეთილი" (კარგი, რჩეული) მონით. ცხრაზმისხეველებს ამ დროს სამხედრო გასაჭირი ადგას. მოსულნი, პირველ რიგში, რათქმაუნდა, როსტომი, ჩინებული მეომრები არიან. იგულისხმება, რომ შეიარაღებითაც ეს რაზმი უზადოა. როსტომი და მისი მხლებლები დაუფასებელ სამხედრო სამსახურს უწევენ თავიანთ მასპინძლებს. ამიტომ ეს უკანასკნელნი გადასწყვეტენ ამიერიდან „ეს გოლიათი კაცი" თავიდან აღარ მოიშორონ. იქნებ მათ ჰსურთ როსტომის მხოლოდ შეყვანა ჩვეულებრივ წევრად თავის საზოგადოებაში, მაგრამ თვით როსტომს სხვა განზრახვა აქვს.

იგი უკავშირდება ცხრაზმის ერთ-ერთი მთავარი პუნქტის მამასახლისს, [illegible] ეს მამასახლისი უკვე

გვაროვნული საზოგადოების წარმომადგენელი კი არ არის, იგი მეფის მოხელეა, მისი „პატივი და ხელი (= თანამდებობა) მეფეთაგან არის მოცემული“.

როსტომი მოითხოვს გუგაკისაგან, რომ იგი „უქმნიდეს“ და „ეტყოდეს“ ხოლმე ყველაფერს, „რომელი სჯობდეს საქმედ“ როსტომისთვის, ე. ი. საქმით და სიტყვით ეხმარებოდეს მას. სანაცვლოდ როსტომი ჰპირდება ლარგვისის მამასახლისს მისი „პ ა ტ ი ვ ი დ ა ხ ე ლ ი, რომელ მეფეთაგან მოცემულ არს“ (=მამასახლისობა), ს ა მ უ დ ა მ ო დ შ ე უ ნ ა რ ჩ უ ნ ო ს მის შთამომავლობას. გუგაკი სავსებით კმაყოფილია ამ პირობისა: „მე თავი ჩემი დავსდვა ე რ თ გ უ ლ ე ბ ი თ მ ს ა ხ ურ ე ბ ა დ შ ე ნ დ ა და ღმერთმან წარგიმართოს უმჯობესი ყოველი“,— არის გუგაკის პასუხი. იგი თავის მხრით ე რ თ გ ზ ე ულ ს ა მ ს ა ხ ურ ს კისრულობს. აქ დახატულია ტიპური სურათი იმისა, თუ როგორ მყარდება ორ პირს შორის გარკვეული სახე ფეოდალური ურთიერთობისა, რომლის შესახებაც ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი.

აი, ეს მამასახლისი საიდუმლოდ ურჩევს როსტომს: თუ გინდა ამ ქვეყანაში დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ა, „ი თ ხ ო ვ ე ს ა ფ ლ ა ვ ი მ ო ნ ა ს ტ ე რ ს ა ამას, რამეთუ ყ ო ვ ე ლ თ ა დ ი დ ებ უ ლ თ ა ა ზ ნ ა ურ თ ა ს ა ფ ლ ა ვ ი ა ქ ა რ ს, და ს ო ფ ე ლ ნ ი, ესე რომელნი ღვთივ გვირგვინოსნისა იყო, იუსტინიანე აღმშენებლისაგან შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი არიან, ი ყ ო წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ მათდა“-ო. მონასტერს მამულები აქვს. ამ მამულების გამგეობა ტაძრის, საყდრის წარმომადგენელთა, მსახურთა, მოხელეთა ფუნქციაა. ტაძრის, საყდრის წარმომადგენლის ერთ-ერთი გარეგნული ნიშანია უფლება დასაფლავებულ იქნას მონასტერში (ამით ცხადდება მისი სიახლოვე და განსაკუთრებული კავშირი ტაძართან).

როსტომმა ამ უფლების შეძენით უნდა თვით საყდრის, ტაძრის წარმომადგენლის უფლებებიც და პატივიც შეიძინოს, რომ შემდეგ ამ გზით ხელი დაადოს თვით ტაძრის მამულსაც. აქ მემატიანეს საჭიროდ მიაჩნია სცენაზე „ყოველი ერი“ გამოიყვანოს („მე მოვითხოვო ყოველისა ამის ერისაგან“ საფლავი მონასტერშიო,— ეუბნება როსტომი გუგაკს. შემდეგ: „რქუა ყოველმან ერმან როსტომს“, რა გსურს, რომ შენთვის ვქნათო. ეს ყოველი ერი ქვემოთაც რამდენიმე გზის იხსენიება. სხვა შემთხვევაში იგი უდრის „ყოველთა ცხრაზმისხეველთ“ ან მარტივად „ცხრაზმისხეველებს“, ე. ი. „ყოველ ერს“ შეადგენს ცხრაზმის ხეობის მთელი თემი, (მოსახლეობა). „ყოველი ერის“, მთელი ხალხის, უფლება ყოფილა შე-

უსრულოს როსტომს ეს საწადელი, რომელიც მისი ფარული ზრახვის განხორციელების გზაზე პირველ საჯარო ნაბიჯს წარმოადგენს.

შესაძლებელია (და უფრო სწორედ ასეც უნდა იყოს), რომ აქ ავტორი ტენდენციურად ცდილობს ხალხის ნებაყოფლობითი სანქციის შთაბეჭდილება შეექმნას ბიბილურთა გაერისთავების საქმეში.

სინამდვილე სხვანაირი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მაინც ცხადია, რომ გვაროვნული საზოგადოების სუვერენს — „ყოველ ერს", რომელსაც ამ დროს, რათქმაუნდა, თავისი ძირითადი პრეროგატივები უკვე აღარ გააჩნდა, მაინც შერჩენილი ჰქონდა იმდენად ძლიერი ტრადიციები, რომ შესაძლებელი იყო მიზეზი გამხდარიყო ფეოდალური მემატიანის აღნიშნული ტენდენციისათვის. და აი, მემატიანის მტკიცებით, როსტომმა „ყოველი ერის" კითხვაზე, თუ რა სურს მას, „მოითხოვა საფლავი ლარგვისსა და საჯდომად სახლი შუა საყდრისშვილთა და ცხრაზმის ციხისთავის ნაქონები მამული". მაშასადამე, როსტომი ეძიებს: 1. საფლავს (სასაფლაოს) ტაძარში, ზემოთ აღნიშნული მიზეზით; 2. „საჯდომად სახლს", სასახლო ადგილს, მამულს, რომელიც უპირატესად უნდა იყოს მისი რეზიდენცია. ამ ადგილს როსტომი ეძიებს „შუა საყდრისშვილთა". საყდრისშვილებად იწოდება მთელი ის პერსონალი, რომელიც დაკავშირებულია კულტსა და ტაძართან, კერძოდ — ტაძრის მეურნეობასთან. უპირატესად აქ ტაძრის, საყდრის, მოხელე ხელისუფალნი იგულისხმებიან (საკათალიკოსო სენიორიისათვის სათანადო პარალელს „მცხეთისშვილი" წარმოადგენს, ზოგადად-კი იხმარებოდა „ეკლესიის შვილი". მაგ. ერთს, მე-16 საუკ. დამდეგის დოკუმენტში ნათქვამია: „დიდი და პატიოსანი ვარძიის მონასტერი მისითა შესავლითა და ეკლესიის შვილებითა").

ტერმინი, რათქმაუნდა, საგვარეულო წყობილებიდან მოდის, მაგრამ ამ დროს მას ახალი შინაარსი აქვს. „საყდრისშვილთა შუა", ცენტრალურ ადგილას, „სახლი" ტყუილად არ არის მოთხოვნილი—ეს გარემოებაც საფუძველი უნდა გახდეს როსტომის მომავალი პრივილეგიებისათვის: ცენტრალური ადგილი უფროს საყდრისშვილს უჭირავს (დაწვრილებით ამის შესახებ — შემდეგში).

3. თავისი მდგომარეობის საბოლოო განმტკიცებისათვის როსტომს თავის მოთხოვნებში კიდევ ერთი პუნქტი აქვს წამოყენებული, რომელსაც იგი ამყარებს იმაზე, რომ მას, როსტომს, თვით ცხრაზმისხეველებისათვის უპირატესად სამხედრო ინტერესი და მნიშვნელობა აქვს. იგი ხ ე ო ბ ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ხელმძღვანე-

ლი, წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი, უნდა გახდეს, მან ცხრაზმის ც ი ხ ი ს თ ა ვ ი ს ადგილი უნდა დაიჭიროს. ამისთვის მას ერგება „შუა (აქაც — ცენტრი!) ცხრაზმის ციხისთავის ნაქონები მამული“, რომელიც თემის ამ მოხელისათვის თვით თემს დაუთმია, როგორც მისი შრომის საზღაური, გასამრჯელო. როსტომი ორი გზით მიილტვის თავისი მიზნისაკენ, მაგრამ ეს გზები არ არიან გათიშულნი ერთმანეთისაგან: ციხისთავიც საყდრისშვილია.

ერი ასრულებს როსტომის მოთხოვნას: „მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისხეველთა: შუა ცხრაზმის ციხისთავისა ნაქონები სოფელნი და ქვეყანანი, საფლავი ლარგვისსა და საჯდომი ქვენიფნევს“... როსტომის ფუნქცია ხეობაში ამის შემდეგ უპირატესად სამხედრო ხასიათისაა: როსტომმა და მისმა ძმებმა „იწყეს შ ე ნ ე ბ ა დ ც ი ხ ი ს ა და სახლებისა დიდ-დიდებისა. და უკეთუ ს ა დ ა ი ყ ვ ი ს ლ ა შ ქ რ ო ბ ა, ი გ ი ნ ი ი ყ ვ ნ ი ა ნ წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ბ რ ძ ო ლ ა თ ა, და ა რ ა ვ ი ნ ი პ ო ვ ე ბ ო დ ა მ ა რ ტ ო დ მ ბ რ ძ ო ლ ი რ ო ს ტ ო მ ი ს ა, და შეიყუარნა ყოველმან ერმან ცხრაზმისხევისამან“. საფლავსაც როსტომი, თავის „ერთგულად მსახურ“ მამასახლისის დახმარებით, მიიღებს ტაძრის საუკეთესო ადგილას. ამრიგად, ის და მისი ნათესაობა ერისა და საყდრისშვილების ყველაზე წარჩინებულ წრეში ექცევიან. რამდენისამე ხნის შემდეგ როსტომი ერისთავობასაც მიიღებს. ამ პროცესის აღწერილობაც მეტად საყურადღებოა.

დიდებულნი და აზნაურნი ეძიებენ მეფისაგან ცხრაზმისხეობის ერისთაობას. ... „იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან თხოვად ერისთაობისა ბირებითა ერისათა, რამეთუ იტყოდეს: ვისიცა იყოს საფლავი, მას შეჰგავს ეკლესია და ყოველი მიმდგომი მისი“, ე. ი. ვისაც საფლავი აქვს მონასტერში, ვინც, მაშასადამე, ტაძრის წარმომადგენელია, მას შეჰფერის ეკლესია. და ამ ეკლესიის, საყდრის, „მიმდგომი“, ყველაფერი, რაც ტაძართანაა დაკავშირებული. პირველ რიგში-კი, რაიქმაუნდა, მამული, მიწებიო, — აი, რას ამბობენ ერისთავობის მაძიებელნი. მეფის გამოძიება არკვევს, რომ „ყოველთა მახლობელთა დიდებულთა და აზნაურთა შეექმნა საფლავი, ნუთუ-მცა მიუბოძნა ქვეყანანი, შეწირულნი ეკლესიისათვის“ — ყველა მახლობელ დიდებულსა და აზნაურს (მაგრამ მაინც მხოლოდ ამ წოდების ხალხს) გაუჩენიათ თავიანთვის სასაფლაო ტაძარში იმ იმედით, რომ ამ გზით მიიღებენ ისინი ტაძრისათვის შეწირულ მამულებს. რაკი, მაშასადამე, პრეტენდენტი და კანდიდატი ბევრია, მეფე ბრძანებს: ვისი საფლავიც ყველაზე საპატიოა,

ყველაზე „უპატიოსნესია“, „მისი არს ეკლესიისა გასაგებელი ყოველი სამართლად, უკეთუ ენების ერთა“, — სამართლით მას ეკუთვნის ტაძრის მთელი საგამგეო, თუ ერმა ისურვოსო (ერი ისევ ჩნდება სცენაზე!). მაშინ ტაძრის ერთი მსახურთაგანი, „კლიტეთმპყრობელი“, მოახსენებს მეფეს, რომ ასეთია როსტომის საფლავი, რომელიც მას მიცემული აქვს „ყოველთა ცხრაზმისხეველთაგან“ და ამიტომ, „უკეთუ ინებოს მეფეებამან თქვენმან, მას შეჰგავს ყოველი გასაგებელი ეკლესიისა, მსახურება თქვენი და მთავრობა შვიდთა მათ ხევთაო“, თუ თქვენი დიდებულება ინებებს, როსტომს შეჰფერის ტაძრის საგამგეო (მამული), თქვენი სამსახური და ამ ხეობის მთავრობაო. მეფე ერთხელ კიდევ კითხულობს ერის ნებას: „ვითარ ჰნებავს ერთა“-ო? და პასუხად გაიგებს, რომ „ჰნებავს იგი ყოველთა ხევთა შუა მ კ ვ ი დ რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს“, როსტომი უნდა მთავრად მთელ ხეობას, რადგანაც მას სამკვიდრებელი, რეზიდენცია, ცენტრში (აქვსო იგულისხმება საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის ცენტრი). მეფე ამის შემდეგ ნიშნავს როსტომს ერისთავად: „მაშინ მიუბოძა შვიდნი ესე ხევნი გასაგებელად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა ერისთავი ცხრაზმის ხევისა და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თავისი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და შუბი“. როსტომი იღებს მთელი ხეობის გამგებლობას, ტაძრებს და ამასთან ერთად მასვე უქვემდებარებენ ხეობის აზნაურებს. გარდა ამისა, თავისი თანამდებობის ნიშნად ის მოიპოვებს უფლებას ატაროს სათანადო გარეგნული ნიშნები, რომელთა შორისაც სპეციალურად იპყრობს ყურადღებას საკუთარი საომარი იარაღი და აგრეთვე ცხენის მძიმე საჭურველი.

რათქმაუნდა, მთელი ეს სურათი საკუთრივ ფეოდალურ სამყაროს ეკუთვნის და პირველ რიგში ამ სამყაროს განვითარებისათვის არის საინტერესო. მაგრამ მასში, ჯერ ერთი, უეჭველად არის უფრო ძველი ელემენტი და, გარდა ამისა, საანალოგიოდაც მას დიდი მნიშვნელობა აქვს.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენთვის საყურადღებოა ძეგლის მკაფიო და დაჟინებითი ჩვენება, რომ ს ო ც ი ა ლ უ რ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ წ ვ ე რ ვ ა ლ ი ს კ ე ნ მ ო ძ რ ა ო ბ ა, ასე ვთქვათ, ს ა ბ ო ლ ო ო ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ზ ე, საბოლოო ანგარიშით, ტ ა ძ რ ი ს მ ე მ ა მ უ ლ ე ო ბ ი ს გ ზ ი თ ხ დ ე ბ ა. ვინც „საყრდის შვილია“, ტაძრის მსახურია, ამ მემამულეობის რეალური, ფაქტიური სუბიექტიც ის არის. შემდ-

ბომი მეტამორფოზი მსახურიდან ბატონისაკენ შედარებით ადვილი საქმეა.

ლარგვისის ქრისტიანული ტაძრის მიწები მეფე-ფეოდალთა მიერ არის შეწირული. პირველყოფილი საზოგადოების თავისუფალ თემში-კი ამ მიწას თვით თემი გამოჰყოფს საერთო საზოგადოებრივი ფონდიდან. გვაროვნული საზოგადოების ყოველ ერთეულს [(გვარი, ფრატრია, ტომი, ან, სხვა დაყოფით, დაბა (სოფელი), ხევი, სოფელი (ქვეყანა)] მოეპოვება გარკვეული თავისუფალი მიწის ფონდი, რომელიც გადარჩა გვარისშვილთა პირად სამეურნეო საჭიროებას.

ამ ფონდიდან „ერი" გამოჰყოფს გარკვეულ ნაკვეთებს, რომელთა საშუალებითაც ის აკმაყოფილებს თავის საზოგადოებრივ დაწესებულებათა საჭიროებებს, ან აანაზღაურებს თავისი მოხელეების შრომას. მაგრამ ვიდრე ამ კომუნას თავისი სუვერენული უფლებები შერჩენილი აქვს, ეს მიწის ნაჭრები განკუთვნილია თვით საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და სამოხელეო თანამდებობისადმი, და არა ამ დაწესებულებათა წარმომადგენელ ან ამ თანამდებობათა მატარებელ პირებისადმი. უკანასკნელნი ხომ „ერის" ნებით იცვლებიან: დღეს ერთია, ხვალ შეიძლება მეორე იყოს. ამ მიწების აღნიშნულ პირთა მიერ მითვისება ღრმა საზოგადოებრივ ცვლილებას მოასწავებს.

თავისებურ პირობებში, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით, ტაძრის მსახურნი ქურუმების სახით გაბატონებულ სოციალურ კლასად იქცევიან. ქართველ ტომებში, ჩვენ გვგონია, ეს პროცესი დაკავშირებული იყო ინტენსიური მებოსტნეობის კულტურისა და, უკანასკნელზე დაქვემდებარებით, მებაღეობის ნიადაგზე, ზოგიერთი სამუშაოს (კერძოდ ირიგაციისა და სასოფლო სამეურნეო საქმიანობის კალენდარული განსაზღვრის) საზოგადოებრივი კონტროლისა და განწესრიგების აუცილებლობასთან (სათანადო არგუმენტაციაზე აქ, უადგილობის გამო, სამწუხაროდ, ვერ შევჩერდებით). აქ საჭიროა შევნიშნოთ: ქურუმები იმიტომ კი არ იქცევიან გაბატონებულ კლასად, რომ ისინი წარმოების ორგანიზატორები არიან. სინამდვილეში ეს პროცესი პირუკუ ხდებოდა. წინასწარი ერთგვარი ეკონომიური დიფერენციაცია არის აუცილებელი პირობა საზოგადოებრივი ფუნქციების უზურპაციისა და საზოგადოებრივი მიწების მიტაცებისათვის. როსტომი უკვე ეკუთვნის, ეკონომიურად და სოციალურად, გაბატონების გზაზე დამდგარ ჯგუფს. სხვა არა იყოს რა, გარკვეული ეკონომიური საფუძველი სჭირია

როსტომისა და მისი რაზმელების სამხედრო თვისებათა (საუკეთესო შეიარაღება, სამხედრო გაწვრთნილობა და სხვა) წინასწარ შემზადებას. ასევეა თეოკრატიის წარმოშობის შემთხვევაშიც. სხვებთან შედარებით, ეკონომიურად დაწინაურებული ჯგუფი, დიფერენციაციის გზაზე შემდგარ საზოგადოებაში, მონოპოლიურად ითვისებს ტაძრების სამსახურს, ტაძრების მამულების გამგეობას, იმდროინდელ ცოდნის მარაგს, რომელიც ქურუმთა ხელშია, და ამრიგად გზას იკაფავს თავისი საბოლოო კლასობრივი გაბატონებისაკენ.

ტაძრების მამულს გარდა, სათემო მიწებიდან გამოყოფილი არის ხოლმე აგრეთვე გვარის, თემის საერო (როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო), სამოხელეო დაწესებულებათა საჭიროებისათვის, სათანადო მიწის ნაკვეთები. XI საუკუნეში ბაგრატ IV ოპიზის მონასტერს სწირავს სოფელს და ამბობს: ... „თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩუენისაგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა“ (საქ. სიძვ. II, 4; პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტ. I, 174), ე. ი. მე თვითონ მოვიკელი და ჩემი „სამამასახლისო სამსახურებლიდან“ სოფელი შევწირეო. რადქმაუნდა, ეს მიწისმფლობელობა სულ სხვა ახალ ნიადაგზე იყო წარმოშობილი. მაგრამ თავისთავად ტერმინი ძველია და უდაოდ მიუთითებს იმაზე, რომ გვაროვნულ საზოგადოებაში არსებობდა გარკვეული მიწის ფონდი, რომელიც „მამასახლისის სამსახურის“ ასანაზღაურებლად იყო თემის მიერ გამოყოფილი. ასეთივე „სამსახურებელი“ მიკუთვნებული ჰქონდა სამხედრო ბელადს, „წინამძღვარს“ (შეადრ. ცხრაზმის ციხისთავის შესახებ ცნობა). ეს მიწები, რომელნიც თავდაპირველად „ერის“ საკუთრებას შეადგენდნენ, შემდეგ კერძო საკუთრებად იქცევიან, მიტაცების გზით.

ყოველივე თქმულის ნიადაგზე გასაგები უნდა გახდეს სტრაბონისეული იბერიის საზოგადოების ხასიათი. ეს არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ გარკვეულიდა ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის სახე არ მიუღია. აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს. თავდაპირველმა დიფერენციაციამ მოგვცა გაბატონებული ჯგუფი ქურუმებისა, რომელნიც მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნიან და რომელთა პოლიტიკური ბატონობის ფორმაც თეოკრატიის ხასიათს ატარებს. მაგრამ წარმოების მონათმფლობელურ წესს, რომელიც წარმოადგენ-

და ქურუმთა ბატონობის საფუძველს, არასოდეს არ მიუღია, როგორც ჩანს, ქართველ ტომებში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო. გვაროვნული საზოგადოების ერთმა ნაწილმა (მესამე გენე, „ერი") დიდხანს, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გაბატონებამდე, შეინარჩუნა ერთგვარი ეკონომიური დამოუკიდებლობა და ნაწილი თავისი ძველი პოლიტიკური უფლებებისა; სუსტად და აქა-იქ ამ წრეშიც ვხვდებით მონის შრომის გამოყენებას, სოციალურსა და პოლიტიკურ სფეროში — გვაროვნული წყობილების ნაშთებს, მაგრამ ეკონომიურად მაინც ამ ფენის უმრავლესობა წვრილი მესაკუთრე-მწარმოებლებისაგან შედგება. ყველაზე გვიან ამ საზოგადოებაში ისახება ფეოდალური წესი წარმოებისა, რომელიც თანდათან უპირისპირდება მონათმფლობელურს. ყმის შრომის ექსპლოატაციას თავდაპირველად და ყველაზე ადრე „სეფე-სახლი", სამეფო სახლი, ეწევა. მეფის ხელისუფლება დიდხანს ატარებს აქ თეოკრატიულ ხასიათს, რადგანაც მის (მონარქიის) სოციალურ დასაყრდენს ქურუმები წარმოადგენენ. მაგრამ აღნიშნულ ნიადაგზე უეჭველად უნდა ჩასახულიყო და განვითარებულიყო, ჯერ სუსტად, შემდეგ თანდათან სულ უფრო და უფრო ძლიერად, წინააღმდეგობა მეფესა და ქურუმებს შორის (ანალოგიურ პროცესს ჩვენ მრავალ ძველ ქვეყანაში ვხედავთ). ეს მით უფრო შესაძლებელი ხდებოდა, რომ ფეოდალური ურთიერთობა ისახებოდა და ვითარდებოდა იბერიის საზოგადოების ძირითად ფენაში, სტრაბონის „მესამე გენეში", ქართულ „ერში". ამ „მესამე გენეს", „ერის", მთელი შემდეგდროინდელი ისტორია იმაში მდგომარეობს, რომ იგი სულ უფრო და უფრო მკვეთრად და შეურიგებლად იყოფა ორ ბანაკად: უმრავლესობა თანდათან ჰკარგავს თავის ძველს ძირითადს ქონებრივსა და სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს და „მეოთხე გენეში", „გლეხობაში", გადადის (თავისი მდგომარეობის მიხედვით), უმცირესობა-კი ჰქმნის იმ კლასს, რომელსაც ჩვენ ფეოდალებს ვეძახით. ამ კლასს გარკვეული ურთიერთობა უჩნდება ძველს გაბატონებულ კლასთან — ქურუმებთან — და მეფესთან. ეს ურთიერთობა თანდათან იღებს მტრულ ხასიათს ქურუმთა მიმართ, ხოლო მონარქიისათვის იგი თავდაპირველი მსახურისა და მოკავშირიდან მთავარ სოციალურ საყრდენად იქცევა.

ასეთია ძირითადი ხაზი იბერიის საზოგადოების შემდეგდროინდელი განვითარებისა.

დასავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ნაკლები ცნობები მოგვეპოვება. მაგრამ აქაც, რაკი კლასობრივი საზოგადოების ისტორიის დასაწყისში თეოკრატიულ მომენტს ვხვდებით, განვითარება დაახლოებით მსგავსივე უნდა ყოფილიყო.

ეს ჩვენ მიერ აღნიშნული თეოკრატიული მომენტი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მერმინდელი ფეოდალური საზოგადოების ზოგიერთი მოვლენა. შესაძლოა, მაგ., მის ნიადაგზე აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ ძველი კახეთის სამთავროს მფლობელი საეკლესიო-იერარქიულს ტიტულს ატარებს (თუ რომ ეს ტიტული მართლაც „ქორეპისკოპოსი"-ა). შესაძლოა აგრეთვე მასვე უკავშირდებოდეს ის გარემოება, რომ ასალ კახეთის სამეფოში სამხედრო ოლქების, „სადროშოების" სათავეში საეკლესიო პირები, ეპისკოპოსები, დგანან, და, უეჭველია, აღნიშნული სათავიდან მომდინარე ტრადიციების ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს ის მნიშვნელობა, რომელიც ფეოდალის ფსიქო-იდეოლოგიურ სამყაროში უჭირავს სასაფლაოსა და კარის ეკლესიას. საილუსტრაციოდ ის. სია სამცხის თავადებისა, რომელნიც მცხეთის კათალიკოსის სამწყსონი არიან. აქ ოცამდე დიდი გვარია ჩამოთვლილი და თვითეულის შესახებ სპეციალურად აღნიშნულია, რომ მას „სასაფლაო მონასტერი და კარის ეკლესია მოეპოვება", ამ წესით: „სამძივარი მისითა სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა", „აბუსერისძენი სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა", „სპასალარნი სამით სასაფლაოთა მონასტრებითა და კარის ეკლესიითა" და სხვ. ამ ტრადიციებს შესაძლოა გავლენა მოეხდინათ მონასტრების მერმინდელ ეკონომიურ როლზედაც. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით თავის ადგილას ვისაუბრებთ.

ადრეული ფეოდალიზმი

ასეთი იყო მდგომარეობა პირველი საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე (ან, შესაძლოა, უფრო ადრეც). მერმინდელი განვითარების გასაგებად მნიშვნელოვანია იმდროინდელი პოლიტიკური ისტორიის ამბების გათვალისწინება.

ჩვეულებრივად საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას იწყებენ რომაელთა შემოსვლით ამიერ-კავკასიაში. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებით მრავლდება ცნობები საქართველოს შესახებ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში, მაგრამ ჩვენ საშუალება გვაქვს ზოგადად მაინც წარმოვიდგინოთ უფრო ადრინდელი პოლიტიკური ვითარებაც.

თავი რომ დავანებოთ ქართულ ეროვნულ ტრადიციებს, რომელთა მიხედვითაც მცხეთის სამეფოს ჩამოყალიბება მეოთხე საუკუნის დასასრულზე მოდის (ამ ტრადიციებს ჯერ კიდევ კრიტიკული შესწავლა სჭირდება, თუმცა ისინი უეჭველად შეიცავენ ჭეშმარიტების ელემენტს. მაგ., ამ ქართული ცნობების სომხურთან შედარებით ირკვევა, რომ ეს ძველი იბერიის მეფეები ფარნავაზიანთა დინასტიას ეკუთვნოდნენ), — უაღრესად საყურადღებოა ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ა პ ო ლ ო დ ო რ ი ს (ცხოვრობდა II ს. ჩვენს ერამდე) ცნობა, რომ ი ბ ე რ ი ა ს ს ო მ ხ ე თ ი ს ა გ ან მდ. ა რ ა ქ ს ი ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს. მაშასადამე, იბერია საკმაოდ ვრცელი სახელმწიფოა და, მასთან ერთად, ძლიერიც, როგორც ეს ჩანს რომაული ცნობებიდან, რომ წინათ იბერიელები არავის ემორჩილებოდნენო.

პირველი დიდი ზიანი მცხეთის სამეფოს მიაყენეს ანტიოქოზ დიდის სარდლებმა — არტაქსიამ და ზარიადრემ, — რომელთაც სომხეთის (არმენიის) სამეფოები დააარსეს და, კერძოდ, იბერიას წაართვეს სამხრეთი პროვინციები — პარიადრის მთის კალთები, ხორზენე და გოგარენე. ეს უნდა მომხდარიყო მეორე საუკუნის დამდეგს, ასე რომ აპოლოდორის ცნობა ამაზე ადრინდელ ხანას ეკუთვნის.

კოლხეთის ძველი სამეფო, როგორც ჩანს, იბერიასთან შედარებით ადრე დასუსტებულა. მალე ბან პოლიტიკური დამოუკიდებლობაც დაჰკარგა. ეს ამბავი პონტოს სამეფოს გაძლიერებასთან იყო დაკავშირებული. ამ სამეფოს, · რომელსაც უკვე რამდენიმე საუკუნის არსებობის ისტორია ჰქონდა, ეპირა მცირე აზიის ჩ რ დ ი ლ ო-ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ნაწილი (შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები). განსაკუთრებულ სიძლიერეს პონტომ მითრიდატ ევპატორის მეფობაში (II—I სს. ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე) მიაღწია. მითრიდატმა თავის სამეფოს შემოუერთა მრავალი მეზობლად მდებარე თემი, მათ შორის შავი ზღვის მთელი კავკასიური სანაპირო და თვით ყირიმიც. ამრიგად, მითრიდატს დაუპყრია კოლხეთიც, მაშინ როცა იგი „განსაკუთრებით გაძლიერებულია“ (ალბათ პირველ საუკუნის დამდეგს ჩვენს ერამდე). მითრიდატს კოლხეთი თავის სამეფოს უშუალო ადმინისტრაციულ ერთეულად უქცევია: თავის „ნაცვლად“ (მოადგილედ) და ქვეყნის მმართველად იგი ყოველთვის გზავნიდა თურმე ერთ-ერთს თავის მეგობართაგანს (მაგ შორის თავის დროზე სტრაბონის ერთი ნათესავიც ყოფილა). ასეთს განსაკუთრებულს ყურადღებას მითრიდატი

ტყუილა-კი არ აქცევდა კოლხეთს: სტრაბონის მტკიცებით, მითრიდატი კოლხეთიდან იღებდა „უმთავრეს შემწეობას თავისი საზღვაო ძალებისათვის“. კოლხეთი მითრიდატის მფლობელობის ქვეშ დაახლოვებით ნახევარ საუკუნეს უნდა ყოფილიყო, ვიდრე არ დაემხო თვით მითრიდატი და მისი სამეფო და ვიდრე რომაელების ლეგიონებმა აქ გამარჯვების დროშა არ ააფრიალეს.

კოლხეთისათვის მომხდარი ამბები მხოლოდ მებატონეების შეცვლას ნიშნავდა და არა გათავისუფლებას. რომაელთა გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთ საქართველოსათვისაც და იგი უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

საქართველოს სამხრეთით ამ დროს, პონტოს სამეფოს გარდა, კიდევ ორი დიდი სახელმწიფო არსებობს — სომხეთი და სპარსეთი (პართია). სომხეთიც სწორედ ამ ხანებში (პირველი საუკუნის პირველი ნახევარი ჩვენს ერამდე), ტიგრან დიდის მეფობაში, ისეთ ძლიერებას აღწევს, რომლის მსგავსიც მას შემდეგში არასოდეს არ უნახავს. მესამე დიდი სახელმწიფო, რომელიც საქართველოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და სომხეთის უშუალო მეზობლად მდებარეობდა და რომელმაც მითრიდატისა და ტიგრანის სახელმწიფოებზე ღიდხანს შეინარჩუნა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სიძლიერე, იყო პართია, სადაც არშაკიდების ცნობილი დინასტია მეფობდა.

ამ ქვეყნებს სამხრეთ-დასავლეთიდან თანდათან უახლოვდებოდა რომის მსოფლიო იმპერია. რომის მთავარი მოპირისპირე მხარე, წინა აზიის ტერიტორიაზე გაბმულ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ურთიერთობაში, იყო, რა თქმა უნდა, პართია, როგორც ეს შემდეგში უფრო ცხადად გამოჩნდება. მაგრამ იმ ხანაში, რომელსაც აქ ვეხებით, რომის ემპერიული წრეების ყურადღებისა და ზრუნვის მთავარ საგანს წარმოადგენს პონტოს სამეფო, რომელიც სწრაფად ძლიერდება და აშკარად გამოდის რომის კონკურენტის როლში. ამ ბრძოლაში მითრიდატი ინიციატივის მთლიანად თავის ხელში ჩაგდებასაც კი ცდილობს. გარდა თავისი ტერიტორიის გაფართოებისა ჩრდილოეთისაკენ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, მითრიდატი პოლიტიკურსა და სამხედრო კავშირს აბამს სომხეთსა და იბერიასთან და ინდენსაც-კი ახერხებს, რომ ბრძოლა თვით საბერძნეთის ტერიტორიაზე გადააქცეს და იტალიაში შეეჭრასაც ლამობს. ასეთ ვითარებას რომის სამხედრო ძალების მაქსიმალური დაჭიმვა უნდა გამოეწვია, მით უმეტეს რომ, როგორც რომის ისტორიის სპეციალისტები ამტკიცებენ, მითრიდა-

ტის მიერ .შექმნილი მდგომარეობა იყო ერთი ძირითად მიზეზთა-განი რომში წარმოშობილი უსაშინელესი ეკონომიური კრიზისისა, რომელიც ძალუმად არყევდა გაბატონებული საზოგადოებრივი ფენების არსებობის პირობებს და ამწვავებდა კლასობრივ ურთიერთობას. მითრიდატის წინააღმდეგ ლაშქრობაში უშუალოდ იყო დაინტერესებული არმიაც, რომელიც ამ დროს წარმოადგენს დეკლასირებული ელემენტებისაგან [შემდგარ] დაქირავებულ მასას. თუ საზოგადოდ ძველ სამყაროში ომიანობის ერთი უძლიერესი სტიმულთაგანი ხარკი და ალაფია, მით უმეტეს რომის ხსენებული არმიისათვის საშოვრისადმი მისწრაფებას გარკვეული მიზნები უნდა დაესახა პონტოს სამეფოს მიმართულებით, სადაც უმდიდრესი ნადავლი და, უწინარეს ყოვლისა, თვით მითრიდატის საყოველთაოდ განთქმული განძები ყველას თვალწინ ეხატებოდა. თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა რომის არმიისათვის მცირე აზიაში ლაშქრობას, ჩანს იქიდან, რომ, როგორც წერს ვ. სერგეევი, „ყველაფერი, რასაც-კი შეეძლო რაიმე წინააღმდეგობა გაეწია (თვით რომში) გენერლისათვის, რომელსაც თავისი ჯარისკაცები მიჰყავდა მცირე აზიაში ადვილსა და გაუთავებელ საშოვარზე, შეუბრალებლად ნადგურდებოდა“. გაჩაღდა. ბრძოლა, რომელმაც ოც წელზე მეტს გასტანა. ეს ხანგრძლივი ბრძოლა ბოლოსდაბოლოს მითრიდატის განადგურებით გათავდა. მასთან ერთად დამარცხება იწვნიეს მითრიდატის მოკავშირეებმაც. ძლევამოსილი რომაელები ჯერ სომხეთში შეეიდნენ, სადაც მითრიდატის სიძემ, მეფე ტიგრანმა, მუხლმოდრეკით თავისი სამეფო ნიშნები, სრული მორჩილების ნიშნად, ჩააბარა რომაელების სარდალს, ცნობილ პომპეუსს. ეხლა ჯერი მითრიდატის დანარჩენ მოკავშირეებზე იყო მიმდგარი. პირველ რიგში პომპეუსს, როგორც ჩანს, იბერია და კოლხეთი ჰქონდა მიზანში ამოღებული. აქეთკენ ლტოლვილ მითრიდატს მოსდევდა და აქეთკენვე მოითხოვდა გზის დანებებას ალბანელებისაგან სომხეთში დაბანაკებული პომპეუსი. ალბანელებმა ჯერ გზა მისცეს რომაელებს, მაგრამ შემდეგ თავს დაესხნენ მათ, რადგანაც რომაელების საბოლოო გამარჯვება მაინც, როგორც ჩანს, არაფრად ეპიტნავებოდათ და მომენტიც ხელსაყრელად მიაჩნდათ (პომპეუსს მათ ქვეყანაში ზამთარმა მოუსწრო). დამარცხებულმა ალბანელების მეფემ პატიება ითხოვა და მიიღო კიდეც. რომაელების სარდალმა ალბანელებთან ზავი შეჰკრა და იბერიისაკენ გასწია. ეს ქვეყანა თურმე უძლეველად ითვლებოდა. მცხოვრებნი რიცხვით ალბანელებს არ ჩამოუვარდებოდნენ, მეომრობით-კი მათ წააცილებდნენ კიდეეაც. იბე-

რიის მეფემ არტაგმა, რომელსაც ძალიან უნდოდა მითრიდატისათვის ესიამოვნებინა, რომაელებისათვის თვალის ახვევა სცადა. ზავის შესახებ მოლაპარაკება გამართა, ფარულად-კი სამხედრო სამზადისს აწარმოებდა. პომპეუსმა ეს ეშმაკობა შეუტყო, თვითონ დასწრება არჩია და თავს დაესხა. სასტიკი ბრძოლების შემდეგ, რომლებმაც თითქოს იბერიელების მხრით 9.000 მოკლული და 10.000 ტყვე კაცი იმსხვერპლეს, არტაგიც იძულებული შეიქნა მორჩილება ეღიარებინა და შეესრულებინა რომაელების მთავარი საზავო პირობა: მძევლებად მიეცა მათთვის თავისი შვილები (გარემოება, რომელიც მიუთითებს არტაგის მონარქიულ უფლებებზე, როგორც უკვე აღნიშნული იყო თავის ადგილას). იბერიიდან პომპეუსი მდ. ფაზისით კოლხეთში ჩავიდა. აქ მას, როგორც ჩანს, დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია და ქვეყანა თავისთავად ჩაბარებია გამარჯვებულებს.

პომპეუსის ლაშქრობა ამიერ-კავკასიაში მოხდა 65 წელს ჩვენს ერამდე, თითქმის სრული 2 ათასი წლის წინათ. რა მოუტანა მან ჩვენს ქვეყნებს?

პომპეუსი სხვადასხვანაირად მოექცა თავის მოწინააღმდეგეებს, იმისდა მიხედვით, თუ როგორს დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ისინი რომის მთავარ მტერთან, მითრიდატ ევპატორთან. მითრიდატის საკუთარ სამფლობელოს რომაელებმა ოკუპაცია უყვეს. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ მითრიდატი თავდაპირველად ფლობდა ტერიტორიას, რომელიც ისაზღვრებოდა მდ. ჰალისით ტიბარენებსა და სომხებამდე, და, გარდა ამისა, ჰალისის გამოღმა მოიცავდა პაფლაგონიის ზოგიერთ ნაწილებსა და სხვა ადგილებს ამასტრეამდე, რომ შემდეგში მითრიდატმა ამ თავის მიწა-წყალს მიუმატა სანაპირო ჰერაკლიამდე, ხოლო, მეორე მხრით, — კოლხეთსა და მცირე არმენიამდე (იგულისხმება, ამათის ჩართვით) და ეს ადგილებიც პონტოს შეუერთა. „პომპეუსმა — განაგრძობს სტრაბონი — დაამარცხა რა იგი [მითრიდატი], ხელთ იგდო [დაეუფლა] ეს ქვეყანა, აღწერილ [ასეთ] საზღვრებში მოქცეული. ადგილები არმენიასა და კოლხეთთან მან გაუყო თავის თანამოსაგრე დინასტებს", დანარჩენი თემები-კი ბითინიას შეუერთაო.

ამრიგად, კოლხეთიც, როგორც მითრიდატის სამეფოს ნაწილი, რომაელების მიერ დაპყრობილ ქვეყნებს უნდა მივათვალოთ. და მართლაც, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პომპეუსს კოლხეთში თავისი კაცი, ვინმე არისტარხი დაუდგენია მეფედ. ეს ამბავი, ჩანს, არ ნიშნავდა მითრიდატის ბატონობისაგან გან-

თავისუფლებული კოლხეთის აღდგენას ცალკე სამეფოს სახით, თუნდაც რომის ვასალობის პირობებში: ა რ ი ს ტ ა რ ხ ი ყ ო ფ ი ლ ა ა რ ა მ ა რ ტ ო კ ო ლ ხ ე ბ ი ს, ა რ ა მ ე დ ბ ო ს ფ ო რ ე ლ ე ბ ი ს მ ე ფ ე ც. შემდეგშიაც კოლხეთს მეზობელი ქვეყნების მფლობელთა (რომელნიც, უმეტესწილად, რომის ვასალები არიან) ხელში ვხედავთ. 48 წ. ჩვენს ერამდე კოლხეთი ბოსფორის მეფეს ფარნაკს, მითრიდატ დიდის შვილს, დაუპყრია, შემდეგ-კი იგი პონტოს მეფეებს (ჯერ პოლემონს, უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მის ქვრივს და პომპეუსის რჩეული მეგობრის, პითოდორის ასულს, პითოდორიდას) ეკუთვნოდა.

მითრიდატის მოკავშირეებს-კი რომაელები სხვარიგად მოექცნენ. აქ მფლობელი დინასტიები ხელუხლებლად იქნენ დატოვებულნი, რაც ამ ქვეყნებისათვის მეტს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მოასწავებდა. სამაგიეროდ, ამ ქვეყნებს რომის „მეგობრობა“ (ფილია filia, ამიციცია amicitia) დაეკისრათ (თუმცა ზოგმა მათგანმა, მაგ. სომხეთმა, თავისი ტერიტორიის ნაწილიც დაჰკარგა). კერძოდ, იბერიის დამოკიდებულება რომისადმი მომდევნო საუკუნეებში გამოხატულია ყოველთვის ამ ტერმინით, რომელიც სავსებით იძულებითი ხასიათის ურთიერთობას გულისხმობს, რაიცა თუნდაც იქიდანა ჩანს, რომ ეს „ფილოკესარები“ და „ფილორომეები“, ე. ი. იმპერატორისა და რომაელთა მეგობრები, ზედიზედ აჯანყებას აწყობენ თავიანთი მაღალი „მეგობრების“ წინააღმდეგ. იბერიაში პომპეუსის ლაშქრობის მომდევნო წლებში რამდენიმე ასეთი აჯანყებაა ცნობილი. ბოლოსდაბოლოს. ეს ამბოხებები მარცხით თავდებოდა და „მეგობრობა“ ისევ აღდგენილი იყო ხოლმე. რაში მდგომარეობდა იგი?

თუ ერთდროულ ლაშქრობას შესაძლებელია მიზნად ალაფიც ჰქონოდა (სხვათა შორის, შენახულია ცნობა, რომ არტაგმა პომპეუსს „მიართვა ძღვნად“ ოქროს სარეცელი, მაგიდა და ტახტი, რაც იბერიის მეფის გარკვეულ ქონებრივ შეძლებაზე მიუთითებს), აღწერილს ესოდენ ხანგრძლივ ურთიერთობას, რათქმაუნდა, უფრო ღრმა მიზეზები უნდა ჰქონოდა. კერძოდ, იბერია რომ ავიღოთ, რომისა და „იბერიის“ „მეგობრობა“, წყაროების ენით თუ ვიტყვით, „სიმმაქიაში“ (συμμαχία) ე. ი. სამხედრო კავშირში გამოიხატებოდა, რომელსაც, რათქმაუნდა, ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. იბერია იძულებით იყო მასში შებმული და სასიამოვნოსაც ამ კავშირში, როგორც უკვე ვამბობდით, ბევრს ვერაფერს ხედავ-

და. იბერიის ეს სამხედრო სამსახური რომის აღმოსავლეთი სანაპიროს სამხედრო ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, ზოგადად რომ ვთქვათ. კერძოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო რომისთვის ჩრდილოეთისკენ გამყვანი გზების კონტროლი ადგილობრივი ძალების საშუალებით. აღნიშნულ გზებში ვგულისხმობთ კავკასიონის საუღელტეხილო გარდასასვლელებს ანუ, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, „ზეკარებს“, რომელნიც მართლაც კარებს წარმოადგენდნენ (და ეხლაც-წარმოადგენენ) იმათთვის, ვისაც ამ უზარმაზარი ბუნებრივი მასივების გადალახვა სურდათ.

იბერიის ტერიტორიაზე მდებარეობდა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კართაგანი — დ ა რ ი ა ლ ი ს ხეობა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მთავარი მნიშვნელობა ჰქონდათ დღევანდელ სამხედრო-ოსეთის გზას და, აფხაზეთში, იმ გადასავლებს, რომელთაც კოდორის ხეობიდან მდ. ყუბანისა და მისი შენაკადების აუზებში გადაჰყავდათ.

გამოყენებული იყო აგრეთვე სვანეთის საუღელტეხილო გზებიც და ზოგიერთი სხვაც, რომელთაც ყველას ერთნაირი მნიშვნელობა არ ჰქონდათ იმდროინდელი ტექნიკის პირობებში, განსაკუთრებით როცა საქმე ეხებოდა დიდი მასების მოძრაობას. საქართველოს ფარგლებს გარეშე სხვა გზებიც არსებობდა. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო დარუბანდის ყელი (რომელიც უკვე აღარ იყო, საკუთრივ, „ზეკარი“, მაგრამ ჩინებული თვისებები ჰქონდა, როგორც გზას) და დასავლეთ კავკასიონის გადასავლები.

ამ გზებს, ჯერ ერთი, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ კავკასიონის სამხრეთით მდებარე ყველა სახელმწიფოსათვის.

ჩრდილოეთ-კავკასიის ვრცელი ტრამალები (ველები) წარმოადგენდნენ აგრეთვე მსოფლიო შარაგზას, რომელზედაც უძველესი, ისტორიისათვის ცნობილი დროებიდან მოყოლებული, განუწყვეტლივ მოძრაობდნენ ტომთა და ხალხთა დიდი მასები, რომელნიც ჩვეულებრივ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ. სკვითები, სარმატები, ჰუნები, თურქები, ხაზარები, პაჭანიგები, ყიჩაყები, მონღოლები და მრავალი სხვა ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ამ გზაზე და მორიგეობით ასვამდნენ თავიანთ ბეჭედს აქაურობას. თითქმის ყველა ეს ტომი მეჯოგე ტომი იყო, რომლისთვისაც თავდაპირველ სამშობლოს ცენტრალური აზია წარმოად-

გენდა. რადგანაც მეურნეობის ამ დარგისათვის „ფართო დაუსახლებელი ადგილები მთავარ პირობას შეადგენს“ (მარქსი), ბუნებრივი გამრავლების შედეგად ეს ტომები ვეღარ ეტეოდნენ თავიანთ სამშობლოში და საძოვრებისა და ალაფის მაძიებელი ეთნიკური ტალღების სახით ეფინებოდნენ მეზობელ ტერიტორიებს, სადაც, იშვიათად, ზოგჯერ მეურნეობის გამოცვლასაც ახერხებდნენ, უმეტეს ნაწილად-კი ისევ ისე მეჯოგეებად რჩებოდნენ, რომელნიც ბინადარი ხალხებისათვის სამეზობლოდ არასოდეს სასურველნი არ ყოფილან. ერთ-ერთი მთავარი სადგური ამ ტომებისათვის ჩრდილოეთ-კავკასიის მოხსენებული ტრიალი ველები იყო. აქედან ისინი კავკასიონის გადმოლახვასაც ახერხებდნენ აღნიშნული კარებით, ზოგჯერ ძალიან ღრმადაც იჭრებოდნენ სამხრეთის ქვეყნებში და ყველგან ცეცხლი და მახვილი მიჰქონდათ. ზოგჯერ მათ სპეციალურადაც იწვევდნენ, როგორც საუცხოო მეომრებს, რომელნიც მზად იყვნენ ქირისათვის ყოველგვარი სამხედრო დავალება შეესრულებინათ. ცხადია, რომ ვის ხელშიაც ეს კარები იმყოფებოდა, ჩრდილოეთის ნომადების სამხრეთისაკენ მოძრაობაც მის ნება-სურვილზე ეკიდა. ამიტომვე უნდა ყოფილიყო ამ კარებით დაინტერესებული რომის მთავრობაც, რომელიც წინა აზიაში თავის მტკიცე დამკვიდრების საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. გარდა სამხედროსი, ამ გზებს სრულიად გარკვეული ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდათ: არა მარტო იმ დროს, არამედ ბევრად უფრო ძველ ხანაშიაც ისინი იმდროინდელი საქონლის გამტარებელი არხების როლს ასრულებდნენ.

გასაგებია, რომ რომაელებს საქმის ამ მხარისათვისაც ყურადღება უნდა მიექციათ, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომის ინტერესთა სფეროში, რომელნიც ამ მხარეებისაკენ იყვნენ მიმართულნი, ჩვენ ვანიჭებთ მონათმფლობელთა საჭიროებებს. რომაელთა გაბატონებული კლასების მეურნეობა, რომელიც მონის შრომის გამოყენებაზე იყო დამყარებული თითქმის მთლიანად და რომელიც, „მუდმივ ზრდაში მყოფი, კატონის დროიდან მოყოლებული იმპერატორის ეპოქამდე, ეროვნულ სამეურნეო ფორმად იქცა“, საჭიროებდა მუდმივსა და, ამასთან ერთად, ან მეტად იაფს, ან სავსებით მუქთს წყაროს მონებისას.

„და რაც უფრო იზრდება თვით წარმოება, მით უფრო იზრდება მოთხოვნილება მონებზე და მისწრაფება შეიძინონ მონები რაც შეიძლება უფრო იაფად“. მონების ასეთ წყაროს წარმოადგენდნენ ან პირდაპირი ომები, ან ისეთი მონათვაჭრობის ბაზრები,

სადაც წვრილი თარეშების, თავდასხმებისა და მოტაცება-დატყვევების გზით შეძენილი მონები (თავისუფლებას მოკლებული პირები) სასურველ დაბალ ფასებში ისყიდებოდნენ. რომის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მკვლევართა აზრით, მონათა მოპოვების საჭიროებით აიხსნება, სხვათა შორის, ის სანაპირო ომები, რომლებსაც აწარმოებდა რომის ჯერ რესპუბლიკა, შემდეგ იმპერია და რომლებსაც უნდა შეევსოთ იმ დროისათვის საგრძნობად ქცეული ნაკლებობა მონებისა.

მაგრამ როცა ეს დიდი ომები, რომლებიც ქრონოლოგიურად რესპუბლიკის უკანასკნელ პერიოდზე და იმპერიის პირველ საუკუნეებზე მოდის, ნელდება და, ამრიგად, მონათა ეს პირდაპირი წყარო თანდათან უფრო და უფრო იშრიტება, — ვრცელდება მონათა მოპოვების მეორე საშუალება — ადამიანთა მოპარვა და მოტაცება. პირველი კეისრების — ავგუსტუსისა და ტიბერიუსის — დროს მონათა ნაკლებობა რომში განსაკუთრებით საგრძნობი ყოფილა. ამ ნიადაგზე განსაკუთრებით გამრავლებულა ადამიანთა — როგორც თავისუფალთა, ისე მონათა — მოტაცების შემთხვევები და ტიბერიუსი იძულებული გამხდარა გამოეცა განკარგულება, რათა ეწარმოებინათ იტალიის ყველა მონათსადგომების შემოწმება მათში დაფარული მოპარული ადამიანების აღმოსაჩენად. ეს განკარგულება, ცხადია, მხოლოდ რომის მოქალაქეებს ესარჩლებოდა. თუ როგორი იყო რომაული ბიუროკრატიის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი პროვინციაში, ქვემოთ ვნახავთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მონების ასეთს, განსაკუთრებით მდიდარს, წყაროს წარმოადგენდა სარმატია (ე. ი. შავი ზღვისა და კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელი ქვეყანა) და მისი მიმდგომი ამიერ-კავკასია. კლასიკურ მწერალთა ცნობით, სარმატიაში ფართოდ იყო გავრცელებული მონობა და მონით ვაჭრობა. 49 წ. სარმატიის ქალაქმა (როგორც ჩანს, შედარებით უმნიშვნელომ და პატარამ) უსპამ, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული რომაელებისა და მათი მოკავშირეების მიერ, თავისუფალ მოქალაქეთა შეწყალების სანაცვლოდ ათი ათასი მონა შეაძლია რომაელებს. იმ მუდმივ ბაზართა შორის, რომელნიც მასობრივად აწვდიდნენ რომს მონებს (ქიოსი, ათენა, კუნძული დელოსი), ერთი პირველ ადგილთაგანი ეჭირა სწორედ სარმატიის უმთავრეს ქალაქს, ტანაისს, რომელიც მდ. დონის შესართავთან მდებარეობდა.

აქაური მონათვაჭრობის შესახებ სტრაბონი, მაგ., გვამცნობს, რომ „ქალ. ტანაიდი [მდებარეობდა მდ. დონის შესართავთან] წარმოადგენდა [I საუკ. ჩვენს ერამდე] საერთო საბაზრო ადგილს აზიელი და ევროპელი ნომადებისა და ბოსფორიდან ტბით [აზოვის ზღვით] მოსულ პირთათვის. პირველთ მოჰყავდათ მონები, მოჰქონდათ ტყავ-ბეწვეული და სხვა, ნომადებისათვის ჩვეული, საქონელი, ხოლო სხვებს სანაცვლოდ მიჰქონდათ სამოსი, ღვინო და სხვა საგნები, რომლებიც ცხოვრების ჩვენებურ წესს სჩვევია“. საქართველოს შესახებ ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა, მეექვსე საუკუნისა ჩვენი წელთაღრიცხვით, რომ დასავლეთ საქართველოს მთავარ საექსპორტო საგანს მონები შეადგენდნენ.

პირველი საუკუნისათვის ასეთი პირდაპირი ჩვენება, ჩვენს ქვეყანას რომ გულისხმობდეს, არ მოიპოვება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს შემთხვევითი ამბავია. ამას სხვადასხვა არაპირდაპირი მოწმობაც გვარწმუნებს.

სტრაბონი ყირიმელების შესახებ, მაგ., ამბობს, რომ „რაკი ისინი ანგაარნი არიან და ზღვასთან ახლოს ცხოვრობენ, თავს არ იკავებენ ძარცვა-გლეჯისა და სხვა ასეთ ბოროტმოქმედებათაგან, რომელნიც უკანონო საშუალებებს წარმოადგენენ გამდიდრებისათვის“. კიდევ უფრო საინტერესოა ჩვენთვის სტრაბონისავე ცნობები შავი ზღვის აღმოსავლეთ (ნაწილობრივ თანამედროვე საქართველოს) სანაპიროს შესახებ, უფრო ზუსტად, ამ სანაპიროს იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მიახლოებით უდრის ტუაფსის, სოჭისა და გაგრის რაიონებს. აქაური მცხოვრებნი (ახეები, ზიგები და ჰენიოხები) „ცხოვრობენ საზღვაო ძარცვა-გლეჯით, მეკობრეობით“, რისთვისაც მათ სათანადო ნავები აქვთ, კამარებად წოდებულნი. „ამ თავიანთი კამარებით ისინი გადიან ზღვაში, თავს ესხმიან ხან საბარგო ხომალდებს, ხან რომელსამე ადგილს და ზოგჯერ ქალაქსაც-კი და, ამრიგად, ისინი ბატონობენ ზღვაზე“. ამ მეკობრეობის საგანი საერთოდ ნადავლი იყო, განსაკუთრებით-კი, როგორც ჩანს, ტყვე. „უცხო ქვეყანაში... ისინი მალავენ ტყეებში თავიანთ კამარებს, თითონ-კი ქვეითად დაძრწიან დღე და ღამე, ადამიანთა ტყვედ მოტაცების მიზნით. მოტაცებულს ისინი ხალისით აძლევენ თავდახსნის საშუალებას, მისცემენ რა ცნობას დაზარალებულებს თავიანთი წასვლის შემდეგ“. ცხადია, იმ შემთხვევაში, როცა ჭირისუფალს არ ჰქონდა შეძლება თავისი ტყვის დახსნისა და გამოსყიდვისა, დაკარგულ ადამიანს სხვაგან ელოდა

გაყიდვა. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ამ ცნობის ის ადგილები, საიდანაც ჩანს, რომ რომაელები პირდაპირ აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ ადამიანებზე მონადირე კავკასიელი პირატების ბელობას. „ზოგჯერ მათ ხელს უწყობენ ბოსფორის მფლობელები, რომელნიც აძლევენ მათ სადგომებს, ბაზარსა და ნაძარცვის გაყიდვის საშუალებას“. ბოსფორის მფლობელები ამ დროს რომის ვასალები არიან და მათი ეს პოლიტიკაც სიუზერენის ინტერესებთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული.

თვით ბოსფორის ბაზრების მთავარი მუშტრები (განსაკუთრებით, რათქმაუნდა, ცოცხალი საქონლის მიმართ) რომაელები იყვნენ. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა მომდევნო ცნობა. ამ პირატებისაგან უფრო დაცულნი არიან დამოუკიდებელი ქვეყნებიო, ამბობს სტრაბონი: „იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივი დინასტები არიან, დაზარალებულნი კიდევ პოულობენ ერთგვარ შემწეობას თავიანთი მფლობელებისაგან. ხშირად ისინი თვით „ესხმიან თავს [მეკობრეებს] და ატყვევებენ კამარებსა და მათ ხალხს [ყაჩაღებს]. მაგრამ იმ ქვეყნებში, რომელნიც რომაელთა მმართველობის ქვეშ იმყოფებიან, მოსახლეობა უფრო უმწეოა იქ გაგზავნილ მმართველთა უზრუნველობის გამო“. ამ ქვეყანათა შორის, რათქმაუნდა, პირველ რიგში დასავლეთი საქართველოა ალბათ ნაგულისხმევი, და სავსებით ცხადია, თუ რას უნდა ნიშნავდეს აქაურ, რომის მიერ დადგენილ მმართველთა უზრუნველობა.

ასეთი იყო ის მიზეზები, რომელნიც საფუძველს აძლევდნენ რომის მთავრობას ყურადღებით ეზრუნა მტკიცედ დამკვიდრებისათვის ამიერ-კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. რომის ნფლობელობის კონკრეტული ფორმა დამოკიდებული იყო ძალთა ადგილობრივს რეალურს განწყობილებაზე. თავდაპირველად ჩვენი ქვეყნების რ ო მ ი ს გ ა ნ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა გ ა მ ო ი ხ ა ტ ა, როგორც ვთქვით, ი ბ ე რ ი ი ს ა თ ვ ი ს „ს ი მ მ ა ქ ი ა შ ი“, ი ძ უ ლ ე ბ ი თ ს ა მ ხ ე დ რ ო კ ა ვ შ ი რ შ ი, ხ ო ლ ო კ ო ლ ხ ე თ ი ს ა თ ვ ი ს — ვ ა ს ა ლ ო ბ ა შ ი. კოლხეთის ასეთ მდგომარეობას მოწმობს ის ფაქტი, რომ რომს დასავლეთ საქართველოში თავისი გარნიზონები ეყენა. ასე, მეორე საუკუნის დამდეგს რომაელთა ცხოვანი ჯარი მდგარა ქ. ფაზისსა და ქ. სებასტოპოლში. შემდეგში ეს დამოკიდებულება იბერიისათვისაც ვითარდება მისი შემჭიდროების მიმართულებით.

აქ დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ რომის სუვერენიტეტს ამიერ-კავკასიაში საშიში მტერი უჩნდება სპარსეთის

სახით (ჯერ არშაკიდების, ხოლო 226 წლიდან, სასანიდების მფლობელობის ქვეშ). ვიდრე რომაელები მითრიდატ ევპატორსა და მის მოკავშირეებს ურტყამდნენ, არშაკიდებს ეს თავისთვის ხელსაყრელად და სასურველად მიაჩნდათ და თავისუფლად დაანებეს რომს პონტოს სამეფოს განადგურება, დიდი სომხეთის ჩამოყვანა პატარა სამეფოს მდგომარეობაზე და სხვა მოკავშირეების დასუსტება. მაგრამ მას შემდეგ, რაც რომი და პართია (არშაკიდების სამეფო) ერთმანეთის პირისპირ მარტონი აღმოჩნდნენ და როდესაც რომმა საქვეყნოდ გამოამჟღავნა, რომ მისი მიზნები და ინტერესები წინა-აზიაში მარტო მოკავშირეების სამხედრო დამარცხებით არ ამოიწურებოდა და რომ მას საჭიროდ მიაჩნდა აქ ფეხის მტკიცედ მომაგრება და შემდგომი წინსვლაც, — ამის შემდგომ, პირველი საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული (ჩვენს ერამდე), ატყდა მრავალსაუკუნოვანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელშიაც ორი მსოფლიო იმპერია პირველობისათვის ეცილებოდა ერთმანეთს. ბრძოლის ფრონტი გაჭიმული იყო კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე. ამრიგად, იგი ჩვენს ქვეყნებსაც სწვდებოდა, და, როგორც ვამბობდით, არშაკიდების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ რომაელთა გავლენის სფეროდან გამოეგლიჯა ამიერკავკასიის ქვეყნები და სომხეთიც. თავდაპირველად უპირატესობა აშკარად რომის მხარეზე იყო. ეს უპირატესობა დაადასტურა რომისა და სპარსეთის საზავო ხელშეკრულებამ, რომელიც ნიზიბინში დაიდო 298 წელს და რომელიც, სხვათა შორის, ჩვენს ქვეყნებსაც გულისხმობდა. ამ აქტის მიხედვით, იბერიის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიეღო (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, მესამე გამოცემა, გვ. 256). ასეთი მოვალეობა ვასალიტეტის გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს და, მაშასადამე, რომს არა მარტო შეურჩენია თავისი გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზედაც (დასავლეთი მას კიდევ მჭიდროდ ჰყავდა ჩაჭერილი), არამედ იმისთვისაც მიუღწევია, რომ ძველი „მეგობრობა“ (იძულებითი სამხედრო კავშირი) ვასალურ (თუმც, საფიქრებელია, მეტად მსუბუქი ფორმის, როგორსაც ჩვენ მეზობელ სომხეთშიც ვხედავთ) დამოკიდებულებად უქცევია.

რათქმაუნდა, ეს ვასალური დამოკიდებულება ნიზიბინის ზავის მიერ არ იყო შექმნილი. ნიზიბინის ზავს შეეძლო მხოლოდ დაედასტურებინა ის მდგომარეობა, რომელიც უკვე არსებობდა. მაგრამ თანდათანობით გამარჯვების სასწორი სპარსელებისაკენ იხრებოდა.

მაგრამ ჯერ ისევ შინაგან განვითარებას მივუბრუნდეთ. ამ სამ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში განვითარების მთავარ ფაქტორს შეადგენდა „მესამე გენეს“, „ერის“, შემდგომი დიფერენციაცია. აქ, როგორც ვნახეთ, უკვე I საუკუნის დამდეგს, ჩვენს ერამდე, (და იქნებ უფრო ადრეც) ერთგვარი ბზარია გაჩენილი „მეომრებსა“ და „მიწისმოქმედთა“ შორის. ეს ბზარი ეკონომიურ ნიადაგზეა წარმოშობილი. იბერიის ლაშქარს, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულს, — ომის,— შემთხვევაში იკრიბება (სტრაბონი ამბობს, რომ მხოლოდ მთიელებს შეეძლოთ ჯარში მრავალი ათეული ათასი მეომარი გამოეყვანათ, საერთოდ-კი იბერიის ჯარი თითქოს ალბანელებისაზე მცირე იყო, ხოლო ეს უკანასკნელი უდრიდა 60.000 ჰოპლიტსა და 22.000 ცხენოსანს).

მაშასადამე, იბერიის ლაშქრის რიცხვი 60—70 ათასამდე უნდა ვიანგარიშოთ. თავდაპირველად მას შეადგენს მთელი „ერი“, ე. ი. მესამე გენეში მოქცეული ნაშთი გვაროვნული საზოგადოებისა, მაგრამ რადგანაც, საფიქრებელია, შეიარაღება „ერის“ საკუთარ ხარჯზე ხდება, შეიარაღების ხარჯების განსაკუთრებული ზრდის შემთხვევაში, „ერის“ მცირედშემძლე წევრები მოკლებული ხდებიან ფაქტიურ შესაძლებლობას გაეიდნენ ჯარში. შეიარაღების გაძვირება დაკავშირებულია ლითონის (განსაკუთრებით, რკინის) იარაღის შემოღებასთან. კიდევ უფრო ძნელი მისაწვდომი ხდება იარაღი მაშინ, როცა მ ძ ხ მ ე ა ბ ჯ ა რ ი შემოდის: არა მარტო საკუთრივ საბრძოლო, არამედ მეომრის თავდასაცავი იარაღიც ლითონის სამოსი და თავსაბურავია.

ტყუილად-კი არ ითვლება ფეოდალური რაინდის მიუცილებელ გარეგან ნიშნად „ჯაჭვ-ჭური“ (მუზარადი, ჯაჭვის პერანგი და სხვა). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, როგორც ჩანს, თვით მეომრის შეიარაღებასთან ერთად, მისი ცხენის დაცვაც ლითონისაგან გაკეთებული განსაკუთრებული სამოსით.

ასეთი, მთლიანად ლითონში ჩამჯდარი მხედარი უძლეველად უნდა ყოფილიყო მიჩნეული მარტივად, ხმალ-მშვილდ-ისრით შეიარაღებული ქვეითისათვის.

ამასთან ერთად, თუ მოვიგონებთ, რომ იარაღი ყველაზე ადრე იქცევა კერძო საკუთრების საგნად და, რომ ის, როგორც მამაკაცის კერძო საკუთრების საგანი, მტკიცე მემკვიდრეობის (მამიდან შვილზე) განსაკუთრებით საყურადღებო და საზრუნავი ობიექტია აგრეთვე, რაც მერმინდელ ფეოდალურ ადათსა და კანონშიც

მკაფიოდ ჩანს [1],— კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ იარაღს განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და რომ იგი ხელს უწყობდა, როგორც უკვე მიღწეული, ისე ახალი, იარაღისავე საშუალებით მოპოვებული, პრივილეგიების დამკვიდრებას და განვითარებას ინდივიდუალისტური და კერძო მესაკუთრული მიმართულებით.

სტრაბონისავე ცნობების მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო კონკრეტული ტიპი შეიარაღებისა იბერიაში პირველი საუკუნის დამდეგს, ჩვენს ერამდე.

ალბანელების შესახებ ცნობილი გეოგრაფი გვიამბობს, რომ ისინი „ომობენ ოროლებითა და მშვილდ-ისრით და შეჭურვილნი არიან ჯავშნითა და ფარით, აგრეთვე ნადირის ტყავის მუზარადით, იბერების მსგავსად“. კიდევ უფრო საყურადღებოა სტრაბონის გეოგრაფიის მეორე ცნობა, რომელიც უმთავრესად იბერიის სამხრეთ მეზობელს, სომხეთს გულისხმობს. სტრაბონი ამბობს, რომ სისპირიტიდას (ცნობილი ძველი ქართული პროვინცია ს პ ე რ ი, თურქული ისპირი; აღებულ ხანაში სომხეთს ეკუთვნის) „აქვს მშვენიერი საძოვრები, რითაც იგი მიდიასაც არ ჩამოუვარდება, ისე რომ ნესაის ცხენებს, რომლებიც სპარსეთის მეფეს ემსახურებოდნენ, აქაც აშენებენ... მეორე მხრით, არტავაზდმა [იგულისხმება სომხეთის მეფე, ტიგრანის შვილი. ს. ჯ.] გამოიყვანა ანტონისთან, როდესაც მასთან ერთად მიდიაში შევი-

[1] ბექასა და აღბუღას კანონებით, ქალის დაქვრივების შემთხვევაში მზითევი ქალს ან მის მმობელს ეკუთვნოდა, მხოლოდ აბჯარი უთუოდ ვაჟს უნდა დარჩენოდა: თუო ქალი „შვილოსახი დაქვრივდეს, აბჯარი შვილთა მართებს და სასაქონლო დიაცსა“... „გლეხთა ესე ქნან: ყოფილა-ცა რომე-თუ დიაცი უშვილო მოკვდეს, ზითევი ნახევარი სულისა საურავად გაუშვან და ნახევარი-ღა სამშობლოს მართებს. და თუ ქალი დარჩეს—მას მართებს აქვნდეს; ვინცა გაზარდოს და გაათხოვოს — მას მართებს და აქვნდეს და მან გაატანოს; და თუ ვაუიცა დარჩეს, აბჯარი ვაუსა და საქონელი—ქალსავე“. ამრიგად, აბჯარი უთუოდ ვაჟებს უნდა დარჩენოდათ, მაგრამ, როგორც სავსებით ინდივიდუალური საკუთრების საგანი, მამას თავისი იარაღი შეეძლო, რომელიც უნდოდა, იმ ვაჟისათვის მიეცა. როცა მე-16 საუკუნეში ბარათაანთ დიდი გვარი იყრებოდა, მემკვიდრეებს დავა აუტყდათ მამისეული იარაღის გამო და გამოყოფისათვის დამსხდარმა შუა კაცებმა ასეთი სამართალი გააჩინეს მოცემული კაზუსის შესახებ „მამისა მათისა აბჯარზედა ირჩოდეს და გერმანოზ ასე ისარჩლა: მამამან ჩემმან მისსა სიცოცხლესა შიგა მე მომცაო. ამისი ასრე გავაჩინეთ: თუ გერმანოზ ბოწამე იშოვოს და შეაფიცოს ასრე, რომე მამასა მათსა აბჯარი და აბჯრისა იარაღი გერმანოზისთუის და ანუ უმცროსისა ძმისათუის მიეცეს, თუ შეიფიცოს — სხვ.ნი ძმანი ნულარა სთხოვენ. და თუ ვერ შეიფიცოს — მამისა მათისა ეული არას და ისიცა ძმურად გაიყონ“.

და, ცხენოსან ჯარს გარდა, კიდევ ექვსი ათასი შეჯავშნული ცხენი. ასეთი ცხენოსანი ჯარის მოყვარულნი არიან არა მარტო მიდიელები და სომხები, არამედ აგრეთვე ალბანელები, ამიტომ რომ ისინიც ხმარობენ „შეჯავშნულ ცხენებს“.

ღრმად საინტერესო ცნობაა! ექვსი ათასი მძიმედ შეიარაღებული მეომარი, შეჯავშნულ ცხენზე ამხედრებული, გარდა ჩვეულებრივი ცხენოსანი ჯარისა,— ეს სურათი მაშინვე მიგვითითებს იმ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე, რომელსაც იგი განეკუთვნება.

აქ საყურადღებოა განსაკუთრებული ჩვენება, რომ შეჯავშნულ ცხენებს ალბანიაშიც ხმარობდნენ. ჩვენ სრული უფლება გვაქვს სომხეთიდან და ალვანიიდან ეს დაწესებულება იბერიაშიც გადავიტანოთ. თავის ადგილას უკვე ვამბობდით, თუ რამდენი ანალოგიური მომენტია ამ ქვეყნების განვითარებაში. ისიც ვიცით, რომ საწარმოო ძალთა განვითარების მხრივ იბერია ალბანიაზე შორს წინ იდგა და უფრო სომხეთს უსწორდებოდა, ხოლო საწარმოო ძალთა განვითარება განსაკუთრებით ადრე სწორედ ჯარის ორგანიზაციაში იჩენს თავს.

„ომი უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე მშვიდობიანობა; [განსამარტებელია] ის წესი, თუ როგორ განვითარდა ზოგი ეკონომიური ურთიერთობა, როგორიცაა დაქირაველობული შრომა, მანქანები და სხვა, უფრო ადრე ომის გზითა და ლაშქარში, ვიდრე ბურჟუაზიულ საზოგადოების შიგნით.

აგრეთვე დამოკიდებულება საწარმოო ძალებსა და მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალებებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლაშქარში“ (მარქსი).

ასეთი მძიმედ შეიარაღებული ძველი ქართველი მეომრისაგან აქვს გადმოწერილი ჰაგიოგრაფს ის აღწერილობა, რომელიც მას სურს არმაზის კერპის სურათად წარმოგვიდგინოს: „დგა კაცი ერთი სპილენძისაი და ტანსა მისსა ეცვა ჯაჭვი ოქროისაი და ჩაფხუტი ოქროისაი და სამსაჯნი ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი და ხელსა მისსა აქვნდა ხრმალი ლესული“. რათქმაუნდა, ეს ცნობა რამდენიმე საუკუნით გვიანდელია იმ ეპოქასთან შეღარებით, რომელსაც აქ ვიხილავთ, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მსგავსი საომარი იარაღი ბევრად ადრე შემოდის. არის სხვა მოსაზრებებიც, რომლებიც ამასვე გვარწმუნებენ. მაგრამ აქ მათზე ვერ შევჩერდებით.

შეჯავშნული ცხენის შესახებ აგრეთვე საყურადღებო ცნობები მოიპოვება ძველ ქართულ მწერლობაში. ვახტანგ გორგასლის შესახებ, მაგ., მემატიანე ამბობს, რომ ერთ-ერთ ბრძოლაში მეფე „აღჯდა ტაიჭსა, შეჭურვილსა ჯავშნითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერა ჰკვეთდა მახვილი". სპეციალური ტერმინიც არსებობდა ძველ ქართულში, „თოროსანი ცხენი", რომელიც სწორედ ასეთს, ჯავშნიან ცხენს გულისხმობს. ამ ტერმინს უკვე იგივე ვახტანგის მემატიანე იცნობს. მისი ტექსტის სხვა ადგილებიდან, თუ ტერმინის ასეთ მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ მეხუთე საუკუნის ქართლში არსებობდა განსაკუთრებული რაზმი ჯავშნიანი ცხენოსნებისა და რომ ჯარისა და სამხედრო საქმის ორგანიზაცია საოცრად მოგვაგონებს იმ პირობებს, რომელნიც ამ მხრივ სტრაბონის დროინდელ სომხეთში (და, მაშასადამე, იბერიაშიც) არის საგულისხმებელი. ოსეთს სალაშქროდ წასული გორგასლის სპა, ე. ი. ჯარი ასეა აქ აღწერილი: „სპანი იგი წარმოემართნეს განმზადებულნი, ცხენ-თოროსანნი და ჯაჭვ-ჩაბალახოსანნი წინათ კერძო [ე. ი. წინა მხარეს] და მათსა უკანით ქვეითნი, და ქვეითთა უკანით — სიმრავლე მხედართა, და ესრეთ მიჰმართეს. ხოლო ოვსნი წარმოდგეს ქარაფსა ზედა [ე. ი. კლდეზე] და დაასხეს ისარი, ვითარცა წვიმა მძაფრი. მაშინ მეფე ვახტანგ მოქცეულ იყო სპასსა მისსა ზურგით, რჩეულითა მხედრობითა, უზახებდა, განაძლიერებდა, ნუგეშინისცემდა სპათა მისთა. მაშინ წინათ ცხენ-თოროსანთა აღვლეს გზა ქარაფისა, აღხდეს ვაკესა და აღუდგეს უკან ქვეითნი და შემდგომ — სიმრავლე მხედართა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის".

მაშასადამე, ქართლის ჯარი შესდგება ქვეითობისა, ჩვეულებრივი მხედრობისა, სპეციალური სამხედრო ნაწილისა, რომელსაც ჯავშნიანი ცხენები ჰყავს, და დასასრულ რჩეული მხედრების, ალბათ მცირე რაზმისაგან, რომელიც, როგორც ჩანს, მეფის მცველია. ბრძოლის პროცესში ჯავშნიანი ცხენოსნები ავანგარდს შეადგენენ, მათ უკან ქვეითობა დგას, არიერგარდში-კი ჩვეულებრივი მხედრობაა. ცხადია, თუ რამდენად განვითარებულ საწარმოო ძალებსა და სოციალურ დიფერენციაციას გულისხმობს ჯარის ორგანიზაციის ეს ტიპი.

მოტანილი ფაქტების სინათლეზე ეხლა ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს ნამდვილი მნიშვნელობა ქსნის ერისთავების ანალისტის ცნობისა, რომ, როდესაც ჩვენთვის უკვე ნაცნობს როსტომ

ბიბილურს მეფემ ერისთაობა უწყალობა, ამასთან ერთად უბოძა სათანადო გარეგნული ნიშნებიც: ... „შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თვისი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და შუბი“-ო.

მაშასადამე, ერისთავს დანარჩენი მასისგან განასხვავებდა, გარეგნულ ნიშანთა შორის, განსაკუთრებული იარაღი, საჭურველი, დროშა, შუბი და აგრეთვე თოროსანი, ჯავშნიანი ცხენი.

იბერიის მეფეს, აღწერილ „სახალხო“ ლაშქარს გარდა, რომელიც, როგორც ვთქვით, თავდაპირველად მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იკრიბება, რათქმაუნდა, ჰყავს სპეციალური რაზმი, უფრო მუდმივი ხასიათისა. წინაალმდეგ შემთხვევაში მისი უფლება ჰაერში იქნებოდა გამოკიდებული. ვისგან შესდგება ეს რაზმი? კონკრეტული ცნობა ამის შესახებ შენახული არ არის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ნაწილობრივ მონებიც არიან. მონები პართიის სამეფო ჯარში მნიშვნელოვან კონტინგენტს შეადგენდნენ.

მოვიგონოთ აგრეთვე როსტომ ბიბილურის რაზმის შემადგენლობა. „ოვსეთიდან“ გადმოხვეწილნი დვალეთში მოდიან ძმები „როსტომ, ბიბილა, წითლოსან და ძენი მათნი, სამეოცდაათითა მონითა, კეთილითა“. შემდეგ დვალთაც თავიანთ ქვეყანაში მათი ყოფნა აღარ ჰსურთ და როსტომს და მის ძმებს აძევებენ: „აღიყვანეს და მოასხნეს ხევსა ისროლისასა, ნაკაფოვანს, როსტომ და ყოველნი ძმანი და მონანი მისნი“. აქ როსტომი ცხრაზმისხეველებს ჰშველის გრუვის ციხის აღებაში: „მაშინ მივიდა როსტომ ძმითა და სამეოცდაათითა მონითა და წარუძღვა წინა ვითარცა ლომი ზახილითა და ვითარცა ვეფხვი სიფიცხითა, ვითარცა ჯიქი სიმხნითა“. მაშასადამე, თვით ოჯახის წევრებს გარდა, როსტომის რაზმი მხოლოდ მონებისაგან, „კეთილი“ (=კარგი, ვარგებული) მონებისაგან იყო შემდგარი.

ამ მონათაგან ზოგი, შესაძლოა, გააზატებულიც ყოფილიყო და მეფის კარზე უბრალო რაზმელის თანამდებობაზე ზევით დაწინაურებულიყო. მაგრამ, გარდა ამისა, მეფის რაზმში, უეჭველია, იმთავითვე თავისუფალნიც იქნებოდნენ. თუ ისევ ბიბილურთა გაერისთავების ეპიზოდს მივმართავთ საანალოგიოდ, ეს პირნი იმ კატეგორიას ეკუთვნიან, საიდანაც გამოსული არის ლარგვისის მამასახლისი, გუგაკ ხუციანდაბისძე. მთავარი დასაყრდენი როსტომისა მის შემდგომ კარიერაში. ესენი „ერისგანნი“, მესამე გენეს

წევრები, არიან; ეკონომიური დიფერენციაციის შედეგად მათ უკვე თავის სოციალურ წრეშიაც გარკვეული აღზევებისათვის მიუღწევიათ. ასეთ პირებს შესაძლოა ეჭიროთ როგორც სამხედრო, ისე საერო სახელმწიფო თანამდებობანი. რაც უფრო მეტად იტვირთებიან ისინი აქ, მით უფრო და უფრო მკვეთრად ეთიშებიან საკუთარ სოციალურ გარემოს. რაც უფრო მეტად იტვირთებიან ისინი სამხედრო და სახელმწიფო სამსახურში, მით უფრო და უფრო მეტად ცდილობენ ისინი საკუთარი მეურნეობის გაძღოლისა და მოვლის ტვირთი სხვას გადააკისრონ. ასე იქმნება სრულიად გარკვეული სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა.

ამ სამეფო გვარდიას საკუთარი სახელწოდებაც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ სხვა ადგილას ვისაუბრებთ.

ჩვენ მოკლებულნი ვართ საშუალებას, წყაროების მდგომარეობის მიხედვით, სასურველი სისრულით გავითვალისწინოთ შემდგომი პროცესი „ერის“ დიფერენციაციისა და მისგან პროფესიონალი მეომრების, რომელთაც სათანადო საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობა აქვთ, ცალკე წრედ გამოყოფისა. მაგრამ კანტიკუნტად მაინც ჩნდება გარკვეული ცნობები, რომლებიც ყოველმხრივ უნდა იქნან გამოყენებული.

ჯერ ამ განვითარების პირობების შესახებ. რომაელთა შემოსვლას ჩვენში უეჭველად უნდა დაეჩქარებინა ეს პროცესი. რომაელებს თან მოჰყვათ და ნაწილობრივ თვით მათ მოიტანეს ბევრად უფრო შფოთიანი (სოციალურად) დრო, ბევრად უფრო დაჭიმული, საომარი მოქმედებითა და სამხედრო საჭიროებებით სავსე, ხანა, ვიდრე ეს იყო მანამ (რამდენადაც ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევენ მოღწეული წყაროები). ომიანობა, რათქმაუნდა, წინათაც იყო, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო ადგილობრივი თავდასხმები, წვრილი თარეშები და სხვა. ეხლა-კი უკვე მსოფლიო მასშტაბის ბრძოლები წარმოებს. სასტიკი ბრძოლები მითრიდატსა და მის მოკავშირეებთან, შემდეგ ამტყდარი მრავალსაუკუნოვანი სამკვდრო-სასიცოცხლო ომი რომაელებსა და სპარსელებს შორის, რომელიც სულ უფრო და უფრო ითრევს თავის სფეროში ამიერ-კავკასიასაც, რომაელთა მუდმივი სამხედრო საზრუნავი ჩრდილოეთ საზღვრებზე, თვით ადგილობრივი თავდასხმებისა და თარეშების ახალი ხასიათი და მიმართულება (ამის შესახებ ქვემოთ), — ყოველივე ამას არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაეჩნია აქაური ცხოვრებისათვის. მოვიგონოთ თუნდაც თავის ადგილას აღწერილი ბრძოლა სომხეთისათვის I ს-ში, ქ. შ.,

რომელშიაც იბერიის სამეფო დინასტია სომხეთის ტახტის პრეტენდენტად გამოდის. ბევრი რამეა ამ ეპიზოდში საგულისხმო. ასეთი მოვლენები იწვევდნენ სახელმწიფო და სამხედრო აპარატის გართულებას, მონარქიის გაძლიერებასა და მისი ხასიათის შეცვლას სამხედრო-ბიუროკრატიული მიმართულებით და იმ ახალი სოციალური ძალების ზრდას, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სამხედრო-სამოხელეო მონარქია.

მაგრამ ომს არ შეუძლია არაფრისგან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა შექმნას. ქართული ფეოდალიზმის დეკადანსის ეპოქაში ბრძოლა და თარეში უფრო ეხვადაც არის მოცემული, მაგრამ ეს უკანასკნელი კაპიტალიზმის წყარო-კი არ არის. — იგი კიდევ უფრო ანიავებს ქვეყნის საწარმოო ძალებს და კიდევ უფრო აგვიანებს ახალი ეკონომიური ეპოქის დადგომას. საჭირო იყო შინაგანი პირობების მომწიფება, რომ ეს გარეგანი ფაქტორები წინწამბიძგებელი სტიმულის როლში გამოსულიყვნენ.

ყოველგვარ კლასობრივ სტრუქტურას საფუძვლად შრომის საზოგადოებრივი განაწილება უძევს. ახალი სოციალური კლასების წარმოშობის ფესვებიც ამ სფეროში უნდა ვეძიოთ.

შრომის საზოგადოებრივი განაწილების ძველი წესის ნიადაგზე თეოკრატიული საზოგადოება და სახელმწიფო წარმოიშვა, საკუთარ სამეურნეო პირობებში (ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იყო ბაღ-ბოსტნის კულტურა, რომელიც ზოგიერთი საწარმოო ძალის გამოყენების დარგში საზოგადოებრივ კონტროლს მოითხოვდა). შესაძლოა, რომ ამ წყობილების წარმოშობა საქართველოს ტერიტორიის გარეთ ვიგულისხმოთ. საქართველოს მიწა-წყალზე დაბკვიდრების შემდეგ მეურნეობის ხასიათი უნდა შეცვლილიყო. თანდათანობით (ეს განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოზე ითქმის) ვითარდება მიწისმოქმედება, მეპინდვრეობის მიმართულებით. ვრცელდება, ჩანს, უფრო ფართოდ, ვიდრე ეს იყო მანამდე, პურეული კულტურები. ზოგიერთი რაიონისათვის განსაკუთრებულ გავრცელებას პოულობს მესაქონლეობა. სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას. ენეიხსა და ღვინოს ქართველი ტომები, საფიქრებელია, თავის ძველ სამშობლოშიც იცნობდნენ. მაგრამ განსაკუთრებული წონა მეურნეობაში მევენახეობას ახალ ტერიტორიაზე დამკვიდრების შემდეგ უნდა მიეღო (ამის შესახებ სპეციალურ ნარკვევში ვისაუბრებთ). მევენახეობას ამ დროს საქართველოს მეზობლად მდებარე მრავალ

ქვეყანაში მისდევენ, თუმცა საწარმოო ძალთა განვითარების საერთო დონის მიხედვით თვით მევენახეობის კულტურაც აქ სხვადასხვა სიმაღლეზეა ასული. აღმოსავლეთი საქართველო ამ მხრივ, საფიქრებელია, უფრო ახლო იდგა ბოსფორთან (ყირიმში), ვიდრე ალბანიასთან, რომლის შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდით. ბოსფორში-კი ეს კულტურა საკმაოდ მაღალ საფეხურზე იყო ასული. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ აქ ვაზს საზამთროდ მიწაში ფლავენ (მაშასადამე, ვენახი დაბლარია). ღვინოს ბოსფორელებისათვის სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა. ქალ. ტანაიდში, რომელიც მდ. დონის შესართავთან მდებარეობდა და რომელიც პანტიკაპეას შემდგომ ყველაზე დიდი სავაჭრო-საბაზრო პუნქტი იყო „ბარბაროსებისათვის“, ღვინო გაცვლა-გამოცვლის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქონელთაგანი იყო: თუ აზიელი (მაშასადამე, ჩრდილოეთ-კავკასიის) და ევროპელი ნომადები აწოდებდნენ ამ ბაზარს მონებს, ტყავ-ბეწვეულსა და სხვას, მათი მეურნეობის პროდუქტს, ბოსფორიდან ზღვით მოსულ ხალხებს მოჰქონდათ აქ თურმე სამოსი, ღვინო და სხვა მსგავსი საქონელი. საეჭვოა, რომ სამოსს დიდი გასავალი ჰქონოდა მომთაბარე და მეჯოგე ტომებში. უფრო ხარბად ისინი ალბათ სწორედ ღვინოს ეტანებოდნენ. მაგრამ ამ ღვინის მუშტარ ტომებს სამხრეთიდან სწორედ საქართველო (კერძოდ და პირველ რიგში — იბერია) ეკრა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია მივიღოთ, რომ მათ ღვინო ქართველ (კერძოდ — იბერიის) ტომთაგანაც შეეძლოთ შეეძინათ. იბერიასთან სარმატიას ისეთი ჩინებული გზა აკავშირებდა, როგორიცაა დარიალის ხეობა. მაშასადამე, იბერიისთვისაც ამ დროს უკვე მეღვინეობას სამრეწველო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

შესაბამისად, თვით კულტურაც (აქ ყოველთვის, უწინარეს ყოვლისა, იბერიას ვგულისხმობთ) შედარებით მაღალი უნდა იყოს. ვენახი იბერიაში დაბლარია, ჩანს (სტრაბონის შენიშვნები ალბანური ვენახების მდგომარეობის შესახებ ალბათ აგრეთვე დაბლარს გულისხმობენ).

რაკი მეღვინეობას სამრეწველო ხასიათი შეიძლებოდა ჰქონოდა, სათანადო მეურნეობანიც უნდა გაჩენილიყვნენ. შესაძლებელია, ტაძრებსაც დაემზადებინათ ღვინო ბაზრისათვის. გარდა ამისა, აქ კერძო პირთა ინიციატივაც საგულვებელია. მოთხოვნილების ზრდას ამ საქონელზე სათანადო მეურნეობათა გაფართოების ცდა უნდა გამოეწვია და, შესაბამისად, საჭირო მუშახელის საკითხიც უნდა გაეჩინა.

ბუნებრივია, რომ თავდაპირველად აქ მონის შრომა გამოყენებინათ. და სწორედ ამ მეურნეობის სფეროში შეიძლება მონათმფლობელური წარმოების წესის თავისებურებას დავაკვირდეთ. ეს კულტურა იმდენად რენტაბელურია, რომ მონის შრომას შეუძლია აქ თავის თავი გაამართლოს ეკონომიურად. მაგრამ ეს იმ აუცილებელი პირობით, რომ მონის შრომა აქ გამოყენებულია მეურნეობის პატრონის უმეშვეო მეთვალყურეობის პირობებში. მაგრამ, ამასთან ერთად, ვაზი იმდენად სათუთი მცენარეა, რომ ამ მეთვალყურეობის შესუსტების შემთხვევაში იგი მონის თავისადმი დამოკიდებულებას ვერ აიტანს. როცა მეურნეობის მესაკუთრე იძულებულია უფრო ხანგრძლივად მოსწყდეს თავის მეურნეობას, ეს გარემოება უფრო მკაფიოდ იჩენს თავს. საჭირო ხდება წარმოების ახალ წესზე მოწყობა. აქ იბადება ეკონომიური შესაძლოება მონის შრომის შეცვლისა ყმის შრომით.

რომაელთა შემოსვლას საერთოდ უნდა გაეფართოებინა საქართველოში საალებმიცემო ბრუნვის წრე. ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ზემოთ თქმულს ამ ეპოქის ომიანი ხასიათის შესახებ: ომი და ვაჭრობა ამ დროს მჭიდროდ არის დაკავშირებული, და კონკრეტული მდგომარეობის შესახებ ჩვენ კონკრეტული მასალების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ.

ამ მხრივ საყურადღებოა რომაული ფულის ტრიალის ფაქტები ჩვენში. პირველი საუკუნის დამლევიდან (ჩვენს ერამდე) ამიერკავკასიაში შემოაქვთ რომაული დინარი (კერძოდ, ავგუსტოსის ფული) აუარებელი რაოდენობით. სპეციალისტების მტკიცებით, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში კუთხე არ მოიპოვება ისეთი, სადაც ეს რომაული მონეტა ნაპოვნი არ იყვეს. შემდეგში მოთხოვნილება ფულის ნიშნებზე იმდენად იზრდება, რომ მას ვეღარ აკმაყოფილებს მათი გარედან შემოსული მასა და, ისევე როგორც ძველად თავის დროზე, ადგილობრივაც სჭრიან ფულს რომაული დედნის მიბაძვით.

შემდეგში თვით ეს მინაბაძი იქცევა ორიგინალად ახალი მიბაძვისათვის და ა. შ. ეს მიბაძვით მოჭრილი ადგილობრივი ფული, სპეციალისტების დასკვნით, ეკუთვნის I—II სს., ჩვენი წელთაღრიცხვით. ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს გაცვლა-გამოცვლის სიცხოველეს ამ ხანაში.

ამ პროცესის გაფართოებას ხელს უწყობდა რომაელთა მიერ საქართველოს მეზობლად მდებარე ტერიტორიის ერთ პოლიტიკურ სუვერენიტეტს ქვეშ მოქცევა და, მაშასადამე, სხვადასხვა

ხალხების წინანდელზე მეტად დაახლოება ერთმანეთთან. სტრაბონი აცბობს: ... „აზიაში მთელი ჩვენი სანაპირო ემორჩილება-ნათ [=რომაელებს], თუ სათვალავში ახეების, ზიგებისა და ჰენიოხების მიწებს არ ჩავაგდებთ, სადაც, მწირსა და ვიწრო ადგილებში, ეს ხალხები ყაჩაღურსა და მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან. რაც შეეხება ხმელეთს აზიის შუაგულისაკენ, ნაწილობრივ იგი რომაელებს ეკუთვნის. ნაწილობრივ-კი — პართელებსა და მათ ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებს... აქაურობისაგანაც ყოველთვის ზოგი რამ რომაელების ხელში გადადის. ამ რომაული სამფლობელოს ერთი ნაწილი მეფეთა მფარველობის ქვეშ იმყოფება, ნაწილს-კი თვით რომაელები ჰფლობენ, გადააქციეს რა იგი პროვინციად, სადაც ჰგზავნიან მმართველებსა და ხარკის ამკრეფელებს. არის აგრეთვე თავისუფალი ქალაქები. რომელთაგანაც ზოგთ იმთავითვე დაამყარეს რომაელებთან მეგობრული კავშირი, სხვებმა-კი თვით მიიღეს უკანასკნელთაგან თავისუფლება, რჩეულობის ნიშნად. მათი: მფლობელობის ქვეშ იმყოფებიან აგრეთვე ზოგიერთნი მთავარნი, ერისთავნი და ეპარქიმნი, რომელნიც მამაპაპეული კანონებით ჰმართავენ". ბაშასადამე, მთელი წინა აზია ამ დროს ორი დიდი ეკონომიურ-კულტურული — რომაული და პართული — სამყაროს ორბიტაშია მოქცეული.

ჩრდილოეთიდან მათ სარმატია ეკვროდა, ამიერ-კავკასია-კი შუაში იყო მოქცეული. ასეთ პირობებში საქართველოს სააღებ-მიცემო კავშირმა ამ ქვეყნებთან განვითარების უფრო ხელსაყრელი პირობები მოიპოვა. რანაირია ამ აღებმიცემის ეკონომიური და სოციალური ხასიათი და რა არის მისი საგანი? რათქმაუნდა, მისი მოცულობა და ეკონომიური მნიშვნელობა ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე მერმინდელ (თუნდაც IX—X) საუკუნეებში. სტრაბონის ცნობით, როგორც ვიცით, კოლხეთი მდიდარია ხეტყით, სელით, კანაფით, ცვილითა და ფისით და, გარდა ამისა, აგრეთვე ნაყოფით (ხილით). ეს სიტყვები ალბათ იმას გულისხმობენ, რომ აღნიშნული საქონელი აქაურ ბაზარზე იშოვება უცხოელი ვაჭრებისათვის. ასეთივეა, საფიქრებელია, იბერიის ბაზრის მდგომარეობაც.

აღნიშნულ საქონელს უნდა დავუმატოთ, ზემოთქმულის მიხედვით, ღვინოცა და, განსაკუთრებით-კი მონებიც.

ზემოთ დავრწმუნდით, რომ მოპარვა-მოტაცებისა და წვრილი თავდასხმების გზით მოპოვება მონებისა ამ დროს საერთოდ ვრცელდება რომის იმპერიაში და რომ კერძოდ ეს მოვლენა ფართო

ბასიათს იღებს შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე. ისიც ვნახეთ, რომ მონების ერთს უმდიდრეს წყაროთაგანს საქართველოს მოსაზღვრე სარმატია შეადგენს.

ამიტომ ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ხანის ის რომაული ფული, რომელიც ასეთი რაოდენობით არის შენახული ჩვენი ქვეყნის ნიადაგში, სწორედ მონებშია დახარჯული. თავის ადგილას დავრწმუნდით, რომ ადამიანების ტაცება შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე ამ დროს ზოგიერთი ტომებისათვის ნამდვილ პროფესიად არის გადაქცეული. ასეთი ხელობა, რათქმაუნდა, საქართველოშიც იქნებოდა გავრცელებული. რიცხვი ასეთი პროფესიონალებისა თანდათან უნდა გამრავლებულიყო, სწორედ რომაელთა წაქეზების წყალობით.

ალბათ ბევრი რამ საქართველოს იმდროინდელ ისტორიაში სწორედ ამ ფაქტების ნიადაგზე აიხსნება.

ეს ადამიანის ქურდები და მონადირეები იმავ დროს თავიანთი საქონლის უმეშვეო ვაჭრებიც არიან. აქ მეღავნდება იმდროინდელი აღებმიცემის საერთო სოციალური ხასიათიც.

საეჭვოა, რომ ამ ეპოქაში უკვე არსებობდეს ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი ჯგუფი ისეთ ადგილობრივ მკვიდრთა, რომელნიც მხოლოდ ვაჭრობას მისდევენ. ბაზარზე გამოსულ პირთა უდიდესი უმრავლესობისათვის ბაზისს მაინც საკუთარი სოფლის მეურნეობა შეადგენს. წარმოშობით ეს პირნი იმავე „ერს" ეკუთვნიან.

დავასკვნათ: ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის „ერში", „ყოველ ერში" (ძესამე „გენში"), ეკონომიური დიფერენციაციის ნიადაგზე, უკვე მკაფიოდ ირკვევა მთელი კატეგორია ადამიანებისა, რომელნიც ფორმალური სოციალური ნიშნეულობით („წოდებრივად") ჯერ თავიანთ წრეს („გენს") არ გამოჰყოფიან, მაგრამ არსებითად დანარჩენ მასაში რელიეფურად ერჩევიან. უმეტესწილ შემთხვევაში, მათი მეურნეობა უფრო მსხვილია და ბაზართან უფრო დაკავშირებული. ასეთი გამსხვილება შესაძლებელი ხდება ზოგიერთი განსაკუთრებული რენტაბელური კულტურის (კერძოდ, მევენახეობის) ნიადაგზე. საჭირო დამატებით მუშახელს ასეთ მეურნეობაში თავდაპირველად მონები წარმოადგენდნენ. ეკონომიური შეძლების საფუძველზე და შეიარაღების განსაკუთრებული ტიპის არსებობის პირობებში ეს პირნი შეადგენენ ძირითად კონტინგენტს გაპროფესიონალების გზაზე დამდგარი მეომრებისას, რომელთაც, ამას გარდა, ამავე ნიადაგზე, მოეპოვებათ რეალური საშუალება სახელმწი-

ფო და სამხედრო სამსახურში დაწინაურებისა. ეპოქის საერთო პირობები ხელს უწყობენ ამ სოციალური ტიპის შემდგომ დასრულებას, გამოკვეთას. მათ შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მონათვაჭრობას, რომელიც აქ ადამიანთა პარვა-ტაცებასთან განუყრელადაა დაკავშირებული. ეს ხელობა, ჯერ ერთი, შემოსავლის უმდიდრესი წყაროა. შემდეგ იგი ზრდის პროფესიონალ მეომართა თვისებებს, ამრავლებს თვით ამ მეკობრე-მეომართა რიცხვს და ხელს უწყობს, საფიქრებელია, ასეთ პირთა ცალკე რაზმების წარმოშობას, რომელთაც მეტნაკლებად მუდმივი ხასიათი და გარკვეული სტრუქტურა (ერთგვარი იერარქიის საფუძველზე) აქვთ.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები მერმინდელი საუკუნეებიდან ადასტურებენ ამ მოსაზრებას.

მეორე საუკუნის პირველ ნახევარში, ბერძნულ-რომაული ცნობებით, იბერიაში მეფობს ფარსმანი, რომელთანაც კავშირის შენარჩუნებას რომაელი იმპერატორები, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ამ კავშირის განმტკიცებას, კერძოდ, პირადი ურთიერთობითაც ცდილობენ. როცა ფარსმანი ცოლ-შვილით ადრიანე კეისარს (117—138 წ.) რომში ეწვია სტუმრად ძვირფასი საჩუქრებით, იმპერატორმა საპასუხოდ თვითონაც ისე დაასაჩუქრა იბერიის მეფე, რომ არც ერთი სხვა მეფისათვის მას ამდენი არ მიუცია, თუმცა ბევრს მიუღია მისგან აუარებელი საჩუქარი. ფარსმანს იმპერატორმა, სხვა დიდებულ საჩუქრებს გარდა, გაუფართოვა ტერიტორია და მიუძღვნა სპილო და ხუთასი მხედრისაგან შემდგარი რაზმი. ეს მხედრები ალბათ სათანადოდ გაწვრთნილი მონები იყვნენ და სპილოსაც საომარი დანიშნულება უნდა ჰქონოდა. უკვე ეს გარემოება ძალიან დამახასიათებელია და გარკვევით მიუთითებს იბერიის მონარქიის ძლიერ განვითარებას სამხედრო მიმართულებით. ფარსმანს, ჯერ ერთი, სათანადო სამხედრო მოთხოვნილებანი უნდა ჰქონოდა, რაკი მას ასეთ თავისებურ ძღვენს აძლევდნენ. შემდეგ, მას თვითონაც უნდა ჰყოლოდა ასეთი მუდმივი რაზმებიც და, საფიქრებელია, უფრო ძლიერიც, რომ ამ უცხოელებს სამეფო კარზე რეალურ ძალთა მეფისათვის არასასურველი განწყობა არ შეექმნათ. მეტიც: ფარსმანის ამალა, რომელიც მეფეს რომში თან ჩაჰყვა, როგორც ეს ქვემოთაა მოხსენებული, თავისთავადაც კეისრის მიერ ნაჩუქარ რაზმზე პატარა არ უნდა ყოფილიყო, რომ სტუმარს ასეთი საჩუქრისათვის ეპვის თვალით არ შეეხედა და იგი თავისი საპატიო დატყვევების

ცდად არ მიეჩნია. შემდეგ ისტორიკოსი მოგვითხრობს: ადრიანემ ფარსმანს „ნება მისცა მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლის ტაძარში, მისი [ფარსმანის] ცხენოსანი ქანდაკება მარსის ველზე დაადგმევინა და უმზერდა, თუ როგორ ვარჯიშობდნენ თვით [ფარსმანი], მისი შვილი და სხვა პირველი [= მთავარი, წარჩინებული] იბერები აბჯარში". მაშასადამე, მეფის ამალაში, რომელიც, როგორც ვთქვით, მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო, წარჩინებული ქართველებიც ყოფილან. მათს წარჩინებულებას უკვე ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ისინი მეფესა და მის შვილთან ერთად ვარჯიშობენ. ეს ვარჯიშობა ალბათ ცხენზე წარმოებს და იქნებ სწორედ ამიტომ დაადგმევინა კეისარმა ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება. დაუჯერებელიცაა, რომ ასეთი პატივით მიღებულს იბერიის მეფეს ქვეითად ეხტუნა იმპერატორის წინაშე.

შემდეგ საყურადღებოა ცნობა, რომ ქართველები ვარჯიშობდნენ აბჯარში (ἐν ὅπλοις). რადგანაც ჩვეულებრივად სხვა გამოთქმებში (კერძოდ, კომპოზიტებში) ეს სიტყვა მძიმე (ჰოპლიტის) შეიარაღებას გულისხმობს, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცხენოსანი იბერიელები მძიმედ შეჯავშნულნი ვარჯიშობდნენ. წარჩინებული ერისკაცები, რომელნიც მძიმედ შეკურვილნი ასპარეზობენ და ცხენს ისე ხმარობენ, რომ იმპერატორის აზიზი კარის ურადღებასაც იმსახურებენ — ეს სურათი ჩინებულად მოწმობს, რომ ფეოდალური კლასის სოციალური წინაპრები უკვე საკმაოდ გაზრდილან და თავიანთ საზოგადოებრივ დავაჟკაცებას უახლოვდებიან.

თუ რომელ ადგილობრივ ტერმინს უნდა შეესატყვისებოდეს ბერძნული ტექსტის „პირველნი", ქვემოთ ვნახავთ.

კიდევ უფრო საინტერესოა ცნობა, რომელიც ამავე ხანას ეკუთვნის და უკვე დასავლეთ საქართველოს გულისხმობს. ეს ცნობა აქვს რომის ერთს მცირეაზიელ მოხელეს ფლ. არიანეს, რომელმაც დაათვალიერა რომის მფლობელობაში მყოფი, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და აქაური მდგომარეობის შესახებ იმავე ადრიანე კეისარს სპეციალური მოხსენება მიართვა. ეს მოხსენება სრულიად ახალ სურათს გვიშლის თვალწინ. ამ დროს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ოთხი პოლიტიკური ერთეული არსებულა. ჯერ თურმე ლაზების სამეფო ხვდებოდა სამხრეთიდან მომავალ მგზავრს, შემდეგ — აფსილებისა, აფსილებს ზემოთ — აბაზგებისა, ყველაზე ჩრდილოეთით-კი მოთავსებული ყოფილა სანიგების სამეფო. ტერიტორიულად ეს სამთავრო-

ები ლაგდებიან რიონის ხეობიდან მოყოლებული ჩრდილოეთისაკენ, ბზიფის ხეობამდე. თვითეული მათგანი განცალკეებულ ერთეულს წარმოადგენდა და უმეშვეოდ იყო დამოკიდებული რომის მთავრობაზე.

როგორ გაჩნდნენ ეს პოლიტიკური წარმონაქმები, ან რას წარმოადგენენ ისინი სოციალურად და ეკონომიურად?

პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ფიქრობს, რომ „მთლიან დასავლეთ საქართველოს დაეუცმაცება ოთხ სამეფოდ“ რომაელთა პოლიტიკის შედეგი უნდა ყოფილიყო. „როგორც ჩანს, რომაელებს თავიანთი საყვარელი პოლიტიკური მცნება divide et impera [დაანაწილე და იბატონე] აქაც განუხორციელებიათ და გაერთიანებული კოლხეთის მაგიერ ოთხი სამეფოს შექმნისათვის ხელი შეუწყვიათ“ (ქართ. ერის ისტორია, ტ. I, გამ. 3, გვ. 160-161). მართლაც, ამ პრინციპს რომაელები მტკიცედ ადგნენ მახლობელ აღმოსავლეთშიც. ძალიან საინტერესოა ამ მხრივ რომაელ ადგილობრივ მოხელეთა უმრავლესობის აზრი, გამოთქმული იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა სომხეთში I საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ვიცით, ამ დროს აქ რომაელებისა და პართელების ბრძოლის ნიადაგზე ამ სამეფოს გამო, იბერიის სამეფო სახლი გარკვეულ აგრესიას ავითარებს, რომელიც ამ სახლის წევრთა სისხლიანი მტრობით თავდება. იბერიის მეფე ფარსმანი თავის შვილს რადამისტს საკუთარს ბიძას, სომხეთის მეფეს, მითრიდატს, აკვლევინებს. ამ ბოროტმოქმედებას ადგილობრივი რომაელი მოხელეების უმეტესი ნაწილი ადვილად შერიგებია. „სხვის ყოველგვარ ბოროტმოქმედებას სიხარულით უნდა შევხვდეთო— უთქვამთ მათ — ჩვენ კიდევაც უნდა დავთესოთ სიძულვილის თესლი, როგორც რომის სელმწიფენი სიუხვის მოსაჩვენებლად იმავე სომხეთს ვისნე ეთმობდნენ, რათა ბარბაროსებში შფოთი აღეძრათ. დაე, რადამისტი ფლობდეს თავისი ბოროტმოქმედების ნაყოფს და იყოს სიძულვილისა და ზიზღის საგანი, რაკი ეს ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია. ვიდრე მაშინ, მას რომ ხელისუფლებისათვის დიდებით მიეღწია“-ო. ამიტომ შესაძლებელია, რათქმაუნდა, რომ მსგავსი მიზნები რომაელებს კოლხეთშიც დაესახათ. მაგრამ თუ მოვიგონებთ იმას, რაც ჩვენ მიერ ზემოთ იყო ნათქვამი კოლხეთის მდგომარეობის შესახებ, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ასეთი პოლიტიკა ფაქტიურად ზედმეტი უნდა ყოფილიყო. კოლხეთმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა შედარებით ადრე დაკარგა, რაც მისი დასუსტების შედეგი უნდა ყოფილიყო. რო-

მის იმპერიის ფარგლებშიც ეს ძველი კოლხეთი, როგორც ჩანს, არასოდეს არ შესულა გამოცალკევებული მთლიანობის სახით,— იგი ყოველთვის, როგორც ვამბობდით, მეზობელ პროვინციებთან ჩანს გაერთიანებული. ყველაფერი მიგვითითებს იმაზე, რომ კოლხეთი მოკლებული იყო ისეთ შინაგან ერთიანობას, რომელიც სხვა შემთხვევებში არასასურველად მიაჩნდათ რომის მმართველ წრეებს. ამ ერთიანობის არარსებობა განსაღვრული იყო, საგულვებელია, იმ გარემოებითაც (რომელიც შემდეგში იჩენს თავს), რომ ტომური შედგენილობის მხრით კოლხეთი განსაკუთრებულ მრავალფეროვანებას წარმოადგენდა. ეს ტომები საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავებული უნდა ყოფილიყვნენ ერთიმეორისაგან მოდგმით, ენითა და ყოფაცხოვრებით. ამიტომ, საფიქრებელია, არიანეს მიერ აღწერილი მდგომარეობა ერთიანი მთელის დაკარგვის შედეგი-კი არ არის, არამედ, პირიქით, ინტეგრაციის, შეკრებისა და გაერთიანების ნაყოფია. იგი მაჩვენებელია ადგილობრივ ძალთა აღორძინებისა, უნდა ვიგულისხმოთ, რაღაც ახალ საფუძველზე. ამ ადგილობრივ ძალთა შეკრების, მათი ზრდის საფუძველი, ჩვენ ვფიქრობთ, იყო განვითარების გზაზე მდგომი და უკვე სათანადო სიცხადით გამოხატული ფეოდალური ურთიერთობა. აღწერილი პოლიტიკური წარმონაქმები ტომური ორგანიზაციები როდია. ვერც მათი მეთაურები ჩაითვლებიან გვაროვნული საზოგადოების წარმომადგენლებად: მათ თავიანთი უფლება მიღებული აქვთ არა გვაროვნული დემოკრატიისაგან, არამედ რომის კეისრებისაგან. შემდეგ: ამ რომის ვასალ „მეფეთან" (ბაზილევსების, როგორც არიანე ეძახის მათ) დასაყრდენად მარტო ის რომაული გარნიზონები საკმარისნი არ იყვნენ, რომელნიც ფაზისსა და სებასტოპოლში მდგარან (ე. ი. დღევანდელ ფოთსა და სოხუმში, თუ სებასტოპოლ-სოხუმის იგივეობას უდავოდ მივიჩნევთ). ეს წვრილი მფლობელნი, რომელნიც, უეჭველია, თვითონაც ადგილობრივი მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ (სხვათა შორის, მათი სახელებიც მოწმობენ ამას), ცხადია, რაღაც ადგილობრივ ძალებსაც უნდა დაყრდნობოდნენ. ეს-კი მხოლოდ ისეთი ძალები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, რომელნიც ნაყოფნი იყვნენ გარკვეული სოციალური დიფერენციაციისა. მერმინდელი ფაქტების მიხედვით ვფიქრობთ, რომ ეს დიფერენციაცია ფეოდალური, თუმც საგულვებელია. ჯერ კიდევ განუვითარებელი ხასიათისაა (სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება განსაზღვრავს ამ დინასტებისათვის გარეშე ძალის დახმარების საჭიროებას. შემდეგში, როცა ფეოდალური ურთიერთობა

აქ უფრო განვითარდება, ეს მფლობელები შეეცდებიან მხოლოდ საკუთარ ძალებს დაეყრდნონ). ამასთან ერთად საყურადღებოა, რომ ამ პოლიტიკურ ერთეულებს უკვე ჰქონდათ ერთგვარი ისტორია გამოვლილი. მათი წარმოშობა პირველ საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. თუ ლაზების, აბაზგებისა და სანიგების მეფეებს თავიანთი უფლება ადრიანესაგან ჰქონიათ მიღებული, ლაზებსა და აბაზგებს შორის მცხოვრები აფსილების მეფეს მეფობა მამაშენისაგან აქვს მიღებულიო, მიჰმართავს არიანე ადრიანეს. აქ, რათქმაუნდა, იგულისხმება წინა მეფობა ტრაიანე კეისრისა (98—117; ტრაიანე ნათესავი და „მამობილი“ იყო ადრიანესი). ცხადია, რომ, ყოველ შემთხვევაში, ლაზთა სამეფო ჩამოყალიბდებოდა, თუ არა უადრეს, არა უგვიანეს აფსილების სამთავროსი. მრავალი სხვა მოსაზრებაც მხარს უჭერს ასეთ ქრონოლოგიას.

მომდევნო ხანებისათვის ჩვენ, სამწუხაროდ, გვაკლია ცნობები. აღებული თემის ინტერესისათვის იძულებული ვართ საკმაოდ დიდი ნახტომი გავაკეთოთ და მეოთხე საუკუნეში გადმოვიდეთ, იმ ხანაში, როცა აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში (იბერიაში), ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქცა. პირობები, რომლებშიც ეს ფაქტი მოხდა, საყურადღებო მასალას წარმოგვიდგენენ საქართველოს სოციალური ისტორიისათვის და სწორედ ამიტომ აქ უფრო დეტალურ განხილვას საჭიროებენ.

არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და მისი სახელმწიფო სარწმუნოებად გადაქცევის ამბები. თვითეული მათგანი საკუთარ პირობებში მიმდინარეობდა. ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად ქცევამდე საქართველოშიც უნდა არსებულიყო (რათქმაუნდა, ქალაქებში, მაგ. მცხეთაში) ადგილობრივი წვრილი ქრისტიანული თემური ერთობანი, დაახლოებით ისეთივე ხასიათის მქონენი, როგორიც ჰქონდათ მათ რომის იმპერიის სხვა პროვინციებში.

აქ ჩვენ განსაკუთრებით სწორედ ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად ქცევის ისტორია გვაინტერესებს. სწორედ ამ მოვლენის ისტორიულ გარემოზე აშკარავდება ქართული საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისი საფეხური. თუ წინამორბედ ამბებს ჩავუკვირდებით, აპრიორულად საქმის ვითარება ასე უნდა წარმოგვიდგეს. მონარქიის სამხედრო-ბიუროკრატიული ხასიათი

ამ დროისათვის საჭირო სიძლიერითაა უკვე გამოხატული. ეს იმიტომ, რომ უკვე სათანადოდ გამოკვეთილია ის სოციალური ძალა, რომელსაც მას შეუძლია დაეყრდნოს. ამ ძალას შეადგენენ ის წევრები „ერისა“, რომელთა შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდით და რომელნიც მეორე საუკუნის პირველ ნახევარში იხსენიებიან („პროტოი“—„პირველნი“) გარკვევით. ამ საუკუნე-ნახევრის თუ ორი საუკუნის განმავლობაში ისინი შეუჩერებელი ზრდის პროცესს განიცდიან. მათი სოციალურ-ეკონომიური ზრდა მიმდინარეობს თავისთავად, როგორც ვნახეთ. მონარქია, თავის მხრით, აჩქარებს ამ პროცესს: მეფის ხელშია მნიშვნელოვანი მიწის ფონდები და „ყმები“ (მეოთხე გენე), რომელთაც მეფე ურიგებს ამ პირებს. სხვადასხვა ფორმით, მხოლოდ, საფიქრებელია, მუდამ სამხედრო. სამსახურის პირობით. ეს ურთიერთობა მჭიდრო კავშირის ნიადაგად იქცევა მეფესა და „მხედართა“ შორის. მეორე მხრით, ტაძრები და მათი წარმომადგენელი ქურუმები, თავიანთი მეურნეობით, სულ უფრო და უფრო შეუფერებელნი ხდებიან ცხოვრების ახალი პირობებისათვის. მათი არსებობა ტრადიციასა და ინერციაზეა დამყარებული. აუცილებლობით იბადება წინააღმდეგობა ქურუმებსა, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ახალ მონარქიასა და მის სოციალურ მოკავშირეებს შორის. სხვა არა იყოს რა, მეფე შურით უნდა უყურებდეს ტაძრების მემამულეობას განსაკუთრებით ეხლა, როცა მონარქიის საკუთარი მიწის ფონდი კლებულობს თანდათან, სამხედრო-სალენო ურთიერთობის განვითარების პროცესში. ამ ბრძოლაში მეფე და მისი მოკავშირენი ახალ იარაღსაც პოულობენ.—ქრისტიანობას, რომელიც ქურუმთა ძველ სარწმუნოებას უპირისპირდება.

ეს აპრიორული სქემა დასტურდება ქართული წყაროების ნაკლული ჩვენებით. ამ უკანასკნელთა შესახებ უნდა ვთქვათ, რომ თუმცა სათანადო ქართული ლიტერატურული ძეგლები, მოღწეული სახით, ნაგვიანევ ხანას ეკუთვნიან, მაგრამ ისინი უეჭველად შეიცავენ ძველ ელემენტებს და სხვა, უფრო მკვიდრ ნიადაგზე შემუშავებული ისტორიული პერსპექტივის დაცვის პირობებში მათი გამოყენება შესაძლებელი და შესაწყნარებელი ხდება.

ჯერ ერთი, თვით სოციალური დიფერენციაციის ზემოთ წარმოდგენილი სურათი სავსებით და შესანიშნავად არის აღბეჭდილი ქართულ საისტორიო და ნახევრად-საისტორიო მწერლობაში. ის ზედა ფენა „ერისა“, რომლისთვისაც ბერძენ მწერალს „პროტოი“—„პირველნი“ შეურქმევია, ადგილობრივ „წარჩინებულთა“

სახელწოდებას ატარებს. „წარჩინებული“ არის არა მარტო ზოგადი ეპითეტი ამ წრისათვის, არამედ ტექნიკური სოციალური ტერმინიც. მცხეთის მეორე მეფის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს, რომ იგი — მეფე საურმაგი — იძულებული შეიქნა, რაკი შინაურობაში მტკიცე მდგომარეობა არა ჰქონია, აზნაურთა გარდა (რომელნიც, ისტორიკოსთა წარმოდგენით, არაქართული წარმოშობისა არიან, ალექსანდრე მაკედონელის სარდლის, აზონის რაზმელთაგანნი) აგრეთვე უცხო ტომებსაც დაყრდნობოდა. ოსეთისა და დურძუკების (ქისტ-ღლიღვების) მეშველი ჯარით იგი „წარმოემართა ქართველთა ზედა და ვერ ვინ წინააღუდგა მას და დაიპყრა ქართლი“. გამარჯვების შემდეგ საურმაგი სათანადოდ გაუსწორდა მტრებსა და მეგობარ-მოკავშირეებს: „მოსრნა განდგომილნი ნისნი და რომელთამე შეუნდო. ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი“ („აზნაური“ აქ ნახმარია „აზონელის“, აზონის რაზმელის, მნიშვნელობით). მაშასადამე, „წარჩინებული“ „მდაბალს“ უპირისპირდება აქ სოციალურად. საურმაგი ქართველებს ამდაბლებს და, სამაგიეროდ, თავის ერთგულ „ჰრომებს“, აზნაურებს, ამაღლებს. იგი არც სხვებს ივიწყებს. მან „წარმოიყვანა ყოველთა კავკასიის ნათესავნი [=ტომთა] ნახევარნი და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა და სხვანი დასხნა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე.. და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თავისადმი“. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოყვანილი მთიელებისათვის ზოგისთვის მეფეს წარჩინებულება უბოძებია, სხვებისთვის-კი მარტივად საცხოვრებელი ადგილი. აქაც გარკვეული სოციალური აზრია მოცემული. ეს ახალი პრივილეგიური წრეები მეფის მისანდობელნი, მისი სოციალური საყრდნობი ხდებიან.

თავისთავად ცხადია, რომ ეს ცნობა მემატიანის მიერ მოცემულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ხელოვნურად არის მოთავსებული. იგი, ისევე როგორც ქვემოთ აღნიშნული ცნობა, მხოლოდ ტერმინის ბერმინდელი გაგებისათვის არის საინტერესო; პირველი საუკუნის დამლევისათვის, ჩვენს ერამდე, მოხსენებული არიან „მცირედნი ვინმე ქართველნი არა წარჩინებულნი“. მაგრამ ბევრად უფრო რეალური უნდა იყოს ისტორიულად ამ ტერმინის ხმარება ფარსმან ქველის ეპოქისათვის, რომელიც, მეფობათა თანამიმდევრობის ქრონოლოგიით, მეორე საუკუნეზე ბოდის. მეტიც: შესაძლოა, ეს ფარსმანი სწორედ ის ფარსმანი იყოს, რომელმაც რომში ივგზავრა და რომლის მხლებლებად უცხოელმა მწერალმა იბე-

რიის „პირველნი“, „წარჩინებულნი“, მოიხსენია. ქართველი ძველი ანალისტი გვიამბობს, რომ ამ ფარსმანის სიკვდილის გამო „იქმნა გლოვა და ტირილი და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახადმდე“. ქართველი საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე ამ დროს წარჩინებულნი დგანან, ყველაზე დაბლაკი გლახანი არიან ნაგულისხმევნი. მაგრამ განსაკუთრებით რეალური გვეჩვენება ის სოციალური სურათი, რომელიც ბიანლოებით მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარს გულისხმობს. უეჭველია, რომ, როგორც კერძოდ მატიანისებურ თხრობებში, ისე მერმინდელ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც ქართლის სამეფო სახლისა და წარჩინებული წრეების გაქრისტიანების შესახებ მოგვითხრობენ, ძველი ელემენტია დაცული. სათანადო კრიტიკული მიდგომა შეიძლებს ისტორიული ჭეშმარიტების მარცვალს მერმინდელი შენაზარდი, ტენდენციური და ყალბი, ფენები ააცალოს. ამჟამად აქ ხსენებულ ცნობებს ჩვენ მხოლოდ აღებული თვალსაზრისით განვიხილავთ.

ქართლის საზოგადოებრივი სტრუქტურა ამ დროს უფრო მრავალნაწევროვანი და მრავალფეროვანი ჩანს, ვიდრე წინა საუკუნეებში. „წარჩინებულთა“ ფენა, რათქმაუნდა, უფრო ძლიერია, მაგრამ თვით წარჩინებულთა შორისაც უკვე გარკვეულ პირებს შემდგომი დაწინაურებისათვის მიუღწევიათ. ეს არიან „მთავარნი“. რადგანაც შემდეგ ხანში ამ ტერმინს ჩვეულებრივად და უპირატესად პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ამიტომ შეიძლება მკითხველმა მასში აქაც ანალოგიური აზრი ჩასდოს. შეიძლება ტერმინს პოლიტიკური ელფერი მართლაც უკვე ამ დროს ჰქონდეს გადაკრული. მაგრამ უეჭველია, რომ მას სოციალური მნიშვნელობაც ჰქონდა. ქართლის და სომხეთის გაქრისტიანების ისტორიის ცნობილი ქალი პერსონაჟები, ნინო და რიფსიმე, „მთავრებად“ არიან წოდებულნი. ასევე უნდა გავიგოთ ეს სიტყვა შემდგომ ნაწყვეტში: „მოდრკა მეფე მუხლთა თვისთა ზედა და ყოველნი მთავარნი და ყოველი სიმრავლე ერისაი... ხოლო დედოფალი და სხვანი იგი მთავარნი დედანი არა სადა განეშორებოდეს წმიდასა ეკლესიასა“.

მთავართა გვერდით მოხსენებულნი „ერისთავნი“-კი უკვე აშკარად მეფის მოხელენი არიან. შესაძლოა სარდლები, ან აგრეთვე „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელენი. ისინი მეფის განკარგულების განმხორციელებელნი არიან, როგორც ქვემოთ ვნახავთ.

შემდეგ არსებობს კიდევ უფრო დაწინაურებული წრე, რომელიც მეფესთან განსაკუთრებით ახლოს დგას. ეს არის მეფის „პალატ-ბანაკი“. „პალატის“ ქვეშ იგულისხმებიან, ცხადია, მისი პალატის, კარის ხალხი, კარისკაცები, რომელნიც მეფის უახლოესი თანამშრომელნი, მრჩეველნი არიან. „ბანაკი“-კი, უმაღლეს სამხედრო პირთ უნდა აღნიშნავდეს, რომლებსაც აგრეთვე განსაკუთრებით ახლო ადგილი უჭირავთ მეფესთან ამ სფეროში. პალატ-ბანაკის ურთიერთობა თავიანთ შორის და შემდეგ მათი დამოკიდებულება მეფესთან კარგად არის გამოხატული იმ სიტყვებში, რომლებსაც ჰაგიოგრაფი ნინოს ათქმევინებს მეფის მიმართ:„... სიმრავლე წყალობისა გარემოს ბანაკსა და შინაგან პალატსა და ყოველსა ერსა თქვენსა ზედა იყავნ“-ო. ბანაკი, როგორც უმაღლესი სამხედრო წრე, მეფისა და მისი სასახლის გარე, საგარეო, საქვეყნო, საყრდენს წარმოადგენს, პალატი-კი შინაური, კარის, დარბაზის, წრეა. „ბანაკი“ მეფეს მისდევს მის შორეულ მგზავრობაშიც: მცხეთიდან კახეთს წასულ მეფეს თან მოუშორებლად ახლავს მისი „ბანაკი“.

გარდა ამ წრეებისა, როგორც უკვე მოტანილი ციტატებიდანაც შეიძლებოდა დავრწმუნებულიყავით, „ერიც“, „ყოველი ერიც“ იხსენიება. „ყოველი ერი“ მთელი ქართლის მოსახლეობას გულისხმობს ზოგადად: „განვიდა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი და ყოველი ერი ქართლისა დედებითურთ და ყრმებით“. მაგრამ, რათქმაუნდა, ეს ერი ძველი გვაროვნული საზოგადოება უკვე აღარ არის. საგულისხმოა (და იქნებ შემთხვევითაც არ არის), როცა „ქართლის მოქცევის“ მატიანის შატბერდული ვარიანტი ამბობს გაქრისტიანების შესახებ: „წარემართა მეფე და ყოველი ქართლი ქრისტიანობასა“-ო: ჭელიშური ვარიანტი იმავე აზრს სულ სხვა რედაქციით გამოსთქვამს:„... მეფე წარემართა ქრისტიანობასა ყოვლით საბრძანებლით მისით“-ო. ძველი ავტონომიური ერი ეხლა უკვე სხვის საბრძანებლად ქცეულა — სავსებით ნიშანდობლივი ჩვენებაა! ასევე დამახასიათებელია ცნობა ნინოს მიერ კუხეთის ტომთა გაქრისტიანების შესახებ:„... მონათლა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით“. რადგანაც მომდევნო ფრაზაში კახეთის „მთავართა“ მონათვლაა ნახსენები, ცხადია, ზემოთაც ასევე უნდა გავიგოთ — მოინათლნენ კხოელი (ანუ: კუხელი) და სუჯი მთავრები მათის ერით. მაშასადამე, აქაც მითითებაა იმაზე, რომ წინანდელი თავისთავადი ერი ეხლა უკვე სხვაზეა დამოკიდებული. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ავტორებს ერი თით-

ქოს ერთგვარი თვითმოქმედების ასპარეზზედაც გამოჰყავთ. მაგრამ, ჯერ ერთი, ერის ნებისყოფა ამ შემთხვევებში შედარებით უვნებელი და ნეიტრალური საგნებისადმი არის მიმართული. შემდეგ, თვით „ერიც“ აქ ახალი შინაარსის ცნებაა. მაგ., ახალი რელიგიის ოფიციალურად მიღების შემდგომ ბერძნები წინადადებას იძლევიან საუფლო ნიშის აღმართების შესახებ. ეს „სათნო უჩნდა მეფესა და ყოველსა ერსა“, მეფემ და ერმა მიიღეს წინადადება. შემდეგ ეძებენ სათანადო ადგილს და მეფე ამის შესახებ ერს ეთათბირება: „... განაზრახვიდა მეფე ყოველსა მას ერსა ვითარმედ რომელსამე ადგილსა აღჰმართონ სახეი იგი ჯვრისაი. ხოლო კაცად-კაცადი [=თვითეული] იტყოდა, სადა ვის მარჯვე უჩნდა, არამედ ვერსადა გამოირჩიეს“, ყველა თავისას გაიძახოდა, ვისაც რა ეხერხებოდა, და ვერ შეთანხმდნენო. ბოლოს, სასწაული სწყვეტს საკითხს. ნაჩვენები ადგილი „სათნო უჩნდა ყოველსა ერსა... და ყოველთა ერთბამად აღიღეს ჯვარი იგი და აღჰმართეს... და ყო მირეან მეფემან და ყოველმან ერმან მცხეთისამან შესაწირავი დიდი“-ო. მაშასადამე, ეს ერი მცხეთის ერი ყოფილა, ქალაქის ერი. ასეთი ქალაქის ერი-კი, სრულებით არ არის საკალდებულო, გვაროვნულ საზოგადოებას ეიგივებოდეს. ქალაქის ერი, შესაძლოა, „მონათმფლობელურ დემოკრატიას“ წარმოადგენდეს, როგორც ლენინი ამბობს, და თავისი სოციალური შინაარსით იგი განსხვავებული იქნება პირველყოფილი დემოკრატიისაგან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ „ერის“ ძველი მნიშვნელობა ფეოდალურ ეპოქაში ახსოვდათ და ტერმინი სხვადასხვა კონტექსტში შეიძლებოდა ხმარებული ყოფილიყო ისეთი კრებულის აღსანიშნავად, რომელიც განსაკუთრებული, კერძოდ საკანონმდებლო, უფლებებით არის აღჭურვილი. ეს გარემოება თავს იჩენს, მაგალითად, ფეოდალური სამეფო საბჭოს, „დარბაზის ერნის“, სახელწოდებაში.

თვით მოვლენები თავისი სოციალური აზრით-კი, გასაგებია, დიამეტრულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან — „დარბაზის ერნი“ ფეოდალური კლასის საწარმომადგენლო ორგანო იყო და არა მთელი ხალხისა.

გარდა ამისა, როცა საეკლესიო მწერალს სურს დაგვარწმუნოს, რომ ერმა, თუნდაც ქალაქის ერმა, ერთხმად მიიღო ქრისტიანობა, ამაში მისი ტენდენცია მჟღავნდება და არა ისტორიული სინამდვილე მთელი თავისი სახით.

ტენდენციური და ყალბია აგრეთვე ცნობები მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ძალთა შესახებ. არაფერი ან, ყოველ შემთხ-

ვევაში, უაღრესად მცირე და უფერული რამ არის ნათქვამი ქურუმთა კლასის შესახებ. ქართული წარმართობა წარმოდგენილია, როგორც კერპთაყვანისმცემლობა. ქართველები „ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყვანისსცემდეს". მათი ძველი ღმერთები არიან „ღმერთნი დიდთა ნაყოფთა ძომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმისა მომცემელნი, ქვეყნისა ნაყოფთა გამზრდელნი ქართლისანი — არმაზ და ზადეს, — ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი. და ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი — გაცი და გა". ამ ღმერთებს ჰყავთ თავიანთი „მსახურნი", რომელნიც განსაკუთრებული პრივილეგიებით არიან აღჭურვილნი. არმაზის „მსახურად" და, ამასთან დაკავშირებით, „მცხეთის მკვიდრად" გახდომა. მაგალითად, მიჩნეულია ისეთ უპირატესობად, რომლის მინიჭებაც მხოლოდ მეფეს შეუძლია. ჩვენ ვიცით უკვე, რა პრივილეგიები იგულისხმება აქ. ამ პრივილეგიების საფუძველზე შეუძლია მემატიანეს სთქვას, რომ ეს „ღმერთები" (= ტაძრები) არიან არა მარტო „სოფლის [ე. ი. ქვეყნის] მპყრობელნი", არამედ, უფრო კონკრეტულად, ისინი არიან „ღმერთნი, მპყრობელნი ქართლისანი". სათანადოდ, პოლიტიკური მდგომარეობაც მცხეთაში წარმოდგენილია, როგორც ისეთი მდგომარეობა, როცა „ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ". თუ მოვიგონებთ იმას, რასაც ჩვენ თავის ადგილას ვამბობდით ქურუმთა ბატონობის საფუძვლებისა და ხასიათის შესახებ, ამ ციტატებში ბევრი რამ იქნება ჩვენთვის საგულისხმო. საერთოდ-კი ცნობები ნაკლულია და სულ არაფერი არ ვიცით ყველაზე დაბლა მდგომი სოციალური ჯგუფების (სტრაბონისეული მეოთხე გენეს) მდგომარეობის შესახებ.

აი, ასეთი იყო ქართლის საზოგადოებრივი აღნაგობა, როცა აქ წამოიჭრა საკითხი ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ კულტად მიღების შესახებ. როგორც ვამბობდით, ქრისტიანობა მიიღეს სამეფო დინასტიამ და მისმა მოკავშირე საზოგადოებრივმა კლასმა, თავისი სოციალური და პოლიტიკური ინტერესების გულისათვის. ეს კლასი ერისაგან გამოთიშული ელემენტებისაგან შედგება. ზოგადად ეს არიან „წარჩინებულნი"[1], ხოლო ამ წარჩინებულთა შორის, ვნახეთ, არიან ცალკე ჯგუფები „მთავართა", „ერისთავ-

[1] ეს არ იყო ერთადერთი ტერმინი ამ ფენის აღსანიშნავად. სხვა ტერმინიც მრავალი იყო, და განსაკუთრებით ცალკე კუთხეებს თავისი ადგილობრივი ტერმინებიც მოეპოვებოდათ (მაგ., თავადნი, მოთაულნი, თავკაცნი, თავნი და სხვ.). სხვადასხვა დროსაც აგრეთვე მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ. დაწვრილებით ამის შესახებ სხვა ადგილას.

თა“, მეფის „პალატ-ბანაკისა“ და სხვა. საერთოდ-კი, მერმინდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ეს არის „აზნაურობა“ წრე, ჯგუფი ან კლასი (არ ვიცით ნაბიჯილად, არის ამ დროს უკვე ცალკე წოდებად ჩამოყალიბებული თუ არა). მერმინდელი ტერმინოლოგიაო, ვამბობთ, რადგანაც უეჭველად მიგვაჩნია, რომ ამ სოციალურმა ფენამ თავისი შინაგანი განვითარების გზით ჯერ სავსებით მკაფიო სახეს მიიღწია უფრო ადრე, ვიდრე მის აღსანიშნავად უცხოური (ირანული წარმოშობის) ტერმინი „აზნაური“ დამკვიდრდებოდა (ტერმინ „აზნაურის“ ისტორიისათვის იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 190 შემდ.). ვიმეორებთ, ამ მერმინდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ქრისტიანობა საქართველოს მოეფინა, როგორც აზნაურთა რელიგია და მონარქიის ოფიციალური კულტი. და, მიუხედავად ქრისტიანული წყაროების მთელი ტენდენციურობისა, მათში მაინც არის შერჩენილი (ე. ი. მთლად ვერ წარუსპოცავთ) კვალი იმ ბრძოლისა, რომელიც თეოკრატიული ელემენტების განადგურების შემდეგ კიდევ გაუმართავთ ქრისტიანობის მოციქულებისა და გამგრცელებლებისათვის. მას შემდეგ, რაც „ნათელი მიიღო მირიან მეფემან და ხანა დედოფალმან და ყოველმან პალატ-ბანაკმან მათმან“, საჭიროდ მიაჩნიათ „უქადაგონ“ ქრისტიანობა პროვინციასაც. პირველ რიგში მიმართავენ მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე მთიან რაიონებს. იქ წასულ ნინოს თან წაუყვანია საბერძნეთიდან მოსული სამღვდელოება და ერთი ერისთავი. „წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა — ჭართალელთა და ფხოელთა და ჭილაველთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტესი“. მაგრამ ამ მთიულებს არ აღმოაჩნდათ საჭირო „საფასური“: „ხოლო მათ პირუტყვ სახეთა (ე. ი. პირუტყვის მსგავსთა) განუყარეს თავი და პირნი გარე მიიქცევნეს და იღრეჩოეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოსთვის“. მაგრამ ნინოს ერისთავი თან ტყუილად-კი არ ახლდა — ქადაგების გარდა სხვა შეფარვების გამოყენების საჭიროება იმთავითვე იყო ეათვალისწინებული. „ხოლო ნინო უბრძანა ერისთავსა, რაითა წარმართთის მცირედ მახვილი მათ ზედა. და ერისთავმან მცირედ წარსცა მახვილი და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად. და გარდავიდა ერწუდ და დადგა ყალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა ერწუთიანელთა. ხოლო ყვარელთა რა ესმა ესე, შეშინდეს და გარდაკრბეს თუშეთს, რომელნი უკეანაისკენ იპოვნეს: თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა“. მაშასადამე, ზოგ-

ნი ამ მთიულ თემთაგან არა მარტო წინააღმდეგობას უწევდნენ ქრისტიანობის მოციქულებს, არამედ, როცა იმედი აღარ ჰქონდათ თავისი გამარჯვებისა, მამაპაპეულ მიწა-წყალსაც სტოვებდნენ და სხვაგან მიიხვეწებოდნენ. ჩანს, კახეთშიაც ყველა „აღტაცებით“ არ შეხვედრია ახალ სარწმუნოებას—წყაროები ამბობენ აქ „მთავართა“ გაქრისტიანების შესახებ და „ერი“-კი არ იხსენიება.

მერმინდელი ისტორიკოსებიც ვერ მალავენ, რომ როცა „ნათელ იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან... არა ნათელ იღეს მთეულთა კავკასიისათა... არამედ დადგეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე“, რომ მეფე ამ გარემოების გამო იძულებული ყოფილა განეცხადებინა: „მნებავს ესრეთ რათა იძულებით მახვილითა მოვაქციენ[ი]თ მთეულნი... და დავამონნე ძესა ღმრთისასა“-ო. ამავე ისტორიკოსს მოეპოვება ერთი ძალიან საყურადღებო ცნობა, რომ ქრისტიანობის გასავრცელებლად ადმინისტრაციულ ღონისძიებათა შორის მარტო მახვილი როდი იყო გამოყენებული, არამედ სხვა, უფრო დახვეწილი საშუალებებიც. „სხვანიცა მთიულელნი უმრაველესნი არა მოიქცეს, არამედ დ ა უ მ ძ ი მ ა მ ა თ მ ე ფ ე მ ა ნ ხ ა რ კ ი, ოდეს არა ინებეს ნათლიღებაო“. რატომ იყო, რომ ახალი სარწმუნოების პროპაგანდისტებს სწორედ მთაში შეხვდათ ასეთი გააფთრებული წინააღმდეგობა? ეს სავსებით გასაგებია: სწორედ მთაში ამ დროს ფეოდალური ურთიერთობა ან სრულიად არ არსებობდა, ან სუსტად იყო ჩასახული, და, მაშასადამე, აქ არ არსებობდა ჯერ კიდევ ის სოციალური ფენა, რომელსაც ქრისტიანობა დაემყარებოდა. - იყო, რათქმაუნდა, სხვა, სოციალურად ანალოგიური, თუმც ბუნებრივად განსხვავებული, რაიონებიც. შედეგი იქაც იგივე იყო. მოიპოვება დოკუმენტალური ცნობები იმის შესახებ, რომ მრავალი საუკუნის შემდეგაც საქართველოს მრავალ კუთხეში წარმართობა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ქრისტიანობა. თვით ზემოაღნიშნული წყაროც ამბობს, რომ „რომელნიმე მათგანნი [ამ მთიულთაგან] დარჩეს წარმართებასავე დღესამომდე“, ჩვენს დრომდეო; ავტორის დრო-კი რამდენიმე საუკუნითაა დაშორებული აღებულ ეპოქას.

ქრისტიანობის მიმღები წრეების დახასიათებისათვის იქნებ უმნიშვნელო არ იყოს წყაროთა ცნობები ეკლესიების მაშენებელთა შესახებ. გასაგებია, რომ საზოგადოდ ქრისტიან მაშენებელთა შორის და კერძოდ პირველ ქრისტიან მაშენებელთა შორის ქართლში მეფენი და ეპისკოპოსნი იხსენიებიან. მაგრამ თითქოს განსაკუთრებული აზრი ეძლევა ისეთ ცნობებს, რომლებშიაც

საუბარია ტაძრების აშენებაზე აზნაურთა მიერ და ეს უკანასკნელნი აქ კორპორაციულად არიან ნაგულისხმევნი. მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრისათვის აღნიშნულია, რომ ვარაზ ბაკურ მეფის „ზე აღაშენეს აზნაურთა ეკლესიაი გიორგი წმიდისა მცხეთას". მეოთხე საუკუნის დამდეგისათვის, მიახლოებით, ნათქვამია, რომ არჩილ მეფის „ზე აზნაურთა სტეფანე წმიდაი აღაშენეს არაგვსა ზედა". მხოლოდ უკვე მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის ყრუდ არის აღნიშნული, რომ მეფე დაჩის „ზე ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდაი ეკლესიაი აღაშენეს". თუ აქ მაინც მკაფიოდ არ ჩანს, ვინ არიან ეს კაცნი, სამაგიეროდ აზრი სავსებით ნათელია მომდევნო ცნობაში, რომელიც მიახლოებით მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარს გულისხმობს. ამ დროს, გუარამ ერისთავის „ზე ტფილისის მკვიდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს. ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი". ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში, საზოგადოებრივ განვითარებასთან დაკავშირებით, ქრისტიანობას დიდი ნაბიჯები წაუდგამს წინ თავის გავრცელების მხრით. ტფილისის „ყოველი ერი", ქალაქის ერი, უკვე იმ საქმიანობის თანამონაწილე (მოთავე თანამოწილე, როგორც ჩანს) არის, რომელიც წინათ მხოლოდ აზნაურებს ახასიათებდათ.

მაგრამ ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად ქცევა ქართლში გულისხმობდა არა მარტო გარკვეულს შინაურს სოციალურსა და პოლიტიკურ პირობებს, არამედ გარკვეულს გარეპოლიტიკურ პირობებსაც. ეს გარეპოლიტიკური პირობები განსაზღვრული იყო რომისა და სპარსეთის ბრძოლით პირველობისათვის წინა აზიაში, მებრძოლ მხარეთა დაინტერესებით ამიერკავკასიის ქვეყნებისა და, კერძოდ, ქართლის მიმართ, და დასასრულ თვით ქართლის მმართველი წრეების განწყობილებითა და მიდრეკილებებით ამ ბრძოლაში.

როგორც თავის ადგილას ვამბობდით, მესამე საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც სპარსეთის სამეფო ტახტი სასანიანებმა დაიპყრეს, იწყება სპარსეთის თვალსაჩინო გაძლიერება. მესამე საუკუნის შუა წლებში მათ მწარე დამარცხება აწვნევინეს რომაელებს — მით უფრო ადვილად, რომ ამ დროს იმპერია თავისთავადაც ძალზე იყო მისუსტებული, რადგანაც შინაური და საგარეო აშლილობა თავის მწვერვალზე იყო ასული. სპარსელებმა იმასაც-კი მიაღწიეს, რომ თვით კეისარი ვალერიანე ტყვედ წაიყვანეს (260 წელს), რაც დაგვირგვინება იყო სპარსეთის მეფის

შაბურ I-ის ცვლისა, ხელში ჩაეგდო რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციები. სპარსელების გაძლიერებას, რათქმაუნდა, მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნებისათვისაც, საერთოდ სპარსეთის მეფეები ხარბი თვალით ადრევე იცქირებოდნენ. სპარსელების გავლენა ამიერ-კავკასიაში ყველაზე ადრე, გასაგებია, სომხეთში და ალბანიაში ვრცელდებოდა. სომხეთშიც მათ წინა საუკუნეებშიაც არა ერთგზის მიუღწევიათ ჰეგემონიისათვის.

სომხური ეროვნული ტრადიციების მიხედვით, უკვე პირველმა სასანიანმა, არდაშირმა (226-240) დაიპყრა სომხეთი, დახარკა იგი და 26 წლის განმავლობაში ჰმართავდა მას თავისი მოხელეების საშუალებით. რომაული წყაროების ჩვენებითაც სომხეთი არდაშირის შვილის შაბურის დროს სპარსული გავლენის სფეროში შედიოდა. სპარსელების „მოღვაწეობა“ სომხეთში, როგორც ჩანს, არც თვით სომხებს ხიბლავდა და სომხების მეზობლებისათვისაც ცუდი მაგალითი უნდა ყოფილიყო. როცა იმპერატორი ვალერიანე სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს, სომხეთის მეფეს არტავაზდს შაბურისათვის მიუწერია — ამ აქტით (ვალერიანეს ტყვედ წაყვანით) შენ გადაიმტერე და ჩვენც გადაგვამტერე, იმიტომ რომ ჩვენ შემწეობა გამოგიგზავნეთ, ყველა ხალხი, რომელნიც მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებიან რომაელებთან, ან ემორჩილებიან მათთ. ამ ხალხთა შორის სომეხთა მეფე აღმოსავლეთში და პონტოში მცხოვრებ ხალხებსაც იხსენიებს და მართლაც ბაქტრიელებს, იბერიელებს, ალბანელებსა და ტავროსკვითებს უკუუგდიათ შაბურის წერილები, რომლებითაც სპარსეთის მეფე ამ ხალხებს ალბათ თავის მხარეს ეპატიჟებოდა და, სამაგიეროდ, რომაელების წინამძღოლთათვის მიუწერიათ, ვალერიანეს ტყვეობიდან გამოხსნის საქმეში დაგეხმარებითო. მაშასადამე, მესამე საუკუნის მეორე ნახევარში ამ ხალხების მმართველი წრეების ორიენტაცია რომისკენ ყოფილა მიმართული. უეჭველია, ამ მოვლენას თავისი უფრო ღრმა მიზეზებიც უნდა ჰქონოდა.

298 წლის ზავმა, როგორც ვნახეთ, დაადასტურა რომის უპირატესობა კერძოდ ქართლში, მაგრამ ქართლის დამოკიდებულება რომისაგან ამ დროს სავსებით მსუბუქი ფორმისა უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ეს ვასალობა იყო. რომის იმპერატორები ხომ უფრო ადრევე ცდილობდნენ ეხვი საჩუქრებით განემტკიცებინათ თავიანთი „მეგობრობა“ იბერიის მეფეებთან, ხოლო შემდეგში, საერთო მდგომარეობის

გამო, კიდევ უფრო მეტი საფუძველი ჰქონდათ ასეთი პოლიტიკა განეგრძოთ. მეოთხე საუკუნის შუა წლებში, სპარსელთა გაძლიერებული შემოტევების გამო, რომაელები ცდილობდნენ, მდ. ტიგროსის გაღმა მცხოვრები მეფენი და სატრაპები თავიანთ მხარეს გადმოებირებინათ, მდიდარი საჩუქრებითა და საჭირო შთაგონებით. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ცდილობდნენ ბრწყინვალე სამოსლებითა და მრავალფეროვან საჩუქრებით მოექრთამათ არშაკი და მირიანი („მერიბანე"), სომხეთისა და იბერიის მეფეები, რომელთაც შეეძლოთ მაშინდელ საეკვო გარემოებაში ევნოთ რომაელებისათვის, სპარსელების მხარე რომ მიეღოთო, ამბობს რომაელი ისტორიკოსი. და მართლაც, მეოთხე საუკუნის დამდეგიდან სპარსელების იერიშები სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება. ამიერ-კავკასიაში, სომხეთისა და ალბანიის შემდეგ, სპარსელებს ეხლა ქართლიც ჰქონდათ მიზანში ამოღებული და ძალღონეს არა ზოგავდნენ, რომ რომაელები აქედან გაეძევებინათ.

რადგანაც არც ერთს მებრძოლ მხარეს იმხანად ისეთი რეალური ძალა არ გააჩნდა, რომ იარაღით გადაეწყვიტა საკითხი, ამიტომ ადგილობრივი მმართველი წრეების განწყობილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ორივე მხარე სწორედ ამ განწყობილების მოპოვებას ცდილობდა. წყაროებიც მკაფიოდ მიუთითებენ მდგომარეობის ასეთ ხასიათს. მეხუთე საუკუნის დამდეგისათვის, როცა ბრძოლა ქართლის გამო ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი, ძველი ქართველი ჰაგიოგრაფი აღნიშნავს: „მათ ჟამთა შინა უკვე იყო ბრძოლა შორის ბერძენთა და სპარსთა და ეშინოდა ბერძენთა, ნუ უკვე შეერთოს მეფე ქართველთა სპარსთა და ბრძოდიან სამეფოსა ბერძენთასა და მძლე ექმნენ ბერძენთა. ამისთვისცა მოსთხოვა [კეისარმა]... მეფესა ქართველთასა ფიცითა სიმტკიცე, რათა არა შეერთოს სპარსთა". ქართლის მეფე სათანადო პირობას იძლევა. მაგრამ კეისარმა „უმეტესისა სიმტკიცისათვის" მოსთხოვა მძევალიცა მეფესა ქართველთასა, ხოლო რათა არა განიწვალნენ [ე. ი. არ გაიყონ, არ გაეთიშონ ერთმანეთს] ბერძენნი და ქართველნნი და რათა იყოს მათ შორის მშვიდობა და სიყვარული, ამისთვისცა თავს იდვა ესე მეფემან ქართველთამან და წარგზავნა ძე თვისი" მძეულადო. დასავლეთისკენ აუღიათ ორიენტაცია ქართლის მმართველ წრეებს ჩვენთვის საინტერესო ხანაშიაც. დამოკიდებულება შორეულ რომთან მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო და „ისალეპი, ვიდრე სპარსელების ზედ კარზე მომდგარი ბატონობა.

მემატიანე ამტკიცებს, რომ პირველმა ქრისტიანმა ქართველმა მეფემ, მირიანმა, „წარგზავნა მოციქული წინაშე კონსტანტინე მეფისა და ითხოვა მისგან მშვიდობა და აღუთქვა მას მსახურება, და განდგომა სპარსთაგან და შემოდგომა მისი, რომელი ესე სთნდა კონსტანტინეს, რამეთუ შიში აქვნდა კვალადცა სპარსთა მეფისაგან და თანაშემწეობისაგან [ქართველებისა სპარსელების სასარგებლოდო], დაეზავა მირიანს და აღიყვანა შვილი მირიანისი მხევლად“. რომის იმპერიაში ამ დროს ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიაა და იგი ბუნებრივად გამოყენებული ხდება აღწერილი საურთიერთო პოლიტიკური მიდრეკილების განსამტკიცებლად. ეს ამბავი და მისი ნამდვილი აზრიც მშვენივრად აქვს აღწერილი იმავე მემატიანეს. როცა მირიან მეფემ თავისი საბრძანებელი „განამტკიცა... სრულსა სარწმუნოებასა ზედა“, კონსტანტინე კეისარმა ქართველთა მეფეს „მძევალი, ძე მირიანისი.... გამოუგზავნა... ნიჭითა დიდითა [დიდი საჩუქრებით] და მოუწერა ესრეთ: „მე კონსტანტინე თვითმპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა, პირველ ეშმაკისაგან წარტყვენული და გამოხსნილი დამბადებელისა მიერ, მოვსწერ შენდა... ჩემთანვე ახალნერგისა მეფისა მირიანისსა—იყავენ შენთანა მშვიდობა და სიხარული. ვინაითგან იცან შენ სამება და ერთარსება, ღმერთი დამბადებელი ყოველისა, არღარა მიხმს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩვენ შორის შუამდგომელად ქრისტე... და ჯვარი მისი... ვიყვნეთ ჩვენ სიყვარულსა ზედა ძმებრივსა. შვილი შენი შენდავე მომინიჭებია, იხილე და განიხარე... განდევნენ ღმერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცთური საზღვართაგან შენთა“-ო. რადგანაც შენ ჩვენი ღმერთი იცან, მძევალი ეხლა ჩვენთვის საჭირო აღარ არის, მის მაგივრობას ქრისტე შეასრულებს — ის განამაგრებს კავშირს ჩვენ შორის და მაცთურ ეშმაკსაც (სპარსელებს!) გააძევებს შენი მიწა-წყლიდანაო. ჯერ საკვლევია, რათქმაუნდა, თუ საიდან აქვს ავტორს ეს საყურადღებო ცნობა ამოღებული, მაგრამ რომ თვით ცნობა სავსებით შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს, ამას საუცხოოდ ადასტურებენ უცხოური წყაროები. ბერძნული წყარო IV საუკუნისა, რომელსაც საფუძვლად დასდებია იბერიის საეფო სახლის შვილის მოთხრობა ქართლის გაქრისტიანების შესახებ და რომელიც თითქმის თანამედროვეა ამ ამბებისა, გვამცნობს: როცა ახლად გაქრისტიანებული იბერიიდან მოციქულები მივიდნენ რომის იმპერატორთან სამღვდელო პირთა გამოსათხოვად, „კონსტანტინე მეფემ ისინი მეგობრულად მიიღო, უხაროდა რა

უფლისათვის. მან შეიწყნარა თხოვნა და... ხელთდაასხმევინა [ე. ი. აკურთხებინა] იბერთა ეპისკოპოსი. ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უცხოთესლთ უქვემდებარებს მას"-ო.

ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად მიღება ქართლში უნდა მომხდარიყო IV საუკუნის ოცდაათიანს თუ ორმოციან წლებში. ქართლის იმ მეფეს, რომელმაც ეს აქტი შეასრულა, ქართულ-სომხური წყაროები ეძახიან მირიანს, ბერძნულ-ასურულ-ნი-კი— ბაკურს.

არსებითად ეს ცნობები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს: უცხოური წყაროების ბაკური არის მირიანის მემკვიდრე და მომდევნო მეფე ბაკური[1]. ამ ბაკურმა, როგორც ვნახეთ, გარკვეული როლი ითამაშა აღწერილ ამბებში. შესაძლებელია, ის მძევალი არ ყოფილიყო (და ეს გარემოება მერმე იყოს შეთხზული), მაგრამ სავსებით დასაჯერებელია, რომ მას იმპერატორის კარზე ეცხოვრა და კეისრის მთავრობას მისი იქ ყოფნა მართლაც გამოეყენებინა თავისი მიზნებისათვის. შესაძლებელია ისედაც მომხდარიყო, რომ ქართული სამეფო სახლიდან ფაქტიურად პირველად ქრისტიანობა სწორედ კეისრის კარზე მყოფ ბაკურს მიეღო, სახელმწიფოს გაქრისტიანებას-კი მხოლოდ მეფის მონათვლა უდებდა საფუძველს. ქართული წყაროებიც შემდეგში ბაკურს განსაკუთრებით ენერგიულ მიმდევრად აცხადებენ ახალი სარწმუნოებისა და მისი შემდგომი გავრცელების აქტიურ ორგანიზატორად. ამიტომ გასაგებია, რომ ბაკური ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ გამოეცხადებინათ გარკვეულ წრეებს — აქაც ალბათ პოლიტიკური ტენდენციები იფარებიან.

რომ ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი სწორი უნდა იყოს, ამაში დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების ისტორია გვარწმუნებს. უეჭველია, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად ქცევას მნიშვნელოვნად დააგვიანდა აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით. თანაც ეს მოხდა იქ დიდი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, როგორც ჩანს. ამავე დროს

[1] ასე ეძახის მას უძველესი „ქართლის მოქცევის" მატიანე. ფუტრო გეიანდელი, ლ. მროველის თხზულებით ამ პირს ბაქარი ჰქვია. ცხადია, უპირატესობა პირველ წყაროს უნდა მიეცეს. სახელი „ბაქარი" ამ დროს მით უმეტეს ნეიძლებელია, რომ, როგორც დოც. ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია ჩვენი ყურადღება, ეს სახელი არაბული წარმოშობისაა და აღებული ხანისათვის ანაქრონიზმს წარმოადგენს.

ისიც უეჭველია, რომ ამ ფაქტის განხორციელებისათვის დასავლეთ საქართველოში ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები იყო, თუ ფორმალურ თვალსაზრისზე დავდგებით. დასავლეთი საქართველო იმთავითვე ბევრად უფრო მჭიდრო კავშირშია რომის სახელმწიფოსთან, ვიდრე ქართლი. იგი გეოგრაფიულადაც ხომ უფრო ახლოს იყო რომთან. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოყოლებული იყო უცხოელთა ფაქტორიები — ზღვისპირა სავაჭრო ქალაქები (ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი), რომლებშიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აგრეთვე უცხოელები, კერძოდ ბერძნები, შეადგენდნენ. იმპერიის სხვა ნაწილებთან ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად მეტად ახლო დაკავშირებულმა, ამ ქალაქების მოსახლეობამ ქრისტიანობაც ადრე მიიღო. VI საუკუნის პირველ ნახევარში ზოგიერთ ამ ქალაქთაგანში უკვე საეპისკოპოსო კათედრაც-კი არსებობს. ყოველივე ამას სათანადო გავლენა უნდა მოეხდინა ადგილობრივ მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებაზე. მოიპოვება ფაქტებიც, რომლებიც მოწმობს ახალი რელიგიის მიმდევართა არსებობას ლაზიკაში. მაგრამ, უკვე ვამბობდით, ქრისტიანობის გავრცელება ერთია და მისი სახელმწიფოებრივი სანქცია და ლეგალიზაცია — მეორე. მართალია, მოხსენიებულია, რომ სამოციანი წლების დამდეგს კონსტანტინოპოლში ჩასული ლაზიკის მეფე თავის ქრისტიანობის ნიშნებს ატარებდა, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ვერ გამოდგება იმის საბუთად, რომ ლაზიკის სამეფო სახლი საბოლოოდ გადასული იყო ქრისტიანობის მხარეს. შესაძლოა, ლაზიკის მეფის მხრით ეს ერთგვარი ხერხიც ყოფილიყო: ის კონსტანტინოპოლში თავის სამართლებლად იყო ჩასული, რადგანაც მას რომაელების ღალატი ბრალდებოდა. და მართლაც, ამ ცნობის ავტორი ამტკიცებს, რომ ლაზიკის მეფემ რომაელი კარისკაცები, რომელთაც იგი თავდაპირველად საყვედურით აავსეს, მოხიბლა თავისი პირმოთნე სიტყვებით და თავისი ქრისტიანობის ნიშნებითო. მეორე მხრით, ამავე პირის შესახებ ნათქვამია, იგი კონსტანტინოპოლში ჩავიდა სპარსულ ტანისამოსში გამოწყობილი და მიდიურად მცველებით გარშემორტყმულიო. მაშასადამე, მას სპარსული ზნე-ჩვეულება და მიდრეკილებაც მკაფიოდ ახასიათებდა. პოლიტიკური ორიენტაციაც მას, კარგად ვიცით, სპარსული ჰქონდა. ლაზიკის სამეფო სახლის საბოლოო გაქრისტიანება, რაც, რათქმაუნდა, ნიშნავდა ამ რელიგიის ოფიციალურ კულტად ქცევას ლაზიკაში, მოხდა, როგორც ჩანს, მხოლოდ მეექვსე საუკუნის ოციან

წლებში და ისიც თავისებურსა და საგულისხმო პირობებში. ლაზთა მეფე წათე მიდის კონსტანტინოპოლს, სადაც კეისარს უცხადებს სურვილს გაქრისტიანებისა და ლაზიკის სამეფო ტახტზე დამტკიცების შესახებ (ის ბიზანტიის ვასალია!). კეისარი სიხარულით ნათლავს წათეს და მის შვილს (მაშასადამე, მეფის ოჯახიც წარმართია), უბოძებს მას სამეფო გვირგვინს, ძვირფას სამოსლებსა და სამკაულებს და თანაც ცოლად რთავს წათეს თავისი ერთი დიდებულ კარისკაცთაგანის ასულს. ცხადია, ქრისტიანობა, რომელიც მზითვად გააყოლეს წათეს სამეფო გვირგვინს და ახალ ცოლს, იყო პირობა იმისათვის, რომ იმპერატორს თავისი ვასალი ტახტზე დაემტკიცებინა. წათეს მეორე ცოლიც ბიზანტიალაზიკის პოლიტიკური კავშირის განმტკიცების იარაღი უნდა ყოფილიყო. ეს პოლიტიკური მდგომარეობა აიძულებდა ალბათ წინათაც ლაზიკის სამეფო სახლს წინააღდგომოდა ქრისტიანობას, მისთვის კავშირი რომთან სრულებით არ იყო საძიებელი. ეს კავშირი არსებობდა და არსებობდა საკმაო მძიმე ფორმითაც: დასავლეთი საქართველო იმთავითვე რომის ვასალი იყო და არა ფედერატი. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ (ამის შესახებ შემდეგ ვისაუბრებთ), რომ გარკვეულ პერიოდში ქვეყანა ხარკსაც იხდიდა რომის სასარგებლოდ. ასეთ პირობებში, ივერიის საწინააღმდეგოდ, ლაზიკის მმართველი წრეები ამკარად სპარსული ორიენტაციისა არიან. ჩვენ, სამწუხაროდ, თითქმის სრულებით არ მოგვეპოვება ცნობები დასავლეთ საქართველოს ვითარების შესახებ IV საუკუნეში. V საუკ. შუაწლებისთვის-კი დადასტურებულია, რომ ლაზები სპარსელების დახმარებას ეძიებენ რომაელების წინააღმდეგ; რომაელებსა და ლაზებს შორის ხანგრძლივი ომებიც სწარმოებს ამ ხანაში. ზოგჯერ რომაელები დამარცხებულნიც არიან ამ ბრძოლაში და იძულებულნი არიან უცხო დახმარებაც-კი ეძიონ ლაზების წინააღმდეგ. ამრიგად, ქრისტიანობის როლი დასავლეთ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე ეს ჩვენ ქართლის მიმართ დავადგინეთ.

ცნობების თითქმის სრული უქონლობის გამო, ჩვენ არაფერი ვიცით ფეოდალური კლასის განვითარების შინაგანი პირობების შესახებ ლაზიკაში. სხვადასხვა არაპირდაპირი ჩვენების საფუძველზე შესაძლოა მხოლოდ ვიფიქროთ, რომ ამ განვითარებას აქ არ შეხვედრია ისეთი წინააღმდეგობა, როგორიც ქართლში. თეოკრატიული ელემენტები, რომელთაც ჩვენ აქაც ვპოულობთ გარკვე-

ულს დაწყებით პერიოდში, უფრო ზუსტად უნდა ყოფილიყვნენ გამოხატულნი და უფრო ადრე უნდა გამქრალიყვნენ, ვიდრე ქრისტიანობა აქ შინასოციალური და შინაპოლიტიკური ურთიერთობის სცენაზე გამოვიდოდა. მისი როლი, მაშასადამე, ამ მხრივაც სხვაგვარი იყო ლაზიკაში, ვიდრე ქართლში.

როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან დაასკვნიდა მკითხველი, ქრისტიანობის სახელმწიფო კულტად გადაქცევა ქართლში მაჩვენებელი იყო გარკვეული, მეტად მნიშვნელოვანი გარდატეხისა ქვეყნის სოციალურ განვითარებაში. იგი მნიშვნელოვანი იყო კულტურულადაც. წინაქრისტიანული, წარმართული, ქართული კულტურა, კერძოდ მწერლობა, რომლის არსებობაც თითქმის უეჭველად უნდა ჩაითვალოს, ალბათ იმიტომ განაღგურდა ასე უკვალოდ, რომ მისი ბედი დაკავშირებული აღმოჩნდა იმ (ქურუმთა) კლასის ბედთან, რომლის მოსპობაც წარმოადგენდა აუცილებელ პირობას ახალ, გაბატონებისაკენ მიმსწრაფ (ფეოდალთა) კლასის, თავისი გამარჯვების მიზნებისათვის ახალი სარწმუნოებითა და ამ სარწმუნოების ნიადაგზე აღმოცენებული ახალი კულტურით შეიარაღებული კლასის განვითარებისათვის.

საბოლოო კონფლიქტი შედარებით სწრაფად გადაწყდა, მაგრამ თვით აღნიშნული წინააღმდეგობა ხანგრძლივ ვითარდებოდა, როგორც ჩანს. ამ მხრივ შესაძლებელია ინტერესს არ იყოს მოკლებული და არც დიდად დაშორებული ისტორიულ სინამდვილეს, უძველესი ქართული მატიანის, „ქართლის მოქცევის“, მიერ წარმოდგენილი სურათი, რომელსაც უეჭველად ატყვია მერმინდელი სტილიზაციის ნიშნებიც. ქართლის პირველი მეფე. აზო, ალექსანდრე მაკედონელის სარდალი, „ძველ მცხეთას“ დამჯდარა. არ ჩანს, სად გულისხმობს მატიანე ამ „ძველ მცხეთას“. მაგრამ ისტორიულად მაინც, თუ გეოგრაფიულადაც არა, იგი მემატიანისათვის არ უდრის მერმინდელ მცხეთას. აზოს მომდევნო ფარნავაზი უკვე იწყებს, როგორც ჩანს, არმაზის შენებას (მართავს არმაზის კერპს და აგებს არმაზის ზღუდეს წყლის მეარეს). შემდგომ მეფობათა განმავლობაში გრძელდება არმაზის შენება და იგი აშკარად ხდება მეფეთა რეზიდენცია. მხოლოდ მერვე მეფის, ბრატმანის, ზეობაში, „მცხეთას ქალაქი დაეწყო“, რომლის შენებაც მთავრდება მეთერთმეტე მეფობაში. და ამის შემდეგ, მემატიანის რწმუნებით, „მეფობაი ორად გაიყო. ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ“ (ე. ი. ერთი — არმაზს და მეორე — მცხეთას).

შემდეგ მემატიანე ექვს წყვილ მეფეს ასახელებს. თვით სამეფო, მისი წარმოდგენით, მაინც მთლიანია (ეს ჩანს მეფობათა სათვალავიდან). უკანასკნელი ორი მეფობის შესახებ ნათქვამია: „მეფობდა იმიერ როკ და ამიერ მირდატ და ამისაზე მოაკლდა არმაზი სამეუფოი და მცხეთას ოდენ იყო მეფობაი“ — მცხეთა საბოლოოდ იმარჯვებს. საკმარისია ჩავუკვირდეთ მცხეთა-მცხრან-წილკნის რაიონის თვისებებს, რომ აღვიაროთ — იმ სამეურნეო პროცესებისათვის, რომელნიც. როგორც თავის ადგილას ვამბობდით, საფუძელად დაედვნენ ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას, ეს რაიონი სწორედ შესაფერის ბუნებრივ პირობას წარმოადგენდა.

შემდგომი განვითარება აღწერილი ამბებისა გადაჯაჭულია საგარეო ურთიერთობის ფაქტებთან. სპარსელების გაძლიერებულ იერიშებს,— რომელთაც კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი უნდა მიეღოთ ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად ქცევის შემდეგ ქართლში, რასაც ერთგვარი გამოწვევისა თუ მუქარის ხასიათი ჰქონდა სპარსეთისათვის,—პირველ თვალსაჩინო შედეგად მოჰყვა 368 წლის ფაქტი. ამ წელს სპარსეთის შაჰანშაჰი შაბური ქართლს შესევია, ქართლის მეფე საურმაგი, რომაელთა მფარველობის ქვეშ მყოფი, გაუდევნია და მის მაგიერ ქართლისავე სამეფო სახლის წევრი, ვინმე ასპაგური, დაუდგენია. ამან რომაელების პასუხი გამოიწვია. ატყდა ბრძოლა. რადგანაც არც ერთ მხარეს საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად საკმაო ძალა არ გააჩნდა. ადგილობრივ შეთანხმებით, ქართლის სამეფო ორ ნაწილად გაყოფილა — ერთში მეფობდა საურმაგი, მეორეში—ასპაგური, რაც არსებითად რომისა და სპარსეთის გავლენის სფეროთა გამიჯვნას მოასწავებდა. მაგრამ ასეთ მდგომარეობას სპარსეთის მთავრობა სრულებით არ სთვლიდა იდეალურად — მისი საბოლოო მიზანი ქართლის მთლიანად ხელში ჩაგდება იყო. მართლაც, მომდევნო წლებში ის ამას მიაღწევს. ორმეფობა ფორმალურად, როგორც ჩანს, მალე მოისპო. შემდეგში ქართლის სამეფო ისევ მთლიანი ჩანს და მისი მეფე — სპარსეთის შაჰანშაჰის ვასალი. ასეთი ვასალი ყოფილა ქართლის მეფე — ბაკური, რომლის მეფობაც, როგორც ჩანს, სამოცდაათიან წლებზე მოდის. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილებულან სპარსელები. ფორმალურად მოსპობილი ორმეფობა მათ ფაქტიურად განაახლეს სპეციალური დაწესებულების — პიტიახშობის — შექმნით ქართლში. ეს იყო კონტროლის ორგანო ადგილობრივი მმართველი წრეების მიმართ. საგანგებო მო-

ხელე, რომელიც „ქართველთა პიტიახშის“ („პიტიახში“ სპარსულად „ქვეყნის მმართველს“ ნიშნავს) წოდებულებას ატარებს, თვალყურს ადევნებს ქართლის მეფის, სპარსეთის ვასალის, მოქმედებას. ამით თვით პოლიტიკური დამოკიდებულებაც, რათქმაუნდა, უფრო მკიდრო ხდება. უძველესი ქართული მატიანე ამ ამბავს ასე ასწერს: „მაშინ მოვიდა ქრამ-ხვარ-ბორზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად, ქალაქად ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა“-ო. აქ ორი საინტერესო გარემოებაა აღნიშნული. ერთი: პიტიახში ტფილისს ჯდება — ეს პირველი მითითებაა ქართულ წყაროებში თბილისის წამოწევის შესახებ (IV საუკუნეში!), ძნელი სათქმელია, რამდენად მართალი უნდა იყოს ის. ლოგიკურად და არსებითად დასაჯერებელია პიტიახშისათვის ასეთი რეზიდენციის შერჩევა ქართლის სამეფო რეზიდენციისათვის დასაპირისპირებლად. მეორე — ხარკის დაწესება სპარსელების მიერ ქართლში უკვე ამ დროს (IV ს. მეორე ნახევარში). ამ ამბის სინამდვილეც საძიებელია. მაგრამ უეჭველია, რომ ამ ადგილობრივ ცნობაშიც აღნიშნულია ის დიდი გავლენა, რომლისათვისაც ქართლში მიუღწევიათ სპარსელებს მეოთხე საუკუნის სამოცდაათიან წლებში. მეოთხე საუკუნის დამლევსა და მეხუთის დამდეგს შინაურმა აშლილობამ სპარსეთში შეასუსტა, ჩანს, ქართლის დამოკიდებულება სპარსელებისაგან და საშუალება მისცა ქართლის მეფეს მისთვის უფრო სასურველი რომაული ორიენტაცია ეძია კვლავინდებურად. მაგრამ, მეხუთე საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული, სპარსელებმა უკვე საბოლოოდ განამტკიცეს თავიანთი მდგომარეობა ამიერ-კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. 428 წელს მათ მეფობა მოსპეს სომხეთში. ამით ქართლისა და ალბანიის შემდგომი ბედის საკითხიც უკვე გადაწყვეტილი იყო. კერძოდ, ქართლში მეფე ისევ სპარსეთის შაჰანშაჰისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში ვარდება და პიტიახშის როლიც ისევ ძლიერდება. იგი აქტიურად ერევა ქართლის სამეფოს შინაურ საქმეებში. მეხუთე საუკუნის დამდეგის ერთ-ერთი მეფის, მირდატის შესახებ მატიანე, მაგ., გვაცნობებს: „ესე წარიყვანა პატიახშმან ბაღდადს და მუნ მოკვდა“ (ანაქრონისტული ცნობა ბაღდადის შესახებ აქ, რათქმაუნდა, მერმინდელი ჩანართია). მეზობელი სომხეთის მდგომარეობისა და საერთო ვითარების მიხედვით საფიქრებელია, რომ ქვეყანა ამ დროს მაინც უკვე ხარკს იხდის სპარსელების სასარგებლოდ.

მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო ამბები მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში დატრიალდა. ჯერ ერთი, თვით ცნობებიც ამ ეპოქის შესახებ ბევრად უფრო მრავალფეროვანი და მდიდარი ხდება. ეს, უწინარეს ყოველისა, ქართულ წყაროებს შეეხება. იგივე „ქართლის მოქცევის" მატიანე (მისი საბოლოო რედაქცია მე-7 — მე-8 საუკუნეს განეკუთვნება) ეპოქის შესახებ ძირითად საყურადღებო ჩვენებას შეიცავს. უფრო ნაგვიანევია ისტორიკოს ჯუანშერის (ან ამ სახელს უკან ამოფარებული მწერლის) თხზულება. — ეპოქის მთავარი გმირის, ვახტანგ გორგასლის, მეფობის აღწერილობა. მაგრამ მასშიაც, მერმინდელი, არასწორი და ზოგჯერ ლეგენდარული შენაზარდების სქელი შრეს ქვეშ აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვან, ძალიან ძველ, ელემენტებს აღმოვაჩენთ. შემდეგ, ამ პერიოდს გვისურათებს საყოველთაოდ ცნობილი, ქართული ორიგინალური ლიტერატურის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული, ძეგლი — იაკობის „შუშანიკის მარტვილობა". არის სხვა, ფრაგმენტული, ცნობებიც. უკვე ეპოქის ამ ლიტერატურული მემკვიდრეობის შედარებითი სიმდიდრე და მრავალსახეობა მოწმობს თვით ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის გართულებას. ძველი ქართული მწერლობა, ფეოდალური თავისი ხასიათით, რათქმაუნდა, თავისი მატარებელი სოციალური ძალის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა. გარდა ამისა, მეზობელ ერთა, განსაკუთრებით-კი, სომეხთა, ისტორიოგრაფიაში დაცული ჩვენებანი გეშველიან სურათის მთლიანობის აღდგენასა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მოშარჯვებას.

ყველაფერი მოწმობს, რომ ახალი წოდებრივი საზოგადოება უკვე გარკვეულ სახეს ატარებს. სხვადასხვა ტერმინებით, მაგრამ არსებითად ერთსადაიმავე სოციალურ ჯგუფებს აგვიწერენ წყაროები. უმაღლეს სოციალურ ფენას, ჯუანშერის მიხედვით, ისევ ის წარჩინებულნი შეადგენენ. მაგრამ რამდენად ტექნიკური მნიშვნელობა აქვს უკვე ამ სიტყვას, როგორც სოციალურ ტერმინს, ჩანს ცნობიდან ქართლის საკათალიკოსო ტახტის მპყრობელთა შესახებ: „აქათგან არღარა ეოიყვანებდეს კათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს წარჩინებულთა ნათესავთანი"; გარკვეული დროიდან კათალიკოზებად თვით ქართველები არიან, წარჩინებულთა შთამომავლობისაო, მაშასადამე, წარჩინებულების ცნება ამ დროს უკვე შთამომავლობის სემანტიკურ მომენტსაც შეიცავდა. წარჩინებულთა წრიდან არიან უმაღლესი სამეფო მოხელეები — სპასპეტი, ერისთავები და სხვები. წარჩინებულე-

ბა ისეთი საზოგადოებრივი საფეხურია, რომლის მიღწევაც სხვა გრადაციის ხალხისათვის გარკვეულ დაწინაურებას ნიშნავს. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა ჯუანშერისავე ცნობა, რომ ვახტანგმა „გასცა ნიჯი ერსა თვისსა და წარჩინებულ ქმნა მხედარნი მსახურნი (სხვა ვარიანტით: მხნეთ მსახურნი), გამოცდილნი წყობასა მას შინა ოვსთასა“-ო. მაშასადამე, მეფეს შეეძლო თავისი მხედრებისა და მსახურებისათვის (რომელთა შესახებაც ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ) წარჩინებულება ებოძებინა და ამ საფეხურზე (მსახურობა), რომელიც უკვე ერთგვარი უპირატესობის მაჩვენებელი იყო დანარჩენ მასასთან შედარებით, უფრო მაღლაც დაეყენებინა. ამ წრეს უდრის, ან შეიძლება რამდენადმე მასზე ფართო იყოს აზნაურობა. ტერმინ „აზნაურს“ ჯუანშერიც ხმარობს, მაგრამ უფრო ხშირად იგი სხვა ძეგლებში გვხვდება. იაკობის თხზულების მიხედვით ქართლში უმაღლეს საზოგადოებრივ ჯგუფს აზნაურები შეადგენენ. აზნაურობას ამ დროისათვის უკვე შინაგანი დიფერენციაციაც განუცდია. იხსენიებიან აზნაურნი „დიდ-დიდნი“, რაც, რათქმაუნდა, „მცირე“ აზნაურებსაც გულისხმობს. ეს გარემოება უკვე აზნაურობის ხანგრძლივი განვითარების პროცესს მიუთითებს. ამავე გარემოებისა და, მასთან ერთად, აზნაურთა გარკვეული სოციალური განკერძოებულობის მაჩვენებელია ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ზეპური“, „სეფე-ქალი“ და სხვ., რომელნიც აზნაურის შთამომავლობისა და მფლობელობისადმი კუთვნილებას აღნიშნავენ. ვინ უპირისპირდებოდა აზნაურებს იმდროინდელ საზოგადოებრივ ქვედა საფეხურზე? იაკობის მიხედვით, ეს იყვნენ „უაზნონი“, ისეთი მასა მოსახლეობისა, რომელიც, თვით თავისი სახელწოდების აღნაგობის მიხედვით, აზნაურის თვისებებს მოკლებულ პირთაგან შედგებოდა. თუ იაკობის თხზულების მიხედვით ჯერჯერობით მაინც არ შეიძლება იმის თქმა (საკითხის უფრო დეტალურად შესწავლამდე), რომ მეხუთე საუკუნეში „უაზნო“ ეწოდება ყველა იმას, ვინც აზნაური არ არის (უაზნოთა წრეც შესაძლებელია მეტნაკლებად შეზღუდული ყოფილიყო), სამაგიეროდ ჯუანშერი გვაძლევს ასეთი ზოგადი მნიშვნელობის ტერმინს. ვახტანგის მეფობის სარწმუნოებრივი მოვლენების აღწერისას ჯუანშერი გვიამბობს, მცხეთელთა ეპისკოპოსმა ბინქარანმა, რომელიც ფარულად ცეცხლის მსახური ყოფილა, თავის მხარეზე მხოლოდ დაბალი ხალხის გადაბირება მოახერხაო. ბინქარანი, ამბობს მემატიანე, „ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა. არამედ არა ერჩდა [არ დაემორჩილა, არ დაჰყვა] წ ა რ ჩ ი-

ნებულთაგანი, გარნა [მაგრამ, გარდა, თუ არ] წვრილისა ერისაგანი მოაქცია ცეცხლისა მსახურებასა. და შეერია ქართლსა შინა ერსა ზედა წვრილსა ცეცხლის მსახურება“... მაგრამ ბინქარანს აღმოუჩნდება მოწინააღმდეგე, რომელიც მას ბრძოლას უმართავს და ნაწილობრივ გამოასწორებს ბინქარანის მიერ ქრისტიანობისათვის მოყენებულ ზიანს: „ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინააღუდგა ბინქარანსა მაცთურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა სჯულსა ჰეშმარიტსა. ამან [მიქაელმა] იპყრნა სარწმუნოებასა ზედა ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმრავლესი. არამედ მცირედნი ვინმე წვრილისა ერისაგანნი მოიქცეს ცეცხლის მსახურებასა“-ო. შესანიშნავი ცნობაა, რომელიც მიუთითებს ქართველი „ერის“ (სტრაბონისეული მესამე გენეს) დიფერენციაციის მეტად მნიშვნელოვან ეტაპს. ეხლა უკვე აშკარა გამხდარა, რომ მთელი საზოგადოება ორ სხვადასხვა ნაწილად არის გაპობილი: ერთი მხრით, მაღლა მოქცეული უმცირესობა — „წარჩინებულნი“, „ერისთავნი“, „მოთაულნი“, „თავადნი“ (არა მერმინდელი წოდებრივი მნიშვნელობით), „მთავარნი“ და სხვა ასეთი ჯურის ხალხი; მეორე მხრით, დამდაბლებული უმრავლესობა, „წვრილი ერი“, ძველი „ერის“, გვაროვნული დემოკრატიის ისეთი ნაშთები, რომელთაც პირადი თავისუფლება ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად შერჩენილი აქვთ, მაგრამ რომელთაც სხვა თავისი მნიშვნელოვანი (მაგ. პოლიტიკური) უფლებები დაუკარგავთ. „წვრილი ერის“ ხსენება შემდეგ საუკუნეებში კიდევ დიდხანს გვხვდება. ეს იმიტომ, რომ „წვრილი ერი“ კიდევ დიდხანს იბრძვის გაალმასებით თავისი უკანასკნელი, გვაროვნული საზოგადოების წიაღიდან გამოყოლილი, უფლებების შენარჩუნებისათვის. მაგრამ სულ უფრო და უფრო დიდი მასები „წვრილი ერისა“ სულ უფრო და უფრო სწრაფი ტემპით ეშვებიან კიდევ უფრო დაბლა. ისინი საკუთრივ „გლეხობის“, „ყმა გლეხების“ კატეგორიაში გადადიან. ამ პროცესის დამთავრება საქართველოს ტერიტორიის ძირითად არეზე ნიშნავდა ფეოდალური საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბებას.

წყაროები არ შეიცავენ კონკრეტულ მითითებებს „წვრილი ერის“ სპეციფიკური ნიშნების შესახებ, მაგრამ მერმინდელი ცნობებისა და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისის წყალობით ამ ნიშნების მიახლოებით წარმოდგენა შესაძლებელი ხდება. წვრილი ერის წევრისათვის, ჯერ ერთი, დამახასიათებელი უნდა იყოს მეტნაკლები პირადი თავისუფლება; შემდეგ — ის, რომ მისი მდგო-

მარეობის სპეციფიკურობისათვის სამანულო დამოკიდებულება ამ დროს ჯერ კიდევ სავალდებულო არ არის. მისი ვალდებულებანი უმეტესწილ შემთხვევაში პოლიტიკურ ნიადაგზე არიან აღმოცენებული, იმ გარემოების წყალობით, რომ ძველი ვაროვნული საზოგადოების ნებაყოფლობითი ვალდებულებანი თავისი საკუთარი არჩეული მოხელეების მიმართ ებლა უზურპაციის გზით მითვისებული აქვთ სახელმწიფოს და ცალ-ცალკე პირთ. ასეთი ვალდებულებებია ებლა სახელმწიფო გადასახადები — ხარკი, სამხედრო ბეგარა, საცხო და საცხისთავო ვალდებულებანი. სხვადასხვა „ძღვენები", „საჩუქრები" და სხვა, ე. ი. ისეთი მისართმევები, რომელნიც ფორმალურად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებენ მაგრამ არსებითად სავალდებულონი არიან. ქონებრივად „წვრილი ერი" საშუალოდ ან მცირედ შემძლე პირებისგან შედგება. ღარიბ-ღატაკთა გაჩენასაც მათ წრეში საკმაო შესაძლებლობა მოეპოვება. ამ ნიადაგზე შეიძლება სამამულო დამოკიდებულებაც გაჩნდეს. საზოგადოებრივად „წვრილი ერი", ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გამო, რათქმაუნდა, მოკლებულია „წარჩინებულთა" თანასწორ პატივსა და უფლებებს. თვით სახელწოდება „წვრილი", რომელიც აშკარად ქონებრივთობის მნიშვნელობას ატარებს, უკვე მოწმობს ამას. ცხადია, რომ ეს სახელი ზეციდან არის დარქმეული. იგი ამ წარჩინებულთ ატარებენ „დაბალი", „პატარა", ხალხის აღსანიშნავად. თვით „წვრილი ერი"-კი, რომელიც განაგრძობდა თავისი უფლებისათვის ბრძოლას და რომელსაც საკუთარი ჩამოშავლობა ყარგად ასოვდა, თავის თავს „ერს" ეძახოდა. ჯერ კიდევ XIV საუკუნეში მთის თავისუფალი მოსახლეობა თავის თავს „ჰეროვანს" უწოდებს. ე. ი. „ერის" მიდგმას, „ერის" შთამომავლობას. ამაზე ძარის წაყარია მეგრული „ერებამი", „ჰერებამი", რაც „შვენიერს", „სასიამოვნოს" ნიშნავს („ერები" მეგრულად აღნიშნავს დიდ ოჯახს ზალელი თავისი ქონებითა და საქონლით; მისი კავშირი „ერთან" უეჭველია). სხვადასხვანაირი სემანტიკური აქცენტი, რომელიც ამ ფორმებს (ერთი მხრით — „წვრილი ერი", მეორე მხრით — „ჰეროვანი", „ერებამი") თვალსაჩინოდ თან ახლავს, მათს სხვადასხვაგვარ სოციალურ წარმოშობას ცხადად მოწმობს.

„წვრილი ერის" გვერდით საკუთრივ ყმა გლეხობაც ამ დროს, უეჭველია, მოიპოვება, მხოლოდ ბევრად უფრო მცირე რაოდენობით. სამწუხაროდ, წყაროები ამ სოციალურ კატეგორიას სრულებით არ იხსენიებენ. სამაგიეროდ, წყაროები ებლა უკვე ხშირად

აღნიშნავენ საზოგადოების ფსკერზე მოთავსებულ „მონა-მხევლებს“ (მხევალი = მონა-ქალი).

აზნაურები, წვრილი ერი, გლეხები, მონები წარმოადგენენ ძირითად კატეგორიებს ქართლის მოსახლეობისას V საუკუნის მეორე ნახევარში. მაგრამ ამ დაჯგუფებით არ ამოიწურება მაშინდელი სოციალური დანაწევრების მთელი მრავალფეროვნება. აზნაურთა (წარჩინებულთა) შორის, უკვე ვამბობდით, ამ დროს „დიდ-დიდნიც“ განირჩევიან. ჩვენ ეხლა სწორედ მათ უნდა ჩავუკვირდეთ. უამისოდ გაუგებარი დარჩებოდა როგორც ვახტანგის მეფობის შინაპოლიტიკური ამბები, ისე სპარსელების მოქმედებაც ქართლში. „დიდ-დიდი“ აზნაურები ისეთი პირნი უნდა იყვნენ, რომელნიც თავისი წრის სხვა წევრთაგან, პირველ რიგში, ალბათ ქონებრივი შეძლებით განირჩევიან. საფიქრებელია, რომ ეს ქონებრივი შეძლება, უწინარეს ყოვლისა, მსხვილ მამულშია გამოხატული, რომელიც მათ სხვადასხვა გზით აქვთ შეძენილი. ამ ნიადაგზე თვით აზნაურთა წრეშიც მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებული ხდება. ეს მნიშვნელობა ჩვენ წყაროების პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩვენებათა წყალობით შეიძლება გავარკვიოთ. მივაქციოთ, კერძოდ, ყურადღება სპარსელების პოლიტიკას ქართლში. უკვე 368 წლის აქტი, ქართლის სამეფოს ორ ნაწილად გაყოფა, მოწმობს იმას, რომ არსებობდა რაღაც ფენები. ქვეყანაში, რომელსაც, სხვადასხვაგვარი ინტერესების მიხედვით, შეიძლებოდა დაყრდნობოდნენ ერთ მხარეში — რომაელები, მეორე მხარეში-კი—სპარსელები, V საუკუნეში უცხო ძალის ეს შინაური საყრდენი უფრო მკაფიოდ ჩანს. გორგასლის მამის მეფობისთვის მემატიანე აღნიშნავს: „მეფობდა მირდატ და მთავარ ეპისკოპოსი იყო გლონოქორ. და ესე მთავარებისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“. უაღრესად საყურადღებო ცნობაა! სპარსეთის მთავრობის ემისარი ქართლში — პიტიახში ქართლის ეკლესიის მეთაურს (ჯერ კათალიკოსობა არ არსებობს) თავის ერისთავად, საერო მოწელედ, ნიშნავს. კავშირი იბმება სპარსეთის ცეცხლისმსახურ მთავრობასა და ქართლის ქრისტიანულ ეკლესიას შორის. მაგრამ ჩვენ ვიცით ჯუანშერისაგან, რომ V საუკუნის გარკვეული (ჯუანშერის შემცდარი ისტორიული პერსპექტივის მიხედვით—უფრო გვიანდელი) ხანიდან მოყოლებული, ქართლის ეკლესიის საპეთმპყრობელთა ტახტზე „დასხდებოდეს წარჩინებულთა ნათესავთანი“, წარჩინებულთა, აზნაურთა წრის შთამომავალი

პირები. მაშასადამე. სპარსელების მიერ ქართლის ეკლესიასთან კავშირის გაბმა არსებითად ნიშნავდა ადგილობრივი აზნაურობის გარკვეულ ფენებთან კავშირის დამყარებას. ასეთსავე მოვლენას, მხოლოდ სპეციფიკურ პირობებში განვითარებულს, ვხედავთ ჩვენ მეზობელ სომხეთშიაც. ძველი ქართველი მწერალი, არსენი კათალიკოზი, გვიამბობს, რომ გარკვეულ ‘ხანაში სპარსელები სომხეთში სწორედ ადგილობრივ ეკლესიას ეყრდნობიან: „რომელთამე კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა მეფენი სპარსთანი დაიშვილნეს ‘და ძეობილად უწოდდეს... რომლისათვისცა, მსჯელობა მთავრობისა თვით მიიტაცეს და არა სიმართლისაებრ კანონთასა, არამედ თვისისაებრ ნებისა იქცეოდეს და სახმარი ეკლესიათა არა ვითარ დაწესებულიყო ეკლესიათათვის, არამედ სახმრად თვისად და კაცთა საჩვენებლად განაბნევდეს, რომლისათვის ეპისკოპოსნი ყოველნი და მამასახლისნი ყოველნი მიიქცეს ღვთისა განსარისხელსა ამაოსა შესაძინელსა სათნოებითა მეფეთა ულოთოთათა... და იქმნნეს საეპისკოპოსონი, ვითარცა საკერპონი, და მივიდიან აზნაურნი კარად საეპისკოპოსოდ და არა ჰპოვიან ჟამი შესლვად და შეიქციან სირცხვილეულნი, ვითარცა კარისაგან სპარსთა მარზპანთაისა და უფროის-ღა“... სპარსელების შემდგომი დაახლოება ქართლის დიდ აზნაურებთან გამოიხატა თვით პიტიახშის თანამდებობის გადაცემაში ამ აზნაურობის წარმომადგენელთათვის, რაც მოწმობდა როგორც თვით ამ დიდ აზნაურთა ზრდას, ისე წინააღმდეგობის განვითარებას დიდ აზნაურთა ჯგუფსა და ქართლის მეფეს შორის. ქართლის ადგილობრივ მკვიდრ პიტიახშთა ისტორია საყურადღებო ფურცელია ქართული ფეოდალიზმის განვითარებისა.

მეხუთე საუკუნის შუაწლებისათვის იხსენიება პიტიახში არშუშა. იგი „მთავრობს“ (წყაროების გამოთქმაა) ე. წ. ქვემო ქართლის (თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარე ნაწილი ქართლისა, სომხეთამდე; აღმოსავლეთით ისაზღვრებოდა მტკვრით) გარკვეულ ტერიტორიაზე. განსაზღვრულ ხანაში მაინც ქართველთა პიტიახშს თითქმის მთელი ქვემო ქართლი ექვემდებარება, რადგანაც, ერთი ნაგვიანევი ცნობით, პიტიახში „ჰმთავრობდა თრიალეთს, ტაშირსა და აბოცს“. არშუშას განსაკუთრებულ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ როლზე მიუთითებს ის ცნობა, რომ, როცა სპარსეთის მეფემ იეზდიგერდ მეორემ მოიწადინა ქართლში, სომხეთში და ალბანიაში მაზდეიანობის გავრცელება ადგილობრივი ფეოდალური ძალების საშუალებით, ქართლიდან მან

სხვა თავკაცებთან ერთად პირველ რიგში სწორედ არშუშა პიტიახში დაიბარა. არშუშამ, სხვებთან ერთად, იეზდიგერდის მოთხოვნით, უარყო ქრისტიანობა და იქვე იქნა დატოვებული, ალბათ როგორც თავმდები იმისა, რომ შინ დაბრუნებულნი ქართლის სხვა წარჩინებულნი მეფის ნების აღმსრულებელნი იქნებოდნენ. არშუშას სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ იგი მოყვრობითაა დაკავშირებული მეზობელი ქვეყნის, სომხეთის, უდიდეს ფეოდალურ საგვარეულოსთან—მამიკონიანებთან. არშუშას შემდეგ ქართველთა პიტიახშის უფლებას მისი შვილი ვარსქენი იღებს. ვარსქენიც ქართლში მეფის შემდეგ პირველი კაცია, როგორც ეს (და სხვა, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიც) ჩანს იაკობ ხუცესის შესანიშნავი თხზულებიდან. სპარსეთის მეფის კარზე ის შინაური კაცივითაა. მისი პირველი ცოლი სომხეთის ყველაზე წარჩინებული დიდებულის, ვარდან მამიკონიანის ქალია. მეორე ცოლად-კი თვით სპარსთა მეფის ასულს ირთავს. მის მეუღლეს ყველანი დედოფალს უწოდებენ. საპიტიახშოს მთელი მოსახლეობა, როგორც საერო, ისე სასულიერო, მის სრულ განკარგულებაში იმყოფება. თავის სამფლობელოში დაბრუნებისას იგი განკარგულებას იძლევა, რათა „წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისი ძენი და მსახურნი“. ვარსქენის განკარგულებით, მის ცოლს, ამ „დედოფალს“, ჯაჰვსა და ბორკილებში სვამენ, სცემენ (ასჯერ დაჰკრეს ჯოხი!), საპყრობილეში უსასტიკეს რეჟიმში ჰყავთ. ის თავისი საკუთარი ხელითაც სცემს და მიწაზე ითრევს თავის ცოლს და „დედოფლის“ გამოსარჩლებას ვერავინ ჰბედავს. მხოლოდ პიტიახშის ღვიძლი ძმა კადნიერდება თავისი რძლის შველისათვის, მაგრამ... „შველად აღდგა ჯოჯიკ, ძმაი მისი და იბრძოდეს, ვიდრემდის გვემა [სცემა] იგიცა და... თავსა მისსა მოხეთქა“! არც სასულიერო პირებს აყრიათ სიკეთე პიტიახშისაგან. ეპისკოპოსს აგინებს და მის ღმერთსაც ჰგმობს. ეპისკოპოსის ერთს მოსარჩლე მღვდელს ვარსქენი ჯოხით სცემს: „უხეთქნა კვერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერღარა იკადრა სიტყვად“. ვარსქენი გარკვეულ ტერიტორიაზე ყველას „უფალია“ (=ბატონი) და ასედაც მიჰმართავენ მას. ზემოთ მოხსენებული ხუცესი სწორედ ასე ეუბნება ვარსქენს: „უფალო, რაისა ეგრე იქმ?“... ბატონო, ეგრე რათა შვრებიო? თუ როგორია ფსიქოლოგიური განწყობილება პიტიახშის მიმართ, აბას ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი გვისურათებს. ნაცემი შუშანიკი ტაძრიდან (=სასახლიდან) საპყრობილეში მიჰყავთ. იქვე მდგომ ერთ

სასულიერო პირს უნდა „დედოფალს“ გამხნევებისა და ნუგეშის სიტყვა უთხრას. იშვიათი მხატვრული ექსპრესიით ავტორი ასე ასწერს ამ სცენას: „დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაი დგაწმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყავდა იგი ტაძრით და უნდა რაითამცა ჰრქვა თუ: „მტკიცედ დეგ!“ და თვალი ჰკიდა პატიახშმან, სხვაი ვერღარაი სცალდა სიტყვად — ესთენ ოდენ ჰრქვა: „მტკი“... და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო [=გაიქცა] სწრაფით“. ასეთი შიშით სავსე დამოკიდებულება პიტიახშისადმი ცხადად მოწმობს იმ განუსაზღვრელ უფლებას, რომელიც ჰქონდა მას თავისი სამფლობელოს მოსახლეობის მიმართ. ამ უფლების განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პიტიახშის უფლების შთამომავლობით დამკვიდრებას ერთ სახლში. მეექვსე საუკუნის შუაწლებში ქართლის პიტიახშად ისევ არშუშა იხსენიება. სახელის განმეორების მიხედვით ცხადია, რომ იგი ამავე სახლს ეკუთვნის (შესაძლოა, ზემოთ მოხსენებული არშუშას შვილიშვილი და ვარსქენის შვილიც იყოს). VII საუკუნის დამდეგსაც ქართლის მთავართა შორის აგრეთვე არშუშა იხსენიება. ესეც ალბათ იმავე ოჯახის შთამომავალია. საუკუნეების სიგრძეზე, ვხედავთ ჩვენ, პიტიახშის „სამთავრო“ უფლება ერთსადაიმავე სახლს მტკიცედ უჭირავს ხელში. გასაგებია, თუ როგორ კარგად შეეძლო ამ სახლს ასეთი პოლიტიკური მდგომარეობის გამოყენება თავისი სოციალური და ეკონომიური ძლიერების შემდგომი ზრდისა და გადიდებისათვის.

მაგრამ ქართლის პიტიახში მხოლოდ ერთი „მთავართაგანი“ იყო. შესაძლოა (და მეფობის უკანასკნელ პერიოდში ასეც იყო), ის სხვებზე შემძლე და წარჩინებულიც ყოფილიყო. მაგრამ აზნაურობის წრეში, ეპეს გარეშეა, ამ დროს უკვე არის სხვა ისეთი ოჯახებიც, რომელნიც მეტნაკლებად ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ესენი არიან არა მარტო „დიდ-დიდი“ აზნაურები, როგორც მათ იაკობ ხუცესი იხსენიებს. მათ ნაწილობრივ უკვე განვლილი აქვთ პიტიახშთა მსგავსი გზა განვითარებისა.

ფეოდალური ძალების ამ პირველი გამსხვილების მაჩვენებლებს სხვადასხვა სფეროებში ვპოულობთ. ავიღოთ ეკლესია. ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია ყოველთვის ეგუებოდა იმ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღნაგობას, რომელშიაც იგი ეწყობოდა. ქართლშიც ასე იყო. ვახტანგ გორგასლის მეფობაში ქართლის ეკლესია უკვე საკმაოდ რთული სტრუქტურის მატარებელია. ამ მხრივ განსაკუთრებით საყუ-

რადღებოა საეპისკოპოსოების მრავალრიცხოვანება, რომელსაც იმ დროისათვის აღნიშნავენ წყაროები. ეს ფაქტი იმ მხრივაა საყურადღებო, რომ იგი მიუთითებს ივ ცენტრალურ პუნქტთა რიცხვის ზრდაზე, რომელთა გარშემოც ჯგუფდებოდნენ ქართლის ახალგაზრდა ფეოდალური ძალები. ისე როგორც პიტიახშის სამფლობელო საეკლესიო-იერარქიული თვალსაზრისით ცალკე საეპისკოპოსოს შეადგენდა, რომელსაც „პიტიახშის სახლის“ საეპისკოპოსო ეწოდება, ისევე ცალკე მეტნაკლებად განვითარებულ სენიორალურ ცენტრებს ვგულისხმობთ ჩვენ იქ, სადაც საეპისკოპოსო კათედრებია აღნიშნული. ასეთი საეპისკოპოსო პროვინციალური კათედრები V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში შემდეგი ყოფილა: კლარჯეთში — ახიზისა, არტაანში — ერუშეთისა, ჯავახეთში — წუნდისა, ქვემო ქართლში — ბოლნისისა და მანგლისისა, კახეთ-კუხეთში — რუსთავისა, ნინოწმიდისა, ქერემისა, ჩელთისა, ხორნაბუჯისა, აგარაკისა, შიდა ქართლში — ნიქოზისა. ეს სია სრული არ არის. მაგრამ ცხადია მის მიხედვითაც, რომ ხსენებული ცენტრები აღებულ დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი არიან.

ასეთსავე საზოგადოებრივ მოვლენას შეესატყვისებოდა ის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ორგანიზაცია, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ წყაროები. მაგრამ ეს ცნობები უფრო შეტს კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვენ და მათს განხილვას აქ აღარ შევუდგებით.

ეპოქის საზოგადოებრივი ურთიერთობის სირთულის გასაშუქებლად საჭიროა კიდევ ერთ გარკვეულ კატეგორიაზე მითითება. ეს არიან „მსახურნი“ ანუ „ტაძრეულნი“ (სიტყვისაგან „ტაძარი“, რაც ძველად სასახლეს აღნიშნავდა). ეს არიან პირნი, წარმოშობით ალბათ უმეტესწილ შემთხვევაში „წვრილი ერისაგან“ (ზოგჯერ ისინი, შესაძლებელია, გააზატებული მონებიც ყოფილიყვნენ), რომელნიც მეფის ან დიდი აზნაურის კარზე რაიმე სამსახურს ასრულებდნენ. მათი რაობა კარგად ჩანს იაკობ ხუცესის თხზულებაში. თავის სამშობლოში დაბრუნებულ ვარსქენ პიტიახშს შინ ეგებებიან „აზნაურნი, მისნი ძენი და მსახურნი“. რა ფუნქცია ეკისრებათ მათ? ჯოჯიკი, ვარსქენის ძმა, ეუბნება შუშანიკს: დაჰყევ ქმრის ნებას, თორემ „უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ“. ურჩ ცოლს პიტიახში საპყრობილეში (ჯერ შინაურ, შემდეგ-კი ნამდვილ პატიმრობაში) სვამს — ამ ბრძანების შემსრულებელი და მცველი მსახურია: ... „ბრძანა კრძალულად

დაცვაი მისი ერთითა მსახურითა". შემდეგშიაც ეს პირი სულ მსახურად იხსენიება. ამავე დროს იაკობი მას „მცველს" ეძახის. მაშასადამე, მსგავსი ადმინისტრაციულ-პოლიციური მოვალეობანი „მსახურებს" უნდა შეესრულებინათ. გარდა ამისა, მსახურნი შინაურ წესრიგს იცავენ პიტიახშის „ტაძარში", წმიდა საყოფაცხოვრებო დავალებებსაც ასრულებენ იქ და სხვა. ერთ დღეს „მოვიდა მგელი იგი [პიტიახში] ტაძრად და ჰრქვა მსახურთა თვისთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხვასა ნუ ვის უფლიედ ჩვენ თანა შემოსვლად"-ო, ე. ი. პიტიახშის ტაძარში პურისჭამის გარიგება და გარკვეული წინასწარი წესების დაცვა მსახურებს ჰქონდათ დაკისრებული. თავისთავადაც გასაგებია და ჯუანშერის თხზულებიდანაც ჩანს, რომ მსახურნი თავიანთ „ოფალს" ომშიც მისდევდნენ.

„მსახურობა" გარდამავალი საფეხური იყო „წვრილ ერსა" და „წარჩინებულთა" ანუ „აზნაურთა" შორის. „წვრილი ერიდან" გამოსულ კაცს, რომელიც „მსახური" იყო მეფის ან დიდი აზნაურის კარზე, თვითონ ჰქონდა გააზნაურების შესაძლებლობა. თავის ადგილას უკვე მოტანილი იყო ჯუანშერის ცნობა, რომ ვახტანგ გორგასალმა, ოსეთის ომის შემდეგ, „გასცა ნიჭი [საჩუქარი] ერსა თვისსა და წარჩინებულ ქმნა ხეედარნი, მსახურნი გამოცდილნი წყობასა მასჴშინა ოვსთასა"-ო. კიდევ უფრო საინტერესო და საყურადღებოა ცნობა, რომელიც უკვე გვიანდელ ხანას გულისხმობს (VII საუკ. დამდეგს). სახელდობრ, მემატიანე ამბობს, რომ მეფე არჩილი „მოვიდა კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა ნიჭბოძა კახეთი და აზნაურყენა იგინი"-ო, მამულებსა და აზნაურობას უბოძებს მეფე თავის ტაძრეულებს, მსახურებს.

ასეთი და ბევრად უფრო ნიშანდობლივიც (ადგილის ეკონომიისათვის იძულებულნი ვართ შეეკვეცოთ ჩვენი თხრობა) იყო ქართლის საზოგადოების ადრინდელ-ფეოდალური სახე, როცა სამეფო ტახტზე იჯდა ვახტანგ გორგასალი, პირველი მკაფიო და თან საკვლევი ისტორიული ფიგურა საქართველოს ძველ ისტორიაში. უკვე ტახტზე ასვლისას ვახტანგი სპარსეთის ვასალად ითვლებოდა, როგორც ჩანს: „წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა"-ო, ამბობს მემატიანე. მაგრამ თავისი მეფობის უკანასკნელ პერიოდში ვახტანგი ცდილობს ამ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას. იწყება ომი, რომელიც თვით ქართლის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. პოლიტიკური დამოკიდებულების გარდა, ომის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის ხარ-

კიც, რომელსაც ქართლი იხდიდა სპარსეთის სასარგებლოდ. მაგრამ, გარდა ამისა, ეს საგარეო ომი განისაზღვრებოდა და ნაწილობრივ გამოწვეულიც იყო იმ შინაგანი წინააღმდეგობით, რომელიც ქართლის მეფესა და დიდ აზნაურთა შორისაა განვითარებული. ქართლის მონარქია, რომლის მოკავშირედაც ვხედავთ ჩვენ აზნაურებს IV საუკ. დამდეგს, თავისი წარმოშობითა და მთელი თავისი ხასიათით, არ შეეფერებოდა ქართლის ახალგაზრდა ფეოდალურ ძალთა ინტერესებს. თუ ამ დროს ეს ძალები შეურიგდებიან ცენტრალურ ხელისუფლებას, ეს ხელისუფლება სულ სხვა ხასიათისა უნდა იყოს. იგი ცენტრალური უნდა იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ამ ადრეული ფეოდალური ერთეულების ურთიერთობისათვის, რომელთა შორისაც სუსტი კავშირი მაინც არსებობს. სხვაფრივ-კი მათ ჰარბად გამოხატული ადგილობრივი ინტერესები აქვთ, რომელნიც სათანადო პოლიტიკურ ფორმასაც მოითხოვენ. ამიტომ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი იმათთვის მხოლოდ იმდენად იქნება მოსათმენი, რამდენადაც იგი მხოლოდ „პირველი იქნება თანასწორთა შორის“. ქართლის ძველი მონარქი-კი,— და განსაკუთრებით ვახტანგ გორგასალი, ეს, ყველა ცნობის თანახმად, ძლიერი, ნიჭიერი და ხელისუფლების მოყვარე პიროვნება,—„თვითმპყრობელობას“ ცდილობს. იგი „მეფეა თვითმპყრობელი“, მას „არა ცუდად ბიეს ხრმალი, რამეთუ ღვთისა მიერ მთავრობს“. ვახტანგ გორგასლის ეს მისწრაფება ცენტრალიზმისაკენ ვამოიხატა, როგორც ჩანს, რთული სამმართველო-ადმინისტრაციული აპარატის შექმნაში. მაგრამ ქვეყანაში არ არსებობდა ძალა, რომელსაც ეს ცენტრალიზმი შეიძლებოდა დაჰყრდნობოდა, და ვახტანგის ცდა წინასწარ განწირული იყო, რათქმაუნდა. ვახტანგის საგარეო და საშინაო პოლიტიკა მარცხით თავდება. წაგებულია ბრძოლა სპარსელებთან. და ამის მიზეზია არა მარტო სამხედრო უპირატესობა სპარსელებისა, არამედ, უფრო მეტად, ის შინაგანი სისუსტე ვახტანგისა, რომლის წყაროც დიდ აზნაურთა ოპოზიცია იყო. თვით სპარსელებთან ომის პროცესში ადგილი ჰქონდა აშკარა ღალატს. სოფხური წყაროების ცნობით, როგორც-კი სპარსელთა სარდალი ჰაზარავუხტი ქართლში შესულა, მაშინვე მას სპარსეთის მთავრობის ერთგული ქართველები მიშველებიან. სპარსელების მხარეზე გადასულა ბევრი სხვა ქართველიც, რომელნიც თავდაპირველად ვახტანგს ემხრობოდნენ, მაგრამ შემდეგში შაჰის წყალობის დაპირებით მოხიბლულან.

ცხადია, რომ ეს „მოღალატენი“ იყვნენ სწორედ ის პიტიახში და სხვა ძმანი მისნი, „აზნაურნი დიდ-დიდნი“, რომელთაც ზემოთ გავეცანით და აკი ვახტანგის ბრძანებით ვარსქენ პიტიახში მოკლულ იქნა კიდევაც. მაგრამ ვახტანგის და ამ წრის ბრძოლა ჯერ კიდევ სპარსელ-ქართველთა ომამდე დაიწყო. თავდაპირველად იგი ეკლესიაში მიმდინარეობს. ჩვენ ვნახეთ, რომ ქართლის ეკლესიის მმართველი წრეები ამ დროს აზნაურობასთან არიან დაკავშირებულნი და რომ მათ გარკვეული ურთიერთობა აქვთ სპარსეთის მთავრობასთან სწორედ იმიტომ, რომ ისინი მატარებლები არიან იმავე ინტერესებისა, რომლებითაც ეს დიდი აზნაურნი იყვნენ გამსჭვალულნი. ეკლესიის კავშირი სპარსელებთან არა მარტო პოლიტიკური სახისაა (მთავარეპისკოპოსი — ერისთავად!). სპარსელები ქართლის ქრისტიანულ ეკლესიაში ზურგს უმაგრებენ ისეთს კონფესიონალურ-სარწმუნოებრივ მიმართულებას, რომელიც მტრულადაა განწყობილი ბიზანტიის, „ბერძენთა“, ოფიციალურ ეკლესიაში გაბატონებული დოგმის წინააღმდეგ. ამიტომაა, რომ V საუკუნის ქართლის ეკლესიაში ასე ხშირად იხსენიებიან „ეპისკოპოსნი შემშლელნი წესთანი“. ერთი მათგანის შესახებ მემატიანე ამბობს, რომ „აჩვენებდა იგი მართლმადიდებლობასა, ხოლო იყო ვინმე მოგვი უსჯულო და შემშლელი წესთა“, ე. ი., როგორც ჩანს, მანიქეველი უნდა ყოფილიყო (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., I³, 282—283). მანიქეველობა-კი, ასე ვთქვათ, „სპარსული“ სახე იყო ქრისტიანიზმისა.

მაგრამ გაცილებით უფრო საყურადღებო და საინტერესოა ის კონფლიქტი, რომელიც გორგასალს მოსვლია მიქაელ მთავარეპისკოპოსთან. როგორც ჩანს, იმ პერიოდში, როცა მეფე სპარსელების წინააღმდეგ მზადებას აშკარად შეუდგა, ეკლესიის მეთაურსა და ვახტანგს შორის მდგომარეობა იმდენად გამწვავებულია, რომ, უძველესი ცნობით, ერთხელ, ყოველგვარი სამეფო ეტიკეტის წინააღმდეგ, მიქაელ მთავარეპისკოპოსმა „მიამთხვია ფერხი პირსა მეფისასა ვახტანგს გორგასალსა და განაძო ეკლესიისაგან“-ო. სხვა ცნობით, მიქაელს ისე მაგრად ჩაუცია მეფისათვის ფეხი პირში, რომ კბილებიც შეულეწია მისთვის. საპასუხოდ, „მეფე აღივსო გულისწყრომითა მრავლითა და ექცა ფერი პირისა მისისა“... მან „წარავლინა მოციქულნი საბერძნეთსა და ითხოვა მეფისაგან და პატრეარქისაგან კათალიკოზი“. ვახტანგი აწესებს კათალიკოსობას. ცენტრალიზაციის ცდა სახელმწიფო აპარატში იწვევდა ასეთსავე ცდას ეკლესიაშიც. კათალიკოსი მეფისთვის საჭირო

იყო საეკლესიო მმართველი წრეების დასამორჩილებლად, რომელნიც მონარქიის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი და სპარსელებთან კავშირი ჰქონდათ გაბმული, როგორც დიდ აზნაურთა ჯგუფის სხვა წარმომადგენლებსაც. თვით ეს მიქაელიც, როგორც ჩანს, მონოფიზიტია, ე. ი. სპარსეთის მთავრობის მფარველობის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის მიმდევარი.

მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ უშველა ვახტანგს. მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს არა მარტო პოლიტიკურად. მათ თვით ვახტანგის ფიზიკურად თავიდან მოშორებაც მოახერხეს: ერთი ძველი ცნობა გვარწმუნებს, რომ ვახტანგი „მოიკლა სპარსთა ბრძოლასა შინა მონა-ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისა ღლიასა ქვეშე, და აღიპყრა რა ხმალი თვისი [გორგასალმა], რათა სცეს კაცსა სპარსთაგანს, მონამან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქვეშე“-ო. ვახტანგის მკვლელი მხოლოდ იარაღი იყო, რათქმაუნდა, გარკვეული ჯგუფის ხელში.

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ (პროფ. ივ. ჯავახიშვილის ანგარიშით, იგი მოკლულ იქნა 502 წელს) მეფობამ ქართლში მხოლოდ ოციოდე წელიწადს ძლივს გაძლო, ისიც ალბათ დიდად სახეცვლილმა. ქართლის მეფემ გურგენმა სპარსელების წინააღმდეგ მოაწყო ახალი აჯანყება, რომელიც, იმავე მიზეზების წყალობით, კიდევ უფრო ადრე დამარცხდა და 528 წ. გურგენი იძულებული შეიქნა მთელი თავისი სახლობითა და ამალით ბიზანტიაში გაქცეულიყო. მალე სპარსელებმა ქართლში მეფობა საესებით მოსპეს, რამაც, ასე ვთქვათ, საერთაშორისო სანქცია მიიღო 532 წელს, ბიზანტია-სპარსეთის საზავო ხელშეკრულებაში.

წყაროებს საუცხოოდ აქვთ აღნიშნული, რომ შეფობის მოსპობა დიდ აზნაურთა გამარჯვებას, შემდგომ გაძლიერებას და გაბატონებასაც მოასწავებდა. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ამბობს: „ვ ი ნ ა თ გ ა ნ [=იმ დროიდან, როცა] მ ო ა კ ლ დ ა მ ე ფ ო ბ ა შ ვ ი ლ თ ა გ ო რ გ ა ს ლ ი ს ა თ ა, მ ი თ ჟ ა მ ი თ გ ა ნ ე პ ყ რ ა უ ფ ლ ე ბ ა ქ ა რ თ ლ ი ს ა ა ზ ნ ა უ რ თ ა“-ო. ეს „ქართლის აზნაურნი“ მონარქიაზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ. უკანასკნელს, კერძოდ — ვახტანგს, არ გააჩნდა, როგორც ვამბობდით, ის სოციალური ძალა, რომელსაც ის შეიძლებოდა დაყრდნობოდა დიდ აზნაურთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთადერთი საზოგადოებრივი წრე, რომელშიც ვახტანგს შეიძლებოდა ერთგვარი სიმპათიები მოეპოვებინა, იყო „წვრილი ერი“, და სწორედ იმიტომ, რომ ბრძოლა ამ დიდ აზნაურთა წინააღმდეგ იყო მიმართული. იქნებ ამიტომაა, რომ ქარ-

თული ხალხური (ე. ი. არსებითად ამ „წვრილი ერის“ ფსიქოლოგიური სამყაროდან მომდინარე) პოეზიის ერთი ფრაგმენტული ძეგლი ამტკიცებს, „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდაო“. იქნებ ამითვე აიხსნებოდეს ის გმირობის შარავანდი, რომლითაც გორგასალი შემოსილია ხალხურ გარდმოცემებში. მაგრამ „წვრილი ერი“ იმ დროს პოლიტიკურად უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა უკვე, და მისი დახმარება და თანაგრძნობა მონარქიისათვის საკმარისი აღარ იყო.

აღნიშნული ამბები, მეოთხე საუკუნის დამდეგის ამბების შემდეგ, უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო ქართული ფეოდალიზმის განვითარებაში, იგი მოასწავებდა ფეოდალური საზოგადოების საბოლოო დაბადებას ქართლში. ახალ მდგომარეობას ჩვენ შემდგომ განაკვეთში გავეცნობით.

დასავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ნაკლები ცნობები გვაქვს, მაგრამ იქაც ფეოდალური ურთიერთობა, ოღონდ თავისებური გზით, შეუჩერებლად იზრდებოდა. ფეოდალური ურთიერთობის ზრდა იქ გამოიხატა თვით ფეოდალური ერთეულების გამსხვილებაში. იმ ოთხი სამთავროდან, რომელნიც ჩვენ იქ ვნახეთ მეორე საუკუნის დამდეგს, ერთი — სახელდობრ, ლაზთა სამთავრო — გაძლიერებულა და დანარჩენი სამი თავის ვასალად უქცევია. ასე წარმოიშვა ლაზიკის სამეფო, რომელსაც ადგილობრივ „ეგრისს“ ეძახდნენ (აქედანაა ტერმინი „მ-ეგრ-ელი“). არ ვიცით, როდის მოხდა ეს ამბავი, მაგრამ მიახლოებით იგი IV—V სს. უნდა ეკუთვნოდეს. გასაგებია, რომ უპირატესობა სწორედ ლაზთა სამთავროს ხვდა წილად — მას ეპირა ყველაზე ნაყოფიერი დაბლობი რიონის ხეობისა, სადაც ყველაზე უფრო შესაფერისი პირობები იყო მსხვილი მიწისმფლობელობის განვითარებისათვის. თვით ასეთი გამსხვილება ფეოდალური ერთეულებისა აქ შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ პოლიტიკური ხელისუფლება აქ თავისი წარმოშობით იმთავითვე ფეოდალური ხასიათისა იყო და ახლად წარმოშობილი პოლიტიკური წარმონაქმი — ლაზთა სამეფოც—სტრუქტურულად ასევე ფეოდალურ ხასიათს ატარებდა. პოლიტიკურ სფეროში ფეოდალურმა ურთიერთობამ, ამრიგად, დასავლეთ საქართველოში უფრო ადრე მოიპოვა ის პოზიციები, რომელსაც ქართლში იმ დროს იგი ჯერ კიდევ ეძებდა.

ასე გადავიდა საქართველო VI საუკუნეში, საიდანაც მისი განვითარების ახალი ხანა იწყება.

თებერვალი-მარტი 1933 წ.

დამხმარე ლიტერატურა

პროფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, მესამე გამოც., გვ. გვ. 152—162, 215—227, 252—261.

მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 188—198

ქართველთა წარმომავლობის საკითხისათვის[1]

1. ქართველების უშუალო წინაპრებად მიჩნეულ უნდა იქნან ხეთისა და მიტანის ხალხები, რასაც ადასტურებეს როგორც ისტორიული, ისე ენობრივი საბუთები.

2. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ თვალსაზრისით, კერძოდ, მ ი ტ ა ნ ი—სახელმწიფო, რომლის გეოგრაფიულ სახელწოდებად ამჟამად აღიარებულია ჰ ა რ ი (ჰური), ხოლო მოსახლეობის ენა ს უ ბ ა რ-ულად იწოდება.

3. ჰარი-მიტანი პირველობს წინა აზიაში მეორე ათასეულის პირველ ნახევარში, ძვ. წ., და ტერიტორიულად მოიცავს როგორც მთელს ჩრდილოეთ მესოპოტამიას, აგრეთვე მერმინდელ ურარტუს.

4. მიტანის პოლიტიკური დაქვეითების შედეგად მეორე ათასეულის დამლევისათვის მასში შემავალი ხალხები წარმოგვიდგებიან დაქსაქსული სახით, თაბალებისა, მუსკებისა და კასკების წარმოჩენით.

5. თაბალები, ჩანს, შეადგენდნენ ჰარი-ხალხების ძირითად ბირთვს, რაკი მათ დაიმკვიდრეს მთავარი სატომო სახელი —„სუ-ბარი". ასურული ცნობები 24 თაბალური სამეფოს შესახებ, ისევე, როგორც ბიბლიური ჩვენება ადაბალ-ადუბალისა და თუბალ-კაინის შესახებ, მოწმობს აგრეთვე თაბალების მრავალრიცხოვანებასა და ფართო ტერიტორიულ გავრცელებას.

6. ჰარი-ხალხების უკანასკნელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმი, წინააზიური ძველი ისტორიის ფარგლებში, არის უ რ ა რ ტ უ.

7. ურარტუს პოლიტიკური დაცემისა და მცირეაზიური ძველი ბერძნული ისტორიული ტრადიციის გაჩენის დროისათვის (VII ს. დამლევი — VI ს., ძვ. წ.) ჰარი-ხალხები წარმოგვიდგებიან 4 მთავარ ჯგუფად: მატიენი (მიტანი), ალაროდი (ურარტუ), სასპეიერ-საბერები და კოლხები.

8. მეექვსე-მეხუთე საუკუნეების მიჯნაზე წინა აზიის ოთხი უდიდესი ხალხიდან — კოლხები, სასპეიერები, მიდიელები და სპარსელები (ჰეროდოტე) — პირველი ორი, ამრიგად, ქართველი ხალხის ორ შტოს წარმოადგენს.

---

[1] თეზისები მოხსენებისა, ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის სესიაზე (1940 წ. 7—11 მაისს).

9. სასპეჲრ-საბერები არიან თაბალ-სუბარების უშუალო შთამომავალნი და იგივე, მერმინდელი, იბერები (ქართები).

10. ხსოვნა აქ დადგენილი წინანდელი ადგილ-საცხოვრისის შესახებ დაცულია „ქართლის მოქცევის“ მატიანის თხრობაში აზოს შესახებ.

11. აღნიშნულ თხრობაში „არან-ქართლის“ მაგიერ ნამდვილად იკითხება „ბრიან-ქართლი“, რაც კავკასიის ქართლისაგან განსხვავებულს, ჰარი-ქვეყნის ქართლს გულისხმობს.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ ᲔᲗᲜᲐᲠᲩ-ᲔᲠᲝᲜᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ[1]

ქართულ-სომხურ-ალბანური ქრისტიანულ-ფეოდალური საისტორიო მწერლობა ხალხთა გენეალოგიურ სქემებს ბიბლიურ მონაცემებზე აშენებდა... ამ მხრივ ყველაზე შორს წავიდა ლეონტი მროველი, რომელმაც თარგამოსიანი ძმების შთამომავლობად დასახა კავკასიის ყველა ხალხი. ლეონტის ჰუმანისტური თეორიის ცხოველმყოფელი გავლენა და გამძლეობა დადასტურდა ჩვენთვის 1929 წელს, როცა კავკასიის უმაღლეს მთის რაიონში, ღუმუქში, უბირმა ლაკმა გაგვიმეორა (შეუგნებლად, ცხადია) ეს სქემა თავის მტკიცებაში, რომ ლაკები, ქართველები და სომხები სამი ძმის, ლაკუსის, ქართუსისა და მარკუსის შთამომავალნი არიან...

ეხლა ირკვევა, რომ წინაქრისტიანულ, წინაფეოდალურ ხანაში არსებობდა სქემა, რომელიც მიახლოებით იმავე შემეცნებითსა და საზოგადოებრივ მიზნებს ისახავდა, მაგრამ სულ სხვა მასალისაგან იყო აშენებული.

მეტნაკლებად მთლიანი სახით თქმულება დაცულია პომპეი ტროგთან (I ს. დასაწყ., ახ. წ.) მის „ფილიპიკურ ისტორიებში“, რომელნიც შემოკლებით შემოუნახავს მ. იუნ. იუსტინს (მიახლოებით — III ს., ახ. წ.).

კოლხეთს პირველი მგზავრობიდან დაბრუნების შემდგომ იასონი იძულებული ხდება, თავისი მტრების ვერაგობისა და ძალმომრეობის მიზეზით, დასტოვოს თესალია. იასონი კვლავ კოლხეთს მიდის მედეასა და მის ვაჟიშვილ მედთან ერთად. იასონი და მედეა ერთ დროს განშორებული იყვნენ და მედეა ცოლად ჰყავდა ათენის მეფეს ეგეის, რომელთანაც მედეას ეყოლა ვაჟი მედი. შემდეგში იასონმა შემოირიგა მედეა. იასონს თან მიჰყვება აგრეთვე მრავალრიცხოვანი გუნდი ყველა ტომის ვაჟკაცებისა, რომელთაც იასონის სახელი იზიდავს. კოლხეთში იასონმა ტახტი დაუბრუნა თავის სიმამრს, მეფე აიეტს, რომელიც მტრებს დაეჩაგრათ და სამეფოდან გაეძევებინათ. შემდეგ იასონმა დიდი ომები გადაიხადა მეზობლებთან და ქვეყნები დაიპყრო. დაპყრობილი მიწაწყლის ნაწილი იასონ-

---

[1] ვრცელი სახით მოხსენდა სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიას 1943.IV.24.

მა სიმამრის სამეფოს შეუერთა, აიეტის წინააღმდეგ ჩადენილი თავისი ძველი დანაშაულის გამოსასწორებლად, ნაწილი-კი თავის თანამგზავრებს გაუყო. „ამბობენ, — ამტკიცებს ეს წყარო,— იასონი პირველი კაცი იყო, რომელმაც დედამიწის ეს ნაწილი დაიპყრო ჰერაკლესა და ლიბერის შემდეგ. ჰერაკლე და ლიბერი, გარდმოცემით, აღმოსავლეთის მეფეები იყვნენ". ზოგ ხალხს იასონმა წინამძღოლად მისცა ფრიგი და ამფისტრატი, კასტორისა და პოლუქსის მეეტლეები. შემდეგ იასონმა კავშირი შეკრა ალბანელებთან, რომელნიც, ამბობენ, თავის დროზე ჰერაკლეს მოჰყვნენ იტალიიდან, ალბანის მთიდან. ალბანელებს ახსოვდათ თავისი იტალიური წარმოშობა ჯერ კიდევ პომპეი-მითრიდატის ომების დროს და ამის გამო იყო, რომ ისინი „ძმურად მიესალმნენ" პომპეის. იასონის სიკვდილის შემდეგ მედმა, რომელიც მამინაცვალს ეჯიბრებოდა სიქველეში, თავის დედის პატივაცემად ააშენა ქალაქი მედია და დააარსა მედიის სამეფო. ასეთი სახელი ეწოდა ამ სამეფოს მედის მიხედვით. იასონის რაზმის ერთმა წინამძღოლთაგანმა, აგრეთვე თესალიელმა წარმოშობით, არმენმა კვლავ თავი ნოუყარა რაზმელებს, რომელნიც ყველგან დასეტიალობდნენ მეფე იასონის დაკარგვის შემდგომ, და დააარსა არმენია. ამრიგად, თითქმის მთელმა აღმოსავლეთმა დაიწყო იასონის გაღმერთება და მისთვის, როგორც თავისი „დამაარსებლ"ათვის", ტაძრების შენება. მრავალი წლის შემდგომ ალექსანდრე დიდის სარდალმა პარმენიონმა ბრძანება გასცა ამ ტაძრების დანგრევის შესახებ, რათა არავის სახელს არ ჰქონოდა აღმოსავლეთში მეტი პატივი, ვიდრე ალექსანდრეს სახელს (წ. XLII, თ. 2—3).

ირკვევა, რომ თქმულება ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძველთაგანვე, როგორც ადგილობრივ, ისე ბერძნულ-რომაულ მწერლობაში. ბერძნებს ეს თქმულება გაუცნიათ არა უგვიანეს მეხუთე საუკუნისა, ძვ. წ. უკვე ჰეროდოტე „მოგვითხრობს: მედიელებს „ძველად ყველანი არიელებს უწოდებდნენ; მაგრამ როცა კოლხიდელი მედეა მივიდა მათთან ათენიდან, მათაც გამოიცვალეს სახელი; ასე ამბობენ თავისთავზე თვითონ მედიელები" (VII, 62)... შესაძლოა ამის მსგავსი რაღაც სცოდნოდა უკვე ჰეკატესაც (ფრ. 171).

შემდეგ, თქმულებას იცნობენ: ეფორი (?, IV ს.); კირსილი და მედი — ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვენი, ერატოსთენე (III ს., ძვ. წ.); დიოდორ სიცილიელი და ვარონი (I ს., ძვ. წ.); სტრაბონი (I ს., ძვ. წ.—I ს., ახ. წ.); მელა, პლინი და ვალერი პრობი (I ს., ახ. წ.); ტაციტი (I—II სს., ახ. წ.); აპიანე (II ს., ახ. წ.)... ეს წყაროები მეტწილ შემთხვევაში თქმულების ვარიაციებს წარმოადგენენ და ამით მრავალგანშტოებული გარდმოცემის არსებობას ემოწმებიან. ამავე საკითხზე ჩვენ გვაქვს დიოდორე სიცილიელის პირდაპირი ჩვენებაც: „ტრაგიკული პოეტების გამოგონებათა წყალობით, მედეას შესახებ არსებობს მთელი რიგი სხვადასხვაგვარი და ერთმანეთის საწინააღმდეგო თქმულება" (IV, თ. 56, § 1)...

მთავარი წყარო ამ შემთხვევაშიაც დიდი სტრაბონია, რომელსაც შეუთვისებია ანტიკური მწერლობის არა ერთი ძეგლის ცნობა ჩვენთვის საინტერესო საგანზე: იასონისა და მისი თანამგზავრების ეს მეტად შორეული ლაშქრობა მიმართულია კავკასიონთან მდებარე ქვეყნებისაკენ (XI, თ. V, § 5); თავდაპირველ მიზანს კოლხეთი შეადგენს; აქედან „იასონმა და თესალიელმა არმენმა მიაღწიეს კასპიის ზღვას და გაიარეს იბერია, ალბანია და არმენიისა და მედიის მრავალი ნაწილი“ (XI, თ. IV, § 8); კოლხეთიდან არმენიასა და მიდიაში იასონი მივიდა, ერატოსთენეს ცნობით, ხმელეთის გზით (I, თ. III, § 2); ალექსანდრე მაკედონელის ომების, მონაწილეთა კირსილ ფარსალიელისა და მედი ლარისაელის სიტყვით, არმენიამ თავისი სახელი მიიღო არმენისაგან, რომელმაც არმენია დალაშქრა იასონთან ერთად და რომელიც წარმოშობით იყო თესალიის ქალაქ არმენიადან... არმენის თანამგზავრთა თუ ამხანაგთაგან ზოგმა დაასახლა აკილისენა, ზოგმა — სისპირიტიდა (XI, თ. IV, § 8 და იმავე წიგნის თ. XIV, §§ 12—13); მედეა იასონთან ერთად მბრძანებლობდა მედიაში, რომლის სახელწოდების შესახებ სტრაბონისათვის ცნობილი ყოფილა ორი ვერსია: ა) იგი მომდინარეობს მედეას სახელისაგან; ბ) იგი შერქმეულია, თავისი სახელის მიხედვით, მედის მიერ, რომელმაც ამ ქვეყანაში დაიმკვიდრა ხელისუფლება (XI, თ. XIII, § 10); შავი ზღვის ნაპირზე, კოლხეთის ჩრდილოეთით, ახეა დასახლებულია იასონის ფთიოტ-ახეველი რაზმელების მიერ [1], ხოლო ჰენიოხია — ლაკონელი რაზმელების მიერ, რომელთაც წინამძღოლობდნენ დიოსკურების მეეტლეები — „ჰენიოხები“ — კრეკა (|| ჰრეკა) და ამფისტრატი; „ამათგან მიიღეს, ალბათ, თავისი სახელი ჰენიოხებმა“ (XI, თ. II, § 12); დასასრულ, „იასონისა და ფრიქსეს ლაშქრობანი“ შეეხნენ პონტოსაც (I, თ. II, § 39): ვგონებო იასონის თანამგზავრთაგანი იყო აუტოლიკი, რომელსაც სინოპელები სთვლიდნენ ქალაქის დამაარსებლად და თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს; აქვე იყო მისი ორაკული (XII, თ. III, § 11); ამასტრეას ერთი შემადგენელ ნაწილთაგანი სახელდებულია ფრიქსეს ძის კიტორის მიხედვით; ამ ცნობისთვისაა დამოწმებული ეფორი (იქვე, § 10).

რიგი წყაროები შეიცავენ თხრობის ვარიანტებს ან ავსებენ მას. დიოდორე სიცილიელით, ზოგნი, ათენელების გულის მოსაგე-

[1] ახეველების შესახებ სტრაბონთან, იხ. სხვა ვარიანტიც, IX, თ. II, § 42, რასთანაც თანხმობაში იმყოფება აპიანე, „ომები მითრიდატთან“, 67 და 102.

ბად, მოგვითხრობენ, რომ მედეა ჩავიდა კოლხეთში თავის შვილთან, მედ ეგეის ძესთან ერთად; მედმა მოჰკლა აიეტის ძმა პერსი და დაუბრუნა აიეტს ტახტი. შემდეგ მედმა გაიარა პონტოს ზემოთ მდებარე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი და დაიკავა მედია, რომელმაც მერმე სახელი მიიღო მისგან (IV, თ. 56, §§ 1—2). აქ, ყოველ შემთხვევაში, კოლხეთისა და მედიის ამბებიდან სავსებით გამორიცხულია იასონი!

3. მელას სიტყვით, ჰენიოხების ქვეყანაში დიოსკურიადა დაარსებულია კასტორისა და პოლუქსის (ე. ი. დიოსკურების) მიერ (I, 111) გ. პლინი სეკუნდის ზოგიერთი წყაროს ცნობით კი ეს ქალაქი დაარსებულია არა დიოსკურების, არამედ მათი მეეტლეების მიერ, რომელთაგანაც წარმოშობილია ჰენიოხების ტომი (VI, §§ 15—16).

ამრიგად: 1. ციკლი გეოგრაფიულად მოიცავს კავკასიისა და მის სამხრეთით მომიჯნავე ქვეყნების თითქმის ყველა სახელმწიფოებრივ წარმონაქმს თუ თემს და ზოგს მთავარ ქალაქს; 2. იასონისა და „იასონიანთა“ ღვაწლი სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ხასიათისაა: ომებით იპყრობენ ქვეყნებს, აარსებენ სახელმწიფოებსა და ქალაქებს, ქმნიან საერთაშორისო კავშირებსა და, საგონებელია, მთელ სისტემასაც; ზოგ შემთხვევაში საუბარია ქვეყნების დასახლებისა და ცალკე ტომთა წარმოშობის შესახებ; 3. ციკლის ამბების ბაზა კოლხეთშია, სადაც იასონისა თუ მედის ღვაწლის შედეგად ხდება გარკვეული პოლიტიკური მდგომარეობის რესტავრაცია და სამეფოს ტერიტორიის ზრდა; 4. გარდა ამისა: ა) იასონი ჰკრავს პოლიტიკურ კავშირს ალბანელებთან, რომელნიც წარმოშობით იტალიელნი (დიო კასით — მასაგეტები...) არიან; ბ) არმენი აარსებს არმენიას, იასონის სიკვდილის შემდეგ, და აძლევს მას თავის სახელს; გ) მედეა და მედი, თუ მარტო მედი, აარსებენ მედიის სახელმწიფოს და ქალაქ მედიას და აძლევენ მათ თავიანთ სახელებს; დ) ქალაქ დიოსკურიას აარსებენ ან დიოსკურები, რომელნიც აძლევენ მას თავიანთ სახელს, ან „მეეტლეები“; ე) ჰენიოხები ღებულობენ წინამძღოლად „მეეტლეებს“ ან წარმოშობილიც-კი არიან მათგან; სხვა ვერსიით — ჰენიოხია დასახლებულია ლაკონელი რაზმელების მიერ; ვ) ახეა დასახლებულია ფთიოტ-ახეველების მიერ; ზ) პონტოს მთავარი ქალაქი სინოპი დაარსებულია აუტოლიკის მიერ; თ) ამასტრეას კიტორი სახელს ღებულობს ფრიქსეს ძის კიტორისაგან; ი) აკილისენა და სისპირიტიდა დასახლებულია არმენის ამხანაგებით, რომელთა სახელები მოხსენებული არ არის. კითხვაზე, თუ ვინ იყვნენ აკილისენასა და

სისპირიტიდას „პირველმოსახლენი“, ჩვენ ვერ ვპოულობთ თქმულებაში პირდაპირ პასუხს, ისევე, როგორც კითხვაზე, თუ რა გააკეთეს იასონმა და მისმა თანამგზავრებმა იბერიაში. უფრო სწორედ, იბერიის შესახებ, ამ მხრივ, გარდმოცემა სრულიად დუმს. ეს მით უფრო საკვირველია, რომ იასონის ლაშქრობათა ბაზასთან, კოლხეთთან, ყველაზე უფრო ახლოს გეოგრაფიულად, ეთნიკურად, ისტორიულად და კულტურულად სწორედ იბერია იდგა.

ამ თვალსაჩინო ნაკლს ავსებს სახელგანთქმული ტაციტი. „ანალებში“ (VI, 33—34) ტაციტი დაწვრილებით მოგვითხრობს იბერიისა (ქართლის) და მისი სამეფო სახლის ამბებს I ს. პირველი ნახევრიდან, ახ. წ., კერძოდ — თუ როგორ დაიპყრო იბერიის მეფემ ფარსმანმა არმენია (სომხეთი) და როგორი ბრძოლები გადაიხადა მან ამის გამო პართელების წინააღმდეგ. ქართველ-პართელების ერთი ბრძოლის აღწერაში ტაციტი ამბობს, რომ პართელების ძალას ცხენოსანი ჯარი შეადგენდა, მაშინ, როცა ქართველთა მეფე ფარსმანი ძლიერი იყო ქვეითობითაც; ვინაიდან იბერები და ალბანელები (ალბანელთა ერთი რაზმი თან ჰყავდა მოკავშირედ ფარსმანს, ს. ჯ.), რომელნიც მთიან ადგილებში ცხოვრობდნენ, უფრო მიჩვეული იყვნენ (ცხოვრების) სიმკაცრესა და ამტანობას. ისინი ამბობენ, რომ წარმოიშვნენ თესალიელებისაგან იმ დროს, როცა იასონი, რომელმაც მოიტაცა მედეა და შვილები იყოლია მისგან, შემდეგ დაბრუნდა აიეტის დაცარიელებულ სასახლეში უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან. და, მართლაც, [იქ] ბევრი რამ მოწმობს მის სახელსა და ფრიქსეს ორაკულს; არავის არ მიაქვს (იქ) მსსვერპლად ვერძი, რადგანაც სწამთ, რომ მან მოიყვანა ფრიქსე“... ზერელე წაკითხვით ტაციტი თუ მისი წყარო შეიძლება ისედაც გავიგოთ, რომ აქ საუბარია არა მარტო იბერების, არამედ აგრეთვე ალბანელების წარმოშობის შესახებ. იქნებ ასე მოუვიდა პლინის, რომელიც გვამცნობს: „ალბანელები, გარდმოცემით, წარმოშობილი არიან იასონისაგან“ (VI, 38)[1].

მაგრამ თუ ჩავუკვირდებით ტაციტს, დავრწმუნდებით, რომ ცნობა თესალიელებისაგან და, სახელდობრ, იასონისაგან (გაითვალისწინეთ პლინის გამოთქმა!) წარმოშობის შესახებ განეკუთვნება მხოლოდ იბერებს (რომელნიც აქ კოლხებთან მჭიდრო კავშირში

[1] არ არის გამორიცხული კალმის შეცდომის შესაძლებლობაც პლინისთან: „იბერების ნაცვლად ალბანელები! ამას გვაფიქრებინებს უშუალოდ მომდევნო ფრაზა. სადაც დასახელებული ხალხის სამხრეთ მიჯნად ნაჩვენებია ხაზი, „რომელიც შეადგენს არმენიისა და იბერიის საზღვარს“.

არიან წარმოდგენილნი) და, უფრო ვიწროდ, იბერიის სამეფო სახლს: ა) თხრობის მთავარი გმირები სწორედ ესენი არიან; ბ) თქმულების სარწმუნოობის საბუთები საქართველოს რეალიებია. ამისთვის მოვიგონოთ სტრაბონის ცნობები: „არსებობს ორივე ლაშქრობის ძეგლებიც: ფრიქსესი — კოლხიდისა და იბერიის მიჯნაზე, და იასონისა—რომელთაც უჩვენებენ არმენიისა, მედიისა და მათი მეზობელი ქვეყნების მრავალ ადგილას“ (I, თ. II, § 39); კოლხიდის „დასახელებული მდინარეების ზემოთ, მოსხების ქვეყანაში არის ლევკოთეას ტაძარი, რომელიც ააგო ფრიქსემ, და მისი ორაკული, სადაც არ მიაქვთ მსხვერპლად ვერძი... თუ როგორ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, გვიჩვენებს მითები, რომელნიც მოგვითხრობენ იასონის ლაშქრობაზე, მედიასაც კი რომ მიაღწია, და ფრიქსეს წინამორბედ ლაშქრობაზე... იბერიაში არის აგრეთვე პატარა ქალაქი, „ფრიქსეს ქალაქი“, ეულანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული დაბა კოლხეთის საზღვარზე“ (XI, თ. II, §§ 17—18). განსაკუთრებით ნიშანდობლივია ცნობა რიტუალური აკრძალვის შესახებ — იგი მსოლოდ საქართველოსთანაა დაკავშირებული... ტაციტთან ყურადღებას იქცევს შემდეგი: იასონს ჰყავს მედეასგან შვილები და, საგონებელია, მათთან ერთად ბრუნდება კოლხეთში; აიეტის სასახლე დაცარიელებულია, ხოლო კოლხეები უმეფოდ არიან,— საგონებელია, რომ აიეტი მკვდარია და იასონი იქერს მის ადგილს (ასეთივე შეხედულება თითქოს ჩანს სტრაბონთანაც; XI, თ. II, § 18); არაფერია ნათქვამი იასონის ლაშქრობაზე მეზობელ ქვეყნებში და ამავე დროს იასონიანები მიჩნეული არიან იბერების წინაპრებად. ამგვარ შეხედულებას საფუძვლად უნდა ედოს კონცეფცია იბერია-ქართლის გარკვეული ერთობის შესახებ, რაც მოგკაგონებს „ქართლის მოქცევისა“ და სხვა, მასზე დამოკიდებული, ქართული წყაროების ანალოგიურ კონცეფციას... ტაციტის ცნობებს ეთანხმება და ავსებს სტრაბონის ერთი საყურადღებო ჩვენება: ... „ფიქრობენ, რომ მედიელები და არმენიელები ეთათესავებიან თესალიელებსა და იმათ, ვინც იასონისა და მედეასაგან ჩამომავლობს“ (XI, თ. XV, § 14). იასონისა და მედეას ნაგულისხმევი ჩამომავლობისაგან მედიელებსა და სომხებს გამორიცხავს ეს ციტატა, ხოლო ალბანელებს, პონტოელებს, ჰენიოხებსა და ახეველებს ზემოთმოტანილი ცნობები. დაგვრჩნენ კოლხეთი, იბერია, აკილისენა და სისპირიტიდა.

საკუთრივ იასონის შთამომავლობიდან არსებითად გამოსარიცხი არიან: აკილისენა (თავისი გეოგრაფიული და ისტორიული

მცირე მნიშვნელობის გამო აკილისენას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ეთნარქად იასონი დაეჩემებინა) და კოლხებიც, რომელთაც საკუთარი ეთნარქი ჰყავთ: ა) კოლხები წარმოშობით ეგვიპტელები არიან (ჰეროდოტე), ბ) კოლხებმა მიიღეს თავისი სახელი ფასიდის ძის კოლხისაგან (მნასეა, თეოკრიტეს სქოლიასტთან), გ) პონტოს ხალხებისა და ქვეყნების უუძველესი მეფე იყო აიეტი (ფლორი), დ) ხუთ მზეთაგან ერთი იყო კოლხის შვილი, რომლისგანაც დაიბადნენ კირკა, მედეა და ფაეთონი (ამპელი) და სხვა.... ეხლა ისღა უნდა განვსაზღვროთ, თუ რა მიმართებაშია სისპირიტიდას ეთნარქი იბერიის ეთნარქთან?

სტრაბონი იასონის რაზმის შემადგენლობას ასე განსაზღვრავს: „იასონი თავისი თანამგზავრებით“, „იასონი თესალიელ არმენთან ერთად“, „არმენი და მისი ამხანაგები“, „არმენი იასონთან ერთად“, „არმენის თანამგზავრები“. ცნებები „იასონის თანამგზავრები“ და „არმენის თანამგზავრები“ ერთმანეთს ფარავენ და გამოთქმა „იასონის თანამგზავრები“ პირველ რიგში გულისხმობს არმენს, ხოლო „არმენის თანამგზავრები“ — პირველ რიგში იასონს. ამრიგად, როცა აკილისენასა და სისპირიტიდას ეთნარქებზეა საუბარი, ერთ-ერთი მათგანისათვის მაინც მამათმთავრად იასონი უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ზემოთ იბერების ეთნარქად მივიჩნიეთ. რით აიხსნება ეს წინააღმდეგობანი, დადუმებული ან ბოლომდე არ-თქმული ამბები და გაურკვევლობა იბერიასა და სისპირიტიდას გარშემო?

სახელწოდებათა ფორმები „იბერი“ და „იბერია“ IV ს-დან არის დადასტურებული. უფრო ადრე მათ ნაცვლად ვხვდებით „სასპეჲრ“- || „საპეჲრ“- ||„ჰესპერიტ“-ს ხალხისათვის; ხოლო „სისპირიტიდა“ ამავე ხალხის ტერიტორიას აღნიშნავს ([1], გვ. 655—666). ამიტომ, თქმულების უძველეს რედაქციაში იბერი, იბერია არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მათი ადგილი იქ სასპერ-სისპირიტიდას უნდა სჭეროდა. ამ ნიადაგზე ხდება შემდეგში აღრევა. ხალხმა ადგილობრივ შეინარჩუნა თქმულება, მაგრამ მასში ეთნიკური სახელწოდების ახალი ფორმა ჩასვა — გაჩნდა იასონი, იბერების მამათმთავარი. ბერძნული მწერლობა კი, რომელმაც დაკარგა ხსოვნა სასპერ-იბერების იგივეობის შესახებ, დადგა გარდმოცემის ძველი რედაქციის ცნობის (იასონი, სასპერ-სისპირიტიდას მამამთავარი) წინააღმდეგობის წინაშე ახალ ცნობასთან... იმავე მწერლობისათვის იყო ერთი სიძნელეც: ცნობილი რეალიები იასონის, როგორც ეთნარქის მოღვაწეობის ერთს მთავარ სარბიელთა-

განს მერმინდელი არმენიის ტერიტორიაზე უჩვენებდა თითქოს. ყველაზე ადრინდელი, შენახულთა შორის, ცნობები ამ საგანზე (IV ს., ძვ. წ.) დაცულია სტრაბონთან. თუ ზოგი ადგილიდან ისე გამოდის, რომ იასონის სალოცავები საგულისხმებელია არა ერთს ქვეყანაში, ერთგან სტრაბონი თითქოს ხაზმოსმით აღნიშნავს იასონის სალოცავების არსებობას არმენიაში, როგორც ლაშქრობის მოწმობას (XI, თ. XIII, § 10). განსაკუთრებით საყურადღებოა თხრობა, რომ ძველად არმენიის არაქსს არ ჰქონდა გასავალი და ტბად იდგა ბინაში, ხოლო შემდეგ იასონმა გაუჭრა მას კალაპოტი ტემპეს ხეობის (თესალიაში) მსგავსად (XI, თ. XIV, § 13), რაც საყურადღებო მითოლოგიურ ელემენტს შეიცავს... აქაც წინაღმდეგობა მოჩვენებითია: გარკვეულია, რომ არაქსის ხეობა ძველად სასპერ-იბერებს უჭირავთ... კიდევ ერთი მომენტი, შესაძლოა, აბრკოლებდა ძველებს. სქემის ეთნარქების უმრავლესობა ხალხური ეტიმოლოგიით შექმნილი ეპონიმებია: მედეა-მედი — მედიისაგან, არმენი — არმენიისაგან... იასონი ასეთ მიმართებაში არ დგას არც ხალხისა და არც ქვეყნის სახელთან. მაგრამ ჩვენთვის ეს იმის ნიშანია, რომ სქემაში იასონი ყველაზე ძველია და ყველაზე, თუ შეიძლება ითქვას, „ისტორიული“...

გ ა რ დ მ ო ც ე მ ა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ი ყ ო (ჰეროდოტე, ტაციტი, აპიანე), ჩვენ კი ნაჩვენები გვაქვს, რომ „ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ“ ი გ ი მ ხ ო ლ ო დ ქ ა რ თ უ ლ მ ა ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ წ ე რ ლ ო ბ ა მ შ ე ი ნ ა ხ ა თ ქ მ უ ლ ე ბ ა შ ი **ა რ ი ა ნ**-ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს-ძ ი ს **ა ზ ო ს** შ ე ს ა ხ ე ბ [1], რომელიც მიჩნეულია მამათმთავრად ქართლის (მცხეთის) სამეფო სახლისა. ეს გარემოება ამტკიცებს ჩვენს შეხედულებას აზო-იასონის ნამდვილ როლზე თქმულებაში: იგი თავდაპირველად მხოლოდ სასპერ-იბერების ეთნარქია...

აქ ჩვენ სპეციალურად გვაინტერესებს ტერიტორიული შინაარსი ცნებებისა „არმენია“ და „სისპირიტიდა“. ამ მხრივ თქმულება ეკუთვნის წინაელინისტურ ხანას, როცა სომხები სამხრეთში ბინადრობენ და არც არტაქსია-ზარიადრის, არც ტიგრანის ექსპანსია ჯერ განხორციელებული არ არის: აკილისენა და სისპირიტიდა არმენიისაგან ცალკე დგანან, მათ საკუთარი ეთნარქები ჰყავთ, მაშინ როცა I საუკუნისათვის ისინი სომხეთის პროვინციებია. თითქოს იმისთვის, რომ ეჭვი არ დარჩეს ამ ძველი პოლიტიკური გეოგრაფიის ნამდვილი ვითარების გამო, სტრაბონი ამბობს: „არმენის თანამგზავრთაგან ზოგთ დაასახლეს აკილისენა, ... ხოლო სხვებმა — სისპირიტიდა კალახენასა და ადიაბენამდე, ა რ მ ე ნ ი ი ს

საზღვრებს გარეთ“ (XI, თ. XIV, §§ 12—13). აქ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ეს ორი ქვეყანა, თქმულების დროისათვის, არმენიის საზღვრებს გარეთ მდებარეობს. თანაც ამავე ციტატაში ნაჩვენებია, და ეს განმეორებულია XI, თ. IV, § 8-ში, რომ სისპირიტიდას ემიჯნებოდნენ, იმავე ხანაში, კალახენა და ადიაბენა, რომელთა მდებარეობა გარკვეულია სტრაბონისავე მიერ (XVI, თ. I, § 1, §§ 18—19): ისინი „ასირიელთა“ ანუ ბაბილონიის ნაწილებია, საკუთრივ ადიაბენა კი ტავრის ანუ, უფრო ნიშანდობლივ, მასის ქედს ემიჯნება სამხრეთიდან, ხოლო მდინარე ტიგრს — აღმოსავლეთიდან. სპეციალურ ლიტერატურაშიაც მას არბელასა და ქურთისტანის მთებს შორის უჩვენებენ ([2], გვ. 89).

ამრიგად, გარკვეულ ხანაში სისპირიტიდა სამხრეთისაკენ ვრცელდებოდა ძალიან შორს, ტავრის ქედამდე — მასის მთამდე. მისი გავრცელების არეზე ჩრდილოეთისაკენ ნაწილობრივ მიუთითებს ჰეროხის ხეობის სისპირიტიდა-სპერი, მთელის გარდმონაშთული ნაწილი! ეხლა უფრო გასაგებია ჰეროდოტეს ცნობები სასპერებზე, წინა აზიის ოთხი უდიდესი ხალხიდან ერთზე, რაც უკვე განმარტებული გვქონდა ([1], გვ. 655—660). უფრო დამაჯერებელი ხდება აგრეთვე ჩვენი ლოკალიზაცია იბერების მიერ II ს-ში დაკარგული პროვინციებისა [3]. სინათლე ეფინება სტრაბონის სხვაფრივ გაუგებარ ცნობასაც, რომ სომხეთის მეფემ ტიგრანმა დააარსა ქალაქი ტიგრანოკერტა იბერიის მახლობლად, იბერიასა და ევფრატზე მდებარე ზევგმატას შორის (XI, თ. XIV, § 15), რაც იბერიის სამხრეთ საზღვარს აგრეთვე ტავრის მთიანეთში გულისხმობს...

... ეთნარქების თესალიური წარმოშობა ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც თესალია პელაზგების ბუდედ არის მიჩნეული... მაგრამ თქმულება, თავისი საერთო ხასიათის მიხედვით, უპასუხებს სახელმწიფოებრივი და კულტურული ისტორიის დასაწყისის საკითხებს უფრო მეტად, ვიდრე ეთნოგენეზისისას... სარწმუნოა, რომ ამ იდეოლოგიურ კონსტრუქციას, „კავშირები ერთა და სახელმწიფოთა შორის“, რეალურ საფუძველს უქმნიდა ისეთი ისტორიული სიტუაციები, რომელთაგანაც ერთმა შესაძლო გახადა კავკასიურ სახელმწიფოთა კოალიცია რომის წინააღმდეგ I ს., ძვ. წ... და უკანასკნელ: რომ ქართველობას ჰქონდა ისტორიული ტრადიცია ანტიკურ ხანაში, ამის ფაქტიური საბუთია

არმაზის მითრიდატისეული წარწერა, რომელიც, გ. წერეთლის გამოკვლევით, ისტორიულ თხრობას შეიცავს.

АНТИЧНАЯ СХЕМА КАВКАЗСКИХ ЭТНАРХОВ И ЭПОНИМОВ

Резюме

Сравнительно-критическое изучение сообщений античных авторов (Геродот, Диодор, Страбон, Мела, Плиний, Трог, Тацит, Аппиан...) устанавливает существование дофеодальной, дохристианской схемы этнархов и эпонимов народов Кавказа и прилежащих с юга стран, которая построена не на библейских генеалогиях, и по которой предводитель аргонавтов Иасон является этнархом иберов, тех же сасперов, Армен — эпонимом армян, Мед (или Медея с Медом)— эпонимом мидян и т. д. Сказание в основных чертах сложилось в доэллинистическую эпоху и было местного происхождения (Геродот, Тацит, Аппиан), на месте же сохранилось лищь в древне-грузинской исторической литературе: по этому национальному преданию, родоначальником древней восточно-грузинской (иберийской) царской династии является царевич Азо, сын царя ариан-картвелов. В данной статье специально обсуждаются указания предания, относящиеся к географическому содержанию понятия Сиспиритида (страна-государство сасперов, позднейших иберов). По сообщению источников, современных Александру Македонскому и цитированных у Страбона, Сиспиритида, заселенная одним из спутников Армена (Иасоном!), есть страна, простирающаяся «до Калахены и Адиабены, вне пределов Армении». Здесь отражено политическое положение доэллинистической эпохи: Сиспиритида ограничивается с юга Тавром; в эпоху же самого Страбона Сиспиритида составляла уже провинцию Армении. Данный вывод проливает новый и значительный свет на сообщение Геродота, по которому сасперы являются одним из четырех величайших народов Передней Азии [1], а также на результаты разысканий автора по вопросу о локализации утерянных иберами, в первой половине II в. до н. э., провинций [3].

დამოწმებული ლიტერატურა

1. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველ-საცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. „ენიმკი"-ს მოამბე, ტ. V—VI, 1940.
2 H. K i e p e r t. Manuel de géographie ancienne. P., 1887.
3. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 6, 1942.

იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში[1]

მცხეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი საზღვრები დღემდის არ ყოფილა სპეციალური მეცნიერული შესწავლის საგანი. ამით აიხსნება, რომ ზოგიერთ სერიოზულ საბჭოთა გამოცემაშიაც აღებული ხანის იბერიის ტერიტორია ფანტასტიკური სახითაა წარმოდგენილი: სამხრეთის საზღვარი, მაგ., მცხეთიდან მოყოლებული მტკვრის მარცხენა (!) ნაპირს მიჰყვება [1], ხოლო აღმოსავლეთისა — არაგვისას (ერთი ავტორი ირწმუნება: „ანტიკური და სომეხი ავტორების მონაცემთა შესწავლა ამტკიცებს, რომ საკუთრივ ალბანიად იწოდებოდა ტერიტორია, რომელიც ისაზღვრებოდა... დასავლეთიდან მდ. არაგვითა და მცირე კავკასიონის ქედით (»ამიერ-კავკასიის ნალი«) [2][2]. თუ იბერიის პოლიტიკური საზღვრების ამგვარ განმარტებას დავეთანხმებოდით, მივიღებდით ორიგინალურს,— უთუოდ უნიკალურს მსოფლიო ისტორიაში,— ვითარებას, როცა ერთი სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში — იბერიის) დედაქალაქის (მცხეთის!) უდიდესი ნაწილი ორი უცხო სახელმწიფოს ფარგლებში მდებარეობს: ერთი მესამედი, სამეფო რეზიდენციის (არმაზი!) შემცველი, — არმენიაში, მეორე მესამედი კი (არაგვის მარცხენა ნაპირზე) — ალბანიაში!

ქართულ მწერლობაში მოიპოვება ძველი ქართლის პოლიტიკური გეოგრაფიის განხილვის ერთი ცდა ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის. ამ ცდის შედეგი ასეთია: „მე-3 საუკ. ქრ. წ. ...იბერიის სამფლობელო შეიცავდა დიდს ნაწილს ამიერ-კავკასიისას კავკასიონის ქედის შუა წელიდან მდ. არეზამდის და მდ. ჭოროხის აუზამდის ამ უკანასკნელის თანმითვლით“. „არტაქსიასისა

---

[1] ნაწილია მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VII სესიაზე, 1942 წლის 22 ივნისს.

[2] „ხელნაწერის უფლებით“ გამოსული ამ გამოცემის დასახელება შესაძლებლად და საჭიროდ მიგვაჩნია, იმიტომ რომ მისი შემდგენელ-რედაქტორები იმოწმებენ მას თავის სხვა საპასუხისმგებლო პუბლიკაციებში.

და ზარიადრისის დრომდის... იბერია, სტრაბონის ცნობის მიხედვით, საკმაოდ ვრცელი ყოფილა. უფრო ადრე კიდევ მას სპერია ტერიტორია თითქმის მდ. არეზამდის. სტრაბონის დროს იბერია უკვე შემცირებულ ტერიტორიაზე იგულისხმებოდა... თითქმის დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სტრაბონის დროს იბერია ალბათ ლიხის მთამდის უწევდა". „იბერიის აღმოსავლეთ საზღვარს I საუკუნეში იორი შეადგენდა. მთიან ადგილებისაკენ ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვარი არა ჩანს, მაგრამ... თუ მე-4 საუკუნეში [ახ. წ., ს. ჯ.] იბერიის საზღვარი შემდეგ დროინდელ დუშეთის ხაზზე გადიოდა, I საუკუნეში საზღვარი შესაძლებელია უფრო სამხრეთითაც იყო, რადგან მთიულ ტომების დამორჩილება, როგორც ჩანს, საერთოდ ნელის ტემპით მიდიოდა" [ზემოთ-კი ავტორი ამტკიცებდა, რომ მე-3 საუკუნეში, ძვ. წ., იბერიის ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის შუა წელს უწევდა! ს. ჯ.]. „იბერიის სამხრეთი საზღვარი, როგორც ჩანს, გადიოდა აღმოსავლეთიდან მტკვარზე, შემდეგ — ხაზის გადაჭრით ლელვარის მთის მიმართულებით და ლელვარის მთით ვიდრე ჯავახეთამდის... ქვემო-ჯავახეთი და სამცხე სტრაბონის დროს იბერიის ფარგლებს გარეშე იყო" [3]. არც ერთი ამ დებულებათაგანი არ არის სწორი, ყველა ეს შედეგია ავტორის ნებისმიერი კონსტრუქციისა, რომელსაც არ ზღუდავს შედარებით-კრიტიკული დამოკიდებულება წყაროებისადმი.

მცხეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრების ისტორიას უძველეს ხანაში ახასიათებს საერთო ძლიერი ტენდენცია სამეფოს ტერიტორიის შეკვეცისა სამხრეთიდან. მხოლოდ ამ ხანის დამლევისათვის ჩნდება ხანმოკლე და ნაკლებ ძლიერი მიდრეკილება საწინააღმდეგო მიმართულებით. ამიტომაა სამხრეთის საზღვრების ისტორია ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის შემცველი.

განხილვას დავიწყებთ აღებული ხანის ბოლო პერიოდიდან, რომელსაც ჩვენ დავდებთ 65 წლიდან, ძვ. წ., ვიდრე I საუკუნის შუაწლებამდე, ახ. წ., როცა იწყება, სწორედ, ქართლის ტერიტორიული ზრდა სამხრეთისაკენ. წყაროები არავითარ ჩვენებას არ შეიცავენ იმის შესახებ, თუ რომელი თემები შეიძინეს (60 და მომდევნო წლებში, ახ. წ.) ქართლის მეფემ ფარსმანმა და მისმა მეშკვიდრეებმა. სამაგიეროდ, მოიპოვება საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი ცნობები ქართლის ტერიტორიის მოცულობის შესახებ წინამორბედ ვითარებაში. ეს ცნობები, თუმცა ისინი ამჟამად დაცულია სხვადასხვა დროის ანტიკურ ავტორებთან, დადის, თავისი წარმოშობით, პომპეუსის თანამგზავრი მწერლების მოთხრო-

ბასა და რომაულს, უმთავრესად ოფიციალურ, წყაროებამდე, რასაც ცხადჰყოფს შედარებით-კრიტიკული შესწავლა. ეს გარემოებაა, რომ შესაძლებელს ხდის დასახელებული ცნობების გაერთიანებას.

ჩრდილოეთით ქართლის სამეფოს საზღვარი კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა იყო გადაჭიმული. დარიალის კარები მთელი პერიოდის სიგრძეზე ქართველებს უჭირავთ ხელში და ძლიერ გამაგრებულიც აქვთ. უკვე სტრაბონიც ამბობს: იბერიაში „ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებიდან მოდის ძნელი, სამი დღის გზა შელმართებზე, მას მოსდევს ვიწრო ხეობა მდინარე არაგვის გასწვრივ, რომლის გავლას ოთხი დღე სჭირია ერთისათვის; გზის ბოლოს მიუდგომელი კედელი იცავს“ (წ. XI, თ. III, § 5). არაგვის დასახელება უეჭველჰყოფს, რომ ეს „ჩრდილოეთის გზა“ დარიალის გზაა. შემდეგ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ „გამაგრებული გზის ბოლოს“ ცნობის წყარო იბერიის სახელმწიფო საზღვარს (ამ შემთხვევაში — ჩრდილოეთისას) უფარდებს, და არა სამეფოს დედაქალაქს. სტრაბონის ჩვენებაში საყურადღებოა მითითება, რომ სამხრეთით მდებარე ამოსავალი პუნქტიდან (აქ, უეჭველია, ქართლის დედაქალაქი იგულისხმება) უღელტეხილამდე 4 დღის გზაა, ხოლო უღელტეხილს იქით — 3 დღისა. ეს მანძილი დარიალ-ბალთის რაიონში გვაგულისხმებინებს სტრაბონის „მიუდგომელ კედელს“. სხვა ცნობები ჰფანტავენ ყოველგვარ გაუგებრობას. გ. პლინიუს სეკუნდი თავის „ბუნებითს ისტორიაში“ წერს: ...„კავკასიის კარები, რომელთაც მრავალნი მეტად შემცდარად კასპიის კარებს უწოდებენ, უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უეცარი გაპობის შედეგი. თ ვ ი თ გ ა ს ა ს ვ ლ ე ლ ი მ ო ზ ღ უ დ უ ლ ი ა. რ კ ი ნ ი თ შ ე მ ო ჭ ე დ ი ლ ი დ ი რ ე ე ბ ი თ. მათ ქვეშ მოედინება მყრალი მდინარე, ხოლო გ ა მ ო ღ მ ა დ გ ა ს კ უ მ ა ნ ი ა დ წ ო დ ე ბ უ ლ ი ს ი მ ა გ რ ე, ა გ ე ბ უ ლ ი ი მ მ ი ზ ნ ი თ, რ ა თ ა დ ა ა ბ რ კ ო ლ ო ნ მ რ ა ვ ა ლ რ ი ც ხ ო ვ ა ნ ი ტ ო მ ე ბ ი ს გ ა დ მ ო ს ვ ლ ა“ (წ. VI, § 30). ამავე დროს პლინიუსმა იცის, რომ ნ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ი კ ა რ ე ბ ი ს ქ ა რ თ ლ შ ი ა: იგი კვლავ ეკამათება იმათ, ვინც „კასპიის კარებს უწოდებს ი ბ ე რ ი ი ს კ ა რ ე ბ ს (portas Hiberiae), რომელნიც, როგორც ჩვენ ვთქვით, კავკასიის კარებად იწოდებიან; ეს სახელწოდებაა აღნიშნული იქიდან გამოგზავნილ სასიტუაციო რუკებზედაც. იმპერატორ ნერონის მუქარაც ეხებოდა ვითომც კასპიის კარებს, მაშინ როცა იგი გულისხმობდა მათ, რომელთაც იბერიაზე გავლით (per Hiberiam) სარმატებში მივყავართ“ (წ. VI,

§ 40). ამ ცნობას შეიძლება გარდამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს მისი მკაფიო და დოკუმენტური ხასიათის გამო. მაგრამ მოიპოვება კიდევ ერთი ჩვენებაც იმის შესახებ, რომ არაგვის გზისა და დარიალის კონტროლი მთლიანად ქართველების ხელში იმყოფებოდა აღებულ ხანაში. ტაციტი გვიამბობს თავის „ანალებში“, რომ I საუკუნის (ახ. წ.) ოცდაათიან წლებში ამტყდარ, ქართველ-პართელთა ომში ორივე მხარე ცდილობდა ქირის ჯარი ეშოვნა სარმატებთან. ამ საქმეში ქართველებმა დაასწრეს პართელებს, იმიტომ რომ „იბერებმა, რომელნიც ამ ადგილების მფლობელნი იყვნენ, სწრაფად შემოუშვეს სარმატები კასპიის გზით არმენიელების წინააღმდეგ. ის სარმატები კი, რომელნიც პართელების დასახმარებლად მოდიოდნენ, ადვილად შეჩერებულ იქნენ, რადგანაც მოწინააღმდეგემ (ე. ი. ქართველებმა და მათმა მოკავშირეებმა. ს. ჯ.) დაჭეტა ყველა სხვა გასასვლელი, ერთად ერთი დარჩენილი კი, ზღვასა და ალბანიის მთების ბოლოს შორის, ზაფხულში გაუსვლელი იყო“-ო (წ. VI, 33). აქ სრულიად აშკარაა, რომ უმოკლესი („სასწრაფო“), სარმატებიდან სომხეთამდე, კასპიის გზა, რომელიც ქართველების მფლობელობაში იმყოფება, პლინიუსის „კავკასიის“, ე. ი. დარიალის გზას ემთხვევა და არა დარუბანდის „ზღვისკარს“, რომელიც შეიძლებოდა მკითხველს აქ ეგულვებინა სახელწოდება „კასპიის“ გამო. ამ უკანასკნელს გულისხმობს ტაციტის მიერ დასახელებული გზა (კასპიის) ზღვასა და ალბანიის მთების (კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილის) ბოლოს შორის“.

ტაციტის ცნობა მოწმობს აგრეთვე, რომ ქართველები კონტროლს უწევდნენ კავკასიონის ზოგ სხვა საუღელტეხილო გზასაც...

აღმოსავლეთის საზღვრის შესახებ ცნობები მცირეა და ნაკლებ ნიშანდობლივი. აქ საკმაოდ მიგვაჩნია მივიღოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, პლინიუსის ჩვენებაზე დამყარებული, რომ ეს საზღვარი მდ. ალაზანზე გადიოდა (4). ჩვენი მხრით დავუმატებთ მხოლოდ: არაგვი, როგორც აღმოსავლეთის საზღვარი, სავსებით გამორიცხულია უკვე სტრაბონის ცნობითაც, რომ კავკასიის „ზოგი ტოტი სამხრეთისაკენ ვრცელდება, გარემოიცავს შუა იბერიას და უერთდება არმენიისა და მოსხურ მთებს“ (წ. XI, თ. II, § 15). კავკასიონის ამ სამხრეთის ტოტებიდან ერთი, უეჭველია, ცივ-გომბორის ქედია. სტრაბონის ცნობა გვავალებს მივიღოთ, რომ ი ბ ე რ ი ა ს ე კ უ თ ვ ნ ო დ ა ა რ ა მ ა რ ტ ო ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ც ი ვ-გ ო მ ბ ო რ ი ს ქ ე დ ი ს დ ა ს ა ვ ლ ე თ ი თ ი, ა რ ა მ ე დ მ ი ს ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი თ ი თ ა ც.

დასავლეთის საზღვარი გასდევდა კოლხეთის ციხე-ქალაქებს — სკანდასა და შორაპანს. ამ ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია იბერიას ეკუთვნოდა. სტრაბონით, მდ. ფასიდი (ე. ი. ამ შემთხვევაში — ყვირილა) ჩქარა დის და არ არის სანაოსნო, ვიდრე შეეიდოდეს კოლხიდაში (წ. XI, თ. III, § 4); სანაოსნო კი იგი არის შორაპნიდან (წ. XI, თ. II, § 17), რომელიც კოლხიდის სიმაგრეა და საიდანაც გზა შედის იბერიაში (წ. XI, თ. III, § 4). სტრაბონისავე ზემოთმოტანილი ცნობა, რომ კავკასიონის ზოგი სამხრეთის შტო „გარემოიცავს შუა იბერიას", აგრეთვე მოწმობს, რომ ქართლის სამეფოს ჰქონდა მიწაწყალი სურამის ქედის დასავლეთითაც, რადგანაც უეჭველია, რომ ამ სამხრეთის შტოებიდან ერთი სწორედ სურამის ქედია. ჯუანშერიც იცნობს „ეგრისს ვიდრე შორაპნამდე" [5].

კრიტიკული ანალიზი, ვგონებთ, კარგად არკვევს იბერიის სამხრეთის საზღვარსაც. ვერ დავეთანხმებით აკად. ივ. ჯავახიშვილს, თითქოს ეს საზღვარი „არც სტრაბონს, არც პლინიუსს გარკვეულად აღნიშნული არა აქვთ" [4].

ჯერ ირკვევა, რომ მდ. მტკვრის აუზი კამბისენემდე მთლიანად ქართლის სამეფოს საზღვრებშია. სტრაბონი ამბობს, რომ კირი, რომელსაც წინათ კორ-ს ეძახდნენ (წ. XI, თ. III, § 2), ე. ი. მტკვარი, იბერიასა და ალბანიაზე დის, მაშინ როცა არაქსი — არმენიაზე (წ. XI, თ. I, § 5). ამავე შეხედულებისაა დიონ კასი, ეპოქის ერთი საუკეთესო წყაროთაგანი. დიონ კასი მოგვითხრობს: პომპეუსი „ეომებოდა როგორც ალბანელებს, ისე იბერებს. იგი იძულებული გახდა იბერებს უფრო ადრეც კი შებმოდა, ყოველგვარი მოლოდინის გარეშე. ცხოვრობენ ისინი კირნის ორსავე ნაპირას, ესაზღვრებიან რა ერთი მხრით ალბანელებს, ხოლო მეორე მხრით — არმენიელებს"... მოულოდნელი თავდასხმით პომპეუსმა ხელთ იგდო იბერიის მეფის რეზიდენცია და აიძულა მეფე არტოკი გადასულიყო მტკვარს გადაღმა (ჩრდილოეთით). „რაკი პომპეუსმა ამრიგად ხელთ იგდო ეს გასასვლელი, მან აქ გუშაგები დააყენა, თვითონ-კი გაემართა და დაიპყრო მთელი (ქვეყანა) მტკვარს გამოღმა. შემდეგ, როცა იგი ემზადებოდა კირნზე გადასასვლელად, არტოკმა მას გაუგზავნა (ელჩები)" (XXXVII, §§ 1—2). ამ კონკრეტული და მთლიანი ცნობიდან აშკარაა: იბერიას ეკუთვნოდა მტკვრის ორივე ნაპირი და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქართლის მიწაწყალი იმდენად ვრცელი იყო, რომ, სამეფო რეზიდენციის დაცემისდა მიუხედავად, მის დაპყრობას მთელი ლაშ-

ქრობა სპეროდა. ამითვე აიხსნება, რომ სამეფო საჯდომი მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარეობდა. როცა იბერიის ეს ნაწილი პომპეუსმა ხელთ იგდო და აქ ზურგი გაიმაგრა, მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა მან მტკვრის მარცხენა ნაპირას გადასულიყო და ქართლის ჩრდილოეთის რაიონების დამორჩილება ეცადნა.

შეიძლება ისიც გარკვეულ იქნეს, თუ, სახელდობრ, სად გადიოდა პოლიტიკური სადემარკაციო ხაზი სომხეთისა და ქართლის სამეფოებს შორის. იგივე სტრაბონი, იხსენიებს რა აპოლოდორის ჩვენებას, რომ იბერების მიწაწყალს არმენიისაგან არაქსი განყოფს, თავის მხრით გვარწმუნებს, ამ საზღვარს „უფრო კირი და მოსხური მთები“ შეადგენენო (წ. I, თ. III, § 21). სტრაბონი ივიწყებს, რომ აპოლოდორი ერთი საუკუნითაა დაშორებული მის დროს და რომ ამ ხნის განმავლობაში განვითარება არ შეწყვეტილა. აპლოდორისა და სტრაბონის ჩვენებანი ამ განვითარების სხვადასხვა ეტაპს წარმოგვიდგენენ.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება სტრაბონის ცნობიდან? უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ თავის (თუ თავის სხვა, უფრო ახლობელი, წყაროების) დროისათვის სტრაბონს შეუძლებლად მიაჩნია იბერია-არმენიის საზღვარი არაქსზე დასდოს. კირის (მტკვრის) ხსენება ამ შემთხვევაში მოწმობს, რომ სტრაბონი საზღვარს არაქსზე ჩრდილოეთით ეძებს. მეორე მხრით უნდა მივიგონოთ, რომ, როგორც ზემოთ გაირკვა, თვით სტრაბონისა და სხვა, სტრაბონისგან დამოუკიდებელი, წყაროების ჩვენებით, მტკვრის აუზი ალბანიის საზღვრამდე მთლიანად იბერიის ფარგლებში იყო მოქცეული. მაშ როგორღა შეიძლებოდა მტკვრის წარმოდგენა სასაზღვრო მიჯნად?

ყურადღებას იქცევს, ჯერ ერთი, ის, რომ სტრაბონი ამ საზღვარს მ ი ა ხ ლ ო ე ბ ი თ წარმოიდგენს; ამაზე მიუთითებს მისი გამოთქმა μᾶλλον — 'უფრო', 'უფრო მეტად', 'უკეთ'. შემდეგ, ერთადერთი განმარტება, რომელიც ყველა ამ ცნობას შეარიგებდა, ისაა, რომ იბერია-არმენიის საზღვარს სტრაბონი მიახლოებით მტკვრის სათავეებთან გ ა მ ა ვ ა ლ ხ ა ზ ზ ე იგულვებს. ეს დადასტურებულია სტრაბონის შემდეგი ადგილითაც, სადაც დიდი გეოგრაფი იბერიის აღწერილობას იძლევა საგანგებოდ: „ამ ქვეყნის ერთი ნაწილი ყოველმხრივ გარემოცულია კავკასის მთებით, რადგანაც სამხრეთისაკენ, როგორც უკვე ვთქვით, ჩამოდის (კავკასის) შტოები, რომელნიც მდიდარი არიან მცენარეულობით, გარემოიცავენ მთელ იბერიას და აღწევენ არმენიასა და კოლხიდას; შუაში კი არის ბა-

რი, რომელსაც მდინარეები რწყავს და მათ შორის ყველაზე დიდი — კირი; მას სათავე აქვს არმენიაში, მაშინვე შედის დასახელებულ ბარში, იერთებს კავკასიდან გამომდინარე არაგონსა და სხვა ნაკადებს და ვიწრო ხეობით შედის ალბანიაში" (წ. XI, თ. III, § 2).

აქაც დადასტურებულია, რომ მტკვარი იბერიის უდიდესი მდინარეა, რომ ალბანიის საზღვრამდე მთელი მისი აუზი (ცნობა შენაკადების შესახებ!) იბერიის ფარგლებშია. სტრაბონის წარმოდგენით მტკვრის სათავეა მხოლოდ არმენიაში („არმენია" აქ, ცხადია, პოლიტიკური მნიშვნელობითაა ნახმარი) და თვით მდინარე მაშინვე, ე. ი. სათავეებიდანვე, ქართლის ტერიტორიაზე დის. რეალურად კი, უნდა ვიფიქროთ, სახელმწიფო საზღვარი, ამ ცნობის თვალსაზრისით, მტკვრისა და არაქსის წყალთგასაყარ მთებზე გადიოდა... ამიტომ უფრო მართალია, რათქმაუნდა, პლუტარქი (რომელიც სტრაბონისავე ხანის წყაროებით სარგებლობდა ამ საგანზე) როცა ამბობს, რომ „მდინარე კირნს... სათავე აქვს იბერიის მთებში და მას ერთვის არმენიიდან მომდინარე არაქსი"-ო („პომპეუსი", XXXIV). ესეც პოლიტიკური განსაზღვრებაა: მტკვრის ხეობა-აუზი მთლიანად იბერიის ფარგლებშია, არაქსისა კი — არმენიისაში!

საკითხის წმინდა გეოგრაფიული განმარტება სხვა ანტიკურ მწერლებს მოეპოვებათ. სტრაბონის უმცროსი თანამედროვე, უკვე რომაული (კლავდიუსის ხანის) მწერლობის წარმომადგენელი, პომპონიუს მელა წერს: „მდინარეები კირი და კამბისი სათავეს იღებენ ურთიერთ ახლოს მდებარე წყაროსთვლებიდან კორაქსიულ მთებთან, შემდეგ შორდებიან ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულებით და დიდ ხანს მიედინებიან ერთი მეორისაგან შორს დაცილებული კალაპოტებით ჰიბერებისა და ჰირკანების ქვეყნებზე, უკვე ზღვისაგან არა მოშორებით ჩადიან ერთსადაიმავე ტბაში და ერთი კალაპოტით აღწევენ ჰირკანიის ყურეს" (ხოროგრაფია, წ. III, § 41). 'კამბისი' აქ არაქსს აღნიშნავს და ირკვევა, რომ, მელას წარმოდგენით, არაქსსა და მტკვარს სათავეები ერთი წყალთგასაყარი ქედის კალთებზე აქვთ და რომ ეს ქედი კორაქსის მთების სახელწოდებას ატარებს. მტკვარს სათავეები აქვს, ქართული ნომენკლატურით, კოლას პროვინციაში, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა ეს სახელი, თუმცა ოდნავ სახეცვლილი ფორმით. 'კორაქსიული მთები' როგორც რეალურად, ისე ენობრივად კოლას მთებს უდრის.

პლინიუსიც მტკვრის სათავეს აგრეთვე კორაქსიულ მთებში დასდებს (წ. VI, § 39), მაგრამ ამასთან ერთად მას ახალი ცნობა შემოაქვს: „კირს სათავე აქვს ჰენიოხურ მთებში, რომლებსაც სხვები კორაქსიულს ეძახიან“ (წ. VI, § 26). ეს განმარტება უპირატესად ეთნიკური მნიშვნელობისა გამოდის.

შემდეგ. სტრაბონით იბერია არმენიისაგან იმიჯნება კიროსითა და მოსხური მთებით (წ. I, თ. III, § 21). თუ რა მნიშვნელობა აქვს მტკვრის დასახელებას ამ შემთხვევაში, ეს ჩვენ ზემოთ განვმარტეთ. მოსხური მთები კი მიჯნას შეადგენენ არა მტკვრის სათავეებთან, რადგანაც, როგორც ვნახეთ, არც ერთი იმდროინდელი წყარო ამ სათავეებს მოსხურ მთებში არ უჩვენებს. აქ მოსხური მთები, მტკვრის სათავეებთან ერთად, ზოგადად მოხაზავს იმ ოლქს, სადაც არმენია და იბერია პოლიტიკურად ხვდებოდნენ ერთმანეთს სტრაბონის ხანაში. ჩვენ გარკვეული გვაქვს, რომ „მოსხური მთები“ ჭანეთის მთებია, აღმოს. პონტოს მთაგრეხილის აღმოსავლეთის ნაწილი. მაშასადამე, სტრაბონის (ოუ მისი სათანადო წყაროს) დროს იბერიის ტერიტორია ჭოროხის ხეობაშიაც გადადიოდა.

სავსებით ემოწმება ამ ჩვენებას პლინიუსიც: „140.000 ნაბიჯზე ტრაპეზუნტიდან (აღმოსავლეთისაკენ, ს. ჯ.) არის მდ. აბსარი, რომლის შესართავთან იმავე სახელის მქონე ციხე-სიმაგრეა. ამ ადგილებში მთებს გადაღმა არის იბერია“ (წ. VI, § 12). მდ. აბსარი და აბსარის ციხე ჭოროხის შესართავის რაიონზე მიგვითითებენ. აშკარაა, რომ ეს მთები, რომლის გადაღმა იბერია იწყება, იგივე სტრაბონისეული მოსხური მთებია.

ზემოთ მიღებული დასკვნა ფეოდალური ხანის გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული ნომენკლატურის ენაზე რომ გადავიტანოთ, უნდა ვთქვათ, რომ *არმენიის საზღვრებში რჩება ბასიანი, იბერიისაში — კოლა-არტაანი*. ამ ხაზის გაგრძელება შეიძლება დასავლეთისაკენ. სტრაბონი არმენიის აღწერილობაში იხსენიებს პროვინციას *სისპირიტიდას* (წ. XI, თ. XIV, § 9, § 12; შეადრ. წ. XI, თ. IV, § 8), რომელიც, უეჭველია, მეტნაკლებად ემთხვევა ფეოდალური ხანის ქართულ *სპერსა* და თანამედროვე *ისპირს*. სტრაბონის ცნობა უნდა გავიგოთ, ჩანს, ისე, რომ სისპირიტიდა-სპერი ეკუთვნოდა სომხეთს, ტაო კი უკვე იბერიის ფარგლებში მოდიოდა. სამხრეთის საზღვრის ხაზის შესახებ აღმოსავლეთის სექტორში სხვა არაფერი მოგვეპოვება, გარდა სტრაბონის ორი ცნობისა. ერთი ისაა, რომლის თანახმადაც იბერიაში მდი-

ნარეებს ოქროს ქვიშა მოაქვთ (წ. XV, თ. I, §§ 57, 59). ყველა მერმინდელი ცნობა აქ სრულიად გარკვეულ ტერიტორიას გვაგულისხმებინებს... მეორე ცნობით, კამბისენეს ნახევრად ბარისა და ნახევრად მთიანი პროვინციის,— სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ იბერია, ალბანია და არმენია (წ. XI, თ. IV, § 1),— სომხური ნაწილი არმენიის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე და ყველაზე მაღალმთიანი თემთაგანი იყო (წ. XI, თ. XIV, § 4). რადგანაც ლიტერატურაში მიღებული გაიგივება კამბისენესი კამბეჩანთან [4] სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ, გამოდის, რომ კამბისენეს სომხური ნაწილი იორ-ალაზნის შუაწყლის სამხრეთით მდებარე მაღალი ქედების — ბამბაკის აღმოს. ნაწილისა და შაჰ-დაღის — მთიანეთში უნდა ვეძიოთ. მის ჩრდილოეთით უკვე იბერია იქნება.

ჩვენ მიერ დადგენილი სამხრეთის საზღვარი არ შეადგენდა იბერიის იმთავითვე უცვლელ მიჯნას. როგორც ვნახეთ ზემოთ, სტრაბონთან დაცულია (წ. I, თ. III, § 21) აპოლოდორის მოწმობა, რომ იბერიას არმენიისაგან მდ. არაქსი განყოფს. აპოლოდორი II საუკუნის მიწურულების მწერალია, ძვ. წ. [6]. ამრიგად, აპოლოდორის ცნობა მოწმობს, რომ მეორე საუკუნის დამლევისათვის, ძვ. წ., ქართლის სამეფოს ტერიტორია სამხრეთისაკენ უფრო ვრცელი იყო, ვიდრე მომდევნო პერიოდში. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ არაქსის ჩრდილოეთით მდებარე რაიონები იბერიამ დაჰკარგა ტიგრან II-ის დროს, როცა არმენია სწრაფ ზრდას განიცდიდა (I საუკუნის პირველი ნახევარი, ძვ. წ.).

ერთი საუკუნით ადრე ამ ეპოქამდე იბერიამ კიდევ უფრო მძიმე ტერიტორიული დანაკლისი განიცადა, როცა მას ჩამოაცალეს პარიადრის მთიანეთის, ხორძენესა და გოგარენეს თემები, რაზედაც სტრაბონი მოგვითხრობს (წ. XI, თ. XIV, § 5). რომ პარიადრის მთებთან ოდესღაც დაკავშირებული იყო იბერიის სამხრეთის სასაზღვრო ხაზი, ეს დადასტურებული აქვს პლინიუსს: „ეხლა ჩამოთვლილი იქნებიან არმენიის მომიჯნავე ქვეყნების მცხოვრებნი. მთელი დაბლობი, მდინარე კირიდან მოყოლებული, დასახლებულია ალბანელების ტომით, შემდეგ — იბერებით... მთავარი ქალაქებია... იბერიაში ჰერმასტი მდინარესთან და ნეორისი, თასისა და თრიარის ოლქები პარიჰედრის მთებამდე. მათ გადაღმა ძევს კოლხიდის უდაბნოები“... (წ. VI, §§ 28—29).

აქ, ჯერ ერთი, ცხადია, რომ პარიჰედრის მთები საზღვარია არმენიის გარეშე მდებარე რომელიღაც ქვეყნისა. შემდეგ, ლოგი-

კურია თასისა და ბრიაარის ოლქები იბერიას მივათვალოთ. უეჭველია, ბრიაარი ქართულ ბრიალეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ოღონდ, ცხადია, რომ პლინიუსის ცნობაში,— რომელიც განსაკუთრებით ძვირფასია იმიტომ, რომ იგი აშკარად სტრაბონისაგან განსხვავებულ წყაროს ემყარება,— ტექსტი ნაკლული სახითაა ჩვენ დრომდე მოღწეული...

К ПОЛИТИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ИБЕРСКОГО (КАРТЛИЙСКОГО) ЦАРСТВА В ДРЕВНЕЙШИЙ ПЕРИОД

Резюме

Сравнительно-критическим изучением сообщений грекоримских, преимущественно, источников устанавливается, что политические границы Иберии к началу нашей эры проходили: а) на севере — за Главным Кавказским хребтом (Дариальский проход находится в руках грузин в продолжение всего периода, будучи сильно укреплен ими); б) на востоке — по долине р. Алазани; в) на западе — по линии пограничной с укрепленными городами Колхиды — Сканда и Шорапани; г) на юге — по водораздельным хребтам между бассейнами Куры и Аракса, причем в политических пределах Армении остаются Сиспиритида-Сцер и Басиан на западе, а на востоке — горная зона области Камбисены (Горный район Камбисены локализуется по восточной части Бамбакского хребта и по Шах-дагу).

Данная линия южной границы Иберии мыслится, как результат роста территории Армении при Тигране II; в конце II в. до н. э. она проходила по Араксу (Аполлодор), а к началу того же века — еще южнее, включая в себя горную область Париадра, Хордзену и Гогарену (Страбон, Плиний).

დამოწმებული ლიტერატურა

1. ბლაკატი: Народы Закавказья в VI в. до н. э.—VII в. н. э. История СССР. Альбом наглядных пособий. Выпуск II, № 10. Государственное издательство политической литературы. 1939.
2. История СССР, ч. I—II. На правах рукописи. Академия Наук СССР. Институт истории материальной культуры им. Н. Я. Марра. Москва—Ленинград, 1939 г., стр. 325.
3. ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. „საისტორიო მოამბე", წ. I, ტფ. 1924, გვ. 21, 29, 31, 33.

4. ივ. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია, წიგნი პირველი. თბილისი, 1913, გვ. 59.
5. ქართლის ცხორება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. თბილისი, 1906, გვ. 209.
6. М. И. Ростовцев. Скифия и Боспор, критическое обозрение памятников литературных и археологических. 1925, стр. 36.

ისტორიული საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიიდან

1. მოხსენება მიზნად ისახავს გაარკვიოს ისტორიულ საქართველოს სამხრეთი მიჯნები უძველეს დროში, რომელნიც სათანადო წერილობითს ცნობებში განსაზღვრულია პარიადრის, სკიდისისა და მოსხური მთებით.

2. სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული ლოკალიზაცია: პარიადრი—პარხალი, სკიდისი—რიზეს მთები, მცდარია ისევე, როგორც მოსხური მთების ძიება ჭოროხის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით.

3. ანტიკურ მწერალთა, განსაკუთრებით კი სტრაბონის ცნობების ანალიზი არკვევს: მოსხური მთები აღმოსავლეთ პონტოს მთაგრეხილის ის ნაწილია, რომელიც ტრაპიზონის აღმოსავლეთითაა გადაჭიმული ვიდრე ჭოროხის ქვემო წელამდე, სკიდისი — პირველის გაგრძელებაა დასავლეთისაკენ ვიდრე გირესუნ-კერასუნტის რაიონამდე, ხოლო პარიადრი — კელკიტ-ჩაისა და ყიზილ-ირმაკის აუზთა წყალგამყოფი მთები: აყ-დაღი, ჩამლუ-ბელ-დაღი, იულდუს-დაღი, ტეკელი-დაღი.

4. მოცემული ლოკალიზაცია საფუძველი ხდება იმ თემების განსაზღვრისათვის, რომელნიც ქართველმა ტომებმა დაჰკარგეს II საუკუნის დამდეგს ძვ. წ. (პარიადრის მთიანი ოლქი, ხორძენე, დერქსენე || ქსერქსენე და კარინითი).

პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები[1]

ანტიკური ქვეყნის სწავლულთათვის ცნობილი სამი მთა თუ მთაგრეხილი — პ ა რ ი ა დ რ ი, ს კ ი დ ი ს ი და მ ო ს ხ უ რ ი მ თ ე ბ ი —შეადგენენ მნიშვნელოვან საორიენტაციო პუნქტებს ძველი საქართველოს ეთნიკური და პოლიტიკური გეოგრაფიისათვის, რაკი ამ ოროგრაფიული ობიექტების მიხედვითაა განსაზღვრული არა ერთი ადრინდელი და სარწმუნო მითითება ქართველობის განსახლებისა და სამოქალაქო ცხოვრების ისტორიიდან. ამავე დროს, დასახელებული ისტორიულ-გეოგრაფიული ობიექტების დამაკმაყოფილებელი ლოკალიზაცია დღემდე არ მოგვეპოვება: ამ შემთხვევაში მკვლევარნი ჩვეულებრივად მიმართავდნენ ლოკალიზაციის უმარტივეს ხერხს — მსგავსების დადგენას ახალი დროის გეოგრაფიულ სახელებთან და საკითხი არსებითად არავის განუხილავს. აღნიშნული ხერხი ყოველთვის არ არის გამოსადეგი, რადგანაც ერთიდაიგივე სახელი არამცთუ სხვადასხვა ეპოქაში, არამედ ზოგჯერ ერთსადაიმავე ხანაშიაც შეიძლება სხვადასხვა გეოგრაფიულ ობიექტს განეკუთვნებოდეს. გასათვალისწინებელია ტოპონიმიკის მოძრაობაც სივრცეში. ისტორიის სიგრძეზე...

სახელოვან ვახუშტის ეკუთვნის მოსხური მთების ლოკალიზაციის ერთი ყველაზე ადრინდელი ცდა. სამცხე-საათაბაგოს შესახებ იგი ამბობს: „ბაგრატიონთ მეფობასა შინა ყოველთა ამათ ადგილებთა და ქვეყანათა კრებით ეწოდა მ ე ს ხ ნ ი“-ო და შენიშნავს: „ამათ ყოველთა კრებით ქვეყანასა სწერენ ძველს ღეოლრაფიასა შინა, უწინარეს მაკედონელისაცა, სახელსა მ ო ს ხ ი, ესე იგი არს მ ე ს ხ ი, და მთათა დ ე ვ ა ბ ო ი ნ ი ს ა ს, ი რ ი ჯ ლ უ ს ა ს, ყ ა ლ ნ უ ს ა და თორთომისას [ბროსეს გამოცემა აქ სამართლიანად უმატებს: „მოსხის მთად, ეს არს“ ([1], გვ. 76)] — მესხის მთა“ ([2], გვ. 121 და შენ.). მეორე ადგილას ავტორს რამდენადმე განსხვავებული განმარტება მოეპოვება: „ეს მთანი არიან, რომელსა სწერენ ძველს ღეოლრაფიასა შინა მ ო ს ხ ი ს მთად, რომელნი არიან მ ე ს ხ ი ს მთანი ი რ ა ჯ ლ უ ს ი (sic! ს. ჯ.), თ ო რ თ ო მ ი ს ა, შ ი ფ ა ქ ლ უ ს ი და დ ე ვ ა ბ ო ი ნ ი ს ა და ი ს პ ი რ ი ს ა“

---

[1] ნაწილია მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო საქ. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VII სესიაზე, 1942 წლის 22 ივნისს.

([2], გვ. 140 შენ.). მესამე ადგილას ნაკლები გარკვეულობით „მოსხის მთებად“ ვახუშტის მიჩნეული აქვს ან აჭარა-ახალციხის ქედი („მთა ღადო ანუ ფერსათი, და მთა აჭარა-გურიის შორისი“) მხოლოდ, ან იგივე, ირიჯლუსა და დევაბოინის მთების დამატებით ([2], გვ. 122). ამ მთების შესახებ-კი ვახუშტი შემდეგ ცნობას იძლევა: „ხოლო მზღვრის თორთომის ჭეობას: აღმოსავლით მთა თორთომისა, თორთომსა და ტაოს შორისი, რომელი მდებარებს სიგრძით სამჭრეთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის, გამოვალს ირიჯლუს მთიდამ და მიადგების ისპირის მთას... ხოლო სამჭრით მზღვრის მთა ირიჯლუ-დევაბოინისა... დასავლით მთა შიფაქლუსა, თორთომსა და ქართლის-ყელს შორისი, რომელი მდებარებს სამხრიდამ ჩდილოდ, გამოვალს დევაბოინის მთიდამ და მიადგების ისპირის მთას... ჩდილოთ მზღვრის მთა ისპირისა, ამასა და ისპირს შორის“... ([2], გვ. 140—141). ყალნუს მთა კიდევ ის მთაა კოლაში, სადაც სათავე აქვს მტკვარს ([2], გვ. 33), და რომელიც წინათ თურმე არსიანის მთად იწოდებოდა; იგი ვახუშტის ყარსის მთისათვის დაუკავშირებია ([2], გვ. 123). დაზუსტებულია ვახუშტის შეხედულება ყალნუს მთის შესახებ შემდეგ შენიშვნაში: „არსიანის მთა მდებარებს სიგრძით აჭარის მთიდამ არტანამდე, აღმოსავლეთ-სამჭრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შუა... არტანიდამ მოდრკების არსიანის მთა და წარვალს სამჭრით, მიადგების ყარსის მთას. ამ არსიანის მთას უწოდებენ არტანს—ქვაყრილს და კოლას—ყალნუ მთას. ამ მთას აქუს აღმოსავლით კოლა, არტანი, და დასავლით არტანუჯი და ფანასკეტი“ ([2], გვ. 128). ყალნუს მთაში ჰქონია სათავე ჭოროხის შენაკადს ბანა-ფანასკეტის მდინარეს ([2], გვ. 138) და იგივე ყოფილა ჩრდილოეთის საზღვარი ბასიანის თემისა ([2], გვ. 139).

ვახუშტის განმარტებას უახლოვდება უსლარისეული, რომლის თანახმადაც სტრაბონის ცნობები მოსხური მთების შესახებ გულისხმობს როგორც „აჭარის ქედს, ახალციხის მაზრას. რომ საზღვრავს ჩრდილოეთიდან“, ისევე მცირე კავკასიონსაც ([3], გვ. 307).

უსლარის გაგებისათვის შეიძლებოდა თითქოს ნაწილობრივ მხარი დაეჭირა სტრაბონის იმ ცნობას, რომელიც, სხვა წყაროთა ჩვენებებთან შეკამათებით, ამტკიცებს, რომ იბერთა ტერიტორია,

„პონტოსა და კოლხიდას ზემოთ მდებარე“, არმენიისაგან იმიჯნება ვითომც არა წინამორბედ მწერალთაგან ნაჩვენები ხაზით, „არამედ უფრო — კიროსითადა მოსხურიმთებით“ (წ. I, თ. III, § 21). რომ აქ დასახელებული მოსხური მთები, სტრაბონის გეოგრაფიული კონცეპციის თვალსაზრისით, შეუძლებელია მტკვრის სათავეებს ჩრდილოეთით წარმოვიდგინოთ, ეს კარგად ჩანს სტრაბონისავე შენიშვნიდან, რომ კიროსს, ე. ი. მტკვარს სათავე აქვს არმენიაში, მაგრამ მაშინვე იგი იბერიის დაბლობში შედისო (წ. XI, თ. III, § 2). საქმის გარკვევას ვერ შველის პლუტარქის ზოგადი ცნობა, რომ კავკასიონის გარშემო მცხოვრებ ხალხთაგან „უმთავრესნი არიან ალბანები და იბერები; იბერები მოსახლეობენ დაფენებაზე მოსხური მთებისა და პონტოსაკენ“... (პომპეოსი, XXXIV).

უფრო ხშირად შეხვდებიან მკვლევარნი პარიადრს, რომელსაც თითქმის ყველა კომენტატორი ახალი დროის პარხალს უკავშირებს. კიპერტისათვის პარიადრი პონტოს მძლავრი მთაგრეხილია, რომლის დასაწყისი, ჩანს, მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთითაა ნაგულისხმევი; იგი ვრცელდება ვიდრე კოლხიდის საზღვრებამდე და ზღვის ნაპირს გასდევს; მისი უღელტეხილით გადიოდა სავაჭრო გზა ტრაპიზონიდან ზემო-არმენიისაკენ; თვით სახელი (პარიადრი) უთუოდ მიდურ-სპარსულია, პარახოატრა-ს ვარიანტი; პარიადრის ყველაზე მაღალი ქედები იწოდება სომხურად „პარხარ“, ამჟამად — „ბარხალ“, „ბალხარ“-ო ([4], გვ. 58—60). კიპერტის აზრი მიიღო ჰიუბშმანმა, რომელიც „პარხარ“-ის ეტიმოლოგიური ანალიზითაა დაინტერესებული ([5], გვ. 66—67). კიპერტ-ჰიუბშმანის კვალში დგას ადონცი, რომლის თანახმადაც პარხარის ანუ პარიადრის მთები ძველად ეწოდებოდა გრძელ მთაგრეხილს, სატალასა და ბაიბურდს ზემოდან გადაჭიმულს, ზღვის ნაპირის პარალელურად, შებინ-ყარაჰისარის მხრიდან ვიდრე ჭოროხის შესართავამდე; მისი ერთი ნაწილი, რომელიც ჭოროხს გასდევს, ამჟამადაც ძველ სახელწოდებას — პარხალს ანუ ბოლხარს — ატარებს — ([6], გვ. 62). „პარიადრის მთიანეთი“, ამავე ავტორით, ტაიქსა (ტაო) და სპერს ეიგივება ([6], გვ. 395).

რაც შეეხება სკიდისს, ივ. ჯავახიშვილი მას „რიზეს მახლობლად ამ ქვეყნის შუაგულ მთებში“ დასდებს: ეს ლოკალიზაცია ავტორს აშენებული აქვს მახვილგონიერსა და თავისთავად

საინტერესო ეტიმოლოგიაზე, რომლის თანახმადაც სკიდისი (სკჳდისი) მეგრული „შკვიდიში“-ს ბერძნული გადაცემაა და ბერძნულისავე „ჰეპტაკომე“-სა და არაბული „კურა სებაა“-ს ადგილობრივი დედნის ფრაგმენტი ([7], გვ. 44—45).

ყველაზე სრული ცნობები ჩვენთვის საინტერესო მთების შესახებ შემოგვინახა სტრაბონმა [8], რომელიც, ყველაფრიდან ჩანს, კარგად ინფორმირებულია ამ შემთხვევაში.

სტრაბონისათვის ეს მთები იმ ერთიანი ოროგრაფიული სისტემის ნაწილებია, რომელიც სამხრეთისაკენ ანტიტავრის მეშვეობით ტავრს უკავშირდება, ჩრდილოეთისაკენ-კი იგი არმენიას აკრავს გარს: „ტავრს ჩრდილოეთისაკენ ბევრი ტოტი სცილდება,— ამბობს სახელგანთქმული გეოგრაფი,— ერთი მათგანი ეგრეთწოდებული ანტიტავრია. ასე იწოდება აქაც (ის ტოტი), რომელიც გამოჰყოფს სოფენის ოლქს ხეობაში მასსა და ტავრს შორის. ევფრატის გადაღმა მცირე არმენიაში ანტიტავრის შემდგომ ჩრდილოეთისაკენ გადაჭიმულია დიდი და მრავალტოტიანი მთა; ერთს მის ნაწილს უწოდებენ პარიადრს, მეორეს — მოსხურ მთებს, სხვას — სხვა სახელებს. ეს მთები გარს მოიცავენ მთელ არმენიას იბერებსა და ალბანეგამდე“ (წ. XI, თ. XII, § 4). ამრიგად, ეს „დიდი და მრავალტოტიანი მთა“ მცირე არმენიაში იწყება, მდ. ევფრატიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, და შემდეგ გასდევს არმენიის (ცხადია, დიდი არმენიის) საზღვრებს ვიდრე იბერიამდე და ალბანიამდე. რომ აქ სწორედ არმენიის სასაზღვრო ხაზზეა საუბარი, ეს აშკარავდება სტრაბონის იმ ადგილიდან, სადაც არმენიის საზღვრებია აღწერილი: არმენიის მიჯნას „ჩრდილოეთით შეადგენენ კასპიის ზღვას ზემოთ მდებარე პარახოათრის მთები, ალბანები, იბერები და კავკასი, რომელიც მოიცავს ამ ხალხებს და ეკვრის არმენიის (მთებს); იგი ეკვრის აგრეთვე მოსხურ მთებს და კოლხურსაც ვიდრე ეგრეთწოდებულ ტიბარანებამდე. დასავლეთით (არმენიის საზღვარს შეადგენენ) ეს ხალხები და პარიადრი (ὁ Παριάδρης) და სკიდისი (ὁ Σκυδίσης) ვიდრე მცირე არმენიამდე და ევფრატის ხეობამდე, რომელიც განყოფს არმენიას კაპადოკიისა და კომაგენესაგან“ (წ. XI, თ. XIV, § 1).

ამრიგად, პარიადრი და სკიდისი შეადგენენ არმენიის დასავლეთის სასაზღვრო ხაზს, რომელიც მცირე არმენიამდე და კაპადოკია-არმენიის საკონტაქტო რაიონამდე

უწევს; მოსხური მთების მდებარეობა ამ ციტატით ისე ნათელი არ არის.

ახალი დეტალები შემოაქვს სტრაბონს აღწერილობაში სხვა ადგილას: „კავკასი... განყოფს — სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ჩრდილოეთისაკენ-კი — სარმატთა ველებს... კავკასის ზოგი ტოტი სამხრეთისაკენ ვრცელდება, გარემოიცავს შუა იბერიას და უერთდება არმენიისა და ეგრეთწოდებულ მოსხურ მთებს, აგრეთვე სკიდისსა და პარიადრეს. ესენი ყველა ტოტებია ტავრისა, რომელიც არმენიის სამხრეთის კიდეს ჰქმნის; ისინი როგორლაც მოწყვეტილან ჩრდილოეთისაკენ და აღწევენ კავკასსა და ევქსინის სანაპიროს, რომელიც გადაჭიმულია კოლხიდიდან თემისკირამდე“ (წ. XI, თ. II, § 15). აქ აშკარაა, რომ სტრაბონის გეოგრაფიულ კონცეფციაში მოსხური მთები იბერიის გარეშეა და მის სამხრეთით: ისინი სამხრეთიდან უკავშირდებიან კავკასიონის იმ ტოტებს, რომელნიც შუა სჭრიან (ვფიქრობთ, გვაქვს უფლება ასე გავიგოთ სტრაბონის ცოტა არ იყოს რთული ფრაზა: οἱ τήν τε Ἰβηρίαν περιλαμβάνουσι μέσην) იბერიას.

დამატებითსა და მნიშვნელოვანს, ლოკალიზაციისათვის, მითითებას ვპოულობთ სტრაბონის შემდეგ ცნობაში: „ტრაპეზუნტსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ხალდაები და სანები, რომელთაც წინათ მაკრონებს ეძახდნენ, და (ძევს) მცირე არმენია. ამ ადგილების მახლობლად ცხოვრობენ აგრეთვე აპაიტები, წინანდელი კერკიტები. ამ ადგილებზე გადის სკიდისი, მეტად ციცაბო მთა, რომელიც უერთდება კოლხიდის ზემოთ მდებარე მოსხურ მთებს და რომლის თხემები ჰეპტაკომეტებს უჭირავთ, და პარიადრი, რომელიც გადაჭიმულია სიდენესა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან ვიდრე მცირე არმენიამდე და რომელიც ქმნის პონტოს აღმოსავლეთის კიდეს“ (წ. XII, თ. III, § 18).

საყურადღებო აქ ის არის, რომ აღწერილობაში ჩვენთვის საძიებელი ობიექტების მსაზღვრელებად შემოსულია ისეთი ახალი პუნქტები, რომელნიც თვითონ კარგად არიან განსაზღვრულნი. თავის XII წიგნის ამავე მესამე თავში თვით სტრაბონი დაწვრილებით აღწერს ამ ადგილებს, რომელნიც მდ. ჰალისის აღმოსავლეთით მდებარეობენ. თემისკირა ველია, რომელსაც რწყავს ორი მდინარე — თერმოდონტი და ირისი. უკანას-

კნელი გვერდს უვლის სტრაბონის სამშობლო ქალაქს ამასიასაც და შემდეგ ირთავს არმენიიდან მომდინარე ლიკს. თემისკირას ველი ორ ნაწილად იყოფა: ერთი ზღვისპირაა და დაშორებულია ქალაქს (ამისს) 60 სტადიონით, მეორე-კი ძევს იმ მთაგრეხილის ძირობაზე, რომელიც საუცხოო ტყით შემოსილი და მდინარეებითაც მორწყულია (§ 15). თემისკირას შემდეგ (აღმოსავლეთისაკენ) სიდენეს ველია, რომელსაც ეკუთვნის ზღვისპირა გამაგრებული პუნქტი სიდა, საიდანაც თვით თემმაც მიიღო თავისი სახელი. ამ ადგილებში დაიბადნენ შესანიშნავი სწავლულნი, მათ შორის ერთი სტრაბონის მასწავლებელიც (§ 16). სიდენეს შემდეგ (აღმოსავლეთისკენ) არის გამაგრებული ქალაქი ფარნაკია, ამ უკანასკნელის შემდეგ-კი — ქალ. ტრაპეზუნტი (§ 17.— სტრაბონის ცნობებს შემოკლებით გადმოვცემთ). სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია და მეტწილად სრულიად უდაოცაა: ფარნაკია არის ეხლანდელი თურქული გირესუნი, ქალ. სიდა, რომელიც ავგუსტის დროს წოდებულ იქნა პოლემონიად — ეხლანდელი ბულემანი, ამისი უდრის სამსუნს, მდ. ჰალისი — ყიზილირმაკს, მდ. ლიკი — თანამედროვე კელკიტ-ჩაის ანუ გერმილი-ჩაის, მდ. ირისი — იეშილ-ირმაკს, მდ. თერმოდონტი — ტერმე-ჩაის. თერმოდონტის სახელი შენახულა აგრეთვე თანამედროვე ტერმე-ში (იხ. თუნდაც [4], გვ. 54—60).

ეხლა ეკვი აღარ გვრჩება საძიებელი მთების ადგილმდებარეობის შესახებ. ეს აღმოსავლეთ პონტოს მთაგრეხილის სხვადასხვა ნაწილია: სკიდისი ის მთებია, რომლებიც გირესუნ-კერასუნტისა და ტრაბზონ-ტრაპეზუნტის ხაზზე გასდევს შავი ზღვის სანაპიროს, მოსხური მთები სკიდისის გაგრძელებაა აღმოსავლეთისაკენ, გადაჭიმული ტრაპეზუნტ-ბაიბურდის ხაზიდან ვიდრე ჭოროხის ქვემო წელამდე, პარიადრი კიდევ — ყველაზე დასავლეთით მდებარე ნაწილი, რომელიც, სტრაბონის წარმოდგენით, იწყება ფატისა — ტერმეს რაიონიდან და გასდევს დასავლეთისაკენ.

იმავე XII წიგნის III თავში სტრაბონი საჭიროდ სცნობს კიდევ შეეხოს პარიადრის თვისებებსა და ადგილმდებარეობას. ეს მთიანეთი მრავალი მოხერხებული თვისების მქონეა: მდიდარია

წყლით და ტყით და მრავალგან დასერილი დაქანებული ხევებითა და ციცაბო ადგილებით; ამიტომ იყო, რომ მითრიდატ ევპატორრმა აქ ააშენა თავისი საჭურჭლეების უმეტესობა და აქვე, პონტოს სამეფოს ამ განაპირაში, გაიხიზნა, პომპეუსის შემოსევისას, და ერთ ხანს გამაგრდა წყალმრავალ მთაზე ა კ ი ლ ი ს ე ნ ე შ ი დ ა ს ტ ე ი რ ა ს თ ა ნ, სადაც ახლო იყო აგრეთვე ე ვ ფ რ ა ტ ი. ამ ადგილის მახლობლად მცირე არმენიაში პომპეუსმა დააარსა ქალაქი ნ ი კ ო პ ო ლ ი (§ 28). ს ი დ ე ნ ე ს ა და თ ე მ ი ს კ ი რ ა ს ზ ე-მოთ მდებარეობს ფ ა ნ ა რ ო ი ა, რომლის აღმოსავლეთ მხარეს მის გასწვრივ ჩამოდის პ ა რ ი ა დ რ ი ს მ თ ა გ რ ე ხ ი ლ ი. ეს არის ხეობა, თვალსაჩინო სიგრძისა და სიგანისა. მასზე მიედინებიან ლ ი კ ი და ი რ ი ს ი, რომელნიც ერთდებიან თითქმის ხეობის შუაგულში. ამ ხერთვისთან მდებარეობს ქალაქი ე ვ პ ა ტ ო რ ი ა, რომელიც პომპეუსმა გაადიდა და დაარქვა მას მ ა გ ნ ო პ ო ლ ი. პ ა რ ი ა დ რ ი ს კ ა ლ თ ა ზ ე მდებარეობს კ ა ბ ე ი რ ა, რომელიც ასორმოცდაათამდე სტადიონით შორავს მაგნოპოლს ს ა მ ხ რ ე თ ი ს ა კ ე ნ, იმავე მანძილით, რა მანძილითაც მაგნოპოლისაგან დ ა ს ა ვ ლ ე თ ი თ დაშორებულია ა მ ა ს ი ა. კ ა ბ ე ი რ ა შ ი იყო მ ი თ რ ი დ ა ტ ი ს სამეფო სასახლე. ეს პუნქტი პომპეუსმა ქალაქად აქცია და დაარქვა მას დ ი ო ს პ ო ლ ი. კაბეირიდან 200 სტადიონზე ნაკლები მანძილის სიშორეზე არის ე. წ. „ა ხ ა ლ ი ა დ გ ი ლ ი“, ციცაბო, თვით ბუნებით გამაგრებული კლდე, რომლის მწვერვალზე ძლიერი წყარო სცემს, ძირობაზე-კი მდინარე და ღრმა ხევია. ამ მიუდგომელს, ზღუდეებითაც შესანიშნავად შეკრულ სიმაგრეში ინახავდა მითრიდატი თავისს ყველაზე უფრო ძვირფას განძებს (§§ 29—30). ფანაროიას ზემოთ ძევს აგრეთვე ქალაქი პ ო ნ ტ ო ს კ ო მ ა ნ ა, მნიშვნელოვანი სავაჭრო და რელიგიური ცენტრი, სადაც სტრაბონის ახლო ნათესავები მთავარი ქურუმის თანამდებობას ასრულებდნენ (§§ 32 — 38). ფანაროიას მეზობლად არის აგრეთვე ქალ. ზ ე ლ ა და მისი თემი (§ 37).

ეს ადგილებიც კარგად ისაზღვრება. ნ ი კ ო პ ო ლ ი მოდის ფ ი უ რ ქ თ ა ნ, ეხლანდელი ე ნ დ ე რ ე ს ი ს სამხრეთ-აღმოსავლეთით ([9], გვ. 60 და [6], 75). ფ ა ნ ა რ ო ი ა ს თემი თვალსაჩინოდაა მოხაზული თვით სტრაბონის მიერ: ეს კელკიტ-გერმილისა და იეშილ-ირმაკის ხეობაა, რომლის შუაგული მოდის ამ მდინარეების ხერთვისთან, სადაც მდებარეობს ქალ. მ ა გ ნ ო პ ო ლ ი ც. ქალ. ა მ ა ს ი ა დღესაც ამ სახელს ატარებს, ხოლო ქალ. ზ ე ლ ა

თანამედროვე ზ ი ლ ე-ა ([4], გვ. 58). პონტოს კომანა ეხლანდელი გ ი უ მ ე ნ ე ქ ი ა, ტ ო კ ა ტ ი ს მახლობლად ([6], გვ. 70 და [10], გვ. 241). ყოველივე ეს საბოლოოდ არკვევს პარიადრსაც. მართლაც-და, სტრაბონით პარიადრი ფანაროიას აღმოსავლეთით (უფრო ზუსტად: სამხრეთ-აღმოსავლეთით!) მდებარე მთაგრეხილია. მის კალთაზეა კაბეირა, რომლის მანძილებს (როგორც დამოუკიდებლად ნაჩვენებს, ისე ამასიის მანძილთან შეფარდებულს), მაგნოპოლიდან სამხრეთისაკენ, მივყავართ ტოკატის სამხრეთით, ჩ ა მ ლ ი-ბ ე ლ-დ ა ღ ი ს ჩრდილო კალთებისაკენ. ამრიგად, პ ა რ ი ა დ რ ი ის ქ ე დ ე ბ ი ა, რომელნიც განჰყოფენ კელკიტისა და ყიზილ-ირმაკის აუზებს ერთმანეთისაგან და ამჟამად სხვადასხვა სახელს ატარებენ სხვადასხვა ნაწილში: ა ყ-დ ა ღ ი, ჩ ა მ ლ ი-ბ ე ლ-დ ა ღ ი, ი უ ლ დ უ ს-დ ა ღ ი, ტ ე კ ე ლ უ-დ ა ღ ი, კ ა-პ ა ხ-დ ა ღ ი. აქ მართლაც ბევრი დიდი და მცირე მდინარე იღებს თავის სათავეს.

აქეთკენ მივყავართ სტრაბონის იმ ცნობასაც, რომ პარიადრი ჩადიოდა მცირე არმენიამდე. მცირე არმენიის ტერიტორია რომაული ხანისათვის განსაზღვრულია ს ე ვ ა ს ტ ი ი ს ა, ნ ი კ ო-პ ო ლ ი ს ა, ს ა ტ ა ლ ა ს ა და მ ე ლ ი ტ ე ნ ე ს სანაპირო პუნქტებით ([6], გვ. 75). პარიადრის მხარეზე აქ სევასტია და ნიკოპოლი მოდის, დღევანდელი ს ი ვ ა ს ი ს ა და ე ნ დ ე რ ე ს ი ს რაიონები, რაც მთლიანად მხარს უჭერს ჩვენს ლოკალიზაციას.

მასვე ეთანხმება ძველთა ანტიტავრის შეფარდება იმ მთებთან, რომელნიც განჰყოფენ ყიზილ-ირმაკის აუზის ზემო ნაწილს ევფრატის ხეობისაგან და რომელნიც თავის დასაწყისში (ჩრდილოეთით) ყ ა რ ა ბ ე ლ-დ ა ღ ი ს სახელს ატარებენ ([11], გვ. 403). ეს მთები მართლაც ახლოს ადგებიან ჩვენ მიერ პარიადრად მიჩნეულ მთებს.

ჩრდილოეთისაკენ კიდევ მოსხური, ე. ი. ჭანეთის მთები კარჩხალის, არსიანის, ღადო-ფერსათისა და ლიხის მთებით უკავშირდება კავკასიონის მთავარ ქედს. იმ დროისათვის გასაგები უზუსტობით, მაგრამ არც თუ სრულიად უსაფუძვლოდ შეეძლო სტრაბონს ეთქვა, რომ ეს საკავშირო მთები (არსიანი — ლიხი...) შუა ჰკვეთენ იბერიასო.

სტრაბონის ასეთი ყურადღება კერძოდ პარიადრისადმი, ასეთი უხვი და ღრმად შინაარსიანი ცნობები მის შესახებ ადვილად ასახსნელია: ე ს ხ ო მ ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს, მ ი ს ი ნ ა თ ე-ს ა ო ბ ი ს ა და მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი ს მ შ ო ბ ლ ი უ რ ი

მხარეების მთებია, სკიდისთან ერთად. ამავე გარემოებაში მოცემულია სტრაბონის ამ ცნობების ღირებულებაც: მათ პირველხარისხოვანი, გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს წერილში აღძრული საკითხისათვის.

სტრაბონის მოწმობასთან შედარებით სხვა წყაროების ჩვენებანი ბევრად უფრო მცირემნიშვნელოვანი ჩანს, მაგრამ მაინც მოვიხსენიებთ, რომ სხვა ცნობებიც არ ეწინააღმდეგება სტრაბონისეულს. პტოლემე, კერძოდ, გვამცნობს, რომ არმენიას საზღვრავს „დასავლეთიდან კაპადოკია ევფრატის ზემოთნაჩვენები ნაწილის გასწვრივ და კაპადოკიური პონტოს ხაზზე კოლხიდამდე მოსხური მთებით“ (წ. V, თ. XII, § 2). „არმენიის მთებიდან შესანიშნავია ეგრეთწოდებული მოსხური, რომელიც გადაჭიმულია კაპადოკიური პონტოს ზემოთმდებარე ნაწილის გასწვრივ, და მთა პარიადრი“ (წ. V, თ. XII, § 5).

ზემოთქმულის შემდეგ ცხადი ხდება, თუ რამდენად დაშორებულია სინამდვილეს პარიადრის გაიგივება ბალხარის მთებთან, რომლებსაც ძველი რუსული შტაბის რუკები უჩვენებენ მდინარე პარხალის სათავეებთან, ქალ. ათინას სამხრეთით. თვით სახელების „პარიადრი“ და „პარხალი“ იგივეობა არც დამტკიცებულია და არც დასაჯერებელი.

უცილობელი ხდება ისიც, თუ სად უნდა ვეძიოთ პარიადრის მთიანი თემი, რომელიც იბერებმა დაკარგეს II საუკუნის დამდეგს, ძვ. წ.

ПАРИАДР, СКИДИС, МОСХИЙСКИЕ ГОРЫ

Резюме

Отвергая принятые в научной литературе вопроса отожествления: Париадр = Пархал || Балхар, Скидис = Ризейские горы, Мосхийские горы = отдельные западные краевые хребты Малого Кавказа (различно у разных авторов), статья устанавливает, путем анализа сообщений античных авторов и, преимущественно, Страбона (кн. XII, гл. III; кн. XI, гл, II, § 15; кн. XI, гл. XIV, § 1; кн. XI, гл. XII, § 4 и др.):

1. Париадр, Скидис, Мосхийские горы являются частями одного и того же хребта — Восточно-Понтийского.

2. Мосхийские горы — часть, тянущаяся с нижнего течения Чорохи до района Трабзон (Трапезунд) — Байбурд, Скидис — часть, тянущаяся над Трабзоном и Гиресуном (Керасунт, древняя Фарнакия), Париадр — продолжение Скидиса с направлением на юго-запад, водораздельный хребет Келькит-чая и Кизил-ирмака (Ак-даг, Чамли-бель-даг, Юлдус-даг, Текелу-даг).

3. Сообщения Страбона по вопросу имеют решающее значение ввиду его полной осведомленности, основанной частично на собственных наблюдениях (Париадр и Скидис — горы родных краев Страбона, его семьи и учителей).

დამოწმებული ლიტერატურა

1. Description géographique de la Géorgie, par le tsarévitch Wakhoucht, publiée d'après l'original autographe, par M. Brosset. S.-P., 1842.
2. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941.
3. П. К. Услар. Древнейшие сказания о Кавказе. Тифлис, 1881.
4. H. Kiepert. Manuel de géographie ancienne, traduit par Ernault. P., 1887.
5. H. Hübschmann. Armenische Grammatik. I. Theil. Armenische Etymologie. Leipzig, 1897 (Bibliothek indogermanischer Grammatiken B. VI).
6. Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. XI). СПБ., 1908.
7. ივ. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია, წ. I და II, ტფ., 1913.
8. Strabonis Geographica, recognovit A. Meineke, Lipsiae, 1915. — Известия древних писателей, греческих и латинских, о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В. В. Латышев, т. I. СПБ., 1890. — География Страбона..., перевод... Ф. Г. Мищенка. Москва, 1879.
9. J. Markwart. Die Genealogie der Bagratiden und das Zeitalter des Mar Abas und Ps. Moses Xorenac'i: Caucasica, Fasc. 6, 2. Teil. Leipzig, 1930.
10. Th. Reinach. Mithridate Eupator, roi de Pont. P., 1890.
11. Э. Реклю. Земля и люди. Всеобщая география. IX. СПБ., 1887.

ფ ა ს ი დ ი[1]

გეოგრაფიული სახელწოდება ფასიდი ძველი საქართველოს ტოპონიმიკის ერთი განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტთაგანია. საყურადღებოა იგი როგორც თავისი აღნაგობისა და წარმოშობის მხრივ, ისე გავრცელების მხრივაც. ამ წერილში ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ მხარეს შევეხებით.

ცნობილია რომ სახელწოდება ფასიდი ძველ დროში ჩვეულებრივად და უპირატესად მიეკუთვნებოდა ქალაქ ფოთსა და იმ მდინარეს, რომლის შესართავთანაც იყო გაშენებული ეს ქალაქი. მაგრამ, გარდა ამისა, უცხოელი ძველი მწერლები ფასიდის სახელით მოიხსენებენ ზოგჯერ მდ. ჭოროხსა და მდ. არაქსსაც, თუმცა ამ მდინარეების სხვა სახელებსაც იცნობენ.

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ჭოროხის მრავალსახელიანობა.

უწინარეს ყოვლისა, ჭოროხი ანტიკურ მწერლობაში ცნობილია აფსარის სახელით. ჭოროხს გულისხმობს, უთუოდ, სკილაკ კარიანდელის „აფსარის-წყალი" (Ἄψαρος ποταμός) (1). პტოლემეს რუკებზე „აფსორრე",— რაც იგივეა, რათქმაუნდა,— მიკუთვნებულია ჭოროხისათვის (2). მაგრამ პლინიუსი უკვე ასხვავებს ერთმანეთში მდინარეებს აბსარსა და აკამფსეონს (3).

აფსარის განვითარებაა უფრო გვიანდელი „ფსარ-ე", რომელიც ლიტერატურული გზით ქართულშიაც არის შემოსული. ბასილ კეისრის თთვენში, რომლის რედაქცია X ს. დასასრულს ან XI-ის დასაწყისს ეკუთვნის და რომელიც ფსევდო-დოროთესა და ეპიფანე კვიპრელის კატალოგებზე უნდა იყოს დამოკიდებული, ანდრია მოციქულის შესახებ ნათქვამია: „შემდეგ წავიდა დიდ სებასტოპოლში, სადაც ერთვიან [ზღვას] მდინარეები ფსარე ὁ Ψάρος და ფასიდი. ამ ფასიდის გამოღმა ცხოვრობენ ეთიოპები" (4). გ. ათონელის რედაქციის ქართულ სვინაქსარში, რომელიც ანალოგიურ წყაროზეეა დამყარებული, თუ აქ მოტანილის თარგმანი არ არის, ვკითხულობთ: „მერმე წარვიდა. სევასტოპოლის

[1] ამოღებულია ავტორის ნაშრომიდან: „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან".

ქ"ლქსა მას დიდსა. სადა იგი შესდი"ნ. ორნი მდინარ"ნი. რ"ლთა ეწოდ"ბის. ფასოს და ფსაროს. შ"აგ"ნ ეთიოპისა მკჳდრთა" (5).

აფსარის გარდა ჭოროხი აკამფსისის ("Ακαμψις) სახელსაც ატარებს. ასე, მაგ., არრიანე თავის ცნობილ პერიპლში და მისი ანონიმი გამგრძელებელი უთუოდ ჭოროხს მიაკუთვნებენ ამ სახელს, აღნიშნავენ რა რომ აკამფსისი სანაოსნო მდინარეა (6). ჭოროხზე ნავიგაციას ჩვენს დროშიც შესამჩნევი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ქართულ მწერლობაში აკამფსისი ძველი დროიდანვე ჭოროხის სახელითაა ცნობილი, და ქართულიდან ეს ტერმინი შემდეგში სხვა ენებშიც ვრცელდება. ჯორუხ-ჯურუხ'ს უწოდებს მას, მაგ.' მე-17 ს-ის თურქი მოგზაური ევლია-ეფენდი (7), და ეს სახელი შემდეგში ბატონდება კიდევაც. მაგრამ გარდა ამისა იგი არა ერთს სხვა სახელწოდებასაც ატარებდა. კერძოდ, 'ფასიდ'-ის სახელიც, როგორც უკვე ვამბობდით, ზოგჯერ ჭოროხსაც გულისხმობს.

საფიქრებელია, ჭოროხის ზემო ნაწილზეა საუბარი, როცა ქსენოფონტე ფასიდს იხსენიებს (8). ორი ფასიდის არსებობით აიხსნება ცნობილი შეცდომა სტრაბონის წყაროს ჩვენებაში ფასიდის (ეგრისის ფასიდის) სათავის სომხეთში მდებარეობის შესახებ (9) (თუ მივიღებთ რომ ჭოროხისათვის სათავის ასეთ ლოკალიზაციას ერთგვარი საფუძველი შეიძლება მაინც ჰქონდეს),— ეს ცხადია, გეოგრაფიული კონტამინაციაა, რომელიც ყველაზე მკაფიოდ გამოხატა აპოლონი როდოსელმა, დაგვიტოვა რა ამასთან ერთად კიდევ ერთი, ყველაზე საცილობელი, სახელი ჭოროხისა (—ლჳკე): გველეშაპის ხმა ესმოდათ „კოლხეთის ქვეყანაში ლჳკეს შესართავთან, რომელიც, რაკი დაშორდება მყვირალა არაქსის წყალს, უერთებს თავის წმინდა ზვირთებს ფასიდს, და შემდეგ ისინი, უკვე გაერთებულნი, შესდიან კავკასიის ზღვას" (10). პროკოპი კესარიელი-კი პირდაპირ ამტკიცებს, რომ ეს მდინარე სხვადასხვა სახელს ატარებს თავის მიმდინარეობის ზემო და ქვემო ნაწილში, ქვემოთ იგი ფასიდის სახელს ითვისებსო (11). სხვაგან იგივე ისტორიკოსი ამბობს, რომ ზღვასთან ამ მდინარეს ა კ ა მ ფ ს ი ს ს (ე. ი. უდრეკს, მედგარს) ეძახიან ადგილობრივი მცხოვრებნი, მისი დენის სიფიცხისა და სიძლიერისათვისო (12).

ძველს ქართველ მთარგმნელებს ბერძნულ დედნის 'ფასიდი' ჭოროხად აქვთ გადმოცემული, თუ ფასიდი დედნის ავტორს სამხრეთ საქართველოსთან აქვს დაკავშირებული. ასე მოქცეულა ექვთიმე ათონელი, რომელსაც უთარგმნია ერთერთი რედაქციათა-

განი ანდრიას მიმოსვლათა (13). ასევეა ამ ძეგლის თუ სათანადო გარდმოცემის ყველა სხვა ქართულ ვერსიაში (14).

კიდევ ერთს საინტერესო სახელწოდებას ატარებდა ეს მრავალსახელიანი მდინარე. იუსტინიანეს ისტორიკოსი, ზემოთდასახელებულ ადგილებში, თუ ჭოროხის ქვემო ნაწილს ხან ფასიდს ეძახის, ხან კიდევ აკამფსისს, ზემო ნაწილსა და სათავეს გარკვევით და უცვლელად ბოას-ს უწოდებს: ამ მდინარეს სათავე აქვს სომხეთში, ჭანეთის საზღვრების მახლობლად, აქ მას ბოას-ი ჰქვიან, იბერიის საზღვრებთან იგი დიდდება, ბოასის სახელს ფასიდზე იცვლის და სანაოსნო ხდებაო. მეორე ცნობაში, რომელიც აღწერილობის არსების მხრით იგივეა, მდ. ბოასი ზღვასთან უკვე აკამფსისად იწოდება (15).

ეს ბოასი ადგილობრივი წარმოშობის სახელი ჩანს: სომხურ მწერლობაში, სადაც 'აკამფსის' უცნობი არ არის (მაგ., ღევონდი იხსენიებს *գետն Ակամսիս,*— ვარ. *Ակամփսիս, - ... ի կողմանս Տայոց բղխեալ... անցանելով ընդ Եղեր* (16), ბოასი ისეთი ფორმით არის მოცემული, რომ მისი ბერძნულიდან ლიტერატურულ გზით წარმომავლობა გამორიცხულია: სომხ. ანონიმურ გეოგრაფიაში იგი ვ ო ჰ ან ჲ ო ჰ 'ა დ არის წოდებული (*Ակամսիս որ է Յոհ, Ակամսիս որ է Վոհ*) (17). განსაკუთრებით საინტერესოა ამ გეოგრაფიის ერთი ადგილი, სადაც კვლავ დადასტურებულია ეს ტოპონიმიკური შესატყვისობანი და, გარდა ამისა, მოცემულია ჭოროხის უკვე მეხუთე თუ მეექვსე სახელი კ ა კ ა მ ა რ - ი. იქ, სახელდობრ, ნათქვამია, რომ მდინარე ჲოჰი მიედინება პარხალის მთასთან, გამოსული სპერიდან, ჩაუვლის თუხარისის ციხეს და დის კლარჯეთში, მიემართება რა ეგრისისა და პონტოს ზღვისაკენ, ნიგალისა, მრულისა და მრიტის სანახებთა გზით; მ ა ს ე გ რ ი- ს ე ლ ნ ი ა კ ა მ ს ი ს ს უ წ ო დ ე ბ ე ნ, ხ ა ლ დ ე ბ ი კ ი—კ ა კ ა- მ ა რ ს ო (... *Բուլիսա և Ապորտաքիսը, իւրևանց գետակօք, որք յիւսար անկեալ իջանեն 'ի Յոհ, որոց ըստ մասից Արսեայս-փոր առ Պառխար լերամբն, ընդ որ իջանեն Յոհ, գալով 'ի Սպերայ, անցանեն առ Թուխարս բերդով 'ի Կլարձս, և անտի յԵգրս, ընդ Նիգալ ընդ Մրուզ և ընդ Մրիտ գաւառաւ՝ 'ի Պոնտոս ծով, զոր Եգերացիք կոչեն Ակամսիս և Խաղտիք Կակամար* (18). ამ რედაქციის ავტორს სხვაგან განმარტებული აქვს, რომ ხალდები ჭანები არიან (*...'ի Ճանիւս որ են Խաղտիք* (19). მოსე ხორენელის განმარტებითაც პონტოელი ჭანები ხალდები არიან (20). ამრიგად, ამ საყურადღებო ჩვენების ავტორის აზრით, ჭოროხს

ეგრისულად (ეგრისის მცხოვრებთა პირში) აკამსის (აკამფსის) ერქვა, ჭანები მას კაკამარს ეძახდნენ, ჯოჰი-კი (ანუ ვოჰი) თითქოს სომხური სახელწოდება გამოდის. ამ უკანასკნელს შესაძლოა ემოწმებოდეს ის გარემოებაც, რომ პტოლემეს, მოცემულ ტრაქტატის პირველ წყაროს, მსგავსი სახელწოდება თითქოს მოეპოვება, მაგრამ განსხვავებული ფორმით: „ვოხები" („სომხეთის ოლქები... : მოსხურ მთებთან — კოტარძენე, ეგრეთ წოდებული ვოხების — Βόχας — ზემოთ". V, თ. XII, § 9). ვოჰ-იოჰ ადგილობრივი ფორმის იერს ატარებს.

დასასრულ, იმიტომ რომ ჭოროხის ზემოთა მიმდინარეობის დიდი ნაწილი სპერის თემზე მოდის (სომხ. ანონიმს, როგორც ვნახეთ, იოჰი სპერიდან მომდინარედ ეჩვენება), იგი სპერის მდინარედაც იწოდება: „თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა რომელსა ჰქჯან ჭოროხი", ამბობს ლ. მროველი (21). ვახუშტიც მას ხან ჭოროხს, ხან სპერის, resp. ისპირის, მდინარეს უწოდებს (22).

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ძველ მწერლობაში ფასიდისავე სახელით გვევლინება ზოგჯერ რახსი ანუ არაქსიც! კონსტ. პორფიროგენეტი მას ერაქსს ანუ ფასიდს ეძახის (23). ამავე ეტიმოლოგიისაა ბასიანი, ქართ.-სომხ. გამოთქმით, ანუ ფასიანა (24). კ. პორფიროგენეტის ცნობით, ქართულ-ბიზანტიურ სატერიტორიო დავის გადაწყვეტისას ფასიანას საზღვრად ერაქსი ანუ ფასიდი იქნა მიჩნეული (25).

ფასიდ-რიონის შესატყვისობაზე ზედმეტია სიტყვის გაგრძელება; მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ფასიდი, ძველთა გაგებით, დღევანდელ რიონს მთლიანად არ ჰფარავს. გეგუთს ზემოთ ფასიდად ძველი მწერლები უკვე ყვირილას სთვლიან. სარაპანის — შორაპანი ფასიდზე ძევს. მაგრამ არც თვით ყვირილა უპასუხებს ყოველთვის და სავსებით ზოგი კლასიკური მწერლის წარმოდგენას ფასიდის სადინარის შესახებ. ზოგი ანტიკური ავტორი, ჩანს, შორაპანს ზემოთ ფასიდად უკვე ჩხერიმელას გულისხმობდა თავის სამხრეთული სათავით (ბჟოლის ხევი თუ შავი-წყალი). თუ შეცდომად მივიჩნიეთ სტრაბონის, — უკეთ ვთქვათ, ერატოსთენეს, რომელზედაც ამ შემთხვევაში დამოკიდებული უნდა იყოს სტრაბონი (26), — ცნობა, რომ ფასიდს სათავე აქვს, სტრაბონის ტექსტით—სომხეთში, ხოლო სქოლიასტის ტექსტითა და დიონისი პერიეგეტის ცნობით — სომხეთის მთებში, და ამ შეცდომის მიზეზზედაც მივუთითეთ (27), და თუ ბუნდოვანია სტრაბონის ცნობა ამ მდინარის სათავის შესახებ სხვა ადგილასაც, სადაც სა-

ერთოდ ფასიდის შესახებ გეოგრაფს უფრო ნიშანდობლივი საუბარი აქვს [:ფასიდი სარაპანის მახლობლად მდებარე ხეობით კოლხეთისკენ მიექანება, იღებს რა სათავეს ზემოთმდებარე (სახელდობრ?) მთებიდან (28)], სამაგიეროდ, სავსებით კატეგორიულია პლინიუსის ჩვენება (მას იმეორებს, ჩანს, იულიუს სოლინი), რომ ფასიდს სათავე მ ო ს ხ ე ბ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი (სოლინი: მოსხების მთებში) აქვს (29). მოსხების ქვეყნად სამცხე და მიმდგომი მხარე უნდა იყოს მიჩნეული. საინტერესოა, რომ მოსკოვის ელჩები, რომელნიც იმერეთში იყვნენ 1650 — 1652 წწ. და რომელთაც დასავლეთი საქართველოს დაწვრილებითი აღწერილობა აქვთ შედგენილი, ყვირილას სათავეს იმერეთის სამხრეთით გულისხმობენ: „Под гурелскими горами течет река Курла (=ყვირილა). А течет из гурельские земли промеж гор, и вышла из гор в Олександрову (=იმერეთის მეფე ალექსანდრეს) землю, и впала в Реонь реку, от Кутатиса ве[р]ст с шесть или с сем“ (30). ‘გურ(ი)ელის’ მთები ღადო-ახალციხის ქედია, აჭარა-გურიის მთების გაგრძელება’ ხოლო ‘გურ(ი)ელის ქვეყანა’ — სამცხე, როგორც ეს სხვა შემთხვევებშიც დასტურდება.

თვით სახელწოდება ‘რიონი’, დღევანდელი რიონის ზემოთა დენისათვის მიკუთვნებით, ძველთათვის აგრეთვე არ ყოფილა უცნობი. ეს უნდა იყოს, კერძოდ, სკილაკე კარიანდელის (IV ს. ჩვენ ერამდე) მდინარე ‘რის’ (Ῥὶς), რომელიც მას ფასიდთან ერთად აქვს მოხსენებული, რიონის ხეობის ზემო რაიონში გულვებით (31). იგივეა საგულისხმებელი პლინიუსის როანის (Rhoan) ქვეშ (32). პროკოპი კესარიელი კიდევ მას საბოლოოდ ჰფენს სინათლეს: იუსტინიანეს ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ იბერიის მხრიდან სამეგრელოსაკენ მიმავალი მერმეროე ჯერ ფასიდში გავიდა, შემდეგ რეონში და ამრიგად ფასიდის მარჯვენა მხარეს მოექცა (33), ეს მდინარე-კი, სახელით რეონი (Ρέων), დის მუხირესის (Μουχείρης) ქვეყანაში, არქეოპოლისიდან ერთი დღის სავალზე რომ არის დაშორებული. აქ ძველთაგანვე კოლხებს ციხე დაუარსებიათ, რომელსაც ამჟამად ლაზები ქუთათიშ (‖ ქუთათის)-ს ეძახიან (34). ძველ ქართულ მწერლობაში ამ ფასიდისათვის „რიონი“-ა ხოლმე ჩვეულებრივად შეფარდებული: „მდინარესა მას ფასონსა რომელ არს ენითა ქართულითა რიონი“-ო, განმარტავს დავით და კონსტანტინე არგველთა მარტიროლოგი (35). საინტერესოა უძველეს რუსულ ცნობებში დაცული ფორმები ამ სახელისა: ე ლ ჩ ი ნ ი მას **река Реянь**‘ს ეძახის (36), ი ე ვ ლ ე ვ ი-კი დაჟინებით — **Реонь**‘ს (37).

ბერძნული სახელი ძველ ქართულ ძეგლებში გეხვდება დამოუკიდებლადაც, მაგრამ ის მწიგნობრული გზით შეთვისებული ჩანს (იხ. მაგ., ზემოთ, გვ. 272, 'ფასოს', გ. ათონელის სვინაქსარში). ასეთივე მწიგნობრული წარმოშობისა ჩანს იგი სომხურშიც — *Փասխ վան* (38).

ფასიდ-რიონი ძველთაგანვე სანაოსნო მდინარედ ითვლებოდა. მაგრამ წყაროები სხვადასხვანაირად უჩვენებენ ფასიდის ნაოსნობის მანძილს. არრიანეს განმგრძობისა და შემავსებელის ანონიმის ცნობით, მდინარე სანაოსნოა მხოლოდ 100 სტადიონის (—18,5 ვ.) მანძილზე (§ 45). ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ეს ცნობა არ ეთანხმება სხვა, უფრო ძველ, ჩვენებებს. სტრაბონი, ან უკეთ რომ ვთქვათ, მისი წყარო, ამტკიცებს, რომ ფასიდი სანაოსნო იყო სარაპანის — შორაპნამდე (39). უფრო დაწვრილებით ამ საგანზე პლინიუსი გვიამბობს: ყველაზე განთქმული პონტოს მდინარეთა შორის — ფასიდი უდიდეს ხომალდებისათვის სანაოსნოა 38.500 ნაბიჯის (=53,5 ვერსს) მანძილზე და შემდეგ დიდ სივრცეზე — მომცროთათვის (40). პირდაპირი ხაზით ამ მანძილს დაახლოებით ორპირამდე მივყავართ, ნამდვილად-კი საძიებელი პუნქტი შესაძლოა სუჯუნის რაიონში დაიდვას. XVII ს. პირველ ნახევარში, იმავ რუს ელჩთა მოწმობით, ნიჩბიან ნავებით რიონზე ზღვიდან ყვირილას შესართავამდე დადიოდნენ (41) და ამ წყლის გზას ორი დღე სჭიროდა (42). ვახუშტით, რიონზე „ვლენან ნავებითა ზღვიდამ ბაჟამდე" (43). როგორც საერთო აღწერილობიდან და რუკიდანაც ჩანს, 'ბაჟი' უდრის დღევანდელ ბაშს. ასე რომ აქაც თითქმის იგივე სანავიგაციო მანძილია ნაჩვენები (44).

ტერმინმა 'ფასიდ'-მა იტალიელების მეშვეობით ახალ დროამდე მოაღწია. ევლია-ეფენდი ამ მდინარეს 'ფაშ-ჩაი'ს უწოდებს (45).

მდინარესთან ერთად ეს უძველესი სახელწოდება შეინარჩუნა ქალაქმაც, იმთავითვე მდინარის შესართავთან მდებარემ. არრიანეს დროს აქაურ სიმაგრეში 400 რჩეული მეომარი მდგარა. მისი დანიშნულება, — ამას ავტორი მკაფიოდ აღნიშნავს,— წყლით მავალთა, ე. ი. ნავიგაციის, დაცვა ყოფილა. ეს სიმაგრე უკვე თავის ადგილმდებარეობისა და ბუნებრივ პირობების მხრით უნდა ჩათვლილიყო მეტად ძლიერად. მაგრამ, გარდა ამისა, ის ხელოვნურადაც კარგად ყოფილა გამაგრებული. წინათ მას კედელი მიწისა და კოშკები (ბურჯები) ხისა ჰქონია, შემდეგ ერთიცა და მეორეც გამომწვარ აგურისგან აუგიათ მკვიდრ საძირკველზე და

ზედ საომარი მანქანები დაუდგამთ. გარშემო ორმაგი ფართო თხრილი ყოფილა შემოვლებული. ერთი სიტყვით, ციხე ეხლა ისეა გამართული, ამბობს არრიანე, რომ მის მეციხოვნეთ არამც თუ გარემოცვის შიში არ ელისთ, არამედ ვერც ერთი ბარბაროსი ახლოც ვერ გაივლისო. მაგრამ, რადგანაც თვით ნავთსადგურიც საიმედო თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდებისათვის და ამას გარდა დაცვა სჭიროდა სიმაგრის გარეთ მდებარე ადგილებსაც, რომლებიც დასახლებული ყოფილა სამსახურიდან გამოსულ სამხედრო პირებითა და მოვაჭრე ხალხით, არრიანეს გადაუწყვეტია ციხის კედლის ორმაგ თხრილიდან ახალი თხრილიც გაეყვანა თვით მდინარემდე. იგი ნავთსადგურსა და კედლის გარეთ მდგომ სახლებს შემოუვლისო (46). როგორც ამ აღწერილობიდან ჩანს, სიმაგრე ზღვისპირსა და მდინარეს რამდენიმედ დაშორებული ყოფილა. პტოლემეს ცნობითაც, რომელსაც ზუსტი მნიშვნელობა, რათქმაუნდა, არა აქვს, მის საერთო ტლანქ შეცდომების გამო მანძილთა გამოანგარიშებაში,— ქალაქი მდინარის შესართავს დაშორებული ყოფილა ორმოცდახუთი მინუტით (47). შემდეგ, ყურადღებას იქცევს არრიანეს ცნობა, რომ მდინარეში შემსვლელთათვის ხელმარცხნივ აღმართული იყო ფასიანურ ღვთაების ქანდაკება, რომელიც მას 'რეა' სჩვენებია (48). ანონიმი-კი პირდაპირ ამბობს, რომ ქალაქი ფასიდის მარცხენა ნაპირას იყო გაშენებული (49), რაც ეთანხმება სტრაბონის ჩვენებას, რომ კოლხების ემპორიუმი ფასიდი იმავე სახელის მდინარეზე იდო და შემოფარგლული იყო ერთი მხრით მდინარით, მეორეთი — ტბით (=პალიასტომი) და მესამეთი — ზღვით (50). ქალაქი მილეთელების კოლონიად ითვლებოდა; ზოგნი მის დამაარსებელს თემისტაგორასაც ასახელებდნენ (51). პლინიუს სეკუნდი დამატებით მდინარის შესართავში უსახელო კუნძულების არსებობას აღნიშნავს (52). ეს ცნობა ალბათ რიონის დელტასა და უფრო ზემოთ მდებარე მის ჭალაკებს გულისხმობს, რასაც როგორც თანამედროვე, ისე ძველს (მაგ. ლამბერტის, შარდენის, პეისონელის) რუკებზედაც თავისი ადგილი აქვთ მიჩენილი.

ქალაქმა, როგორც უკვე ვამბობდით, ახალ საუკუნეებშიც მოიტანა თავისი კლასიკური სახელი, რომელიც იტალიელებს უნდა გადმოეცათ თურქებისათვის (ეს უკანასკნელნი ფაშს უწოდებდნენ მას, ისევე როგორც მდინარეს (53), ადგილობრივ კი,— როგორც ჩანს, ძველი დროიდანვე, — მას 'ფოთ ‖ ფუთ'ს ეძახდნენ. ნათარგმნ ტექსტის „ფასოდ, სოფელსა შინა მეგრელთასა"-ს განმარტები-

სათვის, „ფოთსა იტყჳს“-ო, შენიშნავს უცნობი ქართველი სქოლიასტი (54). საქართველოსაკენ წამოსულს გ. ათონელს სამისონიდან ფ ო თ ა მ დ ე ნავით უმგზავრია და აქიდან უკვე სახედრით ქუთაისისაკენ (55). შემდეგშიც ეს სახელი ქართულ მწერლობაში უმთავრესად ამ ფორმით გვხვდება (56).

უფრო ძველი და საინტერესო ფორმა დაცულია სომხურ ისტორიულ ლიტერატურაში (57). ეს ძველსომხური ფორმა ამ სახელისა — ფოჲთ, მერმინდელ გამოთქმით — ფუჲთ, *փույթ*, რომელიც უეჭველია არა ბერძნულ, არამედ ადგილობრივ, ქართულ ფორმასთან დაკავშირებულ წყაროდან მომდინარეობს, გვიმოწმებს, რომ ძირეულ ხმოვანს მისდევდა კიდევ ერთი რადიკალი, რომელიც ქართულში ამჟამად გამქრალია. ეს რადიკალი, სომხურში ნახეეარხმოვან იოტით გამოხატული, საშუალებას გვაძლევს,— ქართველურ ენების, კერძოდ ქართულის, ფონეტიკურ წესების გათვალისწინებით, სახელდობრ, რომ ჲ ზოგჯერ ს-ს დასუსტების შედეგია — სომხ. ფორმის შესაძლებელ პროტოტიპად ‘ფოსთ’ ვიგულისხმოთ, რაც, თავის მხრით, ბერძნ. სახელის ფუძესთან, ფასიდ-, დიდს გარეგნულ მსგავსებას აჩენს. ჩვენ გვგონია, რომ ეს მსგავსება არ გვატყუებს და აქ ერთისადაიმავე სახელის სახეცვლილებებია მხოლოდ. ამ შემთხვევაში ბერძნულ ფორმას სიძველის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს, ვინაიდან ა‘ს შეცვლა ო‘თი მეგრ. ნიადაგზე შეიძლება აიხსნას, პირუკუ დასკვნისათვის-კი საბუთი არ მოგვეპოვება.

დასასრულ, დიდად საყურადღებოა, რომ სახელწოდება „ფოთი“ ‖ „ფუთი“ გვხვდება საქართველოს სხვა პუნქტებშიაც. კერძოდ, უდაოდ ამ სახელს ატარებს სოფელი შორაპანს აღმოსავლეთით — „ფუთი“. უკანასკნელი ფაქტი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი: იგი ადასტურებს თვით სახელის ენდემურობას და მის კავშირს ძველს მდინარე ფასიდთან და ემოწმება ანტიკურ მწერალთა წარმოდგენას ფასიდის მიმდინარეობის შესახებ — რიონი-ყვირილა ვიდრე შორაპნამდე (58).

რაც შეეხება მოცემული გეოგრაფიული სახელწოდების სტრუქტურასა და წარმოშობას, ამ საკითხების შესახებ ჩვენ საუბარი ნაწილობრივ უკვე გვქონდა სხვა წერილში, ნაწილობრივ-კი გვექნება მომავალში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. „აზია", 81.

2. К у л а к о в с к и й, Карта Сарматии, რუკა.

3. ბუნებითი ისტორია, წ. VI, § 12.

4 PG 117, 185, A. S c h e r m a n n, Propheten-u Apostelleg., 163 შემდ., 324 შემდ., В а с и л ь е в с к и й, Хождение, 227.

5. საქ. მუზ. ხელთნაწ. № 2211, ფ. 89 v, ნოემბრის 30-ის ქვეშ.

6. არრიანე, § 9, GGM I, 374; ანონიმი, § 43.

7. 30 ОИД IX, 167, 173.

8. ანაბაზისი, 6, § 4.

9. გეოგრაფია, წ. XI, თ XIV, § 7, *Mül.* 453. აქ ავტორი ფასიდს, ლიკოსთან ერთად, სომხეთის უმნიშვნელოვანეს მდინარედ აცხადებს პონტოს მხრივ.

10. არგონავტიკა, VI, 131—135.—თუ აქ კაბადუკიის ლიკე იგულისხმება, მაშინ აღრევა კიდევ უფრო დიდი იქნება. ფასიდი-კი მაინც ჭოროხი გამოვა.

11. „სპარსული ომისათვის", II, 29, CV გვ. 334, CB, გ. 288—9, „გეორგიკა", II, 71—72.

12. „გუთური ომისათვის", VIII, 4, CV, გვ. 180, „გეორგიკა", II, 93; შდრ. ბროსე, Additions, 81, 87, 94—95.

13. საქ. სამოთხე, 36; ყოფ. საეკლ. მუზეუმის ხელთნაწერი № 188, ფ. 97 r.

14. შევს. ქ. ცხ. 46; ნინოს მეტაფრ., კარბ., 5=498 r., ყოფ. საეკლ. მუზ. ხელნაწ. № 518, იმავ ფონდის № 395, გვ. 82 (=მდ. ბოროტი—ჭოროხი! შეცდომა, რომელიც ადვილად აიხსნება პალეოგრაფიულ ნიადაგზე); შდრ. ძველი სლავ. თარგმანის Фас: В а с и л ь е в с к и й, Хождение, 275; გარესჯული საკითხავი: ვასილიევსკი, იქვე, 280 და სხვა.

15. იხ. აქვე შენიშვნები 11 და 12.—შეცდომაა, რათქმაუნდა, დ ი ო ბ უ ა ს მოსაზრება, Voyage, II, 90—91, რომ პროკოპის ბოასი არის ხანისწყალი.—პროკოპის წინააღმდეგობრივი ცნობების განხილვა ბოასის შესახებ იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილთან, „გეოგრიკა", II, გვ. 78—80, შენ. ჩვენ აქ ამ წინააღმდეგობის საკითხს არ ვეხებით.

16. პეტერბურგის გამ., გვ. 168.

17. სუკრის გამ., 27, 30; იხ. აგრეთვე 28, 35.

18. იქვე, 35.

19. იქვე, 27.—ასეთი გლოსა მოეპოვება სხვა რედაქციებსაც: S.—M a r t i n Armenie, II, 356; П а т к а н о в, Georr.; სომხ., ტექსტი, 16 (*ՃանՀՊ որք ԼՆ Խաղտիք*); *Խորենացւոյ Մատենագրութիւնք*, *Վեն.* 605: როგორც წინამორბედში.

20. ტფ. გამოც. 1910 წ., 219; *Մատենագրութիւնք*, *Վեն.*, 157.

21. მარიამ. ქცხ., 14.

22. გეოგრაფ., ჯან., 201, 224, 231, 238, 240, 243 — 4.—პეისიონელის წარმოდგენით, Observ., 66—67 და რუკა, ძველი აკამფსისი ანუ (I) აკინასი ეხლანდელი ნიგალისხევია, Nigalkhevi, თავისი შენაკადებით, Mogaridzé და Gourgour-ით, ჭოროხი-კი, Tchorok, სხვა მდინარეა და უდრის ძველ იბისს. ვახუშტით, გეოგრ., 201, 231, ლიგანისხევი ჭოროხისხევია, „ართვინის სანახებითურთ, ვიდრე ეგეს სამხღვრამდე, ჭორობის ხეობის იმიერ და ამიერი".

23. „ერთათვის", თ. 45; ლასკინის თარგმ. 166, 167, 168. ამ თავში ავტორს ასეთი გამოთქმა სამჯერ აქვს ნახმარი.

24. აქედანვეა ნაწარმოები ქსენოფონტეს ეთნიკური ტერმინი, *Φασιανοί*, ანაბ., წ. IV, თ. 6, § 5; კ. პორფიროგენეტი, დასახ. ადგ.; შდრ. პტოლემე, მილლერის გამ., გვ. 938.

25. დასაბეჭდებული ადგილი.

26. აპოლონი როდოსელის სქოლიასტი ცნობას ფასიდის მომდინარეობაზე სომხეთის მთებიდან პირდაპირ ერატოსთენეს მიაწერს, SC I, 427. საყურადღებოა აპოლონის, და შემდეგ, ჩანს, მასზე დამოკიდებით სხვების მტკიცება, რომ ფასიდი გამოდის შორეული ამარანტის მთებიდან: „არგონავტიკა", II, 399—401, III, 1220.

27. განმარტებულია ამ ნარკვევის წინამორბედ პარაგრაფებში. დიონისი, 692—5. დიონისი ამ „არმენიის" მთებში სდებს მდ. თერმოდონტის სათავესაც, 772—4.

28. „გეოგრაფია", წ. XI, თ. III, § 4.

29. „ბუნებითი ისტორია", VI, § 13; სოლინი, 15, 18, SC II, 278.

30. ტოლოჩანოვი, პოლიევქტოვის გამ., 16. ასეთივე ცნობა განმეორებულია, გვ. 187.—პროკოპი კესარიელის ერთი ცნობითაც („გუთური ომისათვის" წ., VIII, თ. II, „გეორგიკა", II, 97), ფასიდი მესხეთის მთებით ჩამოდის, მისი სათავე კი კავკასიის მთებშია.—შდრ. ბროსე, Addit., 95—96.

31. § 81, GGM I, 62.

32. „ბუნებ. ისტ.", წ. VI, § 14.

33. „გუთ. ომისათვის", წ. VIII, 13, „გეორგიკა", II, 151.

34. იქვე, VIII, 14, „გეორგიკა", II, 163—164.

35. „საქ. სამოთხე", 328.— რიონის ხსენება იხ. აგრეთვე ლეონტი მროველთან, მარ. 20.—შდრ. ვახუშტი., გეოგრ., ჯან. 261: „ბერძენნი უწოდებენ ფასონს".

36. Белокуров, Материалы, 324.

37. ტოლოჩანოვი, პოლიევქტოვის გამ., 81,121—125, 164 და მრავალ სხვა ადგილას.

38. სუკრი, 27.—ფესევდო-პლუტარქის ცნობით, Гай, 153, ფასიდს წინათ არქტურე ერქვა.

39. „გეოგრაფია," წ. XI, თ. II, § 17. ხომ არ ზღუდავს ამ ჩვენებას სტრაბონისავე მეორე ცნობა, წ. XI, თ. III, § 4, რომ მთებიდან ჩამოსული ფასიდი იერთებს სხვადასხვა ნაკადს, ბარში—მდინარეებსაც,— რომელთა შორის დასახელებულია გლავკი და ჰიპი,—და ხდება წყალსავსე და სანაოსნო. ხომ არ უნდა გავიგოთ ეს ჩვენება ისე, რომ დასახელებულ მდინარეებიდან იწყებოდა ფასიდზე ნაოსნობა? პასუხი განსაზღვრულია იმით, თუ როგორ ლოკალიზაციას მივსცემთ დასახელებულ მდინარეებს. ჰიპი ცხენისწყალი და გლავკი ყვირილა ჰგონიათ ჩვეულებრივ. თუ პირველი ნაკლებ სადაო ჩანს, მეორე სავსებით საეჭვოა: თუ ჰიპი ცხენისწყალია, მაშინ ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ გლავკი რიონია.

40. „ბუნებითი ისტორია", VI, § 13.

41. ტოლოჩანოვი, 164, 187. შდრ. Броневский, I, 146.

42. ტოლოჩანოვი, 157, 188.

43. გეოგრაფია, ჯან., 261.

44. რიონზე ნაოსნობა,—სულ სხვა ხასიათისა და სხვა მასშტაბის, ვიდრ ანტიკურ ხანაში,— წარმოებდა მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე. შამა-

დავლა დადიანის სიგელში (XV ს. მეორე ნახევარი) დადასტურებულია, რომ „წყლის პირსა ჭალადიდს რიონსზედან ნახევარი ბაღი [იგულისხმება ნავის ბაღი] ხოფისა ღთისმშობელისა არის და ნახევარი კათოლიკოზის“, დას. საქ. საბ. I, 1. ეს საბუთი განახლებულია და, შესაბამისად, მოცემული ცნობა განმეორებული ლევან დადიანის მიერ (XVII ს.), ს ა ქ. ს ი ძ ვ, I, ნაწ. I, გვ. 27.—ქუთაელი მიტროპოლიტი მაქსიმე თავის ცნობილ მოხსენებაში წერს (1769 წ.): „ქუთაისის ქალაქიდამ ვაპრები დადიან ნავითა იმ სამს ციხეში—ბათომს, ფოთს და სოხუმს (თავისი საქონლით)... იქიდამაც წყლით მოაქვთ ოსმალოს სავაპრო“.. Ц а г а р е л и, Грамоты, т. II, вып. I, стр. 3.—ბრონევსკიც რიონზე ნაოსნობის შესახებ გვამცნობს: „Судоходство на малых плоскодонных судах начинается от стечения реки Квирилы при селении Вар-Чихе“ (ვარციხე). Новейшие географические и исторические известия о Кавказе, М. 1823, ч. I, 146.

45. ЗООИД IX, 168.—პ ე ი ს ო ნ ე ლ ი თ, Observations, 58, თურქები მას Nehre Fache, მდინარე ფაშს უწოდებენ. ასეთივე ცნობა იხ. შარდენის რუკაზე, Voyage, ხოლო ლამბერტის რუკაზე სახელი მოცემულია ფორმით Fasso.

46. პერიპლი, § 12, GGM I 376.

47. „გეოგრ.“, V, თ. IX, § 2.—მე-15 საუკუნის შუაწლებშიაც ქალაქი ხღეისპირიდან მოშორებით იდო რიონის ნაპირას, ყუნძულის ზემოთ და მის აღმოსავლეთით, როგორც ეს კ ო ნ ტ ა რ ი ნ ი ს ცნობიდან ჩანს.

48. § 11, GGM I, 376.

49. § 44.

50. „გეოკრაფია“, წ. XI, თ. II, § 17; შდრ. იქვე თ. III § 4.

51. პ ო მ პ ო ნ ი უ ს მ ე ლ ა, De chorographia, I, § 108, SC II, 117.—ს ტ ე ფ ა ნ ე ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი, s. v., SC I, 268—9, „გეოგრიკა“, III, 286.

52. „ბუნებითი ისტორია“, VI, § 13.

53. პ ე ი ს ო ნ ე ლ ი, Traité, II, 15, და Observ., რუკა; გ ულ დ ენ შ ტ ე ტ ი, I, 410.

54. V მსოფლიო კრების კანონების ქართ. თარგმანის მინაწერი, ქრნკ., II, 88, შენ.

55. გიორგი მთაწმიდელის ცხორება, „ათონის კრებული“, 319.

56. „ფოთელი ნავი“, დას. საქ. საბ., I, 14, შდრ. იქვე 43, 44, 45; ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრ., ჯან., 299, და სხვა.

57. ასე, მაგ., ღ ე ვ ო ნ დ ი ს თ ა ნ: *...ეს ნაო ო�აკ ნიკეა ფოფოდგნ ოკ ადნოალანსალ ყიკ Ფიკ ს ყაკანანა ნეგნ ალეთრჩინ*, *Պատմութիւն*, პეტერბ. გამ., გვ. 35; იხ. ს ტ ე ფ ა ნ ე ტ ა რ ო ნ ე ლ ი 125 და ვ ა რ დ ა ნ ი, 92, რუს. თარგმ.

58. სოფ. ფუთს, ძირულას ხეობაში, ამ მდინარის შესართავთან მდებარეს, იცნობს ვახუშტიც, გეოგრ., ბროსეს გამ., 364.—სოფ. ფუთი იხსენიება აგრეთვე XI ს. ცნობილ საბუთში, ნიკორწმინდის სიგელში: „ვარაზ-ვაჩე შემოსწირა ... ფუთს ბლეხი ორი“, ქრნკ. II, 45. საბუთის წარმოშობა და კონტექსტი აქ ძირულას ხეობის პუნქტის გულვების შესაძლებლობას არ გვაძლევს, სავარაუდო რიონშიკი ამჟამად ასეთი სოფელი არ ჩანს, თუ აქ არ ვიგულისხმებთ დღევანდელ „ფუტიეთს“, რაჭაში, საბუთში აღნიშნული სხვა სოფლების მახლობლად მდებარეს

აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის*

ძველი ქართლი, პოლიტიკურად და გეოგრაფიულად ფართოდ გაგებული, იყოფოდა რამდენიმე ნაწილად. ასე, ქართლი, როდესაც ის ეგრისსაც (ლაზიკას) შეიცავდა, იყოფოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილებად; ამავე დროს, უკანასკნელს მიეკუთვნებოდა მთელი სამხრეთი საქართველო (რაც თავისთავად მეტად საყურადღებოა).

მეთვრამეტე მეფე ამაზასპის შესახებ,— რომელიც „ქართლის ცხოვრების", კერძოდ — ლეონტი მროველის, ძირითადი კონცეფციის თანახმად (ქართლი და ეგრისი ერთი სამეფოა უკვე ფარნავაზის დროიდან!) ფლობს არა მარტო ქართლს, არამედ ეგრისსაც, — მოთხრობილია, რომ ოვსთა თავდასხმის გამო:

> ...„მოუწოდა ამაზასპ ყოველთა ერისთავთა [1] ქართლისათა. და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, და — ხუნანისა, და — სამშვილდისა, და შემოკრბეს მჴედარნი სპასპეტისანი. ვიდრე მოსულადმდე დასავლეთისა ერისთავთა [2], მოვიდეს ოვსნი ჩრდილოს კართა ქალაქისათა, რომელ არს მუხრანი" [3].

ამავე ავტორის მტკიცებით, უკვე მცხეთის პირველმა მეფემ ფარნავაზმა მისცა ქართლს სათანადო ადმინისტრაციული წყობა — მან განაწესა რვა ერისთავი და ერთი სპასპეტი; საერისთავოებად

---

* წერილის ძირითადი დებულება გამოქვეყნებული იყო ავტორის მოხსენებაში „მცხეთა — საქართველოს ძველი დედაქალაქი", საქ. მეცნ. აკადემიის საიუბილეო სესიაზე, 1941 წ 2 მარტს, ხოლო მთლიანი სახით მოხსენება მოსმენილ იქნა საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების სხდომაზე, 1942 წ. 22 დეკემბერს.

[1] ხელნაწერში ეს სიტყვა მუდამ ქარაგმითაა დაწერილი.

[2] ხელნაწერში ქარაგმით „ევისა"=ერისთავისა, რაც უბრალო lapsus calami უნდა იყოს.

[3] ქ'ცხ. მარ., 40.— ანასეულ ნუსხაში (პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით) საკითხავი დაზიანებულია, იხ. გვ. 34.

გამოიყო: 1) კახეთი, 2) გარდაბანი (ერისთავის რეზიდენციით ხუნანში), 3) ტაშირი და აბოცი (ცენტრი სამშვილდეს იყო), 4) ჯავახეთი, კოლა და არტანი (ცენტრი წუნდას იყო), 5) სამცხე და აჭარა (ცენტრი ოძრჴეს), 6) კლარჯეთი, 7) არგვეთი და 8) ეგრისი[1]. ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამაზასპ მეფის მოწოდებაზე თავის დროზე ვერ გამოცხადდნენ ხუთი ერისთავი სამხრეთ და დასავლეთ საქართველოდან, და მართლაც: ამაზასპის მეფობის სხვა პერიოდების შესახებ თხრობაში მროველი გვამცნობს, რომ... „აღდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი, ორნი ერისთავნი ეგრი[სი]სანი, ერთი ოძრჴისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“, გააბეს კავშირი სომხეთის მეფესთან და ამ უკანასკნელის ძის მეფედ მოწვევის შემდეგ, ეს „განდგომილნი ერისთავნი ქართლისანი“ თავს დაესხნენ ამაზასპს სომეხთა, ბერძენთა და ოვსთა მოკავშირე რაზმებთან ერთად[2].

თუ ამ ცნობებში ბევრი რამაა ხელოვნური და მწიგნობრული წარმოშობისა, უფრო რეალურია ის დაყოფა, რომელიც საკუთრივ ქართლს ჰქონდა, მაგრამ ეს დაყოფა სხვა პრინციპზე იყო აგებული. თუმცა ამ დაყოფის შესახებაც ჩვენ სრული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ქართლის ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი სავსებით მკაფიოდ არის წარმოდგენილი. ეს არის „შიდა (შინა,

---

[1] „განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი. ერთი გაგზავნა არგუეთს (მარგუს) ერისთავად და მისცა მცირით მთითგან (მათგან), რომელ არს ლიხი, ვიდრე ხლუამდე რიონს ზემოთ; და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა; და გაგზავნა ერთი კახეთისა ერისთავად, მისცა არაგვითგან ვიდრე ჭერეთამდე, რომელ არს კახეთი; ერთი გაგზავნა ხუნანისა ერისთავად და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი (გარბნი); ერთი გაგზავნა სამშვილდეს ერისთავად და მისცა სკორეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი (ხაშირი) და აბოცი (ბოცი); ერთი გაგზავნა ერისთავად და მისცა ფანავარითგან ვიდრე ოავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა-არტანი; ერთი გაგზავნა ოძრჴის ერისთავად და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ხლუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა; ერთი გაგზავნა კლარჯეთს, მისცა არსიანითგან ხლუამდე; და ძირვე, ჭუჯი, ერისთაობდა ეგრისს (ხელნაწერში დამახინჯებულია: ...ქუჯოს ერისთავეები და ეგრისი) ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე (თასისკარამდე) და ფანავარადმდე, რომელ არს შიგა ქართლი“... ქცხ. მარ., 20—21. შდრ. ანას., გვ. 17.

[2] ოვსნი „მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრი[სი]სათა“. ეგრისის ორი ერისთავი არიან საკუთრივ ეგრისისა და არგვეთის ერისთავები. ქცხ. მარ., 42, ანას. 35—36.

შიგა) ქართლი". მოგვითხრობს რა ქართლის ადმინისტრაციული წყობის შესახებ, რომელიც ფარნავაზმა დააწესა, მროველი აღნიშნავს, რომ სპასპეტის ნაწილად ფარნავაზმა გამოჰყო „შიდა ქართლი". ამ წილს პირველი ადგილი უნდა დაეჭირა ქართლის ადმინისტრაციულ წყობაში. მროველი წერს:

„ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასის-კარადმდე და ფანვარადმდე, რომელ არს შიგა ქართლი" [1].

აქ ჩრდილოეთის საზღვარი იმიტომ არა აქვს აღნიშნული ავტორს, რომ ის გულისხმობს ერთიანი ქართლის ჩრდილოეთის საზღვარს — კავკასიონს. დასავლეთის საზღვრის ხაზად აქ სურამის ქედია ნაგულისხმევი, რომელსაც მაშინ, სხვადასხვა ნაწილში, ღადო და ლიხი ეწოდებოდა; ამ დასავლეთის ხაზზე მიუთითებს ტასისკარი, ბორჯომის ხეობაში მდებარე პუნქტი. სამხრეთის საზღვრად ნაჩვენებია ფარავნის ტბა (ეხლა რომ სრულიად დამახინჯებული სახელითაა ზოგჯერ წარმოდგენილი — თოფარავანი); აღმოსავლეთით სასაზღვრო ხაზი მდინარე არაგვზე და თბილისზე გადიოდა.

მეორე შემთხვევაში პროვინციის აღმოსავლეთის საზღვარს მროველი არმაზზე დასდებს და არა თბილისზე. მაგრამ ეს ადგილი სპეციალურ განხილვას მოითხოვს. ცნობა შეეხება ეთნარქი ქართლოსის უფროსი შვილის, მცხეთოსის, წილს. მცხეთოსი თავის სამფლობელოს, რომელიც „თბილისითგან და არაგვითგან სპერის ზღვამდე" [2] (ე. ი. ლაზისტანის სანაპირომდე შავ ზღვაზე და მდ. ჭოროხის შესართავის • რაიონამდე) იყო გადაჭიმული, უყოფს სამ შვილს: უფლოსს, ოძრჴოსს და ჯავახოსს:

... (მცხეთოსმა) „ოძრჴოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრჴოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი, ოძრჴე და თუხარისი. ჯავახოსს (ხელნაწერში დამახასიათებელი: ჯაოხოს) მისცა ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. ამან ჯავახოს აღაშენნა ორნი ციხე-ქალაქნი, წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა

---

[1] ქ-ცხ., მარ. 21; ანას. 17—18; მეორე ადგილას „შიგას" მაგივრად სწერია „ᲨᲘᲜᲐ", იქვე, გვ. 7; ეს ფორმები (შინა, შიდა, შიგა) ხშირად სცვლიან ერთმანეთს ძველ ქართულში; უძველესი მათ შორის არის „ᲨᲘᲜᲐ".

[2] „დაიპყრა ქუეყანა ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲗᲒᲐᲜ და არაგვითგან დასავლით ვიდრე ზღუამდე სპერისა", ქ-ცხ. მარ., 6.

მაშინ ერქუა ქაჯთა-ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰური[1], ხოლო უფლოს დარჩა საყოფელთა მამისა მათისა მცხეთოს[ი]სა მცხეთას, და ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასის-კარამდე და ფანვარადმდენ და ამან აღაშენა. უფლისციხე [და] კასპი“[2].

უფლოსის სამფლობელოსათვის აქ იგივე ნაპირებია აღნიშნული, რომელნიც წინა ნაწყვეტში იყვნენ დასახელებული, როგორც შიდა ქართლის საზღვრები. მაგრამ ჩვენს უკანასკნელ ციტატაში ფრაზას, რომელიც უშუალოდ მოსდევს სიტყვას „კასპი“, თითქოს შეაქვს ცოტაოდენი ცვლილება „შიდა ქართლის“ საზღვრების განმარტებაში და, ამას გარდა, შემოაქვს ერთი ახალი ცნობაც. იქ ნათქვამია:

„... არაგვითგან და არმაზითგან (არმაზისგან) ვიდრე ტასის-კართამდე, უწოდა ამას ქუეყანასა ზენა სოფელი (ხელნაწერში დამახინჯებულია: ზენას სოფლისა), რომელსა აწ ჰქჯან შინა ქართლი“[3].

შიდა ქართლის ყველაზე უფრო შორეულ აღმოსავლეთ პუნქტად აქ აღნიშნულია, თბილისის ნაცვლად, არმაზი; სამხრეთის სანაპირო ხაზზე სრულიად არ არის აღნიშნული „ფანვარი“ (ფარავნის ტბა). უკანასკნელი ფაქტი შეიძლება შემთხვევითი გარემოებითაც აიხსნას: ან ტექსტის სათანადო ადგილის მექანიკური გამოვარდნით, ანდა მოკლედ თქმის სურვილით. მაგრამ თბილისის არმაზით შეცვლა, ალბათ, შემთხვევითი არ არის და, შესაძლებელია, მოწმობს იმას, რომ ძველი დაყოფა, პირველად აქ აღნიშნული, თავის აღმოსავლეთის საზღვრებში არ ემთხვეოდა საესებით ავტორის თანადროულ საზღვრებს.

---

[1] ძველად ქართველები არტაანს ოლქს ეძახდნენ და არა ქალაქს. ქალაქმა ეს სახელწოდება გაცილებით უფრო გვიან მიიღო. მოყვანილ ადგილას, მაშასადამე, საუბარია არტაანის ქალაქზე და არა ქალაქზე არტაანის სახელწოდებით.

[2] ქ'ცხ., მარ. 7; ანას. 6. — ნაწყვეტის ბოლოს ტექსტი დამახინჯებულია გადამწერთაგან: სიტყვა „კასპი“ შეერთებულია მომდევნო სიტყვასთან „არაგვითგან“. ჩვენ გავთიშეთ ეს ხელოვნური კომპოზიტი, ისევე, როგორც გამომცემელიც მოქცეულა, და გადავიტანეთ, კავშირ „და“-ს ჩასმით, სიტყვა კ ა ს პ ი წინა ფრაზაში. და მართლაც, ავტორი მცხეთოსის სხვა შვილებზე მოგვითხრობს, რომ თითოეულმა მათგანმა ააშენა ორ-ორი ქალაქი, მნიშვნელოვანნი მათ სამფლობელო პროვინციაში. ამასაც ველოდით ჩვენ უფლოსის შესახებ თხრობაში, რაც ამართლებს ჩვენს კონიექტურას. საერთოდ შესაძლებელსა და დასაშვებს. ასეთი შეცდომების გარეშე ტექსტს ეკარგება აზრი.

[3] ქ'ცხ. მარ., 7; ანას. 6. — ნაკლებ ბუნებრივია ასეთი აღდგენა: „... უწოდა ამას ქუეყანასა ქუეყანა ზენა სოფლისა“... აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება ამ ადგილს („მაშასადამე, შიდა ქართლი XI ს. იწყებოდა არა-

„ზენა სოფლის“ დასახელებას ჩვენ ჯუანშერთანაც ეხვდებით, შეფე არჩილის მიერ ერისთავთა შორის ქართლის დანაწილების შესახებს ამბავში. ქართლის ერისთავები ღებულობენ თავის წილს, როგორც ცოლის მზითევს, რომელიც არჩილის ძმისშვილებს თან გამოჰყვა. ამ უკანასკნელთა მამა, არჩილის უფროსი ძმა, მეფე მირი სიკვდილის ჟამს თავისი სამეფოს მემკვიდრედ ნიშნავს არჩილს, რადგანაც მირს ვაჟი არ ჰყავდა. მაგრამ მირს შვიდი ქალიშვილი ჰყავს და არც ისინი უნდა დასტოვოს გულნაკლულად. და აი მომაკვდავი, ჩვეულების წინააღმდეგ, ავალებს თავის ძმას, არჩილს, მიათხოვოს ქალიშვილები საკუთარ ერისთავებს და შემდეგნაირად გაჰყოს „ქვეყანანი ქართლისანი“: ნახევარი გაუყოს თანაბრად მირის ქალიშვილებს და მეორე ნახევარი-კი თვითონ დაიტოვოს. „საუხუცესოდ“ მირი უტოვებს არჩილს მთელ „დასავლეთ“ (მროველის ტერმინოლოგიით) ნაწილს ქართლისას—„ეგრისს, სუანეთს, არგვეთს და გურიას“.

მთელ ამ თხრობაში, რომელიც შეთხზულია ავტორის მიერ, რათა ახსნას მის დროს არსებული ვითარება, ბევრი რამ არის საინტერესო, თუმცა სურათის ცალკეული ნაწილები ცუდად არის ურთიერთშეწყობილი[1]. საგულისხმოა, მაგალითად, ფეოდალური გაყოფის აღწერა („საუხუცესო“) და დახასიათება საადგილმამულო დამოკიდებულებისა მეფესა და ფეოდალებს შორის: გაყოფა ორ

გვითგან და არმაზითგან და ტასის კარამდის მიდიოდა. ამას წინათ თურმე „ზენა სოფელი“ რქმევია. „მატიანე ქ—ი“-თგან კი ისე გამოდის, თითქოს „ზემო ქუეყანა“ ქართლს გარეშე ყოფილიყოს“... ქართვ. ერის ისტორია, II, 284). მაგრამ, როგორც ეტყობა, აკად. ივ. ჯავახიშვილმა დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა მროველის ამ ცნობას, და შეეძლებოდა ის მცდარადაც მიეჩნია, იმიტომ რომ მისივე რედაქციით 1923 წ. გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ სახელწოდება „ზენა სოფელი“ მიუთვნებულია სამხრეთ საქართველოსათვის (ამ დასახელებით მოხაზულია ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები, ძველი სამცხე და ჯავახეთი), „შიდა ქართლი“ აქ აღნიშნულია, როგორც „შიდა სოფელი“ („შიდა ქუეყანა“), ხოლო უფრო გვიანდელი „ქეკმო ქართლი“ (ალგეთისა და ქცია ხრამის ხეობა) აღნიშნულია, როგორც „ქვენა სოფელი“ (ამ დასახელებით მოხაზულია აგრეთვე თრიალეთისა და წალკის რაიონები). „შიდა სოფელი“ და „ქვენა სოფელი“ შექმნილია, უნდა ვიფიქროთ, ხელოვნურად „ზენა სოფლის“ ანალოგიით. ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება რიგი წყაროების ცნობები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

[1] ასე, მ.გალითად, ავტორის აზრით, ეს ნაწილები მხოლოდ ამ შემთხვევაში დაურიგდათ ერისთავებს. ნამდვილად-კი: ამ ამბების (ქორწინება და დაყოფა) თხრობისას ავტორს არ ძალუძს დაფაროს, რომ ზოგიერთი მაგნატი, მეფის ახალი სიძეები, უკვე ფლობდნენ აღნიშნულ ტერიტორიებს.

(საუხუცესოს გარეშე) თანაბარ ნაწილად წარმოებს იმგვარად, რომ მეფე თითოეულ სენიორიაში, რომელიც მისს სიძე-ფეოდალებს ეკუთვნის, თავის წილად ამ ფეოდალური სამფლობელოს ნახევარს იტოვებს,— „ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ჭევთაგან“ [1]. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ამ კონტექსტში „ზენა სოფლის“ მოხსენიება. ამ გეოგრაფიული ცნების რეალური შინაარსის გაგებისათვის საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ მთელი თხრობა, რომელიც საზღვრავს თითოეული ნაწილის ტერიტორიას: პირველი ქალიშვილის ქმარი, გუარამ კურაპალატი, ფლობს კლარჯეთსა და ჯავახეთს, მეორის ქმარი — პიტიახში, ფეროზის ჩამომავალი, თრიალეთის, ტაშირისა და აბოცის მფლობელია, მესამე და მეოთხე ქალიშვილების ქმრები „ზენა სოფელს“ მიიღებენ, ე. ი. „ქართლს“ („ორთა ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი“), მეხუთის ქმარი ვარაზმანი ღებულობს ტერიტორიას კოტმანიდან ქურდისხევამდე, მეექვსის ქმარი ჯუანშერი ჯუარს, ხერკს, მთიულეთს (მთა-ნაწილს), მანგლისისხევს მთლიანად და თბილისს. მეშვიდე ქალიშვილი, სრულიად აუცილებელი არა მარტო ავტორის წინასწარი განცხადების გამო, არამედ მთელი კონცეფციის [2] მთლიანობის თვალსაზრისით, თავისი ქმრითა და მზითევით სრულიად ამოვარდნილია ავტორის თხრობიდან, არ ვიცით გადამწერთა წყალობით თუ ავტორის დაუდევრობის გამო. მირის მეშვიდე ქალიშვილის წილი რჩება გაურკვეველი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს კახეთი არ არის: ცოტა ქვევით ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ უბოძა არჩილმა კახეთი თავის „ტაძრეულებს“ და თან აზნაურობაც მიანიჭა მათ: „... ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი; აზნაურ ყუნა იგინი“ [3].

---

[1] ძველი ქართული „განზოგება“ ნიშნავს შუაში გაკოფას, რაც, ჩანს, გაუგებარი აღმოჩნდა გადამწერთა ზოგიერთი შემდგომი თაობისათვის და ამის გამო შეცვლილ იქნა სიტყვით „განზადებით“, რაც სრულიად ამაბინჯებს აზრს (იხ. ქ'ცხ. მარ 208), მაგრამ ანასეულმა ნუსხამ შეინარჩუნა თავდაპირველი საკითხავი, გვ. 154.

[2] ჯუანშერის ეს კონცეფცია სრულიად ეთანხმება მროველის ზემოთ განხილულ კონცეფციას, რომლის მიხედვით ქართული ცხრა ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა: რვას მეთაურობდნენ ერისთავები, ხოლო მეცხრეს სპასპეტი შართავდა. ჯუანშერის მიხედვით, ეგრისისა და არგვეთის საერისთავონი წარმოადგენენ „საუხუცესოს“ რომელიც არჩილს დარჩა, ხოლო დანარჩენი შვიდი ნაწილი მირის შვიდ ქალიშვილს უნდა მისცემოდა.

[3] ქ'ცხ., მარ. 207—208; ანას. 153—154.

ამრიგად, „ზენა სოფლის, ე. ი. ქართლის“, საზღვრები, ჯუანშერის მიხედვით, ჩვენთვის დაახლოებით გამორკვეულია. ეს მროველის იგივე „შინა ქართლია“, მაგრამ ცოტაოდენ შემცირებული სახით: მასში არ შედის, ყოველ შემთხვევაში, თრიალეთი, მანგლისისხევი და თბილისი თავისი რაიონით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „კოტმანის“ დასახელება. თუ ეს იგივე „კოდმანია“, ისტორიულად ცნობილი სოფელი მცხეთასთან, რაც შეუძლებელი არ არის, მაშინ გამოდის, რომ ზენა სოფლის ფარგლებიდან ჯუანშერი გამორიცხავს მცხეთასა და მის მიდამოებს. კოდმანი ნაჩვენებია ვახუშტის მიერ, როგორც მცხეთის რაიონის სოფელი[1] (ზედმეტია შეჩერება იმაზე, რომ „ზენა სოფლის“ ფარგლებიდან აქ გამორიცხულია კლარჯეთი, ჯავახეთი, ტაშირი, აბოცი, ხერკი და ზოგი სხვა რაიონიც). საფიქრებელია, რომ გამოთქმაში „ზენა სოფელი რომელ არს ქართლი“ მექანიკურად არის ამოვარდნილი განსაზღვრება „შინა“, რადგანაც ნაკლებ მოსალოდნელია აქ ქართლის მერმინდელი, დავიწროებული, მნიშვნელობით ხმარება.

„ზენა სოფელი“ იხსენიება ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებშიაც. ხშირად ვხვდებით ამ სახელწოდებას ასურელ მამათა ცხოვრებებში, რომელნიც ჩვენამდის გვიანდელი რედაქციების სახით არიან მოღწეულნი, მაგრამ, უეჭველია, ეყრდნობიან უფრო ძველ ცნობებს. კერძოდ, ეს შეიძლება ითქვას ამ ძეგლებში დაცული ისტორიული რეალიების მიმართ, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს ამჟამად[2]. ასე. ასურელ მამათა (რომელნიც საქართვე-

---

[1] „მცხეთას“ მიაკუთვნებს ვახუშტი აგრეთვე ორ შინდისს, მუხად-გელრდს, კარსანს, საკუთრივ მცხეთას, არმაზს, ციხე-დიდს, ძეგვს, ხეკორდს, ალსხორს, ნიჩბისს, ოხერას, თელადგორს, გომიჯვარსა და ლავრას. გეოგრაფია, ბ რ ო ს ე ს გამოც., გვ. 471; თ. ლ ო მ ო ურ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., გვ. 197.

[2] ამ ძეგლთა ხსენებული ხასიათი სათანადო სამეცნიერო მწერლობაში უკვე აღნიშნულია. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. საისტ. მწერლობა, გამოც. I, 5—10; გამოც. II, 5—12; მისივე, ქართვ. ერის ისტორ., I₃, 332. შემდ. — აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართ. ლიტერატურის ისტ., I, 153—8, 134—140, 283—5, 343—5, 580—3; მისივე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, „ტფ. უნ. მოამბე“, VI; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. გვ. 82—86; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ასურელ მამათა ცხოვრებანი არქეტიპები, ტფ. 1928. კაკაბაძის მიერ გამოცემული ტექსტები, რა აკვირვებელია, არ ეკუთვნიან ... ...

ლოში მოღვაწეობდნენ VI საუკუნეში) მეთაურის, იოანეს, ცხოვრებაში, თხრობაში იმის შესახებ, თუ როგორ წარავლინა ზედაზენს დამკვიდრებულმა იოანემ თავისი მოწაფეები ქართლის სხვადასხვა რაიონში სათანადო საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის, ნათქვამია:

... „წარავლინა მათგანნი რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კუხეთით და სხუანი ზენა სოფლით, ხოლო ნეტარი დავით—გარეჯისა უდაბნოსა და სხუანი გარემო ქალაქისა ჩუენისა, ხოლო იგინი წარვიდეს და დაემკჳიდრნეს რომელნიმე ჭალაკთა და რომელნიმე ქუაბთა..., ხოლო ეზდერიოს — ჭალაკსა სამთავისისასა!“...[1]

აქედან ცხადია, რომ ავტორისათვის ზენა სოფლის ცნება ყოველ შემთხვევაში და უეჭველად გამორიცხავს კუხეთს (სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია თანამედროვე კახეთისა,— ტერიტორია, რომელიც გომბორის უღელტეხილის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს) და კახეთს, ხოლო სავარაუდოდ — გარეჯის უდაბნოსაც და, ი ქ ნ ე ბ, სამთავისსა და მცხეთის მიდამოებსაც (თუ გამოთქმაში „ქალაქისა ჩუენისა“ ავტორი მცხეთას ჰგულისხმობს). მოცემული ადგილის მიხედვით გარეჯის, სამთავისისა და მცხეთის რაიონის შესახებ კატეგორიული მსჯელობა ძნელია იმიტომ, რომ შეიძლებოდა ნაწყვეტის მეორე ნაწილი („ხოლო“...) გაგებული ყოფილიყო როგორც კონკრეტიზაცია პირველი ნაწილისა. იმ პუნქტებიდან, რომლებიც შემდეგ ამ ცნობის განსავრცობადაა დასახელებული და სადაც იოანეს მოწაფეები დამკვიდრდნენ, ამ ნაწყვეტში სახელდებით აღნიშნულია მხოლოდ სოფელი სამთავისი, რომელიც მდინარე რეხულას ხეობაში მდებარეობს.

დანარჩენი პუნქტები მოხსენებულია ამავე ძეგლის ბოლოს:

„... ამის ნეტარისა იოანეს მოწაფეთაგანმან აღაშენა ალავერდი..., სხუამან — ქუაბი იულთისაჲ და სხუათა აღამენნეს კახეთს მონასტერნი, ხოლო დავით აღაშენა უდაბნოჲ იგი გარეჯისაჲ... ხოლო ერთმან ზენა სოფელს აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი ეერა რაჲ შეეალს და ეერცა რაჲ მფრინველი იბუდებს“...[2]

---

[1] ასურელ მამათა ცხოვრ. არქეტიპები, გვ. 21; საბინინის გამოცემაში, საქართველოს სამოთხე, გვ. 200, ეს ადგილი სუფთა რედაქციითაა მოცემული, იქ ამოღებულია ჩვენთვის საინტერესო ტერმინი.

[2] ასურ. მამ. ცხ. არქეტიპები, 35, საქ. სამოთხე, 207.

ამ უკანასკნელ გამოცემაში ეს ცნობა მეორდება,— ისეთი რედაქციით, რო-

სამწუხაროდ, ჰაგიოგრაფი არ აღნიშნავს, რომელია ეს პუნქტი ზენა სოფელში, სადაც აშენდა მონასტერი. არაპირდაპირ მაინც ის იძლევა საკმაო მითითებებს როგორც ჩვენთვის საინტერესო პროვინციის საზღვრების, ისევე ამ პროვინციის იმ პუნქტების შესახებ, სადაც მიმდინარეობდა იოანეს მოწაფეების მოღვაწეობა. უკვე ასურელ მამათა მეტსახელები, მათი მოღვაწეობის ადგილის მიხედვით შერქმეული, იძლევა ამ მხრივ გარკვეულ მასალას. ტრადიციული რწმენით, რომელიც უკვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკაშია მოცემული, იოანეს სულ 12 მოწაფე ჰყავდა[1]. შიო მღვიმელის ცხოვრებაში აღნიშნულია ამ პირთა სახელები: 1) შიო, 2) დავით, 3) იოსებ, 4) ანტონი, 5) თეოდოსიოს, 6) თათაჲ, 7) პიროს, 8) ელია, 9) პიმენ, 10) ნათან, 11) აბიბოს, 12) იოანე[2]. იოანე ზედაზნელის ცხოვრება იძლევა რამდენადმე განსხვავებულ ნუსხას და ამას თან მამათა ზედწოდებებსაც დასძენს. იქ ნათქვამია: „სახელები წმიდათა მოწაფეთა იოანე ზედაძნელისათა: 1) დავით გარეჯელი, 2) სტეფანე ქისიყელი, 3) იოსებ ალავერდელი, 4) ზენონ იყალთოელი, 5) ანტონ მარტომყოფელი, 6) ისე წილკნელი, 7) თათა სტეფანწმინდელი, 8) ელია დიაკონი, 9) შიო მღვმელი, 10) ისიდორე სამთავნელი, 11) მიქაელ ულუმბოელი, 12) პიროს ბრეთელი, 13) აბიბოს ნეკრესელი“[3].

მეორე ნუსხას გარკვეული უპირატესობა აქვს პირველთან შედარებით, მაგრამ საერთოდ, ცხადია, ცნობები ასურელ მამათა შესახებ მეტად ნაკლულსა და ფრაგმენტარულ ხასიათს ატარებს. ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში ამ საქმით დაინტერესებული ჰაგიოგრაფები ჩიოდნენ: „ხოლო ყოველთა ვერ ძალ-გჳც მოჴსენებაჲ“[4]. ყოველ შემთხვევაში, შემონახულია სხვადასხვა დროს შედგენილი ცხოვრებანი შემდეგ მამათა (თუ მამათა სიაზე მეორე ნუსხის მიხედვით ვიმსჯელებთ): 1) იოანე ზედაზნელის, 2) შიო მღვიმელის, 3) აბიბოს ნეკრესელის, 4) დავით გარესჯელის, 5) ანტონი

მელიც საერთოდ უფრო ახლოა კაკაბაძის გამოცემასთან,—აგრეთვე აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში, გვ. 216; უკანასკნელი ფრაზა აქ ცოტა სხვანაირად არის გადმოცემული: „... ერთმან ზენა სოფელსა აღაშენა მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რათა არა რა დედათაგანი შევიდეს მას შინა, რომელმან ფრინველნი ცისანი და ქუეწარმავალნი თჳსად დაამორჩილნა, ვერ იკადრებდეს დაბუდებად მას შინა, რომელსა ესე თუალნი ჩუენნი ხედვიდეს დღეს“.

[1] Описание II, 723.

[2] საქ. სამოთხე, 224

[3] კ. კეკელიძე, ტფ. უნ. მოამბე, VI, 87—88.

[4] იქვე, 87.

შარტომყოფელის, 6) ისე წილკნელისა და 7) იოსებ ალავერდელისა. ამათ გარდა ამ ცხოვრებებში მოხსენებული არიან: 8) ილია დიაკონი და 9) თათა[1] და აგრეთვე 10) ეზდერიოს სამთავნელი, იდენტური იმ ისიდორესი, ნუსხებში რომ არის მოხსენებული. ამრიგად, თითქოს უცნობია ჰაგიოგრაფებისათვის სახელები: 11) იულთელი მოღვაწისა (იულთა, აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებით, შერყვნილი იყალთოა; მაშინ იულთელი მამა ზენონი იქნება) და 12) ზენა-სოფლის ერთი მონასტრის მშენებელისა.

როგორც ზემომოტანილი ციტატიდან ჩანს, იოანეს ეს მოწაფეები, ჰაგიოგრაფის წარმოდგენით, მოღვაწეობენ (ქვეყნის სხვადასხვა ოლქებად დაყოფის თვალსაზრისით) კახეთში, კუხეთში და ზენა სოფელში; საეჭვოდ რჩება, როგორც განკერძოებული რაიონები, გარესჯის რაიონი[2] და მცხეთის სანახები. იოსებ ალავერდელის ნაგვიანევი ცხოვრების მიხედვით, ექვსნი იოანეს მოწაფეთაგან დამკვიდრდნენ კახეთს, ექვსნი-კი — ქართლს[3]; აქვე კახეთისადმი მიკუთვნებულია კონკრეტულად ალავერდი. ამ დაყოფით, კახეთსავე, რასაკვირველია, უნდა მიეკუთვნოს: 2) იყალთო (=იულთა?), 3) ქისიყი (სახელდობრ — ხირსა, თუ გარდმოცემას დავუჯერებთ)[4], 4) გარესჯა, 5) ნეკრესი და 6) მარტყოფი, — უფრო გვიანდელი ნომენკლატურით,—ანტონის სამოღვაწეო ასპარეზი. „კახელებსავე“ უნდა მიეკუთვნოს 7) ელია დეკანოზი, რომელმაც ცხოვრების გზა დაასრულა როგორც იმ მონასტრის მამათმთავარმა, იოანემ რომ ზედაზნის მთის ძირას ააგო[5]. გამოდის, რომ „კახელი“ შვიდია და არა ექვსი. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ამ საეკლესიო მოღვაწეთა სიები არ იყო ზუსტად დადგენილი.

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ გეოგრაფიული შინაარსი „ქართლის“, რომელსაც, ამ შემთხვევაში, მიეკუთვნება დანარჩენი ექვსი პუნქტი, სახელდობრ: 1) წილკანი, 2) სტეფანწმინდა[6], 3) მღვიმე-სარკინე, შიოს მოღვაწეობის ადგილი, 4) სამთავისი, 5) ულუმბა და 6) ბრეთი.

[1] საქ. სამ., 206, 210.

[2] გარესჯის რაიონი უპირისპირდება, ყოველ შემთხვევაში, კახეთს დავით გარესჯელის ცხოვრებაში, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ „მიიწივნეს მუნ კაცნი მონადირენი კერძოთაგან კახეთისათა“, საქ. სამ. 275; არქეტიპები, 39.

[3] ს. სამ., 217. [4] იქვე, 301.

[5] საქ. სამოთხე, 301—302.

[6] გარდმოცემით (იხ. საქ. სამ., 302) წმინდა სტეფანეს სახელობის მონასტერი აუგია თათას მდ. რეხულას ხეობაში, წლევის მთასე.

თუ ასურელი მამების უფრო ადრინდელ ცხოვრებათა ავტორების (და, რათქმაუნდა, ნაწილობრივ აგრეთვე რედაქტორების) გეოგრაფიულ წარმოდგენებს დავუბრუნდებით, ჩვენ დავადგენთ, რომ იქ „ზენა სოფელი“ იოსებ ალავერდელის უფრო გვიანდელ ცხოვრებაში მოხსენებულ „ქართლს“ შეესატყვისება აგრეთვე. თუ ზენა სოფლიდან უნდა გამორიცხოს, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, „ქალაქისა ჩუენისა“, ე. ი. მცხეთის, მიდამოები,— ქართლის იმ პუნქტებიდან, სადაც იოანეს მოწაფეები მოღვაწეობდნენ, „მცხეთის მიდამოებს“ შეიძლება განეკუთვნოს მხოლოდ წილკანი და მღვიმე-სარკინე. მაშასადამე, დანარჩენი ოთხი პუნქტი, უკვე უპირობოდ და უთუმცაოდ, მიეკუთვნება „ზენა სოფელს“. ესენი არიან: ორი პუნქტი რეხულას ხეობაში—1) სამთავისი[1] და 2) სტეფანწმინდა — წლევი[2], 3) ულუმბა, მდ. ალის-წყლის ხეობაში[3] და 4) ბრეთი, მდ. დვანისწყალზე. მაშასადამე, ჩვენ მიერ გარჩეულ ძეგლთა მიხედვით უკვე რეხულას ხეობიდან (სადგურ კასპიდან დაახლოებით), ყოველ შემთხვევაში, თვით სურამის ქედამდე მთელი ქართლი „ზენა სოფელს“ მიეკუთვნება.

მაგრამ ამავე ძეგლებში არის სხვა ცნობებიც, რომლებიც აზუსტებენ და შუქსა ჰფენენ ჰაგიოგრაფის წარმოდგენას ზენა სოფელზე. ასე, შიო მღვიმელის ცხოვრებაში იოანესა და მისი მოწაფეების ქართლში მოსვლის შესახებ მოთხრობილია შემდეგი: „ზეგარდამო ბრძანებითა“ მამები... „წარემართნეს გზასა, ქართლად მიმყუანებელსა“... და... „მიიწივნეს... ქალაქად ქართლისა“. თუ აქ რამე შერყვნილი არ არის,— რის შესაძლებლობა არ არის გამორიცხული, საბინინის გამოცემის საერთო ხასიათს თუ მივიღებთ მხედველობაში,— მაშინ ჰაგიოგრაფი ალბათ გულისხმობს „დედა-ქალაქს ქართლისას“, ე. ი. მცხეთას[4]. ყოველ შემთხვევაში, შემდგომი თხრობა მცხეთასთან ახლო მდებარე პუნქტზე მიგვითითებს, იმიტომ რომ ქართლის კათალიკოსი, აგრეთვე წინასწარ სათანადოდ გაფრთხილებული სირიელ მამათა ჩამოსვლისა და მათი მისიის შესახებ, ხვდება მათ მთელი თავისი კრებულით ზენა სოფლის საზღვრებთან: „აღდგა უკუ ღირსი ევლავიოზ ყოველთა

[1] ვახუშტი, გეოგრაფია, ბროსეს გამოცემა, გვ. 242.

[2] იქვე, 240—242. ვახუშტის ცნობით, თვით პუნქტს მამება ჰქვიან.

[3] იქვე, 266.

[4] ამ შემთხვევაში ფრაზა შემდეგნაირად უნდა იქნეს აღდგენილი: „ხოლო მოიწივნეს დედა-ქალაქად ქართლისა“...

თანა ეკლესიისა შვილთა და განვიდა ზენა სოფლამდე". არა გვგონია, რომ ჰაგიოგრაფს განზრახული ჰქონოდა ცხენზე შეესვა კათალიკოსი და მთელი მისი ამალა და შორეულ ქვეყნებში გაემგზავრებინა ისინი: უნდა ვიფიქროთ, რომ შეხვედრა მოხდა სადღაც მცხეთის ახლოს [1].

კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ ტერმინი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, შემონახულია აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაშიც, უეჭველად უძველეს ძეგლში ასურელ მამათა ცხოვრების აღწერილობათა შორის. ცნობილია, რომ აბიბოსის ცხოვრებამ საერთოდ ბევრი საინტერესო ისტორიული რეალია დაიცვა [2]. მოქმედება წარმოებს იმ დროს, როდესაც... „დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ჴელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა" [3], ე. ი. VI საუკუნეში.

აბიბოსი არის ქალაქ ნეკრესის ეპისკოპოსი, კახეთში („ხოლო აბიბოს, ნეკრეს-ქალაქისა ეპისკოპოსი, ჴევისა კახეთისა") [4]. აბიბოსი შეურაცხყოფს ცეცხლისთაყვანისმცემელთა სალოცავს და მას ამისათვის აპატიმრებენ, მაგრამ ვინაიდან მაშინ ქართლის, და, მაშასადამე, აგრეთვე კახეთის მოსახლეობის უზენაესი მსაჯულის ფუნქცია ეკუთვნოდა ქართლის მარზპანს [5], რომლის მუდმივი რეზიდენცია თბილისს იყო, ამიტომ „მისწერეს მსწრაფლ ზენა სოფლად მარზაპნისა საქმე ესე"... [6] მარზპანის ბრძანებით, აბიბოსი მასთან წაიყვანეს. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აქ ზენა სოფლად ქართლის გარკვეული (ცენტრალური) ნაწილი იწოდება და ზენა სოფელს განეკუთვნება ალბათ თბილისიც! მგზავრები ქართლ-კახეთის უძველესი მაგისტრალით წამოვიდნენ, გომბორზე (დაახლოებით, თანამედროვე გზატკეცილის მიმართულებით), რადგან პირველად მგზავრებმა იალდოს (უძველესი ფორმა უნდა იყოს თანამედროვე „იყალთო"-სი) შეისვენეს [7]. შემდგომ მოთხრობილია,

---

[1] საქ. სამ., 224—225. შეხვედრის შემდეგ, როგორც ცხოვრების ავტორი მოგვითხრობს, ყველანი წარემართნენ და მიაღწიეს მცხეთის კათედრალს; იქვე, 226.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტ. I³, 332—335.

[3] საქ. სამ. 213; შდრ. არქეტიპები, 42.

[4] იქვე, 214, საბინინის გამოცემაში — „ნეკრესელ-ქალაქის"; აღსანიშნავია, რომ არქეტიპები, გვ. 48, „ჴევს" სცვლიან „სამჴრო"-თი.

[5] ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, VI საუკ. შუაწლებში დაწერილი, საქ. ქამოთხე, 314.

[6] იქვე, 214.

[7] იქვე, 214, არქეტიპები, 43

თუ როგორ მოაღწიეს მათ „სამეფოსა ქალაქსა მცხეთასა“ [1]. აქ აბიბოსს ვითომ უფლებას აძლევენ ინახულოს თავისი ამხანაგი შიო, მღვიმე-სარკინეში, და მხოლოდ ამის შემდეგ „მიიყვანეს იგი მარ-ზაპნისა მის ზენა სოფლად, სოფელსა, რომელსა ჰრქუიან რეკი“ [2]. ამ ნაწყვეტიდან კარგად არა ჩანს, მიაკუთვნებს თუ არა ავტორი მცხეთასა და მღვიმე-სარკინესაც ზენა სოფელს, თუ მას ჰსურს, მხოლოდ რეხის ადგილმდებარეობა განსაზღვროს ამ ცნობილი, ზოგადი გეოგრაფიული ცნების საშუალებით. სად მდებარეობდა ეს რეკი? აქ ყველაზე მეტი დამაჯერებლობით არჩევანი შეიძლება შეჩერდეს ამ სახელწოდების მქონე და ისტორიულად ცნობილ ორ პუნქტზე: 1) ერთი იქ მდებარეობდა, სადაც ლიახვი მტკვარს ერთ-ვის და სადაც (ცოტა უფრო სამხრეთით) შემდეგში წარმოიშვა ქ. გორი; 2) მეორე — ქცია-ხრამის სათავეებთან, სადაც დღევანდ-ლამდე არსებობს დიდი სოფელი ამავე სახელწოდებით. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, თუ ვივარაუდებდით, რომ აქ ნაგულისხმ-ვია პირველი პუნქტი, რადგან ის ქართლის ცენტრში მდებარეობ-და და რადგანაც იქ სამსახურებრივ მოვალეობათა გამო ადვილად შესაძლებელია ყოფილიყო იმ მომენტში მარზპანი. მეორე პუნქტი-კი, რომელიც მაღლა მთაში მდებარეობს, უფრო მეტს ეპვს იწ-ვევს. მაგრამ თრიალეთის რეხას სასარგებლოდ მეტყველებს ის, მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ამ დიდი სოფლის მახ-ლობლად დღევანდლამდე შემონახულია მონასტერი, აწ უკვე დან-გრეული, რომელიც წმინდა აბიბოსის სახელს ატარებდა (ბატო-ნიშვილი ვახუშტის რუკით — „აბიბოს მონასტერი“) [3]. ჩვენ-კი ვი-ცით, რომ აბიბოსი, წამებული რეხას, იქვე იყო დამარხული ქა-ლაქ გარეთ (რეხა ამ ადგილას ქალაქად არის წოდებული). აბი-ბოსი დამარხეს განდეგილებმა, რომელნიც რეხას მიდამოებში ცხოვრობდნენ, იმ მონასტერში, რომელიც, ავტორის რწმუნებით, აუშენებია ერთ პირს, როგორღაც დაკავშირებულს აგრეთვე სი-რიელ მამებთან [4].

---

[1] ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, საქ. სამოთხე, 214; არქეტიპები, 43.

[2] საქ. სამ., 215; არქეტიპები, 44.

[3] იხ. აგრეთვე თანამედროვე რუკები, მაგ. თბილისში 1927 წ. გამოც. ყოფ. თბილისის მაზრის რუკა პ. ინგოროყვას რედაქციით.

[4] საქ. სამოთხე, 215; არქეტიპები, 45.— ეს ცნობა აქ რამდენადმე ბუნდოვა-ნად არის გამოთქმული. მეორე გარდმოცემით შემდეგში აბიბოსის ნეშტი მცხ-თას იყო გადმოტანილი, საქ. სამ., შენიშვნა 215 გვერდზე.

უნებლიედ იბადება აზრი, უკვე არსებული ეს გარდმოცემა ხომ არ გახდა იმის მიზეზი, რომ შემდეგში ამ ადგილებში აშენებული მონასტერი აბიბოსის სახელით მონათლეს? მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ რეხასა და აბიბოსის მონასტრის შორიახლოს ბატონიშვილი ვახუშტი უჩვენებს სოფ. საპიტიახშოს (ეხლა რომ შერყვნილად ზაბიტახჩად არის რუკებზე აღნიშნული). ეს გარემოება ბადებს კითხვას: ხომ არ იყო აქ ქართლის პიტიახშების საზაფხულო რეზიდენცია? ქციას სათავეები ხომ პიტიახშების სამფლობელოში შედიოდა გარკვეულ პერიოდში. ასეთი განმარტებისას მარზპანის რეხას ყოფნაც, ჰაგიოგრაფის მიერ აღნიშნულ მომენტში, სათანადოდ იქნებოდა ახსნილი (საზაფხულოდ გამგზავრება!)[1].

მაშასადამე, თუ მეორე ლოკალიზაციას მივიჩნევთ სწორად, მაშინ მროველის ცნობა იმის შესახებ, რომ ზენა სოფლის ფარგლებში წალკაცა და თრიალეთიც შედიოდა, ახალ დასაბუთებას ჰპოვებს. როგორც არ უნდა იყოს, აბიბოსის ცხოვრების ზენა სოფელი აგრეთვე მეტნაკლებად ემთხვევა ლეონტი მროველის ზენა სოფელს.

ამრიგად, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ცნობების განხილვის საფუძველზე ჩვენ ექვს გარეშე ვადგენთ ზენა სოფლისა და შიდა ქართლის ცნებების თითქმის სრულს გეოგრაფიულ-ტერიტორიულ იგივეობას. ოღონდ ეგაა, რომ ზენა სოფლის აღმოსავლეთის საზღვარი ძეგლებში ერთგვარი სხვაობით არის გადებული: ზოგჯერ იგი თბილისთან არის გატარებული (თუ თვით თბილისზე არა), ხან — მდ. არაგვზე და არმაზზე, ზოგჯერ კიდევ თითქოს მცხეთიდან რამდენადმე დასავლეთითაც. ეს მერყეობა

---

[1] აზრი იმის შესახებ, რომ აბიბოსის ცხოვრება გულისხმობს წალკის რეხას, გამოთქმული აქვს აგრეთვე პროფ. ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ს; მანვე ყურადღება მიაქცია იმ მნიშვნელობასაც, რომელიც ამ ლოკალიზაციისათვის აქვს აბიბოსის მონასტრის და საპიტიახშოს არსებობას წალკის რეხის მახლობლად. იხ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის, საიუბილეო კრებული: „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის", გვ. 35—37. მაგრამ პროფ. მელიქსეთ-ბეგი გაკვირვებით კითხულობს: „რაფერ არის მოხსენებული მარზპანი, მაშინ, როდესაც თრიალეთ-წალკა იმ ხანებში (V—VI სს.) გუგარქ-ჯოგარენეს (გუგარეთის) საპიტიახშოს ტერიტორიის შემცველ (ჯალმის შეცდომაა.— ს. ჯ.) ნაწილს შეადგენდა", და დასძენს, რომ „ჰაგიოგრაფს რასაკვირველია მხედველობაში ჰყავს გუგარეთის პიტიახში, რომელიც მას მარზპანად მიაჩნია, ვინაიდან ტერმინი „პიტიახში" (პიტაჯსი) ეუცხოვა", იქვე, გვ. 37. ეს მსჯელობა მცდარია: ჰაგიოგრაფს მხედველო-

აღმოსავლეთის საზღვრის განმარტებაში არ უნდა იყოს შემთხვევითი (ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ზენა სოფლის ხსენება ჩვენ გვხვდება სხვა ძველ ქართულ ძეგლებშიაც. ასე, კონსტანტი (თუ: კონსტანტინე) — კახას მარტვილობაში ნათქვამია, რომ „მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ქ ა რ თ ლ ი ს ა ს ა, ს ა ნ ა ხ ე ბ ს ა ზ ე ნ ა ს ო ფ ლ ი ს ა ს ა კაცი, რომელსა სახელი ერქუა კონსტანტინე, რომელსა ეწოდა კახი (გამოცემაში შეცდომით—„კაცი“) მამულისა მის ქუეყანისა. კაცი ესე იყო წარჩინებულ ფრიად დიდად ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა“... [1]

აქ საყურადღებოა განმარტება, რომ „ზენა სოფელი“ „ქართლის ქვეყნის“ ერთი ს ა ნ ა ხ ე ბ ი ა, ე. ი. ერთი კანტონი, თემი. მაგრამ, სამწუხაროდ, ძეგლში არავითარი მითითება არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ სად უნდა ვეძიოთ ეს სანახები. აკად. კ. კეკელიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ კონსტანტინე კახეთის ერისთავი იყო და ზენა სოფელში იგი მხოლოდ შეპყრობილ იქნაო. ეს მოსაზრება დამყარებულია კონსტანტის მეტსახელზე, რომლის მიხედვითაც იგი „კახი“ უნდა ყოფილიყო წარმოშობით [2]. კონსტანტი კახა შეეწირა, როგორც ჩანს, თბილისის გამდგარ ამირა საჰაკთან მოკავშირეობის საქმეს. და ჩვენ რომ დარწმუნებული ვიყოთ,— კახა მონაწილეობას იღებდა საჰაკის ბრძოლებში უკვე მოჰმედ ხალიდის ძის წინააღმდეგო, მაშინ ზოგი ისტორიული ცნობა

ბაში ჰყავს სწორედ მარზპანი, ორივე ტერმინი მისთვის სავსებით ცნობილი იყო, მარზპანიც აღწერილია შესაფერ როლში, იმდენად, რამდენადაც ქართლის პიტიახშიც, ქართლის იმდროინდელ (VI საუკუნის შუაწლები და მომდევნო ორი ათეული წელი) სხვა მსგავს მაგნატებთან ერთად სავსებით ემორჩილებოდა მარზპანს, როგორც ქართლის უზენაეს მმართველს. საკმარისია გავიხსენოთ ცნობები, რომლებიც მოიპოვება ძეგლში: „წამება წმ. მოწამისა ევსტათი მცხეთელისა“. გარდა ამისა, პროფ. მელიქსეთ-ბეგის თვალსაზრისით სრულიად გაუგებარი რჩება: რატომ მოხდა, რომ ჩიგნით კახეთის მოღვაწე აბიბოსი გასასამართლებლად „გუგარეთის“ პიტიახშს მიჰგვარეს, როდის და რანაირად შეიძინა ამ უკანასკნელმა უზენაესი უფლებები მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე (ცხოვრების მტკიცებით ხომ ნეკრესში მომხდარი ამბების შესახებ ადგილობრივმა ხელისუფლებმა მარზპანს აცნობეს, ხოლო მარზპანმა უბრძანა მათ აბიბოსი მასთან მხარგაკრული მიეყვანათ).

[1] საქ. სამოთხე, 364. მეტსახელი კახისათვის ხელნაწერები იძლევიან საკითხავს: „რომელსა ეწოდა კახი სახელად მამეულისა მის ქუეყანისა“, იხ. აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, ტფ. უნ. მოამბე, VII, 163.

[2] დასახელ. თხზ., 163—4.

შეიძლებოდა კონსტანტის „კახელობის“ სასარგებლოდ გაგვეგო. სახელდობრ, „მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს, რომ მოჰმედ ხალიდის ძის წინააღმდეგ „მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად საჰაკისსა“-ო. საინტერესოა, რომ ძლიერი ბრძოლა, რომელიც, ქართული ცნობით, უშედეგო ყოფილა, მომხდარა „რ ე ჯ ს“. არაბული მოწმობით, ხალიფას ემისარმა თითქოს გაიმარჯვა, ს ა ნ ა რ ი ე ლ ე ბ ი ს (ე. ი. სწორედ კახელების) წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს შ ე მ დ ე გ, საჰაკი გააძევა ქვეყნიდან და სანარიელებიც გააქცია[1]. შეიძლებოდა ამიტომ გვეფიქრა-მეთქი, რომ კონსტანტი სწორედ ამ „კახი გარდაბანელების“ მეთაური იყო. ამას მხარს დაუჭერდა კახას მარტვილობის ცნობა, რომ კახა დასჯილ იქნა 849 წელს [2], რაც უახლოვდება უფრო მოჰმედის ლაშქრობის თარიღს, ვიდრე ბუღა თურქისას[3]. ამ შემთხვევაში, „ზენა სოფლის“ ცნება კახეთსაც დაჰფარავდა. მაგრამ ყველა ცნობა, მათ შორის ისეთი დოკუმენტური ხასიათისა, როგორიცაა ატენის სიონის კედლის წარწერა[4], ამტკიცებს, რომ კახა შეპყრობილ იქნა ბუღა თურქის მიერ, რომლის წარმატებით დაგვირგვინებული ლაშქრობა საჰაკის წინააღმდეგ 853 წელს ეკუთვნის. გარდა ამისა, ზოგიერთი არაპირდაპირი მითითება გვაფიქრებინებს, რომ კახა არის ერთი, ყველაზე ადრე ცნობილი, წარმომადგენელთაგანი თორელების (შემდეგ — ჯავახიშვილების) მომდევნო საუკუნეებში განთქმული საგვარეულოსი. ამას გვაგულვებინებს, კერძოდ, სახელი „კახა“, რომელიც საყვარელი საგვარეულო სახელი ჩანს ამ გვარში. ხოლო კახასა და მისი შვილის მოხსენიება ატენის წარწერაში შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ე რ თ გ ვ ა რ ი მოწმობა იმისა, რომ კახა ამ მხარეების მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელია,— წარწერა ხომ არ იხსენიებს არც ერთს სხვა ადგილობრივს (ქართველს) პოლიტიკურ მოღვაწეს! როგორც არ უნდა გადაწყდეს კახას ვინაობის საკითხი, ერთი რამ მაინც მეტნაკლებად უეჭველია: ზენა სოფელი აქ ყოველ შემთხვევაში არ

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქართველოში, გვ. 63.

[2] საქ. სამოთხე, 368.

[3] თუ კონსტანტი 849 წელს დაისაჯა, შეპყრობილი იქნებოდა იგი უფრო ადრე. ამავე დროს, ხალიდის უკანასკნელი ლაშქრობა ქართლში საჰაკის წინააღმდეგ, რაც წინ უსწრებდა მისი შვილის მოჰმედის მომდევნო, ზემოთ ნაგულისხმევს, ლაშქრობას, მომხდარა 841—2 წელს, იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა, 63, 368. 4.

[4] ეს წარწერა იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტ., II, 376.

შეიძლება ნიშნავდეს მერმინდელს „ზემო ქართლს“, ე. ი. სამცხე-ჯავახეთსა და მათს სამხრეთით მდებარე თემებს. ეს ცხადია საერთო სიტუაციიდან. ხალიფასგან დამოუკიდებლობისათვის გამართულ ბრძოლაში თბილისის ამირას ბუღა თურქის წინააღმდეგ ეხმარება აფხაზთა მეფე. სამაგიეროდ ბუღასა და, საერთოდ, ხალიფას აგენტების მოკავშირე არის სამხრეთ საქართველოს სამთავროს მეთაური, ბაგრატ, აშოტ კურაპალატის ძე, რომელმაც თავისი ასეთი პოზიციისათვის უკვე ბუღას წინამორბედი სარდლისაგან, მოჰმედ ხალიდის ძისაგან, საზღაურად მიიღო ქართლი[1], რათქმაუნდა — ვიწროდ გაგებული, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ — შიდა ქართლი. იქნებ სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ განსაზღვრა კახას საწინააღმდეგო პოზიციაც: შიდა ქართლი, იგივე ზენა სოფელი, რომელიც ლეონტი მროველისეული განმარტების თანახმად დასავლეთით ტასისკარს უწევდა, ხოლო სამხრეთით — ფარავნის ტბას, შეიცავდა ატენის ხეობასაც და მის გარშემო, კერძოდ — სამხრეთისაკენ, მდებარე ვრცელ რაიონსაც. ამრიგად, ბაგრატ კურაპალატის მიერ შიდა ქართლის მიღება პირდაპირ სჩაგრავდა კახას ინტერესებს.

კახას წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით საბაბი გვეძლევა ვუჩვენოთ, რომ „ზენა სოფლის“ ზემოთ აღნიშნული გაგება შენახულია უცხოურს, კერძოდ — სომხურ მწერლობაში. თომა არწრუნი, მაგ., ამავე კახას სწორედ „კახაჲ ზენა სოფლელს“, *Կախայ վերին աշխարհցին,* უწოდებს[2]. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, თომას ეს ცნობა ქართული წყაროდან მომდინარეობსო, მაგრამ რომ ამგვარი ნომენკლატურა საერთოდ კარგად ყოფილა ცნობილი სომხურ მწერლობაში, დასტურდება ძველი სომხური ანონიმური გეოგრაფიითაც. ამ გეოგრაფიის ვენეციურ რედაქციაში ნათქვამია: „ქართლის კანტონებია: ... კლარჯეთი..., შავშეთი, არტაჰანის კანტონი..., რომელსაც ჩაუდის დიდი (ძლიერი) მდინარე მტკვარი, რომელიც გამოდის ტაოდან, კოლას კანტონიდან, დის ჯავახეთის ძირობაზე, ჩადის სამცხეში, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და დის ქართლის (ქართველთა) ზემო ქვეყანაზე, შუაში ჰყოფს რა კანტონებს გოროთისხევს, ტუნისხევს, რომლის თავშია სიმაგრე დეკიციხე, და მანგლისისხევს და ბოლნისისხევს ვიდრე პარუარის კანტონამდე, რომელიც გარს აკრავს ქალაქ თბი-

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა, 63.

[2] *Պատմութիւն Տանն Արծրունեաց,* პატკ. გამოც. 1887 წ., გვ. 187; თბ. გამოც. 1917 წ., გვ. 304.

ლისს"... Աշխարհ վրաց... և գաւառք են այս, սկսեալ 'ի Վոհ. գետոյ և 'ի հիւսիսոյ Տայոց. Կլարճք, զոր 'ի Հայոց հանեալ է, և Շաւշէթ. Արտահան գաւառ, զոր առեալ է'ր հայոց, ընդ որ անցանէ գետն հպօր Կուր, որ 'ի Տայոց գալով, 'ի Կող գաւառէ ընդ ստորոտս Ջաւախաց, իջանէ 'ի Սամցխէ և դառնայ յարևելս անցանելով ընդ վերին աշխարհն Վրաց, բաժանելով զդաւառսն զԳոռոթիսխեւ՝ զտունիսխեւ, որոյ 'ի գլուխն Դեկիցխէ բերդ, և զՄանգլեացփոր, և զԲողնուփոր՝ մինչև ցՊարուար գաւառ, որ պատէզՏփխիս քաղաքաւ.

Შემდეგ კიდევ მდინარე არაგვზე ნათქვამია, რომ იგი გამოდის კავკასიონიდან, ჩაივლის, სხვათა შორის, მცხეთასა და წმინდა ჯვრის ბორცვს შორის, „ჩადის მტკვარში და (ამრიგად) თავდება ქართლის (ქართველთა) ზემო ქვეყანაში"... *յԱրագւ գետ, որ հոսի 'ի Կաւկասայ, և դնալով ընդ հարաւ ընդ Ախալցիխէ բերդ, և անցանէ ընդ մէջ Մցխիթայ քաղաքի և բերոյ Սուրբ խաչին, իջանէ 'ի կուր, և բովանդակի 'ի վերին աշխարհ Վրացյորմէ յաւաջ խաղացեալ Կուր դայ 'ի Տփխիս մայրաքաղաք*[1].

ამ აღწერილობიდან საკმაო გარკვეულობით ცხადი ხდება, რომ სომეხი გეოგრაფის წარმოდგენით ქართლის „ზემო ქვეყანა", ე. ი. იგივე „ზენა სოფელი" იწყებოდა მაშინვე სამცხის შემდგომ, შეიცავდა კანტონებს მტკვრის ორსავე ნაპირას (მათ შორის მანგლისისა და ბოლნისის ხევსაც კი!), ხოლო თავდებოდა თბილისის კანტონთან (შესაძლოა, ამ უკანასკნელის ჩართვითაც),— ამას გვაფიქრებინებს გამოთქმა „ვიდრე": ხომ არ შეიძლება ტექსტი ისე გავიგოთ, რომ მტკვარი დიოდა ვიდრე თბილისამდე! ან რომ მტკვარი ბოლნისის ხევს განჰყოფდა ვიდრე თბილისამდე! ერთიცა და მეორეც უაზრობაა.— არაგვის შესართავი ხომ ამ „ზემო ქვეყანაშია" უეჭველობით ნაჩვენები.

ამრიგად, „ზენა სოფლის" ძველი ცნების გეოგრაფიული მნიშვნელობა დადგენილად უნდა ჩაითვალოს — იგი მეტნაკლებად საშუალო საუკუნეების „შიდა (შინა)" ქართლს ემთხვევა. ამას მოწმობენ ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ასურელ მამათა ჰაგიოგრაფები, კახას ცხოვრების აღმწერი და სომსური წყაროები. ასევე გაიგო ძველი ცნობები ვახუშტიმაც: „ხოლო ტაშისკარსა და ლი-

[1] *Աշխարհացոյց Մովսէսի Խորենացւոյ, Վեն. 1881,* სუკრის გამოცემა, გვ. 38—9. პატკანოვის მიერ გამოცემული რედაქცია მეტად მოკლეა და ამ ნაწილში შეიცავს მარტოოდენ 5 კანტონების ჩამოთვლას. იხ. Армянская географія VII в. по Р. Х. 1887 г., გვ. 39—40

ხის მთას ქვეითი არაგვ-ტფილისამდე სამნი ესე სასპასპეტონი: მემარცხნე მუხრანისა, მემარჯვნე ქართლისა, მეფის თანა მყოფი, ტფილის ზეით, მტკვრის სამჴრეთისა და თრიალეთი ფანავრამდე,— არიან წილი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა; და უფლოსისაგან ეწოდა ზენა სოფლები შიდა ქართლს“ [1]. გეოგრაფიული წარმოდგენების ცვლილება, რომელიც ნომენკლატურის აღნიშნულ ცვლილებას უძევს საფუძვლად, კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგივე სახელწოდება „ზენა სოფელი“, მხოლოდ უფრო ახალ ტერმინებში გამოთქმული, სახელდობრ — „ზემო ქვეყანა“, იხმარებოდა ქართული ფეოდალიზმის კლასიკურ ხანაშიაც, ოღონდ ეხლა იგი უკვე სულ სხვა მხარეს განეკუთვნებოდა: „ზემო ქვეყანა“ შიდა ქართლის სამხრეთით იგულისხმება, იგი სამხრეთ საქართველოს სახელწოდებაა. ასე, „მატიანე ქართლისაი“ (XI ს.) მოგვითხრობს, რომ კლდეკარის ერისთავთ-ერისთავმა ლიპარიტმა, თრიალეთის და მანგლისის ხევის მფლობელმა, ბაგრატ IV-ის დაუძინებელმა მტერმა, გამოიყვანა ბატონიშვილი დემეტრე ბიზანტიელთა ლაშქრით, მიიმხრო სხვა დიდებულებიცა და აზნაურებიც, „მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენსა და მოწვეს არე-არე ქართლი“ [2]. მეამბოხეებმა ატენის ციხე ვერ აიღეს, ზამთარიც მოახლოვდა და, ჩანს, ამიტომ „ენება ბერძენთა შელმართ (ე. ი. სწორედ ზევით! მაშასადამე, უკან, ს. ჯ.) წასვლა“-ო. აქ ქართლის ცნებიდან თრიალეთი და მანგლისის ხევიცაა გამორიცხული, მაშასადამე, საქმე ეხება საკუთრივ ქართლს. „ზემო ქვეყანა“ მის სამხრეთითაა.

„ზემო ქუეყანა“ გულისხმობდა „შიდა“ და „ქვემო ქვეყანასაც“ და შეესაბამებოდა „ზემო“, „შიდა“ და „ქვემო ქართლს“. ეს უკანასკნელი ნომენკლატურა უფრო ხშირად იხმარებოდა, ჩანს, და ამიტომ უფრო სრულადაც არის შენახული. „ზემო ქართლისა“ და „ქვემო ქართლის“ მნიშვნელობა და ხმარების შემთხვევები უფრო ახალ დროებში კარგად არის ცნობილი და ამიტომ ჩვენ აქ მათზე აღარ შევჩერდებით. გაკვრით ვიტყვით, რომ „შიდა (შინა) ქართლი“ ბუნებრივად გულისხმობდა „გარე ქართლს“, ისე როგორც „შიგნით კახეთს“ შეეფარდება „გარე კახეთი“. მაგრამ, თუ არ ვცდებით, „გარე ქართლი“ არსად გვხვდება. ადრეევე, ჩანს, „შიდა ქართლი“ გაგებულ. იქნა როგორც „შუა ქართ-

[1] გეოგრ., ლ ო მ ო უ რ ი ს ა და ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამ., 84.
[2] ქ“ცხ., მარ. 260; ანას. 185--6.

ლი“[1], რომლის კომპონენტებად ბუნებრივად გამოვიდნენ „ზემო ქართლი“ და „ქვემო ქართლი“.

საგანგებო დასაბუთებას არ მოითხოვს მოსაზრება, რომ ამ დაყოფას, ისევე როგორც ჩვეულებრივად სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, საფუძვლად დაედო მთავარი მდინარის (აქ — მტკვრის!) დენა. თვით დანაყოფთა მიჯნები ძირითადად განსაზღვრულია სახელისმდებელი საზოგადოებრივი კოლექტივის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების მიხედვით, რომელნიც ამ შემთხვევაში ორიენტაციის ამოსავალ პუნქტს შეადგენენ. „შიდა ქართლი“, ე. ი. ცენტრალური ქართლი, ქართლის სამეფოს ის ნაწილია, რომლის ტერიტორიაზედაც ძევს მისი ძველი და ახალი დედაქალაქები — მცხეთა და თბილისი (მცხეთა ამ შემთხვევაში აშკარად უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება).

სულ სხვა ორიენტაციისა და სხვა დაყოფის შედეგია „ზენა სოფელი“, რომელიც საშუალო საუკუნეების ქართლის ცენტრალურ პროვინციას ჰფარავს. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ-კულტურული კოლექტივის ამოსავალი საორიენტაციო პუნქტი, ე. ი., სხვა სიტყვით, მისი სახელმწიფოებრივი და კულტურული ცენტრები, მცხეთასა და თბილისზე სამხრეთით იმყოფება. თუ — სად ან რა შეადგენს ამ შემთხვევაში დაყოფის საფუძველს (იგივე მტკვარი თუ სხვა ობიექტი), ეს ცალკე საკითხია და მას ჩვენ აქ არ ვეხებით. ჩვენთვის ამჯერად საკმარისია იმისი დადგენა, რომ არც თბილისი და არც მცხეთა ამ ძველი დაყოფის ამოსავალ საორიენტაციო პუნქტებად არ გამოდგება.

მართლაც, რა მივიღეთ? საშუალო საუკუნეებში გაბატონებულ სახელწოდებას „შიდა ქართლი“ უფრო ადრინდელი ხანისათვის სცვლის „ზენა სოფელი“. რომ „ზენა სოფელი“ უფრო ძველი სახელწოდებაა, ამას მოწმობს: 1) ლეონტი მროველის პირდაპირი განცხადება („აწ“!); 2) ის ფაქტი, რომ ზენა სოფლის ხსენება ჩვენ გვხვდება მხოლოდ ძველ ძეგლებში, ხოლო ქართული ფეოდალიზმის კლასიკურ ხანაში იგი სრულიად ქრება; 3) თვით ტერმინოლოგია: „ქვეყნის“ ცნება აქ აღნიშნულია სიტყვა „სოფლით“, მაშინ როცა შემდეგში, უკვე XI საუკუნეში, მას სცვლის, როგორც ვნახეთ, უფრო ახალი ტერმინი „ქვეყანა“ („ზემო ქვე-

[1] ლეონტი მროველთან გვხვდება „შუა ქართლ“, ქ'ცხ. მარ., 12₃, მაგრამ არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს ტექნიკური ტერმინია და არა აღწერილობითი გამონათქვამი.

ყანა“). რომ ამგვარ სიტყვახმარებაში ტერმინი „სოფელი“ ძეგლის სიძველეს მოწმობს, ეს დამაჯერებლად ნაჩვენებია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ და აშკარაა ყველასათვის, ვინც ძველ-ქართულ მწერლობას იცნობს.—შესაძლოა ასეთივე ურთიერთობა არსებობდეს „ზენა“-სა და „ზემოს“ შორისაც.— დასასრულ, სიძველის მაჩვენებელია თვით რეალური ურთიერთობა: ქვეყნის ოდინდელი უკიდურესი ნაწილის მოქცევა, მომდევნო ხანისათვის, ქვეყნის ცენტრში.

ჩავუკვირდეთ ეხლა „ზენა სოფლის“ ფარგლებს. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ამ მხრივ ცვალებადი ჩანს პროვინციის აღმოსავლეთის საზღვარი; იგი გადის ან თბილისზე, ან არაგვის შესართავზე, ან (მიახლოებით) მდ. რეხულაზე (კასპზე). აქ გარკვეული ტენდენცია ჩანს: პროვინცია იკვეცება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. უეჭველია, ამ ტენდენციის განვითარება (მტკვრის დენის მიმართულებით, ეხლა უკვე სამხრეთისაკენ) იყო ისიც, რომ ბოლოს „ზენა სოფლის“ ხმარება შიდა ქართლის აღსანიშნავად აუტანელი გახდა და ეს სახელწოდება, ახალი ტერმინებით გამოთქმული („ზემო ქუეყანა“), უკვე ძველი „ზენა სოფლის“ გ ა რ ე შ ე, მის ზ ე მ ო თ მდებარე ქვეყანას (სამხრეთ საქართველოს) მიეკუთვნა.

ცხადია, ეს ტენდენცია გამოიწვია კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების დამკვიდრებამ გარკვეულ რაიონში და სამეფოს ტერიტორიულმა ზრდამ გარკვეული მიმართულებით. სახელდობრ, როცა ასეთი ცენტრის როლი მცხეთას დაეკისრა, ზენა სოფლის ძველებური გაგება, რომელიც შიგ იყოლებდა მცხეთასაც, შეუფერებელი და მიუღებელი აღმოჩნდა. ამით აიხსნება, რომ „სამეფო ქალაქის“ რაიონს ასეთი დაბეჯითებით გამორიცხავენ რიგი ძველი ძეგლები „ზენა სოფლის“ ფარგლებიდან.

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი გაგება (ზენა სოფელი — რეხულას დასავლეთით!) არის უძველესი და რომ სათანადო წარმოდგენა შემდეგში ფართოვდება აღმოსავლეთისაკენ, ჯერ არაგვამდე, ხოლო შემდეგ თბილისამდე, ე. ი. ხომ არ შეიძლება დავუშვათ ზემოთნაგულისხმევის საწინააღმდეგო ტენდენცია? მაშინ შეიძლებოდა ორიენტაციისა და სახელდების ამოსავალ პუნქტად იგივე მცხეთა მიგვეჩნია (თუმცა დაყოფის პროპორციები მაინც გამოიწვევდა ეჭვს). მაგრამ ასეთი ტენდენციის ვარაუდისათვის საქართველოს ძველი ისტორია არავითარს დასა-

ყრდენ მასალას, შეიძლება პირდაპირ ითქვას — არც ერთ ფაქტს, არ იძლევა.

განვიხილოთ ისეთი შესაძლებელი უკუთქმაც, რომ ლეონტი მროველმა ხელოვნურად შეუფარდა „ზენა სოფლის“ ცნება თავისი დროის ცოცხალ ცნებას „შიდა ქართლს“ და ამისათვის პირველის ფარგლები გაზიდა აღმოსავლეთისაკენ თბილისამდე, როგორც ამას მოითხოვდა ლეონტის გეოგრაფიული წარმოდგენა შიდა ქართლზე. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ სომხური გეოგრაფიაც „ქართლის ზემო ქვეყანას“ წარმოიდგენს არა მარტო ასეთს ვრცელ ფარგლებში, არამედ კიდევ უფრო ფართოდაც — ბოლნისისხევის ჩართვით. გადავიკითხოთ კიდევ ერთხელ ეს ადგილი: მტკვარი „ჩადის სამცხე'ში, მოუხვევს აღმოსავლეთისაკენ და დის ქართლის ზემო ქვეყანაზე, შუაში ჰყოფს რა კანტონებს გოროთისზევს, ტუნისხევს..., და მანგლისისხევს და ბოლნისისხევს ვიდრე პარუარის კანტონამდე, რომელიც გარს აკრავს ქალაქ თბილისს.“ რომ აქ სიტყვა „ვიდრე“ განსაზღვრავს „ზემო ქვეყანას“, ეს მტკიცდება არა მარტო ლოგიკურად, არამედ ტექსტუალურადაც: ამ ადგილას წყდება აღწერილობა არა ქართლისა საერთოდ, არამედ მისი ერთი ნაწილისა მხოლოდ; შემდეგ ავტორი კვლავ განაგრძობს აღწერას ქართლის კანტონებისას. ფრაზას თბილისის კანტონის შესახებ მოსდევს შემდეგი ტექსტი: „ხოლო ეს სამი პატარა ხეობა (*փորակ*) სომხებისაგან არის წართმეული (ქართველების მიერ, ს. ჯ.). დიდი მდინარის მტკვრის ჩრდილოეთით-კი, თარის კანტონის პირისპირ, არგვეთის მთებია, და იმავე ხეობის (*դաշտին*) ადგილიდან დვანი, და აჩევეტისხევი, და ქორდითირიკოსხევი, ვიდრე საცხუმეთამდე, რომელიც კავკასიის ძირობაზეა, საიდანაც გამოდის მდინარე ლეხი (ცხადია, ლიახვი, ს. ჯ.), რომელიც დის რა სამხრეთისაკენ, ჩადის მტკვარში; და იქვეა (*ատ նուվաւ*) ხარნისხევი ცხრასძმაიადან ვიდრე მდინარე არაგვამდე“ [1]. ამას მოსდევს ზემოთ, თავის ადგილას მოტანილი, აღწერილობა არაგვის მიმდინარეობისა, რომელსაც კვლავ მოსდევს ქართლის აღწერა: „საიდანაც („ზენა სოფლიდან“? არაგვის შესართავიდან? მთლად ნათელი არ არის, ს. ჯ.) მტკვარი წინ დის, მიდის დედაქალაქ თბილისამდე, სტოვებს მას პარუართან ერთად (*գնա թողլով Պարուարաւ*) და (გასდის) წოროფორს და კოლბოფორს და ძოროფორს თანამოსახელე მდინარეებითურთ, ვიდრე

[1] სუკრი, გვ. 38—39.

ქალაქ ჰნარაკერტამდე, რომელიც წართმეულია სომხებისაგან". შემდეგ აღწერილია ამ ადგილების სამხრეთით მდებარე ჯავახეთი, თრელნი, ტაშირი, განკარქი, „ყველა წართმეული სომხებისაგან"; ხოლო ამათ ჩრდილოეთით — კანტონები ხვეთი, ხერკი, ერწვო, თიანეთი, წობენორი [1]. აშკარაა, რომ პირველ ნაწილში (სამცხესა და თბილისს შორის) „გეოგრაფია" აღწერს მტკვრის მიერ შუაში გაყოფილს (მტკვრის ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდებარე) კანტონებს ზენა სოფლისას. ამრიგად „სომხური გეოგრაფია" ამტკიცებს რწმენას, რომ „ზენა სოფელი" შორს ჩადიოდა სამხრეთისაკენ, შესაძლოა უფრო შორსაც, როგორც ამას საერთო ისტორიული მოსაზრებები გვაგულისხმებინებს ჩვენ პირადად და რაც, ბუნებრივია, არ არის ისტორიული მწერლობის მიერ დაჭერილი.

მაგრამ, ესეც არ იყოს, ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყაროები არაგვის შესართავს და, მაშასადამე, თვით მცხეთას ზენა სოფელში გულისხმობენ. მაშასადამე, მცხეთა გამორიცხულია, როგორც ორიენტაციის ამოსავალი პუნქტი. თბილისზე საუბარი ზედმეტია, რადგანაც იგი, როგორც ცენტრი, ბევრად ახალგაზრდაა მცხეთაზე.

ამრიგად, ჩვენი დასკვნა, ყოველივე ზემოთქმულის ნიადაგზე, შემდეგი იქნება: აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ის დაყოფა, რომლის მიხედვითაც ფეოდალური ხანის „შიდა ქართლი" „ზენა სოფელს" წარმოადგენს და ეს ზენა სოფელი, ზემო ქვეყანა, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ვრცელდება ვიდრე (ყოველ შემთხვევაში) თბილისამდე. წინ უსწრებს მცხეთის სატახტო ქალაქად გადაქცევის მომენტს. I საუკუნის დამდეგისათვის, ძვ. წელთაღრ., მცხეთა უკვე არის იბერიის (ქართლის) დედაქალაქი. ეს დადასტურებულია დოკუმენტალურად. ეროვნული ტრადიცია მცხეთაში სამეფო ტახტის გადმოტანას ადრინდელ-ელინისტური ხანით ათარიღებს. ეს დაახლოებით მართალი უნდა იყოს, როგორც ჩვენ ამის შესახებ სხვაგან ვმსჯელობდით [2]. ამით განისაზღვრება ჩვენთვის საინტერესო ძველი ნომენკლატურის წარმოშობის terminus post quem non.

---

[1] ს უ კ რ ი, გვ. 38—39.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ. 1937;— უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე, ენიმკი-ს მოამბე, ტ. V—VI, 1940.

ამავე ხანაში იბერიის (ქართლის) სამეფო უთუოდ სწვდება სამხრეთისაკენ ჭოროხის ხეობის ქვემო წელსა და ჭანეთის (მოსხურ) მთებს, ე. ი. უკვე შეიცავს საშუალო საუკუნეების „ზემო ქართლსაც“ [1]. ესეც მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწევი: მცხეთის დედაქალაქობის ხანაში ქვეყნის დაყოფიდან გამორიცხვა ასეთი დიდი ტერიტორიისა (ბორჯომის ხეობიდან ჭოროხამდე) აგრეთვე დაუჯერებელი და შეუძლებელი გარემოებაა.

ჩვენ არ ვტოვებთ ყურადღების გარეშე იმ ფაქტსაც, რომ საშუალო საუკუნეების ნომენკლატურის „ქართლს“ („შიდა ქართლი“) ძველ ნომენკლატურაში შეესატყვისება არა ასევე კონკრეტული ქვეყნის (თუ: სახელმწიფოს) სახელი, არამედ ზოგადი ტერმინი „სოფელი“ — ქვეყანა. ეს ფაქტიც შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს, არამედ სათანადო პოლიტიკური ცვლილებების ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენდეს...

რაც შეეხება თვით ამ უძველესი ნომენკლატურის დაცვისა და ისტორიულ მწერლობაში შესვლის გზებს, აქ ორი წყაროა საგულისხმებელი: 1. გარდმონაშთული სიტყვახმარება ცოცხალ მეტყველებაში და 2. ტრადიცია, ზეპირი თუ წერილობითი. უკანასკნელი შესაძლოა უფრო ისტორიკოსებთან და გეოგრაფებთან იყოს შენახული, პირველი კი — უფრო ჰაგიოგრაფებთან.

---

[1] ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 7, 1942.

აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან

1. საკუთრივ აფხაზეთის სამოქალაქო ისტორია იწყება არიანეს მიერ აღწერილი აფშილების, აბაზგებისა და სანიგების სამთავროებიდან, რომელნიც ადრინდელ ფეოდალურ წარმონაქმნებს შეადგენენ.

2. ფეოდალური ურთიერთობის განვითარება შეადგენს საფუძველს აღნიშნული სამთავროების შემდგომი ზრდისას, რაც ჯერ იძლევა დასავლეთ. საქართველოს გაერთიანებას ეგრისის მეთაურობით (IV ს-ის დამლევი), ხოლო VIII საუკუნის დამლევისათვის ჰეგემონიის სასწორს აფხაზთა სამთავროსაკენ ჰხრის.

3. აფხაზთა სამთავროს განთავისუფლება ბიზანტიის იმპერიის გავლენისაგან და აფხაზთა სამეფოდ გადაქცევა ხდება VIII საუკუნის მიწურულში.

4. მეცხრე საუკუნის დასაწყისიდან აფხაზთა სამეფო ებმება იმ პროცესში, რომელიც ობიექტურად საქართველოს გაერთიანებისაკენ იყო მიმართული, და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს ამ მხრივ.

5. უკვე მეცხრე საუკუნის დამდეგიდან (თუ უფრო ადრე არა) აფხაზთა სამეფოში მწიგნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა არის ქართული, რომელიც აქედან ჩრდილოეთ-კავკასიაშიაც ვრცელდება (ჩერქეზები, ალან-ოსები).

6. ქართული ენის გავრცელება დასავლეთ ჩრდილოეთ-კავკასიაში დაკავშირებული იყო ქრისტიანობის გავრცელებასთან ჩრდ. კავკასიაში აფხაზეთიდან (მაგ., ალანებში X ს-ის დამდეგს).

ეგრისის სამეფოს წარმოშობა [1]

ეგრისის ანუ, როგორც მას ბერძნები და რომაელები ეძახ-დნენ, ლაზიკის სამეფოს წარმოშობის საკითხი ერთს მეტად საყურადღებო გვერდს შლის ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან დასავლეთ საქართველოში. კოლხეთი, წვრილი ტომობრივი სამთავროები გარდამავალი პერიოდისა, ეგრისის სამეფო, აფხაზთა სამეფო, საქართველოს ფეოდალური მონარქია, იმერეთის სამეფო და მისი შემადგენელი სამთავროები (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი) — ასეთია დასავლეთ საქართველოს განვითარების ეტაპები (XIX ს. დამდეგამდის) წმინდა პოლიტიკური, — და, მაშასადამე, გარეგანი,— ისტორიის თვალსაზრისით. მაგრამ ცხადია, რომ ამ პოლიტიკური კალეიდოსკოპის მიღმა იმალება საზოგადოების შინაგანი განვითარების რთული პროცესი, რომლის მეცნიერული შეგნებაა სწორედ ჩვენი მთავარი ამოცანა.

აღნიშნულ განვითარების ჯაჭვში ეგრისი (ლაზიკა) მნიშვნელოვანი რგოლია, თუნდაც იმიტომ, რომ ფეოდალური ურთიერთობის გენეზისის საკითხს დასავლეთ საქართველოში, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, სწორედ ეგრისისა და მისი წინაპრებისაკენ მივყავართ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეგრისი და მისი წინამორბედი ტომობრივი წარმონაქმები წარმოადგენენ ხიდს, რომლითაც ეს ქვეყანა ძველი სამყაროდან ფეოდალურში გადავიდა უკვე საბოლოოდ.

მაგრამ, რამდენადაც საინტერესოა და მნიშვნელოვანი ამ თავისებური სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზმის აღნაგობა და მისი გაჩენის პირობები, იმდენადვე შეუსწავლელი და გაურკვეველია იგი. ნაწილობრივ ეს აიხსნება წყაროების სიმცირითა და სიღატაკით, რაც ეხლაც ბევრ რამეს სიბნელეში სტოვებს. ზოგ რამეს კიდევ,— საკითხის სწორი დაყენებისა, ჩაკვირვებული მონოგრაფიული შესწავლისა და სხვადასხვა კატეგორიის ჩვენებათა კომ-

---

[1] მოხსენდა ტფ. სახ. უნ-ტის მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერ-კავკასიის ისტორიის კათედრის საჯარო სხდომას, 1934 წ. დეკემბრის 2-ს. იბეჭდება გაფართოებული სახით.

ბინირებული გამოყენების გზით,— უთუოდ შევსძლებთ ისტორიული სინათლე მოვფინოთ.

ამ წერილში ჩვენ წამოყენებული საკითხის მხოლოდ ზოგიერთ მხარეს ვეხებით.

კერძოდ,— როგორ, რა პირობებში და როდის წარმოიშვა ეს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ერთეული?

ამ მხრივ ცნობილია [1], რომ ეგრისის სამეფო წარმოადგენს შემდგომ განვითარებას ლაზების სამთავროსი, რომელმაც თანდათანობით დაიმორჩილა და დაიქვემდებარა მეზობელი, მსგავსივე წვრილი ტომური სამთავროები აფშილებისა, აბაზგებისა, სანიგებისა და კიდევ სხვათა, რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

აღნიშნული ტომური სამთავროების თავდაპირველი და დამოუკიდებელი არსებობის შესახებ ჩვენ ერთი საყურადღებო დოკუმენტალური ცნობა მოგვეპოვება. იგი ეკუთვნის რომაელ მოხელეს არიანეს, რომელიც რომის პროვინციის, კაბადუკიის, მმართველი (Legatus Augusti pro praetore) იყო და რომელმაც 134 წ., ახ. წ., — ალბათ თავის მთავრობის დავალებით და საინსპექციო მიზნით, — მოიარა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და იმპერატორს სათანადო წერილობითი ანგარიში მიმართვა. არიანეს მიერ წარმოდგენილი სურათიდან ჩანს, რომ ქალ. ტრაპეზუნტიდან მოყოლებული მდ. ბზიფის ხეობამდის (აფხაზეთში), ერთმანეთის მეზობლად, შემდეგი ტომები სახლობდნენ: სანები Σάννοι. მაკრონები და ჰენიოხები, Μάκρωνες καὶ Ἡνίοχοι, ზუდრეიტები Ζυδρεῖται, ლაზები, Λαζοί, აფსილები Ἀψίλαι, აბასკები Ἀβασκοί და სანიგები, Σανίγαι [2]. ამ ტომთაგან საკუთრივ დასავლ. საქართველოს, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გურია-სამეგრელო-აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხოვრიათ ლაზებს, აფსილებს, აბასკებსა და სანიგებს.

სამწუხაროდ, არიანე არაფერს გვეუბნება ამ ტომების შინაგანი მდგომარეობისა და მათი ურთიერთობის შესახებ. მაგრამ იმ ძუნწი მითითების მიხედვით, რომელიც ავტორს მოპოვებია სამთავროთა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ვითარებაზე, შეიძლება მაინც რამდენიმე, ზოგადი ხასიათის, დასკვნა გამოვიტანოთ.

---

[1] შეადრ. პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I², 159—161, 253.

[2] Περίπλους, § 15, GGM, I, 3; SC I, 222.

არიანე, სახელდობრ, წერს: „ლაზების მეფე, βασιλεὺς, არის მალასა [თუ—მალაშა], რომელმაც თავისი ხელისუფლება, მეფობა, მიიღო შენგან [ე. ი. ადრიანე კეისრისაგან]. ლაზებს მეზობლობენ აფსილები; მათი მეფეა იულიანე, რომელმაც თავისი ხელისუფლება, მეფობა, მიიღო მამაშენისაგან [ე. ი. ტრაიანე კეისრისაგან]. აფსილების მეზობლები არიან აბასკები, რომელთა მეფეა ჰრესმაგა; ამანაც თავისი ხელისუფლება, მეფობა, შენგან მიიღო. აბასკების გვერდით სანიგებია, რომელთა ქვეყანაში მდებარეობს სევასტოპოლისი; სანიგების მეფემ სპადაგამ თავისი ხელისუფლება, მეფობა, შენგან მიიღო“ [1].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცნობის ნიადაგზე შესაძლებელია გარკვეული დებულების წამოყენება აღწერილი პოლიტიკური წარმონაქმების შესახებ. რაკი ლაზების, აფსილების, აბასკებისა და სანიგების „მეთაურებს“ თავიანთი უფლებები რომის კეისრებისაგან ჰქონიათ მიღებული, და არა საკუთარი საზოგადოებისაგან, ცხადია, რომ ისინი ტომურ-გვაროვნული საზოგადოების ბელადებად ვერ ჩაითვლებიან და ვერც მათი საგამგეო მიიჩნევა ტომურ-გვაროვნულ ორგანიზაციად.

შემდეგ: თუ ეს „მეფეები“ გვაროვნული საზოგადოების მსახურნი კი არ არიან, არამედ უკვე პატარა „ბატონების“ როლში გვევლინებიან, აშკარაა რომ მათი ხელისუფლების დასაყრდენად საკმარისი არ იყო ის რომაული გარნიზონები, რომლებიც მხოლოდ ფაზისსა (ფოთი) და სევასტოპოლში (სოხუმი) მდგარან. ეს წვრილი მფლობელნი,— რომელნიც, უეჭველია, ადგილობრივი მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ (ამას, სხვათა შორის, მოწმობს მათი სახელებიც: მალაშა, ჰრესმაგა, სპადაგა),—ხომ რომელიღაც ადგილობრივს საზოგადოებრივ ძალებსაც უნდა დაყრდნობოდნენ. ყოველივე ეს უკვე გარკვეულს სოციალურ დიფერენციაციას გულისხმობს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, უკვე შემთხვევითი არ გვგონია ის გარემოება, რომ არიანე უწყებულ ტომთა მეთაურებს „ბასილევს“-ს, მეფეს, ეძახის, მათს ხელისუფლებას კიდევ —„ბასილეია“-ს, βασιλεία. „ბასილეია“ აქ აღნიშნავს როგორც ხელისუფლებას ზოგადად, ისე, საფიქრებელია, ამ ხელისუფლების ხასიათსაც, ამ ბერძნული სიტყვის იმ დროს გაბატონებული აზრით. რომ ეს ასეა, ამას არიანეს დოკუმენტის იმავე პარაგრაფის ერთი საყურადღე-

[1] იქვე.

ბო ცნობა გვიდასტურებს. შავი ზღვის სანაპიროს აღებულ მონა-კვეთზე მცხოვრებ ტომთაგან არიანე სპეციალურად გამოჰყოფს ერთს, სახელდობრ, ტრაპეზუნტიელთა უშუალო მეზობლებს ს ა ნ ე ბ ს (სარწმუნოა, რომ ეს ქართველი ჭ ა ნ ე ბ ი არიან). მაშინ, როცა ყველა დანარჩენ ტომს მეფე, ბაზილევსი ჰყოლია,—რომის კეისრებისაგან დანიშნული,— სანები სულ სხვა მდგომარეობაში ყოფილან: ...„ისინი,—ამბობს არიანე, — ამჟამადაც ლაშქრობის მოყვარულნი არიან, შეურიგებელი მტრები არიან ტრაპეზუნტიელებისა და გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობენ. ე ს ხ ა ლ ხ ი უ მ ე ფ ო ა (არ ჰყავს მეფე), ἔθνος ἀβασίλευτον, ძველთაგანვე, ვალდებულია ხარკი უხადოს რომაელებს, მაგრამ თავისი ყაჩაღობის წყალობით არაწესიერად იხდის გადასახადებს. მაგრამ ეხლა, ღვთით, წესრიგის გზას დაადგება, თუ არა და — გადავრეკავთ აქაურობიდან“[1].

შეუძლებელია და დაუჯერებელი, რომ სანებს ამ დროს ტომის მეთაურები, ბელადები, არ ჰყოლოდათ. ხუთი საუკუნით ადრე, ტრაპეზუნტისავე ოლქში და იქნებ სწორედ ამ სანების წინაპრებში (მოსინიკებში) ქსენოფონტემ ნახა და აღწერა მსგავსი ბელადები. ქსენოფონტემ მათი აღნიშვნისათვის იგივე ტერმინი „ბაზილევსი“ იხმარა (lib. V, c. 4, § 26), მაგრამ ცხადია, რომ ამ სიტყვას არ შეიძლებოდა მთლად ერთიდაიგივე აზრი და ფუნქცია ჰქონოდა ესოდენ დიდი დროით ერთმანეთისაგან დაშორებული მწერლებისათვის. თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ კარგა ხნის შემდეგაც-მაგ., მეექვსე ს-ში, ახ. წ., სანებს-ჭანებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეძენილი ეს „სიკეთე“— მეფის ხელისუფლება, მაშინ მით უფრო ბუნებრივი და გასაგები გვეჩვენება ის ფაქტი, რომ არიანეს დროს (II ს.) სანები, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, ლაზები, აფსილები, აბასკები და სხვები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ.

არიანეს მიერ დასახელებული პოლიტიკური წარმონაქმების შემდგომი დახასიათებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი წარმოშობის დროისა და პირობების გარკვევა. უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ ისინი, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს პირველი საუკუნის მეორე ნახევრისა, ახ. წ. ამ მხრივ მაჩვენებელია არიანეს ადრიანესადმი მიმართული განცხადება, — აფსილების მეფეს ხელისუფლება მ ა მ ა შ ე ნ ი ს გ ა ნ აქვს მიღებულიო. აქ, რათქმაუნდა, იგულისხმება წინა მეფობა ტრაიანე კეისრისა (98—117) — ტრაიანე ნათესავი და მამობილი იყო ადრიანესი. სხვა სამთავროებიც,

[1] იქვე.

რომელნიც გარშემო ერტყნენ აფსილებისას, ამ უკანასკნელზე უფრო ახალგაზრდა არ უნდა ყოფილიყვნენ.

კერძოდ, ლაზთა სამთავროს შესახებ იბადება ეჭვი, ხომ არა აქვს მას ფესვები გადგმული ძველი კოლხეთის იმ ვითარებაში, რომელიც სტრაბონს (თუ მის ერთერთ წყაროს) აქვს აღწერილი. სახელდობრ, სტრაბონი გვიამბობს: მედეას მამის, აეტის, შემდგომად „მომდეენო მეფეებს, რომელნიც „სკეპტუხიებად“ დაყოფილ ქვეყანას ფლობდნენ, უკვე ისეთი ძალა აღარა ჰქონდათ“-ო (lib. XI, c. II, § 18). თითქოს უეჭველი უნდა იყოს, რომ ავტორი რაღაც შინაგან მიზეზს ხედავს კოლხეთის მეფეების დასუსტებასა და მათი ქვეყნის დაყოფას შორის. თუ ეს ასეა, მაშინ „სკეპტუხიებად დაყოფა“ ნიშნავს არა ჩვეულებრივს ადმინისტრაციულ დანაწილებას (ასეთი დანაწილება არ შეიძლებოდა გამხდარიყო მეფეთა დასუსტების მიზეზი), არამედ მოასწავებს ცენტრალური ხელისუფლების დაქუცმაცებასა და დაქსაქსვას, გარკვეული სახის დეცენტრალიზაციას. მართლაც, როგორც ეს სხვაგან იქნება უფრო დაწვრილებით ნაჩვენები, „სკეპტუხია“, აღებული ხანის ბერძნულ ცნობებში კავკასიის შესახებ, აღნიშნავს ს ა ტ ო მ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს. სტრაბონის ცნობა, მაშასადამე, მიგვითითებს კოლხეთის დანაწილებაზე ცალკეულ ტომურ ორგანიზაციებად (დასავლეთი საქართველო ყოველთვის მრავალტომიანი ქვეყანა იყო). ურთიერთობაც ამ ტომებს შორის ცვალებადი იყო. ძველი კოლხეთის, როგორც მრავალტომიანობის, ისე ტომური ორგანიზაციისა და ტომთა ურთიერთდამოკიდებულებისათვის დ ამახასიათებელია სტრაბონის „გეოგრაფიის“ ცნობა სვანების შესახებ (lib. XI, c. II, § 19): სვანები თითქმის პირველნი არიან აქაურ ტომთა შორის „ძალითა და სიძლიერით. ყოველ შემთხვევაში ისინი გაბატონებული არიან მეზობლებზე“. სვანების იმდროინდელი სოციალური წყობილება ჩვენ სხვაგან გვაქვს დახასიათებული[1]. ამდენადვე, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ არიანესდროინდელი ზოგიერთი სამთავრო წარმოადგენს უწყებული სკეპტუხიების შემდგომ განვითარებას.

ნათქვამის შემდეგ შეგვიძლია კიდევ ერთი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი, დასკვნა გავაკეთოთ: დას. საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სამთავროს არსებობა II ს. დამდეგს არის არა გა-

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, ტფ., 1932 წ., გვ. 27, შემდ.

რეშე ძალის მიერ თავზე მოხვეული, რომაული პრინციპის—„ბაჰ-ყავი და იბატონე“!—პრაქტიკული განხორციელების შედეგად მიღებული მდგომარეობა, როგორც ფიქრობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი[1], არამედ ნაყოფია ამ ქვეყნის საკუთარი, შინაგანი განვითარებისა. ასეთი პოლიტიკა დას. საქართველოში ფაქტიურად ზედმეტიც უნდა ყოფილიყო რომაელებისათვის. რომაელებმა დას. საქართველო ხელთ ჩაიგდეს, როგორც სხვისი (მითრიდატ პონტოელის) საბრძანებლის ერთი ნაწილი, დასუსტებული, პოლიტიკურ მთლიანობასა და დამოუკიდებელ სახეს მოკლებული. ამ დაპყრობის შემდეგაც კოლხეთი რომის სხვა პროვინციებთან, მაგ., ბოსფორთან, ერთს ადმინისტრაციულ ფარგლებში გაერთიანებული ჩანს. ამრიგად, არიანეს მიერ აღწერილი მდგომარეობის ხელოვნურად შექმნას რომის მთავრობისათვის აზრი არ ჰქონდა.

მაშასადამე, ვიმეორებთ, ეს მდგომარეობა უნდა მიჩნეულ იქნას რომელიღაც ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალების თვითორგანიზაციის, შეკრებისა და გაერთიანების, შედეგად. ცხადია, ეს ინტეგრაცია, ძველ წესწყობილებასთან შედარებით, ახალ საფუძველზე ხდება. რაკი ზემოთ გავარკვიეთ, რომ არიანეს მიერ დახასიათებული, დას. საქართველოს სამთავროები უკვე ტომურ-გვაროვნულ ორგანიზაციებს კი არ წარმოადგენენ, არამედ გარკვეული, თუმცა პრიმიტიული, სოციალური დიფერენციაციის ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი. ამიტომ ეხლა საკითხი თვით ამ დიფერენციაციის ხასიათის შესახებ დგება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ახალი საზოგადოების შინაგანი სტრუქტურაა გასარკვევი.

ამ საკითხზე სავსებით დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა შეუძლებელია, წყაროების არაჩვეულებრივი სიმცირის გამო. ზოგიერთი ნიშანი და რეტროსპექტული თვალსაზრისი ჩვენ მხოლოდ შემდეგი საერთო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. უეჭველია, რომ გვაროვნული წყობილების ნაშთები ამ დროს ჯერ კიდევ უაღრესი სიძლიერითაა გამოხატული. მათს მოქმედებას ჩვენ ბევრად უფრო მერმინდელ ხანაშიაც დიდი ანგარიში უნდა გავუწიოთ. ასევე ცხადია, რომ პირველყოფილ მონობასაც თავისი გარკვეული წონა აქვს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაში, იგი შემდეგშიაც იჩენს თავს, უფრო გაძლიერებული სახითაც ზოგჯერ, ჩვეულებრივად კი საკმაოდ რთულს, წინააღმდეგობრივსა და კომბინაციურ დამოკიდებულებაში წარმოების სხვა წესებთან.

---

[1] პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, I³, 160—1.

აღნიშნული ელემენტების გვერდით ჩვენ ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახსაც ვგულისხმობთ და, სხვებთან შეპირისპირებით, მის შედარებითს უპირატესობასაც ვვარაუდობთ. აღნიშნული მთავრების ხელისუფლებაც ადრინდელ-ფეოდალური დიფერენციაციის ნიადაგზე წარმოშობილად მიგვაჩნია. თვით მთავრები სათანადო ტრანსფორმაციაქმნილ, ძველ ტომის ბელადებად გვყავს წარმოდგენილი, რომელთაც, თავიანთი საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, უზურპაცია უყვეს მათთვის ჩაბარებულ უფლებებს და თემის დელეგირებული „მსახურებიდან თემისავე ბატონებად იქცნენ“. თავისთავად ცხადია, რომ ეს ფეოდალური წყობა ამ დროს ჯერ სავსებით პრიმიტიული ფორმისაა და მის საბოლოო გამარჯვებამდე, აღებულ ქვეყანაში, კიდევ გრძელი და ძნელი გზა ძევს. იგი მხოლოდ, სხვა ელემენტებთან შედარებით, ბევრად უფრო მეტს სასიცოცხლო უნარს იჩენს და უფრო სწრაფადაც იზრდება.

სწორედ ამ ადრინდელ-ფეოდალური ურთიერთობის ზრდისა და გაძლიერების ნაყოფად მიგვაჩნია ჩვენ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ჩამოყალიბება. იმ (ამ შემთხვევაში — ლაზების) სამთავრომ, რომელშიაც ფეოდალურ წესს განვითარების უფრო ფართო გასაქანი ჰქონდა და ამის გამო, სხვებთან შედარებით, უფრო ადრე დაჭაბუკდა, თანდათან მოახერხა დანარჩენ ტომთა სამთავროების დამორჩილება. როდის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი?

ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთი, თუმცა არაპირდაპირი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უაღრესად საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება ბერძნულ საისტორიო მწერლობაში. ეს ცნობა მემატიანე მენანდრეს[1] ეკუთვნის.

როცა დიდი ომების დამთავრების შემდეგ ეგრისში (VI ს.) ირანელები და რომაელები საზავო პირობების გაფორმებისათვის ზრუნავდნენ (562 წ.), დიდი დავა გამოიწვია სვანეთის საკითხმა: ირანელები ამ მხარეს თავისად სთვლიდნენ, რომაელებიც მას არ სთმობდნენ. რომაელების ელჩმა პეტრემ მაშინ მთავარ არგუმენტად ასეთი მოსაზრება წამოაყენა: პეტრემ სთქვაო, — მოგვითხრობს მენანდრე,—მე შენ ეხლავე დაგიმტკიცებ მთელ ჭეშმა-

[1] მ ე ნ ა ნ დ რ ე VI ს. მეორე ნახევრის პირია. ისტორიულ მწერლობას ხელი ეჰყო მხოლოდ მ ა ვ რ ი კ ე ს გამეფების შემდეგ (582). მისი წყაროები გაურკვეველია. ირანული ამბებისათვის იქნებ სარგებლობდა თ ე ო ფ ა ნ ე ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი თ (ფ ო ტ ი ს ცნობით, თეოფანე ბიზანტიელი წერდა 556—581 წ. წ. შესახებ). K. K r u m b a c h e r, Geschichte der byzantinischen Litteratur, München, 1897, S. 243—244.

რიტებას, თუ როგორ იყო ეს ყველაფერი მოწყობილი ლაზებშიო. სვანეთის მთავარი (ἡγεμών) ლაზს ემორჩილებოდა და შეტანილი იყო მის სახარკო დავთარში. მეფე იღებდა მისგან ფუტკარის ნაყოფს, ტყავებსა და სხვა მსგავს საგნებს. როცა სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მფლობელი აირჩევდა გარდაცვლილის მემკვიდრეს და რომაელთა კეისარს შეატყობინებდა მომხდარის შესახებ. კეისარი უპასუხებდა წერილობით და უბრძანებდა გადაეცა, ვისთვისაც სურდა, სვანეთის უმაღლესი ხელისუფლების ნიშნები, ოღონდ სვანი კი ყოფილიყო იგი. ასეთი ჩვეულება დამყარდა ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან და გრძელდებოდა პაპა თქვენის [პეტრე ესაუბრება თვით ირანის შაჰს] პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდისო. შემდეგ პეტრემ ქლამიდის ქვეშ გამოიღო წიგნი, რომელშიაც ეწერა, გვერდისგვერდ და ცალ-ცალკე, იმ ლაზთა მეფეების სახელები, რომელნიც აწესებენ სვანთა მთავრებს. წიგნის შინაარსი, თუმც სხვა სიტყვებით გადმოცემული, ასეთი იყო: „ესენი არიან ლაზთა მეფენი, რომელნიც აწესებდნენ (ადგენდნენ) სვანთა მთავრებს იმ დროიდან, როცა რომს მართავდა თეოდოსი, ხოლო სპარსეთს ბაჰრამი და იმ დრომდის, როცა კეისრად იყო ლეონი, ხოლო შაჰად — პეროზი“. როცა ეს წაიკითხა, პეტრემ სთქვა: ამ თხრობიდან ჩვენ ვიცნობთ ლაზთა მეფეებს ჩვენს დრომდის და მათს ხელქვეით მყოფს სვანთა მთავრებსაო [1].

აქ მოხსენებული ისტორიული პირების ვინაობა კარგად ირკვევა; ისინი არიან: პირველი რიგისა — კეისარი თეოდოსი I (379—395 წ. წ.) და შაჰი ბაჰრამ IV (388—399 წ. წ.), ხოლო მეორე რიგისა — კეისარი ლეონ I (457—474 წ. წ.) და შაჰი ფეროზი (459—483 წ. წ.). სათანადო სინქრონისტული ანგარიშის საფუძველზე უნდა მივიღოთ, რომ სვანეთის მთავრის დამოკიდებულება ლაზთა მეფისაგან დამყარებულა 388—395 წლებში და გაგრძელებულა 459—474 წლებამდის.

ეს ქრონოლოგიური დასკვნა თავის დასაყრდენსა და ისტორიულ ახსნას პოვებს ყოველივე იმაში, რაც ჩვენ ვიცით აღმოსავლეთ რომის იმპერიის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნულ პერიოდებში. ხომ ეჰვს გარეშეა რომ, თუ აღნიშნული წვრილი ტომური სამთავრო-

[1] მენანდრე, ფრაგმ. XI, Dind., 26—31, განაკუთრ., 30—31.

ების აღმოცენება რომის მთავრობის სურვილის გარეშე მოხდა, შემდგომი გამსხვილება ადგილობრივი ძალებისა, რაც ეგრისის სამეფოს წარმოქმნაში გამოიხატა, მით უმეტეს არასასურველი უნდა ყოფილიყო კეისრისათვის. ასეთ რამეს ისინი შეიძლებოდა მხოლოდ უნებლიედ დასთანხმებოდნენ, გარკვეულ გარემოებათა იძულების გამო, როცა ფაქტიურად მათ არც შეეძლოთ ხელი შეეშალათ ასეთი პროცესისათვის. კონსტანტინოპოლის მთავრობას მხოლოდ ის უნდა ეცადნა, რომ მისთვის მაქსიმალურად სასურველი ფორმა და მიმართულება მიეცა ამბების მსვლელობისათვის, რომ, გარეგნული კეთილგანწყობილების შემწეობითა და ერთგვარი დათმობის საშუალებით გაძლიერებული ლაზთა მეფისა და მისი პრეტენზიების მიმართ, ნაწილობრივ მაინც შეენარჩუნებინა ამ მნიშვნელოვანი ქვეყნის დამოკიდებულება იმპერიისაგან.

სწორედ ასეთი დრო უდგება რომის იმპერიას აღმოსავლეთის საზღვრებზე IV ს. სამოციანი წლებიდან. მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა რომსა და ირანს შორის, მიუხედავად სამხედრო და პოლიტიკური წარმატების ხშირი ცვალებადობისა, ჯერ კიდევ III ს. მიწურულებში რომის სასარგებლოდ ხრიდა გამარჯვების სასწორს. მაგრამ მომდევნო საუკუნეში უკვე აშკარა ხდება, რომ უპირატესობა თანდათან სასანიანთა ირანის მხარეზე გადადის. სასანიდები ნელინელ აცლიან ხელიდან რომაელებს მათს პოზიციებს. კერძოდ ამიერ-კავკასიაში სასანიდები თავიანთ გავლენას ყველაზე ადრე, გასაგები ბუნებრივი პირობების მიხედვით, ჯერ არმენიასა და ალბანეთზე (თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანზე), ხოლო შემდეგ ქართლზე ავრცელებენ. რომაელები მძიმედ, მაგრამ მაინც შეუჩერებლად, უკან იხევენ. აქ, ამიერ-კავკასიაში, ყველაზე ადვილად რომაელებს ფეხის მოკიდება, რათქმაუნდა, დასავლეთ საქართველოში შეეძლოთ. მართლაც, VI ს. სამოციანი წლების დამდეგს ეს მხარე ჯერ კიდევ რომაელების მოხარკე ჩანს. ამიანე მარკელინე მოგვითხრობს: „[362 წელს, იულიანე კეისართან] ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ელჩები, ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად: ერთი მხრით — ტიგროსისგაღმელი ხალხებისა და სომხებისაგან, რომელნიც ზავს ემუდარებოდნენ... ჩრდილოეთიდან და ი მ შ ო რ ე უ ლ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი დ ა ნ, ს ა დ ა ც ზ ღ ვ ა ს ე რ თ ვ ი ს მდ. ფ ა ზ ი ს ი, ბოსფორელებისა და სხვა, მანამდის უცნობი ხალხებისაგან, რომელთაც მოეგზავნათ ელჩები თხოვნით: მიეცათ მათთვის ნება მშვიდობიანად ეცხოვრათ მშობლიური ქვეყნების ფარგლებში, ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ხ ა რ კ ი ს გ ა დ ა ხ დ ი თ“ (lib. XXII,

cap. 7, § 10). მაგრამ მდგომარეობის შემდგომი გაუარესება აღმოსავლეთის ფრონტზე, ცხადია, თავის გავლენას ახდენდა დასავლეთ საქართველოს ვითარებაზედაც. ხოლო აზიაში საქმე სულ უფრო და უფრო ფუჭდებოდა: თუ, თავდაპირველად, აქ მდგომარეობა იმდენად საეჭვო იყო, რომ საჭირო ხდებოდა არაჩვეულებრივ ღონისძიებათა განხორციელება არსებული პირობების შესანარჩუნებლად, შემდეგ უკვე ირანის მოზღვავებულ ძალთა შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. იგივე ამ. მარკელინე 361 წლის შესახებ, მაგ., გვიამბობს: „სპარსეთის მეფე გაჭირვებით უკუგდებულ იქნა, ზამთრის შეუფერებელი პირობების წყალობით, მაგრამ რადგანაც ეშინოდათ, რომ იგი, წელიწადის უფრო ხელსაყრელი დროის დადგომისთანავე, მეტი სიძლიერით მოიტანდა იერიშს, ამიტომ ტიგროსის გაღმა მყოფ მეფეებსა და სატრაპებს გაუგზავნეს ელჩები მდიდარი საჩუქრებით იმისათვის, რათა შეგონებით გადმოებირებინათ ისინი ჩვენს [ე. ი. რომაელების] მხარეზე და რათა მათ არ განეზრახათ არავითარი მოტყუება ან ვერაგობა. ყოვლის უწინარეს მაინც ცდილობდნენ მოესყიდათ ბრწყინვალე სამოსლებითა და მრავალნაირი საჩუქრებით არსაკი და მერიბანი, არმენიისა და იბერიის მეფები, რადგანაც მათ შეეძლოთ რომაელთა საქმისათვის ევნოთ, მაშინდელს საეჭვო გარემოებაში რომ სპარსელების მხარეს გადასულიყვნენ“ (lib. XXI, cap.6, § 7). რომაელთა საქმეების შემდგომი, ფრიად თვალსაჩინო, გაუარესებისათვის აქ მხოლოდ რამდენიმე წელიწადი იყო საჭირო. კარგად ცნობილია, რომ 368 წ. რ ო მ ა ე ლ ე ბ ი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი შ ე ი ქ ნ ე ნ პ ი რ ვ ე ლ ა დ ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა თ ი რ ა ნ ე ლ ე ბ ი ს ე რ თ გ ვ ა რ ი უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ქ ა რ თ ლ ზ ე დ ა დ ა ე თ მ ო თ მ ა თ თ ვ ი ს ა მ ქ ვ ე ყ ნ ი ს ე რ თ ი, ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი, ნ ა ხ ე ვ ა რ ი. სომხეთში რომაული გავლენა განადგურებული იყო ირბიანეს მიერ 365 წ. დადებული სამარცხვინო ზავის შემდეგ. სომხეთის მეფე არშაკი, მომდევნო წლებში, ტყვედ წაიყვანეს ირანელებმა და მოჰკლეს. არშაკის შვილი, რომელმაც ორიოდე დღის განმავლობაში ფარულად იმეფა თავის სამშობლოში, ბოლოს მაინც იძულებული იყო გაქცეოდა ირანელებს და თავი შეეფარებინა იმ მთების ხეობებში, რომლებიც მიჯნავენ რომაელთა სამფლობელოსა და ლაზების ქვეყანას. აქ ლტოლვილნი ხუთ თვეს იმალებოდნენ უღრან ტყეებსა და გაუვალ ხევ-ხუვებში (ამ. მარკ., lib. XXVII, cap. 12, § 1). მტერმა მაინც დაიპყრო მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები, აიღო დედა-ქალაქიც და ქვრივ დედოფალთან

ერთად ხელთ იგდო სამეფო საგანძურებიც. ირანელთა გაბოროტების მაჩვენებელია, რომ ისინი სჩეხავდნენ თურმე ხეხილის ბაღებს (იქვე, § 12). მალე მოკლულ იქნა სომხეთის ეს უიღბლო მეფეც. ხოლო სწორედ იმ თეოდოსის მეფობაში, რომელსაც ასახელებს მენანდრე, რომაელების მდგომარეობა სომხეთში უკვე კატასტროფულ სახეს იღებს. უზურპატორ ევგენისთან ბრძოლის გამო თეოდოსი სრულიად სამხედრო ძალების გარეშე, გაშიშვლებულსა და დაუფარავს, სტოვებს აღმოსავლეთის პროვინციებს, რომლებსაც ეხლა, კასპიის კარებით შემოჭრილი ჰუნები ესევიან. ცხადია, სასანიანი შაჰებისათვის ეს ხელსაყრელი დრო იყო. და, მართლაც, 387 წ. თეოდოსი ჰკრავს მათთან ზავს, რომლის პირობებითაც სომხეთი გაიყო ამ ორ სახელმწიფოს შორის. რომაელებს ერგოთ მხოლოდ ერთი მეხუთედი. ყოველივე დანარჩენი საბოლოოდ გადავიდა ირანის ხელში (გელცერი).

ეხლა გასაგებია, რომ თეოდოსის მეფობა და განსაკუთრებით კი ოთხმოციან-ოთხმოცდაათიანი წლების მიჯნა საუსებით შესაფერისი დრო იყო იმისათვის, რომ გაძლიერებულ ლაზთა მეფეს თავისი პოლიტიკურ-ტერიტორიული ექსპანსიის დადასტურება მოეთხოვნა კეისრისაგან. ეს უკანასკნელი იმითაც კმაყოფილი იქნებოდა, თუ ლაზების მეფე იმპერატორის ფორმალურ ვასალობაზე მაინც არ იტყოდა უარს.

ალბათ დაახლოებით იმავე ხანებში უცნიათ ლაზთა მეფის სიუზერენიტეტი სხვა ტომებსაც — აფსილებს თუ აფშილებს, აბასკებს, სანიგებს და სხვებსაც. მეხუთე საუკუნის დამდეგისათვის უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც ჩანს, ეგრისის სამეფოს ის სტრუქტურა, რომელიც აგრეთვე ნიშანდობლივი და დამახასიათებელია: ლაზები რომაელთა ქვეშევრდომებად ითვლებიან, მაგრამ არც ხარკს იხდიან, არც სხვა რამეში ემორჩილებიან მათ; ერთად-ერთი მათი მოვალეობაა დაიცვან თავიანთი ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი, რათა ჰუნები და სხვა ნომადები ამ გზით არ შეიჭრან რომაელთა ტერიტორიაზე; როცა ლაზების მეფე კვდება, კეისარი მის მემკვიდრეს, რომელმაც სამეფო ტახტი უნდა მიიღოს (წესისა და ადათის მიხედვით), უგზავნის ხელისუფლების ნიშნებს (შეად. აგათია, III, 14 და III, 15); ლაზების მიწაწყალზე რომაელთა ჯარები არ დგას — ისინი აქ მხოლოდ VI ს. ოციანი წლებიდან ჩნდებიან (პროკოპი კესარიელი, B. P., II, 15). მაშასადამე, ლაზების მეფე კეისრის ვასალია, რომელსაც თავის

სიუზერენის წინაშე მხოლოდ სამხედრო სამსახური აწევს მოვალეობად. ლაზების მეფეს თავისი ვასალებიც ჰყავს (შეადრ. აგათია, III, 9). მაგ., აბაზგები, რომელნიც „ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, თუმცა ყოველთვის ჰყავდათ თავისი მკვიდრი ორი მთავარი“ (პროკოპი, B. G., VIII, 3).

ლაზების ქვეშევრდომნი არიან აგრეთვე აფსილები (იქვე, VIII, 2); სამწუხაროდ, მათი პოლიტიკური ორგანაზაციის შესახებ არაფერი ვიცით. აფსილების მსგავსად მისიმიანებიც (მოსახლეობდნენ მდ. კოდორის ზემოთა ხეობაში) კოლხთა, ე. ი. ლაზთა, მეფის ქვეშევრდომნი არიან, მაგრამ ისინი თავისებურ ენას ლაპარაკობენ და საკუთარ კანონებსაც მისდევენ [ე. ი. გარკვეული ავტონომიით სარგებლობენ] (აგათია, III, 15 და 16). ლაზების ქვეშევრდომი იყო ხკუმიაც (თანამედროვე ლეჩხუმი[1]), სვანეთთან ერთად. ამ ტომებს თავისი მკვიდრი მთავრები ჰყავთ, რომელთა გარდაცვალების შემდეგ ახალს ლაზთა მეფე ნიშნავს (B. G. VIII, 2 და 46). უფრო სრული ცნობა სვანების ეგრისისაგან დამოკიდებულების შესახებ ზემოთ იყო მოთავსებული.

ყოველივე ზემოთაღნიშნული საფუძველს აძლევდა აგათია მემატიანეს ეთქვა ლაზების შესახებ, რომ ისინი ძლიერი და მამაცი ტომია, რომელიც სხვა ძლიერ ტომებზედაც ბატონობს. ისინი ამაყობენ კოლხების ძველი სახელით და ზომაზე მეტად მოაქვთ თავი, შესაძლოა, არც თუ უსაფუძვლოდო (III, 5).

თუ როგორი იყო იმ ვალდებულების ხასიათი, რომელიც აღნიშნულ მთავრებს დაკისრებული ჰქონდათ ეგრისის მეფის წინაშე, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები შენახული არ არის საკმაო რაოდენობით. სვანთა მთავრის ვალდებულებების შესახებ ზემოთ იყო გადმოცემული სათანადო ცნობა. მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ისაა სრული: იქ სვანების ნატურალური ხარკია მხოლოდ აღნიშნული, მაშინ როდესაც ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ ამ ტომთა მფლობელების მთავარი მოვალეობა ეგრისის მეფის წინაშე სამხედრო სამსახურში მდგომარეობდა. ყველა დასახელებული ტომი ხომ ეგრისის სწორედ იმ ჩრდი-

[1] ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომ „სკუმია“ ფორმა „ლე-ჩხუმის“ ბერძნული გადმოცემაა (გეორგიკა, II, 96, შენ.).

ლოეთ საზღვარზე მოსახლეობდა, რომლის დაცვაც შეადგენდა თვით ეგრისის მეფის ძირითადსა და ერთადერთს მოვალეობას კონსტანტინოპოლის იმპერატორის წინაშე. ამ მოვალეობას ეგრისის მეფე ვერ შეასრულებდა, თუ თავისი ყმებისაგან არ მოითხოვდა იმასვე, რასაც მისგან მისი სიუზერენი მოითხოვდა, ე. ი. სამხედრო სამსახურს. მთელი აღნიშნული ურთიერთობა კი,— თუმცა იგი ზედნაშენის კატეგორიისაა და, მის მიხედვით დასკვნების გამოყვანისას, სათანადო სიფრთხილეს საჭიროებს,— სხვა ნიშნებთან ერთად [1], უფლებას გვაძლევს მეტი კატეგორიულობით ვილაპარაკოთ აღებული ქვეყნის ერთგვარი ფეოდალური ხასიათის შესახებ.

გარკვეული სინათლე ეფინება იმ საკითხსაც, თუ რატომ ერგო წილად დასავლეთ საქართველოს ადრინდელ-ფეოდალურ ძალთა გაერთიანების ჰეგემონია სწორედ ლაზთა სამთავროს. ეს აშკარად აიხსნება იმ გარემოებით, რომ აღებულ ხანაში, ყველა უწყებული ტომური სამთავროდან სწორედ ლაზების სამთავროს ჰქონდა საუკეთესო პირობები აღნიშნული საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის. აი, რას გვიამბობს ამის შესახებ იგივე აგათია, VI ს. დამლევის ბიზანტიელი მწერალი: „იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მ ე ა რ მ ე გ ვ ლ ე ბ ა ა რ ც ე რ თ ი ს ხ ვ ა, ე ს ო დ ე ნ ს ა ხ ე ლ გ ა ნ თ ქ მ ულ ი და მ ო რ ჩ მ ულ ი, რ ო გ ო რ ც თ ა ვ ი ს ი ს ი მ დ ი დ რ ი ს ს ი უ ხ ვ ი თ, ი ს ე ქ ვ ე შ ე ვ რ დ ო მ თ ა ს ი მ რ ა ვ ლ ი თ. რ ო გ ო რ ც მ ი წ ა წ ყ ლ ი ს ს ი ჭ ა რ ბ ი თ ა დ ა მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ ო ბ ი თ, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით [წინა ფრაზაში პირდაპირ დასახელებულია, რომ ავტორი ლაპარაკობს ლაზების ანუ კოლხების შესახებ. ს. ჯ.]. იმ დროს, როდესაც წინანდელ მცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიდგინეთ — მათ არც კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამ მათთან არგოს ნავი მივიდოდა. ე ხ ლ ა ნ დ ე ლ ი მ ც ხ ო ვ რ ე ბ ლ ე ბ ი დ ა ც უ რ ა ვ ე ნ კ ი დ ე ც [ნავებით], რამდენადაც შესაძლებელია, და ვ ა ჭ რ ო ბ ა შ ი ა ც ნ ა ხ უ ლ ო ბ ე ნ დ ი დ ს ა რ გ ებ ლ ო ბ ა ს. ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ, რომაელებთან კავშირის წყალობით, თავიანთი ცხოვრე-

[1] ამ ნიშნების შესახებ იხ. ჩვენი „საქართველო ადრინდელ ფეოდალურ ხანაში“ და „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“.

ბისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ"[1]. ცოტა უფრო მკაცრად მსჯელობს აგათიას წინამორბედი, მეორე ბიზანტიელი მემატიანე, პროკოპი კესარიელი, მაგრამ მასაც, ბოლოს-დაბოლოს, იგივე დებულება აქვს განვითარებული. სახელდობრ, თუ ლაზიკას, მთლიანად აღებულს თავისი ვასალების ტერიტორიით, პროკოპი აშკარად ღარიბ ქვეყნად სთვლის და ამბობს, „ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც რამ სიკეთეო"[2], — რაც, უეჭველია, ერთგვარი გაზვიადება უნდა იყოს[3], ეგრისის ერთი, ცენტრალური, რაიონის შესახებ იგივე პროკოპი სულ სხვა ცნობას გვაწვდის: „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა [დაახლ. 30—35 კილომ.] დაშორებული არქეოპოლისს ვე' [ე. ი. თანამედროვე ნოქალაქევს, მარტვილის რაიონში] და შეიცავს მრავალს, მჭიდროდ დასახლებულ, სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას". შემდეგ ავტორი ამბობს რომ ამ მხარეს ჩამოუდის მდინარე რიონი, რომლის ნაპირზე აშენებულს უძველეს ციხე-ქალაქს ლაზები ქუთათისს უწოდებენ. იქვე, კიდევ ერთხელ, ამ მხარეს პროკოპი „კოლხიდის საუკეთესო ნაწილს" ეძახის[4]. სათანადო ცნობების ანალიზით ირკვევა, რომ ბიზანტიელ მწერალთა „მუხირეზისი" გულისხმობს საკმაოდ დიდ რაიონს, რომელიც, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიცავდა თანამედროვე ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, აბაშისა და მარტვილის რაიონებს, უფრო ზუსტად, მათს ვაკე ნაწილს, რომელიც, სამეურნეო თვალსაზრისით, გარკვეულ მთლიანობას შეადგენს. რომ ეს ყველაზე დაწინაურებული სექტორია, ამას მოწმობს აქ აღმოცენება ლაზიკის უმდიდრესი ქალაქებისა, კერძოდ, როდოპოლისის (ვარდციხის) და ქუთაისისა. ეს უკანასკნელი გარემოება დაედო საფუძვლად ამ მხარის ძველ-ქართულ სახელწოდებას — „სამოქა-

---

[1] III 5, გეორგიკა, III, 50—51, თარგმანი პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა, რომელსაც ამონაბეჭდების თხოვებისათვის მადლობას მოვახსენებთ.

[2] B. P. II 28; გეორგ. II, 67; იქვე შეადრ. გვ. 25 და 46.

[3] ამ ცნობის განმარტებისათვის იხ. ჩვენი „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში".

[4] B. G. VIII, 46; გეორგ. II, 163—5.

ლაქო"-ს. სოციალ-ეკონომიური თვალსაზრისით, ამაევ რაიონს მიეკუთვნება ეგრისის პოლიტიკური ცენტრი და მისი მეფეების საჯდომი — არქეოპოლისი-ნოქალაქევი, თუმცა ფორმალურად იგი მუხირეზ̣ისის ფარგლებს გარეთ ითვლებოდა. პოლიტიკური ცენტრის მცირეოდნად განზე გაწევა ძირითადი რაიონიდან ღრმა ისტორიული მიზეზებით აიხსნება, რის შესახებაც ავტორს სხვაგან ექნება საუბარი [1].

[1] ცალკე მონოგრაფიაში აქვს ავტორს განხილული აგრეთვე ისტორიულ-ეთნოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები.

რედაქციის შენიშვნა: ამ მონოგრაფიიდან გამოქვეყნებულია მხოლოდ ერთი თავი, „ფასიდი" (იხ. ამაგე ტომში).

О ВРЕМЕНИ И УСЛОВИЯХ ВОЗНИКНОВЕНИЯ АБХАЗСКОГО ЦАРСТВА

Время и условия возникновения Абхазского царства, т. е. вопрос, когда и каким образом бывшее Абхазское эриставство освободилось полностью от византийской зависимости, а владетель Абхазии принял титул „царя абхазов" („მეფე აფხაზთა" или „აფხაზთა მეფე"),—не были еще предметом специального изучения. Может быть, чрезвычайная скудость источников по вопросу отпугивала исследователей от названной проблемы.

По рассказу царевича Вахушти,—первого исследователя, пытавшегося, по мере сил, научно обобщить сообщения доступных ему источников по истории Грузии,—Леон II, абхазский эристави, сидевший в Анакопии, воспользовался тем обстоятельством, что греки (византийцы) были ослаблены от агарян (арабов), захвативших у них „заморские" земли (имеются в виду, вероятно, малоазиатские районы Византии) и, с помощью хазар, обратил свое „эриставство" в „наследственное" владение („გაიმკვიდრა საერისთო თვისი"). „И подчинялся ему весь Эгриси (Лазика) и почитал его, ибо он (Леон) был в родственных связях с их (эгриссцев) царем". После же смерти царей Иоанна и Джуаншера, „отложился сей второй Леван и силами хазар, а также (пользуясь) покорностью эгрисцев, завоевал весь „залихский" Эгриси (т. е. лежащий к западу от Лихских гор, по современной номенклатуре—Сурамского хребта) до моря и до Хазарии; и назвался он царем абхазов, а название своего эриставства перенес он на Эгриси, лета от рождества Христова 786, хроникона 6"[1].

---

[1] ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის. ნაწილი II. ახალი მოთხრობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან. ს.-პ., 1854, გვ. 178; საქართველოს ცხოვრება 1469—1800-დე ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, მეორე გამოცემა ხ. ჭიჭინაძისაგან, თბ. 1913, გვ. 270—271; ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არქეოლოგიურისა და ისტორიული ცნობებით დ. ხ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი I. ტფ., 1885, გვ. 118.

Дату воцарения Леона II Вахушти явно ставит в связь с датами смерти царей Иоанна и Джуаншера: первый, по Вахушти, умер в 786 г., а второй—в 787 г.; но на чем основана вся эта хронология, Вахушти не сообщает. Об источниках же самого рассказа Вахушти речь будет ниже.

Новый, неизвестный Вахушти, источник по истории Абхазии был введен в научный оборот академиком Броссе. В 1839 г. Броссе издал в французском переводе известия по истории Грузии, собранные иерусалимским патриархом XVII в. Досифеем. Среди материалов Досифея привлекала внимание генеалогическая таблица абхазских царей, которая, по сообщению Досифея, была извлечена им из составленной царем Багратом „Истории Абхазии“ [1]. Броссе тоже считал (однако—ошибочно, как увидим ниже), что хронологические указания таблицы приводят, в связи с сообщениями грузинских источников, к 786 году, как к времени (воцарения) Леона II. Вместе с тем Броссе думал, что царский титул был принят уже Леоном I-ым [2]. В других случаях, Броссе противоречиво датировал начало самостоятельной абхазской царской династии то 788, то 786 годом, находясь, повидимому, под влиянием построения Вахуштия [3].

Важное научное открытие было сделано Е. С. Такайшвили, который в одном рукописном сборнике нашел, а затем и опубликовал грузинский подлинник „Истории Абхазии“ Досифея [4]. Такайшвили считает, что открытый им документ является „манифестом“, который был опубликован первым царем объединенной Грузии, Багратом III, в знак того,

---

[1] De l'état religieux et politique de la Géorgie jusqu'au XVII siecle, par M. Brosset: Bull. Scient., t. V, 1839; цитируем по ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, „ძველი საქართველო“, ტ. II, 33—34; Броссе о Досифее и его генеалогической таблице см. также Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, 1851, p. 173—175. Ср. დ. ბ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889, 273—275.

[2] Additions, 174—175. Общая продолжительность царствования абхазских царей по Броссе—199 лет, а дата воцарения Баграта III-его—985 г. Вычитание первого числа из второго и дает 786 г. Ср. Histoire moderne de la Géorgie, II, 1, p. 241.

[3] Hist. moderne, II, 1, p. 241; Ср. დ. ბაქრაძე, 274.

[4] ე. თაყაიშვილი, ук. соч., 28—34,

что он законно принял царскую власть в Абхазии, наследником каковой Баграт был по женской линии. Такайшвили думает, что Баграт подражал в данном случае древним повелителям Египта, Вавилона, Ассирии, которые, при воцарении новой династии, имели обыкновение публиковать, в специальном акте, списки своих предшественников [1]. Однако, что данный документ не является актом-манифестом, опубликованным Багратом во время своего восшествия на престол, явствует из того обстоятельства, что отец Баграта, царь Гурген, упоминается в документе усопшим („სულკურთხეული!"), а Гурген скончался через четверть века после воцарения его сына, Баграта. Указанное обстоятельство датирует и время составления документа—1007-1014 гг. (годы смерти Гургена и Баграта). Подлинным названием документа, как это указано в его позднейшем заглавии, является „Диван царей"—„დივანი მეფეთა". Так, справедливо, называет памятник и акад. И. А. Джавахишвили [2]. Это название (от персидского ديوان здесь, повидимому, в значении—„собрание", „сборник") определяет и сущность документа—это, действительно,—„список", „генеалогическая таблица", составленная Багратом III-м, хранившаяся в Кутаисской царской сокровищнице („საჭურჭლე"—„казна, сокровищница, архив") и обновленная (вновь переписанная) впоследствии одним из имеретинских царей, Константином Багратовичем (по мнению Такайшвили—Константин II, ум. в 1414 г., что требует дополнительной аргументации).

Представляет собой памятник простой перечень абхазских царей, начинающийся с Аноса, который, по утверждению памятника, был „первым царем Абхазии", и кончающийся 20-ым царем Феодосием слепым („с выжженными глазами", „თვალდამწვარი"). За упоминанием Феодосия следует такая заключительная фраза: „А после сих (царей) изволил бог и я, Баграт Багратоани (Багратиони), сын приснопамятного Гургена и дочери Георгия, абхазского царя, завладел Абхазской страной, материнским моим наследством; а сколько лет я проведу в царствовании своем, сие ведает (лишь) Бог". Оче-

[1] ე. თაყაიშვილი, დასახ. თხზ., 48.
[2] ქართველ ერის ისტორია, წ. II, გვ. 368, 375.

видно, документ представляет собой нечто вроде исторического меморандума, в котором Баграт III подчеркнул свою связь с абхазской династией и свои наследственные права.

Хотя по нашему памятнику список абхазских царей и открывается неким Аносом, однако знаменательно, что хронологические указания „Дивана", заключающиеся единственно в числах, определяющих продолжительность царствования, начинаются лишь с одиннадцатого царя Леона. Это обстоятельство свидетельствует о какой-то перемене, или даже переломе, в развитии династии, каковая перемена связана с правлением Леона. Такайшвили попытался, на основании хронологических указаний „Дивана", путем обратного от Баграта III вычисления, установить годы царствования поименованных в списке абхазских династов и для упомянутого Леона получил годы 746—791 [1]. Эту датировку принял и акад. И. А. Джавахишвили [2]. Однако, как отмечено уже академиком Джавахишвили, „Диван" вообще страдает неполнотой сведений и неточностью своей хронологии [3]. Нет поэтому основания принять безусловно и полученные Такайшвили даты царствования Леона. Можно считать достоверным лишь идентичность Леона из „Дивана" с вышеуказанным Леоном II, положившим действительно начало независимости абхазской династии, как сообщают другие грузинские источники, в частности—Вахушти. Определить дату „воцарения" Леона,—т. е. указать время, когда Леон объявил себя независимым от константинопольских императоров и заменил свой старый титул абхазского „эристава" или „мтавара" новым титулом „царя абхазов",—приходится другими путями.

Основное сообщение о Леоне сохранено в древнегрузинском историческом сочинении, которое принадлежит перу анонимного автора и в научной литературе известно под наименованием „Матианэ картлисай"—„Летопись Картли". Вот краткий рассказ „Матианэ картлисай" о Леоне:

[1] ქართ. თხზ., 53; необходимо отметить, что текст грузинского оригинала заключает в себе некоторые отличия по сравнению с греческим переводом.

[2] ქართ. თხზ., 368.

[3] იქვე, 375.

„რაჟამს მოუძლურდეს ბერძენ-[ნ]ი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა [ტექსტში შეცდომით: ხაზართა], სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომელსა [შევს. ქ. ცხ.: რომლისად; ვარ.: რომლისათჳს] მიეცა სამკჳდროდ აფხაზეთი [ხაზარეთი]; ესე მეორე ლეონ [:მეპრენიონ] ასულის წული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა [შევს. ქ. ცხ.: გაადგა ბერძენთა, დაიპყრა] აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო [იოანე, შევს. ქ. ცხ.] ერისთავი [და] დაბერებულ [იყო] ჯუანშერ“ [1].

„Когда ослабели греки, отложился от них эристави абхазов, по имени Леон, племянник (сын брата) эристава Леона, которому была дана Абхазия в наследство; этот второй Леон был сын дочери царя хазар и, воспользовавшись их силою, отложился (Леон) от греков, завладел он Абхазией и Эгриси до Лихи, назвался царем абхазов. Ибо был мертв эристави Иоанн и стар—Джуаншер“.

К тексту нужно заметить, что наш перевод фразы: „которому была дана Абхазия в наследство“, может быть оспариваем, вследствие некоторой неясности синтаксической конструкции оригинала: автора можно (хотя, на наш взгляд, и с бо́льшим трудом) понять и так, что Абхазию в наследство получает Леон II, и получает ее от своего дяди [2]. Однако, нужно думать, что тут историк разумеет рассказанную ранее того историю получения Леоном I-м Абхазского эриставства от византийского императора в наследственное владение. Вахушти же, несмотря на то, что ему известна история Леона 1-го, понимает данный текст иначе: в изложении Вахушти, Леон II помощь хазар вначале использует лишь для того, чтобы обратить свое эриставство в наследственное владение; и лишь после смерти Иоанна и Джуаншера, повторно используя содействие хазар, Леон добивается полной независимости и царской короны [3].

---

[1] ქ. ცხ. მარ., 218; შევს. ქ. ცხ., მარის გამოც., 186.

[2] Ср. перевод Броссе:... «Léon, éristhaw d'Aphkhazie, fis du frére de Léon à qui l'éristhawat héréditaire de cette contrée avait été conféré précédemment, se détacha d'eux». Hist. de la Géorgie, I p., p. 259.

[3] ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოც. ჩუბინოვისა, გვ. 178.

Нет сомнения, что данный рассказ Вахушти основан целиком и исключительно на известиях „Матианэ картлисай"; отклонения от источника объясняются лишь домыслами и индивидуальным пониманием (как в случае, на котором мы здесь задержали внимание) ученого царевича.

Что же дает нам сообщение первоисточника? Сообщение указывает на два важных обстоятельства, при которых произошло окончательное отпадение Абхазии от Византии и провозглашение Леона „царем абхазов". Эти обстоятельства— слабость империи и выступление хазар против имперского правительства на стороне Абхазии. Ближайшее рассмотрение этих обстоятельств убедит нас в том, что дата, установленная царевичем Вахушти для воцарения Леона, гораздо больше приближается к истине, чем вычисления позднейших исследователей.

В самом деле, до исхода VIII в. Византия представляется нам на высоком уровне своего могущества. Наступает усиление империи с воцарением основателя сирийской или исаврийской династии, Льва III Исавра (717—741 гг.). Восшествие на престол Льва III-его, по словам Гельцера, „является одним из важнейших поворотных моментов в истории империи, моментом действительно всемирно исторического значения. Этот великий военный гений окончательно устранил арабскую опасность, угрожавшую в последний раз, но зато и самым ужасным образом. В реорганизации военного дела, в упорядочении финансов и в судебном управлении он проявил себя истинным возродителем империи"[1]. В 718 г. Лев III разгромил арабскую армию Масламы, уже целый год осаждавшую Константинополь, и тем спас империю от участи, которая постигла Византию под ударами турок-османов лишь через семь веков. В 740 г. у Акроин была одержана еще одна большая победа над арабами[2]. Торжество Льва III над арабами тем более значительно, что „никогда магометанский мир не представлялся столь грозным и могучим, даже в XV и

[1] Очерк политической истории Византии: „Очерки по истории Византии", вып. 1, С.-Пб., 1912, 63.

[2] Там же, 63—64; Ф. Успенский, История Византийской империи, т. II, Л. 1927, 8—14, 18—19.

XVI вв.", как в начале VIII в.[1] Далее для нас очень важно, что в борьбе с арабами Лев III искал и „нашел себе иноземных союзников: сначала болгар, позднее хазар"[2]. Союз и дружба ромеев и хазар уже имели к этому времени свои традиции и питались они, главным образом, политическими интересами, вытекавшими из наличия общего грозного и могущественного врага в лице арабов. Эти общие интересы приводили еще до Льва III к брачным союзам между обоими царскими домами. Так, один из ближайших предшественников Льва III на императорском престоле, Юстиниан II (685—695; 705—711) был женат на дочери хазарского хакана. Далее, интересно, что Лев, еще будучи лишь офицером императорских войск, получил от Юстиниана II-го „важное поручение отправиться на Кавказ и попытаться воздействовать на Грузию и Колхиду в том смысле, чтобы подготовить здесь союз против арабов, замышлявших движение на Кавказ. Эта миссия, полная всяких приключений и неожиданностей, исполнена была Львом с успехом и дала ему возможность запастись опытом и знанием для предстоявшей ему впереди деятельности"[3]. Здесь, конечно, Лев имел возможность оценить все значение, в борьбе против арабов, не только Грузии, но и расположенного к северу от Кавказского хребта Хазарского царства. Руководясь желанием получить в лице хазар верных союзников против арабов, Лев III и задумал женить своего сына, наследника престола, Константина, на хазарской принцессе, дочери хакана. Она была привезена в Константинополь, повидимому, еще совсем малолетней девочкой, в 731 году и обращена в христианство, получив имя Ирины[4]. В следующем году Ирина была обручена с 14-летним Константином[5]. Брак состоялся позже, и от него в 750 г. родился сын Лев, который в том же году был коронован в соправи-

---

[1] Ф. Успенский, 6.
[2] А. Васильев, Лекции по истории Византии, т. I, 1917, 222.
[3] Ф. Успенский, 5.
[4] Там же, 137.
[5] Там же, 65.

тели отца[1]. Эти детали имеют для нас некоторое значение, как увидим ниже.

Царствование Константина V-го Копронима, заступившего место отца на императорском престоле в 741 г., было не менее успешно. Войны против арабов принесли византийскому оружию новые победы. В 745 и 751 гг. империя сделала значительные территориальные приобретения в Сирии, Месопотамии и Армении. Важнейшие на Востоке города, Феодосиополь или Эрзерум, Малатия, Самосат и другие отошли к Византии. Продвижению Константина на востоке благоприятствовала тяжелая внутренняя смута в халифате, сопутствовавшая захвату верховной власти Аббасидской династией[2].

Положение на восточных границах, которые „приближались к Даре и Нисиби, пограничным крепостям лучшего времени политического и военного могущества Византии", оставалось стабильным и в семидесятых годах в общем в пользу империи[3].

Несколько более напряженная борьба на болгарском фронте, в конце концов, была также завершена успешно для Константина: уже с 60-ых годов император свободно распоряжался в Болгарии. Это положение в общем продолжалось до самого года смерти Константина (775)[4].

Очевидно, что царствование Константина Копронима (741—775), эпоха политического и военного могущества Византии и ее тесных связей с хазарами, совсем не представляло собой удобного времени для отпадения от империи абхазского эристава и превращения последнего в независимого царя. Поэтому дату, которая была предложена для этого события Такайшвили и принята другими исследователями, а именно—746 г., приходится решительно отбросить.

В 775 г. на Византийский престол вступил сын Константина, Лев IV, считавшийся уже в течение четверти века со-

---

[1] Ф. Успенский, 138.
[2] Ф. Успенский, 68—73; А. Васильев, 222.
[3] Ф. Успенский, 74, 79.
[4] Там же, 79—88.

правителем и известный в истории под прозвищем „Хазар“, благодаря своему происхождению. Кратковременное правление Льва Хазара (775—780) носило, в общем, те же черты, что и царствование его отца; во внутренней жизни страны оно отмечено большим спокойствием, а во внешней политике обращают на себя внимание новая победа императорских войск над арабами при Германикии в 778 г. и мирные отношения с болгарами, с преобладающим влиянием Византии[1].

Очевидно, что царствование Льва Хазара тоже не является тем периодом, который имеет в виду „Матианэ картлисай“, описывающий условия акта Леона абхазского.

Здесь необходимо рассмотреть еще одно обстоятельство, которое находится в связи с тем безусловным фактом, что основатель абхазской царской династии является историческим лицом второй половины VIII в., т. е., или ровесником, или, в крайнем случае, младшим современником Льва Хазара, родившегося, как было отмечено выше, в 750 году. Дату рождения Леона абхазского мы можем относить примерно тоже к середине VIII в., что в известной мере определяет и отношение по возрасту матери Леона к матери Льва Хазара. Поэтому, очевидное само по себе, родство матери Льва хазара, дочери хазарского хакана, Ирины и, неизвестной по имени, матери Леона абхазского, тоже дочери хазарского царя, есть полное основание понимать в самом тесном смысле. По всему вероятию, это были просто сестры, и, в таком случае, получается, что император Лев IV и Леон абхазский были двоюродные братья. Может быть не случайно и то обстоятельство, что двоюродные братья носят одно и то же имя. Правда, имя Леона древне-грузинский историк присваивает и дяде основателя абхазской царской династии. Однако, историчность этого Леона I-го для нас находится под некоторым сомнением, которое поддерживается и тем фактом, что „Диван царей“ знает лишь одного Леона, соответствующего Леону II-ому „Матианэ картлисай“. Близость, в данном случае, между обоими источниками обнаруживается в том, что оба они считают основателя династии не прямым потомком предыдущего абхазского эриставa: по „Матиа-

[1] Гельцер, 67; Ф. Успенский, 140—145.

нэ", Леон II племянник (сын брата) Леона I, а по „Дивану", Леон—брат Константина и сын Феодора.

Столь близкие родственные отношения с византийским владетелем абхазский эристави, конечно, мог использовать в своих интересах, но естественно думать, что дело тут не могло выйти за пределы расширения объема эриставской власти и подчиненной ей территории. Отпадение Абхазии произошло позже, когда внутреннее и внешнее положение Византийской империи значительно изменилось. Случилось это при ближайших политических преемниках Льва Хазара.

Прямым и законным наследником Льва IV Хазара был сын его, Константин. Еще при жизни своей Лев короновал, по требованию представителей „гражданского населения тем вместе с большим количеством войска", в соимператоры пятилетнего Константина. Случилось это в 776[1].

В 780 году умер Лев Хазар, оставив нового царя, Константина VI-го, в 10-летнем возрасте. Поползшие тотчас же слухи о том, что Лев IV был отравлен его же супругой, малолетство царя, раскрытый еще в царствование Льва заговор против царя, организованный братьями императора, все это предвещало мало хорошего для нового царствования. По причине несовершеннолетия Константина VI, царскую власть с ним разделила мать его, царица Ирина, которая фактически и стала править государством. Уже на 40-ой день после смерти Льва был раскрыт новый заговор, во главе которого стоял брат Льва, кесарь Никифор, и который поддерживали крупнейшие представители служилой знати. Далее следовали новые заговоры и смуты (781, 792, 797). Не только жестокий характер безмерно честолюбивой интриганки, царицы Ирины, и обилие претендентов на императорский престол питали эти внутренние волнения. Подлинные причины данной борьбы лежали, повидимому, в более глубоких интересах разных слоев византийского общества, в интересах, которые нашли свое внешнее выражение, в частности, в так называемом вопросе об иконопочитании. Члены исаврийской династии были убежденными иконобор-

[1] Ф. Успенский, 140—143.

цами. После решительных мер в данном направлении уже основателя династии, Льва III, наиболее ревностным борцом против икон и их почитателей явился Константин V, прозванный за это своими врагами „Копронимом". Афинянка Ирина, невестка Копронима и жена Льва Хазара, явилась столь же решительной носительницей противоположных взглядов. Считают, что под влиянием Ирины уже в царствовании Льва Хазара церковная политика правительства была смягчена в пользу иконопочитателей. Ставши же сначала регентшей, а потом самодержавной правительницей империи, Ирина постепенно восстановила иконопочитание вместе с соответствующими правами черного духовенства и монастырей. Восточные темы, которые служили главной опорой иконоборческих императоров из исаврийского дома, восстали против Ирины. Борьба приняла открытую форму, когда Ирина стала домогаться единодержавия и полного отстранения сына от власти. Восточные темы отказались принести Ирине присягу в этом духе, и, напротив того, провозгласили автократором одного Константина VI. Ирина была удалена в монастырь, а ее ближайшие сотрудники наказаны. Однако слабость и ошибки Константина наряду с новыми смутами были вскоре искусно использованы Ириной. Путем хорошо организованного дворцового переворота Константин VI был низложен с престола и ослеплен по приказанию своей бесчеловечной матери (797 г.). Ирина стала единодержавной государыней, пока сама не сделалась жертвой нового заговора. Это внутреннее состояние империи естественно сопровождалось ослаблением ее внешнего могущества и авторитета. Борьба с арабами принимает теперь неблагоприятный для Византии оборот[1]. В 783 г. Ирина покупает мир у арабов ценой большой ежегодной дани. Такой же данницей ста-

[1] Акад. И. А. Джавахишвили, цит. соч., 367—8, тоже указывает на названные обстоятельства, описывая в следующих словах отпадение Абхазии от империи: ...„в VIII в. Византия была ослаблена от борьбы с арабами и внутренних церковных несогласий и острой борьбы между иконопочитателями и иконоборцами. Этим воспользовался абхазский эристави того времени". Автор принимает, согласно вычислениям Такайшвили, годом воцарения Леона 746 и годом его смерти—791.

новится империя и в отношении болгар. Врагами Ирины заявили себя, в конце VIII в. и балканские славяне. В общем неудачные войны вел и Константин после 790 г., как против арабов, так и против болгар. Еще более ухудшилось положение после событий 797 г. Теперь против Ирины выступает и Карл Великий, который отрицает за женщиной право занимать императорский престол. Вероятно, к ущемлению собственно византийских интересов были направлены сношения Карла с халифом Гарун-ар-Рашидом[1].

Нужно думать, что именно в это смутное время, и может быть, после 797 г. в единоличное управление Ирины, и совершил Леон абхазский свой акт. „Ослабление греков", о котором говорит древнегрузинский историк и которое служило благоприятным условием события, длительно подготовлявшегося всем предыдущим развитием Абхазии, должно было быть почувствовано, особенно на востоке, именно теперь. Отвратительное преступление Ирины давало повод и личному настроению против Ирины эристава Леона, близкого родственника несчастной жертвы—Константина VI-го. Естественно предполагать такое же, и даже более активное, настроение при дворе хакана, еще ближе связанного с Константином. Становится понятным, что уже из чувства мести (не говоря о других мотивах), хазарский хакан помогал своему не то внуку, не то племяннику, добивавшемуся независимости абхазскому эриставу, в борьбе с Ириной, совершившей столь ужасное злодеяние против другого, точно также, не то племянника, не то внука хазарского царя, чем, конечно, был нанесен определенный удар по политическим интересам Хазарии. Таким образом, отпадение Абхазии от империи происходит на исходе VIII в.

Другие, независимые от рассмотренных выше, источники поддерживают данный вывод. Замечательные сообщения о состоянии Абхазии в начале восьмидесятых годов VIII века дает нам известный грузинский писатель того времени Иоанн Сабанисдзе. Картлийский „эрисмтавари" Нерсе, окон-

[1] Васильев, 222—254; Гельцер, 67—69; Ф. Успенский, 145—202.

чательно поссорившись с арабами, которые владели тогда Восточной Грузией, решил эмигрировать с родины. Наиболее подходящим убежищем показалась ему Абхазия, „как защищенная от страха перед арабами страна". В Абхазию отправил Нерсе „с самого же начала мать и жену и детей и имущество всех (членов) своего дома", однако он сам не последовал в тот момент за домочадцами. Со свитой из трехсот всадников, Нерсе через „врата Овсетии, которые называются Дариалан" вступил „в страну северную, стоянку и лагерь детей магога, которые суть хазары". „Дети Магога", однако, приняли картлийского князя радушно: „Когда прибыл Нерсе эристави к царю хазар, принял (царь) его (Нерсе) благосклонно, по причине пребывания (Нерсе) на чужбине и в бегстве от врагов его; и дал он ему и всему его войску питание и одеяние". Нужно думать, что как действия Нерсе, так и благоприятное к нему отношение хакана объясняется на политической почве—общностью антиарабского настроения и общими симпатиями и связями с эриставом Абхазии. Очевидно, что Нерсе с самого начала рассчитывал, в частности, на родство хакана с абхазским эриставом. По этой же причине, нужно думать, и было оказано хаканом покровительство Нерсе в дальнейшем его движении из Хазарии в Абхазию. Вот как описывает Сабанисдзе дальнейшие события и состояние Абхазии:

„მაშინ, შემდგომად რავდენისამე ჟამისა, ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოდასასა, რათა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა; რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს მას დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა, მისისანი რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა. ხოლო ღმერთმან მოამშჳდა პირი მეფისა მის ჩრდილოდასაჲ და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა. და წარემართნეს იგინი სიხარულითა და მადლობითა ღმრთისაჲთა და განვლეს ქუეყანაჲ

„Тогда, через некоторое время, просил Нерсе царя севера, чтобы отпустил он его оттуда в страну Абхазию; ибо с самого же начала послал он (туда) мать и жену и детей и имущество и всех (членов) своего дома, так как защищена была страна та от страха перед сарацинами. И господь укротил сердце царя севера и отпустил он Нерсе со многими дарами. И отправились они с радостью и благодарностью богу и

იგი წარმართთაჲ, რომელთა ყოვლადვე არა იციან ღმერთი, და უშიშად ვიდოდეს დღჱ და ღამჱ სამისა თთჳსა გზასა... და ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსჱ ყოვლით ერით მისითურთ. ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი, დედაჲ თჳსი, და ცოლი და ძენი თჳსნი, სიხარულითა ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშჳდობით შეკრებისა მათისათჳს.

მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოჲსთჳს, რამეთუ ახალ ნათელღებულ არს, განიხარა ფრიად ყოვლით ერით მისითურთ; და მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსმან[1] და მღდელთა და აკურთხევდეს... და ნეტარი ჰაბო უფროჲსღა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ იგი სავსჱ ქრისტჱს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრად[2] იპოვების საზღვართა[3] მათთა, რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკჳდრებელი ყოვლადვე ქრისტეანეთაჲ, მისაზღვრადმდე[4] ქალდიაჲსა, ტრაპე-

прошли они страну ту язычников, которые вовсе не ведают бога, и без страха ехали днем и ночью трехмесячным путем... И когда они достигли страны Абхазии, князь той страны принял благосклонно Нерсе со всей его дружиной (войском). И как увидел Нерсе царицу, мать свою, и жену и детей своих, с радостью все благодарили бога за то, что собрались они живыми и благополучно.

Тогда, как только стало известно князю Абхазии о блаженном Або, что он новообращенный, возрадовался весьма со всем народом своим; и призвали его князь тот и епископ и священники и славили (его)... А блаженный Або еще больше благодарил бога, потому что нашел он страну ту исполненную христовой веры и нет никого неверного среди коренных (жителей) в их пределах. Ибо сопредельно им море Понтийское, достояние полностью христиан, до рубежей Халдии, где Трапе-

[1] ვარ.: ეპისკოპოსთა.
[2] ვარ.: მკჳდრ.
[3] ვარ.: საზღვარად.
[4] ვარ.: ზღვარადმდე.

ზუნტიაჲ მუნ არს, საყოფელი[1] იგი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაჲს ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტჱსმსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინეპოვლისასა[2].

зунт, и местность Апсареа и Напсайская гавань... и являются города те и места владением слуги христова, ионского царя, который восседает на престоле в великом граде Константинополе".

Рассказ Сабанисдзе заключает в себе много интересного. Во-первых, заметим, что сообщение о дарах, полученных Нерсе от хакана, и о свободном, безбоязненном проезде грузин через страну язычников, „которые даже не ведают бога", по столь длинному („трехмесячному") пути, указывает на особое благорасположение и покровительство хазарского владыки по отношению к своим гостям, точнее— к гостям своего близкого родственника. Продолжительность пути объясняется временем года: Нерсе и его спутники прибыли в Абхазию, повидимому, не то в конце декабря, не то в первых числах января месяца и, следовательно, вынуждены были воспользоваться не перевальными путями Абхазии, а кружным путем—объехав Кавказский хребет полностью или до более доступных черкесских перевалов и спустившись потом по морскому побережью до места назначения. Описание внутреннего состояния Абхазии так и дышит благополучием и рисует силы, накопленные в результате предыдущего развития страны и позволившие абхазскому эриставу в скором времени освободиться от всякой иноземной зависимости. Еще более важны для нас указания Сабанисдзе на политическое состояние Абхазии. Во главе страны стоит „мтавари"[3], то есть, „владетель", „князь" (в древнерусском значении этого слова). Таким образом, в противовес „Матианэ картлисай", Сабанисдзе, который безусловно стоит ближе к изучаемой нами эпохе, титулует абхазского владетеля „мта-

[1] ვარ.: სოფელი (კარბელაშვილის გამოცემით).

[2] აბოს წამება, პროფ. კ. კეკელიძის გამოცემა: ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა, ტფ., 1935 წ., გვ. 65—66.

[3] Помимо цитированного нами места, владетель Абхазии упомянут еще 2 раза: первый раз, как მთავარი აფხაზეთისაჲ, „мтавари Абхазии", другой раз—просто, как „мтавари".

вари", а не „эристави". Этот момент не лишен для нас значения: термины „мтавари" и „эристави" выражают в древнегрузинском различные понятия: первый обозначает династа, владетельную особу, небольшого суверена, местного „князя", второй указывает преимущественно на царского чиновника, правителя провинции, воеводу. По сведениям Сабанисдзе получается, что во главе Абхазии стоит владетель, „князь"; являющийся „сувереном" в каких-то, хотя-бы заметно ограниченных, пределах, но еще не „царь", не „мепе". Таким образом, абхазский владетель уже стоит прочно на пути своего освобождения от какой-бы то ни было иностранной зависимости, но конечной цели он еще не достиг. Путь этой „эмансипации", пройденный абхазским эриставом, был обычен в феодальной Грузии, и этот процесс мы наблюдаем как в средний период грузинского феодализма, так и в особенности—в поздний: назначаемый центральной (царской) властью, сменяемый „эристави" вначале добивается и достигает наследственности своей административной функции, а потом уже ищет суверенности. Нужно думать поэтому, что несколько смутное воспоминание грузинских источников о Леоне I-ом который получает Абхазию „наследственно", т. е., в наследственное владение, между тем как ранее того он упоминается в качестве „эриставa кесаря (императорского эриставa)", в общем правильно передает ход событий и должно быть понято так, как это сделал Вахушти: речь идет о превращении эриставского права в наследственное право. Возможно, что императорский эристави в Абхазии превратился в наследственного эриставa именно в VIII-ом веке. Во всяком случае, использование абхазским эриставом родственных связей с Львом Хазаром, о чем мы говорили выше, если оно имело место, могло произойти именно в этом направлении. К концу VIII-го века усиление власти абхазского эриставa достигло, повидимому, высшей точки: перед нами уже „князь", „мтавари". Но какая-то, может быть слабая и даже лишь формальная, зависимость от Византии еще осталась.

Взаимоотношение Абхазии и Византии выражено в сообщении Сабанисдзе лишь косвенно. Объясняя читателю

прочность позиций христианства в Абхазии, автор и указывает, что эта страна входит в черноморский мир. сплошь христианский. Это чрезвычайно любопытное место очевидно искажено переписчиками, но смысл его понятен. Сабанисдзе говорит: Абхазия простирается по побережью Черного моря, вокруг которого расположились сплошь христианские народы; непосредственно граничит с нею Халдия, область, в которой расположены Трапезунт и другие известные города и местности, принадлежащие византийскому императору. А если примем вариантные чтения, которые нам кажутся более правильными, тогда текст станет еще более ясным и в переводе на русский язык будет звучать следующим образом: ...„Нашел он страну ту исполненную христовой веры и нет никого из неверных в смежности с ними (არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრ იპოვების საზღვრად მათთა [მათდა?]). Ибо сопредельно им море Понтийское“ и т. д. Следовательно, Абхазия непосредственно подвержена влиянию ведущих центров христианства и находится в сплошной христианской среде,—такова идея автора. Проф. К. С. Кекелидзе, второй издатель памятника, толкует данное место иначе: он считает, что, по сообщению Сабанисдзе, Трапезунт и другие, названные рядом, пункты входили в пределы Абхазии [1]. Однако, такое толкование совершенно неприемлемо как текстуально, так и исторически: мы знаем хорошо, что Абхазия, в политическом смысле, не простиралась южнее реки Чорохи и едва ли она ее когда нибудь даже достигала; в отношении понимания текста спор, на наш взгляд, исключается выражением памятника „მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა“—„ДО (т. е. Абхазия простирается до) границ Халдии“, а перечисление некоторых прибрежных пунктов (Трапезунт и др.) дано в качестве географического определения Халдии. Под последней подразумевается византийская провинция, входившая, в изучаемый нами период, в тему Армениак: огромная тема Армениак обнимала в это время, по утверждению Ф. Успенского, „все южное побе-

[1] Названное издание, стр. 28 и 35. Требует особого обсуждения предложенное Пеетерсом и принятое проф. Кекелидзе отожествление Напсайской гавани с Никопсией, там же, 28. Попытка локализации названных пунктов дана нами в другом месте.

:режье Черного моря от Синопа до нынешнего Поти"[1]. В следующем, повидимому, столетии Халдия была выделена уже в самостоятельную тему, как об этом можно заключить по списку тем у Константина Порфирогенета, где Халдия значится 8-ой азиатской темой[2]. Такое разграничение Халдии и Абхазии в рассказе современника вполне естественно: Халдия представляла собою непосредственную административную часть империи, а Абхазия—лишь вассально-зависимое княжество.

Глубоко интересно, что у Сабанисдзе нет даже намека на Эгриси (Лазику) и его владетеля; этот факт, в свете некоторых сообщений других грузинских источников, наводит на мысль, что к данному времени императорское правительство успело ликвидировать местные органы управления и последние остатки автономии Лазики, что и облегчило ее захват (или мирное присоединение, с санкции императора) абхазским владетелям.

Свидетельство Сабанисдзе тем более ценно, что оно хорошо датировано: пребывание Нерсе и его дружины в Абхазии относится к первой половине 782 года, а написано само сочинение в конце тех же восьмидесятых годов. Достойно внимания также, что в сложной, синхронистической датировке, которую Сабанисдзе дает для времени мученической кончины (786 год) главного персонажа своего сочинения—Або Тбилисского—на первом месте указано „царствование, в великом граде Константинополе, над христианами Константина Леоновича"[3]. Тут Ирина не упомянута даже намеком—в этом безусловно дано отражение „восточных" взглядов на отношения внутри императорского дома; в этом же мы видим свидетельство и тому, что к концу восьмидесятых годов положение в Абхазии было то же, что и в их начале.

---

[1] Цит. сочин., 152. Успенский указывает, что в царствование Льва IV Хазара упоминаются следующие темы: Анатолика, Армениак, Опсикий, Фракисийская и Вукелларий. Ср. Гельцер, цит. соч., стр. 64, прим. 1.

[2] Гельцер, там-же.—Тема Армениак упоминается в первый раз у Феофана под 6159 годом. В. Г. Васильевский, Труды, II. 401.

[3] აბოს წამება, კ. კეკელიძის გამოცემა, 68.

Таким образом, рассмотрение показания хорошо информированного современника должно было нас убедить, что провозглашение Леона „царем абхазов“ не могло произойти ранее девяностых годов VIII в.

Помощь, оказанная хазарским хаканом Абхазскому князю против империи и ее мотивы, как они объяснены нами выше, находят дополнительное освещение и подтверждение в сведениях, сообщаемых в „Житии Иоанна Готского“ [1]. Из этого любопытного памятника мы узнаем, что в конце VIII века хазары проявили активность, направленную против традиционной византийско-хазарской дружбы, не только в Абхазии, но и на остальном Кавказском побережьи Черного моря, а также в Крыму. По сообщению „Жития“, на Крымском полуострове тоже имела место, в VIII в., борьба различных общественных интересов, выливавшаяся и в форму борьбы вокруг вопроса о почитании икон. Предшественник Иоанна по епископской кафедре был, оказывается, иконокластом, а сам Иоанн—иконодулом и представителем явных или тайных почитателей икон. По этой причине, Иоанн получил рукоположение в епископы Готии в Картли, которая, повидимому, тоже придерживалась старых обрядов. Однако, активно себя проявляет Иоанн лишь после того, когда уже не стало императоров Константина и Льва и „после воцарения Ирины и ее сына“, как выражается „Житие“ (указ. изд., 397). Это выражение памятника очень характерно: в определении царствования выдвижение на первый план Ирины и неупоминание вовсе имени ее сына явно показывает тенденцию памятника. Активность Иоанна вначале проявилась, повидимому, лишь в церковно-организационной и догматической сфере—в частности, в участии на Никейском соборе. Уже после этого, т. е. после 787 г., Иоанн вступает и в местную политическую борьбу.

Дело в том, что много раньше до того хазары успели утвердиться на обоих берегах Боспорского пролива: на рубеже VII—VIII вв. хазары владели всем Таманским полуостровом с его главным городом Фанагорией, и землями в

[1] В. Г. Васильевский, Житие Иоанна Готского, „Труды“, т. II, 351—427.

Крыму, в непосредственном соседстве с Готией, которая тогда считалась независимой. Соседний же Готии вольный греческий город Херсонес, пользовавшийся обычно автономией под протекторатом византийского императора, тоже проявлял тяготение к хазарам. „Все... показывает, что хазары могли бы окончательно завладеть Херсоном, если бы к тому настойчиво стремились. Но, повидимому, хакан предпочитал всяким такого рода приобретениям дружественные отношения к империи, с которою он имел одного и того же главного врага—в лице халифа мусульманского“ (там же, 390). К концу VIII в. хазары успели завладеть уже Готией; по сообщению „Жития“, хакан послал своих вооруженных людей и занял готскую крепость Дорос. Когда это случилось, об этом памятник прямо не говорит, но рассказывается об этих событиях после сообщения о соборе в Никее в 787 г. Мы поэтому думаем, что активность хазар в Крыму имела место тоже в девяностых годах VIII в.

Иоанн затеял борьбу с хазарами, но был предан своей собственной паствой—доказательство существования таких групп населения в Крыму, которые были проникнуты настроениями, совершенно противоположными настроению Иоанна, явного агента правительства Ирины.

Наконец, укажем, что в начале IX в. традиционная дружба между хазарами и империей опять была восстановлена. В 833 г., по просьбе хазарского хакана, император Феофил построил для них на Дону важную крепость Саркел. С согласия хазар былая автономия Херсона была теперь ограничена в пользу империи[1].

Все рассмотренные нами материалы убеждают нас в том, что провозглашение Абхазии независимым царством произошло в девяностых годах VIII в., и, может быть, после 797 г., в единовластие Ирины (797—802).

---

[1] Гельцер, Цит. соч., 72; его же, Очерки культурной истории Византии, в той же серии, вып. II, стр. 51—53.

არაბობა საქართველოში

§ 1. ზოგადი შენიშვნა

მეშვიდე საუკუნის შუაწლებისათვის, როგორც ცნობილია, საქართველოს ცხოვრებაში გაჩნდა ისეთი ახალი მოვლენა, რომელმაც შემდეგში, თანდათანობით, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ განვითარებაზე. ეს იყო **არაბობა**, არაბთა მფლობელობა ამათუიმ ფორმითა და მოცულობით, რომელმაც საუკუნეთა სიგრძეზე გასძლო საქართველოში და რომელიც, სწორედ ამიტომ, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს ისტორიის სათანადო პერიოდის შესწავლისას.

წინამდებარე ნარკვევში ჩვენ ვცდილობთ გავითვალისწინოთ **არაბობა საქართველოში** მისი პირველი პერიოდის ფარგლებში, სანამ ჯერ კიდევ **ტფილისის საამირო** (სამხედრო-ადმინისტრაციული ორგანიზაცია, რომელიც, ცვალებადი მოცულობით, აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს არაბთა მფლობელობის ქვეშ) მეტნაკლებად დაკავშირებულია არაბთა საერთო სახელმწიფოსთან, ხალიფატთან, და ამ უკანასკნელის ევოლუციის საერთო ასპექტში უნდა იყოს გაშუქებული, ისევე, როგორც განხილული უნდა იყოს მჭიდრო ურთიერთობაში თვით საქართველოს შინაგანი განვითარების ტენდენციებთან. უკანასკნელი მომენტისათვის უნდა ისიც დავსძინოთ, რომ წარმოდგენილ მონოგრაფიაში აღძრული არ არის საკითხი „არაბობის" ზეგავლენის საერთო შედეგების შესახებ ქართული ფეოდალიზმის განვითარებაზე, რადგანაც ეს ზეგავლენა განხილული უნდა იყოს და იქნება კიდევაც იქ, სადაც ფეოდალური საქართველოს ისტორიის აღებული ხანა იქნება სისრულით წარმოდგენილი[1].

§ 2. არაბთა გამოსვლა მსოფლიო-ისტორიულ ასპარეზზე

არაბები სრულიად არ ყოფილან უცნობნი ძველი სამყაროსათვის ისლამის გამოჩენამდის. უძველეს კულტურულ ხალხებს თავის ისტორიულს თუ ნახევრად ისტორიულ-ეპიკურ მწერლობაში

---

[1] იხ. ს. ჯანაშია, პატრონყმობის ბუნება და წარმოშობა საქართველოში (მზადდება დასაბეჭდად).

რედაქციის შენიშვნა: ამ ნაშრომის დაბეჭდვა ავტორს არ დასცალდა. გამოქვეყნებულია მხოლოდ მისი თეზისები (იხ. ამავე ტომში).

დაცული აქვთ საყურადღებო ცნობები როგორც არაბების, ისე საზოგადოდ არაბეთის ნახევარკუნძულის შესახებ. ეს ნახევარკუნძული პირვანდელი სამშობლოა არა მარტო არაბებისა, არამედ ყველა მათი მონათესავე ხალხისა, რომელთაც ეხლა სემიტების საერთო სახელწოდებით აღნიშნავენ. მეცნიერებაში ამჟამად უცილობლად მიიჩნიათ, რომ სხვადასხვა სემიტური ტომი, რომელთაც შემდეგში სხვადასხვა ქვეყანაში ვხედავთ, არაბეთის ნახევარკუნძულიდან არის გამოსული თავის დროზე, ისევე, როგორც VII ს. დამდეგს არაბებმა შექმნეს ამ საემიგრაციო მოძრაობის უკანასკნელი ტალღა.

მსოფლიო ისტორია იცნობს ხალხთა მოძრაობის ორს დიდ კერას. ერთი არის შუა-აზია, თურქულ-მონღოლური ტომების სამშობლო, საიდანაც დროგამოშვებით გადმოდენილი ეთნიკური ზვირთები წამლეკავი სიძლიერით ეფინებოდნენ მეზობელ ქვეყნებს და, უპირატესად, დასავლეთისა თუ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოძრაობდნენ. კავკასიურ სამყაროს ისინი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ევლინებოდნენ.

მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კერა არაბეთის ნახევარკუნძულია. მეხუთე თუ მეოთხე ათასეულში, ძველი წელთაღრიცხვით, აქედან გამოდის პირველი დიდი საემიგრაციო ტალღა, რომელიც თანდათან ჰფარავს შუამდინარეთისა და მეზობელი მხარეების ველებს და სუმერული კულტურის (სუმერები ყველაზე ძველი წარმომადგენლები იყვნენ წინააზიის უძველესი მოსახლეობისა) ნანგრევებზე საძირკველს უყრის ბაბილონისა და ასურეთის საყოველთაოდ ცნობილ სახელმწიფოებს. მაგრამ უკვე ბაბილონურ სახელმწიფოს დამაარსებლებს, სარგონსა და მის შვილს ნარამსინს, უხდებათ ბრძოლა სემიტების ახალ დენასთან. ნაკადის შეჩერება საბოლოოდ ვაინც შეუძლებელი ხდება და იგი ისახება, როგორც მეორე სემიტური, გრანდიოზული, ემიგრაცია ამორეველ-ქანაანელებისა (XXIV—XIV სს. ძვ. წ.). ამ ნაკადის პირველი ტალღა ფინიკიელები იყვნენ, ებრაელები — უკანასკნელი. მეორე ათასეულის დამლევს, ძვ. წ., მოდიან უკვე არამეელები, რომელთაც ხელი შეუწყვეს სირიული (ძველი ქართული ტერმინოლოგიით — ასურული) ენისა და ეროვნების ჩამოყალიბებას. ეს იყო მესამე ემიგრაცია. მეოთხეს, არაბეთის ნახევარკუნძულიდან გამოსულს, სემიტურ ტალღას, ეკუთვნიან უკვე ქალდეველები, რომელთაც, მიდიელებთან ერთად, შემუსრეს ასურელების ძლიერება (606 წ. ძვ. წ.) და მისცეს ბაბილონს ახალი დინასტია (604—560 წ. წ. ძვ. წ.). დასასრულ, ათიოდე საუკუნის შემ-

დეგ, თავიანთი თანამშრომლების მიერ გათელილ გზებს არაბთა რაზმები მოედვნენ.

ამ პერიოდულ ემიგრაციებს როგორც შუა აზიიდან, ისე არაბეთის ნახევარკუნძულიდან ზოგი მეცნიერი ხსნის დედამიწის ზედაპირის ნელი, შეუმჩნეველი და თანდათანი გაშრობა-გახმობის პროცესით აღნიშნულ რაიონებში. ეს კოსმიურ-გეოლოგიური პროცესი იყო სწორედ ძირითადი მიზეზი ხალხთა ყველა გადასახლებისა ცენტრალური აზიისა, საჰარისა და არაბეთის წიაღებიდან ისტორიამდისეულსა და ისტორიულ ხანებშიო. არაბეთის შესახებ ასეთი, ამ ქვეყნის კლიმატოლოგიაზე დამყარებული, კონსტრუქცია მოგვცა ცნობილმა იტალიელმა ორიენტალისტმა ლ. კაეტანიმ. აღნიშნული ცვლილებები არაბეთის ნახევარკუნძულზე ხდებოდა ისე ნელა, რომ გარკვეული პერიოდის მოსახლეობისათვის ეს პროცესი ძლივს შესამჩნევი იყო. გაფანტული და შედარებით მეჩხერი მოსახლეობა ჯიუტად იჯდა მამაპაპეულ მიწაზე და ძველებურად ეწეოდა თავის ჩვეულ საქმიანობას. მაგრამ ბოლოსდაბოლოს დგებოდა დრო, როცა შიმშილი აიძულებდა ხალხს აყრილიყო სამშობლოდან და სხვა, უფრო ნაყოფიერ ქვეყნებში ეძიებლუკმა-პურიო.

მოსაზრებას, რომ უდაბნოების ზონის გაფართოების ტენდენცია არსებობს დედამიწის სხვადასხვა მხარეში და რომ წვიმების შემცირების მიზეზით დროთა ვითარებაში განსაკუთრებით დაზარალდნენ ზღვისაგან დაშორებული ბარის ადგილები (საჰარა, ცენტრ. აზია, არაბეთი), მაშინ როდესაც ზღვით დასერილი და ზღვასთან ახლოს მდებარე ქვეყნები (სამხრ. ევროპა, ინდოეთი, ინდო-ჩინეთი) უფრო ბედნიერ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ,—ამ მოსაზრებას ავტორიტეტული ნატურალისტები უჭერენ მხარს. მაგრამ აღნიშნულ პროცესს მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა გეოლოგიური, და არა ისტორიული, პერიოდებისათვის. ამათუიმ ისტორიულს საზოგადოებრივ ფორმაციას ბუნებრივი პირობები ხვდებოდა უკვე თითქმის გარკვეული სახით და, ყოველ შემთხვევაში, ძირითადი მიზეზები ხალხთა მოძრაობისა უნდა ვეძიოთ არა აქ, არამედ თვით საზოგადოებრივი სტრუქტურისა და მეურნეობის თავისებურებაში. თითქმის სულ ყველა ეს ხალხი, თავის სამშობლოდან დაძრული და სხვაგან წასული ახალი საკვები არეების საძებრად, მეჯოგე ტომია. რაც უფრო გვიანდელია საემიგრაციო მოძრაობა, მით უფრო მეტად ვამჩნევთ ახალ ელემენტებსაც მეურნეობაში. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას არაბული „ემიგრაციის“ (მეტნაკლებად პირობითი მნიშვნელობით) შესახებ.

არაბეთის ნახევარკუნძულს დასავლეთიდან ეკვრის მეწამული ზღვა, რომელიც მას ეგვიპტისაგან ჰყოფს, სამხრეთიდან—ინდოეთის ოკეანე, აღმოსავლეთიდან—ირანის ყურე. ამ ვრცელ არეზე რამდენიმე მკაფიოდ განსხვავებული რაიონი განირჩევა: 1) შუა რაიონი, რომელიც ზეგანს წარმოადგენს და ნ ე ჯ დ ი ს სახელწოდებას ატარებს; 2) ჰ ი ჯ ა ზ ი, სანაპირო ოლე, მეწამული ზღვის გასწვრივ მდებარე, მთაგორიანი ქვეყანა, რომელიც უმთავრესად ორი პარალელური მთაგრეხილისა და შუა ტაფობისგან არის შედგენილი და 3) ი ა მ ა ნ ი (ძველ ქართულ მწერლობაში—იამანეთი) ანუ ბ ე დ ნ ი ე რ ი ა რ ა ბ ე თ ი, რომელიც სამხრეთიდან მოსდგამს ჰიჯაზს და რომელსაც ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო ნაწილი უჭირავს (სიტყვა „იამან“ არაბულად ნიშნავს „მარჯვნივ“ და აქედან გაკეთდა „ბედნიერი არაბეთის“ სახელწოდებაც, რადგანაც ცრუმორწმუნე მასები „მარჯვენას“ „ბედნიერის“ მნიშვნელობას უკავშირებდნენ (შეადრ. ქართ. „მარცხი“ და „გამარჯვება“).

ამ დიდ სივრცეზე, რომელიც ყველგან არ არის გამოსადეგი ადამიანის ცხოვრებისათვის, აღებული ეპოქის დამდეგისათვის უპირატესად არაბული მოდგმის მოსახლეობაა დამკვიდრებული. იგი ორ მთავარ ჯგუფად განიყოფება—ჩრდილოეთისა და სამხრეთის ტომებად. პირველთ „ი ს მ ა ი ტ ე ლ ე ბ ს“ ეძახის ბიბლია (ეს ტერმინი ჩვეულებრივად იხმარება ძველ ქართულ მწერლობაში არაბების აღსანიშნავად საზოგადოდ, ისევე, როგორც, ამავე მნიშვნელობით,—„ძენი ი ს მ ა ე ლ ი ს ნ ი“, ს ა რ კ ი ნ ო ზ ე ბ ი,—უდრის ევროპ. ს ა რ ა ც ი ნ ს,—და „ძ ე ნ ი ა გ ა რ ი ს ნ ი“ ანუ ა გ ა რ ი ა ნ ე ბ ი)[1], ხოლო მეორენი იმავე ლიტერატურულ ძეგლში წოდებული არიან ი ე კ ტ ა ნ ე ლ ე ბ ა დ. ჩრდილოეთის ტომები, ისმაიტელები,—რომელნიც ყოველთვის ზეპზედვარედ უყურებდნენ სამხრეთელებს, რადგანაც მხოლოდ თავიანთ თავს სთვლიდნენ „წმინდა სისხლის,“ შუმ არაბებად,—მსხემურ (ნომადურ, მომთაბარე) ცხოვრებას ეწეოდნენ, მეჯოგენი იყვნენ და იშვიათი სიმხნის, სამხეღრო სიქველის, სიმამაცისა და გამძლეობის თვისებებით იყვნენ შემკულნი. ესენი არიან ყველასათვის ცნობილი ბ ე დ უ ი ნ ე ბ ი. უფრო მშვიდობიანი სამხრეთელები იმთავითვე ბინადარ ცხოვრებაში იყვნენ ჩაბმულნი. აქ, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივ „გარემოს: ბედუინების უდაბნოებისაგან განსხვავებით, სამხრეთელ ტომებს

[1] იმთავითვე იხმარება ძველ ქართულ მწერლობაში აგრეთვე „ა რ ა ბ ი ე ლ ნ ი“ და შემდეგ „ა რ ა ბ ნ ი“.

ეჭირათ შედარებით მდიდარი ადგილები. აღმოსავლეთის რაიონში აქ აწარმოებდნენ გუნდრუკს, რომელსაც დიდი გასავალი ჰქონდა ძველ ქვეყნებში, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის რაიონში დიდი რაოდენობით პოულობდნენ ოქროსაც. იმავე დროს მოსახლეობას უძველესი დროიდანვე კულტურული კავშირები აქვს მეზობელ დაწინაურებულ ქვეყნებთან.

III ათასეულის ბოლოს, ძვ. წ., იამანში უკვე ჩანს მიწისმოქმედი და კულტურული მოსახლეობა. II ათასეულის ბოლოს აქ მაინელების სახელმწიფოს ვხედავთ. მაინელები ვაჭრობას აწარმოებენ ერთი მხრით ინდოეთთან, მეორე მხრით—ეგვიპტესა, პალესტინასა და ბაბილონეთთან. მაინელების კულტურული განვითარების დონეზე მიგვითითებს მათი თავისებური ანბანური დაწერილობა. მეტი ცნობები მოგვეპოვება მაინელთა მემკვიდრეების, საბაელების შესახებ, რომელნიც აქ საბოლოოდ დამკვიდრდნენ VIII—VII ს. ს. ძვ. წ. და რომელთა სახელმწიფო—საბა—ბიბლიაშიც არის მოხსენებული. საბაელთა ნაკვალევი, დიად ნაგებობათა ნანგრევებისა, რთული სარწყავი სისტემის ნაშთებისა და კლდეებზე ამოკვრილი, ყოველმხრივ საინტერესო წარწერების სახით, XIX ს. შუაწლებიდან მკვლევართა ყურადღებას იპყრობს და ნაყოფიერი მასალაა ამ ხალხის წარსული ვითარების აღსადგენად. საბაელებს, როგორც ჩანს, კიდევ უფრო ცხოველი საალებმიცემო ურთიერთობა აქვთ გარესამყაროსთან. საკუთარი პროდუქციის გარდა, ისინი სატრანზიტო საქონლითაც ვაჭრობენ: ინდოეთიდან მოაქვთ—სანახევროდ ზღვის, სანახევროდ ხმელეთის გზით—საქონელი, რომელიც შემდეგში მეწამული ზღვით გააქვთ ეგვიპტეში ფარაონებისა და მათი დიდებულების კარზე. მეწამულ ზღვაში ნაოსნობის სიძნელე ხელს უწყობს პარალელურად ხმელეთის გზის განვითარებას ჰიჯაზზე. ეს გზა ჰიჯაზის ზემოთმოხსენებულ ტაფობზე გადის და იამანს სირიასთან აკავშირებს. ამ საქარავნო გზაზე, ჰიჯაზის ფარგლებში, უკვე იმ დროს ძევს მნიშვნელოვანი სავაჭრო სადგურები და ქალაქები—მაქორაბა, მერმინდელი მაქა, და იატრიბა (ფიქრობენ, რომ ეს არის მერმინდელი იასრიბი, მაჰმადის შემდეგ მადინად წოდებული)—მაშასადამე. ის ორი ქალაქი, რომელთაც ისლამის ისტორიაში უდიდესი როლი ითამაშეს. ჰიჯაზიდან სინაზე გავლით ეს საქარავნო გზა ბოლოვდება ხმელთაშუაზღვის ნაპირზე მდებარე ქალაქებში—პეტრასა და ღაზაში, რომელთაგანაც განსაკუთრებით მდიდარი და ძლიერი პირველი იყო.

არაბული საშუამავლო სავაჭრო გზის მნიშვნელობა ძლიერდებოდა იმ ხანებში, როდესაც პოლიტიკური პირობები ასუსტებდნენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გაბმული მეორე სატრანზიტო გზის—სირია-მესოპოტამია-ბაბილონის (აგრეთვე ირანის ყურეს აკავშირებდა ხმელთაშუაზღვასთან) როლს. მაშასადმე, არა მარტო ეკონომიურად და კულტურულად, არამედ პოლიტიკურადაც უკვე უძველეს დროს არაბეთის ნახევარკუნძული ახლო ეხება წინააზიურ სამყაროს.

ელინისტური ხანიდან (IV—III ს. ს.) საბაელები სუსტდებიან და თანდათანობით ადგილს უთმობენ ჰ ი მ ი ა რ ე ლ ე ბ ს, რომელთა სამეფომ გაძლო უფრო დიდხანს და რომელთაც ურთიერთობა აქვთ ჯერ კიდევ იუსტინიანე კეისართან. თუმცა ამ დროს (VI ს. ახ. წ.) ჰიმიარელების პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება ბევრად ჩამოუვარდება საბაელებისას, მაგრამ სავაჭრო დამოკიდებულება იამანსა და სირიას შორის, იმავე მაქას გზით, და იამანსა და აბაშეთს შორის, მეწამული ზღვით, კიდევ არსებობს.

სამხრეთ არაბეთში უარსებნია სხვა წვრილ არაბულ სახელმწიფოებსაც, მაგრამ მათ ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონიათ. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ჩრდილოეთის პროვინციების პოლიტიკური ისტორია. აქაც, თუმცა უფრო გვიან აღმოცენებული და უფრო სუსტი, არაბული სახელმწიფოებრივი ორგანიზმები არსებობენ და მოქმედებენ: ა რ ი ბ ი, ჯერ ასურეთისა და შემდეგ აქემინედების ირანის ყმა; ნ ა ბ ა ტ ე ლ ე ბ ი ს სამეფო მთავარ ქალაქ პეტრათი და შორეული არაბულ-ელინისტური კულტურით; განსაკუთრებით ცნობილი პ ა ლ მ ი რ ი ს სამეფო, რომლის არსებობა რომაულ ხანას განეკუთვნება და რომლის განთქმულმა დედოფალმა ზ ე ნ ო ბ ი ა მ (ელინიზებული ფორმაა არაბული სახელის ბ ა თ - ს ე ბ ი ნ ი ს ა) III ს. მეორე ნახევარში თითქმის მოახერხა მოკლე ხნით ელინისტურ-აღმოსავლური დიდი სახელმწიფოს შექმნა: მისი ვაჟი ვ ა ხ ბ ა ლ ა ტ ი აღიარებულ იქნა ეგვიპტისა და მცირე აზიის მფლობელად, მაგრამ ავრელიანე კეისარმა უკვე 273 წ. მოახერხა ბოლო მოეღო პალმირას სამეფოს არსებობისათვის, და თვით დედაქალაქი დაანგრია. პალმირას, ისევე როგორც პეტრას, გრანდიოზული ნაშთები ახლაც იზიდავენ მკვლევართა ცნობისმოყვარეობას.

გვიანდელ რომაულსა და ბიზანტიურ ხანაში ჩრდილოეთ არაბეთის კიდეზე, ერთი მხრით, სირიასა და, მეორე მხრით, ირანის ერაყში, ისევ ჩნდებიან არაბული პოლიტიკური ერთეულები. როგორც რომაელები, ისე ირანელები თავიანთ საუკუნოვან ბრძო-

ლაში ცდილობენ გამოიყენონ ბედუინები ქირის ჯარის სახით, ისევე როგორც ამ ფრონტის ჩრდილოეთ ფრთაზე ისინი იყენებენ, იმავე წესით, ალანების, ჰუნებისა და სხვა ჩრდილოკავკასიელი ნომადების დახმარებას. ორივე მხარე იძულებულია არაბთა ბმართველობის სათავეში ადგილობრივი წარმოშობის მფლობელები დააყენოს. ამით აიხსნება ნაწილობრივ ამ მფლობელთა ხელისუფლების ხასიათი: მაშინ როცა ნეჯდის ბედუინების შ ე ი ხ ე ბ ი (შეიხი მოხუცს, უხუცესს, ნიშნავს), მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ე ბ ი, თვით თანამეტომეთა მიერ ა რ ჩ ე უ ლ ი პირები იყვნენ, როგორც ყველა გვაროვნული საზოგადოების მეთაური, სირიელი და ერაყელი არაბი მფლობელები მემკვიდრეობით გადასცემდენ თავიანთ ხელისუფლებას. ცხადია, ეს მფლობელები ამ შემთხვევაში თავიანთი სიუზერენების რეალურ დახმარებას ეყრდნობიან. მაგრამ თუ ამ ნიადაგზე შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას სათანადო დინასტიების (ჰ ა ს ა ნ ი დ ე ბ ი---სირიაში და ლ ა ხ მ ი დ ე ბ ი—ერაყში) არსებობა, თვით პოლიტიკური ორგანიზმების წარმოშობა, რა თქმა უნდა, საკუთარი განვითარების შედეგი იყო. ამისათვის, როგორც ვნახეთ, საჭირო ნიადაგი აქ უკვე დიდიხანია არსებობდა.

რომაელთა და ბიზანტიელთა ვასალები, სირიელი ჰასანიდები და ირანელთა ყმები, ლახმიდები (სატანტო ქალაქით ხ ი რ ა თ ი, მდ. ევფრატის მახლობლად) დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან და ანალოგიურ განვითარებასაც განიცდიან, ებრძვიან რა მუდმივ ერთმანეთს სიუზერენის დავალების შესასრულებლად სანაპირო ხაზის დაცვის შესახებ. ამ ფ ი ლ ა რ ქ ე ბ ს (ე. ი. ტომთა მთავრებს, როგორც მათ ეძახიან ბერძენი მწერლები) იმავე დროს თავი ძალიან დამოუკიდებლად და თვითნებობით უპირავთ. ამიტომ სიუზერენთა დამოკიდებულება ამ მოუსვენარი ხალხისადმი ყოველთვის ზრუნვით, სიფრთხილითა და შიშნეულობით იყო აღსავსე, რაც სათანადო პოლიტიკას არათანაბარ ხასიათს აძლევდა. გადამეტებულ ჯილდოსა და საჩუქრებს (იუსტინიანე კეისარი, მაგ., სირიის მთელ არაბობას აერთიანებს ერთი მფლობელის ხელისუფლების ქვეშ და ამ მფლობელს მეფისა და პატრიკიოსის ტიტულებით აჯილდოვებს) ბეტად მკაცრი დამსჯელი ღონისძიებები მოსდევდა. ამ საურთიერთო ბრძოლასა და ჯაჯგურში ორივე ვასალური სახელმწიფო VII ს. დამდეგს ჩამოდის ისტორიული სცენიდან, როგორც მნიშვნელოვანი ძალა.

მაგრამ რომ შიდა არაბეთშიაც ამ დროისათვის უკვე მწიფდება სახელმწიფოებრივი ძალები, ამას მოწმობს ტომთა კოალი-

ცია, რომელიც აქ ჩამოყალიბდა კ ი ნ დ ი ს ტომის მეთაურობით V ს. მეორე ნახევარში. საუკუნის დამლევს ამ კავშირის მრავალრიცხოვანმა ურდოებმა წალეკეს პალესტინა და მომდგამი ქვეყნები. VI ს. დამდეგს იმპერატორი ანასტასი იძულებული ხდება უზარმაზარი თანხა გადაუხადოს კინდელებს, რათა დაიცვას თავისი საზღვრები მათი თარეშებისაგან და რათა ეს უკანასკნელი მიმართოს თავისი მოწინააღმდეგის, ირანის მეფის ვასალის, ხირას მფლობელის წინააღმდეგ. მართლაც, კინდელებმა მოახერხეს თითქმის მთელი ხირას სამფლობელოს დაპყრობა, მაგრამ მოკლე ხნით.

ყოველივე ზემომოთხრობილი მიგვითითებს იმ ნიადაგსა და საერთო სიტუაციაზე, რომლებმაც უნდა აგვიხსნან ჩვენ არაბულ დაპყრობით ლაშქრობათა მოჩვენებითი მოულოდნელობა მეშვიდე საუკუნეში. ბიზანტიისა და სპარსეთის სანაპირო ხაზზე მდებარე არაბული სამთავროების არსებობას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მათ, ერთი მხრით, საშუალება მისცეს ხარბსა და საშოვარის მაძიებელ ბედუინებს გასცნობოდნენ ამ დიდი სახელმწიფოების დოვლათსა და სიმდიდრეს, ხოლო, მეორე მხრით, თანდათანობით შთაუნერგეს მათ რწმენა, რომ ეს კოლოსები არც თუ უძლეველი არიან. საჭირო იყო მტკიცე საორგანიზაციო ძალა, რომელიც, არაბთა მთელი წინანდელი პოლიტიკური ისტორიის მიერ დადასტურებულს, ნახევარკუნძულის შინაგან პოტენციას დარაზმავდა და წარმართავდა უკვე წარმოჩენილი მიდრეკილებების მიერ დასახული გზებით. ასეთ პროცესს ჩვენ ვხედავთ VII ს. დამდეგს. იმდროინდელ ამბებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ი ს ლ ა მ მ ა, ახალმა მსოფლიო რელიგიამ, რომლის პირველი მქადაგებელი იყო მ უ ჰ ა მ ა დ ი.

თავიანთი რელიგიური რწმენების მხრივ ისლამის წინადროინდელი არაბები აგრეთვე ჭრელ სურათს წარმოადგენდნენ. ბედუინები, თავიანთი პრიმიტიული სოციალური ყოფის შესაბამისად, პრიმიტიული ტოტემიზმისა და ფეტიშიზმის წარმოდგენათა წრეში იმყოფებოდნენ. ერთღვთაების, ა ლ ლ ა ჰ ი ს, წარმოდგენა, ალბათ შემოტანილი უფრო განვითარებული რაიონებიდან და ეპოქებიდან, ბუნდოვანი და არარელიეფური იყო. თითოეულ ტომს მიჩნეული ჰქონდა საკუთარი კერპი ან კულტის რომელიმე სხვა საგანი. საერთოდ, როგორც დამკვირველები ამტკიცებენ, ბედუინები რეალისტები და პრაქტიკოსები არიან და საკმაოდ გულგრილად არიან განწყობილი სარწმუნოებისადმი. მკვიდრ განაპირა მოსახლეობაში კი ჩვენ რელიგიის უფრო რთულ ფორმებსაც ვხედავთ. ჯერ ერთი, აქ გარედან შემოტანილი სარწმუნოებანიც გვხვდება. მეშვიდე საუ-

კუნის დამდეგისათვის არაბთა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით, სირიელები და ერაყელები, ქრისტიანობას (ჩვეულებრივად, მონოფიზიტურს) აღიარებდა; ნაწილი მისდევდა იუდაიზმს (არაბეთის ქალაქებში ებრაელები ბლომად ცხოვრობდნენ). იუდაიზმი და ქრისტიანიზმი აქაც სოციალურ-პოლიტიკური იარაღის როლში გამოდიან და ებრძვიან (ხშირად, დიდი სისასტიკით) ერთმანეთს. აბაშეთის (ეთიოპიის) მეფე, რომელსაც გარკვეული პრაქტიკული ინტერესები ამოძრავებს, მაგ., მხარს უჭერს და აბატონებს კიდევაც ქრისტიანობას ჰიმიარელების სამეფოში. შესამჩნევია არაბეთში სხვა მეზობელი ქვეყნების რელიგიური გავლენაც.

ასეთივე სოციალურ-პოლიტიკური იარაღის ფუნქცია დაკისრებული აქვს აქ ადგილობრივ კულტებსაც. კერძოდ, რელიგია გამოყენებულია, როგორც იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალება, სავაჭრო ინტერესების სფეროში. საკუთარი და სატრანზიტო აღებმიცემა მოითხოვდა საქარავნო გზების მუდმივ დაცვას ყაჩაღობისადმი დიდად მიდრეკილი ბედუინებისაგან. თავისთავად ცხადია, ამ დაცვის ფუნქციას, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო კისრულობს, მაგრამ სახელმწიფოებრივ ორგანოებთან ერთად მფარველობის მოვალეობას აკისრებენ ტაძრებსაც. ამ მხრივ ყველაზე განთქმული მთელ არაბეთში იყო ქ ა ა ბ ა ს ტ ა ძ ა რ ი ქალაქ მაქაში. ამ ტაძარში, რომელიც, ზოგის აზრით, არა არაბული წარმოშობისაა, ინახებოდა თაყვანისცემის მთავარი საგანი, შ ა ვ ი ქ ვ ა, გადმოცემით, „ციდან ჩამოტანილი". ამ ტაძრის გარშემო მაქას, ერთი უმთავრესი სავაჭრო ქალაქის, მმართველმა წრემ მოახერხა ტომთა სარწმუნოებრივი კავშირის შექმნა. მაქელები ახერხებენ თანდათანობით ამ კავშირში ბედუინების ჩაბმასაც, სულ უფროდაუფრო მეტი რაოდენობით, და, ამრიგად, უდაბნოს მოუსვენარი შვილების ენერგიის ნეიტრალიზაციასაც, მით უმეტეს რომ თვით ბედუინებსაც სავაჭრო ინტერესები ჰქონდათ მაქაში: მათ (ვაჭრების როლში, ალბათ, უმთავრესად ტომებისა და თემების მეთაურები გამოდიან) აქ მოაქვთ ტყავები და, საერთოდ, მეჯოგეთა მეურნეობის სხვა პროდუქტები. ყოველწლიურად მაქაში დიდი ზეიმით იხდიდნენ გაზაფხულის დღესასწაულს, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ამ დღესასწაულთან დაკავშირებული იყო დიდი ბაზრობაც. არა მარტო მაქაში, არამედ მეზობელ პუნქტებშიაც, ბოლოსდაბოლოს საყოველთაოდ დამკვიდრდა შეგნება მშვიდობიანობის აუცილებლობისა ამ ბაზრობის დროს. ეს ხელ-

საყრელი იყო ყველა მხარისათვის. დაახლოვებით VI ს. დამლევს, მაქას მოქალაქეების მოხერხებით, წესად იქნა დადგენილი, რომ არა მარტო მაქას სავაჭრო კავშირის ტერიტორიაზე, არამედ თითქმის მთელ არაბეთში დაცული ყოფილიყო მშვიდობიანობა ოთხი თვის განმავლობაში წელიწადში. მთავარი სავაჭრო გარიგებები ამ საყოველთაო მშვიდობიანობის დროს ხორციელდებოდა. უფრო დიდი ეფექტისათვის მაქელი ვაჭრები ნებას აძლევენ უცხოელ არაბ ტომებს დადგან ქააბაში და მის მახლობლად თავიანთი საკუთარი ღმერთების გამოსახულებანი. ეს თავისებური რელიგიური სინკრეტიზმი, ერთი მხრით, აძლიერებს ქააბას ავტორიტეტს და საძირკველს უმზადებს მონოთეიზმს, მეორე მხრით, ამტკიცებს არაბ ტომთა მოქალაქეობრივ კავშირებს.

მაქაში, აღებული პერიოდისათვის, გაბატონებული იყო კ უ რ ე ი შ ი ს თემი, რომელსაც, სხვათა შორის, ხელთ ჰქონდა ჩაგდებული ქააბას ტაძრის გამგეობისა და მომსახურეობის უაღრესად შემოსავლიანი ფუნქცია. ამ კურეიშის თემის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი საგვარეულოს, ჰ ა შ ი მ ი ს, წარმომადგენელი იყო მ უ ჰ ა მ ა დ ი, რომელმაც VII ს. დამდეგს მაქაში ჯერ საკუთარ ოჯახში, შემდეგ უფრო ფართო წრეში, დაიწყო თავისი ქადაგება. მისი მოძღვრება არც მდიდარი იყო და არც ორიგინალური; ადგილობრივი კულტების განსხვავებით, იგი მკაცრ მონოთეისტურ შეხედულებას იცავდა და იუდაიზმის და ქრისტიანიზმის დიდ გავლენას ატარებდა. სოციალურად მას ორიენტაცია ჰქონდა აღებული ქალაქის ღარიბებისა და მონების წრეზე. სწორედ აქ, საკუთარი ოჯახის გარდა, პოულობს მუჰამადი თავის პირველს, მეტად მცირერიცხოვან მიმდევრებს. ეს ხალხი სიამოვნებით ისმენს მუჰამადის დაპირებებს იმის შესახებ, რომ „მათს მაქელ ბატონებს ელის ღვთის რისხვა და მისაგებელი საიქიოში“. სამაგიეროდ მაქის არისტოკრატია, მდიდარი კურეიშელები, უაღრესად მტრულად შეხვდა ამ ქადაგებას: ახალი მოძღვრება მას კარგს არაფერს უქადდა—ერთი მხრით, ძირს უთხრიდა ქალაქის ეკონომიური კეთილდღეობის ერთს ბურჯთაგანს, მის სამლოცველოს, მეორე მხრით, ბატონების წინააღმდეგ აჯანყებდა მონებს. უგულვებელყოფიდან და დაცინვიდან კურეიშელები აშკარა დევნაზე გადადიან. ერთი ხანობა, ჰაშიმის მთელი საგვარეულო და მუჰამადის მიმდევრები სასტიკი ბოიკოტის ქვეშაც იყვნენ დაყენებულნი. ბოლოს მუჰამადი და მისი მცირე მრევლი იძულებული გახდა გაქცეულიყო მეზობელ ქალაქ იასრიბში, რომელიც შემდეგში იღებს მ ა დ ი ნ ა ს (ე. ი. „ქალაქის“)

სახელწოდებას. ამ ფაქტს არაბები „ჰიჯრას“ (არაბულად „გაქცევას“ ნიშნავს) ეძახიან და თვით მუჰამადის გაქცევის დღიდან (622 წ. ზაფხული; თვით მუსლიმანების ანგარიშით, ამ წლის ივლისის 16, პარასკევი დღე) იწყება მაჰმადიანური წელთაღრიცხვა (ძველი ქართული ტერმინოლოგიით, „ისმაიტელთა წელნი“) ანუ წელთაღრიცხვა „ჰიჯრით“, რომელიც ეხლაც მიღებულია ყველა მუსლიმანურ ქვეყანაში.

იასრიბში „მუჰაჯირებმა“ (გაქცეულებმა) მეტი თანაგრძნობა ჰპოვეს. მუჰამადს აქ უფრო ადრეც ჰყავდა მიმდევრები და მალე თითქმის მთელი ქალაქი მისი გავლენის ქვეშ მოჰყვა. შესაძლოა აქ მნიშვნელობა ჰქონდა უკვე არსებულ კონკურენციას მაქასთან და თვით იასრიბის მოსახლეობის პრელ შემადგენლობას. კერძოდ, იასრიბში ბლომად იყვნენ ებრაელები, რომლებთანაც მუჰამადსა და მის მიმდევრებს ადრევე ჰქონდათ კეთილი განწყობილება და შემდეგშიაც იგი ერთხანს შეინარჩუნეს. იასრიბში მუჰამადი ახერხებს პატარა თეოკრატიული სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნას; მუჰამადი არის ამ თემის, როგორც პოლიტიკური, ისე სარწმუნოებრივი მეთაური. იცვლება მისი სოციალური საყრდენიც. შესაძლოა, მონებსა და ღატაკებს ერთხანს კიდევ შერჩათ თავიანთი წინანდელი ილუზიები; არსებითად კი მუჰამადი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში სრულიად შორდება ძველ მიმდევრებს. თანასწორობის მქადაგებელი, ღარიბებისა და დაჩაგრულების მოსარჩლე, ამ ქვეყნიერი მმართველებისა და ხელისუფალთა მამხილებელი, მუჰამადი ეხლა თვით იქცევა სახელმწიფოს მეთაურად, რომელიც აბსოლუტურ მორჩილებას მოითხოვს.

მალე მუჰამადი თავისი მიმდევრებისაგან ადგენს რაზმს, რომელიც ხელობად იხდის გამვლელი, განსაკუთრებით, მაქური ქარავნების ძარცვას. ეს მეკობრეთა რაზმი ბოლოს იქამდისაც მიდის, რომ თავის ოპერაციებს აწარმოებს თვით „საღვთო მშვიდობიანობის“ თვეებშიაც. მუჰამადი აწესებს ნადავლის გაყოფის ნორმას: ერთი მეხუთედი — საღმრთოდ (საერთო საჭურჭლეში), დარჩენილიდან ერთი საგნის არჩევანის უფლება—მუჰამადს, სხვა—თანასწორად ბრძოლის მონაწილეებს. მაქელები, რომელნიც იასრიბში დაბუდებული მუჰაჯირებისაგან დიდ ზარალს ხედავენ, ებრძვიან მათ დიდი ენერგიით, მაგრამ ცვალებადი წარმატებით.

630 წ. მუჰამადი ახერხებს მაქას აღებას, სამხედრო ძალით, და ნელნელა უახლოვდება თავის წინანდელ მოსისხლე მტრებს, კორეიშელებს. კორეიშელების ჯარის ყოფილი ბელადიც კი, ჰალიდ

ი ბ ნ-ვ ა ლ ი დ ი, რომელმაც მწარე დამარცხება აწვნევინა მუჰამადს ოხოდის მთასთან, გადადის „მოციქულის“ მხარეს და მალე ხდება „ისლამის მახვილი“, ყველაზე დიდი უდიდეს არაბ სარდალთა შორის.

კორეიშელი არისტოკრატები იღებენ მუჰამადის სარწმუნოებასაც: ა. მიულერის თქმით, „ისინი, ბოლოსდაბოლოს, ხალისით უერთდებოდნენ ახალ სავაჭრო ფირმას, ბოლო რელიგიურ წესებს იღებდნენ, როგორც რეკლამასა და განცხადებას“.

მუჰამადის მიერ დაარსებულმა რელიგიამ მიიღო სახელწოდება „ი ს ლ ა მ“ - ი ს ა. „ისლამი“ ნიშნავს „მინდობას (ღვთისადმი)“. მისი მიმდევრები კი იწოდნენ „მ უ ს ლ ი მ“ - ე ბ ა დ (ირანული ფორმით „მუსლიმანებად“), რაც „მინდობილს“ ნიშნავს. მუსლიმები იწოდებიან „მაჰმადიანებადაც“, მოციქულის სახელის მიხედვით. მუჰამადის ქადაგებანი, შემდეგში ჩაწერილი, თავმოყრილია მუსლიმების საღვთო წიგნში, „ყურანი“-ში („ყურანი“ ნიშნავს „საკითხავს“), რომელიც „ს უ რ“ - ე ბ ა დ, ცალკე თავებად არის დაყოფილი.

მაქას დაპყრობის შემდეგ მუჰამადის ძალა და გავლენა არაჩვეულებრივად გაიზარდა, ისე როგორც მისი განკარგულების ქვეშ მყოფი ტერიტორია, მაგრამ მთელი არაბეთი მას არასოდეს არ დამორჩილებია, გარეშე ქვეყნების დაპყრობაც ხდება უკვე მისი სიკვდილის შემდეგ.

§ 3. ხალიფატის დაპყრობითი ომები

მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ (632 წ.) ერთბაშად და თვალნათლივ აღმოჩნდა, რომ ისლამის გავრცელებაში დიდი დამსახურება იძულებას ეკუთვნოდა: მოჩვენებითი მუსლიმების ხუთმა მეექვსედმა ურჩობა გამოაცხადა და გადარეკა მუჰამადის მიერ დადგენილი მოხელეები და გადასახადების ამკრეფლები. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ისლამის დამაარსებელმა, მიუხედავად თავისი საერთო ანტიწარმართული (უმთავრესად, კერპთმსახურების წინააღმდეგ მიმართული) პოლიტიკისა, ერთი დიდი „მსხვერპლი“ გაიღო არაბული ძველი ეროვნული რელიგიის წინაშე: ქააბას სამლოცველოს სიწმინდე და მისი კულტის მიუცილებლობა აღიარა. მეტიც: მან ყოველ მუსლიმს ერთერთ ძირითად სათნოებად და მოვალეობად დაუსახა ამ სალოცავის პირადი მონახვა და თაყვანისცემა (ქააბაში პილიგრიმობას მუსლიმები „ჰაჯს“ ეძახიან). მხო-

ლოდ შემდეგში სრულიად არა სარწმუნოებრივმა ლოზუნგებმა შესძლეს ისლამის დროშის ქვეშ არაბების ნამდვილი გაერთიანება.

უკვე ნუჰამადმა მისცა თავის მოძღვრებას მკაფიოდ აგრესიული ხასიათი: იგი ომს უცხადებდა მთელ სამყაროს, რომელიც ისლამს არ აღიარებდა. შენახულია გადმოცემა, თითქოს მუჰამადი 628 წ. წერილობით მიმართავს ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს, მის მოადგილეს ეგვიპტეში, სირიელ არაბთა მფლობელსა და ირანის შაჰს და მოითხოვს ძალგან მორჩილებას.

მაგრამ ეს საგარეო ექსპანსია ხორცს ისხამს მხოლოდ მისი მემკვიდრეების დროს. მუჰამადის მოადგილეები იყვნენ მისი უახლოესი თანამშრომლები: ა ბ უ - ბ ა ქ რ ი (632—634 წწ.), ო მ ა რ ი (634—644 წწ.), ო ს მ ა ნ ი (644—655 წწ.) და ა ლ ი (656—661 წწ., ნომინალურად). ისინი იმთავითვე იღებენ ტიტულს „ხალიფა“-სი („მოადგილე“, იგულისხმება მუჰამადის მოადგილე) და „ა მ ი რ - ა ლ - მ უ მ ი ნ ი ნ ა“-სი (ძველი ქართული გამოთქმით—„ამირმუმლი“), რაც „მართლმორწმუნეთა მბრძანებელს“ ნიშნავს. ხალიფების ხელთ გაერთიანებულია როგორც საერო, ისე საეკლესიო (სარწმუნოებრივი) უზენაესი ხელისუფლება. ხალიფების სამფლობელო „ხ ა ლ ი ფ ა ტ ა დ“ იწოდება.

პირველი დიდი დაპყრობითი ლაშქრობანი ომარის ხალიფობაზე მოდის. ამ დაპყრობითი ომების მიზანი და მიზეზი, როგორც ამტკიცებენ ისლამის საუკეთესო მცოდნენი (კაეტანი, ა. მიულერი, ჰოლციერი და სხვ.), სრულებით არ ყოფილა ახალი სარწმუნოების გავრცელების ცდა. ბედუინები, რომელთაც შეადგინეს ისლამის სამხედრო ძალის ძირითადი ბირთვი, მოქცეული იყვნენ მხოლოდ გარეგნულად. ისლამი მათთვის იყო გზა არა საიქიო ცხოვრებისაკენ (საიქიოსი მათ არაფერი სწამდათ), არამედ სააქაო, ამქვეყნიური სიკეთეებისაკენ. ისლამი აერთიანებდა მათ, როგორც არაბთა მსოფლიო ბატონობის დროშა. როგორც ყველა ძველი დამპყრობელი, არაბთა სარდლებიც მიზნად ისახავდნენ არა ურწმუნოთა მოქცევას, არამედ არაბული სამფლობელოს გაფართოებას, ხარკსა და ნადავლს. ისლამის მეომრებმა შეითვისეს შეხედულება, რომ არაშუსლიმებს იმდენად აქვთ არსებობის უფლება, რამდენადაც ისინი მუსლიმების კეთილდღეობისათვის მუშაობენ, რომ ეს ქვეყანა მუსლიმების სარგებლობისა და სიამოვნებისათვის არის გაჩენილი, რადგანაც ისინი ღვთისაგან რჩეული და შეყვარებული ერია. ამიტომ იყო, რომ, პირველხანად, დაპყრობილ ქვეყნებში არაბები დიდ სარწმუნეობრივ ლმობიერებას იჩენდნენ. სარწმუნოებრივი დევნულობა

მხოლოდ გვიან ჩნდება. ალაფობისა და ხარკის ძიების მიმზიდველობის ძალა და ტრადიცია არაბებში, როგორც ვნახეთ, ძველთაგანვე არსებობდა და შემდეგში მუჰამადის მიერაც იყო ნაკურთხი და დაკანონებული. ამისათვის ბედუინებს ბუნებრივად აიძულებდა მწირი გარემო. ისლამმა ამ მიდრეკილებებს მხოლოდ მანამდის უნახავი ფორმა და ორგანიზაცია მისცა. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ, როგორც ყოველთვის ხდება, ეს ახალი რელიგიაც წარმოადგენდა ზუსტ იდეურ გარდმონასახს იმ სოციალური ძალისას, რომელმაც იგი შექმნა: წინააღმდეგ ბიბლიური თქმულებისა, რომ ღმერთმა შექმნა კაცი თავის მსგავსად, სინამდვილეში კაცი ქმნიდა თავისთავის მსგავსად საკუთარ ღმერთებს.

ომარის ხალიფობაში, 635—6 წწ., არაბებმა ხელთ იგდეს მთელი სირია ქალაქ დამასკით; მომდევნო წლებში დაპყრობილ იქნა პალესტინა და იერუსალიმი; ორმოციანი წლების დამდეგს—ირანი; იმავე წლების დამლევს—ეგვიპტე. შემდეგ ჯერი მიდგა სხვა ქვეყნებზედაც.

არაბთა ასეთი არაჩვეულებრივად სწრაფი და დიდი წარმატება სხვადასხვა პირობებით აიხსნება. როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვანი იყო არა მარტო გამარჯვებულის, არამედ აგრეთვე დამარცხებულის თვისებები. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს არაბთა მოწინააღმდეგეების სისუსტე. ირანი, ჰერაკლეს ლაშქრობათა წყალობით, თითქმის განადგურებული იყო. არაბებმა მას მხოლოდ უკანასკნელი მახვილი ჩასცეს. ირანის განადგურებაში, ჩანს (ცნობები გვაკლია), როლი ითამაშა ირანის ჩამორჩენილმა სოციალურ-პოლიტიკურმა წყობამ: სასანიდების ქვეყანამ ვერ მოახერხა დრომოქმული ელემენტების დაძლევა და შეუბორკავი ფეოდალური ვანვითარების გზაზე დადგომა; დიდი ნაკლოვანებით იყო დაავადებული ბიზანტიაც, რომელიც, ირანთან შედარებით, მაინც დაწინაურებული ქვეყანა იყო. აქ მნიშვნელოვანი იყო, ჩვენ მიერ სხვა ადგილას აღნიშნული (იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში), იმპერიის სოციალურ-ეთნიკური შედგენილობის სიჭრელე და მწვავე რელიგიური უთანხმოებანი, რომელნიც ტომურსა და სოციალურ ანტაგონიზმს გამოხატავდნენ. ამიტომაცაა, რომ არაბებმა ბიზანტიისაგან მხოლოდ ისეთი პროვინციების მოწყვეტა მოახერხეს, რომელნიც წინათაც ყოველთვის განზე იხედებოდნენ: სირია, პალესტინა და ეგვიპტე. აქ მოსახლეობა არა-ბერძნული, უმეტეს წილად სემიტური, ე. ი. ეთნიკურად და ენობრივად არაბების მონათესავე იყო. ეს მოსახლეობა საერწმუნოებრივად

აგრეთვე განსხვავდებოდა ცენტრალური რაიონებისაგან—ჩვეულებრივად მონოფიზიტობას მისდევდა და ყოველთვის ებრძოდა მთავრობას, რომლისაგანაც სარწმუნოებრივ შევიწროებასა და დევნულობას განიცდიდა. ამ დევნულობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო სწორედ არაბთა მოვლინების ხანისათვის. კიდევ უფრო შეწუხებული იყო მოსახლეობა ბიზანტიის მოხელეების ძალადობისა და თვითნებობისაგან. ამიტომ ეს პროვინციები აშკარა თანაგრძნობით ხვდებოდნენ არაბებს, რომლებშიაც ისინი მხსნელებს ხედავდნენ და რომელთაც თან უფრო მსუბუქი ხარკი და ტოლერანტული (შემწყნარებელი, ლმობიერი) რელიგიური რეჟიმი მოჰქონდათ. ამავე მიზეზებით აიხსნება, რომ სხვა ბიზანტიურ პროვინციებში, სადაც ბერძნული პრივილეგიური ელემენტი მეტობდა, მაგ., მეზობლად მდებარე მცირე აზიის რაიონებში, არაბთა წარმატება არასოდეს არ ყოფილა მნიშვნელოვანი. სამუდამოდ განუხორციელებელი დარჩა აგრეთვე არაბთა ყველაზე ძვირფასი გულისნადები—იმდროინდელი მსოფლიო დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის დაპყრობა. ასე რომ, არსებითად, ყოველმხრივ შევიწროებულმა ბიზანტიამ (ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მას, აგრეთვე განუწყვეტლივ, არა ნაკლებ საშიში მტრები უტევდნენ) მოახერხა ხალიფების გაშმაგებული იერიშების მოგერიება. ნიშანდობლივია, ამ თვალსაზრისით, ის ფაქტიც, რომ არაბებმა, ბოლოსდაბოლოს, ვერაფერი დააკლეს, მიუხედავად დიდი ცდისა, ხაზარების მცირედ კულტურულსა და არც-თუ პირველხარისხოვან სახელმწიფოს.

თავის მხრივ არაბებს, რომელნიც, მაგ., ბიზანტიასთან შედარებით, ბევრად უფრო დაბალ კულტურულსა და სოციალურ საფეხურზე იდგნენ (მათ ჯერ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობისათვის არ მიეღწიათ), დადებითად ახასიათებდა ზოგიერთი თვისება, საჭირო ასეთი დიდი ოპერაციებისათვის. მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგეთა ჯარები დაღლილი იყვნენ გაუთავებელი მრავალსაუკუნოვანი ომებით, არაბები, ამ მხრივ, ჭაბუკური საომარი ენერგიით აღსავსე ძალას შეიცავდნენ. საუცხოო სამხედრო თვისებების, სიმარჯვის, სიმამაცის, სიმხნის მქონეებმა, არაბეთის უდაბნოს შვილებმა იმავე დროს დიდი ბუნებრივი ნიჭი და შეთვისების უნარი გამოიჩინეს. ისინი კარგად ამჩნევდნენ მოწინააღმდეგის ყველა კულტურულ მონაპოვარს და ხალისითა და ადვილად ითვისებდნენ მათ. ისლამმა კიდევ, თუმცა ვერ მოსპო ძველი არაბული ტომური წყობილება, სამაგიეროდ არაჩვეულებრივი დისციპლინა

დანერგა მათ შორის. ამ მხრივაც მოწინააღმდეგენი, მეტნაკლებად, ჩამორჩებოდნენ არაბებს.

საკუთრივ სამხედრო ტექნიკის სფეროში, თუმცა თავდაპირველად, ბიზანტიელებთან შედარებით, არაბები სუსტი იყვნენ, მაგრამ მალე აქაც გაუტოლდნენ მტერს. მათი უპირატესობა კი ის იყო, რომ არაბთა ჯარები ყოველთვის მხედრობისაგან შედგებოდა, ხოლო ხანა ისეთი იყო, საზოგადოებრივად და კულტურულად, რომ საომარ მოქმედებაში ჯარის ამ ტიპს აძლევდა გადამწყვეტ მნიშვნელობას. სხვა ქვეყნებში სამხედრო განვითარების ეს პროცესი დიდიხანია დაწყებული ჩანდა, მაგრამ ჯერ დამთავრებული არ იყო. არაბებს კი თვით მათი მოქმედების გარემო აიძულებდა, გარდუვალი აუცილებლობით, მხოლოდ მხედრობას დაყრდნობოდნენ. აღნიშნული გარემოება იშვიათ სისწრაფესა და მოულოდნელობას ანიჭებდა არაბული ჯარების საომარ მოძრაობას. საფიქრებელია, რომ არაბებთან ურთიერთობამ შეუწყო ხელი მთელი ლაშქრის ძირითადად ცხენოსნობის სახით მოწყობას სხვა ქვეყნებშიაც[1].

§ 4. არაბთა პირველი ცდები ამიერკავკასიისა და ქართლის დასაპყრობად

მას შემდეგ, რაც არაბებმა დაიპყრეს სირია, მესოპოტამია და საკუთრივ ირანის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, მათ გზა გახსნილი ჰქონდათ ამიერ-კავკასიისაკენაც. სომხეთში, მაგ., არაბული პირველი რაზმები გაჩნდნენ, როგორც ჩანს, უკვე 640 წ. ზოგიერთი მკვლევარი უეჭველად სცნობს, რომ ამ წელს არაბებმა მოახერხეს სომხეთის დედაქალაქ დვინის აღებაც. ბუნებრივია ამიტომ ვიფიქროთ, რომ იმავე ხანებში არაბთა მარბიელს თავისი ყურადღება უნდა საქართველოსთვისაც მიეპყრო.

მართლაც, ირკვევა, რომ არაბთა თარეში ქართლში გაჩენილა უკვე 642 თუ 643 წელს. არაბი ისტორიკოსი ტაბარი მოგვითხრობს, რომ ადარბადაგანის (ჩრდილოეთ ირანის) საბოლოო დაპყრობის წინ, რაც 643 წ. მოხდა, არაბთა მარბიელი რაზმები სხვადა-

[1] მეორე და მესამე პარაგრაფებში აღძრული საკითხებისათვის, ისლამისა და ხალიფატის წარმოშობისა და პირველი პერიოდის შესახებ, იხ., A. Мюллер, История Ислама, СПБ, 1895; Cl. Huart, Histoire des arabes, t. I, P. 1912, t. II, P. 1913; H. Lammens, Le berceau de l'islam... 1914; G. Weil, Geschichte der Chalifen, 1846, შემდ.; А. Крымский, История мусульманства, 1903-4 და სხვ. ქართულად: ისლამი და არაბთა სახელმწიფო, მიულერიდან, დ. უზნაძის რედაქტორობით, ქუთაისი, 1914 წ.

სხვა მიმართულებით მთელ ამიერ-კავკასიას მოედვნენ: ჰუდჰაიფა გაემართა ალანთა (თუ ალვანთა?), ქვეყნისაკენ, ბუკაირი მუღანს დაეცა, სალმან იბნ-რაბია ალვანეთის მოსაზღვრე სომხურ მთიან პროვინციაში შეიჭრა, ხოლო ჰაბიბ იბნ-მასლამა ტფილისისაკენ გაეშურა. არაბები უკუქცეულ იქნენ ყოველი მხრიდან, გარდა ბუკაირის რაზმისა, რომელმაც დაიპყრო და დახარკა მუღანიო[1]. ამავე ამბავს გულისხმობს, ალბათ, სომხური ცნობა, რომ არარატის ოლქში მდგომმა (არაბთა) ჯარმა მახვილით გაიარა ტაოს, ქართლისა და ალვანეთის მხარეებამდის და დიდი დავლა და ალაფი იშოვნაო[2]. ცხადია, რომ პოლიტიკურად არაბთა ეს პირველი ლაშქრობა საქართველოში უშედეგოდ დამთავრებულა. ზართლაც, არამც თუ ქართლისათვის, არამედ უფრო მისაწვდომი სომხეთისათვისაც,—მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის დედა-ქალაქი დვინი არაბებმა, როგორც ნათქვამი იყო, უკვე 640 წ. აიღეს,—მუსლიმების პირველი შემოსევები ჯერ კიდევ დაპყრობას არ მოასწავებდა. ხალიფას რაზმები, ქვეყნის მოთარეშების შემდეგ, იძულებული ხდებოდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. სომხეთში, ორმოციანი წლებისათვის, სამი ასეთი შემოსევაა აღნიშნული (640, 642-3, 650 წ. წ.). ამ ხნის განმავლობაში მთელი ქვეყანა ბიზანტიის კეისრის უზენაეს ხელისუფლებას აღიარებდა, არაბთა შემოსევებს კი მხოლოდ ყაჩაღური ხასიათი ჰქონდა. ადგილობრივ მთავართა პოლიტიკაც ცვლებადი იყო, ისინი ხან არაბების მხარეს გადადიოდნენ, ხან ბიზანტიურ ორიენტაციას უბრუნდებოდნენ. სომხეთის დაპყრობას (ისიც არა საბოლოოდ) არაბთა მიერ სომეხი მკვლევარნი VII ს. ორმოცდაათიან წლებს მიაკუთვნებენ[3].

---

[1] Ghazarian, Armenien unter der arabischen Herrschaft bis zur Entstehung des Bagratidenreiches, Marburg, 1903 (ქვემოთ ყველგან—ღაზარიანი), გვ. 17—18, ცნობა ეკუთვნის ტაბარის.

[2] *Սեբէոս, Պատմութիւն ի Հերակլն*, პეტერბურგის გამოც. 1879 წლ. (ქვემოთ ყველგან— სებეოსი), გვ. 118.

[3] ღაზარიანით, 36—37,—რომელიც სებეოსს, როგორც წყაროს, სამართლიანად უპირატესობას ანიჭებს ბალაძორის წინაშე—არაბთა პირველი შემოსევა სომხეთში მოხდა ომარის ზეობაში, მაგრამ მალე არაბებმა ხელი აიღეს ამ ქვეყანაზე და იგი ისევ ბიზანტიელებს დაუბრუნდა. 653 წ. სომხები ნებაყოფლობით დაემორჩილნენ არაბებს. ორი წლის შემდეგ, როცა ბერძენთა ჯარებმა ქვეყანა კვლავ დაიპყრეს, არაბებმა ისევ დალაშქრეს ქვეყანა და დაიპყრეს იგი, სისაკანსა, ალვანეთსა და საქართველოსთან ერთად. ამჟამად არაბებმა აქ გასძლეს მხოლოდ 657 წლამდის, როცა სირიაში არეულობა დაიწყო, და სომხეთი კვლავ ბერძენთა ხელში გადავიდა. მაგრამ მალე კვლავ ხალიფა დაეპატრონა ქვეყანას.

დაახლოებით ასევე ვითარდებოდა არაბ-ქართველთა ურთიერთობა ამ ხანაში. შედარებით მყარ შედეგებს ქართლში არაბები მხოლოდ მეშვიდე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აღწევენ. არაბული, სომხური და ბიზანტიური ცნობების შედარებითი შესწავლით საკმაოდ კარგად ირკვევა არაბთა მიერ ქართლის პირველი დაპყრობის ამბავი.

652 წ., როცა სომხეთის მმართველი, თეოდოროს რშტუნი, გადაუდგა ბიზანტიელებს და არაბებს დაუმორჩილა თავისი ქვეყანა, სომეხი თანამედროვე მემატიანის, სებეოსის, ცნობით, მასთან (რშტუნისთან) თანხმობაში ყოფილან (*էին ընդ նմա միաբան*) ქართველი, ალვანელი და სივნიელი (იგულისხმება—მთავრები). რა რეალური შინაარსისა იყო ეს კავშირი, ან რას ემყარებოდა იგი,—არ ჩანს. როცა კონსტანტინე კეისარმა (III), ამ განდგომის საპასუხოდ, თეოდოროსის წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებანი მიიღო და მეამბოხეების წინააღმდეგ ლაშქარი გაუძახა, თეოდოროსთან ერთად, და, ვითომც, მისივე ბრძანებით, თავთავიანთი ქვეყნებისაკენ გაეშურნენ ქართველი, ალვანელი და სივნიელი მთავრები და იქ გამაგრდნენ[1]. შემდეგ, იმავე მწერლის ცნობით, როცა კეისარმა სომხეთის უდიდესი ნაწილი კვლავ თავისი გავლენის სფეროში მოაქცია და, აირარატის ოლქის დალაშქვრის შემდეგ, ქ. დვინში დაბანაკდა, აქედან მან რაზმები დაგზავნა „საზეპურო გუნდსა“ (*սեփհական դնդին*), ქართლსა, ალვანეთსა და სივნიეთში, რათა გათიშვა შეეტანა მათს კავშირში (გამოეთიშა ისინი კავშირისაგან, შეთანხმებისაგან, *քակեալ դնուսա ի միաբանութիւնէ*; აქ ალბათ იგულისხმება კავშირი და შეთანხმება ურთიერთშორის და თეოდოროს რშტუნისთან). ალვანეთი, სივნიეთი და

თავის გამეფებისას, 661 წ., მოავიან წერილობით მოსთხოვა სომხებს მორჩილება და ხარკის გადახდა. კათალიკოსმა და მთავრებმა შეასრულეს ეს მოთხოვნა.—სომხეთის პირველ დაპყრობას ორმოცდაათიან წლებში დასდებს საკითხის უკანასკნელი მკვლევარი, პროფ. მანანდიანიც: *Հ. Մանանդյան, Մանր հետազոտություններ, Եր., 1932.* ლევონდიც (*Պատմութիւն Ղևոնդեայ մեծի վարդապետի Հայոց, Ս.-Պ., 1887*), გვ. 11, ადასტურებს, რომ პირველი შემოსევების შემდეგ, ორმოციან წლებში, არაბები ათი წლის განმავლობაში აღარ შესულან სომხეთში.

[1] სებეოსი, 138—139; სებეოსით, ეს ამბავი მომხდარა კონსტანტინე III-ის მეთორმეტე წელს, ე. ი. 653 ში (ჩვეულებრივად, კონსტანტინეს გამეფებას 641-ში დასდებენ). მაგრამ იმ ადგილებიდან, სადაც სებეოსი სხვა სინქრონისტულ თარიღებსაც იძლევა, ჩანს, რომ იგი კონსტანტინე III-ის მეფობას 640-იდან იწყებს და ჩვენც ამ გარემოებას ვითვალისწინებთ ჩვენს ანგარიშში. ამ კერძო შემთხვევაში 652 წ. კარგად ეთანხმება მომდევნო ამბების ქრონოლოგიას.

„საზეპურო გუნდი“ არ დამორჩილდნენ კეისარს, რის გამოც ეს ქვეყნები დაარბიეს და აიალაფესო[1]. გამოდის, რომ ქართლი, ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით, დამორჩილდა კეისარს და ამიტომ აოხრებასაც გადარჩა. ასეთი დასკვნა, სებეოსის ცნობების მიხედვით, დადასტურებას პოულობს მეორე სომეხი მემატიანის, იოანე დრასხანაკერტელის (IX ს. დამდეგი), პირდაპირი ჩვენებით. იოანე მოგვითხრობს კონსტანტინე კეისრის გალაშქრების შესახებ განმდგარი სომხეთის წინააღმდეგ და დასძენს: „არავინ აღმოჩნდა მისი მორჩილების [მსურველი], ქართველთა ქვეყნის გარდა[2]“.

რომ, მართლაც, ქართლზე ამ დროს არაბებს ჯერ კიდევ არავითარი გავლენა არ ჰქონდათ, ეს ჩანს შემდგომი მოთხრობიდან. როცა კეისარი უკან გაბრუნდა, თეოდოროს რშტუნი ისევ შეუდგა ძველი მდგომარეობის აღდგენის ცდას. ეს ცდა იმით იყო გაადვილებული, რომ, ზამთრის დღეების გასვლის გამო, დიდი დღესასწაულის (იგულისხმება აღდგომა) მოახლოებისას, რომაელებმა ასწრაფებით დასტოვეს სომხეთი და ტაოში გაიქცნენო. ეს უკანდახევა იმით აიხსნება, რომ არაბებს, ცხელი ქვეყნის შვილებს, ზამთარში საომარი ოპერაციების წარმოება უძნელდებოდათ, გაზაფხულის დადგომასთან კი ამ მხრივ ხელ-ფეხი ეხსნებოდათ. ცხადია, მაშასადამე, რომ მათს მოწინააღმდეგეს თავისი საკუთარი ძალების იმედი ცოტა დარჩენოდა. მართლაც, თეოდოროსი, რომელსაც ადრევე მიეღო არაბებისაგან დამხმარე სამხედრო რაზმი, ეხლა თვითონ წავიდა დამასკოში. აქ ისმაიტელთა მთავარმა მოავიამ იგი დაასაჩუქრა და მისცა სომხეთის, ქართლის, ალვანეთისა და სივნიეთის მთავრობა, ვიდრე კაპკოჰამდის (კავკასიონამდის) და ჭორამდის (დარუბანდამდის). ამასთან ერთად პირობა დაუდო თეოდოროსს მორჩილებაში მოეყვანა ეს ქვეყანაო[3]. მაშასადამე, მოავიას „სულგრძელი“ საჩუქარი ცარიელი აღთქმა იყო და იგი რეალური შინაარსით თვით თეოდოროსს უნდა აევსო ჩამოთვლილი ქვეყნების დაპყრობით. უეჭველია, რომ დასაპყრობი ქვეყნების რიცხვს, პირველ რიგში, ქართლიც ეკუთვნოდა.

---

[1] სებეოსი, 139—140. ეს ამბავი ხდება, ავტორის განსაზღვრით, კონსტანტინე კეისრის მე-12 წელსა და ისმაიტელთა ბატონობის (იგულისხმება ხალიფების ზეობა, 632 წ. და შემდ.) მე-20 წელს, ე. ი. იმავე 652 წ.

[2] *Յովհաննու կաթողիկոսի Դրասխանակերտցւոյ Պատմութիւն Հայոց*, მოსკ. გამ. 1853 წ. (= დრასხანაკერტელი), გვ. 49.

[3] სებეოსი, 143.

მართლაც, რომ არაბები და მათი ადგილობრივი აგენტები ჰხოლოდ აპირებდნენ ქართლის დაპყრობას, ესეც მკაფიოდ ჩანს შემდგომი ცნობებიდან. კონსტანტინე კეისრის მე-13 წელს, ე. ი., 653 წ., არაბებმა საშინელი დამარცხება განიცადეს ქალკედონთან, საზღვაო ბრძოლაში ბიზანტიელების წინააღმდეგ. არაბები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. შემოდგომის გასვლისა და ზამთრის მოახლოებისას არაბთა ჯარი მოვიდა და დაბანაკდა დვინში. იგი ფიქრობდა ქართლზე გალაშქრებას და ამ ქვეყნისათვის მახვილის დაცემას. არაბები მუქარით უთვლიდნენ ქართველებს: ან მოდით და გვემსახურეთ, ან დასტოვეთ თქვენი ქვეყანა და წადითო. იმათ (ე. ი. ქართველებმა) არ ისურვეს ამ მოთხოვნის შესრულება და მოემზადნენ არაბთა წინააღმდეგ ომისათვის. ისმაიტელებმა ბრძოლით გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ, რათა სრულიად მოესპოთ ისინი. მაგრამ ისევ ზამთარმა გააქარწყლა არაბთა ზრახვები. როცა ისინი გზას გაუდგნენ, მოიცვა ისინი ყინვამ და თოვლმა, რის გამოც სასწრაფოდ დაბრუნდნენ უკან და ასურეთში (სირიაში) წავიდნენ[1]. ეს, მაშასადამე, 653 წლის ზამთრის პირში უნდა მომხდარიყო.

რაკი არაბებმა სომხეთი დასტოვეს, ამ ქვეყნის მთავრებმა ერთმანეთში პირობა შეჰკრეს თანხმობისა და მშვიდობიანობისათვის და, სხვათა შორის, იმქამად ავადმყოფი, თეოდოროს რშტუნის ქვეყანაც გაიყვეს. ამის მნახველმა რშტუნიანთ უფალმა კვლავ ჯარი სთხოვა ისმაიტელებს, რათა დაემხო და დაეთრგუნა სომხეთი და მახვილით გაენადგურებინა ქართლი[2]. ცხადია, რომ ქართლი ისევ თავისთვის იყო და არაბთა და მათი ერთგული ადგილობრივი მთავრების მუქარას ანგარიშს არ უწევდა.

ახალი ცვლილებები მალე მოხდა. სომეხთა მთავარმა, მუშელ მამიკონიანმა, რომელიც გადაუდგა ბიზანტიელებს, არაბთა სამსახური იკისრა. იმავე წელს სომხეთში მდგარმა არაბთა ჯარმა კიდით კიდემდის დაიპყრო მთელი ქვეყანა. ქვეყნის მთავართა უმრავლესობა შეეთქვა, არაბების სამსახურში ჩადგა და მოსწრაფებით ასრულებდა მათ ნებას. მაგრამ, ჩანს, სომხეთშიაც დარჩნენ უკმაყოფილო ელემენტები. ასე, მაგ., არაბთა ერთმა სარდალმა, რომელიც არუჭ-აშნაკში იჯდა და რომელსაც მემატიანე „უწყალო ჯალათს“ ეძახის, ჰაბიბმა (უეჭველია, ჰაბიბ-იბნ-მასლამა, რომელ-

[1] სებეოსი, 145—146.
[2] სებეოსი, 146—147.

მაც 642—3 წწ. ქართლის წინააღმდეგ ილაშქრა) სიკვდილით დასაჯა ერთი სომეხი მთავართგანი, არტავაზდ დიმაკსიანი. აქ ერთხელ კიდევ დაეხმარა ბიზანტიელებს მათი ბუნებრივი მოკავშირე—ზამთარი: იდგა მკაცრი ყინვიანი ზამთრის დღეები, როცა არაბებს ბრძოლის ველზე გასვლა არ შეეძლოთ. ბიზანტიელებმა ამით ისარგებლეს და სომხეთის ზოგიერთი ოლქი მოარბიეს — გასძარცვეს დვინი და ნახჭავანს ებრძოდნენ. ბიზანტიელების ამ რაზმს სარდლობდა მავრიანოსი[1], რომელიც სომხეთის მმართველად იყო დანიშნული კონსტანტინე კეისრის მიერ ჯერ კიდევ 652 წ.[2].

გაზაფხულზე, ე. ი., როგორც ჩანს, 654 წლის გაზაფხულზე, არაბებმა რომ მათთვის ხელსაყრელი დრო იხელთეს, თავისი მხრით შეუტიეს ბიზანტიელებს, ნაწილი გაჟლიტეს, ხოლო დანარჩენი გააქციეს. გაიქცა თვით მავრიანოსიც, რომელმაც ქართლს შეაფარა თავი. არაბებმა ამის შემდეგ აიღეს კარნუ-ქალაქიც (ერზერუმი) და მასთან ერთად გასძარცვეს მთელი სომხეთის, ალვანეთისა და სივნიეთის ქვეყნები. მაგრამ ახლა უკვე, ჩანს, არაბები ამ ქვეყნების მმართველ წრეებს აღარ ენდობოდნენ და მათ მძევლები გამოართვეს[3].

ქართლის პირველი დამორჩილება არაბთა მიერ სწორედ ამ ეპიზოდის, ე. ი., მავრიანოსის დამარცხების, შემდეგ მომხდარა[4]. იგივე ჰაბიბი, როცა სომხეთ-ალვანეთ-სივნიეთი უკვე დამორჩილებულად მიიჩნიეს არაბებმა, ეხლა ქართლისაკენ გაემართა. ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვეულებრივი

---

[1] სებეოსი, 149.

[2] იქვე, 143.

[3] სებეოსი, 149—150. ბიზანტიელი მემატიანე თეოფანე, Chronographia, Bon., I, 527—8, აგრეთვე იცნობს არაბთა სტრატეგოს ჰაბიბის მიერ რომაელთა სტრატეგოსის მავრიანოსის დამარცხებისა და უკანასკნელის კავკასიის მთებისაკენ გაქცევის ამბავს, რასაც იგი 6145 წლით ათარიღებს, რადგანაც თეოფანე პანოდორეს სისტემას მისდევს, ამიტომ მისი თარიღი უდრის 653 წ. ახ. წ. მცირე სხვაობა მოცემულ თარიღებს შორის ადვილად აიხსნება წლისთავის ანგარიშის განსხვავებით.

ამავე ამბავს მოგვითხრობს აგრეთვე არაბი მემატიანე ბალაძორი, რომლის ცნობით ჰაბიბი ამარცხებს მავრიანოს ბიზანტიელს ქ. დებილთან (ე. ი. იმავე დვინთან) და ჰკლავს კიდევაც მას. ეს უკანასკნელი მტკიცება მართალი არ არის, რაც ბიზანტიურ-სომხურ ჩვენებებთან შედარებით ირკვევა. იხ. Из. соч. Баладзори, Книга завоевания стран, текст и перевод. Перевод с арабского проф. П. К. Жузе. Баку, 1927 (ქვემოთ ყველგან—ბალაძორი, ჟუზე), გვ. 9.

[4] ეს უეჭველობით გამომდინარეობს ბერძნულ-სომხურ-არაბული ცნობების თანხმობიდან ამ ამბების თხრობაში, რაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება ნაჩვენები.

ამოცანების გარდა (დაპყრობა, ან ხარკი და ალაფი) ჰაბიბი, ამხელად, მიზნად ისახავდა აგრეთვე მავრიანოსის საბოლოო განადგურებას (ეს ბიზანტიელი სარდალი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხომ სწორედ ქართლში იყო შეხიზნული თავისი დამარცხების შემდეგ ჰაბიბთან ბრძოლაში). ეს უნდა მომხდარიყო, ამბების განვითარების მიხედვით, 654 წლის დამლეგს ან 655 წელს[1], ყოველ შემთხვევაში, ხალიფა ოსმანის დროს (ოსმანი მოჰკლეს 656 წ. 17 ივნისს). ქართლზე გალაშქრებულს არაბ სარდალს წინ შეჰგებებია ქართლის პატრიკიოზის, ე. ი. ერისმთავრის ელჩი, და, პატრიკიოზის სახელით, ზავისა და მშვიდობის სურვილი განუცხადებია მისთვის და საჩუქრებიც მიურთმევია. ქართველთა ელჩს მოქარგული დიპლომატიური ენით ქება-დიდება შეუსხამს არაბებისათვის. ქართველთა ასეთი ლმობიერება ალბათ იმ გამოცდილების ნაყოფი იყო, რომელსაც მეზობლებს უხვად აძლევდა სომხეთის ვითარება. ამ ქვეყანამ წინამორბედს და მდგომარე წლებში დიდი რბევა და აწიოკება გამოსცადა არაბებისაგან იმის გამო, რომ მას დიდხანს არ სურდა ახალი ბატონობა ეცნო. გარდა ამისა, ქართლის მმართველ წრეებს უთუოდ აფიქრებდათ თავიანთი კავშირი ბიზანტიელებთან, ნაწილობრივ, უკანასკნელ სამხედრო ოპერაციებშიაც: ჰაბიბის მოწინააღმდეგე ბიზანტიელი სარდალი, არაბებისაგან დამარცხებული და ლტოლვილი, ხომ სწორედ ქართლში იმალავდა თავს. გარდა ამი-

[1] მთავარ წყაროს ამ აზბების შესწავლისათვის ბალაძორი წარმოგვიდგენს. ბალაძორით, მავრიანოსის დამარცხების შემდეგ, ჰაბიბი იღებს კალიკალას (ასე ეძახდნენ არაბები ერზერუმს), იმორჩილებს ხლათს, მოქს, არეგეშისა და ბიჯნისის ოლქებს, აშტიშატს, დვინს, სირაჯ-ტაირსა და ბაგრავანდს, ნაშავანს (ნახჩევანს), ბოსფორაჯანს (ვასპურაკანს) და სისაჯანს (სიუნიეთს), და მხოლოდ ამის შემდეგ მოეგმართება ტფილისისაკენ (ბ ა ლ ა ძ ო რ ი, ეუზე, 9—11). ცხადია, რომ ამოდენა ოპერაციას დიდი დრო დასჭირდებოდა.—საკვირველია, რომ სებეოსმა არაფერი იცის ქართლის დაპყრობის შესახებ ჰაბიბის მიერ. არაბული წყაროები კი, ამ პუნქტში, მეტ-ნაკლებად ეთანხმებიან ერთმანეთს. ტ ა ბ ა რ ი, მაგ., იცნობს ყველა იმ დოკუმენტს, რომლებიც დაკავშირებულია ჰაბიბის მიერ ქართლის დალაშქვრასთან, და აგრეთვე ჰაბიბის ბრძოლას მავრიანოსთან(ღ ა ზ ა რ ი ა ნ ი, 20 შემდ). ი ა კ უ ბ ი ც ამბობს: „გადმოგვცემენ, რომ ჰაბიბ-იბნ-მასლამამ დაიპყრო ჯურ.ზანი (ქართლი)". იხ. Из. соч. Якуби, „История", текст и перевод с арабского проф. П. К. Жузе. Баку, 1927 (ქვემოთ ყველგან—იაკუბი, ეუზე), გვ. 5—ა ს ო ლ ი კ ი ს (*Մատենագրութիւն Տարօնեցւոյ Պատմութիւն տիեզերական, Ս.-Պ., 1885,* გვ. 98) ქრონოლოგიით, არაბებმა დვინი აიღეს და თავისი ბატონობა დაამყარეს სომხეთ-ქართლ-ალვანეთში 93 წელს (646-7), მაგრამ იქვე იგი პირველ შესევას არაბებისა სომხეთში უჩვენებს 86 წ., 637—8, რაც ცხადად მოწმობს მისი თარიღების თვალსაჩინო ჩამორჩენას რეალურისაგან.

სა, რათქმაუნდა, ქართლის ესევე წრეები ბოლოს და ბოლოს, არც ისეთი სიძნელით უნდა შერიგებოდნენ ერთი სიუზერენის შეცვლას მეორეთი.

ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულ ნაბიჯს კეთილი შთაბეჭდილება მოუხდენია არაბთა სარდალზე. მირთმეული ძღვენი მომავალი ხარკის ანგარიშში იქნა ჩათვლილი და ქვეყანას დაცვის სიგელი მიეცა, რომელშიაც ორივე მხარის უფლება-მოვალეობანი იყო აღნუსხული. ეს სიგელი დაცული აქვთ არაბ მწერლებს და საყურადღებო დოკუმენტია. იგი გაცემულია ტფილისში დაბანაკებული ჰაბიბის მიერ ტფილისის მცხოვრებლებისა და „წითელი ქართლი"-დან, მანგლისიდან, თავმოყრილებისადმი. პირველი წრე ალბათ გულისხმობს შიდა ქართლს, რომლის სათავეში დგას პატრიკიოზი, საჯდომით—ტფილისში, ხოლო მეორე, ალბათ,—„ქართველთა საპიტიახშოს", ე. ი., გუგარეთს, რომლის სათავეში პიტიახში დგას, რეზიდენციით—მანგლისში. სიგლის მთავარი მუხლები შემდეგია: 1) არაბები მოსახლეობის სარწმუნოებრივ აღსარებას ხელუხლებელს სტოვებენ; 2) მოსახლეობა აღიარებს მორჩილებას და იხდის **ჯიზიათს**, პირად გადასახადს, **თითო დინარს კომლის თავზე**; 3) ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს არ შესცვალოს ხელოვნურად კომლთა არსებული რიცხვი, თვით გადასახადის შეცვლის მიზნით თავის სასარგებლოდ: ქართველები არ გაერთიანებენ კომლებს, ხოლო არაბები არ დაშლიან; 4) მოსახლეობა ვალდებულია დაეხმაროს რჩევითა და საქმით მუსლიმებს მათი მტრების წინააღმდეგ, ე. ი. სამხედრო სამსახურს კისრულობს; ამასთან დაკავშირებულია მოვალეობა გაჭირვებული და ჩამორჩენილი მუსლიმის, მეომრის თუ საერო პირის, შეფარებისა და დახმარებისა; 5) ისლამში გადასული დამპყრობელთა ძმად ითვლება, ე. ი. უნდა ვიგულისხმოთ, ჯიზიათისაგან (პირადი გადასახადისაგან) თავისუფლდება; სხვებისათვის ყველასათვის ჯიზიათის გადახდა სავალდებულოა; 6) ყოველივე ამის სანაცვლოდ, არაბები იძლევიან პირადი უშიშროების გარანტიას. სიგელი ითვალისწინებდა ზოგიერთ სხვა პირობასაც[1].

იგივე არაბი ისტორიკოსი ბალაძორი იუწყება ჰაბიბის მიერ ზოგიერთი სხვა პროვინციის დაპყრობის შესახებ. რადგანაც ეს

[1] ბალაძორი, ჟუზე, 11--12. 3; შეადრ. ღაზარიანი, 2--27. ხსენებული დოკუმენტების სრული ქართული თარგმანი იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, ტ. II, 343—347.—ბროსე, Hist. d. I. G., I, 245-7.

ცნობა უშუალოდ მოსდევს თხრობას ქართლის დამორჩილების შესახებ და რადგანაც პროვინციების სიაში ზოგიერთი სახელი ძალიან მოგვაგონებს ქართულ თემებსა და ქალაქებს (შავშეთი, სამცხე, ბაზალეთი, ხუნანი, კლარჯეთი და სხვ.), ამიტომ ფიქრობენ, რომ აქაც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს შესახებაა საუბარი. თუ ეს მართალია, მაშინ განსაკუთრებით უნდა მიგვექცია ყურადღება იმ ცნობისათვის, რომ აღნიშნული რაიონების მოსახლეობას დაეკისრა არა მარტო ჯიზიათი (პირადი გადასახადი), არამედ ხარაჯაც (გადასახადი მიწაზე)[1].

ახლად დამყარებულ ურთიერთობას დიდი შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა, რადგანაც არაბებმა პირველხანად სულ ორიოდე წელიწადი თუ გასძლეს ქართლში. შინაურმა დაბრკოლებებმა და შემდეგ შფოთმა (ბრძოლა ხალიფას ტახტის გარშემო 657—661 წწ.) არაბების მდგომარეობა ამიერკავკასიაში ძირიანად შეარყია[2].

სამწუხაროდ, VII ს. მეორე ნახევრისათვის ცნობები მეტად ნაკლული სახითაა მოღწეული, როგორც ადგილობრივს, ისე უცხოურ მწერლობაში. ერთი რამაა ცხადი მხოლოდ: მდგომარეობა უაღრესად ცვალებადი იყო და არც ერთი დამპყრობელის მეტნაკლებად ხანმოკლე მოვლენა არ შეიძლებოდა მტკიცე დამკვიდრებად გა-

---

[1] ბალაძორი, 13. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ღაზარიანი, გვ. 27, არც ის ჩანს მკაფიოდ, აღნიშნული თემების დაპყრობა უშუალოდ მოჰყვა ტფილისისას, თუ არა.—გეოგრაფიული ნომენკლატურის განმარტებისათვის იხ. ჯავახიშვილი, დასახელ. ნაშრომი, 347.—ცნობა აღმოსავლეთ-სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შესახებ ჰაბიბის მიერ აქვს აგრეთვე იბნ-ალფაკიჰს, СМОМПК, XXXI, 26—27. უკანასკნელის ცნობაში საყურადღებო ისაა, რომ ქართლიც (მთარგმნელს „ჯურზანი" რატომღაც „ჯურრახით" გადმოუცია!) ჯიზიათთან ერთად ხარაჯასაც (ე. ი. ხამამულო გადასახადს) კისრულობს.—ხარაჯის დადებას საქართველოზე თავიდანვე ამოწმებს აგრეთვე მასუდის ქვეშოგანმარტებული ცნობა.

[2] ამ მხრივ საყურადღებო ცნობები აქვს სებეოსს. ჰაბიბის აღწერილ ლაშქრობათა შემდეგ სომხები განთავისუფლდნენ არაბთა სამსახურისაგან და ბერძენთა მეფეს დაუმორჩილეს თავი. ამის საპასუხოდ ისმაიტელთა მეფემ თავები დააყრევინა მასთან მყოფ სომეხთა მძევლებს, რიცხვით თითქმის ორი ათასამდე კაცი. სომხები ბიზანტიელთა მხარეს გადავიდნენ ალვანეთისა და სივნიეთის მთავრებსა და ერთან ერთად. ყველა ისინი, ვინც სპარსთა ბატონობის დროს, ადარბადაგანზე იყო მიწერილი (იგულისხმება — ფისკალური მხრით), ეხლა სომხებს შეურთდნენო. ამის შემდეგ აქვს ავტორს მოთხრობილი ოსმანის მოკვლა, ალის მოკვლა და ნოვიას გამეფება (სებეოსი, 151—153). გამოდის, თითქოს სომხეთისა და „ადარბადაგნის" (ზოგადი მნიშვნელობით) განთავისუფლება არაბთაგან 656 წლის ივნისამდე მოხდა.—ამ, არაბებისაგან განთავისუფლებულსა და ბიზანტიელების მხარეს გადასულ, ქვეყანათა შორის ქართლიც უნდა ვიგულისხმოთ. ანრა გააძლებინებდა ქართლში არაბებს, როცა ყველა მეზობელი ქვეყნიდან ისინი იძულებული შეიქნენ წასულიყვნენ.

დაქცეულიყო ამ შორეულ ქვეყანაში. სომხური ცნობებით, სომხეთი ხარკს იხდის როგორც ხალიფა მოავიას (661—680 წ. წ.), ისე მისი შვილის იაზიდის (680—683 წ. წ.) დროს, ე. ი. VII ს. ოთხმოციან წლებამდის. საინტერესო ჩვენებას იძლევა ასოლიკი ამ ხანის ქართლის შესახებაც: „მოავიამ გრიგოლი მთავრად დაადგინა სომხეთსა და ქართლში, და თვით მოკვდა[1]". გამოდის რომ, ყოველ შემთხვევაში, მოავიას ზეობის დამლევისათვის, ე. ი., სამოცდაათიანი წლების მიწურულში, ქართლი კვლავ აღიარებს არაბთა უზენაეს ხელისუფლებას. სამწუხაროდ, ჯერ განსაზღვრული არ არის, საიდან აქვს ამოღებული მოცემული ცნობა ამ გვიანდელ მწერალს.

სამაგიეროდ, ხალიფა **აბდ-ალ-მალიქის მეფობაში (685—705 წ. წ.) ხალიფატში, ამტყდარი შინაური შფოთის დროს, სომხებმა, ქართველებმა და ალვანელებმა, ოცდაათი წლის მორჩილების შემდეგ, უარი სთქვეს არაბებისათვის ხარკის ძლევაზეო,** მოგვითხრობს ძველი სომეხი მემატიანე **ლევონდი.** ლევონდის მტკიცებით, შფოთი და კავკასიელი ხალხების განდგომა მომხდარა აბდ-ალ-მალიქის ზეობის მეორე წელს. ე. ი. 686 წ. სომეხ-ქართველ-ალვანელთა ურჩობა, არაბთა მიმართ, სამ წელიწადს (ე. ი. 689 წლამდე) გაგრძელდაო, დასძენს იგივე წყარო[2].

ამ ცნობებს ადასტურებენ ბიზანტიური წყაროები, რომელთა მიხედვითაც 686 წ. ბიზანტიის კეისარსა და ხალიფას ზავი შეუკრავთ და საზავო პირობებში, სხვათა შორის, ისეთი მუხლიც შეუტანიათ, რომ კვიპროსის კუნძულისა, არმენიისა (სომხეთის) და ივერიის (ქართლის) ქვეყნებიდან შემოსულ ხარკს შუაში იყოფდნენ[3]. ცხადია, როცა არაბები ბიზანტიელებს წილს უდებენ ამ ქვეყნების ხარკში, ამით ისინი სწორედ ადასტურებენ ლევონდის მიერ მოთხრობილ ამბავს ხსნებული ხალხების ამბოხების შესახებ.

---

[1] ასოლიკი, 122. ლევონდი კი ამტკიცებს, რომ მოავიამ თავისი მეფობის მეორე წელს გრიგოლი, რომელიც ერთი მძევალთაგანი იყო სამეფო კარზე, აღჰკურვა სომეხთა მთავრის პატივით: აქ ქართული ნახსენები არ არის. იხ. *Պատմութիւն Ղևոնդեայ մեծի վարդապետի Հայոց, Ս.-Պ., 1887* (ქვემოთ—ლევონდი), გვ. 14. ლევონდს, ამ შემთხვევაში, რათქმაუნდა, უპირატესობა ეკუთვნის ასოლიკის წინაშე.

[2] ლევონდი, გვ. 15. ლევონდის ცნობა, რომ კავკასიელი ხალხები ოცდაათ წელიწადს ემსახურებოდნენ არაბებს, ზუსტად შეეფერება ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულ თარიღს არაბთა მფლობელობის დამყარებისას ამ ქვეყანაში—654-5 წ. (+30= 684-5).

[3] თეოფანე ქრონოგრაფი, Bonn, I, 565. თეოფანეს ქრონოლოგიით, ეს ამბავი ხდება იუსტინიანე კეისრის (II) ზეობის პირველ წელს, ე. ი. 685—6 წ.

მაგრამ თვით ბიზანტიელები მიღწეული წარმატებით არ დაკმაყოფილებულან: იმავე წელს იუსტინიანე კეისარს (II) კავკასიისაკენ გაუგზავნია, სარდალი ლეონტი რომელსაც იქაური სარკინოზები გაუქლეტია და კეისრისათვის დაუმორჩილებია სომხეთი, ქართლი, ალვანეთი, მოვაკანი და ადარბადაგანი[1]. იმდროინდელი ქართლის ვითარებას გულისხმობს მეორე სომხური ცნობა, რომელიც ი. დრასხანაკერტელს ეკუთვნის. იოანე მოგვითხრობს: „ამის (იგულისხმება სომეხთა კათალიკოსი ისრაელ ოდმსელი) ზეობაში (=677—687 წ. წ.) ქართველთა (ქართლის) მთავარმა ნერსემ განდევნა ვინმე ბარაბა, სომხეთში მდგარი არაბთა ჯარის სარდალი, სასტიკი განადგურებით გაფანტა (მისი ჯარი) და გააქცია იგი“-ო[2].

რაც შეეხება ალვანეთს, თვით ალვანურივე ცნობებით, ეს ქვეყანა, აბდ-ალ-მალიქის დროს, როცა სომხეთი კვლავ ხალიფას განკარგულებაში იმყოფება, არ ემორჩილება არაბებსა და ბიზანტიისაკენ არის მიდრეკილი პოლიტიკურად და კულტურულად. სომეხი სამღვდელოება აბეზღებს ამიტომ თავის ალვანელ თანამოძმეებს ხალიფასთან. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გადასცემს ალვანეთის მთავარი არაბებს თავის ქვეყანას[3].

მაგრამ, როგორც უკვე ვამბობდით, მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარი ისეთი ხანა იყო, როცა მიღწეულ წარმატებებს ხანგრძლივად ვერავინ ინარჩუნებდა და მტკიცე მდგომარეობასაც ვერავინ იქმნიდა. ამ მხრივ, საერთო შფოთსა, არევ-დარევასა და ძარცვა-გლეჯაში თავისი გულმოდგინე წვლილი ხაზარებსაც შემოჰქონდათ. 689 წ. მათ ხელში ჩაუგდიათ და მოურბევიათ სომხეთი და ქართლსა და ალვანეთშიაც მთავრები და მფლობელები გაუქლეტიათ[4].

---

[1] იქვე, I, 656, „მოვაკანად“ განვმარტეთ ჩვენ ტექსტის βουλκακία, რასაც ვარიანტული საკითხავები—βουλκανία, განსაკუთრებით, βουκανία—და თანამედროვე არაბული ცნობები უჭერს მხარს. ადარბადაგანის მნიშვნელობით ტექსტში მიდიაა ნახსმარი—შეადრ. К. Мюллер, История ислама, II, 49.

[2] დრასხანაკერტელი, გვ. 53. Marquart-მა, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, გვ. 402, შენ, მიუთითა, რომ ესეე ნერსე მოხსენებულია მეშვიდე საუკუნის სამოცდაათიანი წლებ ის დამლევისათვის, სოკრატეს საეკლესიო ისტორიის სომხური თარგმანის წინასიტყვაობაში.

[3] *Մովսէս Կաղանկատուացի. Պատմութիւն...* Մ. 1860 (ქვემოთ—კალანკატუელი), გვ. 237, ბემდ.

[4] ლევონდი, 15—16, რომელიც ამ ამბავს აბდ-ალ-მალიქის ზეობის მეოთხე წლით ათარიღებს. სხვა წყაროები მცირედ განსხვავებულ თარიღს უჩვენებენ. შეადრ. Marquart, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, 443. ასოლიკი, მაგ., ამბობს, გვ. 100, რომ 134 წელს (885—6) ხაზარები გაბატონდნენ სომხეთ-ქართლ-ალვანეთზე და მოჰკლეს ბრძოლაში სომხეთისა და ქართლის მთავრები.

პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის ცვალებადობას, ჩანს, ერთხელ კიდევ უჩენია თავი მეშვიდე საუკუნის მიწურულში, როცა არაბებმა, საფიქრებელია, კვლავ ხელთ იგდეს ამიერ-კავკასია, და კერძოდ, ქართლის ბატონობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ის წარმატება, რომლისთვისაც არაბებს მიუღწევიათ დასავლეთ საქართველოში. ბიზანტიური ცნობებით, **ლაზიკის პატრიკიოზი, ე. ი. ეგრისის მფლობელი, ვინმე სერგი (თუ გიორგი) ბარნუკისძე, ბიზანტიელებს ასჯანყებია და თავისი ქვეყანა არაბებისათვის გადაუცია.** ეს მომხდარა 697 წ., როცა ალიდოსს გაულაშქრნია რომანიის (ბიზანტიის) წინააღმდეგ და დიდი ნატყვევნავი უშოვნია[1]. მერვე საუკუნის დამდეგისათვის კი, როგორც ეს ლეონ ისავრიელის თავგადასავლის მოთხრობიდან ჩანს, არაბებს **უკვე მთელი დასავლეთი საქართველო,—ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ ზღვისპირა ქალაქს გარდა,—დაუპყრიათ. 705—711 წ. წ. მათ ხელში ყოფილა ეგრისის დედაქალაქი, არქეოპოლისი ანუ, ქართული სახელწოდებით, ციხე-ჯოგი (დღევანდელი ნაქალაქევი) და კოდორის ხეობაში მდებარე ზოგიერთი ციხეც.** ბიზანტიის კეისარი სპეციალური ღონისძიებებით ცდილობდა მოეწყო ჩრდილოეთ კავკასიაში მობინადრე ალანების (ოსების) თავდასხმა აბაზგიასა, ლაზიკასა და ივერიაზე, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ეს ქვეყნები მას არ ემორჩილებოდა და არაბთა ხელში იმყოფებოდა. როგორც ბიზანტიელები, ისე არაბები ახალ-ახალ ჯარებს გზავნიდნენ, კერძოდ, ეგრისში, ამ ქვეყნის შემოსამტკიცებლად.

ამრიგად, უეჭველია, რომ VII ს. მეორე ნახევარში, თუ ამ საუკუნის მიწურულებს არ ვიანგარიშებთ, არაბთა პოლიტიკური მდგომარეობა ამიერ კავკასიაში და, კერძოდ, ქართლში მეტად მერყევი იყო. მმართველობის სადავე ხალიფას ადგილობრივ წარმომადგენლებს ხშირად ეცლებოდათ ხელიდან. ამიერ-კავკასიის ნამ-

---

[1] თეოფანე, I, 566, ამბავი დათარიღებულია 6189 წლით=697 წ. ზოგი ვარიანტით „ბარნუკია" (ვარნუკია) სერგის სამფლობელოს ნაწილია, რაც ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე ვარიანტულივე „გიორგი" სერგის ნაცვლად.

[2] იქვე, I, 600—606. ამბავი დათარიღებულია იუსტინიანეს მეორე მეფობით. როგორც ჩანს, მომდევნო წლებშიაც აღწერილი მდგომარეობა გაგრძელებულა, რადგანაც ლეონი ბიზანტიაში დაბრუნდა მხოლოდ არტემის მეფობაში, 713—715 წ. წ.—ამ უაღრესად საინტერესო ცნობის უფრო ვრცელ განმარტებას ჩვენ სხვაგან ვეცდებით.

დვილი დაპყრობა არაბების მიერ მხოლოდ VIII ს. პირველ ნახევარში ხდება[1].

VIII ს. დამდეგს არაბთა საომარი ოპერაციები ამიერ-კავკასიაში მიზნად ისახავენ არა მარტო ადგილობრივი სახელმწიფოების დამორჩილებას, არამედ აგრეთვე, და კიდევ უფრო მეტადაც, ხაზარების საწინააღმდეგო მოქმედებას—კავკასიონზე გამავალი სანაპირო ხაზის გამაგრებას და თვით ამ, ჩრდილოეთ კავკასიის ახალი ბატონების პოლიტიკური ძლიერების შემუსვრას. მდგომარეობა ძალიან მოგვაგონებს წინა საუკუნეების ვითარებას, როცა ირანსა და აღმ. რომის იმპერიას ასეთივე მუდმივი და მძიმე საზრუნავი ჰქონდათ აქ. მთავარი ბრძოლები ისევ იმ ადგილებში და იმავე პუნქტებისათვის წარმოებს—დარუბანდის ყელში, დარიალის გასასვლელსა და სხვა ზეკარებთან. ზოგჯერ მოწინააღმდეგენი იჭრებიან მტრის ტერიტორიაზე, აოხრებენ და აწიოკებენ მას. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში თავდაპირველად უპირატესობა აშკარად ხაზართა მხარეზეა. VII ს. დამლევს, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ხაზარებს ერთგვარი გავლენა კავკასიონის სამხრეთითაც მოუპოვებიათ.

§ 5 ხაზარები

ხაზართა ვინაობის საკითხი ზოგიერთ მეცნიერს დღესაც, სადაოდ მიაჩნია, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ხალხი მოდგმით თურქული იყო. არც ის მოსაზრება უნდა იყოს სინამდვილეს დაშორებული, რომლის მიხედვითაც იგი ჰუნების ერთერთი ტომი იყო,—იქნებ ის ჰუნები, რომელნიც VI ს. ჰუნებად — საბირებად იწოდებოდნენ. ზოგიერთი ისტორიული წყარო, მაგ., სომეხი მწერლები—მოსე კალანკატუელი, ლევონდი და სხვ., ხაზარებს თანაბრად ჰუნების სახელწოდებითაც იხსენიებს[2]. მართლაც, ხაზარები ერთბაშად ჩნდებიან იმ მიწაწყალზე, ჩრდილოეთ-კავკასიაში, სადაც VI ს. მხოლოდ ჰუნთა სხვადასხვა ტომი იხსენიება. VII ს. დამდეგს ხაზარები უკვე გაბატონებული არიან ჩრდ. კავკასიაში. ზემოთ ვნახეთ, თუ როგორი როლი ითამაშეს ხაზარებმა ჰერაკლე კეისრის ომებში.

---

[1] არაბების მიერ საქართველოს აღმოსავლეთ მეზობლის, ალვანეთის, საბოლოოდ დაპყრობას აკად. ბარტოლდი აგრეთვე VII ს. დამდეგისათვის დასდებს. იხ. მისი Место прикаспийских областей в истории Мусульманского Мира, 27, 141—142.

[2] კალანკატუელი, ნაწ. II, თავი XI და XXVI და სხვ.

თურქებად სთვლიან ხაზარებს: ძველი ქართველი მემატიანე(რომდესაც არაბი სარდლის, ბუღა **თურქის თანამეტომეებად** ასახელებს მათ), ძველი სომეხი მწერლები (მაგ., ლევონდი), ავტორიტეტული არაბი ისტორიკოსები (მაგ., ბალაძორი, იაკუბი). თურქულია აგრეთვე ხაზარების სოციალურ-პოლიტიკური ტერმინოლოგია, რამდენადაც ჩვენ მას ვიცნობთ (ხაკანი, ბაგი ანუ ბეგი და სხვ.).

ხაზარებმა ადრევე შექმნეს საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიაში. VIII და IX ს. და X ს. დამდეგს ხაზართა სამფლობელო გადაჭიმულია ვოლგიდან ყირიმამდის. სამეფოს მეთაურის, ხაკანის, ჩვეულებრივი რეზიდენციაა ქალაქი სარიღ-შარი ანუ იტილი, დაახლოვებით დღევანდელი ასტრახანის მახლობლად. ხაზარეთის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებს ბიზანტიის მთავრობის დიპლომატიური ეთიკეტი, რომელიც საერთაშორისო მიმართვებში ხაზართა ხაკანს მეტს პატივს მიაკუთვნებდა, ვიდრე რომის პაპს, ფრანგთა მეფეს ან რუსთა მთავარს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ხაზარების სავაჭრო-საშუამავლო როლი, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი. აქ შეიძლება მხოლოდ ის საინტერესო ფაქტი იყოს აღნიშნული, რომ, საფიქრებელია, სწორედ ამ საერთაშორისო—სავაჭრო ინტერესების ნიადაგზე ხდება ხაზართა მმართველი წრეების მიერ იუდაიზმის მიღება. ავტორიტეტულ მკვლევართა აზრით, რაც აგრეთვე იქცევს ჩვენს ყურადღებას, ხაზართა მოქცევა კავკასიასა და ყირიმში მცხოვრებმა ებრაელებმა მოახდინეს[1].

§ 6 არაბთა მფლობელობის საბოლოო დამკვიდრება ქართლში

ამიერ-კავკასიის საბოლოო დაპყრობა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ხდება VIII ს. პირველ ნახევარში.

საერთოდ, ამიერ-კავკასია ხალიფების ინტენსიური ყურადღების საგნად იქცევა ვალიდ I-ის მეფობაში (705—715 წ. წ.), რომელიც ხალიფატის გარეგანი ექსპანსიისა და დაპყრობითი ომების ზენიტად ითვლება. რომ VIII ს. დამდეგს არაბები მსხდარან ტფილისში, ამას, ზემოთ აღწერილის გარდა, მათი აქ 704—5 წ. მოჭრილი ფული ამტკიცებს, მაგრამ მომდევნო წლებში პოლიტიკურ მდგომარეობას ისევ რაღაც ცვლილება უნდა განეცადა, რადგანაც

---

[1] Гаркави, Сказания еврейск. писателей о Хазарах, Труды ВОИРАО, ч. XVII, § 269. ხაზართა შესაებ უფრო დაწვრილებით იხ. მარკვარტის ფასახელებული ნაშრომი.

ქართლს არაბები ხელახლა მოევლინენ ხალიფა ჰიშამის მეფობაში (724—743 წ. წ.), როგორც ჩანს, ისევ სამხედრო ექპედიციის წესით. ოციან წლებში (დაახლოვებით 723—725 წ. წ.) ქართლში შემოსულა არაბთა სარდალი ჯარაჰ იბნ-აბდულაჰი, რომელიც სპეციალურად იყო გაგზავნილი ხალიფას მიერ ხაზარების წინააღმდეგ[1].

ქართლის მმართველებს ჯარაჰისათვის წარუდგენიათ ჰაბიბ იბნ-მასლამას მიერ გაცემული დაცვის სიგელი, რომელიც ჯარაჰს განუახლებია, ე. ი., კვლავ აღუდგენია ურთიერთობის ძველი პირობები. ჯარაჰის გაცემული დოკუმენტი შეიცავს ზოგიერთ ახალ მუხლს, რომელნიც სპეციალურ განმარტებას საჭიროებენ. სამწუხაროდ, საბუთის ტექსტში მრავალი ბუნდოვანი ადგილია. ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: საბუთი ისეთს საერთო შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს იგი გაცემული იყოს მხოლოდ ქ. ტფილისისა და ქვემო ქართლის (ქართველთა საპიტიახშოს) მმართველი წრეებისადმი.

მაგრამ ჯარაჰის მოქმედება ვერ გამოდგა იღბლიანი. მისი ექსპედიციები, საბოლოოდ, საშინელი მარცხით დამთავრდა—სარდალი მთელი თავისი ჯარით დაიღუპა ხაზარებთან ბრძოლაში. რა თქმა უნდა საქართველოშიაც, ადგილობრივი მმართველი წრეები ჯარაჰის კატასტროფას ხელსაყრელ მომენტებად მიიჩნევდნენ იმისათვის, რათა არაბთა ბატონობის უღელი ქედიდან გადაეგდოთ. ამ ურჩობას კიდევ უნდა გამოეწვია ახალი ეგზეკუცია, რომლის სათავეში მასლამა მდგარა. მასლამას ჯერ კიდევ 728—9 წ. გაულაშქრნია ხაზართა სამფლობელოში და მიუღწევია ქართლამდის, რომელიც დაუპყრია და მცხოვრებთა ერთი ნაწილი გაუჟლეტია. მეორედ კიდევ ეს ქვეყანა მასლამას ჯარაჰის დაღუპვის უშუალოდ

[1] ჯარაჰი კარგად ცნობილი ისტორიული პირია. მას ადმინისტრატიული თანამდებობანი ეპირა, ჩვეულებრივად, ხალიფატის განაპირა რაიონებში. 717—719 წწ. იყო ხორასანის მმართველად, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც მკაცრი პოლიტიკის მომხრემ, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა ამ ქვეყნის მართვა მათრახის და ხმლის საშუალებით. მოკლულ იქნა 730 წ. იხ. Согдийский сборник, Ленинград, 1934, გვ. 59—61. ხაზარეთში ჯარაჰი პირველად შეიჭრა, იაკუბის ცნობით,—ეუზეს გამ., 6—104 = 722-3 წ.; მეორედ იგი ამ ქვეყანაში ლაშქრობს უკვე დარიალით და ეს ხდება 106=724-5 წ., ^ქვე, 6—7. ალბათ ამ ექსპედიციის დროს გაიარა ჯარაჰმა ქართლზე. ამავე ლაშქრობას უნდა გულისხმობდეს მ. კალანკატუელი, 258—9, როცა ამბობს, რომ „ჯარაჰი მეორეგზის' აფხაზეთით შევიდა ხაზარეთში" (თუმცა საკითხავია: მეორედ აფხაზეთით, თუ მეორედ ხაზარეთში?). კალანკატუელი ამ ამბავს ათარიღებს 729-730 წლით. იხ. აგრეთვე Marquart, Osteuropäische und Ostasiatische Streifzüge, 11,17,18,20.

ჩომდევნო წლებში დაულაშქრავს[1]. ვერც ამხელად მოუხერხებიათ-არაბებს მტკიცედ ფეხის მოკიდება ქართლში: ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოდის დიდი დამსჯელი რაზმი, რომელიც მოითარეშებს არა-მარტო აღმოსავლეთს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც. საქართველოში არაბთა ამ ლაშქრობამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ შემდგომში იგი მიჩნეულ იქნა, საზოგადოდ, არაბების პირველ შემოსევად. მატიანე ასე ასწერს ამ ამბავს: „მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მურვან, ყრუ, ძე მომადისი, რომელი წარმოევლინა ეშიმს, ამირ-მუმლს, ბაღდადელსა, ძესა აბდალ-მელიქისასა...ამისათვის ეწოდა ყრუ რომელ მეორედ არა მიითუალვიდა სიტყუასა განმზრახთასა. და ყოველნი მთავარნი, პატიახშნი, ნათესავნი ერისთავთანი და წარჩინებულთანი შეემოიხუეწნეს კავკასიად და დაიმალნეს კლდეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალისა და დარუბანდისა. და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღუართა ქართლისახა. და ვითარ ცნა რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისისანიცა. და ციხე-ცა იგი შემუსრა რომელ არს ციხე-გოჯი. შემუსრა და შევლო ზღუდე იგი საზღუარი კლისურისა...და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღუარი საბერძნეთისა და საქართველოსა, შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფისასა...ერისთავი კეისრისა (აფხაზეთში) ლეონ, შესრულ იყო ციხესა შინა სობღისსა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა და ვერვინ შემძლებელ იყო წყობად ყრუსა, რამეთუ იყუნეს სპანი მისნი უფროს და უმრავლეს ჭალაკთა ეგრისისათა“...შემდეგ არაბთა ჯარს ეგრისში თითქოს დიდი ზიანი მოსდის სტიქიონური მოვლენებისაგან, რაც ავტორის მიერ ღვთის რისხვად არის განმარტებული. მაინც ლაშქრობის შედეგები მეტად აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიას დასჩენია: „იქმნა მას ჟამსა განრყვნილ

[1] იაკუბი, 7.—კალანკატუელით, მასლამა, ანუ, მისი ტრანსკრიპციით, მსლიმანი, რამდენიმე წლით ადრე ჯარაჰზე, უკვე იყო ამ ქვეყნებში, კერძოდ ქართლშიაც, გვ. 258. კალანკატუელი ადასტურებს მასლამას მეორე ლაშქრობას ხაზარეთისაკენ, ჯარაჰის ღაღუპვის შემდეგ, იქვე, 259. იხ. აგრეთვე მარკვარტი, დასახელებული ნაშრომი: მასლამას მეორე ლაშქრობა მოდის ჰიჯრით 113 წ., ე. ი. 731—732 წ., (გვ. 18), (ხოლო პირველი—ჰიჯრით 110 წ. ანუ 728 წ. 16 აპრილიდან 729 წ. 4 აპრილამდის, იქვე, (გვ. 186).

ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა, რამეთუ არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე". შემდეგ მემატიანე უაღრესად საყურადღებო ცნობას გვაწვდის: „დაეცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყრუსა წარსვლითგან წელიწადსა ორმეოცდაათსა. აქა ჟამადმდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან"-ო[1].

მურვანის მოქმედების შესახებ კავკასიაში ჩვენ მრავალი სხვა წყაროც მოგვითხრობს. უმრავლესობა მათგანი ადასტურებს ქართულ ცნობებს, ზოგი კი მურვანს წარმოგვიდგენს, როგორც შედარებით მშვიდობიან მმართველსა და სამოქალაქო ცხოვრების მომწესრიგებელს. ყველაზე ადრინდელი სომხურ წყაროთა შორის, მურვანის შესახებ, ღევონდი გვიამბობს, რომ პირველი შემოსვლისთანავე სომხეთის დედაქალაქ დვინში მურვანმა მშვიდობიანი მოლაპარაკება გამართა სომეხ მთავრებთან. მაგრამ მისივე ცნობებიდან ჩანს, რომ მურვანს უცდია უძლიერეს სომხურ ნახარართა საგვარეულოების გათიშვა—პატრიკობის ხელისუფლება ბაგრატუნიანთა წარმომადგენლისათვის მიუცია, ხოლო ამით განაწყენებული მამიკონიანები დაუპატიმრებია და ხალიფასთვის გაუგზავნია, სათანადო დაბეზღებით. რომ, საერთოდაც, ქვეყნის მდგომარეობა არ იყო სახარბიელო, ამას ღევონდი ვერ მალავს: როგორც კი ახალმა პატრიკიოზმა, აშოტმა, განიმტკიცა თავისი ხელისუფლება, იგი წავიდა ხალიფა ჰიშამთან იმ ძალმომრეობის გამო, რომელსაც ქვეყანა განიცდიდა; სამი წლის განმავლობაში სომეხ მთავრებს და მათს მხედრებს არ მიეღოთ თავიანთი გასამრჯელო; ხალიფამ დააკმაყოფილა თხოვნა, გასცა ბრძანება, რომ მიეწონათ აშოტისათვის სათანადო ფული, ყოველწლიური 100.000 (დრამის) ანგარიშით; ამის შემდეგ, აშოტის მთელი მმართველობის განმავლობაში, სომეხთა მხედრობა შეუწყვეტლივ იღებდა ამ თეთრსაო[1]. „მხედრობამ" კი მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ რა მდგომარეობაში იყო დანარჩენი მოსახლეობა? ჰიშამის ხალიფობის პირველი პერიოდის შესახებ იგივე ისტორიკოსი მოგვითხრობს: ჰიშამმა თავისი მეფობის პირველ წელს (ჰიშამი გამეფდა 724 წ.) გამოგზავნა სომხეთში სარდალი ჰერთი ქვეყნის აღწერის მოსახდენად, რათა კიდევ უფრო დაემძიმებინა სომხეთის მონობისა და დახარკულობის უღელი. მან ბევ-

[1] ღევონდი, 112—113; სამაგიეროდ, მურვანის ხალიფობის აღწერისას ღევონდი სრულიადაც არ მალავს ამ უკანასკნელი ომაიადის არაჩვეულებრივ სიასტიკეს.

რი მწუხარება მიაყენა ქვეყანას, ისე რომ ყველა გმინავდა აუტანელი და ყოვლად უსაშველო შევიწროებისაგან. „ამის შემდეგ მისი ხელი კიდევ უფრო დამძიმდა სომეხთა ქვეყანაზე“[1]. როგორც ვნახეთ, ლევონდი არას ამბობს იმის შესახებ, რომ ეს ვითარება შეიცვალა მურვანის მმართველობის დროს, მთელი მოსახლეობის მიმართ—იქ ხომ საუბარი იყო მხედრობის, ე. ი., არსებითად ფეოდალური კლასის ერთი ფენის, მიერ მოპოვებულ ერთგვარ წარმატებაზე. ამ დასკვნას ვერ დაარღვევს ლევონდის სხვა ადგილას მოცემული ზოგადი მტკიცება, რომ მურვანმა, დაამყარა რა თავისი ბატონობა სომხეთში, „მოამშვიდა“ აქ ყოველგვარი ძალმომრეობაო. მურვანის რეჟიმის საერთო ხასიათის შესახებ კი იქვე აღნიშნულია: „უსამართლობის მოქმედთ, ავაზაკებს, მპარავებს და კეთილწესიერების მტრებს“ [ამ ცნებაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამე შეიძლებოდა დატეულიყო. ს. ჯ.] იგი ჯერ ხელსა და ფეხს ჰკვეთდა და შემდეგ ძელზე აღბმით ჰკლავდა“[2]. ლევონდის მიერ დახატულ სურათში უეჭველად ჭვივის ავტორის გარკვეული ტენდენცია.

მურვანის მიერ სომხეთის გარეთ ჩატარებული სამხედრო ოპერაციებიდან ლევონდი იცნობს მხოლოდ ერთს—არაბ-სომეხთა შეერთებულ ექსპედიციას ჰონების, ე. ი., ხაზარების წინააღმდეგ[3].

გაცილებით უფრო ეთანხმება ქართული მატიანის მოთხრობას მეორე ადრინდელი სომეხი ისტორიკოსის, იოანე კათალიკოსის, ცნობები, რომელთა მიხედვითაც მურვანს სომხეთის ციხეები აუღია და დაუქცევია, მოსახლეობა აუწიოკებია და გაუძარცვავს, ნაწილიც ტყვედ წაუსხამს[4].

ხოლო კიდევ უფრო ახლო ქართულ ცნობებთან არაბულიდგას. ბალაძორი, მაგ., მოგვითხრობს, რომ მურვანი, რომელიც ჯერ კიდევ მასლამასთან ერთად იბრძოდა ხაზარების წინააღმდეგ, და უკვე მაშინ გამოიჩინა დიდი სიმამაცე და რბევის უნარი, ჰიშამის მიერ დანიშნულ იქნა სომხეთის მმართველად საიდის შემდეგ, რომელმაც ამ თანამდებობაზე ორი წელიწადი დაჰყო. მურვანი შეიჭრა ხაზართა სამფლობელოში, თავს დაესხა იქ მყოფ სლავებს, ტყვედ წამოიყვანა მათგან 20000 ოჯახი და დაასახლა ისინი ხახიტში

---

[1] ლევონდი, 100—101,

[2] იქვე, 114. ასოლიკი, გვ. 130, როგორც ჩანს, იმეორებს ლევონდს, თუმცა დიდი შემოკლებით.

[3] ლევონდი, 113—114.

[4] დრახხანაკერტელი, 53—54.

(კახეთში?). შემდეგში გადმოსახლებულებმა მოჰკლეს თავიანთი წინამძღოლი და გაიქცნენ, მაგრამ მურვანი დაეწია მათ და გაჟლიტა.

შემდეგ მოცემულია მტკიცება მურვანის მიერ მთელი ჩრდილო და აღმოსავლეთ კავკასიის დამორჩილების შესახებ. ჯერ მას თითქოს ნებაყოფლობით დაემორჩილა, მურვანის ჯართა სიდიდით დაშინებული, ხაზართა ხაკანი, რომელმაც ვითომც ისლამიც კი მიიღო. მურვანმა დაასახლა ხაზარები ლაქზების ქვეყანაში, სამურსა და შაბურანს შორის. შემდეგ მურვანი იმორჩილებს **სარირის, თუმანის, ჰამზინის, სიდანის, ტაბარსარან-შაჰის, ფილან-შაჰის, შირვანისა** და **დუდანიელების** ქვეყნებს. თითქმის ყველა მათ ხარკავს ნატურალური გადასახადებითა და სამხედრო ბეგრით: პირველი გამოიხატება სხვადასხვა ზომით დაკისრებულ ტყვე ქალ-ვაჟთა და მარცვლეულის ყოველწლიურ გამოსაღებებში (მარცვლეული უნდა მიეტანათ ბაბის, ე. ი., როგორც ჩანს, ბაბ-ულ-აბვაბის ანუ დარუბანდის ბეღლებში), ხოლო საბხედრო ბეგარა დაეკისრა შარვანის მფლობელს, ფილან-შაჰსა და ტაბარსარან-შაჰს. ფილან-შაჰს საერთოდ უნდა ელაშქრნა მუსლიმებთან ერთად; შარვანის მფლობელი, ხაზართა ქვეყანაში გალაშქრებისას, ავანგარდში უნდა ყოფილიყო, ხოლო იქიდან დაბრუნებისას—არიერგარდში; ხოლო ტაბარსარან-შაჰი შეკრისას არიერგარდში იყო, უკან ლაშქრობისას კი მეწინავის როლს ასრულებდა. წავიდა მურვანი კავკასიიდან, როცა მას ვალიდ ხალიფას მოკვლის ამბავი მოუვიდა[1].

ამრიგად, გამოდის, რომ მურვანმა არაბთა ხელისუფლებას დაუქვემდებარა მთელი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კავკასია (აღმოს. ამიერ-კავკასია). რომ ის აქ უფრო მკვიდრად და ხანგრძლივად ჯდომას აპირებდა, ეს ჩანს ბალაძორისვე ცნობიდან (იხ. ქვემოთ, § 7), რომ მან აქ პირადი მამულებიც გაიჩინა.

არაფერს ამბობენ უცხო წყაროები მურვანის ლაშქრობის შესახებ დას. საქართველოში, მაგრამ ქართული მატიანის ცნობა სანდო შთაბეჭდილებას ახდენს და სარწმუნოდ უნდა იყოს მიჩნეული.

მურვანის ამიერ-კავკასიაში საქმიანობის ქრონოლოგია ასეთია: მოვიდა პირველად დვინში (სომხეთში) 114—732 წ.; ლაშქრობს ხაზარეთში 117—735 წ.; 119—737-8 წ.—ალანეთში და ალანთა გზით კვლავ ხაზარეთში, 743-4 წ. საბოლოოდ წავიდა აქედან[2].

---

[1] ბალაძორი, 17—19, თარგმანისა და ტექსტის 12—13

[2] მარკვარტი, 449—450, 199, 12, 18; Müller, II, 96; ჯავახიშვილი, II, 350—352; ბროსე, მითითებული ადგილი.

საქართველო მურვანმა, როგორც ჩანს, 736-8 წ. დალაშქრა.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ქართველი მემატიანის თხრობა რომელიღაც ძველი კარგი წყაროდან არის ამოღებული, რადგანაც ზუსტად იცავს ისტორიულ ფაქტებს[1]. თუ ასევე შეიძლება ვენდოთ მემატიანის უკანასკნელ ცნობასაც (ეჭვებს ბადებს მემატიანის მიერ ხშირად დარღვეული ისტორიული პრესპექტივი), მაშინ მივიღებთ, რომ VIII ს. ოცდაათიანი წლებიდან ოთხმოციან წლებამდის ქართლში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა დამყარებულა არაბთა მფლობელობის ქვეშ.

ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ მურვანის მოქმედებამ საბოლოოდ დაამკვიდრა არაბთა ბატონობა ქართლში. ის სისასტიკე, რომელიც მურვანის მეომრებმა აქ გამოიჩინეს, ერთი მხრით, პასუხი იყო განუწყვეტელი მღელვარებისა და ურჩობისათვის წარსულში, ხოლო, მეორე მხრით, მრისხანე გაფრთხილება მომავლისათვის. ასეთ შთამაგონებელ ღონისძიებათა შედეგი იყო მოსახლეობის წინააღმდეგობის უნარის გატეხა ერთი ხნით მაინც. საინტერესოა, რომ მურვანს ხალხის მეხსიერებისათვისაც დაუჩენია კვალი: გურიაში ეხლაც გაუგონარ კაცს „მურვანს" ეძახიან (თუ ეს ლიტერატურული წარმოშობისა არ არის).

დასავლეთ საქართველოს არც მანამდის, არც შემდეგ ისეთი სუსხი არაბებისგან არ უნახავს, როგორც მურვანის დროს, თუმცა კონტაქტი მათთან, მტრული თუ მეგობრული, ჰქონია ხოლმე. უკვე ჰაბიბის წინააღმდეგ (VII ს. შუა წლები) მოსაზღვრე ბიზანტიური პროვინციის, არმენიაკების თემის, პატრიკი იბრძვის ალანების, **აფხაზებისა** და ხაზარების მეშველ ჯარებთან ერთად[2]. მეშვიდე საუკუნის დამლევისა და მერვე საუკუნის დამდეგის ვითარება, ამ მხრივ, ზემოთ იყო აღნიშნული; შემდეგ, როგორც ვნახეთ, ერთი ცნობით, არაბთა სარდალი ჯარაჰი **აფხაზეთის გზით შედის ხაზარეთში.** ათიოდე წლის შემდეგ უკვე მურვანმა გადაიარა გრიგალივით ეგრისისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე. მაგრამ, საერთოდ შეიძლება ითქვას, დასავლეთი საქართველო არაბთა უმეშვეო და პირდაპირი გავლენის გარეშე დარჩა. აღნიშნული ამბები მხოლოდ ცალკე ეპიზოდები იყო ეგრის-აფხაზეთის ისტორიაში. ახალი მსოფლიო-ისტორიული მოვლენა მთელი თავისი სიმძიმით აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ ქართლს, დააწვა.

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი**, ქართვ. ერ. ისტ., II, 350—352.

[2] **ბალაძორი**, 8; **შეადრ. მარკვარტი**, გვ. 174, შენ. 4.

განსაკუთრებით დამძიმდა ქართლის ვითარება VIII ს. შუა-წლებიდან, როცა ხალიფების ხელისუფლება აბასიდების ხელში გადავიდა. თუმცა მურვანის ლაშქრობათა დასასრულიდან მოყოლებული სამოცდაათიან წლებამდის ცნობები საქართველოს შესახებ მეტად მცირდება, მაგრამ ზოგი რამ მაინც შეიძლება გამოირკვეს.

როგორც ვთქვით, მურვანის ექსპედიციებმა შედარებით მყარი მდგომარეობა შეუქმნა არაბებს ქართლში. მაგრამ, საერთო პირობების გამო, ზოგჯერ მაინც ისმის ისეთი ხმები, რომლებიც გარკვეულს პოლიტიკურს (იქნებ ხანმოკლე) ცვლილებებზე მიუთითებს.

VIII ს. სიგრძეზე, მაგ., არ შესუსტებულა ხაზარების აქტიობა და აგრესია ამიერ-კავკასიის მიმართ. სამოციან წლებში მათ ქართლიც თავისი გავლენის ქვეშ მოუქცევიათ. ამ ამბავს გულისხმობს, ალბათ, ქართული მატიანის მიერ მოთხრობილი, თუმცა ქრონოლოგიურად ცუდად განსაზღვრული, რომანტიკული და ტრაგიკული თავგადასავალი ქართლის ერისმთავრის ჯუანშერის დის შუშანისა. თითქოს ამ სილამაზით განთქმული ქალის ხელში ჩასაგდებად ხაზართა მფლობელის რაზმი რბევით გადმოდის ქართლში და ტფილისს იღებს[1].

ამავე ფაქტს უნდა აღწერდეს ლევონდი, როცა მოგვითხრობს, რომ მეორე აბასიდი ხალიფას დროს (754—775) ხაზარებმა დალაშქრეს ალვანეთი და ქართლი. ქართლის სამთავროში მათ აიღეს შვიდი პროვინცია—შუჩქი, ქვეშკაფორი, ჩელთი, წუქეთი, ველისციხე, თიანეთი და (ხ)ერკი, და მრავალი ტყვითა და ალაფით უკან გაბრუნდნენო[2]. არაბული ცნობებით ტფილისი ხაზარებს 764 წ. აუღიათ[3].

გავლენას ახდენდა ქართლზე ნეზობელი სომხეთის ვითარებაც. აქ პირველმა აბასიდებმა ისე შეაწუხეს მოსახლეობა, რომ აჯანყება აჯანყებას მოსდევდა მოძალადეების წინააღმდეგ. მარცხის შემთხვევაში სომეხი ნახარარები საქართველოში ეძებდნენ თავშესაფარს და ამით ამ ქვეყანასაც ითრევდნენ არაბთა საწინააღმდეგო მოძრაობაში და, ამდენადვე, საპასუხო რეპრესიების რკალშიაც. მეორე აბასიდ ხალიფას დროს (754—775), მაგ., არაბთა წინააღმდეგ აჯანყებული სომეხი ნახარარების მეთაური, არტავაზდ მამიკონიანი, ქართლში

[1] ქცხ. მარ., 216—217.
[2] ლევონდი, 132—133
[3] ჯავახიშვილი, II, 353—354.

გარბის, რაკი, როგორც ჩანს, არა აქვს იმედი, რომ არაბებს გაუმკლავდება. არაბთა მდევარი მას დაეწია ქართლის პროვინცია სამცხეში და ნადავლის ნაწილი დააგდებინა. გაქცეულნი ეგრისში გადავიდნენ. არტავაზდმა, გვარწმუნებს ამ ამბების მომთხრობი, ლევონდი, ხელთ იგდო ეგრისის და ქართლის ბატონობაო[1], მაგრამ ეს დაუჯერებელი ამბავია. ყოველ შემთხვევაში, ამ ამბებს არ შეეძლო მთლად უმტკივნეულად ჩაევლო ჩვენი ქვეყნისათვის.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მსგავს მოვლენებთან (ხაზარების გამოსვლასთან?) იყო დაკავშირებული, ხალიფა მანსურის დროს, არმენიის მმართველის იაზიდის მოქმედება, რომელმაც ისე დაამარცხა წანარები, რომ აიძულა ისინი ხარაჯა ეხადნათო[2]. წანარების ბედი კი, ამ დროს, მჭიდროდ არის დაკავშირებული კახეთთან.

უკანასკნელად, ლევონდი გვიამბობს, რომ ხალიფა ჰარუნმა (786—809) თავის ძმას ოვბედლას, რომელიც ებრძოდა ხალიფას, საგამგეოდ დაუთმო ადარბადაგანი, სომხეთი, ქართლი და ალბანეთი. ოვბედლამ თავისი მმართველები დანიშნა ამ ქვეყნებში, და აქაური საქმეების მოსაწესრიგებლად თვითონ ჩამოვიდა ქალაქ ბარდავშიო[3]. ამ ამბებში უკვე მოცემულია თესლი აღნიშნული ქვეყნების ჩამოშორებისა ხალიფატისაგან.

§ 7 საერთო განვითარება VII და VIII სს.

პერიოდი, რომლის ფარგლებშიაც ეხლა გვსურს საქართველოს საერთო განვითარება განვიხილოთ, იწყება VII ს. მეორე ნახევრიდან, მიახლოვებით და, ასევე მიახლოვებით, თავდება IX ს. შუაწლებით. ამ ხნის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არაბთა ბატონობას.

როგორც ზემოთ იყო გამორკვეული, ამ ბატონობის საბოლოო დამყარება ქართლში VIII ს. ოცდაათიანი წლებისათვის უნდა წარმოვიდგინოთ. VII ს. მეორე ნახევარში იგი ისტორიული დროის მხოლოდ ცალკე მონაკვეთებში არის საგულისხმებელი.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია განვითარება თვით ხალიფატის საერთო ხასიათისა და მისი რეჟიმისა დაპყრობილ ქვეყნებში. თავდაპირველად არაბები დაპყრობილი ქვეყნების შინაურ სამოქალაქო

---

[1] ლევონდი, 138—139.

[2] ბალაძორი, 20.

[3] ლევონდი, 166—167.

მმართველობაში არ ერეოდნენ. მათ ამისთვის არც რამე სახელმწიფოებრივი გამოცდილება ჰქონდათ, არც სათანადო რესურსები გააჩნდათ. იმ ადმინისტრაციულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, რომელნიც სრული აუცილებლობით მაინც უნდა წამოჭრილიყვნენ დამპყრობელთა წინაშე, არაბები იძულებული ხდებოდნენ ადგილობრივი ძალებისათვის მიემართათ—ბიზანტიელი ან სპარსელი ძველი მოხელეებისათვის, თუ ისინი კიდევ არსებობდნენ, და თვით ეროვნული ავტონომიური დაწესებულებებისა ან მათი ნაშთებისათვის. ერთადერთი საგანი, რომელიც თავდაპირველად არაბებს დაპყრობილ ქვეყნებში აინტერესებდათ, იყო ხარკის დროული და წესიერი მიღება და, საერთოდ, იმ ბეგარის განაღდება, რომელიც დამარცხებულთა ქედზე იყო დადებული. ამ მოვალეობის შესასრულებლად იყენებდნენ სწორედ არაბები ადგილობრივ ადმინისტრატიულ აპარატს. ამიტომ თითქმის ყველა დაპყრობილ ქვეყანაში არაბული მმართველობის სტერეოტიპულ ფორმას ვხედავთ: უზენაეს მმართველთა ადგილობრივ არაბულ სამხედრო ძალთა სარდალი, რომელიც ხალიფას მოადგილედ ითვლება; მის განკარგულებას ექვემდებარებიან ადგილობრივი მოხელეები და ადგილობრივი ავტონომიური ინსტიტუტების მეთაურები—ადგილობრივი მთავრები; ხალიფას ხელში ამ მთავრებს ის მნიშვნელობაც აქვთ, რომ მათი საშუალებით ხალიფა კონტროლს უწევს თავისი პროვინციული მოადგილეების სეპარატისტულ ტენდენციებს. მაგრამ ეს ურთიერთობა განიცდიდა განვითარებას და თანდათანობით იცვლიდა სახეს.

უფრო ნელა და ნაკლები სიძლიერით იცვლებოდა არაბული სახარკო და საბეგრო სისტემაც. ამ მხრივ არსებითად ძალიან დიდხანს იცავს თავს მეორე ხალიფას, ომარის, მიერ შემუშავებული და დადგენილი წესები და პრინციპები, დამკარებული თვით მუჰამადის ჩვენებებსა და პრაქტიკაზე. ყველა დაპყრობილი ქვეყნის მთელი მიწაწყალი გამოცხადებული იყო ხალიფას სახელმწიფო მამულად. ძველი მესაკუთრენი ინაარჩუნებდნენ მფლობელობის უფლებებს, მაგრამ იხდიდნენ გარკვეულ გადასახადებს: 1) **ჯიზიათს**, პირად გადასახადს, რომელიც სავალდებულო იყო ყველა „ურწმუნოსათვის“, ე. ი. არამუსლიმანისათვის; 2) **ხარაჯს**, სამამულო გადასახადს, რომელიც შეფარდებული იყო ადგილმამულის სივრცესთან და 3) **საბინაო გადასახადს** (არაბული რაზმების ადგილობრივ ბანაკობასთან დაკავშირებული ხარჯები). ძალიან იშვიათად, მოსახლეობის რაიმე განსაკუთრებული დამსახურებისა ან ღვაწლის გამო დამპყრობელთა წინაშე, მოსახლეობა შეიძლებოდა განთა-

ვისუფლებული ყოფილიყო სამამულო გადასახადის, ხარაჯისგან (ასე მოიქცნენ არაბები, მაგ., სირიაში, რადგანაც სირიის მოსახლეობამ არაბებს დიდი დახმარება ვაუწია ამ ქვეყნის დაპყრობის დროს), მაგრამ პირადი გადასახადისაგან, ჯიზიათისაგან, არავინ იყო თავისუფალი, ვინც კი ისლამს არ აღიარებდა. აბსოლუტური უმრავლესობა იმ ხალხებისა, რომელნიც დაექვემდებარნენ არაბთა ბატონობას, მაინც ჯიზიათთან ერთად იხდიდა ხარაჯსაც. ეს იყო ძალიან მაღალი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი,— ოდენობის მხრივ,—გადასახადი, რომელიც არ ითვალისწინებდა მიწის ნამდვილი შემოსავლის ზომასა და ხასიათს. ხარაჯის გადახდისათვის პასუხისმგებელი იყო ესათუის თემი მთლიანად. ერთი რომელიმე ინდივიდუალური გადამხდელის გაღატაკების შემთხვევაში მისი გადასახადი ეწერებოდა მის მეზობლებს. ამიტომ თვით მიწისმჭირავის პიროვნება არაბებს არ აინტერესებდათ და ამიტომვე ცალკე მიწის ნაკრების ყიდვა-გაყიდვა აკრძალული არ იყო. მთელი მიწა გაზომილი და კადასტრ-დადებული იყო და იგულისხმებოდა, რომ მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა გადასახადისა არ შეიძლებოდა შეცვლილიყო მიწის მიმოქცევისა და მიწისმჭირავთა გამოცვლის გამო.

გარდა ამ წესებისა, იმთავითვე დიდი სისასტიკით დადგენილი იყო, რომ არც ერთ მუსლიმს არაბეთის გარეშე არ აქვს უფლება შეიძინოს უძრავი საკუთრება და ხელი მიჰყოს სოფლის მეურნეობას. ერთი მუჭა გამარჯვებული მეომრებისა იჯდა ამა თუ იმ დაპყრობილ ქვეყანაში და იკვებებოდა დამარცხებული მიწის მუშების შრომის პროდუქტით. ერთადერთ თავისთვის შესაფერის საქმედ დამპყრობელებს ომიანობა და სამხედრო ვარჯიშობა მიაჩნდათ, დაპყრობილთა სვედ კი შრომა და მორჩილება იყო გამოცხადებული. რუსთაველის კლასიკური ფორმულით რომ ვთქვათ, არაბი „მეომრის“ ფუნქციად „გულოვნობა“ იყო დასახული, ურწმუნო, დამორჩილებული „მუშებისა“ კი „მიწყივ მუშაკობა“. ამ ორ ფენას შორის არსებული საზღვრის წაუშლელობის მიზნით იყო სწორედ არაბთა მიწისმფლობელობა აკრძალული დაპყრობილ ქვეყნებში. ამავე მიზანს ემსახურებოდა სხვა დადგენილებებიც: არავის არ ჰქონდა ნება „მართლმადიდებელ“, ე. ი. ისლამის, გზისგან გადაექცია არაბი; დაპყრობილებს წართმეული ჰქონდათ იარაღის ტარების უფლება; მათ აგრეთვე არაბებისაგან განსხვავებული ტანისამოსი უნდა სცმოდათ; სატარებლად შეეძლოთ მხოლოდ ვირი და ჯორი გამოეყენებინათ (ცხენი მხოლოდ არაბებისათვის გან-

კუთვნილი, დაპყრობილთათვის აკრძალული იყო) და სხვადასხვა. თავისთავად ცხადია, ყოველივე აღნიშნულის განხორციელება, ხშირად ძალიან ძნელი, და ზოგჯერ შეუძლებელიც იყო.

თუ ხარკს მივუმატებთ ომის ნადავლს ანუ ალაფს და თვით მუსლიმების სახელმწიფო გადასახადს ანუ ე. წ. „ვადასახადს ღარიბთა სასარგებლოდ", მივიღებთ ხალიფატის სახელმწიფო შემოსავლის ძირითად მუხლებს. თეორიულად მთელი ეს სახელმწიფო შემოსავალი ითვლებოდა ყველა მუსლიმის საერთო საკუთრებად. იგულისხმება, რათქმაუნდა, რომ სახელმწიფო შემოსავლის ერთი ნაწილი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო საერთო სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ომის ნადავლიდან, მაგ., ასეთ ნაწილად ერთი მეხუთედი ითვლებოდა. დანარჩენი, აგრეთვე თეორიის მიხედვით, თანასწორად უნდა განაწილებულიყო მუსლიმებს შორის. ომარისვე მიერ 647 წ. დაარსებულ იქნა უმაღლესი საფინანსო სამმართველო, რომელიც აწარმოებდა შემოსავალ-გასავლის სწორ აღრიცხვას და თვითეულის ნაწილის ანგარიშს საერთო შემოსავალში, ტომებისა და ოჯახების სიების მიხედვით. ამრიგად გამოთვლილი იყო ხოლმე თვითეული ოჯახის წლიური შემოსავალი, რომელიც მაინც თანაბარი არ იყო, რადგანაც გათვალისწინებული იყო ნათესაური სიახლოე მუჰამადთან, ისლამის მიღების დრო და მონაწილეობა ომებში ურწმუნოთა წინააღმდეგ. უმცირესი წილიც განაყოფიდან იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საკმაოდ აკმაყოფილებდა შორეულ ქვეყნებში მებრძოლი არაბების მოთხოვნილებებს და შეუმჩნეველს ხდიდა მათთვის სამშობლოს გარეთ მემამულეობის აკრძალვას. მეორე მხრით, სახელმწიფო შემოსავალი სწვდებოდა ყველა მუსლიმს, იმიტომ, რომ თავდაპირველად სახელმწიფო გასავალი შედარებით უმნიშვნელო იყო—ეს გასავალი უმთავრესად და თითქმის მხოლოდ სამხედრო ხარჯებთან იყო დაკავშირებული[1].

ყოველივე ზემოაღწერილი განიცდიდა თანდათანობითს ევოლუციას, რომლის ახალ ფაქტებსაც ჩვენ ქვემოთ გავეცნობით. აქ საჭიროა წარმოვიდგინოთ ქართლის თავდაპირველი ვითარება არაბთა მფლობელობის პირობებში.

უფრო გვიანდელი ქართველი მემატიანე ასე ასწერს არაბ-ქართველთა ურთიერთობას: „ამიერითგან იწყო შემცირებად მეფო-

[1] А. Мюллер, кн. II, гл. III.—ხარაჯის საკითხის თეორიული ვითარებისათვის იხ. ბალაძორი, 30—32: „დებულება სახარაჯო მიწების შესახებ."

ბამან დიდთა მათ მეფეთა ხოსროვანთამან: პირველად — უფლება სარკინოზთა განდიდა და მათგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი-ჟამად რბევასა და ოხრებასა, მეორედ—იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა—იქმნეს მტერ ურთიერთას: და უკუეთუ ვინმე გამოჩნდის, რომელი-მცა ღირს იყო მეფედ შვილთა შორის ვახტანგისათა, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან, რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა, შეიქმნეს სახლად საყოფელად თუისად, მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა ჰრქუიან ხარაჯა, რამეთუ, განგებითა ღმრთისათა, სიმრავლისათვის ცოდვათა ჩუენთასა, განდიდნა ნათესავი აგარიანთა"[1]. აქ ბევრი რამეა შეცდომით მოთხრობილი: ხოსროვან მეფეთა—ე. ი., ძველი ქართლის სამეფო—საგვარეულო არაბთა შემოსევის დროისათვის უკვე დიდი ხნის განადგურებული იყო. თუ არაბები ვისიმე „გამეფებას" აბრკოლებდნენ, ყოველ შემთხვევაში ეს გორგასლის შვილნი არ უნდა ყოფილიყვნენ და სხვ. სხვაფრივ მემატიანის ჩვენება გამოყენების ღირსია. ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება მითითება, რომ არაბები ჯერ „ჟამითი-ჟამად", ე. ი. დროგამოშვებით, „რბევასა და ოხრებას" აწარმოებენ ქართლში, შემდეგ კი ისინი ახერხებენ საბოლოო დამკვიდრებას ქართლში—„სახლად სამყოფელად", რეზიდენციად, იხდიან ტფილისს, და ეს მაშინ ხდება, როცა საერთოდ „განდიდნა ნათესავი აგარიანთა", გაძლიერდა არაბთა ტომი. შემდეგ განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე ცნობა **ხარაჯის** შესახებ—მემატიანის მტკიცებით, ხარკი, რომელსაც არაბები იღებენ ქართლიდან, სწორედ ხარაჯის ფორმას ატარებს. თუ მოვიგონებთ, რომ უკვე ჰაბიბის ექსპედიციის შესახებ არსებობს ცნობა, რომ ამ სარდალმა საქართველოს, ან, ყოველ შემთხვევაში, მოსაზღვრე ზოგიერთ პროვინციას ჯიზიათთან ერთად ხარაჯიც დაადო გადასახადად, ადვილად დავიჯერებთ, რომ თვით ქართლის ცენტრალური რაიონების ხარკსაც, თავდაპირველი „პირადი გადასახადის" (ჯიზიათის) გარდა, შემდეგში „სამამულო გადასახადი"—„ხარაჯიც"—შეადგენს. ეს მით უფროა მოსალოდნელი, რომ ქართლმა თავდაპირველი ნებაყოფლობითი დამორჩილების შემდეგ არა ერთგზის გამოაცხადა ურჩობა, არა ერთგზის იყო ამის გამო არაბების მიერ დარბეული და როგორც ფაქტიურად, ისე ფორმალურად, მახვილით დაპყრობილ ქვეყნად უნდა ჩათვლილიყო.

[1] ქცხ. მარ., 217.

ამრიგად, ყოველ შემთხვევაში, VIII ს. დამდეგიდან, ქართლი იხდის როგორც ჯიზიათს, ისე ხარაჯს. (იბნ-ალ-ფაკიჰი ხომ პირდაპირ ამტკიცებს, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომ ჯურჯანი და სხვა პროვინციები, ჰაბიბთან შეკრული პირობით, იხდიან როგორც პირად, ისე სამამულო გადასახადს). როგორია ამ ხარკის გავლენა ქვეყნის განვითარებაზე?

რამდენადაც ვიცით, ორივე გადასახადი ქართლში **ფულადი** იყო. ჩვენ სხვა ადგილას უკვე ვსაუბრობდით ფულადი გადასახადების მნიშვნელობის შესახებ[1]. ეხლაც შეიძლება გავიმეოროთ, რომ არაბების ფულადი ხარკიც, გარკვეულ დრომდის, ხელს უწყობს სასაქონლო წარმოების განვითარებას. არაბული ხარკის მოქმედება ამ მხრივ კიდევ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო—მარტო პირადი გადასახადის, ერთი დრაჰკანის (დაახლოვებით, 5 მანეთი ოქროთი) შოვნა გადამხდელს არ შეეძლო სხვაგვარად, თუ არ საქონლის ბაზარში გამოტანით. ეხლა ამას ემატებოდა სამამულო (ხარაჯი ჩვეულებრივად უდრიდა მოსავლის ერთ მეხუთედს) და სხვა გადასახადებიც. გამოსაღებთა საერთო რაოდენობა მეტად დიდია; შაშასადამე, გარკვეულ მიჯნამდის, მეურნეობამ მაქსიმალურად (დროის პირობების შესაფერისად) უნდა დასჭიმოს თავისი სასაქონლო შესაძლებლობა. მეორე მხრით, საყურადღებოა საგადასახადო ცენზი და პრინციპი: **ჯიზიათს ახდევინებდნენ კომლობრივ, ხოლო ხარაჯის გამოანგარიშებისას არ ითვალისწინებდნენ მიწის შემოსავლიანობასა და მის ცვალებადობას, არამედ ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული ნორმები ჰქონდათ დადგენილი.** მაგრამ რადგანაც ცალკე გადამხდელი ერთეულები, **კომლები,** ამ დროს განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ეკონომიური შეძლებით (დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, მუშახელის რაოდენობას კომლში), ამიტომ როგორც ჯიზიათი, ისე ხარაჯი ერთნაირი სიმძიმით არ აწვება ყველა კომლს: ზოგი ამ ტვირთს შედარებით ადვილად უძლებს, ზოგი ერთბაშად იჭყლიტება. მაშასადამე, არაბულ ხარკს უნდა შეეტანა გაცილებით უფრო ღრმა რღვევა ცალკე ეკონომიკურ ჯგუფებში, ვიდრე ეს ხდებოდა წინათ. ქონებრივი უთანასწორობა იზრდება ბევრად უფრო სწრაფად. ფულადი ურთიერთობის ზრდაც იმავე მიმართულებით მოქმედებს.

„დაცვითი სიგელის“ მუხლი, რომელიც მოითხოვდა, თუ უნებლიეთ აკანონებდა, კომლთა არსებული რაოდენობის უცვლელობას,

[1] ხ. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, ტფ., 1935 წ.

შეიძლებოდა გამხდარიყო ერთგვარი შემაფერხებელი გარემოება მოსახლეობის ბუნებრივი ზრდისათვის იმ რაიონებში და იმ პერიოდებისათვის, სადაც და როდესაც ეს წესი მოქმედებდა[1].

ამრიგად, არაბთა მფლობელობის პირველ ხანებში ქართლი საერთოდ, იმავე გზით განგრძობს განვითარებას, რომელიც ჩვენ VI საუკუნისათვის დავადგინეთ. ასეთივეა მდგომარეობა, მიახლოვებით, სოციალურსა და პოლიტიკურ სფეროში—ახალგაზრდა ფეოდალური ქართლის უმაღლესი წრეები, გარკვეულ დრომდის, ახერხებენ ახალი მდგომარეობის გამოყენებას თავის სასარგებლოდ. როგორც ყველგან სხვაგან, ქართლშიაც არაბები იძულებული არიან, თავდაპირველად, ამ ფენის ზოგიერთ წრეებს დაეყრდნონ. მაგრამ აქ ანალოგიურთან ერთად განვითარების განსხვავებულ ნიშნებსაც ვხედავთ: არაბთა შემოსევისათვის ქართლის წარჩინებულთა წოდებას უკვე თავისი პოლიტიკური მეთაურები ჰყავს—ქართლის ერისთავარი, ქართველთა პიტიახში და სხვები. ორგანიზაციულად ეს წოდება უფრო დარაზმულია. სოციალურადაც ის ეხლა უფრო ძლიერია. ამიტომ თუ მას, დამპყრობელებთან თანხმობის პირობებში, შეუძლია წინაპრებზე მეტი სარგებელი მოიპოვოს თავისი მდგომარეობიდან, სამაგიეროდ კონფლიქტისათვისაც მეტი მიზეზი და შესაძლებლობა აქვს.

თავდაპირველად ქართლის მთავრებსა და წარჩინებულებს არავითარ უბედურებად არ უნდა მიეჩნიათ ბიზანტიელთა შეცვლა არაბებით. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო უნდა გაუარესებულიყო მოსულ-დამხდურთა ურთიერთობა. არაბებს თვითონ ჰქონდათ მოკრილი გზა ადგილობრივი გაბატონებული კლასების უმტკივნეულო დაახლოებისა და შეთვისებისათვის დამპყრობელებთან. ვინც თავის თავს ისლამის გარეშე აყენებდა და მამაპაპური სარწმუნოების ერთგული რჩებოდა, ის იმთავითვე უნდა შერიგებოდა თავის უუფლებო მოქალაქეობრივ მდგომარეობასა და უაღრესად შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას გაბატონებულთა მხრივ. მართალია, არაბები, ფაქტიური ვითარების ზეგავლენით, იძულებული იყვნენ პრაქტიკაში გვერდი აევლოთ იმ ზემოთაღწერილი წესებისათვის, რომელთაც როგორც არსებითად, ისე გარეგნულადაც უნდა წარმოეჩინათ დამპყრობელთა და დაპყრობილთა შორის არსებული უფსკრული: არაბები იძულებული იყვნენ, მაგ., ადგილობრივი სამხედრო ძალები გამოეყენებინათ (იმდენად დიდი

[1] შეადრ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერ. ისტ., II 358; აქ მოცემულ დებულებას გვაროვნული წყობილების დაცვის შესახებ ჩვენ არ ვიზიარებთ.

იყო მათი სამხედრო საჭიროება) და, მაშასადამე, მეტნაკლებად მოეხსნათ ზოგიერთი, ამასთან დაკავშირებული, დამამცირებელი კანონი. ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის სამხედრო სამსახური ერთ უმთავრეს ბეგარადაც კი ითვლებოდა არაბების წინაშე. მაგრამ მაინც მთელი სიმძიმე და სათაკილო ხასიათი სხვაობისა მუსლიმისა და არამუსლიმის მდგომარეობათა შორის მეტად რელიეფური იყო და ამიტომ ძნელი ასატანი ფეოდალური წრეების განვითარებული ღირსების შეგნებისათვის. მეორე მხრით, ვინც მშობლიურ სარწმუნოებას გაიმეტებდა, რენეგატის სახელს არ შეუშინდებოდა და ისლამში გადავიდოდა, მას დიდი ნივთიერი მსხვერპლი უნდა გაეღო: უარი უნდა ეთქვა მემამულობაზე იმ კანონის თანახმად, რომლის მიხედვითაც არც ერთ მუსლიმს მიწისმფლობელობის უფლება არ ჰქონდა დაპყრობილ ქვეყნებში. ამიტომ მიწისმფლობელთათვის მატერიალურად უფრო სახეირო იყო, მაღალი საადგილმამულო გადასახადის მიუხედავად, თავიანთი მამულების ექსპლოატაცია გაეწიათ და სასოფლო-სამეურნეო შემოსავლით ესარგებლათ. აღწერილ პირობებში მხოლოდ ღატაკებს თუ მისცემდა ხელს დამპყრობელთა სარწმუნოების მიღება[1]. **მაგრამ საჭირო იყო უფრო განვითარებული ბატონყმური ურთიერთობა, ვიდრე ამას იმდროინდელ ქართლში ვხედავთ. რომ ისლამის პროპაგანდას ღარიბ-ღატაკთა წრეებში სათანადო ნაყოფი გამოეღო. ამით აიხსნება ალბათ ის გარემოება, რომ მიუხედავად არაბების მრავალსაუკუნოვანი მფლობელობისა ქართლში, ისლამმა აქ ვერავითარი შესამჩნევი კვალი ვერ გაავლო. მაჰმადიანობა ქართულ პროვინციებში მასიურ გავრცელებას პოულობს მხოლოდ XVII საუკუნიდან, სულ სხვა ისტორიულსა და სოციალურ გარემოში.** იმავე მიმართულებით მოქმედებდა თვით არაბების პოლიტიკაც: ჯერ ისინი რელიგიურად ინდიფერენტული იყვნენ და მხოლოდ პირდებოდნენ „ძმობას“ იმათ, ვინც ისლამს აღიარებდა; შემდეგშიაც კი, როდესაც ახალი, აბასიდების, დინასტია (მეფდება 749 წ.), პოლიტიკური მოსაზრებით, მკაცრ რელიგიურ რეჟიმს აწესებს, მაინც ისლამის გავრცელებას ხელს უშლის წინათვე შესამჩნევი გარემოება: მუსლიმთა მეტად გაზრდილი რიცხვი, რაც უაღრესად ამცირებს ცალკე მუსლიმების წილს სახელმწიფო შემოსავალში, აიძულებს ხალიფატის გაბატონებულ წრეებს ერთგვარი დაბრკოლება შეუქმნან ახალმოქცეულთა დენას მუჰამადის ეკლესიისკენ. ახალმოქცეულნი მთლად გათანა-

[1] А. Мюллер. იქვე, 310.

ბრებული არ არიან არაბ მუსლიმებთან—იხდიან ჯიზიათს (ასეთია 700 წ. გამოცემული დადგენილება)[1], ხარაჯს[2] (ბალაძორის ტექსტში შენახულია ისტორიკოს ვაკიდის,—გარდაიცვ. 823 წ.—ცნობა, რომ განთქმული არაბი იურისტების, VIII ს. პირთა, მალიქ იბნ-ანასისა და იბნ-აბუდიბის აზრით—ახალმოქცეულნი, მახვილით დაპყრობილთა რიცხვიდან, ინარჩუნებენ თავის მიწას ხარაჯის გადახდის პირობით; სხვების აზრით კი, ასეთი პირები არც სხვა გადასახადებისგან თავისუფლდებიან)[2]. ყველაზე მეტად სარგებლობდნენ ის პირები, რომელნიც არაბულ ადმინისტრაციაში მსახურობდენ.

ამრიგად ქართლის წარჩინებულთა წოდება თავისი ეგოისტური მიზნებისათვის ახერხებს, გარკვეულ მიჯნამდის, არაბთა მფლობელობით შექმნილი პირობების რამდენადმე გამოყენებას უფრო შეზღუდულად, ვიდრე ეს იყო, ვთქვათ, ბიზანტიის პოლიტიკური უპირატესობის დროს. წინააღმდეგობაც არაბებსა და ქართველებს შორის უფრო ადრე და უფრო ღრმად უნდა განვითარებულიყო. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო, როგორც ვამბობდით, თვით ხალიფატის სოციალური და პოლიტიკური ევოლუცია.

ხალიფატის წარმოშობის დროისათვის არაბეთის სოციალური სტრუქტურა შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ. უდაბნოს ბედუინები ჯერ კიდევ პატრიარქალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ყოველ შემთხვევაში, სოციალური დიფერენციაცია მათ შეტად სუსტად ემჩნევათ, რაც სავსებით შეეფერება მათი ცხოვრების პირობებს. ტომობრივი ორგანიზაცია დიდი სიძლიერითაა გამოხატული. სულ სხვა მდგომარეობაა განაპირა დაწინაურებულ ზოლში—იამანსა და ჰიჯაზში. აქ მეტნაკლებად განვითარებულს კლასობრივ სტრუქტურას ვამჩნევთ. არსებულ საზოგადოებრივ დიფერენციაციაში მონათმფლობელური წყობა, ჩანს, წამყვანი ხასიათისად უნდა მივიჩნიოთ. მკაფიოდ გამოხატულია ქონებრივი უთანასწორობა. მსხვილი მონათმფლობელნი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ვაჭრობასა და სავაჭრო ინტერესებთან. აქვე მოცემული უნდა იყოს ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახი.

მონათმფლობელი არისტოკრატია, ჩანს, გვევლინება ხალიფატის ორგანიზატორისა და მისი ნამდვილად გაბატონებული, მმართველი, წრის როლში. ამ თავისებურ სამხედრო-თეოკრატიულ მონათმფლობელურ სახელმწიფოში, რომელიც „დემოკრატიის“

---

[1] А. Мюллер, იქვე, 310.

[2] ბალაძორი, 30.

ელემენტს შეიცავს, პოლიტიკური და ეკონომიური წილის დადებას ბედუინებისათვის, რომელნიც თავდაპირველად ხალიფატის უმთავრეს სამხედრო ძალას შეადგენენ, შესაძლებელს ხდის საგარეო დაპყრობის მომენტი. სანამ ეს მომენტი მკაფიოდ არის წარმოჩენილი, სანამ ნადავლი და ხარკი საკმაო რაოდენობით იშო�eba, მანამ შინაგანი თანხმობა შედარებით დაურღვეველი ჩანს, მაგრამ ჟამთა ვითარებასთან ერთად ხალიფატის სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა აუცილებელ ცვლილებებს განიცდის. სირიაზე დაყრდნობილი, ომაიადების დინასტიის გაბატონებით (661 წ.) ფაქტიურად მყარდება მემკვიდრეობითი მონარქია, დინასტიური ინტერესებით. მკაფიო ეგოისტურს დინასტიურ პოლიტიკას აწარმოებს, მაგ., ერთი უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი ომაიადებისა, ჰიშამი (724—743 წ. წ.): სახელმწიფო ხარჯით ახლად მორწყული მიწები გამოცხადებულია ხალიფასა და ომაიადების კერძო საკუთრებად; საერთოდ, მსგავსი სამუშაოები წარმოებს არა სახელმწიფოს, არამედ ტახტისა და დინასტიის ინტერესებისათვის. თანდათანობით ბოლო ეღება დიდ-დიდს დაპყრობით ომებს, რომლებიც ეხლა სულ უფროდაუფრო სასაზღვრო კინკლაობისა და საკუთარი წვრილი თარეშების ხასიათს იღებს. სახელმწიფო დაწესებულებები თანდათან ემსგავსებიან ჩვეულებრივი ბიუროკრატიის ორგანოებს, რომელნიც, თვით სამეფო კართან ერთად, სულ უფროდაუფრო მეტ თანხებს შთანთქავენ ხოლმე საერთო სახელმწიფო შემოსავლიდან. ეს ამცირებს ცალკე მუსლიმების, განსაკუთრებით იმათი, ვინც ცენტრისაგან მოშორებით იმყოფება, კუთვნილ სარგოს სახელმწიფოებრივი გადასახადების გზით შემოსულ დოვლათში. მონაპირე მოლაშქრეები—განსაკუთრებით, საგარნიზონო სამსახურის ჯარები, კიდევ უფრო მწვავედ გრძნობენ ნადავლის შემცირებას, რაც ბუნებრივად ხდება საერთო პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციასთან დაკავშირებით. ყოველივე ეს იწვევს სათანადო ცვლილებებს რეალურ ურთიერთობასა და შეგნებაში. სულ უფროდაუფრო ხშირად ისმის ხმები შორეულ მეომართა უკმაყოფილების შესახებ კუთვნილი სარგოს მიუღებლობის გამო, რაც მით უფრო იყო შესაძლებელი, რომ შორეულ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში მდგომ ჯარებს გაძლიერებული ჯამაგირები ჰქონდათ დანიშნული. ასე იყო, მაგ., დარუბანდში. ბალაძორი მოგვითხრობს, რომ ამ ქალაქის „მცხოვრებნი (იგულისხმება აქ დასახლებული არაბული გარნიზონი) დღემდისაც არც ერთ მმართველს ქალაქში არ შეუშვებენ, თუ მას თან არა აქვს ფული, მათთვის

დასარიგებელი"[1]. IX ს. ოცდაათიან წლებში აჯანყდა ბარდავის (ყველაზე დიდი ქალაქი ამიერ-კავკასიაში) გარნიზონი, რომელიც ხალიფას მოხელისაგან მოითხოვდა თავის სარგოს. ხალიფას წარმომადგენელი უპასუხებდა, მე არაფერი მაქვსო და იმ ქვეყნის (კავკაზერბაიჯანი) მოსახლეობაზე მიუთითებდა, ყველა სახსარი ამათ ხელშიაო, და თანაც მცხოვრებლებისაგან ხარკის გადახდას მოითხოვდა. მცხოვრებნიც, თავის მხრივ, უარს ამბობენ, ჯერ თავიანთ ციხეებში მაგრდებიან, შემდეგ კი შეტევაზედაც გადადიან და ბარდავში შეფარებულ მოხელეს ალყას არტყამენ[2]. ეს ტიპიური სურათია—ყველგან, განსაკუთრებით, ხალიფატის პერიფერიაზე, ასე ხდებოდა: ხმამაღლა მოღაღადე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოცარიელებულ ხაზინას ისევ მოსახლეობის გადამხდელობითი უნარი და მოთმინება უნდა გამოეცადნა. აქედან—მუდმივი შეტაკებები დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობასთან, აჯანყებები, დამსჯელი ექსპედიციები. შედეგები მაინც მცირეა.

ჯარების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ხალიფატის მმართველი წრეები იძულებული ხდებიან სხვა ღონისძიებებსაც მიმართონ, რომელთაც ისლამის ორთოდოქსალური თეორია გამორიცხავდა. ეს არის დაპყრობილ ქვეყანათა რესურსების ადგილობრივი გამოყენების გზა. ასეთია, უწინარეს ყოვლისა, არაბი სარდლებისათვის მიკათმფლობელობის ნებისდართვა დაპყრობილ ქვეყნებში. ადგილობრივი საციხოვნო ჯარების უფროსნი, მიუხედავად თავდაპირველი აკრძალვისა, მემამულეებად იქცევიან იმ დამორჩილებულ ქვეყნებში, რომელნიც მათ მიბარებული აქვთ. ურთიერთობა დამპყრობელებსა და დაპყრობილებს შორის, როგორც უკვე იყო განმარტებული, იმთავითვე ფეოდალურ დამოკიდებულებას ჰგავდა. ახლა კი, აღნიშნული მემამულეობის განვითარების შემდეგ, ეს პროვინციელი არაბი ამირები წმინდა წყლის ფეოდალებად გვევლინებიან.

ამ მოვლენას შედარებით ადრე ვხვდებით. უკვე ჰაბიბის შესახებ (VII ს. ორმოცდაათიანი წლები) ნათქვამია, რომ მან დამორჩილებულ კალიკალაში (თანამედროვე არზრუმი) მოათავსა ორი ათასი მეომარი და დაურიგა ნათ მიწა[3]. ეს, იმ დროისათვის უჩვეულო, აქტი ალბათ იმით აიხსნება, რომ სურდათ ამ მეომრების განსა-

---

[1] ბალაძორი, 17.
[2] იაკუბი, 18.
[3] ბალაძორი, 8.

ქუთრებული დაინტერესება, რადგანაც აღნიშნულ პუნქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მის გარნიზონსაც ჩვეულებრივზე მძიმე მოვალეობა ეკისრებოდა. შემდეგში ეს პროცესი უფრო სწრაფად ვითარდება და უფრო გარკვეულ სახეს იღებს. მასლამას შესახებ, რომელმაც VIII ს. ოციან წლებში ილაშქრა ამიერ-კავკასიასა და საქართველოში, მაგ., ნათქვამია, რომ მან ხაიზანის მცხოვრებლებთან შეჰკრა ზავი, დაანგრევინა ციხის სიმაგრე და **თავისთვის აიღო მამული**[1]. მემამულეობისადმი მიდრეკილება იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ შიშველი მიტაცების გარდა მრავალ სხვა მეთოდსაც მიმართავდნენ, ოღონდ როგორმე მიწები ჩაეგდოთ ხელში. ცნობილ არაბ ისტორიკოსს, ბალაძორის, დაცული აქვს გარდმოცემა, რომ, **როცა არაბებმა დაიპირეს აზარბაიჯანი, მრავალი ტომი გაეშურა იქითკენ და თვითეულმა მათგანმა ხელში ჩაიგდო, რაც ღოიხელთა, ზოგიერთმა კი ფულით იყიდა მიწა ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან; გარდა ამისა, ზოგს დასაცავად დაუთმეს სოფლები, რომელთა მცხოვრებლებიც, ამრიგად, იქცნენ არაბებისათვის მომუშავე გლეხებად**[2]. ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისა და დამყარების უკეთესი სურათი ძნელი მოსაძებნია ძველ ისტორიულ მწერლობაში! ხმლით, ფულით, წყალობით ნაშოვნ მიწებზე სათანადო მეურნეობას ეწევიან, ცხადია, ყმური შრომის ექსპლოატაციის გზით. ცნობილი მურვანის, ყრუდ წოდებულის, შესახებ იტყობინებიან, რომ მან აზარბაიჯანში გარკვეული პუნქტის მიწები „გააცოცხლა" (ე. ი. გაპარტახებული ადგილები ხელახლა დაამუშავებინა) და თავის პირად მამულად აქცია[3].

ამ საშუალებით ადგილობრივი არაბი მმართველები ცენტრისგან სულუფროდაუფრო მეტად დამოუკიდებელი ხდებიან. მეორე მხრით, მათი ხელქვეითი სამხედრო რაზმებიც, რომელთაც, ზემოთაღწერილი პირობების წყალობით, აგრეთვე თანდათან უსუსტდებათ კავშირი ცენტრალურ მთავრობასთან, სამაგიეროდ, უფროდაუფრო დამოკიდებული ხდებიან თავიანთ უშუალო უფროსებზე. ეს დამოკიდებულება, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური თვისებისაა (ამ უფროსებს, როგორც ვნახეთ, ეხლა საკუთარი რესურსები მოეპოვებათ). ცენტრალური მთავრობა იძულებულია ხოლმე საკუთარი ინიციატივით გადასცეს პროვინციელ სარდლებს ისეთი

[1] ბალაძორი, 17.
[2] ბალაძორი, 27.
[3] ბალაძორი, 27.

ფუნქციები, რომლებიც, აღებული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია: IX ს. დამდეგს ხალიფა ალ-მამუნი არმენიისა და აზარბაიჯანის მმართველად ჰნიშნავს ისას, რომელსაც უბრძანებს **თავისი ხარჯით შეკაზმოს, შეაიარაღოს და მოამარაგოს ჯარის კაცები**[1]. ბუნებრივია, რომ მსგავს პირობებში პროვინციელ მმართველებს თანდათან უჩნდებათ განკერძოების ტენდენციები, რომელნიც უკვე IX ს. მძლავრ სეპარატისტულ მოძრაობად ყალიბდებიან— განსაკუთრებით ხალიფატის პერიფერიაზე. ამ სეპარატიზმს დამატებით ჰკვებავს ტომური ანტაგონიზმი, რომელიც არაბებმა ვერასოდეს ვერ დასძლიეს (მისი წყარო—პრიმიტიული სოციალურ-ეკონომიური წყობილება—ამ ხნის განმავლობაში ბედუინთა **ძირითად რაიონებში** მეტად ნელი ტემპით იცვლება, როგორც ჩანს). მეზობელ არმენიაში, უკვე 750-4 წ. ქვეყანა ხელში ჩაგდებული აქვს გამდგარ მმართველს, მუსაფირ იბნ-კასირს, რომელსაც მთავრობის ერთგული ჯარები ებრძვიან[2]. IX ს. დამდეგისათვის გამდგარ მმართველებად იხსენიებიან: არმენიაში—აბდულ მალიქი და მუჰამად იბნ-ატაბი, აზერბაიჯანში—მუჰამად იბნ-არ-რავადი, იაზიდ იბნ-ბილალი, მუჰამად იბნ-ჰამიდი, ოსმან იბნ-აფქალი და ალი იბნ-მური[3]. ასეთი სიმრავლე ურჩი მოხელეებისა ნიშანდობლივია ხალიფატის მდგომარეობისათვის. კერძოდ, კავკასიის განაპირა ქვეყნებში IX ს. ჩვეულებრივი სურათია: გადაუდგება აქაური ამირა თავის მბრძანებელს, ითვისებს პოლიტიკურ სუვერენიტეტსა და უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივ გადასახადებს; თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად იგი კავშირს აბამს ქვეყნის მკვიდრ მმართველ წრეებთან და უცხოეთის სახელმწიფოებთან—რუმთან („რუმ"-ს არაბები ბიზანტიას ეძახიან: მოდის „რომ"-იდან), ხაზარებთან და სხვებთან. ხალიფა დამსჯელ რაზმებს გზავნის. იმართება ბრძოლა, ჯერ ცვალებადი შედეგებით; შემდეგში კი ცენტრიდან მსრბოლი ძალები იმარჯვებენ და ხალიფატი იშლება. საინტერესოა, რომ ხალიფატის პოლიტიკური დაცემა ხდება სწორედ მაშინ, როდესაც ამ უშველებელ სახელმწიფოში შემავალი ცალკე ქვეყნები აშკარა სამეურნეო აღმავლობას განიცდიან; სრულიად სხვა პირობებში და სხვა ნიადაგზე აღმოცენებული პოლიტიკური ფორმა შეუფერებელი აღმოჩნდა განვითარების ახალი ტენდენციე-

[1] იაკუბი, 13—14.
[2] იქვე, 8.
[3] იქვე, 12.

ბისათვის და არაბების მსოფლიო სახელმწიფოს გამოეყო მთელი რიგი, შინაგან საზოგადოებრივ-ეკონომიური მთლიანობის მქონე, ერთეული.

აი, ასეთ საერთო ჩარჩოში ვითარდებოდა არაბთა მფლობელობა ქართლშიაც. უზენაესი არაბთა მოხელე ქართლში არის **ამირა**, რომლის მუდმივი რეზიდენცია ტფილისშია და რომელიც აზარბაიჯანის მმართველის მეშვეობით ხალიფას ემორჩილება. იგი სპარსელთა დროინდელ მარზპანს მოგვაგონებს თავისი მდგომარეობით. ტფილისის ამირა ერთსადაიმავე დროს ქართლში და, განსაკუთრებით, ტფილისში მდგომ ციხოვან ჯართა უფროსიცაა და ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველიც. ამირას ადგილობრივი თანაშემწეა **ქართლის ერისმთავარი**, რომლის ხელისუფლებაც გარკვეული სახლის მემკვიდრეობითი პრეროგატივაა. თუმცა ცნობები გვაკლია, მაგრამ, მეზობელი ქვეყნების ანალოგიური ვითარების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ ერისმთავრის მოვალეობას შეადგენდა საარაბო ხარკის მოკრეფა და ადგილობრივი ჯარის გამოყვანა.

თავდაპირველად ტფილისის ამირას განკარგულებას ალბათ მთელი აღმოსავლეთი საქართველო (ე. ი. შიდა ანუ საკუთრივ ქართლი, ქვემო ქართლი ანუ ქართველთა საპიტიახშო, კახეთ-კუხეთი; ზემო ქართლი ანუ მტკვრის აუზის ზემოთა ნაწილი[1]) ექვემდებარებოდა, მაგრამ თანდათანობით ეს ტერიტორია იზღუდება. ვისაც კი შეუძლია არაბთა ძალადობას თავი დააღწიოს, განზე იწევს. აქ მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის რელიეფს, რომელიც ზოგიერთ რაიონებს საკმაოდ კარგად იცავდა არაბების მოუძლურებული ხელისაგან. უკვე VIII ს., ჩანს, კახეთი ეთიშება ქართლს (პოლიტიკურად გაგებულს). ალბათ იმავე ხანებში, ან, ყოველ შემთხვევაში, VIII—IXს. მიჯნისათვის, მეტნაკლებად განზეა გამდგარი სამცხე-ჯავახეთი. ქართლის ჩრდილო მთიანეთიც, საფიქრებელია, ნაკლებად ათხოვებს ყურს ტფილისის ამირას მბრძანებლობას. ყველაზე მტკიცედ არაბები ქვემო ქართლში იყვნენ ჩამდგარნი. შიდა ქართლიც მათ სხვა რაიონებთან შედარებით უფრო დიდხანს შეინარჩუნეს. ამირას ტერიტორიის შევიწროება იმავე დროს

---

[1] აშოტ კურაპალატის მოკვლის შემდეგ არაბებს დაუპყრიათ კლარჯეთიც: „რომელ გარეთ ქუეყანა ჰკონდა, წარუღეს სარკინოზთა... და იყუნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ჴევნი შავშეთ - კლარჯეთ - ნიგალისანი". ხუმბატი, მარ, 345—6. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, ჩანს, ოცდაათიანი წლების ბოლომდის.

ქართლის ერისმთავრის პოლიტიკური იურისდიქციის ფარგლების დაკნინებასაც ემთხვევა ქრონოლოგიურად. ამრიგად, თავისი პოლიტიკური განვითარების მხრივ, ქართლი უკან იხევს—ბუნებრივად შეკრებილი თემები ხელახლა იქსაქსება. ალბათ VIII—IX სს. საზღვარზე შექმნილ გარდამავალ მდგომარეობას ახასიათებს მემატიანე: „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა—იქმნეს მტერ ურთიერთას“-ო. ერთი ლიტერატურული ძეგლი, რომელიც, ჩვენი აზრით, ქრონოლოგიურად სწორედ ამ დროის ამბებს გულისხმობს, გვარწმუნებს, რომ ერთ ქართულ პროვინციაში, სამცხეში, მთავრები მართლაც სოკოსავით გამრავლებულან: ქვაბლიანის ხეობაში ყველაზე დიდ და შემძლებელ მთავრად ითვლება ვინმე გიორგი ჩორჩანელი, რომლის ძირითადი საჯდომი სოფელ ჩორჩანსა და ზანავშია. იგი არის „უფალი მათ ადგილთა და მპყრობელი ყოველთა მათ სანახებთაჲ“. თვითონაც გიორგი ამ თემს თავის „საბრძანებელს“ ეძახის. მაგრამ ის ერთადერთი არ არის ამ რაიონში: ზოგნი, უფრო წვრილნი, გიორგიზე დამოკიდებული არიან—ესენი გიორგის „წინაშემდგომელნი“, „საკუთარნი“ არიან (ამ ტერმინების შესახებ დაწვრილებით—სხვაგან); მაგრამ არიან „სხუანიცა მთავარნი გარემოთა ადგილთანი“, რომელთაგან ზოგი აგრეთვე „დიდ მთავრად“ იწოდება, როგორც, მაგ., მირიანი[1].

ამირას მდგომარეობა თვით ტფილისშიაც კი ყოველთვის ერთნაირად მტკიცე არ არის. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ VIII ს. დამდეგს არაბებს რამდენიმეჯერ მოუხდათ ქართლის მოთარეშება, რათა როგორმე ამ ქვეყანაში ჩამდგარიყვნენ. 764 წ. ტფილისი, არაბულივე ცნობებით, ხაზარებს დაუჭერიათ მოკლე ხნით, როგორც უკვე აღნიშნული იყო თავის ადგილას. არაბთა პოლიტიკურ მდგომარეობას ქართლში, მათი ფეოდალიზაციის ტენდენციების შემდეგ, უწინარეს ყოვლისა, ქართლის მკვიდრი წარჩინებული წრეები არყევენ, რომელთაც, ზემოთაღწერილი მიზეზების გამო, არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ზავი ჰქონოდათ გამარჯვებულებთან. განსაკუთრებით მწვავდება ურთიერთობა, როგორც უკვე ვამბობდით, VIII ს. მეორე ნახევარში, როდესაც ქართლსაც მოსწვდა ხალიფების ახალი დინასტიის, აბასიდების, მკაცრი რეჟიმის სიმწვავე (აბასიდებმა ხალიფას ხელისუფლება მოიპოვეს 749 წ.). წინანდელი დინასტიის, ომაიადების, წმინდა პოლიტიკური ინტერესებით გამსჭვალული, სარ-

[1] ს. ზარზმელის ცხოვრება.

წმუნოებრივად შედარებით ლმობიერი, მმართველობა უღმერთობის ხანად იყო გამოცხადებული. აბასიდები, რომელნიც ახალ ძალებს ეყრდნობიან, ცდილობენ სავსებით ცენტრალისტური, ბიუროკრატიული სახელმწიფო შექმნან, ირანულ ყაიდაზე, და ირანულისავე პოლიტიკური გამოცდილების გამოყენებით. როგორც ჩვეულებრივად ხდება, ეს პოლიციურ-თვითმპყრობელური მანქანა, არაჩვეულებრივად გაბერილი და გაზვიადებული სამეფო კარით, მეტად დიდ ხარჯებს მოითხოვს და ამ ხარჯების დასაფარავად სულ უფროდაუფრო მეტს სთხოვენ თვით მოსახლეობასაც: აბასიდებმა უაღრესად დაუმძიმეს თავიანთ ქვეშევრდომებს საგადასახადო ტვირთი. ამას ზედ დაერთო სასტიკი სარწმუნოებრივი პოლიტიკა და „ურწმუნოთა", ე. ი. არამუსლიმთა დევნა. რათქმაუნდა, განსაკუთრებულ შევიწროებას ამ ხანაში ქრისტიანული ქვეყნები განიცდიან.

პირველი აბასიდების დროს ქართლში შექმნილი მდგომარეობა მშვენივრად აქვს აღწერილი იმდროინდელ ქართველ მწერალს, იოანე საბანისძეს. იოანეს ცნობებით[1] შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: სარკინოზები, არაბები, „მფლობელნი ამის ჟამისანი" არიან; ეს ჟამი კიდევ არის „ჟამი...მეფობისა ისმაიტელთა დიდებისა" (37), საერთოდ. ხოლო, კერძოდ, ესევე არაბები „ზედამდგომელნი ჩვენნი" არიან (7), ე. ი. „ყოველი ესე სოფელი ჩუენი ქართლი" (4) „მძლავრებასა ქუეშე დამონებულ" არის (8) „სოფლის მპყრობელთა ამათ, ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან" (17); „ქვეყანა იგი ქართლისა სარკინოზთა უპყრიეს" (20). მაშასადამე, არაბთა მფლობელობა საერთოდ „მძლავრებაა". თვით ისინიც, ჩვეულებრივად, „მძლავრებად" (34) იწოდებიან, მოსახლეობაც ამ „მძლავრთა შიშით" არის შეპყრობილი (32). ამის შესაფერისად, არაბული სარწმუნოებაც ავტორს წარმოდგენილი აქვს, როგორც „მახუილითა პყრობილი შჯული" (37).

უშუალოდ განაგებს ქართლს „ამირა", რომელიც იმავე დროს „მსაჯულიცაა" და რომელსაც ავტორი ამიტომ ჩვეულებრივად „მსაჯულ ამირას" ან მარტივად „მსაჯულსაც" ეძახის (23,24,29 და სხვ.). ეს ამირა ზის ტფილისში, სადაც არის „კარი მსაჯულისა მის ამირისა" (29). ეს „კარი" მერმინდელი „საამირო დარბაზის", ჩვენთვის უფრო კარგად ცნობილი და საყურად-

[1] იხ. აბო ტფილელის წამება, გამოცემული პ. კარბელაშვილის მიერ, ტფ., 1899.

ღებო დაწესებულების, წინამორბედია[1]. ტფილისის ამირები არიან „ჟელმწიფენი ამირანი ამის ქუეყანისანი“ (20), მათ „მსახურნი“ ჰყავთ (24 და სხვა).

ავტორის განზრახვაა მუქი ფერადებით დახატოს არაბული რეჟიმი ქართლში. ყველაზე უფრო დამარწმუნებელია იოანეს ცნობა არაბული ხარკის სიმძიმის შესახებ — „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქუეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუეგულნი და ქენჯნილნი, ძუირ-ძუირად ზღუეულნი“ (8). მაგრამ ავტორი სინამდვილის ამ მხარეზე მხოლოდ იმისთვის ჩერდება, რომ არაბთა სარწმუნოებრივი რეჟიმი დაახასიათოს, და დაახასიათოს, როგორც სრულიად შეურიგებელი, ძალადობაზე დამყარებული, სხვა რელიგიურ აღსარებათა სავსებით გამომრიცხველი, უხეში და ფანატიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველთა სარწმუნოებრივ გადაგვარებას. ავტორი გვარწმუნებს კიდევაც, რომ ამ პოლიტიკას საკმაოდ თვალსაჩინო შედეგებიც მოსდევდა: „რომელ ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, სასტიკებისაგან და სივერაგისა მანქანებითა მით საცთურებისადთა ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოძღურებისა თუით თავით თუისით შჯულის დებისადთა განდგომილთა ქრისტჱსგან, მრავალნი შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებასა ქრისტჱს სახარებისასა შეეცოდნეს“ (7); „ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს — რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუარებით და სხუანი“ კიდევ ნაკლულევანებითა და სიგლახაკით, რომელთა წყაროდ, ავტორს, ჩანს, უმთავრესად ხარკი მიაჩნია (7—8, იხ. აგრეთვე ციტატა ზემოთ); ყველა ამ მიზეზის გამო ქრისტიანი ქართველები „შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა, არამედ ქრისტჱს სიყუარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდ შობილსა ძესა ღუთისასა“ (8), ე. ი. ბევრი შეაცთინეს არაბებმა და ისლამში გადაიყვანეს, ზოგი კიდევ გაჭირვებით, მაგრამ ჯერჯერობით მაგრობს. იოანე მაინც თითქოს ისეთი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობს, რომ უმრავლესობა შერყეულია: „აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთროჲსა ამის

[1] მატ. ქართლ. მარ., 261.

მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღუთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტჱსგან და დამვიწყებელნი საუკუნოჲსა ცხორებისანი“ (38. შეად. 40).

მაგრამ თვით ნაწარმოების დაკვირვებითი შესწავლა ამჟღავნებს, რომ ავტორი მეტად აზვიადებს. აშკარა ხდება, რომ არაბები უმთავრესად (თუ არა მხოლოდ) იმ პირებს სდევნიდნენ, რომელნიც დაბადებით მუსლიმები იყვნენ, ან რომელთაც ისლამი მიღებული ჰქონდათ ერთხელ უკვე, და შემდეგში მას თავს ანებებდნენ. აფხაზეთის მთავარი გაქრისტიანებულ აბოს, რომელიც წარმოშობით და სარწმუნოებით არაბი და მაჰმადიანი იყო, აფრთხილებს ქართლში წასვლისაგან: „ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ, და არა გიტეონ შენ ქრისტეანებით მათ შორის; და მეშინის მე შენთჳს, ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტჱსისა ნებსით, გინა უნებლებით“-ო (20). და მართლაც, არაბები აბოს იმიტომ აპატიმრებენ რომ, მისი შემსმენელების სიტყვით, იგი „იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდილ და ცხორებულ შჯულითა მით, რომელი მომცა ჩუენ მაჰმედ, მოციქულმან ჩუენმან; და აწ დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი და იტყჳს თავსა თჳსსა ქრისტეანედ ყოფად“ (23).

რეალურად არსებული რეჟიმის დასახასიათებლად სწორედ აბოს თავგადასავალია საყურადღებო. ეს არაბი ბაღდადიდან ქართლში ჩამოიყვანა ნერსე ერისმთავარმა, თავის მსახურად. აქ იგი დაინტერესდა ქრისტიანობით. აბოს ჰქონდა სრული შესაძლებლობა სისტემატურად ევლო ეკლესიაში და ახალი სარწმუნოება გაეცნო სასურველი სიღრმით. აბომ ფარულად მიიღო ქრისტიანობა; იგი მხოლოდ უფრთხის ამის საჯაროდ განცხადებას და მონათელასაც, რადგანაც ეშინია „სოფლის მპყრობელთა ამათ, ზედამდგომელთა ჩუენთა, სარკინოზთაგან“ (16-17) და მხოლოდ მაშინ, როცა იგი, ქართლიდან გაქცეულ ერისმთავართან ერთად, ხაზარეთში გადავიდა და „იხილა... რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან მძლავრებისა სარკინოზთაჲსა“, მიიღო ნათლობა (17). ხაზარეთიდან აბო ერისმთავარს აფხაზეთში მიჰყვება და შემდეგში, რაკი პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა იმ მხრივ, რომ ნერსე ერისმთავარმა არაბებისაგან ქართლში დაბრუნების ნებართვა მოიპოვა, ქართლში წასასვლელად ემზადება. აი, აქ აფრთხილებენ მას: „ნუ განხვალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ

სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ, და არა გიტეონ შენ ქრისტეანებით მათ შორის“ (20), შენ დაბადებით მუსლიმი ხარ და ქრისტიანობის ნებას არ მოგცემენო. მიუხედავად ამ წინასწარი შიშისა, ქართლში დაბრუნებული აბო „შემოვიდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტეანედ“ (21), ე. ი. არ მალავდა თავის ახალ სარწმუნოებას. ურთიერთობა აბოსა და მის ყოფილ თანამორწმუნეებს შორის არ სცილდებოდა თავდაპირველად სიტყვიერ კამათსა და დავას: „მუნმყოფთა სარკინოზთა, რომელთა იცოდეს იგი, პირველად რომელნიმე ჰყვედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშუიდობისა სიტყუითა შეაჯერებდეს“ (21-22). „სდევნიდესო“, ავტორი რომ ამბობს, აშკარად შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ჩადის ამას, რათა თავისი გმირი ღრმად დარწმუნებულ და შეურყეველ მორწმუნედ დასახოს, თორემ რაშიღა უნდა გამოხატულიყო ეს დევნა, როცა იქვე ავტორი გვაუწყებს: „სამისა წლისა ჟამთა იქცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოჲს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტეანედ, არამედ ვერვინ მიყვნა ჭელნი მას ზედა ბოროტებით“ (22)—სამი წლის განმავლობაში სრულიად დაუსჯელად იმყოფებოდა აბო დედაქალაქსა და მახლობელ ადგილებში და ქრისტიანობასაც არ მალავდაო. ბოლოს აბო დააპატიმრეს, მართალია, და დააპატიმრეს „ქრისტჱს აღსარებისათუის“, მაგრამ უკვე „შემდგომად რავდენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ ერისთავმან ქართლისამან და გამოიყვანა საპყრობილით და განუტევა“ (23): მხოლოდ რამდენიმე დღე, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მოკლე ხანი, დაჰყო აბომ ციხეში—ქართლის ერისმთავარმა მოახერხა მისი განთავისუფლება, ალბათ, თავისი გავლენის წყალობით ამირას კარზე.

აბოს დამბეზღებელნი არ ცხრებიან, „განრისხებულნი და აღბორგებულნი, საესენი შურითა ქრისტეანეთაჲთა“, კვლავ უჩივიან მას. მაბეზღართა ახალი წარმატების პირობაა ის, რომ ძველი ამირა გაწვეულია ქართლიდან და ტფილისში ეხლა უკვე სხვა „მსაჯული ამირაა“ შემოსული. საყურადღებოა „შემასმენელთა“ საბუთიანობა. ისინი ამირას ეუბნებიან: „არს ქალაქსა ამას შინა ჭაბუკი ერთი, **რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდილ და ცხორებულ შჯულითა მით**, რომელი მომცა ჩუენ მაჰმედ, მოციქულმან ჩუენმან, და **აწ დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი** და იტყუის თავსა თუისსა ქრისტეანედ და **უშიშად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტეანედ ყოფად, აწ**

ბრძანე შეპყრობაჲ მისი და შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა, **ვიდრემდის არა აღიაროს შჯული** მაჰმედ მოციქულისა ჩუენისაჲ; უკუეთუ არა—მოკუედინ იგი, **რათა არა მბაძავ იქმნენ მისა მრავალნი სიტყუითა მისითა**" (23), ე. ი. აბოს ბრალად ის ედება, რომ მან თავი დაანება მშობლიურს, გაბატონებულ, სარწმუნოებას, რომ ის ამითაც არ დაკმაყოფილებულა და სხვა არაბების გადაბირებასაც ცდილობს და ყოველივე ამას სრულიად უშიშრად ჩადის, რომ აბოს ქადაგებას შესაძლებელია გარკვეული შედეგიც მოჰყვეს. აღწერილი მდგომარეობის მოთმენა, რათქმაუნდა, არაბებს არ შეეძლოთ.

აბო მეორეჯერ არის დაპატიმრებული. ამირაც მას ეუბნება: ეს რა მესმის შენ შესახებ, „ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევებიეს მამული შჯული"-ო (24), და წინადადებას აძლევს აბოს,—დაუბრუნდეს მამა-პაპურ სარწმუნოებას. რაკი აბო უარს ამბობს ამ მოთხოვნის შესრულებაზე, მას, მძიმედ შებორკილებულს, აპატიმრებენ.

ყურადღებას იპყრობს ციხის რეჟიმიც: მაგ., აბოს აქვს შესაძლებლობა საპატიმროდანვე **გაყიდოს ყველაფერი, რაცა აქვს** და ამით დაეხმაროს მასთან ერთად ციხეში მჯდომ ტუსაღებს, „მშიერთა და ნაკლულევანთა" (25); მეორედ აბო ყიდის თავის სამოსელს, ამით ყიდულობს სანთელსა და საკმეველს და გზავნის ქალაქის ეკლესიებში, რათა ილოცონ მისთვის (26). შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ეს ფაქტი შეთხზულია ავტორის მიერ, აბოს სათნოებისა და ღვთისმსახურების სათანადოდ წარმოჩენისათვის. მაგრამ რომ ციხის აღწერილი წესები სრულიად შეუფერებელი ყოფილიყო იმდროინდელი სინამდვილისათვის, როგორ უნდა გამოეყენებინა ავტორს ასეთი ელემენტი შეთხზულ სურათში, რომელსაც იგი თანამედროვე მკითხველებისათვის ხატავდა?

დაბოლოს, რაკი აბოს გატეხა შეუძლებელი ხდება, მას, ამირას განკარგულებით, თავს ჭკვეთენ. შემდეგ გვამს სწვავენ და ფერფლს მტკვარში ჰყრიან, გარკვეული წრეების მოთხოვნით, რომელთაც ეშინიათ, რომ ქრისტიანები, თავის ჩვეულების თანახმად, აბოს წმინდანად გამოაცხადებენ და მის ნეშტსაც სათანადოდ გამოიყენებენ, დამპრობელთა საწინააღმდეგო აგიტაციის მიზნით.

რომ არამცთუ დაწვა, არამედ სიკვდილით დასჯაც მაინც უკიდურესი ღონისძიება იყო, ეს ჩანს აბოსთან ერთად მჯდარი ერთერთი პატიმრის მაგალითზე. ეს პატიმარი დაბადებით ქრისტია-

ნი ყოფილა, შემდეგ ძაჰმადიანობაში გადასულა და ბოლოს, მესამედ სარწმუნოების გამოცვლით, კვლავ ქრისტიანობას დაბრუნებია. სწორედ ამისთვის დაუპატიმრებიათ იგი არაბებს. დაპატიმრებულმა, სიკვდილის შიშით, მეოთხეჯერ გამოიცვალა სარწმუნოება, ისევ ისლამი მიიღო და მით სასჯელიც თავიდან აიცილა (37)[1].

რეჟიმის საერთო ხასიათისათვის ნიშანდობლივია ისიც, რომ „სიმრავლე ქალაქისა ქრისტეანეთაგან“ „განაგდებს“ „მძლავრთა შიშს“ და საჯარო მოლოცვა-თაყვანისცემას აწყობს აბოს უკანასკნელი განსასვენებლის ადგილას (32-33). დამახასიათებელია, რა-თქმაუნდა, ისიც, რომ ქალაქის ცენტრში, მტკვრის ხიდზე, რომელიც უდრის თანამედროვე მეტეხის ხიდს, „აღმართებულ იყო ჯუარი ხიდისაჲ“ (32; პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, II, 364).

ამრიგად, საბანისძის თხზულების მიხედვით შეუძლებელია იმის თქმა, თითქოს არაბები აქტიური რელიგიური დევნის პოლიტიკას აწარმოებდნენ ქართლში, კერძოდ ქრისტიანობის მიმართ. მათი აქტიურობა ამ სფეროში სხვა ხასიათისა იყო. მართალია, ავტორს მოცემულ ისტორიული ფაქტის სათანადოდ გაშუქებისათვის უმთავრესად სწორედ საეკლესიო სარწმუნოებრივი მოტივები და აქსესუარი აქვს გამოყენებული. სხვანაირი აზროვნება VIII ს. მწერლისათვის შეუძლებელიც იყო—იდეოლოგიის აუცილებელი გარსი იმ დროს რელიგიაა და საბანისძისთვისაც „სარკინოზთა ერი“ და „ქართველთა ერი“, უწინარეს ყოვლისა, გარკვეული საეკლესიო-კონფესიონალური კოლექტივებია (დამახასიათებელია ამ მხრივ, რომ მერმინდელი საგალობლების ავტორი აბოს „ისმაიტელ ყოფილ ქართველს“ ეძახის, 42). მაგრამ ამ კოლექტივების ურთიერთობა, უფრო სწორედ, მათი სათანადო საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობა ყველაზე მწვავე პოლიტიკურსა და ეკონომიურ სფერო-

---

[1] ლევონდი მოგვითხრობს არწრუნიანთ გვარის ორი წევრის წამების შესახებ სომხეთში, რაც მომხდარა ხალიფა მუსას მეფობაში, როცა სომხეთის მმართველად იყო ვინმე ხაზმი, „უფლის განცხადების“ (=ეპიფანია, ნათლისღება) დღეებში, სომეხთა წელთაღრიცხვით 223 წელს. „ხოლო მუსეს ეპყრა ხელისუფლება ერთ წელიწადს და აღესრულა, ამისავე დღეებში (*ի սորա աւուրս*) მოიკლა (მოჰკლა) ქართველთა ერისთავიც მწარე სიკვდილით ვინაიდან ხელითა და ფეხით ასწიეს ზევით და შუაში გასჭრეს მისი სხეულის სიყმაწვილე. და ამრიგად,—როგორც სამსხვერპლოდ განკუთვნილი კრავი განეშორა ამ ცხოვრებას“, გვ. 165-166. საფიქრებელია რომ აქ აბო იგულისხმება: „ერისთავი“ შეცდომაა, იქნებ გა-

შია. ბრძოლაც აქ მიმდინარეობდა და თავისი მსვლელობის პროცესში იმოსებოდა საეკლესიო კონფესიონალური იერით.

არაბ-ქართველთა; ისე როგორც არაბებისა და სხვა, მათ მიერ დაპყრობილი, ქვეყნების ურთიერთობა ხარკისა და ბეგრის ღერძზე ტრიალებდა. ამიტომ ძირითადი ფაქტი ის იყო რომ „მორწმუნენი“ (დაპყრობილი ქრისტიანები) მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძუირ-ძუირად ზღუეულნი“ (8) გმინავდენ ამ აუტანელი უღლის ქვეშ და მის თავიდან მოშორებას ცდილობდნენ.

დამახასიათებელია ამ მხრივ ჩვენი მეზობელი სომხეთის მდგომარეობა, იმავე ხანაში, აღწერილი საბანისძის თანამედროვე სომეხი მემატიანის, ლევონდის მიერ.

უკვე პირველი აბასიდი ხალიფას დროს (749-754), ხალიფას წარმომადგენელი აწამებს სომხებს აუტანელი შევიწროებით და გალატაკების პირამდის მიიყვანს მათ თავისი ხარკით. ხარკს მკვდრებზედაც-კი ახდევინებდა: სტანჯავდა ქვრივ-ობლებს, სცემდა და ჰგვემდა სამღვდელო პირებს, სთხოვდა რა მათ მიცვალებულთა და მათი ოჯახის წევრების (სახლეულების) სახელების გამოჩენას; მძიმე და მწარე მოხარკეობით აწამებდა ქვეყნის მკვიდრთო [აქ ალბათ მდაბიურნი იგულისხმებიან. ს. ჯ.], იღებდა რა კაცის თავზე მრავალ ზუზე [ფულის სახელია] ვერცხლს; მან ყველას ტყვიის ბეჭედი შეაბა ქედზე; ნახარარებს [მთავრებს], ნებით თუ უნებლიეთ, ძღვნად მოჰყავდათ და მოჰქონდათ მტარვალთან ცხენები, ჯორები, პატიოსანი სამოსელი, ოქრო და ვერცხლი, რომ როგორმე ამოეევსოთ ამ უძღები ვეშაპის პირიო. ასეთსავე ამბებს ჩადიოდა იგივე პირი სხვა მრავალ პროვინციაშიაც—იგი მოსახლეობას ყველგან უკანას-

---

დამწერისაც, „ერისთავის მსახურის“ მაგიერ. ავტორის მიერ მოცემული თარიღი, სომეხთა წელთაღრიცხვით, გვაძლევს 785 წ. იანვრის I დეკადას (ნათლისღების დღეებს). მაგრამ რადგანაც ხალიფა მუსა მეფობს 785 წ. 8 აგვისტოდან 786 წ. 15 სექტემბრამდის (მარკვარტი, 420), ამიტომ ცხადია, რომ ავტორს ერთი წლის შეცდომა მოსვლია და აქ ნამდვილად იგულისხმება 786 წლის იანვარი. ეს ქრონოლოგია სავსებით მართლდება საბანისძის ცნობებით, რომელთა მიხედვითაც აბო ეწამა მოსეს ხალიფობაში, „თთუესა იანვარსა ექუსსა, დღესა პარასკევსა, განცხადებასა“, ე. ი. ნათლისღებას (გვ. 22) ხაზმი უნდა იყოს არმენიის მმართველი ხუზაიმა იბნ-ხაზიმი, რომელსაც იხსენიებს იაკუბი, თუმცა იაკუბის ცნობით ხუზაიმა დანიშნული იყო ჰარუნის მიერ, გვ. 9.

კნელ სარჩოსაც ართმევდაო [1]. ამავე მეფობაში სომეხ ნახარარებს შეუწყვიტეს სარგოს მიცემა ხალიფას საჭურჭლიდან, მხედრობისათვის, და მათ თვითონ უხდებოდათ ამ ხარჯების გასტუმრებაო [2].

მეორე აბასიდის დროს, ე. ი. სწორედ იმ ხალიფა აბდილას (მანსურის) ზეობაში (754-775), რომელსაც დაპატიმრებული ჰყავდა ქართლის ერისმთავარი ნერსე, არაბთა უსამართლობა და ძალმომრეობა სომხეთში არ შეწყვეტილა. კარინის (არზრუმის) ოლქის დაპყრობის შემდეგ, მაგ., ამ ქვეყანას დაადეს სულადი გადასახადი, ჯიზიათი („მარდაჰარკ"), მორეკეს აუარება ხალხი და ციხის კედლები ააშენებინეს, ხოლო სომხებს დააკისრეს ქალაქში ჩასახლებული არაბებისა და მათი სახლეულების კვება [3]. ეს იწვევდა სასოწარკვეთილი მოსახლეობის საპასუხო ღონისძიებებს. ჯერ აჯანყდა ვასპურაკანი, არწრუნიანთა მეთაურობით [4]. შემდეგ მათ სხვა ნახარართა საგვარეულოებიც მიჰყვნენ. ყოველთვის ამბოხების მიზეზი უტანელი ხარკი იყო. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწორედ ამ აბდილა (მანსურ) ხალიფას მეფობაში, როცა სომხეთის მმართველი იყო იაზიდი, ხარკის უღელი მეტისმეტად დაუმძიმეს სომხეთს. ვერცხლი გაქრა ქვეყნიდან. ყველა უკანასკნელ სარჩოსაბადებელს იძლეოდა და თავისი სულის სახსნელადაც საფასეს ვეღარ შოულობდა. ამიტომ მრავალი გარბოდა და თავს აფარებდა ხევ-ხუვებსა და გამოქვაბულებში. სხვები კიდევ თავს იხრჩობდნენ თოვლსა და წყალში, რადგანაც ვერ შოულობდნენ, რასაც სთხოვდნენ; ხოლო მოითხოვდნენ კაცის თავზე ხარკს ვერცხლად. ყოველი მონაგებისაგან გაძარცული, შებოჭილი იყო სომხეთი სიღატაკითა და სიგლახაკით, მათ შორის ნახარარებიცა და დიდებულებიც. ზოგჯერ ხალიფა იძულებული ხდებოდა გამოეცვალა მმართველები, მაგრამ ახლები ძველებს არ სჯობდნენ. ყველას სტანჯავდნენ—სამღვდელო პირებს, მთავრებს, უბრალო ხალხს. ცემა, სცვადასხვა სახის საშინელი სასჯელი, შეურაცხყოფა—ყველაფერი მიმართული იყო ხარკის ასაკრეფად [5]. ამან გამოიწვია ახალი დიდი აჯანყება: სომეხმა ნახარარებმა მათს თავზე მოწეულს ამ საშინელ უბედურებას სახელოვანი სიკვდილი არჩიეს და არტავაზდ მამიკონიანის

[1] ლევონდი, 127-128.
[2] იქვე, 128-129.
[3] იქვე, 129-130.
იქვე, 130-131.
[5] იქვე, 135-137.

მეთაურობით ეცნენ გათავხედებულ მტერს[1]. ამ აჯანყების დამარცხებამ ვერ ჩააცხრო სომხების შღელვარება. არაბები ეხლა მეტი გამძვინვარებით თხოულობდნენ ხარკს სომხეთის ყველა ოლქში. ქვეყნის მწუხარება კიდევ უფრო გაიზარდა. განსაკუთრებით ამძიმებდა მდგომარეობას ის გარემოება, რომ სომხეთში სრულებით აღარ იშოვებოდა ვერცხლი. მოსახლეობის აოშფოთების ახალი აფეთქების დროს მუშელ მამიკონიანმა და სხვა ნახარარებმა უარი განაცხადეს მორჩილებაზე და არაბთა ერთი გუნდიც გაჟლიტეს[2]. ლევონდი მსგავსს ბევრს სხვა რამესაც მოგვითხრობს. საყურადღებოა, რომ ჰარუნ-ალ-რაშიდის ზეობისათვის (786-809), ამ შემთხვევაში, VII ს. მიწურულებისათვის, ლევონდი მოგვითხრობს ახალ შევიწროებათა შესახებ სომხეთში, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ხარკი გააორკეცეს, კისერზე ყველას კვლავ ტყვიის ბეჭედი დაადეს და თვითეულ ბეჭედში მრავალ თეთრსა სთხოვდნენ; ხალხი სრულიად გაღატაკდა, თავისი ქონების პატრონი აღარავინ იყო; ბევრი ნებაყოფლობით სტოვებდა თავის ჯოგებს და გარბოდა, და ყველაფერი მტერს უვარდებოდა ხელშიო[3].

ლევონდის მიერ დახატულ ვითარებას საესებით ადასტურებს არაბი ისტორიკოსი იაკუბი, რომელიც გვიამბობს, რომ ხალიფა ალ-მაჰდის სიკვდილის შემდეგ (785), მთელი არმენია მოცული იყო აჯანყებით, რომელიც ხალიფა მუსას მთელს მეფობაში (785-786) გრძელდებოდა. ხალიფა ჰარუნის მიერ დანიშნულმა მმართველმა ხუზაიმა იბნ-ხაზიმმა (ალბათ უდრის ლევონდის მიერ დასახელებულ ხაზმს), რომელიც აქ წელიწადი და ორი თვე მართავდა, აჯანყება ჩააქრო. ქვეყანა დამშვიდდა და მოსახლეობამ მორჩილება აღიარა. მომდევნო მმართველი, იაზიდი, ისე მტკიცედ მართავდა ქვეყანას, რომ განძრევაც კი არავის შეეძლო. შემდეგ, იმავე ჰარუნის მეფობისათვის, მოთხრობილია ქ. ბარდავის მცხოვრებთა აჯანყება (ალვანეთში), სომხეთის ხელახალი ამბოხება, ქ. ბაილაკანის მცხოვრებთა აჯანყება (ალვანეთში). მდგომარეობა სომხეთში სულ უფრო და უფრო ფუჭდებოდა, და ჰარუნმა კვლავ დამსჯელი ჯარები გაგზავნა სომხეთსა და ადარბადაგანში (უკანასკნელში ერთერთი არაბი სარდალი იყო გამდგარი). შემდეგ ისევ აღნიშნულია სომხეთის ახალი აჯანყება. აჯანყების შემდეგ ჰარუნის მიერ დანიშნული

[1] ლევონდი, 137-138.
[2] იქვე, 139.
[3] იქვე, 167-186.

მმართველი ისე სასტიკად გაუსწორდა მცხოვრებთ, რომ ქვეყანა დამშვიდდა. ამ ქვეყნების მმართველები, საერთოდ, ჩანს, წამისწამ იცვლებოდნენ, სწორედ პოლიტიკური მდგომარეობის მერყეობის წყალობით. ზოგიერთი უკანასკნელი მმართველის შესახებ, ჰარუნის მეფობაში, ავტორი კვლავ გვიამბობს: საიდი ცუდად ექცეოდა აკაურ პატრიკებს, ე. ი. ფეოდალებს, რითაც გამოიწვია უკმაყოფილება ბაბ-ულ-აბვაბის (ქ. დარუბანდის) მცხოვრებლებისა, რომელნიც თავს დაესხნენ მის წარმომადგენლებს, ხოლო მმართველი ალი ისე ცუდად იქცეოდა, რომ მის წინააღმდეგ აჯანყდნენ შარვანის მცხოვრებნი და ქვეყანა მღელვარებამ მოიცვა. ზოგი მმართველი, ტაქტიკური მოქმედებით (მეფეებისა და პატრიკების შვილებთან კეთილგანწყობილებით) სულ მოკლე ხნით ზავის ჩამოგდებას ახერხებდა, შემდეგ კი ისევ ირეოდა ქვეყანა. მაგრამ ყველას წააცილა ხუზაიმა იბნ-ხაზიმმა, მეორედ დანიშნულმა, ჩახს მმართველად—შეიპყრო პატრიკები და მეფისშვილები, თავები დასჭრა მათ და, საერთოდ, ისე ცუდად ექცეოდა, რომ უარესი აღარ შეიძლებოდაო.

ვზადაგზა იაკუბი მოგვითხრობს დიდი შინაური შფოთის შესახებ, ამიერ-კავკასიაში მყოფსა და მომქმედ არაბთა შორის, ადგილობრივი არაბი ამირების განდგომას, მათ კავშირს უცხო ძალებთან (მაგ. ხაზარებთან და სხვ.) და ბრძოლას ხალიფას წინააღმდეგ (9–12).

თუ ასეთი მდგომარეობა იყო სომხეთსა და ალვანეთში, ცხადია, დაახლოებით იგივე ვითარება უნდა ვიგულისხმოთ ქართლშიაც.

ამიტომ ცხადია, რომ იოანე საბანისძის მიერ აღწერილი ის სიმწვავე ურთიერთობისა, რომელიც ქრისტიანულ-საეკლესიო ლიტერატურული და იდეოლოგიური სამოსელითა აქვს ავტორს წარმოდგენილი, სწორედ ამ ეკონომიურსა და პოლიტიკურ საშოში იბადებოდა. საბანისძეც თვალსაჩინოდ აგვიწერს, კერძოდ, ქართლის ერისმთავრებისა (სათანადოდ, ქართლის გაბატონებული წრისა) და არაბთა ურთიერთობას.

იოანეს ცნობებით, ქართლს აბასიდების გულისწყრომა ამ დინასტიის უკვე მეორე წარმომადგენლის მეფობაში სწვევია. ხალიფა მანსურს 772—3 წ. ბაღდადში, რომელიც იმ დროიდან ხალიფატის სატახტო ქალაქია, დაუბარებია ქართლის ერისმთავარი, ნერსე, და დაუპატიმრებია. ამ ცნობის ავტორი ამტკიცებს, რომ დაპატიმრების მიზეზი „ბოროტ კაცთა შესმენა“, ე. ი. დაბეზღება იყო, მაგ-

რამ თვით დაბეზღებასაც გარკვეული პირობები სჭიროდა და ეს ფაქტი აშკარად მიგვითითებს ურთიერთობის გაფუჭებაზე ცენტრალურ მთავრობასა და ქართლის მმართველ წრეებს შორის. ამასვე ადასტურებენ შემდეგი ფაქტებიც. ნერსე სამი წელი მჯდარა ბაღდადის საპყრობილეში, სანამ იგი ახალ ხალიფას, მაჰდის არ გაუთავისუფლებია და ისევ ქართლის ერისმთავრად არ დაუნიშნავს. მაგრამ ნერსეს, ჩანს, აკლდა შეგუების უნარი. არაბები კვლავ უწყრებიან მას: „კუალად იყო განრისხებაჲ ჴელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა“. ისე „სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი“, რომ იგი იძულებული შეიქნა მთელი თავისი ოჯახით და დიდი ამალით ქართლიდან გახიზნულიყო. დარიალის გზით ნერსე გადავიდა ხაზარეთში, სადაც ხაზართა მეფემ იგი, როგორც არაბებთან ნაჩხუბარი და მათი მტერი, კარგად მიიღო, ხოლო ხაზარეთიდან ლტოლვილი ერისმთავარი აფხაზეთში ჩავიდა, სადაც აგრეთვე გულღია მასპინძლები ჰპოვა (გვ. 15—19).

საყურადღებოა, რომ მიუხედავად ურთიერთობის ასეთი გამწვავებისა, არაბებს მაინც საჭიროდ მიაჩნდათ ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების არსებობა. გაქცეული ნერსეს მაგიერ, ქართლის ერისმთავრად, VIII ს. ოთხმოციან წლებში, ვინმე სტეფანოზი დაუნიშნავთ. საყურადღებოა ისიც, რომ ეს სტეფანოზი იმავე ნერსეს დისწული ყოფილა, ე. ი., არაბების არჩევანი ქართლის წარჩინებულთა შედარებით ვიწრო წრეში ტრიალებდა. შემდეგში ნერსეც არაბებს ურიგდება და ქართლში ბრუნდება, როგორც კერძო პირი (20).

იაკუბი, როგორც ჩანს, აბასიდების ბრძოლას საქართველოს ადგილობრივ მმართველ წრეებთან ცოტა უფრო ადრე იწყებს. დაახლოებით სამოციან წლებს უნდა ეკუთვნოდეს მის მიერ მოთხრობილი ამბავი, რომ არმენიაში (აქ ეს ტერმინი ამიერ-კავკასიის მნიშვნელობითაა ნახმარი) მღელვარებამ მოიცვა სანარიელები, ე. ი., წანარები. პოლიტიკური აზრით, „წანარები“ კახეთის სამთავროს გულისხმობს და ამიტომ აქ აღმ. საქართველოს ამ ნაწილის შესახებაა საუბარი. წანარებს ებრძოდა აბუ-ჯაფარის (ხალიფა, ალ-მანსური, 754—775) მიერ დანიშნული მმართველი ალ-ჰასანი, რომელმაც ვერაფერი გააწყო. ამის შესახებ, ისე როგორც წანარების მრავალრიცხოვნობის შესახებაც, ჰასანმა შეატყობინა აბუ-ჯაფარს, რომელმაც ჰასანის საშველად გაგზავნა ამირ იბნ-ისმაილ ალ-ხარისი, 20000 მეომრით. ამირი შეხვდა წანარებს და სასტიკი ბრძოლა აუტეხა მათ. ომი რამდენიმე დღე გაგრძელდა და მუსლიმის გა-

მარჯვებით დამთავრდა, ბოლოსდაბოლოს, ამირმა ერთ დღეს 16000 კაცი გაეცლიტა, წანართა ლაშქრიდან. შემდეგ იგი ტფილისისაკენ გაემართა, გზაში ამოხოცა ყველა ტყვე, ვინც თან ჰყავდა და ყოველი მხრით მდევარი გამოუყენა წანარებსო[1]. ჰარუნ ალ-რაშიდის მეფობისათვის, ე. ი. VIII ს. დამლევისა და IX ს. დამდეგისათვის იგივე იაკუბი გვიამბობს: არ-რაშიდმა მმართველად დანიშნა ხუზაიმა იბნ-ხაზიმი, რომელმაც შეიპყრა პატრიკები [თითქოს ნერსე ერისმთავრის ისტორიის გამოძახილია ეს ამბავი! ს. ჯ.], და მეფისშვილები [სეფეწულები ხომ არ იგულისხმებიან აქ? ს. ჯ.], დასჭრა მათ თავები და, საერთოდ, ისე ცუდად ეპყრობოდა მათ, რომ უარესი აღარ შეიძლება. ამან გამოიწვია აღშფოთება ჯურზანსა [ტექსტში შეცდომით ჯურჯანია. ს. ჯ.] და სანარიაში (წანარეთში) [ე. ი. ქართლსა და კახეთში. ს. ჯ.]. მმართველმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ ლაშქარი, მაგრამ მათ გასწყვიტეს იგი. მაშინ მმართველმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ საიდ იბნ-ალ-ხაისამი იბნ-შუაბი დიდი ჯარით. იგი მანამ ეომებოდა ჯურზანისა და სანარიის [ქართლ-კახეთის] მცხოვრებთ, სანამ არ გადარეკა ისინი ქვეყნის ფარგლებიდან. ამის შემდეგ, ხუზაიმა წავიდა ტფილისში, სადაც ერთ წელზე ნაკლები დაჰყო, რადგანაც გადაყენებულ იქნა. მის მაგიერ დაინიშნა სულაიმან იბნ-იაზიდი, პატიოსანი, მაგრამ უზრუნველი მოხუცი, რომლის არც ერთი განკარგულება არ სრულდებოდა, ისე რომ ქვეყანა კინაღამ გადაუდგა მასო[2].

ცნობილია, რომ აბასიდების პოლიტიკური დაცემის ნიშნები პირველად მართლაც ჰარუნ ალ-რაშიდის გარეგნულად ბრწყინვალე მეფობაში გამოიხატა. ამიერ-კავკასიასა და საქართველოშიაც, როგორც ვნახეთ, სწორედ ამ დროს ხდება არაბების თვალსაჩინო დასუსტება.

ბუნებრივია ამიტომ, რომ ასეთ პირობებში ტფილისის ამირას მდგომარეობამაც სათანადო ცვლილებები განიცადა: ტფილისის ამირა თანდათანობით ადგილობრივ წვრილ ფეოდალურ მფლობელად იქცევა და სათანადოდ ვიწროვდება მისი გავლენის არეც. IX ს. დამდეგიდან ტფილისის ამირას, ჩვეულებრივად, მხოლოდ ქვემო ქართლი ემორჩილება. მხოლოდ ძალიან იშვიათად, ისიც, ჩვეულებრივად, ძალიან მოკლე ხნით, ახერხებენ არაბები თავიანთი გავლენის გავრცელებას მეზობელ თემებ-

[1] იაკუბი, 9.
[2] იაკუბი, 12.

ზე. ეს მაშინ ხდება ხოლმე, როდესაც ხალიფა ქართლში დამატებითს სამხედრო ძალას გზავნის. წყაროები ასეთ შემთხვევაში ზელახალი დაპყრობის შესახებ ლაპარაკობენ, მაგრამ, არსებითად, ალბათ საქმე გვაქვს მოთარეშებასა და წამიერს, სწრაფად წარმავალ, მორჩილების გამოცხადებასთან. გარდა ამისა, ხალიფას ახალი ექსპედიციების წარმატება ხომ ხალიფასა და ტფილისის ამირების ურთიერთობითაც იყო მნიშვნელოვნად განსაზღვრული.

IX ს. დამდეგიდან წესად ვხედავთ, რომ ტფილისის ამირა დასახელებულ ვიწრო ფარგლებშია მოკუმშული და თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით ადგილობრივი მთავრების დონეზე დადის. სულ უფროდაუფრო ცხადი ხდება ტფილისის ამირების პარტიკულარიზმიც.

უკვე IX ს. ოციან წლებში გამდგარა მუჰამად იბნ-ატაბი, რომელსაც ხელში ჩაუგდია ჯურზანი (ქართლი) და რომელსაც მოკავშირედ ჰყოლია წანარნი (კახელები). იბნ-ატაბი გააქცევს მის წინააღმდეგ გამოგზავნილს ერთს სარდალს და მხოლოდ შემდეგ ემორჩილება ახალი საეგზეკუციო რაზმის უფროსს, ხალიდ იბნ-იაზიდს, რომელსაც კარგად იცნობენ ქართული წყაროებიც[1]. ხალიდმა მოარბია სამხრეთი საქართველოც და ურჩ წანარებსაც, ე. ი. კახეთს, თავს დაესხა. ხალიდი „მედგრად ებრძოდა მათ [წანარებს] ჯურზანში [საქართველოში], გააქცია ისინი, ხელთ ჩაიგდო მათი ჯოგები და, ბოლოს, შემოირიგა იმ პირობით, რომ ისინი [წანარები] მოსცემდნენ სამიათას ფაშატ ცხენსა და ოციათას ცხვარს. მაგრამ არ გასულა დიდი დრო, რომ ისინი კვლავ აჯანყდნენ[2]. ალბათ ამ ამბავს გულისხმობს ქართული მატიანე, როცა გვიამბობს: „მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოზად დაჩი, ძე იოვანე ქუაბულისძისა. და შემდგომად მისსა დასუეს ქორეპისკოპოზად სამოელ დონაური. კუალად, მეორედ, მოვიდა იგივე ხალილა არაბი. შეებნეს გარდაბანელნი გავაზს და გააქციეს ხალილ და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი“[3].

პირველი შემოსვლის დროს, ხალიდს ტფილისის ამირად დაუ-

---

[1] ქცხ. მარ., 219—220; იაკუბი, 15—16. იაკუბის ცნობების ანალიზით, ეს უნდა მომხდარიყო ალ-მამუნის ხალიფობაში, 813—833 წწ. მაგრამ თითქოს არა უადრეს 829 წლისა. შეადრ. მარკვარტი, 408—410.

[2] იაკუბი, იქვე.

[3] ქცხ. მარ., 20 და ვარიანტული საკითხავები.

ნიშნავს ალი (თუ იაჰია) შუაბისძე[1]. ხოლო მალე ტფილისის ამირად დამჯდარა ახალი კაცი—„კუალად დაჯდა ამირად ტფილისსა საჰაკ ისმაელისძე"[2], რომელიც იმთავითვე, ჩანს, ურჩობის გუნებაზე მდგარა. ოცდაათიანი წლების დამდეგს იგი უკვე აღარ ემორჩილება ხალიფას და ითვისებს აქაურ ხარკს. მის წინააღმდეგ გამოგზავნილი, ქართლში მესამეჯერ მოსული, ხალიდი, მოკლულ იქნა თუ მოკვდა[3]. ხალიდის მაგიერ ხალიფამ გამოგზავნა მისი შვილი მოჰმედი. „მატიანე ქართლისაი" ასე მოგვითხრობს ამ ამბებს: „ხალიდ მოვიდა მესამედ და მოკლეს ჯავახეთს და ძე მისი მოჰმედ მოვიდა ქართლს. მოერთო ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა, და მისცა მას ქართლი. გამოვიდა საჰაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეკს [თანამედროვე გორთან, ს. ჯ.], ხოლო მოჰმედ და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე. და მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად საჰაკისსა, შეიბნეს რეკს და იბრძოლეს. და იყო ბრძოლა ძლიერი მათ შორის, არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს. და აიყარა მოჰმად და წარვიდა ბარდავად"[4]. სხვანაირი შედეგი მოჰყოლია ამ ბრძოლას იაკუბის ცნობით: იგი ამტკიცებს—მოჰამადი იმდენხანს ებრძოდა სანარიელებსა [უდრის ქართ. მატიანის „კახ-გარდაბანელთ", ს. ჯ.] და ისჰაკს, სანამ არ გააგდო იგი იმ ქვეყნიდან და ისინიც [სანარიელები] არ გააქციაო[5]. მაგრამ ქართული ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს—საჰაკი ამის შემდეგაც ტფილისის ამირაა და ისევ ისე ეურჩება ხალიფას. უკანასკნელი, დასასრულ, დიდ სამხედრო ექსპედიციას აწყობს საჰაკის წინააღმდეგ, ბუღა თურქით სათავეში. მატიანით, ბუღამ ჯერ „შემუსრა ყოველი სომხითი და ტჟუე ყუნა იგი ყოველნი მთავარნი მათნი და მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისისასა, რამეთუ არა მორჩილობდა ამირა საჰაკ. მოკლა საჰაკ, შემუსრა ქალაქი ტფილისისა, დაწვა ცეცხლითა და მოაოხრნა არენი მისნი". ტფილისის აღებას (853 წ. 5 აგვისტოს) თან ისეთი სისასტიკე სდევდა თურმე რომ, არაბული ცნობებით, ამ ამბების დროს, 50000 კაცი დაღუპულა.

---

[1] ქცხ. მარ. და ვარიანტული საკითხავები.

[2] იქვე.

[3] ქართულ მატიანესთან ერთად ახოლიკიც ამტკიცებს, გვ. 106, რომ ხალიდი მოკლულ იქნა ჯავახეთში, სოფ. ხოზაბირში (ხიზაბავრა? ს. ჯ.), სომხ. წელთაღრიცხვით 290 წ., ე. ი. 841—2 წ. შეადრ. მარკვარტი, 410-411.

[4] ქცხ. მარ. 220—221 და ვარიანტ. საკითხავები. წანარებთან ბრძოლა. არაბებისა კიდევ რამდენიმეჯერ აქვს მოხსენებული იაკუბის, იხ., მაგ., გვ. 18.

[5] იაკუბი, 19.

შემდეგ ბუღას ჯარები საჰაკის მოკავშირეებს, ადგილობრივ მეფემთავრებსაც ამარცხებენ[1].

ტფილისის ამირები ამის შემდეგაც რჩებიან ისევ წვრილ მფლობელებად, რომელნიც მხოლოდ ნომინალურად აღიარებენ ხალიფას უზენაეს ხელმწიფებას (ფულს, მაგ., ისინი ამ ხნის განმავლობაში ისევ ხალიფას სახელით სჭრიან). მეათე საუკუნის ორმოციანი წლებიდან კი ისინი უკვე ფორმალურადაც საჯაროდ აცხადებენ თავიანთ დამოუკიდებლობას.

საქართველო-არაბების ურთიერთობაში ფაქტიური გარდატეხა მაინც მეცხრე საუკუნის შუაწლებში ხდება. თვით არაბთა წარმოდგენითაც, მეცხრე საუკუნის შუაწლებიდან მოყოლებული, ქართველები განთავისუფლდენ არაბთა პოლიტიკური მორჩილებისაგან. ასე, მაგ., მასუდი ამბობს: „აფხაზები და ქართველები ხარაჯას აძლევდნენ სანაპირო ციხე ტფილისის უფროსებს, ტფილისის დაპყრობისა და მისი დასახლების დროიდან მოყოლებული, ხალიფა მუტავაქილამდე-“ო.[2] მუტავაქილი მეფობდა 846—861 წლებში, მის დროს მოხდა ბუღას ლაშქრობა ტფილისზე და მის სიკვდილთან ერთად აიშალა სწორედ საბოლოოდ ხალიფატი. ახალი ვითარება, ბუნებრივად, საქართველოსაც უნდა შეხებოდა.

§ 8. არაბთა იდეოლოგიური პოლიტიკა ქართლში. არაბების თავდაპირველი შედარებითი ინდიფერენტობა და ტოლერანტობა სარწმუნოებრივ-კონფესიონალური საკითხების სფეროში, VIII ს. სმეორე ნახევრიდან უკვე ერთგვარი აქტიურობით იცვლება ქართლში. ამ დროიდან გვესმის ხმები ცალკე პირთა სიკვდილით დასჯის შესახებ, რელიგიური აღსარების ნიადაგზე (აბო ტფილელი, კონსტანტინე-კახა, გობრონი, არჩილი—უფრო ადრინდელი ხანისათვის). ჩვეულებრივად და უპირატესად სდევნიან არაბები ისლამის რენეგატებს (აბო), სხვა შემთხვევებში სარწმუნოებრივთან ერთად აშკარად თავს იჩენს პოლიტიკური მომენტი და, უეჭველია, უკანასკნელი მეტობს პირველსაც (კახა, გობრონი, არჩილი). მაგრამ მაინც რეჟიმის გამოცვლა, ამ მნიშვნელობით, უცილობელია.

თავის ადგილას (§ 7) განმარტებული იყო, რომ, გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პირობების წყალობით, ისლამის ქადაგებას ქართლში არ შეეძლო არავითარი შესამჩნევი შედეგების მოტანა.

---

[1] ქცხ. მარ., 220—221; იაკუბი, 20—21. იაკუბი ამტკიცებს, თითქოს ბუღა დამარცხდა წანარებთან ბრძოლაში: ბალაძორი, 28; ჯავახიშვილი, II, 373—377.

[2] Marquart, 175. მასუდის ცნობას ჩვენთვის ზოგადი ნიშვნელობა აქვს, რადგანაც აფხაზთა დასახელება არაბთა მოხარკეების რიცხვში აშკარად მოწმობს, რომ ავტორის წყაროები არ იყო მთლად ზუსტი. „ხარაჯის“ (die Grundsteuer) მოხსენება მაინც ინტერესს მოკლებული არ არის. იხ. ზემოთ, გვ. 365.

უფრო საყურადღებოა საკითხი ქართლის ქრისტიანული ეკლესიის მმართველ წრეებთან არაბთა ურთიერთობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს პირობები უკვე სულ სხვაგვარია და რომ ქართლის ეკლესია ეხლა ბევრად უფრო მძლავრი ორგანიზაციაა, ვიდრე VI ს-ში და კონფესიონალურადაც იგი თითქოს უფრო გარკვეულ სახეს ატარებს, მაინც, გვგონია, არაბებსაც, განსაზღვრული დროიდან ალბათ, მერვე საუკუნის შუა წლებიდან, უნდა ეცადნათ ამ მხრივ ირანელების მიერ გათელილი გზით ევლოთ. რომ სომხეთში ანტიქალკედონიტურმა (და მაშასადამე, პოლიტიკურად, ანტიბიზანტიურმა) ელემენტებმა მოახერხეს არაბული მმართველობის გამოყენება რევანშის მიზნისათვის, ეჭვს გარეშეა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ეს ელემენტები ცდილობენ, იმავე არაბთა დახმარებით, სომხური ანტიქალკედონიტური ეკლესიის ინტერესების დაკმაყოფილებას და მისი პრიორიტეტის გავრცელებას საკუთრივ სომხეთის მიწა-წყლის გარეშეც. ძველი ალვანეთის ანალისტი, მოსე კალანკატუელი, მოგვითხრობს, რომ სომეხთა კათალიკოსმა ილიამ ხალიფა აბდ ალმალიქს (685—705 წწ.) მისწერა, ალბათ, VIII ს. დამდეგს, ეპისტოლე შემდეგი შინაარსისა: „ჩვენს დამორჩილებულ ქვეყანას ყოვლისმპყრობელი ღვთისაგან წილად ხვდა თქვენი სამსახური და, ალვანელებთან ერთად, ქრისტეს ღვთაებრიობის ერთი სარწმუნოების აღსარება. ალვანელების ეხლანდელი კათალიკოსი კი, რომელიც ბარდავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა კეისარს, იხსენიებს მას ლოცვებში და აიძულებს ქვეყანას შეუერთდნენ მას სარწმუნოებრივად. დაე, ყოველივე ეს ცნობილი იყოს თქვენთვის, და ნუ უგულებელსყოფ ამას, რადგანაც მას ჰყავს თანამოაზრე, ერთი წარჩინებული დედაკაცი (იგულისხმება გარდაბანის მთავარი). ბრძანეთ თქვენი დიდი უფლებით მათი დასჯა, მათი შეცოდებისათვის ღვთის წინააღმდეგ.“ [1] მაშასადამე, სომეხთა კათალიკოსი ამტკიცებდა, რომ არაბთა ბატონობა ისევე ღვთისაგან არის ნაწყალობევი სომხეთისათვის, როგორც მონოფიზიტური აღსარება, და ალვანელებს აბეზღებდა ბატონების წინაშე, ბიზანტიელებთან პოლიტიკური და სარწმუნოებრივი კავშირი აქვთო (აღნიშნული მთავარი და ალვანეთის კათალიკოსი, იმავე ავტორის ცნობით, დიოფიზიტები ყოფილან). ხალიფას ასე უპასუხნია თავისი ერთგული მონისაოვის: „ეავიკითხე შენი გულწრფელი წერილი, ღვთისკაცო ილია, სომეხთა კათალიკოსო, და შენდამი წყალობის გამო, გავგზავნე ჩემი სანდო მსახური დიდძალი ჯარით. ვბრძანეთ განმართვა (გასწორება)

[1] კალანკატუელი, 237

შენი სჯულის მიხედვით ალვანელთა შორის, რომელნიც აჯანყებულან ჩვენი ბატონობის წინააღმდეგ. ჩვენი მსახური განახორციელებს ჩვენს განაჩენს შენი თანდასწრებით ბარდავში: იგი ჯაჭვით დააბამს ნარსესსა (ალვანელთა კათალიკოსს) და იმ დედაკაცს, და გამოიყვანს მათ სამეფო კარზე, რათა ყველა მეამბოხემ დაინახოს მათი მოქმედების შერცხვენა"-ო-[1]. მართლაც, სომეხთა კათალიკოსი უმეშვეოდ მონაწილეობს დასახელებულ პირთა წამებაში, რომელთაც დიდი სიმტკიცე გამოუჩენიათ თავიანთი რწმენის დაცვისას. დიოფიზიტ ნარსესის მაგიერ ალვანეთის კათალიკოსად დადგენილს ვინმე სვიმეონს „დაუწყნარებია" ნარსესის მიერ აღძრული შფოთი, დაუნერგავს ცთომილ სამწყსოში „ჭეშმარიტი სარწმუნოების" მრავალი წესი, ე. ი. განუახლებია მონოფიზიტობა და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, **ბრძანება გაუცია მდინარეში ჩაეყარათ ნარსესის „მწვალებლური" წიგნთსაცავით სავსე სკივრები.** ასე იღუპებოდა და, ბოლოს, მთლიანად განადგურდა კიდევაც ალვანური ორიგინალური მწერლობა, რომელსაც ჩვენთვის დიდი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა! ყოველივე მომხდარის დასაგვირგვინებლად, სომეხთა კათალიკოსმა ჩამოართვა ალვანეთის საეკლესიო და საერო მმართველ წრეებს წერილობითი პირობა, რომ ისინი ამიერიდან ერთგული იქნებიან წმ. გრიგოლის სარწმუნოებისა და იერარქიულადაც სომეხთა საკათალიკოსო ტახტს დაემორჩილებიან (ეს მომხდარა 700—704 წ.). ცხადია, რომ სომეხი ბერის ზურგს უკან არაბები იდგენ: ცალკე ასეთსავე წერილობით პირობას უდებენ ხალიფას ალვანეთის მთავარი და ყველა წარჩინებული ერისკაცი, „რომელთა სახელებსაც სათითაოდ იწერენ ხალიფა აბდ ალ მალიქის დავთარხანაში, იმისათვის, რომ ვინიცობაა რომელიმე მათგანმა აღიაროს ორი ბუნება [ე. ი. ბიზანტიის ოფიციალური, დიოფიზიტიური ქრისტიანობა], ასეთი პირები განადგურებულ იქნან მახვილითა და წარტყვევნით. ასე დამყარდა მშვიდობა ალვანეთის ყველა ტაძარში-ო, გვარწმუნებს მემატიანე![2].

მკითხველი ადვილად მოიგონებს, რომ აღწერილ ამბებში თითქმის სტერეოტიპულად არის განმეორებული ირანელთა დროინდელი ურთიერთობა. ანალოგია იმ მხრივაც მართალია, რომ გარედან მოსული ძალა ეხლაც სარგებლობს ფეოდალური კლასის საერო და საეკლესიო ფრთებს შორის არსებული ანტაგონიზმით და გარკვეულ

[1] კალანკატუელი, 237—8.
[2] იქვე, ნაწ. III, თ თ. 3—11.

მომენტში უპირატესობას ეკლესიას აძლევს. მაგრამ ამის შესახებ დაწერილებით სხვაგან გვექნება საუბარი. ქართლის შესახებ, სამწუხაროდ, აღნიშნული სფეროდან არავითარი ცნობები არ შენახულა. მაგრამ რომ შეუძლებელია, მსგავსი პოლიტიკა, ამ ქვეყანას ასცდენოდა, გვარწმუნებს ერთი ეპიზოდი, მოთხრობილი გ. მერჩულის მიერ (წერდა X ს. შუაწლებში). ეს ამბავი მით უფრო მაჩვენებელია, რომ იგი მომხდარა IX ს. ოციან წლებში, როდესაც არაბები ქართლში უკვე საკმაოდ დასუსტებული იყვნენ, წინანდელთან შედარებით. ვინმე ცქირი, დიაკონი, ტფილისის ამირა ჰასაკ ისმაელის ძის მიერ აღზრდილი (დიაკონი, მაჰმადიანი მოხელის გაზრდილი! დამახასიათებელია!), მოციქულად ყოფილა გაგზავნილი ამ ამირას მიერვე კლარჯეთის მფლობელ აშოტ კურაპალატთან. გზაში ცქირს კლარჯეთის საეპისკოპოსო კათედრა, ანჩას, ცარიელი უნახავს და გამღვდელმთარების სურვილი აღძვრია, თუმცა მას არავითარი საფუძველი ასეთი პოსტის დაჭერისათვის არ მოეპოვებოდა. მაგრამ თავისი პატრონის, ტფილისელი ამირას ქომაგობით, „საჰაკ ამირას მიერ," ე. ი. საჰაკის თხოვნითა და შუამდგომლობით, როგორც ამბობს ბწერალი, აშოტ კურაპალატისაგან მიუღია ანჩის საყდარი. ე. ი., ადგილობრივი საეკლესიო წრეების თვალსაზრისით, „ძძლავრებით დაუპყრია ანჩა". ამ წრეებსა და ცქირს შორის მწვავე უთანხმოება ატყდება. საქმე მოსყიდული მკვლელების გამოყენებამდისაც მიდის. ბოლოს, ადგილობრივი საეკლესიო კრება ცქირს „განკვეთს პატივისაგან", ე. ი. ეპისკოპოსობისაგან გაადაყენებს. ცქირი, რაკი მას „განეშორა შეწევნა ღმრთისა" და „ღონე ყოველი დაელია", კვლავ წავიდა ტფილისს თავის პატრონთან, ამირასთან, და ისევ ძველი გზით, საჰაკის შუამდგომლობით აშოტის წინაშე, ხელახლა დაიბრუნა დაკარგული საეკლესიო სენიორია, „წყენებითა მისითა (ე. ი. ამირა საჰაკის დაჟინებული თხოვნით) რეცა მიეშვა კურაპალატი და კუალად მძლავრებით დაიპყრა ანჩისა საყდარი" [1].

ამ ამბის მნიშვნელობის შესაგნებად უნდა მოვიგონოთ, რომ იგი ხდება ტერიტორიაზე, რომელიც ბიზანტიის კეისრის სუვერენიტეტს აღიარებს (აშოტი კეისრის ვასალი იყო). უეჭველია, იმ რაიონებში, რომელნიც არაბთა მფლობელობას ემორჩილებოდნენ, ან არაბულ სამფლობელოს უშუალოდ ემხრობოდნენ, მსგავსი ჩარევა საეკლესიო საქმეებში უფრო ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართლის კათალიკოსის რეზი-

1 მერჩული, 66—68.

დენცია—მცხეთა—და საკათალიკოსოს ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრი, როგორიც იყო ტფილისის კათედრა, არაბული გავლენის ყველაზე ახლობელი ობიექტებია. ამიტომ ადვილად დასაჯერებელია, რომ არაბთა განსაკუთრებული მძლავრობის ხანებში, მაგ., VIII ს. მეორე ნახევარში, მონოფიზიტებს (ანტიქალკედონიტებს) ერთხელ კიდევ ეცადნათ შურისძიება თავიანთი შეურიგებელი მტრების მიმართ და ერთგვარი წარმატებისათვისაც მიეღწიათ. ერთი სიტყვით, ერთხელ კიდევ უნდა განმეორებულიყო მეექვსე საუკუნის ამბები, ბრძოლის ძველებური მეთოდებითა და აქსესუარით, ჩვეულებრივი იდეურ-მატერიალური შედეგებითა და დიოფიზიტების (ქალკედონიტების) საბოლოო გამარჯვებით. სამწუხაროდ, არავითარი კონკრეტული სურათი ამ უკანასკნელი ბრძოლისა წყაროებში დაცული არ არის. მხოლოდ ჩვენ შემთხვევითად არ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ IX ს. დამლევს ან IX—X სს. მიჯნაზე, ე. ი. არაბთა საბოლოო მოუძლურების ხანაში, ჩნდება ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა ე. წ. „წმ. ნინოს ცხოვრება“, რომელსაც იდეოლოგიური საძირკველი უნდა. ჩაეყარა საქართველოს დიოფიზიტური ეკლესიის თვითმყოფობისათვის და მოწინააღმდეგეთა უკანასკნელი პოზიციები გაენადგურებინა. ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია შეხედულებათა სისტემა, რომელიც, თვით ძეგლის ტენდენციიანი განცხადებით, იყო მერმინდელ თაობათა მიერ „მრავალთა ჟამთა და წელთა“ შემდეგ მოპოვებული „ტალანტი, წინამძღვართაგან დაფარული“. ეს განცხადება, ძეგლში დაცულ ზოგიერთ კვალთან ერთად, არის არაპირდაპირი და ყრუ მოწმობა ბრძოლისა, რომელიც უკანასკნელად გათამაშდა VIII ს—ში.

გოლოსიტყვაობა

წარმოდგენილი მონოგრაფია დამუშავებულია ტფ. სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე, რომლის საჯარო სხდომებზედაც მოხსენების სახით წაკითხულია ცალკე პარაგრაფები; მეოთხე და მეექვსე—1935 წ. 2 ნოემბრის სხდომაზე, ხოლო მეშვიდე—1936 წ. 14 იანვრის სხდომაზე.

ავტორი

საქართველოს ისტორია
უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე

(კონსპექტის პროექტი)[1]

საზოგადოებრივი ადამიანის აქტიურობა თავის კვალს აჩენს საქართველოს ტერიტორიას განვითარების უკვე ყველაზე ადრინდელ საფეხურებზე. პალეოლითი ამჟამად კარგად არის დადასტურებული იმერეთის არა ერთს პუნქტში (მოწამეთა, რგანი, ხარაგოული), სადაც აღმოჩენილია და ნაწილობრივ უკვე შესწავლილიც ტროგლოდიტის (გამოქვაბულის კაცის) სადგურები; შავი ზღვის პირას ჩნდება ამავე კულტურის პირველი ნიშნები. სოციალურად ეს არის წინაგვაროვნული კომუნის ხანა. მეურნეობა მითვისებითი ხასიათისაა. მეტყველება მეტად პრიმიტიულია, ეთნიკური სახეც სრულიად გაურკვეველი. გვაროვნული საზოგადოებისა და ტომების წარმოშობა უფრო გვიანდელს ხანას, ნეოლითის (ახალი ქვის) პერიოდს, ეკუთვნის. ნეოლითური ნაშთებიც ნაპოვნია საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ნეოლითური ხანა საქართველოში დღესდღეობით ჩვენთვის უფრო ცუდადაა ცნობილი, ვიდრე პალეოლითისა. სამაგიეროდ, დიდ განვითარებას აღწევს ლითონის კულტურა, განსაკუთრებით, ბრინჯაო, რომელიც შედარებით ადრე იჭერს სპილენძის ადგილს. ბრინჯაოს იარაღები საქართველოს ტერიტორიაზე კეთდებოდა უკვე მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში, ძვ. წ., და ამ ათასწლეულის ბოლოს ბრინჯაოს კულტურა ავიდა აქ განვითარების მეტად მაღალ საფეხურზე. აქ ვამჩნევთ ორ თავისებურ კულტურას: ერთს — აღმოსავლეთში, რომელიც საქართველოს აკავშირებს აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიასთან, მეორეს — დასავლეთში, რომელიც საქართველოს აკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიასთან. აკეთებდნენ ბრინჯაოსაგან სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, რაც მიუთითებს მიწისმოქმედების განვითარებაზე, საომარ იარაღებს, ჭურჭელს, წვრილს საყოფაცხოვრებო საჭიროების საგნებს და სხ. განსაკუთრებით განვითარებული და თავისებური ბრინჯაოს ის კულტურა ყოფი-

[1] ეს კონსპექტი თავის დროზე დაიბეჭდა სადისკუსიოდ რედ.

ლა, რომლის ნაშთებს პოულობენ დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში. რადგან პირველად ამ კულტურის ძეგლები დიდი რაოდენობით აღმოჩენილ იქნა, გასული საუკუნის დასასრულს, ჩრდ. ოსეთში, კობანის მიდამოებში, ამიტომ ეს კულტურაც კობანის კულტურის სახელით იქნა ცნობილი. მაგრამ შემდეგში წარმოებულმა ძიებამ და შემთხვევითმა აღმოჩენებმაც დაადასტურეს, რომ ეს კულტურა გავრცელებული ყოფილა მთელს დასავლეთ კავკასიაში. ამიტომ ახლა ბევრი არქეოლოგი უკვე იმ აზრისკენ იხრება, რომ კობანის კულტურის ნამდვილი კერა დასავლეთი საქართველოა, რომელიც უხსოვარი დროიდან ცნობილია კოლხიდის სახელით. ძველ ხალხებს კოლხიდა წარმოედგინათ აყვავებულ, მდიდარ ქვეყნად და მას უკავშირებდნენ მრავალთქმულებას, რომელნიც ანტიკისა და შემდეგდროინდელი მწერლებისათვის საყვარელ ლიტერატურულ სიუჟეტებად იქცნენ. ზოგიერთმა ამ თქმულებამ მთელი მსოფლიო შემოიარა. ასეთია, მაგ., ცნობილი გადმოცემა არგონავტების,— გულად თესალიელ მეზღვაურთა, შესახებ. ეს ვაჟკაცები, იაზონის მეთაურობით და გემით „არგო"-თი, მოვიდნენ კოლხიდაში და ამ უკანასკნელის სატახტო ქალაქ ეა-ში, რომელიც მდებარეობდა მდ. ფაზისის (რიონის) ნაპირზე. კოლხიდაში ამ დროს მეფობდა აეტი, „ოქროს ვერძის" მფლობელი. ამ ვერძის დასაკუთრება უნდოდათ სწორედ არგონავტებს. მათ თავიანთ მიზანს მიაღწიეს აეტის ქალიშვილის მედეას დახმარებით. იაზონმა შეუსრულა აეტს მთელი რიგი მოთხოვნა-პირობა, მაგ. შეაბა გუთანში სპილენძისფეხებიანი და ცეცხლმქშინავი ხარები. ბოლოს და ბოლოს ვერძი მოტაცებულ იქნა არგონავტების მიერ.

უკვე ძველი საბერძნეთის მწერლებმა შეამჩნიეს, რომ ეს მითი მეტნაკლებად ნამდვილი, ისტორიული ცნობების გადამუშავებაა, რომ „ოქროს ვერძი" მიუთითებს ოქროს მოპოვების ჩვეულებაზე ადგილობრივ მდინარეებში, ცხვრის ტყავების საშუალებით. ოქრონარევი ქვიშნარის კვალი დასავლეთ საქართველოში მართლაც შემჩნეულია (1935 წელს ენგურის კალაპოტში იპოვნეს ოქროს დიდი ბუნებრივი ზოდი). საფიქრებელია აგრეთვე, რომ „გუთანში შებმული სპილენძისფეხებიანი ხარები" წარმოადგენენ პოეტური ფორმით შემოსილ მოგონებას განვითარებულ მიწისმოქმედებაზე, რომელიც უკვე ლითონის იარაღებით სარგებლობს.

მეორე მხრით, მთელი თქმულება არგონავტების შესახებ არის ანარეკლი ბერძნების საკოლონიზაციო მისწრაფებისა შავი

ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროებისკენ. ეს მისწრაფება გულისხმობდა ქვეყნის საკმაოდ მაღალ განვითარებას, რაც იზიდავდა უცხოელებს.

ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ე. წ. კობანის კულტურა აღმოცენდა სწორედ კოლხიდაში, რომლის შესახებაც უფრო ნამდვილ ცნობებს ვპოულობთ მხოლოდ მე-6 საუკუნიდან, ძვ. წ., როცა ძველ-ბერძნულ (იონიურ) პოეზიასა და მეცნიერებაში ჩნდება რეალური ჩვენებანი კავკასიასა და, განსაკუთრებით, მის შავი ზღვის სანაპიროებზე. ამგვარ ცნობათა წყარო პრაქტიკული,— პირველ რიგში,— სავაჭრო ურთიერთობა იყო ბერძნებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის. მე-6 — 5 საუკუნეებში, ამ ურთიერთობის ნიადაგზე, ჩნდება ზღვისპირა ბერძნული ქალაქები — ფაქტორიები: პიტიუნტი (ახლა — ბიჭვინტა), დიოსკურიადი (ახლანდელი სოხუმის ალაგას ან მის რაიონში), ფაზისი (ახლა — ფოთი), ამავე სახელის მქონე მდინარის (ახლა — რიონი) შესართავთან და სხვ. ეს ქალაქები ასრულებდნენ სააღებმიცემო პუნქტების როლს, ბერძნებსა და ადგილობრივ ტომებს შორის. ისინი უნდა გაჩენილიყვნენ ამ ხალხთა კულტურული განვითარების შედარებით მაღალ დონეზე, როდესაც ადგილობრივს მეურნეობას შეიძლებოდა ბერძნებისათვის საინტერესო საქონელი მიეწოდებინა. განვითარების ეს დონე ქმნიდა შესაფერ პირობებს არა მხოლოდ ბერძნული ზღვისპირა ქალაქების, არამედ აგრეთვე ადგილობრივი ქალაქების გაჩენისათვის. ასეთი უძველესი ადგილობრივ ქალაქთაგანია ეა. იგივე პირობები განსაზღვრავდა ფულის ტრიალის განვითარებასაც. თუ ბრინჯაოს ხანაში ფულად იხმარებოდა სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს რგოლები, რომელნიც ერთმანეთისგან მზარდი პროპორციული წონით განსხვავდებოდნენ (ასეთი რგოლები ნაპოვნია არქეოლოგების მიერ), მე-6 — 5 ს. უკვე ჩნდება ფულმონეტა, როგორც შემოტანილი, ისევე ადგილობრივი. მე-5 საუკუნის დასასრულიდან ან მე-4 საუკ. დასაწყისიდან და მომდევნო საუკუნეებში კოლხიდაში იჭრება ადგილობრივი ვერცხლის მონეტა, მეცნიერებაში „კოლხიდური"-ს სახელწოდებით ცნობილი და განკუთვნილი შინაგანი სააღებმიცემო ურთიერთობისათვის.

ადგილობრივი ბერძნული კოლონიებიც (მაგ., დიოსკურიადი) სჭრიან თავის ფულს.

საზოგადოებრივი წყობის მხრივ ჩვენ განვითარების ასეთი სურათი გვაქვს. ბრინჯაოს ხანაში, მიწისმოქმედებისა, მეჯოგეობისა და საშინაო ხელოსნური წარმოების წყალობით, უკვე განვი-

თარებული საგვარტომო საზოგადოებაა, რომელიც მეტწილად ბინადარ ცხოვრებას ეწევა.

დაწყებითი ფორმით მოცემულია აგრეთვე ადამიანის ჩაგვრა ადამიანის მიერ, უმთავრესად, ალბათ, საოჯახო მონობის სახით. ამიერ-კავკასიას ამ დროს უკვე აქვს სავაჭრო და კულტურული დამოკიდებულება წინა აზიის, ხმელთაშუაზღვეთისა, ჩრდილოეთ კავკასიისა, თანამედროვე უკრაინისა და დუნაის აუზის შორეულ ქვეყნებთან. ბრინჯაოს ხანის ამიერ-კავკასიელ ტომთა ეთნიკური სახე ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული, მაგრამ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ აქ მაშინ ცხოვრობდნენ თანამედროვე კავკასიელ ხალხთა წინაპრები.

ქართველი ტომები (საკუთრივ ქართველები, მეგრელები, ჭანები, ლაზები და სვანები) კავკასიაში მოდიან შედარებით გვიან, როგორც ფიქრობენ, მე-8 — 7 ს.ს. მოყოლებული, ძვ. წ. მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქართველები სამხრეთიდან მოვიდნენ და რომ ისინი შთამომავალნი არიან წინა აზიის უძველესი ხალხებისა (სუმერიელთა, ხეთელებისა, მიტანიელებისა, ქალდებისა და სხვ.), რომელთაც საკაცობრიო კულტურის ყველაზე ადრინდელი ქერა შეჰქმნეს და მისი ცეცხლი სხვადასხვა დროს წინააზიის სხვადასხვა ადგილას დაანთეს. სამხრეთიდან მოიტანეს ქართველებმა აგრეთვე, როგორც ჩანს, თავიანთი ანბანი, რომელმაც განვითარების მეტად გრძელი და საინტერესო გზა გაიარა. ახალ მიწა-წყალზე დაბინავებისას, ქართველი ტომები ძლიერ გავლენას ახდენდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე და მისგანაც გარკვეულ ზემოქმედებას განიცდიდნენ.

მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებასთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრებაც უფრო რთულდებოდა. საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოების წყალობით იზრდებოდა მონათა შრომის, როგორც მუქთი სამუშაო ძალის, გამოყენების საჭიროებაც. ახალი ვითარება აღწერილია სტრაბონის მიერ, რომელიც ცხოვრობდა და წერდა ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, ძველ და ახალ წყაროთა ცნობების საფუძველზე. სტრაბონის ცნობები საქართველოს შესახებ მეტწილად მიეკუთვნება ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნის დასაწყისს.

ამ დროს საქართველოს ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოებრივი წარმონაქმი არსებობს: ძველი კოლხიდა და იბერია. იბერიას უპყრია დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი, სურამის ქედის

მომიჯნავე, ნაწილიც (საზღვარი კოლხეთსა და იბერიას შორის გადის შორაპან-სკანდაზე).

III საუკუნის დასასრულსა და II საუკუნის დასაწყისს (ძვ. წ.), ანტიკური ცნობებით, იბერია ძლიერი და თავისუფალი სახელმწიფოა, რომელიც არასდროს არ დამორჩილებია უცხოელებს და იგი (იბერია) ესაზღვრება სომხეთს მდ. არაქსის გასწვრივ.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ ცნობებით, მაშინდელი საქართველო, სამეურნეო თვალსაზრისით, შეიძლება დაიყოს სამ რაიონად: მაღალმთიან, მთიან და ვაკე ზონებად. მაღალმთიან რაიონებში მთავარ მეურნეობად დასახულია მონადირეობა, შემდეგ — შემგროვებლობა და, მხოლოდ ნაწილობრივ, მესაქონლეობა. ასეთ მდგომარეობაში ყოფილან სვანები, რომლებიც სახლობდნენ დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ახლაც იმყოფებიან.

მთიან რაიონებში (სტრაბონი აქ კონკრეტულად აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მეურნეობას აღწერს) მოსახლეობის მთავარ საქმიანობას მეჯოგეობა წარმოადგენდა, ხოლო დამხმარეს — მიწისმოქმედება. ბარში (ვაკე ნაწილში) მეურნეობის მთავარი დარგი იყო მიწისმოქმედება, მაგრამ აქ მესაქონლეობასაც ეწეოდნენ. აქ განვითარებული იყო ხელოსნობაც და ვაჭრობაც ხოლო, ამის შესაბამისად — გზები და მიმოსვლის საშუალებანიც. სტრაბონი ამბობს, რომ იბერია მდიდარი და მშვენივრად დასახლებული ქვეყანაა, დაფარული ქალაქებითა და სოფლებით, რომ სახლები დახურულია კრამიტით და აშენებულია სახუროთმოძღვრო ხელოვნების წესების თანახმად, რომ აქ არის ბაზრები და საზოგადოებრივი შენობები.

ბაზრები ვაჭრობისათვის იყო საჭირო. ვაჭრობა იყო ადგილობრივი და სატრანზიტო — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ინდოეთიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან საქონელი ამოჰქონდათ კასპიის ზღვაზე, აქედან მას მტკვრით ეზიდებოდნენ ზევით ნავებით. შემდეგ იბერიიდან, იმ ადგილიდან, საიდანაც მდინარე აღარ ვარგოდა სანაოსნოდ, ხმელეთის გზით იგი გადაჰქონდათ კოლხიდაში ქალ. შორაპანამდე, ხოლო აქედან მდ. ფაზისით ჩაჰქონდათ შავ ზღვამდე, სადაც მთავარი საწყობი იყო ქალაქი ფაზისი (ფოთი).

იბერიის მეორე სატრანზიტო გზა მიიმართებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, დარიალის ხეობით.

ნაოსნობა, ფაზისსა და მტკვარს გარდა, წარმოებდა მდ. ალაზანზეც. განვითარებული იყო აგრეთვე სახმელეთო მიმოსვლა:

სტრაბონი ამბობს, რომ მდ. ფაზისის ზემო წელში, სადაც გემები ვერ დადიოდნენ, გამართული იყო 120 ხიდი.

შავი ზღვის სანაპირო ქალაქების ვაჭრობის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობასთან დამახასიათებელია სტრაბონის ცნობა, რომ დიოსკურიადში (აფხაზეთის სანაპირო) სავაჭრო ოპერაციების წესიერი მსვლელობისათვის აუცილებელი იყო 70 თარჯიმანი, იმდენად ბევრი და სხვადასხვა ტომი იყრიდა აქ თავს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემოსატანი საქონელი იყო მარილი. შემოჰქონდათ, რასაკვირველია, აგრეთვე სხვა საგნებიც (სამრეწველო ნაწარმოები, ქსოვილები, იარაღები და სხვ.).

მიწისმოქმედების დარგში ამ მხარეში განვითარებული იყო მარცვლოვანი კულტურები, მებოსტნეობა და მებაღეობა-მევენახეობა. დასავლეთ საქართველოში უხვად მზადდებოდა სელი და მისი ქსოვილი, კანაფი და მისი ნაძენძი, ცვილი და ფისი. სელი უცხო ქვეყნებშიც გაჰქონდათ.

სოციალური წყობის მხრივ სხვადასხვა რაიონები, საერთო განვითარების დონის შესაფერისად, მნიშვნელოვნად განირჩეოდნენ ერთიმეორისაგან. მაღალმთიან რაიონებში, მაგ., სვანეთში, ჯერ კიდევ დაცული იყო გვაროვნული წყობილება. სვანებს მართავდა 300 კაცისგან შემდგარი სატომო საბჭო.

იბერიის საზოგადოებას, რომელიც შედარებით მაღალ საფეხურზე იდგა, სტრაბონი ჰყოფს ოთხ „გვარად“: 1. მეფეთა „გვარი; [2. ქურუმთა „გვარი“, რომელიც ტაძრებს ემსახურებოდა და] რომელიც განაგებდა მეზობლებთან ურთიერთობას; 3. მიწისმოქმედთა და მეომართა „გვარი“ და 4. მდაბიო ხალხის „გვარი“, რომელიც მეფეთა „გვარს“ ემსახურებოდა.

ცხადია, რომ სოციალურ-ეკონომიური დაფენიანება იბერიაში შორს წასულა წინ, მაგრამ გვაროვნული გარდმონაშთები ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით იყო შემონახული.

შემდგომი დიფერენციაცია ძირითადად მიმდინარეობდა მესამე „გვარში“, რომელიც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეიცავდა. კერძო საკუთრების არსებობის პირობებში ეს „გვარი“, რომელსაც ქართულად ეწოდებოდა „ერი“, ე. ი. „ხალხი“ („ხალხი — ჯარი“-ს მნიშვნელობით), თანდათან მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად: უმცირესობა — მაღლა მდგომნი, „წარჩინებულნი“, „ერისთავნი“, „მთავარნი“, „თავნი“ და ა. შ., რომელნიც შემდეგ ერთი საერთო სახელწოდების, „აზნაური“-ს, ქვეშ გაერთიანდნენ, და, მეორე მხრით — უმრავლესობა, „წვრილი ერი“, თავისუფალი მცხოვრებნი, რომელნიც ჯერ კიდევ მოსახლეობის უმეტესობას შეად-

ბენდნენ. „წვრილ ერს“ დაკარგული აქვს გვაროვნული ხანის მრავალი უფლება (მაგ., თვითმმართველობის სფეროში), მაგრამ ნაწილი თავისი ძველი უფლებებისა ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს (მაგ., ნაწილობრივ, მიწათმფლობელობის სფეროში) და ამ უფლებებისათვის იგი გააფთრებით იბრძვის. მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ვხედავთ მკაფიოდ მოხაზულ სახეს ამ საზოგადოებისას, რომელსაც გაუვლია განვითარების შემდეგი გზაც. „აზნაურები“ უკვე იყოფიან „დიდად“ და წვრილად; მოწინააღმდეგე ბანაკი იხსენიება, როგორც „უაზნო“ ანუ „არათავისუფალი“; ყველაზე დაბლა დგანან „მონა და მხევალი“. მსხვილ აზნაურთაგან დაწინაურებულან „მთავარნი“. არისტოკრატიის უმაღლეს ფენას შეადგენენ „სეფე-წულნი“ — პირველი, მეფის, გვარის ნაშიერნი, მსხვილ მიწათმფლობელებად ქცეულნი.

„აზნაურთა“ მოძრაობა სოციალური და პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ წარმოებდა სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან, კერძოდ, მონათმფლობელებთან, ბრძოლაში, რომელთა (მონათმფლობელთა) წრიდანაც გამოვიდა სტრაბონისეული მეორე „გვარი“ ქურუმებისა. ამ ბრძოლაში „აზნაურები“ მნიშვნელოვან გამარჯვებას აღწევენ მე-4 საუკუნეში, როცა ამ პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული რელიგია. ძველი წარმართული სარწმუნოების წარმომადგენელთა წინააღმდეგ ახალი ძალები იყენებენ ქრისტიანობას, რომელიც ოფიციალურ კულტად და „აზნაურთა“ რელიგიად იქცევა (ქართლში — მე-4 ს. შუაწლებისთვის). ჩნდება ახალი მწიგნობრული ქრისტიანული კულტურა, რომელიც იწყება თარგმანებით, მაგრამ რომელიც მე-5 საუკუნის დასასრულისათვის უკვე გვაძლევს მნიშვნელოვან ორიგინალურ ლიტერატურულ ძეგლს — „წმ. შუშანიკის მარტვილობა“-ს, ვინმე იაკობის მიერ დაწერილს. რთული იყო აგრეთვე „აზნაურთა“ დამოკიდებულება მეფის ხელისუფლების მიმართ. ეს უკანასკნელი, აღმოცენებული, როგორც მონათმფლობელთა ორგანიზაცია, ახალი კლასის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, თანდათან უახლოვდებოდა მას და თანაც ნაწილობრივ იცვლიდა თავის სოციალურ ბუნებას. სრული გარდაქმნა ამ გზით სამეფო ხელისუფლებას მაინც არ შეეძლო, რადგანაც მტრულად და შეურიგებლად იყო განწყობილი „აზნაურთა“ სანუკვარი იდეალისა და მისწრაფებისადმი, რომელიც ახალი, ფეოდალური, მიწისმფლობელობის დადგენისა და დამტკიცებისაკენ იყო მიმართული. განსაკუთრებით მწვავე იყო ბრძოლა ვახტანგ გორგასალის დროს, რომელიც მეფობდა ქართლში (იბე-

რიაში) მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში. ეს ბრძოლა დამთავრდა მე-6 საუკუნის ოციან წლებში მეფის ხელისუფლების მოსპობით აღმოსავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოში განვითარება თავისებური გზით მიდიოდა. ადრევე რამდენადმე შინაგან დაქსაქსული კოლხიდა იყოფა მთელ რიგ წვრილ ტომურ პოლიტიკურ წარმონაქმნებად. მეორე საუკუნეში, ახ. წ., მდ. რიონის, ენგურის, კოდორისა და ბზიფის აუზებში ყალიბდება მინიატურული „სამეფოები" ლაზებისა, აფსილებისა, სანიგებისა და სხვათა, რომელნიც თანამედროვე მეგრელების, აფხაზების, სვანების წინაპრებად უნდა იქნან მიჩნეულნი. მე-4 საუკუნის დასასრულს, ადრეულ ფეოდალურ ძალთა შემდეგი განვითარების საფუძველზე, ლაზები იპყრობენ დანარჩენ ტომებს და ამით საფუძველს უდებენ ახალ სამეფოს, რომელსაც რომაელები და ბერძნები უწოდებდნენ ლაზიკას, ხოლო მკვიდრი მცხოვრებლები „ეგრისს" (აქედან ტომური სახელწოდება „მეგრელი"). სტრაბონისა და მის მომდევნო ხანაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს განვითარება ახალ ისტორიულ პირობებში მიმდინარეობდა. 65 წელს, ძვ. წ., რომაელები, რომელნიც დიდხანს ებრძოდნენ პონტოს მეფეს მითრიდატს, ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ შემოვიდნენ ამიერ-კავკასიაში, იმ მიზნით, რომ დაესაჯათ მითრიდატის მოკავშირენი. წინააღმდეგობა, რომელიც დახვდათ რომაელებს სომხეთში, ალბანეთში (თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანი) და იბერიაში, გატეხილ იქნა და ამ ქვეყნებში დამყარდა რომის უზენაესი ხელისუფლება. ქართლი, მიუხედავად მისი ანტირომაული განწყობილებისა შემდეგ პერიოდშიაც, რაც გამოიხატებოდა პერიოდულ ამბოხებებში უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, ექცევა ვასალურ დამოკიდებულებაში რომისაგან, სამხედრო სამსახურის მოვალეობით (კერძოდ, ეს მოვალეობა მდგომარეობს ჩრდილო-კავკასიის ზეკარების — უღელტეხილების, პირველ რიგში დარიალის, დაცვაში, რომელთაც დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდათ რომაელთათვის). კოლხიდა კი, რომელიც უფრო ადვილად იქნა დაპყრობილი რომაელების მიერ, სამხედრო ბეგარის გარდა, როგორცა ჩანს, იხდიდა ხარკსაც.

გავლენას ახდენდა საქართველოზე აგრეთვე დაუსრულებელი ბრძოლა რომსა და ირანს (ჯერ პართულს, შემდეგ — სასანიდურს) შორის. მე-4 საუკ. მეორე ნახევარში უპირატესობის სასწორი

იხრება ირანისკენ და მე-5 საუკუნის დასაწყისიდან ქართლი ექცევა მისი გავლენის ქვეშ.

ირანელები, აფართოებენ რა თანდათან ქვეყნის შინაურ მმართველობაში თავისი ჩარევის სფეროს და სარგებლობენ რა ზემოხსენებული ანტაგონიზმით მეფესა და დიდ „აზნაურებს“ შორის, თანდათანობით ზღუდავენ მეფის უფლებას და ბოლოს, „აზნაურებთან“ კავშირში, სრულიადაც სპობენ ‖ მას (523 წ.). მე-6 საუკუნეში ირანელები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ დასავლეთი საქართველოც, რაც იწვევს ირანელთა ხანგრძლივ ომს რომაელებსა და ეგრისის მმართველ წრეებთან (542—562). ირანელები მარცხდებიან და ქვეყანა რჩება რომის იმპერიის და მისი მემკვიდრის, ბიზანტიის ვასალურ დამოკიდებულებაში. ირანელების, რომელთაც პირველად დასარკეს აღმოსავლეთი საქართველო, ძალადობა ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში იწვევდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების საპროტესტო მოძრაობას ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ. მოკლეხნიანი კავშირი, რომელიც დამყარდა ქართლის წარჩინებულთა და ირანელებს შორის, მეფის ხელისუფლების დაცემის შემდეგ, მალე დასრულდა განხეთქილებით (571—72 წ. წ.). წარჩინებულნი თავისუფლდებიან დამპყრობელთა ბატონობისაგან და ქმნიან საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც „მეფის“ ნაცვლად „ერისმთავარი“ მეთაურობს. „ერისმთავრები“ იყვნენ უმაღლესი ფეოდალური ფენის არჩეული წარმომადგენელნი, რომელთა ხელისუფლებაც შემდეგ, სათანადო ისტორიულ პირობებში, ფეოდალური მეფის ახალ ხელისუფლებად განვითარდა. მე-5 საუკუნე მთელ საქართველოში არის მკვეთრი გარდატეხის ხანა ფეოდალურ ძალთა განვითარებაში. აფხაზეთში, რომელიც, მე-6 საუკუნის დასაწყისს, გამოეყო ლაზიკას ცალკე სამთავროდ, მე-6 საუკუნის ორმოციან წლებში დამხობილ იქნა ძველ მეფეთა დესპოტური ხელისუფლება. ქვეყნის დიდებულნი აქაც ირჩევენ ფეოდალური ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს — აფხაზ ერისთავებს. ეგრისშიაც ძველი მეფის ხელისუფლება თანდათანობით სუსტდებოდა შინაურ და გარეშე (ბიზანტიის ძალმომრეობა) წინააღმდეგობათა მეოხებით და ბოლოს შეცვლილ იქნა,—ვარაუდით, მე-7 ს. დამდეგისათვის,—ლაზიკის „პატრიკიოსის“ (ბიზანტიური სასახლის ტიტული) ხელისუფლებით.

პოლიტიკური ხელისუფლების ფეოდალური კლასის ხელში საბოლოოდ გადასვლა ამ საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ გამოყენებულია „წვრილ ერთან“, თავისუფალ სოფლის მოსახლეობას—

-თან, საბრძოლველად, რომელსაც ჯერ კიდევ შემონახული ჰქონ-
და თავისი გვაროვნულ-თემური უფლებების გარკვეული ნაწილი.
ბრძოლის მიზანია სათემო და წვრილ-მფლობელთა მიწების მიტა-
-ცება და მისაკუთრება და თავისუფალი სოფლის მოსახლეობის
-ამა თუ იმ სახით დამორჩილება ფეოდალთა მიერ. მე-9 საუკ.
-დამდეგისათვის ფეოდალები ახერხებენ „წვრილი ერის“ გაალმა-
-სებული წინააღმდეგობის გატეხას, და გლეხური, კერძო-მესაკუთ-
-რული თუ სათემო, ადგილ-მამულის ძირითადი ფონდების დატა-
-ცებას. „წვრილი ერის“ პიროვნული დათრგუნვისა და ყმობის
-უღელში შებმის პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს, მაგრამ
-ისიც თანდათან, ხოლო განსაკუთრებით მე-10 საუკუნეში, მნიშვ-
-ნელოვან შედეგებს აღწევს. ეს პროცესი განისაზღვრებოდა ფეო-
-დალური საწარმოო ძალების ზრდით, რაც ახალ ისტორიულ გა-
-რემოცვაში ხდებოდა.

მე-6 საუკუნიდან დაწყებული, ისტორიული ცნობები ქვეყნის
-სამეურნეო განვითარების შესახებ უფრო სრული ხდება. მე-6 ს.
-უცხოური წყაროების მიერ ქართლი აღწერილია როგორც ნაყო-
-ფიერი და მდიდარი ქვეყანა, რომელსაც საკმაოდ ფართო სავაჭ-
-რო ურთიერთობა აქვს სომხეთთან, ირანთან, ბიზანტიასთან. ამ
-საუკუნეთა დასასრულს პირველად ჩნდება ქართულწარწერიანი
-ფული. საფიქრებელი ხდება პურის ექსპორტიც კი ქართლიდან.
-ეგრისიც ინტენსიურ სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებს ბიზანტიას-
-თან და ადგილობრივი მმართველი წრის, ამ ურთიერთობასთან და-
-კავშირებული, ინტერესები იმდენად ღრმაა, რომ ამ წრის საგა-
-რეო-პოლიტიკურ განწყობილებებსა და მისწრაფებებსაც განსაზ-
-ღვრავს. ლაზიკიდან გაჰყავდათ მონები, გაჰქონდათ ბეწვეული,
-ტყავი და სხ.

მე-7 ს. პირველ ნახევარშიაც განვითარება იმავე გზით მი-
-დის. მატერიალური მდგომარეობის დონის დამახასიათებელია
-ისეთი შესანიშნავი ძეგლები ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნები-
-სა, როგორიცაა ჯვარის საყდარი (მდ. არაგვის შესართავთან),
-წრომის, საუცხოო მოზაიკით შემკული, ტაძარი და სხვ.

მე-7 საუკუნის შუა წლებში საქართველოში პირველად ჩნდე-
-ბიან არაბები, რომელთაც ამ დროისთვის დაპყრობილი ჰქონდათ
-დიდი ნაწილი წინა აზიის ქვეყნებისა და რომელნიც საბოლოოდ გან-
-მტკიცდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ მე-8 საუკ. დასაწ-
-ყისიდან. დასავლეთ საქართველოს დაპყრობა არაბებმა ვერ მოა-
-ხერხეს, თუმცა მე-7 — 8 ს.ს. მიჯნაზე ამ ქვეყანაშიაც ფეხი ჩადგეს.

აღმოსავლეთი საქართველო არაბთა მფლობელობის ქვეშ ჩამოყალიბებულ იქნა ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად, რომლის მმართველიც („ამირა") ტფილისში იჯდა. მოსახლეობა იბეგრება სხვადასხვა გამოსაღებით, კერძოდ, სულადი და სამამულო გადასახადით („ჯიზიათი" და „ხარაჯა"). არაბთა მძიმე ფულადი სახარკო სისტემა ხელს უწყობს მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავებას. ეს გადასახადები განსაკუთრებით აუტანელი გახდა მე-8 საუკ. შუა წლებიდან, მაგრამ საერთო ევოლუცია ხალიფატისა, რომელიც თანდათანობითი ფეოდალიზაციის გზაზე იყო შემდგარი, ამ დიდი სახელმწიფოს განაპირა პროვინციებში გამოიხატა ადგილობრივი ამირების მისწრაფებაში დამოუკიდებლობისაკენ. ტფილისის ამირაც მე-9 საუკუნის დასაწყისიდან თანდათან თავისუფლდება ხალიფას დამოკიდებულებისაგან და ადგილობრივ მფლობელ ფეოდალად იქცევა. ტფილისის საამიროს, როგორც ცალკეული, ფაქტიურად დამოუკიდებელი სამთავროს, ჩამოყალიბებას, თან სდევდა მისი ტერიტორიის შემცირება და მისი პოლიტიკური ძალის დასუსტებაც.

მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ადრევე მიისწრაფოდა აღმოსავლეთ საქართველოს განაპირა კუთხეებისა და დასავლეთი და სამხრეთი საქართველოსაკენ, როგორც დამპყრობელთათვის მიუდგომელი რაიონებისაკენ, არაბთა ძალმომრეობისაგან თავის დასაღწევად, თანდათანობით მტკიცდება და ძალას იკრებს ახალ ადგილებზე. მოსახლეობისა და მისი მეურნეობის ზრდა საქართველოს ამ ნაწილებში, — არაბთა პოლიტიკური გავლენის დაცემის ახალ პირობებში,—ახალი, ფეოდალური, სამთავროების წარმოშობას უწყობს ხელს. მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, ივრისა და ალაზნის ხეობებში იქმნება კახეთის სამთავრო, რომლის მფლობელი ატარებს „ქორეპისკოპოსის" ტიტულს. მე-9 საუკ. დასაწყისს ბაგრატიონთა საგვარეულო, რომელიც შემდეგში გაერთიანებული საქართველოს სამეფო დინასტიად გადაიქცა, აშოტის სახით და ბიზანტიის მფარველობის ქვეშ, საფუძველს უყრის ტაოკლარჯეთის სამთავროს, რომლის მმართველიც ატარებს „კურაპალატის" ტიტულს.

დასავლეთი საქართველო მთელი ამ ხნის განმავლობაში ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ბიზანტიისაგან. მაგრამ მე-8 საუკ. დასასრულს აფხაზეთის ერისთავები, ქვეყნის გაძლიერების საფუძველზე და ბიზანტიაში ატეხილი შინაური განხეთქილების გამოყენებით, აცხადებენ დამოუკიდებლობას, იღებენ მეფეთა ტიტულს და იპყრობენ მთელ დასავლეთ საქართველოს. ასე წარმოიშვა „აფხაზთა

სამეფო“, რომლის სატახტო ქალაქი გახდა ქუთაისი. მე-9 საუკ. დასაწყისიდან აფხაზთა მეფეები თავის უფლებებს ავრცელებენ აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ ნაწილებზეც.

მე-9 საუკ. მეორე ნახევარი და მე-10 ს. დიდი სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ხანაა თითქმის მთელ საქართველოში. განვითარება მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა, მებაღეობისა, მევენახეობისა და მეღვინეობისა, მესაქონლეობისა, ხელოსნური წარმოებისა და გლეხური საშინაო მრეწველობისა და წარმოების ცალკეულ დარგთა სპეციალიზაცია ცალკე რაიონების მიხედვით აძლიერებს და აფართოებს სამთავროთა სამეურნეო კავშირებსა და შინაგან გაცვლა-გამოცვლის უწყვეტულ პროცესს. იზრდება საგარეო ვაჭრობაც ბიზანტიასთან, ხალიფატის ცალკე ნაწილებთან, ჩრდილოეთის ქვეყნებთან, მათ შორის უფრო გვიან რუსეთთანაც, რასაც ხელს უწყობს წინა აზიის საერთო ძლიერი სამეურნეო და სააღებმიცემო გამოცოცხლება. შესაბამისად იზრდება ფულის ტრიალი და საქალაქო ცხოვრებაც: ჩნდება ახალი და ძლიერდება ძველი ქალაქები. დიდი სამრეწველო-სავაჭრო ცენტრები იყვნენ: ტფილისი, დმანისი, სამშვილდე, რუსთავი, არტანუჯი, ქუთათისი, ცხუმი (ახლა სოხუმი) და სხვ. აღნიშნული მოვლენები ჰქმნის ფეოდალური დაქსაქსულობის მოსპობისა და უფრო ფართო პოლიტიკური ფორმის დამყარების ობიექტურ აუცილებლობას, რასაც საწარმოო ძალებისათვის უფრო სწრაფი და თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა უნდა შეექმნა. ბრძოლა პირველობისათვის სხვადასხვა მფლობელთა შორის, რომელიც საუკუნე-ნახევარს გრძელდება, თავდაპირველად უპირატესობას აფხაზთა მეფეებს აკუთვნებს, მაგრამ მე-10 საუკ. მეორე ნახევარში წარმატების სასწორი ტაო-კლარჯეთის კურაპალატებისკენ იხრება. ამ დროისთვის ტაო-კლარჯეთი უძლიერესი ქართული სამთავროა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურადაც. იგი გადაჭიმულია სამცხიდან მდ. არაქსამდე და თავის გავლენას ავრცელებს უფრო სამხრეთითაც.

ბიზანტიელი ისტორიკოსის, კონსტანტინე პორფიროგენეტის მოწმობით (952 წ.), სამთავროს უმთავრესი ქალაქთაგანი არტანუჯი და მისი პროვინცია იყო გასაღები მთელი საქართველოსი. კერძოდ, აქედან ვრცელდებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბიზანტიური, სირიული და სხვა საქონელი. მე-10 საუკუნისათვის ფეოდალური წყობილება ტაო-კლარჯეთში გამოკვეთილ სახეს იღებს.

ამ ეპოქაში სამთავრო წარმოადგენს აგრეთვე მთავარ კერას ქართული კულტურისას. საეკლესიო მწერლობა აქ ლიტერატურული ფორმის და ენის დიდ განვითარებას აღწევს (საუკეთესო წარმომადგენელია გიორგი მერჩული — მე-10 საუკ. შუა წლები). მწერლობაში უკვე საერო მოტივებიც ჩნდება, რაც ფეოდალური ცხოვრების პირობების შესაფერისი ცვლილებებითაა განსაზღვრული; მატერიალური კულტურა შესანიშნავ ნიმუშებს ქმნის (განთქმული ძეგლები ბანაში, ოშკში, ხახულში და სხ.).

ასეთ პირობებში ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების უძლიერესი წარმომადგენელი დავით კურაპალატი ახერხებს დაამკვიდროს თავისი შვილობილის ბაგრატ III ხელისუფლება ქართლსა და აფხაზეთში და მოუპოვოს მას აფხაზთა მეფის ტიტული. ბაგრატ III (975 — 1014) მე-11 საუკუნის დასაწყისს იპყრობს კახეთს, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ კვლავ გამოეთიშა სამეფოს, და იერთებს ტაო-კლარჯეთის სამთავროს ტერიტორიასაც. ასე წარმოიშვა ქართული ფეოდალური მონარქია, რომელმაც „საქართველოს“ სახელწოდება მიიღო. მის საზღვრებს გარეთ ჯერ კიდევ რჩება რიგი რაიონები, რომელნიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, ეკონომიურად და ისტორიულად, სახელმწიფოს ძირითად ტერიტორიასთან (ტფილისის საამირო, სომხითის კვირიკეანთა სამეფო და სხვა).

ფეოდალური მონარქიის შემდგომ ზრდას არახელსაყრელი საგარეო გავლენები — ჯერ ბიზანტიის, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკების აგრესია — აფერხებს.

ბაგრატ III შვილის, გიორგი I დროს (1014 — 1027) ბიზანტია, საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მეფის წინააღმდეგ, აწარმოებს დიდ ომს (1020 — 1024 წ.წ.), რომელიც ბიზანტიელთათვის გარკვეული წარმატებით თავდება. ამ ომმა დაასუსტა საქართველოს მეფის უფლება და მოსწყვიტა სამეფოს სამხრეთის პროვინციები.

თურქ-სელჩუკების გავლენა საქართველოზე იწყება მე-11 საუკ. შუა წლებიდან, გიორგი I-ის ძის, ბაგრატ მე-4 მეფობაში (1027 — 1072). თურქები ამ დროს უკვე დამკვიდრებული არიან ხალიფატის ნანგრევებზე. სომხური სამეფოების თითქმის მთელი ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ ისინი შემოდიან საქართველოშიც.

სელჩუკების რიგი დიდი შემოსევანი საქართველოში („თურქობანი“), რომელთაც თან სდევდა სასტიკი რბევა, მოსახლეობის აწიოკება და მოთარეშებული რაიონების აოხრება (1065 წ.,

1068 წ. და სხვა), ასუსტებდნენ ქვეყანას და აფერხებდნენ მის განვითარებას. მაგრამ სელჩუკიანი სულტნების მიზანი,— მოექციათ საქართველო თავის მოხარკეთა შორის, მიღწეულ იქნა მხოლოდ ბაგრატ IV შვილის, გიორგი II-ის მეფობაში (1072—1089). თურქების განუწყვეტელმა შემოსევებმა აიძულა გიორგი II წასულიყო სულტანთან (1080—1081 წ.) და ეყიდნა ზავი და მშვიდობა ყოველწლიური ხარკით.

გარეშე მტრებთან ომებს შორის წარმოებს ბრძოლა საქართველოს საბოლოო ფეოდალური გაერთიანებისათვის. ბაგრატ IV და გიორგი II დროს ეს ბრძოლა, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იყო ტფილისისა და კახეთის შემოერთებისაკენ. ტფილისი, საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან, სამეურნეო კავშირების წყალობით თვით მიისწრაფის ფეოდალური მონარქიისკენ და იქცევა საქართველოს მეფის მოხარკედ (1068), იხდის რა ყოველწლიურად 44.000 დრაჰკანს (დაახლოებით 200.000 მან. ოქროთი), რაც ამ ქალაქის დიდი სიმდიდრის მაჩვენებელია. იმიერ-ამიერ ქართველ ტომთა მიწა-წყლის სრული გაერთიანება ხდება გიორგი II შვილის, მემატიანეთა მიერ „აღმაშენებლად“ წოდებულის, დავითის (II) დროს, რომელიც ქართველი ბაგრატიონების ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და ძლიერი წარმომადგენელია (1089—1125).

დავითმა, გამოიყენა რა მოხერხებულად საგარეო-პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება (თურქების ყურადღება ამ დროს სამხრეთისაკენაა მიპყრობილი ჯვაროსანთა ომების გამო და, საერთოდ, სასულტნო უკვე დაცემის გზაზეა შემდგარი), გაათავისუფლა ქვეყანა ხარკისაგან (1097) და გაწმინდა იგი თურქთა ცალკე მოხეტიალე გუნდებისაგან. 1101 — 1105 წლებში დავითმა შემოიერთა კახეთი და მეზობელი ჰერეთი, ხოლო 1110—1115 წლებში დაიპყრო ტფილისის საამიროს მნიშვნელოვანი სიმაგრეები (სამშვილდე, რუსთავი და სხვ.), რაც დაგვირგვინდა თვით ტფილისის აღებითა (1122) და მასში სამეფო რეზიდენციის გადმოტანით. სამეფოს გაერთიანება დამთავრდა ყოფილი სომხითის სამეფოს (ქვემო ქართლში) მთელი ტერიტორიის შემოერთებით.

დავითის მეფობა მეტად მკაფიო პერიოდია სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალური არისტოკრატიის ურთიერთ ბრძოლის ისტორიაშიაც. ეს ბრძოლა განუყრელად თან სდევდა ფეოდალური მონარქიის დაბადებასა და განვითარებას. მსხვილი ფეოდალები მიისწრაფიან თავისი განკერძოებულისა და განუყოფელი

სენიორიების შიგნით შეუზღუდველი ბატონობის შენარჩუნებისაკენ და სათანადო შინაარსით უნდათ აავსონ სამეფო ხელისუფლებაც. მეფე კი ცდილობს შეზღუდოს ფეოდალთა თვითნებობა და დაიმორჩილოს ისინი, ეყრდნობა რა საშუალო და წვრილ აზნაურობას და საქალაქო-სავაჭრო წრეებს. ამასთან ერთად მეფე მსხვილ მემამულეთა ცალკე ჯგუფების ანტაგონიზმსაც იყენებს. ფეოდალურ საწარმოო ძალთა განვითარების ინტერესები მოითხოვდა მიწათმფლობელობის გამსხვილებას, მიწაზე ფეოდალური საკუთრების საბოლოო დამყარებას, მაგრამ, ამასთან ერთად, მმართველობის ცენტრალიზაციას, პოლიტიკური დაქსაქსულობის მოსპობასა და ერთიანი მტკიცე ხელისუფლების დამყარებას. ამ წინააღმდეგობათა ქსელში ბრძოლის შედეგი განისაზღვრებოდა მრავალი და მრავალფეროვანი შინაგანი და გარეგანი პირობებით. მე-11 საუკუნის სიგრძეზე ფეოდალური არისტოკრატია მეფეებმა ვერ მოსტეხეს. ამ მხრივ დამახასიათებელი ეპიზოდია ბაგრატ IV და ლიპარიტ, კლდეკარის ერისთავთა-ერისთავის ბრძოლა, რომელიც, ცვალებადი წარმატებით, ოცი წელიწადი გაგრძელდა (ერთ დროს მეფე იძულებული იყო თითქმის ტახტზედაც ხელი აეღო).

მდგომარეობა მნიშვნელოვნად იცვლება დავითის მეფობაში. დავითი თანდათან ზღუდავს ფეოდალთა უფლებებს, სარგებლობს რა ხელსაყრელი პირობებით და ეყრდნობა რა წვრილსა და მსახურეულ აზნაურობას, საქალაქო-სავაჭრო წრეებსა და, ნაწილობრივ, თავისუფალ წვრილ მწარმოებლებსაც. დავითის თვითმპყრობელობა უფრო მკვეთრ გამოხატულებას იღებს მეფობის ბოლო პერიოდისთვის. დავითმა სცადა მოესპო არისტოკრატიული გავლენა ეკლესიაშიაც (1103 წ.), რომელიც ამ დროისთვის სავსებით ფეოდალური ორგანიზაცია [იყო]; გააძლიერა და გააუმჯობესა მმართველობის აპარატი, მოახდინა ჯარის რეორგანიზაცია. უკანასკნელ აქტს მეფისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ძველი ფეოდალური რაზმების გაძლიერებასთან ერთად დაწესებულ იქნა ლაშქრის ახალი სახეები: ქირის ჯარი ყივჩაყებისა, რომელნიც ჩრდილო კავკასიიდან იქნენ გადმოსახლებულნი საქართველოში და რომელნიც მეფეს 40.000 მეომარს აძლევდნენ, და სპეციალური სამეფო გვარდია („მონა-სპა"), ხუთი ათასი კაცისაგან შემდგარი. ამ რეფორმამ მკვეთრად შეცვალა შინაურ ძალთა განწყობილება, ცენტრალური ხელისუფლების სასარგებლოდ. ამასთან ერთად იგი მეტად აძლიერებდა შესაძლებლობას საგა-

რეო დაპყრობითი პოლიტიკისას, რომელსაც მიზნად ჰქონდა უცხო ტერიტორიების, მსხვილი სავაჭრო ქალაქებისა და გზების დაპყრობა და ხარკისა და ნადავლის მიღება. მსგავსი საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღწერილ შინაგან პოლიტიკასთან და ამ უკანასკნელიდან გამომდინარეობდა კიდეც. დავითის მეფობის უკანასკნელ პერიოდში და მისი მემკვიდრეების— დემეტრეს (1125 — 1156), გიორგი III (1156 — 1184) და, განსაკუთრებით, თამარის (1184—1213) დროს საქართველოს ეს დაპყრობითი პოლიტიკა თანდათან ფართოვდება.

მე-13 ს. დამდეგისათვის მთელი თანამედროვე ამიერ-კავკასია შემოდის საქართველოს ფეოდალური მონარქიის ფარგლებში — ან უშუალო შეერთების, ან ვასალური დამოკიდებულების ფორმით. გარდა ამისა, საქართველოს პოლიტიკური გავლენა ვრცელდება ჩრდილოეთ-კავკასიაზე, ირანზე, სომხეთის სამხრეთ პროვინციებზე და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე (აქ 1204 წ. თამარის ჯარებმა საფუძველი ჩაუყარეს ტრაპიზონის სამეფოს).

მეზობელთა მიწა-წყალზე თავდასხმა, გაძარცვისა და ადამიანთა ტყვედ წაყვანის მიზნით, ქართველ ფეოდალთა ჩვეულებრივ საქმიანობად იქცა. ამ მხრივ დამახასიათებელია „ლაშქრის“ (სამხედრო-ფეოდალური უმაღლესი წრის) მიმართვა გიორგი III-დმი: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა დარბევისა!“ მემატიანის გადმოცემით, მეფემ შეიწყნარა ეს განცხადება და გამართა გრანდიოზული ლაშქრობა მეზობელ ქვეყნებზე.

ეს ეპიზოდი საინტერესოა სხვა მხრითაც — იგი მიგვითითებს ფეოდალური არისტოკრატიის ახალ გაძლიერებას და, ამასთან ერთად, ამ საზოგადოებრივი წრის საერთო მდგომარეობასაც ახასიათებს. დავითის ღონისძიებანი მოკლეხნიანი გამოდგნენ. რეალური ცხოვრების დამოკიდებულებანი სხვაგვარად ინაკვეთებოდნენ. დავითის შინაგანმა პოლიტიკამ, ბოლოსდაბოლოს, თვითმპყრობელობის „მოყვრები“ უფრო დააზიანა, ვიდრე „მტრები“. ფეოდალური არისტოკრატია ვერ იქმნა საბოლოოდ მოტეხილი, პირიქით, იგი დავითის მემკვიდრეების დროს იზრდება და მტკიცდება, განიცდის რა უკანასკნელ ძლიერ დარტყმას გიორგი III დროს, რომელმაც, პასუხად მსხვილ მემამულეთა დიდი აჯანყებისა ორბელთა მეთაურობით (1177 წ.), სცადა გაეევსო სახელმწიფო აპარატი თავისი ერთგული „უაზნო“ (არა არისტოკრატიული, „დაბალი“) წარმოშობის პირებით (1178 — 1184). ფეოდალური არისტოკრატია სრულ წარმატებას აღწევს გიორგის ქალის, თამარის, დროს.

ახლა „დიდებულები“ (მსხვილი ფეოდალი-მემამულენი) ხდებიან სახელმწიფოს შეუზღუდველი პატრონები. თამარის მეფობის პირველსავე წელს ისინი აძევებენ სახელმწიფო აპარატიდან მათთვის ღრმად საძულველს, გიორგი III მიერ დაყენებულს, „უაზნო“ და „უგვარო“ მოხელეებს. მოწინააღმდეგე საზოგადოებრივმა ძალებმა სცადეს (1185) დაებრუნებინათ დაკარგული მდგომარეობა და დაეპყროთ ახალი პოზიციებიც, აშკარა აჯანყების გზით. მეამბოხეთა მეთაური და მოძრაობის ბელადი ყუთლუ-არსლანი, თავის დროს თამარის მამის მიერ ფინანსთა მინისტრად („მეჭურჭლეთ-უხუცესად“) დანიშნული, დედოფლისაგან მოითხოვს უმაღლესი ხელისუფლების ახალი ორგანოს, „კარავის“, დაწესებას, რომელსაც უნდა მიესაკუთრებინა ძირითადი ფეოდალური უფლებანი „ბოძებისა და მიღების, წყალობისა და შერისხვის“ განგებისა და რომლის დადგენილებანიც მეფეს შესასრულებლად უნდა გადასცემოდა. ამ ფეოდალური პარლამენტის წევრებად ყუთლუ-არსლანი და მისი თანამოაზრენი თავის თავს გულისხმობენ. ეს მოძრაობა მარცხს განიცდის.

დიდგვარიან დიდებულთა ბატონობის მთავარი ორგანოებია „დარბაზი“ და „სავაზირო“. დარბაზის, მეფის საბჭოს, რეალური მნიშვნელობა განისაზღვრება ცენტრალური ხელისუფლებისა და ფეოდალური არისტოკრატიის ძალთა ურთიერთ განწყობილებით. უდიდეს გავლენას დარბაზი აღწევს თამარის დროს, როცა მისი დასტურის გარეშე მეფე ვერცერთს მნიშვნელოვან საქმეს ვერ სწყვეტს.

„სავაზირო“ (სამინისტრო) თანდათან ძლიერდება თავისი მნიშვნელობით. იზრდება სავაზიროს წევრთა რიცხვიც და მათი უფლებამოსილობის ფარგალიც. ეპოქის დასასრულს ქართული სავაზირო შესდგება უკვე 6 ვაზირისაგან.

თანდათან რთულდება პროვინციალური ადმინისტრაციაც, რომლის უმსხვილესი წარმომადგენლებია „ერისთავთ-ერისთავები“ და „ერისთავები“, უმსხვილეს ადმინისტრაციულ ერთეულთა მმართველები.

„ერისთაობის“ მემკვიდრეობით თანამდებობად გადაქცევისადმი მისწრაფებაში აგრეთვე მკაფიოდ იჩენს თავს ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მე-10 — 13 საუკუნეები ქართული ფეოდალიზმის აყვავების ხანაა. საზოგადოების წყობა ჩამოყალიბებულ ფეოდალურ ხასიათს იღებს.

მიწათმფლობელთა გაბატონებული კლასი თავსდებოდა ერთს ფეოდალურ წოდებაში — „აზნაურობაში". მაგრამ აზნაურები განირჩეოდნენ ერთმანეთში თავისი ქონებრივი და საზოგადოებრივი შეძლებითა და თვით „აზნაურობის" წარმოშობით. იყვნენ ჩამომავლობითი, მემკვიდრეობითი („მემამულე", „ნათესავი") აზნაურები და „მსახურეული" აზნაურები.

უფრო მსხვილი მემამულენი შეადგენდნენ „დიდებულთა" ჯგუფს, ქვეყნის ნამდვილად გაბატონებულსა და მმართველ ფენას, რომელსაც აგრეთვე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი ეჭირა ხოლმე. მეტად განვითარებული იყო აგრეთვე ფეოდალური იერარქია სენიორებით, ვასალებითა და არიერვასალებით. სენიორს ეწოდებოდა „პატრონი", ვასალს — „ყმა". უმაღლეს „პატრონად" ითვლებოდა მეფე. აზნაურთა ცალკე ჯგუფები ასეთსავე დამოკიდებულებაში იყვნენ ურთიერთ შორის. დიდი აზნაურების დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ მრავალრიცხოვან წვრილ აზნაურთა სახლები,— ზოგჯერ ასობით.

ზოგიერთი დიდებულის ფეოდალური სამფლობელო თავისი სიდიდით მთელ სამეფოს ემსგავსებოდა. „პატრონყმობის" (ასე ერქვა სენიორისა და ვასალის დამოკიდებულებას) საფუძველი იყო მიწა: „ყმა" იღებდა მიწას „პატრონისაგან" პირობითი მფლობელობისა და სარგებლობისათვის, და სამაგიეროდ ვალად იდებდა „პატრონის" ერთგულს სამხედრო სამსახურს.

პირობითს მფლობელობაში შეიძლებოდა გადაცემული ყოფილიყო სხვა ობიექტებიც (სახელმწიფოებრივი თანამდებობანი და სხ.). მიწათმფლობელობის პირობითობასაც სხვადასხვა ფორმები ჰქონდა: იყო მიწები „საპატიო" (სამეფო სამსახურთან დაკავშირებული), „სახარაჯო" (მფლობელის სასარგებლოდ ხარაჯადადებული ანუ დახარკული), „საკუთარი" და „სანახევრო" (პირველთაგან შემოსავალი მთლიანად ეკუთვნოდა მფლობელს, მეორეთაგან — სანახევროდ), „სამამულო" ანუ „სამკვიდრო" (სამემკვიდრეო მფლობელობაში გარდამავალი) და სხვ.

აღწერილი ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშნები იყო აგრეთვე კომენდაცია („შეწყალება"), ბენეფიციუმი („წყალობა", „ბოძება"), ინვესტიტურა შესაფერი ცერემონიალით („დალოცვა" და სხ.) და სხვ. ფართოდ იყო გავრცელებული იმუნიტეტი („შეუვალობა", „თავისუფლობა"), განთავისუფლება ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა და გამოსაღებთაგან. შეუვალობით განსაკუთრებით ეკლესია-მონასტრები და მსხვილი მემამულენი

სარგებლობდნენ. დასავლეთ ევროპის მსგავსად, დიდ განვითარებას პოულობს აგრეთვე რაინდობა („მოყმე“, „ჟაბუკი“) და მისი იდეოლოგია.

მთელი ეს შენობა დამყარებული იყო დამოკიდებული სოფლის მოსახლეობის ექსპლოატაციაზე. ეს სოფლის მოსახლეობა იყოფოდა ფეოდალისაგან დამოკიდებული, მოწინავე და წამყვანი რაიონების, უმრავლესობად („მდაბიო“, „მსოფლიო“, „მიწის მოქმედი“) და ჯერ კიდევ თავისუფალ სოფლის მეურნეთა უმცირესობად, რომელიც ძნელად მისავალ ხეობებსა და მაღალმთიან რაიონებში აფარებდა თავს. გლეხობის ფეოდალური დამოკიდებულების გამკაცრება და საკუთრივს ბატონყმურ ურთიერთობაში გადასვლა ამ ეპოქაში სულ უფრო და უფრო ჩქარი ტემპით წარმოებს.

ფეოდალისაგან დამოკიდებული გლეხობა იყოფოდა ორ დიდ ჯგუფად: ერთს მამულიდან ადგომისა და სხვა მემამულესთან წასვლის უფლება უკვე წართმეული ჰქონდა, იგი მიწაზე იყო მიმაგრებული; მეორე ამ თავისუფლებით ჯერ კიდევ სარგებლობდა. ერთსაც და მეორესაც დაკისრებული ჰქონდა, როგორც „სამუშაო“, სხვადასხვა ხასიათის შრომითი ვალდებულება (მემამულის მეურნეობაში აუნაზღაურებელი მუშაობა გარკვეულს, კვირეულს ან წლიურ დღეებში, ციხის ბეგარა, ტვირთი და მრავ. სხვა), ისე აგრეთვე მრავალრიცხოვანი ნატურალური გამოსაღები, რომლითაც გლეხის მეურნეობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დარგი იყო დაბეგრილი (მარცვლიანი და ტექნ. კულტურები, მევენახეობა, მესაქონლეობა და სხ.). გლეხთა ზოგიერთი ჯგუფის პირადი დამოკიდებულება მძიმე იყო; წყაროები ხშირად იხსენიებენ გლეხთა ყიდვა-გაყიდვას. თავისი მდგომარეობის წარმოშობის მიხედვით ყმები იყოფოდნენ „მკვიდრებად“, „ნასყიდებად“, „შეწირულებად“, „ნებიერებად“ (გალატაკებული მეურნე, რომელიც იძულებულია „ნებით“ ჩადგეს გლეხში) და სხ. კუთვნილების მიხედვით ყმები იყოფოდნენ „სასეფოებად“ (მეფის ყმები), „საეკლესიოდ“ და „საეროდ“. ბატონყმური ურთიერთობის მთელს გლეხობაზე განვრცობის ტენდენცია იზრდებოდა და ძლიერდებოდა მე-12 საუკუნის მთელ სიგრძეზე. ფეოდალიზაციის პროცესი თანდათან იჭრებოდა უკვე მაღალმთიან რაიონებშიც. ამ ნიადაგზე თამარის მეფობის დასასრულს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში დიდი აჯანყება ხდება. სამი თვე დასჭირდა ხელისუფლებას აჯანყებულთა დასამორჩილებლად, რომელნიც თავისუფლების შესანარჩუნებლად და, მათთვის გამზადებული, ფეოდალური უღლის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ქართველი საზოგადოების ფეოდალიზაციის ზრდა მიმდინარეობს მისი მატერიალური საწარმოო ძალების, შრომის საზოგადოებრივი განაწილებისა და სააღებმიცემო პროცესების ზრდის პირობებში და ნიადაგზე. სოფლის მეურნეობა აღწევს უმაღლესს დონეს, ნატურალური მეურნეობის სამყაროს თვალსაზრისით.

თითქმის მთელი სასარგებლო მიწა გამოყენებულია სათანადო კულტურებისათვის (სხვადასხვა პურეულნი, ბოსტნეულნი, სელი, ბამბა და სხვა ტექნიკური კულტურები, ხეხილები და სხ.). სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას ხელს უწყობს კარგად დაყენებული მელიორაცია. მეტად ვითარდება განსაკუთრებით რენტაბელური კულტურები, პირველ რიგში — მევენახეობა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეაბრეშუმეობა. მეურნეობაში საკმაო წონით სარგებლობს მეფუტკრეობაც. ფართოვდება ხელოსნური წარმოებაც, რომელიც სპეციალდება ცალკე დარგებისა (გვხვდება საშ. საუკუნეებში ცნობილი თითქმის ყველა ხელობა) და ცალკე ბუნებრივი რაიონების მიხედვით. პირდაპირი მითითება არ არსებობს, მაგრამ საფიქრებელია ამქართა არსებობაც.

ვაჭრობას, როგორც საშინაოს, ისე საგარეოს, საკმაოდ ვრცელი ფარგლები ჰქონდა. სავაჭრო საქონლის როლში გამოდის მრავალგვარი და სხვადასხვა პროდუქტი ქალაქისა და სოფლის ხელოსნური წარმოებისა (აბჯარი, საოჯახო ნივთები, ქსოვილები, სას.-სამ. იარაღები და სხვა) და სოფლის მეურნეობისა. შემოჰქონდათ უმთავრესად ძვირფასი ქსოვილები, საომარი იარაღი და საჭურველი საუკეთესო ხარისხისა, ძვირფასი ქვები, კეთილშობილი ლითონები, ნელსაცხებლები, უცხოური და ძვირფასი საკვები საგნები და სხვა. ამგვარი საქონლის მომხმარებელი იყო სამეფო სასახლე, რომელიც ამ დროს დიდი ბრწყინვალებითა და ფუფუნებით ცხოვრობდა, და ფეოდალური დიდკაცობა. ფართო მოხმარების საიმპორტო საქონლიდან მთავარი ადგილი ეჭირა მარილს, ხმელ თევზს, რკინას.

სავაჭრო კაპიტალთან ერთად ვითარდება სავახშო კაპიტალიც. ფულს სესხად იძლევიან მონასტრებიც, რომელნიც ამაში მეტად მაღალ პროცენტებს იღებენ. ძლიერ ვითარდება საქალაქო ცხოვრებაც. უმსხვილესი ქალაქებია: ტფილისი, ქუთაისი, დმანისი, რუსთავი, ხუნანი, ახალქალაქი, სამშვილდე, ცხუმი (სოხუმი) და სხ. უფრო წვრილი ქალაქებითა და მსხვილი სავაჭრო დაბებით დაფარულია მთელი ქვეყანა. ვაჭრები იყოფიან მსხვილ, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრე-

ბული მნიშვნელობის მქონე, „დიდ ვაჭრებად“ და წვრილ, ნაწილობრივ ფეოდალურ დამოკიდებულებაში მყოფ, ვაჭრებად.

არის ნიშნები საქალაქო თვითმმართველობის არსებობისა: ტფილისში, მაგ., არიან ქალაქის „ბერები“, უხუცესები, რომელნიც ზოგჯერ ქალაქის ბედსაც სწყვეტენ.

მე-10—13 საუკუნეები არის ფეოდალური ნივთიერი და სულიერი კულტურის უმაღლესი განვითარების ხანა. მონუმენტალური ხუროთმოძღვრება, ჩუქურთმა (ორნამენტი), ჭედვა ლითონზე (კერძოდ, ოქრომჭედლობა), მინანქარი, მოზაიკა („სოფიის კენჭი“), მხატვრობა შესანიშნავი ძეგლებითაა წარმოდგენილი.

ქართული საშუალო საუკუნეების ორნამენტი ითვლება საუკეთესოდ მთელ მსოფლიოში. მინანქრისა და მოზაიკის ძეგლები საუკეთესო ბიზანტიურ ნიმუშებს არ ჩამოუვარდება. მთელი ხელოვნება და მატერიალური კულტურა გაბატონებული კლასის გემოვნებას ასახავდა და მასვე ემსახურებოდა. გლეხობასაც ჰქონდა თავისი, თუმცა უფრო სუსტი კულტურა, რომელიც დღემდისაც მოღწეულია ზოგიერთი საინტერესო ძეგლის სახით (გლეხური საცხოვრებელი, ტანთსაცმელი და სხვა).

იფურჩქნება ფეოდალური ლიტერატურაც. საეკლესიო მწერლობა სულ უფრო და უფრო უთმობს ადგილს საერო მწერლობას, რომელიც წარმოდგენილია ნეოპლატონური მიმართულების ფილოსოფიით (ცნობილი იოანე პეტრიწი და სხ.), ისტორიოგრაფიით (ისტორიულ თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ და სხ.) და, განსაკუთრებით, პოეზიით.

ახალი ცხოვრების პირობები ფეოდალისათვის, რომელიც თავისი პროვინციალური რეზიდენციიდან ახლა სატახტო ქალაქში არის გადასახლებული, სამეფო კარის სიახლოეს, და რომელიც რაინდის ცხენით ნიადაგ ჰქელავს მეზობელი, შორეული თუ ახლობელი, ქვეყნების მიწა-წყალს, საშოვრისა და სახელის ძებნაში, ეს პირობები ამ ფეოდალისათვის და მისი „მოცალეობის“ საამო შინაარსით ასავსებად მოითხოვს რაინდულ რომანს, კარის ხოტბას, რომანტიკულ „ქალ-ვაჟიანს“. ჩნდებიან რიგი მაღალნიჭიერი პოეტები (შავთელი, ჩახრუხაძე, თმოგველი, ხონელი და სხვ.), რომელნიც ასახავენ ფეოდალურ ყოფას, აქებენ მოყმე-ჭაბუკთა ვაჟკაცობას, იდეალური შარავანდით ჰმოსავენ ფეოდალურ ურთიერთობას. ფეოდალური პოეზია არის სოციალური და ბუნებრივი სინამდვილის ფეოდალური შემეცნების მხატვრული ფორმაც;

ამ პოეზიის გვირგვინია გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“. რუსთაველი ცხოვრობდა თამარის ეპოქაში, როდესაც ქართველი ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკურმა და კულტურულმა აღმავლობამ თავის ზენიტს მიაღწია. ეს პოემა, ბრწყინვალე ფორმითა და ღრმა შინაარსით, დღემდე რჩება, როგორც ქართული პოეზიის უდიდესი დიდება და, იმავე დროს, საშუალო საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი ძეგლთაგანი.

ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის

1. ქართული პატრონყმობა, რომელიც მრავალ ანალოგიას პოვებს სხვა ფეოდალურ ქვეყნებში, ქართული ფეოდალიზმის ერთი ძირითად მოვლენათაგანი იყო; ამდენადვე, პატრონყმობის შესწავლა მჭიდროდ დაკავშირებულია ქართული ფეოდალიზმის მთლიანად, შესწავლასთან რაც, სხვათა შორის, არა მარტო კერძოობითის (პატრონყმობა), არამედ ზოგადის (ფეოდალიზმი) სამეცნიერო კვლევის ისტორიის გათვალისწინებას გვავალებს.

2. ქართული ფეოდალიზმის შესწავლა უკვე XVIII საუკუნეში დაიწყო, ვახუშტის მეოხებით, ხოლო ფართოდ გაიშალა XIX ს-ში, აკად. მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, ნ. ურბნელისა და სხვათა წყალობით. საკუთრივ პატრონყმობის პრობლემა XIX ს-ის ქართულ ისტორიოგრაფიას გადაუწყვეტელი დარჩა.

3. მკვიდრი საფუძვლის ჩაყრა ფეოდალური საქართველოს ყოველმხრივი შესწავლისათვის, თანამედროვე მეცნიერული აზროვნების ლიანდაგზე დაყენებით, აკად. ივანე ჯავახიშვილის ღვაწლია. მასვე ეკუთვნის დამსახურება ქართული პატრონყმობის შესახებაც არსებითი მნიშვნელობის დებულებების წამოყენებისა, ისევე როგორც სათანადო ძირითადი ფაქტიური მასალის კრიტიკული შესწავლისა და გამოქვეყნებისა, X-XIII სს. ადგილობრივი და უცხოური წყაროების მიხედვით.

4. პატრონყმობა, განხილული იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია თავისი განვითარების კლასიკურ ხანაში (უპირატესად — X-XII სს.), არის (აღწერილობითი თვალსაზრისით) ისეთი ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საადგილმამულო დამოკიდებულებაზე, სამეედრო სამსახურის პირობით.

5. მოცემული დებულება დამყარებულია პატრონყმობისა და საერთოდ ქართული ფეოდალიზმის ძირითადი ტერმინებისა და მათ მიერ ასახული რეალური ურთიერთობის შინაარსის ანალიზზე.

6. ამდენადვე პატრონყმობა არ ფარავს მთელს საზოგადოებრივ ურთიერთობას, კერძოდ — ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ანტაგონისტური კლასების ურთიერთობას, რომელიც დამყარებულია მწარმოებელი კლასის ზედმეტი შრომის მითვისე-

ბაზე მემამულეთა მიერ, პირველთა საადგილმამულო დამოკიდებულების პირობებში უკანასკნელთაგან. ამ ხასიათის დამოკიდებულება, ე. ი. ფეოდალური ექსპლოატაცია, თვით შეადგენს აუცილებელ საძირკველს განვითარებული პატრონყმური ურთიერთობისათვის.

7. თავისი საზოგადოებრივი ფუნქციის თვალსაზრისით პატრონყმობა არის მემამულეთა შინაგანი ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმა.

8. პატრონყმობის საზოგადოებრივი ფუნქციის ხასიათის განმარტება, მოხსენებაში მოცემული, დამყარებულია სახელმწიფოს ცნების განსაზღვრებაზე ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ: „სახელმწიფო წარმოიშვა მტრულ კლასებად საზოგადოების გათიშვის საფუძველზე, წარმოიშვა იმისათვის, რომ ლაგამამოდებული ჰყოლოდა ექსპლოატირებული უმრავლესობა ექსპლოატატორული უმცირესობის ინტერესებისათვის. სახელმწიფოს ხელისუფლების იარაღები უმთავრესად თავმოყრილი იყო არმიაში, დამსჯელ ორგანოებში, დაზვერვაში, საპატიმროებში. სახელმწიფოს მოქმედებას ახასიათებს ორი ძირითადი ფუნქცია: შინაგანი (მთავარი) — ლაგამამოდებული იყოლიოს ექსპლოატირებული უმრავლესობა, და საგარეო (არა მთავარი) — გააფართოოს თავისი, გაბატონებული კლასის ტერიტორია სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის ხარჯზე, ან დაიცვას თავისი სახელმწიფოს ტერიტორია სხვა სახელმწიფოთა მხრივ თავდასხმისაგან. ასეთი იყო საქმის ვითარება მონათმფლობელური წყობილებისა და ფეოდალიზმის დროს. ასეთია საქმის ვითარება კაპიტალიზმის დროს". სწორედ ეს ორი, შინაგანი და საგარეო, ფუნქცია „ახასიათებს" პატრონყმობას და ამდენად შეიძლება ითქვას, რომ „პატრონყმობა" წარმოადგენს ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკურ ფორმას ამ საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

9. პატრონყმური ურთიერთობა წარმოიშვა საქართველოში საზოგადოების შინაგანი ევოლუციის შედეგად, ფეოდალური წყობილების საერთო განვითარების ნიადაგზე. ქართულ პატრონყმობას, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სიტყვიერი ფორმითაა შემოსილი, გრძელი და მრავალსაფეხურიანი ისტორია აქვს.

10. ქართული პატრონყმობის წარმოშობისა და განვითარების გზების ისტორიისა და ქრონოლოგიისათვის საყურადღებოა

თვით ტერმინი „პატრონი“, რომელიც, რათქმაუნდა, არის რომაული „patronus“ (აკად. ივ. ჯავახიშვილი).

11. ტერმინი „პატრონი“, რომელიც დადასტურებულია ქართულ მწერლობაში უკვე, ყოველ შემთხვევაში, X ს-ში (მერჩულის თხზულება — თხრობაში ტფილისის ამირა საჰაკის „პატრონობის“ შესახებ IX ს-ის დამდეგისათვის; „მატიანე ქართლისაჲ“ — თხრობაში ლიპარიტ ბაღუაშის დავით ბაგრატის ძის ბაგრატიონის პატრონობის ქვეშ შესვლის შესახებ IX ს. სამოცდაათიან წლებში; ფავნელთა სიგელი), შემოდის აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მას უკვე ხვდება როგორც ეს მოვლენა, სახელდებული უპირატესად — „უფლად“, „მამფლად“, ისე თვით პატრონყმური ურთიერთობაც, — აფხაზთა სამეფოდან, როცა ეს უკანასკნელი, IX საუკუნის დამდეგიდან, თავის ფეოდალურ ექსპანსიას განავრცობს ლიხთ-ამერეთში.

12. აფხაზთა სამეფომ ტერმინი „პატრონი“ მემკვიდრეობით მიიღო ეგრისის სამეფოდან, რომლის პოლიტიკური სტრუქტურა უკვე წარმოგვიდგენს თუმც სუსტად განვითარებულს, მაგრამ მაინც „პატრონყმურ“ ფორმას: ეგრისის მეფე,—კეისრის „ყმა“ და ეგრისის მეფის „ყმები“—ადგილობრივ ტომთა მთავრები, ერთიცა და მეორენიც უმთავრესად სამხედრო სამსახურის ვალდებულებით არიან დატვირთულნი.

13. ტერმინის წარმოშობის აღნიშნულ წყაროს ადასტურებს პატრონყმური ურთიერთობის მეორე კონტრაჰენტის, „ყმის“ აღსანიშნავი ტერმინი, დღემდე შემორჩენილი ერთ-ერთ ქართველურ ენაში, სახელდობრ, სვანურში — „ფამლი“ (უპირატესად „მსახურის“ მნიშვნელობით), რაც აგრეთვე ლათინური „famulus“-ია (ნაკლებ სავარაუდებელია „familia“). ეს ტერმინი ფეოდალურ დასავლეთ ევროპაშიც გვხვდება, „ვასალის“ მნიშვნელობით.

14. ეს ტერმინები თავისი წარმომავლობით იძლევიან მათი საქართველოში შემოტანის ქრონოლოგიური განსაზღვრის საშუალებასაც. ეს ამბავი დაახლოებით მეოთხე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

15. აღნიშნული ტერმინოლოგიის შემოსვლა აღმოსავლეთ რომის იმპერიიდან საქართველოში არ ნიშნავს თვით დაწესებულების შემოტანასაც. ეს უკანასკნელი ადგილობრივ ნიადაგზეა განვითარებული. ამას მოწმობს, კერძოდ, მეგრული ტერმინი „პატონჭკორალა“, პატრონყმობის აღსანიშნავად, სადაც „ყმა“ აღინიშნება

სიტყვით „ჭკორი“, რაც ეტიმოლოგიურად „წულს“ ენათესავება და სემასიოლოგიურად მასვე უდრის. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა განვითარების დასაწყისში „ყმა“ || „ყრმა“-საც, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩერქეზულ „ყუა“-სთან („ძე“).

ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში

მიწის მითვისება ფეოდალების მიერ, ფეოდალური საზოგადოების ამ ძირითადი საწარმოო საშუალების მონოპოლიზაცია საზოგადოებრივი უმცირესობის მიერ, იყო მთავარი პირობა ამ უმცირესობის სოციალური გაბატონებისათვის. ფეოდალთა მიერ მიწის მონოპოლიზაციის პროცესი ხანგრძლივი და რთული პროცესია და იგი სხვადასხვა გზითაც მიმდინარეობს. აქ მნიშვნელოვანია მიწის მოძრაობის „წმინდა“ ეკონომიური გზები. ჩვენ სხვა ადგილას განხილული გვაქვს ზოგიერთი ეკონომიური საშუალება, რომელთაც შეეძლოთ ცვლილების შეტანა პირვანდელი სახის საადგილმამულო ურთიერთობაში. მაგრამ ეს პროცესი მარტოოდენ წმინდა ეკონომიური გზით არ მიმდინარეობს. აქ კიდევ უფრო დიდ როლს, განსაკუთრებით აღებული ხანისათვის, უკვე წმინდა ძალმომრეობა, პირდაპირი ძალადობა, უხეში იძულება წარმოადგენს. ამ წერილში ჩვენ სწორედ უკანასკნელი გზის განხილვა გვსურს.

ამ „მეთოდის“ შესახებ ის ლიტერატურული ძეგლები, რომელთაც ზემოთაც არაერთგზის მივმართავდით ხოლმე, სრულიად უნებლიედ უაღრესად საყურადღებო ამბებს მოგვითხრობენ; მაგრამ მათი ცნობების ანალიზამდის, სწორი თვალსაზრისისათვის, აუცილებელია გავითვალისწინოთ სათემო მიწების მითვისებისა და კერძო საკუთრებად გადაქცევის ეტაპები.

ეს პროცესი ერთბაშად არ ხდება. საზოგადოდ, ყველაზე ადრე კერძო საკუთრების საგნად სამოსახლო და ნაშენები (საბაღ-ბოსტნე) ადგილები იქცევა. შემდეგ ამას, ერთგვარი მოგვიანებით, სახნავ-სათესი მიწები მოსდევს. ბუნებრივია, რომ ფეოდალური საკუთრება თავდაპირველად სწორედ აქ ჩნდება. საძოვრებზე თემი შედარებით ძალიან დიდ ხანს ინარჩუნებს თავის უფლებებს, მთლიანად ან ნაწილობრივ. ყველაზე ბოლოს და ყველაზე გვიან თემს ხელიდან ტყე ეცლება. თითქმის ყველა ქვეყანაში ხალხის შეგნებაში, სულ უკანასკნელ ხანებამდის, ღრმად იყო გამჯდარი შეგნება, რომ ტყე მთელი თავისი პროდუქციით საზოგადო, სახალხო საკუთრებას შეადგენს.

მკითხველი მოიგონებს, რომ ეგნ. ნინოშვილის „მონადირეს“ „ძლიერ აჯავრებს“ ერთი გარემოება: „ტყე, რომელიც ბატონყმობის დროს თითქმის სოფლის საკუთრებას შეადგენდა, იქ ნადირობას და ხე-ტყის მოჭრას ვერავინ დაუშლიდა, რამდენიმე კაცმა — თავად-აზნაურმა — დაისაკუთრა და უბაჟოდ გარეშე პირს აღარ შეეძლო გაჭაჭანება“. ამ „ახალი კალონის შემოღებით“ აღშფოთებული გურული გლეხი ერთი პირობა თავს ანებებს კიდევაც ნადირობას, მაგრამ ბოლომდის ვერ ითმენს: „აიღო ნება ერთი თავადისაგან და ხელახლა მიჰყო ხელი ნადირობას“. ახალი კანონის მთელი შინაარსი ამ მონადირისათვის მაინც გაუგებარი რჩება, რაც მას დასასრულ მკაცრად დასჯის კიდევაც.

თუ მეცხრამეტე საუკუნეში გურიის გლეხობა, გულის სიღრმეში, ტყეს ისევ თავის საკუთრებად სთვლიდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ხალხის დამოკიდებულება ამ საგნისადმი იმ ხანაში, რომელსაც ჩვენ ახლა ვსწავლობთ.

ვიმეორებთ, თითქმის ყველა ქვეყანაში, უმეტეს წილად, ასეთი თანდათანობით ხდება სათემო მიწების მისაკუთრება და მიტაცება კერძო პირთა მიერ. ამ მხრივ, გამონაკლისს, როგორც ვნახავთ, არც საქართველო წარმოადგენს.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს სხვა ადგილას, რომ საქართველოს ბარში, ბევრად ადრე აღებულ ეპოქამდის, აღნიშნული მთავარი საადგილმამულო კატეგორიები, „ნაშენებითა ღონიერი“ და სახნავ-სათესი მიწები ძირითადად უკვე ფეოდალური საკუთრებისა და მფლობელობის ობიექტია. ახლა ჩვენი ამოცანაა განვიხილოთ პროცესი სათემო საკუთრების შემდგომი მითვისებისა ფეოდალების მიერ. ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურული წყაროები უაღრესად საყურადღებო ჩვენებებს შეიცავენ. მათი მნიშვნელობა არა მარტო იმაშია, რომ ისინი საერთოდ გვიმოწმებენ საზოგადოებრივი ქონების უზურპაციას ფეოდალების მიერ, მიმძლავრების გზით. ამ ცნობების კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ამ პროცესის სავსებით გარკვეულ საფეხურს, ეტაპს, წარმოგვიდგენენ.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით ბასილ ზარზმელის თხზულება. აქ მოთხრობილია ზარზმის მონასტრის აშენების ისტორია, და ეს ისტორია უაღრესად საგულისხმოა ჩვენთვის.

ამ მონასტრის აღმაშენებელნი, სერაპიონი და მისი ამხანაგები, მეზობელი პროვინციის, კლარჯეთის მკვიდრნი იყვნენ. მათ, როგორც ჩანს, იმთავითვე გადასწყვიტეს მონასტრის აშენება

სამცხეში (ავტორი ამ არჩევანს ზეგარდმო ნიშნებით ხსნის). სამცხეში კიდევ ისინი ქვაბლიანის ხეობაზე შეჩერებულან. ახლა მთავარი იყო თვით მიწის მიღება. ეს კი არც ისეთი ადვილი ამბავი ყოფილა. პირველად ბერები ერთს მეტად მაღალ მთაზე, **ბერასჯვარზე** გაჩერებულან. მათს წინამძღოლს, სერაპიონს, დაუნიშნავს კიდევაც სამონასტრო ადგილი. მათ საკმაო ხანს დაუვანებიათ კიდევაც იქაურ, **უტყვისად** წოდებულ, ხევის ბოლოში, იმ ადგილას, რომელსაც თურმე **ძინძეს** ეძახდნენ. ეს ადგილი უმეტესობას ძალიან მოსწონდა, იგი ტყიანი და უდაბური ყოფილა: „განიცადეს და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო და ტყე და შეცვულ ტყეთა და ხეთა, და შეიყვარეს იგი ძმათა მათ“. აქ ბერებს მშენებლობაც კი დაუწყიათ, — „ჭელ-ყვეს და იწყეს შენებად მცირე ტალავარი და ადგილი რამე მონასტრისა და დაყენეს მუნ არამცირედნი დღენი“,—მაგრამ შემდეგ საქმე ცუდად დატრიალებულა. ეს ხევი, როგორც ჩანს, გარკვეული სოფლის ფარგლებში შედიოდა, თუმცა იქ მეკომურები არ იდგნენ (ამას ნიშნავს სწორედ ავტორის თქმა, რომ ის ადგილი „უდაბნო“ იყო). როცა უცხო სტუმრების ძინძეში ჩამოთესლების ამბავი იმ სოფლის ბატონს ანუ, როგორც ავტორი ამბობს, „დაბის უფალს“ გაუგია, საშინლად განრისხებულა და ყოვლად უპატივცემულოდ გაუძევებია ისინი თავისი სამფლობელოს ფარგლებიდან: „ხოლო ეუწყა რა უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებავს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მჭეცებრივ, უწირავ და ბოროტ; რამეთუ არა ინებეს კურთხევაჲ წმიდათა მათგან, ამისთჳს ზედა მიეტევნეს მათ და,— ვითარცა იგი წერილ არს კაცთა მათთჳის ნაზარეველთა, ვითარმედ „მოიყვანეს ქრისტე წუერამდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო“, ეგრეთვე წმიდანი ესე [მოიყვანნეს] პირამდი მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავალით ადგილსა მას“. ე. ი. ამ ბატონსა და მის ხალხს ბერებისათვის უკმეხად გამოუცხადებიათ — არც თქვენი ლოცვა-კურთხევა გვინდა და არც თქვენი მონასტერი, მოგვშორდით თავიდანაო. სერაპიონი და მისი თანამშრომელნი, როგორც ჩანს, გაძალიანებულან. მაშინ ამ ფეოდალს, ალბათ, მსახურებისათვის განკარგულება გაუცია, უტაცნიათ ხელი დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის და ძალით გადაურეკნიათ თავიანთი სოფლის საზღვრებს გარეშე! ავტორი მომხდარ ამბავს მასპინძლების ველურობითა და სიბოროტით ხსნის, მაგრამ ნამდვილი მოტივები სრული გამჭვირვალებით მოჩანს.

ამის შემდეგ ბერები სხვა ადგილას მისულან, რომელიც განსხვავებული თვისებების მქონე ყოფილა. მისულნი ძლივს იკაფავდნენ თურმე გზას ამ ტყიანსა და გაუვალ ვიწროებში. ბერებს სჩვენებიათ, რომ ეს ისეთი ადგილია, რომელსაც მათ აღარავინ შეედავება, და ერთმანეთი დაურწმუნებიათ, ეს არის ზეგარდმო ნანიშნები ადგილიო: „წიაღმოვლეს რა მდინარე იგი (პირველი სოფლის საზღვარი, რომლის გადაღმაც გადარეკილი იყვნენ ბერები) მოვიდეს დასავალით მისსა ვითარ ორ მილიონ (ე. ი. ორი მილის მანძილი გაიარეს), ადგილთა ყოვლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ; მიმორავიდიოდეს ჭირით და შრომით ადგილთა მათ ვიწროთა, ჰოვეს ნიშნები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა“-ო. მოსულებმა მაშინვე ნაპოვნ ადგილას „მცირე ტალავარი“ ააშენეს. ამ ქვეყანაში „მთავარი“ გიორგი ჩორჩანელი იყო. ეს დიდი ფეოდალი იმავე დროს დიდი მონადირეც ყოფილა, როგორც კარგ აზნაურს შეეფერებოდა, და ჩვეულებრივად თურმე სწორედ იმ ადგილებში ნადირობდა, სადაც კლარჯეთიდან მოსულმა მონოზნებმა დაისადგურეს. გიორგის აქ ერთ ადგილას სპეციალური სანადირო სახლიც კი ჰქონია აგებული: ...„უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ **ცხროვა** წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათაჲ და სხუათა ნადირთა ველურთაჲ, და არეთა მას ეშენა სახლი, რომელ, [უკუეთუ] ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ-ყვიან მათს შინა სიბნელისათჳს ღამისა და უვალობისა და სიჴშოისა ტყეთასა“. ახლაც, როცა ბერებმა აქ დაისადგურეს, მთავარი გიორგი თურმე ამ ადგილებში ნადირობდა: ნადირის დევნაში მას ბერების მიერ დანთებული ცეცხლის კვამლი შეუნიშნავს და მსახურთათვის თავისი გულისწყრომა გამოუთქვამს. გიორგის ეს სიტყვები უაღრესად საყურადღებოა. „ვინაჲ არს ადგილსა იმასა სიჴშოჲ კუამლისაჲ, ანუ თუ ვის რად უჴმს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხჳნო ქმნილ არს? დაღათუ სხუაჲ საჴირო რაჲ ვის უჴმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“ ეს რომ ზუსტად გადმოვიღოთ ახალ ქართულზე, შემდეგს მივიღებთ: „საიდან არის იმ ადგილას ხშირი კვამლი? ან ვის რად სჭირია იქ ცეცხლი? თუ ვინმე ნადირს ეძებს, ასე როგორ გაკანდიერებულა და გაუსირცხვილოებულა? ხოლო თუ სხვა რაიმე საჭიროება გასჩენია, ჩვენ როგორ არა გვაქვს ამის შესახებ ცნობა?“ აქ პირდაპირ არის გამოთქმული მთავრის უფლებები ამ უღრან ტყეზე: თუ მეორე ფრაზას კიდევ შეიძლება ორმაგი აზრი ჰქონდეს (მთავარი აღშფოთე-

ბულია ამ ტყეში სხვა მონადირის გაჩენის შესაძლებლობით ან იმის გამო, რომ ეს მისი ნადირობის დროს ხდება, ან იმიტომ, რომ მას ამის შესახებ წინასწარ არ დაჰკითხებიან), სამაგიეროდ უკანასკნელ წინადადებაში აზრი უკვე სავსებით ნათელია: მთავარი პირდაპირ აცხადებს, რომ იგი „მეცნიერ“ უნდა იყოს, ე. ი. მას ცნობა უნდა ჰქონდეს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობის შესახებ, რასაც ამ ტყეში განიზრახავს ან შეასრულებს ვინმე, ვინც არ უნდა იყოს იგი. რადგანაც შემდეგშიაც ტექსტში არა ერთგზის არის აღნიშნული, რომ მოქმედება ხდება სავსებით „უღვაწ“, „უვალსა“ და „უქმ“ ადგილას, სადაც „კაცის ყოფა“ და „კვამლი ცეცხლისა“ საერთოდ საკვირველი ამბავია, რომ იქ მოძრაობა მხოლოდ განსაკუთრებული „ჟირით და შრომიო“ შეიძლება, ისე რომ ჩორჩანელისთანა დიდკაცებისათვის ბერების სადგურში ცხენით მისასვლელად საჭირო ხდება სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელება („რათა მზაყვნენ გზანი, მიმყვანებელნი ადგილსა მას“), და მიუხედავად ასეთი ზომებისა მაინც საჭირო ხდება, მთავრის მოგზაურობისას, კიდევ ქვევითი ხალხის წინდაწინ გაგზავნა ამავე მიზნით („წარავლინნა წინდთ მკჳრცხლ-მავალნი, რათა განჰმზადებდნენ გზათა“),— რადგანაც, ვიმეორებთ, ადგილი ასე მკაფიოდ და რელიეფურად არის დახასიათებული, ამიტომ ეჭვი აღარ უნდა დაგვრჩეს, რომ უწყებულ ტყეში შეუძლებელი იყო სხვაგვარი სამეურნეო საქმიანობა, თუ არ იგივე ნადირობა,—პირველ: რიგში, ტყიური ნაყოფის გროვება, — მეორე რიგში, და, ბოლოს, განსაკუთრებული გაჭირვებისა და ენერგიის დახარჯვის პირობებში, ხე-ტყის მასალის დამზადება. ამიტომ გასაგებია, რომ მთავარი გიორგი ჩორჩანელი ტყეზე თავის უფლებებს ავრცელებს იმ ფარგლებამდის, რომ სხვა პირთა ნადირობასაც აქ თავის ნებადაურთველად არ გულისხმობს. შემდეგი ამბები ამ დასკვნას სავსებით დაგვიდასტურებენ.

ჩორჩანელი ჯერ თავის მსახურ-მახლობელთა საშუალებით და, შემდეგ, პირადადაც უკავშირდება სერაპიონსა და მის ამხანაგებს, იგებს მათ ვინაობას და განზრახვას. ბერებიც შეიტყობენ მსახურისაგან, რომ გიორგი „დიდი მთავარია“, „მთავარია და უფალი (ბატონი) ადგილთა მათ“, და, საერთოდ დაწვრილებითი გამოძიებით რწმუნდებიან, რომ იგი მართლაც „უფალი არს ძათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთაჲ (მიდამოებისა)“. როცა ჩორჩანელი თვითონ ინახულებს ბერებს მათს სადგომში, ისინი გამოუცხადებენ მას „საღვთო ბრძანებას“, სწორედ ამ

ადგილას უნდა აშენდეს მონასტერიო. რაკი ჩორჩანელი ამ ადგილის „უფალია“, მთელი იმ არემარის „მპყრობელია“, ამიტომ ბერების მიმართვა მისდამი, ამ შემთხვევაში, **თხოვნას** უდრის, რათა მთავარმა ინებოს „საღვთო ბრძანების“ განხორციელება. ასე უყურებს საქმეს თვით ჩორჩანელი: „ნუ დაამძიმებთ ჩემ ზედა სათხოველსა“, ეუბნება იგი სტუმრებს, ნუ დაიჟინებთ ამ **სათხოვარსაო**. მთავარი საზოგადოდ მოხარულია, რომ მონასტერი შენდება, იგი წინააღმდეგია მხოლოდ არჩეული ადგილისა, აქ განზრახული საქმის შესრულება შეუძლებელია (იგულისხმება ბუნებრივი პირობები), არის სხვა „ადგილი, რომელ მარჯვე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა“-ო, სხვაგან უჩვენებს. ბერები ჯიუტობენ, ზეციური „ნიშნი და უწყებანი“ ამ ადგილზე მიუთითებენო. აქ მცირე კონფლიქტი იბადება: მთავარი ეუბნება ბერებს, მაშ თუ ეგრეა, ხელს არ შეგიშლით, მაგრამ ვერც შეგიწყობთო. ჩორჩანელი სტოვებს ბერებს და მიდის. შემდეგ იგი ისევ თათბირობს დაახლოებულ პირებთან. უკანასკნელნი ურჩევენ, ჯერ არს „რათა არა დავაბრკოლოთ გულსმოდგინებაჲ მათი“-ო, თითქოს ზემოთმოტანილი განცხადება ჩორჩანელისა ბერების მიმართ, ხელს არ შეგიშლითო, მთავრის ფარულ განზრახვებს არ გამოხატავდა. მთავარი თავისთან იბარებს კვლავ სტუმრებს და ერთხელ კიდევ წინადადებით მიმართავს მათ, შესცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება: „გეევდრები, წმიდანო ღმრთისანო, რათა ერთი მომმადლო მე: რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი და იხილნეთ იგინი, და უკუეთუმცა დიდად მოაშუნდეს სულსა თქვენსა, აჰა ადგილნი და შესავალნი და ყოველი საჴმარი უხუებით“, ტყის მაგიერ კულტურული ადგილები ინებეთ მთელი თავისი შემოსავლით და უხვი ყოველნაირი სახმარითაო. სერაპიონი ისევ თავისაზე დგას და ჩორჩანელი ახლა უკვე მოტყდება, ბერების სურვილს დაჰყვება. ცხადია, რომ ამ მთავრისათვის სამონასტრო ადგილის გამოყოფა და დათმობა ადვილი საქმე არ არის. სხვათა შორის, ბერებთან პირველი საუბრისას, როცა ისინი უარს ამბობენ თავისი არჩევანი ტყის იქით სადმე გადაიტანონ, ჩორჩანელი მათ მწარედ შესძახებს: „ლოცვა ყავთ ჩუენთჳს, წმიდანო, რამეთუ მე არა მშურს ადგილი ესე, ხოლო სხუად თანალმობაჲ და შეწევნაჲ ყოველად შეუძლებელ არს“, დაგვლოცეთ და მშვიდობით ბრძანდებოდეთ (ამ სიტყვების თქმისთანავე მთავარი ცხენზე შეჯდა და სასწრაფოდ წავიდა), მე არ მშურს თქვენთვის ეს ტყე, მაგრამ სხვაფრივ კი თქვენი თანაგრძნობა და დახმარება სრულებით

არ შემიძლიაო. „არა მშურს“ მოცემულ გარემოში საკმაოდ ირონიულად ისმის, ჩვენ მზად ვართ იგი პირუკუ გავიგოთ — ჩორჩანელის საქციელი გვაიძულებს ამას.

უეჭველია, რომ ორსავე მხარეს თავის საფუძველი ჰქონდა. რა მოტივით არჩევდნენ ბერები ულრან ტყეს გაკაფული და გაშენებული ადგილების წინაშე? უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი რაღაც უპირატესობას ხედავდნენ მათ მიერ არჩეულ პუნქტში. მთავარს რაღა ამოძრავებდა? შესაძლოა მკითხველს ეჭვიც შეეპაროს, ხომ არ ამახინჯებს ჰაგიოგრაფი ფაქტებს? იქნებ სინამდვილეში პირუკუ იყო? მაგრამ ისეთი ,დაჟინებით არის ზემომოთხრობილი დალაგებული გარკვეული მიმართულებით, რომ ასეთი ეჭვის დასაბუთება ჯერჯერობით საძნელო იქნებოდა. შეიძლება ასეთი განმარტებაც იყოს წამოყენებული: ამავე თხზულებიდან ვიცით, რომ ჩორჩანელი ძალიან მდიდარი კაცია, ამასთან — **უშვილო ქვრივი**, მისი უზარმაზარი ქონება ისედაც სხვას უნდა დარჩეს (დარჩა კიდევაც). ამიტომ მისთვის ძნელი არ არის თავისი ვრცელი მამულიდან ჩვეულებრივი ნაკვეთების გამოყოფა მონასტრისათვის (საბოლოო ანგარიშით, იგი არც წააგებს). იმ ტყეს კი, რომელიც მისთვის ყველაზე საყვარელი სანადირო ადგილია, იგი ისე ადვილად ვერ ელევა. „რისთვის ჩავიმწარო სიბერის დღეები“-ო, ალბათ, ფიქრობს იგი. შესაძლებელია ისიც (იხ. ქვემოთ), რომ ტყეს ჩორჩანელისათვის სხვაგვარი (საწარმოო?) მნიშვნელობაც ჰქონდა.

. რაკი მთავარი დაეთანხმა ბოლოს და ბოლოს ბერების სურვილს, იგი მათ საგანგებო კაცს ატანს ასეთი დავალებით—გაჰყევი ამათ იმ ადგილებში, რომელიც მოსწონთ, და რასაც დილიდან საღამომდის შემოუარონ, დამითმია მაგათთვის, „მიმიცემიეს მათდა“-ო. მაშასადამე, ტყის გადაქცევა სამონასტრედ მთავრის ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული. იქვე ჩორჩანელი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს თავის უფლებებს: ყველას გამოუცხადე, „ყოველთავე აუწყე, ვითარმედ **თავისუფლებით** და **ნებისაებრ** აშენებენ მონასტერსა-საბრძანებელსა შინა ჩვენსა“-ო.

შემდეგ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, მთავრის აზრით, მის მიერ ბერებისათვის ადგილის „მიცემა“ დროებითი და პირობითი ამბავი არ არის, არამედ ამ ადგილის „დაპყრობას“ ნიშნავს მოსულთა მიერ. საყურადღებოა ისიც, რომ მთავარი წინასწარვე შესაძლებლად სთვლის და ითვალისწინებს წინააღმდეგობას ვიღაცის მხრივ ამ „დაპყრობის“ მიმართ. ბერებისათვის გატანებულ მსახურს იგი ეუბნება: „უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრ-

წეველი მათდა უცხოებისათჳს“, თუ ვინმე რამე დაბრკოლება შეუქმნას ამ ხალხს, იმიტომ რომ ისინი „უცხონი“, არა ამ ადგილის მკვიდრნი, არიან, ყველას აუწყე, რომ ჩვენი ნებართვით და თავისუფლებით აშენებენ მონასტერს ჩვენს საბრძანებელშიო. თვით ბერებსაც ასეთ დაპირებას აძლევს: დარწმუნებული იყავით, რომ **„ყოვლითა ძალითა** თანაშემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და **არავინ წინააღმდგომ ჩუენდა** არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულვების დაპყრობად“-ო. მეორე დღეს იწყება ეს „გარეშემოწერის“, ე. ი. სამონასტრო საკუთრებად მამულის შემომიჯვნის, თავისებური პროცესი. აქ მჟღავნდება, რომ წინააღმდეგობის წინასწარი შიში უსაფუძვლო არ ყოფილა.

სამონასტრო მამულისათვის მიჯნის დადება თავდაპირველად იმ ადგილას მოუნდომებიათ, სადაც თურმე ორი მდინარე იკრიბებოდა და სადაც წისქვილი და სახლი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ამ, **საძმოდ** წოდებულ, ადგილას ორიოდე მეკომური მდგარა, ადგილი მაინც უდაბური ყოფილა: აქაური მოსახლენი სრულიად ველურნი იყვნენ, რადგანაც ასეთ უკაცურსა და უცხო ადგილას ცხოვრობდნენო, ამბობს ავტორი, — „ამას შინა იყვნეს კაცნი რაჲმე უკეთურნი, ყოვლად მჴეცებრივნი, ვითარცა ადგილსა უკაცოჲსა და უცხოჲსანი“-ო. ხოლო უკეთურ მხეცებად ჰაგიოგრაფი მათ იმიტომ სთვლის, რომ მათ, როგორც კი გაუგიათ ბერების წადილი მონასტრის მომავალი მამულისათვის ამ მხრივ მიჯნად ერთი დასახელებულ მდინარეთაგანი აეღოთ, გაცოფებული წინააღმდეგობა გაუწევიათ, რადგანაც, ჩანს, ეს მათს თვალში მათი საკუთარი ადგილ-მამულის შეკვეცას მოასწავებდა. „იწყეს ყენებად ჩუენდა და, ვითარცა ცოფნი, წინარბიოდეს“-ო. მთავრის მსახური, თავის მხრით, „რისხვით უთქუმიდა“, ემუქრებოდა, მაგრამ, ბოლოს, მოსულნი, ჩანს, დამარცხდნენ და უკუქცეულ იქნენ, რადგანაც სერაპიონი მათ წყევლა-კრულვას უთვლის და მომავალ ღვთის სასჯელს უწინასწარმეტყველებს.

ამ არასასიამოვნო გამოცდილების შემდეგ ბერებმა, ჩანს, საჭიროდ მიიჩნიეს მეტი სიფრთხილე და, ალბათ, გადაწყვიტეს სავსებით გვერდი აეღოთ მეტნაკლებად გამოყენებულ მიწებისათვის და მხოლოდ საკუთრივ ტყის არე მიეჩემებინათ. ამას მომდევნო თხრობა ადასტურებს. „საძმოდან“ მგზავრები ღრმასა და უღაღ გოდერძის ხევში შესულან, დიდი გაჭირვებით უელიათ იქ და ისეთივე გაჭირვებით ასულან ხევის თავზე, სადაც „მცირენი რაჲმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ“ უნახავთ. აქ მათ უკეთ დახვედ-

რიან. უეჭველია, ბერებმა აქაური მეკომურნი დაარწმუნეს, რომ სამონასტრო მიჯნებს ისინი ამ დაბის ფარგლებს გარეთ ავლებდნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთი აქაური მოხუცი მოსულთ გზის მაჩვენებლად მიჰყავთ შორ მანძილზე და ეს მათი გზა სულ უდაბურ და უკაცურ ადგილებს მიჰყვება, „ქედთა რაჲმე მაღალთა, ტყიანთა და ლოდოანთა“, და „ნადირთა შესაკრებელ“ პუნქტებს. ამ მოძრაობისას მგზავრები წააწყდებიან ქედზე ტბას, რომლის შესახებაც მეგზური მათ ასეთ ცნობას აძლევს: „ესე არს ტბაჲ მღრჯე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების **სათაჯუე**, და არს ამას შინა სიმრავლე თაჯუთაჲ (და) სხვათა ნადირთა, და (არს) დედა შფოთთა და ბრძოლათაჲ. რამეთუ ჟამსა ამას აქა იხილვებიან მდევარნი ნადირთანი, შეკრებულნი თჳთოეულთა სანახებთანი და ურთიერთას მდევარნი საქმეთა უჯეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თჳთოეულისა“-ო. ტბაში ბევრი ნადირი იცის, განსაკუთრებით თახვი, და მეზობელი მიდამოებიდან მოსული მონადირეები მუდამ ებრძვიან ერთმანეთს და საქმე ზოგჯერ კაცისკვლამდისაც კი მიდისო. თახვი, მართლაც, წყლის ცხოველია (რუს. бобр, бобер). აქ ალბათ მისი ის სახეობა იგულისხმება (თუმცა ჩვეულებრივად იგი მდინარეში ცხოვრობს), რომელსაც ძველთაგანვე დიდი სამრეწველო ღირებულება ჰქონდა: თახვს საუცხოო ბეწვი აქვს, რომელსაც უძველესი დროიდანვე სამოსლისა და თავსაბურავისათვის ხმარობენ; გარდა ამისა, ეს ცხოველი იძლევა გარკვეულ სამკურნალო ნივთიერებასაც, რომელსაც მედიცინაში ფართოდ იყენებენ. უეჭველია ამიტომ, რომ მონადირეების ასეთი განსაკუთრებული დაინტერესება აღწერილი ტბით იმით აიხსნება, რომ მათთვის ამ ნადირობას დიდი ნივთიერი მნიშვნელობა ჰქონდა, და არა მარტო გართობის ხასიათი, როგორც ჩორჩანელისათვის, და ეს ნივთიერი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, ესეც ცხადია, რომ აქ მონადირებული მასალა კარგი ღირებულების საბაზრო საქონელს წარმოადგენდა და სწორედ ბაზარში გასატანად იყო დანიშნული. ან სხვა რა გამოყენება უნდა ჰქონოდა ამ ხალხის მეურნეობაში, მაგ., თახვს?.

საინტერესოა, რომ როცა ეს ორიგინალური მმიჯვნელები ტბისაკენ გაემართნენ, მათმა მეგზურმა მოხუცმა სოფლელმა ბერებს სთხოვა, ეხლა კი დროა შინ დავბრუნდე და ნება მიბოძეთო, — თითქოს ითვალისწინებდა, რომ ეს „დედა შფოთთა და ბრძოლათა“ მათაც უსიამოვნებას უმზადებდა.

მართლაც, ტბასთან მიახლოებისას ბერებს წინ შემოეგებებათ „ვინმე კაცნი უკეთურნი“, რომელნიც უკრძალავენ მათ აღებული მიმართულებით სიარულის განგრძობას, ნადირთა მოსვლის ჟამია და დაგვიფრთხობთო. მონადირეები კატეგორიულად მოითხოვენ შემდგომი მოძრაობის შეწყვეტას, მგზავრები კი ყურს არ უგდებენ მათ — მთავარ ჩორჩანელის მსახური „ძლიერად წინააღუდგებოდა მათ“-ო. მაგრამ მონადირეებს მეტი ძალა აღმოაჩნდათ — „არა იყო მათ თანა სმენაჲ, არამედ გარე-უკუ-მოგვაქცინეს“-ო, სიმწარით აღნიშნავს მთხრობელი.

გამოდის, თითქოს კონფლიქტის ერთადერთი მიზეზი იყო, ბერების ბავშვური და უმიზნო სიჯიუტე—უსათუოდ ნადირი დაეფრთხოთ მონადირეებისათვის. ცხადია, რომ უთანხმოებას უფრო სერიოზული საფუძველი უნდა ჰქონოდა: ბერებმა საჭიროდ და შესაძლოდ იცნეს ამ ადგილის მისაკუთრება, მონადირენი კიდევ თავიანთი კეთილდღეობის წყაროს ცოცხალი თავით არა სთმობდნენ. ისინი შემდეგ ტექსტში „ურჩ კაცებად“ იწოდებიან, ცხადია, ბერთა წადილისა და მთავრის ბრძანების **ურჩთა** აზრით. **ურჩნი** სასტიკად იქნენ დასჯილნი: ავტორი გვარწმუნებს, რომ მოხდა „სასწაული“ — „ტბაჲ ესე, მიზეზი შფოთთა და კაცის-კლვათაჲ, განკმა“, თავისი კლდოვანი ნაპირი გამოხეთქა წყალმა, „ბოროტი და შფოთის მოყვარე“ მონადირეებიც „დაფარა“ და „წისქჳლ-სახლნიც“ წალეკა თავიანთი „ეშმაკეული“ მკვიდრებითურთ, რომელთაც მონადირეებზე ადრე უჩვენეს ბერებს თავიანთი არაკეთილგანწყობილება. ასეთია ავტორის მიერ მოწოდებული ცნობა ამ ისტორიული შემთხვევულების შესახებ. მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „ურჩთა“ წინააღმდეგ გამოყენებული ზემოქმედების მექანიზმს სავსებით მიწიერი ზამბარაკებიც ჰქონდა. ტყუილად კი არ ემუქრებოდა იმთავითვე ჩორჩანელი ყველას, ვინც მისი განკარგულების განხორციელებას ხელს შეუშლიდა.

ახლა ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს წარმოდგენილი სურათის ნამდვილი აზრი. ახლად ასაგები მონასტრისათვის მისი მაშენებელნი ისაკუთრებენ, „იპყრობენ“ სავსებით სპეციფიკურ ადგილს. ეს არის დიდი სივრცის მთის ტყე, სავსებით პირველყოფილი, ულრანი და გაუვალი (როცა ბერებმა დაამთავრეს მისი შემოვლა, „სამოსელი მათი ყოვლად არღარა იყო და ფერხნი მათნი დაჯეჯკილი და დაბძარულ იყვნეს“, მათი თანამგზავრი მთავრის მსახური კი ჩიოდა, სულიც აღარ შეგვრჩაო). მხოლოდ ამ ტყის პერიფერიაზე „არიან ადგილნი მცირედ კაცრიელნი“. აქა-იქ

რამდენიმე მეკომურს ახო გაუჭრია და ჩამდგარა, მათი ადგილები მაინც „უკაცოდ და უცხოდ“ ითვლება. ჩანს, გარშემო მოსახლეობის საკმაო სიმჭიდროე და, ამ მიზეზით, მიწის სივიწროეც იგრძნობა ალბათ, — თვით ტყე ფეოდალის გართობისა და წვრილი მონადირეების ექსპლოატაციის ობიექტია. იღებენ ამ ტყეს ბერები **ფეოდალისაგან, რომელიც მას თავისი „საბრძანებლის“ ნაწილად და თავის საკუთრებად სთვლის. მაგრამ სხვანაირად უყურებს ამ საქმეს ხალხი: აშკარაა, რომ იგი ფეოდალის ამ უფლებებს არ სცნობს, რომ იგი ჯერ კიდევ არ შერიგებია ტყის დაკარგვასაც, მასზე თავისი უძველესი თემური უფლების გაუქმებას.** ამ ნიადაგზე ჩნდება აღწერილი მწვავე ბრძოლა. ცხადია, რომ ჩვენ თვალთა წინ ის ხანაა, როდესაც **მიწისათვის ბრძოლის უკანასკნელი მოქმედება სრულდება, სათემო ადგილმამულის ფეოდალთა მიერ მიტაცების უკანასკნელი ეტაპი.** ამაშია სწორედ მოცემული ცნობების ღრმა მნიშვნელობა.

გასაგებია ახლა ძინძეს მფლობელის საქციელიც. ეს პატარა მემამულეა, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას ჩორჩანელის „ხელგაშლილობით“ დაჰხვდეს ბერებს. მას არ უნდა ამიტომ თავის მამულში მონასტრის გაჩენა. ჩვენ გვაქვს სხვა ცნობებიც წვრილ მესაკუთრეთა მეზობელ მონასტერთან უთანხმოების შესახებ.

დასასრულ, განხილული მდგომარეობის მნიშვნელობის შესაგნებად მთელი სისრულით უნდა მოეიგონოთ ადგილი, სადაც მოქმედება ხდება. ეს იგივე ქვაბლიანის ხეობაა, სადაც ჩვენ ჯერ კიდევ მეექვსე-მეშვიდე საუკუნისათვის მიწის ყიდვა-გაყიდვის ფაქტი დავადასტურეთ (იხ. წყისეს წარწერის ანალიზი ჩვენს [ნაშრომში] „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“; თვით სოფლები წყისე, ზანავი, ჩორჩანი, ზარზმა ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან). მაშასადამე, მიწის შემოსვლა საერთო მიმოქცევის სფეროში სრულებითაც ახალი ამბავი არ ყოფილა ამ რაიონისათვის.

მეორე მხრით, ქვაბლიანის ხეობა თუმცა კულტურულს, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალ ზონას ეკუთვნის. ამ რაიონის დაწინაურებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებას, რომ აქ ძველთაგანვე გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი გზა, რომელიც, არსიანის ქედის გადალახვით, აჭარა-შავშეთსა და ზღვისპირთან აკავშირებდა სამცხე-ჯავახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს. ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ანალოგიის ძალით, დაახლოებით იგივე ურთიერთობა ვიგულისხმოთ სხვა ძირითად კულტურულ რაიონებშიაც.

ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ[1]

ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრეობა მრავალმხრივ გახლავთ მნიშვნელოვანი და საყურადღებო.

ჩემ დღევანდელ მოხსენებაში მე მინდა შევეხო მხოლოდ ერთ საკითხს, საკითხს ვახუშტის შეხედულებათა შესახებ ქართული ფეოდალიზმის, როგორც საზოგადოებრივი წყობილების, თავისებურებებსა და დაწესებულებებზე.

ზოგადი ხასიათის ნარკვევში, რომელიც ვახუშტის მთავარ თხზულებას, „საქართველოს ცხოვრებას", შესავლის სახით წინ უძღვის, ავტორი ცდილობს წარმოადგინოს ძველი საქართველოს საზოგადოებრივი ევოლუციის სურათი. ლეონტი მროველის კონცეფციის თავისებური განმეორების შემდეგ, აქ ვახუშტი ძველი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობის შემდეგ სქემას იძლევა: „ხოლო წესნი აქუნდათ: რამეთუ კერპთა მღუდელთა პატივი და რიგნი იყუნენ ცალ-კერძათ, ვითარცა სულიერთა. ხოლო სოფლიერნი: პირველი ერისთავნი, ბ) მთავარნი, გ) აზნაურნი, დ) ვაჭარნი, ე) მსახურნი[2], ვ) მუშაკნი გლეხნი". ადვილი შესამჩნევია, რომ აქ ადმინისტრაციული წყობა არეულია სოციალურში. სხვაფრივ, ძველი (ვახუშტისათვის — წინაქრისტიანული ხანის) საქართველოს ძირითადი საზოგადოებრივი დაჯგუფებანი აქ წარმოდგენილია სრულად და მართებული იერარქიული რიგით: მუშაკნი გლეხნი, ე. ი. ძირითადი მწარმოებელი კლასი, მსახურნი, ვაჭარნი, აზნაურნი. ერისთავთა და მთავართა ცალ-ცალკე დასახელებით ვახუშტის უნდა, ერთი მხრით, უჩვენოს უმაღლესი პროვინციული სამოხელეო ფენა (ერისთავნი), ხოლო მეორე მხრით — აზნაურობის, ფეოდალთა კლასის უმაღლესი

---

[1] მოხსენდა საქ. მეცნ. აკადემიისა და სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ სესიას, მიძღვნილს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის „საქართველოს ცხოვრების" გამოქვეყნების 200 წლისთავისადმი (18. XI. 1945). ნაწილია უფრო ვრცელი ნარკვევისა.

[2] საყურადღებოა, რომ მსახურთა შორის ვახუშტი გამოყოფს „ტაძრეულებს" (იქვე, 20, 38) — დამოწმებულია ბროსესა და ლომოურ-ბერძენიშვილის გამოცემები.

ფენა, რაც აგრეთვე კარგად უპასუხებს ისტორიულ სინამდვილეს. ქართული „ერისთაობის“ განვითარებას ვახუშტი, საზოგადოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავის დიდ ნაშრომში. ამაში უეჭველად გამოჩნდა ვახუშტის მახვილი თვალი და სწორი ისტორიული ალღო, ვინაიდან „ერისთაობის“ ევოლუციამ მართლაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული ფეოდალიზმის ისტორიაში. „ერისთაობისა“ და „მთავრობის“ განვითარების ხაზები კი არა ერთგზის გადასჭდობია ერთმანეთს. ამ ორი მოვლენის შესწავლა ურთიერთ კავშირშია აუცილებელი.

ერისთაობის შესახებ ვახუშტი წერს: „წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა მიმართ და მის მიერ მოურნეობა. სამართალი და ლაშკარნი მის ქვეყნისანი მის ქვეშევე იყუნენ, და იგინი მოჰკრეფდნენ ხარკთა სამეფოთა. ხოლო ესე ერისთავნი დაიდგინებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი, და ძენი მათნი შეცვალებით“. აქ საყურადღებო დაკვირვებებია მოცემული და, გარდა ამისა, გაკვრით დასახელებულია კიდევ ერთი საზოგადოებრივი დაჯგუფება — „წარჩინებულნი“, ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, უმაღლესი საზოგადოებრივი ფენის კიდევ ერთი სახელწოდებაა წყაროებიდან ამოღებული. მეორე ადგილას ვახუშტი იხსენიებს „დიდებულთაც“, რომელთაც იგი, ჩანს, „წარჩინებულებთან“ აიგივებს (აღდგომის წირვის შემდეგ „აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა“, ამბობს ვახუშტი: იქვე, 32 (21).

შემდეგ ვახუშტი თვით ამ საზოგადოებრივ ჯგუფებს ახასიათებს: „ხოლო წესნი მთავართა იყო გვარი და შთამამავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო უკუსთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივიცემოდა. არამედ მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი, და თჳნიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად. ხოლო აზნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნები, და ძალედვას გამოსლვა მარქაფითა, კარვითა და მათთა გაწყობილებითა, და თჳნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად. ხოლო ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქვემორე და ვიეთთამე სწორი. და შემდგომად პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა ძეთა, და მერმე ჩინებულთა მათთა წესისა მიერ პატივი მსახურთა მათთა, და შემდგომად ამათთა — მუშაკთა-გლეხთა. რამეთუ სისხლნიცა

ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ: ზეიდამ ქვეით ნახევრად ანუ ქვეიდამ ზეით ერთორად“.

თუ ვახუშტის მცდარ ისტორიულ პერსპექტივს არ გავუწევთ ანგარიშს (ვახუშტი მოცემულ სურათს, ჩანს, ერთნაირად ავრცელებს როგორც მირიან მეფის, ისე დავით აღმაშენებლის ხანაზე), უნდა ვთქვათ, რომ აქ ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ჯგუფები ავტორის დროისათვის განსაცვიფრებელი სიღრმით არის აღწერილი. შემჩნეულია წ ო დ ე ბ რ ი ვ ი საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი — სოციალურ-იურიდიული მდგომარეობის მემკვიდრეობითი თვისებები — „გვარისა და შთამომავლობის“ აუცილებლობა. შენიშნულია მემკვიდრეობითი უფლებების უკმარობა იმისათვის, რომ კაცი ამ საზოგადოებაში „ზეით“ იდგეს,— დახასიათებულია ამ „ზეით დგომის“ მატერიალური საფუძველი: აუცილებელია მთავარს შთამომავლობის გარდა, ან უკეთ, შთამომავლობასთან ერთად, „ამის მიმართ“, როგორც ამბობს ვახუშტი, ჰქონდეს „ციხე-ქ ა ლ ა ქ ი, სიმაგრე და ხ ე ო ბ ა ნ ი“ (უკანასკნელი ტერმინი გულისხმობს ვრცელი მოსახლეობის შემცველ მიწა-წყალს რომელიც, გარკვეული საფეხურის ფეოდალური სახელმწიფოს აღნაგობის შესაბამისად, მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულსაც ქმნიდა), და ასევე აუცილებელია აზნაურსაც ჰქონდეს „სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა და დ ა ბ ნ ე ბ ი“ (ე. ი. სოფლები). ვახუშტიმ ისიც კარგად იცის, რომ ამ მატერიალური საფუძვლის დაკნინება აქარწყლებდა „გვარისა და შთამომავლობის“ მნიშვნელობას, და რომ არსებითად ფეოდალური საგვარეულოს სიძლიერე მამულის სიდიდეზე, კერძოდ მის გაუყოფლობაზე იყო დამოკიდებული. ასეთი, თავისი დროის ფეოდალური სახლების შესახებ ვახუშტი ამბობს, აშკარად უკეთებს რა მახვილს ჩვენ მიერ აღნიშნულ მომენტს: „გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ესენი უ წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ე ს ნ ი და შ ე მ ძ ლ ე ბ ე ლ ნ ი ესენი ყ ვ ნ ენ და გ ა უ ყ რ ე ლ ნ ი ს ა ხ ლ ნ ი აქუნდათ (ხაზი ყველგან ჩვენია, ს. ჯ.): პირველი მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციცისშვილი, ო დ ე ს გ ა უ ყ რ ე ლ ი ი ყ ო, და სომხითის მელიქი“ (იქვე, 44-46 (25). ზოგადი დასკვნის სახით კიდევ ამ საკითხის შესახებ ვახუშტი შენიშნავს: „გააზნაურშვილებულნი: ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთვის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა, ხოლო აწ დამცირებულნი. ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზისშვილი, ამათგან გამთავრებულნი ესრეთ, რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე

დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა“ (46 (25).

თუ როგორ მნიშვნელობას მიაწერდა ვახუშტი მემამულეობას აზნაურობისათვის, ეს კარგად ჩანს იმ შემთხვევებიდან, როცა იგი ფეოდალურ საგვარეულოთა გენეალოგიებს არკვევს მემამულეობის მიხედვით. ასე, მაგ., ვახუშტი ამბობს: „ხოლო ზურაბისშვილს, იარალისშვილს და სოლაღაშვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა“ (იქვე, 42 (24); ...„აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი, ჯმათ ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა, და შემდგომად განყოფისა სამეფოსა, ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“ (42—44) (24—25). „სიგელი“ იმავე მემამულეობის იურიდიული ანარეკლია მხოლოდ; ვახუშტივე ამტკიცებს, რომ რატიშვილი არის „ქსნის ერისთვის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა“ (46 (25).

შემდეგ, ვახუშტისათვის ასევე კარგად არის ცნობილი სამხედრო საქმისა და სამსახურის განსაკუთრებული მნიშვნელობა ფეოდალურ საზოგადოებაში. მამულსა და შთამომავლობას გაბატონებული წრეებისათვის ახალ სიძლიერეს ანიჭებს სამეფო სამსახური: ...„წესნი მთავართა იყო გვარი და შთამამავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო უკუთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივიცემოდა“ (12 (14). მთავრისავე აუცილებელ თვისებად სთვლის ვახუშტი „ციხე-ქალაქისა და სიმაგრისა“ ქონებას (იქვე). კიდევ უფრო მკაფიოდ ესევე აზრი გამოთქმულია აზნაურის შესახებ: ... „აზნაურსა აქუნდა... სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა... და ძალედვას გამოსლვა მარქაფითა, კარვითა და მათითა გაწყობილებიზა“ (იქვე). ვახუშტიმ ისიც იცის, რომ სამეფო სამსახურში დაწინაურება ზოგჯერ შეეძლოთ „გლეხთა ძეებსაც“ (აქ „გლეხი“ ნახმარია, რათქმაუნდა, მერმინდელი ზოგადი გაგებით), და რომ სხვა „მსახურთა“ შორის „მსახურთა მეფისათა“ მეტი პატივი ჰქონდათ. შთამომავლობა, დიდი მამული, მოწყობილი სახელმწიფოებრივ რიგზე, სახელმწიფოებრიობის ელემენტთა მეტნაკლები თვალსაჩინოებით და სამეფო, სამოქალაქო და სამხედრო სამსახური შესაფერ პირობებში — აი, როგორ ეხატება ვახუშტის გარკვეული ხანის ქართველი ფეოდალის პორტრეტი.

სამხედრო საქმის ისტორიას ძველ საქართველოში ვახუშტი საერთოდ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. პირველი პერიოდის სამხედრო საქმის ორგანიზაცია მას ასე აქვს, მაგ., აღწერილი: „ხოლო ლაშკართა წესნი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა, რაოდენი ძალედვა, სპანი მცველად თჳსად, ვითარცა იტყვის მირიანისასა და აღმაშენებელისასა ჲ[სამოც] ათასსა მარადის მცველად მისად. და დავითთასა არღარა განიყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა, და პატივი ამათი იყო სხვა. ხოლო სხვანი სპანი იყუნენ ქვეყანათაგან და ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ჟამად“ (14 (14). მაშასადამე, ერთი მხრით — „როქის სპა“, რომელიც, — ეს დაკვირვება ვახუშტისა შესანიშნავია! — „მცველად“ მეფისა და ცენტრალური ხელისუფლებისა არის მოწოდებული; მეორე მხრით, „საქვეყნო“ ლაშქარი, ე. ი. ჩვეულებრივი ფეოდალური რაზმები, რომელნიც „ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი“ არიან და რომელთაც მხოლოდ დროგამოშვებით, „ჟამად“, საჭიროების დროს ჰკრებენ. იცის, რათქმაუნდა, ვახუშტიმ ისიც, რომ მეფეს ჰყავდა სახასო ვასალების ფეოდალური რაზმიც (შეადრ. შენიშვნა „სადროშოს“ მუხლში: „ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა“, 34, 22; „ქართველნი“ აღნიშნავს ქართლის თემის მხედრობას). უაღრესად საყურადღებოა ვახუშტის შენიშვნა „სპათა ზედა საჭურჭლისა არა განყოფისათვის“. ვახუშტიმ იცის აგრეთვე, რომ სამხედრო საქმეში შემდგომ ხანებში გარკვეული ცვლილებები მოხდა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

აქვს თუ არა ვახუშტის წარმოდგენა მის მიერ აღწერილ საზოგადოებრივ ჯგუფთა შედარებითი სოციალური მდგომარეობისა და მათ შორის არსებული ურთიერთობის შესახებ? დიახ! ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, მას აღნიშნული აქვს, რომ თითოეულ ამ ჯგუფთაგანს თავისი „პატივი“ ჰქონდა, რომ ცალკეული ჯგუფებიც კი ამ მხრივ შინაგან დანაწილებული იყვნენ, რომ, მაგ., „ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქვემორე და ვიეთთამე სწორი“ (იქვე, 12 (14). ამასვე მიუთითებს ცნობა სისხლის ფასზედაც: ... „სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ, ზეიდამ ქვეით ნახევრად, ანუ ქვეიდამ ზეით ერთორად“ (14 (14), და სისხლის დაურვების განმარტება „უმაღლეს-უმდაბლესთა“ „პატივისა და წესის“ მიხედვით: „ხოლო მკულელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი. ხოლო უკუთუ უმაღლესმან მოკლის

უმცირესი, დაუურვის სისხლი, ხოლო უმდაბლესმან თუ მოკლისა უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა“ (14—16 (15); ე. ი. ერთისადაიმავე დანაშაულისათვის კაცისჯებოდა სხვადასხვანაირად, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ადგილი ეპირა მას საზოგადოებასა და სახელმწიფოშიო. ასევე „ჩინებისა მიერვე“ უნდა დაურეებულიყო სისხლი სხვა დანაშაულობისათვისაც, კერძოდ, დაწინდულ ქალთა წაგვრისა თუ დატოვებისათვის (16 (15).

ამ ჯგუფთა შორის ყველაზე უმდაბლესის, გლეხთა, სოციალური მდგომარეობა ვახუშტის სხარტულად აქვს გამოხატული იმ ეპითეტში, რომელსაც იგი თან აყოლებს დასახელებულს წოდებრივ ტერმინს —„მუშაკი“ („მუშაკნი-გლეხნი“, 14). ფეოდალურმა საზოგადოებამ გლეხობას, ძირითად მწარმოებელ კლასს ამ საზოგადოებისას, სწორედ „მუშაკობა“ დააკისრა, როგორც მისი უმთავრესი ფუნქცია (შეადრ. შოთას „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“). ამ „მუშაკ-გლეხთა“ და ციხოსან-კარვოსან, მაღალი შთამომავლობის მქონე თუ „მეფისა წესსა შინა“ მყოფ მთავარაზნაურთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ვახუშტის თავისი შრომის არა ერთ ადგილას მრავალი საგულისხმო დაკვირვება აქვს გამოთქმული, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ. აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტის აღწერილი აქვს სწორედ პატრონყმური ურთიერთობის, როგორც იგი ჩვენ გვესმის, ერთი მხარე: ... „ძველითგანვე იყო წესი ესე, რაჟამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი ანუ ჭელისუფალნი, ანუ აზნაური ჩინებულნი, მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა ჭრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი, ხოლო მეფე ჭელისუფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისაებრ მიუბოძის და ოდესმე ძესაცა, უკუთუ ღირს იყო ანუ ძალედვა მოურნეობა მისი. ხოლო ცხენი წარიყვანიან სამეფოთ, და ჭრმალს მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მიხ მომკუდრისასა, და დააწესიან ტაძრეულად ანუ სხვათა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაებრ“ (38 (23).

ჩვენ აქ ვეღარ შევჩერდებით ვახუშტის სხვა შენიშვნებზე აღძრული საკითხების გარშემო, კერძოდ, მის საყურადღებო ცნობებზე სამღვდელოების შემადგენლობისა, როლისა და უფლებამოსილობის შესახებ, ისევე როგორც მის მიერ აღწერილ სამეფო სამოხელეო თანამდებობათა (ხელისუფალთა), დარბაზის ერთა და სხვათა შესახებ. ეს შორს წაგვიყვანდა. აქ განსაკუთრებით ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ ა ხ უ შ ტ ი ს ა თ ვ ი ს ა ღ წ ე რ ი ლ ი

საზოგადოება გაშეშებული არ ყოფილა, ვახუშტის იგი განვითარებაში ჰყავს წარმოდგენილი. მისი აზრით, თავდაპირველ მდგომარეობას შემდეგ უჩნდება „შეძინებული წესი“ (28 (19). „შეძინებული წესი“, ის ახალი, რაც ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა გარკვეულ ხანაში, შედეგია, ვახუშტის აზრით, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მიზეზებისა. გარეგანი გავლენის შედეგად ჩნდებიან „შერეულნი წესნი“ (34), ე. ი. შემორეული, შემოსული, „შეშლილი“ თვისებები. ამ მხრივ, ვახუშტის წარმოდგენით, დიდი ზემოქმედება მოუხდენიათ მონღოლებს, თურქებს, სპარსებს. პირველთა შესახებ, მაგ., ვახუშტი შენიშნავს: ... „წესნი ესენი რომელნიმე ფლობასა თათართა ყეენობისასა შეიშლებოდნენ“ (34; ციტატა ამოღებულია „გეოგრაფიის“ ლომოურ-ბერძენიშვილისეული, გვ. 22, და ჯანაშვილისეული, გვ. 20, გამოცემებიდან, რომელნიც უფრო სწორ საკითხავს იძლევიან). შემდეგ ვახუშტი აღწერს ამ ახალ მოვლენებს, რომელნიც „უჯერონი“ ყოფილან, მათ შორის ისეთებსაც, როგორიცაა „მეფეთა წინააღმდეგობა და განდგომილება“ (36 (22). შემდეგ, ვახუშტის აზრით, ძველი წესწყობილება აღუდგენია გიორგი ბრწყინვალეს: „ხოლო შემდგომად ბრწყინვალემან მეფემან გიორგიმ კვალად აგო წესსავე მას ძველსა ზედა“... და ასე გაგრძელებულა „ვიდრე შიხთა მეფეთა სპარსთათა გამოჩინებისამდე“ (იქვე). ყოველივე ამის შედეგად გაჩნდა „აწინდელი წესი“: „გარნა თუმცა სამცხეს და კახეთს შემოერიათ,— მათ ურუმთაგან და ამათ ყიზილბაშთაგან,— წესნი რაიმე მათნი, არამედ ქართველნი და იმერელნი ეგნენ ზნეთა მათ ზედავე. ხოლო აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა ესენი“ (36 (23). შემდეგ განმარტებულია ეს „შემორეული აწინდელი წესი“, ქართლ-კახეთისათვის — „ყიზილბაშთა (სპარსების) რიგისა“, მესხეთისათვის — „ურუმთა (თურქების) რიგისა“, ხოლო იმერეთისათვის — „ურუმულთაგან შერეული“ (ეს სწორი, ჩვენი აზრით, საკითხავი ლომოურ-ბერძენიშვილისა და ჯანაშვილის გამოცემებს ეკუთვნის, 23 და 21; ბროსეს გამოცემაში — „ურუმულთაგან“, 38). მაშასადამე, და ესეც საყურადღებოა, ვახუშტი არჩევს მთლიანად შეთვისების შემთხვევას ადგილობრივისა და უცხოს შერევის შემთხვევისაგან.

მაგრამ ჭეშმარიტად საკვირველია, ვახუშტის ეპოქისათვის, ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსის ღრმა მსჯელობა ფეოდალურ საქართველოში მომხდარი ცვლილებების შინაგანი პირობებისა და მიზეზების შესახებ. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ აქ ვახუშტი

უახლოვდება დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების მატერიალისტურ ახსნას. საქართველოს სამეფოს დაყოფის (XV ს.) შედეგად, ამბობს ვახუშტი, „შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა აქუნდათ თჳსთჳსად წესნი ესენივე, გარნა ერისთავთა ცვალებანი არღარა. განა მთავარნიცა არღარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადად, და არცაღა იყუნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჴეობათაგან იყუნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოჴევე-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოთ. ხოლო იმერთა — რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა — ქისიყი. ხოლო ლაშკრობისა ჟამსა ერისთავთა და მთავართა მინაწერნი იყუნენ მოყვანებად, განა იყუნენ ოთხ სადროშოთვე კვალადცა, ვითარცა აღსწერეთ, ქართლი, იმერეთი და კახეთი. არამედ ესე ყვეს მეფეთა, ვინათგან არღარა იყუნენ ეგდენნი შემოსავალნი, რათამცა დაეპყრათ სპანი ეგოდენნი, რათა ეპირისპირათ ანუ გამაგრებოდნენ მტერთა თჳსთა. ამისთჳს შეჰკუსთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა — სრულიად რაოდენნი სახლსა შინა არიან — წარსლვად ლაშკარსა შინა, ხოლო გლეხთა მგზავსად შეწერილებისად. ხოლო როსტომისამდე ესენი ესრეთ იყუნენ“ (36 (22—23).

აქ, ჯერ ერთი, მთელი რიგი ღრმა დაკვირვებაა მოცემული დაშლის-შემდეგდროინდელის (უფრო ზუსტად, ვახუშტის ქრონოლოგიით, XV ს. დამლევიდან XVII ს. პირველი მესამედის დამლევამდე) საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ:

1. საერისთავო ხელისუფლების დამკვიდრება ცალკეულ ფეოდალურ საგვარეულოებში. როგორც ზემოთ ვთქვით, ვახუშტი ამ მოვლენას სამართლიანად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სხვაგან ამავე პროცესის შესახებ ვახუშტი ამბობს, რომ თუ ძველად „მეფე ჴელისუფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისაებრ მიუბოძის, და ოდესმე ძესაცა, უკსთუ ღირს იყო ანუ ძალედვა მოურნეობა მისი“, ეხლა უკვე, „აწინდელსა ჟამსა“... ერისთობა და მთავრობა არღარა, და რომელიმე სპასპეტნიცა, რამეთუ შვილთავე მისთა ანუ სახლისკაცთა მისთავე მიუბოძიან, ეგრეთვე მთავართაცა“ (38 (23).

2. თავადთა წრის ჩამოყალიბება, რაც არსებითად ახალი ფეოდალური წოდების წარმოშობას ნიშნავდა.

3. არსებითი ცვლილებები სამხედრო საქმის ორგანიზაციაში. რადგანაც, როგორც აგრეთვე უკვე აღნიშნული გვქონდა, სამხედ-

რო საქმესაც ვახუშტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ამ საკითხზე იგი აქ დაწვრილებით ჩერდება. ნიშანდობლივად ძველი მდგომარეობისათვის მას, ჩანს, ის მიაჩნია, რომ მეფეებს „როქით სპანი“, ე. ი. ქირის ჯარი ჰყავდათ. მეორე პერიოდში ამ სახის შეიარაღებული ძალა გამქრალა. მაშ რა შეადგენს ახლა „მეფის მცველ“ ძალას, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს? მეფის საკუთარი ვასალების ფეოდალური რაზმი მარტოოდენ, უპასუხებს ვახუშტი: „სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჭეობათაგან იყუნენ მცველნი მეფისანი“ — ე. ი. მეფის ფეოდალური რაზმი იკრიბება სახასო აზნაურობისა და გლეხობიდან, რომელნიც მეფესთან დაკავშირებული არიან უშუალო ფეოდალური და არა მხოლოდ ზოგად-ქვეშევრდომის დამოკიდებულებით. ვახუშტის ისიც შეუმჩნევია, რომ ეს „გლეხობა“ სპეციფიკური რაიონების სოფლის მოსახლეობაა, უპირატესად მაინც — მთიელები: „მსახურნი გლეხნი ჭეობათაგან... და უმეტეს მოჯეველ-მთიულნი“. რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ აქ სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ საბატონო ყმებად არ ქცეულა, იგი მეფის ქვეშევრდომია უშუალოდ და მეფის ვასალიც, განსაზღვრული გაგებით (სახელმწიფო გამოსაღებისა და ფეოდალური გამოსაღების დამთხვევა). ეს ვახუშტიმ კარგად იცის და ამიტომაცაა, რომ იგი ამბობს: მეფეს მსახურებს აძლევდნენ ხეობელნი, „უმეტეს მოჯეველ-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოთ“, ე. ი. ვიდრე მეფესა და მთის ხალხს შორის შუალედი ფეოდალური რგოლი არ გაჩნდა, და მთიელებს ახალი, არსებითად საბატონო, გამოსაღებიც არ დაეკისრა. ასეთსავე როლში გამოდიან, ვახუშტის აზრით, იმერეთისათვის რაჭა და განსაკუთრებით (ასე გვესმის ჩვენ, არა ეტიმოლოგიურად, არამედ არსებითად, ვახუშტის „სრულიად“) ლეჩხუმი, კახეთისათვის — ქიზიყი. მთიელებს მეფის სამსახურში ის უპირატესობაც ჰქონდათ, რომ ისინი ჯერ კიდევ მთლად „გამუშაკგლეხებულნი“, ე. ი. მიწაზე მძიმედ დაკრულნი და ფეოდალური ტვირთისაგან წელში სამად მოხრილნი არ იყვნენ, არამედ ძველს ეაჟკაცურსა და ამაყ სულს ატარებდნენ, აბჯრის სიყვარულსა და ხმარებას ბავშვობიდან ეჩვეოდნენ, და ჩინებული მეომრებიც გამოდიოდნენ. ეს იმ „მთაში გაზრდილი ვაჟკაცის“ სახეა, რომელსაც გულსა და მარჯვენას უქებს სახალხო პოეტი. ეს მთის „ერი“ მართლაც ერთს უმთავრეს რეზერვთაგანს შეადგენდა სამეფო მსახურებისას და იმ „გააზნაურიშვილებულ“ წარჩინებულთა, რომელთა არსებობაც აგრეთვე იცის ვახუშტიმ. საკმარისია თუნდაც სათანადო ქართული ფეო-

დალური პატრონომისტიკის შესწავლა, რომ დავრწმუნდეთ ვახუშტის დაკვირვების სიღრმესა და სისწორეში[1].

---

[1] უაღრესად საყურადღებოა ვახუშტის დაკვირვება იმ მიზეზების შესახებ, რომელთა წყალობითაც თვით მთიელებს პირი ბარისაკენ ჰქონდათ მიქცეული. ფშავ-ხევსურთა შესახებ, მაგ., ვახუშტი ამბობს, რომ ისინი არიან „მეპატრონეთა თვისთა ერთგულნი... და სიმწირისათჳს მონებენ, ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“—(298 (92); აკად. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, 300 და აგრეთვე 315—317, 421). თუშების შესახებ მასვე ნათქვამი აქვს:... „კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუთ ზაფხულს თჳსთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მჴარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“ (გვ. 105); ხოლო თუშთა ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე თემის, ფარსმანის, შესახებ ვახუშტი სპეციფიკურ პირობებსაც აღნიშნავს: „ხოლო ფარსმანი უფროს მწირ არს, გარნა ამათ მიერ იგინიცა გამოიზდებიან კახეთით, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ. არამედ იგინი არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა, ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშკრენი და მეხარკენი არიან; და არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მჴენი, ძლიერნი, მჴედარნი წარმატებულნი“... (328 (105). მაშასადამე, კახეთის თუშნი უშუალო ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ კახეთისგან და ამით აიხსნება მათი ყმობაც კახეთის მეპატრონეთაგან; ხოლო ფარსმანის თუშნი დამოკიდებულნი იყვნენ პირველთა შეშველობით, და ამით აიხსნება, რომ ისინი კახეთის მეპატრონეთ არ ყმობდნენ. დიდოელების შესახებ ავტორი მკითხველს ამცნობს: „კახეთის მჴრისანი ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშკართა, რათა ვიდოდნენ საფაჭროდ კახეთს, ვინათგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა და სახმარსა თჳსთა“ (ლომ.-ბერძ., 104). ასევე ღლიღვთა შესახებ ვახუშტი ამტკიცებს: ...„მორჩილებენ და აძლევენ ხარკთა ჩერქეზთა, მემჴრეთა თვისთა, უსაზრდლობისა, საშიშლოსა და მარილისათჳს“ (458 (119). ლეჩხუმზე ნათქვამია: ... „თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თჳნიერ ბრინჯ-ბანბისა, გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათჳს არა ეგოდენი სიმრავლეთ“. მაშასადამე, ლეჩხუმელებს მიწა ნაყოფიერი ჰქონდათ, მაგრამ ცოტა და არასაკმარისი. პირველი გარემოება ხელს უწყობდა მოსახლეობის სოციალურ ევოლუციას, გარკვეულ ფარგლებში: „მოსახლენი არიან ახნაურნი და გლეხნი“, შენიშნავს ვახუშტი. მეორე გარემოება ქმნიდა ნიადაგს უფრო განვითარებული რაიონებისაგან დამოკიდებულებისათვის: ...„კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მჴენი და მორჩილნი უფალთა თჳსთა... გარნა ესე ლეჩხუმი, შემდგომად განყოფისა სამეფოთა, იყო ტალანი იმერთა მეფისა“ (ე. ი. მცველნი! 350—352 (149). ოსების შესახებაც ვახუშტი ამბობს: „არა არს ქვეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი, და ბანბა და აბრეშუმი, რათამცა ყონ სამოსი თჳსნი. ამისთჳს უმეტესნი სცხორებენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვენ ჭართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. და ამისთჳსცა მორჩილებენ თჳსთჳსთა მჴარეთა და ყვალად უმეტესად საზრდელთათჳსცა“ (438 (111). ოსებშიაც, მაშასადამე, ეკონომიური დამოკიდებულება უფროსდაწინაურებული მეზობელი რაიონებისაგან („სამოსისა“ და „საზრდელის“ შემოტანა!) საფუძველს უქმნიდა პოლიტიკურ დამოკიდებულებას.

ეს რაზმები, რომელნიც „გამოდიოდნენ სახასო ვასალიტეტისა“ და მთის ერის რიგებიდან, იყვნენ, ვახუშტისავე კვალიფიკაციით, „მცველნი მეფისანი“, ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი სამხედრო ძალა. სწორედ ამ ძალაზე დამყარებით შეეძლოთ მეფეებს მოეკრიბათ თავის სამფლობელოში სხვა რიგის სამხედრო რაზმებიც, რომელთა გამოყენებაც აუცილებელი ხდებოდა სახელმწიფოს მეორე — საგარეო — ფუნქციის განხორციელების დროს. ამ რიგის რაზმების ბუნება და დანიშნულება ვახუშტის ნათლად აქვს შეგნებული: „ხოლო ლაშკრობისა ჟამსა ერისთავთა და მთავართა მინაწერნი იყუნენ მოყვანებად“— აქ საუბარია ცალკე სენიორიების ფეოდალური რაზმების შესახებ, რომელნიც იკრიბებიან ამ სენიორიებიდან, შეწერით, მხოლოდ გარკვეულ მომენტებში, „ლაშკრობისა ჟამსა“. იმერეთისათვის ვახუშტი ამავე მოვლენას გამოხატავს, თუმცა განსხვავებული ფორმულით: „მთავარნი თჳსთჳსით სპითა შეკრბიან“. მაგრამ იმერეთისათვის თვით ეს მთავრებიც რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან: „არცაღა ჭელისუფალნი მეფისანი არიან-ღა“, დასძენს ვახუშტი (40 (24). ამასთანავე ვახუშტის შეუმჩნევია — და ესეც უაღრესად საგულისხმოა — ამ პერიოდის ერთი „შეძინებული წესი“, რომ, სახელდობრ, ჯარში ახლა გაჰყავთ „გლეხნიც“, „მგზავსად შეწერილებისად“— ისიც საყურადღებოა, რომ ამ ახალ „წესს“ ვახუშტი მონღოლთა შემდეგდროინდელ ხანაში წარმოშობილად სთვლის.

ამავე მოვლენას აღწერს ვახუშტი, როცა მსჯელობს „ეპისკოპოზთა ლაშკართა წასვლისათვის“, რომლის ერთ-ერთ მიზეზადაც, დიდი სისწორითა და სიმახვილით, აღნიშნავს: ...„ვინათგან შეწერით იყო ლაშკარნი, ჰყვათ ეპისკოპოზთა აზნაურნი, და მსახურნი, და შეწერილნი გლეხნი წარსლვად ბრძოლასა შინა, ამისთჳს მათთა მოურნეთ თანამდებ იყუნენ წარსლვად და არს მიერ ჟამითგან ეგრეთ აწამდე“ (50 (27). ხოლო იმ კითხვის საპასუხოდ, თუ რატომ გაქრა „როქით სპა“ და რატომ დაუთმო მან ადგილი მთლიანად ფეოდალურ რაზმებს, ვახუშტის მოცემული აქვს განსაცვიფრებელი, თავისი დროისათვის, ახსნა: ... „ესე ყვეს მეფეთა, ვ ი ნ ა თ გ ა ნ ა რ ღ ა რ ა ი ყ უ ნ ე ნ ე გ ო დ ე ნ ნ ი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ნ ი, რ ა თ ა მ ც ა დ ა ე პ ყ რ ა თ ს პ ა ნ ი ე გ ო დ ე ნ ნ ი, რ ა თ ა ე პ ი რ ი ს პ ი რ ა თ ანუ გამაგრებოდნენ მტერთა თვისთა“ (ხაზი ჩვენია). მაშასადამე, ცვლილებები სამხედრო საქმის ორგანიზაციაში

ქვეყნის საერთო ეკონომიური მდგომარეობით უნდა აიხსნას[1]. ამ დანაკლისის საკომპენსაციოდ მეფეებმა „შეჰკუ0თეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა,—სრულიად რაოდენნი სახლსა შინა არიან,—წარსლვად ლაშკარსა შინა“-ო. საყურადღებო ცნობაა, რომელსაც, რათქმაუნდა, სხვა წყაროებთან შეჯერება დასჭირდება.

დასასრულ, „შეძინებული წესიდან“ არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ, დავიდუმებთ რა ვახუშტის მრავალი სხვა დაკვირვებისა და მოსაზრების შესახებ, მხოლოდ ერთი მისი შენიშვნა (უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვემორე განმარტებული წესი ვახუშტისათვის შეძენილია ძველადვე, ქრისტიანობის შემოღებასთან დაკავშირებით): ... „ამათ მთავრობისა წინათქმულსა წესსა შეეძინა, რათა აქუნდეს მათ წესთა თანა სასაფლაოდ საეფისკოპოზო ანუ მონასტრის ეკლესია, კვალად საყდარი კარისა მღვდლითურთ. ეგრეთვე აზნაურსა სასაფლაოდ მონასტერი და ეკლესია სახლსა თჳსსა მღვდლით“. ვახუშტი ფიქრობს — და ის არც ცდება ამაში — რომ ესეც მიუცილებელ ნიშანთაგანი იყო, სხვა მის მიერ ჩამოთვლილ ნიშნებთან ერთად (რომელნიც ჩვენ ზემოთ განვმარტეთ), ფეოდალისათვის: „ხოლო წინათქმულითა და ამით იწოდებოდნენ მთავარნი და აზნაურნი, და თჳნიერ ამათსა არა“ (ლომ.-ბერძ., 19, ჯან., 16; ბროსეს გამოცემაში „და აზნაურნი“ გამოტოვებულია, 28).

ჩვენ აქვე გამოვთქვით აზრი ვახუშტის კონცეფციის შესაჯერებლად წყაროების (პირველწყაროების) ძიების საჭიროების შესახებ. ამ საქმეს თვით ვახუშტი გვიადვილებს, რამდენადაც იგი ან პირდაპირ ასახელებს თავის წყაროებს ან გამჭვირვალედ მიუთითებს მათზე, გვიჩვენებს რა ამასთან ერთად თავისი მუშაობის მეთოდსაც. კერძოდ, კარგად ვხედავთ, თუ სად ჩნდება ბექა-აღბუღას სამართალი (კარვოსნობა და სხვა), ვახტანგ სჯულმდებელი (სისხლის ფასი, ქართლის უპირველესი არისტოკრატიული გვარები და სხვა). მაგრამ ამ ამოცანას ახლა ვერ გამოვეკიდებით.

ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა, რომ უკვე ძველმა ქართულმა ფეოდალურმა ისტორიოგრაფიამ, ვახუშტის სახით, მეტად თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია ძველი საქართველოს საზოგადოებრივი აღნაგობის შემეცნებაში. რათქმაუნდა, ეს წარმატება უმთავრესად ფეოდალური საქართველოს სტრუქტურის აღწერის ხაზით იყო მოპოვებული. თუ რამდენად ჯერ კიდევ განუვითარე-

[1] არ შეგვიძლია აქვე არ მოვიგონოთ, რომ ასეთივე ღრმა ახსნა მისცა ვახუშტიმ იმ პირობებს, რომელთაც შეამზადეს ბახტრიონის შესანიშნავი ეპოპეა.

ბელი იყო შეხედულება ფეოდალური საქართველოს შინაგანი, ძირითადი მამოძრავებელი ძალების ბუნების შესახებ, ეს ჩანს ვახუშტის შემდეგი, ზოგადი ხასიათის შენიშვნებიდან: „ხოლო წესნი ესენი და ჩვეულებანი აქუნდათ, რომელნი ვთქვით, და განუხეთქელობისათჳს სამეფოსა მცდელობდნენ და, უკჳთუ მიუღიან საზღვარნი თჳსნი, ყოველნი მწუხარებდენ და იჭირვოდნენ კვალადგებასავე, და მეფეთა თჳსთა მიუდრეკლად ერთგულებდენ. განა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგანმან, არა დაემორჩილიან, არამედ კვალად იპყრიან თჳსნივე წესნი, და არა დაუტევიან ღმერთნი, და მეფე, და ჩვეულებანი თჳსნი“ (22 (17—18). ცხადია, რომ აქ ჩვენს დიდ ისტორიკოსს თვალმა უჩრდილა, და მას გამოეპარა ის ძალები, რომელნიც, პირიქით, „განხეთქილებისათჳს სამეფოსა“ ცდილობდნენ, სამშობლოს „საზღვრებს“ ზოგჯერ თითონ ხელთ უგდებდნენ მტრებს, არც თავიანთ მეფეებს „ერთგულებდნენ მიუდრეკლად“ და მამა-პაპის ღმერთებსაც სხვისაში სცვლიდნენ.

ეს ბუნებრივია და გასაგები. გასაკვირველი უფრო ისაა, რომ ვახუშტი განზოგადების აღწერილ დონეზე ავიდა. ამ მხრივ მისთვის ბევრად არ წაუსწრია წინ მე-19 საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიასაც.

საკუთრივ „პატრონყმობის“ ხსენება ვახუშტის აქ გაანალიზებულ ზოგად მიმოხილვაში არ არის, როგორც ვნახეთ. მაგრამ მისი ნაშრომის სხვადასხვა ადგილიდან ჩანს, რომ ვახუშტის პატრონყმური ურთიერთობის შესახებ უფრო ფართო წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე ეს „შესავალშია“ ასახული. სხვათა შორის, უკვე ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ციტატებიდან მკითხველი დაინახავდა, რომ ვახუშტი უკვირდებოდა და კარგადაც ხსნიდა იმ მიზეზებს, რომელნიც იწვევდნენ „მეხარკეობას“, „მორჩილებას“, „ერთგულებას“, „ყმობას“—ამა თუ იმ მსხვილი თუ წვრილი სენიორიების „მეპატრონეთა“, „უფალთა“ და „მპყრობელთა“ სასარგებლოდ. არჩევდა ვახუშტი ფეოდალურად განვითარებულ რაიონებს ფეოდალურად განუვითარებელთაგან და ფეოდალური განვითარების სხვადასხვა საფეხურებსაც. ასე, მაგ., სვანების შესახებ ვახუშტი ამბობს, რომ მათ „აწ უვისთ გელოვანი, ვითარცა პატრონი მათი, და არიან თჳსად, და არღარავის მორჩილებასა შინა“ (412). ცხადია, ვახუშტის ესმის, რომ გელოვანი, რომლის ყმები თავისთვის არიან და არავის მორჩილებენ, სხვანაირი პატრონია, ვიდრე, ვთქვათ, „კახთა მეპატრონე“.

ავიღოთ კიდევ, ვახუშტის შეხედულებათა საილუსტრაციოდ, მისი ზოგი დაკვირვება ოსების სოციალური წყობის შესახებ. თაგაურის, ქურთაულის, ვალაგირის, ფაიქომის, დიგორისა და ბასიანის თემთა შესახებ ვახუშტი საერთოდ აღნიშნავს, რომ, ერთი მხრით, მათ ჰყავთ „თავნი და წარჩინებულნი“, რომელნიც მაჰმადიანები არიან, და „დაბალნი გლეხნი“, რომელნიც თავიანთ თავს ქრისტიანებად თვლიან (434 (110). შემდეგ ის იქვე გამოყოფს „მოთავეებს“, „მდიდრებს“ და „დაბალთ“, აღნიშნავს, რომ ამ ოსებმა „უწყიან გვარნი, და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი“ (436 (110). სხვაგანაც ვახუშტის შენიშნული აქვს, როგორც ოსების, ისე სხვა ხალხების მაგალითზე, ეთნიკური მომენტის წარმოჩენა ფეოდალური საზოგადოების ქმნადობის პროცესში; ლაპარაკობს „განდიდნებისა“ და „გამდიდრების“ შესახებ ამ საზოგადოებაში. მაგრამ ვახუშტიმ კარგად იცის, რომ ამ სახის სოციალური დიფერენციაცია ყოველთვის საკმარისი არ არის ბატონყმური ურთიერთობის წარმოშობისათვის. ამ თემთა შესახებ ვახუშტი შენიშნავს: ... „უწყიან პატივი მოხუცებულთა თჳსთა ფრიადი, და უვისთ, ვითარცა პატრონნი თჳსნი (ხაზი ჩვენია). ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბრჭობასა, და ზავსა, და ყოველსავე სამჭირნოსა თჳსთა განაგებენ მათით“ (436-438 (111). აქ საუცხოოდაა დახატული რღვევის გზაზე დამდგარი გვაროვნული საზოგადოება თავისი პატრიარქებით, რომელთა ხელშია მართლმსაჯულება და თემის ყოველივე განსაგებელი. ამგვარ „მოხუცებულთა“ პატრონობა კიდევ უფრო სხვა ხასიათისაა, ვიდრე გელოვანის პატრონობა. თითქოს იმისთვის, რომ საესებით თვალსაჩინო გახადოს ოსეთის დასახელებულ რაიონთა განვითარების დაბალი დონე, ვახუშტი იქვე სპეციალურად აღნიშნავს, რომ ამ თემებში უცნობი იყო ფულადი ურთიერთობა, რომ აღებმიცემა წარმოებდა უშუალო გაცვლის გზით; ამასთან ერთად ვახუშტი აღწერს სიმდიდრის დაგროვების ფორმებსაც ამ თემებში, რომელი ფორმებიც შეეფერება საერთო ეკონომიურ დონეს: „სიმდიდრე მათი არს თოფი, ჯრმალი, ჯაჭვი; ჯავშანი, სპილენძი და ოქრო და ვერცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით“ (438 (111). ამ შესანიშნავი დაკვირვების საერთო მნიშვნელობაზე ჩვენ სხვაგან კიდევ გვექნება საუბარი.

მაგრამ, ამასთან ერთად, ვახუშტის სრულიადაც არ გამოპარვია ის გარემოება, რომ ოსეთის აღნიშნულ თემებში მოიპოვე-

ბოდა ცალკეული, სოციალურად უფრო დაწინაურებული რაიონები. დიგორის ერთი ნაწილის შესახებ, მაგ., იგი ამბობს: ... „ესენი, რომელნი დავსწერეთ ჭევნი, არიან ბადელიძენი, და არიან შენობიანნი და დაბნებიანნი და კოშკოვანნი მრავლად, რომელთა შინა მოთავენი მათნი არიან ყმიანნი მებატონენი (452 (116); ხაზი ჩვენია). „მოთავეთა“ არსებობა, როგორც ვნახეთ, ვახუშტის ოსეთის ყველა თემისათვის აქვს დადასტურებული, მაგრამ ბადელიძეთა მოთავეებისათვის სპეციფიკური ის ყოფილა, რომ ისინი ყმიანი მებატონეები იყვნენ. ესევე შეუნიშნავს ვახუშტის ბასიანის შესახებაც: ... „არს ესე ბასიანი შენობიანი, დაბნეზიანი და უმეტეს გვარიანნი სხვათა ყოველთა ოსთაგან, და არიან მებატონენი ყმიანნი“ (454 (117) ხაზი ჩვენია). აქ ახალია ბასიანის „უმეტეს „გვარიანობა“ სხვა ოსურ თემებთან შედარებით, ე. ი. არისტოკრატიული ელემენტის უფრო ძლიერი განვითარება. „ყმიან მებატონეთა“ არსებობაზე მითითებით ვახუშტი, რათქმაუნდა, აღნიშნავს განსაზღვრული სახის ბატონყმური ურთიერთობის არსებობის ფაქტს.

კიდევ ერთი შენიშვნა. ვახუშტი, ჩანს, კარგად არჩევდა მთიელი ტომების უცხო მეპატრონეთაგან დამოკიდებულების სხვადასხვა სახესაც. კერძოდ, მას შეუმჩნევია, რომ ოსეთის ნახევრად პატრიარქალურ ან პატრიარქალურ მდგომარეობაში მყოფი ტომების, როგორიც იყვნენ ოსები და ძურძუკნი, დამოკიდებულება მეზობელ მფლობელთაგან (mutatis mutandis— საკუთარ მფლობელთაგანაც) აგრეთვე სპეციფიკური ხასიათისა იყო. მათ შესახებ ვახუშტი ამბობს: ... „დღესაც ეგრეთვე მოხარკენი არიან თჳსთჳსთა უფალთა, რომელსა უწოდებენ საჩუქარსა აწინდელს ჟამსა“ (426 (106—107). ის, რაც პატრიარქალური ურთიერთობისა და შეგნების ხანიდან მომდინარე ენაზე ჯერ კიდევ საჩუქრად იწოდებოდა, უფრო განვითარებული ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენლის თვალში ხარკი იყო მხოლოდ და სხვა არაფერი. ვახუშტის ამ შესანიშნავ დაკვირვებას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სხვა ადგილას ჩვენ ვუჩვენეთ, თუ რა როლს ასრულებს ადრინდელი ფეოდალური საზოგადოების ქმნადობის პროცესში საჩუქარი, ძღვენი, რომელიც პატრიარქალური ხანიდან მომდინარეობს და რომელიც სათანადო პროცესებში ბეგრად და ხარკად გადაიზრდება ხოლმე[1].

[1] ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზახე, გვ. 129, შეადრ. აგრეთვე იქვე. გვ. 30—38.

ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის

ბარათაშვილთა საგვარეულო, ყველა ნიშნით, მეთხუთმეტე საუკუნეში ყალიბდება. ეს ხანა საერთოდ ხასიათდება ახალი მფლობელი ფეოდალური სახლების გამოჩენით. დროება სწორედ რომ შესაფერი იყო. იმ კატასტროფამ, რომელიც საქართველოს, განსაკუთრებით ლიხთამერეთს, ლანგ-თემურმა დაატეხა თავს წინა საუკუნის დამლევს, საუკეთესო ნიადაგი შექმნა ფეოდალური უფლებების ხელახალი განაწილებისათვის, მათი გადაჯგუფებისათვის, ძალთა ახალი განლაგებისათვის. მსგავსი ამბები წინათაც არა ერთგზის მომხდარა, მაგრამ ახლა გარდატეხა მაინც მეტად მკვეთრი იყო.

შესანიშნავი ფერადოვნებით ხატავენ წყაროები ამ საზარელი გრიგალის შემოვარდნას საქართველოში: „ოდეს მძლავრი იგი და დიდისა ულუსისა პატრონი, აგარის მონათესავე“, „ბილწი და მოძაგებული“, „თემურ წარმოემართა აღმოსავალით კერძო, ქვეყანით სამარყანით, და მრავალნი თემნი და ქვეყანანი ოხერ-ყენა“ და მოვიდა საქართველოშიაც „ყოვლითა სპარსეთის და აღმოსავლეთის ლაშქრითა, დიდითა რისხვითა და გულისწყრომითა...და შემუსრნა ყოველნი ციხენი და დააქციენა ყოველნი საყდარნი, მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ხევნი, და ვითარცა ზღვამან დაფარა ყოველი ესე ქვეყანა. და მიიწია ლაშქარი მათი ქუთათისს, ლეკეთსა და დარიალს და მოსწვეს და მოაოხრეს ყოველი საქართველო, და დაყარეს მძოვრი მკვდრისა, ვითარცა მჭელი თივისა...ტყვე და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარყანს“.

მთელი ქვეყნის ცხოვრება საძირკვლებამდის იყო შერყეული. საზოგადოებრივ კლასთაგან, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მეტად, რათქმაუნდა, ისევ გლეხკაცობა დაზარალდა; მაგრამ არც ფეოდალებს დასდგომიათ კარგი დღე. კერძოდ, არა ერთი უძველესი ფეოდალური სახლი, თავისი ჩამომავლობითა და შეძლებით მოქადული, მოიშალა და გადაშენდა. აჩრდილივით გადასულ დიდებულთა ნაოხარზე ახალი ხალხი მოდიოდა და ზღუდემონგრეულ სასახლეებში მკვიდრდებოდა, რადგანაც ნამდვილი მემკვიდრე არსად ჩანდა. ზოგჯერ საგვარეულოს უფროსი შტო უმცროსს უთ-

მობდა თავის ადგილს, უფრო ხშირად კი სენიორი — ვასალს; მაგრამ არც ის იყო იშვიათი, რომ მანამდის სრულიად უჩინარი კაცი ასეთს მიგდებულ „საბატონოს“ შოულობდა, ე. ი. უპატრონოს ძალით ეპატრონებოდა, ან ჩალის ფასად ყიდულობდა, ან მეფეს „საკარგყმოდ“ თავს „შეაწყალებდა“. მეფეებიც, რომელთაც არა ნაკლებ შემოლეოდათ ყმები და ვასალები, „შეწყალებულებს“ „ლოცავდნენ“ ახალგაცემული მამულების „საჭერად“ და „საჭმელად“. მართალია, ეს სენიორიები ხშირად მხოლოდ ნასოფლარებისა, ნაციხვარებისა და ნაქალაქარებისაგან შედგებოდა, ე. ი. ისეთი მამულებისაგან, რომელნიც ოდესღაც „საპატიონნი და შენნი ყოფილან და მას უკანით, ჟამთა ვითარებისაგან, უსჯულოთა აგარის ნათესავთა ხელით განრყვნილი და ოხერქმნილი და სრულიად უნუგეშინისცემოდ განსრული“ გამხდარიყვნენ. უარესი ამ ახალ მამულებს ის სჭირდათ, რომ გლეხობა აღარ იჯდა ზედ: „ამოწყვედილ იყო და საღალოვეს მიწებს აღარავინ-რას აამებდა“ მებატონეს; ბეგრის გამომღებნიც გადაშენებულიყვნენ. ერთი სიტყვით, ბევრ ფეოდალს შეეძლო თავის საბატონოზე ეთქვა: „სრულიად უსჯულოთაგან ამოწყვედილი და დაოხრებული არის: არა თუ სულიერი კაცი იპოებოდეს, ყოვლადვე შენებულება არ იპოების“-ო. მაგრამ მიწის ფასის შეგნება და გემო დაკარგული არ ჰქონდათ: ფიქრობდნენ, რომ „მტერნი და წინააღმდეგნი ქრისტეანეთანი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან“ და რომ „თუ ენებოს ღმერთსა, (ეს მამულიც შეიძლება) აღშენდეს და კაცები დაეშენოს და სულიერ იქნას“-ო, და განახლებული თუ ახლად შეძენილი უფლებების განმტკიცებისათვის ზრუნავდნენ.

რელიეფურად არის აღწერილი ამ პროცესის ერთი ეპიზოდი ალექსანდრე მეფის (1412—1442) საბუთში. როცა ალექსანდრემ 1431 წ. მტერთაგან მიტაცებული ლორე უკან დაიბრუნა, მაშინ „ქართველთა დარბაზის ერთა, (რომელთაც) ნიშანი ვისმე-ღა დარჩომოდა და ანუ ჩამომავლობით პაპათა და მამათაგან... სმენით სმენოდა“, რომ ამ მხარეს მამულები ჰქონდათ, „და იაჯეს“, მამულები დაგვიბრუნეთო, მათ მეფემ სათანადო მიუზღო: „როგორაც ვინ გუეღირსებოდა, ეგრეთ განუყავით და უბოძეთ“-ო. კერძოდ, ბევრი ერგო იმათაც, ვინც თუმცა აქაური მემამულეები არ იყვნენ, აქ მამული „არა ჰქონებოდა“ და „არცა ჰქონდა“ სათანადო საბუთი, მაგრამ „ამა ლორისა ციხისა შოვნასა შიგან და მისთა შესავალთა შოვნასა შიგან დიდადა და უსაზომოდ მოიჭირვეს“ [1].

[1] ქრნკ. II, 242.

ჩვენ შეგვიძლია არა ერთსა და ორ მაგალითზე მივუთითოთ, როცა, სწორედ ამ ხანაში, გადასული ან ჩამომცრობილი მებატონის ადგილას ახალი დამჯდარა თუ „დაუსვამთ“, რაც, ზოგჯერ, ძველი ფეოდალური სახელის შეთვისებითაც დამთავრებულა. მე-15 ს. დამდეგს, მაგ., ხიმშია ამირახორი, რომელიც „პირველ აბაზასძე მარელელი“ ყოფილა, მეფეებს „დიდად და საბატიოდ შეუწყალებიათ“ და „აბულეთისძედ დაუსვამთ“ [1], ე. ი. ამომწყდარი, უძველესი და უდიდესი ფეოდალური სახლის, აბულეთისძეების, მამული და სახელი მიუციათ მათთვის. ზემოხსენებულ ალექსანდრე მეფეს ჯერ სუმბატ ურდოელაშვილის მამისათვის უბოძებია ღაფირასძისეული მამული, ხოლო შემდეგ თვით სუმბატი „დაუსვამს ღაფირასძედ“, რადგანაც ღაფირასძეების „გვარისა აღარავინ იპოვებოდა“ და მთელი მიწაწყალიც, რომელიც, სხვათა შორის, ურდოელაშვილებისაგან „ორჯერ ნასყიდი იყო“, „მკვიდრად, სამამულოდ, უბოძებია“. საინტერესოა, რომ შემდეგში მთელი ეს მამული მეფეებმა უკვე ურდოელაშვილის ნაშვილებთ, ზვიადისშვილებს, უწყალობეს[2]. მეფემ და კათალიკოზმა დიდი წყალობა დამართეს მაღალაშვილებსაც: რადგანაც „სოფლის ვითარებისაგან პატიოსანი ივანისძეთა საქადაგო სახლი და საჭელო უმკვიდრო ქმნილ იყო“, „ესრეთ რომელ არც არა მისი ნათესავი დარჩა“, მაღალაშვილები „ახლად ივანისძედ და ქადაგად განაჩინეს და შეიყვანეს“ და მთელი „საქადაგო მამული, შესავალი და საჭელო“ უბოძეს „ახალსა ივანისძესა“, ე. ი. მაღალაშვილს [3]. მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგსვე მეფეებს აბულახტარისძეთა მამული „სამკვიდროდ“ უბოძებიათ ზევდგინისძეებისათვის [4]. ამავე საუკუნის სიგრძეზე ზევდგინისძეებმა სხვა მამულიც ბევრი იშოვეს, ამილახვრის დიდი თანამდებობაც სამემკვიდრეოდ მიიჩემეს და ბოლოს ამ ხელის სახელწოდებაც გაიგვარეს.

1487 წ. კონსტანტინე მეფემ მირიანისძის მთელი მამული უბოძა საღვინის მოლარეს ქავთარისძეს ახალციხელსა და მისს სახლს, რადგანაც „მირიანისძე დაბოლოვდა და უმკვიდრო იქნა“[5].

ასეთ ეპოქაში დაიბადნენ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ნ ი ც. რომ უკვე მე-15 ს. მეორე ნახევარში ეს გვარი ვრცელია და ძლიერი, უეჭველია.

---

[1] ქრნკ. II, 213—214; ისტ: საბ, III, 3—5.

[2] ქრნკ. II, 223—224, 235, 244—277; ისტ. საბ. III, 14,3 4.

[3] ქრნკ. II, 192, 290; შეადრ. იქვე, 318; ისტ. საბ. III, 42.

[4] ისტ. საბ. II, 4

[5] ქრნკ. II, 305.

დავით ქართლის მეფის ზეობაში, 1523 წ. გაყრილან გუგუნა და გერმანოზ ბარათაშვილნი თავიანთი ძმებითურთ. მაგრამ ეს სახლი თვითონ ყოფილა ცალკე შტოდ გამოყოფილი,— ცხადია, მეორე გაყრაზე ადრე,— ბარათაშვილთა საგვარეულოდან: ამ „საქმის გასაჩენელად“ დამსხდარ პირთა შორის მოხსენებული არიან ბარათიანნი იარალ და ორბელ, ხოლო გვარის მნიშვნელობაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ გაყრას თვით მეფე ხელმძღვანელობს [1]. საბუთი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ მოცემულია ცნობები საგვარეულო სამფლობელოს ფარგლების შესახებ: ბარათაშვილთა ამ შტოს რამდენიმე ათეული ვასალი აზნაურის გვარი ჰყოლია, მამულები კი გაბნეული ჰქონია მთელი თანამედროვე აღბულახის [2] რაიონის სივრცეზე [3]. მომდევნო მეფობაში ხდება ბარათაშვილთა ახალი გაყრა, რომლის საბუთიც ბარათაშვილთა სამფლობელოს უჩვენებს, აღნიშნულის გარდა, უკვე ლუქსემბურგისა და ბაშკიჩეთის [4] რაიონებშიც [5]. ასეთი საბატონოს ჩამოყალიბებისათვის, ცხადია, არამცირედი დრო იყო საჭირო. მართლაც, მე-15 ს. მეორე ნახევარში ბარათაშვილები ამ მხარეში არა მარტო ჩანან უკვე, არამედ პირველობენ კიდევაც. მათ ამ დროს სპეციალური მემატიანეც უჩნდებათ, რომელიც, ბაგრატის მეფობის ისტორიის საფარველით, არსებითად ამ საგვარეულოს განდიდებისათვის შრომობს. დასახელებული წყაროს ტენდენციური მოთხრობით, როცა, 1477 წ., უზუნ-ჰასანი საქართველოს შემოესია და სომხითს მოვიდა, „ორბეთის ძირსა დიდად კარგად დახვდეს ბარათიანნი“, ე. ი. მტერს სათანადო პასუხი გასცესო. მაგრამ, ჰასანის მიერ ტფილისის აღების შემდგომ ურთიერთობა შეცვლილა: ყაენს ბარათიანნი „მიუნდვია“, „მრავალნი მოუცნია და აღუვსნია პირთამდინ“. მიუხედავად ამისა, მოკვდა თუ არა ჰასანი, „ჩაუხდეს ბარათიანნი, დაიფორაქეს ელი“. როცა, 1486 წ., იაყუბ-ყაენმა დალაშქრა ეს მხარე,— მაშინაც მტრისთვის მთავარი პასუხის მიმცემნი თითქოს ბარათიანნი ყოფილან. მომდევნო სამხედრო ამბებშიც ყველაზე აქტიურნი აქ ბარათაშვილნი ჩანან [6]. საფიქრებელია,

[1] მეფის ყურადღება ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რათქმაუნდა, რომ მას ცოლად ბარათაშვილის ქალი ჰყავდა.

[2] [აწ თეთრიწყაროსი. რედ.].

[3] ქრნკ. II, 349.

[4] [აწ ბოლნისისა და დმანისისა. რედ.].

[5] საისტ. მოამბე, 1924 წ., წ. I, 173 შემდ. (ბარათაანთ გაყრის წიგნი, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ).

[6] „ქართლის ცხოვრება“-ს გაგრძელება: მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, 1—37 შემდ. ახლა ძნელი სათქმელია, მემატიანის ფრაზა,—„მუდამ ბარათიანთა და ორბეთისძირელთა გაემარჯვის“ (იქვე, 40)—იმას ხომ არ ძოწმობს, რომ ორბეთის ძირი ამ დროს ჯერ კიდევ მთლად არ ემორჩილება ბარათაშვილებს.

რომ მათ ამ დროს ბევრი ისარგებლეს, კერძოდ, იმის გამო, რომ ჯერ ბაგრატ მეფის, ხოლო შემდეგ კონსტანტინე მეფის კარზე ბარათაშვილნი დიდად ყოფილან დაწინაურებულნი. კონსტანტინეს თავის რძლადაც და სადედოფლოდაც მოუყვანია ბარათაშვილის ასული [1].

საიდან-ღა გაჩნდნენ ეს ბარათაშვილნი? უკვე ვახუშტიმ აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხს იძლევა საგვარეულო გარდმოცემა, რომელსაც დოკუმენტალური მასალაც უჭერს მხარს: "...ბარათაშვილი, რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანისა საერისთონი ტფილისის სამხრით, ვიდრე ლორე-ფანავრამდე, თჳნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყვიან ესენი ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი, მეფეთაგან წყალობისანი. კვალად ყაფლანისშვილი და აბაშისშვილი სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანისშვილი იტყვის გვარობასა მათსა, განა (ალბათ უნდა იყოს: გინა. ს. ჯ.) ორბელიანობასა. გარნა იყო ორბელიანი სხვა და ქაჩიბაძე სხვა გვარი. არამედ ოდეს განიყუნენ ძმანი, ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა მათ საბარათიანოდ. ხოლო აბაშისაგან აბაშისშვილნი და ეგრეთვე სხვანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. განა საგონებელ არს, ყაფლანიანთაცა მესამეს ძმას ეწოდა ორბელი, და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ, თვარე წინათქმულნი არა განმართლდებიან... ხოლო ზურაბისშვილს, იარალისშვილს და სოლაღაშვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა" [2]. შემდეგ ვახუშტი მიუთითებს ბარათიანთ გუჯარზე, „რომელი არს ბეთენიას".

აღნიშნულ გენეალოგიას აშკარად ადასტურებენ ის დოკუმენტები, რომელნიც მცხეთის საკათალიკოზო ტახტის უფლებებს ამტკიცებენ სოფ. ყორანთის მიმართ სომხითში (მდ. მაშავრის ხეობაში, თანამედროვე ლუქსემბურგის [3] მახლობლად). ეს სოფელი ჯერ მცხეთისათვის შეუწირავთ სალაროს მოლარეს ბარათა ქაჩიბასძეს, მის ცოლს თინათინს და მათს შვილებს დავითს, გერმანოზსა და ლაპას, რომელნიც ყორანთას თავიანთს „მკუიდრ მამულს, მოუდე-

[1] ქრნკ. II, 306. რომ ეს ქალი თავის ქმრის „უხვედრად" არის მიჩნეული, ეს ძველი ქართული სახელმწიფო სამართლის გამოძახილია, რომელიც მეფის სახლს ქვეშევრდომთან დამოყვრებას უკრძალავდა.

[2] გეოგრაფია, ბროსეს გამ., 40—42.

[3] [აწ ბოლნისის. რედ.].

ვარსა და უსარჩლელს“ უწოდებენ[1]. შემდეგ ამ ბარათას უფროსი შვილი, რომელსაც მამის თანამდებობა დაუმკვიდრებია, კვლავ აძლევს დოკუმენტს მცხეთას. აქ, „ქაჩიბასძენი, სალაროს მოლარე დავით, ძმა მის გერმანოზ და შვილნი მათნი ლაპა, ბარათა, სურამელი და ქავთარ“ აცხადებენ, რომ მათ, „სივაჟისა მიუმხდროებითა და ავთა მზაკვართა კაცთა ენითა და შემობეზღებითა“, ერთხანს ყორანთა „უკუუჭერიათ“, ე. ი. წაურთმევიათ, ახლა კი ისევ უბრუნებენ კათალიკოზს, მშობლების სურვილის შესასრულებლად. ამასთანავე საბუთი შეიცავს რამდენსამე საყურადღებო ცნობას: მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს ქაჩიბასძენი თავიანთ თავს „სამშვილდის მებატონეებს“ ეძახიან; შემდეგ საინტერესოა, რომ, ამ საბუთის მტკიცებით, ყორანთა ბარათას და თინათინის „ნაღვაწი“, ე. ი. შეძენილი ყოფილა; ქრონოლოგიისათვის ისიც საინტერესოა, რომ დავითი მამის საბუთს „ძველ სიგელს“ უწოდებს[2]. თითქმის სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ დავით ქაჩიბასძის უკანასკნელი შვილი ქავთარია, ის ქავთარი, რომლის ოჯახი, როგორც ზემოთ ვნახეთ, გაიყარა 1523 წ. და რომელიც უკვე ბარათაშვილობით იხსენიება[3]. ხოლო, უფრო ზოგადად, ყორანთას შემწირველ ქაჩიბასძეთა გაბარათაშვილება უკვე სრულიად უეჭველი ხდება 1529 წლის საბუთიდან, რომელშიაც „ბარათასშვილი აბაში და მისი ძმისწული დავით“ აცხადებენ: „ჩ უ ე ნ თ ა გ უ ა რ თ ა გ ა ნ საღაპოდ შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი სოფელი ყორანთა ამოწყვედილიყო“ და „აწ ჩუენ ახლად მოგაკსენეთ და დაგიმტკიცეთ“-ო[4]. უკანასკნელ კვერს უკრავს ამ არგუმენტებს ლუარსაბ მეფის განაჩენი, რომელშიც გერმანოზ ბარათაშვილი მოიხსენიებს, რომ „ჩვენმა გვარმა კაცმა დიდმა ბარათამა ყორანთა შესწირა“-ო[5]. მართლაც, მთელი შე-16 ს. სიგრძეზე ეს მხარე საბართაშვილოდ იხსენიება: 1587 წ., მაგ., ერაჯ, გულბა და საჩინო ბარათაშვილები მცხეთისაგან ვალად აღებული თეთრის გასასტუმრებლად სწირავენ საკათალი-

[1] ქრნკ. II, 232; ისტ. საბ. III, 36—37; მეტად საყურადღებოა ერთი დოკუმენტი, რომელიც ბარათას მიაკუთვნებს ალექსანდრე მეფის ხანას, 1412—1442 წ. წ. (სიგელი გაცემულია ბარათასა, მისი ცოლის თინათინისა და შვილების დავითისა და გერმანოზისაგან, რომელნიც, უეჭველია, ქაჩიბაძეები არიან), მაგრამ ეჭვს იწვევს სიგლის თარიღი, იხ. საქ. სიძვ. I, 66—67.

[2] ქრნკ. II, 271; ისტ. საბ. III, 38—39.

[3] იხ. აგრეთვე ქრნკ. II, 352.

[4] ქრნკ. II, 373; ისტ. საბ. III, 59.

[5] ქრნკ. II, 373.

კოსო ტახტს სოფლებს ყორანთას, სამშვილდეს და სატრედოს [1]. ხოლო შემდეგ, ამავე მიზეზის გამო, მცხეთასვე აძლევენ დასახელებული სოფლების მოსაზღვრე ნასოფლარ ველკეთილს [2]. ამრიგად, ვახუშტის სიტყვები მართლდება და ბარათაშვილების წარმომავლობა ქაჩიბაძეთაგან სადავოდ აღარ უნდა იყოს მიჩნეული. შეიძლება მეტიც ითქვას: წარმოდგენილი მასალა სარწმუნოს ხდის თედო ჟორდანიას მოსაზრებას, რომ ბარათაშვილობა ამ საგვარეულოს შეერქვა სწორედ ზემოთხსენებული, სალაროს მოლარე ბარათა ქაჩიბაძისგან, რომელიც მე-15 ს. პირველი ნახევრის პირი უნდა იყოს [3]. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ გერმანოზ ბარათაშვილი მას „დიდ ბარათას" ეძახის. ეს „სიდიდე", თვით საგვარეულოს წევრთა შეგნებაში, საფიქრებელია, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ განსაკუთრებულ დამსახურებასთან, რომელიც ბარათას მიუძღოდა საბარათიანო სენიორიის შექმნის საქმეში. რომ ეს სენიორია არსებითად სწორედ მე-15 ს. ყალიბდება, ამას საუკეთესოდ მოწმობს თვით ფაქტი ახალი საგვარეულო სახელის ჩამოყალიბებისა [4]. ხოლო თუ ეს ყოველივე ასეა, მაშინ ალბათ სიმართლეს არ დავშორდებოდით, თუ ვიფიქრებდით, რომ ბარათა ქაჩიბაძეს სხვებზე ნაკლები, თუ არ მეტი, არ რგებია იმ „დარბაზის ერთა" შორის, რომელთაც მეფეებმა, მე-15 ს. დამდეგს, მამულები „განუყვეს და უბოძეს", როცა აქ კვლავ დაამკვიდრეს თავიანთი ხელისუფლება. თუ ასე მოიქცა ალექსანდრე მეფე ლორის მხარეში (იხ. ზემოთ), საფიქრებელია, რომ ანალოგიურივე ამბავი უნდა მომხდარიყო ლორესთან მჭიდროდ დაკავშირებულ, მეზობელ სამშვილდის მხარეშიაც და, საერთოდ, ქვემო ქართლში, რომელიც განსაკუთრებით დაზარალდა თემურისაგან.

საიდან გაჩნდნენ ქაჩიბაძენი? ეს გაცილებით უფრო ძნელი საკითხია — აქ უკვე წყაროების მაქსიმალურ ნაკლებობას განვიცდით. თ. ჟორდანიას ქაჩიბა ამ შემთხვევისათვის მიუჩნევია პირის სახელად, სახელდობრ, „დიდი" ბარათას მამად, მაგრამ თავის მოსაზრებათა საფუძველი მას განმარტებული არა აქვს და არც გვგო-

---

[1] ქრნკ. II, 425.

[2] ქრნკ. II, 426; ისტ. საბ. II, 55—56.

[3] ქრნკ. II, 353, 373; საქ. სიძვ. I, 66.

[4] ეს ზოგადი საკითხი ავტორს განხილული აქვს სპეციალურ მონოგრაფიაში. ერთი საბუთი (ქრნკ. II, 188) საბარათიანოს იხსენიებს უკვე 1362 წლისათვის, მაგრამ იგი მრავალმხრივ საეჭვო დოკუმენტია და ყალბი უნდა იყოს. შეადრ. მისი განსხვავებული ვარიანტი, საქ. სიძვ. I, 244.

ნია, რომ ეს გუმანი გამართლდეს. ქაჩიბაძე უფრო ძველი გვარი უნდა იყოს.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერთი ფაქტი. ფიტარეთის ტაძრის ცნობილ წარწერაში იხსენიება ვინმე ქავთარი, რომელიც ყოფილა „ამირეჯიბი თვითმპყრობელისა ძლიერისა მეფეთ-მეფისა გიორგისი". წარწერის უკანასკნელი წანაკითხი, რომელიც ექვთ. თაყაიშვილს ეკუთვნის, ქავთარს აუშენებია ფიტარეთის მონასტერი და ღვთისმშობლის საყდარი და მისთვისვე შეუწირავს ტანძია და თევდორწმიდანი. ფიტარეთის მონასტერი იყო მთავარი სასაფლაო ბარათაშვილთა, კერძოდ, ამ საგვარეულოსაგან გამოყოფილი შტოსი, ყაფლანიშვილ-ორბელიშვილებისა. ამათივე „სამკვიდრო სასახლე" იყო სოფ. ტანძია[1], სადაც, სხვათა შორის, დაიბადა სულხან-საბა ორბელიანიც. თევდორწმიდანიც, როგორც ექვთ. თაყაიშვილმა გამოარკვია, აგრეთვე ბოლნისის ხეობაში, ე. ი. ამავე საბარათაშვილოში, მდებარეობდა. ყოველივე ეს უკვე ამახვილებს ინტერესს ქავთარის ვინაობისადმი. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდება, როცა მოვიგონებთ, რომ „ქავთარი", საზოგადოდ, საყვარელი სახელი იყო ბარათაშვილებში, იმდენად, რომ ამ საგვარეულოს ერთ-ერთს მრავალრიცხოვან შტოთაგანს „ქავთარიშვილებიც"კი შეერქვა. საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტდა გვარის სახელი, რომ ეს უკანასკნელი უცილობლად იკითხებოდეს: წარწერაში იგი, სამწუხაროდ, დაქარაგმებულია „ქჯფჲსძე" ჯგუფის სახით. ქარაგმას არქეოლოგები სხვადასხვანაირად ხსნიან: ბროსე კითხულობს „ქუჯაფაძე"-დ, ე. თაყაიშვილი—„ქაჯაფაჲსძე"-დ ან „ქუჯაფაჲსძე"-დ, თ. ჟორდანია—„ქოტფასძე-დ" (ჯანი მას ტარად მიუღია)[2]. ცხადია, რომ აქ ხმოვნები სავსებით ნებისმიერად არის ჩასმული. ხოლო თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, გაცილებით უფრო მეტი საბუთი გვექნება ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „ქაჯიფაჲსძე"-დ წავიკითხოთ და მიღებული ფორმა, „ქაჩიბაჲსძის", მივიჩნიოთ მხოლოდ ვარიანტულ ტრანსკრიფციად, რომელიც, იქნებ, სპეციფიკური წრის გამოთქმის სხვაობასაც ემყარებოდა. ფრიად სარწმუნო ხდება, რომ ამირეჯიბი (აქ თანამდებობას ნიშნავს) ქავთარ ქაჯიფაისძე ქაჩიბაძე-ბარათაშვი-

---

[1] ქრნკ. II, 497.

[2] Mélanges asiatiques, t. II, 1-re livre, St.-P. 1852, გვ. 112 შემდ. იხ. იქვე, ტაბ. III, წარწერის პალეოგრაფიული პირი; ექვთ. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები; ქრნკ. II, 177.

ლების ერთი უშორეულესი, ისტორიაში ცნობილი, წინაპართაგანია. ამის შემდეგ ყურადღება უნდა შევაჩეროთ წარწერის ორს, მკაფიო და ხაზმოსმულ, ჩვენებაზე: 1) ფიტარეთის „აღშენებაში“ „არაჲ ვისი ჰრთავს, თვინიერ ჩემისა ლაშქრისა და ხრმლითა მოგებულისა“, ე. ი. რომ ეს საქმე ქავთარს შეუსრულებია მხოლოდ თავისი ლაშქრითა და ხმლით ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ომში მარტოოდენ მის მიერ ნაშოვნი ფულით; 2) რომ ტანძია და თევდორწმიდანი ქავთარს უყიდნია აგრეთვე მის მიერ ომში ნაშოვნი ფულით: „ვიყიდენ ტანძიაჲ და თევდორწმიდანი ჩემითავე ხრმლითა მონაგებითა საფასითა“-ო. პირველ ცნობას ყველანი ისე განმარტავენ, თითქოს იგი ეკლესიის აშენებაზე მოგვითხრობდეს. ამ აზრის გადაჭრით მიღება ძნელია. ტექსტის „აღშენება“ შეიძლება „განახლებასაც“ ნიშნავდეს[1]. ის გარემოება კი, რომ წარწერის ხასიათი „კლასიკური ხანის სილამაზეს არ მოგვაგონებს“ (ე. თაყაიშვილის ავტორიტეტული განცხადებით), მაშინ, როცა თვით ძეგლი სწორედ ქართულ ხუროთმოძღვრების კლასიკური ხანის საუკეთესო ძეგლადაა ყველას მიერ აღიარებული,— დამაფიქრებელი ხდება. ხოლო ფაქტი, რომ წარწერა შესრულებულია კარიბჭის შიგნით და „ასოებიც წარწერისა ღრმად არ არიან ამოჭრილნი“ (ე. თაყაიშვილი), — რაც მოწმობს წარწერის ამოჭრას უკვე ამოყვანილ კედელზე, — გვაფიქრებინებს, რომ წარწერა ძეგლზე გვიანდელი უნდა იყოს და ცნობაში ტაძრის განახლება უნდა იგულისხმებოდეს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეორე ცნობა: ქაჯიფასძე-ქაჩიბაძისათვის ის პუნქტები, რომელნიც შემდეგში ბარათაანთ სამფლობელოს ერთი ყველაზე უფრო ნიშანდობლივ შემადგენელ ნაწილთაგანია და საჯდომსაც კი შეადგენს ბარათაშვილების მთავარი შტოსათვის, ფიტარეთის წარწერის ამოჭრის დროისათვის მემკვიდრეობითი მამული კი არ არის, არამედ ახლად შეძენილია ყიდვის გზით. ქაჯიფასძე-ქაჩიბაძე ტანძიასა და თევდორწმიდანში, და იქნებ ფიტარეთშიაც, ახლად მოსული მფლობელია. რა დროს ცხოვრობს ამირეჯიბი ქავთარ ქაჯიფასძე? სამწუხაროდ, წარწერა უთარიღოა, თუ არ ვიანგარიშებთ ზოგადსა და გაურკვეველ ცნობას გიორგი მეფის ზეობის შესახებ. საერთოდ ფიქრობენ, რომ ეს არის მე-14 ს. პირველი ნახევრის გიორგი („ბრწყინვალე“). ბროსე, რომელსაც ემხრობა ე. თაყაიშვილი, ამას არადამაჯერებელი

[1] იხ. ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI ს., საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI.

საბუთებით ამტკიცებს, კერძოდ, ფიქრობს, რომ ასეთი მშვენიერი ქეგლის აშენება არ შეეძლოთ დასახელებული ხანის შემდეგაო. მაგრამ ასეთ მოსაზრებას, სხვა არ იყოს რა, ძეგლის აშენებისა და წარწერის ამოკვრის თანადროულობის დაუსაბუთებლობა ეწინააღმდეგება. თ. ჟორდანია ზოგად პალეოგრაფიულ მოსაზრებას ემყარება, რაც აგრეთვე სრულებით არადამარწმუნებელია. საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. მხოლოდ აქ უნებლიეთ გვაგონდება ცნობილი მამუკა ბარათაშვილის (17 ს. დამლევი — 18 ს. პირველი ნახევარი) ნათქვამი ბარათაშვილთა წარმომავლობის შესახებ: „ვინ ძირად ბარათ, ქავთარის მოძე ქაჩიბაძისა"[1]. აქ თითქოს ის აზრი უნდა იყოს გამოხატული, რომ ბარათაშვილები წარმოსდგებიან ბარათა ქავთარის ძის ქაჩიბაძისაგან. იქნებ მამუკას ჰქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ „დიდ" ბარათას მამას ქავთარი ერქვა სახელად? მაშინ ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ქავთარი ამირეჯიბი ქავთარია და რომ იგი ცხოვრობს ბაგრატ და გიორგი მეფეების დროს, ე. ი. მე-14 ს. დამლევს? ან შესაძლოა უფრო სარწმუნო იყოს ამ ცნობის მეორეგვარი გაგება: ბარათაშვილები წარმოსდგებიან ბარათასაგან, რომელიც არის შ ო რ ე უ ლ ი შ თ ა-მ ო მ ა ვ ა ლ ი („მოძე!" ამ იშვიათი სიტყვის ნამდვილი აზრია საძიებელი) ქავთარ ქაჩიბაძისა, რომელიც იქნებ მართლაც გიორგი ბრწყინვალისდროინდელი პირი იყოს. საკითხი ჯერ არ შეიძლება გადაწყვეტილად იქნას მიჩნეული.

მამუკა ბარათაშვილის ცნობა ახალ შუქში ჩნდება ერთი გარემოების წყალობით. ბარათაშვილთა ჩამომავლობით ჯერ კიდევ ძველადვე დაინტერესებულან თვით საგვარეულოს წევრები და ვიღაცას ამათგან სათანადო თხრობაც შეუთხზავს. ამ გენეალოგიური თხრობით, რომელშიაც ისტორიული სინამდვილე და ლეგენდა საკმაოდ გამჭვირვალედ არის ერთმანეთში ხელოვნურად არეული, ბარათაშვილთა და მათი განაყოფი საგვარეულოების წინაპარი არის ვითომც ვინმე ბირიან აბაში, რომელიც საქართველოში მოსულა 768 წ., ქრისტიანული წელთაღრიცხვით. იგი ყოფილა „კაცი ამირთ-ამირი", „დიდის კრებულის ელით". მეფე ბაგრატს, დავითის ძეს,

[1] „ქება მეფის ბაქარისა,— მამუკა ბარათაშვილის მიერ თქმული 1734 წ." საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. № 303 S, გვ. კბ. აქ მამუკა ბაქარს მიმართავს: „ხარ დავითისა, ხარდა ვით ისა, მებრძოლთა წყობად ვარ გამაძისა, შენგან მხე ბარათ! ვინ ძირად ბარათ, ქავთარის მოძე ქაჩიბაძისა, გაქოს მონამა, ღაწვთა მონამა, ვის არაქვნდეს ზოგთა მბაძისა".

დიდი მამული მიუცია აბაშისათვის, — ვერეს, ბედნის, არჯენის, ფარავნის, ბორცვისა და ლელვის მდინარეები „თავისის ხევისთავითა“, — და მოყვრადაც მოჰკიდებია მას. თვითონ აბაში ვითომც ორბეთსა და გმირთ-კვეთილს დასახლებულა. მისი გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს, რომელთაც მამის მამული და ადგილი დარჩენიათ, გვარადაც ვითომც აბაშიშვილები შერქმევიათ. მაგრამ „გარდაიცვალა რამდენიმე დრო და ჟამი და დაერქო ქართველ ქაჩიბაძე, რამდენიმე წელიწადი ქართველ ქაჩიბაძე ვიყავით“. შემდეგ კვლავ „გარდაიცვალა დრო და ჟამი და დაგვერქვა ბარათიანი. ამ ბარათაშვილობაში ვესახლენით ენაგეთს“. აქ გაყრილან, მეფე ალექსანდრე გიორგის ძის დროს, 317 წლით ადრე ამ დოკუმენტის შედგენამდის. გაყრილნი იოანე ბარათაშვილის შვილნი, რომელთაც მთლად ცხრა ათასი კომლი გლეხი და აზნაური რგებიათ მამისაგან, სხვადასხვა ადგილას დამსხდარან: უფროსი აბაში — სამშვილდეს, გუგუნა — ალგეთს, უმცროსი, დავითი —გარესჯას. დასასრულ, „მემატიანე“ ერთ ცნობასაც აწვდის მკითხველს: „ძველი წიგნი და გუჯრები, ბირიან აბაშისა და ქაჩიბაძობისა, ყველა მანგლისის სამალავში ბირიანის წიგნები ლანგ-თემურ დაწვა; და ქართველ ქაჩიბაძობის წიგნი, მანგლელი საბა ქვათახევს იყო, იმას ჰქონდა. ის მანგლელი საბა ლანგ-თემურ ქვათახევს, საყდარში, დაწვა, წიგნები და გუჯრები ძველი იქ დაიკარგა. და ბარათაშვილობის წიგნები და გაყრის წიგნები არის, როგორცა გაყრილან და ვის რა ვის რგებია, ხეობა თუ მამული“[1].

ამ თხრობის ჩვენებათა გაგებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს დოკუმენტის ბიბლიოგრაფიულ ცნობას: წარმოდგენილი პირი, 1754 — 1755 წ., გადმოუწერია იესე მოლართუხუცესს იმ „გუჯრისპირიდან“, რომელიც ძეგლის ბეთანიური ეგზემპლარის მიხედვით გაუკეთებია ვინმე დეკანოზს იესეს 1704 წ., 7 მარტს, ჟამსა მეფობისა გიორგისსა, ჯანიშინობასა ბატონიშვილის ვახტანგისსა“. ეს პირის პირი ჰკუთვნებია თომა კანჭაშვილს, რომელიც სხვა წყაროებიდან ცნობილი თომა ბარათაშვილია, რასაც ცხადჰყოფს მინაწერში დაცული ჩვენებაც. ხოლო აღნიშნული თომა ძმა ყოფილა იმ მამუკასი, რომლის გენეალოგიური მითითება ზემოთ იყო მოტანილი[2]. ეხლა ნათელია, რომ მამუკას გენეალოგია დამყა-

[1] Е. Такайшвили. Еще один из источников истории Грузии царевича Вахушта. ЗВОРАО, VIII, СПБ, 1893.

[2] თომასა და მამუკას ძმობა დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ, ახალი საარქივო ცნობების ნიადაგზე.

რებულია სხვა ხასიათის წყაროებზე, ვიდრე წარმოდგენილი თხრობა (საყურადღებოა თუნდ ის ფაქტიც, რომ ბარათას პიროვნება სრულიად უცნობი დარჩენილა „ბეთანიის გუჯრისთვის"). პირველი თითქმის მთლიანად ეთანხმება დოკუმენტალურ ცნობებს, მეორე კი თითქოს ამ უკანასკნელთა შევსებას ლამობს. ერთი ოჯახის წევრთა ეს განსხვავებული ცნობები თავიანთი საგვარეულოს ჩამომავლობის შესახებ მოწმობს, რომ ეს გენეალოგიები საერთოდ ახალი წარმოშობისა იყო და მათ ჯერ კიდევ დადგენილი და საყოველთაოდ მიღებული სახე არ ჰქონდათ. შეიძლებოდა, რათქმაუნდა, დაგვესვა საკითხი — ხომ არ უდრის „ბეთანიის გუჯრის" „ქართველი" მამუკას ჩვენების „ქავთარს", ე. ი. ხომ არა გვაქვს აქ ერთიდაიმავე ცნობის ტრანსფორმაციები, ამა თუ იმ გზით წარმოშობილი? მაგრამ ამ მხრივ დაბრკოლებას წარმოადგენს მოცემული ტერმინების განსხვავებული ფუნქციები: „ქართველი" მსაზღვრელია და განმარტება, „ქავთარი"კი — პირის სახელი. რათქმაუნდა, „ბეთანიის გუჯარში" ბევრი რამ შეთხზულია. ასეთი ჩანს, მაგ., ცნობა ბირიან აბაშის შესახებ. მაგრამ თხრობის ორი ჩვენება ჩვენ საყურადღებოდ მიგვაჩნია. პირველი ცნობა, რომელიც ამტკიცებს ლანგ-თემურის მიერ ქაჩიბაძე-ბარათაშვილთა ძველი საბუთების განადგურებას, მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ უკვე მე-18 ს. დ ა მ დ ე გ ს თ ვ ი თ ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო შ ი ა რ მ ო ი პ ო ვ ე ბ ო დ ა ა რ ა - ვ ი თ ა რ ი დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ლ უ რ ი მ ა ს ა ლ ა, თ ე მ უ რ ი ს ხ ა ნ ა ზ ე ა დ რ ი ნ დ ე ლ ი. საჭვარეულო არქივის დასაბამი მე-14 საუკუნეს ვეღარ აღწევდა. მეორე ჩვენება, კიდევ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი, ისაა, რომელიც ამტკიცებს, რომ ერთ დროს საგვარეულოს „ქართველ ქაჩიბაძე" ეწოდებოდა და მხოლოდ შემდეგ შეერქვა მას ბარათაშვილობა. ეს მტკიცება თხრობაში სამჯერ არის განმეორებული და თან ერთი კონკრეტული ცნობაცაა დართული, სახელდობრ, რომ „ქართველ ქაჩიბაძობის წიგნი" საბა მანგლელთან ერთად დაიღუპა ქვათახევში, როცა თემურმა ეს მონასტერი დასწვა.

რას ნიშნავს „ქართველი" ამ შემთხვევაში? როგორც უკვე ვამბობდით, ეს ტერმინი აქ მსაზღვრელის როლში გვევლინება. იგი მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქაჩიბაძენი შტო იყვნენ უფრო ვრცელი საგვარეულოსი, რომლის სხვა განატოტები თუ ძირითადი ტანი სხვაგან დარჩა. „ქართველ ქაჩიბაძე" არა-ქართველ ქაჩიბაძეებსაც გულისხმობს. ამასთან ერთად ჩვენ დაუჯერებელი გვგონია, რომ მოცემული ცნობა გამოგონილი იყოს, იგი მეტად ნიშანდო-

ბლივია და კონკრეტული. ეს ცნობა რომ გამოგონილი და შეთხზული იყოს, მაშინ უფრო ბუნებრივი იქნებოდა ავტორს იგი ბირიან აბაშთან დაეკავშირებინა: მისი თხრობით ხომ სწორედ ბირიან აბაშია მოსული, „ქართველ ქაჩიბაძე“კი აბაშის ადგილობრივ და მერმინდელ შთამომავალთა სახელია. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ რაღაც გარდმოცემასა თუ, სხვა გზით დაცულ, მოგონებასთან გვაქვს საქმე. თვით ამ გვარისსახელის სტრუქტურა იძლევა ერთგვარ საშუალებას საიდუმლოების გახსნის ცდისათვის.

ის ძირითადი ელემენტი, რომელიც ქართულად გაფორმებული სახით წარმოდგენილია ამ გვარისსახელში — „ქაჩიბა“, პირველივე შეხედვით არა ქართული წარმოების შთაბეჭდილებას სტოვებს. თუ სწორია ზემოთ, თავის ადგილას, გამოთქმული მოსაზრება ამირეჯიბი ქავთარის ვინაობის შესახებ, მაშინ ჩვენ ამ წარმოების განსხვავებული (საფიქრებელია, უფრო ძველი) ფორმაც გვაქვს — „ქაჯიფა“. ამ ფაქტების თავისებურების შესწავლა ჩვენთვის დიდად სარწმუნოსა ხდის მათს მომდინარეობას დასავლეთ საქართველოდან.

ჯერ ერთი, მოვიგონოთ, რომ იგივე გვარი, მხოლოდ მეგრულად გაფორმებული, დღესაც ცოცხალია: „ქაჩიბაია“. „ქაჩიბაია“ — „ქაჩიბაძის“ ნათესაობა ეჭვს გარეშეა. მეგრული ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი თითქოს მოძრაობის გზაზედაც მიგვითითებს. მსგავსივე აღნაგობის არა ერთ სხვა მეგრულ გვართან ერთად (ჩაჩიბაია, ალშიბაია, კაკუბაია-კაკუბავა, ეზუგბაია, ქეცბაია და სხვ.), ესეც უეჭველად აფხაზური წარმოშობისაა: მათ ახასიათებს აფხაზურ გვარისსახელთა ერთი ჯგუფის სპეციფიკური დაბოლოება—„ბა“ (შეადრ. ჩაჩბა, კუკბა და სხვ.), რომელსაც შემდეგში მეგრული, იდენტური ფუნქციის დაბოლოება— „ია“ წამატებია (მეგრულ ხალხურ მეტყველებაში დღესაც ცოცხალი აფხაზური გვარები ჩვეულებრივად ამ ფორმით წარმოითქმის). დაბოლოება „ბა“, საფიქრებელია, „ფა“-ს (-ძეს) განვითარებაა გარკვეულს ბგერით პირობებში, როცა ეს სიტყვა, კუთვნილებითი ნაწილაკის, ი-ს, ჩამოშორების შემდეგ, უშუალოდ უკავშირდებოდა წინამავალ ფუძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტყვა ინარჩუნებს თავის ფორმას (შეადრ. აფხ. გვარები ინალ-იფა, ძიაფშ-იფა, პატე-იფა და სხვ.). თვით გვარის მატარებელნი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სოციალ-პოლიტიკურ პირობებში არიან გადმოსულნი.

ქაჩიბაძეების გადმოსვლა აღმოსავლეთ საქართველოში, ცხადია, ძალიან ძველი ამბავია. იგი უკავშირდება ერთს უაღრესად საყურად-

ღებო ისტორიულ მოვლენას საქართველოს ისტორიაში, რომელიც არამცთუ ჯერ შეწავლილი არ არის, საკითხის სახითაც წამოყენებული არ ყოფილა. ამ წერილის ფარგლები ჩვენ საშუალებას არ გვაძლევს აღნიშნული პრობლემა აქ ვრცლად განვიხილოთ. იძულებული ვართ ეს მოვლენა მხოლოდ ორიოდე სიტყვით მოვხაზოთ [1].

ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფეოდალურ „კოლონიზაციას", „იმმიგრაციას", რომელიც ლიხთამერეთში ლიხთიმერეთიდან მომდინარეობს გარკვეულ ხანაში. თუ რამდენადმე ანალოგიური პროცესი უფრო ადრინდელი პერიოდისათვის შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებით ვივარაუდოთ, აფხაზთა სამეფოს წარმოშობამ (VIII—IX სს. მიჯნა) მას თავისებურად უპასუხა. დასავლეთიდან წამოსულმა ფეოდალურმა ექსპანსიამ აღმ. საქართველო სხვადასხვადროინდელი, მეტნაკლები სიმაღლის და განსხვავებული ხასიათის, ტალღებით დაფარა. დაკავშირებული იყო ეს პროცესი თვით საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა საფეხურთან.

პიონერი ამ მხრივ იყო ვინმე ლიპარიტი, რომელმაც მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში „შეიპყრნა ქვეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა" და საძირკველი ჩაუყარა კლდე-კარის ერისთავთა-ერისთავების სახლს, რომელიც უძლიერეს ფეოდალურ ბუდედ იქცევა და რომლის გვიანდელი წარმომადგენელი, აგრეთვე ლიპარიტი, აღმოსავლეთ საქართველოს უგვირგვინო მეფეა მე-11 ს-ში. ამ საგვარეულოს, სრული შეცდომით, ორბელიანებს ეძახიან, მაშინ, როდესაც მისი ნამდვილი გვარისსახელი იყო „ბაღუაში"; მეგრულ-ჭანური გვარებისათვის დამახასიათებელი ფორმით (დაბოლოება—„ში"). წარმოშობით ეს საგვარეულო არგვეთიდან, ე. ი. დღევანდელი ზემო იმერეთიდან, მოდიოდა და მისი მამაპაპეული რეზიდენცია კაცხი იყო. ქართლელმა ბაღვაშებმა თავიანთი უფლება თანდათან გაავრცელეს თრიალეთსა, ალგეთის ხევსა და, საერთოდ, ქვემო ქართლის იმ ნაწილზე, რომელმაც შემდეგში საბარათიანოს სახელწოდება მიიღო.

თუ ქართლელი ბაღვაშების ურთიერთობა აფხაზთა მეფეებთან თავისებური ხასიათისა იყო და მათი ლიხთამერეთს გადმოსვლა, შესაძლოა, ამ მეფეთაგან დამოკიდებულების ნაყოფი კი არ იყოს, არამედ სულ სხვა ურთიერთობის შედეგი, ყოველ შემთხვე-

[1] ეს საკითხიც ავტორს სპეციალურ მონოგრაფიაში აქვს განხილული.

ვაში, სხვა ფეოდალური სახლების დაჯდომა აღმოსავლეთ საქართველოში უეჭველად აღნიშნულ ექსპანსიას უკავშირდება. ასეთია, მაგ., საზვერელი აზნაურების, ჩიჯავაძეების დასმა თანამედროვე ქართლის ზემო ნაწილში, იმერეთ-ამერეთის ყველაზე სამხრეთით მდებარე გზაზე. ეს დიდი აზნაურები აქ უკვე მე-10 ს. პირველ ნახევარში ჩანან. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში პირველობენ ერისთავნი მარუშიძენი, რომელნიც გვარის მიხედვით (-ში+ძე) აგრეთვე უეჭველად ლიხთიმერეთიდან მომდინარეობენ. საფიქრებელია, რომ ამავე ხანაში (თუმც გადაჭრით ამის თქმა ძნელია წყაროების უქონლობის გამო) იმერეთ-ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე გზაზე სხდებიან ანჩაბაძენი, რომელთა გვარისსახელიც, თავის წარმომავლობითა და მერმინდელი ისტორიით (-ბა+ძე), „ქაჩიბაძის“ სრულ ანალოგონს წარმოადგენს [1]. „ანჩაბაძის“ მიხედვით იქმნება ფეოდალური რეზიდენციის სახელწოდება „აჩაბეთი“ [2], ხოლო ამ უკანასკნელიდან — ახალი სამფლობელო სახელი „მაჩაბელი“. შეიძლებოდა სხვა ფაქტების ჩვენებაც, მაგრამ იძულებული ვართ აღნიშნულით დავკმაყოფილდეთ, საკითხის სირთულის გამო და ეკონომიის მოსაზრებითაც.

უეჭველია, ეს პროცესი მე-10 საუკუნეში არ დამთავრებულა და მომდევნო ხანაშიაც გაგრძელდა, — თუმც უფრო შესუსტებული სახით. საამისო ფაქტებიც მოგვეპოვება...

ქაჩიბაძენიც, ვფიქრობთ, ამ ნაკადმა მოიყვანა ქართლში. თუ სახელდობრ როდის მოხდა ეს ფაქტი, ამის თქმა ჯერჯერობით ისევე ძნელია, როგორც მათი თავდაპირველი საზოგადოებრივი ადგილისა და მნიშვნელობის გარკვევა. იქნება ქაჩიბაძენი თავდაპირველად ბაღვაშთა ან ამ უკანასკნელთა ერთ-ერთი შტოს ვასალები იყვნენ? [3]

ერთ ცნობილ დოკუმენტში, რომელიც გაცემულია თამარ მეფის მიერ 1202 წ., დაცულია ჩვენს თემასთან მეტნაკლებად დაკავშირებული საყურადღებო ფაქტები. თამარი სწირავს შიო-მღვიმეს სასეფო გლეხებს, ორ კომლს, გვარად ქოსოსძეებს თუ ქოსა-

---

[1] მსგავსი ფაქტები სხვაც მოიპოვება. შეადრ. მაგ., ბედიელი მთავარეპისკოპოსის, ვინმე მიქელის, გვარი გონგლიბაისძე (მარი, აღაპნი გვ. 3).

[2] ალგეთის ხეობაში არის სოფელი „ჩაჩუბეთი“, რომლის სახელწოდება, შესაძლოა, ანალოგიურივე წარმოშობისა იყოს; ყოველ შემთხვევაში, დამაფიქრებელია.

[3] ჩვენ სრულიად უგულებელვყოფთ საკითხს ქაჩიბაძეების ორბელთაგან, წარმომავლობის შესახებ რადგანაც ეს აზრი, ზოგიერთი მკვლევრის მიერ გაკვრით გამოთქმული, სავსებით უსაფუძვლო გვგონია.

ისძეებს. ამ ყმებს სხალტბიდან მღვიმეში გაყვანილი წყალსადენის „კაზმვა“ (მოვლა-პატრონობა) ევალებათ. საბუთის ერთ-ერთ მინაწერში, რომელიც ამ საქმის ინიციატორსა და განმახორციელებელს, ანტონ მწიგნობართუხუცესს ეკუთვნის, დასახელებული გლეხების შესახებ მეტად საინტერესო ცნობა ჩნდება: ქოსოსძენი „აფხაზეთნი“ ე. ი. „აფხაზეთიდან“ ანუ ლიხთიმერეთიდან (ზოგადი მნიშვნელობით; ვიწროდ — საკუთრივ აფხაზეთიდან) მოსულნი თუ მოყვანილნი ყოფილან. გარდა ამისა, სიგელი შეიცავს ერთს ახალს, ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესო, ცნობას. ცალკე მინაწერში მღვიმის კრებული აცხადებს, რომ რადგანაც მეფისგან შეწირული ორი კომლი „არა ეყოფოდეს მკაზმავად წყაროსა“, კრებულმა, უკვე თავის ყმათა რიცხვიდან, იმავე საქმეს ორი ახალი კომლი მიუყენა. მათგან „მეორე გლეხი გარეთ მოსული ქაჩაბურაჲსძე ყოფილა [1]. „გარეთ მოსული“ გარედან, ე. ი. სხვა რაიონიდან, სხვა თემიდან მოსულს ნიშნავს. რადგანაც ეს გლეხი ქოსოსძეების გვერდით იხსენიება, უნებლიეთ ჩნდება მოსაზრება, რომ ისინიც „აფხაზეთნი“ ანუ აფხაზეთიდან მოსულნი იყვნენ [2]. ამაში თვით გვარის ფორმაც ხომ კიდევ უფრო მეტად გვარწმუნებს — აქ იგივე აფხაზური დაბოლოებაა, უკვე ორმაგი ქართული სუფიქსაციით წარმოდგენილი:-ბა+ურ+ძე [3].

შეიძლება მეტიც ვიფიქროთ, სახელდობრ, დავუშვათ, რომ ქაჩაბურაისძე რაღაც კავშირში იმყოფება ქაჩიბაძესთან.

პირველყოფილი თემის დაწყებითი დიფერენციაციის პერიოდში, სანამ ახლად გამოყოფილი მემკვიდრეობითი მეთაურის უფლება სუსტად არის განვითარებული, ეს მეთაური და თვით თემი ერთსადაიმავე სახელს ატარებენ. წინაალმდეგობის შემდგომი ზრდა იწვევს სახელთა ნაწილობრივს დიფერენციაციას. სრული დაშორება ამ მხრივ უკვე სრული ფეოდალიზაციის პირობებში ხდება. სათანადო მასალას უხვად გვაწვდის კავკასიური სინამდვილეც. ქაჩიბაძე და ქაჩაბურიძე, ამ მნიშვნელობით, შეიძლება ერთისადაიმავე წარმოშობისა იყოს. არც ისაა შეუძლებელი, რომ -ური, გლეხურ გვარში, სწორედ ფეოდალური დამოკიდებულების ნიშნად იყოს გაჩენილი.

---

[1] მღვ. საბ., გვ. 25—28.

[2] მღვ. საბ., გვ. 61, კვლავ იხსენიება ვინმე აფხაზი მიქელი.

[3] არ ვფიქრობთ, რომ ეს გვარისსახელი უკავშირდებოდეს ტერმინს „ქაჩაბურს“, რომელიც, სულხან-საბას განმარტებით, „სამწყემსო ჯოხი“ ყოფილა; „ქაჩაბურის“ წარმოშობაც ხომ უცნობია.

ყოველივე ამის შემდეგ მოვიგონოთ, რომ აფხაზური მოსახ-ლეობის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ცნობილი იყო „ჯიქეთის“ საერთო სახელწოდებით, არსებობდა ამ აფხაზური ტომის, ჯიქთა (ანუ, აფხაზურად, საძუების) ერთი დამოუკიდებელი, ფეოდალური მნიშვნელობით, თემი, რომელიც, თავისი სახელწოდებით, უკავ-შირდება ჩვენთვის საინტერესო გვარს. ამ თემის შესახებ ცნობა მოეპოვება უკვე ცნობილს თურქ მოგზაურს, ევლია ჩალაბს, რომელმაც აფხაზური სანაპირო და აღნიშნული თემის მიწა-წყა-ლიც თვითონ ინახულა 1641 წ. გაგრის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ფსოუს ხეობაში, იგი ათავსებს ტომს, რომელსაც „კეჩილარ-ის“ თუ „ქეჩილარ“-ს უწოდებს (სამწუხაროდ, ჩვენ თურქული ტექსტი ხელთ არ გვაქვს და იძულებული ვართ ევროპელთა ტრანსკრიფციის მიხედვით ვივარაუდოთ ევლიას მართლწერა). ევლიას ცნობით, ამ თემში 75 სოფელია, მოსახლეობა მდიდარია და შეუძლია 2—10000 დახელოვნებული მეომარი გამოიყვანოს, მეტწილად მხედრობაო. ტომის სახელი თურქული მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარ-მოდგენილი (ასევე ეძახის ევლია, საერთო თურქული ჩვეულების თანახმად, კეჩილარების უახლოეს მეზობელ თემებს — „ჩანდლარ“ (-ცანდ) და „არტლარ“ (-არედ, აქედან თანამედროვე ზღვისპირა ქა-ლაქის, ადლერის, სახელწოდება). მაშასადამე, თემის საკუთარი სა-ხელწოდება, ევლიას ცნობით, კეჩ || ქეჩ თუ ქეჩ || ქაჩ ყოფილა (ხმო-ვანთა აღუნიშვნელობის გამო არაბულ დამწერლობაში ვოკალიზა-ცია პირობითია)[1].

„დამოუკიდებელი“ ფეოდალური სამფლობელოს სახით ამ თემ-მა მე-19 ს. სამოციან წლებამდისაც მოაღწია, როცა, უმეშვეო რუ-სული მმართველობის შემოღების შედეგად, იგი მთლიანად გადა-სახლდა ოსმალეთში. რუს. წყაროები მას Гечь ან Геча-ს უწოდებენ. ასევე უწოდებენ ისინი თემის მფლობელ თავადთა საგვარეულოს. წარსული საუკუნის შუაწლებში აქ აქტიურ როლს თამაშობს თა-ვადი „გეჩ რეშიდი“ (Гечь Решид).

თვით აფხაზური ცნობებით (მახსოვრობა ამ თემის შესახებ ეხლაც ცოცხალია), ტომის სახელწოდება არც რუსულ ტრანსკრიფ-ციაშია ზუსტად გადმოცემული. ნამდვილად პირველი თანხმოვანი, „გ“ არის გაპალატალებული (დარბილებული), ხმოვანი კი — „ა“-მიახლოებით, ქართული ასოებით, სახელწოდება უნდა დაიწეროს — „გაჩ“ (უფრო დაშორებით — „გäაჩ“). ცოცხალ ენობრივ ურთი-

[1] ЗООИД, т. IX.

ერთობაში კი სავსებით შესაძლებელია ტერმინი „ქაჩ“-ის ფორმით გადმოსულიყო. ზღვისპირა „გაჩების“ გარდა, ამ სახელწოდებას ატარებდა, ზოგიერთი წყაროს ცნობით, პირიქითელი აფხაზების, აბაზების ანუ ტაპანთების, ერთი ექვს თემთაგანი, რაც მიგვითითებს თვით სახელის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე აფხაზურ მოსახლეობაში.

„ქაჩი“ შეიძლებოდა ეწოდებინათ როგორც მთელი თემისათვის, ისე ცალკე ოჯახებისათვის. უკანასკნელ, ე. ი. გვარისსახელის, შემთხვევაში, წარმოდგენილი ფორმა რჩებოდა, თუ გვარი წინ უსწრებდა პირის სახელს (შეადრ. „გდაჩ რეშიდ“). ხოლო თუ, პირუკუ, სახელი უსწრებდა წინ გვარს, უკანასკნელი მოითხოვდა უკვე ახალ გაფორმებას — მას უნდა დამატებოდა სიტყვა „-ფა“ (-ძე), „იფა“-ს (-მისი ძე) სახით, ან მისი სახეცვლილება „ბა“. ასეთი წესი დღესაც სავალდებულოა აფხაზურში (ჩაჩ მურზაყან, მაგრამ: მურზაყან ჩაჩბა და სხვა). ქაჩების მეზობელ, სხვა აფხაზურ თემთა მფლობელნი სწორედ ასე იწოდებოდნენ: სიდ ანუ სიდ-იფა, ინალ ანუ ინალ-იფა და სხვ. ქაჩების უშუალოდ მომიჯნავე, ზემოთ დასახელებული, თემის, არედის, მფლობელი საგვარეულო ასევე იწოდებოდა: არედ ანუ არედბა (არედ-იფა). ამდენადვე, ჩვენი ქაჩიბა და ქაჩაბა სავსებით კანონზომიერი ფორმაა ამ რიგიდან. რომ უფრო ადრინდელი სახე დაბოლოებისა აგრეთვე ცნობილი იყო ადგილობრივ, ამას გვიდასტურებს ფიტარეთის წარწერის ფაქტი — ქაჯიფა (ქაჯ-იფა)[1].

დ ა ვ ა ს კ ვ ნ ა თ. წარმოდგენილ მოსაზრებათა მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საქართველოს ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანაში, ან მის უშუალოდ წინამორბედ პერიოდში (მე-10—13 სს.), სხვა ლიხთიმერელ „კოლონიზატორებთან“ თუ „კოლონისტებთან“ ერთად ქართლში გადმოდიან ქაჯიფაისძე-ქაჩიბაძენი. მათი მოძრაობის გზას ნაწილობრივ უნდა მიგვითითებდეს „ქაჩიბაია“ — „ქაჩაბურასძის“ არსებობის ფაქტები. სხვადასხვა სოციალური მნიშვნელობის ერთეულის დაკავშირება ამ მოძრაობაში სავსებით ბუნებრივია: მოდიოდნენ არა მარტო სენიორები, არამედ მათ თან მოსდევდათ მათი ვასალები, არიერ-ვასალები, ყმები და შინაყმები. რომელ საფეხურზე იდგნენ თვით ქაჩიბაძენი გადმოსვლის მომენტში, არ ჩანს; მაგრამ ვფიქრობთ, რომ არც თუ ძალიან მაღალზე. მათი განდიდება მერმინდელი ხანის საქმეა, როდესაც ისინი ბაღვაშ-ორბელთა ნაოხარზე ნელ-ნელა აშენებენ თავიანთ ძლიერებას, ორბეთ-სამშვილდის მებატონენი ხდებიან და „საორბელოსაც“ „საბარათიანოდ“ აქცევენ.

[1] „ჯ“, შესაძლებელია, აგრეთვე ფუძის უკანასკნელი თანხმოვნების უფრო ადრინდელ სახეს გვიჩვენებდეს.—საინტერესოა შესადარებლად, რომ ანჩაბაძესთან ერთად ვახუშტისათვის ცნობილია ფორმა ანჩაფისძეც.

ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის

ინგოროყვათა საგვარეულო კარგა ხნის დამკვიდრებული ჩანს საქართველოში და აკლიმატიზაციის პროცესი ადრეევე დამთავრებულია. მაგრამ მაინც ერთგვარ ინტერესს იწვევს ამ საგვარეულოს წარმოშობის ისტორია—ის გარემოება, რომ ჩვენი მწერლის გენეალოგიას მეზობელ ქვეყანაში მივყავართ.

ცნობა თავისი არაქართული ჩამომავლობის შესახებ ჰქონია ეგნატესაც, რომელიც, ნახევრად სერიოზულ, ნახევრად საოხუნჯო ტონით ამ ჩამომავლობით განმარტავს თავისი ტემპერამენტის თვისებას.

ერთს კერძო წერილში ეგნატე წერს:

„იმის შესახებ კი არ ვიცი რომ ამბობ — ტიმოფეევს რატომ წაეჩხუბეო. კაცო, სადაც წასაჩხუბებელია, იქ წაჩხუბება უნდა. რას მიქვიან მოთმენა და ისიც ადგილის გულისთვის! ჯანი გავარდეს იმ სიცოცხლეს, თუ კი ჩემს დღეში კომპრომისებზე ვიცლი! იცი, ვარლამ, ჩვენი ცხოვრება უამისოდაც კომპრომისებით არის სავსე. არა, ძმაო, სადაც უსინდისობას დაინახავ, იქვე უნდა უკიჟინო. კიდევ კარგი, რომ ჩემი აფხაზ-გურული სისხლი თავის კალაპოტში დამაგრდა და არ გადმოხეთქა, ესე იგი, რომ მართლა დიდი სკანდალი არ მოვახდინე, ისე წამოველ ტიმოფეევიდან. მაგრამ ეს ეხლა გავლილი ამბავია, ლაპარაკათ არ ღირს“...

(წერილი ვინმე ვარლამისადმი, დ. ზესტაფონიდან, 1892 წ. 1 აპრ. თარიღით)[1].

ცხადია, ამ შემთხვევაში ეგნატე ეყრდნობოდა იმ საგვარეულო გარდმოცემას, რომელიც ახლა პავლე ინგოროყვას მიერ არის გამოქვეყნებული.

აღნიშნული გარდმოცემით, ინგოროყვები, ორ სხვა გვართან, როყვებთან და ათლაყვებთან (ამჟამად გამოითქმის: ართილაყვა)

---

[1] წერილი ხელმოწერილია „ეგნატე ინგოროყვა“. იგი პირველად გამოუქვეყნებიათ გაზ. „გრიგალში“, 1906 წ. № 10-ში, მაგრამ შეუმჩნეველი დარჩენილა მკვლევართათვის, ვიდრე მას კვლავ ყურადღება არ მიაქცია პოეტმა სოსო გრიშაშვილმა, რომელმაც ეს საინტერესო დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახადა ჩვენთვისაც.— მეორედ დაბეჭდა ს. ხუნდაძემ (ჟურ. „მნათობი“, 1930, № 8-9, გვ. 217-218),

ერთად წამოსულან, ვინმე ასმიდოდ ინგოროყვას მეთაურობით, ჩერქეზთა ქვეყნიდან ოსმალეთში გადასახლების მიზნით,— ერთხანს შეჩერებულან აფხაზეთში, საბოლოოდ კი, თავისი თავდაპირველი განზრახვის შეცვლით, დარჩენილან გურიაში. მათ გურიელისგან მამული მიუღიათ სოფ. მაკვანეთში (3 კილომეტრით შორავს ქალ. მახარაძეს). გადმოცემის საინტერესო დეტალია ისიც, რომ ემიგრანტები გურიაში შეკვეთილის ნავთმისადგომით შესულან. პავლე ინგოროყვას ინფორმატორს (მოხუცს ოქროპირ ინგოროყვას) ხსომებია გურიაში დამკვიდრებული ინგოროყვების თაობათა სათვალავი. ამ სათვალავის ნიადაგზე პავლე ინგოროყვა გურიაში შემოსვლის თარიღს XVIII ს. დამდეგისათვის დასდებს (პ. ინგოროყვა, „გადმოცემა „ინგოროყო"-ს გვარეულობის ჩერქეზულ შთამომავლობის შესახებ": „ეგნატე ნინოშვილი", s. l. et a., სახელგამი, გვ. 421 შემდ.). პავლე ინგოროყვამვე აღნიშნა, რომ გარდმოცემის სინამდვილეს ნაწილობრივ თვით გვარის ჩერქეზული ფორმა ადასტურებს და რომ არსებითად ეს გვარისსახელი თემის სახელია, იმ თემისა, რომელიც XIX ს. პირველ ნახევარში შუა საჩერქეზოში ცხოვრობდა, მდ. თეთრწყალზე და რომელსაც რუსები დამახინჯებულად Егерукой, Егерекуаевцы-ს ეძახდნენ. მართლაც, მოცემული გვარისსახელის ჩერქეზული წარმოშობა ეჭვს გარეშეა, მაგრამ თვით ფაქტიური გენეალოგიის საკითხი ბევრად უფრო რთულია, და მას (საკითხს) აქვს როგორც წმინდა ისტორიული, ისე ონომასტიკური და საკუთრივ ენობრივი მხარე. დავიწყოთ უკანასკნელით.

„ყვა" ჩერქეზულად „ძე"-ს ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასო ვ-ინი თვით ქართულისთვის, საერთოდ, და, განსაკუთრებით, გურულისთვის ამჟამად უმეტესწილად წყვილბაგეობითს ბგერას აღნიშნავს (ანტონ პირველის ორთოგრაფიით „უ-ბრჯგუს" უდრის), მაშინ მივიღებთ, რომ მოცემული სიტყვის ქართული გამოთქმა და დაწერილობა საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს ჩერქეზული კომპლექსის ხმოვანს და ნახევარხმოვანს[1]. მაგრამ პირველი რადიკალის ყარით გადმოცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში.

1929 წლის გაზაფხულზე, კიახურზე (ქვემოჩერქეზულზე) მუშაობისას, ადიღეს ავტონომიურ ოლქსა და შაფსუღების რაიონში (ტულაფსეს ოლქში), ჩვენთვის გამოირკვა, რომ „ყვა" სიტყვის ესა

[1] „ა" აქ უფრო ვიწროა, ვიდრე ქართული შესატყვისი ხმოვანი, მაგრამ ამჟამად ამ გარემოებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

თუ ის ფორმა სპეციფიკური ნიშანია ადიღეური (ჩერქეზული) ენაკავ-კილოკავების ცალკე ჯგუფთათვის. მათ შორის კიახური ჯგუფისათვის (ამ ჯგუფის წარმომადგენელნი — აბაძახების, მამხეღების, ჭემგუების, ბზადუღების, შაფსუღებისა და სხვა უფრო წვრილ ტომთა ნაშთები, ამჟამად გაერთიანებულნი არიან ადიღეს ავტონომიურ ოლქსა, ცენტრით ქ. კრასნოდარში, და შაფსუღების რაიონში, ცენტრით ქ. ტუღაფსეში) დამახასიათებელია „ჭუა“ ფორმა: პირველი რადიკალი არის ის სპეციფიკური ხორხისმიერი ბგერა, რომელიც ჰქონდა ძველ ქართულს, ჯერაც შერჩენილია ხევსურულსა, ქიზიყურსა და სხვა კილოებში და აღინიშნება ასოჭარით [1].

ყაბარდოულისათვის, სულ ერთია, სად ლაპარაკობენ მას, საკუთრივ ყაბარდოში, თუ იმავ ადიღეს ავტონომიური ოლქის რამდენსამე ყაბარდოულ აულში, სავსებით სპეციფიკური და მკვეთრად გამოხატულია ფორმა „ყუა“. ამავე ფორმასა ემხრობა, როგორც ჩანს, ბასლინაურიც, რომელიც საერთოდ ძალიან ახლოს დგას ყაბარდოულთან (ბასლინაურის ფაქტებს ჩვენ ვეცნობოდით ადიღეს ა. ო. აულ ულაფში, სადაც ბასლინაები ცხოვრობენ).

დასასრულ, უბიხურ ენაში, რომელიც, მართალია, საკუთრივ ადიღეურ ენათა შტოს არ ეკუთვნის, მაგრამ ახლო ენათესავება მას, და, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ჩერქეზულ სამყაროსვე განეკუთვნება, იგივე სიტყვა უკვე „ქუა“ ფორმით არის მოცემული.

გასაგებია, რომ ეს განსხვავებული ფონეტიკური ჯგუფები არ შეიძლებოდა ერთნაირად გადასულიყო ისეთ ენებში, რომელნიც თავიანთი ბგერითი სისტემით გინირჩევიან ჩერქეზულ-უბიხურისაგან, კერძოდ, ქართულში.

უბიხურ „ქუა“-ს ბუნებრივად შეეძლო ქართულში „ქვა“ მოეცა. შესაძლოა, მაგ., უბიხურ სამყაროს უკავშირდებოდეს გურიაში გავ-

[1] ჩვენ ინფორმატორი გვყავდა ყველა ტომიდან და ყველა კილოს რაიონში ვიყავით პირადადაც. ბზადუღურისათვის ორი მთქმელი თითქოს ყ-საკენ იხრებოდა, მაგრამ ამ კილოს წარმომადგენელთა უმრავლესობა, რომელსაც ჩვენ უფრო ვენდობით, კატეგორიულად ზოგად-კიახურ ფორმას ადასტურებდა. ზოგად-კიახური ამ შემთხვევაში მით უფროა მოსალოდნელი, რომ ბზადუღური აღჟამადაც, ისე როგორც წინათ, კიახური კილოების ცენტრშია მოქცეული და მისი საერთო კალაპოტიდან ამოვარდნა გაუგებარი იქნებოდა.

რცელებული ისეთი გვარები, როგორიცაა: სალუქვაძე[1], ბოლქვაძე (თუ ქართული „ბოლქვისგან“ არაა?), თალაქვაძე (აქ ყურადღებას იპყრობს ამ გვარისსახელთა ფუძეების სტრუქტურული მსგავსება).

ყაბარდოულ ყუა-საც ფონეტიკური შესატყვისობა მზად ჰქონდა ქართულში. ერთს მე-17 საუკ. მინაწერში, რომელიც მოქვის ტაძრის ხელნაწერის არშიაზეა მოთავსებული, იხსენიება ბობოყვაფხე[2]. ორმაგი პატრონომისტიკული სუფიქსაცია (ფხე არის პროტოტიპი თანამედროვე მეგრ. ხე-სი, რომელიც ქალის გვარისსახელს აწარმოებს) მიგვითითებს იმაზე, რომ თვით გვარი „ბობოყვა“[3] კარგა ხნის დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო საქართველოში და გვარის მაწარმოებლის (ყვა) ფუნქციონალური მნიშვნელობა უკვე აღარ შეიცნობოდა (წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა „ბობოფხე“ ან „ბობოფხვა“, როგორც იტყოდა თანამედროვე ჩერქეზი).

იმავე გურიაში არის სხვა გვარებიც, რომელნიც უეჭველად უწყებულ კატეგორიას უკავშირდებიან. ასეთია, მაგ., ჭანუყვაძე, აგრეთვე ორმაგი სუფიქსაციით, ქართ. ძე-ს დართვით (არსებითად უდრის „ჭანიშვილს“), ღელეყვა[4]. ასეთივე წარმოშობის პირისსახელებიც გვხვდება — თემურყვა (ახლაც გავრცელებულია დას. საქართველოში), ჯაყვა თუ ჯაკვა[5] და სხვ. მაშასადამე, როგორც მოსალოდნელიც იყო, ყაბარდოული ყუა ქართულში ყვა-დ გადმოდის.

ნაკლებ მარტივი იყო კიახური ჴუა-ს გადმოსასვლელი გზები, რადგანაც ახალი ქართულის კილოთა უმრავლესობას ასეთი თანხმოვანი, ჴ, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე უნდა დაეკარგა. მაგრამ ცნობილია, რომ ეს ბგერა არსებობდა ძველ ქართულში და რომ იგი ახალ ქართულში ყოველთვის იცვლებოდა ხ-თი (შეადრ. ჴელი, ჴარი, ჴერჴი და სხვ. მრავალი). ასეთივე შედეგები უნდა �-გვეღო უცხო ენიდან სესხების ანალოგიურ შემთხვევაშიც. მართლაც, თანამედროვე აფხაზეთი მოფენილია ფაქტებით, რომელნიც

---

[1] ალბათ ამ გვარის მეგრული ფორმაა „სალოქაა“, რომელიც იხსენიება მე-16 ს. დოკუმენტებში, ქრნკ. II, 389.

[2] ქობულეთის რაიონში გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდება „ბობოყვათი“, მაგრამ იგი სხვა წარმოშობისა უნდა იყოს, როგორც ეს ჩვენ სხვა ადგილას აღვნიშნეთ.

[3] ქრნკ. II, 397, 1554 წ. დოკუმენტში.— ხომ არ უნდა იკითხებოდეს „საისარყვაი“, დაბეჭდილი „საისარყლაის“ ნაცვლად, 1562 წ. სიგელში? (იქვე, 404).

[4] დოც. იასე ციცაძის ცნობით.

[5] ქრნკ. II, 436; ასე კითხულობს ამ გვარს ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლ. მოგზაურობა სამეგრელოში, ძვ. საქ., III, 84.

ამ ვარაუდს ადასტურებენ: —ისეთი გვარისსახელები, როგორიცაა ჩააბალურხვა, აფთხვა, ყანხვა და სხვა (მათი რიცხვი მრავალია), ისეთი პირისსახელები, როგორიცაა მარუთხვა, შერუთხვა და სხვ., აფხაზურს აშკარად აკავშირებენ ქვემოადიღეური ენების სამყაროსთან [1]. დავასკვნათ: ინგოროყვები და მათი თანამგზავრები კიახელები რომ ყოფილიყვნენ, მათ ახალ სამშობლოში უთუოდ ინგოროხვა, როხვა, ათლახვა უნდა დარქმეოდათ. ეს მით უმეტეს, რომ ეგერუხვაების ტომი, რომელიც, როგორც ჩანს, ადრე უნდა გამქრალიყო (ადგილობრივ მისი არსებობა ამჟამად თითქმის არ ახსოვთ), [2] ითვლებოდა უკვე დიდი ეთნიკური ერთეულის, ჰემგუების (ანუ კემირგოელების; იხ. ბესიკის ტაეპი, „რუხის ბრძოლა“: „ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ, კემ.ურ'გელთ ამცნეს ცნობითა“ [3]) შტოდ [4], ტერიტორიულადაც ჰემგუების უახლოესი მეზობელი იყო და ენობრივად, ცხადია, მასვე ემხრობოდა. გარდა ამისა, ჩვენ გვყავდა ინფორმატორი სწორედ იმ აულ ეგერუხვაიდან (Егерукай, ადგილობრივ გამოითქმის იეჯერჭუაჲ), რომლის სახელწოდება გენეალოგიურად უეჭველად აკავშირებს მას უწყებულ ტომთან და რომელიც, ერთადერთი ადიღეთის სხვა აულთა შორის, შეიძლება შეიცავდეს ეგერუხვაების ნაშთებს. ამ აულის თანამედროვე მოსახლეობის მეტყველება თითქმის (ჩვენთვის საინტერესო ფორმების თვალსაზრისით კი, სრულიადაც) არ განსხვავდება საერთო ჰემგუურისაგან. ჰემგუებისათვის კი ჩვენ მიერ აღნიშნული დიალექტოლოგიური ნიშანი ყოველი ეჭვისა და ცილობის გარეშე დგას.

ინგოროყვათა კიახური წარმომავლობის წინააღმდეგ ონომასტიკური მოსაზრებაც ღაღადებს: თუ ემიგრანტების ერთმა სახლმა გვარის მაგიერ ტომის სახელი (ეგერუხვაი) უჩვენა, ასევე უნდა მოქცეულიყვნენ სხვებიც. მაგრამ როყვებისა და ათლაყვების ტო-

[1] აფხაზურის ზოგიერთ კილოს მოეპოვება ჭ და იქ ფორმანტი თავდაპირველად უცვლელი სახით უნდა შემოსულიყო. მაგრამ ამავ კილოთა ნიადაგზე განვითარებული შემდეგდროინდელი ფაქტები და სხვა დიალექტებიც მაინც ჩვენს დებულებას ემოწმებიან.— თვით ეს ონომასტიკური ფაქტები სავსებით გარკვეული ისტორიული ეპოქის ნაშთია აფხაზეთში. მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

[2] ჩვენი კითხვის პასუხად ამ ტომის არსებობა მხოლოდ შაფსუღების რაიონში მოიგონეს.

[3] ბესიკი, გამომც. „ფედერაცია“, 1932, გვ. 29.

[4] У. Алиев, В. Городецкий и С. Сиюхов, Адыгея, Ростов в|Д. 1927, გვ. 27, 28; და სხვა ავტორები.

მები თუ თემები არც ქვემო ჩერქეზეთშია ცნობილი და არც ზემოში. არაბუნებრივადაც გვეჩვენება სამი სხვადასხვა ტომის წარმომადგენელთა თავმოყრა მოცემულ პირობებში. თუ სამივე სახლი ერთი თემიდან მოდიოდა, მაშინ ყველანი ერთნაირად უნდა „მონათლულიყვნენ“.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ტომის სახელი ეგერუხვაი ნაწარმოებია მფლობელთა საგვარეულოს ეგერუხვას სახელის მიხედვით (ეს ახსოვთ ადგილობრივაც). სტრუქტურულად ეს ისეთივე წარმოებაა [1], როგორიც იყო ფეოდალური საქართველოს საბარათაშვილო (|| საბარათიანო), საბაშიძეო და სხვ. თუ შესაძლო იყო იმ დროს ცალკე პირებს ეტარებინათ ასეთი ფორმის სახელწოდება გვარტომობის აღსანიშნავად (რაც საეჭვოა), ყოველ შემთხვევაში, მათი შთამომავლობისათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა ამ სატომო სახელთა ქართული გვარების მორფოლოგიურ ყაიდაზე გადაკეთება, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება კიდევაც: მეგრელიშვილი, რაჭველიშვილი, იმერლიშვილი, ქართველიშვილი || ქორთოძე || ქორთუა, ბერძენიშვილი || ბერძნიშვილი, თათარიშვილი, რუსიშვილი, ჩერქეზიშვილი || ჩარგაზია, აფხაზავა || აფხაზიშვილი (ა ფ ხ ა ზ ი ძალიან ნაგვიანევი, ხელოვნური ფორმაა), ოსიძე, სვანიშვილი || სვანიძე || ასვანუა, თუშიშვილი || თუშური, თურქია, ჯიქია || ჯიქიძე, ლეკიშვილი, დვალიშვილი (დვალიც შემდეგ შეკვეცილი ფორმა უნდა იყოს), ლაშხიშვილი || ლასხიშვილი || ლაშხია (გვხვდება შეკვეცილი ლაშხიც), არაბული და სხვა [2].

ემიგრანტები არ შეიძლებოდა აგრეთვე უბიხები ყოფილიყვნენ — მაშინ ინგოროქვა, როქვა, ათლაქვა გვექნებოდა.

დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ისინი ყაბარდოდან მოდიოდნენ. ფორმალურად ეს, როგორც ვნახეთ, ერთადერთი შესაწყნარებელი შესაძლოებაა. ისტორიულადაც ამაში შეუძლებელი არაფერია.

1929 წლის შემოდგომას, ყაბარდოში ყოფნისას, ამ საკითხისათვის ცნობების ძიების დროს, ჩვენ გადმოგვცეს, რომ ერთს

---

[1] გვარისსახელს დართული აქვს კუთვნილებითი, მიჩემებითი ჲ—'მისი' 'სა—ო'-ს მნიშვნელობით. ასეთი წარმოება ჩვეულებრივია ადიღეური ენების ეთნიკისა და ტოპონიმიკისათვის.

[2] რათქმა უნდა, ყველა ეს გვარი უცხოური წარმოშობისა არ არის. ზოგჯერ უცხო ტომის სახელი პირისსახელის ან მეტსახელის როლში გამოდიოდა და აქედან გადადიოდა შთამომავლობაზე.

აულში მოსახლეობს ორი საგვარეულო — ჟერუყვა და ინარუყვა[1]. ძველად ინარუყვები ვორყების (თავისუფალთა) წოდებას ეკუთვნოდნენ და პირველნი (ერუყვები) მათგან დამოკიდებული ხალხი იყოო. აქვთ თუ არა რაიმე კავშირი ამ გვარებს ჩვენთვის საინტერესო საგვარეულოებთან, ამჟამად თქმა ძნელია.

სავსებით დასაჯერებელია საგვარეულო თქმულების ის მტკიცებაც, რომ ემიგრანტები გზად აფხაზეთში გაჩერებულან. ეს იყო სავსებით ბუნებრივი სადგური გარდმოხვეწილთათვის — გზა ყაბარდოდან ოსმალეთისა და გურიისაკენ სწორედ აფხაზეთზე გადიოდა. აფხაზეთი დღესაც ნათლად ატარებს ღრმა კვალს ინტენსიური კულტურული ურთიერთობისას ყაბარდოსთან[2].

კიდევ ერთი დეტალი. პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს ცნობითვე, სოფ. ჩირგვეთში მოსახლე ინგოროყვათა შტოს ზედმეტ სახელად ეწოდება „თეთრი ინგოროყვა“, ხოლო სოფ. მაკვანეთში მოსახლეებს — „შავი ინგოროყვა“. მაკვანეთელი ინგოროყვები რომ „შავ ინგოროყვებად“ იწოდებიან, ეს დაგვიდასტურა ამ სოფლის მკვიდრმა მოქ. მარიამ გორდელაძემ.

თუ ეს შემთხვევითი ამბავი არ არის (რაც საეჭვოა), მაშინ გარკვეულ სოციალურ ნიშანთან გვაქვს საქმე. კავკასიურსა და, საერთოდ, უპირატესად აღმოსავლურ სინამდვილეში ონომასტიკური ტერმინის ასეთი მსაზღვრელი ჩვეულებრივად თავისუფლება — უთავისუფლობაზე მიუთითებს. კავკასიასა და სხვა ქვეყნებში უძველესი დროიდან ცნობილი იყვნენ შ ა ვ ი ბ უ ლ ღ ა რ ე თ ი, თ ე თ რ ი ა ნ უ დ ი დ ი ხ ო რ ვ ა ტ ე თ ი, შ ა ვ ი ვ ა ლ ა ხ ე ბ ი, თ ე თ რ ი ს ე რ ბ ე ბ ‘ ი[3], თ ე თ რ ი რ უ ს ი (მონღოლთა მორჩილებისაგან განთავისუფლების ნიშნად). განსაკუთრებით საინტერესოა ამ ეპითეტების გამოყენება იმავე ჩერქეზთა მოდგმის ერთ-ერთი ტომის, ჯიქების, მიმართ. XIII—XIV სს. იტალიური რუკებით ჯიქეთი

[1] ჰ. ინგოროყვაის ცნობა, რომ ეოცხალ გამოთქმაში უფრო ინგორუყვა ისმის, მოწმობს ხეპირი ფორმის კიდევ უფრო მეტ სიახლოეს ჩერქეზულთან (ს სრულიად ბუნებრივად ქართულში უ-ს გვაძლევს; ო—უას განვითარებაა).

[2] დაწვრილებით ამის შესახებ — სხვაგან. აქ, სხვათა შორის: აფხაზურის ერთი (აბჟუური) კილოს ერთი თუ ორი სოფლის თქმაში, ერთადერთ სიტყვაში (ა პ ა, ჩვეულ. ფორმით=წვრილი) ისმის ბგერა (თანხმოვანი), რომელიც სრულიად უცნობია ყველა სხვა კილო-თქმისათვის და რომელიც კავკასიურ ენათაგან მხოლოდ ყაბარდოულისათვის არის დამახასიათებელი. უეჭველია, ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის.

[3] ეს ქვეყნები და ხალხები მოხსენებული ჰყავს, მაგ., კონსტანტინე პორფიროგენეტს (X ს.).

იყოფა ორ ნაწილად — mauro zichia, შავი ჯიქეთი (მიახლოებით, გელენჯიკს ჩრდილოეთით), ალბათ, ამ ნაწილის თათართა ხანზე დამოკიდებულების აღსანიშნავად, და alba zichia, მის სამხრეთით მდებარე, თავისუფალი და დამოუკიდებელი რაიონი. ამავე ტერმინოლოგიის საქართველოში გავრცელებას ადასტურებს ერთი ქართული ეპიგრაფიკული დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს: ... „მეფემ დადიანმან [პატრონმა ვამეყ და დედოფალთ-დედოფალმა, პატრონმა ელენემ, ოდეს იმერეთის მეფენი გადაშენდენ... დიდსა [დამახინჯებულია. თუ არაფერი აკლია, აქ უნდა იკითხებოდეს ალბათ: „ლიხსა“] და შ ა ვ ს ჯ ი ქ ე თ ს შუა მეფობა და დადიანობა ჩვენ დავიჭირეთ“-ო [1]. ესე იგი, გარკვეული ხანისათვის ძალიან საყურადღებო ცნობაა მოცემული სადადიანოს ტერიტორიის შესახებ.

ინგოროყვების მიმართ, მაშასადამე, „თეთრი“ და „შავი“ იმას აღნიშნავს, რომ ის თავისუფალი მდგომარეობა, რომელიც, ცხადია, თან უნდა მოეტანათ ახალ სამშობლოში გადმოსახლებულებს, ერთ შტოს შედარებით ადრე დაუკარგავს ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე, მეორეს კი (იმას, რომელსაც მწერალი ეკუთვნოდა) ბოლომდის შეურჩენია—ან მთლიანად, ან ნაწილობრივ.

ასე გვესახება ჩვენ ე. ნინოშვილის გვარის ისტორია. თუ რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭებინა ამ ისტორიისათვის თვით მწერალს, ეს ადვილად შეგვეძლო წარმოგვედგინა ეგნატეს საერთო მსოფლმხედველობის მიხედვით. მაგრამ, გარდა ამისა, ე. ნინოშვილის ნააზრევში ვპოულობთ ადგილს, რომელიც, თუმცა სრულიად სხვა რიგის მოვლენის გამო, არაპირდაპირად უპასუხებს ჩვენს საკითხსაც. იქ საქმე ეხება გურიის წარსული სინამდვილის ერთს მეტად საინტერესო ფაქტს, ფ ი რ ა ლ ო ბ ა ს, რომელიც მსჯელობის საგნად იყო ქცეული იმდროინდელ ქართულ პრესაში. ეგნატე არ ეთანხმება გაზეთებში გამოთქმულ აზრებს და წერს [2]:

... „რაც შეეხება ყაჩაღობას ჩვენს სამშობლოში და კერძოთ გურიაში, მე თანახმა ვარ რომ აქ, დღევანდელ გარემოებას გარდა, შთამომავლობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი (საქართველოს) ისტორიული ცხოვრება ისეთი იყო, რომ ყოვლად შეუძლებელია იმისაგან ტრადიციულად გადმოცემული ცუდი ზნე-ჩვეულე-

[1] А Хаханов, Сванетские рукописные евангелия: МАК, X.

[2] „წერილი პეტრე უმიკაშვილისადმი“, 1892 წ. 14. II. იხ. ს. ხუნდაძე, „მასალები ქართ. ლიტერატურისა და საზოგად. აზროვნების ისტორიისათვის“, „მნათობი“, 1932, № 5-6, გვ. 234-5.

ბა ასე ადვილად ამოიფხვრას ჩვენში. ჩვენს ხალხში ტრადიციულად გადმოცემული ცუდი ჩვეულება და ინსტიქტი რომ გაიწმინდოს, ამისათვის კიდევ რამდენიმე საუკუნეა საჭირო. მაგრამ ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი გურიის ხალხის საყოველთაო ყაჩაღობის მიზეზი იმდენად შთამომავლობითი ცუდი ინსტინკტი არ არის, რავდენადაც სოციალური და ადმინისტრატიული წესწყობილება“.

მაშასადამე, ისტორიულ მემკვიდრეობას თავისი გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მთავარი როლი იმ სოციალურ გარემოს ეკისრება, რომელშიაც პიროვნებას ცხოვრება და მოქმედება უხდება.

კულტურულ-ისტორიულად აქ აღნუსხული ფაქტები შორეულად უკავშირდება იმ მჭიდროსა და ცხოველ ურთიერთობას, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ტომებს შორის და რომელიც, კერძოდ, ლიტერატურულ შემოქმედებაშიც იჩენდა თავს. თუ იმ რაიონისაკენ მივაქცევთ ყურადღებას, საიდანაც ინგოროყვები მოვიდნენ ჩვენში, ადვილად მოვიგონებთ, რომ უკვე X—XI სს. ქართულ მწერლობაში (და, რაც უფრო საინტერესოა, ჩვეულებრივად ამ მწერლობის საზღვარგარეთულ ცენტრებში) ჩნდებიან მრავალრიცხოვანი დ ვ ა ლ ნ ი, როგორც იმდროინდელი ქართული ხელნაწერი წიგნის ჩინებული მუშაკნი. „დვალი“ აქ, ყოველ ეჭვს გარეშე, ეთნიკურ წარმომავლობაზე მიუთითებს და თანამედროვე „ოსს“ უდრის. წინაფეოდალური და ფეოდალური საქართველოს კულტურულ ცირკულაციაში სხვა კავკასიელი ხალხების, მათ შორის, რათქმაუნდა, აფხაზ-ჩერქეზებისაც, ენერგია არამცირედი რაოდენობით გვევლინება. მაგრამ ეს საკითხი ჩვენი თემის ფარგლებს გარეთ ძევს და სხვაგან უნდა იყოს განხილული.

შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათ-ლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში

ამ საკითხის შესასწავლად ჩვენ ერთი სპეციალური ტრაქ-ტატი მოგვეპოვება, ლექსად დაწერილი. ეს არის არჩილ მეფის თხზულება „**საქართველოს ზნეობა**“ (ანუ „თავი საქართველოს ზნეობისა“, როგორც მას ეწოდება საუკეთესო ხელნაწერებში: № 424, წ. კ. საზოგადოებისა და № 22, სააზიო მუზეუმისა). სუსტი, როგორც პოეზიის ნაწარმოები, ეს თხზულება არსები-თად ძვირფას ცნობებს შეიცავს, და ამ მხრივ მისი მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ იგი გამოწვეული ყოფილა ასეთი სახელ-მძღვანელო წიგნის არსებობის რეალური საჭიროებით. ამის შესა-ხებ თვით ავტორი მოგვითხრობს თავისი თხზულების ბოლოში:

„ბევრი კაცი იმიზეზებს, არა მყონდა მომვლელიო
ზნეობა რომ დამესწავლა, ხარისხ-ხარისხ ამვლელიო.
ახლა რაღა პასუხი გაქვსთ, აი, თქვენი მსწავლელიო!“
(ტ. ტ. 409—411)[1]

ამით თვით თხზულებასაც უფრო რეალური, სინამდვილეშე-წონილი ხასიათი უნდა მისცემოდა. ეს ამონაწერი ავტორის შრო-მის მიზანსაც ცხადყოფს: ეს არის „ზნეობის სწავლება“. რომ „ზნეობა“ თხზულების მთავარი საგანია,—სათაურიდანაც აშკარაა, მაგრამ ტექსტშიაც ამის შესახებ გარკვეული ცნობები მოგვეპოვება:

„აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის“-ო, ამ-ბობს არჩილი (ტ. 9). მეორე ადგილას კიდევ იგი მკითხველს მიმართავს:

„ნუ მომიწყინებ, მსმენელო, მოხსენებითა ამდენით,
არ მინდა იყვნეთ ზნეობის ავ-საქციელად წახდენით“.
(ტ. ტ. 169—70)

როგორ ესმის არჩილს სიტყვა „ზნეობა“? რადგანაც „ზნეო-ბა“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „ზნე“ და რადგან ამ უკანასკნელ-

---

[1] ხელნაწერი № 424, ყოფ. კ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების წიგნთსაცავისა. ციტა-ტები ყველგან აქედან არის მოყვანილი.

საც იგი ხშირად ხმარობს, გავარკვიოთ, თუ „ზნე“-ში რა შინაარსსა სდებს ჩვენი ავტორი. „ზნე“ ჩვეულებრივად **თვისებას, ჩვეულებას** აღნიშნავს. მშვენივრად აქვს ეს სიტყვა განმარტებული საბა-სულხანს: „ჩუეულებით რაიცა საქმე სჭირდეს, კეთილი თუ ბოროტი, ზნე იგი არს“. ასეთი მნიშვნელობით ხმარობს არჩილიც ამ სიტყვას:

„მუშაობაც კარგი ზნეა, ზედმდგომობა და სარქრობა“ (ტ. 157); „ეს ზნე სჭირს მათსა წერილსა (წმინდათა ბრძენთა), ვინც ეცდება დაისწავლის“ (ტ. 345, იხ. აგრეთვე ტ. ტ. 49,232).

მაგრამ უფრო ხშირად ეს სიტყვა არჩილს ნახმარი აქვს არა ყოველგვარი, არამედ **საჭირო თვისების, დადებითი ხასიათის ცოდნის** აღსანიშნავად:

„რა ზნეა, თორემ ქვეყანა არის, ვარგისობს ბრიყობა“, ამბობს იგი (ტ. 104). სხვა ადგილებშიაც ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ (იხ. ტ. ტ. 13, 17, 59, 301). სწორედ ამავე მნიშვნელობით ხმარობს არჩილი „ზნეობა“-საც:

„ყოვლი ცოდნა ზნეობაა, საბაითიც რადგან ზნეობს“ (ტ. 285).

რომ აქ ავტორი საჭირო და სასარგებლო ცოდნას გულისხმობს, შემდეგი ადგილიდანაც ცხადია:

„ზნეობა—საქციელები, არ ბნელობს, არის ნათელი...
ეს უნდა კაცმან იცოდეს, მის მის დროს რაა საქნელი“
(ტ. 253—5).

ან კიდევ:

„არ მინდა იყვნეთ ზნეობის ავ-საქციელად წახდენით“ (ტ.170). მაშასადამე, ავტორი ზნეობას ყველა იმ თვისებებს უწოდებს, რომლებითაც, მისი აზრით, შემკული უნდა იყოს ყოველი პირი, რომ საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩაითვალოს. ყველა დანარჩენი ადგილიც ამ აზრს ადასტურებს (იხ. ტ. ტ. 9, 21, 37, 94, 122, 297, 410 და სხვ.)[1]. თუ ეს ასეა, ამ შემთხვევაში არჩილის თხზულების საგანი ჩვენს თემაზე უფრო ფართო უნდა იყოს, და ასეც არის: არჩილი ხშირად ისეთ რამეებზე ლაპარაკობს, რასაც ჩვენ ზრდილობას ვერ მივაკუთვნებთ (მაგ., ზოგადი ხასიათის ზნეობრივი, დღევანდელი მნიშვნელობით, თვისებები: „ისა კარგი ზნეობაა, ვინც გულით არვის ბოროტობს“-ო. ტ. 288 და სხვ.).

---

[1] ასეთივე მნიშვნელობით აქვს არჩილს ეს სიტყვა ნახმარი სხვაგანაც: „?ე შერმაზან თან გამომყვა ზნეობისა სასწავლებლად, მწვრთნიდის საღთო—საკაცობოს, თავი ჰქონდის თავსავლებად“ (არჩილიანი,, № 424, გვ. 19 B).

ქართული ზნეობანი, ე. ი. ეს სავალდებულო წესები, ძალიან ბევრია. ავტორს მოჰყავს იმდროინდელი შეხედულება ამის შესახებ:

„საქართველოში იტყვიან სამას სამოცდა ხუთსაო,
ზნეობას, სხვას არ აგდებენ ქვეყნისას თუ არ მათსაო“.
(ტ. 401—2).

„უფრო არის (ზნეობა), ვერ მოთვალოს სამოც ხუთმან, ვერც სამასმა“, ამბობს იგი მეორე ადგილას (ტ. 32). თვით არჩილის აზრით კი ეს რიცხვი გაცილებით უფრო დიდია, ხუთი ათასამდე აღწევს (ტ. ტ. 403—404). და ამ დიდი და რთული მასალის გადმოსაცემად არჩილს თავისი მეთოდიც მოეპოვება, ზოგად შეხედულებაზე დამყარებული. მისი აზრით, მასწავლებელმა მოსწავლეებს სასწავლო არ უნდა გაუძნელოს, არამედ იგი თანდათანობით ადვილიდან ძნელზე უნდა გადავიღეს (ტ. ტ. 265—8). ამიტომ არის, რომ თვითონაც თავისი საგანი „ხარისხ-ხარისხ ამვლელად“ (ტ. 410) დაულაგებია და ის ნაწილი თავისი თხზულებისა, რომელიც თვით მას უმნიშვნელოვანესად მიაჩნია, ე. ი. ზნეობა საღვთო, ბოლოში მოუქცევია:

„ამად ვსთქვი ასრე გვიანად კარგები, ძნელად საცოდნი,
ძვირად მინახავს ამათი სრულად და კარგად ნაცოდნი“
(ტ. ტ. 261—2).

თავისი სამუშაოს გეგმაც ავტორს წინდაწინვე მოუხაზავს. თხზულების დასაწყისში, ჩვეულებრივი ღვთისმეტყველური შესავლის შემდგომ, იგი ამბობს:

„აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის,
სამღთო და ანუ სამკვედრო, მშვებლის და მოვაგლახარის,
ლაშქრობის, ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის,
საქციელ სამსახურისა, ვინც იცის, ცოდნათაც კმარის“
(ტ. ტ. 9—12).

თუმცა თხზულების შინაარსი მთლიანად ამ გეგმაში არ ეტევა და არც მისი წესრიგი არის სავსებით დაცული (ერთისა და იმავე საგნის შესახებ ავტორი სხვადასხვა ადგილას ლაპარაკობს და თვით ჯგუფებიც არეულია), მაგრამ ზოგადად იგი (გეგმა) მართალია. ამიტომ მივყვეთ მის დალაგების რიგს.

როგორც ზეშმოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, ავტორი თავისი თხზულების საგანს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს: ზნეობა საღვთო, ე. ი. ის წესები, რომელთა მიხედვით უნდა მოიქცეს ადამიანი თავის დამოკიდებულებაში ღმერთთან, და სამხედრო, ე. ი. საე-

რო. რადგანაც უკანასკნელი არჩილს უფრო ადვილად მიაჩნია, ამიტომ პირველ რიგში, „საღმთო ზნეობის“ შესახებ ლაკონიური განცხადების შემდგომ—„თავსაც სამღთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე-საქმე რაც არი“,—სწორედ ამ „სამჯედრო“ ზნეობას განიხილავს.

I. **„ზნეობა სამჯედრო“**. ასე უწოდებს არჩილი ყველა იმ წესებს **საერო** ცხოვრებისას, რომელთა მიხედვით, მისი აზრით, უნდა მოიქცეს **გაზრდილი** ქართველი, და ყველა იმ თვისებას თუ ცოდნას ერისკაცისას, რომლებიც ასეთ ქართველს უნდა ახასიათებდეს. ეს წესები და ეს თვისებები მიუცილებელი სამკაულია ადამიანისათვის, რომ ის მისაღები წევრი იყოს არსებული ფეოდალური საზოგადოებისა,—არსებითად, რათქმაუნდა, ამ საზოგადოების გაბატონებული კლასისა. აქედან გამომდინარეობს მათი სავალდებულო ხასიათი. ამ წესების უცოდინარობა და ამ თვისებების უქონლობა უზრდელობასა და უწვრთნელობასა („თუ ვინ ესრე არა ზრდილობს, მაშ იქნება სვანი ყუდო“, ტ. 204; იხ. აგრეთვე ტ. ტ. 208, 231 და სხვ.) ნიშნავს და საზოგადოებას უფლებას აძლევს ერთგვარი ზემოქმედება იხმაროს ასეთი წევრის მიმართ (იხ. ტ. ტ. 40, 96, 152, 155—6, 210—11). სამაგიეროდ, ზრდილი ადამიანი სასიამოვნო პირია საზოგადოებისათვის და საყვარელი ყმა მეფისა და ბატონისათვის (იხ. ტ. ტ. 20, 27, 232, 246 და სხვ.).

„სამჯედრო“ ზნეობას არჩილი რამდენიმე ჯგუფად ჰყოფს: „მშვებლის და მოვაგლახარის, ლაშქრობის, ნადირობის, საქციელისა და სამსახურის“ (ტ. ტ. 10—12) ზნეობა, წესები. მაგრამ თვით თხზულებაში ვრცელი ცნობები მოიპოვება ისეთი დარგების შესახებაც, რომლებიც ამ წინასწარს დაყოფაში არ შესულა. განვიხილოთ თვითეული ცალკე.

ა) „მშვებლის ზნეობად“ ჩვენ, რა თქმა უნდა, ის წესები უნდა ვიგულისხმოთ, რომელთა მიხედვით უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა იგი, დღიურ საზრუნავს მოშორებული, დასვენებასა და მხიარულებას არის მოწადინებული. ქართველი ფეოდალი თავისუფალ დროს სხვადასხვა თამაშობაში (ასპარეზობა, ტანთვარჯიშობა ანუ ფუნდრუკი,—საბას ტერმინოლოგიით,—„მღერა“ ანუ „ყუმარი“) და ლხინში ატარებდა. ამავე ჯგუფს ეკუთვნის თავისი ხასიათით ნადირობაც, მაგრამ ვინაიდან მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და რადგან იგი არჩილსაც ცალკე აქვს განხილული, აქედან უნდა გამოიყოს. ასპარეზობასა და ტანთვარჯიშობას გართობაზე

შეტი მნიშვნელობა ის ჰქონდათ, რომ ისინი ერთგვარს წინასწარს სამხედრო სკოლას წარმოადგენდნენ, სადაც იმდროინდელი მეომარი (ჩვეულებრივად ფეოდალი) სწავლობდა იარაღის ხმარებას (ტ. ტ. 22, 52, 55), ცხენზე ჯდომას (ტ. ტ. 24, 54), სიცქვიტესა და სიმარჯვეს მოძრაობაში (ტ. ტ. 23, 106—7), და სადაც იგი საზოგადოდ სხეულს ივითარებდა. ამიტომაც აპყრობდნენ მას ასეთ ყურადღებას. არჩილიც ამიტომ მოითხოვს, რომ თვითეულმა იცოდეს: „მშვილდ-ისარი და ბურთობა“ (ტ. 22), თუ „ბურთის სროლა“ (ტ. 53), „აშფაშაქი და ყაბახი“ (ე. ი. მიზანში სროლა ტ. 53), „ხელძალიან ჯირითობა“ (ტ. 54). ეს თამაშობანი ცხენზე, ამხედრებულად უნდა შესრულებულიყო, შესაფერისი სიცქვიტით: „მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ-ფიცხელები“ (ტ. 22). მაგრამ კარგი „ცხენოსნობა“ (ტ. 45) თავისთავადაც საჭირო თვისებად ითვლებოდა: „კარზედ ცხენის გაჭენება“ (ტ. 54)[1] არჩილს საგანგებოდ აქვს აღნიშნული. სამაგიეროდ, „ქვეითობაც“ საპატიოა, „ის უწინაც ვარგებულაო“, ამბობს არჩილი (ტ. 56) და მის დროსაც მნიშვნელობა არ დაუკარგავს. „მოუცდენი მეთოფობაც“ (ტ. 55) ასეთს სავალდებულო ცოდნას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ არჩილის სიტყვით თოფი ახალშემოსული ყოფილა ხმარებაში: „ახლა ესეც ზნედ დაიდვა“-ო (ტ. 55). მოხსენებულია აგრეთვე „მესეფქობა“, [რაც] სპეციალური ტერმინი უნდა იყოს („სეფქა“ თავისთავად ისრის ერთს ტიპსა ჰქვიან), მაგრამ ეს ტერმინი რას უნდა ნიშნავდეს, არ ვიცით. განცალკევებულია „ნავთხმარება“, მეტად საჭირო ცოდნა, რომელიც, არჩილის აზრით, მცურაობასაც სჯობია (57—60). კერძოდ ტანთვარჯიშობას უნდა მივაკუთვნოთ: „მცურაობა“ (57), „ხტომა“ (67), „რკინობა“ (ე. ი. ჭიდაობა და მისი ატრიბუტები—„მოგვერდი“, „ფანდი“ და სხვ.) (67), „ხარდიორდა და ჩალიჩი“ (66; „ჩალიჩი—საფუნდრუკო საგვემელი ტილოსი“, „ხარდიორდა—მოგვერდი, ფუნდრუკი“ —საბა). ცალკე კატეგორიის, გონებრივი ხასიათის, გასართობს ეკუთვნოდა „ჭადრაკისა და ნარდის მღერა“ (65) და „სხვა რაც რამა ყუმარი“ (აქვე). მათი ცოდნა „კარგ ზნედ“ ითვლებოდა.

---

[1] საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (მაგ. აფხაზეთში) ახლაც იციან და ერთგვარ ზრდილობის წესად მიაჩნიათ,—ცხენოსანი სტუმარი მასპინძლის ეზოში შესვლისას თუ გამოსვლისას, ალაყაფის კარებთან ცხენს გააჭენებს უსათუოდ. ასეთს რასმე ხომ არ გულისხმობს არჩილი?—ს. ჯ.

განსაკუთრებული შემთხვევისათვის გამართულს პურისჭამას თუ ლხინს, რასაკვირველია, თავისი წესები ჰქონდა, ერთის მხრივ—მასპინძლისათვის და მეორეს მხრივ—სტუმრისათვის სავალდებულო. მასპინძელს უნდა შეეძლოს: „გარიგება მარაქისა, მის მის ალაგს კაცის დასმა“ (29). მასვე „სუფრის ბარაქიანობა“-ც მოეთხოვება (30). კერძოდ სტუმრისათვის, და საზოგადოდ სუფრის, წესია „საამოვნო ჭამა და სმა“ (30), „წმიდად ჭამა და დიდი სმა“ (39), მაგრამ ვისაც ეს „დიდი სმა“ ზოგიერთი სამწუხარო შედეგის თავიდან აუცდენლად არ შეუძლია, ის სათანადოდ უნდა დაისაჯოს და შერცხვენილ იქნას (40). ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ბევრგვარ უნდა ხილის დაჭრა, ბეჭის გათლა, დანის მოსმა“ (31), და შეეძლოს კიდეეაც ამაების გაკეთება. ძველ ქართულ სუფრასთან განუყრელად დაკავშირებული იყო „ზმა და ხუმრობა“ (33)—და არჩილიც მოითხოვს თვითეულისაგან ამათს ცოდნას და შესაფერისად თავის დაჭერას: სუფრაზე მხიარულება და გულგაშლილობაა საჭირო. „სიცილი“ (33), „სხვის ზმისა მალ გაცინება“ (33), „კარგის აზნაურშვილისა სიტყვისა არ გამგუნება“ (34), „მუნასიბი ლექსი“ (შესაფერისი სიტყვა-პასუხი, ტ. 36) და, საზოგადოდ, სანდომი სულიერი განწყობილება—მიუცილებელი თვისებებია სუფრაზე. დაბოლოს, სავალდებულოა, საერთოდ „მასპინძლობისა“, და ამასთან მჭიდროდ დაკავშირებულის, „ჩუქების“ წესების ცოდნა (26).

ბ) თუ ყოველივე ეს „მშვებლისათვის“ სავალდებულო წესებს წარმოადგენდა, არსებობდა ასეთივე მოვაგლახარისთვისაც, ე.ი. იმისთვის, ვისაც ან პირადად ეწვია უბედურება, ან ვინც ვალდებული იყო სხვის მწუხარებაში მონაწილეობა მიეღო. ეს უბედურება ადამიანის სიკვდილს გულისხმობს. ასეთი შემთხვევისათვის „მოტირლობა, გლოვის წესი, ზარი-ახა ზნედ დაიდოო“, ამბობს ჩვენი ავტორი და დასძენს: „უსარგებლო მკვდრის და ცოცხლის“, ეს ჩვეულება „ერთმანერთის წაბაძვით დაწესდა“-ო (ტ. ტ. 61—63). გარკვევით არა ჩანს, რას უარყოფს არჩილი: მთლიანად გლოვისა და ტირილის წესებს, თუ მხოლოდ „ზარსა და ახა“-ს გმობს. უფრო კი უკანასკნელი უნდა ვიგულისხმოთ, ვინაიდან იმ დროს ამ საერთო წესებს გლოვისას ისეთი მნიშვნელობა ჰქონდათ მოპოვებული, რომ საეჭვოა, არჩილს ისინი სულ ზედმეტად ჩაეთვალა[1].

[1] თუმცა ჩვენ ვიცით, რომ დაახლოვებით ნახევარი საუკუნის შემდგომ კათალიკოს ანტონის მიერ მოწვეულმა კრებამ აკრძალა „ტირილი და უჯერო კერპური გლოვა“ (პ. ორბელიანი, ჰიჰ. გამოც., გვ. 167).

გმობს არჩილი აგრეთვე ასეთ შემთხვევებში მიღებულ მარხულობას, რომელიც ზოგჯერ ერთ წელიწადს გრძელდებოდა (64).

გ) იმ დროს, როდესაც საქართველო ერთს მუდმივ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო საქმეში გაწვრთნასა და დახელოვნებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ამ თვისებებს ფეოდალის სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისითაც, რადგანაც მას ძალიან ხშირად პირადი და დამოუკიდებელი ფიზიკური ჩარევაც სჭირდებოდა თავისი კლასობრივი ინტერესების დაცვის საქმეში. სწორედ ამ მიზნებს, ისევე, როგორც ასპარეზობა, ემსახურებოდა **ნადირობა**. თავისთავად, ნადირობაც ფეოდალისათვის თავის გასართობი საქმე იყო, მაგრამ ამასთან ერთად იგი მის უაღრესად რეალურსა და მნიშვნელოვან ინტერესებს აკმაყოფილებდა: იგი ავითარებდა იმ თვისებებს, რომლებიც საუკეთესო, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მიუცილებელი სამკაული იყო **მოლაშქრისათვის**. ასეთი იყო: „მეჯინიბობა (ე. ი. ჯინიბის ანუ მარქაფა ცხენის ტარება თუ ცხენის მოვლა), მჭედრობა, ცხენოსნობა“ (45), „სარდლობა, ზავთი სარჯლისა, დღედაღამ დაუზარობა, უწინ სიფრთხილე, გასინჯვა, სიტყვისა მწვე მიმხვდარობა... შემართვა მებრძოლთ თამამად, წინ წადგომისა დასწრობა, რაზმის გაწყობა კარგგვარად“... (ტ. ტ. 277—281); იარაღის ხმარება—„ჭრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა“ (109) და საერთო სიმარჯვე (117—120). ეს თვისებები, როგორც ვთქვით, სათანადო წრეების საარსებო ინტერესებს აკმაყოფილებდა და ამიტომაც აქცევს არჩილი მათ ასეთს ყურადღებას და მოითხოვს მათს შეძენას. ამ თვისებების უქონლობა საკმაო საფუძველი იყო ფეოდალური საზოგადოებისათვის, რომ გაეკიცხა თავისი გაუწვრთნელი და უსარგებლო წევრი: „ვისცა არა აქვს, უზრახვენ სხვამან სხვას მიუუბნისა“ (112).

თვით ნადირობას არჩილი რამდენიმე დარგად ჰყოფს: „მომტევლობა მფრინველებისა“ (46), „კურდღლობა“ (48), „თევზის ჭერა“ (93). ესენიც თავის რიგზე სხადასხვა დარგად იყოფა, და თვითეულს მათგანს თავისი წესები ახასიათებს: „მომტევლობაც მფრინველებისა ცალ-ცალკეა“, ამბობს არჩილი (46) და ჩამოთვლის: „მწყერობა“ (46,97), „შეჭოჭბეობა“ (97), „წეროს გეზით დამჭერლობა“ (94), იხვზე ნადირობა (98). კურდღელზე ძაღლით ნადირობდენ (48). თევზის ჭერაც შეიძლებოდა „წყლის წურვით“ ან „ბადის სროლით“ (93). რა თქმა უნდა, შემთხვევით გამორჩენია

ავტორს ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა მსხვილ გარეულ პირუტყვზე ნადირობა. ყველა ამისი ცოდნა სავალდებულო იყო, მაგრამ გაზრდილს ქართველ ფეოდალს განსაკუთრებული უნარიანობაც მოეთხოვებოდა. მას უნდა სცოდნოდა „ოსტატად ბაზიერობა“ (47), „ძაღლის კარგად მოტევება“ (48), „მეძებრის სწავლება“ (95), „ცხენისა და მფრინველის ცნობა“ (49), „სტვენა, წრუწუნი, ძახილი“ (98), „მალე მიშველა ფრინველისა“ (100) და სხვ. კარგი მონადირისა და მოლაშქრისათვის უფრო საერთო ხასიათის თვისებებიც იყო საჭირო: ზოგიერთი იარაღის საკუთარის ხელით დამზადება, მაგ.: „ქარქაშის კარგად მობორბვლა“ (42), „ისრის თლა, სწორად გამართვა, გაქლიბვა, სეფქის გაწყობა, მშვილდის ჩაგდება, ყულაჯი, ქარქაშის კარგა ჩაწყობა“ (101—102), „საცერის წყობა, მათრახის ბილდირგა რა შეუბისა, ისარი სხვილი და გრძელი“... (110—111); „ჯაჭვისა და სხვა საჭურვლის ცნობა“ (112), „გაწყობა და მორთულობა“ (114), სადავის გამორჩევა „პირჩვილისა“ და „გამზიდარი“ (ე. ი. კისერ-მაგარი) ცხენისათვის (282). არჩილის აზრით, საჭიროა აგრეთვე „მოპაიტრობაც“, ე. ი. საქონლის მკურნალობა. ამას გარდა, იგი მოითხოვს იარაღისადმი ფაქიზს დამოკიდებულებას, „უჩირქოთ, წმინდათ ჴმარებას“ (43).

დ) ახლა უნდა გადავიდეთ ერთად ცხოვრებისა და საკუთრივ ზრდილობიანობის წესებზე. ამ ნორმების საერთო სახელის აღსანიშნავად არჩილს რამდენიმე ტერმინი მოეპოვება: ყველაზე ხშირად ნახმარია „საქციელი“ (იხ. ტ. ტ. 12, 21, 200, 237, 253, 360), უფრო იშვიათად „ზრდილობა“ (ტ. ტ. 204, 237) და „აზნაურშვილობა“ (ტ. ტ. 34, 209). ეს წესები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: „კარგსაქციელი“ (ტ. 360) და „ავსაქციელი“ (170), „ავსაქციელი მარტვილი“ (200).

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გულღია და შემტკბობი ხასიათის ქონება (17—20), და „თავის გუნების კაცს გარდა სხვისაც ბევრისა გაწყობა“ (135). ასეთს თვისებებს ეკუთვნის „შესაყრელობა, ალერსი“ (17), „ხუმრობა“ (68), „ხუმრობის ადვილ შეტყობა“ (133) და საზოგადოდ „კარგად ჩამორთმა სიტყვისა“ (134,34).

ამას მისდევს წესები, რომლებიც განსაზღვრავენ „წავლა-წამოვლას, ზედგომას, ჯდომა-ადგომას მოხდენით“ (171), ე. ი. ჩვეულებრივი ზრდილობიანობის ნორმები. მათი ხასიათი იცვლება იმისდამიხედვით, თუ ვის დამოკიდებულებას შეეხებიან ისინი: თავისებურია ყოველ ცალკე შემთხვევაში მოქცევის წესები ყმისა ბატონის მიმართ, უფროს-უმცროსული და ტოლ-თანასწორისა.

ბატონყმური[1] ზრდილობიანობა ანარეკლია იმ საერთო სოციალ-ეკონომიური დამოკიდებულებისა, რომელიც მათ შორის არსებობდა. ამიტომ არის, რომ ყმისაგან ბატონისადმი მიმართულს ყოველივე მოქმედებაში პატივისცემის გრძნობა და მოწიწება უნდა გამოსჭვიოდეს (207, 213—6,229—32). უპირველესი ზნე ყმისა არის ბატონის მორჩილება, „ბატონის სიტყვის გაგონა“ (221) და მისი „ნების გათავება“ (ე. ი. ასრულება, 224, 195). „ბატონის დარბაზის კარი რა გინდ რომ მაღალი იყოს, თავმოხრით უნდა შევიდეს, არც ლაჯში თავი გაიყოს“, ამბობს არჩილი (165—166). ბატონისაგან საბოძვარის მიღება, ან ბატონისათვის რისიმე მირთმევა „ორის ჭელით“ უნდა (189—190). „ავსაქციელად“ უნდა ჩაითვალოს ბატონისათვის ზურგის ან გვერდის შექცევა (193), მასთან სასმელის უშვერად დალევა (197) და კბილით „თხილის მსხვრევა“ (198). ბატონთან ჯდომა და დგომა სწორედ უნდა: სირცხვილია, რომ მჯდომი რასმე გარდაეყუდოს, დამდგომმა ფეხი დაიკავოს, ან ხელი ბოძს მოჰხვიოს (201—202). „ბატონყმური ლაპარაკიც სხვა არის“ (225): უზრდელობაა ბატონთან ლაპარაკის დროს „ჭელ-ფერჭის თამაში“ (205), მასთან საუბარი „ჭელქვემოჭდობით“ უნდა (207). თუ ბატონი ლაპარაკობდეს, ყმას ჭხამს დუმილით მოუსმინოს (229—231). თუ ყმა ბატონს ახლავს ცხენით, წინ არ უნდა გარდაუაროს და არც ცხენის თავი დაუსწოროს, რომ სანახაობა არ დაუფაროს (241—243). ერთ ადგილას არჩილი ყმის ზნეობრივ ვალდებულებებსაც ეხება: ვინც „ბატონის საიდუმლო სიტყვა გარეთ გაიტანოს“, იგი სასტიკად უნდა დაისაჯოს (153—156).

თუ ეს განსაკუთრებული პატივისცემა ბატონს თავისი სოციალური მდგომარეობის გამო ჰქონდა მოპოებული, ამისევე ღირსი იყო „უმფროსი“ (ე. ი. უხუცესი) კაცი თავისი წლოვანების გამო. ამიტომ, ბატონისა და უფროსი კაცის მიმართ, არჩილის აზრით, ერთნაირად უნდა მოიქცეს ადამიანი (ჯდომისა და დგომის წესი—„ბატონთან და უფროს კაცთან“ და სხვ., ტ. ტ. 200—204). საინტერესოა ერთი ხანა, რომელიც ამავე საგანს ეხება:

„უმცროსმან კაცმან უფროსი არ უნდა დაიწვიოსო.
ადგეს სჯობს, ისრე მჯდომელმან ქვემორე დაიწიოსო.

[1] არჩილი სიტყვა „ბატონ-ყმობას“ ფართო მნიშვნელობით ხმარობს: როგორც სოციალურის, ისე სახელმწიფო წყობილების მოვლენის აღსანიშნავად, მაგრამ უფრო ხშირად აქ მეფისა და მისი ვასალის (ფეოდალის) ურთიერთობა იგულისხმება.—ს. ჯ.

საჩოქეთ რა შეიყარნენ, უწინ მან წაიწიოსო,
არცა უკამსად დამდაბლდეს, არც ბეწვად აიწიოსო“.

ეს „საჩოქეთ შეყრა“ მისალმების დროს დაჩოქებას ხომ არ გულისხმობს[1]? უფროს-უმცროსული სიტყვა-პასუხიც განსხვავებული უნდა იყოს: „სწორ უმფროსულ-უმცროსულსა ქართულსაც აქვს დასახვა“-ო, ამბობს არჩილი (227).

„ტოლსა და ამხანაგთან“ (177) მოქცევა, რა თქმა უნდა, უფრო თავისუფალი ხასიათისა იქნებოდა, მაგრამ აქაც არსებობს თავისი წესები, რომელთა გარდალახვა არ შეიძლება: მარჯვნით მჯდომს (სუფრაზე?) ამხანაგს მონაცემი მარცხენა ხელით უნდა ჩამოართვა, და პირიქით (191—192). განმარტოებულად მოსაუბრეებთან მისვლა არ შეიძლება მათდა მიუწვეველად; მათ კი მართებთ გაირიონ საუბარში, ვინც შემოესწროთ (217—220). ამხანაგებმა რომ დაგიწვიონ, „ორთავ თავს არ გარდაუარო და ჩაუჯდე შუა სამე“, რომ ამით ორივეს აამოო (177—180).

დასასრულ, არსებობს მოქცევის ისეთი წესები, რომლებიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა. არ შეიძლება ჯდომის დროს ფეხის ფეხზე გადადება (181)[2], ზურგის კედელზე მიყუდება (185), ან ცალ თეძოზე დაჯდომა (187); თავის დაკიდება, როგორც ეს „თვალნაკლებ ოქრომჭედელს“ სჩვევია (186). არ შეიძლება ადგომის დროს ხელის დაბჯენა (184) და ჯოხის მხარზე გადადება (იქვე), ან ლაპარაკი, როცა პირში რამე გიძევს (182). უზრდელობად ითვლება „ცხვირის გამოკრკნა“ (188) და „კბილის საჩრჩნელის“ ხმარება (იქვე), „ავად გადუფვა“ (გაფურთხება) და „ცხვირის მო-

---

[1] ყაენისაგან საქართველოში დაბრუნებულს ავაგ მხარგრძელს, ამირსპასალარს, „ყინა მოეგებინეს ყოველნი მთავარნი და წარჩინებულნი, თვით შანშა და ეგარსლან. რომელსა კნინღა სახელიცა მეფობისა ეპყრა. და ვითარ მიეახლა ავაგ, ჰგონებდა ჰონისაგან გარდაჯდომად და ეგრეთ ხილვად ეგარსლანისაგან. ხოლო იგი დიდად განლაღებულ იყო: არა ინება წესისაებრ პატივით ხილვად და ამბორისყოფად ავაგისა. და ვითარ იხილა ავაგ, განძვინდა, თავსა მათრაკითა უხეთქნა და უბრძანა ბასკვეშე დაწესებულთა, რათა ცხენისაგან უპატიოდ დაამჭვნეს ქვეყანად და ყვეს-ცა ეგრეთ. პატივისაგან ყვეს და განძრცვილი განაძეს, და მიერითგან უპატიო იქმნა და საცინელ. და ესოეთ განაგდეს შანშა და ავაგ და თავადთა საქართველოსათა“ (M650; ტექსტი აღდგენილია).

[2] 1615 წ. კახთა მეფე თეიმურაზი და ქართლის მეფე ლუარსაბი, შაჰაბაზისაგან ლტოლვილნი, გარდაიხვეწნენ იმერეთს, სადაც ისინი „ისტუმრა კეთილად გიორგი მეფემან პატივითა ქუთათისს“, ლუარსაბი მაინც მალე გაბრუნდა უკან. ვახუშტის ასეთი ამბავი გაუგონია წასვლის მიზეზის შესახებ: „იტყვიან რამეთუ ისხდენ მეფენი ერთად. მაშინ გიორგი ბეფემან მოიხადა ქუდი და შემოიდგა ფეხი მუხლსა ზედა. ესე იუკადრისა მეფემან ლუარსაბ და შეირაცხა უპატიოდ და არარად შერაცხა და იტყოდაო: „რა იგი ნებავს მტერსა, ჰყოს, ხოლო უმცირესისა ჩემისაგან არა დავითმინო“. და არღარაი უსმინა გიორგი მეფესა და წარვიდა, ვითარცა მწყრალი“ (საქ. ცხოვრება, ჰიჯ. გამ., 299).

ხოცა“ (238), „მუდამ ულვაშის გრეხა (206). სიარული სიფრთხილით უნდა, რომ „წინ მავალს უკან არ მიჰყვე, ტალახი არ მოსცხო“ (239). ზრდილ კაცს უნდა შეეძლოს აგრეთვე „ტანსა და ფეხსა გაწყობა“ (41). შეიძლება აქვე მოვიხსენიოთ კიდევ ერთი საინტერესო დარიგება არჩილისა: „უცხო მდიდარი მისს სადგომს მალ-მალე არ ნახო“-ო, ამბობს იგი (240)[1].

ე) საქციელს არჩილის გეგმაში „სამსახური“ მისდევს. „სამსახური ბევრგვარია, საცოდნელადაც ძნელია“, ამბობს ავტორი (245) და ჩამოსთვლის იმ მოვალეობას, რომლებიც აწვა იმდროინდელ ქართველს მეფისა და ბატონის წინაშე, და მათი შესრულების წესებს. აქაც ჩვენ ვხედავთ იმავე ხასიათის დამოკიდებულებას, რომელიც სპეციფიკურ ელფერს აძლევდა ყმის მოქცევის ნორმებს ბატონის მიმართ.

ყმა ბატონის ერთგული, „მართლამქნელი“ უნდა იყოს (246), დაუზარელი და თამამი, ფიცხი და ბრძანების შესრულებაში მალი (247—8). „მღვიძარება და სიფხიზლე“ და იგივე სიმარჯვე, რომელსაც ასე ხშირად მოითხოვს არჩილი, აქაც მიუცილებელ თვისებად არის მიჩნეული სამსახურის მოვალეობათა ასრულების დროს (248—250). მაგრამ ვინც მოწოდებულია სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად, თავისი შთამომავლობისა თუ უფრო შემთხვევითი ხასიათის გარემოების გამო, მას უფრო მძიმე და საძნელო მოვალეობები აქვს დაკისრებული. ასეთი პირი ვალდებულია იმდენად მომზადებული იყოს, რომ შეეძლოს „მრჩევლობა“ და „სიტყვის გაკვეთა“ (141), საჭიროების დროს „ელჩობა, მოციქულობა“ და ამისათვის მიუცილებელი „სიტყვისა სწორად დასწავლა“ (142), დარბაზობის წესის ასრულება, „ადგილზედ მოდარბაზობა“ (251). საჭიროა აგრეთვე სასამართლოს საქმეების ცოდნა: როგორც საკუთარი საქმის წარმოება სასამართლოში („მოჩივრობა“), ისე თვით მოსამართლის ფუნქციების ასრულების შეძლება, „ბჭობა“, „სამართლის მართლის ქმნა“ (137).

ვ) ასეთი რთული და მნიშვნელოვანი მოვალეობების ასასრულებლად, რასაკვირველია, საჭირო იყო სათანადო განვითარება და განათლება. და მართლაც ამ მხრივ არჩილი საკმაოდ დიდ მოთხოვნილებებს უყენებს იმათ, ვისაც „ზნეობის სწავლა“ სურთ.

---

[1] შეადარე ამას იმდროინდელ უცხოელ მოგზაურთა (მაგ. შარდენის) ცნობები ასეთი „ვიზიტიორების“ შესახებ.

უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, „მწიგნობრის“ ცოდნა არის საჭირო: „მწიგნობრობა ჭრელსადაგი“ (125), როგორც ხუცური, ისე მხედრული (127), „მსმენელობა“ (?), „მთარგმნელობა“ ანუ „ღრმის სიტყვის ადვილ გამოთქმა“ (126), „კანანახი ჭმამაღალი“— მკაფიო კარნახი (128). საჭიროა აგრეთვე სხვადასხვა „დამწერლობის“ (129) ცოდნა: „დამწერლობა ხუცურსა და მჭედრულს უნდა სხვადასხვა და, მგრგლოვანს, ყვავისფრჩხილოვანსა, ასომთავრულს სმენ თავადა“ (129—39). „ანგარიში და რიცხვთ ცოდნაც“ (138), ცხადია, მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. აგრეთვე სასურველ ცოდნად სთვლის არჩილი „მხატვრობას და მონახაზობას“ (131) და განსაკუთრებით უცხო „ენისა და წიგნის“ ცოდნას (121—123). მოხსენებულია აგრეთვე, როგორც სასურველი თვისებები, „გარეშე“ (ე. ი. საერო) წიგნის „სასიამოვნო კითხვა“ (132), და „ჭრელ ძილისპირთა გარდათქმა“ (125).

საჭიროდ მიგვაჩნია ეს საინტერესო სტროფები აქ მთლიანად მოვიყვანოთ:

„ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობათ, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად;
მაშ ერთად როგორ ვიტყოდეთ, იკითხონ სხვადასხვა ენად!
ვინ სხვას ვერ ასმენს, ის ისმენს, იქ დაიწყებენ მიდენად.
მწიგნობრობა ჭრელ-სადაგი, ჭრელ ძილისპირთა გარდათქმა,
მსმენელობა, მთარგმნელობა, ღრმის სიტყვის ადვილ გა-
მოთქმა,
ხუცურის და მჭედრულისა სხვადასხვაობს თვითოსა თქმა,
კანანახი ჭმამაღალი სჯობს, ყინჩვილად ნუ იქათმა!
მწერლობა ხუცურს და მჭედრულს, იცით, უნდა სხვადასხვა და
მგრგლოვანს, ყვავისფრჩხილოვანსა, ასომთავრულს სმენ თა-
ვადა,
მხატვრობას, მონახაზობას, არვინ ჩააგდებს ავადა,
გარეშე წიგნის კითხვაზედ ჭმაავად ნუ იხავადა“.

მაგრამ საერთო განვითარების სისრულისათვის არჩილს მხოლოდ გონების გაწრთვნა საკმარისად არ მიაჩნია: მისი აზრით, საჭიროა აგრეთვე ერთგვარი ესთეტიკური განათლება. ამ უკანასკნელს ეკუთვნის: „სიმღერა და დასდებელი“ (25), „კარგი ჭმა და თან უსული“ (ე. ი. ლამაზი, 27), მუსიკა (37), სხვადასხვა ცეკვა (38).

არჩილი კიდევ უფრო შორს მიდის: მას მკითხაობაც კი (რამლის ყრა, მესტროლაბობა და სხვა) საჭირო ზნედ მიაჩნია (139),

და მხოლოდ ბეჭზე მკითხაობის შესახებ ამბობს:—„ცრუდ თქმულაო“ (140).

ზ) აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის ზოგიერთი თვისება, რომლებიც არჩილს „კარგ ზნედ“ მიაჩნია, მაგრამ რომლებიც, როგორც ზემორე მოყვანილი ნაწილი, მას თავის გეგმაში მოხსენებული არა აქვს. ასეთია: „მუშაობა“ (157), „ზედმდგომობა და სარქრობა“ ე. ი. ზედამხედველობა, თავის მეურნეობაში (157) და ამისათვის საჭირო ცოდნა „ბარვა, წიდნვა, ხვნა და თესვა, მკის და სთვლისა მის მის დრობა“ (158). საჭიროა აგრეთვე შინაურ საოჯახო მეურნეობაში ერთგვარი გაწრთვნა: „მზარეულობა, ჭაშნიგის ცნობას ამბობენ კარგაო“ (164) და სხვადასხვა ჭელობის ცოდნა („ხელ-ბუჩხობა, კულის გათლა, ვინ შალაფს ჭმარობს, ხარატობს“ (287).

შეიძლება აქვე აღნიშნულ იქნას ის ნაწილობრივ ზნეობრივ-ელფერდაკრული თვისებები, რომლებიც აგრეთვე სავალდებულოდ მიაჩნია არჩილს: „შეხვეწილზედან ნამუსი“ (273), „საიდუმლოს შენახვა“ (149), „პურადობა და გაცემა“ (273) და სხვ.

II. თავისი მეთოდის თანახმად ყველაზე ბოლოს არჩილი „სამღრთო ზნეობა“-ზე მოგვითხრობს: „სამღრთო ზნეობა“, ე. ი. ღვთისმსახურება და სასულიერო განათლება, ყველაზე მნიშვნელოვანი (13) და ძნელი (261) დარგია „ზნეობათა“ შორის, და ამიტომ საჭირო იყო მას ჯერ უფრო ადვილად შესათვისებელი მასალა გადმოეცა თავისი მკითხველისათვის, რომ უფრო რთულისა და „ძნელსაცოდნის“ გაგება გაეადვილებინა მისთვის.

ღვთისმსახურება „საერო“ და განმარტოებულ, „დაფარვით“ ლოცვაში (269—272), ღვთის შიშსა (327,357) და ღვთის ცნებათა ასრულებაში (360, 373, 355—6, 389—92) მდგომარეობს. მაგრამ როგორც ღვთისმსახურების, ისე ყოველგვარი სათნოების საფუძვლად (353—356) არჩილს „სიბრძნე“ მიაჩნია. ამ სიტყვას იგი ხმარობს ვიწრო მნიშვნელობით, ღვთისმეტყველებისა თუ სასულიერო განათლების აღსანიშნავად. სხვა ყველაფერი წარმავალია, „სხვა ზნე ყველა მობრუკვილდება“ (301), მხოლოდ „სიბრძნე არის სამუდამო“ (308). თავისი დროის ზნეობრივ დაცემას, ყველა ამ „ცრუ ფიცობას, ზაკვა-უნამუსობას, ლიქნასა და ღვთის შიშის გულით განვარდნას“ (325—327) არჩილი სწორედ „სამღრთო საქმის“ უმეცრებას (317) მიაწერს. ამიტომ არის, რომ ასეთ დიდს ყურადღებას აქცევს იგი ამ „ზნეობას“ და ასეთ ადგილს უთმობს მას იმდროინდელი ფეოდალისათვის სავალდებულო თვისებებში. იგი მოუწოდებს ყველას დაეწაფონ ამ ცხოველმყოფელ წყაროს, რომლის

სმა „პეშვით არ კმარა“ (368). ვისაც ოსტატი არა ჰყავს, რომ მისგან ისწავლოს (ასეთი „სიბრძნე“ „უფრო მტკიცეა“—329), მან უნდა თვითონ „ბევრჯელ წაიკითხოს“ (334) „სამღრთო წიგნი“, რომ „ღირღოვანი“ და „ღრმადმეტყველი“ (335) ადგილები გაიგოს და ამგვარად „გაიგნოს სიბრძნის გზა და კვალი“ (336). ვინც „წმინდათა ბრძენთა წერილი“ (341) შეითვისა, მას უკვე „გული განხურვებული“ აქვს (353) ყოველივე „კარგსაქციელისათვის“ (360). არჩილი ჩამოსთვლის ყველა ამ „კარგ საქციელს“, უმეტეს ნაწილად წმინდა ეთიკური ხასიათისას (354, 355, 356, 358, 359, 361, 369, 370, 374).

ჩვენ განვიხილეთ ყველა ის წესი, რომლებიც სავალდებულოდ ითვლებოდა XVII საუკ. გაზრდილი ქართველი ფეოდალისათვის, იმავე საუკუნისა და იმავე წრის ერთი საუკეთესოდ განათლებული წარმომადგენელის მოწმობით. ჩვენ ვნახეთ, რომ უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია მოქცევის ეს ნორმები იმ დროისა და მოცეშული (ბატონყმური) საზოგადოების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, საუკუნის საერთო ხასიათს, დაუკავშიროთ (გარდა იმ ზოგიერთი წესებისა, რომელთაც უფრო ზოგადი ხასიათი აქვთ და ან ისეთებისა, რომელთათვის ასეთი მიზეზობრივი კავშირის დამყარება უფრო ძნელია). მაგრამ შესაძლებელია, ეს წესები ყველა ქართულ ნიადაგზე განვითარებულიყო, თანდათანობით, დროთა განმავლობაში, თუ ზოგიერთი მათგანის წარმოშობის ძირი საქართველოს გარეშე უნდა ვეძებოთ? ჩვენი ძეგლის ერთი ადგილი თითქოს პირდაპირი პასუხია ამ საკითხისა. თავისი თხზულების ბოლოში იგი ამბობს:

„საქართველოში იტყვიან სამას სამოცდა ხუთსაო
ზნეობას, **სხვას არ აგდებენ ქვეყნისას, თუ არ მათსაო**“.

(ტ. ტ. 401—2).

მაშასადამე, ეს ზრდილობა, არჩილის აზრით, წმინდა ქართული ზრდილობაა და სხვა ქვეყნებთან მას კავშირი არა აქვს. ამ განცხადებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მას ვერ დავემყარებით. ამისათვის სხვა წყაროების შეჯერებაა საჭირო[1].

---

[1] იბადება უნებლიედ კიდევ ერთი საკითხი: ასხვავებს თუ არა არჩილი მოქცევის წესებს ქალისა და ვაჟისათვის? თხზულებიდან ისე გაჩნდის, რომ მას თითქოს მხოლოდ ვაჟი ჰყავს მხედველობაში.—ს. ჯ..

პირთა საძიებელი

აბახასძე მარელელი 466
აბასიდები 377, 385, 392, 393, 402, 403, 404
აბაშიშვილები 468, 474
აბაშიძე 452
აბდალა (მანსურ), ხალიფა, იხ. ალ-მანსური
აბდ-ალ-მალიქი, ხალიფა 366, 367, 372, 408, 409
აბდულ-მალიქი (არმენიის მმართვ) 390
აბიბოს ნეკრესელი 290, 293—296
აბო ტფილელი 44, 335, 393, 395—399, 407
აბუ-ბაკრი 354
აბულახტარისძენი 466
აბულეთისძენი 466
აბუსერისძენი 175
აბუ-ჯაფარი 403, იხ. აგრ. ალ-მანსური
აგათია 317—320
ადარნერსე, მეფე 44
ადონცი 87, 93, 96, 263
ადრიანე, კეისარი 198, 199, 202, 309, 310
აეტი, აიეტი 74, 156, 238, 239, 241—244, 311, 413
ვაგ მხარგრძელი 500
ავგუსტუსი 183, 195
ავრილიანე, კეისარი 347
აზა I, მეფე, 79
აზა II, მეფე 11, 80
აზო, აზოჲ, აზონი, აზუ, აზოვე, ასოვე 10—12, 24—28, 33, 36, 37, 39—48, 75—79, 95—98, 101, 117, 204, 218 237. 245
ათლაქვა 487
ათლაყვები (ართილაყვა) 482, 486
ალექსანდრე მაკედონელი 10, 24, 28, 29, 33, 37, 41—43, 45, 47, 58, 71, 72, 98, 117, 128, 204, 218, 239, 240
ალექსანდრე I, დიდი 465, 466, 469, 470
ალექსანდრე, იმერეთის მეფე 275
ალექსანდრე, მეფე. გიორგის ძე 474
ალექსი-მესხიშვილი 27
ალი, ხალიფა 354, 365
ალი, შირვანის მმართვ. 402
ალიდოსი 368
ალი იბნ-მური 390
ალი (თუ იაჰია) შუაბისძე 406
ალ-მამუნი, ხალიფა 390, 405
ალ-მანსური, ხალიფა 378, 400, 402, 403
ალ-მაჰდი, ხალიფა 401
ალშიბაია 476
ალ-ჰასანი, კახეთის მმართვ. 403
ამაზასპი, მეფე 282, 283
ამიანე მარკელინე 315, 316
ამილახვარი, ამილახორი 451, 466
ამირ-ალ-მუმინი, ამირ-მუმლი 354, 372
ამირ იბნ-ისმაილ ალ-ხარისი 403, 404
ამირეჯიბი 452
ამპელი, იხ. ფაეთონი
ამფისტრატი 239, 240
ანასტასი, იმპ. 349
ანდრია მოციქული 271, 273
ანიკეტი 18
ანტიოქოს დიდი 176
ანტონი I, კათალიკოზი 40, 483, 496
ანტონი მარტომყოფელი 290, 291
ანტონ მწიგნობართუხუცესი 479
ანტონიუსი 89, 188
ანჩაბაძენი, ანჩაფისძე 478, 481
აპიანე 90—93, 95, 98, 239, 240, 245
აპოლოდორი 10, 50, 95, 176, 254, 257
აპოლონი როდოსელი 58, 60, 61, 272
არაბული 487
არამე, მეფე 2
არამი 30
არან, არანი, არიან 11, 25—30, 32, 33 37, 39, 44, 77
არგიშტი I 3, 79
არდაშირი 212
არედ ანუ არედბა (არედ-იფა) 481
არიანე ფლავიუსი 199, 201, 202, 272, 276, 277, 279, 306, 308—312
არისტაგორა 53, 54
არისტაკეს ლასტივერტელი 87
არისტარხი, მეფე 179, 180

არისტოტელე 50
არმენაკ 78
არმენი 11, 58, 71—77, 239—241, 244, 245
არსენი დიდი, კათალიკოზი (IX ს.) 39, 226
არსენი კათალიკოზი (X ს.) 37, 38, 46—48
არტაგი, იბერიის მეფე 179, 180
არტავან, არტავანზდ მამიკონიანი 377, 378, 400
არტავან, არტავანზდ, სომეხთა მეფე 89, 188, 212
არტავანზდ დიმაკსიანი 362
არტაქსია, არტაქსიასი 176, 245, 249
არტაშესი, სომეხთა მეფე 91, 92, 95, 97
არტემი, იმპ. 368
არტოკი, იბერიის მეფე 253
არშაკი, სომეხთა მეფე 158, 213, 316
არშაკიდები 177, 186
არშუშა 226—228
არჩილ მეფე 211, 230, 286, 287, 407, 491—497, 499—504
არწრუნიანნი 398, 400
ასვანუა 487
ასოლიკი 363, 366, 367, 374, 406
ასპაგური 219
ასტიაგი 56
ატროპატი 2
აუტოლიკი 240, 241
აფთხვა 486
აფხაზავა (აფხაზიშვილი, აფხაზი) 487
აქემენიდები 347
აღბუღა 188, 460
აშოტ კურაპალატი 27, 30, 44, 298, 373, 391, 406, 410, 422

ბაგდატი, ბაგდატუ 79, 80
ბაგრატი (ბაგადატი) 96
ბაგრატ კურაპალატი 27, 298, 406, 436
ბაგრატ III 44, 45, 424
ბაგრატ IV 173, 300, 424, 425, 426
ბაგრატ V 467, 468, 473
ბაგრატიონები 75, 96, 261, 373, 422, 424, 425
ბადელიძენი 463
ბათ-სებინი (ხენობია) 347
ბაკური 215, 219
ბალაძორი 358, 362, 363, 364, 365, 370, 374—376, 378, 381, 386—389, 407
ბარაბა 367
ბარაზბოდ პიტიახში 225
ბარათაშვილები, ბარათაანნი 188, 452, 464, 466—475
ბარათაშვილი აბაში 468, 469, 474
„ ბარათა 468
„ გერმანოზ 467, 469, 470
„ გუგუნა 467, 474
„ გულბა 469
„ დავით 474
„ ერაჯ 469
„ თომა (თომა კანჭაშვილი) 474
„ იოანე 474
„ მამუკა 473, 474
„ საჩინო 469
„ ქავთარ, ამირეჯიბი 475, 476
ბარათიანი იარალ 467
„ ორბელ 467, 468
ბარტოლდი 369
ბასილი ზარზმელი 439
ბასილ კეისარი 271
ბაქარი 215, 473
ბაქრაძე დიმიტრი 27, 28, 30, 77, 434
ბაღუაშნი, ბაღვაშ-ორბელნი 477, 478, 481
ბაჰრამი IV 314
ბერია ლავრენტი 13
ბერძენიშვილი (ბერძნიშვილი) 487
ბერძენიშვილი ნ. 215, 288, 300, 472
ბესიკი 486
ბექა 188, 460
ბიბილურები 167, 169, 191
ბიბილური ბიბილა 191
„ როსტომ 167—173, 190, 191
„ წითლოსან 191
ბინქარანი, მცხეთის ეპისკ. 222, 223
ბირიან აბაში 473—476
ბლაიხშტაინერი 65
ბობოყვა (ბობოყვაფხე) 485
ბოლქვაძე 485
ბორკი 8
ბრატმანი, ქართლის მეფე 218
ბროსე მარი 23, 261, 288, 292, 364, 375, 434, 471, 472
ბუკაირი 358
ბუღა თურქი 297, 298, 370, 406, 407

გელოვანი 461, 462
გელცერი 32, 317
გეჩ რეშიდ 480
გვარამი, ძე აშოტ კურაპალატისა 30
გიორგი I 424
გიორგი II 425
გიორგი III 427
გიორგი V ბრწყინვალე 455, 472, 473
გიორგი VIII 471
გიორგი XI 474
გიორგი მეფე 474
გიორგი, მეფე აფხაზთა 44

გიორგი, იმერეთის მეფე 500
გიორგი ათონელი 271, 276, 278
გიორგი მერჩული 44, 410, 424, 436
გიორგი ჩორჩანელი 392, 441—444, 447, 448
გლონოქორ, მთავარეპისკოპოსი 225
გობრონი 407
გოეტცე, გეტცე 6—8, 66, 67, 69
გორდელაძე მარიამ 488
გრიგოლი, წმ. 409
გრიგოლი, ქართლის მამასახლისი 165
გრიგოლი, სომხეთის და ქართლის მთავარი 366
გრიგოლ ხანძთელი 44
გრიმაშვილი იოს. 482
გუარამი, ბაგრატიონების წინაპარი 75
გუარამ ერისთავი 211
გუარამ კურაპალატი 287
გუგაკ ხუციანდაბის ძე 167, 168, 191
გურგენ მეფეთ-მეფე 45
გურგენ, ქართლის მეფე 233

დავით აღმაშენებელი 425—427, 451, 453
დავით IX 473
დავით X 467
დავით აოგველი 275
დავით გარეჯელი 289—291
დავით კურაპალატი 424, 436
დავით რექტორი, ალექსისძე-მესხიშვილი 40
დალოზი 143
დარიოსი 52, 65
დაჩი, მეფე 211
დაჩი 31
დაჩი ქორეპისკოპოზი 405
დგებიები 100
დე-ლა-მარში 143
დემეტრე I 427
დემეტრე ბატონიშვილი 300
დვალიშვილი (დვალი) 487
დიმიტრი, მეფე 38
დიოდორე სიციილიელი 65, 77, 239, 240
დიონ კასი 241, 253
დიონისი პერიეგეტი 274
დიუნო 143
დოტე მეგასიდრეს ძე 52
დრასხანაკერტელი იოანე, იხ. იოანე დრასხანაკერტელი.

ეგარსლან 500
ეგეი, ათენის მეფე 238, 241
ეგერუხვა 487
ეგრი (თედო ყორდანია?) 27
ეგროსი 23
ევგენი უხურპატორი 317
ევლავიოზ 292
ევლია-ეფენდი 272, 276
ევლია ჩალაბი 480
ევსევი კესარიელი 59, 60, 61
ევსტათი მცხეთელი 293, 294, 296
ეზდერიოს, ისიდორე სამთავნელი 289, 290, 291
ეზუგბაია 476
ელენე. ვამეყ დადიანის მეუღლე 489
ელია, ილია დიაკონი 290, 291
ელიოზისშვილი 451
ელჩინი 275
ენგელსი ფრ. 103, 104, 106, 110, 129, 135, 142, 155, 157, 165
ეპიფანე კვიპრელი 271
ერატოსთენე 239, 240, 273
ეფორი 239, 240
ექვთიმე ათონელი 272

ვაკიდი 386
ვალერი პრობი 239
ვალერიანე კეისარი 211, 212
ვალიდ I, ხალიფა 370, 375
ვამეყ დადიანი 489
ვაჟა-ფშაველა 116
ვარახ-ბაკურ, მეფე 211
ვარაზვარდი 75
ვარაზმანი 287
ვარდან მამიკონიანი 227
ვარლამი 482
ვარონი 239
ვარსქენ პიტიახში 227—229, 232
ვახბალატი, ზენობიას ვაჟი 347
ვახტანგ გორგასალი 190, 221, 222, 225, 228, 230—234, 382, 418
ვახტანგ VI (სჯულმდებელი, ჯანიშინი) 460, 474
ვახუშტი 261, 262, 270, 274, 276, 288, 292, 294, 295, 299, 322, 434, 449—463, 468, 470, 500
ვესპასიანე, იმპ. 18

ზალა, ზალაია კიტპათაიდან 80, 81
ზარდუკუ ჰარზიანუდან 81
ზარიადრე, ზარიადრისი 176, 245, 250
ზედგენიძე 451
ზევდგენისძეები 466
ზენობია, პალმირის დედოფალი 347
ზენონი იულთელი 291
ზვიადაშვილები 466
ზიზი აპათარიდან 80, 81
ზურაბისშვილი 452, 468

თათა, თათაჲ სტეფანწმინდელი 290, 291
თათარიშვილი 487
თალაქვაძე 485
თამარ მეფე 427, 428, 430, 433, 478

თარგამოსი 22
თაყაიშვილი ექ. 23, 25, 27—30, 32—37, 39, 42, 323, 324, 471, 472, 485
თეიმურაზ ბატონიშვილი 36, 37, 39
თეიმურაზ, კახეთის მეფე 500
თემისტაგორა 277
თემურ ლენგი 464, 470, 474, 475
თემურყვა 485
თეოდოროს რშტუნი 359—361
თეოდოროსი, კეისარი 359
თეოდოსი I, იმპერატორი 314, 317
თეოდოსიოს, ასურელი მამა 290
თეოკრიტეს სჭოლიასტი 244
თეოფანე ბიზანტიელი 313
თეოფანე ქრონოგრაფი 362, 366, 368
თინათინ, ცოლი ბარათა ქაჩიბაძისა 468, 469
თმოგველი 432
თომა არწრუნი 298
თორელები 297
თოფურია ვარლამ 61, 165
თრდატ მეფე 209
თუბალ-კაინი 236
თურო-დანქენი 87, 101
თურქია 487
თუშიშვილი (თუშური) 487

იაზიდი, არმენიის მმართვ. 378, 400
იაზიდი, ხალიფა 366, 401
იაზიდ იბნ-ბილალი, აზერბაიჯანის მმართვ. 390
იაკობ ხუცესი 221, 222, 227—230, 418
იაკუბი 363, 370, 371, 372, 388, 390, 399, 401—407
იანხუ, ნაირის მეფე 86, 96
იარალისშვილი 452, 468
იარედოსი 32
იასონი, იაზონი 10, 11, 71—77, 238—245, 413
იაფეტი 22, 59, 77
იაყუბ-ყაენი 467
იბნ-აბუდიბი 386
იბნ-ალ-ფაკიჰი 365, 383
ივვლევი 275
ივზდიგერდ II 226, 227
ივსესენი 6, 64
ივსე დეკანოზი 474
ივსე მოლარეთუხუცესი 474
ივანისძენი 466
ილია, სომეხთა კათალიკოზი 408
იმერლიშვილი 487
ინალიფა 476, 481
ინარუყვა 488
ინგოროქვა 488
ინგოროყვა ასმიდოდ 483
ინგოროყვა ეგნატე 482
ინგოროყვა პავლე 294, 474, 482, 483, 488
ინგოროყვები 486—490
იოანე, აფხაზთა ერისთავი 326
იოანე ბერაი 27, 28, 37, 38
იოანე დრასხანაკერტელი 360, 367, 374
იოანე ზედაზნელი 289—292
იოანე ზემიხვესი ანუ ციმისხი 32
იოანე კათალიკოზი, სომეხი ისტორიკოსი 374
იოანე პეტრიწი 432
იოანე, იოვანე საბანისძე 44, 393, 394, 398 399, 402
იოანე ქუაბულის-ძე 405
იოანე ჩიმიშკი, იხ. იოანე ზემიხვესი ანუ ციმისხი
იობიანე (იოვიანე), იმპ. 316
იოვანე, დაჩი 27
იოსებ ალავერდელი 290—292
ირანხუ, ირანხო, მანას მფლობელი 11, 79, 80, 81, 96
ისა, აზერბაიჯანის მმართვ. 390
ისე წილკნელი 290, 291
ისრაელ ოდმსელი 367
ისჰაკ ისმაილის ძე 406
იულიანე, აფსილების მეფე 309
იულიანე კეისარი 315
იულიუს სოლინი 275
იუსტინი 238
იუსტინიანე, კეისარი 275, 347, 348, 366 368
იშპუინი, ურარტუს მეფე 2, 4

კაეტანი, ლ. 344, 354
კაკაბაძე, ს. 258, 288, 290
კაკუბაია-კაკუბავა 476
კალანკატუელი მოსე, იხ. მოსე კალანკატუელი
კანჭაშვილი თომა, იხ. ბარათაშვილი თომა
კარბელაშვილი ვას. 37, 38
კარბელაშვილი, პ. 38, 39
კასტორი 239, 241
კატონი 182
კეკელიძე კ. 28, 48, 288, 290, 291, 296
კიპერტი 263
კირკა 244
კიროსი 8, 53
კირსილე ფარსალიელი 71, 239, 240
კიტორი, ფრიქსეს ძე 240, 241
კრეკა (ჰრეკა) 240
კლავდიუსი, იმპ. 255
კლემენი 53, 54
კლუგე 8
კოლხი, ფასიდის შვილი 244
კონსტანტი, აფხაზთა მეფე 44
კონსტანტინე II, მეფე 466, 468
კონსტანტინე I, კეისარი 214

კონსტანტინე III, კეისარი 359—362
კონსტანტინე არგველი 275
კონსტანტინე (კონსტანტი) - კახა 296, 299, 407
კონსტანტინე პორფიროგენეტი 274, 423, 488
კუკბა 476
კუფტინი, ბ. 97

ლაკუსი 238
ლამბერტი 277
ლანგ-თემური, იხ. თემურ-ლენგი
ლატიშევი, ვ. 50
ლაფარგი, პოლ 142
ლაშხიშვილი (ლასხიშვილი, ლაშხია, ლაშხი) 487
ლასმიდები 348
ლევონდი 359, 366, 367, 369, 370, 373, 374, 377, 378, 398—401
ლეკიშვილი 487
ლემან-ჰაუპტი 2, 5
ლენინი 105, 131, 156, 207
ლეონ I, კეისარი 314
ლეონ III, კეისარი 368
ლეონ II, აფხაზეთის ერისთავი 326
ლეონ, კეისრის ერისთავი აფხაზეთში 372
ლეონტი მროველი 12, 22—24, 36, 42, 77, 215, 238, 274, 282—284, 286—288, 295, 298, 299, 301, 303
ლეონტი, სარდალი 367
ლიბერი 239
ლიზიმახი 128
ლიპარიტი, ბაღუაში, კლდეკარის ერისთ. ერისთ. 300, 426, 436, 477
ლომოური, თ. 288, 300
ლუარსაბ I 469
ლუარსაბ II 500
ლუტიპრი, ურარტუს მეფე 2

მავრიანოსი 362, 363
მავრიკე, კეისარი 313
მაიერი ედუარდ 70
მალასა (მალაშა), ლაზთა მეფე 309
მალიქ იბნ-ანასი 386
მამიკონიანები 227, 373
მამიკონიანი მუშელ 361, 401
მანანდიანი 359
მარი, ნიკო 8, 13, 23, 27, 29, 40, 44
მარკვარტი 370, 372, 375, 376, 399, 405 406
მარკუსი 238
მარუთხვა 486
მარუშიძენი 478
მარქსი 104, 108, 114, 132—135, 145, 146, 149, 157, 182, 189
მასისტე 52
მასლამა 372, 374, 389
მასუდი 407
მაღალაშვილები 466
მაჩაბელი 478
მაჰდი, ხალიფა 403
მეგასიდრე 52
მეგრელიშვილი 387
მედეა 72, 74, 76, 77, 156, 238—245, 311, 413
მედი ლარისაელი 71, 77, 239, 240
მედი, მედეას ვაჟი 238—241, 245
მელა პომპონიუს, იხ. პომპონიუს მელა
მელიქსეთ-ბეგი, ლეონ 295, 296
მემნონი 55, 58
მენანდრე 313, 314, 317
მენუა, იშპუინის ძე, ურარტუს მეფე 2, 3
მეპრენიონ, ხაზართა მეფის ას. 326
მერმეროე 275
მერჩული გ., იხ. გიორგი მერჩული
მესხიშვილები 40
მითრიდატი, იბერიის მეფის ფარსმანის ძმა 158, 159
მითრიდატე, სომხეთის მეფე 200
მითრიდატე პერგამელი 154
მითრიდატე პონტოელი, ევპატორი 16, 90—93, 176—180, 186, 192, 239, 240, 267, 312, 419
მირდ'ატ, ქართველთა მეფე 219, 220, 225
მირი, მეფე 286, 287
მირიანი, მირეანი, მერიბანე 27, 47, 207 209, 213—215, 316, 392, 451, 453
მირიანისძე 466
მიტატი ზიქირთუელი 79, 80, 82
მიულერი. ა. 353, 354
მიქელ გონგლიბაისძე, ბედიელი ეპისკ. 478
მიქაელ მთავარეპისკ. 223, 232, 233
მიქაელ ულუმბოელი 290
მნასეა 244
მოავია, ხალიფა 359, 360, 365, 366
მომადი 372
მორგანი 125
მოსე კალანკატუელი 77, 369, 371, 372, 408, 409
მოსე ხორენელი 77, 96, 273, 432
მოჰმედ ხალიდის ძე 296—298, 406
მურვან ყრუ 372—377, 389
მუსა, ხალიფა 398, 399, 401
მუსაფირ იბნ-კასირი 390
მუტავაქილი, ხალიფა 407
მუჰამადი 349, 351—354, 379, 381
მუჰამად იბნ-არ-რავადი, აზერბაიჯანის მმართვ. 390
მუჰამად იბნ-ატამი, არმენიის მმართვ. 390, 405

შუჰამად იბნ-ჰამიდი, აზერბაიჯანის მმართვ. 390
მცხეთოსი 284, 285, 300

ნათან, ასურელი მამა 290
ნათაძე, გ. 129
ნანა, მირიან მეფის ცოლი 27, 209
ნარამსინი 343
ნარსესი, ალვანთა. კათალიკოზი 409
ნებროთი 22
ნერონი, იმპ. 251
ნერსე ერისთავი 334, 335, 367, 395, 400, 402—404
ნიკიფორე, იმპ. 32
ნინო, წმ. 27—31, 33, 34, 37, 38, 46, 48, 49, 205, 206, 209
ნინოშვილი, ეგნ. 439, 483, 489
ნიორაძე, გ. 101
ნოე 22, 59

ჟაბალ-ჟუბალი 236
ჟერუჟვა 488

ოვბეიდლა, ხალიფა ჰარუნის ძმა 378
ომაიადები 387
ომარი, ხალიფა 354, 355, 358, 379
ორბელები, ორბელიანნი 427, 468, 477, 481
ორბელიახი, პ. 496
ოსიძე 487
ოსმანი, ხალიფა 354, 363, 365
ოსმან იბნ-აფქალი, აზერბაიჯნის მმართვ. 390
ოძრჯოსი 284

პატეიფა 476
პანოდორე 362
პარმენიონი 72, 239
პატკანოვი 299
პახომოვი 128
პეისონელი 277
პერესიო 143
პეროზი (ფეროზი) 314
პერსი, აიეტის ძმა 241
პეტრე 213, 214
პითოდორი 180
პითოდორიდა 180
პიმეი, ასურელი მამა 290
პიროს ბრეთელი 290
პლატონი 50
პლინიუს სეკუნდი 74, 75, 239, 241, 242, 251—253, 256—258. 271, 275—277
პლუტარქი 255, 263
პოლემონი, პონტოს მეფე 180
პოლუქსი 239, 241
პომპეი ტროგი 238
პომპეუსი, პომპეი 16, 90, 91, 178—180, 239, 250, 253—255. 267
პოძპონიუს მელა 241, 255
პროკოპი კესარიელი 93, 275, 317, 318, 320
პტოლემე 269, 271, 274, 277

ჟორდანია, თ. 11, 27, 31, 32, 37—39, 48, 470, 471, 473
რადამისტი, იბერიის მეფის ფარსმანის შვილი 159, 160, 200
რატისშვილი 451, 452
რაჭაელ დედოფალი 75
რაჭველიშვილი 487
რეა 277
რევი, მირიან მეფის ძე 27
რიფსიმე 205
როკ, ქართველთა მეფე 219
როსტომი, მეფე 456
როქვა 487
როყვები 482, 486
რუსა, ურსა I, ურარტუს მეფე 4, 79—84
რუსა II, ურარტუს მეფე 4
რუსიშვილი 487

სააკაძე 451
საბა მანგლელი 474, 475
საბა-სულხან ორბელიანი 471, 479; 492, 494, 495
საბინინი 289, 292
საიდი, სომხეთის მმართვ. 374, 402
საიდ იბნ-ალ-ხაისამი იბნ-შუაბი 404
სალმან იბნ- რაბია 358
სალმანასარ, შალმანესერ III 2, 78
სალუქვაძე 485
სამარა, მამასახლისი 29
სამოელ, ქართლის კათალიკოზი 44
სამოელ დონაური, ქორეპისკოპოზი 405
სარდური, ურარტუს მეფე 2
სარდურ I, არამეს ძე 2
სარდურ III, არგიშტის ძე 3, 4
სარდური, იშპუინის ძე 4
სარგონი 79—90, 101, 343
სასანიდები 186, 315
საურმაგი, ქართლის მეფე 204, 219
საჰაკი ისმაილის ძე, ამირა 75, 296, 297, 406, 410, 436
სებეოსი 77, 358—363, 365
სერაპიონ ზარზმელი 392, 439, 440, 442, 443
სერგეევი, ვ. 178
სერგი ბარნუკისძე 368
სვანიშვილი 487
სვანიძე 487
სვიმეონ, ალვანეთის კ-ზი 409
სიდ-იფა 481

სიპინავები 100
სკილაკ კარიანდელი 271, 275
სოკრატე 367
სოლომონ, იუდეველთა მეფე 75
სოლაღაშვილი 452, 468
სპადაგა, სანიგების მეფე 309
სტალინი 435
სტეფანე წმ. 291
სტეფანე ბიზანტიელი 59—63
სტეფანოზ ერისმთავარი 396, 403
სტეფანოს ტარონელი 32
სტრაბონი 10, 11, 50, 58—63, 70—77, 88—92, 95, 117—119, 125, 127, 136—140, 144, 145, 147—154, 156, 157, 160, 161, 164, 166, 173, 174, 176, 177, 179, 184, 185, 187, 188, 190, 194, 196, 208, 223, 239, 240, 243—246, 250—258, 260, 262—266, 268, 269, 272, 274, 276, 277, 311, 415—419
სულაიმან იბნ-იაზიდი 404
სუმბატ დავითისძე 45, 75, 233, 391

ტაბარი 357, 363
ტაციტი 18, 74, 75, 158, 239, 242, 243, 245, 252
ტიბერიუსი, იმპ. 183
ტიგლატ-ფილესარ III 3
ტიგრან II 96, 177, 178, 188, 245, 246, 257
ტიმოფეევი 482
ტირიბაზი 58
ტრაიანე, იმპ. 202, 309, 310
ტურაევი, ბ. 2, 3
ტურტანი, ასურ. მბრძანებელი 78
ტუშრატა, მიტანის მეფე 68

უალკი, მანას მფლობელი 78
უზნაძე, დ. 357
უზუნ-ჰასანი 467
ულუსუნუ მანაველი 79—82
უნგნადი 6, 64
ურბნელი, ნ. 434
ურდოელაშვილი სუმბატ 466
ურდოელაშვილები 466
უსამი 75
უსლარი 58, 59, 262
უფლოსი 284, 285, 300
უშაკოვი, პ. ბ. 12

ფაეთონი (ამპელი) 244
ფაენელნი 436
ფალავანდიშვილი 452
ფარნავაზი, მეფე 28, 218, 282—284
ფარნავაზიანნი 176
ფარნაკი, ბოსფორის მეფე 154, 180
ფარსმან I, იბერიის მეფე 74, 158, 200, 242, 250
ფარსმან II 198, 199
ფარსმან ქველი (II?) 204, 205
ფასიდი 244
ფეროზი 287
ფლორი 244
ფორერი ემილ 7, 12, 69
ფოტი (ფოტიუსი) 313
ფრიგი 239
ფრიქსე 74, 240—243
ფსევდო-დოროთე 271

ქავთარაძე ახალციხელი 466
ქართველიშვილი, ქართველიშვილები 471, 487
ქართლოსი 22, 78, 284, 466, 471, 487
ქართუსი 238
ქაჩაბა (ქაჩიბა, ქაჯიფა) 481
ქაჩაბურასძე, ქაჩიბაია, ქაჩიბაძე, ქაჩიბაჲძე, ქაჩიბაძენი, ქაჯიფაისძე 468—472, 474, 476, 478, 479, 481
ქაჩიბაძე ბარათა 468, 469
„ გერმანოზ 468, 469
„ დავით 468, 469
„ ლაპა 468, 469
„ სურამელი 469
„ ქავთარ, ამირეჯიბი 469, 471—474
„ ქართველ 474
ქაჩიბაძე-ბარათაშვილი 471, 475
ქეცბაია 476
ქორთოძე 487
ქორთუა 487
ქოსოსძენი, ქოსოსძეები, ქოსაისძეები 478, 479
ქრამ-ხვარ-ბორზარდ, პიტიახში 220
ქსენოფონტე 57—63, 272, 310
ქსერქსე 52, 55
ქუჯი 283

ღაზარიანი 358, 363—365
ღაფირასძე, ღაფირასძეები 466
ღევონდი 273
ღელეყვა 485

ყანხვა 486
ყაუხჩიშვილი, ს. 100, 318, 320
ყაფლანიშვილი 451, 468
ყაფლანიშვილი-ორბელიშვილები 471
ყიფშიძე, იოს. 35, 64, 100
ყუთლუ-არსლანი 428

შაბური 212, 219
შავთელი 432
შახშა 500
შარდენი 277, 501

შაჰბაზი 500
შერმაზან 492
შერუთხვი 486
შესტაკოვი, ა. 1
შიო მღვიმელი 290—292, 294
შოთა რუსთაველი 138, 380, 433
შუშანი, ქართლის ერისმთავრის ჯუანშერის და 377
შუშანიკი, წმ. 221, 227—29, 418

ჩააბალურხვა 486
ჩარგაზია 487
ჩაჩ მურზაყან 481
ჩაჩბა 476
ჩაჩიბაია 476
ჩახრუხაძე 432
ჩერქეზიშვილი 487
ჩიჯავაძეები 478
ჩორჩანელი გიორგი, იხ. გიორგი ჩორ-ჩანელი
ჩუბინოვი, უ. 322
ჩუმათელიძეები 99

ცინცაძე იასე 485
ციციშვილი 451
ცქირი, დიაკონი 410

ძიაფშ-იფა 476

წათე, ლაზთა მეფე 217
წერეთელი, გ. 13, 247

ჭანუყვაძე 485
ჭანიშვილი 485
ჭემგუები 486

ხაზმი, ხუზაიმა იბნ-ხაზიმი, სომხეთის მპყრობელი 398—402, 404
ხალიდ იბნ-იაზიდი 297, 405, 406
ხანანაშვილი, ალ. 30
ხელაია, ა. 35
ხიმშია ამირახორი 466
ხოსროვანნი 382
ხუნდაძე, ს. 482

ჯავახიშვილი, ივ. 21—24, 26, 36, 40, 42—44, 48, 49, 109, 110, 116, 117, 124, 125, 129, 137, 139, 158, 173, 186, 200, 209, 232, 233, 235, 252, 253, 259, 263, 270, 285, 286, 288, 293, 297, 302, 308, 312, 364, 365, 375—377, 384, 398, 407, 434, 436, 458
ჯავახოსი 284
ჯანაშვილი, მ. 29, 30, 48, 467
ჯანაშია, ს. 47, 50, 57, 65, 71, 248, 252, 261, 288, 297, 298, 304, 305, 311, 342, 355, 383, 463
ჯარაჭ იბნ-აბდულაჰი 371, 372, 376
ჯიქია 487
ჯიქიძე 487
ჯოჯიკ, ვარსქენ პიტიახშის ძმა 227, 229, 230
ჯუანშერი, ისტორიკოსი 221, 222, 225, 230, 253, 286—282, 299
ჯუანშერი, ქართლის ერისმთავარი 377
ჯუ ნშერი, აფხაზთა ერისთავი 326
ჯუანშერი, ერისთავი 287

ჰაბიბ იბნ-მასლამა 358, 301—365, 371, 376, 382, 383, 388
ჰაზარავუხტი, სპარსელი სარდალი 231
ჰაიკი 77
ჰალიდ იბნ-ვალიდი 352, 353
ჰარუნ-ალ-რაშიდი, ხალიფა 378, 399 401, 402, 404
ჰასანიდები 348
ჰაშიმის საგვარეულო 351
ჰეკატე მილეთელი 9, 10, 239
ჰეროკლე, 239
ჰერაკლე კეისარი 354, 355, 369
ჰერთი, არაბთა სარდალი 373
ჰეროდოტე 2, 8—10, 51—62, 72, 75, 76, 88, 97, 125, 236, 239, 244—246
ჰიშამი, ხალიფა 371, 373, 374, 387
ჰიუბშმანი 263
ჰოლციერი 354
ჰრეფსაგა, აბასკების მეფე 309
ჰროზნი ბედრიხ 6, 8, 12, 67—69, 98, 99
ჰუდჰაიფა 358

ტოპონიმური სახელების საძიებელი

აბაგები, აბასგები 199, 202, 306, 308—310, 317, 318
აბაძეები 484
აგარიანები, აგარიანნი, აგარის ნათესავი 345, 382, 465
ათენელები 240
ალანები 306, 348, 353, 358, 368, 375, 376, 486
ალაროდი, ალაროდიები 2, 7—9, 52, 53, 56, 61, 63—65, 70, 83, 97, 236
ალბანელები, ალვანელები 76, 79, 89, 149—151, 178, 187—189, 212, 239, 241—243, 253, 257, 263, 264, 358, 366, 408, 409
ალდი, იხ. ხალდი
ამაღერ-კავკასიელი ტომები 415
ამორეველ ქ ნაციელები 343
ანაიტები 265
არაბები 70, 342—345, 348—350, 352, 355—372, 374—386, 389—404, 406—411, 421, 422
არაძეელები 343
ალიბ მ დიდლები 76
არიანები 70
არიან-ქართველნი, არან-ქართველნი 10, 11, 25, 26, 42, 44, 46, 47, 49, 96, 245
არიელები, არიები 68, 72, 239
არმენიაკები 376
ათენიები, ათენელები 54, 58, 70, 72, 76, 89, 90, 148, 243, 252, 253
ატლარ, ტომი 480
ასურელები, ასორელები 1, 3, 4, 13, 69, 70, 78, 84, 85, 246, 343
აფსილები, აფშილები 199, 202, 306, 308, 310, 317, 318, 419
აფხაზები 44, 298, 306, 322, 326, 376, 407, 419, 422—424, 436, 477, 480, 481
აფხაზ-ჩერქეზები 490
ახეები, ახეველები 184, 196, 240, 241, 243

ბაბილონელები 64
ბასკი, ბასკები 50, 65
ბაქტრიელები 212
ბედუინები 345, 348—350, 354, 355, 366, 387, 390
ბერძნები 33, 64, 72, 73, 75, 76, 96, 117, 125, 207, 213, 216, 232, 239, 283, 300, 307, 326, 358, 365, 408, 413, 414, 419

ბეხეერები 58
ბზაულები 484
ბიზანტიელები 300, 348, 358, 359, 361—363, 365, 367, 368, 384, 408, 424
ბუზეიები 58
ბუნ-თურქები 42
ბოსფორელები 180, 194, 315

გარდაბანელნი, იხ. ქახნი, გარდაბანელნი
გერები 101
გერძანელები 342
გიმიო, იხ. კიმერიელები

დვალნი 49, 191,
დუდანიელები 375
დურძუკები 204

ებრაელები 75, 343, 350, 352, 370
ეგერუხვაები, ეგუხუბაი 406, 487
ეკვიპტელები 244
ეთიოპელები 271
ერაყელები 350
ერწუელები, ერწუ-თიანელები 209

ვალახები, შავი 488
ვიზერები, ბეზერები 94
ვოხები 274

ზანი 11, 71
ზიგები 184, 196
ზუდრეიტები 308

თაბალი, თობელი, თუბალი, თაბალები 7, 61, 62, 64, 65, 70, 80, 97, 236, 237
თესალიელები 74, 242, 243
თათარხი, თათრები 455, 489
თიანელები, იხ. ერწუ-თიანელები
თურქები 181, 277, 370, 425, 455
თურქ-სელჩუკები 424
თურქულ-მონღოლური ტომები 343
თუშები 458

იბერი, იბერები, იბერიელები, იბერ-ქართები, ივერ, ივიოქ, ივერიელები 7, 11, 50, 51, 57, 58, 61, 62, 65, 70, 73—76, 90—92, 94, 97, 98, 137, 139, 140, 148, 149, 158, 159, 176, 179, 188, 194, 199, 212, 237, 242—246, 252—254, 262—264
იბერები, ევროპიელი, 50, 90

იებოსელნი 42
იეკუტაველები 345
იბერელნი, იბერნი 455, 456, 458
ინდოევროპიელები 60
ირონელები 54, 336
ირანელები 313, 316, 317, 347, 408, 409, 420
ისმაიტელები 345, 360, 361, 365, 393
იტალიელები 37, 241, 276, 277

კაბადუკიელები 53, 54
კავკასიელები, კავკასიელი ტომები, კავკასიელი ხალხები 22, 75, 149, 150, 415
კარდუხი 21
კასპები 236
კახელები, კახნი 291, 297, 405, 456, 458, 451, 500
კახი გარდაბანელები, კახნი გარდაბანელნი 297, 406
კემირგოელები, კემურგელნი 486
კერკეტები 265
კეჩილარი, ქეზილარი, ტომი 480
კიახელები 486
კილიკიელები 53, 54
კიმერიელები 4
კინდელები 349
კოლხები 9, 19, 51—53, 56, 57, 62, 64, 65, 72, 74, 76, 97, 125, 153, 180, 236, 242, 244, 275, 27., 318, 319
კბოელნი 206
ლაზები 11, 199, 202, 217, 234, 275, 308, 309, 311, 313—319, 415, 419
ლაკები 238
ლაკხები 375
ლეჩხუმელები 458
ლიგუები 52
ლიდიელები 54

მაინელები 346
მაკრონები 265, 308
მამხედები 484
მანავიები 79—82
მარიანდუნები 52
მასაგეტები 241
მატიენი, მატიენები 8—10, 52—57, 65, 236
მაქელები 350, 352
მეგრელები 11, 23, 415, 419
მიდები, მიდიელები 72, 239, 243
მესხი, მესხები, მოსხი, მოსხები, მეცხი, ბუსკი, მუსკები-მუშკები-2, 3, 7, 9, 10, 65, 153, 154, 243, 275
მთეულნი 49, 210
მთიელნი, აღმ. საქართველოს 430
მიდები, მიდიელები 4, 9, 51—53, 56, 57, 64, 72, 76, 81, 82, 86, 89, 148, 189, 236, 343
მოლეთელები 277
მისიმიანები 318
მიტანიელები 65, 415
მოხღოლები 181, 455, 459, 488
მოსინიკები 310
მოკევე-ძთიულნი 456, 457
მცსეთელნი 222

ნაბატელები 347
ნაირის ტომები 2, 3
ნესიტები 66

ოვსნი, ოსები 190, 204, 222, 282, 283 306, 368, 458, 462, 463

რომაელები 16—18, 75, 90, 128, 158-160, 177—183, 186, 192, 195—197, 200, 212, 213, 216, 217, 219, 225, 307, 310, 312—317, 319, 347, 348, 360, 362, 419, 420
რუსები 370, 483, თეთრი რ. 488

საბაელები 346, 347
სანარიელები, წანარები, კახელები 297, 403, 406
სანები 265, 308, 310
სანიგები 199, 202, 306, 308, 309, 317, 419
სარკინოზები 345, 367, 373, 382, 391, 393, 395, 396, 398, 403
სარმატები 74, 148, 181, 252, 265
საბერ, სობერ, სუბერ, საბერ, სიბირ, საბერები, სავერ, სოვერ, სუვერ, სავერ, სიბირ 61, 64, 97, 98, 236
სასპირი, სასპირები, სასპერი, სასპერები' სასეპარ, სასპეპრები, საპეპრი, საპეპრები, საბირი, საბერები, სავეპრი, სავეპრები 8, 9, 51—53, 55—62, 64, 65, 73, 74, 88, 90, 91, 95—97, 237, 244—246
საძუები (ჯიქები) 480
ხედოხეზები 18
სელჩუკები 424
სემიტები 66, 343
სერბები, თეთრი ს. 488
სვანი, სვანები 11, 21, 71, 116—119, 122, 156, 311, 314, 318, 415—417, 419, 461
სინოპელები 240
სირიელები 52—54, 70, 350
სირიელი არაბები 354
სკვითები 4, 148, 181
სლავები 374

სომხები 77, 95, 99, 101, 148, 159, 160, 179, 189, 221, 238, 243, 245, 283, 304, 315, 358, 359, 365—367, 373, 374, 398—401, 408, 409
სოფეხელები 71
სოჯნი 206
სპ-რსელები, სპარსები 9, 51—54, 57, 64, 74, 89, 158—160, 165, 186, 192, 211—214, 217, 219, 220, 225, 226, 231—233, 236, 316, 365, 391, 455
სუმერ-შუმერი, სუმერები, სუმერიელები 7, 13, 65, 343, 415
სუბარი, სუბარები, 6, 7, 9, 64, 65, 97, 236
სუბიელები 83

ტაბალები 65
ტაბაანი, იხ. ტიბერანი
ტავრო-სკვითები 212
ტაოხები 57
ტაპანთები, აბაზები 481
ტიბარი, ტიბაოანები, ტიბარენები, ტიბერანი 7, 9, 11, 65, 70, 91, 179, 264, 265
ტრაპეზუნტიელნი 310

ურუმნი, თურქები 455

ფასიანები 57, 58
ფთიოთ-ახვიელები 241
ფინიკიელები 343
ფრანგები 370
ფრიგიელები 53, 54
ფშავები 116
ფხავ-ბევსურები 458
ფხოელნი 49, 209

ქალდები, ქალდეველები, 343, 415
ქართები 24, 50, 51, 237
ქართველები, ქართველი ტომები 1, 11—13, 16, 21—27, 33, 43—49, 51, 58, 70, 71, 74, 76, 87, 96, 97, 102, 115—117, 119, 128, 129, 131, 137, 150, 154, 162, 163, 165, 167, 172, 174, 193, 194, 199, 204, 213, 214, 221, 231, 236, 238, 242, 251, 252, 285, 298, 299, 359, 361, 363, 364, 366, 367, 371, 381, 384, 386, 394, 398, 399, 407, 415, 425, 453, 455, 465.
ქართულ-მეგრული შტოს ტომები 21
ქართველ-კავკასიელი ტომები 22
ქაჩები 481
ქვემო-დვალნი 49
ქისტ-ღლიღვები 204
ქურთები 22

ღლიღვები 204, 458

ყვარელნი 209
ყივჩაყები 181, 426
ყიზილბაშნი 455
ყირიმელები 184, 486

შავ-დვალნი 49
შაფსუღები 483, 484, 486
შუმერი, იხ. სუმერ

ჩანდლარ, ტომი 480
ჩერქეზები 306, 458, 483, 488, 490
ჩრდ. კავკასიელი ტომები 17

ცხრაზმისხეველები 167—171, 191

ძურძუკნი 463

წანარები 378, 403—405, 407
წილკანელები 49, 209

ჭანი, ჭანები 11, 71, 273, 274, 310, 415
ჭართალელები 49, 209
ჭემგუები 484, 486

ხაზარები 181, 326, 356, 367, 369—371, 374—378, 390, 392, 402, 403
ხათი, იხ. ხეთი
ხალდი, ხალდები, ალდი 2—6, 8, 13, 70, 91, 265, 273
ხარი, ხარული ხალხები 68, 97
ხარიელები, იხ. ხურიტები
ხევსურები 116, 458
ხეთი, ხეთები, ხეთელები 2, 3, 6, 66, 68, 415
ხორიტები 69
ხოტენელები 90—92
ხურის ხალხი, ხურები, ხურიტები—6, 12, 67—69

ჯიქები, ჯიქელები 480, 486, 488
ჰარი, ჰარის ხალხი, ჰარები 8, 12, 236
ჰეპტაკომეტები 265
ჰერი, ჰერები 101
ჰესპერ, ჰესპარ, ჰესპერიტები 58, 60, 61, 63
ჰიბერ, ჰიბერები 61, 255
ჰიძიაოელები 347, 350
ჰირკანები 255
ჰიქსოსები 69
ჰენიოხები 184, 196, 240, 241, 243, 308
ჰუნები, ჰონები 41—43, 181, 317, 348, 369, 374
ჰუნები-საბირები 369
ჰრომები 204
ჰურიები 42

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

აბაზგია 368
აბაკა 320
აბაშეთი (=ეთიოპია) 347, 350
აბოცი 226, 283, 287, 288
აბსაროი, იხ. აფსარი
აბსაროს ციხე 256
აგარათა 100
აგარაკი 229
აგარანი 100
აბდერა 72
ადიაბენა 58, 71, 245, 246
ადიღეთი 486
ადიღის ავტ. ოლქი. 483, 484
ადლერი 480
ადრაბადაგანი 357, 365, 367, 401
აზერბაიჯანი 2, 15, 70, 315, 388—391, 419
აზია 15—17, 56, 59, 194, 196, 241, 316
აზოვის ზღვა 56, 184
ათენი, ათენა 72, 183, 238, 239, 269
აია, ეა 63, 126, 413, 414
აიადის ქვეყანა 86, 87
აკამფსეონი, აკამფსისი 271—274
აკბატანა 56
აკვილონი 59
აკილისეა, ეკელესენა, ეკლეციი 58, 71—75, 87, 91—93, 240, 241, 243, 245, 267
აკკადი 65
ალაბორიას თემი 81
ალაგერდი 289, 291
ალაზანი 10, 15, 101, 127, 149, 252, 257, 416
ალახნის ხეობა 422
ალანეთი 375
ალანთა გზა 375
ალბანია, ალვახია, ალბანეთი, ალვანეთი 15, 71, 75—77, 90, 101, 126, 127, 149—153, 157, 189, 194, 212, 213, 220, 226, 240, 249, 253—255, 257, 264, 265, 315, 358—360, 362, 365, 367, 369, 377, 401, 402, 408, 409, 419
ალბანიის მთა 239, 252
ალგეთი 286
ალგეთის ხეობა 477, 478
ალის-წყალი 292
ამასია, ქ. 266—268
ამასტრეა 179, 240, 241
ამიერ-კავკასია 1, 3, 8—10, 15—17, 23—26, 43, 58, 71, 102, 110, 117, 126, 128, 129, 150, 156, 179, 183, 185, 186, 192, 195, 212, 213, 220, 249, 315, 357, 358, 365, 368—370, 372, 375, 377, 385, 388, 389, 402, 404, 415, 419, 427
ამისი, ქ. 266
ამუ-დარია, მდ. 127
ამურრუ 65
ანკიროეის ციხე 372
ანაზარბა 55
ანდია 80, 82
ანიაშტანია, ქ. 83
ანტიტავრი 264, 268
ახჩა 410
აპათარა 81
არაბეთი 344, 347, 348, 350, 351, 353, 380, 386
არაბეთის არაბთა ნახ.-კუნძ. 56, 64, 343, 345, 347
არაგვი 211, 249, 251, 283—285, 295, 299, 300, 302—304, 421, 451
არაგვის გზა 252
არაგვის ხეობა 149
არაგონი (=არაგვი) 255
არათთა, ძდ. 81
არარატი, აირარატი 1, 7, 8, 22, 56, 61, 63, 70, 358, 359
არარატი, მთა 2, 22, 82, 86
არანი, იხ. არიანი
არან-ქართლი, იხ. არიან-ქართლი
არაქსი, იხ. აგრ. არეხი 9, 10, 23, 50, 51, 55, 56, 58, 88, 95, 98, 176, 245, 253—255, 257, 271, 272, 274, 416
არაქსის ხეობა 87, 90, 97
არბელა 246
არგვეთი, არგუეთი 283, 286, 287, 477
არგვეთის მთები 303
არედის თემი 481
არეხი, იხ. აგრ. არაქსი, 249, 250
არზაბიას მთა 85
არზავა-ქვეყანა 66
არზრუმი, ერზერუმი 56, 93, 362, 363, 388, 400
არი, იხ. ჰარი
არია 68
არიან, არან, არიანი 11, 36, 38—40, 71
არიანა ვაეჯო 70
არიან-ქართლი 10, 11, 25, 26, 36, 41, 44—49, 70, 75, 76, 78, 96, 237
არმაზი 13, 33, 36, 64, 78, 96, 97, 127, 180, 218, 219, 247, 249, 284—286, 288, 295

არმანდი, ქ. 79, 80
არმარილის ოლქი 85, 86
არმენია 2, 10, 11, 15, 50, 53—55, 58, 71, 73, 75, 77, 89, 90, 98, 126, 154, 176, 179, 239—243, 245, 246, 249, 252—257, 264—266, 315, 316, 366, 378, 390, 399, 401, 403
არმენია, ქ. 71
ა-მენიაკების თემი 376
არმენიის მთა 53
ოროიდი (ოომაიდი) 80
არნო 94
არსიანთა 283
არსიანის მთა 262, 448
ორტანი, ორტაანი, ორტაჰანი 12, 71, 229, 256, 262, 283, 285, 298
ორტანი, ქ. 94, 284
ორტ-ნუჯი 94, 262, 423
ორუ-ბინაკი 361
ორქეოლოლისი, იხ. აგრ. ნოქალაქევი 275, 320, 321, 368
ორქენი 363
ორჯეი 474
ასურეთი 2—4, 78, 79, 81, 85, 86, 343, 347, 361
ასტოიახანი 370
ატენი 297, 300
ა-ენის ციხა 298
ატ-ოპ ტაკნი, 2. იხ. აგრ. ატერბაიჯანი
აუკანი 82
აფაარი, აბაარი 90, 92, 256, 271, 272, 336
აფშილეთი 372
აფხაზეთი 94, 127, 181, 306—308, 326, 334—336, 371, 372, 376, 395, 403, 417, 420, 422, 424, 479, 483, 486, 488, 495
აფხაზეთის გზა 376
აღბულახის (ოეთრი წყაროს) რაიონი 467
აღმოს. პონტოს მთაგრეხილი 256, 260, 266
აღმოსავლეთ რომის იმპერია 314, 369
აღმოს. საქართველო 10, 15, 24, 49, 51, 127, 139, 177, 186, 193, 194, 202, 215, 296, 342, 365, 376, 378, 391, 403, 413, 416, 419—423, 430, 436, 448, 476—478
ა-ადელი 268
ამტიმეტი 363
ამაბეთი 478
ამეევტისხევი 303
ამარა 262, 283, 448
ამარა-ახალციხის ქედი 262
ამარა-გურიის მთები 275
ამარის ქედი 262
ახალქალაქი 286, 431
ახალციხე 262, 286
ახეა 240, 241
ახიზა 229
ახლო აღმოსავლეთი 66
აჰშურა 80

ბაბილონი, 4, 23, 89, 246, 343, 346, 347
ბაბ-ულ-აბვაბი, ბაბი (=დარუბანდი) 375, 402
ბაგრავანდი 363
ბახალეთი 365
ბაიბურდი 263, 266
ბაიბურდის თემი 93, 98
ბაილაკანი 401
ბალიბის ხეობა 67
ბალხარის მთები 269
ბამბაკი 257
ბანა 424
ბანა-ფანასკერტის მდინარე 262
ბაჟი (=ბაში) 276
ბარდავი (პარტავი) 87, 388, 401, 406, 408, 409
ბარევანი, სოფ. 173
ბარნუკია (ვაონუკია) 368
ბარუ 83, 87, 88
ბარუ-სანგიბუთლს ციხე 88
ბასგიდაოიზა, სიმაგრე 91
ბასიანი 256, 262, 274
ბასიანის თემი (ოლეთმი) 462, 463
ბაკტრია 70, 127
ბაღდადი 220, 395, 402, 403
ბაღდათი 320
ბაღირ-ხანის მთა 87
ბამკიჩეთის (დმანისის) რაიონი 467
ბაბტოიონი 460
ბედნიერი არაბეთი ანუ იამანეთი 345
ბედნისი, მდ. 474
ბეთანია, ბეთენია 468, 475
ბერასკვარი, მთა 440
ბერდუჯი, 22, 23, 283
ბზიფი 308, 319
ბზიფის ხეობა 200
ბიაინა 2, 78, 86, 88, 97
ბიზანტია 32, 217, 232, 233, 349, 354—356, 358, 367, 368, 370, 386, 390, 409, 410, 420—424
ბითინია 179
ბოლის-სუ 67
ბოთ-კაბისი 82
ბირუათთი, მთა 80
ბიკვინტა (=პიტიუნტი) 414
ბიჯნისი 363
ბოასი 273
ბობოყვათი 485
ბოიბეიდის ტბა 71
ბოლხისი 229, 299, 468

ბოლნისის რაიონი 467
ბოლნისის ხევი 298, 303, 471
ბორჩიანი 94
ბორჩალო 94
ბორცვი, მდ. 474
ბორჯომის ხეობა 284, 305
ბოსფორაჯანი (ვასპურაკანი) 363
ბოსფორი 180, 184, 185, 194 312
ბოღაზქოი 66—69
ბოლის ხევი 274
ბრეთი 291, 292
ბუია, მდ. 80
ბულემანი 266
ბულღარეთი 488
ბურგუნდია 143
ბურნაჩანდო 95

გაგრა 184, 480
გავაზი 405
გავაზნი 100
გალახიმა-დერე, მდ. 94
გალაუს მთა 83
გამგელმი 3
განკარკი 304
გარდაბანი 283, 408, 468
გარე კახეთი 300
გარესჯა 474
გარესჯის რაიონი 291
გარესჯის უდაბნო 289
გაღმა-მკარი 458
გაჩიანთა, გაჩიანი 283, 468
გეგუთი 274
გეორგიკი 489
გერმანია 106, 135, 142
გერმილ-ჩაი 266
გერმილი 267
გიზილბუნდი 80, 81
გირესუნი (=კერასუნტი) 260, 266
გიუმენექია 268
გჩირთ-კვეთილი 474
გაბლაკი 95
გოგარენი, გუგარკი, გუგარეთი (=გუგარეთი) 90, 92, 93, 98, 176, 257, 295
გოდერძის ხევი 445
გოლოშა (ღოლოშა?) 95
გომბორი 293
გომბორის ულელტეხილი 289
გომიჯვარი 288
გორი 294, 406
გორიანთა 94
გოროთისხევი 298, 303
გოგჩის ტბა (=სევანი) 1, 3
გრუვის ციხე 191
გუგარეთი 295, 296, 364
გუნუშხანა 93, 94, 98
გუნდა, მდ. 55
დალაია 83, 89
დამასკო 355, 360
დარანალია 87
დარიალ-ბალთის რაიონი 251
დარიალი 149, 252, 371, 419, 464
დარიალის გასასვლელი 369
დარიალის გზა 17, 251, 403
დარიალის კარები 251, 372
დარიალის ხეობა 181, 104, 416
დარუბანდი 360, 375, 387, 402
დარუბანდის გზა 17
დარუბანდის კარი 252, 372
დარუბანდის ყელი 77, 181, 369
დასავლეთ ევროპა 67, 430, 436
დასავლეთ საქართველო 9, 15, 16, 51, 114, 126, 153, 162, 175, 181, 184, 185, 200, 215—217, 234, 275, 283, 306—308, 311, 312, 315, 316, 319, 368, 375, 376, 413, 415, 417, 319—422, 476, 485
დასტერია 91, 92, 267
დებილი, ქ. (=დვინი) 362
დევაბონის მთა 261, 262
დეკიციხე 298
დელოსი, კუნძ. 183
დერქსენე, ქსერქსენე 260
დერჯანი 87
დვალეთი 49, 191
დვანისწყალი 292
დვანი 303
დვინი 357—359, 361—363, 373, 375
დიაგდიაგი 68
დიგორის თემი (ოსეთში) 462, 463
დიდი არმენია 92
დიდი სომხეთი 55, 91, 186
დიდოეთი 204
დიოსკურია, დიოსკურიადა 125, 153, 216, 241, 414, 417
დიმნა 283
დიოსპოლი 267
დმანისი 423, 431, 467
დონი, მდ. 183, 184, 194
დურდუკა, ქ. 79
დუშეთი 250

ეა, ქ. იხ. აია
ეგერუხვაი, აული 486
ეგვიპტე 68, 69, 146, 345—347, 354, 355
ეგრისი 19, 204, 234, 253, 272—274, 282, 283, 286, 287, 306—308, 313, 315, 317—320, 326, 368, 372, 376, 378, 419—421, 436
ეგრისისწყალი 41
ედემი, დაბა 48, 209
ევპატორია 267
ევროპა 17, 142, 149, 194, 344

ევფრატი 54, 56, 84, 87, 90—93, 97, 246, 264, 267—269, 348
ევქსინი, ევქსინის პონტო (=შავი ზღვა) 56, 63, 127, 265
ეთიოპია 272, 350
ეკლეეცი, იხ. აკილისენა
ელამი 65
ენაგეთი 474
ენგური 413, 419
ენდერესი 267, 268
ენდერეს-ყარა-ჰისარი 93
ერაყი 347, 348
ერზერუმი იხ. არზრუმი
ერზინჯანი 56, 93
ერმადა 94
ერუშეთი 12, 229
ერწუ, ერწო 48, 49, 209, 304
ერწუ-თიანეთი 49

ვალაგირის თემი (ოსეთში) 462
ვანი, ქალაქი 2
ვანი 2, 13, 320
ვანის ტაბა 1, 2, 8, 67, 70, 86
ვარდციხე (=როდოპოლისი) 320
ვარძია 13, 169
ვასპურაკანი 363, 400
ველთკეთილი, ნასოფლ. 470
ველისციხე 377
ვერე, მდ. 474
ვიზერა, დაბა 94
ვოლგა 370
ვოჰ (=ბოასი) 273

ზაბიტახჩა 295
ზაზანა 95
ზანავი 43, 392, 448
ზანგი 86
ზარანდას ოლქი 82
ზარზმა, სოფ. 448
ზარზის მონასტ. 439
ზედაზენი 289
ზევგმატა 246
ზელა, ქ. 267
ზემო იმერეთი (=არგვეთი) 94, 477
ზემო ქართლი 45, 298, 300, 301, 305, 391
ზემო ქვეყანა 299, 300, 302—304
ზეკა სოფელი 285—304
ზესტაფონი 482
ზიარეთი 94
ზიბია, ქ. 79, 80
ზილე, ქ. 268
ზიმურის მთა 82
ზირდიაკა, ციხე 81, 82
ზირთა, ქ. 78
ზიქირთუ 79, 80, 82, 87
ზურზუკა, ქ. 80
„ზღვის კარი" (=დარუბანდი) 252
„ზღვის ყურის" ქვეყანა 23

თაგაურის თემი (ოსეთში) 462
თარის კანტონი 303
თარმაკისა, ქ. 83, 84, 89
თარუი, ქ. 83, 89
თასის ოლქი 257, 258
თბილისი, ტფილისი 6, 211, 220, 236, 283—285, 287, 288, 293—296, 298—304, 342, 358, 363—365, 370, 371, 377, 382, 391—394, 396, 404—407, 410, 411, 422, 423, 425, 431, 436, 467, 468
თევდორწმიდანი 471, 472
თეთრწყალი, მდ. 483
თელადგორი 288
თელევი 95
თემისკირა 265, 267
თემისკირას ველი 266
თეოდოსიპოლი (=ერზერუმი) 93
თერგი 120
თერის ზღვა 22
თერმოდოტი, მდ. 263, 265, 266
თესალია 238, 240, 245
თიანეთი 48, 49, 304, 377, 458
თორთომი 262
თორთომის მთა 261, 262
თორთომის ხეობა 262
თრაკია 128
თრელნი 304
თრიალეთი 226, 258, 286—288, 294, 295, 300, 477
თრიალეთის ქედი 226
თრიარის ოლქი 257, 258
თურთანი 80
თუმანი 375
თუშეთი 209
თეხარისი 274, 284
თუხარისის ციხე 273

იალდო (=იყალთო) 293
იალოიჯუთაფა 101
იამანი 345—347, 386
იამბოლი-დერეს ხეობა 95
იასრიბი (=მადინს) 346, 351, 352
იასპის (ეშმის) მთა 82
იბერია, ივერია 10, 15, 16, 19, 20, 50, 57, 58, 64, 71, 77, 95, 97, 98, 126, 127, 136—145, 147—154, 157—162, 165, 166, 174, 176—181, 185—191, 193, 194, 196, 198, 199, 200, 202, 204—205, 213, 214, 217, 240, 242—244, 246, 249—258, 263—265, 268, 273, 275, 304, 305, 316, 366, 368, 415—419

იბერიის კარები 251
იბერიის მთები 255
იბერიის ნ. კ. (=პირენეს ნ. კ.) 50
იდარა, სიმაგრე 71
იერუსალიმი 355
იეშილ-ირმაკი, მდ. 266, 267
იეჯერუტად (ეგერუბვაი) 486
ივრის ხეობა 422
იზიბია 80
იზირთუ, ქ. 79—81
იმერა 94
იმერეთ-ამერეთის გზა 478
იმერეთი 58, 94, 275, 307, 412, 452, 455—457, 459, 489, 500
იმერ-ხევი 94
ინაი, მდ. 86
ინგლისი 103, 142
ინდოეთი 70, 127, 145, 344, 346, 416
ინდოეთის ოკეანე 345
ინდო-ჩინეთი 344
იორი 250, 257
ირანი 15, 17, 71, 315—317, 347, 349, 354, 355, 357, 369, 419—421, 427
ირანის ყურე 345, 347
ირანის მთა 85
ირისი, მდ. 265—267
ირიჯლუს მთა 261, 262
ისპირი, იხ. სპერი
ისპირის მთა 262
ისროლის ხევი 191
იტალია 15, 16, 177, 183, 239
იტილი, ქ. (=სარიდ-შარი) 370
იულდუს-ადი 260, 268
იულთა 291
იულთის ქუაბი 289
იყალთო 291
იშთარ-აურა, მდ. 82
იშხანი 95

კაბალა 58
კაბეირა 207, 268
კავკასია 21, 24, 25, 42, 45, 51, 58, 73, 74, 77, 129, 186, 204, 210, 237, 238, 241, 255, 264, 265, 303, 311, 367, 370, 372, 373, 373, 390, 413, 415
კავკასიოლის ქედი, კავკასიონი 10, 15, 17, 22, 23, 57, 126, 149, 181—183, 240, 249, 251—254, 263, 284, 299, 360, 362, 363
კავკასიის გზა 252
კავკასიის ზღვა (=პონტო) 272
კავკასიის კარები 251
კავკასიის მთიანეთი 51
კავკასიის ყელი 149, 150
კაკამარი (=ქოროხი) 273, 274
კაკმი, ქვეყანა 81
კალამია, ძდ. 86
კალახენა 58, 71, 245, 246
კალიკალა (=ერზერუმი) 363, 388
კამბეჩახი 75, 257
კ მბისენე 253, 257
კამბისი, მდ. 255
კაბადუკია, კაპადოკია 53, 54, 264, 269, 308
კაპადოკიური პონტო 269
კაპახ-დალი 268
კაკოჰი (=კავკასიონი) 360
კარალის თემი 81
კარგამიში 67
კარდუ, ქარდუ, ქართუ 1, 2, 21, 22
კარიხითი 260
კარინის ოლქი (=ერზერუმი) 87, 400
კარნუ-ქალ-ქი (=ეოზეროუსი) 362
კარსანი 288
კ ტაკათაი 81
კარჩბალის მთა 268
კასაჩანდო 95
კასპი 127, 285, 292, 302
კასპის გზა 252
კასპის ზღვა 9, 15, 22, 51, 71, 127, 128, 240, 252, 264, 416
კასპის კარები 77, 89, 257, 317
კაცხი 477
კახეთი 75, 94, 175, 206, 210, 229, 230, 282, 283, 287, 289, 291, 293, 296, 297, 375, 378, 391, 403—405, 422, 424, 425, 455—457
კელკიტი (=გეომილი) 267, 268
კელკიტ-ჩაი (=გეომილი ჩაი) 264, 266
კემახის თემი 93
კერასუნტი (=გერასუნი) ქ. 19, 264, 266
კვიპაროზის მთა 83
კვიპროსი, კუნძ. 54, 366
კილიკია 53, 54
კირი, მდ. 253—257
კირნი მდ. 253. 255
კიროსი, ძდ. 256, 263
კისია 54, 55
კიტრა 94
კიშპალის მთა 84
კლარჯეთი 23, 93, 229, 273, 283, 287, 288, 298, 365, 410, 423, 424, 439, 441
კლარჯეთის ხევი 391
კლდეკარი 300, 426, 477
კლისურა 372
კობანი 413
კობლათი 95
კოდორი 419
კოდორის ხეობა 94, 181, 318, 368
კოლა 255, 256, 262, 283, 298
კოლას მთები 255

ოლბოფორი 303
ოლხეთი, ოლხიდა 9, 15, 16, 19, 20, 50, 51, 56, 58, 63, 65, 71, 75, 76, 90—92, 126, 127, 149, 153, 154, 156, 157, 176, 177, 179, 185, 196, 200, 201, 238, 240—243, 253, 254, 257, 263, 265, 269, 272, 275, 307, 311, 312, 320, 413—416, 419
ოლხური მთები 264
ომმაგენე 3, 264
ომმისენე 89
კონსტანტინოპოლი 216, 315, 319, 336, 356
ორაქსის მთები 255, 256
ორტაოძენე 274
ორტმანი, ოდმანი 287, 288
ოასნოდარი 484
ოუმანია, სიმაგრე 251
ოუბეი 206, 229, 289, 291, 391

ლავრა 288
ლაზიკა 19, 216—218, 234, 282, 307, 313, 320, 368, 419—421
ლაზისტანი 284
ლარგვისი 168—170, 172, 191
ლარისა 71
ლე-დგიბე 100
ლევკოთეას ტაძარი 153, 243
ლეკეთი 464
ლელეაოის მთა 250
ლელვი, მდ. 474
ლე-სიბინე 100
ლეჩხუმი 100, 318, 456—458
ლეჩხუმ-სვანეთი 100
ლიანვი 294, 303
ლიდია 54
ლიკი, მდ. 266, 267
ლიხთამეოეთი 436, 464, 477
ლიხთიმერეთი 477—479
ლიხის ქედი 23, 126, 250, 268, 283, 284, 299, 320, 489
ლოლე 94, 465, 468, 470
ლუქსემბურგის (ბოლეიანის) რაიონი 467, 468
ლეკე (=ბოლორი) 272

მაგნოპოლი 267, 268
მადინა (იასრიბი) 346, 351
მაკვანეთი, სოფ. 483
ძალატია 93
ბ.ბება 292
მანა 1, 2, 4, 11, 12, 78—83, 86—88, 90, 95—97, 101
მანალისი, ძანანალისი (მანალიქ) 87
მანგლისი 229, 299, 364, 474
ძანგლისსეეი 287, 288, 296, 300, 303
მაოტეილი 220
მარტყოფი 291
მასეი ქვეყანა 22
მასისი, მთა 22, 246, 264
მატიენა, მატიენი 53, 54, 55, 70, 76
მატიენის მთები 55
მატიილუ 3
მაქა 346, 347, 350—353
მაღრან-დვალეთი 49
მაშავერის ხეობა 468
მაპაოა, მაჯარა 94
მახარაძე, ქალაქი 483
მახლობელი აღმოსავლეთი 21, 54, 72
მდინარე მციოისა ხაბარეთისა 23
მედია 71, 76, 77, 239—241, 243, 245
მელიტენა, 1 2, 93
მეოტიდის ტბა (=აზოვის ტბა) 56
მესოპოტამია (=შუადინარეთი) 5, 8, 12, 55, 66—68, 236, 347
მესახორი 95
მესხი (ქვეყნის სახელწ.) 261
მესხეთი 485
მეტეხი 398
მეწამული ხევა 9, 345—347
მთიულეთი 204, 287
მიგდონი 68
მიდია 22, 53, 56, 59, 70, 89, 188, 36
მილეთი 53
მირზაანი 71, 94
მისი 81
მისიანდუ 80
მიტანი 6, 7, 9, 12, 52, 65—68, 70, 78 79, 97, 236
მოვაკეხი 367
მოსკოვი 275
ბოსხი (ქვეყნის სახელწ.) 261
მოსხიკე 153
მოსხური მთები 252, 254, 256, 260—266, 268, 269, 274, 275, 305
მოქი 483
მოქი 363
ბოწამეთა 412
მოხირისი, იხ. მუხური
მრიტი 273
მრუკი 273
მტკვარი 3, 10, 12, 13, 23, 90, 94, 127, 149, 153, 226, 239, 250, 253—256, 262, 265, 283, 284, 294, 298—301, 303, 304, 391, 397, 398, 416
მტკვრის ხეობა 87, 96, 149
მოსასი 3, 4
მუსად-ვეერდი 288
მუღალი 358
მუხრანი 219, 282, 300, 451
მუხურა, მუხური, ბ.ასოოა, მოხირისი, მუხირეზიანი 94, 275, 320, 321
მღვიმე (=ბიოიღვიმე) 291, 292, 479

მცირე აზია 56, 64, 68—70, 100, 128, 141, 142, 176, 178, 347, 356
მცირე არმენია 91—93, 179, 264, 265, 267, 268
მცირე კავკასიონი 262
მცხეთა 10, 25, 28, 33, 35, 37, 38, 41, 42, 44, 48, 64, 78, 96, 97, 127, 128, 165, 175, 176, 202, 204, 206—209, 211, 218, 219, 245, 249, 250, 282, 285, 288, 289, 291—295, 299, 301, 302, 304, 305, 411, 468—470

ნაირი 1—3, 5, 67, 78, 79, 86, 96, 191
ნასტაგისი 41, 43
ნატეხილები, მთა 94
ნაფსა 336
ნაშავანი 363
ნახიხე—დალი 95
ნახიზირ (=ნახი-ძირი) 95
ნახჩევანი 362, 363
ნაჰაოანი 67
ნეკრესი 291, 293,296
ნეორისი 257
ნესია 188
ნეჯდი 345, 348
ნიგალი 273
ნიკალის ხევი 391
ნიზიბინი 67, 186
ნიკოპოლი 267, 268
ნილოსი 146
ნინოშვინდა 229
ნიეზი 229
ნიჩბისი 288
ნოსტე 283
ნოქალაქევი (=არქეოპოლისი) 320, 321, 368

ჯოჰ (=ბოასი) 273
ჯოჰი (ვოჰი) 274

ოგენე-დერე, მდ. 93
ოგენე-სუფლა 93
ოლთისი 94, 95
ოპიზა 173
ორბეთი 467, 474, 481
ორეთის მთა 22
ორკისთენე 89
ორწყერი 95
ორცორი 94
ორჰოენე 69
ორჰოი, ქ. 69
ოსეთი, ოვსეთი 190, 191, 230, 262, 263
ოსეთის (ოვსეთის) გარდასავალი 372
ოსმალეთი 480, 483, 488
ოტენე-ულა, დაბა 93
ოქსი, მდ. 127
ოშკი 424
ოძრხე 127, 283, 284, 288
ოხოდის მთა 353

პალაკაციო (ჩილდირის ტბა) 3
პალესტინა 69, 346, 349, 355
პალიასტომის ტბა 277
პალმირის სამეფო 347
პანხიში 82
პანტიკაპეა, ქ. 194
პაოახოანრა (=პარიადრი) 263, 264
პარდა, ქ. 80, 82, 87
პართია 15, 177, 186
პარიადრი, პარიადრის მთიანეთი 91—95, 98, 176, 257, 260, 261, 263—269
პარსუაში 81
პარტავი, იხ. ბარდავი
პარუარი 298, 303
პარხალი, ბოლხარი, პარხალის ქედი 93, 94, 260, 263, 269, 273
პაფლაგონია 53, 179
პეოსიდა-ბაბილონი 89
პეტრა ქ. (არაბეთში) 346, 347
პირენეს ანუ იბერიის ნ. ქ. 50
პიტიუნტი, ბიქვინტა 19, 216, 414
პოლემონია, ქ. 266
პონტო 15, 16, 50, 59, 91, 127, 176—180, 186, 212, 240, 241, 244, 263, 265, 267, 276, 419
პონტოს ზღვა 22, 23, 273, 335
პონტოს კოლანა, ქ. 267, 268
პონტოს მთაგრეხილი 263
პუნის, ქ 62

ჟალეთი 48, 209

რანი 373
რაპპა, მდ. 81
რაფა 456—458
რახსი, იხ. არაქსი
რგანი 412
რეეა, რეკი 294, 295, 997, 406
ოეხულა, მდ. 289, 291, 302
ოეხულას ხეობა 292
რიზე 263
რიზეს მთები 260
რიონი, როანი 9, 51, 126, 127, 149, 153, 156, 274, 275—278, 283, 320, 413, 419
რიონის ხეობა 200
რის, მდ. 275
როდოპოლისი (ვარდციხე) 320
რომანია (ბიზანტია) 368
რომი 15—18, 131, 177—179, 181—183, 185, 186, 190, 198—202, 211—214

216, 217, 219, 246, 308—310, 312, 314, 315, 390, 419, 420
რუმი (=ბიზანტია) 390
რუსეთი 103, 120, 135, 423
რუსთავი 229, 423, 425, 431
რუსი 486

საბაბშიძეო 487
საბა, სახელმწიფო 346
საბარათიანო, საბარათაშვილო 468—471, 477, 481, 487
საბერძნეთი 131, 145, 177, 209, 221, 232, 372, 413
სათაკუნ, ტბა 446
საიბერო 58
საკასენე 90
სამარყანდი 464
სამეგრელო 18, 126, 275, 307, 308
სამერა 95
სამთავისი 289, 291, 292
სამრო 95
სამსუნი, სამსონი 266, 278
სამტრედია 320
სამურზაყანო 2
სამური 375
სამშვილდე 283, 423, 425, 431, 469, 470, 474, 481
სამცხე 175, 250, 275, 283, 286, 298, 299, 303, 304, 365, 378, 392, 423, 440, 455
სამცხე-საათაბაგო 261
სამცხე-ჯავახეთი 391, 448
სამხედრო-ოსეთის გზა 181
სანარია (=წანარეთი) 404
სანგიბუტუ 83, 85, 88
საორბელო 481
საპიტიახშო, სოფ. 295
სარდა 55
სარირი 375
სარიდ-შაოი (=იტილი) ქ. 370
სარკინე, სარკინეთი 13, 33, 41, 127, 291, 292, 294
სარმატია 15, 59, 183, 194, 196, 197
სასპერ-სისპირიტიდა 244
სასპირეთი 63
სასხო-ი 288
სასუბარო 9, 58, 59
სატალა 263, 268
სატრედო 470
საფრანგეთი 62, 103, 142
საქართველო 1, 2, 9—13, 15, 18, 22, 25, 28—30, 36, 37, 39, 41, 62, 93, 94, 102, 103, 105—107, 109, 110, 128, 129, 131, 135, 136, 152, 167, 175, 177, 181, 184, 185, 193—195, 197, 202, 210, 223, 235, 243, 260, 261, 271, 272, 282, 286, 288—291, 293, 294, 296, 297, 300, 302, 306, 307, 312, 357, 358, 365, 369, 371, 372, 376—378, 382, 389, 403—405, 407, 411, 412, 416, 419—427, 434—436, 438, 439, 448, 449, 451, 453, 455, 456, 460, 461, 467, 473, 477, 481, 482, 485, 487, 489—491, 493, 497, 500, 504
საჩერქეზო 483
საცხუმეთი 303
საძმო 445
საჭალა 344
სებასტოპოლი 185, 201, 271, 309
სევანის ტბა (=გოგჩის ტბა) 1, 3
სევასტია (სივასი) 93, 268
სვანეთი, სუანეთი, 21, 102, 119, 120, 153, 156, 181, 286, 307, 313, 314, 318, 417
სიდა 266
სიდანი 375
სიდენე 265, 267
სიდენეს ველი 266
სივ სი, იხ. სევასტია
სიენიეთი 359, 360, 362, 363, 365
სიეირი-ლალი 95
სიმირრია, მთა 80
სიხა 346
სინაბირი 80
სინაჭულზი, მთა 80
სინიჭიეთ 81
სინოპი 241
სინორეგა, სინორია, ციხე-სიმაგრე 91, 92
სი-აჯ-ტაირსი 363
სირდაკუ, ციხე 81
სირია, 3, 8, 53, 66, 69, 346—348, 355, 357, 358, 361, 380, 387,
სისაკანი 358
სისაჯანი (სიენიეთი) 363
სისპირიტიდა 58, 60, 63, 71, 73, 74, 88—90, 97, 183, 240—246, 255
სკანდა 10, 127, 253, 416
სკვითია, სკვითეთი 59, 63
სკიდისი 261, 263—266, 269
სკიდისის მთები 260
სკორეთის მდინარე 283
სკუმია, სკუმია (=ლეჩხუმი) 100, 318
სობღის ციხე 372
სოგდეთი 70
სომხეთი 1, 15, 23, 25, 26, 41, 56, 62, 63, 74, 87, 92, 93, 99, 103, 105, 126, 149, 158, 159, 176—178, 180, 186, 188, 189, 193, 200, 205, 212, 213, 220, 226, 227, 242, 245, 246, 252, 254, 256, 272—274, 283, 316, 317, 357—363, 365—367, 373—375, 377, 398—402, 408, 416, 419, 421, 424, 427

სომხეთის მთები 274
სომხითი 63, 99, 373, 406, 425, 451, 467, 468
სოფეხე 91, 265
სოჭა 184
სოხუმი, სუხუმი, ცხუმი 59, 126, 153, 201, 399, 414, 423, 431
სპარსეთი 8, 52, 54, 70, 76, 89, 125, 159, 177, 185, 186, 188, 211, 212, 219, 220, 225, 226, 227, 230—233, 293, 314, 316, 349, 464
სპაოსეთის ყურე 51, 186
სპარტა 53, 54
სპერი, ისპირი 9, 56, 58—60, 73, 75, 93—96, 188, 246, 256, 263, 273, 274
სპერის ზღვა 284
სპერის (ისპირის) მთა 261
სპერის (ისპირის) მდინარე 244
სტეფანწმინდა 291, 292
სუბარტუ (= სასუბარო) 64, 65, 88
სუბარისი, სუბარისი, ქ. 65
სუბი 83, 87, 88, 90, 91, 95—97
სუბა, სუსა 54, 55
სუია 80
სუნერ-ოვანის ტბლობი 94
სურამის ქედი 126, 149, 253, 284, 292, 415
სუოიკაში 81
სურმენე 95
სუოტეხეს ყაბა 94
სუჯუნა 276
სხალტბა 479

ტაბარსარან-შაჰი 375
ტავრი, ტავრის ქედი 246, 264, 265
ტაიქსა 263
ტაბუში (ტაბიშუ) 94
ტანძა, სოფ 471, 472
ტანაისი, ტანაიდი 62, 183, 184, 194
ტაო 57, 256, 262, 263, 298, 358 360
ტაო-კლარჯეთი 23, 422—424
ტასისკარი 283—286, 298, 299
ტაშიოი 226, 283, 287, 288, 304
ტეკელუ-დაღი 260, 268
ტელ-ელ-მარნა 68
ტიმპეს ხეობა (თესალიაში) 215
ტეოფანდო 95
ტერმე 266
ტერმეჩაი 266
ტიგრანოკერტა 246
ტიგროსი, ტიგრი, მდ. 55, 213, 215, 216, 246
ტოკატი 268
ტოლოში 95
ტრაპეზუნტი 18, 91, 94, 126, 127, 256, 260, 263, 265, 266, 308, 310, 335
ტრაპეზუნტის სამეფო 427
ტრაპეზუნტის სანჯაყი 94
ტუაფსე, ტუღაფსე 184, 483, 484
ტუხლუ, ქდ. 87
ტუნისიანი 298, 303
ტურ-აბდინი 67
ტუშპა 2
ტჯრას, ქ. 63

უაიასი 86
ჭაუშის მთა 79, 80, 82, 86
უიზუკუს მთა 86
უიშდი, მთა 80
უიშდიში, უაიშდიში 80, 82, 86
ულაფი, აული 484
ულუმბა 291, 292
ულურია, მდ. 86
ულიუ, ულეა, ულეუ, ქ. 84, 85
უოარტუ 1—5, 7—12, 52, 56, 61, 63, 67, 70, 72, 78, 79, 82, 83, 85—89, 97, 256

ურბნისი 127
ურმიის ტბა 1
ურფა, ურეოი, ქ. 69
უსპა, ქ. 183
უტყვისი, ხევი 440
უფლისციხე 13, 285, 406
უწყაია, ქ. 82, 83, 88

ფაბენე 89
ფაზისი, ფასისი, ფასიდი, მდ. 9, 51, 56, 57, 63, 149, 154, 179, 253, 271—278, 315, 413, 416, 417
ფაზისი, ფასისი, ფასიდი, ქ. 63, 125, 127, 153, 185, 201, 216, 277, 309, 414, 416
ფაზის-კასპის გზა 128
ფაიქომის თემი (ოსეთში) 462
ფანაგარი (ფარგნი), ფაოავანის ტბა 283-285, 298, 300, 468, 474
ფანაროია 267, 268
ფანასკერტი 262
ფარნაკია 91, 265, 266
ფარსმანი (თუშთა თემი) 458
ფასიანა (=ბასიანი) 274
ფატისა 266
ფაში (ფასიდი) ქ. 277
ფაბჩაი (=ფასიდი) 276
ფერები 71
ფერი-სუს ხეობა 93
ფერსათის ძთა 262, 268
ფილან-შაჰი 375
ფიტარეთი 471, 472, 481
ფიუესი 267
ფოთი, ფუთი 153, 201, 277, 271, 278, 309, 414, 416
ფრიგია 53, 54

ფრიქსეს ქალაქი 243
ფსარე, ფსაროს (=აფსარი), მდ. 271, 272
ფსოუს ხეობა 480
ფუთი, სოფ. 278

ქალდია, ქალდია 22, 335, 338
ქალკედონი 361
ქართა 94
ქართლი 10, 15, 24, 25—28, 32, 33, 37, 38, 43—47, 49, 50, 57, 64, 71, 74, 75, 91, 95—97, 117, 126—128, 137, 140, 145, 153, 165, 183, 190, 202, 204, 207, 208, 208, 210—223, 225—234, 237, 242, 243, 245, 249-251, 253—255, 257, 282—284, 286-288, 291—301, 303—305, 315, 316, 357—368, 370, 371, 373, 379—378, 381—386, 391—396, 398, 400, 402—408, 410, 418—421, 424, 452, 453, 455, 456, 458, 467, 478, 481, 500
ქართლის საპატიანოშო (=ქვემო ქართლი) 371, 391
ქართლის ყელი 262
ქართუ, ქალდ., კარდუ 1, 21, 22
ქაჯთა ქალაქი (=ჰური) 12, 285
ქვაბლიანის ხეობა 392, 440, 448
ქვათახევი 474, 475
ქვა[illegible]ლი 262
ქვეყ[illegible] იმერეთი 94
ქვემო ქართლი 45, 94, 226, 229, 286, 300, 301, 371, 391, 404, 425, 470, 477
ქვემო ქვეყანა 300
ქვენა სოფელი 286
ქვენიფერეი 170
ქვეშკაფორი 377
ქისიკი 291, 456, 457
ქიზთეს მთა 84
ქორდითირიკო ხევი 303
ესანი, მდ. 41, 94, 167, 190, 451, 452
ქსანთა 94
ქსერქსენე (დერქსენე) 260
ქუთათიში (ქუთათისი) 275
ქუთათისი 276, 320, 423, 431, 464, 500
ქურდისხევი 287
ქურთაულის თემი (ოსეთში) 462
ქურთისტანის მთა 246
ქცია 286, 294, 295

ღადო, მთა 23, 262, 284
ღადო-ახალციხის ქედი 275
ღაბა, ქ. 346
ღუმუქი 238

ყაბარდო 484, 487, 488
ყელა კელი 93
ყალნუს მთა 261, 262
ყარაბელ-დაღი 268
ყარსის მთა 262
ყვარილა 127, 149, 153, 253, 274—276, 278
ყვირილა-რიონის ხეობა 127
ყიზილ-იმარეთი 95
ყიზილ-ირმაკი 260, 266, 268
ყიოიში 176, 194, 370
ყორანთა, სოფ. 468—470
ყუბანი, მდ. 120, 181

შაბურანი 375
შავი ხევი 3, 9, 15, 22, 23, 51, 58, 125, 127, 176, 183, 184, 197, 199, 240, 266, 284, 308, 310, 412—414, 416, 417, 427
შავი წყალი 274
შავშეთი 298, 365, 448
შავშეთის ხევი 391
ძალუნი, ქ. 98
შარდურიხურდა, ქ. 84, 85
შაჰ-დაღის მთიანეთი 257
შეპინ-ყარაჰისარი 263
შეკეთილი, ნაკსადგ. 483
შიგნით კახეთი 300
შიდა ქართლი, შიგა ქართლი, შინა ქართლი 229, 283—286, 288, 295, 298—305, 364, 391
შიდა სოფელი 286
შ[illegible]ა ქვეყანა 286, 300
შინდისი 288
შიოძვ[illegible]მე 478
შირვანი, შარვანი 375, 402
შოფ[illegible]ქლუს მთა 261, 262
შოოკანი, სარაკანი 10, 15, 127, 149, 153, 253, 274, 275, 276, 278, 283, 416
შუა-ახია 343, 344
შუამდინარეთი (=მესოპოტამია) 65, 343
შუანდახული, ქ. 79, 80
შუვა 94
შეჩი 377

ჩამლუ-ბელ-დაღი 260, 268
ჩაჩუბეთი 478
ჩელეთი 229, 377
ჩერკეზეთი 458, 487
ჩილდიოის ტბა (=პალაკაციო) 3
ჩირგვეთი, სოფ. 488
ჩოროგჯა 94
ჩორობ-დერესი, მდ. 94
ჩორჩანი, სოფ. 392, 448
ჩრდილო-კავკასია 17, 181, 182, 194, 204, 306, 368—370, 375, 412, 415, 419, 426, 427, 490

ჩრდილო-ოსეთი 413
ჩუმათელეთი 99
ჩუმოვანი 94
ჩხერიმელა 274
ჩხუმი (ცხუმი), ჩხუმნი 100

ცენტრალური აზია 181, 344
ცივ-გომბორის ქედი 252
ციძილათი 95
ციხე-დიდი 288
ციხე-გოჯი (=ნაქალაქევი) 368, 375
ცოლის მთა 41
ცხრაზმა, ცხრაზმისხევი 167—171, 173
ცხრასძმაია 303
ცხროკა 441
ცხუმი (=სოხუმი) 59, 100, 372, 423, 431

ჭარა 94
ძველი აღმოსავლეთი 7, 64, 65, 145
ძინძე 440, 448
ძოროფორი 303

წალკა 97, 286, 295
წანარეთი (=საბარია) 404
წვიმოეთი 44
წითელი ზღვა (=სპარსეთის ყურე) 51
წილკანი 219, 291, 292
წინა აზია 3, 5—8, 12, 13, 52, 53, 56, 61, 64, 66, 67, 96, 97, 177, 182, 186, 196, 211, 236, 246, 343, 415, 421, 423
წლევი 292
წლევის მთა 291
წობენი 49, 209
წობენორი 304
წოროფორი 303
წრომი 421
წუნდა 283, 284
წუქეთი 377
წყისე 448

ჭანეთი 18, 273
ჭანეთის მთები 256, 268, 305
ჭეჭემი 229
ჭორი (ფაარუბანდი) 350
ჭოროხი 51, 56, 90, 92, 246, 249, 256, 260, 262, 263, 266, 271—274, 284, 305
ჭოროხის ხეობა 94, 97, 256

ხაბური, მდ. 68
ხაბურის ხეობა 67
ხაზარეთი 23, 326, 370—372, 375, 376, 395, 403
ხაიხანი 389
ხალდე 21
ხალკის, ქ. 63
ხალკიტის 63
ხალხალის მთა 93
ხანიგალბად 69
ხაოსპი, მდ. 54
ხარაგოული 412
ხართი 69
ხაო, ხური, იხ. ჰარი.
ხარნისხევი 303
ხატი 66
ხატხანა 2
ხახიტი (=კახეთი?) 374
ხახული 424
ხეთა 66, 68, 69, 97, 236
ხეკორდი 288
ხერკი 43, 287, 288, 304, 377
ხვარაზმი 70
ხვეთი 304
ხირა, ქ. 348, 349
ხირსი 291
ხლათი 59, 363
ხმელთაშუა ზღვა 346, 347, 415
ხობი, მდ. 18
ხოზამირი. სოფ. 406
ხორასანი 371
ხორვატეთი 488
ხორზიანის ველი 94
ხორნაბუჯი 229
ხორსაბადი 79
ხორტიკ-დაღი 93, 95
ხორტიკი, დაბა 93, 95
ხორშუტ-ჩაის ხეობა 94
ხორძენე, ხორტენე, ხოტენე, 91—95, 98, 176, 257, 260
ხოტენეს არმენია 90, 92
ხოტინოსი, დაბა 93
ხოტინოს-ქეფრუ 93
ხრამი, მდ. 286, 294
ხუნანი 282, 283, 365, 431
ხუნტუსი 95
ხური, ხურა, ქ. 68
ხური ქვეყანა, იხ. ჰარი

ჯავახეთი 13, 229, 250, 283, 286—288 298, 304, 391, 406, 448
ჯაყვა (ჯაკვა) 485
ჯელარე-დერესის ხეობა 94
ჯიქეთი 480, 488, 489
ჯორუხ-ჯურუხ (ჭოროხი) 272
ჯუარი 287, 421
ჯურზანი (ქართლი) 363, 365, 383, 404, 405

ჰალისი, მდ. 53, 54, 179, 265, 266
ჰაიზინი 375
ჰარზიანუ 81
ჰენიოხია 240, 241
ჰენიოხური მთები 256
ჰეოაკლია 179
ჰერეთი 22, 41, 101, 225, 283, 425
ჰერძასტი (=არმაზი) ქ. 257
ჰირკანიის ზღვა (=კასპის ზღვა) 127
ჰირკანიის ყურე 255
ჰიჯაზი 345, 386
ჰნარაკერტი, ქ. 304
ჰუბუშკია, ქ. 78, 86
ჰური, ქ. (=ქაჯთა ქალაქი) 12, 285
ჰულილი, ჰალილი 69
ჰარი, ჰური, არი, ხარი, ხური, 6—8, 11. 12, 66—71, 94, 96, 101, 236, 237

Указатель имен

Аббасиды 329
Аба Тбилисский 335, 339
Адонц, Н. 270
Ано 30, 33, 47
Александр Македонский 33
Алиев, У. 486
Анос, абхазский царь 324, 325
Аполлодор 258
Аппиан 247
Аран, царь 30, 33
Армен 247

Баграт III, царь 323—325
Баграт, имеретинский царь 324
Броссе, М. 323

Васильев, А. 328, 329, 333
Васильевский Е. Г. 279, 339, 340
Weil, G. 357
Бахушти 322, 323, 325—327

Гарун-ар-Рашид, халиф 333
Ghazarian 358
Гельцер 327, 330, 333, 339, 341
Георгий, абхазский царь 324
Геродот 247
Геч Решид 480
Городецкий, В. 486
Götze, Al. 66, 70
Грозный, Б. 68
Гурген, царь 324

Джавахишвилы, И. А. 324, 325, 332
Джуаншер, царь 323
Джуаншер, абхазский эристави 326
Диодор 247
Досифей, иерусалимский патриарх 323

Huart, Cl. 357
Hübschmann, H. 270

Иасон 247
Иоанн Готский 340, 341
Иоанн Сабанисдзе 333, 334, 336—339
Иоанн, царь 322, 323
Иоанн, Эристави абхазский 326
Ирина, жена Льва Хазара 332
Ирина, жена имп. Константина 328, 330, 331, 333, 339—341

Карл Великий 333
Кекелидзе, К. С. 338
Kiepert, H. 248, 270
Константин, эристави абхазский 331
Константин V, имп. 328, 329, 332, 339
Константин VI 331—333, 340
Константин Порфирогенет, 339
Константин, имеретинский царь (II?) 324
Krumbacher, K. 313
Крымский, А. 357
Кулаковский, Юл. 279

Lammêos H. 357
Lehmann-Haupt 101

Лев III Исавр 327, 328, 332
Лев IV, имп. 328—331, 337, 339, 340
Леон I, эристави абхазский 323, 326, 330, 331, 337
Леон (Леван) II, эристави абхазский 322, 323, 325—327, 330—333, 340

Marquart, J. 270, 367, 371, 407
Маслама, халиф, 327
Мед 247
Медея 247
Мела 247
Мюллер, А. 357, 375, 381, 385, 386
Мюллер, К. 367

Нерсе, картлийский эриемтавари 333—336, 339
Никифор кесарь, брат Льва Хазара 331
Никифор, Кривошеин 32

Олександр (Александр) 275

Пеетерс 338
Плиний 247, 258

Reinach, Th. 270
Реклю, Э. 270
Ростовцев, М. И. 259

Сиюхов, С. 486
Страбон 247, 258, 269, 270

Такайшвили, Е. С. 26, 323—325, 329, 332, 474

Тацит 247
Тигран II 258
Трог, П. 247

Услар, П. К. 270
Успенский, Ф. 327—331, 333, 338, 339

Фарнаваз 30
Феодор 331
Феодор слепой, абхазский царь 324
Феофан 339
Феофил 341

Хаханов А. С. 30, 489

Schermann, A. 279

Юстиниан II 328

Указатель племенных названий

абхазы 322, 325—327, 340
агаряне 322
арабы 322, 327—330, 332—334
арпан-картвелы 247
армяне 247

балканские славяне 333
болгары 328, 330, 333

византийцы 322

гечь, геча, племя 480
греки 322, 326, 333
грузины 336

иберы 247

мидяне 247

ромеи 328

сарацины 334
сасперы 247

турки-османы 327

хазары 322, 326—329, 334, 340, 341

эгриссцы 322

Указатель географических названий

Абхазия 322—324, 326, 327, 331—341
Адиабена 247
Ак-даг 270
Акроин 327
Алазан, р. 258
Анакопия 322
Анатолик 339
Апсареа, р. 336
Аракс, р. 258
Армази 33
Армазское ущелье 33
Армениак, тема 338, 339
Армения 247, 258, 329
Ассирия 324

Байбурд 270
Бамбакский хребет 258
Басиан 258
Болгария 329
Боспорский пролив 340

Вавилон 324
Византия 322, 327, 329—332, 337
Визера 94
Восточная Грузия 334
Восточно-Понтийский хребет 270
Врата Овсетии 334
Вукелларий, тема 339

Германикия 330
Гиресун (Керасунт) 270
Гоблад, Коблат 95
Гогарена 258
Голоша 95
Готия 340, 341
Грузия 33, 322, 323, 328, 337
Гурелские горы 275

Дара 329
Дариалан 334
Дариальский проход 258
Дзара 94
Дон 341
Дорос, готская крепость 341

Егерукой, Егерукай 483
Египет 324
Ерманды 94

Иберия 258

Кавказ 328
Кавказский хребет 258, 336
Кавказское побережье 340
Калахена 247
Камбисена 258
Картли 33, 258, 340
Келькит-чай 270
Керасунт, см. Гиресун
Кизил-ирмак 270
Китра 94
Кларджет 95
Колхида 258, 328
Константинополь 327, 336, 339
Крым 340, 341
Ксанта 94
Кура 258
Курла (ყვირილა) 275
Кутатис 275

Лазика 322, 339
Лихи 326
Лихские горы 322

Малатия 329
Малый Кавказ 269
Месопотамия 329
Мосхийские горы 269, 270
Мцхета 33

Напсайская гавань 336, 338.
Натехилеби, горы 94
Нахизир 95
Никея 341
Никопсия 338
Нисиби 329

Опсикий, тема 339
Ордор 95

Париадр 258, 269, 270
Пархал, Балхар 269
Передняя Азия 247
Понтийское море 335, 338
Поти 339

Реон, (Реонь, Роянь) 275
Ризейские горы 269

Самосат 329
Саркел, крепость 341
Синоп 339
Сирия 329
Сиспиритида 247, 258
Сканда 258
Скидис 269, 270
Сомхития 33
Спер 258
Sperla 59
Сурамский хребет 322

Таврр 247
Таманский полуостр. 340
Телеви 95
Текелу-даг 270
Трапезунт, Трабзон 270, 335, 336, 338

Фанагория, г. 340
Фарнакия 270
Феодосиополь (Эрзерум) 329
Фракисийская тема 339

Харт 94
Хазария 322, 328, 333, 334
Халдия 335, 338, 339
Херсон, Херсонес 341
Хордзена 258
Хотинос 93
Хуру 94

Цимилат 95
Црольская гора 33

Чамли-бель-даг 270
Чатехилеби 94
Черное море 338—340
Чорогма 94
Чорохи 270, 338

Шах-даг 258
Шорапани 258

Эгриси 322, 326, 339
Эгрис-цкали 33
Эрети 33
Эрзерум, см. Феодосиополь

Юлдус-даг 270
Zichia, mauro Z. 489

აკად. ს. ჯანაშიას „შრომების“ I და II ტომებში მოთავსებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია

I ტომი (1949 წ.)

1. **ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში.**

   პირველად დაიბეჭდა 1935 წელს ცალკე წიგნად (132 გვ.). გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

2. **საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე.**

   პირველად დაიბეჭდა 1937 წელს ცალკე წიგნად (150 გვ.). გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

   [ეს ორი ნაშრომი შეადგენდა ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სადოქტორო დისერტაციას, რომელიც მან დაიცვა 1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში].

II ტომი (1952 წ.)

1. **ურარტუ.**

   პირველად დაიბეჭდა 1937 წელს საქართველოს განსახკომის ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 10 (გვ. 46—59).

2. **რა მოხდა 2000 წლის წინათ საქართველოში.**

   პირველად დაიბეჭდა 1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალტირაჟიან გაზეთში „ბოლშევიკური კადრებისათვის“ (№ 17), ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტის ენუქიძის შეკითხვის პასუხად.

3. **ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის ისტორიიდან (კოლხეთის სამეფოს ისტორიისათვის).**

   მოხსენების თეზისები.

პირველად დაიბეჭდა 1943 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XII სესიის თეზისებში (გვ. 17).

4. **უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე.**

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმკი"-ს) მოამბის V—VI ტომში, რომელიც მიძღვნილი იყო აკად. ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი (გვ. 633—694).

5. **გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში.**
საქართველოს ისტორიის კურსი. განაკვეთი № 1.

ავტორის მიერ საქართველოს სსრ განსახკომის დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტისათვის შედგენილი.

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს, ლითოგრაფიული წესით (ინსტიტუტის გამოცემა, 48 გვ).

6. **ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში.**

იმავე კურსის **განაკვეთი** № 2 [ეს სათაური განაკვეთს არ აწერია. ავტორის მიერ შედგენილ თავისი შრომების ოფიციალურ სიაში კი ამ განაკვეთის სათაურად შეტანილია: **საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ქართველ ტომებში**].

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს, ლითოგრაფიული წესით (ინსტიტუტის გამოცემა, 43 გვ.).

7. **ადრეული ფეოდალიზმი [ქართველ ტომებში].**
იმავე კურსის **განაკვეთი** № 3.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს, ლითოგრაფიული წესით (ინსტიტუტის გამოცემა, 131 გვ.).

8. **ქართველთა წარმომავლობის საკითხისათვის.**

მოხსენების თეზისები.

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 7—11 მაისის სამეცნიერო სესიის თეზისებში (გვ. 106—107).

9. კავკასიელი ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა.

პირველად დაიბეჭდა 1943 წელს, რუსული რეზიუმეთურთ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, ტ. IV, № 4 (გვ. 367—373).

10. იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში.

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს, რუსული რეზიუმეთურთ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, ტ. III, № 7 (გვ. 723—730).

11. ისტორიული საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიიდან.

მოხსენების თეზისები.

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VII სამეცნიერო სესიის თეზისებში (გვ. 11).

12. პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები.

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს, რუსული რეზიუმეთურთ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, ტ. III, № 6 (გვ. 603—610).

13. ფასიდი.

პირველად დაიბეჭდა (როგორც ერთი თავი ავტორის ნაშრომისა „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“) 1941 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბის X ტომში (გვ. 345—354), რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი.

14. აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის.

პირველად დაიბეჭდა 1943 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბის XIII ტომში (გვ. 243—258).

15. **ეგრისის სამეფოს წარმოშობა.**

პირველად დაიბეჭდა 1936 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების I ტომში (გვ. 266—276).

16. **„აფხაზთა სამეფოს“ ისტორიიდან.**

მოხსენების თეზისები.

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სოხუმს გამსვლელი სესიის (26—29 სექტ.) თეზისებში (გვ. 12—13).

17. **О времени и услозиях возникновения „абхазского царства“.**

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბის VIII ტომში (გვ. 137—152).

18. **არაბობა საქართველოში.**

პირველად დაიბეჭდა 1936 წელს ცალკე წიგნად (68 გვ.). გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

[იმავე წელს, საქართველოს სსრ განსახკომის ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“ (№ 5, გვ. 8—18) დაიბეჭდა ამ ნაშრომის ნაწილი „არაბთა მფლობელობის დამყარება საქართველოში“. ეს უკანასკნელი შრომათა ამ კრებულში ცალკე აღარ შემოდის].

19. **საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. კონსპექტის პროექტი.**

პირველად დაიბეჭდა, როგორც სადისკუსიო პროექტი, 1936 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების V ტომში (გვ. 61—76). მომდევნო წლებში ეს პროექტი დაედო საფუძვლად ს. ჯანაშიას მუშაობას „საქართველოს ისტორიის“ პირველ თავებზე.

20. **ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის.**

მოხსენების თეზისები.

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესიის თეზისებში (გვ. 11—13).

21. ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში.

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს საქართველოს სსრ განსახკომის ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის", № 4—5 (გვ. 32—40).

22. ვახუშტი ბაგრატიონი ქართული ფეოდალიზმის შესახებ.

მოხსენების თეზისები.

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის თეზისებში (გვ. 5). [ეს სესია მოეწყო 18—20 ოქტომბერს, ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრების" დაწერის 200 წლის თავისა და აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 5 წლის თავის აღსანიშნავად].

23. ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ.

ზემოაღნიშნული მოხსენების ტექსტი.

პირველად დაიბეჭდა (როგორც უფრო ვრცელი ნარკვევის ნაწილი) 1947 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომების („ახალები") I ტომში (გვ. 1—12).

24. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის.

დაწერილია ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს საიუბილეო კომიტეტის დავალებით.

პირველად დაიბეჭდა ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს თხზულებათა საიბილეო აკადემიურ კრებულში, რომელიც გამოსცა „ფედერაციამ" 1939 წ. (გვ. 131—144).

25. ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის.

დაწერილია ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ს გარდაცვალების 40 წლის თავთან დაკავშირებით და მოხსენებად წაკითხულია ამ წლისთავის აღსანიშნავ სხდომაზე.

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებულში „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ტ. I (გვ. 65—71).

26. **შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში.**

დაწერილია საქართველოს სსრ განსახკომის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დავალებით.

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს ინსტიტუტის მიერ გამოცემულ მასალების კრებულში „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, ტ. I (გვ. 23—33).

რედაქციისაგან:

ამ ტომში თავმოყრილი ნაშრომები ავტორს დაწერილი აქვს სხვადასხვა დროს, 1932-დან 1943 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში, და მას შემდეგაც, ქართული სალიტერატურო ენისა და მართლწერის ნორმებმა საგრძნობი ცვლილება განიცადა. ამასთან დაკავშირებული, ბუნებრივი არაერთგვაროვანების თუნდაც ნაწილობრივ აღკვეთის მიზნით რედაქციამ მიზანშეწონილად სცნო, ნორმების უნიფიკაციის სახით ზოგიერთი მცირე ცვლილების შეტანა ნაშრომთა ტექსტში.

გარდა ამისა, წიგნში ხშირად ხმარებული ტერმინი „აფხაზთა სამეფო", როგორც სახელწოდება დასავლურ-ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის, ყოველგან უნდა ნაგულისხმევი იქნას, როგორც სრულიად პირობითი.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით.

*

რედაქტორი: აკად. ნ. ბერძენიშვილი
ტექრედაქტორი ა. თოდუა
კორექტორი ნ. ჯაფარიძე
კონტრ.-კორექტორი ნ. გვეტაძე
გამომშვები გ. სიხარულიძე

გადაეცა წარმოებას 19.3.50. ხელმოწ. დასაბეჭდად 30.4.52
ქაღალდ. ზომა 60×92. ქაღალდ. ფურც. 16875 საბეჭდ.
ფურც. 33,75. საავტ. ფურც. 29,55. სააღრ.-საგამომც. ფურც. 29.63
შეკვ. № 691. უე 04324. ტირაჟი 4000.

ფასი 17 მან. 80 კ.
ყდა. 3 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5